ე. ლ ო ნ ა ძ ე

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე

სტალინის სახელობის
თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი — 1959

მ ე ს ა ვ ა ლ ი

ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ხასიათს და მიმართულებას განსაზღვრავს მოცემული ქვეყნის საშინაო პოლიტიკის ხასიათი და მიმართულება, რაც თავის მხრივ წარმოებითი ურთიერთობის ხასიათით არის შეპირობებული. პოლიტიკა კონცენტრირებული ეკონომიკაა; საგარეო პოლიტიკა კი პოლიტიკის ერთერთ ნაწილს შეადგენს. სახელმწიფოთა პოლიტიკა ცვალებადია ისევე, როგორც ცვალებადია ყველაფერი საზოგადოებასა და ისტორიაში. იგი იცვლება მატერიალური ცხოვრების წესში, წარმოებით ურთიერთობათა ხასიათში მომხდარი ცვლილებების შესატყვისად. კლასობრივ საზოგადოებაში კლასობრივი ინტერესები ბატონობენ. ყოველგვარი სახელმწიფო კლასობრივი ბატონობის იარაღს წარმოადგენს და ამა თუ იმ კლასის კლასობრივ ინტერესებს ემორჩილება. სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის არსის გასაგებად გვაძლევს კონკრეტულად მოცემული სახელმწიფოს კლასობრივი სტრუქტურა. როგორიცაა ამა თუ იმ სახელმწიფოს გაბატონებული კლასის კლასობრივი ინტერესები და მისწრაფებები, ისეთივეა მისი საგარეო პოლიტიკის ხასიათი. ამიტომ მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობასთან შეუთავსებელია ყოველგვარი ცდა განხილულ იქნეს რომელიმე სახელმწიფოს ან ისტორიული პერიოდის საგარეო პოლიტიკა საშინაო პოლიტიკისაგან იზოლირებულად, წარმოებითი ურთიერთობათა ხასიათისა და მმართველი კლასის ინტერესებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინების გარეშე. „პოლიტიკისაგან „საგარეო პოლიტიკის“ გამოყოფა, — წერდა ვ. ი. ლენინი. — ან მითუმეტეს, საშინაო პოლიტიკისადმი საგარეოს დაპირისპირება—ძირფესვიანად უმართებულო, არამარქსისტული, არამეცნიერული აზრია“[1].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., IV გამ., ტ. 29, გვ. 31.

მაგრამ ცალკეული ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ხასიათის ასახსნელად საკმარისი არაა მარტო მოცემული ქვეყნის შინაგანი ვითარების გათვალისწინება, ამ სახელმწიფოს გაბატონებული კლასების ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების შესწავლა. ამისათვის, აგრეთვე საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული სახელმწიფოთა პოლიტიკური ურთიერთობის სისტემაც. ცნობილია, თუ როგორ სასტიკად აკრიტიკებდა ვ. ი. ლენინი ცდას — განეხილათ ამა თუ იმ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია იზოლირებულად სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკისაგან, სახელმწიფოთა პოლიტიკური ურთიერთობის სისტემისაგან მოწყვეტით. „მთელი საქმეა ს ი ს ტ ე მ ა პოლიტიკური ურთიერთობისა ომის წინ და ომის დროს." — წერდა ვ. ი. ლენინი ინესა ირმანდს 1916 წლის დეკემბრის წერილში[1]. ამა თუ იმ ქვეყნის კონკრეტული ისტორიული მონაკვეთის საგარეო პოლიტიკა მჭიდროდ არის გადანასკვული სახელმწიფოთა პოლიტიკურ ურთიერთობის სისტემასთან, საერთაშორისო კავშირ-ურთიერთობათა რთულ ჯაჭვთან, ისიც არა მარტო მოცემულ ისტორიულ მონაკვეთში, არამედ წინა პერიოდშიც. აღნიშნულის გამო საჭიროა ამა თუ იმ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შესწავლის დროს მხედველობაში მივიღოთ და გავითვალისწინოთ როგორც მოცემული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება, ისე საერთაშორისო ურთიერთობის ხასიათიც, სახელმწიფოთა პოლიტიკური ურთიერთობის სისტემაც.

* * *

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მთელ რიგ შინაგან და საერთაშორისო ხასიათის ფაქტორთა ზეგავლენით რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობამ განვლო უაღრესად რთული, წინააღმდეგობებით და ზიგზაგებით აღსავსე გზა. ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპებზე აღნიშნულ სახელმწიფოთა ურთიერთობა ნორმალურ კალაპოტში ვითარდებოდა, მეგობრულ ხასიათს ატარებდა და ორივე ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს უპასუხებდა. მაგრამ დრო და დრო მეგობრული, ჯანსაღი ურთიერთობა ადგილს უთმობდა ამ სახელმწიფოთა შეხლა-შემოხლას და მწვავე კონფლიქტებს, რაც ცალკეულ შემთხვევებში მათ შორის ნორმალური კავშირ-ურთიერთობის გაწყვეტამდე და ომამდეც მიდიოდა.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხს., IV გამ., ტ. 35, გვ. 277—278.

რუსი და ფრანგი ხალხის სამშვიდობო მისწრაფებები, ამ სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესები მათ შორის მეგობრულ კავშირს, ნორმალურ დიპლომატიურ, სავაჭრო-ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობას მოითხოვდა. რუსი და ფრანგი ხალხების ურთიერთობაში არასოდეს არ წამოჭრილა ისეთი სადავო საკითხები, რომელთა მშვიდობიანი გზით მოგვარება შეუძლებელი ყოფილიყო. თუ, მიუხედავად ამისა, რუსეთ-საფრანგეთს შორის ზოგჯერ ომის ვითარება იქმნებოდა, ამაში ბრალი მიუძღვით არა ამ ხალხებს, არამედ მათი ქვეყნების მმართველ წრეებს, რომლებიც წარმართავდნენ აღნიშნულ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკას, ხელმძღვანელობდნენ არა ხალხის ნება-სურვილებით, არამედ საკუთარი ვიწრო ეგოისტურ-კლასობრივი ინტერესებით და დინასტიური მოსაზრებებით.

ბეფის რუსეთის და საფრანგეთის მმართველები: თვითმპყრობელი მონარქები რუსეთში, მეფე-იმპერატორები ან რესპუბლიკის ხელისუფალნი საფრანგეთში თავიანთ საგარეო პოლიტიკას უმორჩილებდნენ მეზობელი ქვეყნების დაპყრობების, საკუთარი ქვეყნის ტერიტორიულ გაფართოებისა და დინასტიურ ინტერესებს. თვით ეს დაპყრობები და ტერიტორიული გაფართოებისადმი მისწრაფება გაბატონებული კლასების ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესებით და მოთხოვნებით იყო შეპირობებული. რუსეთის და საფრანგეთის მმართველი ზედაფენის საგარეო პოლიტიკური მიზნები და მიმართულება ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათის იყო. რუსეთის საგარეო პოლიტიკა, მისგან პერიოდულად წარმოებული დაპყრობები და აგრესიული ნაბიჯები, პირობადებული იყო „...რუსეთის სამხედრო-ფეოდალურ-ვაჭრული ზედაფენის „მოთხოვნილებით" ზღვისაკენ გასასვლელებზე, საზღვაო ნავსადგურებზე, საგარეო ვაჭრობის გაფართოებასა და სტრატეგიული პუნქტების დაუფლებაზე..."[1]

რუსეთის გაბატონებული კლასების ეს ეკონომიური და სამხედრო-სტრატეგიული „მოთხოვნილება" წარმოშობდა ხშირ კონფლიქტებს და მკვეთრ მობრუნებებს რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში, რადგან იგი ეჯახებოდა საფრანგეთის გაბატონებული კლასების შესატყვის ეკონომიურ და სამხედრო-სტრატეგიულ „მოთხოვნილებას".

საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაც. დაპყრობებისა და ტერიტორიული გაფართოებისაკენ იყო მიმართული. იგი ჯერ ფრანგი

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, ენგელსის სტატიაზე „რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკა", გაზ. „კომუნისტი", 1941 წლის 28 მაისი.

მეფეების დინასტიური ინტერესებით და თავადაზნაურთა კლასობრივი „მოთხოვნილებით“ იყო შეპირობებული, ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კი კაპიტალიზმის განვითარების „საჭიროებებით“, გამარჯვებული ბურჟუაზიის მისწრაფებით — ხელთ ეგდო ახალი ბაზრები და გავლენის სფეროები, დაუფლებოდა მნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტებს.

რუსეთის და საფრანგეთის გაბატონებული კლასების ეს ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები და მისწრაფებები, რომლებიც წარმართავდა შესაბამის საგარეო პოლიტიკას და დიპლომატიურ ნაბიჯებს, ხშირად ქმნიდა დაძაბულობას რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში და ზოგჯერ ომის ვითარებასაც წარმოშობდა. ამას ცალკეულ შემთხვევებში ემატებოდა წინააღმდეგობა პოლიტიკურ რეჟიმთა განსხვავებასა და იდეოლოგიურ დაპირისპირებათა ნიადაგზე (საფრანგეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის დროიდან).

რუსეთ-საფრანგეთის ხანგრძლივი ურთიერთობის ისტორიის ერთერთ მნიშვნელოვან მონაკვეთს XVIII — XIX საუკუნეების მიჯნა წარმოადგენს. ქრონოლოგიურად ეს ისტორიული მონაკვეთი ემთხვევა პავლე I-ის მეფობის წლებს რუსეთში და აღმასრულებელი დირექტორიის მმართველობის მეორე ნახევარსა და კონსულობის საწყის პერიოდს საფრანგეთში. ევროპის სახელმწიფოთა მაშინდელი პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემის მიხედვით ეს არის მეორე ანტიფრანგული კონტრრევოლუციური კოალიციის შექმნის, მისი მოქმედებაში შესვლისა და ამ კოალიციის დაშლის პერიოდი (1796 წლის ნოემბრიდან 1801 წლის 11 მარტამდე).

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიის ეს მოკლე მონაკვეთი მეტად საინტერესოა როგორც ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის თვალსაზრისით, ისე ევროპის იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების მხრივაც. იგი რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში გარკვეულ მთლიანობას ქმნის და საგრძნობლად განსხვავდება როგორც წინა, ისე მომდევნო ხანის შესაბამისი ურთიერთობისაგან.

ევროპის კონტინენტი აღნიშნულ წლებში საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის მიერ მოხდენილი ღრმა სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ცვლილებების უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ ცხოვრობდა. მიუხედავად იმისა, რომ თვით საფრანგეთში რევოლუცია უკვე ჩახშობილი იყო და მსხვილი ბურჟუაზიის კონტრრევოლუციური დიქტატურა ბატონობდა, აღნიშნული რევოლუციის მიერ მოხდენილი ცვლილებების

გავლენა მაინც საგრძნობი იყო ევროპის დიდ და პატარა სახელმწიფოთა ცხოვრებაზე, საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულებაზე. მართალია, ფრანგი ხალხის რევოლუციური, „ჰეშმარიტად სამართლიანი და განმათავისუფლებელი ომი" რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ ამხედრებული ფეოდალურ-მონარქიული, კლერიკალურ-კონტრრევოლუციური კოალიციის წინააღმდეგ უკვე დამთავრებული იყო და საფრანგეთის გამარჯვებული ბურჟუაზია უსამართლო, დაპყრობით ომებს აწარმოებდა, მაგრამ რევოლუციის „ექსპორტი" მაინც გრძელდებოდა. საფრანგეთის ბურჟუაზია ევროპის დაპყრობილ ადგილებში ძალის გამოყენებით ნერგავდა იმ ბურჟუაზიულ-პროგრესულ, ისტორიულად გამართლებულ ღონისძიებებს, რომლებიც მან რევოლუციის ჩახშობის მიუხედავად თვით საფრანგეთში შეინარჩუნა. მაგრამ საფრანგეთის მიერ წარმოებული ომების ხასიათის შეცვლამ პოლიტიკურ ურთიერთობათა ახალი სისტემა წარმოშვა და უშუალო გავლენა მოახდინა საერთაშორისო ურთიერთობის ხასიათზე. თუ 1789 — 1794 წლებში ევროპის სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობის ღერძს რევოლუციურ-იაკობინური საფრანგეთის წინააღმდეგ ფეოდალურ-მონარქიული ევროპის ბრძოლა წარმოადგენდა (რომელსაც არისტოკრატიულ-კონსერვატიული ინგლისი ედგა სათავეში), 1795 წლიდან საერთაშორისო ურთიერთობის კვანძად იქცეა ინგლის-საფრანგეთის ბრძოლა უპირატესობისათვის ევროპაში, ბრძოლა ჰეგემონობისათვის სავაჭრო, საზღვაო და კოლონიურ ასპარეზზე.

მეფის რუსეთი, რომელიც ევროპის კონტინენტის ერთერთ ყველაზე ძლიერ და ცენტრალიზებულ მონარქიას წარმოადგენდა, საერთაშორისო ურთიერთობის ამბებსა და ევროპის იმდროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში უაღრესად აქტიურ და. შეიძლება ითქვას, გადამწყვეტ როლს ასრულებდა. მაშინდელი ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობაში არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის გადაწყვეტაშიაც მეფის რუსეთს არ მიეღოს უაღრესად აქტიური მონაწილეობა. საფრანგეთთან ურთიერთობას, კერძოდ, საფრანგეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციიდან მოკიდებული, ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა მეფის რუსეთის ევროპულ პოლიტიკაში და მისი საგარეო პოლიტიკის ფოკუსში იყო მოქცეული.

საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის მიერ მოხდენილმა სოციალურ-ეკონომიურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა უშუალო გავლენა მოახდინა რუსეთ-საფრანგეთის ისტორიულად

ჩამოყალიბებულ კავშირ-ურთიერთობაზე. მან დაარღვია მათ შორის მანამდე არსებული დიპლომატიური, სავაჭრო-ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა და სრულიად ახალი ვითარება შექმნა ამ სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

1796 წლის დასასრულისათვის, საიდანაც ვიწყებთ ჩვენ რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის მიმოხილვას, ამ ორ ქვეყანას შორის შეწყვეტილი იყო ყოველგვარი ნორმალური კავშირ-ურთიერთობა. მეფის რუსეთი რესპუბლიკური საფრანგეთის მიმართ შეიარაღებული ნეიტრალიტეტის მდგომარეობაში იმყოფებოდა და არაპირდაპირი გზით მონაწილეობას იღებდა მის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა ფორმალურად არ შედიოდა პირველი ანტიფრანგული კოალიციის შემადგენლობაში. პარალელურად ამისა, რუსეთის ცარიზმის მესვეურები ენერგიულ ზომებს ღებულობდნენ საფრანგეთის რევოლუციის ყოველგვარი გავლენის წინააღმდეგ ქვეყნის შიგნით და აძლიერებდნენ რეპრესიულ ზომებს არსებული სოციალური სისტემის ყოველგვარი მტრების წინააღმდეგ.

1797 წლის დასაწყისიდან საფრანგეთის რესპუბლიკის დიპლომატიის ინიციატივით დაისახა გარკვეული მობრუნება რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში; გადადგმულ იქნა პრაქტიკული ნაბიჯები მათ დასაახლოებლად. ამ სახელმწიფოთა შორის დაიწყო არაოფიციალური მოლაპარაკება რევოლუციამდელი ურთიერთობის აღდგენისა და „ევროპის დამშვიდების“ ბაზაზე. მათ შორის სათანადო ხელშეკრულების დასადებად. მაგრამ აღნიშნული მობრუნება ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი. ამ მიმართულებით გადადგმული დიპლომატიური ნაბიჯები რუსეთ-საფრანგეთის ხელშეკრულების დადებით არ დამთავრებულა. პირიქით, ძველმა და ახალმა ეკონომიურმა, პოლიტიკურმა და სამხედრო-სტრატეგიულმა მოტივებმა კიდევ უფრო გააღრმავა ამ ორ ქვეყანას შორის არსებული ანტაგონიზმი და მათ შორის ომის შესაძლებლობა რეალურ სინამდვილედ აქცია. 1799 წლის დასაწყისში მეფის რუსეთი — მეორე ანტიფრანგული კოალიციის ერთ-ერთი მთავარი იდეურ-პოლიტიკური ხელმძღვანელი — კოალიციის სხვა წევრებთან ერთად ომს აჩაღებს საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ. მაგრამ კოალიციის რიგებში აღმოცენებულმა ღრმა წინააღმდეგობებმა და რუსეთის მიერ საფრანგეთის წინააღმდეგ ომში დასახული პოლიტიკური და სამხედრო სტრატეგიული მიზნების განუხორციელებლობამ განაპირობა რუსეთ-საფრანგეთის ომის შეწყვეტა და მათი მორიგი დაახლოება

1800 წელს, მაგრამ 1801 წელს პავლე I-ის მკვლელობამ კვლავ ყველაფერი შეაბრუნა.

მოცემული პერიოდის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის საკითხზე მონოგრაფიული გამოკვლევა არ არსებობს; მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ აღძრული საკითხი არ ყოფილა მეცნიერული დაკვირვებისა და შესწავლის საგანი.

აღნიშნულ საკითხს ცოტად თუ ბევრად შეეხნენ ის რუსი და საზღვარგარეთელი ისტორიკოსები, რომლებმაც თავიანთ შრომებში გააშუქეს 1789 — 1815 წლების ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკური ურთიერთობის, დიპლომატიის მიმართულების და რუსეთისა და საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის საკითხები. ამ პრობლემის რთული კომპლექსის ცალკეული საკითხების შესახებ თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს იმ ისტორიკოსებმაც, რომლებმაც ვრცელი გამოკვლევები მიუძღვნეს ნაპოლეონის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ეკატერინე II-ისა და პავლე I-ის მეფობას. ცნობილი რუსი დიპლომატების (ა. ა. ბეზბოროდკოს, ნ. ა. პანინის, ს. რ. ვორონცოვის, ა. კ. რაზუმოვსკის და სხვ.) ცხოვრებასა და დიპლომატიურ საქმიანობას. ზოგადი ცნობები რუსეთ-საფრანგეთის 1796—1801 წლების ურთიერთობის შესახებ მოცემულია აგრეთვე სარკ ხალხთა ისტორიის სახელმძღვანელოებში და ლექციების კურსებში, ნარკვევებში, დიპლომატიის ისტორიის I ტომის შესაბამის თავებში, ზოგიერთი საბჭოთა ისტორიკოსის მეცნიერულ-პოპულარულ ლექციებში, მეცნიერულ ნარკვევებში, წერილებსა და მონოგრაფიებში.

მაგრამ არსებული მემკვიდრეობა რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ XVIII — XIX საუკუნეების მიჯნაზე არ შეიძლება ჩაითვალოს ამომწურავად და დამაკმაყოფილებლად. ეს პრობლემა „სახელმწიფოთა - სისტემასთან" კავშირში, რუსეთ-საფრანგეთის საშინაო პოლიტიკასთან და ევროპული ურთიერთობის რთულ კომპლექტთან კავშირში დღემდე საფუძვლიანად არ ყოფილა განხილული.

რუსი და საზღვარგარეთელი ისტორიკოსები (ძირითადად ფრანგები), რომლებიც თავადაზნაურული და ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ბანაკს ეკუთვნიან (ს. ტატიშჩევი, ნ. შილდერი, კ. ვალიშევსკი, ფ. მარტენსი, ა. ტრაჩევსკი, გ. კლოჩკოვი, დ. მილიუტინი, ე. შუმიგორსკი, ს. სოლოვიოვი, ა. სორელი, მ. ბარანი, გ. გროსიანი, ვ. ბურჟუა, ლ. პინო, ე. დოდე, ე. დრიო, ა. ტიერი, რ. გიო, ი. გრეპი, და სხვები) ორიოდე ისტორიკოსის გამოკლებით (დ. მილიუტინი, გ. გროსიანი, ა. ტრაჩევსკი) XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისის პერიოდის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთო-

ბის საკითხს ეხებიან და არკვევენ ზოგადად, სხვა საკითხებთან და-კავშირებით. რუსი ისტორიკოსების სქელტანიანი შრომები უმთავ-რესად შეიცავენ პავლე I-ის მეფობის დახასიათებას, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გარკვევას, მისი როლის ნათელყოფას ამ პო-ლიტიკის წარმართვაში, მისი მეფობის პერიოდის მსგავსება-განსხ-ვავების ჩვენებას, წინამორბედ მეფობასთან შედარებით. რუს ის-ტორიკოსთაგან რუსეთ-საფრანგეთის აღნიშნული პერიოდის ურ-თიერთობის კომპლექსის გარკვევას კონცენტრირებული ყურად-ღება მიაქციეს მილიუტინმა და ტრაჩევსკიმ. პირველმა ეს საკითხი გააშუქა თავის კაპიტალურ სამტომიან ნაშრომში რუსეთის ომის შესახებ საფრანგეთის წინააღმდეგ 1799 წელს, მეორემ კი — სტა-ტიაში 1794 — 1799 წლების რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ და ვრცელ შესავალში, რომელიც წაუმძღვარა რუსეთ-სა-ფრანგეთის ურთიერთობის (1800 — 1802 წწ.) დოკუმენტთა კრე-ბულს.

უცხოელი ავტორები თავიანთ შრომებში, რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობას დირექტორიისა და კონსულობის პირველ პერიოდში აშუქებენ მხოლოდ გაკვრით და ისიც საფრანგეთის რევოლუციის შედეგად აღმოცენებულ საფრანგეთის საშინაო და საგარეო პოლი-ტიკის მიმოხილვასთან დაკავშირებით.

დასახელებული ისტორიკოსები, უარყოფენ რა ისტორიის მატე-რიალისტურ გაგებას, რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ხასიათს მოცემულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში ხსნიდნენ ამ ქვეყნების ის-ტორიული პიროვნებების იდეებით, შეხედულებებით და მისწრა-ფებებით, „კაპრიზებით“ და არა მატერიალური ცხოვრების პირო-ბებით, რუსეთის და საფრანგეთის მაშინდელი გაბატონებული კლასების ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნილებებით და მისწრაფებებით. ეს ისტორიკოსები ყურადღებას არ აქცევდნენ მასებს — საზოგადოების და ისტორიის შემომქმედ ძალას და ისტო-რიული პროცესის განმსაზღვრელ ძალად, საზოგადოებრივი განვი-თარების ქვაკუთხედად მიაჩნდათ მეფეთა, მხედართმთავართა და სხვა თავკაცთა ნება-სურვილი.

ამ მცდარი კონცეფციის შესატყვისად აღნიშნული სკოლის ის-ტორიკოსები, კერძოდ, რუსი ისტორიკოსები, მოცემული პერიოდის რუსეთის საგარეო პოლიტიკის ხასიათისა და მიმართულების ახსნას ეძებდნენ არა მატერიალური წარმოების მოცემულ წესში, რუსეთის შემამულეებისა და ვაჭრების კლასობრივ ინტერესებში, არამედ პავლე I-ის ხასიათში, მის ჟინსა და კაპრიზებში. პერიოდული შემობ-რუნებები რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში, რასაც ადგილი

ჰქონდა პავლეს მეფობის ხანმოკლე მონაკვეთში, მათი აზრით, აგრეთვე რუსეთის თვითმპყრობელი მონარქიის კაპრიზებით, ეინიანობით, „რაინდული მოსაზრებებით“ და პერსონალური ნება-სურვილით იყო პირობადებული. ისინი, ამავე დროს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ფეოდალური არისტოკრატიის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლების, კერძოდ, მეფის კარის ზედაფენის როლსა და ზემოქმედებას თვითმპყრობელ მონარქზე, ამ გზით კი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმართულებაზე. თითქმის ასეთსავე შეხედულებას ანვითარებენ დასახელებული საზღვარგარეთელი ისტორიკოსებიც, რომლებიც უმთავრესად რუსულ წყაროებსა და რუსი ისტორიკოსების გამოკვლევებს ემყარებიან.

რა სახელმწიფოებრივი ინტერესები, რა ეკონომიური და პოლიტიკური ფაქტორები აპირობებდა რუსეთის მონარქის, დირექტორიის ხელისუფლების და ნაპოლეონ ბონაპარტის ამა თუ იმ ნაბიჯს რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში, რა საზოგადოებრივი კლასების ეკონომიური „მოთხოვნილებები“, ყოფიერების ინტერესები ამოქმედებდა რუსეთის და საფრანგეთის ხელისუფლების მესვეურთა პოლიტიკურ კურსს, რაც თავის გამოხატულებას ჰპოულობდა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში? ამ კითხვაზე რუსი და საზღვარგარეთელი ისტორიკოსების გამოკვლევებსა და სქელტანიან ნაშრომებში პასუხს ვერ ვპოულობთ.

ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ რუსმა და საზღვარგარეთელმა ისტორიკოსებმა დიდი მუშაობა გასწიეს კვლევის ობიექტის გარშემო, ბევრი ახალი მასალა გამოავლინეს, ბევრი ფაქტი გამოიტანეს მზის სინათლეზე და გარკვეული შეფასება მისცეს. მაგრამ იდეალისტურმა მსოფლმხედველობამ მაინც ხელი შეუშალა მათ აეხსნათ და გადაეწყვიტათ რუსეთ-საფრანგეთის მოცემული პერიოდის ურთიერთობის საკითხთა კომპლექსი ისტორიული სინამდვილის შესატყვისად, „საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობების“ საფუძველზე.

ძველი ისტორიოგრაფია უძლური იყო აეხსნა და გაერკვია რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა ისტორიისა და საზოგადოების ობიექტური კანონების შესატყვისად, მოეცა ამ ურთიერთობის პირობამდელ ფაქტორთა მეცნიერული ანალიზი და მის საფუძველზე დაეხატა ამ ურთიერთობის რეალური სურათი. ამ ამოცანის გადა-

წყვეტა შეეძლო მხოლოდ საბჭოთა ისტორიოგრაფიას, რომელიც კვლევის მოწინავე მეთოდით არის აღჭურვილი.

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა XVIII — XIX სს. მიჯნაზე არც ერთ საბჭოთა ისტორიკოსს არ გაუხდია საგანგებო კვლევა-ძიებისა და მონოგრაფიული შესწავლის საგნად. საბჭოთა ისტორიკოსთაგან, რომლებმაც თავიანთი შეხედულებები გამოთქვეს საკვლევ საკითხზე, აღსანიშნავია აკად. ე. ტარლე, პროფესორები: ს. ოკუნი, ე. ბურჯალოვი, თ. გოტიე, ა. ნაროჩნიცკი, ვ. ნოტმანი, რ. ლანინი, მ. პოკროვსკი და სხვები.

აკადემიკოსი ტარლე თავის ნაშრომში—დიდი რუსი ადმირალის უშაკოვის 1798 — 1800 წლების საზღვაო ოპერაციების შესახებ ხმელთაშუა ზღვაში—გზადაგზა არკვევს მეორე ანტიფრანგული კოალიციის აღმოცენების პროცესს, მის მიზნებს, ხასიათს, შინაგან წინააღმდეგობებს და დაშლის მიზეზებს. მისი მსჯელობა, ანალიზი და დასკვნები ამ პროცესების შესახებ მეცნიერულად გამართული და მეთოდოლოგიურად სწორია. მაგრამ შრომის მიზანი მას საშუალებას არ აძლევდა წინა პლანზე წამოეწია რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ყველა მხარე. და ამდენად მისი თავისთავად მეტად სასარგებლო და ყურადსაღები დასკვნები ქრონოლოგიურადაც და გაშუქებულ საკითხთა მოცულობითაც ვერ ამოწურავს მოცემული ურთიერთობის მთელ კომპლექსს.

პროფესორი ოკუნის სსრკ ისტორიის ლექციების კურსში (1796 — 1825 წლები), სადაც განხილულია რუსეთის ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპი, რუსეთის ისტორიული პროცესის სხვა შემადგენელ საკითხებთან ერთად, ზოგადად განხილულია რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაც პავლე I-ის მეფობის წლებში. მართალია, ავტორმა თითქმის ყველა საკითხზე გაამახვილა ყურადღება და სათანადო პასუხიც გასცა, მაგრამ სალექციო კურსის მოცულობა და მასალის სიმჭიდროვე საშუალებას არ აძლევდა მას გასცილებოდა ზოგადობის სფეროს, ღრმად შეეჩრილიყო საკვლევი საკითხის სიღრმეში და პასუხი გაეცა ყველა საკითხზე, რომელიც რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ხასიათთან, მის ცვლილებებთან და ამ ცვლილებების პირობამდელ ფაქტორებთან იყო დაკავშირებული.

ლანინმა თავის წერილში პავლე I-ის 1796 — 1798 წლების საგარეო პოლიტიკის შესახებ, რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ორწლიანი მონაკვეთი გააშუქა საკმაო სისრულით, მაგრამ დასახელებული წერილი მისი შეზღუდული მოცულობისა და ხასიათის

გამო საშუალებას არ აძლევდა ავტორს ყოველმხრივ გაეშუქებინა ანტიფრანგული კოალიციის შექმნისა და მოქმედებაში შესვლის საკითხები. ამასთან ერთად, ეს მიმოხილვა ქრონოლოგიურად მხოლოდ 1798 წლამდე გრძელდება და ყურადღების გარეშე ტოვებს ანტიფრანგული კოალიციის დაშლას, რუსეთის ომიდან გამოსვლას და რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების ამბებს. დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევი საკითხის ანალიზისას ავტორი ემყარება მხოლოდ გამოქვეყნებულ დოკუმენტებს (ისიც ნაწილს) და მონოგრაფიული ლიტერატურის ნაწილს.

პროფ. ბერჯალოვმა საჯარო ლექციის სტენოგრამაში საფრანგეთის რევოლუციასთან ცარიზმის ბრძოლის შესახებ, საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობის რიგ საკითხებსაც გასცა პასუხი. ბროშურის პოპულარული ხასიათი და მიზანდასახულება გამორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ ავტორს ვრცლად მოეკიდა ხელი პავლე I-ის მეფობის წლების საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობის საკითხისათვის, წყაროები და ლიტერატურა მოეტანა და მათი ანალიზის შედეგები ამომწურავი დასკვნებით დაეგვირგვინებინა.

ნოტმანი, ნარიჩნიცკი, ავერბუხი და გოტიე მხოლოდ ზოგად შეხედულებებს გამოთქვამენ ჩვენი პრობლემის ირგვლივ.

საბჭოთა ისტორიკოსებიდან პროფ. ვ. ნ. პოკროვსკი ერთ-ერთი პირველთაგანი შეეხო აღნიშნული პერიოდის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობას, თუმცა გაკვრით და ზერელედ. მან ეს ურთიერთობა წარმოადგინა მეტად გამარტივებულად, გადასვლებისა და ვარიაციების გარეშე. გამოდიოდა რა ეკონომიური მატერიალიზმის ყალბი სქემიდან, ვ. პოკროვსკი რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკა საერთოდ, კერძოდ კი მოკვეთულ ისტორიულ მონაკვეთში, მიაჩნია საავაჭრო კაპიტალის იარაღად. პოკროვსკი საკვლევი პერიოდის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ უშვებს ისეთ მეთოდოლოგიურ შეცდომებს, რომლებიც ფასს უკარგავენ მის ზოგიერთ საყურადღებო შენიშვნას.

ვითვალისწინებთ რა იმ გარემოებას, რომ დასახელებული პერიოდის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის რთული კომპლექსის შესახებ რევოლუციამდელი რუსი და საზღვარგარეთელი ისტორიკოსების მემკვიდრეობა არ არის საკმაო, თანაც მოძველებულია და ვეღარ პასუხობს ისტორიული კვლევა-ძიების თანამედროვე მოთხოვნებს, საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებაში კი ეს საკითხი არ არის გაშუქებული საკმაო სიღრმით, ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩ-

ნიეთ აღნიშნული პრობლემა სპეციალური გამოკვლევისა და მონოგრაფიული შესწავლის საგნად გაგვეხადა.

რუსეთ-საფრანგეთის მოცემული პერიოდის ურთიერთობის ხასიათისა და მთავარი ნიშნების განსაზღვრა, ამ ურთიერთობის როლისა და ადგილის ჩვენება რუსეთ-საფრანგეთის ხანგრძლივი ურთიერთობის ისტორიასა და ევროპის მაშინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში; იმ ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული ფაქტორების გარკვევა, რომლებითაც განპირობებული იყო ამ ურთიერთობის ხასიათი — წარმოადგენს ჩვენი შრომის ძირითად ამოცანას.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის მხოლოდ ერთი მხარე — პოლიტიკური მხარე, რადგან კვლევის ობიექტად აღებულია რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ისეთი მონაკვეთი, როცა ამ ორ ქვეყანას შორის შეწყვეტილი იყო ყოველგვარი ნორმალური ურთიერთობა — ეკონომიურ-სავაჭრო, კულტურული და პოლიტიკურ-დიპლომატიური. როგორც ცნობილია, რუსეთსა და საფრანგეთს შორის 1793 წელს შეწყდა ყოველგვარი ურთიერთობა და იგი ნორმალური სახით მხოლოდ 1801 წელს, პავლე I-ის სიკვდილის შემდეგ იქნა აღდგენილი. დროის ამ მონაკვეთში, კერძოდ 1797 — 1800 წლებში აღნიშნულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა ხორციელდებოდა ან ომის სახით, ან შემთხვევით ან და მესამე სახელმწიფოს მეშვეობით. ნაშრომში თავისი ასახვა ჰპოვა მოცემული კონკრეტული ურთიერთობის ხასიათმა და ამ ფაქტორებმა, რომლებითაც პირობადებული იყო ეს ურთიერთობა.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები მუდამ უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის. სახელმწიფოთა პოლიტიკურ ურთიერთობათა საკითხებს საერთოდ, კერძოდ კი კაპიტალისტური ურთიერთობის აღმოცენების დროიდან, ისინი საფუძვლიანად სწავლობდნენ ცალკეულ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკას, ამ პოლიტიკის ვარიაციებს და მზის სინათლეზე გამოჰქონდათ მათი ფარული დიპლომატიის ოინები.

კაპიტალისტური სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის შესწავლა, სახელმწიფოთა პოლიტიკურ ურთიერთობათა ხასიათის გარკვევა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებისათვის არ წარმოადგენდა თვითმიზანს. იგი მშრომელი მასების რევოლუციური აღზრდის, მათი პოლიტიკური შეგნებულობის ამაღლების და კაპიტალიზმის მახინჯი მხარეების მხილების მეტად მნიშვნელოვან

ნარაზლად მიაჩნდათ. ამიტომ იყო, რომ ისინი მუშათა კლასისა და მისი რევოლუციური ავანგარდისაგან მოითხოვდნენ უფრო ღრმად ჩაწვდომოდნენ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის არსში, უფრო მეტი ყურადღება მიექციათ საერთაშორისო ურთიერთობის ყველა მნიშვნელოვანი ამბების გარკვევისა და მათი აღმოცენების მიზეზების შესწავლის საქმისათვის.

მეცნიერული კომუნიზმის დიდი ფუძემდებლების, მარქსისა და ენგელსის მთელი რიგი კლასიკური ნაშრომი, ნარკვევები და სტატიები (კ. მარქსის „ქრონოლოგიური ამონაწერები", „ქრონოლოგიური ამონაწერები ინდოეთის ისტორიის შესახებ", „კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში 1848 — 1850 წლებში", „სამოქალაქო ომი საფრანგეთში", „საიდუმლო დიპლომატია", „თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა", „ესპანეთის რევოლუცია", მარქსისა და ენგელსის: „წმინდა ოჯახი", „დემოკრატიული პანსლავიზმი", ენგელსის: „ანტი-დიურინგი". „ქრონოლოგიური ამონაწერები ირლანდიის შესახებ", „პო და რაინი", „ისტორიული მატერიალიზმის შესახებ", რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკა" და სხვ.) მეტად თუ ნაკლებად ეხებიან საკვლევი პრობლემის ცალკეულ საკითხებს. იგივე უნდა ითქვას მარქსისა და ენგელსის მრავალრიცხოვან წერილებზე და სტატიებზე. აღმოსავლეთის საკითხის, საფრანგეთისა და ინგლისის ისტორიის, კოლონიური პოლიტიკისა და სამოქალაქო ომის შესახებ ა. შ. შტატებში. რომლებშიც მებრძოლი რევოლუციონერის პოზიციიდან, მეცნიერული სიღრმითაა გაშუქებული ევროპის პოლიტიკური ცხოვრების, საერთაშორისო ურთიერთობის, კაპიტალისტური სახელმწიფოების კოლონიური პოლიტიკისა და დიპლომატიის მთავარი პროცესები XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნეში. ამ ნაშრომების საფუძვლიანი შესწავლა ცხადყოფს, თუ როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ისინი ამ საქმეს, რა ღრმად სწავლობდნენ მას კონკრეტული ეპოქებისა და ქვეყნების მაგალითებზე. ფაქტებისა და წყაროების საფუძვლიანი ცოდნა, ინდუქციისა და დედუქციის დიდი ძალა, განზოგადებისა და დასკვნების მაღალი მეცნიერული დონე, აი რით ხასიათდება მათი ძვირფასი მემკვიდრეობა ამ დარგში.

ზემოაღნიშნული ხასიათის ნაშრომებში მარქსმა და ენგელსმა სხვა საკითხების გვერდით პასუხი გასცეს მოცემული პერიოდის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობასთან კავშირში მყოფ საკითხთა ისეთ წყებას, როგორიცაა: რუსეთის ცარიზმის, დირექტორიის და კონსულობის საგარეო პოლიტიკის ხასიათი, თვრამეტი ბრიუმერის

სახელმწიფო გადატრიალების კლასობრივი არსი, ინგლისის ბურჟუაზიის როლი ანტიიაკობინურ ომში და სხვ.

მარქსისა და ენგელსის საქმის დიდმა განმგრძობმა, ვ. ი. ლენინმა ამ საკითხშიაც გააფდიდრა და განავითარა მარქსისა და ენგელსის მდიდარი მემკვიდრეობა.

სტატიაში „საგარეო პოლიტიკის საიდუმლოებანი“ ვ. ი. ლენინი გელისტკიოილით აღნიშნავდა „...რომ ხალხის მასები ვერ წაიკითხავენ ვერც დიპლომატიის ისტორიის წიგნებს, ვერც კაპიტალისტური გაზეთების მოწინავე სტატიებს... დიპლომატიური სამყაროა „დიდი ადამიანების“ მათთვის კარგად ცნობილ სტატიებს“.[1]

ნაშრომებსა და სტატიებში „იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, „რვეულები იმპერიალიზმის შესახებ“, „ინტერნაციონალი და მისი ადგილი ისტორიაში“, „სოციალიზმი და ომი“, „იუნიუსის ბროშურის შესახებ“, „უბედური ზავი“, „ომი და რევოლუცია“, „რევოლუციური ფრაზის შესახებ“, „ბონაპარტიზმის დასაწყისი“ და სხვ. ვ. ი. ლენინმა ფარდა ახადა კაპიტალისტური სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის მრავალ საიდუმლოებას. გამოდიოდა რა იმ ღრმა მეცნიერულ დებულებიდან, რომ ომი არის ომამდელი პოლიტიკის გაგრძელება ძალის გამოყენების მეთოდებით, ვ. ი. ლენინმა პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის მიზეზების გარკვევის დროს ამომწურავად შეისწავლა იმპერიალისტური სახელმწიფოების ომამდელი საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია თვით კაპიტალიზმის გენეზისიდან მოყოლებული. მის დასახელებულ ნაშრომში დასმულია და პასუხისგაუცემელია ბევრი ისეთი საკითხი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობასთან XVIII — XIX საუკუნეების მიჯნაზე.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამ., ტ. 24, გვ. 452.

თ ა ვ ი I

I. წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვა

შრომაში აღძრული საკითხების გასაშუქებლად ჩვენს მიერ გამოყენებულია:

1. საარქივო ფონდების მასალები (გამოუქვეყნებელი და გამოქვეყნებული);
2. მემუარული ლიტერატურა;
3. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების სათანადო ნაშრომები;
4. რევოლუციამდელი რუსი და საზღვარგარეთელი ისტორიკოსების ნაშრომები;
5. საბჭოთა ისტორიკოსების ნაშრომები.

პირველწყაროებისა და დოკუმენტების ძირითად ფონდს ჩვენთვის სხვადასხვა საარქივო ფონდების მასალები წარმოადგენდა.

ეს არქივებია:

1. Архив внешней политики Россия Министерства иностранных дел СССР (АВПР).

2. Центральный Государственный архив древних актов (ЦГАДА).

3. Центральный Государственный военно-исторический архив (ЦГВИА).

დასახელებული არქივებიდან პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი. ამ არქივში კონცენტრირებულია იმ დოკუმენტების უდიდესი ნაწილი, რომელიც შუქს ჰფენს მეფის რუსეთის საგარეო პოლიტიკას საერთოდ. კერძოდ კი XVIII — XIX საუკუნეების მიჯნაზე და, მაშასადამე, საკვლევო პერიოდის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის საკითხებს. ამ არქივში ჩვენ შევისწავლეთ შემდეგი ფონდები (1797 — 1801 წწ.).

„Сношения России с Францией“[1], „Сношения России с Англией“[2], „Сношения России с Австрией“[3], „Сношения России с Пруссией“[4], „Сношения России с Турцией“[5], „Сношения России с Неаполем“[6], „Сношения России с Гамбургом“[7], „МИД. Канцелярия“[8].

აღნიშნული საარქივო ფონდების მრავალფეროვანი მასალებიდან ჩვენ, პირველყოვლისა, გამოვიყენეთ ისეთი ხასიათის დოკუმენტები, როგორიცაა: 1) იმპერატორ პავლე I-ის რესკრიპტები და დეპეშები ევროპის სახელმწიფოთა მთავრობებთან მყოფი რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლებისა, რეზიდენტებისა და აგენტებისადმი; 2) მისივე ოფიციალური და „ინტიმური“ წერილები პირველ და მეორე ანტიფრანგულ კოალიციებში მონაწილე სახელმწიფოების (ინგლისის, ავსტრიის, ნეაპოლის და სხვ.) მეფეებისა და მთავრობათა მეთაურებისადმი, ისე როგორც პრუსიის და გერმანიის სხვა სახელმწიფოების მეფეებისა და მთავრობებისადმი; 3) რუსეთის მიერ ინგლისთან, ავსტრიასთან, თურქეთთან, ნეაპოლთან, პრუსიასთან, ჰამბურგთან და გერმანიის სხვა სახელმწიფოებთან (მოცემულ პერიოდში) წარმოებულ დიპლომატიურ, სამხედრო და ეკონომიურ მოლაპარაკებათა ოქმები, ხელშეკრულება-კონვენციათა პროექტები, ხელმოწერილ ხელშეკრულებათა ასლები, ინსტრუქციები მოლაპარაკებათა თაობაზე და ა. შ.; 4) რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის ხელმძღვანელების: ა. ა. ბეზბოროდკოს, ნ. პ. პანინის, თ. ვ. როსტოპჩინის და ა. ბ. კურაკინის ოფიციალური და პირადი ხასიათის დეპეშები და წერილები,როგორც რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლებისადმი საზღვარგარეთ, ისე მთავრობები-

---

[1] საქმეები №№: 520, 525, 525ს, 1380, 1382, 1388, 1391, 1398, 1407, 1448, 1474, 1392, 1623, 526, 526, (1798—1800 წწ.).

[2] საქმეები №№: 490, 653, 666, 491, 492, 657, 507, 509, 510, 513, 516, 527, 528, 532 (1797—1800 წწ.).

[3] საქმეები №№: 872, 273, 874, 875, 883, 890, 891, 892, 900, 901, 918, 919, 920, (1797—1800 წწ.).

[4] საქმეები №№: 512, 513, 514, 515, 516, 517, 518, 519, 520, 524, 525, 526, 527, 532, 533, 534, 536, 543, 548, 153, 553, (1798—1800 წწ.).

[5] საქმეები №№: 863, 865, 867, 870, 873, 875, 888, 869, 892, 893, 894, 897, 909, (1798—1800 წწ.).

[6] საქმეები №№ 257, 258, 264, 265, 272, 273, 274, 275, 68, 35, 69, 71, 286, 287, 288, 290, 291, (1797—1800 წწ.).

[7] საქმეები №№: 315, 318, 329, 330, 331, 336 (1799—1800 წწ.).

[8] საქმეები №№: 8944, 8945, 8953 (1801 წ.).

სადმი; 5) რუსეთის ელჩების და დიპლომატიური აგენტების (ს. რ. ვორონცოვის, ნ. პ. პანინის, ა. კ. რაზუმოვსკის, ს. ა. კოლიჩევის, ვ. ს. ტამარის, ბ. პ. კოჩუბეის, ა. ა. იტალინსკის, ი. მ. მურავიოვის, ბ. მუსინ-პუშკინის, ი. ხიმოლინის და სხვების) რელაციები პავლე პირველისადმი, მათივე წერილები საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი და „ინტიმური" მიმოწერა ურთიერთშორის; 6) ავსტრიის, პრუსიის, ნეაპოლის და ევროპის სხვა სახელმწიფოთა მონარქების წერილები რუსეთის იმპერატორებისადმი, პრემიერების და საგარეო საქმეთა მინისტრების დეპეშები და წერილები მათი დიპლომატიური წარმომადგენლებისადმი პეტერბურგის სამეფო კარზე; 7) რუსეთში აკრედიტებული ევროპის სახელმწიფოთა ელჩების და დიპლომატიური აგენტების მიმოწერა რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიასთან და თავიანთ მთავრობებთან და სხვ.

აღნიშნული დოკუმენტების დიდი ნაწილი არქივის ფონდებში დაცულია უმთავრესად ასლების და პროექტების სახით. გამონაკლის შემთხვევაში კი დედნების სახითაც. როგორც წესი, დოკუმენტები დაწერილია ფრანგულ ენაზე. მცირე ნაწილი — რუსულზე (ორივე შემთხვევაში ხელნაწერის სახით).

ძველი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ЦГАДА) ჩვენ შევისწავლეთ „Фонд Панины"[1], „Фонд Воронцовых"[2] და „Фонд XV"[3], საიდანაც ამოვკრიბეთ და გამოვიყენეთ რუსი დიპლომატების ს. რ. ვორონცოვისა და ნ. პ. პანინის დიპლომატიური მიწერ-მოწერა, მათი პირადი წერილები, პავლე I-ის რესკრიპტების ასლები და სხვა ხასიათის დიპლომატიური მასალები (ფრანგულ და რუსულ ენებზე).

ცენტრალურ სახელმწიფო სამხედრო-ისტორიული არქივიდან (ЦГВИА) ჩვენს მიერ შესწავლილია „Фонд ВУА"[4] და „Фонд 43"[5], საიდანაც ამოვკრიბეთ განსაზღვრული რაოდენობის მასალა, რომელსაც კავშირი ჰქონდა შრომაში დასმულ საკითხებთან.

დასახელებული საარქივო ფონდების მრავალფეროვანი მასალები ნათელს ჰფენენ რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ხასიათს XVIII — XIX საუკუნეების მიჯნაზე. ეს დოკუმენტები, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, პასუხს იძლევა კითხვაზე. თუ რით იყო პირობა-

[1] საქმეები №№: 212, 249, 255, 262, 269, 271. 274, 283, 292, 293, 297 327, 329, 367, 446. 475, 773, 800, 323, 770, 16, 369, (1797—1800 წწ).

[2] საქმეები №№. 903, 1882, 1902, 1926. (1797—1800 წწ).

[3] საქმეები №№: 604, 607, (1798 წ.).

[4] საქმეები №№: 309, 319, 1797 (1798—1800 წწ.).

[5] საქმეები №№: 1616, 1619, 1623, 1482, 1448, 1474, (1799 წ.).

დებული მეფის მთავრობის, პირადად პავლე I-ის, ესა თუ ის საგარეო პოლიტიკური ნაბიჯი, რა ამოქმედებდა მას მეორე ანტიფრანგული კოალიციის ორგანიზაციის დროს, როგორი იყო რუსეთის ცარიზმის პოლიტიკა ინგლისის, ავსტრიის, პრუსიის, თურქეთის, იტალიის და გერმანული სახელმწიფოების მიმართ მოცემულ პერიოდში, თავის მხრივ, რა კურსს ახორციელებდნენ აღნიშნული სახელმწიფოები რუსეთის მიმართ, რა ფაქტორებმა განსაზღვრა შემობრუნება რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში 1800 წლის დასაწყისიდან და ა. შ.

დასახელებულ არქივების ფონდებში ჩვენს მიერ შესწავლილი და შრომაში დასმული პრობლემების გასაშუქებლად გამოყენებული დოკუმენტების და მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა დროს უკვე გამოქვეყნებული იყო (დოკუმენტთა კრებულებში, არქეოგრაფიულ-ისტორიულ ჟურნალებში და ზოგიერთ რევოლუციამდელ რუს ისტორიკოსთა ნაშრომებში დანართის სახით). ეს მასალები საფუძვლად დაედო რევოლუციამდელი რუსი და საზღვარგარეთელი ისტორიკოსების იმ გამოკვლევებს, რომლებშიც მიმოხილულია რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკა, კერძოდ რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში. მიუხედავად ამისა, გამოქვეყნებული მასალებით სარგებლობისას ჩვენ ვარჩიეთ მიგვემართა თვით საარქივო ფონდებისათვის და იქიდან ამოგვეღო საჭირო დოკუმენტები, ვიდრე გვესარგებლა გამოქვეყნებული მასალებით. ასე მოვიქეცით ჩვენ, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ ამას მოითხოვდა მეცნიერული სიზუსტის დაცვის საჭიროება. არქივების ფონდებში დაცული დოკუმენტების შეჯერებამ გამოქვეყნებულ დოკუმენტებთან რიგ შემთხვევაში ცხადყო, რომ უკანასკნელნი საკმაოდ არ ემთხვევიან არქივებში დაცულ დოკუმენტებს. ხშირად გამოქვეყნებულია ამა თუ იმ დოკუმენტის ნაწილი (თავი ან ბოლო), არასწორადაა ნაჩვენები თარიღი, მისამართი, სათაური და ა. შ.

მაგრამ არქივების ფონდებში ჩვენს მიერ შესწავლილი და გამოვლინებული იყო დოკუმენტების და მასალების მეორე წყებაც, რომელიც დღემდე არ ყოფილა გამოქვეყნებული და მკვლევართა მიერ გამოყენებული. დოკუმენტების ამ წყებამ მნიშვნელოვანი დახმარება აღმოგვიჩინა ჩვენ ცალკეული საკითხების გაშუქების დროს. ასეთ დოკუმენტებს მიეკუთვნება სიმოლინის რელაციები დასავლეთ გერმანიიდან, ნეაპოლის მეფესთან რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლების მუსინ-პუშკინის და იტალინსკის რელა-

ციები, ევროპის სახელმწიფოების რუსეთში აკრედიტებული ელჩების მიწერ-მოწერის ნაწილი, რუსეთ-ავსტრიის, რუსეთ-თურქეთის და რუსეთ-პრუსიის ურთიერთობის ფონდებში დაცული დოკუმენტების ნაწილი და სხვ.

საარქივო ფონდების დოკუმენტები „ოფიციალური სამყაროს" — სამეფო კართა, მთავრობათა, ელჩთა და ა. შ. თვალსაზრისს გამოხატავს. ამიტომ თავისი ხასიათის გამო იგი ტენდენციურია, მეტნაკლებად სანდოა გამოსაყენებლად და მოითხოვს სათანადო კრიტიკულ შეფასებას. ჩვენ მხედველობაში მივიღეთ ეს გარემოება მათი გამოყენების დროს.

შრომაში აღძრულ პრობლემებზე პასუხის გაცემისას ჩვენ ვისარგებლეთ აგრეთვე დოკუმენტთა სხვადასხვა კრებულებში (რუსეთში და საზღვარგარეთ) გამოქვეყნებული დოკუმენტებით და მასალებით. დოკუმენტთა ასეთი კრებულებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ:

1. Дипломатические сношения России с Францией в эпоху Наполеона I. Под редакцией А. Трачевского, т. I—1800—1802, Сборник РИО, т. 70, СПБ. 1890.

2. Архив князя Воронцова (8, 10, 11, 12, 13, 14, 16, და სხვ.), М., 1876—1888.

3. Ф. Мартенс, Собрание трактатов и конвенций, заключенных Россией с иностранными державами (тт. 2, 5, 6, 9, 10, 13 და სხვ.), СПБ., 1875—1902.

4. Полное собрание законов Российской империи, тт. 14, 15, 16 (1796—1801 гг.), СПБ., 1830.

5. Генералиссимус Суворов. Сборник документов и материалов, под ред. Н. Коробкова, М., 1947.

6. Napoléon I, empereur. Correspondance, publiée par ordre de l'empereur Napoléon III, tt. 3—8, Paris, 1860—1861.

7. Preussen und Frankreich von 1895 bis 1807. Diplomatische Correspondenzen, Bd. 1—2, Leipzig, 1881—1887. H rsg. V. P. Bailleu.

8. The Dispatches and Letters of Vice-Admiral Lord Viscount Nelson, v. III, London, 1845.

პროფ. ალ. ტრაჩევსკის რედაქტორობით გამოქვეყნებული დიპლომატიური მასალების კრებულში „Дипломатические сношения России с Францией в эпоху Наполеона" (კრებული— „Сборник имп. русского исторического общества", 70-ე ტომი) თავმოყრილია მეტად ღირებული მრავალფეროვანი

დიპლომატიური დოკუმენტები და მასალები, რაც პროფ. ალ. ტრაჩევსკიმ რამდენიმე წლის მუშაობის შედეგად ამოკრიბა საფრანგეთის მთავარი არქივებიდან (ზოგიერთი შესწორებით და დამატებით, რუსეთის არქივებიდან ამოკრებილი მასალების საფუძველზე). დოკუმენტების მრავალფეროვნებასთან და სერიოზულ ღირსებასთან ერთად ამ კრებულს ის დადებითი მხარეც გააჩნია, რომ მას აქვს რედაქტორის ვრცელი წინასიტყვაობა (რომელშიც გამოვლენილია მისი თვალსაზრისი რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის იმ პერიოდის პროცესების შესახებ, რომლის სფეროსაც მიეკუთვნება გამოქვეყნებული დოკუმენტები). კრებულს დართული აქვს სახელთა საძიებელი, ვრცელი შენიშვნები და აგრეთვე სქოლიოში ფრანგული ტექსტების რუსული თარგმანი. კრებულში დოკუმენტები დალაგებულია ზუსტი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

აღნიშნულ კრებულში თავმოყრილი დოკუმენტებიდან ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა მხოლოდ ნაწილი (რომელიც ქრონოლოგიურად მოიცავს 1800 წელს და 1801 წლის დასაწყისს), სახელდობრ: ნაპოლეონ ბონაპარტის და პავლე I-ის მიწერ-მოწერა, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ტალეირანის და რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის ხელმძღვანელთა მიწერ-მოწერა, პეტერბურგსა და პარიზში შედგენილი ინსტრუქციები, კონფერენციათა ოქმები, კოლიჩევის რელაციები პარიზიდან იქ წარმოებული რუსეთ-საფრანგეთის მოლაპარაკების შესახებ და სხვა მასალები, რაც მკაფიოდ ასახავს რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ხასიათს 1800 წელსა და 1801 წლის დასაწყისში. საფრანგეთის მთავრობის თვალსაზრისის ამსახველი დოკუმენტების სიმრავლით აღნიშნული კრებული გამოირჩევა სხვა დასახელებული კრებულებიდან.

საკვლევი პერიოდის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობისა და რუსეთის საგარეო პოლიტიკის ცალკეული საკითხების გასაშუქებლად ჩვენთვის არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ვორონცოვის არქივის მრავალტომეულს. ათეული ტომისაგან შემდგარი დოკუმენტების ეს კრებული, რომელიც იძლევა საინტერესო ცნობებს რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ (თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე), შეიცავს რუსეთის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეების, დიპლომატების ცნობილი ოჯახის — ვორონცოვების ოჯახის წარმომადგენელთა პირად არქივებში დაცულ მრავალფეროვან მასალებს.

ვორონცოვის არქივის მრავალტომეულიდან ჩვენს მიერ ძირითადად გამოყენებული იქნა მე-8, 10, 11, 12, 13, 14, 17 ტომები. ეს ტომები შეიცავს ცნობილი დიპლომატის, რუსეთის ლონდონელი ელჩის გრაფ ს. რ. ვორონცოვის საქმიან და ინტიმურ მიწერ-მოწერას თავის ძმასთან გრაფ ალ. რ. ვორონცოვთან, გრაფ თ. ვ. როსტოპჩინთან, გრაფ ნ. პ. პანინთან, გრაფ. პ. ზავადსკისთან და სხვა ოფიციალურ პირებთან.

ამ მიწერ-მოწერის მნიშვნელოვანი ნაწილი ქრონოლოგიურად მოიცავს პავლე I-ის მეფობის პერიოდს და ეხება რუსეთის როგორც საშინაო პოლიტიკის სხვადასხვა სფეროს, ისე საგარეო პოლიტიკის დარგს. იგი იძლევა ცნობებს ინგლის-რუსეთის ურთიერთობის, პირველ ანტიფრანგული კოალიციის შემზადების, მისი მოქმედებაში შესვლისა და დაშლის შესახებ და ა. შ. აქვე მოთავსებულია ს. რ. ვორონცოვის რელაციები პავლე I-სადმი. ბატიევ მოხსენებითი ბარათები საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი, პავლე I-ის რესკრიპტები და დეპეშები რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლებისადმი საზღვარგარეთ და სხვ., რომლებიც აგრეთვე ბევრ მასალას იძლევიან მოცემული პერიოდის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ. დასასრულ, აღსანიშნავია კრებულის ზოგიერთ ტომში მოთავსებული (სიმპატიკური მელნით დაწერილი) ინტიმური წერილები, რომელთა ავტორები არიან თვით ს. რ. ვორონცოვი, ნ. პ. პანინი და თ. ვ. როსტოპჩინი. წერილებში მოცემულია პავლე I-ის ზოგიერთი საგარეო პოლიტიკური ნაბიჯის კრიტიკა და გამოვლინებულია მათი სუბიექტური შეხედულება რუსეთის საგარეო პოლიტიკის ამა თუ იმ ნაბიჯისა და ღონისძიების შესახებ.

„ვორონცოვის არქივი" ყურადღებას იქცევს მასში მოთავსებული დოკუმენტების მრავალფეროვნებით და კარგი გარეგნული გაფორმებით. მას აქვს კარგი სარჩევი, საძიებლები, დოკუმენტების ნომრები. დოკუმენტები იქ დალაგებულია არა მარტო ქრონოლოგიური თანმიმდევრობით (მეფობის მიხედვით). არამედ თვით დოკუმენტთა ხასიათის მიხედვითაც, რაც კიდევ უფრო აადვილებს მათ გამოყენებას.

ბრიკნერის მიერ გამოცემულ ხუთტომეულ კრებულში „Материалы для жизнеописания графа Никиты Петровича Панина"[1] თავმოყრილია ბევრი ისეთი დოკუმენტი და მასალა, რომელიც

---

[1] შრომის მომდევნო თაეებში შემოკლებით იქნება მითითებული „Материалы..."

ასახავს როგორც გრაფ ნ. პ. პანინის საქმიანობას დიპლომატიურ ასპარეზზე რუსეთსა და პრუსიაში, ისე რუსეთის საგარეო პოლიტიკის რიგ საკითხებსაც XVIII — XIX საუკუნეების მიჯნაზე. კრებულში გამოქვეყნებულია: ნ. პ. პანინის მიწერ-მოწერა საგარეო საქმეთა კოლეგიასთან, ს. რ. ვორონცოვთან და რუსეთის მაშინდელ სხვა დიპლომატებთან, მისი რელაციები პავლე I-სადმი, პავლე I-ის რესკრიპტების ასლები, ფარული გზით აგენტების საშუალებით მიღებული ცნობები საფრანგეთში არსებული მდგომარეობისა და საფრანგეთის დიპლომატიის ამა თუ იმ ნაბიჯის შესახებ, ბერლინის მოლაპარაკებათა მასალები, ხელშეკრულებათა პროექტები და სხვა მასალები.

კრებულში მოთავსებული მასალების ქრონოლოგიური ჩარჩოები საკმაოდ ვრცელია. ჩვენთვის საინტერესო პერიოდის შემცველი დოკუმენტების (1797 — 1800 წლების) უმრავლესობა კონცენტრირებულია კრებულის მე-2, 3 და 4 ტომებში.

ნ. პ. პანინის რელაციებში პავლე I-სადმი და წერილებში სხვადასხვა პირებისადმი (კერძოდ საიდუმლო წერილებში) მოჩანს ამ დიპლომატის სიმპათია-ანტიპათია ამა თუ იმ დიპლომატიური ნაბიჯისადმი და საგარეო პოლიტიკური კურსისადმი. ამას კი მნიშვნელობა აქვს როგორც თვით მისი საგარეო პოლიტიკური მრწამსის გასარკვევად, ისე შრომაში აღძრული ზოგიერთი საკითხის ნიუანსების ასახსნელად. ასევე მნიშვნელობა აქვს აღნიშნული კრებულის იმ მასალებსაც, რომლებიც პანინს მიღებული აქვს სააგენტურო არხების მეშვეობით.

საერთაშორისო სამართლის ცნობილი რუსი სპეციალისტის ფ. მარტენსის მიერ გამოცემული კრებული „Собрание трактатов и конвенций, заключенных Россией с иностранными державами", т. 2,—Трактаты заключ. с Австрией; т. 6,—с Германией; т. 9—10 — с Англией; т. 13, — с Францией; т. 5, — с Турцией და სხვ. აგრეთვე მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს შრომაში აღძრული რიგი საკითხების გასაშუქებლად. ამ კრებულში მარტენსმა თავი მოუყარა ათეულ სავაჭრო-ეკონომიურ და დიპლომატიური ხასიათის ტრაქტატს, კონვენციას, ხელშეკრულებას და მსგავს დოკუმენტს, რომელიც მეფის რუსეთმა სხვადასხვა დროს უცხოეთის სახელმწიფოებთან დადო. ამ დოკუმენტების ნაწილი მოიცავს ჩვენთვის საინტერესო პერიოდს და დაკავშირებულია პავლე I-ის მეფობასთან. კრებულის რედაქტორი არ დაკმაყოფილებულა მარტო აღნიშნული მასალების ქრონოლოგიური დალაგებით და მისთვის

'შენიშვნების გაკეთებით. მას წამძღვარებული აქვს ერცელი ისტორიული ექსკურსი რუსეთის ურთიერთობიდან იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც ხელმოწერილი იყო ესა თუ ის ხელშეკრულება-კონვენცია. ამ ექსკურსების დროს მარტენსი ემყარება სათანადო საარქივო და გამოქვეყნებულ დოკუმენტებს, მოტანილი აქვს მისგან ამონაწერები და იძლევა მათ შეფასებას. რითაც ავლენს თავის პირად 'შეხედულებას რუსეთის ამა თუ იმ საგარეო პოლიტიკური ნაბიჯის შესახებ.

ჩვენთვის კონკრეტულად საინტერესო იყო კრებულის ის მასალები, რომლებიც 1797 — 1800 წლების პერიოდთანაა დაკავშირებული და შეიცავს პავლე I-ის მიერ ინგლისთან, ავსტრიასთან, ნეაპოლთან, თურქეთთან და სხვა სახელმწიფოებთან წარმოებულ მოლაპარაკებას, ხელშეკრულებებს და ა. შ., მარტენსის მიერ გამოცემულ დოკუმენტთა კრებულიდან ჩვენ, პირველ ყოვლისა, გამოვიყენეთ ისეთი მასალები (ხელშეკრულებები, კონვენციები, დიპლომატიური მიწერ-მოწერა), რომლებიც ყველაზე მკაფიოდ ასახავს რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის რთული პროცესის ცალკეულ რგოლებს.

მარტენსი, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ერცელ ისტორიულ ექსკურსში იმ ისტორიულ ფონს მიმოიხილავს, რომელთანაც დაკავშირებული იყო ესა თუ ის დიპლომატიური ნაბიჯი, ხელშეკრულება, მოლაპარაკება და სხვ. აქ იგი ავლენს თავის საკუთარ აზრს და რუსეთის რევოლუციამდელ სხვა ისტორიკოსების მსგავსად იდეალისტურად აშუქებს განხილულ ისტორიულ მოვლენებს, კერძოდ საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობის ეფეროდან XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე. იგი ჩქმალავს რუსეთის თავადაზნაურულ-ბატონყმური მონარქიის კლასობრივ ინტერესებს და ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა მეფეთა, სასახლის არისტოკრატიის, რჩეულ დიპლომატთა ნება-სურვილის გამოვლინებად მიაჩნია.

ნაპოლეონ ბონაპარტის დასახელებული კორესპონდენციების ცალკეული ტომები შეიცავს მეტად საჭირო ცნობებს საფრანგეთისა და პავლე I-ის მთავრობის ურთიერთობის შესახებ. ამავე კრებულში მოთავსებული სხვა მასალები — ნაპოლეონ ბონაპარტის ბრძანებები, განკარგულებები, სიტყვები, წერილები, ინსტრუქციები და სხვ. — რომლებიც ამ კორესპონდენციებში წარმოდგენილი, ეხება ისეთ ამბებს, როგორებიცაა იტალიის 1796 — 1797 წწ. კამპანია და კამპო-ფორმიოს ზავის დადება, მზადება ეგვიპტეზე ლაშქრობისათვის, მალტის დაპყრობა ფრანგების

ბალკან და ეგვიპტეში შეჭრა, თურქეთ-საფრანგეთის ურთიერთობა 1798 — 1800 წლებში, ბალკანეთის ნ/კ და იონიის კუნძულების საკითხი რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში, ნაპოლეონ ბონაპარტის პოლიტიკა პავლე I-ის მიმართ თვრამეტი ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ და სხვ. დაბოლოს, აქ მოთავსებული მასალების ნაწილი დაკავშირებულია ინდოეთისათვის ინგლის-საფრანგეთის ბრძოლასთან, ინდოეთზე საფრანგეთ-რუსეთის ერთობლივი ლაშქრობის მოწყობის პროექტთან და სხვა ისეთ საკითხებთან, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს მოცემული პერიოდის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობასთან.

აღვნიშნავთ რა ნაპოლეონის კორესპონდენციების სერიოზულ მნიშვნელობას შრომაში დაყენებული პრობლემების ნაწილზე პასუხის გაცემის თვალსაზრისით, ჩვენ, ამასთან ერთად, არ შეგვიძლია არ მივუთითოთ ამ მასალების უმრავლესობის ტენდენციურ ხასიათზე, რადგან ისინი, უმთავრესად, საფრანგეთის, კერძოდ კი ნაპოლეონ ბონაპარტის პირად შეხედულებას გამოხატავენ, რის გამოც მათი უკრიტიკოდ მიღება არ შეიძლება.

ცნობილი ინგლისელი ადმირალის ნელსონის მოხსენებითი ბარათების, პირადი წერილების და დეპეშების კრებული აგრეთვე მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთის ცალკეული საკითხების შესახებ. კერძოდ ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს ამ კრებულის იმ მასალებს, რომელნიც 1798 — 1799 წლების პერიოდს განეკუთვნებიან და ეხებიან ინგლის-რუსეთის საზღვაო ოპერაციებს ხმელთაშუა ზღვის აუზში 1798 — 1799 წლებში (იონიის კუნძულები, მალტა, ეგვიპტის სანაპიროები, იტალიის სანაპიროები და სხვა). ეს მასალები მკაფიოდ ავლენს ინგლისის მთავრობის ნამდვილ ზრახვებს რუსეთის მიმართ, იმ ქვეყნის მიმართ, რომელთანაც მას საფრანგეთის წინააღმდეგ ომში სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ჰქონდა შეკრული. კრებულში მოთავსებულ ნელსონის დეპეშებში და წერილებში ცალმხრივად არის გაშუქებული ხმელთაშუა ზღვის აუზში საფრანგეთისა და ანტიფრანგული კოალიციის ძალების წარმოებული ოპერაციების მიმდინარეობა და შედეგები. იქ ყოველმხრივ გაზვიადებულია ინგლისის ფლოტის, პირადად ნელსონის დამსახურება ფრანგებზე გამარჯვების საქმეში და მიჩქმალულია რუსეთის ფლოტის როლი და დამსახურება. ეს მასალები კომენტარების გარეშეც ბევრს გვეუბნება. იქ მითითებულია, რომ ინგლისის მთავრობის არმიის და ფლოტის ხელმძღვანელები მტრულად იყვნენ განწყობილნი

რუსეთის მიმართ, უცქერდნენ მას როგორც მხოლოდ თავიანთი ეგოისტური გეგმების სისრულეში მოყვანის იარაღს.

შრომაში აღძრული საკითხების ერთ წყებაზე პასუხის გაცემის დროს ჩვენ გამოვიყენეთ სხვადასხვა პერიოდულ კრებულებში და რუსულ ისტორიულ-არქეოგრაფიულ ჟურნალებში სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული დოკუმენტები და მასალები[1]. აღნიშნული პერიოდიკიდან ამოკრებილი დოკუმენტებიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს: ინდოეთზე რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის გეგმა (1801 წ.) და პავლე I-ის განკარგულებანი გენ. ორლოვი-სადმი დონის კაზაკთა ინდოეთისაკენ ლაშქრობის შესახებ (1801 წ. თებ.), ს. რ. ვორონცოვის, ნ. პ. პანინის, თ. ვ. როსტოპჩინის, ს. კოლიჩევის და სხვა რუს დიპლომატთა ზოგიერთი რელაცია და წერილი, თ. ვ. როსტოპჩინის ცნობილი დიპლომატიური ბარათი, მალტის რაინდთა ორდენის წარმომადგენლის რუსეთში გრაფ ლიტას დეპეშები ორდენის დიდი მაგისტრისადმი, ლუი XVIII მიწერ-მოწერა პავლე I-ლთან, რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობასთან დაკავშირებული დიპლომატიური მოლაპარაკების ზოგიერთი მასალა, უცხოელ დიპლომატთა ჩანაწერებისა და წერილების ფრაგმენტები და სხვ.

გარდა ზემოაღნიშნული მასალებისა, ჩვენ გამოვიყენეთ ზოგიერთი ნახევრად დოკუმენტური ხასიათის ნაშრომებში თავმოყრილი მასალებიც. ასეთი ნაშრომებია:

1. Д. Милютин, История войны 1799 года между Россией и Францией в царствование императора Павла I, т. 3, СПБ., 1857.

2. Н. Григорович, Канцлер князь А. А. Безбородко в связи с событиями его времени, тт. 1—2, СПБ., 1879—1881 (Сборник РИО, тт. 26—29).

3. В. Александренко, Русские дипломатические агенты в Лондоне в XVIII веке, тт. 1—2, Варшава, 1897.

4. А. Васильчиков, Семейство Разумовских, тт. 3—4, СПБ., 1882—1887.

5. Mémoires tirés des papiers d'une homme d'Etat sur les causes secrètes, qui ont déterminé la politique des cabinets dans

---

[1] „Сборник Русского исторического общества", „Русская старина", „Русский архив", „Вестник Европы", „Сборник Московского главного архива", „Древняя и новая Россия", „Памятники новой русской истории", „Сборник географических, топографических и статистических материалов по Азии", „Славянин", „Отечественные записки" და სხვ.

les guerres de la Révolution depuis 1792 jusqu'en 1815, Paris, 1831—1838.

დ. მილიუტინის დასახელებული ნაშრომის მესამე ტომში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგებულია ის მრავალრიცხოვანი საარქივო ფონდების მასალები და გამოქვეყნებული დოკუმენტები, რომლებიც გამოიყენა ავტორმა თავისი კაპიტალური შრომის პირველ და მეორე ტომში. ჩვენ ვისარგებლეთ ამ დანართით და იქიდან ?ამოვიყენეთ ზოგიერთი საინტერესო მასალა, მასალა, რომელიც მეორე ანტიფრანგული კოალიციის აღმოცენების, რუსეთ-საფრანგეთის 1799 წლის ომის და კოალიციის დაშლის ამბებს ეხება. პირველ ყოვლისა, ეს ითქმის ისეთ დოკუმენტებზე, რომლებიც საარქივო ფონდებში ვერ გამოვავლინეთ და სხვა მხრივ ხელმიუწვდომელი კახდა ჩვენთვის. ამ დოკუმენტებს შორის უნდა დავასახელოთ პავლე I-ის ზოგიერთი რესკრიპტი, საზღვარგარეთული წყაროები, ელჩთა მიწერ-მოწერა, ინსტრუქციები, ხელშეკრულებათა პროექტები და სხვა.

ნ. გრიგოროვიჩმა, ვ. ალექსანდრენკომ და ა. ვასილჩიკოვმა დასახელებულ ნაშრომებში ვრცლად აწერეს: პირველმა კანცლერ ა. ბეზბოროდკოს ცხოვრება და დიპლომატიური საქმიანობა, მეორემ — რუსეთის დიპლომატიური აგენტების საქმიანობა ლონდონში მე-18 საუკუნეში და მესამემ — ცნობილი რუსი დიპლომატის კ. რაზუმოვსკის ცხოვრება და დიპლომატიური საქმიანობა, კერძოდ მისი დიპლომატიური საქმიანობა ვენაში ელჩად ყოფნის დროს. მათ ამისათვის მოიშველიეს ბევრი წყარო და დოკუმენტი (უმთავრესად სახელმწიფოს საგვარეულო არქივების ფონდებიდან), რომლებიც აშუქებენ არა მარტო ა. ბეზბოროდკოს, ა. რაზუმოვსკის და რუსი დიპლომატების საქმიანობას ლონდონში მე-18 საუკუნეში, არამედ, ამასთან ერთად, ნათელს ფენენ რუსეთის საგარეო პოლიტიკისა და რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ცალკეულ საკითხებს ჩვენს მიერ მითითებულ პერიოდში. ამ ნაშრომთაგან განსაკუთრებით უნდა დავასახელოთ გრიგოროვიჩის ვრცელი ორტომიანი ნაშრომი ა. ბეზბოროდკოს შესახებ, რომელიც პავლე I-ის გამეფებიდან 1799 წლის დასაწყისამდე, როგორც იმპერიის კანცლერი, უშუალო მონაწილეობას იღებდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის კურსის განსაზღვრასა და ცალკეული დიპლომატიური ღონისძიების განხორციელებაში. ავტორი მრავალფეროვან დოკუმენტებზე მითითებით აშუქებს (თუმცა ტენდენციურად) ბეზბოროდკოს საქმიანობას ამ დიდ საპასუხისმგებლო პოსტზე. ამ

დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი კი პასუხს სცემს რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ბევრ საკვანძო საკითხს აღნიშნულ საპასუხისმგებლო პოსტზე ბეზბოროდკოს ყოფნის პერიოდში.

Mémoires ი კომბინირებული ხასიათის მრავალტომეულია, რომელშიც მოთხრობილი ამბების ქრონოლოგიური ჩარჩოებია 1792—1815 წლები. ზოგიერთი ავტორი ამ მრავალტომეულის გამოცემას მიაწერს ალონვილს (Allonville, comte Armand), ალფონს ბუშამს (Alphonce de Bouchamp) და შუბერტს (Schubert). ზოგიერთი კი მის გამომცემლად მარტო ალონვილს თვლის, რომელმაც, მათის აზრით, გამოიყენა ალფონს ბუშამის მასალები (...les papiers...). მასში თავმოყრილია, სისტემატიზირებულია და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგებულია პრუსიის სახელმწიფო მინისტრის ჰარდენბერგის (Hardenberg) მიერ დატოვებული ქაღალდები — მემუარები, დიპლომატიურ მოლაპარაკებათა მასალები, ხელშეკრულებათა ასლები, ინსტრუქციები, ელჩთა და დიპლომატიურ აგენტთა მოხსენებითი ბარათები. პირადი ჩანაწერები და სხვ.

პრუსიის სახელმწიფო მინისტრი ჰარდენბერგი პარიზში, ლონდონში, ვენასა და ევროპის სახელმწიფოთა სხვა დედაქალაქებში აკრედიტებული პრუსიის ელჩებისაგან, დიპლომატიური აგენტებისაგან და ადგილობრივი მოყვიდული აგენტებისაგან დროგამოშვებით იღებდა ცნობებს სათანადო სახელმწიფოთა შინაგანი მდგომარეობის, მათი საგარეო პოლიტიკური ნაბიჯებისა და დიპლომატიურ ღონისძიებათა შესახებ. ამ ცნობებს იგი აჯამებდა და მათ საფუძველზე აკეთებდა ჩანაწერებს. გამოჰყავდა ესა თუ ის დასკვნა ინგლისის, საფრანგეთის ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს მმართველი წრეების მიერ გადადგმული ნაბიჯის შესახებ სხვა სახელმწიფოებისა მიმართ. Mémoires-ის გამომცემლები საერთაშორისო ურთიერთობის ამბების თხრობისა და მათი შეფასების დროს ემყარებიან როგორც ჰარდენბერგის ხელში თავმოყრილ მრავალფეროვან საგანგებო ცნობებს და დიპლომატიურ მასალებს, ისე თვით ჰარდენბერგის შენიშვნებს, ჩანაწერებს და დასკვნებს. ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის გაშუქების, დიპლომატის ან სახელმწიფოს მმართველის დახასიათების დროს ზოგჯერ თვით გამომცემლები ლაპარაკობენ, ეყრდნობიან რა უხვად მოტანილ სათანადო დოკუმენტებს, ზოგჯერაც კი ისინი ხან ჰარდენბერგს, ხანაც ჰარდენბერგის აგენტებს ალაპარაკებენ. ამიტომაა, რომ Mémoires-ი ორიგინალური ხასიათის მრავალტომეულია, რომელიც დოკუმენტთა კრებულსაც მიგვანს, მემუარებსაც და ისტორიულ მიმომხილველსაც.

შრომაში დასმულ საკითხებთან უშუალო კავშირი აქვს Mémoires-ის 3ე-4 და 5 ტომებში გამოქვეყნებული მასალების ნაწილს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მე-7—8 ტომები, რომლებშიც ბევრი საინტერესო მასალაა მოთავსებული იმ მოლაპარაკებათა შესახებ, რომლებსაც რუსეთისა და საფრანგეთის მთავრობები აწარმოებდნენ ბერლინში პრუსიის გადაბირების თაობაზე. იქვეა ცნობები ნაპოლეონის ეგვიპტეზე ლაშქრობის, ამ პერიოდის რუსეთ-თურქეთისა და თურქეთ-საფრანგეთის ურთიერთობის, მეორე ანტიფრანგული კოალიციის დაშლისა და ნაპოლეონ ბონაპარტის რუსეთთან დაახლოების განზრახვის შესახებ და სხვ.

დიდი რაოდენობის დოკუმენტებისა და მემუარული ცნობების მოტანა ამ მრავალტომეულის დადებით ღირსებაზე მიგვითითებს. მის სასარგებლოდ ლაპარაკობს ისიც, რომ მისი მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ პრუსიის მმართველთა დამოკიდებულებაზე რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში მოცემულ პერიოდში მომხდარ შემობრუნებათა მიმართ და ა. შ.

მაგრამ კომბინირებული ხასიათი Mémoires-ს უარყოფით დაღსაც ასვამს. მასში თანმიმდევრულად არ არის განხილული ისტორიული პროცესი. საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობის ამბებზე XVIII — XIX საუკუნეების მიჯნაზე იქ ლაპარაკია იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას იძლეოდა ჰარდენბერგის არქივის მასალები. გამომცემლები არ იძლევიან გამოქვეყნებული დიპლომატიური მასალების კრიტიკულ ანალიზს ან არ ავსებენ მას სხვა მასალებით. თხრობა ისტორიული პროცესის შესახებ იქ ცალკეულ პიროვნებათა — სახელმწიფო მოღვაწეთა და დიპლომატთა — საქმიანობის ფონზეა გაშლილი.

შრომაში აღძრულ ზოგ საკითხზე პასუხის გაცემის დროს ვისარგებლეთ მემუარული ხასიათის ლიტერატურით, მათგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ შემდეგი რუსი და საზღვარგარეთელი ავტორების მემუარები. 1. რ უ ს ი ა ვ ტ ო რ ე ბ ი ს: ა. ჩარტორისკის[1], ა. ხრაპოვიცკის[2], ფონ-ვიზინის[3], ა. ტურგენევის[4], დ. ზავალი-

---

[1] Мемуары князя Адама Чарторийского..., тт. 1—2, М., 1912—1913.

[2] Дневник А. В. Храповицкого, СПБ., 1874.

[3] Записки Фон-Визина, очевидца смутных времен царствований Павла I, Александра I и Николая I, Лейпциг, 1859.

[4] Записки Александра Михайловича Тургенева, „Русская старина", 1885 г. (сент. и окт.) и 1886 г. (янв.).

შინის[1], ს. ფანჩულიძის[2], თ. ლუბიანოვსკის[3], ვ. ენგელგარდტის[4].

2. უცხოელი ავტორების: სტანისლავ-ავგუსტ პონიატოვსკის[5], ა. რიბოპიერის[6], გრაფ. სეგიურის[7], მ. არმფელდტის[8], რეიმერსის[9], ი. ერენსტრემის[10], გრაფ. სტედინგის[11], ტალეირანის[12], ნაპოლეონ ბონაპარტის[13], გეიკინგის[14] და სხვ.

ეს ავტორები მრავალ ისეთ საინტერესო ამბებზე მოგვითხრობენ და ათეულ ისეთ მოვლენაზე ამახვილებენ ყურადღებას, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის რთულ ეტაპებთან პავლე I-ის მეფობის წლებში.

ამ მემუარების (ზოგიერთის გამოკლებით, სადაც საფრანგეთის ან ევროპის პოლიტიკური ურთიერთობის ამბებია მოთხრობილი) ავტორები, როგორც რუსი, ისე უცხოელი, აგვიწერენ პეტერბურგის სამეფო კარს, ცალკეულ დიპლომატებსა და სასახლის თავკაცებს, პავლე I-ის ხასიათს, მმართველობის წესებს, მეფის მთავრობის ამა თუ იმ საგარეო პოლიტიკურ ნაბიჯს, ფეოდალური არისტოკრატიის რიგებში არსებულ დაპირისპირებას საფრანგეთის მიმართ აღებული

---

[1] Д. Завалишин, Пребывание русских войск на Нормандских островах в 1799 и 1800 гг. („Древняя и новая Россия", 1876 г., № 12).

[2] С. Панчулидзев, История Кавалергардов 1724—1799, тт. 1—2, СПБ, 1091.

[3] Воспоминания Федора Петровича Лубяновского, М., 1872.

[4] Воспоминания... В. Е. Энгельгардта „Русский Архив", 1872 г., № 7—8.

[5] Записки Станислава Августа Понятовского, „Вестник Европы", 1808 г., № 11.

[6] Записки графа Александра Ивановича Рибопьера, „Русский архив", 1877 г. № 4 и 5.

[7] Записки графа Сегюра о пребывании его в России в царств. Екатерины II 1785—1787), СПБ., 1865.

[8] Встреча с Суворовым в 1799 году. Из записки барона Густава-Маврикия Армфельдта, „Русская старина", 1893 г. Март.

[9] Реймерс, С-Петербург при императоре Павле Петровиче в 1796—1801 гг., „Русская старина", 1893 г., т. 39.

[10] Из исторических записок Иоанна-Альберта Эренстрема, „Русская старина", 1893 г., т. 79.

[11] Mémoires posthumes du feld-maréchal comte de Stedingk, Paris, 1815.

[12] Талейран, Мемуары... М.—Л., 1934.

[13] Наполеон, Избранные произведения, М., 1946.

[14] Император Павел и его время (Записки курляндского дворянина барона Гейкинга, „Русская старина", 1876 г., ноябрь и декабрь.

გარკვეული კურსის გამო, პავლე I-ის მკვლელობის ორგანიზაციას და მის მიზეზებს და სხვ. მათში, ამასთან ერთად, არის სპორადული ცნობები თვით მეორე ანტიფრანგული კოალიციის ორგანიზაციის, 1799 წლის ომის. ანტიფრანგული კოალიციის დაშლის, რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში 1800 წლის დასაწყისიდან მომხდარი მობრუნების შესახებ და ა. შ. ზოგიერთ შემთხვევაში დასახელებულ მემუარებში მოთხრობილია ისეთი მოვლენების ან პროცესების შესახებ. რომლებიც ან მკრთალად ან სრულიად ვერ პოულობენ წყაროებში თავის ასახვას. ადამ ჩარტორისკის მემუარები, ხრაპოვიცკის დღიურები, ფანჩულიძის მოგონებები ან სეგიურისა და სტანისლავ-ავგუსტ-პონიატოვსკის ტიპის უცხოელთა ცნობები პავლე I-ის მეფობისა და მისი მთავრობის კონკრეტული ნაბიჯების შესახებ ქვეყნის შიგნით და საფრანგეთის მიმართ, ყურადსაღებია, ანგარიშგასაწევია და ხშირ შემთხვევაში სწორად ასახავს ვითარებას. ყოველივე ეს ჩვენს მიერ გამოყენებული მემუარების ღირსებაზე მიგვითითებს.

მაგრამ ჩვენ, ამასთან ერთად, ხაზი უნდა გავუსვათ მითითებული მემუარული ლიტერატურის უარყოფით მხარეებსაც. ამ მემუარების ავტორების უმრავლესობა „სახელმწიფო პირთა" კატეგორიას მიეკუთვნებიან. ამას კი არ შეეძლო დაღი არ დაესვა მათი მემუარებისათვის და არ მიეცა მათთვის სუბიექტური, ტენდენციური ხასიათი. კერძოდ ეს ითქმის იმ ავტორების შესახებ, რომლებიც მმართველი სოციალური ზედაფენის სხვადასხვა წრეების წარმომადგენლები არიან და მათ სულისკვეთებას გამოხატავენ. ამიტომაა, რომ მათი ცნობები რუსეთის საგარეო პოლიტიკის ამა თუ იმ ნაბიჯისა და ცალკეულ დიპლომატთა შესახებ მეტ-ნაკლებად სუბიექტურია, ტენდენციურია და ამიტომაც სინამდვილის დამახინჯებას წარმოადგენს. „ისტორიულ" პიროვნებათა „ღვაწლის" გაზვიადება, თუ ეს პიროვნება მათ ბანაკს ეკუთვნის, და მუქი საღებავების ხმარება მათ მიმართ, რომლებიც მოწინააღმდეგეთა დაჯგუფების წარმომადგენლები არიან, წითელი ზოლივით გასდევს მითითებულ რუს ავტორთა მემუარების უდიდეს ნაწილს. იგივე უნდა ითქვას უცხოელ ავტორთა ცნობების შესახებ რუსეთის მიმართ, რამდენადაც მათი ავტორები ხშირად ან სუსტად იცნობენ რუსეთის ცხოვრებას ან შეგნებულად ამახინჯებენ მას. ჩვენ გავითვალისწინეთ ეს გარემოება და შეეცადეთ კრიტიკულად მივდგომოდით მემუარულ ცნობებს.

მემუარულმა ლიტერატურამ, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საშუალება მოგვცა ჩვენ ცალკეულ შემთხვევებში შეგვევსო ოფიციალური დოკუმენტების მონაცემები და ალაგ-ალაგ კორექტივიც

შეგვეტანა მათში. გამონაკლის შემთხვევაში, ზოგიერთი დასკვნის გაკეთებისას სათანადო წყაროს უქონლობის გამო ჩვენ მოგვიხდა მემუარულ ცნობებზე დაყრდნობა (ცხადია, სათანადო შეჯერების შემდეგ).

რევოლუციამდელი რუსი ისტორიკოსების ნაშრომები

არც ერთ რევოლუციამდელ რუს ისტორიკოსს, როგორც უკვე აღნიშნული იყო შესავალში, მიუხედავად იმისა, თუ რა მიმდინარეობას ეკუთვნოდა იგი და რა ხასიათის იყო მათი ისტორიული გამოკვლევა, სპეციალური მეცნიერული დაკვირვებისა და შესწავლის საგნად არ გაუხდია რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ხასიათი XVIII — XIX საუკუნეების მიჯნაზე. ამიტომ ჩვენ არ გაგვაჩნია ისეთი გამოკვლევა, მონოგრაფია, თუ ნარკვევი, რომლის საგანგებო ანალიზის მიზანსაც მოცემული პრობლემა წარმოადგენდეს. მიუხედავად ამისა, ამ ურთიერთობის რთულ კომპლექსს ზოგადად, თუ მისი ცალკეული სახეების მიხედვით, შეეხნენ ის ისტორიკოსები, რომლებმაც თავიანთ გამოკვლევებში, მონოგრაფიებში და ნარკვევებში გააშუქეს პავლე I-ის მეფობა, რუსეთის იმპერიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა მისი მეფობის წლებში, რუსეთის ომი საფრანგეთის წინააღმდეგ 1799 წელს, ნაპოლეონისა და პავლე I-ის ურთიერთდამოკიდებულება, ცნობილი რუსი დიპლომატების ა. ა. ბეზბოროდკოს, ს. რ. ვორონცოვის, ნ. პ. პანინისა და ა. კ. რაზუმოვსკის ცხოვრება და დიპლომატიური საქმიანობა და სხვ. მათი მონაცემები და დასკვნები საკვლევი საკითხის შესახებ წარმოადგენს მნიშვნელოვან მემკვიდრეობას, რომლის სიფაქიზის შეფასებასაც აქვე ვიძლევით.

ასეთი ხასიათის ნაშრომებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ცნობილი სამხედრო ისტორიკოსის დ. მილიუტინის შრომა: **„История войны 1799 года между Россией и Францией в царствование императора Павла I", тт. 1—2, СПБ., 1857.**

ამ ნაშრომში, რუსეთის თავადაზნაურული ისტორიოგრაფიის ეს თვალსაჩინო წარმომადგენელი საფუძვლიანად აშუქებს 1799 წლის ომს რუსეთსა და საფრანგეთს შორის, ემყარება რა მდიდარ საარქივო ფონდებს, გამოქვეყნებულ დოკუმენტებს, მემუარებს, მონოგრაფიებს და პერიოდიკის მასალებს. მაგრამ მილიუტინს მარტო 1799 წლის ომის მიმდინარეობის და შედეგების მიმოხილვით როდი აქვს შემოზღუდული დასახელებული შრომის ჩარჩოები.

შესწავლის მთავარ ობიექტთან ერთად მასში ვრცლად არის გაშუქებული მრავალი ისეთი საკითხი, რომელიც მეტად თუ ნაკლებად დაკავშირებულია 1799 წლის ომის აღმოცენებასთან, მის მიმდინარეობასთან და შედეგებთან. მილიუტინი ვრცლად მიმოიხილავს ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკურ ურთიერთობას, განსაკუთრებით რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობას 1799 წლის ომის წინ.

ნაშრომის პირველი ტომის შესავალ ნაწილში ავტორი ზოგადად არკვევს ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობას, საფრანგეთის საერთაშორისო მდგომარეობას, მის საშინაო ვითარებას და დიპლომატიურ საქმიანობას დირექტორიის მმართველობის პირველ წლებში (1795—1796 წწ.). აქვე იგი მიმოიხილავს ეკატერინე II-ის მმართველობას, კერძოდ მისი მთავრობის დამოკიდებულებას საფრანგეთისადმი მისი მეფობის მიწურულში. ამის შემდეგ, ავტორი ვრცლად ჩერდება მეორე ანტიფრანგული კოალიციის შემზადებაზე, რუსეთის მეფის მთავრობის როლზე მის ორგანიზაციაში, თვით კოალიციის მიზნებზე და მასში შემავალ სახელმწიფოთა ურთიერთობაზე. შრომის პირველი ტომის მეორე ნახევარი და მეორე ტომის დიდი ნაწილი დათმობილი აქვს თვით რუსეთ-საფრანგეთის 1799 წლის ომის მიმდინარეობისა და მასთან კავშირში მყოფი ამბების მიმოხილვას. კერძოდ მას ვრცლად აქვს გაშუქებული რუსეთის არმიის სახელგანთქმული ლაშქრობანი სუვოროვის ხელმძღვანელობით ჩრდილო იტალიასა და შვეიცარიაში. აგრეთვე უშაკოვის სარდლობით რუსეთის ფლოტის ძლევამოსილი ოპერაციები ხმელთაშუა ზღვის აუზში. შრომის მეორე ტომის ნახევარში განხილულია მეორე ანტიფრანგული კოალიციის დაშლის, რუსეთის ამ კოალიციიდან და თვით ომიდან გამოსვლის ამბები. ნაშრომის დასასრულს ავტორი მოკლედ ეხება ახალ მობრუნებას რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში, კერძოდ ნაპოლეონ ბონაპარტის დაახლოებას პავლე I-თან.

მილიუტინის აღნიშნული ნაშრომი ერთ-ერთი საუკეთესო გამოკვლევაა იმ რევოლუციამდელ რუს ისტორიკოსთა ნაშრომებს შორის, რომლებშიც მეტ-ნაკლები სისრულითაა გაშუქებული რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკა, კერძოდ რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა აღნიშნულ პერიოდში. აღძრული საკითხების ვრცლად გაშუქება, დიდძალი დოკუმენტისა და ლიტერატურის გამოყენება, მათდამი კრიტიკული მიდგომა, ანალიზისა და განზოგადოებადასკვნების მეცნიერული დონე, უცხოური წყაროების საფუძვლიანი ცოდნა ამ შრომის უდავო ღირსებაზე ლაპარაკობს. ამიტომაა,

რომ მას დღესაც არ დაუკარგავს რამდენადმე თავისი მნიშვნელობა და აქტუალობაც.

მაგრამ მილიუტინის შრომას დროისა და ავტორის კლასობრივი მსოფლმხედველობის დაღი აზის, რის გამოც იგი საკმაოდ მოძველებულია და ვეღარ უპასუხებს ისტორიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე მოთხოვნებს.

მილიუტინი, როგორც რუსეთის ბატონყმურ-თავადაზნაურული მონარქიის იდეოლოგი, შეურიგებელი სიძულვილითაა გაჟღენთილი არა მარტო 1789 — 1794 წლების საფრანგეთის რევოლუციის იდეებისადმი, არამედ თვით აღმასრულებელი დირექტორიისადმი, რომელიც მას რევოლუციის გამგრძელებლად, რევოლუციურ ხელისუფლებად მიაჩნია. პირიქით, იგი სიმპათიურადაა განწყობილი ნაპოლეონ ბონაპარტისა და მისი მმართველობისადმი, პირველ ეტაპზე, ვინაიდან მასში რევოლუციის ჩამხშობს და „წესიერების“ აღმდგენს ხედავს. მეორე ანტიფრანგული კოალიციის შექმნისა და 1798 წლის ომის აღმოცენებისათვის იგი მთელ პასუხისმგებლობას დირექტორიას და მის აგრესიულ საგარეო პოლიტიკას აკისრებს. თავისას მიუზღავს რა ავსტრიის და ინგლისის მთავრობებს რუსეთის მიმართ გამოვლენილი ვერაგობისა და ეგოისტური ზრახვებისათვის, მილიუტინი, ამასთან ერთად, ცდილობს გაამართლოს მეფის რუსეთის მონაწილეობა ანტიფრანგულ ომში და იგი უანგარო და კეთილშობილი მისწრაფებებით ახსნას. მილიუტინის შრომას წითელი ზოლივით გასდევს პავლე I-ის კეტი. რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიმართულებას, რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ვარიაციებს პავლე I-ის მეფობის წლებში მილიუტინი ხსნის არა ისტორიულად მნიშვნელოვანი ფაქტორებით, არამედ პავლე I-ის ნება-სურვილით და სუბიექტური მოტივებით. თავისი იდეოლოგიურ-პოლიტიკური მრწამსის შესატყვისად მილიუტინის ნაშრომში უგულებელყოფილია ეკონომიური ფაქტორის როლი რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკაში და, მაშასადამე, რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში.

კ. ვალიშევსკი თავის ნაშრომში „Сын великой Екатерины император Павел I...“ (СПБ., 1914) საკმაოდ ვრცლად განიხილავს რუსეთის იმპერიის საშინაო ვითარებას. საგარეო პოლიტიკას და დიპლომატიურ საქმიანობას ეკატერინე II-ის მეფობის მეორე ნახევარსა და პავლე I-ის მეფობის წლებში. ვინაიდან მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 ს. დასაწყისში მეფის რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას რევოლუციური საფრანგე-

.თის წინააღმდეგ ბრძოლა და საფრანგეთის რესპუბლიკის მზარდი აგრესიისათვის გზის გადაღობვა წარმოადგენდა. ბუნებრივია ამ საკითხების გაშუქებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ვალიშევსკის ნაშრომშიც. ნაშრომის თექვსმეტი თავიდან ხუთი თავი დათმობილი აქვს რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის საკითხებს და საკმაო ცნობებია მოცემული რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ პავლე I-ის მეფობის წლებში. ავტორი ამავე საკითხებს შრომის სხვა თავებშიაც ეხება გაკვრით.

მაგრამ ვალიშევსკის ნაშრომის ძირითადი დანიშნულება პავლე I-ის ცხოვრების და მეფობის საფუძვლიანი გაშუქებაა. მასში სწორედ წინა პლანზე თვითმპყრობელი მონარქია წამოწეული. რუსეთის იმპერიის ცხოვრება, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ამ პოლიტიკის განმაპირობებელი ფაქტორები — ყოველივე ეს ავტორისათვის მხოლოდ იმ ისტორიულ ფონს წარმოადგენს, რომელმაც მკითხველს უნდა დაანახოს პავლე I-ის მბრძანებელი როლი ამ ამბების მიმდინარეობაში. ნაშრომის ასეთი ხასიათი მკაფიოდ ავლენს ავტორის პოლიტიკურ მრწამსს, მის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს. ვალიშევსკი რუსეთის რევოლუციამდელ სხვა ისტორიკოსებთან ერთად იდეალისტურად აშუქებს საზოგადოებისა და ისტორიის განვითარების პროცესს. ნაშრომის არქიტექტონიკა, მასალის დალაგება და საკითხთა გაშუქება სწორედ ამის შესატყვისადაა მოცემული. მისი აზრით, „დიდ პიროვნებათა“ — მონარქთა და სხვათა—ნება-სურვილი წარმართავს მსოფლიო ისტორიის მსვლელობას. ამიტომაა, რომ რუსეთის იმპერიის მოცემული პერიოდის საგარეო პოლიტიკის ხასიათი და მიმართულება მასაც პავლე I-ის ნება-სურვილის, ჟინის და სასახლის ფეოდალური არისტოკრატიის ზედაფენის სხვადასხვა დაჯგუფების კაპრიზებიდან გამოჰყავს.

ვალიშევსკი ისტორიკოსთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც აიდეალებენ ეკატერინე II-ს და, პირიქით, მუქი საღებავებით ხატავენ პავლე I-ის მეფობას, უწოდებენ რა ამ ხანმოკლე პერიოდს „ჩავარდნას“ და „გადახვევას“ რუსეთის ისტორიის კანონზომიერი პროცესიდან. ვალიშევსკი გმობს რუსეთის ჩაბმას მეორე ანტიფრანგულ კოალიციაში და საფრანგეთის წინააღმდეგ ომის დაწყებას 1799 წელს. მისი შეხედულებით ეს ნაბიჯები არ გამომდინარეობდა რუსეთის ნაციონალური ინტერესებიდან, ტრადიციული საგარეო პოლიტიკური კურსიდან გადახვევა იყო და პავლეს თვითნებობის, ჟინის და სუსტი გონების ნაყოფს წარმოადგენდა. ასევე ხსნის იგი ახალ მობრუნებას რუსეთის საგარეო პოლიტიკაში, რაც გამოიხატა მეორე

ანტიფრანგული კოალიციის რიგებიდან მის გამოსელაში და საფრანგეთთან დაახლოვების ტენდენციაში. არ ეძებს რა ამ შემობრუნების რეალურ მოტივებს, ვალიშევსკი მასაც პავლე I-ის ხასიათის შეცვლითა და მასზე ფავორიტების ახალი ზეგავლენით ხსნის.

ვალიშევსკის ნაშრომში, შრომის თავისებური ხასიათის გამო რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ხასიათი 1797 — 1800 წლებში მხოლოდ ზოგადად, სქემატურად არის მოცემული. მიუხედავად ამისა ეს ნაშრომი მაინც გვეხმარება ჩვენს შრომაში აღძრულ ზოგიერთ საკითხზე პასუხის გასაცემად. შრომაში მოტანილია ბევრი საარქივო და გამოქვეყნებული დოკუმენტი, მემუარული ლიტერატურისა და მონოგრაფიების მონაცემები რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე.

ვალიშევსკის ნაშრომის ტიპისაა ისტორიკოს ნ. შილდერის ნაშრომები: **„Император Павел Первый — историко-биографический очерк“** და **„Император Александр Первый, его жизнь и царствование“.**

შილდერის ნაშრომებიც ისტორიულ-ბიოგრაფიულ ნარკვევებს წარმოადგენენ. ამ ნარკვევების მიზანდასახულობაა არა რუსეთის ისტორიის რომელიმე პერიოდის ან პროცესის მიმოხილვა, არამედ იმპერატორ პავლე I-ის და მისი შვილის ალექსანდრე I-ის ცხოვრებისა და მეფობის აღწერა. რუსეთის მოცემული პერიოდის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხები, რომლებიც გაშუქებული აქვს ნ. შილდერს აღნიშნულ ნარკვევებში, მისთვის მხოლოდ ზოგად ფონს წარმოადგენს ძირითადი საკითხების—ამ იმპერატორთა ცხოვრების — გაშუქებისათვის.

ნ. შილდერის მითითებული ნაშრომები, მიუხედავად მათი მიზანდასახულობისა, მნიშვნელოვანი ღირებულების მქონეა. მათში გამოყენებულია მდიდარი საარქივო მასალა და დოკუმენტები, მემუარული ცნობები და სხვა სახის ლიტერატურა რუსულ და უცხოურ ენებზე. ამ ნაშრომებში აღძრულია ბევრი ისეთი საკითხი, რომელთაც უშუალო კავშირი აქვს ჩვენს საკვლევო პრობლემასთან.

მაგრამ დასახელებულ ნაშრომებს მისი ავტორის მცდარი მეთოდოლოგიური მრწამსის ბეჭედი აზის.

ნ. შილდერს ბევრ სხვა რუს ისტორიკოსთან ერთად ისტორიის განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად მიაჩნია არა მატერიალური წარმოების წესი და საწარმოო ძალთა განვითარება, არამედ ცალკეულ დიდ ისტორიულ პიროვნებათა — მონარქთა გონება და ნებასურვილი. მას რუსეთის ისტორია არსებითად მეფეთა ისტორიად

წარმოუდგენია. თავის დასახელებულ ნაშრომებში პავლე I-სა და ალექსანდრე I-ის მეფობის პერიოდში რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ცალკეული საკითხების გაშუქების დროს ნ. შილდერი ცდილობს გვიჩვენოს ამ გვირგვინოსან ხელისუფალთა ნების განმსაზღვრელი როლი აღნიშნული პროცესების წარმართვის საქმეში.

ნ. შილდერიც რუსეთის იმ რევოლუციამდელ ისტორიკოსთა ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც ქება-დიდებით იხსენიებენ ეკატერინე II-სა და ალექსანდრე I-ის მეფობას და აძაგებენ პავლე I-ის მეფობას, პავლეს არანორმალურს, დესპოტს, ჟინიანს უწოდებენ, მის მეფობას კი აფასებენ როგორც კოშმარის წლებს, წყვეტილსა და გადახვევას რუსეთის ისტორიის წინამორბედი პროცესისაგან.

ამ თვალსაზრისით განიხილავს იგი პავლე I-ის პერიოდის რუსეთის საგარეო პოლიტიკას, კერძოდ რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის პროცესს ამავე პერიოდში. ნ. შილდერი გმობს რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიმართულებას პავლე I-ის მეფობის წლებში, რადგან პავლე I, მისი აზრით, ანგარიშს არ უწევდა იმპერიის სასიცოცხლო ინტერესებს და უარყოფდა ყოველგვარ დაპყრობას და ტერიტორიულ გაფართოებას; ეს პოლიტიკა გამომდინარეობდა რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ ყველა საშუალებით ბრძოლის წარმოშობის საჭიროებიდან და აშკარა რომანტიკაზე იყო დაფუძნებული.

ეხება რა რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობას, შილდერი გაუმართლებლად, რუსეთის ნაციონალური ინტერესების აბუჩად აგდებად მიიჩნევს რუსეთის ჩაბმას მეორე ანტიფრანგულ კოალიციაში და 1799 წელს საფრანგეთის წინააღმდეგ ომის გაჩაღებას. ამ ომში რუსეთის მიერ გაღებულ მსხვერპლს იგი თვლის უნაყოფო მსხვერპლად, რისთვისაც პავლე I-ს დებს ბრალს. მკვეთრ შემობრუნებას რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში და რუსეთის შემხვედრ ნაბიჯს საფრანგეთთან დასაახლოებლად შილდერი აგრეთვე მოულოდნელ, არაკანონზომიერ ნაბიჯს უწოდებს. ეხება რა ინდოეთზე რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის პროექტს და დონის კაზაკთა მიერ დაწყებულ ლაშქრობას ინდოეთისაკენ (1801 წლის დასაწყისში), ნ. შილდერი უარყოფს აღნიშნული პროექტის რეალობას, ხოლო თვით დონის კაზაკთა ლაშქრობა პირადად პავლე I-ის ქიმერიულ-ფანტასტიური გატაცების ნაყოფად მიაჩნია.

ფორმალური ობიექტივიზმი, ფაქტების დოკუმენტაცია და განზოგადოების სისუსტე შილდერის აღნიშნული ნაშრომების მორიგ ნაკლოვან მხარეებს შეადგენს.

ე. შუმიგორსკი თავის ისტორიულ-ბიოგრაფიულ ნარკვევებში „Император Павел I. Жизнь и царствование", რომელიც ვალიშევსკისა და შილდერის აღნიშნულ ნაშრომთა ტიპს მიეკუთვნება, აგრეთვე მოგვითხრობს რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ცალკეულ ამბებზე პავლე I-ის მეფობის წლებში.

შუმიგორსკი პეტრე I-სა და ეკატერინე II-ს მიიჩნევს მსოფლიო მნიშვნელობის გენიოსებად, რომლებიც, მისი აზრით, ავსებენ რუსეთის ისტორიას მე-18 საუკუნეში და თავის განსაზღვრელ მიმართულებას აძლევენ რუსი ხალხის ცხოვრებას. ნარკვევში ამ კონცეფციის შესატყვისად არის გაშუქებული პავლე I-ის ცხოვრება და მეფობაც.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის საკითხებს ავტორი სპეციალურად არ იხილავს. იგი მას ეხება გზადაგზა, გაკვრით, პავლე I-ის მეფობის გაშუქებისას. მართალია, შუმიგორსკი ცდილობს მოხსნას პავლე I-ს „დაუსაბუთებელი ბრალდებები" და აღადგინოს „ისტორიული ჭეშმარიტება", დიდების შარაგანდედით შემოსოს იგი, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მას ექვის ქვეშ დააყენოს ამ მონარქის საგარეო პოლიტიკური კურსი და გააკრიტიკოს იგი. შუმიგორსკი იწონებს მეფის მთავრობის პირველ ნაბიჯებს საფრანგეთის მიმართ და მას პირადად პავლე I-ის მშვიდობისმოყვარე ბუნებით ხსნის, მაგრამ მას არ მოსწონს პავლე I-ის მიერ თავის თავის ლეგიტიმისტური ევროპის დამცველად და მედროშედ გამოცხადება. მთელ რიგ მოვლენებს რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში ავტორი მარტივად და სქემატურად აშუქებს და მათ ასახსნელად მეორეხარისხოვან მიზეზებს ასახელებს. მაგალითად, რუსეთის ჩაბმას მეორე ანტიფრანგულ კოალიციაში, მის გადაწყვეტილებას ეომა საფრანგეთის წინააღმდეგ ავსტრიასთან და ინგლისთან კავშირში, შუმიგორსკი ხსნის მალტის თაობაზე პავლე I აღშფოთებით და გაბოროტებით. ასევე ზერელედ ხსნის იგი რუსეთის გამოსვლას მეორე ანტიფრანგულ კოალიციიდან. პავლემ დაინახა, წერს იგი, რომ მისმა მოკავშირეებმა იგი მოატყუეს და იარაღად გამოიყენეს, რისთვისაც გაეთიშა მათ და საფრანგეთთან დაახლოება გადაწყვიტა. ეს რუსეთის საგარეო პოლიტიკაში საფრანგეთის მიმართ მომხდარი ცვლილების ზედაპირული ახსნაა. ავტორს საჭიროდ არ მიაჩნია ჩაწვდეს სიღრმისეულ მოვლენებს და მათი ნამდვილი მიზეზი გაიგოს.

შუმიგორსკის ნარკვევში უგულებელყოფილია რუსეთის გაბატონებული კლასების ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები, როგორც რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში მომხდარი ცვლილე-

ბების განმაპირობებელი ფაქტორები. ამიტომ ამ ნარკვევში ადგილი არ აქვს მოცემული პერიოდის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის კომპლექსის სერიოზულ ანალიზს.

ჩვენს შრომაში აღძრული ზოგიერთი საკითხის შესახებ თავისი მოსაზრება აქვს გამოთქმული აგრეთვე პროფ. ს. მ. კლოჩკოვს ნაშრომში: **„Очерки правительственной деятельности времени Павла I“**.

როგორც თვით სახელწოდებიდან ჩანს, კლოჩკოვის ნარკვევის მიზანს შეადგენს პავლე I-ის პერიოდის რუსეთის სამეფო ხელისუფლების საქმიანობის გარკვევა და პირადად პავლე I-ის როლის ჩვენება სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობის რთულ კომპლექსში. კლოჩკოვი შილდერის და შუმიგორსკის მსგავსად, კვლევა-ძიებისა და დაკვირვების ობიექტად ხდის თვითმპყრობელ მონარქს, მის ხასიათს, ნება-სურვილსა და მისწრაფებებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმართვაში. მასაც ისტორიის შემოქმედად მიაჩნია არა ხალხი და ეკონომიური ფაქტორები, არამედ „დიდი ადამიანები“ და მათი სუბიექტური მისწრაფებები. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ კლოჩკოვი იმ რუს ისტორიკოსთა პლეადას ეკუთვნის, რომლებიც თავიანთი ნაშრომებით ცდილობენ აღადგინონ „შებღალული ისტორიული ჭეშმარიტება“, მოახდინონ პავლეს რეაბილიტაცია და გაამართლონ მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა შთამომავლობის თვალში.

ბევრი საარქივო მასალა, მემუარული ცნობა და სხვა სახის ლიტერატურა, რომელიც უხვად აქვს კლოჩკოვს მოტანილი დასახელებულ ნაშრომში, ბევრი მოვლენა თავისებურად გაშუქებული, მახვილგონიერი დასკვნები და მსჯელობა, რომელიც ამ ნაშრომის დადებითი მხარეა, ავტორის ხელში ერთ მიზანს ემსახურება: დაამტკიცოს პავლე I-ის საშინაო ღონისძიებების დანმიმდევრობა-გონივრულობა, მისი საგარეო პოლიტიკური ნაბიჯების მიზანშეწონილობა და გეგმიანობა, რუსეთის საგარეო პოლიტიკის ისტორიულად გამომუშავებულ მიმართულებასთან მისი მჭიდრო კავშირი და სხვ.

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ხასიათის ზოგადად გარკვევის დროს კლოჩკოვი თავის ნაშრომში ორ გარემოებას უსვამს ხაზს: 1) საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის გამოძახილს რუსეთში და 2) ინგლის-საფრანგეთის ბრძოლას მსოფლიოში ჰეგემონობისათვის. მისი შეხედულებით, პავლე I-ის სიძულვილმა საფრანგეთის რევოლუციისადმი დიდი გავლენა მოახდინა რუსეთის პოლიტიკაზე საფრანგეთის მიმართ. კლოჩკოვი ბევრ სხვა რე-

ჯოლუციამდელ რუს ისტორიკოსთან ერთად მეორე ანტიფრანგულ კოალიციაში რუსეთის მონაწილეობას ხსნის პავლე I-ის რაინდული მისწრაფებით—აღედგინა საფრანგეთის რევოლუციის მიერ დამხობილი ტახტები, დაეცვა რელიგია და „კანონიერი წესრიგი". მისი აზრით, აგრეთვე რაინდულმა სულმა და სამართლიანობისადმი სიყვარულმა აიძულა პავლე I თავი მიენებებია მეორე ანტიფრანგული კოალიციისათვის და საფრანგეთთან დაახლოებისკენ აეღო გეზი. აქედან იგი დასკვნის: პავლე I-ის დიპლომატია გარკვეული პრინციპების შესაბამისად მოქმედებდა. ნაპოლეონ ბონაპარტის და პავლე I-ის დაახლოებაშიაც კლოჩკოვი დიდ როლს აკუთვნებს რუსეთის მონარქის, ვითომდა, სამართლიან ხასიათს. რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის რთულ ვარიაციების მთავარ და არსებით ფაქტორებს ავტორი ყურადღების მიღმა ტოვებს.

შრომის ბოლო ნაწილში კლოჩკოვს საკმაო ფაქტიური მასალა აქვს მოტანილი ისეთი საკითხების ირგვლივ როგორიცაა: პავლე I-ის ურთიერთობა მალტის სასულიერო ორდენთან, მეორე ანტიფრანგული კოალიციის დაშლა და რუსეთის გამოსვლა მისი რიგებიდან, რუსეთ-საფრანგეთის დაახლოება 1800 წელსა და 1801 წლის დასაწყისში, ინდოეთზე განზრახული ერთობლივი ლაშქრობისათვის მზადება და პავლე I-ის მკვლელობა. მაგრამ აღნიშნული საკითხებიც მის მიერ განხილულია იდეალიზმის პლატფორმიდან, ზოგადად, თანაც ტენდენციურად.

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის საკითხებს ჩვენს მიერ საკვლევ პერიოდში შეეხო რუსეთის დიპლომატიის ცნობილი ისტორიკოსი ს. ტატიშჩევი. ეს საკითხები მის მიერ აღძრულია ისეთ ნაშრომებში როგორებიცაა: **„Из прошлого русской дипломатии" (Истор. исследования и статьи), „Император Павел. Война 1799 г." (წერილი მოთავსებულია ჟურნ. „Русский архив", 1912 г., № 12); „Paul et Bonaparte" (ეს ვრცელი წერილი მოთავსებულია ფრანგულ ჟურნალში „La Nouvelle Revue"-ის 1887 წლის 47, 48, 49 ტომებში).**

ს. ტატიშჩევი ნაპოლეონ ბონაპარტის და პავლე I-ის ურთიერთობის გაშუქების დროს ფართოდ მიმართავს შედარებებს, ისტორიულ პარალელებს. იგი თანამედროვე რუსეთის და საფრანგეთის ვითარებას უპირისპირებს XVIII—XIX საუკუნეების მიჯნის შესაბამის ვითარებას. თავის მსჯელობას, დასკვნებს, შედარებებს ს. ტატიშჩევი აფუძნებს მრავალფეროვან პირველ წყაროებზე და სხვა ხასიათის მასალებზე (რუსულ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე). ყოვე-

ლივე ზემოთ აღნიშნული და ბევრი ფაქტიური მასალა, რომელიც მოტანილია აღნიშნულ ვრცელ წერილში პავლე I-ისა და ნაპოლეონ ბონაპარტის ურთიერთობის გასაშუქებლად, ამ წერილის უდავო ღირსებაზე მიგვითითებს.

წერილის პირველ ნაწილში ს. ტატიშჩევი უფრო ზოგად მსჯელობას მიმართავს საფრანგეთ-რუსეთის კავშირის საჭიროებისა და აუცილებლობის თაობაზე. 1887 წელს, როდესაც აღნიშნული წერილი დაიბეჭდა, უკვე მოიხაზა რესპუბლიკური საფრანგეთის და მონარქისტული რუსეთის დაახლოების კონტურები, შემზადდა ნიადაგი ამ სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკური კავშირისათვის. ს. ტატიშჩევი ამ კავშირის თავგამოდებული მომხრე და ქომაგია. იმიტომ, რომ დაასაბუთოს რუსეთ-საფრანგეთის კავშირის სასურველობა ორივე ქვეყნის ინტერესებისათვის, ს. ტატიშჩევი მიმართავს ისტორიას და ვრცელი წერილის საგნად ხდის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ერთ მონაკვეთს, კერძოდ 1800 წელს და 1801 წლის დასაწყისს, როდესაც პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა ამ სახელმწიფოების დასაახლოებლად.

ამიტომაა, რომ ს. ტატიშჩევი გმობს რუსეთის 1799 წლის ომს საფრანგეთის წინააღმდეგ. გაკვრით განიხილავს რა რუსეთსა და საფრანგეთს შორის 1797 წელს გამართულ მოლაპარაკებას, ს. ტატიშჩევი სინანულს გამოთქვამს მისი წარუმატებელი შედეგების გამო. იგი უმთავრესად სუბიექტური ხასიათის მოტივებით ხსნის აღნიშნული მოლაპარაკების ჩაშლას, თანაც ფიქრობს, რომ სავსებით შესაძლებელი იყო მისი წარმატებით დამთავრება, ორივე მხარეს მეტი ურთიერთდამთმობლობა რომ გამოეჩინაო.

წერილის შემდეგ ნაწილებში ს. ტატიშჩევი მოგვითხრობს იმ ამბებზე, რაც წინ უძღოდა მეორე ანტიფრანგულ კოალიციის დაშლას და საკმაოდ აშუქებს თვით ამ კოალიციის დაშლის პროცესს, რაშიაც მთავარ პასუხისმგებლობას ინგლისს და ავსტრიის საიმპერატორო კარს აკისრებს.

წერილის დიდი ნაწილი, როგორც აღნიშნული იყო, აშუქებს იმ ამბებს რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში, რასაც ადგილი ჰქონდა მეორე ანტიფრანგული კოალიციის დაშლიდან 1801 წლის დასაწყისამდე. ს. ტატიშჩევი აქაც, ისე როგორც სხვაგან, ამართლებს პავლე I-ის ახალ ნაბიჯებს საფრანგეთის მიმართ და ღრმა სინანულს გამოხატავს იმის გამო, რომ რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების ტენდენცია თავის ფინალურ აქტამდე არ მივიდა, ხელსაყრელი შესა-

ძლებლობა ხელიდან იქნა გაშვებული და ეს დაახლოება ამ სახელმწიფოთა მეგობრული კავშირით არ დაგვირგვინდა.

ს. ტატიშჩევი, შილდერის მსგავსად, რუსული ბურჟუაზიული სკოლის წარმომადგენელია. მაგრამ მათ შორის ის განსხვავებაა, რომ ს. ტატიშჩევი მთავარ ყურადღებას აქცევს რუსეთის საგარეო პოლიტიკას და დიპლომატიას. ისიც მონარქიული იდეოლოგიის მატარებელია. მას მეფეთა და ქვეშევრდომთა ურთიერთობა პატრიარქალურ, მამათა და შვილთა ურთიერთობად მიაჩნია. მისი კონცეფციაც სუბიექტურ-იდეალისტურია. ისიც ისტორიის შემომქმედად პავლე I-ებსა და ნაპოლეონ ბონაპარტებს თვლის, რუსეთ-საფრანგეთის მოცემული პერიოდის ურთიერთობის ცვალებადობას მათი ნების გამოვლინებად მიიჩნევს.

ა. ტრაჩევსკიმ თავის რამოდენიმე ნაშრომში დააყენა და გააშუქა რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ცალკეული საკითხები პავლე I-ის მეფობის წლებში. ეს ნაშრომებია: ვრცელი წინასიტყვაობა მის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტთა კრებულებისა „Дипломатические отношения России с Францией в эпоху Наполеона I" (გამოქვ. კრ. РИО, ტ. 70): „Наполеон I. Первые шаги и Консульство"; „L'Empereur Paul et Bonaparte, Premier Consul" (მოთ. ჟურნ. „Revue d'histoire diplomatique", 1889, № 2); „Россия и Франция в конце протедшего века (1794—1799 гг)" (მოთ. ჟურნ. „Вестник Европы", 1885, № 6, кн. 6).

ტრაჩევსკი დასახელებულ რევოლუციამდელ რუს ისტორიკოსებთან ერთად ხალხთა და სახელმწიფოთა ბედ-ილბლის წარმართვის საქმეში გადამწყვეტ როლს „რჩეულ ადამიანთა" ნება-განწყობილებას („направление умов", როგორც წერს ავტორი) აკუთვნებს. მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით, იგი რამდენადმე წინ მიდის და ცდილობს, რუსეთის საგარეო პოლიტიკას მოუნახოს სხვა მოტივებიც, ისეთი პოლიტიკური და სამხედრო მოტივები, რაც „მხედველობიდან გამორჩათ" სხვა ისტორიკოსებს. ტრაჩევსკის აღნიშნული ნაშრომები, განსაკუთრებით დოკუმენტთა კრებულის ვრცელი წინასიტყვაობა და აგრეთვე ვრცელი წერილი რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ 1794 — 1799 წლებში გამოირჩევა ბევრი სხვა იდენტური ხასიათის ნაშრომისაგან არა მარტო, შედარებით უფრო საფუძვლიანი ანალიზით და დასკვნებით, არამედ იმითაც, რომ იგი ფრანგული არქივებიდან ამოკრეფილ მდიდარ პირველწყაროებს ემყარება. ავტორი წლების განმავლობაში მუშაობდა საფრანგეთის არქივებში და რუსეთ-საფრანგეთის მოცემული პერი-

ოდის ურთიერთობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ბევრი მნიშვნელოვანი დოკუმენტი გამოაქვეყნა დასახელებულ კრებულში. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ა. ტრაჩევსკი რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობას განიხილავს არა როგორც ფონს და დამატებას პავლე I-ის მეფობის გასაშუქებლად, არამედ როგორც ძირითად საკვლევ პრობლემას.

რევოლუციამდელ რუს ისტორიკოსთა უმრავლესობა პავლე I-ის მეფობის პერიოდის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ცალკეული საკითხების გაშუქებისას უმთავრეს ყურადღებას აქცევს მეფის მთავრობის საგარეო პოლიტიკური ნაბიჯების ხასიათის გარკვევას, თანაც ძირითადად რუსულ წყაროებს ემყარება. ა. ტრაჩევსკი კი, ემყარება რა როგორც რუსულ, ისე მრავალფეროვან ფრანგულ წყაროებს, თანაბარ ყურადღებას აქცევს როგორც პავლეს მთავრობის საგარეო პოლიტიკას, ისე დირექტორიისა და პირველ კონსულ ნაპოლეონ ბონაპარტის მთავრობათა საგარეო პოლიტიკის მიმართულების გარკვევას.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, პროფ. ა. ტრაჩევსკის ისტორიული კონცეფცია მაინც მიუღებელია ჩვენთვის. მისი დასახელებული ნაშრომები მოვლენათა გაშუქებით, წამოყენებული დებულებებით და დასკვნებით ვერ უპასუხებს ისტორიული კვლევა-ძიების თანამედროვე მოთხოვნებს. რუსეთის და საფრანგეთის გაბატონებული კლასების ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნილებანი, როგორც ამ ურთიერთობის ვარიაციების განმაპირობებელი ფაქტორი მის მიერაც უგულებელყოფილია. ისიც წინა პლანზე წევს გარეგან მოვლენებს.

აღნიშნულ ისტორიკოსთა გარდა ამ საკითხების კომპლექსის გაშუქებას თავიანთ შრომებში ადგილი დაუთმეს ს. სოლოვიოვმა[1], ა. კორნილოვმა[2], ა. ვასილჩიკოვმა[3], ვ. კლიუჩევსკიმ[4], ა. ბრიკნერმა[5], მ. პოლიევქტოვმა[6], ვ. ალექსანდრენკომ[7], ნ. გრიგოროვიჩმა[8], ე. კარ-

---

[1] С. Соловьев, Император Александр Первый..., С.-Петербург, 1877.

[2] А. Корнилов, Курс истории России XIX века, ч. 12, М., 1912.

[3] А. Васильчиков, Семейство Разумовских, т. 3, СПБ., 1882.

[4] В. Ключевский, Курс Русской истории, ч. V, М., 1937.

[5] А. Брикнер, Вторая половина XVIII века в письмах братьев, гр. С. и А. Воронцовых, „Вестник Европы", т. 8, 1888 г.

[6] М. Полиевктов, Проект союза России с Сардинским королевством в царствование императора Павла, СПБ., 1902.

[7] В. Александренко, Русские дипломатические агенты в Лондоне в XVIII в., ч. I, Варшава, 1897.

[8] Н. Григорович. Канцлер князь Александр Безбородко.., „Сборник РИО, тт. 26, 29, СПБ, 1879—1881.

ნოვიჩმა[1], მ. მიროშკინმა[2], პ. ბეზობრაზოვმა[3], ვ. ბილბასოვმა[4] და სხვებმა. ნაშრომში ჩვენ მოტანილი გვაქვს აღნიშნულ ისტორიკოსთა ცალკეული შეხედულებები და ვიძლევით მათ შეფასებას.

საზღვარგარეთელი ისტორიკოსების ნაშრომები

XVIII — XIX საუკუნეების მიჯნაზე რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ხასიათი და მასთან დაკავშირებული საკითხები მეტ-ნაკლებად გაშუქებულია ზოგიერთ ფრანგ, ინგლისელ, გერმანელ და იტალიელ ისტორიკოსთა ნაშრომებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე ფრანგი ისტორიკოსის გამოკლებით არც ერთ უცხოელ ავტორს არ აქვს მოცემული ისეთი ვრცელი ცნობები, როგორც რუს ავტორებს. ბევრი მათგანი არსებითად იმეორებს რუს ისტორიკოსთა მოსაზრებებს, თანაც ძირითადად რუსულ წყაროებს ემყარება.

საზღვარგარეთელ ავტორთაგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ალბერტ სორელი, რომელმაც თავის კაპიტალურ რვატომიან ნაშრომში „Европа и Французская Революция" (პირველი ტომი გამოვიდა 1885 წელს, მერვე — 1904 წელს)[5]. საფრანგეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის წლებისა და მომდევნო პერიოდის ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკური ურთიერთობის მიმოხილვისას, გააშუქა რუსეთ-საფრანგეთის ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ურთიერთობის საკითხებიც. მართალია, მას ამ საკითხისათვის არ დაუთმია სპეციალური განყოფილება ან თავი, და იგი განიხილა სხვა საკითხებთან კავშირში, მაგრამ განიხილა იგი საკმაოდ თანმიმდევრულად და ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით. აღნიშნული ურთიერთობის კომპლექსის შესახებ ცნობები მას მოცემული აქვს თავისი შრომის მე-5 და მე-6 ტომებში.

---

[1] Е. Карнович, Мальтийские рыцари в России („Отечественные записки", № 7—8, 1877).

[2] М. Мирошкин, Иезуиты в России с царствования Екатерины II-й до нашего времени, ч. I. СПБ., 1867.

[3] П. Безобразов, О сношениях России с Францией... М., 1892.

[4] В. Бильбасов, Россия и Англия в XVIII веке, „Русская старина", 1893 г., окт.

[5] ჩვენ ვსარგებლობთ რუსული თარგმანით.

ალბერტ სორელი ბურჟუაზიული წრიდან გამოსული ზომიერი ლიბერალია მონარქისტული იერით. მის ნაშრომებს ბევრ სხვა საზღვარგარეთელ ისტორიკოსთა ნაშრომებთან შედარებით უდავო უპირატესობა გააჩნია. დასახელებული მრავალტომეული ხანგრძლივი შრომის ნაყოფს წარმოადგენს. მასში გამოყენებულია დიდძალი საარქივო მასალა და სამეცნიერო ლიტერატურა (ევროპის ყველა ძირითად ენაზე). ავტორს აქვს შესანიშნავი ენა, ლიტერატურული გემოვნება და მიმზიდველი სტილი. აღნიშნული შრომის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ სორელს შესანიშნავად ეხერხება ცალკეულ ისტორიულ პირთა მოხდენილი დახასიათება, მათი პორტრეტების ოსტატური გამოკვეთა.

ზოგიერთი უცხოელი ავტორის მსგავსად სორელი მიზნად ისახავს განიხილოს საფრანგეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუცია და მისი შედეგები საერთაშორისო ასპექტში და გაარკვიოს შინაგანი და საერთაშორისო ფაქტორების ურთიერთკავშირი. მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით მან ეს გააკეთა გაცილებით უკეთ და მიმზიდველად. სორელის შრომა გარეგნული არქიტექტონიკის მიხედვით გერმანელი ისტორიკოსის ზიბელის შრომის მსგავსია, მაგრამ შინაარსისა და განზოგადოების მხრივ მას ბევრი საერთო რამ აქვს ფრანგ ისტორიკოს ტოკვილის ნაშრომთან.

ამასთანავე ა. სორელის ნაშრომს თავიდან ბოლომდე გასდევს ავტორის მაოფლეხედველობისათვის დამახასიათებელი ნაკლი: სუბიექტივიზმი, ტენდენციურობა, ევოლუციონიზმი, ნაციონალისტური გადახრა და სხვ. იგი შეურიგებელი სიძულვილის გრძნობითაა გაჟღენთილი იაკობინელებისა და იაკობინელთა დიქტატურისადმი, რობესპიერისა და მარატისადმი მაშინ, როდესაც მირაბო და დანტონი მის სათაყვანო გმირებს წარმოადგენენ. მას ტოკვილის მსგავსად. 9 თერმიდორი, დირექტორიის მმართველობა, თვრამეტი ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალება რევოლუციის გაგრძელებად მიიჩნია. სორელიც აიგივებს საფრანგეთის რევოლუციისა და კონსულობის პერიოდების დიპლომატიას.

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის საკვლევი პერიოდის გაშუქებისას სორელი კონკრეტულად ჩერდება პავლე I-ის მეფობაზე და ცდილობს გაარკვიოს მისი როლი რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიმართულებაში. რევოლუციამდელ რუს ისტორიკოსთა პლეადასთან ერთად სორელიც უფრო გარეგან, მეორეხარისხოვან ფაქტებს და მოვლენებს ანიჭებს გადამწყვეტ როლს და მათით ხსნის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში მომხდარ ცვლილებებს. სორელი,

მაგალითად, სერიოზულად მსჯელობს იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენდნენ პავლე პირველზე მიჰი ფავორიტები ლოპუხინა და ნელიდოვა ან ცოლისძმა ვიურტემბერგის პრინცი ფერდინანდი, ან რა როლი შეასრულეს მათ საფრანგეთის მიმართ რუსეთის მთავრობის მიერ აღებულ ამა თუ იმ კურსის შემუშავებაზე.

სორელის აზრით, პავლე I გადამწყვეტ როლს ასრულებდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიმართულების შემუშავებაში. მის ნება-სურვილს ექვემდებარებოდა თვით რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ცვალებადობაც. ამიტომაა, რომ სორელი ცდილობს დაგვიხატოს პავლე I-ის პორტრეტი და გადმოგვცეს მისი ხასიათის ძირითადი ნიშნები. იგი იზიარებს იმ რუს ისტორიკოსთა აზრს, რომლებიც პავლე I-ის მეფობაში ხედავენ „ჩავარდნას", ხოლო მას ნახევრად არანორმალურ ადამიანს უწოდებენ. პავლე I-ის მეფობას იგი უწოდებს ქარიშხლიანს, ნათელი ამინდიანი დღეების იშვიათი გამონაკლისებით. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, სორელის აზრით, პავლე I უფრო მეტ სიცხადეს და თანმიმდევრობას იჩენდა საგარეო პოლიტიკის დარგში, ვიდრე საშინაოში. თუმცა მის პოლიტიკას საფრანგეთის მიმართ იგი ნახტომისებურს, გადახვევებით და უკანდახევებით აღსავსეს უწოდებს.

ისტორიული პროცესის ნამდვილი მამოძრავებელი ძალებისა და პიროვნების როლის შეფასებაში, კვლევის მეთოდებსა და მიღებულ დასკვნებში სორელი ძალზე შორაა ჰეშმარიტებისაგან და ოდნავადაც ვერ სცილდება ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიურ საწყისებს. ამიტომაა, რომ, მთელი თავისი დიდი ერუდიციის მიუხედავად, ჩვენი საკვლევი პრობლემის შესახებ ა. სორელის მემკვიდრეობა საგრძნობლად ჩამორჩება ისტორიული კვლევაძიების თანამედროვე მოთხოვნებს.

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის საკვლევო პერიოდის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის რაიმონდ გიოს (R. Guyot) სქელტანიან ნაშრომს: „Le Directoire et la paix de l'Europe...", Paris, 1911.

რაიმონდ გიო ფრანგ ისტორიკოსთა იმ მემარცხენე რადიკალურ სკოლას ეკუთვნის, რომელსაც მათიეზი ედგა სათავეში. ისტორიკოსთა ამ ჯგუფის კონცეფციას რადიკალური, მოსოციალისტო ელფერი გადაკრავს, მას გარკვევით ატყვია მარქსიზმის გავლენა. მაგრამ ამ ისტორიკოსებისათვის და, მაშასადამე, გიოსთვისაც მარქსიზმი არ წარმოადგენდა კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს. მათ ახასიათებდათ ეკლექტიზმი.

გიოს ვრცელი შრომა მიზანდასახულობისა და არქიტექტონიკის მხრივ მიაგავს ა. სორელის განხილულ შრომას. გიოც, სორელის მსგავსად, მიზნად ისახავს თავის შრომაში დაგვიხატოს ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკური ურთიერთობის სურათი საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ფონზე და გვიჩვენოს ამ უკანასკნელის გავლენა აღნიშნულ ურთიერთობის ხასიათზე. გარდა იმისა, რომ გიოს შრომა მხოლოდ დირექტორიის ოთხწლიანი მმართველობით შემოიფარგლება, იგი სორელის შრომისაგან განსხვავდება მოტანილი წყაროების შეფასებით, ანალიზის ხასიათით და დასკვნებით.

გიოს შრომას აქვს ვრცელი შესავალი, რომლის უდიდეს ნაწილს ავტორი მიუძღვნის წყაროებისა და ლიტერატურის ანალიზს და ზოგიერთი ისტორიკოსის თვალსაზრისის გარკვევას საკვლევი საკითხის შესახებ. შრომაში მოტანილია მრავალფეროვანი პირველწყაროები და სხვა ხასიათის ლიტერატურა (როგორც საარქივო, ისე გამოქვეყნებული დოკუმენტები მოტანილი ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე), რაც ამ შრომის ერთ-ერთ ღირსებად უნდა ჩაითვალოს. ვრცლად იყენებს გიო ფრანგულ ენაზე თარგმნილ რუსულ წყაროებს და მემუარულ-მონოგრაფიულ ლიტერატურას. მაგ., მას გამოყენებული აქვს მარტენსის, ტრაჩევსკის, ვორონკოვის, ბრიენერის დოკუმენტთა კრებულები, მილიუტინის, ვასილჩიკოვის, ტატიშჩევის ნაშრომები, ცალკეული წერილები და სხვა მასალები.

თავის ნაშრომში გიო არ კმაყოფილდება მარტო დირექტორიის პერიოდის საფრანგეთის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის ანალიზით. იგი ამასთან ერთად ეხება საკითხთა მთელ წყებას, რომელსაც ისე თუ ისე კავშირი აქვს ძირითად საკითხთან. მაგალითად, მის ნაშრომში განხილულია აღმასრულებელი დირექტორიის ფუნქციები, მისი ხელქვეითი დიპლომატიური ორგანოები, ფრანგი დიპლომატების (დელაკრუა, კაიარი, ტალეირანი) საქმიანობა, საგარეო ურთიერთობის განმახორციელებელი ორგანოების ევოლუცია და ა. შ.

ავტორი ყურადღების გარეშე არ ტოვებს არც ერთ მნიშვნელოვან დიპლომატიურ კონფლიქტს, მოლაპარაკებას, ხელშეკრულებას, თუ საომარ კამპანიას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1795 — 1799 წლებში და რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ საფრანგეთთან. (პირველი ანტიფრანგული კოალიციის მარცხი და პრუსიის ომიდან გამოსვლა; ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება ლილში; იტალიის

საკითხი და იტალიის კამპანია ნაპოლეონის ხელმძღვანელობით; კამპო-ფორმიოს ზავი; რაშტადტის კონგრესი, ნაპოლეონის ექსპედიცია აღმოსავლეთისაკენ და მისი მარცხი, მეორე ანტიფრანგული კოალიციის აღმოცენება; კოალიციასა და საფრანგეთს შორის გაჩაღებული ომის პერსპექტივა და სხვ.). აღნიშნული საკითხები ავტორს განხილული აქვს მდიდარი საარქივო მასალების, გამოქვეყნებული დოკუმენტების, მემუარების და მონოგრაფიული ლიტერატურის საფუძველზე.

საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობა მოცემულ პერიოდში ავტორის სპეციალური ყურადღების და კვლევის საგანს არ წარმოადგენს. მის შესახებ მას მხოლოდ სპორადული ცნობები აქვს მოცემული, შრომის უკანასკნელი, მე-18 თავის გამოკლებით, სადაც ეხება რა მეორე ანტიფრანგული კოალიციის აღმოცენების ამბებს, შედარებით ვრცლად იხილავს ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას, კერძოდ რუსეთის როლს ამ კოალიციის ორგანიზაციაში. მაგრამ ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის მიმოხილვისას ავტორი: უმთავრესად რუსული დოკუმენტების ზემოთ დასახელებულ კრებულებს და მონოგრაფიულ ლიტერატურას ემყარება და იმ თვალსაზრისს იზიარებს, რომელიც რუსული ისტორიული სკოლის ნაშრომებშია გატარებული.

ემყარება რა რუსულ წყაროებს და ლიტერატურას, ავტორი რუსეთის საგარეო პოლიტიკის ხასიათის, რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ფორმების და მეორე ანტიფრანგული კოალიციის აღმოცენების საკითხების შესახებ თითქმის საკუთარი ხედვით იზიარებს იმ იდეალისტურ, ზერელე შეხედულებას, რომელსაც აღნიშნულ საკითხებზე ავითარებენ რუსი ისტორიკოსები თავადაზნაურული და ბურჟუაზიული ბანაკიდან. რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ღრმა ანალიზს, კერძოდ ეკონომიური ფაქტორისათვის ანგარიშის გაწევას ვერც მის ნაშრომში ვპოულობთ. ხალხის უგულებელყოფა, პავლე I-ის როლის გაზვიადება, მისი ხასიათის ხშირი ცვლილებებისა და ამ ცვლილებებზე სასახლის არისტოკრატიის სხვადასხვა ჯგუფების ზეგავლენისათვის დიდი როლის მიკუთვნება დამახასიათებელია გიოს აღნიშნული ნაშრომისათვისაც. ამას უნდა დაემატოს ნაციონალისტური სულისკვეთება, დირექტორიის საგარეო პოლიტიკის მთელ რიგ ნაბიჯთა გამართლება და სხვ.

ფრანგმა ისტორიკოსმა ჟორჟ გროჟანმა (Georges Grosjean) საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობას დირექტორიის პერიოდში მი-

უძღვნა მცირე ფორმის ნარკვევი სახელწოდებით: „La France et la Russie pendant le Directoire“.

ნაშრომი სულ 10 თავისაგან შედგება: პირველ თავში ავტორი არკვევს ეკატერინე II-ის საგარეო პოლიტიკას და მის დამოკიდებულებას საფრანგეთისადმი. მეორე თავში მიმოხილულია პავლე I-ის გამეფება, მისი ხასიათი და მისი საგარეო პოლიტიკის მიმართულება; მესამე თავში გადმოცემულია ცნობები დირექტორიის ინიციატივით ბერლინში რუსეთ-საფრანგეთის მოლაპარაკების დაწყების ცდის შესახებ; მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე თავებში ლაპარაკია ამ სახელმწიფოთა ბერლინის მოლაპარაკების ირგვლივ.

ავტორი თანმიმდევრობით მოგვითხრობს იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც ბერლინში მიმდინარეობდა რუსეთსა და საფრანგეთს შორის. იქვე მოკლედ განხილულია ამ მოლაპარაკების პერიპეტიები, მისი წარუმატებლობის განმაპირობებელი ფაქტორები, მოლაპარაკების მონაწილე სახელმწიფოთა დამოკიდებულება ევროპის სხვა დიდ სახელმწიფოებთან და სხვა. მეცხრე თავში განხილულია რუსეთ-საფრანგეთის ბერლინის მოლაპარაკების ფინალი და კრახი. ამავე თავში ავტორი იძლევა ცნობებს იმ მიზეზების შესახებაც, რომელთაც განაპირობეს მოლაპარაკების ჩაშლა; დასასრულს, მეათე თავში ავტორი მოგვითხრობს რუსეთ-საფრანგეთს შორის ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტის, რუსეთის ანტიფრანგულ კოალიციაში ჩაბმისა და საფრანგეთის წინააღმდეგ ომის გაჩაღების შესახებ.

აღძრული საკითხების გაშუქებისას ავტორი იყენებს, როგორც ფრანგულ წყაროებს (საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან), ისე რუსულ დოკუმენტებსა და ლიტერატურას: მაგალითად, იგი ემყარება ეკატერინე II-ის და გრიმის მიწერ-მოწერას, ვორონცოვის არქივს, მარტენსის კრებულს, ტატიშჩევის ნაშრომებს და სხვ.

ბერლინის მოლაპარაკების მიმდინარეობის დეტალურად განხილვა, ამ მოლაპარაკებაზე ზემოქმედ მთელ რიგ პირობებისათვის ხაზის გასმა, ფრანგული, რუსული და გერმანული წყაროების საკმაო რაოდენობით გამოყენება აღნიშნული ნაშრომის დადებით თვისებებზე მიუთითებს.

მაგრამ ამასთან ერთად ხაზი უნდა გაესვას გროჟანის ნაშრომის ნაკლოვან მხარეებსაც. ნაშრომი, რომლის მოცულობა, როგორც აღნიშნული იყო, მცირეა, არსებითად მეცნიერულ-პოპულარული ხასიათისაა. იქ ჩვენ ვერ ვხვდებით ფაქტების და მოვლენების ღრმა ანალიზს, მათი ბუნების ახსნას, ყოველ თავში ჭარბობს ფაქტების

უბრალო რეგისტრაცია და გადმოცემა. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის მსოფლმხედველობა იდეალისტურია. მართალია იგი ცდილობს რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ვარიაციას მოუნახოს სათანადო ახსნა, მაგრამ ამაოდ. იგი უურადღებას აქცევს ზერელე, მეორეხარისხოვან ფაქტორებს, რომლებიც, მისი აზრით, თითქოს, გადამწყვეტი იყო ბერლინის მოლაპარაკების ჩაშლისა და რუსეთის საფრანგეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმის საქმეში. ამავე დროს მას მხედველობის არედან „რჩება" ის ღრმა ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზები, რომლებიც საფუძვლად ედო ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას დირექტორიის პერიოდში. დასასრულ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ავტორი ფრანგი ნაციონალისტის პოზიციიდან აშუქებს ორი ქვეყნის ურთიერთობის რიგ მომენტებს და ცდილობს მიჩქმალოს აღმასრულებელი დირექტორიის აგრესიული ნაბიჯები საგარეო პოლიტიკის დარგში.

ცნობილი ფრანგი ბურჟუაზიული ისტორიკოსი და პოლიტიკოსი, მშრომელთა დაუძინებელი მტერი, დირექტორიისა და ნაპოლეონ ბონაპარტის თაყვანისმცემელი ა. ტიერი თავის ოთხტომიან ნაშრომში: **„История Консульства и Империи во Франции"** (**тт. 1-4, СПБ., 1846 — 1847, 1849**),[1] მთელ რიგ სხვა საკითხებთან ერთად გაკვრით შეეხო რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ამბებს პავლე I-ის მეფობის წლებში. მას აზრი აქვს გამოთქმული მეორე ანტიფრანგული კოალიციის შექმნა-დაშლის, პავლე I-ისა და ნაპოლეონ ბონაპარტის დაახლოების, მალტის საკითხის მნიშვნელობის, რუსეთ-საფრანგეთის პარიზის მოლაპარაკების (1801 წ. დასაწყისში) შესახებ და სხვ. აღნიშნული საკითხების შესახებ სათანადო მასალები მოთავსებულია შრომის პირველ, მეორე და მესამე ტომებში.

ტიერის მიერ გაკეთებული დასკვნები არ გამოირჩევა სიღრმით, განზოგადოების ძალითა და ორიგინალობით. მათში აშკარად გამოსჭვივის ფრანგული ნაციონალისტური თვალსაზრისი, სუბიექტივიზმი, პიროვნების კულტი, ეკონომიური ფაქტორების უგულებელყოფა და სხვ.

ტიერის აზრით, პავლე I კეთილშობილური, დიდსულოვანი მოსაზრებებით იღებდა მონაწილეობას მეორე ანტიფრანგულ კოალიციაში. რუსეთის გამოსვლას მეორე ანტიფრანგული კოალიციიდან ტიერი აგრეთვე პავლე I-ის პირად ნებას და სეპარატულ გადაწყვეტილებას უკავშირებს. იგი მთელ რიგ ფრანგ ისტორიკოსებთან ერთად

---

[1] ჩვენ ვსარგებლობთ რუსული თარგმანით.

ისტორიულ სინამდვილეს აყალბებს და ნაპოლეონ ბონაპარტისა და პავლე I-ის დაახლოების ინიციატივას რუსეთის იმპერატორს მიაწერს. ეხება რა რუსეთ-საფრანგეთის მოლაპარაკებას პარიზში (1801 წ.), ტიერი მისი გაჭიანურებული ხასიათისა და უპერსპექტივობისათვის ბრალს დებს რუსეთის წარმომადგენელ კოლიჩევს. იგი იზიარებს იმ პოზიციას, რომელიც პარიზის მოლაპარაკების დროს ნაპოლეონმა და ტალეირანმა დაიჭირეს. რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ამბებთან დაკავშირებული საკითხების აღძვრის დროს ტიერი ეწევა ნაპოლეონ ბონაპარტის აპოლოგიას და ყოველმხრივ აქებს მის დიპლომატიურ ნაბიჯებს.

ტიერმაც, სხვა ბურჟუაზიული ისტორიკოსების მსგავსად, რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ამბების მიმოხილვის დროს პავლე I-ის მეფობის წლებში უმთავრესად ფაქტები გადმოსცა, ექსესუარები წამოსწია წინა პლანზე და ამ ურთიერთობის რთული კომპლექსის ჭეშმარიტ ახსნას გვერდი აუარა.

განხილულ ფრანგ ისტორიკოსებთან ერთად რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ XVIII — XIX საუკუნეების მიჯნაზე გაკვრით; ცნობებს იძლევიან და თავიანთი მოსაზრებები აქვთ გამოთქმული შემდეგ ფრანგ ისტორიკოსებს: პ. ლანფრეს[1], ე. დრიოს[2], ე. ბურჟუას[3], მ. ბინონს[4], მ. ბარანტს[5], ე. დოდეს[6], ლეფევრს[7], ლ. პენგოს[8], შ. ლარივიერს[9], ჟ. მიშლეს[10], ტ. მასონს[11], ლ. მადლენს[12],

---

[1] P. Lanfrey, Histoire de Napoléon 1er. Paris, 1869—1870. ტ. 1—3.

[2] E. Driault, La politique extérieure du Premier Consul 1800—1803, Paris, 1910; მისივე — La question d' Orient depuis ses originse jusqu'à nos jours, Paris, 1909.

[3] E. Bourgeois, Manuel historique de politique étrangère, t. 2, Les Révolutions (1789—1830), Paris, 1926.

[4] M. Bignon, Histoire de France depuis le 18 Brumaire... jusqu'à la paix de Tilsit.. Bruxelles, 1839.

[5] M. Barante, Histoire du Directoire... t. 1—3, P., 1855

[6] E Daudet, Bourbons et la Russie pendant la Révolution française, P., 1886.

[7] A. Lefebvre, Histoire des cabinets de l'Europe pendant le Consulat et l'Empire, 1800—1815, t. 1, P., 1845.

[8] L. Pingaud, Les français en Russie et les russes en France..., P., 1886.

[9] Ch. Larivière, La France et la Russie au XVIII siècle, P., 1909. მისივე—Catherine II et la Révolution française, P., 1895.

[10] J. Michelet, Histoire du XIX siècle jusqu'au 18 Brumaire-Waterloo... Paris, 1875.

[11] T. Masson, Les département des affaires étrangères pendant la Révolution .., Paris, 1877.

[12] L. Madelin, Le Consulat et l'Empire 1799—1809, P., 1933.

ლ. ბუეელენს[1], ფ. ბურგუანს[2], მ. სენ-პრის[3] და სხვებს. ზოგიერთი მათგანის მოსაზრება ცალკეულ საკითხზე საინტერესო და ყურადსაღებია.

მაგრამ ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა ცალკეულად განვიხილოთ და შეეფასოთ ისინი იმისდა მიხედვით, თუ როგორ არის მათში გაშუქებული ჩვენთვის საინტერესო პრობლემის კომპლექსის ესა თუ ის მხარე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი საკვლევი საკითხი სპეციალური კვლევის ობიექტად არც ერთ მათგანს არ გაუხდია. რაც შეეხება მათ მიერ გამოთქმულ ორიგინალურ აზრს ამა თუ იმ საკითხის შესახებ, მათზე თვით შრომის სათანადო თავებში გვექნება საუბარი.

ცნობილმა გერმანელმა ისტორიკოსმა ზიბელმა თავის მრავალტომიან შრომაში „Histoire de l'Europe pendant la Révolution française, tt. 5—8, Paris, 1886—1888[4] სხვა საკითხებთან ერთად განიხილა ზოგიერთი: იაეთი საკითხიც, რომელსაც კავშირი აქვს რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობასთან XVIII — XIX საუკუნეების მიჯნაზე.

ზიბელის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მრწამსის ნათელსაყოფად საკმარისია აღინიშნოს, რომ იგი იყო კონსერვატორი, კონსტიტუციური მონარქიის მომხრე, ბისმარკის თაყვანისმცემელი, დემოკრატიისა და მშრომელი ხალხის მტერი.

ზიბელი იყო პირველი ისტორიკოსი საზღვარგარეთ, რომელმაც სორელამდე ვრცლად გააშუქა ევროპული ურთიერთობა საფრანგეთის რევოლუციის წლებში და ამ მიზნისათვის ბევრი მანამდე გამოუყენებელი დოკუმენტით და სხვა მასალით ისარგებლა. საფრანგეთის რევოლუციის პერიოდის ევროპულ ურთიერთობას და ამ რევოლუციის გავლენას ევროპის სახელმწიფოთა ცხოვრებაზე, ზიბელი განიხილავს კონსერვატიული თვალსაზრისით. იგი გმობს საფრანგეთის რევოლუციის გავლენის ყოველგვარ გამოვლენას ევროპულ პოლიტიკასა და ცხოვრებაზე და მასში „ანარქისტულ საწყისებს", „კომუნისტურ დესპოტიზმს" და სხვ. მის მსგავსთ ხედავს.

---

[1] L. Bousgelin. Malte ancienne et moderne, tt. 1—3, P., 1808.

[2] F. Bourgoing, Histoire diplomatique de l'Europe pendant la Révolution française..., P., 1871.

[3] M. Saint-Priest, Mémoires sur l'ambasade de France en Turquie..., Paris, 1877.

[4] ჩვენ ვსარგებლობთ ფრანგული თარგმანით.

აშუქებს რა საფრანგეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობას, ზიბელი ამ პერიოდში ათავსებს როგორც დირექტორიის ხანას, ისე კონსულობასაც, რაც ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამება. თავისი კონსერვატიული კონცეფციის შესაბამისად, ზიბელი, ამასთან ერთად, უარყოფს ევროპის ფეოდალურ-მონარქისტული და კლერიკალური ძალების შეთქმულების ფაქტს რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ და ამდენად ამართლებს კონტრრევოლუციური კოალიციის ბრძოლას ძველი ურთიერთობის აღსადგენად.

ცალკეული ცნობები რუსეთ-საფრანგეთის 1797 — 1801 წლების ურთიერთობის შესახებ, ზიბელის მრავალტომეულის მე-5 და მე-6 ტომებშია მოთავსებული. აქ მას ცოტად თუ ბევრად გაშუქებული აქვს ისეთი საკითხები როგორიცაა: მეორე ანტიფრანგული კოალიციის აღმოცენება, რუსეთის ომი საფრანგეთის წინააღმდეგ 1799 წელს; კოალიციის დაშლა და რუსეთის გამოსვლა ომიდან, პავლე I-ისა და ნაპოლეონ ბონაპარტის დაახლოება და სხვა.

რუსეთ-საფრანგეთის მოცემული პერიოდის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხის განხილვა ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობის ფონზე, მრავალფეროვანი წყაროების და ლიტერატურის გამოყენება, აღმოსავლეთის საკითხის სიმწვავისათვის ხაზის გასმა და ზოგიერთი ორიგინალური დასკვნების გაკეთება ზიბელის შრომის დადებით მხარეზე მიუთითებს.

მაგრამ ზიბელის შრომას სერიოზული ნაკლოვანი მხარეებიც გააჩნია. კონსერვატიული და იდეალისტური თვალსაზრისი, „დიდ ადამიანთა“ წინა პლანზე წამოწევა, ისტორიაში მასების როლის უგულებელყოფა, ზედაპირული მოვლენების ისტორიული პროცესის მთავარ ფაქტორებად მიჩნევა წითელ ზოლად გასდევს მთელ შრომას. ამას უნდა დაემატოს ნაციონალისტური ტენდენცია. საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის მიმოხილვისას ზიბელის ნაციონალისტური შეზღუდულობა და სულისკვეთება განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება.

რუსეთ-საფრანგეთის მოცემული პერიოდის ურთიერთობის რთული კომპლექსის საფუძვლიანი ანალიზის ნაცვლად ზიბელი მხოლოდ ფაქტების კონსტატაციით და ზერელე თხრობით კმაყოფილდება. ზიბელი დიდ ადგილს უთმობს პავლე I-ის პიროვნებას და მეფობის გაშუქებას, რათა ხაზი გაუსვას მის გადამწყვეტ გავლენას რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ბედ-იღბალზე. საფრანგეთის

მიმართ პავლე I-ის მიერ აღებული კურსის არათანაბარმიმდევრობის ახსნას ზიბელი ამ იმპერატორზე ფავორიტთა გავლენას უკავშირებს.

იტალიელ დიპლომატ ჯ. გრეპის შრომაში—„Révélations diplomatiques sur les relations de la Sardaigne avec l'Autriche et la Russie pendant la première et la deuxième coalitions", Paris, 1859 [1]—ძირითად საკვლევო საკითხთან დაკავშირებით აღძრულია რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის საკითხები მოცემულ პერიოდში.

როგორც იტალიელი ნაციონალისტი და მისი სამშობლოს დამმონებელი ავსტრიის შეურიგებელი მტერი, გრეპი სარდინიის ურთიერთობას ავსტრიასთან და რუსეთთან პირველი და მეორე ანტიფრანგული კოალიციის წლებში განიხილავს ტენდენციურად, თავისი სუბიექტური განწყობილების შესაბამისად. იგი სარდინიის მიერ მაშინ განცდილ უბედურებათათვის ბრალს დებს არა იმდენად საფრანგეთს, რამდენადაც ავსტრიას და მის მთავრობას, რომელსაც ამ ქვეყნის მიმართ მხოლოდ მტაცებლური ზრახვები ამოქმედებდა. რუსეთის მთავრობას, პირადად ეკატერინე II-ს და პავლე I-ს გრეპი სიმპათიით ეპყრობა და მათ იტალიის მეგობრებად თვლის. განსაკუთრებით მადლობის გრძნობით არის იგი გამსჭვალული პავლე I-ის მიმართ, მას იტალიის მფარველს და მზრუნველს უწოდებს. ამ პრიზმის ქვეშ განიხილავს იგი რუსეთის და პირადად პავლე I-ის პოლიტიკას იტალიის სახელმწიფოების მიმართ, რუსეთ-ავსტრიის ქიშპობას ამ ნიადაგზე, რუსეთის გამოსვლას მეორე ანტიფრანგული კოალიციის შემადგენლობიდან, ავსტრია-რუსეთის დაპირისპირებას და სხვ.

საერთოდ გრეპის შეხედულება და დასკვნები მოცემულ საკითხზე არ გამოირჩევა სიღრმით და ორიგინალობით. მისთვის დამახასიათებელია ფაქტოლოგია, მოჩვენებითი ობიექტივიზმი და იდეალისტური კონცეფცია. გრეპის მოცემულ შრომას ჩვენთვის იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც მასში გამოვლინებულია იტალიელი ავტორის თვალსაზრისი საკვლევო პრობლემის ცალკეულ საკითხზე[2].

---

[1] წიგნი დაწერილია ფრანგულ ენაზე.

[2] ჟურნალში „Вопросы истории" № 12, 1956 წ., დაიბეჭდა ცნობილი იტალიელი ისტორიკოსის ჯუზეპე ბერტის წერილი: „რუსეთის და იტალიის სახელმწიფოების ურთიერთობა (XVIII საუკუნის დასასრულიდან 1860 წლამდე)". წერილის ავტორი ემყარება როგორც იტალიის, ისე რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივსაცავში არსებულ მასალებს. მაგრამ წერილი მოცემული ურთი-

ამერიკელი კაპიტანი ალფრედ ტ. მეხენი თავის ნაშრომში „Влияние морской силы на Французскую революцию и империю“ (1793—1819, тт. 1—2, М., 1940) გაკვრით შეეხო ჩვენს საკვლევო პრობლემასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს.

მაგალითად, იგი იხილავს აღმოსავლეთის საკითხს, ინგლისს-საფრანგეთის ბრძოლას მალტისათვის, ნაპოლეონის ლაშქრობას ეგვიპტეზე, მის წარუმატებლობას და სხვ. ამ საკითხებთან მჭიდრო კავშირში აქვს მას განხილული რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ცალკეული საკითხები, კერძოდ, რუსეთის ჩაბმა მეორე ანტიფრანგულ კოალიციაში, ამ კოალიციის წარუმატებლობა და რუსეთის გამოსვლა მისი შემადგენლობიდან, ახალი მობრუნება რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში 1800 წლიდან და სხვ. ამ საკითხების გაშუქების დროს ა. მეხენი წინა პლანზე აყენებს პავლეს და მისი პირადი სურვილით ხსნის რუსეთის მთავრობის ამა თუ იმ ნაბიჯს საფრანგეთის მიმართ. რუსეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკა, კერძოდ, საფრანგეთის მიმართ აღებული კურსი მას მიაჩნია არათანმიმდევრულად და არაკანონზომიერად, რასაც თვით პავლე I-ის ხასიათის არათანმიმდევრობით და დაუდევრობით ხსნის. მეხენი ყურადღების გარეშე ტოვებს სოციალ-ეკონომიური ხასიათის ღრმა მიზეზებს, რომლითაც პირობადებული იყო რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა პავლე I-ის მეფობის წლებში.

ა. მეხენი ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ე. წ. „ნაციონალისტური სკოლის“ წარმომადგენელია და ამერიკის აგრესიული მარინიზმის „მამად“ ითვლება. იგი ამ სკოლის კონცეფციის შესაბამისად აშუქებს შრომაში აღძრულ საკითხებს; გადაჭარბებით აფასებს ფლოტის როლს. ინგლისის გამარჯვებას საფრანგეთზე და ნაპოლე-

---

ერთობის მოკლე აღწერას წარმოადგენს და მოკლებულია კვლევით ხასიათს. მასში მხოლოდ გაკვრით არის მოცემული რუსეთის ურთიერთობა იტალიის სახელმწიფოებთან (ნეაპოლის, სარდინიის და ა. შ.) 1797—1801 წლებში. აღნიშნული პერიოდის მიმოხილვას დათმობილი აქვს ერთი გვერდი, სადაც აღნიშნულია, რომ რუსეთის მიმართ დამოუკიდებელ პოლიტიკას იტალიის მხოლოდ ორი სახელმწიფო ატარებდა. ეს სახელმწიფოები იყო სარდინიისა და ნეაპოლიტანიის სამეფოები. ავტორის აზრით, აღნიშნულ სახელმწიფოთა მეფეები ცდილობდნენ გამოეყენებინათ რუსეთის იმპერატორი პავლე I რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამავე დროს ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს ინგლისის მნიშვნელოვან გავლენას სარდინიასა და ნეაპოლიტანიაზე, თუმცა მისი აზრით ნეაპოლიტანიაში შედარებით უფრო მეტად იგრძნობოდა ეს გავლენა, ვიდრე სარდინიაში, სადაც მას რუსეთი მეტოქეობდა. დასახ. წერილი, გვ. 55—56.

ონის იმპერიის დამხობას იგი ძირითადად ინგლისის ფლოტის ძლიერებას და მის ოპერაციებს მიაწერს. მეხენი ქება-დიდებას ასხამს ინგლისის საგარეო პოლიტიკას, პიტი უმცროსის დიპლომატიას და ინგლისის ომს საფრანგეთის წინააღმდეგ უწოდებს სამართლიან, თავდაცვით ომს, რომელიც, თითქოს, მშვიდობისა და უშიშროების დაცვას ისახავდა მიზნად. იგი ამავე დროს მეორეხარისხოვან როლს აკუთვნებს რუსეთს იმდროინდელ ევროპის ამბებში და სავსებით ჩქმალავს რუსეთის ფლოტის ბრწყინვალე ოპერაციებს ხმელთაშუა ზღვის აუზში.

იმ ინგლისელი ისტორიკოსებიდან, რომლებმაც თავიანთ ისტორიულ შრომებსა და კრებულებში გაკვრით გააშუქეს რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის რთულ კომპლექსთან დაკავშირებული საკითხების ნაწილი, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ: ჰ. დოიჩი[1], ჯ. როზი[2], ს. როზი[3], რ. მოუატი[4], გ. გუჩი[5], ს. ედუარდსი[6].

ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია აღნიშნულ ინგლისელ ავტორთა ნაშრომების გარჩევა და მათში გატარებული თვალსაზრისის კრიტიკულად შეფასება. ამას გვიკარნახებს. პირველ ყოვლისა ის, რომ აღნიშნული ავტორები თავიანთ შრომებში ჩვენ საკვლევო პრობლემებს მხოლოდ გაკვრით ეხებიან და სავსებით გვერდს უვლიან პრობლემის კვანძის ანალიზს; მეორეც — მათგან მოტანილი ცნობები სქემატურია და უმთავრესად რუსი და ფრანგი ისტორიკოსების მასალას ემყარება, ბევრ შემთხვევაში მათ თვალსაზრისს იმეორებს. დაბოლოს, მათგან მოტანილი ცნობები აღწერილობითი ხასიათისაა და არავითარ სიახლეს არ შეიცავს.

შრომაში აღძრულ ზოგ საკითხებს ეს ავტორები ინგლისური ნაციონალისტური პოზიციიდან აშუქებენ და არსებითად სწორედ ამ თვალსაზრისით არიან საინტერესო ისინი ჩვენთვის. მაგალითად, მეორე ანტიფრანგული კოალიციის შექმნა, ამ კოალიციის ომი სა-

---

[1] Harold Deutsch, The genesis of Napoleonic imperialism, Cambridge, 1938.

[2] John H. Rose. The life of Napoleon I, London, 1907. t. I; მისივე, Life of William Pitt, London, 1923, tt. 1—2.

[3] Stanhofe Rose, Life of the right honourable William Pitt, London, 1862.

[4] R. B. Mowat, The diplomacy of Napoleon, London, 1924.

[5] G. P. Gooch. Europe and French Revolution (მოთ. კრებულში The Cambridge moderne history, t. 8—XXV, 1900).

[6] H. Suterland Eduards, Russian projects against India from the czar Peter to general Skobeleff..., London, 1885.

ფრანგეთის წინააღმდეგ და მისი შედეგები აღნიშნულ ავტორებს სწორედ ამ პრიზმით აქვთ განხილული. მთელ პასუხისმგებლობას მეორე ანტიფრანგული კოალიციის შექმნისათვის ისინი საფრანგეთის დირექტორიას აკისრებენ, თანაც უარყოფენ ამ ომის უსამართლო, აგრესიულ ხასიათს კოალიციის მხრივ. თვით კოალიციის დაშლაში მთავარ დამნაშავედ მათ რუსეთის მეფის მთავრობა და პირადად პავლე I მიიჩნიათ. ასევე აშუქებენ ისინი პავლე I-ის და ნაპოლეონ ბონაპარტის დაახლოების და ინგლის-რუსეთის კავშირის გაწყვეტის ამბებს. ისინი აქაც საბრალდებულო სკამზე სვამენ რუსეთის იმპერატორს და მას ინგლისისადმი მტრულ ზრახვებს მიაწერენ.

დასახელებულ ინგლისელ ისტორიკოსთაგან ცალკე უნდა აღინიშნოს ედუარდსი, რომელიც თავის ნაშრომში რუსული პროექტების შესახებ ინდოეთის მიმართ ცდილობს დაამტკიცოს, რომ რუსეთის ცარიზმი ისტორიულად მტრულად იყო განწყობილი ინგლისის ბატონობისადმი ინდოეთში, ცდილობდა მის იქიდან გამოძევებას და მისი ადგილის დაპერას. ამ თვალსაზრისის შესატყვისად განიხილავს იგი რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის გეგმას ინდოეთისაკენ პავლე I-ისა და ნაპოლეონ ბონაპარტის დაახლოების დროს 1801 წ. დასაწყისში.

საბჭოთა ისტორიკოსებმა აკად. ე. ტარლემ, პროფესორებმა ს. ოკუნმა, ე. ბურჯალოვმა, რ. ლანინმა, ა. ნაროჩნიცკიმ, კ. ნოტმანმა, რ. ავერბუხმა, ა. პრესნოვმა, ვ. სამოილოვმა და სხვებმა, რომლებიც ირკვევდნენ XVIII — XIX საუკუნის მიჯნის პერიოდს, თავიანთი აზრი გამოთქვეს რუსეთ-საფრანგეთის იმდროინდელი ურთიერთობის შესახებ.

განსვენებულმა აკად. ე. ტარლემ თავის ნაშრომებში: **„Наполеон“, М., 1942; „Талейран“, М., 1948; „Адмирал Ушаков на Средиземном море“**, ნაპოლეონ ბონაპარტის, ტალეირანის და ადმირალ უშაკოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაშუქებისას აღძრა რუსეთ-საფრანგეთის მოცემული პერიოდის ურთიერთობის ცალკეული საკითხი და პასუხი გასცა მას. შედარებით მეტი ადგილი დაუთმო მან ამ საკითხს თავის ნაშრომში ადმირალ უშაკოვის შესახებ.

ამ ნაშრომში ე. ტარლე განიხილავს აღნიშნულ ურთიერთობასთან კავშირში მყოფ შემდეგ საკითხებს: ნაპოლეონის ლაშქრობას აღმოსავლეთში, მალტის დაპყრობას, ეგვიპტეში შეჭრას და ამასთან დაკავშირებით რუსეთში გამოწვეულ შეშფოთებას, რუსეთ-თურქეთის თავდაცვითი კავშირის შექმნას, რუსეთის ჩაბმას მეორე ანტი-

ფრანგულ კოალიციაში, კოალიციის შინაგან წინააღმდეგობას, ავსტრიისა და ინგლისის დაპყრობით ზრახვებს, ფრანგთა აგრესიას იტალიასა და ხმელთაშუა ზღვის აუზში, 1799 წლის ომს, რუსეთის წამყვან როლს ამ ომში, ამ ომის შედეგებს და ა. შ. ნაშრომში ვრცლადაა გაშუქებული რუსეთის ესკადრის ოპერაციები ხმელთაშუა ზღვის აუზში და ადმირალ უშაკოვის როლი ამ ოპერაციების წარმატებაში. ავტორი აღნიშნულ საკითხებს განიხილავს მისთვის ჩვეული ერუდიციით, დიდძალი წყაროების, მემუარული მასალებისა და სხვა ხასიათის ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე.

ბურჟუაზიული ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, ე. ტარლე არ კმაყოფილდება მარტო ფაქტების გადმოცემით და ზედაპირული მოვლენების აღწერით. იგი, ოსტატურად იმარჯვებს რა მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიას, საფუძვლიან ანალიზს უკეთებს განსახილველ საკითხებს, ნათელყოფს მათ შორის არსებულ კავშირს და არკვევს იმ ეკონომიურ, პოლიტიკურ და სამხედრო-სტრატეგიული ხასიათის მოტივებს, რომლებითაც განპირობებული იყო მეტამორფოზები ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობაში. მაგ., რუსეთსა და საფრანგეთს შორის არსებული ანტაგონიზმის ნათელსაყოფად ე. ტარლე სხვა ფაქტორებთან ერთად ყურადღებას აქცევს აღმოსავლეთის საკითხის დიდ როლს და მოტანილი მასალების ანალიზისა და განზოგადოების საფუძველზე იძლევა მის დასაბუთებას.

მაგრამ ე. ტარლე დასახელებული ნაშრომების გარკვეული მიზანდასახულობისა და მოცულობის გამო ჩვენი საკვლევო პრობლემის მხოლოდ ზოგიერთ საკითხს აშუქებს და ისიც შედარებით მოკლე ქრონოლოგიურ ჩარჩოებში, გაკვრით და მოკლედ. ამიტომ, ბუნებრივია, რომ, სწორი მეთოდოლოგიური პრინციპების მომარჯვების, ღრმა ანალიზისა და საფუძვლიანი დასკვნების მიუხედავად, მას არ შეეძლო მოეცა პრობლემის მთელი კომპლექსის რამდენადმე ნათელი სურათი.

რუსეთის საგარეო პოლიტიკას საერთოდ, კერძოდ კი მის ურთიერთობას საფრანგეთთან XVIII ს. დასასრულისა და XIX ს-ის დამდეგისათვის აშუქებს პროფ. ს. ოკუნი (С. Б. Окунь) თავის ნაშრომში: „Очерки истории СССР, конец XVIII—первая четверть XIX века“, Ленинград, 1956.

რუსეთის ისტორიის სხვა საკითხებთან ერთად დასახელებულ ნაშრომში პროფესორი ოკუნი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით

აშუქებს რუსეთის საგარეო პოლიტიკასაც. მაგრამ ვინაიდან XVIII — XIX სს. მიჯნაზე რუსეთის საგარეო პოლიტიკის ფოკუსში საფრანგეთის რევოლუციური იდეების წინააღმდეგ ბრძოლა იყო მოქცეული, ამდენად, ბუნებრივია, რომ ოკუნი სერიოზულ ყურადღებას აქცევს ამ საკითხს.

ოკუნი აღნიშნული საკითხის მიმოხილვას იწყებს პავლე I-ის მეფობით, მისი საგარეო პოლიტიკური პრინციპების დადგენით, ამასთან ერთად იგი იძლევა მრავალი ისტორიკოსის ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებათა სამართლიან კრიტიკას.

ეხება რა პავლე I-ის დამოკიდებულებას ეკატერინე II-ის მემკვიდრეობისადმი საგარეო პოლიტიკის დარგში, ავტორი ასახელებს იმ ნაბიჯებს, რომელიც პავლემ გადადგა საფრანგეთთან ურთიერთობაში. აქვე იგი განიხილავს რუსეთის დიპლომატიურ ნაბიჯებს ავსტრიისა და პრუსიის მიმართ კამპო-ფორმიოს ზავის დადებამდე.

ხაზგასმით აღნიშნავს რა საფრანგეთთან მორიგების შეუძლებლობას, ავტორი ჩამოთვლის იმ პოლიტიკურ და სამხედრო-სტრატეგიულ მოტივებს, რომლებიც საფუძვლად დაედო რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილებას — შეეკოწიწვბინა ანტიფრანგული კოალიცია და მისი ერთ-ერთი ორგანიზატორი გამხდარიყო. ამის შემდეგ ავტორი განიხილავს 1799 წლის ომს საფრანგეთის წინააღმდეგ, კერძოდ სუვოროვის ბრწყინვალე ოპერაციებს იტალიასა და შვეიცარიაში და ამ ოპერაციების შედეგებს. გზადაგზა იგი ეხება იმ დიპლომატიურ თუ სხვა ხასიათის ქიშპობას, რომელიც გაჩაღდა ანტიფრანგული კოალიციის რიგებში, კერძოდ რუსეთსა და ავსტრიას შორის.

დაბოლოს, ავტორს მოცემული აქვს ცნობები ანტიფრანგული კოალიციის დაშლის, მისი რიგებიდან რუსეთის გამოსვლის, რუსეთ-საფრანგეთის დაახლოებისა და ნაპოლეონის და პავლე I-ის მოლაპარაკების შესახებ. პავლე I-ის საწინააღმდეგო შეთქმულების ორგანიზაციისა და მკვლელობის აქტის განხორციელების ფაქტის გადმოცემით ავტორი ამთავრებს თხრობას ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესახებ.

ნაშრომის ხასიათი ავტორს საშუალებას არ აძლევდა ვრცლად და საფუძვლიანად განეხილა აღძრული საკითხები, გაცილებოდა ზოგადი თხრობის ფარგლებს და დებულებები და დასკვნები კონკრეტული მონაცემებით დაედასტურებინა. ზოგადობა, წყაროებსა

და ლიტერატურაზე მიუთითებლობა, დასკვნების არასაკმარისობა. მოცემული ნარკვევების მთავარ ნაკლს წარმოადგენს. ამასთან ერთად, ავტორს მხედველობის მიღმა რჩება რუსეთ-საფრანგეთის მოცემული პერიოდის მთელი რიგი მომენტები და განმსაზღვრელი ფაქტორები. მაგალითად, იგი მხოლოდ გაკვრით ეხება აღმოსავლეთის საკითხს და ეკონომიურ ფაქტორს, რომელთაც მუდამ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობისათვის.

ლანინი თავის წერილში „Внешняя политика Павла I в 1796—1798 гг." (ნარკვევი მოთავსებულია კრებულში „Ученые записки Ленинградского госуд. университета, серия историч. наук, вып. 10, № 80, 1941, გვ. 3—44), საკმაოდ ვრცლად შეეხო რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ორი წლის მონაკვეთს.

წერილის დასაწყისში ავტორი გადმოსცემს სხვადასხვა ისტორიკოსის შეხედულებას პავლე I-ის მეფობის ხასიათისა და მისი საგარეო პოლიტიკის პრინციპების შესახებ, არჩევს ამ შეხედულებებს და იძლევა საკუთარ, არსებითად მართებულ დასკვნებს, ამასთან დაკავშირებით იგი განიხილავს პავლე I-ის საგარეო პოლიტიკის მიმართულებას მისი გამეფების დასაწყისისათვის და მის შემაპირობებელ ფაქტორებს. ის მხედველობიდან არ უშვებს ეკატერინე II-ის საგარეო პოლიტიკისა და პავლე I-ის გამეფების საწყისი პერიოდის საგარეო პოლიტიკური ნაბიჯების შედარებას და მათი მსგავსება-დაპირისპირების ჩვენებას.

ამ ზოგადი შესავლის შემდეგ ლანინი მოკლედ აღწერს ნაპოლეონის ოპერაციებს იტალიაში, ავსტრიის დამარცხებას და რუსეთის ცდას — ხელი შეეშალა საფრანგეთის აგრესიის შემდგომი გაფართოებისათვის ავსტრიის ხარჯზე საფრანგეთ-ავსტრიის ურთიერთობაში ჩარევის გზით. ასევე მოკლედ მიმოიხილავს იგი რუსეთ-საფრანგეთის მოლაპარაკებას ბერლინში, მის წარუმატებლობას. პრუსია-ავსტრიის ურთიერთობაში არბიტრის როლში რუსეთის გამოსვლის წარუმატებლობას და კამპო-ფორმიის ზავის შედეგებს რუსეთისათვის.

საკმაოდ ვრცლად და თანმიმდევრობით განიხილავს ლანინი მეორე ანტიფრანგული კოალიციის მომზადებას, ნაპოლეონის ლაშქრობას აღმოსავლეთში და მის შედეგად რუსეთის პოზიციის თანდათანობით მკვეთრ შემობრუნებას საფრანგეთის წინააღმდეგ. აქვე ხაზგასმულია აღმოსავლეთში ნაპოლეონის აგრესიის და პოლონეთ-

ში ფრანგთა ძირგამომთხრელი საქმიანობის დიდი როლი საფრანგეთის წინააღმდეგ ომში რუსეთის ჩაბმის საქმეში.

ავტორი მხედველობიდან არ უშვებს რუსეთის დაინტერესებას კუნძული მალტით, რეპნინის მისიას ბერლინში, მის წარუმატებლობას და სხვ. სერიოზულ ყურადღებას აქცევს ხმელთაშუა ზღვის აუზის, კერძოდ იონიის კუნძულების ბედის საკითხს და რუსეთის როლს კოალიციაში ავსტრიის ჩაბმის საქმეში.

ლანინს ნაშრომის დასკვნით ნაწილში განხილული აქვს ღონისძიებები, რომლებიც პავლე I-მა განახორციელა მეორე ანტიფრანგული კოალიციის შექმნის დასაჩქარებლად ფრანგების წინააღმდეგ (პრუსიაზე ზემოქმედების მოხდენა, ინგლისთან და ნეაპოლის სახელმწიფოსთან ხელშეკრულების დადება, ჯარების დაძვრა დასავლეთი-საკენ, ავსტრიის გამოყვანა ნეიტრალური მდგომარეობიდან და ა. შ.), აქვე ჩამოყალიბებულია ის მიზნები, რომლებიც ამოქმედებდა პავლე I-ს, როცა იგი ანტიფრანგულ კოალიციაში ებმებოდა, და კოალიციის საომარი ღონისძიებები, რომლებიც 1798 წლის დასასრულისათვის განახორციელა პავლემ საფრანგეთის წინააღმდეგ.

საკითხთა წყების საფუძვლიანი განხილვა, მართებული დასკვნები და განზოგადებები, რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ცვლილებებისათვის ძირითადად სწორი მიზეზების მონახვა ლანინის წერილის ღირსებაზე მიუთითებს.

მაგრამ, ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ლანინის ნარკვევს შეზღუდული ხასიათი აქვს. იგი ვიწრო ქრონოლოგიური ჩარჩოებითაა შემოფარგლული. ავტორს არ გამოუყენებია მთელი რიგი არსებითი ხასიათის გამოქვეყნებული დოკუმენტები და საარქივო მასალა. მას აგრეთვე ყურადღება არ მიუქცევია რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ზოგი მნიშვნელოვანი მხარისათვის, რაც, რასაკვირველია, წარმოადგენს შოცემული ნარკვევის ნაკლოვან მხარეებს.

ე. ბურჯალოვი ლექციის სტენოგრამაში („Царизм в борьбе с Французской революцией", стеногр. лекций, М., 1940) ზოგადად ეხება XVIII — XIX საუკუნეების მიჯნის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობას და თავის შოსაზრებებს გამოთქვამს მის შესახებ.

ვინაიდან ლექციის ამოცანაა იმ ნაბიჯების ჩვენება, რაც მეფის რუსეთმა საფრანგეთის რევოლუციის გასანადგურებლად და მისი „გამხრწნელი" გავლენის აღსაკვეთად გადადგა, ბუნებრივია, საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობაც ავტორს ამასთან დაკავშირებით

და ამ ასპექტში აქვს განხილული. 45 გვერდიანი საჯარო ლექციის სტენოგრამა ავტორს საშუალებას არ აძლევდა ვრცლად შეჩერებულიყო მოცემულ საკითხზე და თან საჭირო წყაროები და ლიტერატურა მოეტანა. ამიტომ ავტორის თხრობისათვის დამახასიათებელია სქემატურობა, ზოგადობა და კონსპექტურობა.

ლექციის სტენოგრამის დასაწყისში ბურჯალოვი მოკლედ ეხება საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის გამოძახილს რუსეთში და იმ ღონისძიებებს, რომელნიც ეკატერინე II-ემ განახორციელა აღნიშნული რევოლუციის „გამხრწნელი" გავლენის აღსაკვეთად. ამის შემდეგ იგი განიხილავს პოლონეთის საკითხს, ეკატერინე II-ის დამოკიდებულებას პირველი ანტიფრანგული კოალიციისადმი და საფრანგეთის წინააღმდეგ იმ ნაბიჯებს, რაც მან სიკვდილის გამო სისრულეში ვერ მოიყვანა.

ავტორს ზოგად ხაზებში მოცემული აქვს ცნობები იმ ღონისძიების შესახებ, რომელიც პავლე I-მა განახორციელა არსებული სოციალური წყობის განსამტკიცებლად და „შფოთის" აღმოსაფხვრელად.

ასევე მოკლედ მიმოიხილავს ავტორი მეორე ანტიფრანგული კოალიციის ორგანიზაციას, პავლე I-ის ჩაბმას მასში, ამ კოალიციის ომს საფრანგეთის წინააღმდეგ, კოალიციის მიზნებს, ამოცანებს და მის შედეგებს (დასკვნები ანტიფრანგული კოალიციის შედეგების შესახებ მართებულია, თუმცა მოკლეა).

ლექციის ბოლო ნაწილს ბურჯალოვი მიუძღვნის რუსეთის საგარეო პოლიტიკის კურსის შემობრუნებას და ამის განმაპირობებელ ფაქტორებს, ნაპოლეონისა და პავლე I-ის დაახლოებას და ამ დაახლოების ფინალურ აქტს — 11 მარტს პავლეს მკვლელობის სახით. აქვე იგი ჩამოთვლის იმ გარემოებებს, რომლებმაც მისი აზრით, მთავარი როლი შეასრულა საფრანგეთ-რუსეთის დაახლოების ცდის წარუმატებლობაში და დააჩქარა პავლეს საწინააღმდეგო შეთქმულების ორგანიზაცია.

მართალია, ბურჯალოვის ლექცია გამართული მსჯელობითა და დასკვნებით ხასიათდება, მაგრამ იგი ძალზე ზოგადია, სქემატური, და მხოლოდ პოპულარული ხასიათი აქვს.

ცალკეულ, ეპიზოდურ ცნობებს და დასკვნებს XVIII—XIX სს. მიჯნის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ იძლევიან საბჭოთა ავტორები: ნაროჩნიცკი[1], ნოტმანი[2], პრესნოვი[3], სამოილოვი[4], ავერბუხი[5] და სხვები. მაგრამ ვინაიდან ეს ცნობები სპორადულია და თანაც პოპულარულ ხასიათს ატარებენ, ამიტომ მათი ცალკეულად განხილვა ჩვენ ზედმეტად მივიჩნიეთ.

---

[1] А. Л. Нарочницкий, Международные отношения европейских государств с 179[illegible] по 1830 г., стен. лекц., Москва, 1946.

[2] К. В. Нотман, Внешняя политика царской России конца XVIII и начала XIX вв., Ленинград, 1933.

[3] А. Пресков, Царская Россия и революция 1789 г., „Историч. журнал", № 2, 1937, ss. 60—70.

[4] В. И. Самойлов, Внутренняя и внешняя политика Павла I (1796—1801 гг.), Хлебниково, 1946.

[5] Р. Авербух, Политика европейских держав накануне и в первые годы Французской революции (1789—1791), „Труды госуд. инстит. истории и литер. им. Н. Г. Чернышевского" т. VI, М., 1940, ss. 150—164.

თავი II

რუსეთისა და საფრანგეთის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა და მათი ურთიერთობა 1789—1796 წლებში

1. რუსეთის თავადაზნაურულ-ბატონყმური მონარქია XVIII საუკუნის დამლევს (მოკლე მიმოხილვა)

რუსეთის ბატონყმურ-თვითმპყრობელური იმპერია XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ, ეკატერინე II-ის მეფობის უკანასკნელ წლებში მოსახლეობის სიმრავლით, ტერიტორიითა და პოლიტიკური მნიშვნელობით ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ძლიერი სახელმწიფო იყო ევროპაში. ევროპის სახელმწიფოთა იმდროინდელ საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობათა ჯაჭვში რუსეთის როლი მეტად დიდი იყო, ცალკეულ მომენტებში კი — გადამწყვეტიც. როგორც განსვენებული საბჭოთა ისტორიკოსი კ. ბაზილევიჩი წერდა, რუსეთის ცარიზმის როლი ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში იმდენად დიდი იყო, რომ უმისოდ ევროპის ცხოვრების წარმოდგენა თითქმის შეუძლებელია[1].

დიდი ტერიტორია, მრავალრიცხოვანი მოსახლეობა, მრავალფეროვანი ბუნებრივი სიმდიდრეები, მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა და ძლიერი ბრძოლისუნარიანი არმიის ყოლა ამ იმპერიის სიძლიერის მთავარ განმაპირობებელ ფაქტორებს წარმოადგენდა; ამ საქმეში მცირე როლს როდი ასრულებდა სუსტი სახელმწიფოების მეზობლობა (თურქეთი, შვეცია, პოლონეთი), რომლებიც ერთმანეთთან ბრძოლით და რუსეთის წინააღმდეგ წარმოებული

---

[1] К. В. Базилевич, Прогрессивная роль России в политической жизни Европы, М., 1949, გვ. 3 და შემდეგი.

ომებით სასტიკი დამარცხების შედეგად იქცნენ განაწილების ობიექტებად.

ახასიათებდა რა რუსეთის ამ მეზობლებს და მათ ურთიერთობას რუსეთთან, ფ. ენგელსი შემდეგს წერდა: მიუდგომელი ქვეყნის (რუსეთის — ვ. დ.) მეზობლები მთლიანად იყვნენ ისეთი ქვეყნები, რომლებმაც დაცემა განიცადესო. „...ჩრდილოეთით—შვეცია, რომლის ძალა და პრესტიჟი დაეცა სახელდობრ იმის შედეგად, რომ კარლოს XII შეეცადა შეჭრილიყო რუსეთის სიღრმეში. ამით მან დაიღუპა თავისი თავი და ყველას დაანახვა რუსეთის უვნებლობა (неуязвимость), სამხრეთით—თურქები და მათი მოხარკე, ყირიმელი თათრები, რომლებიც ძველი დიდების მხოლოდ ნამსხვრევებს წარმოადგენენ — სრული დაშლის მდგომარეობაში მყოფი პოლონეთი, თავადაზნაურობის რესპუბლიკა... თავისი კონსტიტუციის გამო რაიმე ნაციონალური მოქმედებისათვის უნარმოკლებული და ამით განწირული თავისი მეზობლების იოლ ნადავლად ქცეულიყო“[1].

რუსეთის ბატონყმურ-თავადაზნაურული იმპერია ეკატერინე II-ის მეფობის პერიოდში ვითარდებოდა იმ სოციალურ-ეკონომიური პროცესებისა და საგარეო პოლიტიკური ხაზის შესატყვისად, რომელსაც ჯერ კიდევ პეტრე I-ის მეფობის პერიოდში ჩაეყარა საფუძველი. ეს პროცესები აღმოცენდა იმ სარეფორმო ღონისძიებების შედეგად, რომლებიც გაატარა პეტრემ და რომლებიც შეეხო ცხოვრების ყველა მხარეს. ამ სარეფორმო ღონისძიებებს რუსეთის თავადაზნაურული მონარქიის შემდგომი განვითარებისათვის უდავოდ პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა.

პეტრე I-ის მიერ გატარებული რეფორმები კლასობრივი ხასიათის იყო და თავადაზნაურთა და ახლად ჩასახულ ვაჭართა ინტერესებს ემსახურებოდა. იგი მიზნად ისახავდა ექსპლოატატორული კლასების ბატონობის განმტკიცებას და მშრომელთა, პირველ რიგში, გლეხობის ექსპლოატაციის შემდგომ გაძლიერებას.

რუსეთის თავადაზნაურობის კლასობრივი ინტერესები მოითხოვდა ტექნიკურ-ეკონომიური და სამხედრო ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას და არმიის ბრძოლისუნარიანობის გადიდებას. ეს საჭირო იყო არა მარტო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად, არამედ მშრომელი მასების აქტივობის და წინააღმდეგობის ძალების ჩასახშობად. პეტრემ მოახერხა იმ ამოცანების გადაწყვეტის გზების პოვნა, იმ ძალებისა და საშუალებებისა, რომლებიც ქვეყნის

---

[1]. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XVI, ч. II, гг. 9—10.

სოციალურ-ეკონომიური განვითარებით იყო დასმული, თუმცა, იგი როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „...ბარბაროსობასთან ბრძოლაში არ ერიდებოდა ბარბაროსულ საშუალებათა გამოყენებას“[1].

„...პეტრე დიდმა, — ამბობდა ი. ბ. სტალინი გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან საუბარში, — რა თქმა უნდა, ბევრი რამ გააკეთა მემამულეთა კლასის ასამაღლებლად და ახლად გაჩენილ ვაჭართა კლასის განსავითარებლად. პეტრემ ძალიან ბევრი გააკეთა მემამულეთა და ვაჭართა ეროვნული სახელმწიფოს შესაქმნელად და განსამტკიცებლად. უნდა ითქვას აგრეთვე, რომ მემამულეთა კლასის ამაღლება, ახლად გაჩენილი ვაჭართა კლასისათვის ხელის შეწყობა და ამ კლასების ეროვნული სახელმწიფოს განმტკიცება ხდებოდა ყმა გლეხობის ხარჯზე, რომელსაც სამმაგ ტყავს აძრობდნენ“[2].

გაბატონებული კლასების ინტერესების შესატყვისად პეტრეს მიერ გატარებული რეფორმები ეკონომიურ, ადმინისტრაციულ, სამხედრო, ვაჭრობის, დიპლომატიურ და კულტურის დარგებში (კერძოდ, ღონისძიებებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განსავითარებლად, გზების და არხების მშენებლობა, ვაჭრობისა და ვაჭრების მფარველობა, სამამულო ფლოტის შექმნა და სხვ.) ხელს უწყობს რუსეთის თვითმპყრობელური სახელმწიფოს განმტკიცებას, ბიძგს აძლევს ერთიანი ეროვნული ბაზრის შექმნას, ხელოსნობისა და მანუფაქტურების განვითარებას. იგი ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ჩარჩოებში ამზადებს ნიადაგს საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარებისა და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ელემენტების ყლორტების გაფურჩქვნისათვის, კაპიტალისტური მეურნეობის ფორმების ჩასახვისათვის. სწორედ პეტრეს პოლიტიკის უშუალო შედეგს წარმოადგენდა რუსეთის სახელმწიფოს გაფართოება, გაძლიერება და მისი საერთაშორისო პოზიციების შემდგომი განმტკიცება.

პეტრე I-ის მმართველობაში საფუძველი ჩაეყარა შვეციის, თურქეთის, პოლონეთის, ინგლისის, გერმანიის, ჰოლანდიისა და იტალიის სახელმწიფოების მიმართ იმ ახალ პოლიტიკურ კურსს, რომელიც ახალ ვითარებას ქმნის ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკურ ურთიერთობაში. ეს საგარეო პოლიტიკური კურსი შემდგომ განვითარებას ჰპოვებს მისი მემკვიდრეობის მეფობის წლებში.

იგივე უნდა ითქვას პეტრე I-ის საშინაო პოლიტიკის ისტორიული ბედის შესახებაც. პეტრეს შემდეგდროინდელი რუსეთის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 27, გვ. 407.
[2] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 13, გვ. 109—110.

ყველა მეფე და თვით ეკატერინე II განუხრელად ავითარებდნენ პეტრე I-ის მეფობაში გამომუშავებულ პოლიტიკურ ხაზს, აძლიერებდნენ თავადაზნაურობის პოზიციებს, ამტკიცებდნენ ბატონყმობას და აღრმავებდნენ ყმა გლეხთა ექსპლოატაციას.

ეკატერინე II-ის მეფობის პერიოდში რუსეთის ფეოდალურ-აბსოლუტური მონარქია განიცდის შემდგომ ევოლუციას. ეს ევოლუცია გამოიხატა ქვეყნის საწარმოო ძალთა შემდგომ განვითარებაში, საერთო ეკონომიურ-კულტურულ აღმავლობაში, თავადაზნაურული დიქტატურის შემდგომ განმტკიცებაში, გლეხთა და სხვა მშრომელთა ექსპლოატაციის კიდევ უფრო გაღრმავებაში, დაბოლოს, ეს ევოლუცია გამოვლინდა რუსეთის მრავალერიანი სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტის შემდგომ გაძლიერებასა და ტერიტორიულ გაფართოებაში.

ეკატერინე II („კაბაგადაცმული და გვირგვინოსანი ტარტიუფი", როგორც უწოდებდა მას პუშკინი, ან „დიდი მრუში" ენგელსის გამოთქმით), წარმოშობით გერმანელი, რუსეთის საიმპერატორო ტახტს დაეუფლა სასახლის გადატრიალების შედეგად, რომელიც თავადაზნაურთა წრიდან გამოსულმა გვარდიის ოფიცრებმა მოახდინეს. ამას ანგარიში გაუწია ეკატერინემ და, განავითარა რა რუსეთის მემკვიდრეობით მიღებული საშინაო და საგარეო პოლიტიკა, წარმართა იგი თავადაზნაურთა ექსპლოატატორული კლასის პრივილეგიების და უფლებების შემდგომი გაფართოების მიმართულებით, მათი ექსპლოატატორული მისწრაფებების მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად[1].

ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმის კრიზისის გაღრმავება, კაპიტალისტური წარმოების წესის ჩასახვა და წინააღმდეგობა განვითარებაში მყოფ საწარმოო ძალებს და ძველ საწარმოო ურთიერთობათა შორის, ერთის მხრივ, და გლეხთა აჯანყების ტალღის აზვირთება, რომელიც მოედო რუსეთის იმპერიის ვრცელ ტერიტორიას, კერძოდ, გლეხთა დიდი აჯანყება პუგაჩოვის ხელმძღვანელობით,

---

[1] „ეკატერინე II-ის გამჭრიახობა იმაში გამოიხატებოდა,—წერს განსვენებული აკადემიკოსი ა. პანკრატოვა,—რომ მან გაიგო, თუ როგორ შეეძლო იმ ტახტის შენარჩუნება, რომელზედაც მას არავითარი უფლება არ ჰქონდა. ეფარებოდა რა ლიბერალურ ფრაზებს და ხახს უსვამდა რა თავის ხრუნვას რუსი ხალხისადმი, რაც სავსებით უცხო იყო მისთვის, იგი თანმიმდევრულად ამტკიცებდა ბატონყმურ ელემენტებს ქვეყანაში და მით მოიპოვა რუსეთის თავადაზნაურობის მხარდაჭერა, რომელსაც იგი სავსებით სამართლიანად მიიჩნევდა რუსეთის სამეფო კარის გადამწყვეტ ძალად". („Вопросы преподавания истории СССР в свете решений XX съезда КПСС", М., 1956, გვ. 34).

მეორეს მხრივ, მეტად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რუსეთის იმპერიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ხასიათზე ეკატერინე II-ის მმართველობის წლებში და აძლევს მას უფრო და უფრო რეაქციულ ხასიათს, განსაკუთრებით 1789 წლიდან — საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის გაჩაღების დროიდან.

„განათლებულმა მონარქმა"—ეკატერინე II-ემ თავადაზნაურთა კლასობრივი ინტერესების შესატყვისად მთელი რიგი საკანონმდებლო აქტებით უკიდურესობამდე განავითარა ბატონყმური ინსტიტუტი და იგი გლეხობისათვის თითქმის აუტანელ რეჟიმად აქცია. 1765 და 1767 წლების ბრძანებულებებით ყმა გლეხთა უზომო ექსპლოატაციის უფლებასთან ერთად მან მემამულეებს მიანიჭა ასეთივე სრულყოფილი უფლება მათ მიმართ სასამართლო-საპოლიციო საქმეებშიაც. მემამულეებს უფლება ეძლეოდათ გაეყიდათ ყმა-გლეხები ოჯახის წევრებთან ერთად ან ცალკე, მიწით ან უმიწოდ, გაეგზავნათ ჯარში, გამოეყენებინათ მათ მიმართ ფიზიკური დასჯის ყოველი სახე ანდა გადაესახლებინათ ციმბირში და ა. შ.

პუგაჩოვის მეთაურობით მომხდარი გლეხთა დიდი აჯანყების ჩახშობისა და თვით პუგაჩოვის სიკვდილით დასჯის შემდეგ რუსეთში სულისშემხუთავი თავადაზნაურული რეაქცია დამყარდა. დამთავრდა ე. წ. „განათლებული აბსოლუტიზმის" ხანმოკლე პერიოდი. ქვეყნის მმართველობის თავადაზნაურული აპარატის გაძლიერებით, რომლის ამოცანა იყო გლეხთა მოსალოდნელი აჯანყებების აღკვეთა და საამისოდ შესაფერი პირობების შექმნა; თავადაზნაურობისათვის დამატებით ახალი პრივილეგიების მიცემით, რამაც ფიქსაცია ჰპოვა 1785 წელს „თავადაზნაურთა წყალობის სიგელში", ყოველივე ამით რუსეთში სრულყოფილი თავადაზნაურული დიქტატურა დამყარდა.

ენგელსის თქმით, ეკატერინემ გლეხთა ჩაგვრა სრულყოფილი გახადა და დააგვირგვინა კანონმდებლობა, რომელიც „ნებას აძლევდა მემამულეებს სულ უფრო და უფრო ეყვლიფათ გლეხები, ისე რომ ჩაგვრა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა"[1].

თავადაზნაურთა კლასის პრივილეგიური მდგომარეობის განმტკიცება და მისთვის ყმა-გლეხობის განუსაზღვრელი ექსპლოატაციის შესაძლებლობის შექმნა, ახალი მიწების, ყმების და ბაზრების შეძენისათვის ხელის შეწყობა წარმოადგენდა ეკატერინეს საშინაო და საგარეო პოლიტიკის მაგისტრალურ ხაზს. მისი ასეთი პოლი-

---

[1] ფრ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ. 421.

ტიკა სავსებით კანონზომიერი და ბუნებრივი იყო, რადგან ეს ექსპლოატატორული კლასი მისი ბატონობის საყრდენს წარმოადგენდა.

მაგრამ, ამასთან ერთად ეკატერინე II, პეტრე I-ის მსგავსად, მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა მეორე ექსპლოატატორულ კლასს, ჯერ კიდევ სუსტს, მაგრამ აღმავალს — ქალაქის სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიას. იგი ცდილობდა წაეხალისებინა, გაეფართოებინა ამ უკანასკნელის საქმიანობის ასპარეზი; წამოეწია წინ და თავისი მფარველი ხელი არ მოეკლო მისთვის.

მსგავსად „თავადაზნაურობის წყალობის სიგელისა", ეკატერინემ წყალობის ასეთივე სიგელი უბოძა ქალაქის ბურჟუაზიასაც. ეს სიგელი („грамота городам") „...აჯამებდა საუკუნის შედეგებს ქალაქთა მიმართ". რუსეთის ისტორიაში იგი პირველად აძლევდა საერთო ორგანიზაციას არა მარტო ქალაქის მცხოვრებთა ცალკეულ ჯგუფებს, არამედ მთლიანად მის მოსახლეობას.

სოფლის მეურნეობა რუსეთის ბატონყმურ-მონარქიული სახელმწიფოს ეკონომიური ცხოვრების ძირითადი დარგი იყო. მაგრამ მიწებისა და მეურნეობის ხელმძღვანელობის მემამულეთა კლასის ხელში მოქცევა, ბატონყმური ურთიერთობის არსებობა, რომელიც მიწაზე ფეოდალურ საკუთრებასთან ერთად გულისხმობდა „გარეშე ეკონომიური იძულების" შეტად მწვავე ფორმების გამოყენებასაც, აპირობებდა სოფლის მეურნეობის საერთო ჩამორჩენილობას, მის ექსტენსიურ ხასიათს. იგი აფერხებდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას, საწარმოო ძალთა წინსვლას და შრომის დაბალი ნაყოფიერების მიზეზი იყო. მიუხედავად ამ მუხრუჭების არსებობისა, წინა პერიოდთან შედარებით რუსეთის სოფლის მეურნეობამ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა.

სოფლის მეურნეობის ზრდა-განვითარების ტენდენცია ვლინდება ნათესი ფართობის შემდგომ გადიდებასა და მეურნეობის ინტენსიფიკაციაში; წარმოებაში ზოგიერთი ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დანერგვასა და მოსავლიანობის გადიდებაში, პროდუქციის გაზრდაში. მაგრამ სოფლის მეურნეობის აღმავლობის აღნიშნული პროცესი არ იყო თანაბრად დამახასიათებელი იმპერიის ყველა ნაწილისათვის. იგი უფრო შესამჩნევი იყო ცენტრალურ და დასავლეთის ახლად შემოერთებულ გუბერნიებში.

სოფლის მეურნეობის განვითარებას სტიმულს აძლევდა რუსეთის მოსახლეობის ზრდა საერთოდ, კერძოდ კი, ქალაქებისა, და, მაშასადამე, მოთხოვნილების შემდგომი გადიდება სასოფლო-სამე-

ურნეო პროდუქტებზე. ამავე მიმართულებით მოქმედებდა მემამულეთა გაუმაძღარი მისწრაფება სიმდიდრის დაგროვებისაკენ. საკაჭრო კაპიტალის მნიშვნელოვანი რაოდენობით დაბანდება მიწათმოქმედებაში და ხელსნური წარმოებისა და ბატონყმურ-გლეხური მანუფაქტურის (ნაწილობრივ ბურჟუაზიულისაც) ზრდა, რაც აგრეთვე იწვევდა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე მოთხოვნილების გადიდებას. ამ საქმეში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა რუსეთის საგარეო ვაჭრობის ზრდა. რუსეთის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის და სურსათ-სანოვაგის მზარდი რაოდენობით ექსპორტი საზღვარგარეთ მძლავრ სტიმულს აძლევდა რუს მემამულეებს საექსპორტო კულტურების (სელი, კანაფი, ქერელი და სხვა) წარმოების მნიშვნელოვნად გადიდებაში.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთში სოფლის მეურნეობის გვერდით იზრდებოდა და ვითარდებოდა სასაქონლო-საბაზრო ურთიერთობა. მრეწველობა და ვაჭრობა ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების მნიშვნელოვან დარგებად იქცეოდა. მზადდებოდა ნიადაგი ერთიანი ეროვნული ბაზრის შექმნისათვის. ხელისუფლების მიერ გატარებული წამახალისებელი ღონისძიებები (პროტექციონისტული პოლიტიკა — უცხოეთიდან შემოზიდულ რიგ საქონელზე მაღალი ბაჟების დადება, სუბსიდიების მიცემა და სახელმწიფო დაკვეთების სისტემა) სხვა სტიმულთან ერთად ხელს უწყობდა სახალხო მეურნეობის ამ დარგების განვითარებას.

ლითონის ნაწარმი, მაუდი, შალეული და სელის ნაწარმი მნიშვნელოვანი რაოდენობით მზადდებოდა რუსეთში XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში. აღნიშნულ და მთელ რიგ სხვა საქონლის გამოშვება გასული საუკუნის ბოლო წლებთან შედარებით რამდენიმე ათეული პროცენტით გადიდდა. მანუფაქტურული ტიპის საწარმოები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მრავალრიცხოვან სახელოსნოებს, XVIII საუკუნის დასასრულისათვის (1796 წ.) რამოდენიმე ათეული პროცენტით გაიზარდა და 1762 წელს არსებულ 984 ერთეულიდან 3161-ს მიაღწია (აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი რაოდენობა მოდიოდა ტყავის მრეწველობაზე — 848 მანუფაქტურა, აბრეშუმისაზე — 339; ტილოსაზე — 377; მაუდისაზე—151; ქაღალდისაზე — 72 და ა. შ.)[1].

---

[1] В. Бурнашев, Очерк истории мануфактур в России. СПБ., 1883, გვ. 16—18, 26—29. განსვ. აკად. ტარლე 1918 წ. გამოქვეყნებულ სტატიაში „Была ли Екатерининская Россия экономически отсталою страною", კონკრეტული მონაცემებით და რუსეთში ნამყოფ ფრანგთა და სხვა უცხოელთა

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთში სამრეწველო მანუფაქტურების სამი ტიპი არსებობდა. ასეთი იყო: ბატონყმური, იძულებით შრომაზე დამყარებული თავადაზნაურული მანუფაქტურები, გლეხური მანუფაქტურები (ე. წ. ყმურ მდგომარეობაში მყოფი შეძლებული გლეხების მანუფაქტურები) და ვაჭრულ-ბურჟუაზიული მანუფაქტურები; მანუფაქტურების უკანასკნელ ორ ტიპს ახასიათებდა დაქირავებული შრომა და მასში კაპიტალისტური წესები იყო წამყვანი, თუმცა შემორჩენილი იყო ბატონყმური ურთიერთობის მნიშვნელოვანი ელემენტებიც.

ბატონყმურ რუსეთში, რომელიც წარმოადგენდა თავადაზნაურული დიქტატურის ქვეყანას, რა თქმა უნდა, ჭარბობდა პირველი ტიპის მანუფაქტურები, რომელნიც მემამულე თავადაზნაურებს ეკუთვნოდათ. ასეთი მანუფაქტურები უმთავრესად მემამულეების ტერიტორიაზე იყო განლაგებული. ამ მანუფაქტურებში გამოყენებული იყო ამავე მემამულეების ყმა-გლეხების იძულებითი შრომა. ურალის სამთამადნო საწარმოებში, რომელთა დიდი ნაწილი, როგორც ცნობილია, მემამულეებს (სტროგანოვები და სხვები) ეკუთვნოდათ, გაბატონებული იყო მიწერილი ყმა-გლეხების იძულებითი პროფესიული შრომა, რომელიც ციმბირში გადასახლებულთა უმძიმესი შრომის პირობების ნაირსახეობას წარმოადგენდა.

თავადაზნაურობა, როგორც გაბატონებული პრივილეგიური კლასი, სარგებლობდა რა თვითმპყრობელური ხელისუფლების ხელის შეწყობით, ყოველმხრივ იბრძოდა, რათა შეენარჩუნებინა თავისი პრივილეგიები და გაბატონებული მდგომარეობა მრეწველობის დარგში, ხელი შეეშალა დაქირავებულ შრომაზე დამყარებული კაპიტალისტური ტიპის მანუფაქტურების განვითარებისათვის. მაგრამ ცხოვრების მატერიალური წარმოების წესში დაწყებული ცვლილებების შედეგად ეს პრივილეგიები თანდათან ხელიდან ეცლებოდათ, ხოლო გლეხური და ვაჭრულ-ბურჟუაზიული მანუფაქტურები უფრო და უფრო იკაფავდა გზას რუსეთის მრეწველობაში.

მართალია, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთში ჯერ კიდევ მარტივი სასაქონლო წარმოება იყო გაბატონებული, მაგრამ ამ საუკუნის დასასრულისათვის უკვე შემზადდა ნიადაგი რთული სასაქონლო ურთიერთობისათვის — კაპიტალისტურ ურთიერთო-

---

ცნობებით ასაბუთებს რუსეთის სამრეწველო წარმოების მნიშვნელოვანი განვითარების ფაქტს მოცემულ პერიოდში (იხ. მისი „Запад и Россия", Петроград, 1918, გვ. 122—125).

ბაზე გადასვლისათვის, რაც სამუშაო ძალის საქონლად გადაქცევასთან, დაქირავებული შრომის ბაზრის წარმოშობასთან, მსხვილი მანუფაქტურების მშენებლობასთან და შრომის ტექნიკური განაწილების წარმატებებთან იყო დაკავშირებული[1].

განსვენებული აკად. პანკრატოვა თავის სტატიაში „О роли товарного производства при переходе от феодализма к капитализму", XVII — XVIII საუკუნეების ეკონომიური განვითარების ანალიზის საფუძველზე კაპიტალისტური მანუფაქტურების არსებობის ფაქტს რუსეთში მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ხედავს. მისი აზრით კაპიტალისტური ტიპის მანუფაქტურები ამ საუკუნის დასასრულისათვის უკვე იმდენად მომძლავრდა, რომ აშკარა გავლენას ახდენდა ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობაზე. დაქირავებული შრომის ბაზარი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალურ-ბატონყმური პირობების მეოხებით აწუდება ძველი ურთიერთობის მძლავრ წინააღმდეგობას, მისი აზრით ნელ-ნელა მაინც ვითარდება. რუსეთის ხელისუფლების ეკონომიურ პოლიტიკაში ამ დროს შემთხვევით არ გაუმარჯვია კურსს, რომელიც ფეოდალურ-ბატონყმური და თვითმპყრობელური რეჟიმის პირობებში შედარებით ფართო თავისუფლებას და გასაქანს აძლევდა ნაციონალურ მრეწველობას[2].

მაგრამ აკად. პანკრატოვა, ამასთან ერთად, იძულებულია აღიაროს, რომ პირვანდელი დაგროვების პროცესი რუსეთში უფრო ნელა მიმდინარეობდა, ვიდრე დასავლეთ ევროპაში, რის გამოც სამრეწველო გადატრიალება რუსეთში დაიწყო მხოლოდ XIX საუკუნის პირველ ნახევარში, რომ მრეწველობის მანუფაქტურული პერიოდი, დაქირავებული შრომის სისტემა და წარმოებით ურთიერთობათა კაპიტალისტური სისტემა მხოლოდ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩამოყალიბდა[3].

აღძრულ საკითხებზე აკად. პანკრატოვას გაცემული პასუხი, ჩვენის აზრით, მართებულად უნდა იქნეს მიჩნეული. ისტორიული სინამდვილის გაყალბება იქნება იმის თქმა, თითქოს XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთში მხოლოდ და მხოლოდ ბატონყმურ-ფეოდალური ურთიერთობა, მარტივი სასაქონლო წარმოება იყო

---

[1] Н. М. Дружинин, Конфликт между производительными силами и феодальными отношениями накануне реформы 1861 года, „Вопросы истории", 1954 г., № 7, გვ. 57.

[2] ჟურნ. „Вопросы истории", 1953, № 9, გვ. 75—76.

[3] იქვე. გვ. 76.

გაბატონებული. მაგრამ ასეთივე შეცდომა იქნება იმის თქმაც, რომ იმდროინდელი რუსეთი უკვე გადავიდა კაპიტალისტური წარმოების საფეხურზე და, მაშასადამე, წარმოების კაპიტალისტური ურთიერთობის ფორმები გაბატონდა. ბატონყმურ-თვითმპყრობელური ურთიერთობის მძლავრ არტახებში მოქცეული რუსეთის მრეწველობა ჯერ კიდევ ატარებდა ძველი სისტემის ყველა ნიშანს, მაგრამ ამავე დროს იგი უფრო და უფრო ავლენდა კაპიტალიზმში გადაზრდის ტენდენციებს.

ეკონომიური განვითარების საერთო პროცესი, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსეთში, მკაფიოდ ვლინდება აღებ-მიცემობის სფეროში, იგი თავის კონკრეტულ გამოსახულებას პოულობს შინაგანი და საგარეო ვაჭრობის შეუჩერებელ წინსვლა-გაფართოებაში.

მანუფაქტურული წარმოების განვითარება, სამუშაო ძალის ბაზრის ელემენტების ჩასახვა, კაპიტალის პირვანდელი დაგროვების პროცესის გაძლიერება და სხვა მსგავსი პროცესები ბიძგს აძლევდნენ მეურნეობის ნატურალური ფორმების რღვევას; ხელს უწყობდნენ იმპერიის სხვადასხვა ნაწილებს შორის ეკონომიური კავშირ-ურთიერთობის გაფართოებას და შინაგანი ვაჭრობის მოცულობისა და ხვედრითი წონის გადიდებას. თვითმპყრობელური ხელისუფლება და მემამულეთა კლასი, რომლებიც, როგორც უკვე აღნიშნული იყო, დიდად იყვნენ დაინტერესებულნი შინაგანი ვაჭრობის შემდგომი განვითარებით, ხელს უწყობდნენ ამ საქმეს, გაჰყავდათ ახალი არხები, აგებდნენ ხიდებს, აუმჯობესებდნენ სამიმოსვლო გზებს და ა. შ. ხელისუფლებამ გაუქმა შინაგანი საბაჟოები (1753 წელს) და შინაგანი მონოპოლიები (1767 და 1775 წლების ბრძანებულებებით), რამაც შემდგომი ბიძგი მისცა შინაგანი ვაჭრობისა და ბაზრის გაფართოებას[1].

რუსეთის მემამულეთა კლასი, ახლად ჩასახული ვაჭრობა და თვითმპყრობელური ხელისუფლება არა ნაკლებ დაინტერესებულნი იყვნენ საგარეო ვაჭრობის გაფართოებით. ეს დაინტერესება განპირობებული იყო მით, რომ იგი ხელს უწყობდა რუსეთის შემდგომ ეკონომიურ წინსვლას, მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა ამ სახელმწიფოს ხაზინის შესავსებად, აკმაყოფილებდა სასახლის და თავადაზნაურობის მოთხოვნილებას მთელ რიგ საიმპორტო „დეფიციტურ“ საქონელზე, ადიდებდა ვაჭართა ქონებას; მემამულეებს კი საშუალებას აძლევდა სოფლის მეურნეობის ჭარბი ნაწარმის რეა-

---

[1] Всемирная история, т. V, М., 1958, გვ. 639.

ლიზაცია მოეხდინათ მათთვის ხელსაყრელ ფასებში და მით დაეკმაყოფილებინათ მზარდი მოთხოვნილება ფულზე.

ამიტომ იყო, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის საგარეო ვაჭრობამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. 1762 წლიდან 1796 წლამდე რუსეთის ექსპორტი გაიზარდა ხუთჯერ (12 მილიონი მანეთიდან 67,7 მილიონ მანეთამდე), იმპორტი ოთხჯერ (9,3 მილ. მანეთიდან 41, 9 მილ. მანეთამდე). საგარეო ვაჭრობის საერთო მოცულობა კი გადიდდა საშუალოდ 5-ჯერ (21,3 მილიონი მანეთიდან 108,6 მილიონ მანეთამდე)[1].

ეკატერინე II-ის მეფობის უკანასკნელ წლებში (1790—1795 წწ.) რუსეთის საგარეო ვაჭრობის დინამიკა შემდეგ სურათს იძლევა: 1790 წელს რუსეთს სულ გაუზიდავს 39.643.000 მანეთის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქცია. შემოუზიდავს 23.130.000 მანეთის პროდუქცია, აქედან 19.423.200 მანეთის მარტო სამრეწველო პროდუქცია. 1793—1795 წლებში რუსეთის ყოველწლიური ექსპორტი გადიდდა 43.266.000 მანეთამდე, იმპორტი კი—27.886.000 მანეთამდე. ამგვარად რუსეთს აქტიური ბალანსი ჰქონია, რომლის საერთო ჯამი 153.800.000 მანეთა უდრიდა[2]. მაგრამ 1791 წელს და 1792 წლის პირველ ნახევარში, სანამ ანტიფრანგული კოალიცია ომს გააჩაღებდა საფრანგეთის წინააღმდეგ და შესატყვისად გაიზრდებოდა მოთხოვნილება რუსეთის ნედლეულსა და სურსათზე, რუსეთის ექსპორტი მკვეთრად იყო დაცემული და თითქმის 15 მილიონით ჩამორჩებოდა იმპორტს.

რუსეთის საგარეო ვაჭრობის ხასიათი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რელიეფურად ავლენდა ამ ქვეყნის მნიშვნელოვან ეკონომიურ ჩამორჩენილობას შედარებით ინგლისთან, ჰოლანდიასთან და თვით საფრანგეთთანაც კი. რუსეთის ექსპორტში წამყვანი ადგილი ეჭირა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს და სურსათ-სანოვაგეს (ხე-ტყე, მეცხ. პროდუქცია, ხორბალი, სელი, ქერელი და ა. შ.), ხოლო მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა უმნიშვნელო იყო. რაც შეეხება იმპორტს, რუსეთს ძირითადად შემოჰქონდა სხვადასხვა სამრეწველო ნაწარმი, ფუფუნების საგნები, კოლონიური ნაწარმი, ღვინო, ხილი და სხვ.

---

[1] Сборник сведений по истории и статистике внешней торговли России. Под. ред. В. И. Покровского, т. I, С.-Петербург, 1902, зз. XXXVIII.

[2] А. М. Большаков и Н. А. Рожков. История хозяйства России в материалах и документах, вып. II, Л., 1925, зз. 45.

რუსეთის მთავარ ნავსადგურს, რომელიც ყველაზე მეტ საქონლის ბრუნვას აწარმოებდა და რომლითაც ხორციელდებოდა რუსეთის ექსპორტის და იმპორტის უდიდესი ნაწილი, პეტერბურგი წარმოადგენდა. სხვა ნავსადგურების, კერძოდ შავი ზღვის ნავსადგურების ხვედრითი წონა პეტერბურგთან შედარებით უმნიშვნელო იყო.

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა შორის რუსეთთან ვაჭრობაში პირველი და შეიძლება ითქვას გაბატონებული ადგილი ეკავა ინგლისს. ფრანგი ავტორის ზეჰერერის ცნობებით XVIII საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში პეტერბურგის ნავსადგურის სავაჭრო ბრუნვის 50 პროცენტზე მეტი ინგლისზე მოდიოდა[1]. მართალია ცალკეულ წლებში ეს პროცენტი 30-მდე დაცემულა, მაგრამ 1795 წელს, როდესაც რუსეთ-საფრანგეთს შორის სავაჭრო ურთიერთობა შეწყვეტილი იყო, ინგლისის ხვედრითი წონა პეტერბურგის სავაჭრო ბრუნვაში 75 პროცენტამდეც გადიდებულა[2].

ინგლისი იყო რუსეთის სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის, — ნედლეულის და სურსათ-სანოვაგის—მთავარი შემსყიდველი და ამავე დროს რუსეთისათვის სამრეწველო ნაწარმის, პირველ რიგში ხარისხოვანი შალეულის და სხვა საფეიქრო ნაწარმის მთავარი მიმწოდებელი. როგორც წესი, ინგლისს გაცილებით მეტი გაჰქონდა მაშინ რუსეთიდან, ვიდრე შემოჰქონდა, ასე რომ ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბალანსი აქტიური იყო რუსეთისათვის, პასიური ინგლისისათვის. ასე, მაგალითად, ვორსტის ცნობებით 1794 — 1800 წლებში ინგლისის შეზიდვა რუსეთში უდრიდა რუსეთის საერთო შეზიდვის 29%, გაზიდვა კი — 64%[3]. მართალია, ეს ცნობები იმ წლებს ეკუთვნის, როცა რუსეთ-საფრანგეთსა და რუსეთ-ჰოლანდიას შორის სავაჭრო ურთიერთობა აღარ არსებობდა, მაგრამ ამ გარემოებას არ შეუძლია არსებითი კორექტივის შეტანა ამ ცნობებიდან გამომდინარე დასკვნაში. ცნობილია, რომ თვით რევოლუციამდელ პერიოდშიაც, კერძოდ 1787 წლამდე, როდესაც დაიდო საფრანგეთ-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულება, ინგლისის ხვედრითი წონა რუსეთის საგარეო ვაჭრობაში მაინც დიდი იყო.

---

[1] G. Seherer, Histoire raisonnée du commerce de la Russie, Paris, 1788, t. I, გვ. 169.

[2] И. М. Кулишер, Очерк истории русской торговли, Петербург, 1923, გვ. 190.

[3] Ворст, Рассуждения о некоторых предметах законодательства и управления, 1807, Таблица 20. И. Кулишер, დასახ. ნაშრ., გვ. 191.

ინგლისის ხვედრითი წონა რუსეთის საგარეო ვაჭრობაში XVIII ს. უკანასკნელ მესამედში გაცილებით უფრო დიდი იყო, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ რუსეთის ექსპორტი და იმპორტი რუსეთის სავაჭრო ფლოტის მცირე ტონაჟის გამო უმთავრესად ინგლისის სავაჭრო გემების მეშვეობით ხორციელდებოდა.

მართალია, რუსეთის საგარეო ვაჭრობა მოცემულ პერიოდში, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ძირითადად პეტერბურგის ნავსადგურის მეშვეობით ხორციელდებოდა, მაგრამ მცირე როლს ამ საქმეში როდი ასრულებდნენ არხანგელსკი და ბალტიის ზღვის ნავსადგურები კურლანდიის სანაპიროზე. დღითიდღე იზრდებოდა საქონლის გატანა და უცხოური საქონლის იმპორტი შავი ზღვის ჩრდ. სანაპიროების ნავსადგურებიდანაც. ამ ნავსადგურების მეშვეობით ყველაზე უფრო გაცხოველებული ვაჭრობა წარმოებდა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან, კერძოდ თურქეთთან, რომელთანაც საქონლის ბრუნვა წლითიწლობით იზრდებოდა. ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა ვაჭრობას კასპიის ზღვის მეშვეობით, პირველ რიგში ირანთან.

სახმელეთო ვაჭრობას რუსეთი აწარმოებდა დასავლეთით ავსტრიასთან და პრუსიასთან, აღმოსავლეთით კი პირველ რიგში ჩინეთთან, რომელთანაც ბურინის (1727 წ.) და კიახტის (1727 წ.) ხელშეკრულებების შემდეგ რეგულარული ვაჭრობა წარმოებდა. რუსეთს ჩინეთიდან შემოჰქონდა ჩინური ფაიფური, აბრეშუმი, ჩაი და სხვ.

რუსეთის თავადაზნაურულ-ბატონყმური იმპერიის საგარეო პოლიტიკა XVIII საუკუნის მიწურულში, ისევე როგორც წინათ, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქვეყნის საშინაო პოლიტიკის ხასიათთან და მიმართულებასთან და რუსი მემამულეების (და რამდენადმე ვაჭართა კლასის) კლასობრივი ინტერესებით და მოთხოვნილებებით იყო პირობადებული. იგი მიზნად ისახავდა იმპერიის პოზიციების განმტკიცებას ევროპაში. მეზობელ სახელმწიფოთაგან აგრესიის შესაძლებლობის აღკვეთას ტერიტორიული გაფართოებისა და ახალი ხელსაყრელი პლაცდარმების დაუფლების გზით, ახალი ტერიტორიების შემოერთებას, ახალი მიწების და ყმების მოსაპოვებლად, ახალი ბაზრების დასაუფლებლად. ამას ემატებოდა რუსეთში არსებული სოციალური სისტემის დაცვის, მასზე გარედან ყოველგვარი ხელყოფის აღკვეთის ამოცანა და აქედან გამომდინარე პოლიტიკური კურსი მოსაზღვრე ქვეყნებსა და მთელ ევროპაში არსებული რეაქციული რეჟიმის დაცვისა.

რუსეთის ურთიერთობას საფრანგეთთან მოცემულ წლებში, ამ ურთიერთობის ხასიათს და მიმართულებას სწორედ ზემოთ დასახელებული ეკონომიურ-პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული ხასიათის მოტივები ედო საფუძვლად. მაგრამ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის წინ მას აღნიშნულ მოტივებთან ერთად, დინასტიური ინტერესებიც ამოქმედებდა.

2. საფრანგეთის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა 1789 — 1796 წლებში

1789 — 1794 წლების დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის წინ საფრანგეთი ჯერ კიდევ არ იყო განთავისუფლებული ფეოდალურ-შუასაუკუნეობრივი ურთიერთობის მრავალფეროვანი ნაშთებისაგან; იგი აბსოლუტურ-ფეოდალური წყობილების ქვეყანას წარმოადგენდა.

ეკონომიური განვითარების საერთო დონის მიხედვით რევოლუციამდელი საფრანგეთი, მართალია, ევროპის კონტინენტის ქვეყნებს შორის პირველობდა, მაგრამ მკვეთრად ჩამორჩებოდა ლამანშპადეკალეს გაღმა მდებარე ინგლისს, რომელსაც გავლილი ჰქონდა ბურჟუაზიული რევოლუციის გზა და სამრეწველო-ტექნიკური გადატრიალების მზარდ პროცესში იმყოფებოდა. მაშინ როდესაც ინგლისი ინდუსტრიულ რელსებზე დგებოდა, საფრანგეთი ისევ აგრარულ ქვეყნად რჩებოდა. ოფიციალური მონაცემებით 1789 წელს საფრანგეთი 3½-ჯერ მეტ შემოსავალს იღებდა სასოფლო-სამეურნეო, სამიწათმოქმედო საქმიანობიდან, ვიდრე მრეწველობიდან; ეროვნულ შემოსავალში და ექსპორტში წამყვანი ადგილი სოფლის მეურნეობის პროდუქციას ეჭირა. ვაჭრობის მთავარი ინტენდანტის ტოლოზანის ცნობებით საფრანგეთის ეროვნული შემოსავალი რევოლუციის წინ სულ უდრიდა 2.350.950.000 ლივრს. აქედან სოფლის მეურნეობაზე მოდიოდა 1.826.000.000 ლივრი, მრეწველობაზე — 524.950.000 ლივრი[1]. შაპტალის გამოანგარიშებით, 1787 წელს საფრანგეთის ექსპორტის საერთო ღირებულება 524 მილ. ლივრს შეადგენდა, აქედან 311 მილ. ლივრი სასოფლო-სამეურნეო ნაწარმზე მოდიოდა[2].

---

[1] Я. Захер. Французская революция в документах 1789—1794. Ленинград. 1926, გვ. 15—16.

[2] Жан Жорес, История Великой Французской революции, М., 1920, т. I, გვ. 43.

საფრანგეთის 25 — 26 მილიონი მოსახლეობიდან, მხოლოდ 2 მილიონი კაცი ცხოვრობდა ქალაქად და ჩაბმული იყო საწარმოო-სავაჭრო საქმიანობაში (ე. ი. მთელი მოსახლეობის 8 — 9%). მოსახლეობის დიდი უმრავლესობა — 22 — 23 მილიონი კაცი—სოფლად ცხოვრობდა; მათი არსებობის მთავარ წყაროს მიწათმოქმედება და მასთან დაკავშირებული დარგები წარმოადგენდა. ამასთან ერთად. აგრარული წყობის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისება გლეხური მეურნეობის პარცელარულ ხასიათში მდგომარეობდა. ამას ემატებოდა მიწათმოქმედების კაპიტალისტური ფორმების სრულიად უმნიშვნელო განვითარება და სოფლის მეურნეობის ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა.

მიუხედავად თავისი აგრარული ხასიათისა, რევოლუციამდელი საფრანგეთი უკვე იმყოფებოდა კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების საწყის სტადიაზე, იქ უკვე ჩასახული იყო წარმოების კაპიტალისტური წესი. ფეოდალური ურთიერთობის ჩარჩოებში, ამ ურთიერთობიდან გამომდინარე დაბრკოლებების მიუხედავად, უკვე ვითარდებოდა და გზას იკაფავდა კაპიტალისტური ურთიერთობის ფორმები. ბურჟუაზიული იდეოლოგიის ჩამოყალიბება, ბურჟუაზიის კლასობრივ-პოლიტიკური მომწიფება და მისი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტი იყო. ექსპლოატაციის გაბატონებული ფეოდალური ფორმის გვერდით ამ დროისათვის ძალაში შედიოდა ბურჟუაზიული ფორმაც. მაშინდელი საფრანგეთისათვის უცნობი არ იყო ფაბრიკა-ქარხნების ტიპის სამრეწველო საწარმოები, სადაც იყენებდნენ (თუმცა უმნიშვნელო მასშტაბით) გაუმჯობესებულ, ძირითადად ინგლისიდან შემოზიდულ, მანქანა-იარაღებს. მაგრამ გაბატონებული ტიპის სამრეწველო საწარმოებს რევოლუციამდელ საფრანგეთში კაპიტალისტური მანუფაქტურა წარმოადგენდა. ამის გვერდით ე. წ. „გაფანტული“ მანუფაქტურები, საშინაო მრეწველობა და ხელოსნური წარმოება საფრანგეთის თითქმის ყველა პროვინციაში იყო გავრცელებული.

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში საფრანგეთის მრეწველობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ და გაადიდა სამრეწველო პროდუქციის გამოშვება. ჰენრიხ კუნოვის მიერ მოტანილი ცნობებით საფრანგეთის მრეწველობის ყველა დარგის პროდუქციის ღირებულებამ (ხელოსნური ნაწარმის გამოკლებით) 1788 წლისათვის 931 მილიონ ლივრს მიაღწია, მაშინ როდესაც კოლბერის

მმართველობის უკანასკნელ წლებში მისი მოცულობა 200 მილიონ ლივრს არ აღემატებოდა[1].

ლავუაზიეს მონაცემებით 1789 წლისათვის საფრანგეთის მრეწველობაში დასაქმებული მუშათა რიცხვი სახელოსნოების, გაფანტული მანუფაქტურებისა და კაპიტალისტური მრეწველობის ჩათვლით, რამოდენიმე მილიონ კაცს შეადგენდა. მსხვილი ნავსადგურების გვერდით (მარსელი, ბორდო, ნანტი, ჰავრი) მაშინდელ საფრანგეთში უკვე შეიქმნა მსხვილი კაპიტალისტური მანუფაქტურების რამოდენიმე მნიშვნელოვანი ცენტრი. მაგალითად: პარიზი თავისი მრავალფეროვანი მრეწველობით, განვითარებული ხელოსნობით და კაპიტალისტური მანუფაქტურებით, ლიონი—აბრეშუმის მრეწველობით, რუანი—მაუდისა და ბამბეულის წარმოებით, დოფინე—მეტალურგიით, სელის და სახურავი მასალის წარმოებით, სენ-ეტიენი—ფართო მოხმარების საგნების წარმოებით და სხვ.[2] მარტო პარიზში 1789 წლისათვის რამოდენიმე ათეული ათასი მუშა ითვლებოდა.

მსხვილ სახელმწიფო მანუფაქტურებში (გობელენების, de la Savonnerie-ს, სევრის ფაიფურის, ბოვეს და სხვ.)[3] და რიგ კაპიტალისტური ტიპის მანუფაქტურებში პარიზსა, სენ-ეტიენსა, ამიენსა და სხვაგან 100—500 მუშა მუშაობდა თითოეულში, ხოლო ქვანახშირის ზოგიერთ მაღაროში და მეტალურგიულ საწარმოებში 1000 — 4000 მუშაც კი. აბრეშუმის მრეწველობაში, რომლის პროდუქციითაც საფრანგეთს პირველი ადგილი ეკავა მსოფლიოში, მ. გოდარის ცნობებით, 1788 წელს 18.821 მუშა იყო დასაქმებული[4], ხოლო მაუდის მრეწველობაში, ე. ლევასერის მონაცემების მიხედვით, იმავე წელს დასაქმებული იყო 10.000 მუშა[5].

საფრანგეთის მრეწველობის მნიშვნელოვან განვითარებაზე რევოლუციის წინ ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ქვეყნის ექსპორტში მცირედი ადგილი როდი ეკავა მრეწველობის ისეთი დარგების

---

[1] Генрих Кунов. Борьба классов и партий в Великой Французской революции 1789—1794 гг.. М., 1923, გვ. 37.

[2] Французская буржуазная революция 1789—1894. Под. ред. акад. В. П. Волгина и акад. Е. В. Тарле, М.—Л., 1941, გვ. 5—6.

[3] სახელმწიფო მანუფაქტურის შესახებ იხ. Е. В. Тарле, Рабочие национальных мануфактур во Франции в эпоху революции (1789—1799 гг.), СПБ., 1908.

[4] E. Levasseur. Histoire des classes ouvrières et de l'industrie en France avant 1789..., t. second, Paris, 1901, გვ. 668.

[5] E. Levasseur, დასახ. ნაშრ., გვ. 8.

ნაწარმს, როგორიც იყო მაუდის, ბამბეულის, ტილოს, მარმაშის, ბატისტის ნაწარმი, ფუფუნების საგნები და სხვ.

მრეწველობის გვერდით საკმაოდ სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა აღებ-მიცემობაც. განსაკუთრებით ეს ითქმის საგარეო ვაჭრობის შესახებ, რომელსაც იმდენი დაბრკოლება არ ეღობებოდა წინ, რამდენიც შინავაჭრობას.

საგარეო ვაჭრობის მოცულობისა და გაზიდულ და შემოზიდულ საქონელთა ღირებულების მიხედვით საფრანგეთს პირველი ადგილი ეჭირა ევროპის კონტინენტის სახელმწიფოთა შორის. ევროპაში იგი მხოლოდ ინგლისს უთმობდა პირველობას. მარსელით, ბორდოთი, ნანტით, ჰავრით და რუანით საფრანგეთი გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდა ინგლისთან, სამხრეთ ევროპის ქვეყნებთან, ლევანტთან, ოსტ-ინდოეთის აუზის ქვეყნებთან, ვესტ-ინდოეთის კუნძულებთან და ამერიკის მატერიკის ქვეყნებთან. ნავსადგურებს შორის მთავარი ადგილი მარსელს ეკავა. აქედან აწარმოებდა საფრანგეთი ვაჭრობას რუსეთთან, ლევანტის ქვეყნებთან და ჩრდილო აფრიკასთან.

1716 წლიდან 1789 წლამდე „საფრანგეთის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა თითქმის ათჯერ გაიზარდა"[1] და 1789 წლისათვის მიაღწია ზოგი ცნობებით 1 მილიარდ 153 მილიონ ლივრს, ხოლო სხვა ცნობებით 1 მილიარდ 18 მილიონ ან 1 მილიარდ 77 მილიონ ლივრს[2].

საფრანგეთის საგარეო ვაჭრობაში მთავარი ადგილი ეჭირა იტალიის სახელმწიფოებს, პრუსიას, ინგლისს (თავისი სამფლობელოებით). რუსეთს, ესპანეთს, ჰოლანდიას, ლევანტის ქვეყნებს და ამერიკის ქვეყნებს. სავაჭრო ოპერაციები მარტო საფრანგეთის ამერიკულ კოლონიებთან 1789 წელს 296 მილიონ ლივრს უდრიდა[3]. ასევე ფართო ხასიათს ატარებდა მისი სავაჭრო ოპერაციები ლევანტის ქვეყნებთან, კერძოდ კი თურქეთთან[4]. 1789 წლისათვის თურქეთთან და მის სამფლობელოებთან საფრანგეთის ვაჭრობის მოცულობა უდრიდა 58 მილიონ ლივრს[5].

---

[1] И. Кулишер, История экономического быта Западной Европы..., т. II, М., 1926, გვ. 138.

[2] E. Levasseur, დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 551—552.

[3] Жан Жорес, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 43.

[4] ამის შესახებ სათანადო კონკრეტული ციფრობრივი მასალა მოტანილი აქვს სენ-პრის (Saint-Priest) თავის წიგნში: „Mémoires sur l'ambassade France en Turque et sur le commerce de France dans le Levant..." Paris., 1877, გვ. 327—344.

[5] E. Levasseur, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 668.

მრავალფეროვანი იყო იმ საქონლის ასორტიმენტი, რომელიც საფრანგეთის რევოლუციამდელი საგარეო ვაჭრობის საგანს წარმოადგენდა. გაჰქონდათ: მაუდი, ტილო, ბამბეული, აბრეშუმი, ფუფუნების საგნები, ავეჯი და ა. შ.; სოფლის მეურნეობის პროდუქტები, მათ შორის ღვინო, სხვადასხვა კოლონიური ნაწარმი — შაქარი, ყავა, ინდიგო, სანელებლები და სხვ. (რეექსპორტი). იმპორტში მთავარი ადგილი ეჭირა მრავალფეროვან ნედლეულს (ბამბა, მატყლი, აბრეშუმის პარკი, სელი, ტყავი, ცვილი, სპილოს ძვალი და ა. შ.), კოლონიური სოფლის მეურნეობის ნაწარმს (თამბაქო, სანელებლები, ყავა, შაქარი, ჩაი, კაკაო, ინდიგო და ა. შ.), რკინეულს და სამრეწველო ნაწარმს. საფრანგეთის ორი ნავსადგურის—ბორდოსა და ნანტის—ტვირთბრუნვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მონათვაჭრობა. აფრიკიდან მონების ვესტ-ინდოეთში გადაყვანას ეწეოდა საფრანგეთის ქალაქების რამდენიმე ათეული გემი.

რევოლუციამდელი საფრანგეთის ეკონომიური განვითარება უფრო სწრაფი იქნებოდა, საწარმოო ძალთა განვითარების მიღწეული დონე კი უფრო მაღალი, რომ ამისათვის ხელი არ შეეშალა ძველ დრომოჭმულ წარმოებით ურთიერთობას — ფეოდალური წარმოების წესს.

ფეოდალურ-სენიორალური საკუთრება მიწაზე და გლეხობის უმრავლესობის უმიწაწყლობა, ექსპლოატაციის ფეოდალური ფორმების (ისიც უმთავრესად შრომითი და პროდუქტიული რენტის სახით) ბატონობა სოფლად, შინაგანი ბაზრის უმნიშვნელო ტევადობა, როგორც გლეხური მასის სიბეჩავისა და გაჩანაგების, ისე ნატურალურ-კარჩაკეტილი მეურნეობის შემორჩენის შედეგად, ხელს უშლიდა მრეწველობის და აღებ-მიცემობის შემდგომ განვითარებას. იგი ძლიერ დაბრკოლებას წარმოადგენდა საწარმოო ძალთა შემდგომი წინსვლის გზაზე, ბოჭავდა საწარმოო ძალებს და ხელს უშლიდა წარმოების ახალი ფორმების დანერგვას. ასევე უარყოფითად მოქმედებდა ამ მიმართულებით ამქრული ორგანიზაციების შემხუთავი წესები, შინაგანი საბაჟოები და საგზაო-სახიდო გადასახადები, ხელისუფლების ჩარევა წარმოებისა და აღებ-მიცემობის საქმეში (ე. წ. მთავრობის რეგლამენტაცია). ერთიანი საბაჟო ტარიფების და სტანდარტული წონა-ზომის არარსებობა, სავაჭრო მონოპოლიები, წოდებრივი პრივილეგიები, მესამე წოდების უუფლებობა და თვითმპყრობელური რეჟიმის არსებობა.

მზარდი ანტაგონიზმი საწარმოო ძალთა განვითარებასა და ქვეყნის ეკონომიურ მოთხოვნებს შორის, ერთის მხრივ, და დრო-

მოქმედ ფეოდალურ სოციალურ და პოლიტიკურ წყობას შორის, მეორეს მხრივ, ასეთი იყო საფრანგეთის რეალური სინამდვილე რევოლუციის წინ.

ძველმა ფეოდალურმა ურთიერთობამ და ფეოდალური ბაზისის ზედნაშენმა აბსოლუტურმა მონარქიამ სერიოზული დაბრკოლება შეუქმნა საფრანგეთის ბურჟუაზიული წრეების კოლონიურ საქმიანობას, ზღვაოსნობას და საგარეო ვაჭრობას. ამის შედეგი იყო, რომ მაშინდელი საფრანგეთი მკვეთრად ჩამორჩა დიდ ბრიტანეთს. საფრანგეთის ეკონომიურმა და პოლიტიკურმა ჩამორჩენილობამ განაპირობა მისი დამარცხება ინგლისთან წარმოებულ ასწლიან ომში სავაჭრო, საზღვაო და კოლონიური უპირატესობისათვის[1].

საფრანგეთის ფეოდალები და კათოლიკური ეკლესია (სასულიერო არისტოკრატიის სახით), — ეგრეთწოდებული პრივილეგიური კლასები და მათი ინტერესების დამცველი აბსოლუტური მონარქია შეგნებულად ხელს უშლიდნენ ახალი ეკონომიური მოთხოვნილებების საყოველთაოდ დანერგვას და საწარმოო ძალთა განვითარებას. ისინი ამას აკეთებდნენ იმიტომ, რომ იგი მოასწავებდა ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებას ძველზე; ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვება კი ნიშნავდა ახალი სოციალური ძალების გამარჯვებას. მაშასადამე, პრივილეგიური კლასების ბატონობის ლიკვიდაციას და ეკონომიურად მომძლავრებული და იდეურ-პოლიტიკურად მომწიფებული ბურჟუაზიის მიერ მმართველობის სადავეების ხელში აღებას.

ფრანგი ფეოდალები (მათ შორის არსებული სხვადასხვა ფენების მიუხედავად) სისხლხორცეულად დაინტერესებულნი იყვნენ, რათა არ განხორციელებულიყო საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა საგალდებულო შესაბამისობის ეკონომიური კანონის მოქმედება. ამიტომ იყო, რომ, თუმცა ამ კანონის ეკონომიური მოქმედება გზას იკაფავდა საფრანგეთში, ის მაინც მიმდინარეობდა ძალზე ნელა. ვინაიდან აუყდებოდა ძველი საზოგადოების მომაკვდავი ძალების უძლიერეს წინააღმდეგობას. საფრანგეთის აბსოლუტური მონარქია. რომლის ხელშიც იყო იძულების ყველა საშუალებები, ყოველმხრივ იცავდა დრომოქმულ პოლიტი-

---

[1] ინგლის-საფრანგეთის 1786 წლის სავაჭრო ხელშეკრულებით ინგლისმა უსისხლო ეკონომიური გამარჯვება მოიპოვა საფრანგეთზე და სერიოზული მახვილი ჩასცა მის მრეწველობას და ვაჭრობას საკუთარ ქვეყანაშიც, ხელთ იგდო რა მისი ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი და გამოაძევა იქიდან ფრანგული მანუფაქტურული ნაწარმი.

კურ და ეკონომიურ ფორმებს, აბუჩად იგდებდა პიროვნების და ქონების ხელშეუხლებლობას და ეწეოდა ქვეყნის მშრომელი მასების ველურ ექსპლოატაციას.

რევოლუციის წინ საფრანგეთში გაბატონებულ ფეოდალურ ურთიერთობას და მის პოლიტიკურ ზედნაშენს — აბსოლუტურ მონარქიას შეესაბამებოდა იმდროინდელი საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის მიმართულება და დიპლომატიური საქმიანობა. ძველი წყობილების საგარეო პოლიტიკას და დიპლომატიას საფუძვლად ედო არა ქვეყნის სასიცოცხლო ეროვნული ინტერესები, არამედ დინასტიური დაჯგუფებების მისწრაფებები და ფეოდალთა კლასის ინტერესები. ამდენად იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა საკაპრო-სამრეწველო ჯგუფების ეკონომიურ მოთხოვნილებებს და კოლონიური საქმიანობის, ნაოსნობისა და ვაჭრობის გაფართოების საჭიროებებს. საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის აღნიშნული კურსის შედეგი იყო საფრანგეთის წარუმატებლობა ამ დარგებში და ინგლისის გავლენის და პოზიციების შემდგომი გაძლიერება.

ანტაგონიზმმა მზარდ საწარმოო ძალებსა, ახალ ეკონომიურ მოთხოვნებსა და მის შემბოჭავ ძველ წარმოებით ურთიერთობათა შორის 1787 — 1789 წლებისათვის საფრანგეთში რევოლუციური სიტუაცია შექმნა. მმართველი ფეოდალური ზედა ფენა და აბსოლუტური მონარქია გაკოტრდნენ, მათ აღარ შეეძლოთ ძველებურად ბატონობა, ხალხის ფართო ფენების მოთმინების ფიალაც აივსო. მათ აღარ სურდათ ძველებურად ცხოვრება. რევოლუციას, ბურჟუაზიულს თავისი ხასიათით და ამოცანებით, გორდიის კვანძი უნდა გაეხსნა. მას უნდა მოესპო ძველი წარმოებითი ურთიერთობანი ყველა მისი ატრიბუტებით, ფართო გზა მიეცა საწარმოო ძალთა განვითარებისათვის, გზა გაეკაფა თვით ფეოდალური ურთიერთობის წიაღში ჩასახული წარმოების კაპიტალისტური ფორმებისათვის, მოესპო ფეოდალთა ბატონობა და დაემყარებინა ბურჟუაზიის ბატონობა.

ეს ამოცანები წარმატებით გადაწყვიტა 1789 წლიდან გაჩაღებულმა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ, რომელსაც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები დიდ რევოლუციას უწოდებდნენ. აღნიშნული რევოლუცია ბურჟუაზიული იყო არა მარტო თავისი მიზნებით და ამოცანებით, არამედ იმითაც, რომ მის მედროშეს, ხელმძღვანელს და მეთაურს წარმოადგენდა ბურჟუაზიული კლასი, ის კლასი, რომელიც მაშინ ერის ხელმძღვანელის როლში გამოდიოდა და პროგრესულ, რევოლუციურ როლს ასრულებდა.

რამდენადაც ფრანგ ფეოდალთა კლასი დაინტერესებული იყო ხელი შეეშალა ახალი წარმოებითი ურთიერთობის დამკვიდრებისათვის, იმდენად ეს ახალი კლასი — ბურჟუაზია სისხლ-ხორცეულად იყო დაინტერესებული ძველი, საწარმოო ძალთა განვითარების შემბოჭავი ურთიერთობის მოსპობით. მისი კლასობრივი ინტერესები მოითხოვდა აღდგენილიყო საწარმოო ძალთა ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის კანონის მოქმედება.

ეკონომიურად გამძლავრებულმა საფრანგეთის ბურჟუაზიამ, — როგორც მართებულად აღნიშნავდა ი. ბ. სტალინი, — ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს კარგად გამოიყენა საწარმოო ძალთა ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის ცნობილი კანონი. მოიმარჯვა რა ეს კანონი, მან რევოლუციის მეშვეობით დაამხო დრომოჭმული ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობანი, შექმნა ახალი, ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობანი და ეს ურთიერთობანი ფეოდალური წყობილების წიაღში წარმოშობილ საწარმოო ძალთა ხასიათისადმი შესაბამისობაში მოიყვანა[1].

1789 წელს დაწყებულმა საფრანგეთის დიდმა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ თავის განვითარებაში რამოდენიმე ეტაპი განვლო. ეს ეტაპები იყო: 1) 1789 წლის მაისიდან (გენერალური შტატების მოწვევიდან) 1792 წლის 10 აგვისტომდე (10 აგვისტოს რევოლუციამდე), როდესაც ბოლო ეღება პრივილეგიური წოდებების პოლიტიკურ მონოპოლიას და მსხვილი ბურჟუაზია ხელისუფლების მონაწილე ხდება; 2) 1792 წლის 10 აგვისტოდან 1793 წლის 31 მაისისა და 2 ივნისის რევოლუციებამდე. როდესაც სახელმწიფო ხელისუფლება და რევოლუციის მესაჭეობა გადაეცა ჟირონდისტების (საეკჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის) ხელში; 3) 1793 წლის 2 ივნისიდან 1794 წლის 9 თერმიდორამდე (27 ივლისამდე), როდესაც დამყარებული იყო იაკობინთა დიქტატურა, ე. ი. რევოლუციის ხელმძღვანელობა რევოლუციური ბურჟუაზიის, წვრილი ბურჟუაზიისა და სოფლისა და ქალაქის პლებეური მასის ბლოკის ხელში იყო.

მთელი ამ დროის განმავლობაში საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუცია აღმავალი გზით მიემართებოდა და თანდათანობით წყვეტდა მის წინაშე დასმულ ამოცანებს. იაკობინთა დიქტატურა წარმოადგენდა რევოლუციის ზენიტს, მის დამაგვირგვინებელ

---

[1] ი. ბ. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში, თბ., 1952, გვ. 52—53.

ეტაპს, იაკობინთა დიქტატურის გარეშე საფრანგეთის პირველ ბურჟუაზიულ რევოლუციას არ ექნებოდა სრულყოფილი სახე და ვერ გადაწყვეტდა მის წინაშე დასმულ ეკონომიურ და პოლიტიკურ ამოცანებს. სწორედ იაკობინთა დიქტატურამ, ბრძოლის პლებეური საშუალებების მომარჯვებით, აღგავა საფრანგეთის ნიადაგიდან მთელი ძველი სოციალური ნაგავი, დაამსხვრია საწარმოო ძალთა შემბოჭავი ბორკილები და გზა გაკაფა „თანამედროვე" ბურჟუაზიული საზოგადოების ასაგებად. სწორედ იაკობინთა დიქტატურის ეტაპზე შესძლო აღნიშნულმა რევოლუციამ გამანადგურებელი ლახვარი ჩაეცა ფეოდალური ურთიერთობის ყველა ფორმებისათვის, გახურებული შანთებით ამოეწვა ახალი ურთიერთობის დამკვიდრების გზაზე აღმართული ყველა დაბრკოლება და საწარმოო ურთიერთობანი საწარმოო ძალთა განვითარების ხასიათისადმი შესაბამისობაში მოეყვანა.

ფრ. ენგელსი საფრანგეთის 1789 — 1794 წლების ბურჟუაზიულ რევოლუციას უწოდებდა ბურჟუაზიის მესამე აჯანყებას, მაგრამ პირველს, „...რომელმაც საკვსებით გაიძრო რელიგიური საბოსელი და რომელშიაც ბრძოლა აშკარად პოლიტიკურ ნიადაგზე წარმოებდა. იგი იყო აგრეთვე პირველი აჯანყება, რომელიც მართლაც ბოლომდე, ერთ-ერთი მებრძოლი მხარის, სახელდობრ, არისტოკრატიის, მოსპობამდე და მეორე მხარის, სახელდობრ, ბურჟუაზიის, სრულ გამარჯვებამდე იქნა მიყვანილი"[1]. დიდი რევოლუციის დროს, — წერდა სხვა ადგილას ენგელსი, — საფრანგეთმა გაანადგურა ფეოდალიზმი და დაამყარა ბურჟუაზიის ჭეშმარიტი ბატონობა ისეთი კლასიკური სიცხადით, როგორადაც არ გაუკეთებია არცერთ სხვა ევროპულ ქვეყანას[2].

საფრანგეთის 1789 — 1794 წლების რევოლუციამ მოსპო ექსპლოატაციის ერთი, ისტორიულად მოცემული ფეოდალური ფორმა და მის ნაცვლად გააბატონა ექსპლოატაციის კაპიტალისტური ფორმა. ფეოდალთა კლასის პოლიტიკური ბატონობის მოსპობით მან შექმნა პირობები ახალგაზრდა ბურჟუაზიის ბატონობის დამყარებისათვის და ააგო ახალი, ძველთან შედარებით, უდავოდ პროგრესული, ბურჟუაზიული საზოგადოება.

„საფრანგეთის რევოლუციის უზარმაზარმა ცოცხმა, XVIII საუკუნეში, — წერდა მარქსი, — გამოჰგავა... შორეული წარსულის

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ. ნაწერები, თბ., 1950, ტ. I, გვ. 118.
[2] იქვე, გვ. 265.

მიერ დატოვებული ნაგავი და, ამრიგად, საზოგადოებრივი ნიადაგი გასწმინდა თანამედროვე სახელმწიფოს შენობის ასაგებად"[1].

საფრანგეთის 1789 — 1794 წლების დიდი ბურჟუაზიული რევოლუცია არ შემოფარგლულა ნაციონალური ჩარჩოებით. თავისი შედეგებით იგი გასცდა საფრანგეთის ფარგლებს და ევროპული ხასიათი მიიღო. კაპიტალიზმის გამარჯვება ფეოდალიზმზე, ბურჟუაზიის გამარჯვება ფეოდალებსა, კათოლიკურ რეაქციასა და თვითმპყრობელობაზე, ბურჟუაზიული საკუთრების გამარჯვება ფეოდალურ საკუთრებაზე, თავისუფალი კონკურენციისა—ამქრულ წყობილებასა და რეგლამენტაციაზე, როგორც აღნიშნული რევოლუციის შედეგი, არ შეიძლება მარტო საფრანგეთის საზღვრებით შემოფარგლულიყო. ამ რევოლუციამ ააფორიაქა და გადახნა ევროპის მთელი ნიადაგი და ევროპული რევოლუციის ხასიათი მიიღო. მან უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაზე და მათ მიმართაც პროგრესული როლი შეასრულა. გერმანიასა და იტალიაში, ბელგია-ჰოლანდიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში მან საფუძველი ჩაუყარა ხალხის მასების მოძრაობას ფეოდალური პარტიკულიარიზმის, კათოლიკური ეკლესიის, რეაქციული სისტემის და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

„აიღეთ საფრანგეთის დიდი რევოლუცია,—წერს ვ. ი. ლენინი,—მას ტყუილად კი არ ეწოდება დიდი. თავისი კლასისათვის, რომლისთვისაც ის მუშაობდა, ბურჟუაზიისთვის, მან ისე ბევრი რამ გააკეთა, რომ მთელმა XIX საუკუნემ, იმ საუკუნემ, რომელმაც ცივილიზაცია და კულტურა მისცა მთელ კაცობრიობას, საფრანგეთის რევოლუციის ნიშნით ჩაიარა. მსოფლიოს ყოველ კუთხეში ის მხოლოდ იმას აკეთებდა, რომ ატარებდა. ნაწილ-ნაწილ ახორციელებდა, ამთავრებდა იმას, რაც შექმნეს ბურჟუაზიის დიდმა ფრანგმა რევოლუციონერებმა, ბურჟუაზიისა, რომლის ინტერესებს ისინი ემსახურებოდნენ, თუმცა ეს არც კი ჰქონდათ შეგნებული, ინიღბებოდნენ რა სიტყვებით თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის შესახებ"[2].

საფრანგეთის 1789 — 1794 წლების რევოლუციამ, აღნიშნულის გამო, საფრანგეთის მეზობელ ევროპულ ქვეყნებში მეფეთა, ფეოდალთა და მთელი ძველი დრომოჭმული ურთიერთობისათვის სასი-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ. ტ. I, გვ. 394.
[2] ვ. ი. ლენინი, თხს., ტ. 29, გვ. 432.

კვდილო საფრთხე შექმნა. ამიტომ სავსებით ბუნებრივია ის გაბოროტება და გააფთრება, რომლითაც გამოეხმაურნენ ამ რევოლუციის გაჩაღებას ძველი საზოგადოების ყველა ძალები ევროპაში — მეფე-მთავრები, ეკლესია და ფეოდალები. რევოლუციის კერის მოსპობად, საფრანგეთის გარეთ მის მიერ გადასროლილი რევოლუციური ნაპერწკლის ჩასაქრობად და საკუთარი ბატონობის შესანარჩუნებლად ძველი ევროპის ამ „ბურჯებმა" კონტრრევოლუციური ბლოკი გააფორმეს და 1792 წლიდან რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ უსამართლო, მტაცებლური ომი გააჩაღეს.

ამ კონტრრევოლუციური ბლოკის უსამართლო ომს რევოლუციურმა საფრანგეთმა უპასუხა თავდაცვითი, სამართლიანი, რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ომით, რომელმაც მთელი საფრანგეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მასა ფეხზე დააყენა. ასე დაიწყო რევოლუციური ომები, რომლებმაც თითქმის მთელი ევროპა ჩაითრიეს თავიანთ ფერხულში. ისინი წლების განმავლობაში ბობოქრობდნენ და, ბოლოს, დირექტორიისა და ნაპოლეონის დროის დაპყრობით, უსამართლო ომებში გადაიზარდნენ. რევოლუციურმა ომებმა, გაანადგურეს რა კონტრრევოლუციური ბლოკის ძალები, დაიცვეს საფრანგეთის რევოლუციის მონაპოვარი და თავის მხრივ ხელი შეუწყეს მის „ექსპორტს" საფრანგეთის გარეთ და იქ ძველი საზოგადოების ნგრევას და კაპიტალისტური ურთიერთობის დანერგვას.

ახასიათებდა რა 1792 — 1794 წლების საფრანგეთის რევოლუციურ ომებს, ი. ბ. სტალინი წერდა:

„1792 წელს... შუა და აღმოსავლეთ ევროპის რეაქციულმა მეფეებმა კავშირი შეკრეს რესპუბლიკური საფრანგეთის წინააღმდეგ, რათა იქ ძველი წყობილება აღედგინათ". „1792 წლის ომი იყო შეუზღუდავი შებატონე მეფეების დინასტიური ომი რესპუბლიკური საფრანგეთის წინააღმდეგ, მეფეებისა, რომლებიც საფრანგეთში გაჩაღებულმა რევოლუციურმა ხანძარმა დააფრთხო. ომის მიზანი იყო ჩაექროთ ეს ხანძარი, აღედგინათ საფრანგეთში ძველი წეს-წყობილება და დამფრთხალი მეფეებისათვის ამით გარანტია მიეცათ მათს საკუთარ სახელმწიფოებში რევოლუციური სენის გავრცელების წინააღმდეგ"[1].

1792 წლიდან აღმოცენებულმა რევოლუციურმა ომებმა დიდი ისტორიული როლი შეასრულეს. მათ საფუძველი ჩაუყარეს მთელ ისტორიულ ეპოქას, რომელიც 1814 წლამდე გრძელდებოდა. მარ-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 3, გვ. 4—5.

თალია, საფრანგეთის რევოლუციურ ომებში, როგორც აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, „იყო ფრანგების მიერ სხვისი ქვეყნების ძარცვისა და დაპყრობის ელემენტი, მაგრამ ეს ოდნავადაც არ ცვლის ამ ომების ისტორიულ მნიშვნელობას, რომლებიც ანგრევდნენ და არყევდნენ მთელი ძველი, ბატონყმური ევროპის ფეოდალიზმსა და აბსოლუტიზმს"[1].

იაკობინთა დიქტატურამ, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ბოლომდე მიიყვანა საფრანგეთის რევოლუცია. მან გადაწყვიტა რევოლუციის წინაშე მდგარი კარდინალური ამოცანა: მოსპო ძველი დრომოჭმული ფეოდალური ურთიერთობა და გზა გაკაფა კაპიტალიზმის სწრაფი განვითარებისათვის. XVIII საუკუნის დასასრულისათვის საფრანგეთში რევოლუციის წინაშე მხოლოდ ერთი ამოცანა იყო დასმული: ფეოდალური ურთიერთობის მოსპობა და ბურჟუაზიული საზოგადოების აგება. მატერიალური წინამძღვრები რევოლუციის შემდგომი განვითარებისა და მისი სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის მაშინ საფრანგეთში ჯერ არ იყო მომწიფებული. ამისათვის საჭირო იყო საწარმოო ძალთა განვითარების მაღალი დონე, კაპიტალისტური წყობილების დამკვიდრება, მისი, იმანენტურად დამახასიათებელ წინააღმდეგობათა გამოაშკარავება და პროლეტარიატის, როგორც დამოუკიდებელი კლასის, გამოსვლა ისტორიულ ასპარეზზე. ბუნებრივია, რომ არც ერთი ამ პირობათაგანი მაშინ არ არსებობდა. მოცემულმა რევოლუციამ მხოლოდ მაშინ შექმნა პირობები კაპიტალისტური წარმოების წესის გამარჯვებისათვის.

შეასრულა რა ბურჟუაზიული საზოგადოების აგებისათვის გზის გაკაფვის პროგრესული ამოცანა, საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ უკანასკნელ ფაზაში — იაკობინთა დიქტატურის პერიოდში — ამოწურა თავისი ისტორიული მისია. 9 თერმიდორის (1794 წლის 27 ივლისის) კონტრრევოლუციური გადატრიალების აქტით, რომელიც განახორციელა რევოლუციის შედეგად გამდიდრებულმა და გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ („ნუვორიში"), რის შედეგადაც დაემხო იაკობინთა დიქტატურა, შეწყდა რევოლუციის ალმავალი განვითარება, დამთავრდა რევოლუცია და გაიმარჯვა კონტრრევოლუციამ. ამ თარიღიდან დაიწყო კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ბატონობის პერიოდი.

9 თერმიდორიდან (1794 წ.) მესამე, ანტიხალხური კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე, ე. ი. დირექტორიის მმართველობის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 363.

დაშყარებამდე, საფრანგეთში ბატონდება თერმიდორული კონტრ-რევოლუცია. ამ პერიოდში ხდება რევოლუციის იმ მონაპოვართა ლიკვიდაცია, რომელიც სოფლისა და ქალაქის მშრომელი მასების ინტერესებს შეესაბამებოდა. გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ ხელ-უხლებლად დატოვა რევოლუციის მხოლოდ ის მონაპოვარი, რომე-ლიც მისთვის იყო საჭირო და მისი კლასობრივი ბატონობის გან-მტკიცების ინტერესებს ემსახურებოდა.

საფრანგეთის 1789 — 1794 წლების ბურჟუაზიულმა რევოლუ-ციამ, შეასრულა რა ახალი საზოგადოებისათვის გზის გაკაფვის ისტორიული ამოცანა, წარმოების ახალი წესის ეკონომიურ სა-ფუძველზე უზრუნველყო ბურჟუაზიულ წარმოებით ურთიერთო-ბათა დანერგვა. მან ბურჟუაზიას მისი ეკონომიური ძალისა და პო-ზიციის შესაბამისი პოლიტიკური უფლებები მიანიჭა და ქვეყნად გაბატონებულ ძალად გახადა.

საფრანგეთის პირველმა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ, აღნიშ-ნულის გამო, უდიდესი ცვლილებები მოახდინა საფრანგეთის მატე-რიალური ცხოვრების წესში, წარმოების ფორმებსა და ორგანიზა-ციაში. მან მძლავრი ბიძგი მისცა საწარმოო ძალთა განვითარებას, კაპიტალისტური მრეწველობის და აღებ-მიცემობის სწრაფ აღმავ-ლობას.

საფრანგეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად საფრანგეთის ეკონომიკა განთავისუფლდა ფეოდალური ურთიერ-თობის ბორკილებისაგან და მიიღო სწრაფი განვითარების შესაძ-ლებლობა. ფეოდალურ-სენიორალური უფლების მოსპობამ მიწაზე, აგრარული საკითხის რადიკალურად გადაწყვეტამ და გლეხობის კერძო მესაკუთრე მეურნეებად ქცევამ აამაღლა ამ კლასის ეკონო-მიური კეთილდღეობა და საფუძველი გამოაცალა კარჩაკეტილ სამეურნეო ფორმებს. ამან თავის მხრივ ასწია მოსახლეობის ფართო ფენების მსყიდველობითი უნარი და მით ხელი შეუწყო შინაგანი ბაზრის ტევადობის გადიდებას, რასაც დაერთო ამქრული წესების, რეგლამენტაციის და შინაგანი საბაჟოების ლიკვიდაცია, ერთიანი წონა-ზომის შემოღება, სახელმწიფო ბიუჯეტის არამწარმოებელი ხარჯების შემცირება და ა. შ. ყოველივე ამან, ხელისუფლების სა-თავეში ბურჟუაზიის ჩადგომასთან ერთად, რომელმაც შესაძლებ-ლობა მიიღო უშუალოდ განეხორციელებინა სამეურნეო ცხოვრების ხელმძღვანელობა, მძლავრი სტიმული მისცა კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას და საფრანგეთი კაპიტალისტური ინდუსტრიალიზა-ციის გზაზე დააყენა.

გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ რევოლუციური და კონტრრევოლუციური კონვენტისა და დირექტორიის მმართველობის წლებში ათეული დეკრეტი გამოსცა, რომლებიც სპობდა კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების გზაზე არსებულ დაბრკოლებებს, მან გააძლიერა ბრძოლა საკუთარი ბაზრის დასაცავად უცხოური (ინგლისური) სამრეწველო საქონლის კონკურენციისაგან[1] და სერიოზული ყურადღება მიაქცია საგარეო ბაზრებს.

ეხებოდა რა საფრანგეთის ბურჟუაზიის გამარჯვებას 1789—1794 წლების რევოლუციაში, მარქსი წერდა:

„...ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა ნიშნავდა მაშინ ა ხ ა ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა ს, ბურჟუაზიული საკუთრების ფეოდალურზე, ერის გამარჯვებას პროვინციალიზმზე, გამარჯვებას კონკურენციისა — ამქრებზე, საკუთრების განაწილებისა — მაიორატზე, მესაკუთრისადმი მიწის დამორჩილებისა — მიწისა მესაკუთრის დამორჩილებაზე, განათლებისა — ცრუმორწმუნეობაზე, ოჯახისა — გვარზე, მრეწველობისა — გმირულ სიზარმაცეზე, ბურჟუაზიული სამართლისა — შუასაუკუნეობრივ პრივილეგიებზე“[2].

ისტორიკოსთა ნაწილი ციფრობრივი მასალების მომარჯვებით აღნიშნავს მრეწველობის და აღებ-მიცემობის მკვეთრ დაცემას რევოლუციისა და დირექტორიის მმართველობის წლებში. ასე, მაგალითად, ლევასერის მონაცემებით ძველი რეჟიმის უკანასკნელ წელს სულ საფრანგეთში დამზადებულა 2.606.977 ნაჭერი მაუდი და სხვა შალეული, ხოლო რესპუბლიკის მესამე წელს (1795 წ.) მისი რაოდენობა 802.408 ნაჭრამდე შემცირებულა. 1789 წელს სულ საფრანგეთში ყოფილა 68.416 სახელოსნო 594.911 მუშით, მესამე წელს (1795 წ.) კი სახელოსნოთა რაოდენობა შემცირებულია 35.820-მდე, მასში მომუშავე მუშებისა კი — 230.374-მდე[3]. მაგრამ ეს მონაცემები მხოლოდ იმაზე მიგვითითებს, რომ სამოქალაქო ომმა ქვეყნის შიგნით და ომებმა ევროპის კონტრრევოლუციური კოალი-

---

[1] II წლის 18 ვანდემიერს (1793 წ.) გამოიცა დეკრეტი, რომელიც კრძალავდა ინგლისური მანუფაქტურების და ფაბრიკა-ქარხნების რაიმე სახის ნაწარმის შეხიდვას საფრანგეთში. V წლის 10 ბრიუმერს კი (1796 წ.) გამოცემულ იქნა დეკრეტი, რომელიც მოასწავებდა ინგლისისათვის დაუხდობელი საბაჟო ომის გამოცხადებას. იხ. Е. В. Тарле, Континентальная блокада, М., 1913, გვ. 139.

[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 53.

[3] E. Levasseur, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 267.

ციის წინააღმდეგ აიძულა ფრანგი ხალხი და, პირველ რიგში, გამარჯვებული ბურჟუაზია, მკვეთრად შეეკვეცა ფართო მოხმარების სამოქალაქო საგნების წარმოება და მრეწველობა, მთელი სახალხო მეურნეობა სამხედრო რელსებზე გადაეყვანა. ბუნებრივია, რომ ეკონომიკის დაქვემდებარებას ომის ამოცანებისადმი მკვეთრად უნდა შეემცირებინა საფეიქრო და სხვა სამრეწველო ნაწარმის გამოშვება, ამას კი ინგლისის მიერ მოწყობილ საზღვაო ბლოკადასთან ერთად უნდა მოყოლოდა საფრანგეთის საგარეო ვაჭრობის მოცულობის შეზღუდვაც.

მაგრამ, მეორეს მხრივ, ძველ წარმოებით ურთიერთობათა ლიკვიდაციამ და ევროპის კოალიციასთან ომით გამოწვეულმა ვითარებამ დიდი გასაქანი მისცა მეცნიერების სხვადასხვა დარგების, კერძოდ, გამოყენებითი დარგების—ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკის და სხვ.—განვითარებას. 1789—1794 და მომდევნო წლებში დიდ განვითარებას მიაღწია სამხედრო მრეწველობამ, მეტალურგიამ, ქიმიურმა მრეწველობამ და ომის ინტერესებისათვის მომუშავე სხვა დარგებმა. რევოლუციის წლებში მეცნიერთა მთელმა პლეადამ (ლავუაზიე, ლაპლასი, ბერთოლე, ფურკრუა, ლაგრანჟი, მონჟი, ლამარკი და სხვები) დიდი სამსახური გაუწია საფრანგეთს, ბევრი ახალი აღმოჩენით და გამოგონებით გაამდიდრა ქვეყანა და წინ წასწია მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება[1].

კაპიტალისტური წარმოებისა და აღებ-მიცემობის განვითარების ხელშემშლელი ზღუდეების დამსხვრევით, საწარმოო ძალთა სწრაფი ტემპით განვითარებისათვის პირობების შექმნით და ბურჟუაზიის გაბატონებით საფრანგეთის 1789 — 1794 წლების რევოლუციამ უშუალო გავლენა მოახდინა ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე და დიპლომატიურ საქმიანობაზე.

საფრანგეთის გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ, რომლის წინაშე მოქმედების ახალი ასპარეზი გადაიშალა, უშუალოდ მოკიდა ხელი საგარეო პოლიტიკას და დიპლომატიურ სამსახურს და იგი თავის კლასობრივ ინტერესებს დაუქვემდებარა. მართალია, საფრანგეთის ბურჟუაზია 9 თერმიდორის კონტრრევოლუციური გადატრიალების შემდეგაც დეკლარატულად აცხადებდა, რომ იგი თითქოს ბრძოლას ეწეოდა არა ახალი ტერიტორიების დაპყრობისა და ბაზრების დაუფლებისათვის, არამედ, ქვეყნის თავდამსხმელი მტრისაგან

---

[1] ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. О. Старосельская-Никитина, Очерки по истории науки и техники периода Французской буржуазной революции 1789—1794 гг., М.—Л., 1946.

თავდაცვისათვის, მაგრამ ასეთი განცხადებები რეალურ საფუძველს მოკლებული იყო, დემაგოგიური იყო თავისი ხასიათით და საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანას ისახავდა მიზნად. საფრანგეთის ბურჟუაზიის პრაქტიკული ნაბიჯები საგარეო პოლიტიკის დარგში მისი სიტყვიერი განცხადებების სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენდა.

გამარჯვებული ბურჟუაზია 9 თერმიდორის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, როდესაც დამთავრდა რევოლუციური ომების პერიოდი, ბოლოს უღებს საფრანგეთის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიური სამსახურის ძველ მიმართულებას, რაც თავადაზნაურობისა და დინასტიის ინტერესებს ემსახურებოდა და მას ახალ შინაარსს და მიმართულებას აძლევს. საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის შინაარსად და ამოცანად, ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესების შესაბამისად, იქცა ბრძოლა კოლონიების და ბაზრებისათვის, საფრანგეთის ტერიტორიული გაფართოებისათვის, ძველი დაკარგული პოზიციების აღდგენისათვის საზღვაო და კოლონიურ ასპარეზზე.

საფრანგეთის ბურჟუაზიის ახალი საგარეო პოლიტიკური მიმართულება და შესატყვისი დიპლომატიური საქმიანობა უშუალოდ გამომდინარეობდა ამ კლასის ეკონომიური ინტერესებიდან და მოთხოვნილებებიდან. კაპიტალისტური საქმიანობის — „მიზნების“ ვრცელი ასპარეზი და კაპიტალისტური წარმოება — აღებ-მიცემობის განვითარების დიდი პერსპექტივები, რომლებიც საფრანგეთის რევოლუციის შედეგად გადაიშალა, გადაუდებელ ამოცანად აყენებდა გამარჯვებული ბურჟუაზიის წინაშე ახალი ბაზრების საკითხს. მზარდ კაპიტალისტურ მრეწველობას, საქონლის მზარდი კამოშვების პერსპექტივებით ესაჭიროებოდა ახალი და ახალი ბაზრები და ნედლეულის წყაროები. ევროპაში ტერიტორიული გაფართოებითა და ზღვების მიღმა კოლონიური სამფლობელოების დაპყრობით საფრანგეთის ბურჟუაზია ლამობდა, ერთსა და იმავე დროს გადაეწყვიტა როგორც ბაზრის, ისე იაფფასიანი ნედლეულის წყაროების დაუფლების ამოცანა.

ინგლის-საფრანგეთის ასწლიანი ბრძოლა კოლონიებისათვის, ბაზრებისათვის, ევროპის კონტინენტზე გავლენა-უპირატესობისა და ზღვაზე პირველობისათვის რევოლუციური ომების დასრულების შემდეგ თავისი განვითარების ახალ ფაზაში შევიდა; თუ

1792 — 1794 წლებში ევროპული და მთელი საერთაშორისო ურთიერთობის ღერძს წარმოადგენდა რევოლუციური საფრანგეთის ბრძოლა ევროპის კონტრრევოლუციურ კოალიციასთან, რომელსაც საფრანგეთის მოსისხლე მტერი ინგლისი ედგა სათავეში, 1794 წლის 9 თერმიდორის შემდეგ ასეთ ღერძად იქცა ინგლის-საფრანგეთის ბრძოლა ევროპაში და ევროპის მიღმა ჰეგემონობისათვის ზღვაზე და ხმელეთზე, ვაჭრობისა და კოლონიურ ასპარეზზე, პირველობისათვის მთელ მსოფლიოში.

საფრანგეთის გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ, დაუმორჩილა რა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია საკუთარ კლასობრივ ინტერესებს, აღმავალი კაპიტალიზმის მოთხოვნილებებს, არსებითად შეინარჩუნა საგარეო პოლიტიკის ძველი, მემკვიდრეობით მიღებული აპარატი. მანვე ხელუხლებლად დატოვა ძველი დიპლომატიური ხერხები და ძველ დიპლომატთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთაც მოახერხეს ახლებურად „გარდაქმნა" და ახალი კლასის ხელისუფლებასთან შეგუება. საფრანგეთის ბურჟუაზიამ მხოლოდ კორექტივი შეიტანა საგარეო პოლიტიკის აპარატის საქმიანობაში და დიპლომატიურ ხერხებში. მას ხომ საერთოდ არ მოუხდენია ძველი, ფეოდალთა კლასის ინტერესებისათვის მებრძოლი, სახელმწიფო მანქანის დამსხვრევა. მან იგი მიიღო მზამზარეულად, თავის ხელში აიღო მისი მართვის სადაკვები და იგი თავის კლასობრივ ინტერესებს დაუქვემდებარა.

3. რუსეთ-საფრანგეთის 1789—1796 წლების ურთიერთობის ზოგადი მიმოხილვა

ა) საფრანგეთის 1789 — 1794 წლების ბურჟუაზიული რევოლუციის წინ რუსეთსა და საფრანგეთს შორის ნორმალური პოლიტიკურ-დიპლომატიური, სავაჭრო-ეკონომიური და კულტურული კავშირ-ურთიერთობა არსებობდა. აღნიშნული დროისათვის ამ ურთიერთობას საუკუნეზე მეტი ხანგრძლიობა ჰქონდა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ ეკატერინე II-ის მეფობის მეორე ნახევარში, რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში მთელ რიგ მწვავე მომენტებს ჰქონდა ადგილი. ამ ორი სახელმწიფოს ინტერესები მკვეთრად დაეჯახა ერთმანეთს ევროპული და საერთაშორისო პოლიტიკის რიგ საკვანძო საკითხში (პოლონეთის სა-

კითხში, აღმოსავლეთის, კერძოდ თურქეთის საკითხში, შვეციის ნიადაგზე და ა. შ)[1].

საფრანგეთის დიპლომატია დინასტიური და თავად-აზნაურთა კლასობრივი ინტერესების შესაბამისად პოლონეთის საკითხში რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მოქმედებდა. იგი მიზნად ისახავდა პოლონეთში ფეხის მკვიდრად მოკიდებას და პოლონეთ-რუსეთის ურთიერთობის ხელოვნურად გამწვავებას. საფრანგეთის მთავრობა აქეზებდა, ასულდგმულებდა და აფინანსებდა პოლონეთის სასახლის და გაბატონებული კლასების იმ გავლენიან თავკაცებს და ჯგუფებს, რომლებიც მტრულად იყვნენ განწყობილნი რუსეთისადმი და მასთან ურთიერთობის ნორმალიზაციის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. საფრანგეთის დიპლომატია აქტიურ მონაწილეობას იღებდა პოლონეთის „ვაკანტური" ტახტისათვის პერიოდულად გაჩაღებულ მძაფრ ბრძოლაში. იგი მუდამ ტახტის იმ პრეტენდენტებს უპერდა მხარს, რომლებიც საფრანგეთის მონარქიის (ბურბონთა დინასტიის) კრეატურებს წარმოადგენდნენ და მათივე იარაღის როლს ასრულებდნენ მეფის რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მეფის რუსეთის დიპლომატია, თავის მხრივ, პოლონეთის მიმართ ისეთ პოლიტიკას ატარებდა, რომელიც რუსეთის ცარიზმისა და რუსი მემამულეების ინტერესებიდან გამომდინარეობდა. ეს იყო პოლონეთის დაყოფის, მისი საუკეთესო წილის მითვისების, პოლონური მიწების და ყმების ხელში ჩაგდების, პოლონურ პლაცდარმზე გაბატონების აგრესიული პოლიტიკა. პოლონეთის პირველ დაყოფამდე დიდი ხნით ადრე მეფის რუსეთის მთავრობა ნიადაგს ამზადებდა ამ ქვეყნის დაყოფის გეგმის სისრულეში მოსაყვანად და თვით პოლონეთში აკოწიწებდა ამ პოლიტიკის ხელშემწყობ დაჯგუფებას. ეკატერინე II მხარს უპერდა იმ კანდიდატს პოლონეთის ტახტზე, რომელიც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „იმპერიის ინტერესებისათვის სასარგებლო იქნებოდა, რომელსაც ჩვენს გარდა ამ ღირსების მისაღებად არავისგან არავითარი იმედი არ ექნება"[2].

---

[1] რუსეთ-საფრანგეთის აღნიშნული პერიოდის ურთიერთობის ამ პერიპეტიების შესახებ ჩვენ სპეციალურად ვერ ვისაუბრებთ. რევოლუციამდელი რუსი ავტორებიდან საკმაოდ ვრცლად მის შესახებ ცნობები მოცემული აქვთ შემდეგ ავტორებს: Н. Василенко, Отношения между Россией и Францией до Французской революции; მოთ. კრებულში „Отечественная война и русское общество...", М., 1912, გვ. 1—14; П. Безобразов, О сношениях России с Францией, М., 1892, თავი XXX.

[2] История дипломатии, ტ. I, გვ. 286.

ემზადებოდა რა პოლონეთის სახელმწიფოს დასანაწილებლად, ეკატერინე II, ამავე დროს, პოლონელი ხალხის თავისუფლების დაცვის ნიღაბს ეფარებოდა და თავის პოლიტიკას პოლონეთის საკითხში „სამართლიანობისა“ და „განათლების“ მოსაზრებებით ამართლებდა.

ტყუილად როდი წერდა ენგელსი, რომ „განათლება“ ეს იყო ცარიზმის ლოზუნგი ევროპაში მეთვრამეტე საუკუნეში, ისე როგორც „ხალხთა განთავისუფლება“ — მეცხრამეტე საუკუნეში. ყოველგვარ ტერიტორიულ ძარცვას, ყოველგვარ ძალმომრეობას, ყოველგვარ ჩაგვრას ცარიზმი აწარმოებდა „განათლების“, „ლიბერალიზმის“, „ხალხთა განთავისუფლების“ მომიზეზებით[1].

რუსეთ-საფრანგეთის დიპლომატიური ბრძოლა პოლონეთის საკითხში საფრანგეთის რევოლუციის წინ რუსეთის ცარიზმის დიპლომატიის გამარჯვებით დამთავრდა. პოლონეთის პირველი დაყოფა, რომელსაც შემდეგ მისი მეორე და მესამე დაყოფა მოჰყვა, ამ გამარჯვების კონკრეტული მაჩვენებელი იყო.

დაახლოებით ასეთივე დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი ამ ორ სახელმწიფოს შორის შვეციასთან ურთიერთობის საკითხშიაც.

ინგლისი და საფრანგეთი, ხან ერთად, ხანაც ცალ-ცალკე, ცდილობდნენ თავიანთი გავლენისათვის დაექვემდებარებინათ შვეციის სამეფო კარი და მისი დიპლომატია და გამოეყენებინათ იგი რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. შვეციაზე დაყრდნობით ისინი ლამობდნენ მკვიდრად მოედგათ ფეხი სკანდინავიასა და ბალტიის ზღვის აუზში, მიეღოთ იქ უპირატესი როლი ზღვაოსნობა-ვაჭრობაში, თანაც ჩაეშალათ მეფის რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული გეგმები ევროპის ამ ნაწილში.

რუსეთის დიპლომატია, თავის მხრივ, ენერგიულ საქმიანობას ეწეოდა საფრანგეთის აღნიშნული გეგმების ჩასაშლელად. იგი მხარს უჭერდა შვეციის არქაულ სახელმწიფოებრივ მმართველობას და იმ პოლიტიკურ ჯგუფებს, რომლებიც მტრულად იყვნენ განწყობილნი საფრანგეთისადმი. იგი ყოველმხრივ ხელს უშლიდა საფრანგეთ-შვეციის კავშირის განახლებას, რისთვისაც იყენებდა სათანადო გავლენიანი პირების მოსყიდვის და შვეციის მთავრობისათვის სუბსიდიის მიცემის პრაქტიკას[2].

შვეციასთან ურთიერთობა, პოლონეთის მსგავსად, ხშირად ქმნიდა ფიცხ მასალას რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში. რუ-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., ტ. XVI, ნაწ. II, გვ. 14—15.

[2] История дипломатии, ტ. I, გვ. 287.

სეთ-შვეციის ომი 1788—1790 წლებში რომლის გაჩაღებაშიაც ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიამ აქტიური როლი შეასრულა, აღნიშნულ წინააღმდეგობათა კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენდა. ამ ომის უშედეგოდ დამთავრება და რუსეთ-შვეციის 1790 წლის საზავო ხელშეკრულების (ვერელში) დადება „შვეციის საკითხში“ საფრანგეთის დიპლომატიის მორიგ მარცხს წარმოადგენდა.

„აღმოსავლეთის საკითხი“, რომელიც XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აღმოცენდა, ამ საუკუნის ბოლოსათვის ევროპული დიპლომატიის ერთ-ერთ თავსატეხ საკითხად იქცა. მარქსი ტყუილად როდი უწოდებდა ოსმალეთის იმპერიას „ლეგიტიმისტური ევროპის ავადმყოფ ადგილს“. ამ საკითხში, კიდევ უფრო მეტად. ვიდრე ზემოთ აღნიშნულ ორ საკითხში, დაეჯახნენ ერთმანეთს რუსეთისა და საფრანგეთის ინტერესები. მათი პოზიციები და თვალსაზრისი ამ საკითხში დიამეტრალურად დაპირისპირებული და შეურიგებელი აღმოჩნდა. ცნობილია, რომ თურქეთის იმპერიის შემდგომი ბედი, მისი მემკვიდრეობის განაწილების საკითხი, ბალკანეთის და შავი ზღვის სრუტეების შემდგომი მფლობელობის საკითხი აღმოსავლეთის საკითხის ალფასა და ომეგას, ღერძს წარმოადგენდა[1].

რუსეთის და საფრანგეთის დიპლომატიური ბრძოლა აღმოსავლეთის საკითხში იმ ბრძოლის ნაწილს და ერთ-ერთ მთავარ რგოლს წარმოადგენდა, რომელიც ევროპული დიპლომატიის ამ თავსატეხი საკითხის ნიადაგზე წარმოებდა რუსეთსა, ავსტრიასა, ინგლისსა და საფრანგეთს შორის. ამ ბრძოლაა განაპირობებდა საევროპო-ეკონომიური, პოლიტიკური, სამხედრო-სტრატეგიული და დინასტიური მოტივები. აღნიშნული მოტივები კი უმეტეს შემთხვევაში ერთიმეორეში იყო გადანასკული.

მეფის რუსეთი ეკატერინე II-ის მეფობის პერიოდში დიპლომატიისა და იარაღის მეშვეობით ენერგიულ შეტევას აწარმოებდა ოტომანთა იმპერიის წინააღმდეგ. კერძოდ მისი ევროპული სამფლობელოების წინააღმდეგ. რომელიც დიდ სახელმწიფოთა ქიშპობის და მეტოქეობის მთავარ ობიექტს წარმოადგენდა. რუსეთის ცარიზმი იბრძოდა შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროების ხელში ჩასაგდებად, შავ ზღვაზე მტკიცედ ფეხის მოსაკიდებლად. ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში თავისუფალი ნაოსნობის უფლების მოსაპოვებ-

---

[1] ტყუილად კი არ წერდა ენგელსი აღმოსავლეთის საკითხის შესახებ: „როგორც კი დროებით დაცხრება რევოლუციური გრიგალი, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ კვლავ ხედაპირზე ამოტივტივდება მარადიული „აღმოსავლეთის საკითხი“. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 9, гл. 371.

ლად, ბალკანეთზე მტკიცე პლაცდარმის შესაქმნელად, ყოველივე ამით იგი ქმნიდა შესაძლებლობას თურქეთის განაწილების რუსული გეგმის სისრულეში მოსაყვანად. გარდა ამისა, მის ამოცანას შეადგენდა თურქეთის იმპერიის ევროპული და აზიური სამფლობელოების ბაზრებზე უპირატესი როლის მოპოვება და ამგვარად, რუსეთის საქონლისათვის ახალი ბაზრების დაუფლება.

მართალია, რუსეთის ცარიზმის აღნიშნული პოლიტიკა გაბატონებული კლასების კლასობრივი მოთხოვნებით იყო განპირობებული და, ამდენად, იგი აგრესიულ, უსამართლო ხასიათს ატარებდა, მაგრამ ეს პოლიტიკა ობიექტურად ემთხვეოდა ბალკანეთის და ამიერკავკასიის დასავლეთი ნაწილის ხალხთა სამართლიან განმათავისუფლებელ მისწრაფებებს. მეფის რუსეთის აღნიშნული პოლიტიკის, მისი დიპლომატიის და ომების შედეგები ობიექტურად ხელს უწყობდა ამ ხალხთა განთავისუფლებას თურქ ასიმილატორთა მძიმე უღლისაგან, რის გამოც მათ მიმართ პროგრესულ როლს ასრულებდა.

რუსეთის დიპლომატია მეთოდურად და აღმავალი შეტევით მიიწევდა წინ დასახული ამოცანების განსახორციელებლად, მაგრამ აქ იგი ინგლისის და საფრანგეთის მზარდ წინააღმდეგობას აწყდებოდა. საფრანგეთის დიპლომატია აქეზებდა თურქეთს, სისტემატურ რჩევა-დარიგებას აძლევდა მას, აფინანსებდა და ამხედრებდა რუსეთის წინააღმდეგ. რუსეთსა და თურქეთს შორის აღმოცენებული რამოდენიმე ომი, კერძოდ 1768 — 1774 და 1787 — 1791 წლების ომები. საფრანგეთის წაქეზებისა და ინტრიგების შედეგს წარმოადგენდა. საფრანგეთს არ სურდა რუსეთის გაფართოება თურქეთის ხარჯზე, არ სურდა შავი ზღვის და ბალკანეთის მნიშვნელოვანი ბაზები რუსეთის ხელში გადასულიყო, მით უმეტეს მას არ სურდა განხორციელებულიყო თურქეთის მემკვიდრეობის განაწილების ე. წ. „ბერძნული გეგმა“, რომლის ავტორი ეკატერინე II იყო. იბრძოდა რა „ცოცხალი გვამის“ სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად—გახრწნის გზაზე მდგარი თურქეთის დამპყრობლური დესპოტიის მთლიანობის დასაცავად, საფრანგეთის დიპლომატია ამით ილაშქრებდა თურქთა ტირანიის ქვეშ მგმინავი ბალკანეთის სლავი ხალხების, ბერძნების და სხვათა განმათავისუფლებელი ბრძოლის წინააღმდეგ და ამით ინგლისთან ერთად რეაქციულ როლს ასრულებდა.

საფრანგეთის ანტირუსული პოლიტიკა თურქეთის საკითხში, თურქეთის „მთლიანობის“ დაცვის პოლიტიკა მის მიერ, იმ განსაკუთრებული დაინტერესების და გავლენის შედეგს წარმოადგენდა,

რომელიც ამოქმედებდა საფრანგეთს თურქეთში. საფრანგეთს ამოქმედებდა იქ არა იმდენად დინასტიური, რამდენადაც ეკონომიური და სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის ინტერესები. ჯერ კიდევ 1535 წლიდან, როდესაც თურქეთის სულთანმა სულეიმან კანონმდებელმა საფრანგეთის მეფეს ფრანცისკ I-ს მისი ქვეშევრდომებისათვის უბოძა ე. წ. კაპიტულაცია, პრივილეგიების შემცველი სიგელი, საფრანგეთი ოტომანთა იმპერიასთან ფართო სავაჭრო ურთიერთობას აწარმოებდა. თურქეთისადმი ვასალურ ურთიერთობაში მყოფ ლევანტის ყველა ქვეყანაში საფრანგეთი უპირატესი გავლენით სარგებლობდა ზღვაოსნობის და ვაჭრობის საქმეში. ეს ვაჭრობა უაღრესად ხელსაყრელი და სარფიანი იყო ფრანგი ვაჭრებისათვის: იგი დიდ მოგებას აძლევდა იმ ფრანგულ სავაჭრო საზოგადოებებს, რომელთა ხელშიც იყო ეს ვაჭრობა[1].

მოპოვებული სავაჭრო-სანაოსნო და საწარმოო პრივილეგიების შენარჩუნება, თურქეთის შინაგან საქმეებში ხელის ფათურის შესაძლებლობის შენარჩუნება, მისთვის ცალკეული სამფლობელოების წართმევა, — აი რით იყო შეპირობებული საფრანგეთის დიპლომატიის აღებული ხაზი თურქეთის საკითხში, მისი გამოსვლა რუსეთის მისწრაფების წინააღმდეგ.

განხილულ ფიცხ მასალას რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში დროდადრო კიდევ ახალი ფიცხი მასალა ემატებოდა მათ შორის არსებულ ეკონომიურ-სავაჭრო ურთიერთობის ნიადაგზე.

საფრანგეთის სავაჭრო-ეკონომიური კავშირი რუსეთთან XVIII საუკუნის ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრამდე, როგორც უკვე აღვნიშნავდით ზემოთ, სუსტი იყო და მკვეთრად განირჩეოდა ინგლის-რუსეთის შესატყვისი ურთიერთობისაგან. რუსი მემამულეები და ვაჭრები ნაკლებად იყვნენ დაკავშირებულნი საფრანგეთთან ვაჭრობის და ზღვაოსნობის მხრივ და დიდ დაინტერესებასაც არ იჩენდნენ მასთან ვაჭრობის გასაფართოებლად.

საფრანგეთის მმართველი წრეები აშკარა უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ინგლისელები ყოველმხრივი უპირატესობით სარგებლობდნენ რუსეთში, ვრცელ სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებდნენ რუსებთან და ძირითადად თავისივე გემებით

---

[1] თურქეთ-საფრანგეთის აღნიშნული პერიოდის ურთიერთობის, პირველი კაპიტულაციებისა და მათი არსის შესახებ ვრცლად იხილეთ Saint Priest-ის დასახ. ნაშრომი, გვ. 29 — 177, 344 — 430; История дипломатии, ტ. I, გვ. 193—194.

ეზიდებოდნენ არა მარტო მათთვის განკუთვნილ რუსულ საქონელს, არამედ სხვების საქონელსაც.

საფრანგეთის უკანასკნელი ელჩი პეტერბურგში სეგიური თავის მემუარებში გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ პეტერბურგში ინგლისელ ნეგოციანტებს ბევრი სავაჭრო სახლი ჰქონდათ. სპეციალური კვარტალი მათთვის იყო გამოყოფილი, ფრანგების ეკონომიური პოზიციები ძალზე უმნიშვნელო იყო. ინგლისი ჩვენს საქონელსაც კი ეზიდებოდა რუსეთში (ყავას, შაქარს, ღვინოს), ყოველწლიურად 20 ფრანგული გემი ძლივს ჩადიოდა რუსეთის ნავსადგურებში[1].

რუსეთსა და საფრანგეთს შორის სავაჭრო ურთიერთობა ამ პერიოდში იმდენად სუსტი იყო, რომ ცალკეულ წლებში, რუსეთის ნავსადგურებში საფრანგეთის არც ერთი გემი არ შემოსულა.

რიგი ავტორების ცნობით ფრანგები ასეთი არანორმალური მდგომარეობისათვის რუსებს დებდნენ ბრალს, რუსები კიდევ — ფრანგებს. ფრანგების აზრით რუსები საფრანგეთთან ვაჭრობისას არ მოქმედებდნენ ურთიერთხელსაყრელობის პრინციპით, ყოველგვარ შეღავათებს ინგლისელებზე ავრცელებდნენ, ხოლო საფრანგეთის ძირითად საექსპორტო საქონელზე (აბრეშუმის ქსოვილებზე, გალანტერიაზე, მაქმანზე, ღვინოზე, ოქრო-ვერცხლის ნივთებზე და ა. შ.) მაღალ ბაჟებს ადებდნენ[2]. საფრანგეთის გენერალური კონტროლიორის კალონის ცნობით რუსები თავის მხრივ უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ თითქოს ფრანგებს მეტი საქონელი შეჰქონდათ რუსეთში, ვიდრე გაჰქონდათ იქიდან საფრანგეთში, და ამდენად ეს ვაჭრობა აქტიური იყო მათთვის და არახელსაყრელი რუსებისათვის[3].

საფრანგეთის მმართველი წრეების წარმომადგენლები ცდილობდნენ უარეყოთ რუსების საყვედური და დაემტკიცებინათ, რომ რუსეთის საქონლის ექსპორტი საფრანგეთში მუდამ აღემატებოდა საფრანგეთის საქონლის ექსპორტს რუსეთში. 1775 წელს (კალონის ცნობით) რუსეთში შეუზიდავთ 5.485.675 ლივრის ღირებულების ფრანგული საქონელი, საფრანგეთში კი—6. 412.329 ლივრის რუსული საქონელი, რაც 926.654 ლივრით აქტიურ ბალანსს ქმნიდა რუ-

---

[1] Segur, Mémoires, ტ. 2, გვ. 268—269, 277—281.

[2] И. Кулишер, Очерк истории русской торговли, Петербург, 1923, გვ. 205, 207.

[3] Е. В. Тарле. Запад и Россия. Статьи и докум. из истории XVIII—XIX вв., Петроград, 1918. გვ. 131.

ზეთისათვის[1]. ამ ცნობებს დაახლოებით ემთხვევა საფრანგეთის საგაჭრო ბიუროს ბალანსის მონაცემები. ამ მონაცემების მიხედვით 1875 წელს რუსეთს საფრანგეთში შეუზიდავს იალქნები, ტილო, ხორბლეული და სხვა სახის 6.412.339 ლივრის საერთო ღირებულების საქონელი, ხოლო საფრანგეთს რუსეთში შეუზიდავს 5.485.675 ლივრის ღვინო, არაყი, ხილი, მარილი, ფუფუნების საგნები **და სხვა წვრილმანი საქონელი (les divers petits objets[2]).**

რუსეთ-საფრანგეთის სავაჭრო ურთიერთობის გაფართოების გზაზე, გარდა ინგლისის მონოპოლიური პოზიციებისა რუსეთის ბაზარზე, მთელი რიგი სხვა დაბრკოლებებიც არსებობდა. ეს დაბრკოლებები იყო: სავაჭრო ხელშეკრულების არ არსებობა ამ სახელმწიფოებს შორის, საფრანგეთის სავაჭრო ფლოტის მცირე რაოდენობა, საფრანგეთის ინგლისთან შედარებით სუსტი სამრეწველო განვითარება, რის გამოც მას არ შეეძლო მიეწოდებინა რუსეთისათვის მთელი რიგი სამრეწველო საქონელი. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთში, რომელიც თვით იყო სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ქვეყანა, ნაკლები მოთხოვნილება იყო რუსეთის ნედლეულსა და სურსათზე. ყოველივე ამას ემატებოდა დარდანელისა და ბოსფორის სრუტეების ხშირი დახურვა რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად და სამხრეთ რუსეთის სუსტი ეკონომიური კავშირი სამხრეთ ევროპის ქვეყნებთან (ყირიმის შემოერთებამდე).

ფრანგები დიდი ხანია იბრძოდნენ იმისათვის, რომ რუსეთთან დადებულიყო სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფდა მათთვის ისეთივე შეღავათიან პირობებს, რომლებითაც უკვე სარგებლობდნენ ინგლისელები. პირველ რიგში, ისინი მოითხოვდნენ ბაჟების შემცირებას რუსეთში შეზიდულ ფრანგულ საქონელზე. ფრანგების ამ მოთხოვნას რუსეთში კარგა ხნის განმავლობაში ანგარიშს არ უწევდნენ. ამას ხელს უშლიდა აგრეთვე ამ ქვეყნების დაპირისპირება სხვა საკითხებშიც.

მნიშვნელოვანი გაუმჯობესება რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში იწყება 1785 წლიდან, როდესაც საფრანგეთის ელჩად რუსეთში დაინიშნა გრაფი სეგიერი, თანაც დაისახა ახალი მოვლენები ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

პეტერბურგსა და პარიზში ერთსა და იმავე დროს დაიწყო მოლაპარაკება რუსეთ-საფრანგეთს შორის არსებული არაჯანსაღი

---

[1] E. B. Тарле, დასახ. წერილი, გვ 131.

[2] იქვე, გვ. 133.

ურთიერთობის შესაცვლელად და შედარებით ნორმალური ურთიერთობის დასამყარებლად. საფრანგეთის ელჩი პეტერბურგში გრაფი სეგიური, რომელიც ეკატერინე II-ის კეთილგანწყობილებით სარგებლობდა, აქტიურ როლს ასრულებდა დაახლოების შესახებ წარმოებულ მოლაპარაკებაში. თანაც დაახლოების ინიციატივა უფრო მეტად საფრანგეთიდან გამომდინარეობდა.

როგორც ცნობილია, ინგლის-საფრანგეთის ხანგრძლივი ბრძოლა უპირატესობისათვის ზღვაზე, მსოფლიო ვაჭრობისა და კოლონიურ ასპარეზზე ინგლისის გამარჯვებით დამთავრდა. საფრანგეთის კოლონიების დიდი ნაწილისა და ბაზრების ინგლისის ხელში გადასვლამ და ყოველივე ამის შედეგად საფრანგეთის საერთაშორისო პოზიციების მკვეთრმა დაცემამ მისცა ბიძგი საფრანგეთს ნაწილობრივ ხელი აეღო რუსეთისადმი თურქეთისა და სხვა საკითხებში ტრადიციულ მტრობაზე და მასთან დაახლოება ეძია. მოლაპარაკების დროს საფრანგეთის დიპლომატიამ აგრძნობინა რუსეთის დიპლომატიური დარგის ხელმძღვანელებს და თვით ეკატერინე II-ს, რომ საფრანგეთი ხელს აიღებდა რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედებებში თურქეთისათვის მხარის დაჭერაზე და სხვა მხრივაც შეწყვეტდა მისადმი ქიშპობას, თუ ამის ნაცვლად რუსეთი წავიდოდა დათმობაზე და დათანხმდებოდა საფრანგეთისათვის ხელსაყრელ სავაჭრო ხელშეკრულების დადებაზე. რუსეთის დიპლომატიამ შესაძლებლად სცნო წასულიყო ამ დათმობაზე.

ეს მოლაპარაკება დამთავრდა საფრანგეთ-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმებით 1787 წელს (უფრო ზუსტად იგი ხელმოწერილ იქნა 1786 წლის 31 დეკემბერს). მას ხელს აწერდნენ საფრანგეთის მხრივ საფრანგეთის ელჩი სეგიური, რუსეთის მხრივ კი ბეზბოროდკო, ოსტერმანი და სხვები. ამ ხელშეკრულებით, იმის საფასურში, რომ საფრანგეთი ხელს იღებდა რუსეთის საწინააღმდეგო ინტრიგებზე, თურქეთისათვის მხარდაჭერასა და წაქეზებაზე, საფრანგეთი ღებულობდა ყველა იმ შეღავათს, რომელსაც მანამდე უშედეგოდ მოითხოვდა იგი და რითაც სარგებლობდა რუსეთში ინგლისი. ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა საფრანგეთის რევოლუციამდელი დიპლომატიის უდავო, თუმცა ერთადერთი, სერიოზული გამარჯვება იყო ამ მიმართულებით[1].

ამ ხელშეკრულებამ შეამცირა ბაჟები საფრანგეთის საქონელზე (ბურგუნდიის ღვინოზე 50 კაპიკიდან 40 კაპიკამდე, შამპანურზე

---

[1] История дипломатии, ტ. I, გვ. 319.

60 კაპიკიდან 50 კაპიკამდე, სხვა ღვინოზე 15 მანეთიდან 12 მანეთამდე 240 ბოთლზე, მარსელის საპონზე ფუთზე 6 მანეთიდან 1 მანეთამდე და ა. შ.[1]. ამ ხელშეკრულებით საფრანგეთზე გავრცელდა ურთიერთხელსაყრელობის ისეთივე პრინციპი, რაც საფუძვლად ედო რუსეთ-ინგლისის სავაჭრო ურთიერთობას.

აღნიშნული ხელშეკრულება სავაჭრო ბალანსის თვალსაზრისით, როგორც მოსალოდნელი იყო, უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდა საფრანგეთისათვის. ამიტომ იყო, რომ ინგლისი გაბოროტებით მიეგება ამ ხელშეკრულების დადებას, რაც მან გამოხატა რუსეთის წინააღმდეგ შვეციის და თურქეთის მთავრობების წაქეზებაში.

რუსეთ-საფრანგეთის დაახლოება, რომელმაც თავისი კონკრეტული გამოხატულება ჰპოვა 1787 წლის სავაჭრო ხელშეკრულებაში, 1789 წლის მეორე ნახევრამდე, რევოლუციის გაჩაღებამდე, თავის შემდგომ განვითარებას პოულობს. სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებამ, რომელიც ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლას მოჰყვა, თავის მხრივ ბიძგი მისცა ამ სახელმწიფოთა პოლიტიკურ დაახლოებას. ცვლილებებმა ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობაში და ძალთა ახალმა განწყობამ, რომელიც ამ დროისათვის შეიქმნა, მთავარი როლი შეასრულა რუსეთ-საფრანგეთის მეტად დაახლოების საქმეში.

შვიდწლიან ომში დამარცხებული საფრანგეთი, რომელმაც დაჰკარგა კანადა და რომელსაც ხელიდან გამოეცალა ინდოსტანში ბატონობის მოპოვების ყოველგვარი იმედები, კოლონიებისა და საზღვაო ძლიერების უკანასკნელი ნაშთები, აშკარად გრძნობდა თავისი საერთაშორისო პოზიციების მკვეთრ დაცემას და დიპლომატიური იზოლაციის საფრთხეს. რაკი ინგლის-საფრანგეთის ბრძოლა, ინგლისის გამარჯვების მიუხედავად, გრძელდებოდა და ახალ ფაზაში შედიოდა, ინგლისის დიპლომატია ახალ ღონისძიებებს ახორციელებდა მოქიშპის წინააღმდეგ და სახელმწიფოთა ახალ სამხედრო ბლოკს აკოწიწებდა მის წინააღმდეგ.

ასეთი ბლოკი მართლაც იქნა შეკოწიწებული 1788 წელს ინგლის-პრუსია-ჰოლანდიის სამთა სამხედრო კავშირის სახით[2]. ამ კავშირს მკაფიოდ გამოვლინებული ანტიფრანგული ხასიათი ჰქონდა. ბლოკის გაფორმებამ დიდად დააშინა საფრანგეთი და აიძულა იგი საპასუხო ღონისძიებისათვის მიემართა. საფრანგეთის დიპლომა-

---

[1] Первое полное собр. законов,... № 16.489; Е. В. Тарле, დასახ. ნაშრ., გვ. 134.

[2] История дипломатии, ტ. I, გვ. 319.

ტიამ, რათა ხელი შეეშალა ინგლისის დიპლომატიის მიერ შექმნილ აღნიშნული ბლოკისათვის, ენერგიულად დაიწყო მზადება შერყეული საერთაშორისო პოზიციების აღსადგენად. ამიტომ იგი აღარ კმაყოფილდება არსებული მოკავშირეებით (ავსტრია, ესპანეთი) და დგამს ნაბიჯებს უფრო ძლიერი მოკავშირის შესაძენად. ასეთი მოკავშირე კი მხოლოდ რუსეთი შეიძლებოდა ყოფილიყო. საფრანგეთმაც სწორედ მას შესთავაზა მეგობრობა და კავშირი[1].

ვინაიდან ინგლის-ჰოლანდია-პრუსიის ლიგა, სამთა კავშირი ერთსა და იმავე დროს რუსეთის წინააღმდეგაც იყო მიმართული (ეს ლიგა ინგლისის დიპლომატიის პასუხს წარმოადგენდა რუსეთ-საფრანგეთის 1787 წლის სავაჭრო ხელშეკრულებაზე. რამაც უსაზღვროდ გააბორტა ინგლისის მმართველი ზედაფენა და ბურჟუაზია), თანაც იგი მოასწავებდა პრუსიის გადასვლას რუსეთის აშკარა მტრების ბანაკში, ამიტომ რუსეთი შეშფოთებული თავის მხრივ ასეთი დაჯგუფების აღმოცენებით, კეთილგანწყობილად შეხვდა საფრანგეთის დიპლომატიის ამ ნაბიჯს. მან შესაძლებლად მიიჩნია საფრანგეთთან პოლიტიკურ კავშირ-მეგობრობაზე წასვლა, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის საკითხი მათ შორის კვლავინდებურად რჩებოდა სერიოზული დაპირისპირების საგნად.

რუსეთის დიპლომატიამ და მისმა ნიჭიერმა ხელმძღვანელმა იმპერატორმა ეკატერინე II-ემ ენერგიულად მოჰკიდეს ხელი საფრანგეთის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას—კავშირის გაფორმების საქმეს. რუსეთ-საფრანგეთის კავშირს, საფრანგეთისა და რუსეთის დიპლომატიის მესვეურთა მოსაზრებით, შემდეგში ესპანეთი და ავსტრიაც უნდა შეერთებოდნენ. ამგვარად უნდა გაფორმებულიყო ევროპის ოთხი სახელმწიფოს ძლიერი ბლოკი, მიმართული სამი სახელმწიფოს ლიგის წინააღმდეგ. საფრანგეთი ამ კავშირისაგან მოელოდა თავისი შერყეული საერთაშორისო პოზიციების აღდგენას, რუსეთი კი — გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნებას პოლონეთში, შვეციის აგრესიისაგან თავის დაზღვევას და შავ ზღვაზე პოზიციების განმტკიცებას თურქეთის ხარჯზე[2].

1787 წლის მეორე ნახევარსა და 1788 წელს პარიზსა და პეტერბურგში ერთდროულად მიმდინარეობდა მოლაპარაკება რუსეთ-

---

[1] Р. Авербух. Политика европейских держав накануне и в первые годы французской революции (1789—1794). „Труды Московского гос. инст. истории, философии и литер. им. Н. Г. Чернышевского", № 6, М., 1940, გვ. 151—152.

[2] История дипломатии, ტ. 1, გვ. 327—328.

საფრანგეთის განზრახული კავშირის გასაფორმებლად. ამ მოლაპარაკებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საფრანგეთის ელჩი პეტერბურგში გრაფი სეგიური და რუსეთის ელჩი პარიზში სიმოლინი.

ამ მოლაპარაკების პროცესში, რომელიც არც თუ ისე წარუმატებლად მიმდინარეობდა, მომავალი ხელშეკრულების პროექტიც კი იქნა შემუშავებული[1].

ეკატერინე II-ის წერილებში გრიმისადმი, სეგიურის მემუარებში რუსეთში ყოფნის შესახებ, ეკატერინე II-ის მდივნის ხრაპოვიცკის დღიურებში და იმდროინდელ სხვა წყაროებში ბევრი კონკრეტული მასალაა მოცემული იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც პეტერბურგში სწარმოებდა რუსეთ-საფრანგეთის საბოკავშირო ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე[2].

რუსეთ-საფრანგეთის მოლაპარაკება კავშირისა და მეგობრობის ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე პრაქტიკული შედეგებით არ დაგვირგვინებულა. ხელშეკრულება ხელმოწერილი არ ყოფილა და ამ სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი არ გაფორმებულა. მოლაპარაკება მანამდე გაჭიანურდა, სანამ მას ბოლო არ მოუღო რევოლუციის გაჩაღებამ საფრანგეთში და პეტერბურგში გავრცელებულმა ცნობამ ბასტილიის ციხის აღების შესახებ.

აღნიშნული მოლაპარაკება გაჭიანურდა და მას პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. მის წარმატებას ხელი შეუშალა ინგლისის დიპლომატიის მოქნილმა საპასუხო ოინებმა ჯერ კიდევ რევოლუციის გაჩაღებამდე და თვით რუსეთ-საფრანგეთის წინააღმდეგობამ აღმოსავლეთის საკითხში. რომელიც დროებით 1787 წლის საბოკავშრო ხელშეკრულების ხელმოწერით მართალია შენელდა, მაგრამ სავსებით მაინც არ ყოფილა დაძლეული.

საფრანგეთის დიპლომატიას, რომელსაც საკუთარი ინტერესები უკარნახებდა დაახლოებოდა რუსეთს და ამ მიზნისათვის ერთგვარ დათმობაზე წასულიყო ამ ქვეყნის მიმართ საბანადო მსხვერპლის

---

[1] ამ ხელშეკრულების პროექტი სახელწოდებით: „Proget de traité d'amitié, et d'alliance défensive entre le Roi et l'impératrice de Russie", გამოქვეყნებულია ალფრედ რამბოს (Rambaud Alfred) რედაქციით გამოცემულ ფრანგულ დოკუმენტთა კრებულში: „Recueil des instructions données aux ambassadeurs et ministres de France", t. II, Paris, 1890, gg. 464—463.

[2] „Екатерина II в переписке с Гриммом". Сб. РИО, т. 23. С.-Петербург, 1894; „Записки гр. Сегюра о пребывании его в России в царствование Екатерины II (1785—1789)", СПБ. 1865; „Дневник А. В. Храповицкого,...", Москва, 1874.

გალების სახით, მაინც არ სურდა ეს მსხვერპლი მნიშვნელოვანი ყოფილიყო. კერძოდ მას არ სურდა მიეღო რუსეთის დიპლომატიის მოთხოვნა ხელი აეღო თურქეთისადმი მხარდაჭერაზე და რუსეთისათვის მოქმედების სრული თავისუფლება მიეცა ამ ქვეყნის მიმართ. საფრანგეთი, რომელიც, როგორც უკვე აღნიშნული იყო, დიდი ეკონომიური და პოლიტიკური გავლენით სარგებლობდა თურქეთის იმპერიაში, „მეგობრობდა" მას და არ სურდა ეს „უანგარო მეგობრობა" რუსეთთან კავშირისათვის შეეწირა მსხვერპლად[1]. საფრანგეთმა კარგად იცოდა, რომ ამას მოჰყვებოდა თურქეთის დაყოფის ეკატერინესეული გეგმების რეალიზაციის დაჩქარება და საფრანგეთის პოზიციების მკვეთრი შესუსტება, როგორც საერთოდ ლევანტის ქვეყნებში, ისე, კერძოდ, თურქეთში.

ისმება კითხვა: იქნებოდა თუ არა მიღწეული გულთბილი შეთანხმება რუსეთსა და საფრანგეთს შორის საფრანგეთის რევოლუცია რომ არ გაჩაღებულიყო? ამაზე გადაჭრით დადებითი ან უარყოფითი პასუხის გაცემა ძნელია. ასეთი შესაძლებლობა ბევრად იყო დამოკიდებული ინგლისის დიპლომატიის საპასუხო ნაბიჯებზე, ევროპული ურთიერთობის შემდგომ ძვრებზე და თვით რუსეთ-საფრანგეთის შეთანხმების პერსპექტივებზე აღმოსავლეთის საკითხში. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შეთანხმება ორივე ქვეყნისათვის ხელსაყრელი იქნებოდა, პირადად ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ „წაბორძიკების ქვა" ამ ქვეყნების ურთიერთობაში — თურქეთის საკითხი — ისევ დაუძლეველ დაბრკოლებად დარჩებოდა და მეგობრული კავშირის მიღწევა რუსეთსა და საფრანგეთს შორის პრაქტიკულად მეტად ძნელი საქმე იქნებოდა[2].

---

[1] „Господа французы слишком туркофилы в душе, чтоб им могло у нас поправиться",—სწერდა ეკატერინე II გრიმს 1787 წ. მიწერილ ერთ-ერთ წერილში. იხ. Сб. РИО, т. 23, გვ. 437.

[2] „საფრანგეთი მტრულად არის განწყობილი რუსეთისადმი, საფრანგეთში ცდილობენ დაამცირონ რუსეთის დიდება, უაღრესად დაამცირონ მისი ღვაწლი და წარმატებები".—ასეთი სიტყვები ჩაიწერა ეკატერინე II-ემ 1789 წლის 14 იანვარს საფრანგეთის საელჩოს მიწერ-მოწერის პერლუსტრირებისა და წაკითხვის შემდეგ (Дневник А. Храповицкого, გვ. 235). აღნიშნული მიწერ-მოწერა საფრანგეთის საელჩოსა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის და მისი შეფასება რუსეთის იმპერატორის მიერ ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას და ეს იმაზე მიგვითითებს, რომ საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობა არც თუ ისეთი გულთბილი იყო 1789 წლის დასაწყისისათვის, როგორც ზოგიერთს ჰგონია, რომ გამორიცხული არ იყო მათ შორის შემხადებული მეგობრული კავშირის ჩაშლა რევოლუციის დაწყების გარეშეც.

ბურჟუაზიული რევოლუციის პირველმავე ხანძარმა საფრანგეთში 1789 წელს უშუალო გავლენა მოახდინა რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაზე. ეს გავლენა თანდათან ძლიერდებოდა რევოლუციის აღმავლობის კვალდაკვალ, და აპირობებდა რადიკალურ შემობრუნებას ამ ურთიერთობაში.

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დაწყებას, კერძოდ, პარიზის პლებეური მასების მიერ ბასტილიის აღებას (1789 წ. 14 ივლისს), მტრულად გამოეხმაურა რუსეთის ფეოდალური არისტოკრატია და, პირველ რიგში, მისი რეაქციული შტაბი—პეტერბურგის სამეფო კარი[1]. პირადად ეკატერინე II-ემ ზიზღით და აღშფოთებით აღიქვა ეს ამბავი და შეაჩვენა მისი ორგანიზატორები[2]. პეტერბურგის სამეფო კარის რეაქციას (პასუხს) საფრანგეთში გაჩაღებულ რევოლუციურ ამბებზე წარმოადგენდა საფრანგეთთან არსებული, შედარებით ჯანსაღი, ურთიერთობის გაუარესებაზე გეზის აღება. კერძოდ ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა ეკატერინე II-ის მთავრობის მიერ საფრანგეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულების თაობაზე წარმოებული მოლაპარაკების შეწყვეტა.

ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ საბჭოთა ავტორ ალეფირენკოს, რომელიც ფიქრობს, რომ ეკატერინე II-ემ დასაწყისში პოლიტიკური სიბეცე გამოიჩინა, ალღო ვერ აუღო საფრანგეთის ამბებს, რევოლუციური ხანძრის დანთება ზერელე ხასიათის „ექსცესად" მიიჩნია, ლუი XVI სისუსტისა და ინგლისის აგენტების ინტრიგების ნაყოფად გამოაცხადა და რევოლუციის ჩასაქრობად რაიმე ნაბიჯის გადადგმის ნაცვლად, სტოიკურად მიჰყვა ამბების მსვლელობასო[3]. ჩვენის აზრით, ეკატერინე II-ის მიწერ-მოწერა რიმთან, ხრაპოვიცკის დღიურები, სეგიურის ჩანაწერები და სხვა მასალები არ იძლევა საბუთს ასეთი დასკვნის გაკეთებისათვის. პირიქით, ფაქტები ნათელყოფენ, რომ ეკატერინე II კარგად იყო გათვითცნობიერებული საფრანგეთის ამბების მთელ სერიოზულობაში და ამ ამბების

---

[1] ამ გამოძახილის შესახებ იხილეთ: „Записки графа Сегюра о пребывании его в России в царствов. Екатерины II (1785—1789)". СПБ., 1865, გვ. 371—372, 392—393; „Дневник А. Храповицкого..", СПБ. 1874, გვ. 296, 299, 303.

[2] „Екатерина II в переписке с Гриммом"... Сб. РИО, ტ. 23, გვ. 473—475, 488—489.

[3] К. Алефиренко. Правительство Екатерины II и французская буржуазная революция, მოთავსებული ორგანოში „Исторические записки института истории АН СССР", № 22, 1947, გვ. 210—211.

ᲛᲢᲠᲣᲚᲐᲓ ᲐᲦᲥᲛᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲘᲒᲘ ᲐᲨᲙᲐᲠᲐ ᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲘᲪᲐᲕᲔᲑᲓᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲤᲐᲠᲣᲚ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲓᲐ. ᲘᲒᲘ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲔᲚᲝᲓᲐ „ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ“ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲔᲑᲘᲡ „ᲗᲐᲕᲒᲐᲡᲣᲚᲝᲑᲘᲡ“ ᲐᲚᲐᲒᲛᲕᲐᲡ ᲓᲐ ᲤᲐᲠᲣᲚᲐᲓ ᲔᲬᲔᲝᲓᲐ ᲐᲛ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲭᲔᲠᲐᲡ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲛᲓᲔ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲮᲔᲕᲐ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲓᲐ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲮᲐᲜᲔᲑᲨᲘ, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐᲛ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲑᲐ ᲛᲘᲘᲞᲧᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲛᲢᲠᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲔᲮᲛᲐᲣᲠᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲣᲚᲘ ᲖᲔᲓᲐᲤᲔᲜᲐ. ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ II-ᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲐ ᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲓᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲕᲘᲖᲘᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲣᲮᲓᲔᲜᲘᲐ. ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ ᲡᲘᲛᲝᲚᲘᲜᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲐᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ, ᲡᲔᲒᲘᲣᲠᲘ (ᲣᲙᲐᲜ ᲒᲐᲬᲕᲔᲕᲐᲛᲓᲔ) — ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ.

ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲐ ᲠᲐ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚ ᲓᲠᲝᲛᲓᲔ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲗᲐᲜ, ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ II-ᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ, ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲙᲕᲔᲗᲠᲐᲓ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠ-ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ. ᲛᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲔᲛᲐᲚᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ ᲐᲖᲕᲘᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲢᲔᲮᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲨᲘ. ᲗᲕᲘᲗ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲪᲕᲚᲔᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲓᲒᲔᲜᲐᲓ ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ II-ᲔᲛ ᲐᲠᲐᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲠᲝᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ. ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ II-ᲘᲡ ᲐᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲛᲘᲬᲔᲠ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲒᲠᲘᲛᲝᲛᲗᲐᲜ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ II-ᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲒᲠᲘᲛᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ II-ᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲮᲠᲐᲞᲝᲕᲘᲪᲘᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲕᲐᲡᲙᲕᲜᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ II ᲣᲙᲕᲔ 1789 Წ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲨᲘ ᲓᲐ 1790 ᲬᲔᲚᲡ ᲐᲠ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲤᲠᲐᲜᲒ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲔᲕᲚᲐ-ᲙᲠᲣᲚᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲗ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲣᲤᲠᲝ ᲨᲝᲠᲡᲐᲪ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲡ ᲐᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ[1].

ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ II-ᲔᲛ ᲣᲙᲐᲜ ᲒᲐᲐᲬᲕᲔᲕᲘᲜᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ ᲡᲔᲒᲘᲣᲠᲘ,

---

[1] „Екатерина II в переписке с Гриммом...“, იხ. ეკატერინე II-ის 1789 წლის 27 იანვრის, 15 ნოემბრის, 1790 წლის 22 ივნისის, 25 ივნისის წერილები გრიმისადმი. Сб. РИО, т. 23, გვ. 473—475, 481—483, 488—500, „Дневник А. Храповицкого“, გვ. 296, 299, 308—309, 316, 344.

რომელსაც რევოლუციისადმი თანაგრძნობა დასწამა[1]. მანვე, იმ მოსაზრებით, რომ რევოლუციის გადამდები სენისაგან დაეცვა საფრანგეთში მყოფი რუსეთის ქვეშევრდომები თავადაზნაურთა წრიდან, განკარგულება მისცა სიმოლინს დაუყოვნებლივ რუსეთში დაებრუნებინა ისინი (გრ. სტროგანოვის შვილი და სხვ.)[2]. რუსეთის იმპერიის აგენტების მონაწილეობით იყო შემზადებული ლუი XVI-ის გაქცევის ცდაც 1791 წლის 20 ივნისს, რაც, როგორც ცნობილია, უშედეგოდ დამთავრდა.

როდესაც საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ გაღრმავებასთან დაკავშირებით დაიწყო ვერსალის სასახლის მრავალრიცხოვანი ხროვის, ფეოდალური თავადაზნაურობის, მონარქისტი გენერლების და კლერიკალების ზედაფენის ემიგრაცია საფრანგეთის ტერიტორიიდან ევროპის სხვა ქვეყნებში (ინტერვენციის ორგანიზაციის მიზნით), ეკატერინე II-ემ უაღრესი „გულისხმიერება" გამოიჩინა მათი ხვედრისადმი და ყველა შესაძლო საშუალებით გაუწოდა მათ დახმარების ხელი. მან ფარულად გაუგზავნა იმპერიიდან კარები საფრანგეთიდან გაქცეულ ემიგრანტებს — გენერლებს, პრინცებს, თავადაზნაურობას, სამღვდელოების ზედაფენის წარმომადგენლებს და სხვ. მათთვის არ დაიშურა ბინები, მიწები ყმებით, კარგი სამსახური მაღალი ხელფასით და პენსიებით, ერთდროული ფინანსური დახმარება, ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადასვლაში ხელის შეწყობა და ა. შ."

პარალელურად ამისა, ეკატერინე II-ემ ენერგიული ბრძოლა გააჩაღა „მეორე ფრონტზე"—საკუთარ ქვეყანაში საფრანგეთის რევო-

---

[1] „მე დავრჩები არისტოკრატად. ეს უკვე ჩემი მოვალეობაა",—ასე განუცხადა ეკატერინე II-ემ სეგიურს, მისი პარიზში გამგზავრებისას, რითაც გამოხატა თავისი ძრწამსი, სიძულვილი ლიბერალური იდეებისადმი და ანტიპათია პირადად სეგიურისადმი, Сегюр... დასახ. მემუარ. გვ. 383—384; უფრო გვიან, 1791 წელს, როდესაც სეგიური უკვე პარიზში იმყოფებოდა, ეკატერინე II საფრანგეთის ყოფილ ელჩ გრიმისადმი გაგზავნილ წერილში (1791 წ. მაისში) იუდას და ყალბს უწოდებს იმისათვის, რომ მან მეფეს „უღალატა და რევოლუციონერებს მიეყიდა, იხ. „Переписка Екатерины II с Гриммом..", Сб. РИО, т. 23, გვ. 522—523.

[2] „Дневник А. Храповицкого", გვ. 345.

[3] L. Pingaud, Les français en Russie et les russes en France. Paris, 1886, მეორე წიგნი, გვ. 162 და შემდეგი; К. Миллер, Французская эмиграция и Россия в царствование Екатерины II, Paris. 1931, გვ. 11—37, 200—224 და შემდ. А. Преснов, Царская Россия и Французская буржуазная революция 1789 г., „Исторический журнал", 1937, № 2, გვ. 60—61; „Екатерина II в переписке с Гриммом..", იხ. ეკატერინე II-ის 1790 წლის 2 ივნისის წერილი გრიმს, Сб. РИО, т. 23, გვ. 546, 549.

ლუციური იდეების გავრცელების წინააღმდეგ. რადიშჩევის და ნოვიკოვის მიმართ უსასტიკესი ზომების მიღება, განათლებული მონარქის ნიღაბის ჩამოხდა და ფრანგ განმანათლებელთათვის, მათ წიგნებისათვის, ბიუსტებისათვის, სურათებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ომის გამოცხადება, რევოლუციური ლიტერატურის შემოზიდვის აკრძალვა, დასავლეთის საზღვრის დაცვის გაძლიერება, გლეხთა უკმაყოფილების ყოველგვარი გამოვლინების უსასტიკესი ზომებით ჩახშობა და სხვ.—შინაგანი ფრონტის განმტკიცების ცალკეულ ღონისძიებებს წარმოადგენდა[1].

საფრანგეთის რევოლუციის გაღრმავების კვალდაკვალ იზრდება უკატერინე II დაინტერესება საფრანგეთის ამბებით, იზრდება მისი აღშფოთება „ურჩი ბრბოს“ თავხედობით და შესატყვისად ფართოვდება იმ ღონისძიებათა სფერო, რომელსაც რუსეთის სამეფო კარი აწყობს რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ. სიმოლინის პარიზიდან გამოწვევა, საფრანგეთის საქმეთა რწმუნებულის ჟანეს სასახლეში დაშვებაზე უარის თქმა და 1791 წლის სექტემბერში კი, პეტერბურგიდან მისი გაძევება ამ დამატებითი ღონისძიებების ნაწილს წარმოადგენდა.

ამავე პერიოდიდან იწყება რუსეთის დიპლომატიის აქტიური საქმიანობა, რომლის ამოცანასაც შეადგენდა ევროპის ფეოდალური მონარქების ამხედრება რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ. ამ დიპლომატიური საქმიანობიდან აღსანიშნავია პრუსია-ავსტრიის სამეფო მთავრობათა პილნიცის ერთობლივი დეკლარაცია (1791 წლის აგვისტოში) და შვეციის მეფე გუსტავ III ხელშეკრულების დადება (1791 წლის ოქტომბერში), რომელიც ითვალისწინებდა ერთობლივი ღონისძიებებით (ინგლისთან ერთად) ინტერვენციის მოწყობას საფრანგეთის ჩრდ.-დასავლეთ (ნორმანდიის) სანაპიროზე[2].

ეკატერინე II ამ ეტაპზე უშუალო მონაწილეობას ღებულობს ფრანგ ემიგრანტთა საინტერვენციო საქმიანობაში, აქეზებს არტუასა და პროვანსის გრაფებს გაბედული მოქმედებისაკენ და სახელმწიფო ხაზინიდან ასეულ ათას მანეთს ხარჯავს „საფრანგეთის საქმეებზე“, საინტერვენციო გეგმების სისრულეში მოსაყვანად,

---

[1] К. Алефиренко, დასახ. წერილი..., გვ. 210—211.

[2] იქვე, გვ. 211—213; А. Пресков, დასახ. წერილი, გვ. 61—62.

მონარქიის აღსადგენად საფრანგეთში[1]. გრიმის მეშვეობით მიღებული ცნობები საფრანგეთში რევოლუციის შემდგომი გაღრმავებისა და „ბრბოს“ ახალ-ახალი „ძალადობის“ აქტების შესახებ ხშირად წონასწორობას უკარგავს რუსეთის იმპერატორს და აიძულებს მას ძალზე უხეში გამოთქმები იხმაროს საფრანგეთში არსებული ვითარების შესახებ. იგი, ამასთან ერთად, ოცნებობს ახალ ცეზარზე, რომელიც იხსნის საფრანგეთს ამ მდგომარეობისაგან და დაამშვიდებს „აღვირახსნილ ბრბოს“[2].

შვეციის მეფესთან აღნიშნული ხელშეკრულების დადებასთან ერთად ეკატერინე II-ის მთავრობა აძლიერებს თავის ზემოქმედებას პრუსიისა და ავსტრიის მთავრობებზე და ცდილობს წააქეზოს ისინი, აამხედროს საფრანგეთის წინააღმდეგ. იგი ხელშეკრულებებსაც კი სდებს მათთან ამის თაობაზე. 1792 წლის 3 ივლისს — ავსტრიასთან, 1792 წლის 27 ივლისს — პრუსიასთან. ავსტრიისა და პრუსიის მიერ რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ ომის დაწყება 1792 წლის აპრილში და ამგვარად პირველი ანტიფრანგული კოალიციის ამოქმედება, რომელსაც შემდეგში ინგლისიც შეუერთდა, რუსეთის აქტიური დიპლომატიური მონაწილეობით და მცდელობით განხორციელდა.

რევოლუციური საფრანგეთის მიმართ გადადგმული მტრული ნაბიჯების მიუხედავად რუსეთის მეფის მთავრობა ფორმალურად ისევ ინარჩუნებდა მასთან დიპლომატიურ და სხვა ხასიათის ურთიერთობას წლის დასაწყისამდე. ასე გრძელდებოდა ეს ვითარება 1793 წლის დასაწყისამდე, სანამ რევოლუციის შემდგომმა გაღრმავებამ ხაზი არ გადაუსვა მას და არ მოახდინა ფაქტიური მდგომარეობის იურიდიული დადასტურება.

ლუი XVI-ის სიკვდილით დასჯა (1793 წ. 21 იანვარს), რომელიც ასე მტკივნეულად აღიქვა ეკატერინე II-ემ, რუსეთსა და საფრანგეთს შორის არსებული ურთიერთობის მოსპობის ფორმალური საბაბი გახდა[3].

---

[1] „Взято секретно на 500 т. р. векселей (à l'ordre du porteur), для употребления по делам французским“,—ვკითხულობთ ხრაპოვიცკის 1791 წლის აგვისტოს დღიურში „Дневник А. Храповицкого...“, გვ. 371.

[2] „Екатерина II в переписка с Гриммом“, Сб. РИО, т. 23, გვ. 502—503.

[3] როგორც ცნობილია, ეკატერინე II-ემ ლუი XVI-ის სიკვდილით დასჯის ცნობის მიღებისთანავე ექვსი კვირით ელოვა გამოაცხადა. „Дневник А. Храповицкого“, გვ. 420—421.

1793 წლის თებერვალში გამოქვეყნდა ეკატერინე II-ის ბრძანებულება საფრანგეთთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტისა და მისი რუსეთის მიმართ მეომარ სახელმწიფოდ აღიარების შესახებ[1]:

ამ ბრძანებულებით: 1) გაუქმებულად ცხადდებოდა რუსეთ-საფრანგეთის 1786 წლის დეკემბრის სავაჭრო ხელშეკრულება: 2) საფრანგეთის დიპლომატიური სამსახურის ყველა მუშაკი (კონსულები, ვიცე-კონსულები, დიპ. აგენტები და სხვ.) იდევნე-

---

[1] ჩამოთვლის რა საფრანგეთში გაბატონებულ „საშინელებებს", ეკატერინე II ბრძანებს:

„1) Действие торгового договора между нами и покойным королем французским Людовиком XVI, 31 день декабря 1786 года заключенного, до . . . эпохи восстановления порядка и власти законной во Франции прекратить. 2) До того же времени запрещается впускать в порты наши из разных морях находящиеся суда под флагом национальным французским; равным образом запрещается и нашему купечеству и хозяевам кораблей посылать торговые суда во французские порты. 3) Бывших французских консулов, вице-консулов, агентов и прочих к сим принадлежащих выслать из обеих столиц наших и из прочих мест, где они находятся.. 4) Сходно тому и нашим консулам, вице-консулам и принадлежащим к ним, да и вообще всем российским обоего пола предписывается тотчас, по получении указов... выехать из Франции... 5) Всех французов без изъятия обоего пола, купеческие и мещанские промыслы имеющих, художников, ремесленников, в услужении у частных людей находящихся, разумея тут учителей и учительниц и прочих, признающих нынешнее в земле их правл и оному повинующихся, не терпеть в империи нашей и из всех мест, где они находятся, высылать... 6) Изъемлются из сего те французы обоего пола, которые окажут искреннее их намерение и желание отрениться присягою по образцу у сего приложенному, от правил безбожных и возмутительных, в земле их ныне исповедуемых, введенных похитителями правления и власти. 11) იკრძალებოდა საფრანგეთიდან შემოხიდული ჟურნალ-გაზეთების გავრცელება რუსეთში... და 12) ფრანგების დაშვება რუსეთში პროვანსის და არტუას გრაფების და კონდეს პრინცის რეკომენდაციების გარეშე. „Полное собрание законов Российской империи...", ტ. 23 გვ. 402—405, № 17101.

ბოდა პეტერბურგიდან, მოსკოვიდან და იმპერიის სხვა ადგილებიდან, ხოლო რუსეთის დიპლომატიური დარგის მუშაკებს და რუსეთის ყველა ქვეშევრდომს ევალებოდათ ამ ბრძანებულების მიღებისთანავე დაეტოვებინათ საფრანგეთი და რუსეთში დაბრუნებულიყვნენ; 3) იკრძალებოდა საფრანგეთის გემების შეშვება რუსეთის ნავსადგურებში, რუს ვაჭრებს კი ეკრძალებოდათ თავიანთი სავაჭრო გემების გაგზავნა საფრანგეთის ნავსადგურებში; 4) რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ყველა ფრანგი (სქესის, ჰასაკის და საქმიანობის განურჩევლად), რომლებიც ცნობდნენ საფრანგეთის ახალ მმართველობას, უნდა გაეძევებინათ იმპერიის ფარგლებიდან; გამონაკლისს უშვებდნენ მათ მიმართ, რომლებიც ფიცის ქვეშ უარყოფდნენ „ულმერთოთა და მოჯანყეთა“ წესებს[1]: 5) რუსეთის ყველა ქვეშევრდომს ეკრძალებოდა საფრანგეთში გამგზავრება, ფრანგებს—რუსეთში (მათი გამოკლებით, რომელთაც პროვანსის და არტუას გრაფების რეკომენდაცია ექნებოდათ), იკრძალებოდა ფრანგული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების შეზიდვა რუსეთში და ა. შ.[2]

ამით არ დამთავრებულა რუსეთის იმპერატორის ღონისძიებები რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ. მან ახალი დიპლომატიური ზეგავლენა მოახდინა ავსტრიასა და პრუსიაზე, რათა მათ გაეძლიერებინათ საომარი ღონისძიებები რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ (პრუსიას იგი წასახალისებლად ჰპირდებოდა პოლონეთის დაყოფაში მონაწილეობას და დანცინგს, ტორნს, პოზნანს, ავსტრიას, აგრეთვე პოლონეთის ნაწილს და ბავარიას გერმა-

---

[1] ამ ფიცის ტექსტი გამოქვეყნებული იყო რუსეთის მაშინდელ ოფიციალურ ორგანოში „СПБ ведомости“, ეგ 1793 год, გვ. 261—262. იგი ხელახლად დაიბეჭდა ჟურნ. „Русская старина“-ში 1895 წ. ტ. 84, გვ. 112.

ფრანგი ემიგრანტის ლანჟერონის (Langeron) ცნობით, რომელიც ლარივიერს მოაქვს თავის წიგნში, მაშინ რუსეთში სულ 1500 ფრანგი ყოფილა. აქედან 43 ფრანგს გამოუჩენია გამბედაობა უარი ეთქვათ მოთხოვნილ ფიცის მიღებაზე და სამშობლოში დაბრუნება მოუთხოვიათ. ისინი დაუყოვნებლივ გაუძევებიათ რუსეთიდან. დანარჩენებს ფიცი მიუღიათ და ამდენად მიუღიათ შესაძლებლობა დარჩენილიყვნენ რუსეთში. Larivière, Catherine II et la Révolution française, Paris, 1895, გვ. 137.

[2] აღნიშნულ ბრძანებულებასთან დაკავშირებით ეკატერინე II-ის მდივანი ხრაპოვიცკი თავის დღიურებში (1793 წ. 8 თებერვალს) წერდა შემდეგს: „Подписан указ Сенату о разрыве политической связи с Францией и о высылке из России всех тех обоего пола французов, которые не сделают присяги по изданному при указе образцу...“ „Дневник А. Храповицкого...“, გვ. 421.

ნიაში). რუსეთის დიპლომატია ამავე დროს აჩქარებს ინგლისის გამოყვანას ნეიტრალიტეტის მდგომარეობიდან და მის ჩაბმას საფრანგეთის საწინააღმდეგო კონტრრევოლუციურ კოალიციაში[1].

1793 წლის თებერვლის დასაწყისში ინგლისი უკვე მეომარ მხარეს წარმოადგენს, იმავე წლის მარტში კი (25 მარტს) ფორმდება ინგლის-რუსეთის კონვენცია, რომელიც ითვალისწინებდა ინგლის-რუსეთის, ერთობლივ ღონისძიებებს „რევოლუციის ასალაგმავად საფრანგეთში", საფრანგეთის ვაჭრობის წინააღმდეგ ზომების მიღებას ზღვაზე, რუსეთისაგან კორპუსის გამოყოფას საფრანგეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მისაღებად, რუსეთისათვის ამის სანაცვლოდ ინგლისის მიერ 600 ათასი გირ. სტერლინგის სუბსიდიის მიცემას და სხვ[2]. ამ ხელშეკრულებით, სხვათა შორის, გათვალისწინებული იყო ფრანგ ემიგრანტთა, ინგლისის და რუსეთის კორპუსების გადასვლა საფრანგეთის ტერიტორიაზე, ბრეტანსა და ნორმანდიას შუა, რაც ინგლისისა და რუსეთის სამხედრო ფლოტების ერთობლივი ღონისძიებებით უნდა განხორციელებულიყო.

რუსეთის იმპერატორის აღნიშნული და სხვა ღონისძიებები მოასწავებდა მის მზადყოფნას არა მარტო აქტიური მონაწილეობა მიეღო რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ, არამედ ხელმძღვანელი როლიც შეესრულებინა ანტიფრანგულ კოალიციაში.

1793 წლის ივლისში ეკატერინე II-ემ ჩრდილოეთის ზღვაზე საფრანგეთის სავაჭრო ნაოსნობის წინააღმდეგ საბრძოლველად (ინგლისის ფლოტთან თანამოქმედებაში) მიავლინა ადმირალ ჩიჩაგოვის სარდლობით რუსეთის ფლოტი, რომელიც 25 სახაზო გემის, 7 ფრეგატისა და 6 მსუბუქი გემისაგან შედგებოდა[3].

ამავე დროს ძლიერდება რეპრესიული ზომები ქვეყნის შიგნით „რევოლუციური ბაცილის" სრული მოსპობისათვის, ფრანგი ფეოდალური ემიგრაციისათვის ფულადი დახმარების გადიდება,

---

[1] თუმცა რუსეთის დიპლომატიის აქტიური ხემოქმედება ინგლისზე არ ყოფილა მთავარი ფაქტორი, რომელმაც გამოიყვანა ინგლისი ინდიფერენტული მდგომარეობიდან და ჩაბა იგი რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ ომში. გადამწყვეტი როლი ამ საქმეში ჰქონდა საფრანგეთის რევოლუციური არმიის გამარჯვებას კოალიციაზე და ამ არმიის შეჭრას ბელგიასა და ჰოლანდიაში, რამაც შეაშა ინგლისის ინტერესები და გამოიწვია მისი შეშფოთება.

[2] Д. Милютин. История войны 1799 года между Россией и Францией..., т. I, გვ. 350—351.

[3] იქვე, ტ. I, გვ. 10.

მათთვის რუსეთში თავშესაფარის მასიურად მიცემა, პროვანსის და არტუას გრაფების წაქეზება და ასე შემდეგ[1].

რუსეთის მიერ განხორციელებული ღონისძიებები არაპირდაპირი გზით მოასწავებდა მის ჩაბმას საფრანგეთის წინააღმდეგ ომში. მაგრამ სახმელეთო ჯარის გაგზავნა მოკავშირეების დასახმარებლად და რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ უშუალო საომარ ოპერაციებში მონაწილეობის მიღება რუსეთს არც ამ ეტაპზე განუხორციელებია. ინგლის-რუსეთის ქიშპობამ კოალიციაში ჰვგემონიის როლისათვის, ავსტრიისა და პრუსიისადმი ენდობლობამ, თურქეთის ომში ჩაბმის საფრთხემ, ქვეყნის ფინანსურმა სიძნელეებმა და, რაც მთავარია, პოლონეთის საკითხის მოგვარების სურვილმა განსაზღვრა რუსეთის ასეთი პოზიცია ანტიფრანგულ კოალიციაში ამ ეტაპზე.

პოლონეთის საბოლოო დაყოფისაკენ მისწრაფება, რომელსაც ეკატერინე II იაკობინურ საფრანგეთთან ბრძოლის, „იაკობინური იდეების“ აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი ძირითადი ბუდის მოსპობის საბაბით და ნიღბით განხორციელებდა, მაინც გადამწყვეტი პირობა იყო, რამაც ანტიფრანგული კოალიციის მოქმედება შეზღუდა. მით უფრო, რომ ავსტრია და პრუსია არა ნაკლებ იყვნენ დაინტერესებულნი პოლონეთის დაყოფით და ამიტომ რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ ომს უსულგულოდ ეწეოდნენ და პოლონეთის საბოლოო დაყოფის შედეგად მსხვილ ლუკმას მოელოდნენ. ამ მხრივ პოლონეთის დაყოფის საკითხმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პირველი ანტიფრანგული კოალიციის წარუმატებლობაში და, პირიქით, ხელი შეუწყო ფრანგი ხალხის რევოლუციური ომების წარმატებას. სავსებით სწორი იყო ფრ. ენგელსი, როდესაც დასახელებულ ნაშრომში სწერდა, რომ პოლონეთის ძარცვამ თავისკენ მიიზიდა კოალიციის ძალები 1792 — 1794 წლებში და შეასუსტა მისი ძალები საფრანგეთის წინააღმდეგო. „პოლონეთი დაეცა, მაგრამ მისმა წინააღმდეგობამ იხსნა საფრანგეთის რევოლუცია...[2].

პოლონეთის საკითხს, მართლაც, ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეკავა რუსეთის საგარეო პოლიტიკაში 1791—1795 წლებში. ამ საკითხის გადაწყვეტა, ე. ი. პოლონეთის სახელმწიფოს ლიკვიდაცია და მისი ტერიტორიის უდიდესი ნაწილის იმპერიისათვის შეერთება, მეტოქეების—პრუსიის და ავსტრიის—სხვა საქმით დაკავების გზით, აი რა იყო ეკატერინე II-ის მთავარი საზრუნავი აღ-

---

[1] К. Нотман, დასახ. წერილი, გვ. 11.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., ტ. XVI, ნაწ. II, გვ. 16.

ნიშნულ პერიოდში[1]. ამიტომ იყო, რომ საფრანგეთის რევოლუციის წინააღმდეგ საშინაო და საგარეო ფრონტებზე ეფექტური ნაბიჯების გადადგმის მიუხედავად, მან არ გადადგა შემდგომი ნაბიჯი და თავი შეიკავა რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმისაგან, დასავლეთ ევროპაში ჯარის გაგზავნისაგან.

პოლონეთის მესამე დაყოფის დამთავრების და ამ სახელმწიფოს ლიკვიდაციის შემდეგ, როდესაც რუსეთის მეფის მთავრობის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი „თავსატეხი საკითხი" რუსეთის სასარგებლოდ იქნა გადაწყვეტილი, რევოლუციური საფრანგეთისა და მისი „გამხრწნელი ბაცილის" წინააღმდეგ ბრძოლა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ფოკუსში ექცევა. რუსეთის მონარქია, რომელიც ისედაც აქტიურ როლს ასრულებდა მთელი ანტიფრანგული კოალიციის კონტრრევოლუციური ლაშქრობების საქმეში, ამიერიდან მისი მთავარი იდეურ-პოლიტიკური ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი ხდება. ეკატერინე II-ის რუსეთი ევროპის მთავარი ჟანდარმის როლში გამოდის.

ამის შესაბამისად 1795 წლის თებერვლის 7 (18) რუსეთის დიპლომატია ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას დებს ინგლისთან, რომელსაც იმავე წლის სექტემბერში ავსტრიაც უერთდება.

ამ სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმომწერი სახელმწიფოები საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად ურთიერთდახმარებას ჰპირდებოდნენ ერთმანეთს, როგორც ზღვაზე, ისე ხმელეთზე. აღნიშნული ხელშეკრულების დადების პარალელურად პეტერბურგის მთავრობა ზემოქმედებას ახდენს პრუსიაზე, რათა უკანასკნელი გამოიყვანოს ნეიტრალური მდგომარეობიდან და ისევ ჩააბას კოალიციაში.

ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულება საზღვაო ფლოტით ინგლისისათვის დახმარების შესახებ რუსეთის იმპერატორმა მალე შეასრულა, მაგრამ ამჯერადაც მან თავი შეიკავა სახმელეთო არმიის გაგზავნისაგან. ასე გაგრძელდა ეს ვითარება იმ

---

[1] ეკატერინე II ჯერ კიდევ 1791 წლის დეკემბერში ეუბნებოდა თავის მდივანს ბრაუნოვიცკის: „je me casse la tête, чтоб подвинуть Венский и Берлинский Дворы в дела французския". „У меня много предпринятий неоконченных, и надобно, чтоб они были заняты и мне не мешали". „Дневник А. В. Храповицкого", გვ. 386. რუსეთის იმპერატორის მოტანილი სიტყვა ნათელყოფს, რომ მას სურდა ავსტრია და პრუსია მაგრად მიეჯაჭვა და „დაეტვირთა" რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლით, წაექეზებინა ისინი ამ მიმართულებით, თვით კი ხელ-ფეხი გაეხსნა და უდრტვინველად პოლონეთის საკითხის გადაწყვეტისათვის მოეკიდა ხელი.

დრომდე, ვიდრე იტალიაში და რაინის აუზში საფრანგეთის არმიის ახალმა გამარჯვებებმა და მის შედეგად ინგლის-რუსეთის შეშფოთების გაძლიერებამ კიდევ უფრო მჭიდროდ არ დააკავშირა ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთს 1796 წ. ნოემბრის ტრაქტატით. ამ ტრაქტატით რუსეთმა ინგლისისაგან სუბსიდიის მიღების სანაცვლოდ მტკიცე ვალდებულება აიღო 10 ათასი კაცისაგან შემდგარი კორპუსი დაეძრა საფრანგეთის წინააღმდეგ.

საექსპედიციო კორპუსის გასაგზავნად პეტერბურგში უკვე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯი. სუვოროვს ბრძანება მიეცა გასალაშქრებლად მზად ყოფილიყო, მაგრამ დაწყებული მზადება შეაჩერა ეკატერინე II-ის აპოპლექსიურმა სიკვდილმა 1796 წ. 6 (17) ნოემბერს.

ამგვარად, 1796 წლის დასასრულისათვის, როდესაც ეკატერინე II-ის გარდაცვალების შედეგად რუსეთის სამეფო ტახტზე ცვლილება მოხდა, საფრანგეთსა და რუსეთს შორის ყოველგვარი ურთიერთობა — პოლიტიკურ-დიპლომატიური, ეკონომიური და კულტურული — დიდი ხნის შეწყვეტილი იყო. რუსეთი წარმოადგენდა ფრანგული ფეოდალური ემიგრაციის ერთ-ერთ მთავარ თავშესაფარს და საკრებულოს, ანტიფრანგული ძალების ერთ-ერთ მთავარ დამრაზმავს და ორგანიზატორს. ფაქტიურად რუსეთი უკვე კარგახანია იბრძოდა საფრანგეთის რევოლუციის „გამხრწნელი გავლენის" წინააღმდეგ ქვეყნის შიგნით, სადაც უსასტიკესი რეაქცია იყო გაბატონებული, თანაც პოტენციურად მონაწილეობდა ევროპის მონარქთა და ფეოდალ-მთავართა ბრძოლაში საფრანგეთის წინააღმდეგ. მეფის რუსეთი ინგლისთან ერთად ფაქტიურად ანტიფრანგული კონტრრევოლუციური ბლოკის იდეურ და პოლიტიკურ ორგანიზატორს წარმოადგენდა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, რუსეთი ჯერ კიდევ არ იმყოფებოდა საფრანგეთთან ომის მდგომარეობაში, რამდენადაც ფორმალურად რუსეთის მთავრობას საფრანგეთისათვის ომი არ ჰქონდა გამოცხადებული.

რუსეთის მეზეურები დიდად არ ჩქარობდნენ ამ ფორმალური აქტისათვის. პირველი ანტიფრანგული კოალიცია მისი მონაწილეობის გარეშე ასე თუ ისე მაინც აწარმოებდა ომს, ისიც ევროპის უძლიერესი საზღვაო სახელმწიფოს, ინგლისის მონაწილეობით. რუსეთის „სიზანტე" — უშუალოდ ჩაბმულიყო ომში საფრანგეთის წინააღმდეგ და დაეძრა ჯარები დასავლეთისაკენ—რამოდენიმე გარეგნობებით იყო ნაკარნახევი. პირველ ყოვლისა, რუსეთის დიპლომა-

ტიას და მის ხელმძღვანელს ეკატერინე II-ეს მტკიცე გადაწყვეტილება ჰქონდათ მიღებული ანტიფრანგულ კოალიციაში ჩამბმამდე სავსებით მოეგვარებინათ ძირითადი „გადაუდებელი და თავსატეხი საქმეები“ პოლონეთის საკითხთან დაკავშირებით და თავისდა სასარგებლოდ გადაეწყვიტათ თურქეთის საკითხი. ამავე დროს მათ სურდათ უზრუნველეყოთ მტკიცე ზურგი მეზობელ სახელმწიფოთა ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფის გზით. დაბოლოს, დრო მოეგოთ ჯეროვანი მზადების ჩასატარებლად, რასაც საფრანგეთთან ბრძოლა მოითხოვდა.

ზოგიერთი საბჭოთა ისტორიკოსის გადაჭრითი მტკიცება, რომ საფრანგეთთან ომის გაჩაღებას რუსეთის იმპერატორის სიკვდილმა შეუშალა ხელი, თორემ საამისოდ უკვე ყველაფერი მზად იყოო, არ მიგვაჩნია სავსებით დამაჯერებლად. ომის შესაძლებლობა და სიტუაცია ყოველთვის არ გადაიზრდება ომის სინამდვილეში. ხომ შესაძლებელია რაიმე, წინასწარ გაუთვალისწინებელ შინაგან, თუ საგარეო გარემოებას ახალი დაბრკოლება შეექმნა ამ მიმართულებით და ისევ გადაეწია ომის გამოცხადების თარიღი.

ფრანგი ისტორიკოსი ალბერტ სორელი მიუთითებს, რომ ეკატერინე II მხოლოდ იმუქრებოდა, წყევლა-კრულვას უგზავნიდა საფრანგეთის რესპუბლიკას, თითქოს ჯარსაც კი აგზავნიდა მის წინააღმდეგ, მაგრამ რეალურად არაფერს არ აკეთებდა. დივერსიადაშინების გარდა მას არცერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს და არც აპირებდა ასეთი ნაბიჯის გადადგმას. რუსეთის ომი საფრანგეთის წინააღმდეგ, მისი აზრით, დიდად სარისკო საქმეს წარმოადგენდა („...столь чреватое грядущим приключением“), საშინაო და საერთაშორისო ვითარება საშუალებას არ აძლევდა მას გადაედგა ასეთი ნაბიჯი[1].

სორელის აღნიშნული შეხედულება ისტორიულ სინამდვილეს ეწინააღმდეგება. ეკატერინე II, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ავსტრიისა და პრუსიის მეშვეობით უკვე 1792 წლიდან აწარმოებდა არაპირდაპირ ინტერვენციას რევოლუციური საფრანგეთისა და მისი გავლენის წინააღმდეგ. თუ იგი, მიუხედავად ამისა, უშუალო ინტერვენციისაგან, საფრანგეთის წინააღმდეგ ფორმალურად ომის გამოცხადებისაგან თავს იკავებდა, ეს იმით იყო პირობადებული, რომ მეფის რუსეთის მთავრობას ჯერ კიდევ „ბევრი დაუმთავრებელი საქმეები ჰქონდა“ (პოლონეთის, თურქეთის, შვეციის) და წინასწარ

---

[1] А. Сорель, Европа и Французская революция, ტ. 5, გვ. 35—36.

სურდა თავის სასარგებლოდ მოეგვარებინა ეს საქმეები მანამდე, სანამ რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ აშკარა ომს დაიწყებდა. მართლაც 1795 წლიდან, როდესაც ეკატერინე II-ის მთავრობამ დაასრულა „დაუმთავრებელი საქმეების“ მოგვარება, კერძოდ დაამთავრა პოლონეთის დაყოფა, გადადგმულ იქნა ეფექტური პრაქტიკული ნაბიჯები ამ მიმართულებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფრ. ენგელსი თავის ნაშრომში „Внешняя политика русского царизма“, ჩვენის აზრით, სავსებით სწორ აზრს არ ანვითარებს საფრანგეთის რევოლუციისადმი ეკატერინე II-ის დამოკიდებულების საკითხში. მისი შეხედულებით საფრანგეთის რევოლუციის გაჩაღება ახლი ბედნიერება იყო ეკატერინე II-ისათვის. სრულებით არ ეშინოდა რა რევოლუციური იდეების რუსეთში გავრცელებისა, ამ ამბავში მან დაინახა მხოლოდ ახალი ხელსაყრელი შემთხვევა იმისათვის, რომ ერთიმეორისათვის წაეკიდებინა ევროპის სახელმწიფოები, რათა რუსეთს მოქმედების საშუალება მისცემოდა („...чтобы развязать руки России“)[1].

რომ საფრანგეთის რევოლუციამ ეკატერინე II-ეს თავისი დაპყრობითი გეგმების სისრულეში მოყვანისათვის ხელსაყრელი პირობები შეუქმნა, ეს სავსებით სწორია და მართებული, მაგრამ განა მას არ ეშინოდა რევოლუციური იდეების გავრცელებისა რუსეთში და მის წინააღმდეგ შიგნით და გარეთ ეფექტიურ ღონისძიებებს არ იღებდა?

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XVI, ნაწ. II, გვ. 16.

თ ა ვ ი III

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა 1796 წლის დასასრულიდან 1797 წლის დასაწყისამდე

1. აღმასრულებელი დირექტორიის ხელისუფლება საფრანგეთში და მისი ხასიათი

1795 წლის 26 ოქტომბერს (IV წლის 5 ბრიუმერს, საფრანგეთის რესპუბლიკის წელთაღრიცხვით) თერმიდორულმა კონტრრევოლუციურმა კონვენტმა, გამოიმუშავა რა III წლის ანტიხალხური კონსტიტუცია, დაასრულა თავისი საქმიანობა და ადგილი დაუთმო ამ კონსტიტუციის საფუძველზე შექმნილ ახალ ხელისუფლებას. ეს ახალი ხელისუფლება შედგებოდა ხუთასთა საბჭოსა და უხუცესთა საბჭოსაგან, რომელთა ხელში იყო საკანონმდებლო ხელისუფლება, და აღმასრულებელი დირექტორიისაგან, (Dinectoire), რომლის ხელშიც მოქცეული იყო აღმასრულებელი ფუნქციები.

საფრანგეთის ისტორიის ამ მოკლე მონაკვეთს, რომელიც 1799 წლის 18 ბრიუმერამდე გრძელდებოდა, დირექტორიის მმართველობის ან აღმასრულებელი დირექტორიის პერიოდს უწოდებენ.

1795 წლის (III წლის) კონსტიტუციის საფუძველზე საფრანგეთში შექმნილი ახალი ხელისუფლება თავისი კლასობრივი არსით წარმოადგენდა იმ კონტრრევოლუციური აქტის შემდგომ ევოლუციას, რომელიც მოხდა 1794 წლის 27 ივლისს (9 თერმიდორს). იგი იყო ახალი, რევოლუციის შედეგად გამარჯვებული და ეკონომიურად გაძლიერებული სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის ბატონობის პოლიტიკური ფორმა. მისი დანიშნულება იყო ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად მოპოვებული პოლიტიკური ბატონობის

დაცვა და განმტკიცება, მშრომელი მასებისათვის ყოველგვარი ეკონომიური და პოლიტიკური უფლებების წართმევა და ბურჟუაზიული საზოგადოების აგება.

მარქსი „წმინდა ოჯახში" იძლევა დირექტორიის ხელისუფლების სოციალური არსის კლასიკურ განსაზღვრას, როდესაც შემდეგს წერს:

„რევოლუციამ გაანთავისუფლა ბურჟუაზიული საზოგადოება ფეოდალური გზებისაგან და ოფიციალურად იცნო იგი... მაგრამ მხოლოდ დ ი რ ე ქ ტ ო რ ი ი ს მთავრობის დროს გამოხეთქა გარედ და დაიწყო ჩუხჩუხი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ნამდვილმა ცხოვრებამ. კომერციულ წამოწყებათა ციებ-ცხელება, გამდიდრებით გატაცება, თაებრუდახვევა-გადათრობა ახალი ბურჟუაზიული ცხოვრებით, სადაც პირველ ნაბიჯებზე დატკბობა ღებულობს უტიფარ, თავქარიან, ფრივოლურ და გამაბრუებელ სახეს, ყველაფერი ეს წარმოადგენდა ახლახან ჩასახული ბურჟუაზიული საზოგადოების ცალკეულ სიცოცხლისეულ სიმპტომებს". „...ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ჰპოულობს თავის დ ა დ ე ბ ი თ წარმომადგენელს ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა ში. ამგვარად ბურჟუაზია დ გ ე ბ ა თავისი ბატონობის გზაზე. ა დ ა მ ი ა ნ ი ს უ ფ ლ ე ბ ა წყვეტს არსებობას მ ხ ო ლ ო დ თ ე ო რ ი ა ში"[1].

მესამე წლის ანტიხალხურმა კონსტიტუციამ, მართლაც ფიქსაცია უყო ახალი ბურჟუაზიის („ნუვო-რიშის") გაბატონებას და მთელი ძალაუფლება მას გადასცა ხელში. ახალი ხელისუფლების ორგანოები — ხუთასთა საბჭო, უხუცესთა საბჭო და აღმასრულებელი დირექტორია—ლითონის ფულის, სურსათ-სანოვაგის, მიწების რეკვიზირებული ფონდის სპეკულაციით, სამხედრო დაკვეთა-მოწოდებებით და კონტრაბანდული საქონლის ვაჭრობით გამდიდრებული ბურჟუაზიის ხელისუფლება იყო. ახალმა მმართველობამ ამ ბურჟუაზიას შემდგომი გამდიდრების ფართო ასპარეზი გადაუშალა, მისცა მას შესაძლებლობა დამტკბარიყო მოპოვებული პოლიტიკური ბატონობით და ფუფუნება-ორგიების მორევში შეცურებულიყო[2].

---

[1] К. М а р к с и Ф. Э н г е л ь с, Соч., т. 3, гл. 151.

[2] „ახალი ბურჟუაზია, ახალი კაპიტალისტები... მხოლოდ 9 თერმიდორს უცდიდნენ,—წერს აკად. ე ტარლე,—რათა აშკარად გამოსულიყვნენ ასპარეზზე, რათა დაემკვიდრებინათ მათთვის სასურველი „თავისუფალი კონკურენციის სამეფო". Е. В. Т а р л е, Жерминаль и Прериаль, М., 1951, гл. 12.

საფრანგეთის ეკონომიური მდგომარეობა დირექტორიის მმართველობის წლებში კიდევ უფრო გაუარესდა. გაღრმავდა წინა წლებში დაწყებული ეკონომიური კრიზისი, არნახულ დონემდე დაეცა ფულის კურსი, იმატა სასურსათო სიძნელეებმა და სპეკულაციამ. სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის, ყველა ჯურის სპეკულანტების და სოფლის კულაკური ელემენტების ზღაპრული გამდიდრების პარალელურად მიმდინარეობს მშრომელი მასების ცხოვრების დონის კატასტროფიული დაცემა, მათი ფაქტიური გაღატაკება. განსაკუთრებით ეს ითქმის მუშათა და ქალაქის სხვა ღარიბთა შესახებ, რომელთაც უმუშევრობამ, შიმშილმა, პირველი მოთხოვნილების საგნებზე ფასების უზომოდ გადიდებამ, ჩასჭიდა თავისი მსახვრელი ხელი. იმ დროს, როდესაც საქონელთა უმრავლესობაზე ფასები 1795—1796 წლებში 1790 წელთან შედარებით 25—30-ჯერ გადიდდა, ხოლო სურსათ-სანოვაგეზე, კერძოდ, პურზე ასჯერ და მეტად, მუშათა ხელფასი გაიზარდა სრულიად უმნიშვნელო რაოდენობით. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მუშებს ხელფასი ეძლეოდათ ქაღალდის ასიგნაციებით, რომელთა კურსიც ლითონის ფულთან შედარებით ყოველდღიურად ეცემოდა, ნათელი გახდება მშრომელთა რეალური ხელფასის მეტად დაბალი დონე; მათი აუტანელი ცხოვრების პირობები[1].

რევოლუციის შედეგად მოპოვებულმა გამარჯვებამ საფრანგეთის ბურჟუაზიას ეკონომიური საქმიანობის ფართო ასპარეზი გადაუშალა, მაგრამ, დირექტორიის მმართველობის პირველ წლებში მან ეს შესაძლებლობა უმთავრესად მევახშეობისა და სპეკულაციიის მიმართულებით წარმართა. ომმა, მუდმივმა საფინანსო სიძნელეებმა, ინგლისის მიერ მოწყობილმა საზღვაო ბლოკადამ და სხვა დაბრკოლებებმა გამოიწვია საფრანგეთის სამრეწველო მოცულობისა და საგარეო ვაჭრობის სფეროს შემცირება. საფრანგეთის სამრეწველო საქონელმა მისი დაბალი ხარისხისა და მაღალი ფასის გამო ის ბაზრებიც კი ვერ დაიპყრო, რომლებიც მას მეზობელ ქვეყნებზე გამარჯვებამ ჩაუგდო ხელში. პერმანენტული ომები, შინაგანი სტაბილობის უქონლობა და სამხედრო დაკვეთების შეუწყვეტელი ზრდა უარყოფითად მოქმედებდა ძველი ურთიერთობის ბორკილებისაგან

---

[1] განსვენებული აკად. ე. ტარლე ოთხი სახელმწიფო მანუფაქტურის მუშათა ცხოვრების პირობების მიმოხილვით 1787—1799 წლებში რელიეფურად ამუქებს მთელი საფრანგეთის მუშათა მდგომარეობას დირექტორიის მმართველობის წლებში იხ. Е. В. Тарле. Рабочие национальных мануфактур во Франции в эпоху революции..., СПБ., 1908.

განთავისუფლებულ მრეწველობაზე და ამცირებდა მის საბაზრო პროდუქციას. საფრანგეთის მრეწველობის ეს მდგომარეობა, თავის მხრივ, გავლენას ახდენდა ქვეყნის საგარეო ვაჭრობაზე და სხვა გარემოებებთან ერთად ხელს უწყობდა მისი მოცულობის შემცირებას[1].

როგორც ცნობილია, საფრანგეთის სამეურნეო მოშლილობა დირექტორიის მმართველობის მთელ პერიოდში გრძელდება. მას მხოლოდ თვრამეტი ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალებამ და კონსულობის დამყარებამ მოუღო ბოლო.

ფორმალურად დირექტორია მხოლოდ აღმასრულებელი ფუნქციით სარგებლობდა და საკანონმდებლო ორგანოებს ექვემდებარებოდა, მაგრამ სინამდვილეში, მაშინდელი პოლიტიკური რეჟიმის არამტკიცე ხასიათის გამო, აღმასრულებელი დირექტორია გაცილებით მეტი უფლებით სარგებლობდა, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო მესამე წლის კონსტიტუციით. დირექტორიის მმართველობის ხანმოკლე პერიოდში ხშირად ცალკეული დირექტორებიც კი კონტროლს უწევდნენ საკანონმდებლო ორგანოებს — ხუთასთა საბჭოს და უხუცესთა საბჭოს და დროგამოშვებით წმენდდნენ მათ „საეჭვო" პირებისაგან. ცნობილია, რომ ბურჟუაზიის ინტერესების შესატყვისად დირექტორიამ მარჯვნიდან და მარცხნიდან — იაკობინთა და როიალისტთა — საფრთხისაგან დასაზღვევად რამდენიმე „მინიატიურული სახელმწიფო გადატრიალება" მოახდინა და გადაახალისა ხუთასთა საბჭო და უხუცესთა საბჭო.

დირექტორია, ანუ დირექტორთა საბჭო ხუთი კაცისაგან შედგებოდა. პირველი დირექტორები იყვნენ: ბარასი, კარნო, რებელი, ლეტურნენი და ლარეველიერ-ლეპო. მართალია, დირექტორები მორიგეობით ასრულებდნენ თავმჯდომარის მოვალეობას (3-3 თვით), მაგრამ მათ შორის მთავარ როლს მაინც ბარასი ასრულებდა. პირველ დირექტორებს შემდეგნაირად ჰქონდათ ფუნქციები განაწილებული: ბარასი განაგებდა არმიის პირად შემადგენლობას და პოლიციას; კარნო — სამხედრო დარგს; რებელი — საგარეო საქმეს, ფინანსებს და იუსტიციას; ლეტურნენი — ფლოტს; ლარეველიერ-ლეპო—საფრანგეთის ინსტიტუტებს, სკოლებს, მანუფაქტურებს, ბაღებს და ეროვნულ ღონისძიებებს[2].

---

[1] E. Levasseur. დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 267 და შემდ.

[2] „დირექტორი არ ყოფილა არც მინისტრი, არც პრეფექტი, არც გენერალი, ის იყო მხოლოდ ერთიანის ერთი მეხუთედი ნაწილი",—აი როგორ შეფასებას აძლევდა დირექტორთა ხელისუფლებას ნაპოლეონ ბონაპარტი იხ. Наполеон, Избранные произведения, т. I, М., 1941, გვ. 233.

დირექტორები თვით ნიშნავდნენ მინისტრებს, რომლებიც უშუალოდ მათ წინაშე იყვნენ პასუხისმგებელნი. ეს მინისტრები მოკლებული იყვნენ რეალურ ხელისუფლებას და დირექტორთა ხელში უბრალო სათამაშო ტიკინებს წარმოადგენდნენ. იმ უწყებების პოლიტიკურ ხაზს და მიმართულებას, რომელსაც მინისტრები უდგნენ სათავეში, იმუშავებდა აღმასრულებელი დირექტორია.

ბარასი, რომელიც წამყვან როლს ასრულებდა დირექტორთა შორის, ახალი კლასობრივი ხელისუფლების ყველაზე უფრო კოლორიტულ ფიგურას წარმოადგენდა. იგი იყო ავანტიურისტი, კარიერისტი, ყოველგვარ ბნელ და ჭუჭყიან საქმეებში დახელოვნებული გაიძვერა პოლიტიკოსი[1]. სწორედ ამ თვისებების გამო დაწინაურდა იგი პოლიტიკურ ასპარეზზე და დირექტორთა შორის მოწინავე ადგილი დაიკავა. ეს ის ბარასი იყო, რომელმაც შემდეგში სიეიესთან და ტალეირანთან ერთად მონაწილეობა მიიღო დირექტორიის წინააღმდეგ შეთქმულებაში, და ხელი შეუწყო ნაპოლეონ ბონაპარტს 18 ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალების მომზადებაგანხორციელებაში.

საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა დირექტორიის მმართველობის პერიოდში 9 თერმიდორის კონტრრევოლუციური გადატრიალების დროიდან გამომუშავებული კურსის განვითარებას წარმოადგენდა. ევროპის სახელმწიფოთა პირველ ანტიფრანგულ კოალიციასთან ომში მისი ამოცანა იყო: სამხედრო გამარჯვებებით მოპოვებული წარმატებების განმტკიცება-გაფართოება, კერძოდ, აღმოსავლეთის საზღვრების გასწვრივ ვასალურ სახელმწიფოთა რკალის შექმნა, აღმოსავლეთის ბაზრების მონოპოლიურად ფლობა, დაკარგული კოლონიების უკან დაბრუნება, ახალი კოლონიების ხელში ჩაგდება და მსოფლიოზე ბატონობის მიღწევა.

დიპლომატიური მეთოდები და ინსტიტუტები, რომლებიც საფრანგეთის ბურჟუაზიამ მის წინაშე მდგარი საგარეო პოლიტიკური ამოცანების სარეალიზაციოდ გამოიყენა, არ იყო ახალი. ისინი, როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, წარმოადგენდნენ საფრანგეთის ძველი რეჟიმის დიპლომატიური მეთოდების და ინსტიტუტების რესტავრაციას და მათ უმნიშვნელო მოდიფიკაციას. გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ მხოლოდ შეუცვალა მათ დანიშნულება, შეუხამა რევოლუციის შედეგად შექმნილ ვითარებას და თავის კლასობრივ

---

[1] „Человек наглый, безнравственный и корыстный", როგორც უწოდებს მას ცნობილი რუსი სამხედრო ისტორიკოსი დ. მილიუტინი. იხ. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 25.

ინტერესებს დაუმორჩილა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორიის მმართველობის დროს ბოლო მოეღო იმ ცვლილებებს, რომელიც საგარეო საქმეების გაძღოლისა და დიპლომატიური სამსახურის ორგანიზაციაში მოახდინეს იაკობინებმა მათი დიქტატურის დროს. დირექტორიამ აღადგინა რევოლუციამდელი დიპლომატიის ინსტიტუტები, მეთოდები და ფორმები.

საგარეო ურთიერთობის საკითხები, ისე როგორც შინაგანი მმართველობის უწყებები, უშუალოდ აღმასრულებელი დირექტორიის ხელში იყო (ყოველგვარ მოლაპარაკებათა წარმოება, სამშვიდობო, სამოკავშირეო, ნეიტრალიტეტისა და სავაჭრო ხასიათის ხელშეკრულებათა და სხვა ხასიათის კონვენციათა დამტკიცება)[1].

საგარეო ურთიერთობის უწყებას აღმასრულებელი დირექტორიის სახელით ხელმძღვანელობდა საგარეო ურთიერთობის მინისტრი. მას ნიშნავდა და ცვლიდა დირექტორია. საგარეო ურთიერთობის მინისტრი უმნიშვნელო ფიგურა იყო და აღმასრულებელი დირექტორიის უბრალო იარაღს წარმოადგენდა[2].

საგარეო ურთიერთობის დარგში საგარეო ურთიერთობის მინისტრთან ერთად მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებდა არაოფიციალური ხასიათის ბიურო — დიპლომატიური სამსახურის ბიურო (bureau diplomatique), რომელიც ასრულებდა ყველა ფუნქციას, საზღვარგარეთ აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლებთან ურთიერთობის კოორდინაციის საქმეში.

საზღვარგარეთ აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლებთან და მრავალრიცხოვან დიპლომატიურ აგენტებთან ურთიერთობა საგარეო ურთიერთობის სამინისტროსა და ზემოთ დასახელებული ბიუროს მეშვეობით წარმოებდა. მექრთამეობა, კორრუპცია, უპრინციპობა, პირადი გამდიდრებისადმი გაუმაძღარი მისწრაფება, კარიერიზმი, — ყველა ეს სისტემას წარმოადგენდა დირექტორიის მმართველობის წლებში, სხვა უწყებებთან ერთად ჰყვაოდა

---

[1] მე-სამე წლის კონსტიტუციაში მკაფიოდ ხაზგასმული იყო, რომ აღმასრულებელი დირექტორიის კომპეტენციაში შედის: „...le droit de négocier, arrêter, signer ou faire signer tous les traités de paix, d'alliance, de trêve, de neutralité, de commerce et autres conventions qu'il juge nécessaire au bien d'Etat". B. Guyot. დასახ. ნაშრ., გვ. 66.

[2] ფრანგი ისტორიკოსი Guyot მართალია, როცა საგარეო ურთიერთობის მინისტრს უწოდებს მინისტრს მხოლოდ სახელით. მაგრამ იგი აპარბებს როცა ხახს ავლებს დირექტორიისა და რუსეთის იმპერატორის ან პრუსიის მეფის უფლებებს შორის და ერთგვარად აიგივებს მათ ფუნქციებს საერთოდ, კერძოდ კი საგარეო პოლიტიკის საკითხებში. B. Guyot, დასახ. ნაშრ., გვ. 67.

საგარეო ურთიერთობის სამინისტროსა და დიპლომატიური სამსახურის ყველა საფეხურზე. ძველ მოხელეებთან ერთად, რომლებიც „პრივილეგიურთა“ რიგებს ეკუთვნოდნენ და შეეგუენ ახალ მმართველობას, რევოლუციის წლებში საგარეო ურთიერთობის ხაზით „დაწინაურდა“ კარიერისტთა და ავანტიურისტთა ახალი ჯგუფი. ამან კიდევ უფრო გააძლიერა საგარეო ურთიერთობის აპარატში გაბატონებული გამყიდველობა და გახრწნილება. ამიტომ იყო, რომ დირექტორიის მმართველობის წლებში საფრანგეთის დიპლომატიური საიდუმლოება ხშირად ხმიანდებოდა და მოწინააღმდეგეებს უვარდებოდა ხელში. პრუსიასა და ევროპის რიგ სახელმწიფოსთან აკრედიტებული ბევრი ფრანგი დიპლომატი და აგენტი კავშირში იყო რუსეთის, ინგლისის და ავსტრიის საიდუმლო სამსახურთან და საჭირო ცნობებს აწვდიდა თავიანთ „დამქირავებლებს.“[1]

დირექტორიის მმართველობის პერიოდში საგარეო ურთიერთობის პირველი მინისტრი იყო შარლ დელაკრუა, რომელსაც ეს თანამდებობა 1797 წლის 16 ივლისამდე ეკავა.

შარლ დელაკრუა როგორც დიპლომატი, არ იყო დაჯილდოებული განსაკუთრებული ნიჭით და ერუდიციით. იგი ბევრად ჩამოუვარდებოდა თავის მემკვიდრეს, ტალეირანს. დირექტორიის პერიოდის საფრანგეთის დიპლომატიის ისტორიის არც ფრანგი და არც უცხოელი ისტორიკოსები არ აღნიშნავენ დელაკრუას მნიშვნელოვან დიპლომატიურ ნიჭს და დამსახურებას (თუმცა შეიძლება ეს აიხსნას ნაწილობრივ ამ ისტორიკოსთა სუბიექტური შეხედულებით და თვით საგარეო ურთიერთობის მინისტრის უმნიშვნელო როლით და ინიციატივით). მიუხედავად ამისა, უდავოა, რომ დელაკრუა იყო ენერგიული, და დირექტორიის დავალებათა წესიერად აღმსრულებელი მინისტრი, თუმცა მას საკუთარი ინიციატივა არ გამოუჩენია რაიმე დარგში[2].

ფორმალურად, 1795 წლის კონსტიტუციის მიხედვით, ზემოთ აღნიშნული უწყებებისა და თანამდებობების პირებს გარდა არავის უფლება არ ჰქონდა ჩარეოდა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის საქმეებში. მაგრამ სინამდვილემ არარად აქცია

---

[1] История дипломатии, т. I, გვ. 356.

[2] შარლ დელაკრუას ბიოგრაფიისა და დიპლომატიური საქმიანობის შესახებ იხ. А. Сорель, დასახ. ნაშრ., ტ. 5, გვ. 21—22; B. Guyot, დასახ. ნაშრომი, გვ. 68—70; E. Masson, Le Département des Affaires étrangères pendant la Révolution (1789—1804), Paris, 1877, გვ. 361—363, 375; Nouwelle biographie générale depuis les temps les plus reculés jusqu'à nos jours, I, 30. Paris, 1885., გვ. 392.

კონსტიტუციის ეს აკრძალვა და გენერალიტეტს ამ დარგში უფრო მეტი უფლებები მიანიჭა, ვიდრე სპეციალურ ორგანოებს და პასუხისმგებელ მუშაკებს. საფრანგეთის მომქმედი არმიების გენერლების ნაწილი, კერძოდ, ფრონტების და არმიების სარდლები, უშუალო მონაწილეობას ღებულობდნენ მეომარ და ნეიტრალურ ქვეყნებთან მოლაპარაკებაში და ხშირად დირექტორიის და საგარეო ურთიერთობის სამინისტროს თანხმობის გარეშე ხელშეკრულებებსაც კი სდებდნენ მათთან. ისეთი გენერლები, როგორიც იყვნენ ჰოში, მორო, პიშეგრიუ, ჟურდანი და ამ დროისათვის ასპარეზზე ამოტივტივებული და იტალიის კამპანიით სახელმოხვეჭილი ბონაპარტი, ანგარიშსაც კი არ უწევდნენ დირექტორიის მერყევ ხელისუფლებას. და ითვისებდნენ მის ფუნქციებს საგარეო ურთიერთობის დარგშიც კი. როგორც ცნობილია, ნაპოლეონ ბონაპარტი არა მარტო იბრძოდა იტალიაში, არამედ თვითნებურად მოლაპარაკებასაც აწარმოებდა იტალიის მეფე-მთავრებთან და თავისი პირადი ნება-სურვილის მიხედვით დებდა მათთან საჭირო ხელშეკრულებებს, თანაც ახლოსაც არ იკარებდა დირექტორიის დიპლომატიურ წარმომადგენლებს[1].

2. საფრანგეთის საერთაშორისო მდგომარეობა 1796 წლის დასასრულისათვის

ის პოლიტიკური ვითარება, რომელიც არსებობდა ევროპაში დირექტორიის მმართველობის პირველ პერიოდში (1796 — 1797 წლების მიჯნაზე), საგრძნობლად განსხვავდებოდა 1792—1794 წლების ვითარებისაგან. ეს ცვლილებები ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოიწვია რევოლუციური ომების დამთავრებამ და ომების საფრანგეთის ტერიტორიიდან მოწინააღმდეგეთა ტერიტორიებზე გადანაცვლებამ.

1792 წლის 20 აპრილს დაწყებული ომი რევოლუციურ საფრანგეთსა და ევროპის მონარქ-ფეოდალთა კონტრრევოლუციურ კოალიციას შორის გრძელდებოდა დირექტორიის მმართველობის პერიოდშიაც. მაგრამ ამ ომის ხასიათსა და მიზნებში არსებითი ცვლილება მოხდა. მეორე წლის 9 თერმიდორიდან (1794 წლის 27 ივლისიდან), როდესაც საფრანგეთში დამყარდა კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ბატონობა, ლიკვიდირებულ იქნა ძველი წყო-

---

[1] ამის შესახებ დაუფარავად მოგვითხრობს თვითონ ნაპოლეონ ბონაპარტი, იხ. Наполеон, Избранные произведения, М., 1956. გვ. 175—191.

ბილების რესტავრაციისა და ინტერვენციის უშუალო საფრთხე, ინტერვენტები განიდევნენ საფრანგეთიდან და ომი თვით მტრების ტერიტორიაზე იქნა გადატანილი, ომმა დაკარგა საფრანგეთისათვის თავდაცვითი, სამართლიანი და რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ხასიათი. იგი დაპყრობით, უსამართლო, აგრესიულ ომში გადაიზარდა. საფრანგეთის გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ ამ ომის წარმატებას დაუკავშირა ვრცელი აგრესიული გეგმების განხორციელება: ისტორიულად ჩამოყალიბებული ნაციონალური სახელმწიფოების დამოუკიდებლობის ლიკვიდაცია, მათი დამონება და გაძარცვა, მათ ხარჯზე ახალი დაპყრობითი ომების მომზადება.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ომმა, შეინარჩუნა ბურჟუაზიულ-პროგრესიული ხასიათი. რევოლუციური ომების პერიოდის ცნობილი ლოზუნგები — „ომი სასახლეებს, მშვიდობა ქოხებს“—ფორმალურად ჯერ კიდევ არ იყო მოხსნილი. საფრანგეთის არმიები დაპყრობილ ადგილებში კვლავინდებურად განაგრძობდნენ მონარქთა, ფეოდალთა და კათოლიკური ეკლესიის თავკაცთათვის ჰახვილის ჩაცემას. ძველი დრომოჭმული ფეოდალური ურთიერთობის ლიკვიდაციის პარალელურად ამ ადგილებში მკვიდრდებოდა თავისი დროისათვის აშკარად პროგრესული ბურჟუაზიული ურთიერთობა, წარმოების ბურჟუაზიული წესები. საფრანგეთის ბურჟუაზია ევროპის დაპყრობილ ადგილებში ნერგავდა საფრანგეთის რევოლუციის იმ მონაპოვარს, რომელიც შეესაბამებოდა მის კლასობრივ ინტერესებს. ეს ომები, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ვ.ი. ლენინი, მართალია, შეიცავდა სხვა ქვეყნების ძარცვისა და დაპყრობის ელემენტებს. „...მაგრამ ეს ოდნავადაც არ სცვლის ამ ომების ისტორიულ მნიშვნელობას, რომლებიც ანგრევდნენ და არყევდნენ მთელი ძველი, ბატონყმური ევროპის ფეოდალიზმსა და აბსოლუტიზმს“[1].

ევროპის სახელმწიფოთა კონტრრევოლუციური კოალიციის ომი საფრანგეთის წინააღმდეგ დირექტორიის მმართველობის პერიოდშიაც ძირითადად უსამართლო, მტაცებლურ ხასიათს ინარჩუნებდა. ამ კოალიციაში ინგლისის ხელმძღვანელობით გაერთიანებულნი იყვნენ კონტინენტური ევროპის მონარქები, საერო და სასულიერო მთავრები, საერთოდ ძველი, ბატონყმური ევროპის ყველა პრივილეგიური ძალები. მათ ამოქმედებდათ საფრანგეთის დამარცხების და იქ ძველი წყობილების აღდგენის, მის ხარჯზე ტერი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 363.

ტორიული გაფართოების და მისი კოლონიური სამფლობელოების ხელში ჩაგდების ეგოისტური მისწრაფებები.

1792 წლის 20 აპრილიდან საფრანგეთსა და პირველ ანტიფრანგულ კოალიციას შორის წარმოებულ ომში იბრძოდა არა მარტო ორი სოციალური სამყარო, არამედ ორი სხვადასხვა ტიპის არმიაც (ინგლისის გამოკლებით). საფრანგეთის რესპუბლიკის არმია იყო ახალი ტიპის არმია, იგი რევოლუციის პროცესში აღმოცენდა, რევოლუციურ ომებში დავაჟკაცდა და გამოიწრთო. ამ არმიას ძირითადად სარდლობდნენ მდაბიოთა წრიდან გამოსული და რევოლუციის წყალობით დაწინაურებული მეთაურები. მის რიგებში იბრძოდნენ ფეოდალური უღლისაგან განთავისუფლებული და მიწა-წყალს დაუფლებული გლეხები, ხელოსნები, წვრილი ბურჟუები და „მესამე წოდების" სხვა ფენების წარმომადგენლები. ამ არმიის პოლიტიკურ-მორალური დონე, აღნიშნულის გამო, მაღალი იყო. საფრანგეთის რესპუბლიკის არმიას, ამასთან ერთად, შემუშავებული ჰქონდა ახალი სამხედრო სისტემა და ტექნიკურადაც კარგად იყო აღჭურვილი. აღნიშნული არმია ინერციით 9 თერმიდორის შემდეგაც ინარჩუნებდა იმ მებრძოლ-რევოლუციური სულის ტრადიციებს, რომელნიც აღაფრთოვანებდა მას რევოლუციურ-განმათავისუფლებელ ომში. მართალია, ამ არმიამ დაკარგა თავდაპირველი ხასიათი და დანიშნულება, მაგრამ მან მაინც შეინარჩუნა მაღალი საბრძოლო თვისებები. იგი, დაპყრობა-ძარცვის უსამართლო აქტებთან ერთად, ისევ ანხორციელებდა ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობის დანერგვის მისიას დაპყრობილ ადგილებში. პირველი ანტიფრანგული კოალიციის არმიების უმრავლესობა, პირიქით, არსებითად დაქირავებული არმიები იყო, ამიტომაც, მათი ბრძოლისუნარიანობა და პოლიტიკურ-მორალური დონე დაბლა იდგა. ეს არმიები უსამართლო მიზნებს ემსახურებოდნენ, მოკლებულნი იყვნენ რაიმე პროგრესულ იდეას და ტექნიკისა და ორგანიზაციის მხრივაც ჩამორჩებოდნენ საფრანგეთის რევოლუციის პროცესში შობილ ახალ არმიას. ძველი ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა, რომლის ჩარჩოებშიც ისინი იყვნენ მოქცეულნი, გამორიცხავდა მათ სხვაგვარ სახეს და ორგანიზაციას. ამ არმიების რიგით მებრძოლებსა და მეთაურებს შორის უფსკრული იყო გათხრილი. ჯარისკაცთა მასა ჯოხის დისციპლინაზე იყო აღზრდილი; მან არ იცოდა თუ რისთვის იბრძოდა და რა მიზნებს ემსახურებოდა.

ზემოთ აღნიშნული გარემოება მიმდინარე ომის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. ამიტომაც კოალიცია, ძალების რიცხობ-

რივი სიჭარბის მიუხედავად, დამარცხებებს დამარცხებებზე განიცდიდა, საფრანგეთის არმია კი ახალ-ახალ წარმატებებს აღწევდა და მტრების ძალებს მათსავე ტერიტორიებზე ანადგურებდა. მართალია, ინგლისი — ამ კოალიციის ხელმძღვანელი და ორგანიზატორი — კაპიტალისტურად უფრო განვითარებული იყო, ვიდრე საფრანგეთი, მაგრამ მას შეეძლო აქედან გამომდინარე უპირატესობა მხოლოდ ზღვაზე გამოეყენებინა. რაც შეეხება ევროპის კონტინენტს, რომელიც ომის მთავარ ასპარეზს წარმოადგენდა, იქ იბრძოდნენ არა ინგლისის ჯარები, არამედ მისი მოკავშირეების — ფეოდალური მონარქიების—ძალები, რომლებიც ინგლისელებისაგან მხოლოდ სუბსიდიებს ღებულობდნენ.

1796 წლის დასასრულისათვის, საიდანაც ჩვენ ვიწყებთ რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ოთხწლიანი პერიოდის მიმოხილვას, პირველი ანტიფრანგული კოალიცია, მიუხედავად იმისა, რომ ომი საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ისევ გრძელდებოდა, ფაქტიურად დაშლილი იყო.

კოალიციის რიგებში არსებულმა ღრმა წინააღმდეგობამ, საფრანგეთის არმიების გამარჯვებამ და ომის ასპარეზის თვით კოალიციაში შემავალ საფრანგეთის მოსაზღვრე ქვეყნების ტერიტორიაზე გადატანამ, კოალიციის იდეურ-პოლიტიკური ხელმძღვანელისა და ბანკირის—ინგლისის—ეგოისტურმა ზრახვებმა გადამწყვეტი როლი შეასრულა მის დაშლაში.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები არაერთხელ აღნიშნავდნენ ინგლისის კაპიტალიზმის მტაცებლურ ბუნებას და დაპყრობით მისწრაფებებს. აღმოცენდა რა „მთელ ტომთა და რასათა გადაშენების“ შედეგად, დიდმა ბრიტანეთმა თავისი არსებობის გრძელ მანძილზე დაიპყრო და დაიმონა ათეული ქვეყანა, ბოლო მოუღო ბევრი ხალხის დამოუკიდებელ არსებობას და მრავალი სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩამხშობის როლი შეასრულა. აღნიშნული მუდამ მხედველობაში უნდა გვქონდეს, როდესაც ვაშუქებთ ინგლისის მონაწილეობას ანტიფრანგულ კოალიციაში და მის ბრძოლას საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, ინგლისი რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ ომში ჩაება ორი მიზნით: 1) გაენადგურებინა რევოლუციის კერა, აღედგინა საფრანგეთში ძველი წყობილება და მით დაეცვა თავი რევოლუციის „ბაცილისაგან“, 2) დაესუსტებინა საფრანგეთი ეკონომიურად, სამხედრო დამარცხების გზით ექცია იგი მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ და ამგვარად, საკუთარი განთავისუფლებულიყო მისი სა-

ვაჭრო, საზღვაო და კოლონიური კონკურენციისაგან. მეორე მოტივი უფრო არსებითი და გადამწყვეტი იყო ვიდრე პირველი.

ფრიდრიხ ენგელსმა თავისი ნაშრომის „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ“ ინგლისური გამოცემის შესავალში მოგვცა იმ მოტივების შესანიშნავი შეფასება, რომლებიც ამოქმედებდა ინგლისს საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლის დროს 1793 წლიდან.

„მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს ბრიტანელ ბურჟუას, — წერს იგი,—საფრანგეთის რევოლუციამ მას მისცა დიდებული შესაძლებლობა კონტინენტური მოხარჯვების დახმარებით გაენადგურებინა საფრანგეთის საზღვაო ვაჭრობა, დაეპყრო საფრანგეთის კოლონიები და მოესპო საფრანგეთის უკანასკნელი პრეტენზიები საზღვაო მეტოქეობაზე. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ ებრძოდა იგი საფრანგეთის რევოლუციას. მეორე ის იყო, რომ მას სრულიად არ დაუჯდა ჭკუაში ამ რევოლუციის მეთოდები, — არა მარტო მისი „დანაშაულებრივი“ ტერორი, არამედ თვით მისი ცდაც — მიეყვანა ბურჟუაზიის ბატონობა უკიდურეს საზღვრებამდე“[1].

ინგლისის ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ როლს საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლის დროს მკაფიოდ ხაზს უსვამს აგრეთვე ვ. ი. ლენინი, როდესაც წერს შემდეგს: „როდესაც საფრანგეთი თავის დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციას ახდენდა და ისტორიულად ახალი ცხოვრებისათვის აღვიძებდა ევროპის მთელ კონტინენტს, ინგლისი კონტრრევოლუციური კოალიციის სათავეში აღმოჩნდა, ამავე დროს კი იგი კაპიტალისტურად გაცილებით უფრო განვითარებული იყო, ვიდრე საფრანგეთი“[2].

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ. ნაწერები, ტ. 2, თბ., 1950, გვ. 119.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 357—358; ამერიკელი კაპიტანი მეზენი ისტორიის ამკარა უხეშ ფალსიფიკაციას ეწევა, როდესაც ცდილობს დაამტკიცოს 1792—1794 წლების პერიოდის ომების უსამართლო და დამპყრობლური ხასიათი საფრანგეთის მხრივ. ამავე დროს მას ყოფნის გამბედაობა თვალი დახუჭოს ისტორიული სინამდვილის წინაშე, გამოეკომაგოს ინგლისელ ბურჟუებს და არისტოკრატებს და ამტკიცოს ინგლისის მაშინდელი საგარეო პოლიტიკის მორალური, სამართლიანი და თავდაცვითი ხასიათი. მისი შეხედულებებით ინგლისი საფრანგეთის წინააღმდეგ ეწეოდა სამართლიან და თავდაცვით ომს და არა დაპყრობით ომს. იგი, თითქოს, ამ ომში მხოლოდ თავს იცავდა ფრანგი აგრესორებისაგან: მშვიდობა, უშიშროება, აი რა სამართლიანი მოტივებით მოქმედებდნენ, თითქოს, მაშინ ინგლისის გაბატონებული კლასები. იხ. Э. Мэхэн, Влияние морской силы на Французскую революцию и империю (1789—1812), т. I, М. 1940. გვ. 36—37.

ებრძოდა რა საფრანგეთის რესპუბლიკას ზემოაღნიშნული მოტივების გამო, ინგლისის ბურჟუაზია თავის საქმეს აკეთებდა კონტინენტური მოკავშირეების მეშვეობით, რომლებიც მისთვის სისხლს ღვრიდნენ, ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ და „საზარბაზნე ხორცის“ როლს ასრულებდნენ.

ინგლისის ბურჟუაზიას ტრადიცია ჰქონდა შემუშავებული: ეკეთებინა ცუდი საქმეები, დაემარცხებინა მოწინააღმდეგეები, ჩაეხშო ყოველგვარი პროგრესულ-რევოლუციური მოძრაობა ევროპასა და მის მიღმა სხვისი მეშვეობით, სხვა გამოეყენებინა იარაღად და სხვისი ხელით ეგლიჯა ნარი.

„ინგლისის კაპიტალიზმი, — წერს ი. ბ. სტალინი, — მუდამ იყო, არის და იქნება სახალხო რევოლუციების ყველაზე ბოროტი ჩამხშობი. XVIII საუკუნის დამლევის საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციით დაწყებული... ინგლისის ბურჟუაზია მუდამ იდგა... კაცობრიობის განმათავისუფლებელი მოძრაობის დამრბეველთა პირველ რიგში.

„მაგრამ ინგლისის ბურჟუაზიას არ უყვარს ომი თავისი საკუთარი ხელით. იგი მუდამ ამჯობინებდა ომის სხვისი ხელით წარმოებას და იგი მართლაც ზოგჯერ ახერხებდა და პოულობდა სულელებს, რომლებიც მზად იყვნენ მისთვის ეგლიჯათ ნარი.

„ასე იყო საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს, როცა ინგლისის ბურჟუაზიამ მოახერხა რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ ევროპის სახელმწიფოთა კავშირის შექმნა“[1].

ინგლისის მონაწილეობა ევროპის სახელმწიფოთა პირველ ანტიფრანგულ კოალიციაში არსებითად განისაზღვრებოდა სუბსიდიებით, დიპლომატიური ხრიკებით და ოპერაციებით ზღვაზე. ომის მთავარ სიმძიმეს, აღნიშნულის გამო, ინგლისის კონტინენტური მოკავშირეები ეწეოდნენ. ომი მათ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, დიდი რაოდენობით ადამიანთა მსხვერპლს მოითხოვდა, ხოლო ნგრევას აგრეთვე ისინი განიცდიდნენ. ომის წარმოების ასეთი მეთოდი იწვევდა ინგლისის კონტინენტური მოკავშირეების სამართლიან გულისწყრომას. ეს იყო ანტიფრანგული კოალიციის სისუსტისა და შინაგანი წინააღმდეგობის ერთ-ერთი საფუძველი. ურთიერთსაწინააღმდეგო მისწრაფებებმა და პოლონეთ-გერმანია-იტალიის საკითხებმა, თავის მხრივ, შექმნა „ფიცხი მასალა“ მათ ურთიერთობაში, რაც კარგად გამოიყენეს ფრანგებმა, რომელთაც ძალითა თუ დიპლომატიის

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 9, გვ. 344—345.

ვზით ზედიზედ ჩამოაშორეს კოალიციის რიგებს ევროპის სახელმწიფოთა ნაწილი.

ანტიფრანგული კოალიციის რიგებიდან პირველად გამოვიდა პრუსია, რომელმაც 1795 წლის 5 აპრილს (ახ. სტ.) ხელი მოაწერა საფრანგეთთან ბაზელის საზავო ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა საფრანგეთ-პრუსიის 1795 წლის 17 მაისის ბაზელის ხელშეკრულება, რომლითაც ჩრდილო გერმანია პრუსიის მფარველობით ნეიტრალიტეტს აცხადებდა[1].

ცოტა ხნით ადრე, 1795 წლის 9 თებერვალს (ახ. სტ.) გაფორმდა ხელშეკრულება ტოსკანასა და საფრანგეთს შორის (პარიზში).

პრუსიისა და ტოსკანის მაგალითს მიბაძა ესპანეთმაც, რომელმაც 1795 წლის 22 ივლისს (ახ. სტ.) ბაზელში ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას საფრანგეთთან.

აღნიშნული სახელმწიფოების ომიდან გამოსვლით და საფრანგეთთან მათი ზავით პირველი ანტიფრანგული კოალიცია ფაქტიურად დაიშალა. ევროპის კონტინენტზე საფრანგეთის წინააღმდეგ ომს განაგრძობდა მხოლოდ ავსტრიის სახელმწიფო, რომელსაც ინგლისი ახალ-ახალი დაპირებებით და სუბსიდიებით კვებავდა. მაგრამ ავსტრია, რომლის არმიამ იტალიასა და რაინის აუზში არა ერთი მძლავრი დარტყმა განიცადა ფრანგებისაგან, უხალისოდ განაგრძობდა ომს და მზად იყო საფრანგეთთან საზავო ხელშეკრულების დასადებად.

მეორე ანტიფრანგული კოალიციის ფაქტიური დაშლისა და საომარი მოქმედებების ბელგია-ჰოლანდიის, გერმანიისა და იტალიის ტერიტორიებზე გადატანის მიუხედავად, საფრანგეთის რესპუბლიკის მდგომარეობა ამ დროისათვის მაინც არ იყო სახარბიელო. განუწყვეტელი ომები ახალ-ახალ მზარდ ხარჯებს მოითხოვდა, რაც მძიმე ტვირთად აწვებოდა საფრანგეთის მშრომელ მოსახლეობას, რომელიც ისედაც წელში იყო გაწყვეტილი განუწყვეტელად მზარდი გადასახადებითა და სამხედრო რეკვიზიციებით. ამ ვითარებამ — გამარჯვებული ბურჟუაზიის შეტევამ მშრომელთა საარსებო ინტერესებზე და როიალისტური აჯანყებების მზარდმა საფრთხემ, — საფრანგეთში შექმნა ნიადაგი ომის საწინააღმდეგო მძლავრი განწყობილებისათვის. ამას დაემატა მუდმივი ეკონომიური სიძნელეები, პერიოდული ფინანსური კრახი, გადიდებული სამხედრო ხარჯების დაფარვის სიძნელეები, ახალი სამხედრო შენა-

---

[1] Д. Мишютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 3.

ერთების შემოსვა და იარაღით აღჭურვის შეუძლებლობა და დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის წინააღმდეგობის გაძლიერება. აღნიშნულ გარემოებათა კომპლექსმა აიძულა დირექტორია მოეწყო ნიადაგი ომის დასამთავრებლად და „სამშვიდობო" ინიციატივით გამოსულიყო.

ცნობილი რუსი სამხედრო ისტორიკოსი მილიუტინი თავის ნაშრომში, ეხება რა დირექტორიის საგარეო პოლიტიკის მიმართულებას, მუქი საღებავებით ხატავს ამ პოლიტიკას და იგი იაკობინური დიქტატურის საგარეო პოლიტიკის გაგრძელებად მიაჩნია. ის მთელ პასუხისმგებლობას ომის გაჭიანურებისა და ევროპის ხალხებისათვის მიყენებულ უბედურებათათვის მხოლოდ დირექტორიას აკისრებს. მისი აზრით, საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკას დირექტორიის მთავრობის დროს ახასიათებდა დაუთმობლობა, თავხედობა, ზვიადობა, მშვიდობის საქმის აბუჩად აგდება, აღებულ ვალდებულებათა უხეშად დარღვევა და სხვ. ამავე დროს ინგლის-ავსტრიას იგი მიაწერს მშვიდობის აღდგენის გულწრფელ სურვილს, რაც, მისი აზრით, დირექტორიის მთავრობის საბოტაჟის გამო ვერ აღწევდა სასურველ შედეგს[1].

დირექტორიის საგარეო პოლიტიკას, როგორც უკვე აღვნიშნავდით, მართლაც არ ჰქონდა სამშვიდობო მიზნები, მისი დიპლომატიური ხერხები და მეთოდები ვერაგული და მუხანათური იყო. მაგრამ ისტორიის ფალსიფიკაციას წარმოადგენს მილიუტინის ცდა — გაამართლოს ინგლისის და ავსტრიის მთავრობები და მათ მიაწეროს ევროპის დამშვიდების და ხალხებისათვის ომის მძიმე ტვირთის მოხსნის გულწრფელი მისწრაფება. სინამდვილეში, ინგლისის და ავსტრიის მმართველთა საგარეო პოლიტიკის მიმართულება და ხასიათი, ისე როგორც მათ მიერ გამოყენებული დიპლომატიური მეთოდები და ხერხები არსებითად არაფრით არ განსხვავდებოდნენ დირექტორიის მთავრობის შესატყვისი პოლიტიკისაგან. მათაც,

---

[1] „Директория,—წერს იგი, — делала все, чтобы только заключение мира казалось невозможным: все попытки к примирению со стороны Англии и Австрии Директория отвергала своею надменною и дерзкою несговорчивостью; самые выгодные условия, подписанные республиканскими генералами на поле победы, не получали ратификации под разными предлогами. Наконец, если Директория не находила уже никакого предлога к оправданию своего упорства, то не боялась прибегать и к самому дерзкому нарушению общенародного права, чтобы создавать новые поводы к войне бесконечной". Д. Милютин, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 27.

დირექტორიის მსგავსად, ამოქმედებდათ არა მშვიდობის და ხალხთა თანაცხოვრების კეთილშობილური მიზნები, არამედ დაპყრობითაგრესიული მისწრაფებები. თუ ამ სახელმწიფოების მესვეურებმაც გადადგეს სამშვიდობო ნაბიჯები, ეს მოიმოქმედეს იმიტომ, რომ შეცდომაში შეეყვანათ საზოგადოებრივი აზრი და გარეგნულად ანგარიში გაეწიათ მოსახლეობის ფართო ფენების განწყობილებისათვის. მოსახლეობის ფართო ფენები კი უკვე აშკარად დრტვინავდნენ და უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ხანგრძლივი და მძიმე ომის გამო. მეომარ მხარეთა მოსახლეობის მოქანცვა გაჭიანურებული ომით და მათში ფეხმოკიდებული ომის საწინააღმდეგო განწყობილება იყო ის მთავარი მიზეზი, რომელმაც ბიძგი მისცა საფრანგეთ-ინგლისის და საფრანგეთ-ავსტრიის მოლაპარაკებებს 1797 წელს, რომელთაგანაც პირველი დამთავრდა უშედეგოდ, მეორე კი კამპოფორმიოს ზავზე ხელმოწერით (რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი).

ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩვენს მიერ მოხაზულმა ცვლილებებმა, კერძოდ კი პირველი კოალიციის რიგებში მომხდარმა ცვლილებებმა, ნიადაგი შეამზადეს ცვლილებებისათვის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაშიც. რუსეთში ახალი იმპერატორის გამეფებამ თავის მხრივ ბიძგი მისცა ახალი ვითარების აღმოცენებას ამ სახელმწიფოთა შორის.

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში ეკატერინე II-ის მეფობის მიწურულში, როგორც უკვე აღნიშნული იყო, რაიმე არსებითი ხასიათის ძვრა არ მომხდარა. ცარიზმმა, თავის სასარგებლოდ მოაგვარა რა „გადაუდებელი საქმეები", კერძოდ, პოლონეთის საკითხი, ენერგიულად მოჰკიდა ხელი საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მზადების საქმეს. ჯარების კონცენტრაცია დასავლეთის საზღვრებთან, ხელშეკრულების დადება ინგლისთან და პრუსიაზე მზარდი ზემოქმედების მოხდენა, მისი საფრანგეთის წინააღმდეგ ამხედრების მიზნით, ამ მზადების კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენდა. პარალელურად ამისა, ეკატერინე II-ის მთავრობა მზარდ დახმარებას უწევს საფრანგეთის ფეოდალურ ემიგრაციას. მფარველობს საფრანგეთის ტახტის მემკვიდრეს პროვანსის გრაფს („ლუი XVIII-ს"), აძლევს მას ახალ-ახალ სუბსიდიებს, თანაც აქეზებს როიალისტურ შეთქმულებებს თვით საფრანგეთში.

დირექტორიის მთავრობა მზარდი შეშფოთებით ადევნებდა თვალყურს ეკატერინე II-ის მთავრობის მიერ კონტრრევოლუციური ემიგრაციისათვის მფარველობას და მის მიერვე საფრანგეთის

რესპუბლიკა წინააღმდეგ ომისათვის მზადებას. იგი ცდილობდა მის განკარგულებაში არსებული საშუალებებით ხელი შეეშალა ყოველივე ამისათვის.

საფრანგეთის ბურჟუაზია და მის მთავრობას—დირექტორიას—საკუთრივ სამართლიანად მიაჩნდათ რუსეთი ყველაზე ძლიერ ძალად ევროპის კონტინენტის სახელმწიფოთა შორის და ამდენად საფრანგეთის მეტად საშიშ მოწინააღმდეგედ. რუსეთის ცარიზმის პოზიციაზე დიდად იყო დამოკიდებული იმ ომის პერსპექტივები, რომელიც საფრანგეთსა და I ანტიფრანგულ კოალიციას შორის წარმოებდა. რუსეთთან შემდგომ ურთიერთობას, მაშასადამე, არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა იმ გეგმების რეალიზაციაზე, რომლებიც საფრანგეთის ბურჟუაზიას ჰქონდა დასახული საგარეო პოლიტიკის დარგში.

ჩვენი აზრით, თუ საფრანგეთის დიპლომატია მიაღწევდა რუსეთის ნეიტრალიტეტს მომავალშიც ან უკეთეს შემთხვევაში მის სრულ ჩამოშორებას კოალიციისაგან და მასთან ურთიერთობის აღდგენას, მაშინ საფრანგეთს შესაძლებლობა ექნებოდა განმტკიცებინა კოალიციაზე მოპოვებული გამარჯვება და საშუალება მიეცემოდა გაეძლიერებინა თავისი პოზიციები იტალიაში, გერმანიაში და ინგლისთან გადამწყვეტი შეტევისათვის მომზადებულიყო. ის ვრცელი საგარეო პოლიტიკური გეგმები, რომელთა რეალიზაციასაც აგრესიის მეშვეობით ცდილობდა საფრანგეთის ბურჟუაზია, აუცილებლად გამოიწვევდა საფრანგეთის დაჯახებას რუსეთთან. მაგრამ საფრანგეთის ბურჟუაზიას სურდა თავიდან აეცდინა ეს შეჯახება ამ ეტაპზე, რათა გაბატონებულიყო დასავლეთ ევროპის პლაცდარმზე, გაენადგურებინა მისი დაუძინებელი საზღვაო-კოლონიური მტერი ინგლისი და მხოლოდ ამის შემდეგ ეფიქრა რუსეთის წინააღმდეგობის დაძლევაზე. პირიქით, თუ საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის აღნიშნული კურსი მარცხით დამთავრდებოდა და რუსეთი იარაღით ხელში საფრანგეთის წინააღმდეგ მოკლე დროში ამხედრდებოდა, მაშინ საფრანგეთის საქმე ცუდად წავიდოდა. ეს მკვეთრად შეცვლიდა ძალთა განწყობას კოალიციის სასარგებლოდ და საფრთხის წინაშე დააყენებდა არა თუ იარაღით მოპოვებულ წარმატებებს, არამედ თვით ბურჟუაზიისათვის სასურველ რევოლუციის შედეგებსაც კი.

რუსეთის საკითხს, რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის საკითხს, აღნიშნულის გამო, ჩვენ მივიჩნევთ საფრანგეთის დირექტორიის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის ერთ-ერთ მეტად

Მნიშვნელოვან და „თავსატეხ საკითხად“. ამ საკითხის განსაკუთრებული სერიოზულობით აიხსნება ის დიდი დიპლომატიური ფაცაფუცი, რომელსაც ადგილი ჰქონდა საფრანგეთის საგარეო ურთიერთობის სამინისტროსა და დიპლომატიური სამსახურის ბიუროში 1796 — 1797 წლების მიჯნაზე. ჩვენს ხელთ არსებული დიპლომატიური მასალები, რომლებიც საფრანგეთის საგარეო საქმეთა არქივებიდან არის ამოღებული და ფრანგ და რუს ავტორთა მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული, ცხადყოფენ იმ დიდ მნიშვნელობას, რომელსაც აძლევდნენ რუსეთის საკითხს საფრანგეთში დირექტორიის მმართველობის დროს.

1796 წლის დასასრულისათვის დირექტორიის მთავრობამ რუსეთის მიმართ უკვე შეიმუშავა გარკვეული გეგმა. ეს გეგმა მიზნად ისახავდა რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას ყველა დიპლომატიური ხერხის და საშუალების გამოყენებით. საფრანგეთის დიპლომატიამ რუსეთთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, მიმართა პრუსიას და განიზრახა მისი გამოყენება მომრიგებელ-შუამავლად. თუ პრუსიის მთავრობა თავის თავზე აიღებდა ამ მისიას, დირექტორიის მთავრობა მზად იყო მოლაპარაკება გაემართა პეტერბურგის მთავრობასთან. მოლაპარაკებას უნდა მოეგვარებინა ამ ორ ქვეყანას შორის არსებული ყველა სადავო საკითხი; მის შედეგად უნდა დადებულიყო რუსეთ-საფრანგეთის ხელშეკრულება, რომელიც არა მარტო აღადგენდა მათ შორის ომამდე არსებულ სავაჭრო-ეკონომიურ და დიპლომატიურ ურთიერთობას, არამედ მოაწესრიგებდა ევროპის პოლიტიკური დამშვიდების საკითხებსაც.

საფრანგეთის რესპუბლიკის სამშვიდობო ინიციატივა, მისი განზრახვა — მიეღწია რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის, ჩვენის აზრით, სრულიად უშედეგოდ დამთავრდებოდა ამ ინიციატივის დასაწყისშივე, რომ ეკატერინე II-ის გარდაცვალებას და პავლე I-ის გამეფებას რუსეთში, ახალი ვითარება არ შეექმნა იქ და „კორექტივის“ შეტანის საჭიროება არ გამოეწვია რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიმართულებაში. ის „კორექტივი“, რომელიც 1796 წ. დასასრულიდან რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიმართულებაში იქნა შეტანილი, პირველ ყოვლისა, სწორედ საფრანგეთთან შემდგომ ურთიერთობას შეეხებოდა. რუსეთის ახალი მთავრობის და საფრანგეთის დირექტორიის თვალსაზრისის რამდენადმე იდენტურობამ ევროპაში მშვიდობის აღდგენის თაობაზე, ხელსაყრელი ნიადაგი მოუმზადა საფრანგეთის დიპლომატიის განზრახულ ნაბიჯებს. ამ ნიადაგზე შესაძლებელი გახდა პრაქტიკული ნაბიჯების

გადადგმა რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში ცვლილებების მოსახდენად და მათ შორის არაოფიციალური მოლაპარაკების გასაჩაღებლად.

3. პავლე I-ის გამეფება

1796 წლის 6 (17) ნოემბერს გარდაიცვალა რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II და ტახტზე ავიდა მისი შვილი, ტახტის მემკვიდრე პავლე I[1].

რუსულსა და დასავლეთ ევროპის ისტორიოგრაფიაში იმპერატორ პავლე I-ის მეფობა და პიროვნება რამდენადმე „ამოუხსნელ სფინქსად" დარჩა.

რევოლუციამდელ რუს ისტორიკოსთა ერთი ჯგუფი და ზოგიერთი საზღვარგარეთელი ისტორიკოსი მკვეთრ ზღვარს ავლებენ და ჩინური კედლით თიშავენ ერთმანეთისაგან ეკატერინე II-ისა და პავლე I-ის მეფობას. მათი შეხედულებით, ამ ორი იმპერატორის მეფობის პერიოდებს არაფერი საერთო არა აქვს არა მარტო საშინაო პოლიტიკის, არამედ საგარეო პოლიტიკის მიმართულების მხრივაც[2].

---

[1] ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია შევებოთ ეკატერინე II-ის გარდაცვალებისა და პავლე I-ის გამეფების დეტალებს. მხოლოდ მივუთითებთ გრაფ. თ. ვ. როსტოპჩინის ცნობილ ბარათზე: „Последний день жизни императрицы Екатерины II-й и первый день царствования императора Павла I-го" (Архив князя Воронцова, ტ. 8, გვ. 158—174), რომელშიაც ბევრი საინტერესო ცნობებია მოცემული რუსეთის საიმპერატორო ტახტზე მომხდარი ცვლილებების შესახებ. ამ ბარათის დედანი ინახება ცენტრალურ სამხედრო-ისტორიულ არქივში) ЦГВИА, фонд ВУА, д. 304. лл., 1—9.

[2] პავლე I თანამედროვენიც რუსეთის ფეოდალური არისტოკრატიის ბანაკიდან, ფრანგი ემიგრანტები და უცხოელი დიპლომატ-მოგზაურები, რომელთაც დაგვიტოვეს ცნობები პავლე I პიროვნებისა და მისი მეფობის შესახებ (ბოლოტოვი, დერჟავინი, ლოპუხინი, ერმოლოვი, ტუჩკოვი, ტურგენევი, შიშკოვი, ლეონტიევი, გოლოვინა, ჩარტორიისკი, ფონვიზინი, ლუბიანოვსკი, მასონი, ლანჟერონი, გეიკინგი, რიბოპიერი, აბატი ჟორჟელი, რეიმერსი, უიტვორტი და სხვები) ერთი მეორეს საწინააღმდეგო შეფასებას აძლევენ როგორც თვით იმპერატორის პიროვნებას, ისე მისი მეფობის პერიოდის რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ხასიათს. ისინიც ორ სხვადასხვა ბანაკს მიეკუთვნებიან. თანამედროვეთა ერთი ჯგუფი პანეგირიკს უკმევს პავლე I, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მეორენი კი, პირიქით, მუქ საღებავებს მიმართავენ მისი დახასიათების დროს და მთელ მის მეფობას უწოდებს „ჩაკარდნას". პავლე I და მისი მეფობის შესახებ თანამედროვეთა შეხედულებების სხვადასხვაობა ხასიათით ბუნებრივ

ისტორიკოსთა ამ ჯგუფს ეკუთვნიან: ა. კორნილოვი, ნ. შილდერი, ვ. კლიუჩევსკი, კ. ვალიშევსკი, ბ. ბრიკნერი, მ. ლუბავსკი, ნ. ჩეჩულინი, ი. სემევსკი, ნ. კარამზინი რუსეთიდან, ა. სორელი და ზოგი სხვა ისტორიკოსი საფრანგეთიდან და ინგლისიდან.

აღნიშნული ისტორიკოსები ქება-დიდებას ასხამენ ეკატერინე II-ის მეფობას და ამ მეფობის სისტემას „ბრძნულ მმართველობას" და „განათლებულ აბსოლუტიზმს" უწოდებენ. ეკატერინე II-ის საშინაო პოლიტიკა, მათი აზრით, სავსებით შეესაბამებოდა რუსეთის მოსახლეობის ინტერესებს. დასტირიან რა ამ „დაკარგულ სამოთხეს", ისინი, პავლე I-ის ხანმოკლე მეფობის პერიოდს აფასებენ როგორც მკვეთრ გადახვევას რუსეთის ნორმალური განვითარებიდან, როგორც „ჩავარდნას", „წყვეტილს" წინამორბედ და მომდევნო ისტორიულ პროცესებს შორის რუსეთში; „შიშისა და დესპოტიზმის მეუფებას", სრულ რეგრესს ცხოვრების ყველა დარგში. პირადად პავლეს ისინი უწოდებენ „გვირგვინოსან ჰამლეტს", „საშემპყრობელ დესპოტს," „შიშის, ვაისა და უბედურების მთესველს", „არანორმალურ-პათოლოგიურ" პიროვნებას.

ნ. შილდერის აზრით, ეკატერინე II-ის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო იმპერატორ პავლეს ხანმოკლე, მაგრამ სისასტიკით მარად მოსაგონარი ოთხწლიანი მეფობის პერიოდი[1]. პავლე I-ის მეფობის დასახასიათებლად მას მოტანილი აქვს ნ. მ. მურავიოვ-აპოსტოლის ორიგინალური აზრი. მურავიოვ-აპოსტოლი, მოუთხრობდა რა თავის შვილებს ეკატერინე II-ისა და პავლე I-ის მეფობათა შესახებ, ამბობდა: თქვენ ვერასოდეს ვერ გაიგებთ იმ უდიდეს ცვლილებას, რომელიც ეკატერინე II-ის სიკვდილს და პავლე I-ის გამეფებას მოყვა. შილდერის თქმით, პავლეს გამეფებით დაწყებულ პერიოდს რუსეთის ისტორიაში თანამედროვენი სხვადასხვა პირობებში სხვადასხვა სახელით ნათლავდნენ. საზეიმოდ და საჯაროდ მას უწოდებდნენ ა ღ ო რ ძ ი ნ ე ბ ა ს; მეგობრულ საუბარში, ფრთხილად, დაბალი ხმით — ძ ა ლ ი ს დ ა შ ი შ ი ს მ ე ფ ო ბ ა ს; ფარულად, ორთა შორის—

მოვლენას წარმოადგენს. ისინი ხომ მაშინდელი რუსეთის გაბატონებული კლასების სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლები იყვნენ. იგივე უნდა ითქვას უცხოელ თანამედროვეთა შეხედულებების შესახებაც. მათი შეხედულებებიც გარკვეული ჯგუფების და პოლიტიკურ მიმდინარეობათა ანარეკლს წარმოადგენდა. ბუნებრივია, რომ ეს შეხედულებები მხოლოდ მიახლოებით იყო სინამდვილის შესატყვისი და სუბიექტურ-ტენდენციურ ხასიათს ატარებდა.

[1] Н. Шильдер, Император Павел первый..., СПБ., 1901, გვ. 284.

ზეგარდმო მოვლინებულ დაბნელებას (წყვდიადს)[1].

ა. კორნილოვი აგრეთვე მეტად მუქი საღებავებით ხატავს პავლე I-ის ოთხწლიანი მეფობის პერიოდს და მკაცრად გმობს მთელ მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომელიც, მისი თქმით, წარმოადგენდა ყველაფრის თავდაყირა დაყენებას და ყველაფრის აფორიაქებას[2].

ნ. კარამზინის აზრით (რომელიც აიდეალებდა თავადაზნაურულ მონარქიას), პავლეს პირადი კაპრიზებისა და გონების მცდარობის გამო, სურდა ივანე IV ყოფილიყო. „მაგრამ რუსეთს უკვე ჰყავდა თავისი ეკატერინე II და არ სურდა ჰყოლოდა ივანე IV. მან მეფობა დაიწყო საყოველთაო შიშის გამოყენებით... იგი ჩვენ გვთვლიდა არა ქვეშევრდომებად, არამედ მონებად"[3].

ვ. კლიუჩევსკის აზრით, პავლე I მოქმედებდა გრძნობით და არა გონებით, მას სურდა არა გაუმჯობესება, არამედ წინანდელი მეფობის პერიოდის წესების კვალის წაშლა. კლიუჩევსკი უარყოფს პავლეს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში რაიმე მთლიანობას, თანმიმდევრობის და გეგმიერობის არსებობას. პავლე I, მისი აზრით, დედისადმი შეურიგებელი სიძულვილის გრძნობით მოქმედებდა ყველაფერში. მისი შეხედულებით პავლე I-ის მოკვლამ და ალექსანდრე I-ის გამეფებამ გამაცოცხლებელი მოქმედება იქონია რუსეთის საზოგადოებაზე, მან თითქოს გამოაღვიძა რუსეთი ღრმა ძილისაგან[4].

---

[1] Н. Шильдер, დასახ. ნაშრ., გვ. 301; შილდერის მიერ მოტანილი და ნაზგასმული შეხედულება პავლე I-ის მეფობის ხასიათის შესახებ ეკუთვნის ამ მეფობის მომსწრეს და თანამედროვეს ლუბიანოვსკის. იხ. „Воспоминания Федора Петровича Лубяновского,—1777—1834", Москва, 1872, გვ. 91.

[2] „...В историческом процессе развития русского народа,—წერს იგი,—оно является каким-то внезапным вторжением, каким-то неожиданным шквалом, который налетел извне, все спутал, все переворотил вверх дном, но не мог надолго прервать или глубоко изменить естественный ход совершающегося процесса". А. Корнилов, Курс истории России XIX века, ч. 1—2, М., 1912, გვ. 58.

[3] „...что сделали якобинцы в отношении к республикам, — წერს იგი,—то Павел сделал в отношении к самодержавию; заставил ненавидеть злоупотребления оного". Записка Карамзина о древней и новой России, „Русский архив", 1870 г., გვ. 2267—2268.

[4] „Внешняя политика,—წერს იგი,—страдала той же особенностью, как и внутренняя; люди не знали, что будет завтра, какое начало восторжествует". В Ключевский, Курс Русской истории, ნაწ. 5, გვ. 235.

ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ალბერტ სორელიც, აღნიშნულ რუს ისტორიკოსებთან ერთად, გმობს და აძაგებს პავლეს მეფობას და მას ქარიშხლიან, წყვდიადით მოცულ მმართველობას უწოდებს[1].

ინგლისელ ისტორიკოსთა ნაწილი არსებითად იმეორებს პავლე I-ის მეფობის შესახებ იმ აზრს, რომელსაც ავითარებენ პავლეს „მოწინააღმდეგე" რუსი ისტორიკოსები[2].

რევოლუციამდელ რუს ისტორიკოსთა მეორე ჯგუფი—დ. მილიუტინი, ე. შუმიგორსკი, მ. კლიჩკოვი, ა. ბუცინსკი, დ. კობეკო და სხვ.—მართალია, ასხვავებენ ერთმანეთისაგან „ჩრდილოეთის სემირამიდისა" და „მინერვას შვილის" მმართველობას, მაგრამ, ამასთან ერთად, ექომაგებიან პავლეს და ტენდენციურობას სწამებენ მის აუგად მხსენებელ ისტორიკოსებს. აღნიშნული ისტორიკოსები პავლეს უწოდებენ „გვირგვინოსან რაინდს" და მას მიაწერენ სიბრძნეს, წინდახედულებას, სიქველეს, პატიოსნებას, კეთილშობილებას და სხვა მაღალ თვისებებს. რუს ისტორიკოსთა ეს ჯგუფი სავსებით ამართლებს პავლე I-ის მეფობის პერიოდის რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და მის მმართველობას უწოდებს გონივრულს, გეგმაზომილს, ნაციონალური ინტერესების შესატყვისს და სხვ.

დ. მილიუტინის აზრით, პავლე ავიდა რა სამეფო ტახტზე, მტკიცე განზრახვა ჰქონდა გამოესწორებინა მმართველობის ყველა დარგში მემკვიდრეობით არსებული ბოროტმოქმედება, რისთვისაც გამეფების პირველი დღიდანვე დაიწყო სათანადო გარდამქმნელი ღონისძიებების განხორციელება[3].

ე. შუმიგორსკი უარჰყოფს პავლეს შესახებ გავრცელებული ანეკდოტური ცნობების სინამდვილე-სამართლიანობას, იცავს „უბედურ" იმპერატორს „უსამართლო" ბრალდებებისაგან, ახდენს მის

---

[1] „Царствование Павла I. — წერს ა. სორელი, — было одним долгим громовым ударом с редкими проблесками ясной погоды.

„При Екатерине самодержавие было вежливее, изящнее, остроумнее... Изящество исчезло. Дворец, охраняемый, как тюрьма, принимает вид казармы". А. Сорель, Европа и Французская революция..., т. 5, СПБ., 1906, გვ. 286, 287.

[2] „Paul's nature was not of the equable, forgiving tipe,—წერს ინგლისელი ისტორიკოსი უოლკერი,—It was marked by many of the, worst peculiarities of the murdered Peter III and of Peter the Great. He was morose. fitful, narrow — minded, and given to sudden fierce gusts of wild unreasoning passion. He was capricious, erratic". The Cambridge modern history, vol. IX. Cambridge..., 1907, ch. II. sect. I, გვ. 34.

[3] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 13—15.

რეაბილიტაციას და იგი ყოველმხრივ გონიერი, დადებითი თვისებების მქონე მონარქად მიაჩნია[1].

გ. კლოჩკოვი კონკრეტული ფაქტების ანალიზით ცდილობს გააბათილოს პავლე I-სადმი წაყენებული ბრალდებები და დაამტკიცოს, რომ ყველა მის ღონისძიებას და საშინაო-საგარეო პოლიტიკურ ნაბიჯს სასარგებლო, გეგმიანი და ობიექტურად გამართლებული ხასიათი ჰქონდა[2].

პ. ბუცინსკი პავლე I-ის მკვლელობის ასი წლისთავზე გამოცემულ ბროშურაში „Отзывы о Павле I-м его современников", არჩევს ამ შეხედულებებს და ამის შედეგად არა მარტო ამართლებს პავლე I-ის მმართველობას, არამედ ცდილობს მკითხველში „უსამართლოდ" დისკრედიტებული იმპერატორისადმი სიმპათია და თანაგრძნობა გამოიწვიოს[3].

პავლე I-ის პიროვნებისა და მეფობისადმი სიმპათიითაა განწყობილი აგრეთვე ისტორიკოსი დ. კობეკო. იგი ცდილობს გაამართლოს პავლე I და მის მიერ გამოვლენილი უარყოფითი ნიშნები აღზრდის ხასიათით ახსნას[4].

ისტორიკოსთა ორივე დაჯგუფება უგულებელყოფს ობიექტურ ფაქტორებს, ცარიზმის სოციალურ-ეკონომიური საფუძვლების მოქმედებას და წინა პლანზე აყენებს შემთხვევით, მეორეხარისხოვან, ზედაპირზე ამოტივტივებულ მოვლენებს. ისინი ფსიქიური წყობით, თუ სწავლა-აღზრდის ზემოქმედების გავლენით ხსნიან იმას, რასაც ღრმა საფუძვლები უნდა მოუნახონ, კლასობრივი ინტერესებით და ეკონომიური მოთხოვნილებებით ახსნან. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ისტორიკოსთა აღნიშნული ორი ჯგუფის შეხედულება პავლე I-ის პიროვნებისა და მმართველობის

---

[1] Е. Шумигорский, დასახ. ნაშრ., გვ. 2, 5—6.

[2] М. Клочков, დასახ. ნაშრ., გვ. 121.

[3] ბუცინსკის პავლე I-ის შესახებ ისეთი ცნობები აქვს შეგროვილი, რომლებიც პავლესადმი კეთილსასურველი ხასიათისაა. ბუცინსკი პავლე I-ში დემოკრატ მმართველსაც კი ხედავს. „По отзывам беспристрастных современников, — წერს იგი, — как русских, так и иностранцев, Павел Петрович — этот царь демократ — был человеком редким в нравственном отношении... мудрым правителем государства...". (დასახელებული კრებული, გვ. 2); თავის სიმპათიას და პატივისცემას ამ იმპერატორისადმი მკაფიოდ ავლენს იგი, როდესაც წერს: „Мир праху твоему честнейший человек, рыцарь без страха и упрека, рыцарь времен протекших" (იქვე, გვ. 41).

[4] Д. Кобеко, Царевич Павел Петрович (1754—1796), СПБ., 1883, გვ. 423.

ხასიათის შესახებ არც ისე დაპირისპირებულია, როგორც გვეჩვენება. მათ შორის ზოგი რამ მაინც არის საერთო. როგორც პირველი, ისე მეორე შეხედულება ხაზს უსვამს, თუმცა სხვადასხვა პოზიციებიდან, პავლე I-ისა და ეკატერინე II-ის პიროვნებათა და მმართველობის მკვეთრ დაპირისპირებას. ისტორიკოსთა ორივე დაჯგუფება წინა პლანზე აყენებს პიროვნებას და არა მმართველობის სისტემას.

რევოლუციამდელ რუს ისტორიკოსთა დიდი უმრავლესობა და საზღვარგარეთელი ისტორიკოსების ნაწილი, მკვეთრად ანსხვავებენ ერთმანეთისაგან ეკატერინე II-სა და პავლე I-ის საგარეო პოლიტიკას. მათი შეხედულებით პავლემ გამეფებისთანავე შეცვალა რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიმართულება, ხელი აიღო ეკატერინე II-ის ტრადიციულ დიპლომატიაზე და სრულიად ახალ საგარეო-პოლიტიკურ კურსს ჩაუყარა საფუძველი. მათი აზრით, დედასა და შვილს შორის დიდი ბნის განმავლობაში არსებობდა ფარული მტრობა და დაპირისპირება. ტახტის მემკვიდრეს ეზიზღებოდა საჭემპყრობელი დედის მმართველობის წესები, მისი ფავორიტები, მისი სამხედრო სისტემა და სხვ. ამიტომ მან გამეფებისთანავე გადაწყვიტა ერთი ხელის მოსმით მოესპო ყველაფერი, რაც ძველ მმართველობასთან იყო დაკავშირებული საერთოდ, და კერძოდ, საგარეო პოლიტიკის სფეროში. ასეთმა განწყობილებამ, განაგრძობენ ისინი, გადამწყვეტი როლი შეასრულა პავლე I-ის მმართველობის ხასიათის შემუშავებაში და შეაპირობა ის რადიკალური ცვლილება, რომელიც რუსეთის საგარეო პოლიტიკამ პავლე I-ის გამეფებისთანავე განიცადა.

მაგრამ ისტორიკოსთა ის ჯგუფი, რომელიც გმობს და მუქი საღებავებით წარმოადგენს პავლე I-ის მმართველობას, სულ სხვაგვარ შეფასებას აძლევს ამ ცვლილების მიზანშეწონილობას, ხასიათს და შედეგებს, ვიდრე მეორე ჯგუფი, რომელიც, პირიქით, ქება-დიდებას ასხამს პავლეს და ეწევა მთელი მისი პოლიტიკის იდეალიზაციას.

პირველი ჯგუფის ისტორიკოსები — ნ. შილდერი, კ. ვალიშევსკი, ვ. კლაუჩევსკი, ს. ტატიშჩევი, მ. პოლიევკტოვი და სხვ.— უარყოფენ ყოველგვარ გეგმიანობას, მოსაზრებულობას და თანამიმდევრობას პავლე I-ის მმართველობის პერიოდის რუსეთის საგარეო პოლიტიკაში. ისინი ამ პოლიტიკას მიიჩნევენ როგორც შეუსაბამოს რუსეთის ნაციონალური ინტერესებისადმი. „კალეიდოსკოპური სისწრაფით“ ცვალებადი, უაზრო, გაუმართლებელი, პირად კაპრიზებზე აღმოცენებული—აი, როგორი იყო მათი შეხე-

დულებით ეს პოლიტიკა. ამ ისტორიკოსთა აზრით, პავლე I-ის საგარეო პოლიტიკა უგულებელყოფდა „სახელმწიფო ეგოიზმს“ — ყველა მთავრობათა ბრძნული საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს— და „განყენებულ პრინციპებს“ (რევოლუციისადმი სიძულვილს და სხვ.), უაზრო სქემებს ექვემდებარებოდა. ისინი გმობენ ამ პოლიტიკას, მიაჩნიათ იგი რუსეთის ისტორიულად გამომუშავებულ საგარეო პოლიტიკის პრინციპებიდან გადახვევად, „წყვეტილად“ რუსეთის წინამორბედ და შემდგომი პერიოდის საგარეო პოლიტიკას შორის [1].

ისტორიკოსთა მეორე ჯგუფის (დ. მილიუტინი, პ. ბუცინსკი, ვ. ალექსანდრენკო, მ. კლოჩკოვი და სხვ.) აზრით, პავლე I-ის მეფობის პერიოდის რუსეთის საგარეო პოლიტიკას ახასიათებდა პოფიქრებულობა, გეგმიანობა და თანამიმდევრობა. იგი, თითქოს ინგარიშს უწევდა ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს და ამდენად ისტორიულად გამომუშავებული კურსის უარყოფას არ წარმოადგენდა [2].

---

[1] „Государственный эгоизм, этот краеугольный камень здравой политики, — წერს ს. ტატიშჩევი, — уступил место великолепию и бесскорыстию, руководящими поступками Павла

„Перетасовка, произведенная им в личном составе нашей дипломатии, объясняется не столько политическими соображениями, сколько личным его нравом, беспокойным и причудливым“. С. С. Татищев, Из прошлого русской дипломатии., СПБ, 1890, გვ. 14—15.

„С момента вступления на престол императора Павла внешняя политика России принимает новое направление, — წერს ბ. პოლიევქტოვი, — довольно резко отличающееся от предыдущего: преследование конкретных интересов России... уступает место служению определенным принципам“, М. А., Полиевктов, Проект союза России с Сардинским королевством в царствование имп. Павла I, СПБ, 1902, გვ. 4.

„Новая политика русского царизма, — წერს მილიუერი, — ...вовсе не имела в виду насущных потребностей империи ...Все, сделанное Екатериною в дипломатической сфере для упрочения славы и величия империи, было надолго сдано в архив“. Н. К., Шильдер. დასახ. ნაშრ., გვ. 338

„Внешняя политика Северной Семирамиды, — წერს ვალიშევსკი, — была крайне сложной машиной... Ее сын, неосмотрительно коснувшись до нея, столкнулся с неожиданными для себя препятствиями; он попал в западню, о силе и хитрости которой не подозревал и, неловко отбиваясь, испортил в конце концов всё и обезумел сам“. К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 290.

[2] იმპერატორმა პავლე I-მა გამეფებისთანავე სავსებით შეცვალა რუსეთის პოლიტიკა,—წერს დ. მილიუტინი „...начало царствования его, — განაგრძობს

კითხვა ისმება, რამდენად მართალნი არიან პირველი ან მეორე ჯგუფის ისტორიკოსები, იყო თუ არა სინამდვილეში პავლე I-ის მეფობის დროის რუსეთის საგარეო პოლიტიკა, კერძოდ დასაწყისში, მისი წინამორბედი პერიოდის მეფობის საგარეო პოლიტიკის სრული დაპირისპირება? წარმოადგენდა თუ არა იგი ხარეეზს, სრულ „ჩავარდნას" რუსეთის ისტორიულად გამომუშავებული საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით?

მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის პოზიციაზე მდგომი მკვლევარი, რასაკვირველია, ვერ გაიზიარებს დასახელებულ ისტორიკოსთა ვერც ერთ დებულებას პავლე I-ის მეფობის პერიოდის რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიმართულებისა და ხასიათის

ігр, — дышало миролюбивыми видами, отказываясь от славы побед и завоеваний" (Милютин Д., დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 12—13).

გ. კლოჩკოვი, მართალია, აღნიშნავს რუსეთის საგარეო პოლიტიკაში პავლე I-ის გამეფების დროიდან მომხდარ ცვლილებას, მაგრამ ამ ცვლილებას საერთაშორისო ურთიერთობაში მომხდარი ცვლილებებით ხსნის. „Этот крутой и резкий поворот во внешней политике,—წერს იგი,—продиктованный тогдашним международным положением, говорит о том, что в дипломатии Павел готов был следовать определенным принципам". იხ. М. В. Клочков, Очерки правительственной деятельности времени Павла I. Петроград, 1916, გვ. 132—133, 135. ციტ. ტექსტი, იხ. გვ. 135.

პავლე I-ის მმართველობის საგარეო პოლიტიკის გასამართლებლად, მასში გეგმიანობის და რუსეთის ნაციონალურ ინტერესებზე ზრუნვის დასანახავად ბუცინსკის მოტანილი აქვს ცნობა დიდ მთავარ პავლესთან ტოსკანის დიდი ჰერცოგის ლეოპოლდის საუბრის შესახებ (ამ უკანასკნელის ევროპაში მოგზაურობის დროს).

აი ეს ცნობაც:

„Упоминая о планах императрицы относительно увеличения русских владений на счет Турции и основания империи в Константинополе, он не скрыл от меня своего неодобрения этому проекту и вообще всякому плану увеличения монархии, уже и без того очень обширной и требующей заботы о внутренних делах. По его мнению следует оставить в стороне все эти бесполезные мечты о завоеваниях, которые служат лишь к приобретению славы, не доставляя действительных выгод, а напротив, ослабляя еще более государство". იხ. П. К. Бушинский, Отзывы о Павле I-м его современников, Харьков, 1901, გვ. 8.

დასასრულ, ანალოგიურ აზრს ანვითარებს პავლე I-ის მმართველობის პერიოდის რუსეთის საგარეო პოლიტიკის საწყისებისა და ხასიათის შესახებ ალექსანდრენკო. იხ. В. И. Александренко, Русские дипломатические агенты в Лондоне в XVIII в., т. I, Варшава, 1897, გვ. 73—74.

შესახებ. მათი შეხედულება ტენდენციური და სუბიექტურია. მათთვის დემიურგია ის, რასაც სინამდვილეში პრედიკატის ფუნქცია ეკუთვნის და ეკონომიური და პოლიტიკური ფაქტორების ნაწარმოებს წარმოადგენს. აღნიშნული ისტორიკოსები, კერძოდ კი პავლე I-ის მმართველობის მოწინააღმდეგენი, თავსაც არ იწუხებენ, რომ შეისწავლონ ის ფაქტორები, რომლებიც წარმართავენ საზოგადოებისა და ისტორიის განვითარებას, ღრმად ჩასწვდნენ ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს და პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემის კომპლექსში განიხილონ რუსეთის საგარეო პოლიტიკის საკითხები.

პავლე I-ის მეფობის საგარეო პოლიტიკა იყო არა თვითმპყრობელი მონარქის პერსონალური საგარეო პოლიტიკა, არამედ რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკა, რომლის გვირგვინოსანი მეუფეც პავლე იყო. მაგრამ რუსეთის თავადაზნაურულ-ბატონყმურ იმპერიას თავისი ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული ინტერესები ჰქონდა, რომლებიც გაბატონებული კლასების კლასობრივი მოთხოვნილებებით და მისწრაფებებით იყო პირობადებული. ამდენად პავლე I-ის საგარეო პოლიტიკა მთელი თავისი „ჩავარდნებით“ და ზიგზაგებით ამ კლასების საგარეო პოლიტიკა იყო.

ჩვენ არ ვუარვყოფთ იმ გავრცელებულ აზრს, რომ ეკატერინე II-სა და ტახტის მემკვიდრე პავლეს შორის ადგილი ჰქონდა დაპირისპირებას, უნდობლობას და ფარულ მტრობასაც კი. შეიძლება ნაწილობრივ გავიზიაროთ ის შეხედულებაც, რომელიც პავლე I-ის ხასიათის გამომუშავებაზე მნიშვნელოვან როლს აკუთვნებს მის მიერ მიღებული აღზრდის თავისებურებას, „გატჩინოს ტყვეობას“. მაგრამ გადაჭრით უკუვაგდებთ აქედან გაკეთებულ დასკვნას, რომ, თითქოს ამ ორმა გარემოებამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ახალი იმპერატორის საქმიანობაზე, კერძოდ მის მიერ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის გამომუშავებაზე.

პავლე I-ის საგარეო პოლიტიკა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მის საშინაო პოლიტიკასთან და ორივე მმართველობის ერთიან სისტემას ქმნიდა. მმართველობის აღნიშნული სისტემა რუსეთის ცარიზმის მემკვიდრეობით მიღებული, ისტორიულად გამომუშავებული სისტემის შემდგომ ევოლუციას წარმოადგენდა. სავსებით მართალია საბჭოთა ისტორიკოსი რ. ლანინი, როდესაც პავლე I-ის მმართველობაში ხედავს არა ეკატერინე II-ის მმართველობის

უარყოფას, არამედ მის მოდიფიკაციას და შემდგომ განვითარებას[1].

პავლე I-ის საგარეო პოლიტიკა, როგორც მისი მმართველობის ერთიანი სისტემის განუყოფელი ნაწილი, ბუნებრივია, ისტორიულად გამომუშავებული და მემკვიდრეობით მიღებული საგარეო პოლიტიკის პრინციპებიდან გამომდინარეობდა და მის შემდგომ განვითარებას წარმოადგენდა. ცხადია, ამიტომ ელემენტარულ კრიტიკას ვერ უძლებს შეხედულება ამ პოლიტიკის ვითომდა განსაკუთრებულობის, ორიგინალობისა და რუსეთის ნაციონალური ინტერესებისადმი მისი შეუსაბამობის შესახებ.

საბჭოთა ისტორიკოსების ნაწილი (ს. ოკუნი, ე. ბურჯალოვი, ა. ნაროჩნიცკი), არკვევს რა რევოლუციამდელ რუს ისტორიკოსთა დავას პავლე I-ის საგარეო პოლიტიკის მიმართულებისა და ხასიათის შესახებ, ჩვენი აზრით, ვერ იჩენს სრულ თანმიმდევრობას და უშვებს ცალკეულ გადახვევას სწორი მეთოდოლოგიური პოზიციებიდან. მაგალითად, მათი აზრით, პავლე I-ის საგარეო პოლიტიკური პრინციპების კონტურები მოიხაზა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იგი ტახტის მემკვიდრე იყო და „გატჩინოს ტყვეობაში“ იმყოფებოდა.

მოტანილი შეხედულება მხოლოდ ნაწილობრივ არის სწორი. პავლე—დიდი მთავარი და ტახტის მემკვიდრე, რომელიც გაფაციცებით მოელოდა ტახტის „განთავისუფლებას“ და ერთგვარ პრაქტიკას გადიოდა თავის მინიატიურულ სასახლეში გატჩინოში,—მართლაც აკვირდებოდა თვითმპყრობელი დედის პოლიტიკას და სათანადო დასკვნებს აკეთებდა აქედან. მას შესაძლებლობა ჰქონდა ამ დაკვირვებისა და მრჩეველების ზეგავლენით (რომელთა შორის გამოირჩეოდა თ. ვ. როსტოპჩინი) ზოგად ხაზებში გამოემუშავებინა ის საგარეო პოლიტიკური კურსი, რომელიც მისი შეხედულებით უფრო შეესაბამებოდა ქვეყნის და თვით ცარიზმის ინტერესებს[2]. მაგრამ ეს იმაზე მიგვითითებს, რომ უფლისწულმა

---

[1] პავლე I-ის მმართველობა, წერს იგი,—„во всех отношениях уходило своими традициями в екатерининское время, являясь, вместе с тем и периодом дальнейшего развития военно-полицейского и самодержавно-крепостнического государства, которое свое законченное выражение получило во времена Николая I“. Р. С. Лапин, Внешняя политика Павла I в 1796—1798 гг., მოთავს. კრებ. „Ученые записки Ленинградского госуд. унив., серия историч. наук, вып. 10, № 80, 1941, გვ. 5.

[2] ამის შესახებ ჩვენ გვაქვს ადამ ჩარტორიისკის — პავლე I-ის ერთ-ერთი თანამედროვე არისტოკრატის—ცნობა. თავის მემუარებში იგი წერს: „Павел I в

პაველმ მხოლოდ მოხაზა მომავალი მეფობის პერიოდის საგარეო პოლიტიკის პრინციპების კონტური, ისიც თვით ეკატერინე II-ის მეფობის დროს არსებული საგარეო პოლიტიკის ღრმა გავლენის შედეგად. აგებული იყო რა წარსულის გამოცდილებისა და აწმყოს ვითარების მხოლოდ ნაწილობრივად გათვალისწინების საფუძველზე, ეს პრინციპები არ შეიძლებოდა ყოფილიყო სრული, მწყობრი და თანამიმდევარი. ისინი, როგორც უკვე აღნიშნული იყო, მხოლოდ კონტურის სახით არსებობდნენ და მოკლებული იყვნენ მთლიანობასა და თანამიმდევრობას.

პავლე I-ის მიერ „გატჩინოს ტყვეობის" პერიოდში შემუშავებული რუსეთის საგარეო პოლიტიკის სქემა არ შეიძლებოდა ყოფილიყო ის ყალიბი, რომლის მიხედვითაც უნდა წარმართულიყო ეს პოლიტიკა მომავალში. ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა ხორციელდება არა წინასწარ შემუშავებული სქემის, არამედ იმისდა მიხედვით, თუ როგორია ქვეყნის საშინაო პოლიტიკის მიმართულება და სახელმწიფოთა პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემა, რა ცვლილებებია მოსალოდნელი საერთაშორისო ურთიერთობაში. განა შეეძლო რუსეთის ცარიზმს წარემართა გარკვეული საგარეო პოლიტიკა ამ ფაქტორების გარეშე? ცხადია არა. აღნიშნულ ფაქტორებს და ახალ მოთხოვნილებებს, რომლებიც რუსეთის გაბატონებულ კლასებს გაუჩნდებოდათ მომავალ საგარეო პოლიტიკის სფეროში, აუცილებლად უნდა შეევსოთ, გაეფართოებინათ და არსებითი კორექტივი შეეტანათ ადრევე შემუშავებულ საგარეო პოლიტიკურ სქემაში. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია და მის შედეგად ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი რადიკალური ცვლილებები ის ახალი მოვლენები იყო, რომელთაც უშუალო გავლენა უნდა მოეხდინათ რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიმართულებაზე, აეძულებინათ იგი რათა ახალი მიზნები, ახალი ტაქტიკური ამოცანები შეემუშავებინა. აღნიშნულის გამო, პავლე I-ის მიერ ჯერ კიდევ გატჩინოს სასახლეში ყოფნის დროს შემუშავებულ მომავალი საგარეო პოლიტიკის სქემაში სერიოზული ცვლილებები უნდა შეტანილიყო, გამომუშავებული პრინციპების ძირითადში შენარჩუნების მიუხედავად, იგი ახალი ამოცანებით უნდა შევსებულიყო.

долгие годы своего уединения и ожидания обдумал всё, что был намерен сделать как только власть окажется в его руках. Поэтому перемены и новости следовали одна за другой с невероятной быстротой". „Мемуары князя Адама Чарторийского", т. I, М., 1912, зз. 115.

მაინც როგორი იყო ის პრინციპები, რომლებითაც უნდა ეხელმძღვანელა პავლეს რუსეთის საგარეო პოლიტიკის წარმართვის დროს?

იმ მოსაზრებებიდან, რომლებიც პავლეს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირებთან საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის საკითხებზე გამოუთქვამს (რომელიც კლოჩკოვს აქვს მოტანილი თავის შრომაში), ცხადი ხდება, რომ მას საერთაშორისო პოლიტიკაზე, კერძოდ, რუსეთის საგარეო პოლიტიკის ამოცანებზე ძირითადად ნათელი წარმოდგენა ჰქონდა.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ პავლე I შემდეგნაირად მსჯელობდა: ყოველი სახელმწიფოს ადგილი სახელმწიფოთა ურთიერთობაში „უნდა იყოს მისი ფიზიკური და მორალური მდგომარეობის შესატყვისი". მისი აზრით, რუსეთი საკმაოდ ძლიერია და დამოუკიდებელი. იგი დიდად არ საჭიროებს ვისიმე დახმარებას, თუკი მან ჯეროვნად გამოიყენა თავისი ძალები[1].

მაგრამ რუსეთის დამოუკიდებლობის, ძლიერებისა და სხვა სახელმწიფოების დახმარების ზედმეტობისათვის ხაზის გასმით პავლე I-ს არ გამოჰყავს დასკვნა დანარჩენ სახელმწიფოთაგან რუსეთის გამოცალკევების და იზოლაციის პოლიტიკის სასურველობის შესახებ. პირიქით, მას საჭიროდ მიაჩნია მეზობელ სახელმწიფოებთან ნორმალური ურთიერთობის განვითარება და მეგობრული კავშირები, რომლებიც, გარემოებათა მიხედვით, რუსეთის ინტერესების შესატყვისად უნდა იცვლებოდესო. გარეგნულად პავლე I კატეგორიულად უარყოფდა ნათესაური მომენტებისათვის ანგარიშის გაწევას ხელშეკრულებათა დადების დროს და მოითხოვდა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებას[2]. აქედან გამომდინარე, პავლე I რჩევას იძლეოდა: არავის არ უნდა მიეცეს შესაძლებლობა უკარნახოს რუსეთს თავისი ნება-სურვილები, არასოდეს არავის ინტერესებს არ უნდა გაეწიოს ბრმად ანგარიში.

რუსეთის საერთაშორისო ძალისა და პოზიციის განმტკიცების მიზნით პავლე I-ს საჭიროდ მიაჩნდა ძალთა წონასწორობის პრინციპის გამოყენება: რუსეთის ირგვლივ სახელმწიფოთა ისეთი კომბინაციის შექმნა, რომელთაგან არც ერთი ამ სახელმწიფოთაგანი არ იქნებოდა რუსეთზე ძლიერი, ამავე დროს მათ შორის

---

[1] М. В. Клочков, დასახ. ნაშრ., გვ. 132—133.

[2] იქვე, გვ. 133.

ადგილი უნდა ჰქონოდა შუღლსა და დაპირისპირებას და ამით მათ უნდა გაეწონასწორებინათ ერთმანეთი [1].

საფრანგეთის 1789—1794 წლების რევოლუციამ და მის შედეგად ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი ვითარების აღმოცენებამ თვით რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკის მიმართულებაზეც მოახდინა გავლენა და მას ახალი თავსატეხი საკითხი გაუჩინა. მან საჭიროდ გახადა ზემოთ აღნიშნულ სქემებსა და პრინციპებში სერიოზული შესწორების შეტანა. ამიერიდან რუსეთის საგარეო პოლიტიკის წინაშე ძველთან ერთად ახალი ამოცანა დაისახა. ეს ამოცანა იყო რევოლუციასთან ბრძოლის, მონარქიული რეჟიმის დაცვის ამოცანა.

პავლე I გამეფებამდეც სიძულვილით იყო გაჟღენთილი საფრანგეთის რევოლუციისადმი, მისი პრინციპებისადმი, მისგან შექმნილი ახალი წესებისადმი და მთელი არსებით დაინტერესებული იყო ყოველივე ამის მოსპობაში. ამიტომ მან გამეფებისთანავე ხელი მოჰკიდა დასახულის რეალიზაციას და აქცია იგი რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ამოცანად (ძველ ამოცანებთან ერთად). თავისი ხანმოკლე მეფობის პერიოდში პავლე I ხან პირველ ამოცანას (ევროპაში და სახელმწიფოთა ურთიერთობაში რუსეთის გავლენისა და წამყვანი როლის გაძლიერება) წამოსწევდა წინ, ხანაც მეორეს (რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლა). ამით იყო ძირითადად გამოწვეული ის „ზიგზაგები" რუსეთის საგარეო პოლიტიკაში, რომელთაც რუსი და უცხოელი ისტორიკოსები ხან „ჩავარდნას" და გადახვევას, ხანაც სრულიად ახალი კურსის აღებას უწოდებდნენ.

მაგრამ პავლე I-ს არც ამ მხრივ არაფერი ახალი და ორიგინალური არ შეუქმნია და არ გაუტარებია ცხოვრებაში. ყოველგვარი განმათავისუფლებელის, რევოლუციურის და თვით ლიბერალური აზრისა და მოძრაობის წინააღმდეგ (მოჩვენებითი ლიბერალიზმის, „განათლებული მონარქიის" ნიღბის მიუხედავად) ქვეყნის შიგნით და გარეთ, როგორც თავის დროზე იყო აღნიშნული, თავგამოდებით იბრძოდა თვით ეკატერინე II. მან პირველმა გადადგა ქმედითი რეაქციული ნაბიჯები რუსეთის თავადაზნაურულ-ბატონყმური მონარქიის საფრანგეთის რევოლუციის გავლენისაგან დასაცავად.

---

[1] М. В. Клочков, დასახ. ნაშრ., გვ. 133.

წარმოადგენდა რა ტირანსა და დესპოტს თავის მრავალეროვან იმპერიის ქვეშევრდომებისათვის, რუსეთის ცარიზმი საგარეო ურთიერთობაშიაც მსგავს პოლიტიკას ეწეოდა. იგი ეკატერინე II-ის მეფობის დროიდან უკვე ასრულებდა ევროპის ჟანდარმის როლს, ევროპის კონტინენტის რეაქციულ-კონტრრევოლუციური ძალების მედროშე იყო და დაუნდობელ ბრძოლას ეწეოდა ყოველგვარ რევოლუციურ, ხალხურ და პროგრესულ მოძრაობასთან როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მთელი ევროპის მასშტაბითაც.

შენიშვნებში სსრკ ისტორიის სახელმძღვანელოს კონსპექტის შესახებ სტალინი, კიროვი და ჟდანოვი ხაზგასმით აღნიშნავენ რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკის კონტრრევოლუციურ როლს და სახელმძღვანელოს კონსპექტის ერთ-ერთ ნაკლად მიიჩნევენ იმას, რომ ეს როლი მასში ხაზგასმული არ არის.

„კონსპექტში არაა ხაზგასმული რუსეთის ცარიზმის კონტრრევოლუციური როლი საგარეო პოლიტიკაში ეკატერინე II-ის დროიდან XIX საუკუნის 50-იან წლებამდე“ („ცარიზმი, როგორც საერთაშორისო ჟანდარმი“)[1].

ამგვარად, პავლე I-მა მემკვიდრეობით მიიღო დაცვით-მონარქისტული პრინციპი, რევოლუციის შედეგებთან ბრძოლის პოლიტიკა და მას შემდგომი განვითარება მისცა. მისი მეფობის პერიოდის რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიმართულებასაც ფესვები წინამორბედ მმართველობაში ჰქონდა გადგმული.

თავადაზნაურული და ბურჟუაზიული ისტორიული სკოლების წარმომადგენლები რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან ასეთ დიდ ადგილს რომ უთმობდნენ პავლე I-ის პიროვნების და მისი პოლიტიკის გარკვევას, ეს ჩვენთვის სავსებით გასაგებია. ისინი საზოგადოებრივი ცხოვრების, ისტორიის ყველა მოვლენას ადამიანთა ცნობიერებით, მათი იდეებით და ნება-სურვილებით ხსნიდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ ცალკეულ პიროვნებათა, სახელმწიფოს მმართველთა, კანონმდებელთა, მხედართუფროსთა გონება განსაზღვრავდა საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობას, ისტორიას. ჯერ კიდევ დობროლიუბოვი წერდა აღნიშნულ რუს ისტორიკოსთა შესახებ, რომ ისინი ხალხის ისტორიის ნაცვლად იძლეოდნენ მონარქთა და მონარქიული სახელმწიფოს ისტორიას,

---

[1] შენიშვნები „სსრ კავშირის ისტორიის“ სახელმძღვანელოს კონსპექტის შესახებ, თბილისი, 1936, გვ. 16—17.

რომ ისინი აფუჩეჩებდნენ ხალხის — ისტორიის ერთადერთი შემოქმედი ძალის — როლს და გადაჭარბებით აფასებდნენ მეფეთა და „მმართველთა როლს ისტორიაში“.

ამ მანკიერი მეთოდოლოგიის პლატფორმაზე მდგომ რევოლუციამდელ ისტორიკოსებს პავლე I, როგორც თვითმპყრობელი მონარქი, მიაჩნდათ რუსეთის ისტორიის, მისი მეფობის ხანმოკლე პერიოდის განმსაზღვრელ ძალად, მისი ნება-სურვილი, სუბიექტური მისწრაფებები და შეხედულებები კი—ამ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარ ფაქტორებად.

სინამდვილეში საზოგადოების ისტორია არის ობიექტური პროცესი, მას განსაზღვრავს ობიექტური კანონის მოქმედება, კანონისა, რომელიც დამოკიდებული არ არის ადამიანთა შეგნებასა და ნება-სურვილზე. ისტორიული მატერიალიზმი გვასწავლის, რომ საზოგადოების განვითარებას, ისტორიულ პროცესს განსაზღვრავს არა „გამოჩენილი პირების“, „რჩეულთა“, — მეფეთა, მხედართმთავართა და „ბრძენ მმართველთა“—იდეები, ნება-სურვილები და მისწრაფებები, არამედ მატერიალური დოვლათის წარმოების წესი, საწარმოო ძალთა განვითარების დონე, წარმოებით ურთიერთობათა ხასიათი.

„საზოგადოების განვითარების ისტორია, — წერს ი. ბ. სტალინი,—არის... ისტორია წარმოების განვითარებისა, ისტორია წარმოების წესებისა,... ისტორია საწარმოო ძალთა და ადამიანების წარმოებით ურთიერთობათა განვითარებისა“ [1]. საზოგადოებრივი განვითარების ისტორია, ამასთან ერთად, არის ხალხის ისტორია, მატერიალური დოვლათის მწარმოებელი მშრომელი მასის ისტორია. სწორედ ეს ხალხია ისტორიული პროცესის განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი, ისტორიის მამოძრავებელი და მშენებელი.

მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ამ სახელმძღვანელო დებულების საფუძველზე საბჭოთა ისტორიკოსები ვალდებულნი არიან საფუძვლიანად შეისწავლონ ის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც საფუძვლად ედო რუსეთის საგარეო პოლიტიკას და რომლებითაც პირობადებული იყო მისი ცვალებადობა პავლე I-ის მეფობის პერიოდში. მართალია,

---

[1] ი. ბ. სტალინი, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ. საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, თბ., 1949, გვ. 149.

პავლე I-ის ესა თუ ის ნაბიჯი საგარეო პოლიტიკის დარგში, მისი პოლიტიკა ევროპის სახელმწიფოების მიმართ გარეგნულად მისი ნების, შეხედულების და სუბიექტური მისწრაფების რეალიზაციას წარმოადგენდა, მაგრამ თვით ეს მისი იდეები, შეხედულებები და ნება-სურვილი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური პროცესის ასახვას წარმოადგენდა. ამდენად ამ იდეებს, შეხედულებებს, მაშასადამე, მათ გამოვლინებას რუსეთის საგარეო პოლიტიკის გარკვეულ ტაქტიკურ ნაბიჯებსა და პრინციპებში, რეალური ცხოვრების ობიექტურ პროცესებში ჰქონდა საფუძველი.

რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსი მემამულეების, ვაჭართა და სამხედრო ზედაფენის ინტერესებით და მოთხოვნილებებით იყო შეპირობებული. მას განსაზღვრავდა ამ ქვეყნის წარმოების წესი და წარმოებით ურთიერთობათა ხასიათი. ამიტომ პავლე I, როგორც რუსეთის გაბატონებული კლასების გვირგვინოსანი მედროშე, რუსეთის საგარეო პოლიტიკას მათი ინტერესების შესაბამისად წარმართავდა. მას არ შეეძლო პირადი კაპრიზებით აბუჩად აეგდო ამ კლასების ინტერესები, ვინაიდან ცარიზმის და გაბატონებული კლასების ინტერესები არა ანტაგონისტურ, არამედ ჰარმონიულ ურთიერთობაში იყო. ამიტომ მას არ შეეძლო მემკვიდრეობით მიღებული საგარეო პოლიტიკური პრინციპების შეცვლა, ახალი სტრატეგიული მიმართულების აღება და ძველი კურსისათვის ხაზის გადასმა, სანამ ცვლილების საჭიროებას თვით ცხოვრება, ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ახალი ვითარება არ უკარნახებდა მას. ასეთი რადიკალური ცვლილებები კი მისი მეფობის წლებში არ მომხდარა.

მაგრამ აქედან როდი შეიძლება ისეთი დასკვნის გაკეთება თითქოს პავლე I-ის, როგორც მონარქის როლი რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე უმნიშვნელო იყო, რომ მას არ შეეძლო გავლენა მოეხდინა მის მიმართულებაზე, ყოფილიყო მისი მესაჭე და ხელმძღვანელი. ასეთი აზრის გაზიარება იქნებოდა პიროვნების როლის შესახებ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების უგულებელყოფა, ისტორიაში პიროვნების როლის შეუფასებლობა.

როგორც ცნობილია, მარქსიზმ-ლენინიზმი ისტორიაში პიროვნების როლის საკითხში ორ ფრონტზე ბრძოლას აწარმოებს. იგი უარყოფს პიროვნების კულტს, ჰგმობს ხალხის მასების როლის შეუფასებლობას და ამავე დროს ილაშქრებს პიროვნების როლისადმი ნიჰილისტურ შეხედულებათა წინააღმდეგ. იგი პი-

როვნების როლს განიხილავს ისტორიულ პროცესთან უშუალო კავშირში, იმ გარემოსთან ერთად, რომელმაც იგი წარმოშვა.

„მარქსიზმი სრულიადაც არ უარყოფს გამოჩენილ პიროვნებათა როლს, — ამბობდა ი. ბ. სტალინი გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან საუბარში, — ან იმას, რომ ადამიანები ქმნიან ისტორიას..., მაგრამ, რა თქმა უნდა, ადამიანები ისტორიას ქმნიან არა ისე, როგორც მათ რაღაც ფანტაზია უკარნახებს, არა ისე, როგორც ეს მათ მოეპრიანებათ. ყოველი ახალი თაობა ხვდება გარკვეულ პირობებს, რომლებიც უკვე არსებობდა მზა სახით იმ მომენტში, როდესაც ეს თაობა გაჩნდა. და დიდ ადამიანებს მხოლოდ იმდენად აქვთ ფასი, რამდენადაც მათ შეუძლიათ სწორად გაიგონ ეს პირობები და მიხვდნენ, თუ როგორ უნდა შეცვალონ ისინი. თუ მათ ეს პირობები არ ესმით და სურთ ამ პირობების ისე შეცვლა, როგორც მათ უკარნახებს მათი ფანტაზია, მაშინ ისინი, ეს ადამიანები, დონ-კიხოტის მდგომარეობაში ვარდებიან“ [1].

უდავოა, რომ პავლეზე, როგორც თავადაზნაურული მონარქიის თვითმპყრობელ ხელისუფალზე, ძალიან ბევრი და მნიშვნელოვანი რამ იყო დამოკიდებული როგორც ყველა დარგში, ისე, კერძოდ, საგარეო პოლიტიკის სფეროში. მემკვიდრეობით მიღებული მიმართულების და პრინციპების მომარჯვება, დასმული ამოცანების გადაწყვეტის მეთოდების არჩევა, ახალი ტაქტიკური ხაზის აღება, ამა თუ იმ დიპლომატიური ხერხის გამოყენება, დიპლომატთა შერჩევა და ხელმძღვანელობა, მისი უშუალო პრეროგატივის სფეროს ეკუთვნოდა და მის ნებას ემორჩილებოდა.

საგარეო პოლიტიკას, რომელიც რუსეთის ცარიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უწყებათა სფეროს ეკუთვნოდა, პავლე I უწევდა ხელმძღვანელობას სპეციალური უწყების მეშვეობით [2]. ეს უწყება იყო საგარეო საქმეთა კოლეგია. საგარეო საქმეთა კოლეგიას ჰყავდა პრეზიდენტი (კანცლერი), ვიცე-პრეზიდენტი (ვიცე-კანცლერი) და წევრები. იგი იყოფოდა: 1) საიდუმლო ექსპედი-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 13, გვ. 110—111.

[2] ამდენად არ შეიძლება გაზიარებულ იქნას მილიუტინის შეხედულება იმის შესახებ, რომ პავლე I, თითქოს, საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხს, დიპლომატებისა და ელჩთა საქმიანობას უშუალოდ წარმართავდა რესკრიპტების საშუალებით. მართალია, რესკრიპტებს პავლე I აწერდა ხელს, მაგრამ წინასწარ ისინი საგარეო საქმეთა კოლეგიაში მუშავდებოდნენ. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 16.

ციად ანუ პოლიტიკურ დეპარტამენტად და 2) საჯარო ექსპედიციად. კოლეგიაში საქმეები ფორმალურად კოლეგიალურად წყდებოდა, ფაქტიურად მას კანცლერი და ვიცე-კანცლერი წყვეტდნენ[1]. კოლეგიის გადაწყვეტილებები, ინსტრუქციები, დეპეშები და სხვა ძალაში შედიოდა მონარქის სანქციის შემდეგ.

საგარეო საქმეთა კოლეგიაში და დიპლომატიურ სამსახურში საზღვარგარეთ პავლე I-ის გამეფების მომენტისათვის რამოდენიმე გამოცდილი დიპლომატი (ფეოდალური არისტოკრატიის წრიდან გამოსული) მუშაობდა. ეს დიპლომატები წარმატებით ართმევდნენ თავს დაკისრებულ მოვალეობას და ძირითადში კარგად ერკვეოდნენ რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის პრინციპებსა და ამოცანებში. რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის მიმართულებისა და ამოცანების ხასიათის საკითხში პეტერბურგის სამეფო კარზე აზრთა სხვადასხვაობას ჰქონდა ადგილი. ეს კი მმართველ ზედაფენაში დაჯგუფებათა საფუძველს ქმნიდა. ხშირად დიპლომატები სხვადასხვა თვალსაზრისს და პოლიტიკას ანვითარებდნენ რუსეთის საგარეო პოლიტიკის საბრძოლო ამოცანების საკითხში. ყოველი მათგანი, რასაკვირველია, ცდილობდა ზემოქმედება მოეხდინა კოლეგიაზე, პირადად იმპერატორზე და თავისი პრინციპები და ხაზი გაეტარებინა. ცალკეულ შემთხვევაში ისინი ახერხებდნენ ამას, რასაც თან სდევდა კორექტივის შეტანა უკვე აღებულ გეზში, ან ახალი ტაქტიკური ნაბიჯის გადადგმა. უფრო ხშირად კი მისი შედეგი იყო კოლეგიის შემადგენლობის და საზღვარგარეთ აკრედიტებულ რუს დიპლომატთა ხშირი ცვლა. პავლე I-ის მიერ რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის სფეროში გადადგმული ესა თუ ის კონკრეტული ღონისძიება და ნაბიჯი ხშირად თავის თავში ასახავდა იმ შინაგან ბრძოლას, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსეთის გაბატონებული კლასების სხვადასხვა ჯგუფებს შორის საგარეო პოლიტიკის საკითხში[2].

---

[1] История дипломатии, т. I, გვ. 294—295.

[2] საგარეო საქმეთა კოლეგიის კანცლერის პოსტს პავლე I-ის გამეფების პირველ დღეებშივე იკავებს კანცლერის ხარისხში ამაღლებული გრაფი ი. ა. ოსტერმანი, უნიპო და ნონას მოკლებული ჩინოვნიკი, ვიცე-კანცლერის ადგილს კი— თავადი ა. ბ. კურაკინი. 1797 წ. აპრილში კანცლერის წოდება და კოლეგიის პრეზიდენტობა პავლემ უბოძა ბრწყინვალე თავადის წოდებაში ამაღლებულ ა. ა. ბეზბოროდკოს, ვიცე-კანცლერისა — გრაფ ვ. პ. კოჩუბეის. იმავე წელს კოლეგიის წევრად დაინიშნა გრაფი თ. ვ. როსტოპჩინი. ბეზბოროდკოს სიკვდილის შემდეგ (1799 წ. აპრილში) კოლეგიის პირველ წევრად, ე. ი. პრეზიდენტად და—

იმ დიპლომატთა შორის, რომლებიც პავლე I-ის მეფობის წლებში რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში და საზღვარგარეთ დიპლომატიურ ასპარეზზე მუშაობდნენ პირველ რიგში დასახელებულ უნდა იქნენ თავადი ალექსანდრე ანდრიას ძე ბეზბოროდკო, გრაფი ს. რ. ვორონცოვი, გრაფი ნ. პ. პანინი, გრაფი ა. კ. რაზუმოვსკი და გრაფი თ. ვ. როსტოპჩინი.

აღნიშნული დიპლომატები ყველაზე მკაფიოდ გამოხატავდნენ რუსეთის ფეოდალური არისტოკრატიის ზედაფენის კლასობრივ სულისკვეთებას, უფრო რელიეფურად ავლენდნენ მემკვიდრეობით მიღებულ და რუსეთის ცარიზმის ინტერესების შესაბამის დიპლომატიურ ტრადიციებს და თანაც თავიანთ თავში ასახავდნენ იმ აზრთა სხვადასხვაობას და დაპირისპირებას, რომელიც დრო და დრო თავს იჩენდა ხოლმე მმართველ ზედაფენაში საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

აღნიშნულ დიპლომატთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ბეზბოროდკო (1747—1799). იგი იყო გამოჩენილი დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე, ნიჭიერი, მუყაითი და აღმსრულებელი მოხელე, რომელსაც პავლე I-ის გამეფებისას უკვე გავლილი ჰქონდა დიდი და საფუძვლიანი დიპლომატიური სკოლა. ყველა დიპლომატიურ აქტს, რომელიც რუსეთმა 1797—1798 წლებში (და მანამდეც ეკატერინე II-ის მეფობის უკანასკნელ წლებში) გააფორმა სხვა სახელმწიფოებთან, ბეზბოროდკოს ხელი ატყვია. ბეზბოროდკო თავის დიდი დიპლომატიური ერუდიციისა და შრომისუნარიანობის გამო პავლე I-ის ნდობით სარგებლობდა. ამ ნდობას იგი ხშირად იყენებდა იმპერატორზე გავლენის მოსახდენად. მისი უტაქტო, უხეში გამოხდომების შესანელებლად.

ბეზბოროდკოს პოლიტიკური პროგრამა 1797—1798 წლებში მდგომარეობდა ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნებაში ყველა ქვეყანასთან, მათ შორის თვით საფრანგეთთანაც. იგი სათავეში ედგა მმართველი ზედაფენის იმ დიდგვარიანთა დაჯგუფებას, რომელიც საფრანგეთთან ომის წინააღმდეგი იყო და საჭიროდ მიიჩნევდა მასთან მოლაპარაკების გამართვას სადავო საკითხების მშვიდობიანად გადაწყვეტის მიზნით. ამიტომ იყო, რომ იგი სინანულით შეხვდა საფრანგეთ-რუსეთის შეთანხმების ცდის

ნიშნულ იქნა როსტოპჩინი, რომელიც 1801 წ. დასაწყისამდე იყო ამ თანამდებობაზე. იმავე 1799 წელს კოჩუბეის ნაცვლად ვიცე-კანცლერის თანამდებობაზე ინიშნება გრაფი ნ. პ. პანინი, ხოლო 1800 წლიდან — ს. ა. კოლიჩევი.

მარცხს და რუსეთის მიერ მეორე ანტიფრანგული კოალიციის ორგანიზაციას, რაშიც, მიუხედავად ამისა, აქტიური როლი შეასრულა. როგორც იმპერატორის ხელქვეითი და ნების მორჩილი, იგი იძულებული გახდა მონაწილეობა მიეღო მეორე ანტიფრანგული კოალიციის შემზადებაში. მრავალი დოკუმენტი, რომელიც აშუქებს ბეზბოროდკოს დიპლომატიურ საქმიანობას, ცხადყოფს მის ანტიპათიას აღნიშნული კოალიციისადმი, საფრანგეთთან ომის მომზადებისადმი (რომლის გაჩაღებას იგი აღარ მოსწრებია)[1].

XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკ. პირველი მესამედის ცნობილი რუსი დიპლომატი გრაფი ს. რ. ვორონცოვი (1744—1832) ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო რუსეთის სრულუფლებიანი ელჩი ინგლისში. ითვლებოდა რა პრუსიასთან კავშირის შეურიგებელ მტრად, „ჩრდილოეთის სისტემის" მოწინააღმდეგედ, მას რუსეთის ერთადერთ ბუნებრივ მოკავშირედ ინგლისი მიაჩნდა და თავისი დიპლომატიური საქმიანობის მიზნადაც მან ამ იდეის რეალიზაცია დაისახა. 1789—1799 წლებში ანგლოფილი ს. რ. ვორონცოვი მთელ თავის დიპლომატიურ უნარს წარმართავდა რუსეთ-ინგლისის ანტიფრანგული სამხედრო „თავდაცვითი" კავშირის შესაქმნელად. როგორც რუსი არისტოკრატი, ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ერთგული ქომაგი ს. რ. ვორონცოვი საშინელი სიძულვილით იყო შეპყრობილი რევოლუციური საფრანგეთისადმი. ფრანგი რეაქციონერი ემიგრანტის სათვალეებით უცქეროდა იგი საფრანგეთს და ყოველგვარ ფრანგულ იდეებს, აღმოცენებულთ რევოლუციის შედეგად, თვით კონტრრევოლუციური დირექტორიის მმართველობისა და კონსულობის წლებშიაც. შეურიგებელი ფრანგოფობური პოზიციის მსხვერპლი გახდა იგი 1800 წელს, როდესაც პავლემ იგი ინგლისში ელჩობისაგან გაანთავისუფლა.

გრაფ ს. რ. ვორონცოვის ბიოგრაფები და ისტორიკოსები ამ დიპლომატის იდეალიზაციას ეწევიან. ისინი მასში ხედავენ უბადლო რუს პატრიოტს, უნიჭიერეს დიპლომატს, რუსეთის ნაციონალური ინტერესების შესანიშნავ მცოდნეს, უმწიკვლო პი-

---

[1] История дипломатии. ტ. I, გვ. 285; Дипломатический словарь, т. I, М., 1948, გვ. 219—220; Н. Григорович, Канцлер князь Александр Андреевич Безбородко, тт. 1—2, „Сборник Русского истор. общества", тт. 26, 29; Словарь достопамятных людей русской земли, сост. Дм. Бантыш-Каменским, ч. I, М., 1836, გვ. 107 და შემდეგი.

როვნებას და ა. შ. ამავე დროს ისინი ყოველმხრივ აფუჩეჩებენ მის ანგლომანობას, რუსეთ-ინგლისის ურთიერთობის აწმყოსა და მომავლის მის მიერ ხშირად ინგლისის გაბატონებული კლასების თვალთხედვით გაშუქებას და იმასაც, რომ ცალკეული მისი დიპლომატიური აქტი არც თუ სავსებით შეესაბამებოდა რუსეთის ნაციონალურ ინტერესებს.

საბჭოთა ავტორებიდან გრაფ. ს. რ. ვორონცოვის დიპლომატიურ საქმიანობას სპეციალური სტატია უძღვნა ე. შტეინბერგმა. ამ წერილში ავტორი პარალელს ავლებს ვორონცოვის საქმიანობის პერიოდსა და უახლესი ისტორიის პერიოდს შორის და ანვითარებს აზრს ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სასურველობის შესახებ. იგი ვორონცოვის დიპლომატიური ნიჭისა და საქმიანობის შეფასებაში სავსებით ეთანხმება რევოლუციამდელ რუს ისტორიკოსებს, ამართლებს მის ანგლოფილურ პოზიციას, მის მიერ რუსეთ-ინგლისის მეგობრობის იდეის ქადაგებას და პრაქტიკულად განხორციელებას და ამ იდეას გონივრულსა და რუსეთის ნაციონალური ინტერესების შესაბამისს უწოდებს. მოტანილი აქვს რა ვორონცოვის თქმა: „Честь моей родины превыше всего для меня на свете", ავტორი ამით ამტკიცებს ს. რ. ვორონცოვის ღრმა პატრიოტიზმს და სამშობლოს სიყვარულს.

თავის წერილში შტეინბერგი აფუჩეჩებს ინგლისის არისტოკრატიულ-კონსერვატიული მთავრობის ეგოისტურ მისწრაფებებს და მის მუხანათურ-მტრულ პოზიციას რუსეთის მიმართ (ალმოსავლეთის საკითხი, მალტის საკითხი, იონიის კუნძულების საკითხი და ა. შ.). არაფერს ამბობს ავტორი ვორონცოვის ფრანგოფობური განწყობილების და იმ კლასობრივი საფუძვლების შესახებ, რითაც მოტივირებული იყო მისი ანგლოფილური და ფრანგოფობური პოზიცია.

ვორონცოვის იდეალიზაციით, ინგლის-რუსეთის კავშირის იდეის უკრიტიკოდ მიღებით და გაუმართლებელი ისტორიული პარალელის გავლებით, ინგლის-რუსეთის ურთიერთობაში არსებული ბნელი მხარეებისა და ინგლისის საგარეო პოლიტიკის აგრესულ-ეგოისტური წარმართულობის მიფუჩეჩებით ავტორი სერიოზულ შეცდომას უშვებს და მარქსისტულ-ლენინურ პოზიციას შორდება [1].

---

[1] იხ. Е. Штейнберг, С. Р. Воронцов и англо-русские отношения на рубеже XVIII—XIX веков, „Исторический журнал". 1943, № 11—12, გვ. 34 — 40. ს. რ. ვორონცოვის დიპლომატიური საქმიანობის შესახებ

მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურას და გამოცდილ დიპლომატს წარმოადგენდა გრაფი ნ. პ. პანინი.

პანინთა ცნობილი დიპლომატიური ოჯახის წარმომადგენელს, ნ. ი. პანინის ძმისშვილს ნიკიტა პეტრეს ძე პანინს საფუძვლიანმა განათლებამ და პანინთა ოჯახის დიპლომატიური გამოცდილების ათვისებამ საშუალება მისცა კარგად გაეცნო დიპლომატიური ურთიერთობის რთული ხლართები და აქტიური როლი შეესრულებინა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ამა თუ იმ ნაბიჯის გადადგმაში XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე. თავისი პოლიტიკური მრწამსით გრაფი ნ. პ. პანინი გრაფ ს. რ. ვორონცოვს უახლოვდებოდა. ისიც ცხოველური სიძულვილით იყო გაჟღენთილი, როგორც საფრანგეთის რევოლუციისა და მისი შედეგებისადმი, ისე ყოველგვარი ფრანგულისადმი თვით 1794 წლის შემდეგაც კი. მაგრამ ვორონცოვისაგან განსხვავებით ნ. პ. პანინი რუსეთ-პრუსიის კავშირის ენერგიული მომხრე იყო. თავისი შეურიგებელი ფრანგოფობური მრწამსის გამო იგი ხშირად ეჯახებოდა ბეზბოროდკოს, უფრო გვიან კი გრაფ როსტოპჩინს, რომლის დიპლომატიური კურსის დაუძინებელ მტრად ითვლებოდა. თავისი ანტიფრანგული წარმართულობის გამო გრაფმა ნ. პ. პანინმა აქტიური როლი შეასრულა მეორე ანტიფრანგული კოალიციის ორგანიზაციის საქმეში, თუმცა მარცხით დამთავრდა მისი დიპლომატიური საქმიანობა, მიმართული პრუსიის ჩასაბმელად ამ ბლოკში. როდესაც 1799—1800 წლების მიჯნაზე დაისახა შემობრუნება რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში, ნ. პ. პანინი, ვორონცოვთან ერთად, ენერგიულად იბრძოდა ამ დაახლოების ჩასაშლელად და საფრანგეთის წინააღმდეგ ომის გასაახლებლად. ეს ცდა მისი მარცხით, შერისხვით და დიპლომატიური ასპაროზიდან მოშორებით დამთავრდა. მისი საგარეო პოლიტიკური პრინციპის კრახმა, რის შედეგადაც იგი შერისხულ იქნა პავლე I-ის მიერ, ნ. პ. პანინი მიიყვანა სასახლის გადატრიალების იდე-

---

დამატებით იხილეთ: Дипломатический словарь, ტ. I, გვ. 430—431, „Архив князя Воронцова“, ტ. 9, პეტრე ბარტენევის წინასიტყვაობა, ტ. 8, სადაც 1—36 გვერდებზე მოთავსებულია თვით ვორონცოვის ვრცელი ავტობიოგრაფია (ფრანგულად); Д. Бантыш-Каменский, დასახ. ნაშრ., ნაწ. 1, გვ. 365; А. Брикнер, Вторая половина XVIII-го века в письмах братьев С. и А. Воронцовых“., „Вестник Европы“, 1888, ტ. 8, გვ. 519—547; Д. Рябинин, Граф Семен Романович Воронцов, „Русский архив“, 1879, тт. 1—4, გვ. 58—82, 168—196; 305—345, 444—502.

ამდე, რომელიც შემდეგში 1801 წ. დასაწყისის შეთქმულებაში გამოვლინდა[1].

გრაფი (შემდეგში ბრწყინვალე თავადი) ანდრია კირილეს ძე რაზუმოვსკი—პავლე I-ის მეფობის წლებში რუსეთის ელჩი ვენაში (1800 წლამდე)—დიპლომატიური ნიჭით და უნარით ვერ შეედრებოდა ბეზბოროდკოს, ვორონცოვს და პანინს. იგი რუსეთ-ავსტრიის კავშირის იდეის მომხრე იყო და თავის დიპლომატიურ პრაქტიკაში შესაბამის კურსს ანვითარებდა. მას ჯეროვნად არ ესმოდა რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და ამოცანები, დიდ გავლენას განიცდიდა ვენის ფეოდალური არისტოკრატიის და პირველი მინისტრის თუგუტის მხრივ. ამიტომ იყო, რომ ხშირად იგი მოქმედებდა არა როგორც რუსეთის ელჩი, არამედ როგორც ვენის სამეფო კარის ქომაგი, ვექილი და ნდობით აღჭურვილი პირი[2].

გრაფი თ. ვ. როსტოპჩინი, რომელიც ბეზბოროდკოს სიკვდილის შემდეგ საგარეო საქმეთა კოლეგიის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა, ინგლის-ავსტრიასთან კავშირის მოწინააღმდეგე იყო. მას შესაძლებლად მიაჩნდა საფრანგეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია, მასთან ხელშეკრულების დადება თურქეთის გაყოფის თაობაზე. მისი საგარეო პოლიტიკური პრინციპი მაშინ ემთხვეოდა პავლე I-ის საგარეო პოლიტიკურ პრინციპს, რის შედეგსაც წარმოადგენდა ამ კურსის გასატარებლად სათანადო ნაბიჯების გადადგმა[3].

ჩვენს ხელთ არსებული მასალები ნათელყოფენ, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის მომავალი მიმართულებისა და საფრან-

---

[1] პანინის შესახებ იხილეთ: „Дипломатический словарь", ტ. 2, გვ. 317—318; „Материалы для жизнеописания графа Никиты Петровича Панина (1770—1839)", изд. А. Брикнера, СПБ., 1890—1891, ტტ. 1—5; М. Н. Сердобин, Граф Никита Петрович Панин, „Русская старина", 1873 г., сент. и 1874 г. май-июнь; В. Бильбасов, Забытый Панин, „Исторический вестник", 1889 г., март, გვ. 645—660; Русский биографический словарь, ტ. 13, გვ. 205—211.

[2] ა. კ. რაზუმოვსკის შესახებ იხილეთ: А. А. Васильчиков. Семейство Разумовских, т. 1—5, СПБ., 1880—1894; Русский биографический словарь, СПБ., ტ. 15, გვ. 443—444; Дипломатический словарь, ტ. 2. გვ. 480—481.

[3] როსტოპჩინის შესახებ იხილეთ: „Дипломатический словарь", ტ. 2, გვ. 521—522; А. Ф. Брокер, Биография графа Ф. В. Ростопчина, „Русская старина", 1893, янв., გვ. 161—172; Русский биогр. словарь, ტ. 17, გვ. 298—305; П. А. Вяземский, Характеристические заметки и воспоминания о гр. Ростопчине, „Русский архив", 1877, ტ. 5, გვ. 69—78.

გეთთან შემდგომი ურთიერთობის შესახებ პეტერბურგის სამეფო კარზე პავლე I-ის გამეფების დროისათვის აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. ამ საკითხში არსებითად ორი მიმართულება, ორი დაჯგუფება იყო ჩამოყალიბებული. სასახლის თავკაცთა და გავლენიან რუს დიპლომატთა ნაწილი საჭიროდ მიიჩნევდა რუსეთის ისტორიულად ჩამოყალიბებული და ეკატერინე II-ის მმართველობისაგან მემკვიდრეობით მიღებული საგარეო პოლიტიკური კურსისა და დიპლომატიური საქმიანობის გაგრძელებას, ყოველგვარი ტაქტიკური გადახვევისა და „შესვენების" გარეშე. აღნიშნული დაჯგუფება მხარს უჭერდა იმ „გადაუდებელი საქმეების" მოგვარებას, რომლებიც საგარეო პოლიტიკის უპირველესი რიგის ამოცანებად ჰქონდა დასახული წინამორბედ მმართველობას და რის სისრულეში მოყვანასაც ხელი შეუშალა ეკატერინე II-ის სიკვდილმა. აქედან გამომდინარე: იგი რჩევას იძლეოდა კიდევ უფრო განმტკიცებულიყო კავშირი ავსტრიასთან და ინგლისთან, გაძლიერებულიყო ზემოქმედება პრუსიაზე და ავსტრიასთან და ინგლისთან კავშირში დაწყებულიყო ბრძოლა რესპუბლიკური საფრანგეთის წინააღმდეგ. საფრანგეთის წინააღმდეგ დაუყოვნებლივი ომით, მისი სამხედრო განადგურების გზით, საფრანგეთში რევოლუციამდელი სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობის რესტავრაციის გზით ფიქრობდა ეს დაჯგუფება რუსეთის თავადაზნაურულ-ბატონყმური იმპერიისა და მისი ფეოდალურ-ბატონყმური სისტემისათვის შექმნილი საფრთხის ლიკვიდაციას, „წესიერების და კანონიერების" აღდგენას ევროპაში და რუსეთის პოზიციების გაძლიერებას ევროპის კონტინენტზე და ახლო აღმოსავლეთში.

თავის საგარეო პოლიტიკურ მრწამსს პეტერბურგის სამეფო კარის ეს დაჯგუფება ხან აშკარად ანვითარებდა, ხანაც შენიღბულად, პირად მიწერ-მოწერასა და „ინტიმურ" წერილებში. ამ ხაზს ყველაზე მკაფიოდ გამოხატავდნენ ცნობილი დიპლომატები ს. რ. ვორონცოვი და ნ. პ. პანინი. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით ს. რ. ვორონცოვსა და ნ. პ. პანინს შორის თავის მხრივ ადგილი ჰქონდა აზრთა სხვადასხვაობას იმ საკითხებში, თუ ევროპის რომელ ქვეყანასთან იყო კავშირი და მეგობრობა იმჟამად ყველაზე სასურველი რუსეთის ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით. მაშინ როდესაც ს. რ. ვორონცოვი ანგლომანი იყო და ინგლის-რუსეთის მჭიდრო კავშირის ენერგიულ ქომაგად ითვლებოდა, ნ. პ. პანინი უფრო პრუსიასთან და ავსტრიასთან კავშირისაკენ იხრებოდა. კერძოდ, მას საჭიროდ ჩიაჩნდა

პრუსიასთან საერთო ენის გამონახვა და რუსეთ-პრუსიის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შეკვრა. ფრანგოფობობაში საფრანგეთის რევოლუციის შედეგებისადმი და რესპუბლიკური საფრანგეთის მმართველობისადმი სიძულვილსა და შეურიგებლობაში კი ს. რ. ვორონცოვი და ნ. პ. პანინი ერთი მეორეს ეცილებოდნენ.

მეორე მიმართულება, მეორე დაჯგუფება, პირიქით, ფიქრობდა, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის წინაშე დასმული გადაუდებელი აქტუალური ამოცანების გადასაწყვეტად იმ დროს სულ სხვა პოლიტიკური კურსის აღება და ნაბიჯების გადადგმა იყო საჭირო. ამ დაჯგუფებას საჭიროდ მიაჩნდა ომისგარეშე მდგომარეობის—შეიარაღებული ნეიტრალიტეტის პოზიციის—შენარჩუნება; საფრანგეთთან დაუყონებლივი ომით, ისიც პრუსიის საეკვო ნეიტრალიტეტის პირობებში, რუსეთი, აღნიშნული დაჯგუფების აზრით, ვერ განამტკიცებდა თავის პოზიციებს ევროპის კონტინენტსა და ახლო აღმოსავლეთში, ვერ დაიცავდა იმპერიის სოციალურ სისტემას შინაგან და საგარეო საშიშროებათაგან. აღნიშნულის გამო იგი უპირატესობას აძლევდა დიპლომატიური ღონისძიებების წინა პლანზე წამოყენებას, ხოლო იარაღს ხელს მოკიდებდა მხოლოდ მაშინ, თუ დიპლომატიური ღონისძიებები არასაკმაო აღმოჩნდებოდნენ და დასახულ ამოცანას ვერ განახორციელებდნენ. მას საჭიროდ მიაჩნდა საფრანგეთის რესპუბლიკასთან არსებულ ურთიერთობაში მობრუნება და მასთან status quo-ს საფუძველზე შეთანხმების მიღწევის ზონდაჟი. ამ დაჯგუფების მომხრეებს შესაძლებლად მიაჩნდათ საფრანგეთის რესპუბლიკის სამშვიდობო ინიციატივისათვის ანგარიშის გაწევა და მასთან მოლაპარაკების გამართვა რევოლუციის შედეგად დაგროვილი სადავო საკითხების თაობაზე. თუ ეს მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდებოდა, მაშინ ისინი დასაშვებად თვლიდნენ საფრანგეთ-რუსეთის ხელშეკრულების დადებას ევროპული „დამშვიდებისა“ და მათ შორის რევოლუციამდე არსებული ურთიერთობის აღდგენის ბაზაზე. აღნიშნულ საგარეო პოლიტიკურ თვალსაზრისს ყველაზე უფრო მკაფიოდ იცავდა და ანვითარებდა მაშინ საგარეო საქმეთა კოლეგიის ფაქტიური ხელმძღვანელი და შემდეგში იმპერიის კანცლერი, ცნობილი დიპლომატი ა. ა. ბეზბოროდკო.

მართალია, როგორც პირველ, ისე მეორე დაჯგუფებას ჰქონდა გარკვეული გამამართლებელი მოტივები თავიანთი საგარეო პოლიტიკური კურსის რაციონალობის დასასაბუთებლად, მაგრამ

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ა. ა. ბეზბოროდკოს და მისი თანამოაზრეების თვალსაზრისი უფრო რეალურ საფუძველს ემყარებოდა. ჩვენ ვფიქრობთ აგრეთვე, რომ ა. ა. ბეზბოროდკომ ზეგავლენა მოახდინა პავლეზე, მრჩეველის როლი შეასრულა მის მიმართ და ძირითადში მიაღწია სწორედ მის მიერ შემუშავებული პოლიტიკური კურსის რეალიზაციას.

4. პავლე I-ის მთავრობის პირველი ნაბიჯები საფრანგეთის მიმართ

კითხვა ისმება, როგორი იყო პავლე I-ის მმართველობის თავდაპირველი საგარეო პოლიტიკური მიმართულება და ნაბიჯები, როგორი იყო მისი დამოკიდებულება საფრანგეთისადმი, წარმოადგენდა ეს ნაბიჯები რუსეთის მემკვიდრეობით მიღებულ საგარეო პოლიტიკური კურსის გაგრძელებას, თუ მას ახალი, ორიგინალური ნიშნები ახასიათებდა?

რევოლუციამდელ რუს ისტორიკოსთა დიდი ნაწილი, როგორც უკვე იყო აღნიშნული, დაჟინებით ამტკიცებს, რომ, პავლე I-ის მმართველობის თავდაპირველი საგარეო პოლიტიკური კურსი, კერძოდ, მისი დამოკიდებულება როგორც საფრანგეთისადმი, ისე თვით პირველი ანტიფრანგული კოალიციის მონაწილე სახელმწიფოებისადმი, თითქოს, მკვეთრად განსხვავდებოდა ეკატერინე II-ის პოლიტიკისაგან. მათი აზრით, პავლეს პირველი ნიბიჯები გამსჭვალული იყო სამშვიდობო მისწრაფებით და პაციფისტურ ხასიათს ატარებდა.

ამ ისტორიკოსთა შეხედულებას კარგად გამოხატავს პროფ. ა. ტრაჩევსკი, რომლის აზრითაც პავლე I თავდაპირველად სრულებით არ ფიქრობდა ევროპულ კონფლიქტში ჩაბმას და გულწრფელი სამშვიდობო მისწრაფებით იყო გაჟღენთილი[1].

აღნიშნული რუსი ისტორიკოსების აზრით, ეკატერინე II საფუძვლიანად ემზადებოდა საფრანგეთის წინააღმდეგ აქტიური მოქმედებისათვის და სპეციალური კორპუსიც შექმნა დასავლეთში გასაგზავნად, პავლემ კი ერთი დაკვრით ბოლო მოუღო ამ მზადებას, კოალიციას დახმარებაზე უარი უთხრა, ევროპის დამ-

---

[1] „Павел I сначала вовсе не думал повлекаться в европейские распри. Его первым делом было сильное, искреннее заявление мирных стремлений...". А. Трачевский, Россия и Франция в конце прошедшего века (1794—1799 гг.), „Вестник Европы". 1885, № 6, зз. 513.

შეიდება განიზრახა და საფრანგეთთან შეთანხმებისაკენ გადადგა-ნაბიჯი. ეს ისტორიკოსები თავიანთ შეხედულებას ასაბუთებენ სახელმწიფო კანცლერ გრაფ ი. ა. ოსტერმანის 1796 წლის 24 ნოემბრით დათარიღებულ ცირკულარულ ნოტაზე მითითებით.

ცირკულარულ ნოტით რუსეთის კანცლერი აუწყებს მეგობრულ ურთიერთობაში მყოფ სახელმწიფოთა მთავრობებს და ამ სახელმწიფოების მთავრობებთან აკრედიტებულ რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებს, რომ ვინაიდან რუსეთი ხანგრძლივ ომებს ეწეოდა, რამაც გამოფიტა მისი მოსახლეობა, პავლე I-ის კაცთმოყვარე გულმა საჭიროდ მიიჩნია ქვეშევრდომებს მისცეს საჭირო და სასურველი შესვენება; რის გამოც რუსეთის არმია საფრანგეთის წინააღმდეგ არ იმოქმედებსო. ნოტაში. ამასთან ერთად აღნიშნულია, რომ იმპერატორი პავლე I ამავე დროს მტკიცედ შეინარჩუნებს კავშირს თავის მოკავშირეებთან და ყველა საშუალებით წინააღმდეგობას გაუწევს საფრანგეთის რესპუბლიკის აღვირახსნილობას და მუქარას[1].

შეიძლება თუ არა მოტანილი ნოტა გამოყენებულ იქნეს საფუძვლად ზემოაღნიშნულ შეხედულებების დასაცავად? ჩვენი აზრით, რასაკვირველია, არა. პირველ ყოვლისა, ცირკულარული ნოტა რუსეთის ახალ იმპერატორს მიაწერს ქვეშევრდომებისადმი მამობრივ ზრუნვას, მათთვის დასვენების მიცემის განზრახვას და მას უკავშირებს საფრანგეთის წინააღმდეგ ჯარის გაგზავნისაგან თავის შეკავებას. ასეთ ვერსიას, რომელსაც სინამდვილესთან არაფერი საერთო არ აქვს, ჩვენ, ცხადია, გადაჭრით უკუვაგდებთ. მეორე, ამ ცირკულარულ ნოტაში ხაზგასმულია პავლე I-ის განზრახვა დაეცვა სამოკავშირო ვალდებულებანი და ყველა საშუა-

---

[1] „Россия, будучи в безпрерывной войне с 1756 года, есть потому единственная в свете держава, которая находилась 40 лет в несчастном положении истощать свое народонаселение. Человеколюбивое сердце Императора Павла не могло отказать любезным его подданным в превожном и желаемом им отдохновении, после столь долго продолжавшихся изнурений. Однакоже, хотя Российское войско не будет действовать против Франции по вышеозначенной и необходимой причине, Государь не менее затем, как и покойная Его Родительница, остается в твердой связи с своими союзниками и чувствует нужду противиться всевозможными мерами неистовой Французской республике, угрожающей всей Европе совершенным истреблением закона, прав, имущества и благоправия". Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 10.

ლებით წინააღმდეგობა გაეწია საფრანგეთის რესპუბლიკის „ძირგამომთხრელი“ საქმიანობისათვის, რომელიც მთელ ევროპას „ემუქრებოდა კანონის, სამართლის, საკუთრების და ზნეობის სრული მოსპობით“. მოტანილი დოკუმენტი, პირიქით, ადასტურებს, რომ პავლემ დაიცვა და განავითარა მემკვიდრეობით მიღებული საგარეო პოლიტიკური კურსი, იკისრა წინამორბედი მმართველობის მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებათათვის პატივისცემის ვალდებულება.

ჩვენს ხელთ არის მეორე დოკუმენტი—ი. ა. ოსტერმანის 1797 წლის 7 დეკემბრის დეპეშა ა. ა. რაზუმოვსკისადმი, — რომელშიც კანცლერი განმარტავს ზემოთ მოტანილ ცირკულარულ ნოტის შინაარსს, ავალებს მას გაფანტოს გერმანულ სამთავროებში მის შედეგად წარმოშობილი არასწორი შეხედულება და დაარწმუნოს ისინი დაეხმარონ გერმანიის იმპერატორს ფრანგების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ დეპეშაში ერთხელ კიდევ ხაზგასმულია, რომ, მართალია, იმპერატორმა თავისი ხალხების კეთილდღეობაზე ზრუნვის გამო სისრულეში ვერ მოიყვანა ეკატერინე II-ის გადაწყვეტილება ფრანგების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი კვლავინდებურად მანამდე გამომუშავებული სისტემის ერთგული რჩებაო [1].

ეს დოკუმენტი ცხადყოფს, რომ ცარიზმის საგარეო პოლიტიკის მიმართულებასა და გამომუშავებულ სისტემას ახალი იმპერატორის გამეფებით არსებითი ცვლილება არ განუცდია. ძველი კავშირ-ურთიერთობანი, საფრანგეთის რესპუბლიკისა და რევოლუციის „გამხრწნელი“ გავლენის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიული ხაზი უცვლელი დარჩა. საფრანგეთის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ომის გაჩაღებისაგან თავის შეკავება დროებითი ტაქტიკური ნაბიჯი იყო, რომელიც არა სუბიექტური მოტივებით, არამედ უფრო სერიოზული საშინაო და საგარეო გარემოებებით იყო პირობადებული.

როგორც ცნობილია, ინგლისის ელჩის უიტვორტის პირველი აუდიენციის დროს პავლემ დაარწმუნა იგი, რომ რუსეთსა და ინგლისს შორის არსებული ურთიერთობა შენარჩუნე-

---

[1] „...если в силу общих мероприятий, которые Е. И. В. считал нужным принять в начале своего царствования..., он, не мог осуществить решения императрицы... он, однако не менее склонен следовать системе, установленной до сих пор...“. ЦГАДА, Министерские доклады, II, Австрия, январь-декабрь, 1796 г., лл. 40—43.

ბული იქნებოდა. „Vous pouvez être sûr monsieur, — განუცხადა პავლემ უიტვორტს, — que je conserverai avec soin les relations qui existent entre nos deux pays et qui seront également utiles pour tous les deux“ [1].

შეიძლება გვითხრან, რომ ჩვენი მოსაზრების საწინააღმდეგო მასალას იძლევა პეტერბურგის სამეფო კარზე მალტის სასულიერო ორდენის წარმომადგენლის გრაფი იული რენე ლიტას 1796 წლის 15 (26) დეკემბრის დეპეშა ორდენის დიდი მაგისტრისადმი. ამ დეპეშაში ლიტა აუწყებს თავის უფროსს: პავლე I-ის მეფობა იქნება მშვიდობიანი, ბედნიერი, პატივმოყვარე ზრახვებისაგან თავისუფალი, მისი პოლიტიკური სისტემაა მშვიდობის შენარჩუნება და ყველა სახელმწიფოსთან, კერძოდ მეზობლებთან კეთილსასურველი ურთიერთობის შენარჩუნება [2].

მაგრამ ეს დეპეშა ეკუთვნის უცხოელს, რომელიც ძალზე ცუდად იცნობდა რუსეთს და რომლის შეხედულება არ შეიძლება ჩაითვალოს დამაჯერებლად და სავსებით სარწმუნოდ. დეპეშაში თავისი უფროსისადმი ლიტამ რუსეთის ახალი მმართველობის საგარეო პოლიტიკის ხასიათის შესახებ ის მოსაზრება გამოთქვა, რომლის წყაროსაც სასახლის წრეებში შემუშავებული აზრი წარმოადგენდა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ იმავე ლიტამ მალე შეცვალა აღნიშნულ დეპეშაში განეითარებული აზრი და მორიგ დეპეშებში, განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ახალი იმპერატორის მიერ ძველი მმართველობის საგარეო პოლიტიკური ხაზისადმი ერთგულებას.

ამ მხრივ აღსანიშნავია ლიტას 1797 წლის 2/13 თებერვლის დეპეშა იმავე დიდი მაგისტრისადმი. ამ დეპეშაში აღნიშნულია, რომ პეტერბურგის სამეფო კარმა დაარწმუნა ვენის და ლონდონის სამეფო კარი და გერმანიის მთავრები, რომ იგი წმინდად დაიცავს ძველ კავშირ-ურთიერთობებს აღნიშნულ სახელმწიფოებთან. პირადად იმპერატორმა პავლემ, წერს ლიტა, ერთხელ კიდევ ნათლად განუცხადა ავსტრიელ გრაფ კობენცლს, რომ იგი ყველაფერს გააკეთებს ავსტრიის სამეფო კართან გაფორმებული მეგობრული ვალდებულებების სარეალიზაციოდ და დამატებით კორპუსსაც კი გამოჰყოფს მის დასახმარებლად, როგორც კი შინაგანი ვითარება ამის შესაძლებლობას მისცემს [3].

---

[1] В. Александренко, Император Павел I и англичане..., გვ. 95.
[2] Сб. РИО, ტ. 2 (1868 г.). გვ. 227—228.
[3] იქვე, ტ. 2, გვ. 263—264.

ამგვარად, ერთხელ კიდევ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ვერსიას, რომლითაც პავლეს მიაწერენ სრულიად ახალ, ძველი მმართველობისაგან განსხვავებულ საგარეო პოლიტიკური გეზის აღებას, სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო. ახალი მმართველობის საგარეო პოლიტიკის პირველი ნაბიჯები არ წარმოადგენდა ძველის უარყოფას. შეინარჩუნა რა მემკვიდრეობით მიღებული სტრატეგიული ხაზი, მან ცვლილებები მოახდინა მხოლოდ მისი რეალიზაციის ფორმებსა და მეთოდებში, ტაქტიკურ ნაბიჯებში.

რა მოტივებით იყო განპირობებული ცარიზმის ახალი ტაქტიკური ნაბიჯები საგარეო პოლიტიკის დარგში, რით იყო გამოწვეული „კორექტივის" შეტანის საჭიროება საფრანგეთის რესპუბლიკის მიმართ ეკატერინე II-ის მთავრობის მიერ აღებულ კურსში?

რევოლუციამდელ რუს და საზღვარგარეთელ ისტორიკოსთა უმრავლესობა ამას, როგორც უკვე აღვნიშნავდით, სუბიექტური მოტივებით ხსნის და პავლე I-ის განწყობას, ძველი მმართველობისადმი მის ანტიპათიას უკავშირებს. საკითხის ასეთი დაყენება, თუმცა იგი სიმართლის ელემენტს შეიცავს, არაფერს არ არკვევს და მხოლოდ აბუნდოვნებს მას. ასეთი შეხედულება ყალბ მეთოდოლოგიურ საფუძველს ემყარება.

საბჭოთა ისტორიკოსები, რომელნიც შეეხნენ პავლე I-ის პირველ ნაბიჯს საფრანგეთის რესპუბლიკისა და რუსეთის მოკავშირეების მიმართ, არ უარყოფენ მის ერთგვარ განსხვავებას ეკატერინე II-ის მიერ აღებული კურსისაგან. მაგრამ ერთნი ერთი მოტივებით ხსნიან მას, მეორენი — მეორეთი.

ს. ოკუნის აზრით, მთავარი გარემოება, რომელმაც პავლე I მიიყვანა გადაწყვეტილებამდე თავი შეეკავებინა საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ჯარის დაუყოვნებლივ გაგზავნისაგან, იყო ანტიფრანგული კოალიციის რიგებში არსებული წინააღმდეგობა; კერძოდ, პრუსიის საეჭვო ნეიტრალიტეტი. რუსეთის დიპლომატიურ წრეებში დაჟინებით ლაპარაკობდნენ: პრუსიასა და საფრანგეთს შორის დაიდო არა მარტო სამშვიდობო, არამედ კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, და ასეთ პირობებში, ასკვნის ავტორი, ცენტრალურ ევროპაში საფრანგეთის დამარცხების განზრახვა სარისკო იყოო. აღნიშნულ მოტივს ოკუნი უკავშირებს მეორე მოტივს: ავსტრიის დამარცხებას საფრან-

.ვეთთან ომში, მისი პოზიციის მერყეობას და მისთვის, პირველ ყოვლისა, დიპლომატიური მხარდაჭერის საჭიროებას[1].

მეორე საბჭოთა ისტორიკოსი რ. ლანინი, უფრო მკვეთრად უსვამს ხაზს პავლე I-ის მიერ საფრანგეთის მიმართ აღებული კურსის განსხვავებას წინანდელი კურსისაგან. ახალ კურსში იგი ხედავს იმ საერთაშორისო ვალდებულებებზე ხელის აღებას, რომელიც ეკატერინე II-ს ჰქონდა ნაკისრი და რომელიც რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ ცვლილებას იგი ხსნის ორი გარემოებით: 1) პავლეს სურდა იმ გზით ევლო და ის დიპლომატიური კურსი აეღო, რომელიც მან გამოიმუშავა ჯერ კიდევ გატჩინოს სასახლეში ცხოვრების პერიოდში; 2) პავლე I-ის საგარეო პოლიტიკა ორი მოტივით იყო პირობადებული: რევოლუციასთან ბრძოლა და ევროპაში უპირატესი გავლენის მოპოვება, როგორც თურქეთის დაყოფის პროგრამის რეალიზაციის პირობა. ამ ორი მოტივიდან გამეფების მომენტისათვის მან წინ წამოსწია და წინაპლანზე დააყენა ცენტრალურ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში გავლენისა და ტერიტორიული გაფართოების ამოცანა. პავლე I კარგად ხედავდა საფრანგეთის ევოლუციას მარჯვნივ, იგი მოელოდა მორიგ კონტრრევოლუციურ გადატრიალებას ამ ქვეყანაში, იმედი ჰქონდა, რომ საფრანგეთში ერთპიროვნული დიქტატურა დამყარდებოდა, რის გამოც საჭიროდ აღარ მიიჩნევდა მის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ იარაღის აღმართვას. რაც შეეხება პირველი ამოცანის რეალიზაციას, განაგრძობს ავტორი, იგი იმ ეტაპზე არ საჭიროებდა საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ომის გაჩაღებას[2].

ჩვენი აზრით, ამ ისტორიკოსთა მოტანილი მოსაზრებები ძირითადში მართებულია. მაგრამ, პირველ ყოვლისა, საჭიროა მათს დასკვნებში ცალკეული დაზუსტების და კორექტივის შეტანა. მეორე მხრივ, მათ მიერ მოტანილი მოტივები ვერ გვაძლევს პავლე I-ის მმართველობის მიერ ევროპულ პოლიტიკაში მომ-

---

[1] „Отказ Павла от немедленной посылки войск против Франции был результатом отсутствия единства в рядах антифранцузской коалиции... Рассчитывать на победу в Центральной Европе над Францией, имея при этом в тылу пока что „нейтральную" Пруссию... было рискованно". С. Окунь, დასახ. ნაშრ., გვ. 77.

[2] Р. С. Ланин, დასახ. წერილი, იხ. „Ученые записки Ленинградского гос. университета", серия истор. наук, вып. 10, № 80, 1941, გვ. 7—10.

ზდარი ცვლილების სრულ სურათს, რის გამოც იგი მოითხოვს დამატებითი მოტივებით შევსებას.

პავლე I-ის მიერ ძველისაგნ მკვეთრად განსხვავებული კურსის აღებას და საერთაშორისო ვალდებულებებზე უარისთქმას, რაც ხაზგასმული აქვს ლანინს, სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია. ახალმა მმართველობამ საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რევოლუციის საფრთხის წინააღმდეგ შემუშავებული სტრატეგიული ხაზი (ამის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი) შეინარჩუნა, ისე როგორც იმ ვალდებულებებისადმი ერთგულება, რომელიც მან მეტ-კვიდრეობით მიიღო. მან მხოლოდ გადადო ამ ვალდებულებათა რეალიზაციის ვადა, თანაც სხვა მეთოდს მიმართა რუსეთის წინაშე მდგარი უპირველესი ამოცანის სისრულეში მოსაყვანად. სავსებით დამაჯერებლად არ მიგვაჩნია ლანინისავე დებულება, რომ თითქოს პავლე I-მა საგარეო პოლიტიკის ორი მოტივიდან ერთი მოტივი წინ წამოსწია და მეორე კი დროებით ჩრდილში დააყენა. უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს ორი სხვადასხვა მოტივი ერთ მთლიანობას ქმნიდა და სწორედ ამ მთლიანობაში აპიროებდა ცარიზმის ამა თუ იმ პოლიტიკურ ნაბიჯს საფრანგეთის ან მოკავშირეების მიმართ. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ცარიზმი პასიურად როდი მოელოდა საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების ევოლუციას მარჯვნივ და ერთპიროვნული დიქტატურის დამყარებას, არამედ იგი (პირადად პავლე I) ფულით, ფრანგ ემიგრანტთა მეშვეობით და სხვა საშუალებებით უწყობდა ხელს ასეთ მოსალოდნელ ცვლილებას და მონაწილეობას იღებდა როიალისტურ შეთქმულებებში.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ საგენტურო „არხების" და არაოფიციალური დიპლომატიური წყაროების მეშვეობით პეტერბურგის მთავრობისათვის ცნობილი იყო ის დიპლომატიური აქტივობა და ფაციფუცი, რომელსაც ადგილი ჰქონდა საფრანგეთში რუსეთთან დაახლოების თაობაზე. პავლემ იცოდა, რომ საფრანგეთის დირექტორია ენერგიულად ეძებდა რუსეთთან ზავს და დაახლოებას. ამიტომ მას შესაძლებლად მიაჩნდა ამ ინიციატივისათვის ანგარიშის გაწევა და Modus vivendi-ს ნიადაგზე მასთან შეთანხმების მიღწევის ზონდაჟი, სანამ იარაღს მოჰკიდებდა ხელს.

ორივე საბჭოთა ავტორი მხოლოდ საგარეო პოლიტიკური გარემოებით ხსნის პავლე I-ის მთავრობის თავდაპირველ ნაბიჯს— პაციფისტური სულისკვეთების შემცველ ნაბიჯს საფრანგეთის რესპუბლიკის მიმართ. ჩვენი აზრით, მათ მიერ ხაზგასმული ფაქ-

ტორები მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია. ახალი მმართველობის მიერ 1796 წლის დასასრულისათვის აღებული კურსი საფრანგეთის მიმართ უმთავრესად სწორედ საგარეო პოლიტიკური მოტივებით იყო პირობადებული. მაგრამ საკითხის ამომწურავი განმარტება მოითხოვს მოტივების არის გაფართოებას და საგარეო პოლიტიკურ ფაქტორებთან ერთად რუსეთის შინაგანი სიტუაციისათვის ანგარიშის გაწევას[1].

ანგარიშის გასაწევ შინაგან ფაქტორებად ჩვენ მიგვაჩნია გლეხთა ახალი გამოსვლების რეალური საფრთხე, რუსეთის ფინანსების დაძაბვა და ფლოტისა და არმიის წესრიგში მოყვანის საჭიროება. აღნიშნული სიძნელეები წინამორბედი მმართველობის მემკვიდრეობას წარმოადგენდა. ცარიზმს თავი უნდა გაერთმია მათთვის სანამ იგი საფრანგეთთან ომს დაიწყებდა.

მართალია, ეკატერინე II-მ ქმედითი რეპრესიული ზომები მიიღო თავისუფალი აზრის, რევოლუციური სულისკვეთებისა და გლეხთა ახალი აჯანყებების შესაძლებლობათა წინააღმდეგ, მაგრამ ამით მან სავსებით როდი დაიცვა არსებული სოციალური სისტემა ახალ შერყევათაგან მომავალში. ზურგის პრობლემა, ახალი პუგაჩოვების გამოჩენის რეალური საფრთხე მოსვენებას არ აძლევდა პავლეს. იგი ცოტა უფრო გვიან ხომ იძულებული იყო რეპნინის სარდლობით ჯარის დიდი შენაერთი გაეგზავნა გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად. როგორც ცნობილია, 1796 წლის ნოემბრიდან 1797 წლის გაზაფხულამდე რუსეთის იმპერიის ევროპული ნაწილის 32 გუბერნიას მოედო გლეხთა აჯანყებების ტალღა. შინაგანი ფრონტის (ზურგის) რამდენადმე განმტკიცებამდე, გლეხთა „ურჩი მასების“ მიმართ პრევენტული ზომების მიღების გარეშე რუსეთის ახალ იმპერატორს სარისკოდ მიაჩნდა იარაღით გამოსვლა მოკავშირეების დასახმარებლად და საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმა.

ხანგრძლივი ომების შედეგად (თურქეთთან, შვეციასთან, ირანთან, პოლონეთთან) რუსეთის ფინანსები თითქმის გამოფი-

---

[1] ჩვენ, ამავე დროს, რასაკვირველია, ვერ გავიზიარებთ რევოლუციამდელ ისტორიოგრაფიაში, კერძოდ პავლე I-ის მეფობის აპოლოგეტთა რიგებში გავრცელებულ შეხედულებას და პავლეს ვერ მივაწერთ ქვეშევრდომებზე „მამობრივ“ ხრუნვას. ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ მათ მტკიცებას: პავლეს სურდა ხანგრძლივი ომებით მოღლილ ქვეშევრდომებისათვის ნანატრი დასვენება, მშვიდობა და უდრტვინველი ცხოვრება უზრუნველეყო. ამიტომ იყო, რომ მან ფრანგების წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ომისაგან თავი შეიკავა.

ტული იყო და გლეხობის ახალი გადასახადებით დაბეგვრის გზით შევსებას საჭიროებდა. იგივე ითქმის არმიისა და ფლოტის შესახებაც: მათაც ახალი შევსება და ნაწილობრივი რეორგანიზაცია ესაჭიროებოდათ. პაველ I, როგორც ცნობილია, ყოველგვარი პრუსიულის, კერძოდ პრუსიული სამხედრო რუტინის დიდი მათაყვანებელი იყო, რის გამოც მას განზრახვა ჰქონდა პრუსიულ ყაიდაზე გარდაექმნა რუსეთის არმია სანამ საკავშირო ვალდებულებას აღასრულებდა [1].

ამგვარად, საგარეო და შინაგანი ფაქტორების კომპლექსმა აიძულა ახალი იმპერატორი და მისი მთავრობა ძველი კურსის რევიზია მოეხდინა, საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ უფრო საფუძვლიანი მზადება ჩაეტარებინა, ევროპის დამშვიდების ინიციატივისათვის ანგარიში გაეწია და საფრანგეთთან შეთანხმების შესაძლებლობის ნიადაგი მოესინჯა.

ჩვენს ხელთ არის დოკუმენტი — ს. რ. ვორონცოვის ინტიმური საუბარი ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ გრენვილთან,—რომელიც ეხება პაველ I-ის პირველ ნაბიჯებს საგარეო პოლიტიკის დარგში. რუსეთის ელჩი, აცნობებს რა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს რუსეთის ახალი მთავრობის გადაწყვეტილებას, არ გაგზავნილიყო ჯარი საფრანგეთის წინააღმდეგ, ამ გადაწყვეტილების შემაპირობებელ გარემოებად სწორედ ქვეყნის საშინაო სიძნელეებს მიიჩნევს. ამ სიძნელეთა შორის, პირველ რიგში, მას დასახელებული აქვს ფინანსების მოშლა და არმიის რიგებში არსებული აწეწილ-დაწეწილი მდგომარეობა [2].

---

[1] აჯამებდა რა ეკატერინე II-ის მეფობას, რევოლუციამდელი რუსი ისტორიკოსი ვ. ო. კლიუჩევსკი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ რუსეთის იმპერია მისი მეფობის უკანასკნელ წლებში გარეგნულად, საერთო შთაბეჭდილებით, წარმოადგენდა მწყობრ და დიდებულ შენობას, ხოლო ახლო, დეტალურად გაცნობისას კი მასში გამეფებული იყო ქაოსი, არეულ-დარეულობა. კლიუჩევსკი განსაკუთრებით ხაზს უსვამს რუსეთის დიდ ფინანსურ სიძნელეებს ეკატერინე II-ის მეფობის მიწურულში. იხ. В. О. Ключевский, Курс русской истории, ч. V, М., 1937, გვ. 170.

[2] „В последние годы царства покойной государыни императрицы, по причине слабости ея здоровья и по доверенности, которую она к несчастию возложила на некоторых особ, кои недостойны были оной и кои из властолюбия и йадменного чванства присвоили себе управление всех дел во всех государственных департаментах, не имея на то... ни достаточных естественных талантов, ни приобретенных знаний, отчего вышли неберсжливыя казенныя издержки, неустройства в армии, которая развращена была так, что полк не походил на полк, казался принадле-

ეს ცნობა მით უფრო საინტერესოა და მნიშვნელოვანი, რამდენადაც დიპლომატი ს. რ. ვორონცოვი, როგორც ცნობილია, ეკატერინე II-ის მმართველობის სისტემის, მისი საგარეო პოლიტიკის დიდი თაყვანისმცემელი იყო, პავლეს და მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, პირიქით, იგი ჯერ სკეპტიკურად, შემდეგ კი აშკარა მტრულად შეეგება. ეს ცნობა სავსებით ამართლებს ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას[1].

ერთ-ერთი გარემოება, რომელმაც განსაზღვრა რუსეთის ახალი იმპერატორის პავლე I-ის გადაწყვეტილება: თავი შეეკავებინა საფრანგეთის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ომისაგან და მასთან შეთანხმების ზონდაჟზე აეღო გეზი, იყო საფრანგეთში არსებული რეჟიმის დამხობისა და ძველი რეჟიმის აღდგენის იმედი. რუსეთის ცარიზმის მესვეურნი დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ საფრანგეთში მოქმედი კონტრრევოლუციურ-როიალისტური ძალები სათანადო დახმარების გაწევით გარედან და ემიგრანტთა მეშვეობით დაამხობდნენ დირექტორიის ხელისუფლებას, მოსპობდნენ რევოლუციის შედეგებს და მით თავს წაკვეთდნენ ევროპის „შფოთისა და უწესოების“ მოთავეს. თუ საფრანგეთში მოკლე დროში მოხდებოდა ასეთი ცვლილება, მაშინ იგი უშუალო გავლენას მოახდენდა რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაზე, შეცვლიდა ევროპაში არსებულ პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემას და, ამდენად, ზედმეტს გახდიდა საფრანგეთის წინააღმდეგ ომს რუსეთის მხრივ.

რუსეთის მთავრობა ინგლისისა და ავსტრიის მთავრობებთან ერთად კავშირში იყო საფრანგეთში ფარულად მოქმედ როიალისტურ ჯგუფებთან და ფულადი სახსრებით, მითითებებით თუ სხვა შესაძლო საშუალებებით ეხმარებოდა მათ. ამ მიზნით პეტერბურგიდან საფრანგეთში იგზავნებოდნენ სათანადოდ მომზადებული და აღჭურვილი ემისრები ფრანგ ემიგრანტთა რიგებიდან, რომელთა კანდიდატურებს პროვანსის და არტუას გრაფები არჩევდნენ და პავლეს უდგენდნენ.

жать другой земле и службе. Тоже было и во флоте, так что эти две части защиты государственной потеряли совсем порядок и дисциплину“. А. Трачевский, დასახ. წერილი, გვ. 513—514.

[1] რომ ეკატერინე II-ის მეფობის უკანასკნელ წლებში ყველაფერი რიგზე არ იყო, ჯერ-ოდ ფინანსების დარგში, სადაც არნახული მფლანგველობა მეფობდა, ამაზე ნ. მ. კარამზინის ცნობილი თქმაც მიგვითითებს: „ეკატერინეს მეფობის დამთავრებასთან ერთად დამთავრდა ოქროს საუკუნე მძარცველებისათვის“. იხ. „Русский Архив“, გვ. 2268.

1796 წლის დასასრულისათვის პარიზში საფუძველი ჩაეყარა ძლავრ როიალისტურ შეთქმულებას, რომელშიც აშკარა როიალისტებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ რესპუბლიკური არმიის ზოგიერთი გენერალი, დირექტორიის წევრებიც კი. ეს შეთქმულება მრავალი ძაფით იყო დაკავშირებული ლონდონთან, პეტერბურგთან და ვენასთან. სწორედ ამ შეთქმულების წარმატების იმედი ჰქონდა პავლეს, მის შედეგებს ელოდებოდა და ამიტომ საფრანგეთის წინააღმდეგ აქტიური მოქმედებისაგან თავს იკავებდა.

პავლე I-ის მთავრობა ამ შეთქმულების გარეგანი მჭვრეტელი და დამკვირვებელი როდი იყო, იგი უშუალო მონაწილეობას იღებდა მასში და ხელს უწყობდა მის წარმატებას ყველა შესაძლო საშუალებებით.

ჩვენს ხელთ არის საინტერესო დოკუმენტები, რომლებიც ნათელყოფენ პავლე I-ის აქტიურ მონაწილეობას აღნიშნულ როიალისტურ შეთქმულებაში. ეს დოკუმენტები, საერთო სათაურით: „Император Павел I, король Людовик XVIII и француз Фонбрюн", გამოქვეყნებულია ჟურნალ „Русская старина"-ს 1898 წლის აგვისტოს ნომერში (გვ. 395—400).

ამ დოკუმენტებიდან მეტად საინტერესოა პირველი დოკუმენტი— საფრანგეთის ტახტის მაძიებლის პროვანსის გრაფის (ლუი XVIII-ის) წერილი პავლე პირველისადმი, დათარიღებული 1796 წლის 27 დეკემბრით[1]. წერილით ფრანგი პრინცი რუსეთის იმპერატორის ყურადღებას მიაქცევს ფრანგ ემიგრანტ ფ ო ნ ბ რ ი უ ნ ი ს ა დ მ ი (de Fontbrune) და სთხოვს მას გამოიყენოს იგი საპიროებისამებრ, როგორც ერთგული და სანდო პიროვნება[2], იქვე მოტანილი მეორე საბუთიდან ცხადი ხდება, რომ რუსეთის იმპერატორმა დააკმაყოფილა საფრანგეთის ტახტის მაძიებლის თხოვნა და ფონბრიუნს საგანგებო მისია დააკისრა. იგი მან აღჭურვა სარეკომენდაციო წერილებით, ინსტრუქციით და პარიზს მიავლინა. როგორც გზაში, ისე საფრანგეთში ფონბრიუნს უნდა ემოქმედა სიმოლინის მეშვეობით და ზედამხედველობით (სიმოლინი — რუსეთის ყოფილი ელჩი საფრანგეთში—მაშინ მაინის ფრანკფურტში იმყოფებოდა). ინსტრუქცია და სარეკომენდაციო წერი-

---

[1] წერილი დაწერილია ბრაუნშვაიგის საჰერცოგოს პატარა დაბა ბლაკენბურგში, სადაც მაშინ ემიგრანტულ ცხოვრებას ეწეოდა პროვანსის გრაფი.

[2] „Русская старина", 1898, ტ. 95, წიგ. VIII, გვ. 395—396.

ლი ბეზბოროდკოს მიერ არის შედგენილი. სარეკომენდაციო წერილით სიმოლინს ევალებოდა ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინა ფონბრიუნისათვის. ინსტრუქცია ფონბრიუნს ავალებდა მოესინჯა ნიადაგი საფრანგეთში დირექტორიის დასამხობად და ამ მიზნით კავშირი დაემყარებინა პრინც კონდესთან, პრინც ბურბონთან, შვეიცარიაში მყოფ ზოგ ფრანგ ემიგრანტთან და დირექტორიის ელჩ ბარტელიმისთან მისი გადაბირების მიზნით. ინსტრუქციასთან და სარეკომენდაციო წერილებთან ერთად ფონბრუნს გაეგზავრებისას მიეღია საიდუმლო შიფრი, ყალბი პასპორტი და 1000 ჩერვონეცი [1].

დიდი ხნის გასვლის შემდეგ, სახელდობრ 1810 წელს ფონბრიუნს წერილი მოუწერია პავლე I-ის ქვრივის, დედოფალ მარიამ თეოდორეს ასულისათვის. ამ წერილში, რომელიც წარმოადგენს თხოვნას დაპირებული გასამრჯელოს შესახებ, მოკლედ მოთხრობილია ფონბრიუნის მოგზაურობა და საქმიანობა დაკისრებულ მისიასთან დაკავშირებით. წერილიდან ჩანს, რომ მას აქტიურად უმოქმედია. შვეიცარიასა და პარიზშიაც ყოფილა, იქიდან იტალიაში დაბრუნებულა [2].

მოტანილი ცნობები ნათელს ჰფენს მეფის რუსეთის მთავრობის საქმიანობის მხოლოდ ერთ ეპიზოდს. ცხადია ეს ცდა არ იქნებოდა პირველი და უკანასკნელი. პეტერბურგსა და პარიზს შორის, ალბათ, სხვა „ფონბრიუნებიც" მოგზაურობდნენ და ეწეოდნენ სათანადო საქმიანობას შეთქმულ ფრანგ როიალისტებთან კავშირში. ასეთი საქმიანობა იმ პოლიტიკის განუყრელი ნაწილი იყო, რომელსაც რუსეთის ცარიზმი საფრანგეთის რევოლუციის გავლენის წინააღმდეგ, თვით ბურჟუაზიულ საფრანგეთის წინააღმდეგ ანხორციელებდა.

ასე გვესახება ჩვენ მოკლედ ის მოტივები, რომლებმაც აიძულა პავლე I ნაწილობრივი კორექტივი შეეტანა ეკატერინე II-ის მეფობის უკანასკნელ წლებში საფრანგეთის მიმართ გამომუშავებულ პოლიტიკურ კურსში, დროებით ხელი აეღო ამ ქვეყნის მიმართ დაუყოვნებლივ ომის განზრახვაზე და მასთან სადავო საკითხების მოსაგვარებლად მშვიდობიანი მეთოდები მოესინჯა.

---

[1] „Русская старина", 1893 г., т. 95, წიგ. VIII, გვ. 396—397.
[2] იქვე, გვ. 398—400.

თ ა ვ ი IV

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა მეორე ანტიფრანგული კოალიციის შექმნის წინ (1797 წელს)

1. რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის გაუმჯობესების ტენდენცია, მოლაპარაკება ბერლინში

საფრანგეთის რესპუბლიკის აღმასრულებელი დირექტორია, როგორც უკვე აღვნიშნავდით, ყველაფერს აკეთებდა, რათა თავიდან აეცილებინა რუსეთთან მოსალოდნელი ომი და საერთო ენა გამოენახა მასთან. დირექტორიას განზრახვა ჰქონდა მოლაპარაკების გზით მიეღწია ამ სახელმწიფოსთან შეთანხმებისათვის ევროპის დამშვიდებისა და ომამდელი ურთიერთობის აღდგენის თაობაზე და ამით გზა გაეწმინდა დასახული ძირითადი საგარეო პოლიტიკური ამოცანის გადასაწყვეტად. დირექტორიის მთავრობის პოლიტიკური კურსი და მისწრაფება დაემთხვა პავლე I-ის მთავრობის ზემოთ აღნიშნულ საგარეო პოლიტიკურ ნაბიჯებს — მოლაპარაკების გზით საფრანგეთთან შეთანხმების ცდას,—რამაც ხელი შეუწყო საფრანგეთის რესპუბლიკის დიპლომატიური ნაბიჯების თავდაპირველ წარმატებას „რუსეთის საკითხში“ და შექმნა პირობები დროებითი მობრუნებისათვის მათ ურთიერთობაში. ამისი კონკრეტული გამოხატულება იყო პრუსიის მთავრობის მეშვეობით წარმოებული ბერლინის არაოფიციალური მოლაპარაკება.

ჩვენს ხელთ არსებული მასალები ცხადყოფენ, რომ დირექტორიის მთავრობამ ამ მიმართულებით სათანადო დიპლომატიური ნაბიჯები გადადგა ჯერ კიდევ 1796 წლის დეკემბერში, პავლე I-ის გამეფებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, ამ ნაბიჯების ამოცანა იყო ცნობების შეგროვება რუსეთის ახალი ხელისუფლების

ხასიათისა და მისი განზრახვის შესახებ საგარეო პოლიტიკის დარგში, კერძოდ კი საფრანგეთის მიმართ. დირექტორიის მთავრობამ, ამასთან ერთად, საჭიროდ ცნო ნიადაგი მოესინჯა რუსეთთან არაოფიციალური ურთიერთობის გასაბმელად და ამ გზით მისთვის საფრანგეთის სამშვიდობო განზრახვის გასაცნობად. ის მრავალრიცხოვანი მასალა, რომელიც საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივის შესატყვის საქმეებშია დაცული, შუქს ჰფენს საფრანგეთის მთავრობის მიერ აღნიშნული მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების სერიოზულობას.

რუსეთის სამეფო ტახტზე მომხდარი ცვლილებების გამო დირექტორიის ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ მითითება მისცა თავის ელჩებს და დიპლომატიურ აგენტებს—აკრედიტებულთ ევროპის ნეიტრალურ სახელმწიფოებში — შეეგროვებინათ ცნობები პეტერბურგის ახალი მთავრობის ხასიათისა და განზრახვათა შესახებ. ფრანგმა დიპლომატებმა ენერგიულად მოჰკიდეს ხელი დაკისრებული დავალების შესრულებას. 1797 წლის დასაწყისისათვის საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში უკვე თავმოყრილი იყო ათეული წერილობითი მოხსენება, რომელთაც საფრანგეთის მთავრობა შეჰყავდათ რუსეთში არსებული ვითარების კურსში.

ერთ-ერთი ასეთი, ჩვენს განკარგულებაში არსებული, მოხსენებითი ბარათი ეკუთვნის პრუსიის მთავრობასთან მყოფ საფრანგეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს, ნიჭიერ დიპლომატ კაიარს (Caillard)[1]. მოხსენებითი ბარათი დაწერილია 1797 წლის 27 დეკემბერს. კაიარი, არაპირდაპირი გზით შეგროვილი ცნობების საფუძველზე, აღწერს რა იმ ვითარებას, რომელიც შეიქმნა პეტერბურგში პავლეს გამეფების შემდეგ, პავლეს პირველ ნაბიჯებს საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგებში, თავის მთავრობას აუწყებს: პავლემ გააუქმა სუბსიდიის შესახებ ინგლისთან შემუშავებული ხელშეკრულების პროექტი; მან უარი განაცხადა საფრანგეთის საწინააღმდეგო კოალიციის რიგებში

---

[1] კაიარის დიპლომატიური საქმიანობის შესახებ საკმაო ლიტერატურა არსებობს. ვრცელი ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ მოთავსებულია ფრანგულ ბიოგრაფიულ ლექსიკონებში: „Biographie Nouvelle des Contemporains", t. 4, Paris, 1827. გვ. 27—28; „Nouvelle Biographie générale". t. VII, Paris, 1854, გვ. 107—109; იხ. აგრეთვე G. Grosjean, დასახ. ნაშრ., გვ. 19—20; Bailleu, Preussen und Frankreich von 1795 bis 1807, t. I, გვ. XXVIII.

შესვლაზე და დაუყოვნებლივ შეუწყვეტს იმ სუბსიდიას პრინც კონდეს ემიგრანტულ არმიას, რომელსაც ეკატერინე II აძლევდა მას უკანასკნელ თვეებში [1].

დირექტორიის მთავრობამ რუსეთში არსებული მდგომარეობისა და ახალი სამეფო ხელისუფლების განზრახვათა შესახებ ცნობების შეგროვების შემდეგ, მორიგი ნაბიჯი გადადგა; საგარეო საქმეთა სამინისტროს დაავალა მრავალ პროექტთა შორის, რომელნიც რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის გზებს და ხერხებს შეეხებოდნენ და სამინისტროში იყო თავმოყრილი, შეერჩია უკეთესი და მისთვის წარედგინა [2].

---

[1] А. Трачевский, დასახ. წერილი. ჟურნ. „Вестник Европы", 1885, № 6, გვ. 520; Сб. РИО, ტ. 70, გვ. 633; აქეე უნდა აღვნიშნოთ. რომ ზოგიერთი ცნობა რუსეთის ახალი მმართველობის შესახებ დირექტორიას მოსდიოდა იტალიიდან. რუსეთის გებუელი ელჩის ლიზაკევიჩის დეპეშები, რელაციები და წერილები, რომელთაც იგი დიპკურიერების მეშვეობით დროგამოშვებით პეტერბურგში აგზავნიდა, ხელში უვარდებოდა ნაპოლეონის სარდლობით იტალიაში მომქმედი საფრანგეთის არმიის გენერლებს. ამ მასალებში, რომლებიც „დამუშავების" შემდეგ პარიზში იგზავნებოდა, იყო ცნობები რუსეთის ამბების, კერძოდ პავლე I-ის მთავრობის საგარეო პოლიტიკურ განზრახულობათა შესახებ: იხ. Сб. РИО, ტ. 70, გვ. 633, მე-3 შენიშვნა.

[2] ერთ-ერთი ასეთი პროექტის ავტორი იყო გუტენი (Guttin), რომელიც რევოლუციამდე რუსეთში იყო ნამყოფი და რუსეთის კარგ მცოდნედ თვლიდა თავს. იგი საფრანგეთის მთავრობას აცა მარტო უმტკიცებდა რუსეთთან დაახლოების სასურველობას, არამედ მიუთითებდა მას ამ დაახლოების გზაზეც. რჩევას იძლეოდა: რუსეთს თურქეთი შევთავაზოთ და მის ნაცვლად პოლონეთის სახელმწიფოს აღდგენა მოვთხოვოთო.

მსგავს აზრს ავითარებდნენ დიპლომატიური დარგის მუშაკები ტატო დარფლიანი, სულავი და დარნვილი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ისინი წინადადებას იძლეოდნენ რუსეთთან ურთიერთობის გასაბმელად გამოეყენებინათ პრუსია და მისთვის მიემართათ მომრიგებელ-შუამავლის როლის შესასრულებლად. ასეთ წინადადებას ისინი იმით ასაბუთებდნენ, რომ რუსეთის ახალი იმპერატორი პრუსოფილია და პრუსიისადმი დიდი სიმპათიით არისო განწყობილი. იხ. Сб. РИО, ტ. 70, გვ. 634.

ორი მოხსენებითი ბარათი ამ საკითხზე ეკუთვნოდა ლუი ფელასანს, შემდგომში საფრანგეთის დიპლომატიის ისტორიკოსს. ამ ბარათების სახელწოდებაა: „შეხედულება პეტერბურგის ახალი კაბინეტის შესახებ და საფრანგეთის და რუსეთის ურთიერთ დაახლოების საშუალება" (Coup d'oeil sur le nouveau cabinet de Pétersbourg და Moyen de rapprochement de la France et de la Russie). ავტორი არ აკეთებს გარკვეულ დასკვნას რუსეთის ახალი მმართველობის საგარეო პოლიტიკის მიმართულების შესახებ, ვინაიდან იგი მას მიაჩნია არათანამიმდევრულად („Elles se balancent mutuellement et semblent pres-

საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა დელაკრუამ 1796 წლის 19 დეკემბრის თარიღით მითითება გაუგზავნა საფრანგეთის ბერლინელ ელჩს კაიარს, მოლაპარაკებოდა პრუსიის მინისტრ ჰაუგვიცს (რომელიც არსებითად პირველი მინისტრის მოვალეობას ასრულებდა და საგარეო ურთიერთობის დარგს წარმართავდა) რუსეთთან დაახლოების თაობაზე. მას უნდა გაეცნო პრუსიის მინისტრისათვის საფრანგეთის მთავრობის სურვილი: ბოლო მოღებოდა რუსეთსა და საფრანგეთს შორის იმჟამად არსებულ ურთიერთობას („...cet état de guerre...") და პრუსიის მთავრობისათვის უნდა შეეთავაზებინა მომრიგებელ-შუამავლის როლი ამ ორ ქვეყანას შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენის საქმეში. პირადად ჰაუგვიცს უნდა მოეწყო კაიარის შეხვედრა რუსეთის ბერლინელ ელჩ კოლიჩევთან და მოემზადებინა ნიადაგი მათ შორის მოლაპარაკებისათვის[1].

საფრანგეთის მთავრობამ კაიარს დაავალა აგრეთვე იმავე პრუსიის მთავრობის მეშვეობით კავშირი გაება რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებთან ჰამბურგსა და კოპენჰაგენში და მათთვისაც გაეცნო საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის სურვილი მიეღწია რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის.

---

que contradicter les unes par les autres...")). ფლასანი სხვა პროექტების ავტორებთან ერთად დირექტორიის ყურადღებას მიაქცევს პრუსიისა და რუსეთის მეგობრობის ფაქტს და მას შეავშირებს რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების პერსპექტივას. იმედს გამოთქვამს რა პეტერბურგთან საერთო ენის გამონახვის შესაძლებლობისას, იგი ურჩევს დირექტორიას კაიარის მეშვეობით მოსინჯოს ნიადაგი პეტერბურგში (პრუსიის ელჩის დახმარებით) საფრანგეთის რესპუბლიკის მიმართ რუსეთის ჭეშმარიტი განზრახვის შესახებ. იხ. А. Трачевский, დასახ. წერილი, ჟურნ. „Вестник Европы", 1885, № 6, გვ. 520—522.

[1] იქვე, G. Grosjean, დასახ. ნაშრ., გვ. 20—21. დასახელებული ფრანგი ისტორიკოსი გროჟანი და სორელი, რუსი ისტორიკოსები ტატიშჩევი და ტრაჩევსკი, ემყარებიან რა მოტანილ დოკუმენტს, ხაზგასმით აღნიშნავენ დირექტორიის ეხერგიულ ცდას როგორმე დაკავშირებოდა რუსეთს და გაემართა მასთან მოლაპარაკება ხავის დადებისა და მათ შორის ომამდელი ურთიერთობის აღდგენის შესახებ. მაგრამ ისინი ფაქტის უბრალო აღნუსხვით კმაყოფილდებიან, საჭიროდ არ მიიჩნევენ საფუძვლიანად გამოიკვლიონ ამ დიპლომატიური ფაციფუცის შემაპირობებელი ფაქტორები. ჩვენ მათ შრომებში ვერ ვპოულობთ იმ ვითარების ანალიზს, რომელმაც ერთგვარი ხელსაყრელი პირობები შექმნა რუსეთ-საფრანგეთს შორის არსებული არანორმალური ურთიერთობის შესასუსტებლად. А. Сорель, Европа и французская революция, ტ. 5, გვ. 133; Tatistcheff, Paul et Bonaparte, ჟურნ. „La Nouvelle Revue", 1887, ტ. 47, დასახ. წერილი, წიგნი 3—4, 15 აგვ. გვ. 650.

დირექტორიის ხელისუფლება ამითაც არ დაკმაყოფილდა. მან საჭიროდ მიიჩნია სხვა საშუალებაც გამოენახა პეტერბურგთან კავშირის გასაბმელად და მასთან დიპლომატიური „არხის“ მეშვეობით ურთიერთობის დასამყარებლად[1].

საფრანგეთის მთავრობამ მიმართა პარიზში მცხოვრებ ვიურტემბერგის სამთავროს ქვეშევრდომებს ნორმანს და მის ამხანაგებს და სთხოვა მათ გაეგოთ პეტერბურგის სამეფო კარის განწყობილება საფრანგეთის რესპუბლიკის მიმართ.

ნორმანმა და მისმა ამხანაგებმა იკისრეს ამ მისიის შესრულება და მალე საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარუდგინეს თავიანთი მოსაზრება (პროექტი) აღნიშნულის შესახებ. პროექტი ითვალისწინებდა საფრანგეთსა და რუსეთს შორის ძველი ურთიერთობის აღდგენას ვიურტემბერგის ჰერცოგის მეშვეობით. ავტორები შესაძლებლად ცნობდნენ რუსეთის ახალი იმპერატორის გულის მოგებას და მის განწყობას საფრანგეთთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენის სასარგებლოდ. ამ მხრივ ისინი დიდ იმედებს ამყარებდნენ ვიურტემბერგის ჰერცოგზე, რადგან იგი ინტიმურ ურთიერთობაში იმყოფებოდა რუსეთის ახალ იმპერატორთან. დირექტორიას, პროექტის ავტორთა რჩევით, ჰერცოგისათვის უნდა ეთხოვათ მომრიგებლის ფუნქციის შესრულება, რაზედაც, მათი აზრით, ეს უკანასკნელი დიდი ხალისით დასთანხმდებოდა[2].

ზემო აღნიშნულთან ერთად დირექტორიის მთავრობამ დაავალა თავის დიპლომატიურ წარმომადგენლებს თურქეთში, დანიასა და სხვა ადგილებში ესპანეთის ელჩის მეშვეობით ნიადაგი მოესინჯათ რუსეთის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების კასამართავად განზრახულის თაობაზე[3].

---

[1] R. Giuyot, დასახ. ნაშრომი, გვ. 323—324.

[2] Сб. РИО, т. 70, გვ. 635; А. Трачевский, დასახ. წერილი, გვ. 523—524.

[3] რუსეთის ელჩი თურქეთში თავადი კოჩუბეი 1797 წლის 13/24 მაისის წერილით ს. რ. ვორონცოვისადმი აცნობებდა მას: საფრანგეთის წარმომადგენელმა თურქეთის მთავრობასთან ესპანეთის საქმეთა რწმუნებულის მეშვეობით 13 მაისს (1797 წ.) კონფიდენციალურად აცნობა მას (კოჩუბეის) საფრანგეთის დირექტორიის „განზრახვა“ — დაახლოებოდა რუსეთს და ითხოვდა ამ საქმეში მის ხელშეწყობას. კოჩუბეიმ საფრანგეთის წარმომადგენელთან შეხვედრახე უარი განაცხადა, ესპანეთის საქმეთა რწმუნებულის წარდგენა კი ხუმრობად მიიჩნია. იხ. „Архив князя Воронцова“, т. 14, М., 1879, გვ. 81—82.

ფრანგი ისტორიკოსის გიოს მიერ მოტანილი ცნობებიდან ჩანს, რომ დირექტორიას ერთდროულად გადაუდგამს ნაბიჯები პარიზსა და ბერლინში, რათა პრუსიის მთავრობისათვის კეთილი სამსახურის მისიის შესრულება ეთხოვა. პარიზში მის წარმომადგენლებს მოლაპარაკება ჰქონიათ პრუსიის ელჩთან საფრანგეთში სანდოზთან (Sandoz)[1]. რომ პეტერბურგთან დაახლოების საქმე გაადვილებულიყო, დირექტორიამ საიდუმლო აგენტის გაგზავნაც კი განიზრახა პეტერბურგში, რომელსაც ადგილზე უნდა შეესწავლა მდგომარეობა, თანაც ეცნობებინა პეტერბურგის მთავრობისათვის საფრანგეთის რესპუბლიკის რუსეთისადმი კეთილგანწყობილება[2].

1797 წლის დასაწყისისათვის, როდესაც საფრანგეთის რესპუბლიკის დიპლომატიურ ნაბიჯებს, გადადგმულს რუსეთთან საერთო ენის გამოსანახავად, არც პარიზსა და ბერლინში და არც სხვა ქალაქებში ჯერ კიდევ არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია, დირექტორიის განკარგულებაში აღმოჩნდა მოხსენებითი ბარათი, რომელიც სახავდა რუსეთთან დაახლოების უკეთეს გზებს და სათანადო რჩევა-დარიგებას აძლევდა დირექტორიას.

ამ ბარათის ავტორი იყო თვით საგარეო საქმეთა მინისტრი დელაკრუა[3].

---

[1] R. Guyot, დასახ. ნაშრომი, გვ. 323—324.

[2] თავისი შრომის 324-ე გვერდზე (შენიშვნაში) გიო, ემყარება რა სარწმუნო წყაროებს, წერს, რომ საფრანგეთის მთავრობის სანქციით საფრანგეთის წარმომადგენელმა ჰამბურგში რეინჰარდმა (Reinhard) თავისი მდივანი კერნერი (Kerner) გაგზავნა საიდუმლო მისიით პეტერბურგში. მაგრამ კერნერს დაკისრებული მოკალეობა არ შეუსრულებია, ვინაიდან იგი სახლვართან დაკავეს და უკან დააბრუნეს. ამის შემდეგ იმავე გზით მეორე აგენტი მენგო ყოფილა გაგზავნილი, მაგრამ მისი მისიაც ასეთივე წარუმატებლობით დამთავრებულა. პავლეს გულის მოსაგებად დირექტორიის მთავრობამ აკრძალა იმ საიდუმლო მასალის გამოქვეყნება, რომელიც ეკატერინე II-ის მორალურ მხარეს, პეტრე III-ის და მათ შორის ურთიერთობას ეხებოდა და რომელშიც აღნიშნული იყო, რომ პეტრე III პავლე I-ის მამა აო ყოფილა. ი ქვე, გვ. 324.

1797 წლის დასაწყისისათვის, მიუხედავად აღნიშნული დიპლომატიური ფაციფუცისა, დირექტორიის ინიციატივას არავითარი გარკვეული წარმატებითი შედეგი არ მოჰყოლია, ყინული არ გამდნარა და რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში რაიმე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ვალიშევსკის ტიპის ისტორიკოსები ამას უმეტესად რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლების გალოფობური სულისკვეთებით ხსნიან. იხ. К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 394.

[3] მისი სრული სახელწოდება იყო: „Considérations générales sur cette question: est-il temps de faire passer un agent en Russie, et comment?...“

აღნიშნული ვრცელი მოხსენებითი ბარათი — „ზოგადი მოსაზრებები“—არსებითად წარმოადგენს იმ ძველ და ახალ მოსაზრებათა და პროექტთა განზოგადებას, რომლებიც ამ დროისათვის საკმაო რაოდენობით დაგროვდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. იგი სერიოზული შრომის ნაყოფი იყო. მასში ავტორს მიზნად დაუსახავს პასუხი გაეცა საკითხთა კომპლექსისათვის. ასეთი საკითხებია: ეკატერინე II-ის მეფობის მეორე ნახევრის რუსეთის დიპლომატიის ხასიათი და მიმართულება, პავლე I-ის გამეფების შედეგად მომხდარი ცვლილებები ამ დარგში და რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის აღდგენის პერსპექტივები მომავალში.

„ზოგადი მოსაზრებები“ ორი ნაწილისაგან შედგება. მის პირველ ნაწილში ავტორი რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის პერსპექტივის შუქზე აფასებს ეკატერინე II-ის საგარეო პოლიტიკას და საკმაოდ ვრცლად აშუქებს მის კონკრეტულ ფორმებს და ნიუანსებს. ვრცელ ექსკურსს ეკატერინე II-ის მეფობის მეორე ნახევრის პერიოდის რუსეთის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის სფეროში ავტორი იმიტომ მიმართავს, რომ დაასკვნას: რუსები ჩვენი მტრები არ ყოფილანო („Les russes n'etaient donc pas nos ennemis“)[1].

ბარათის მეორე ნაწილში დელაკრუა სხვადასხვა ცნობებზე დაყრდნობით იძლევა რუსეთის ახალი მმართველობის საერთო დახასიათებას. იგი აფასებს პირადად პავლე I-ს, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მის დამოკიდებულებას ეკატერინე II-ის პოლიტიკისადმი და ა. შ. ადარებს რა ერთმანეთს ეკატერინე II-ისა და პავლე I-ის პოლიტიკას, ავტორი ხედავს განსხვავებას მათ შორის. კერძოდ, ის ხედავს ახალი ორიენტაციის ნიშნებს რუსეთის საგარეო პოლიტიკაში. ხაზს უსვამს რა ბეზბოროდკოს დიდ გავლენას, საგარეო პოლიტიკის მიმართულებაზე, ავტორი მას მიაწერს ინგლისის საწინააღმდეგო განწყობილების გაღვივებას.

„ზოგადი მოსაზრებების“ ავტორი საჭიროდ მიიჩნევს გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯი რუსეთ-საფრანგეთის დასაახლოებლად. განიხილავს რა ამ დაახლოების მისაღწევად სხვადასხვა ხერხებს, რომელნიც მის განკარგულებაში არსებული პროექტების ავტორებს ეკუთვნით (სავაჭრო ურთიერთობის განახლება ჰოლან-

---

[1] Сб. РИО, т. 70, გვ. 636.

დიასა და რუსეთს შორის, შვეციის გამოყენება მომრიგებელ-შუამავლად, რუსეთის დედოფლის გულის მოგება, მადრიდის სასახლის გამოყენება და სხვ.), პირადად დელაკრუა საჭიროდ თვლის პეტერბურგში მოგზაურის, ვაჭრის და სწავლულის სახით რუსეთის კარგი მცოდნე, გამოცდილი და დინჯი აგენტის გაგზავნას. მისი აზრით, ეს აგენტი პეტერბურგში დარწმუნდება ფრანგებისადმი რუსთა კეთილგანწყობილებაში. მხოლოდ ამის შემდეგ მიაჩნია მას საჭიროდ რაიმე სახის მოლაპარაკების დაწყება რუსეთთან რომელიმე სახელმწიფოს მეშვეობით [1].

„ზოგადი მოსაზრებები", ისევე როგორც დელაკრუას მიერ მასალად გამოყენებული პროექტები და მოსაზრებები, მემკვიდრეობით მიიღო საფრანგეთის საგარეო საქმეთა ახალმა მინისტრმა, ადრეული ბურჟუაზიული ეპოქის გამოჩენილმა დიპლომატმა ტალეირანმა (ოტენის ეპარქიის ყოფილმა ეპისკოპოსმა, შემდეგში თავადმა შარლ მორის ტალეირან-პერიგორმა) [2]. მან კიდევ უფრო ენერგიულად და მეტი უნარით, ვიდრე წინამორბედმა, განაგრძო აღებული კურსი და გააძლიერა ღონისძიებანი რუსეთთან საერთო ენის გამოსანახავად. სხვადასხვა ვარიანტებიდან და პროექტებიდან, რომლებიც რუსეთთან დაახლოების საკითხს ეხებოდა, მან უპირატესობა იმ პროექტს მიანიჭა, რომელიც რუსეთთან დაახლოების საქმეში დიდ როლს პრუსიის მთავრობის მომრიგებელ მისიას ანიჭებდა. ამ პროექტის შესატყვისად, როგორც უკვე აღნიშნული იყო, გადადგმული იყო პრაქტიკული ნაბიჯები. ტალეირანმა ახალი მითითება გაუგზავნა კაიარს და მოითხოვა მისგან მეტი გაბედულებით მოქმედება და პრუსიის მთავრობის დათანხმება შეთავაზებულ მისიაზე.

---

[1] Сб. РИО, т. 70, гз. 635—638.

[2] ადრეული ბურჟუაზიული ეპოქის ცნობილი დიპლომატის ტალეირანის შესახებ ვრცელი ლიტერატურა არსებობს. შრომის მიზანდასახულობა და ჩარჩოები საშუალებას არ გვაძლევს მოვიტანოთ ეს ლიტერატურა ანდა ვრცლად დავახასიათოთ ტალეირანის დიპლომატიური საქმიანობა, რომელიც უმთავრესად კონსულობის და იმპერიის პერიოდს ეკუთვნის. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ტალეირანის საქმიანობა ყველაზე ვრცლად გააშუქა აკად. ტარლემ თავის შრომაში: „Талейран", М.—Л., 1948, აი როგორ შეფასებას აძლევს აკად. ტარლე ტალეირანს:

„...18 июля 1797, получив официальную бумагу о своем назначении, князь Талейран совершенно опомнился и взял себя в руки. Перед служащими Министерства иностранных дел, перед посетителями, перед дипломатическим корпусом стоял... спокойный и чуть-чуть надменный

ჩვენს ხელთ არსებული მასალები ნათელჰყოფს საფრანგეთის დიპლომატიური წარმომადგენლის კაიარის დაუზარელ საქმიანობას პარიზიდან მიღებული დავალების შესასრულებლად. მან, პირველ ყოვლისა, ჰაუგვიცს გადასცა მიმართვა. ამ მიმართვით პრუსიას უნდა დაეკმაყოფილებინა დირექტორიის სურვილი, ეკისრა კეთილი სამსახურის მისია და ეცნობებინა თავისი პეტერბურგელი ელჩის მეშვეობით პეტერბურგის მთავრობისათვის საფრანგეთის მთავრობის განზრახვა აღედგინა რუსეთთან ომამდელი ურთიერთობა [1]. მანვე შეადგინა და გადასცა ჰაუგვიცს იმ ნოტის ტექსტი, რომელიც საფრანგეთის მთავრობის სახელით პეტერბურგის მთავრობისათვის უნდა გადაეგზავნათ. ჰაუგვიცმა აღუთქვა კაიარს, რომ პრუსიის მთავრობა იკისრებდა შეთავაზებულ მისიას და პეტერბურგის მთავრობას გადასცემდა საფრანგეთის მთავრობის ნოტას [2]. დასასრულ, კაიარმა ჯერ კიდევ ტალეირანის მინისტრობამდე სცადა უშუალო კავშირი გაება რუსეთის ბერლინელ წარმომადგენელ ს. კოლიჩევთან. მაგრამ ამ ცდიდან არაფერი გამოვიდა. კოლიჩევმა ახლოსაც კი არ გაიკარა საფრანგეთის ელჩი [3].

вельможа, бесстрастный государственный деятель, законный представитель победоносной великой державы, бьющей Европу, полномочный представитель великой французской революции... человек, спокойно и глубоко убежденный в своей непорочной чистоте и в том, что если какие-нибудь завистники и клевещут на него, то это не может осквернить его нравственную красоту". Е. В. Тарле. Талейран, М.—Л., 1948, გვ. 59. ხუთი დირექტორიდან სამი დირექტორი მას უწოდებდა მეკრთამეს, მეოთხე მას თვლიდა კურდად და მეკრთამედ, მეხუთე კი (რებელი) — უცხოეთის აგენტად, კურდად და მეკრთამედ. ბუასი დანგლა მას უწოდებდა უსინდისო, უსულგულო, უზნეო, ხიზღის გრძნობის გამომწვევ ადამიანს. იქვე, გვ. 55.

[1] „...rétablir la paix et les liaisons d'amitié qui existaient avant la guerre entre la France et la Russie..." G. Grosjean, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

[2] ნოტა დათარიღებულია 1797 წლის 25 თებერვლით (ე. ი. დელაკრუას მინისტრობის პერიოდში). იქვე, გვ. 32—33.

[3] ს. კოლიჩევმა, რომელიც ფრანგოფობ რუს არისტოკრატთა წრეს ეკუთვნოდა და საფრანგეთთან დაახლოების კურსის აშკარა მოწინააღმდეგე იყო, ფორმალურ საბაბად ის გამოიყენა, რომ დიპლომატიური პრაქტიკის ისტორიას არ ახსოვს იმ დიპლომატთა შორის ურთიერთობა, რომელთა მთავრობები ურთიერთშორის დიპლომატიურ ურთიერთობაში არ იმყოფებიან. კოლიჩევის ცხოვრებისა და დიპლომატიური საქმიანობის შესახებ ვრცლად (თუმცა სუბიექტური ელფერით და მისდამი სიმპათიით გაჟღენთილი) იხილეთ: „Боярский род Колычевых". Состав. Б. М. Л. Б. К. (Боде-Колычев), М.—Л., 1886.

პრუსიის მთავრობამ მართლაც შეასრულა დავალება. მან აღნიშნული ნოტა გადაუგზავნა თავის დესპანს რუსეთში ბრიულს, და დაავალა მას გადაეცა იგი საგარეო საქმეთა კოლეგიისათვის. ბრიულმა იგი პირადად ოსტერმანს გადასცა[1].

„ჩვენი საქმეები პეტერბურგში არ მიდის ისე, როგორც სასურველია, — წერდა კაიარი ბერლინიდან თავის მთავრობას, — თუმცა არც უიმედოა. არ შეიძლება ითქვას, რომ ბერლინის სამეფო კარი არ გვიწევდეს კარგ სამსახურს რუსეთის იმპერატორთან". კაიარის სიტყვით ბერლინის მთავრობამ ენერგია არ დაიშურა იმისათვის, რომ საფრანგეთის მთავრობის დავალება შეესრულებინა[2].

მიუხედავად ერთგვარი პესიმიზმისა, რომელიც კაიარის მოტანილ წერილში გამოსჭვივის, 1797 წლის შუალედისათვის პარიზის მთავრობის ნაბიჯები და პრუსიის მთავრობის კეთილი სამსახურის მისია მაინც თავისას აკეთებს, ყინული დნება და ისახება ნაწილობრივი შემობრუნება რუსეთის ცარიზმის პოლიტიკაში საფრანგეთის მიმართ. საფრანგეთის მთავრობამ პრუსიის მეშვეობით მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ რუსეთის იმპერატორი გამოეხმაურა ბერლინის მთავრობის წარდგენას და გულისხმიერად მოეკიდა წინადადებას ევროპის დამშვიდების შესახებ.

1797 წლის 3 ივნისს პრუსიის მეფემ ფრიდრიხ-ვილჰელმ II-მ (პირმონტიდან, სადაც მაშინ წყლებზე სამკურნალოდ იყო ჩასული) თავისი პარიზელი ელჩის სანდოზის მეშვეობით აცნობა დირექტორიის მთავრობას რუსეთის მთავრობის პასუხი კაიარის ნოტაზე. სათანადო განცხადება პავლე I-ის სახელით პეტერბურგში გააკეთა ვიცე-კანცლერმა ა. ბეზბოროდკომ, რომელსაც ამის თაობაზე საუბარი ჰქონდა ბერლინის წარმომადგენელ ბრიულთან.

პრუსიის მეფის ამ ახსნა-განმარტებით ნოტაში აღნიშნული იყო, რომ რუსეთის იმპერატორი მზად არის მოუსმინოს იმ წინადადებებს, რომლებიც კაიარს დავალებული აქვს გადასცეს მას.

---

[1] А. Трачевский, დასახ. წერილი, დასახ. ჟურნ., გვ. 533; ვალიშევსკის აზრით, პრუსიის მთავრობის ზემოქმედების შემდეგ, პეტერბურგში ამ დროისათვის უკვე გადაიდგა საფრანგეთთან დაპიმული ურთიერთობის შემარბილებელი ნაბიჯები. კერძოდ მას მხედველობაში აქვს ფრანგულ ღვინოზე და სხვა ფრანგულ საქონელზე რუსეთში დაწესებული აკრძალვის გაუქმება. იხ. К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 305.

[2] А. Трачевский, დასახ. წერილი, დასახ. ჟურნ., გვ. 534.

ოგი სიამოვნებით დათანხმდა ყველაფერზე, რასაც შეუძლია აღადგინოს კეთილსასურველი ურთიერთობა რუსეთსა და საფრანგეთს შორის... მას სურს ხელი შეუწყოს მეომარ მხარეთა დაახლოებას და მშვიდობიანობის აღდგენას. დასასრულ, იქ აღნიშნული იყო, რომ რუსეთის იმპერატორი მზადაა პრუსიის მეფესთან ერთად არბიტრის როლში გამოვიდეს („en qualité médiateur"), თუ დაინტერესებული მხარეები გამოთქვამენ სათანადო სურვილს და მიიწვევენ მათ [1].

პრუსიის მეფე არ დაკმაყოფილდა აღნიშნული ნაბიჯით. მან თავისი პეტერბურგელი წარმომადგენლის მეშვეობით რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიისაგან მიიღო უფრო მკაფიო და ვრცელი პასუხი საფრანგეთის წინადადებებზე, ისიც წერილობითი სახით. ბრიუსმა შეასრულა ეს დავალება. მან ა. ბეზბოროდკოსაგან მიიღო ზემოაღნიშნული დადასტურება და განმარტება „სიტყვიერი ნოტის" სახით („Note verbale"), რომელიც წერილობითი სახით გადაეცა დირექტორიის მთავრობას 1797 წლის 21 აგვისტოს (le 4 fructidor an V.).

ამ ნოტაშიც ხაზგასმული იყო, რომ რუსეთი არ თვლის თავს საფრანგეთთან ომის მდგომარეობაში, რომ იმპერატორს ზომიერი და სამშვიდობო მისწრაფებები ამოქმედებს და მზადაა ხელი შეუწყოს მოკლე დროში ევროპის დამშვიდებას, თუ დაინტერესებული სახელმწიფოები მიიღებენ მის მომრიგებლურ მისიას. დასასრულ, იქ აღნიშნული იყო, რომ რუსეთის იმპერატორი სიამოვნებით უჭერს მხარს საფრანგეთის მთავრობის სურვილებს [2].

რუსეთის როგორც პირველ, ისე მეორე ვერბალურ ნოტაში, რომელიც პრუსიის მთავრობის მეშვეობით გადაეცა დირექტორიის მთავრობას პარიზში, გამოთქმული იყო სურვილი აღდგენილიყო რუსეთსა და საფრანგეთს შორის ომამდელი ურთიერთობა. რუსეთის მთავრობა, ამასთან ერთად, თანხმობას აცხადებდა ეთანამშრომლა დაინტერესებულ სახელმწიფოებთან ევროპის დამშვიდების საქმეში. მაგრამ აღნიშნულ მზადყოფნას პავლე I-ის მთავრობა უკავშირებდა ერთ მკაფიო მოთხოვნას: მინიჭებოდა მას მომრიგებელ-შუამავლის როლი მეომარ სახელმწიფოთა ურთიერთობაში. კონკრეტულად ეს ნიშნავდა გერმანიის ფეოდალური იმპერიის ბედის გადაწყვეტაში რუსეთისათვის არბიტრის როლის მინიჭებას.

---

[1] Сб. РИО, т. 70, გვ. 639, А. Трачевский, დასახ. წერილი, გვ. 534; К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 306.

[2] Сб. РИО, т. 70, გვ. 639—640.

ამგვარად, რუსეთის ცარიზმის დიპლომატიას განზრახვა ჰქონდა გამოეყენებინა საფრანგეთის რესპუბლიკის ინიციატივა — აღედგინა ომამდელი ურთიერთობა რუსეთთან და მით ჩამოეშორებინა იგი წინააღმდეგობის გზიდან, — თავისი მიზნისათვის: გაეფართოებინა საკუთარი პოზიციები ევროპაში, გამხდარიყო ევროპის არბიტრი, ჰქონოდა გადამწყვეტი გავლენა („ინფლუანსი") გერმანიის საქმეებში. რასაკვირველია, ეს არ იყო ის, რასაც ეძიებდა დირექტორიის ხელისუფლება. საფრანგეთის რესპუბლიკის და რუსეთის ცარიზმის დიპლომატიის ნაბიჯებს შორის ამ მხრივ აშკარა დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი. რუსეთის დიპლომატიის შემხვედრი ნაბიჯის მიზანი ნათელი იყო: თუ მოსახერხებელი იქნებოდა ომის გარეშე, საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ იარაღის აღმართვის გარეშე, ევროპის დამშვიდების ნიღბით, ხელი შეეშალა საფრანგეთის აგრესიის წარმატებისათვის, ჩაეშალა მისი აგრესიული გეგმები გერმანიის იმპერიაში შემავალ ფეოდალურ სახელმწიფოთა და სამთავროთა მიმართ.

ბუნებრივია, რომ ამ ნიადაგზე მეფის რუსეთსა და საფრანგეთის რესპუბლიკას შორის სერიოზული დიპლომატიური ბრძოლა უნდა გაჩაღებულიყო. საფრანგეთის დიპლომატიის „სამშვიდობო" ინიციატივის პერსპექტივა ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, მიიღებდა საფრანგეთის დირექტორია რუსეთის იმპერატორის ფორმულას და მიიღებდა მის მომრიგებლობას გერმანიის იმპერიის ამბების მოწესრიგებაში, თუ წინააღმდეგობას გაუწევდა ნას და ამრიგად ჩაშლიდა რუსეთის დიპლომატიის ზრახვებს.

პავლე I-ის მთავრობა არ დაკმაყოფილდა ა. ბეზბოროდკოს პასუხით და ვერბალური ნოტით. მან თავისი ჩანაფიქრის სარეალიზაციოდ სხვა ღონისძიებასაც მიმართა. კოლიჩევს — რუსეთის დიპლომატს, რომელიც აკრედიტებული იყო პრუსიის მთავრობასთან,—მითითება მიეცა გვერდი არ აექცია კაიარისათვის, მოეწყო მასთან არაოფიციალური შეხვედრა (თუმცა პირადად არ გამოეჩინა საამისო ინიციატივა) და გულისყურით მოჰკიდებოდა მის წინადადებებს. კოლიჩევს კაიარისათვის სიტყვიერად უნდა გადაეცა ის, რაც ბეზბოროდკოს ვერბალურ ნოტაში იყო ფიქსირებული, რათა მას თავის მხრივ ყოველივე ეს დირექტორიისათვის ეცნობებინა[1].

---

[1] 1797 წლის 19 ივნისის რესკრიპტი კოლიჩევისადმი. იხ. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 35.

საფრანგეთსა და რუსეთს შორის მოლაპარაკების გზაზე ყინული თითქოს გადნა, არსებული ფორმალური დაბრკოლებები დაძლეული იქნა. პრუსიის კეთილი სამსახურის მეშვეობით შესაძლებელი გახდა მათ შორის არაოფიციალური მოლაპარაკების გამართვა. ეს, რასაკვირველია, წარმოადგენდა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში დასახული მობრუნების გარეგნულ გამოხატულებას. თვით ამ შემობრუნების შენდგომი პერსპექტივები და მისი წარმატებით ფინალამდე მიყვანა ბევრით თვით მოლაპარაკების ხასიათზე იყო დამოკიდებული. თუ დაინტერესებული სახელმწიფოები გამოიჩენდნენ მზადყოფნას წასულიყვნენ დათმობებზე და ამ გზით ხელი შეეწყოთ სადავო საკითხების მოგვარებისათვის, მაშინ შესაძლებელი იყო Modus vivendi-ს ნიადაგზე მათ შორის შეთანხმების მიღწევა. თუ რუსეთი და საფრანგეთი ასეთი გზით არ წავიდოდნენ, თავიანთ პოზიციას არ გადასინჯავდნენ, მაშინ მოლაპარაკება ჩიხში მოექცეოდა, ხოლო მობრუნების სიმპტომებს ისევ დაჭიმული ურთიერთობა შეცვლიდა.

პეტერბურგიდან აღნიშნული რესკრიპტის მიღების შემდეგ კოლიჩევმა ხელი აიღო კაიარისადმი ძველ დამოკიდებულებაზე და ბერლინის მთავრობასაც კი აცნობა, რომ წინააღმდეგი არ წავიდოდა საფრანგეთის ელჩთან შეხვედრაზე. ბერლინის მთავრობამ, რომელიც უკვე ეწეოდა კეთილი სამსახურის მისიას, მოახერხა რუსეთის და საფრანგეთის ელჩთა შეხვედრა. მათი პირველი არაოფიციალური შეხვედრა მოაწყო პრუსიის მინისტრმა ფინკენშტაინმა, რომელმაც ორივე ელჩი მიიწვია თავისთან სადილზე (1797 წ. ივნისის ბოლო რიცხვებში). სადილის შემდეგ კოლიჩევი და კაიარი ცალ-ცალკე გაემართნენ ქალაქის პარკისაკენ (Thiergarten-ი), რათა იქ მესამე პირის გარეშე პირისპირ შეხვედროდენ და მიღებული მითითებების შესახებ თავიანთი მოსაზრებები გაეზიარებინათ ერთმანეთისათვის [1].

კაიარის და კოლიჩევის პირველ არაოფიციალურ შეხვედრას რაიმე კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია. მან გამოავლინა საფრანგეთის და რუსეთის თვალსაზრისის სხვადასხვაობა როგორც ევროპაში მშვიდობის აღდგენის, ისე მათ შორის ომამდელი ურთიერთობის განახლების საკითხებში. კოლიჩევმა თავისი მთავრობის დავალებით პირადად აცნობა კაიარს, რომ რუსეთი თანახმაა ყველასთან მშვიდობით იცხოვროს, სურს დაუახლოვდეს

---

[1] К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 307.

საფრანგეთს, თანაც შეასრულოს მომრიგებელ-შუამავლის როლი მეომარ სახელმწიფოთა შორის და თავისი „კეთილი სამსახურით“ („ses bons offices“) ხელი შეუწყოს მშვიდობის დამყარებას. ამის საპასუხოდ კაიარმა კოლიჩევს განუმარტა საფრანგეთის მთავრობის პოზიცია, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა: საფრანგეთი მხოლოდ მაშინ დათანხმდება რუსეთის მომრიგებლობაზე, თუ ეს უკანასკნელი ფორმალურად ხელს მოაწერს საზავო ხელშეკრულებას საფრანგეთთან, ხელს აიღებს ავსტრიისადმი დახმარებაზე და ამ გზით ჭეშმარიტ ნეიტრალიტეტს დაიცავს საფრანგეთ-ავსტრიის მიმართ. ამ პირობების გარეშე კი კაიარის სიტყვებში ნახსენებიც არ იყო რუსეთის მხრივ არბიტრობის შესაძლებლობა [1].

კოლიჩევისა და კაიარის აღნიშნული შეხვედრა პირველი და უკანასკნელი შეხვედრა იყო. პავლე I-მა კოლიჩევი ბერლინში მუშაობისაგან გაათავისუფლა და სხვაგან გადაიყვანა (ჰოლანდიაში დანიშნა ელჩად, მაგრამ ვინაიდან ჰოლანდია ფრანგების მიერ იყო დაპყრობილი, მის გათავისუფლებამდე კოლიჩევს პეტერბურგში ცხოვრების უფლება მიეცა). მის ნაცვლად კი ბერლინში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგით დაინიშნა გრაფი ნიკიტა პეტრეს ძე პანინი. პანინის ბერლინში ელჩად დანიშვნა, რომელსაც გამოცდილი და ნიჭიერი დიპლომატის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, მეტყველებდა ბერლინის, როგორც დიპლომატიური საქმიანობის დიდმნიშვნელოვანი ცენტრის, როლზე. პანინის წინაშე პეტერბურგის სამეფო კარმა კონკრეტულად ორი ამოცანა დასვა: 1) განეგრძო მოლაპარაკება საფრანგეთის წარმომადგენელთან რუსეთის დიპლომატიის ზემოაღნიშნული თვალსაზრისის საფუძველზე; 2) გაეძლიერებინა ზემოქმედება პრუსიაზე და მიეღწია იმისათვის, რომ მასთან დადებულიყო მეგობრობის ხელშეკრულება.

გრაფი პანინი მხოლოდ 1797 წლის 10/21 აგვისტოს ჩავიდა ბერლინში. ჩაიბარა რა საელჩოს საქმეები, მან ენერგიულად მოჰკიდა ხელი დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

პანინი მეფის მთავრობამ აღჭურვა ვრცელი ინსტრუქციით (1797 წლის 5 ივლისის თარიღით). მასში განვითარებული იყო ის პრინციპები, რომელთა საფუძველზედაც რუსეთის მთავრობას შესაძლებლად მიაჩნდა საფრანგეთთან მოლაპარაკების წარმოება

---

[1] კოლიჩევის 1797 წლის 11/22 ივლისის რელაცია პავლე პირველისადმი. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 35—36; А. Трачевский, დასახ. წერილი, გვ. 536.

ხელშეკრულების დადების და ევროპული ზავის განხორციელების თაობაზე.

აღნიშნავდა რა საფრანგეთის ინიციატივას რუსეთთან დაახლოების საქმეში, რუსეთის იმპერატორი პავლე I ამზად იყო მიეღო მხედველობაში ეს ინიციატივა და დაედო საფრანგეთთან სამშვიდობო „აქტი". მაგრამ ამ ორ ქვეყანას შორის ყოფილი „გულთბილი" ურთიერთობის აღსადგენად რუსეთის იმპერატორი ისეთ მოთხოვნებს აყენებდა, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთის რესპუბლიკის ზრახვებს. მეფის რუსეთის მთავრობა წინააღმდეგი იყო აღდგენილიყო საფრანგეთ-რუსეთს შორის რევოლუციამდე არსებული სავაჭრო-ეკონომიური და დიპლომატიური ურთიერთობა. ნორმალურ ურთიერთობას, რომელიც ამ სახელმწიფოებს შორის უნდა დამყარებულიყო ინსტრუქციის შესაბამისად, შეზღუდული ხასიათი უნდა ჰქონოდა. შეზღუდული ვაჭრობა, რუსეთში ფუფუნების საგნების შემოზიდვის შეზღუდვით და კონსულებისა და აგენტების გაცვლა, — აი როგორ წარმოედგინა პავლეს ეს ურთიერთობა. დიპლომატიური მისიების გაცვლას რუსეთის იმპერატორი ითვალისწინებდა უფრო შორეული დროისათვის, თანაც მას უკავშირებდა საფრანგეთის ხელისუფლების განმტკიცებას და მის „დაჭკვიანებას".

ინსტრუქცია ნ. პანინის ყუოადღებას ამახვილებდა შემდეგი სამი პუნქტისადმი: 1) პანინს კატეგორიულად ევალებოდა დაუყოვნებლივ უკუეგდო საფრანგეთის მთავრობის ყოველგვარი ცდა დაესვა პოლონეთის საკითხი და მოეთხოვა პოლონეთის სახელმწიფოს აღდგენა; 2) მას უნდა უკუეგდო საფრანგეთის მოთხოვნა ფრანგ ემიგრანტებს არ მისცემოდათ რუსეთში თავშესაფარის უფლება და ისინი გაძევებულიყვნენ რუსეთიდან. ფრანგ ემიგრანტთა მფარველობისა და მათთვის „სტუმართმოყვარე" თავშესაფრის მიცემის უფლებას რუსეთის იმპერატორი მომავალშიაც იტოვებდა; 3) დასასრულ, პანინს არ უნდა გამოეჩინა განსაკუთრებული ენერგიულობა და დაინტერესება მეომარ სახელმწიფოთა შერიგების საქმეში და აღნიშნულის ინიციატივა საფრანგეთის წარმომადგენლისათვის უნდა დაეთმო. პანინს კატეგორიული წინადადება ეძლეოდა დაუყოვნებლივ შეეწყვიტა მოლაპარაკება, როგორც კი საფრანგეთის წარმომადგენელი თავხედურ და გადაჭარბებულ პრეტენზიებს წამოაყენებდა [1].

---

[1] „Инструкция по французским делам, СПБ., 5-го июля 1797 года". ЦГАДА, фонд Паниных, д. 329, лл. 3—8.

არც კაიარს და არც ტალეირანს სასიამოვნოდ არ დარჩენიათ ის გარემოება, რომ რუსეთი იმდენად ძველი ურთიერთობის აღდგენის სურვილს კი არ აცხადებდა, რამდენადაც ზზად იყო „ხელი შეეწყო“ ევროპის დამშვიდების საქმისათვის, მოერიგებინა ნეიმარი მხარეები მომრიგებელი ფუნქციის თავის თავზე აღების გზით. მათთვის ნათელი იყო, თუ რა მიზანს ისახავდა რუსეთის დიპლომატიის ეს მოთხოვნა და რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა მას ნისი რეალიზაციის შემთხვევაში. სახელდობრ: საფრანგეთის გავლენის შესუსტება პრუსიაზე და მთელ გერმანიის იმპერიაზე, გერმანიის შინაგან საქმეებში ჩარევაზე ხელის აღება და, შესატყვისად, რუსეთის გავლენის გაძლიერება და მის მიერ ამ ქვეყნის მიმართ არბიტრის როლის მოპოვება.

საფრანგეთის რესპუბლიკის დიპლომატიას, რომელიც ჩვენს მიერ უკვე აღნიშნული მოსაზრებების გამო დაინტერესებული იყო რუსეთთან ომამდელი ურთიერთობის აღდგენით და, ამდენად, ფორმალურად მხარს უჭერდა ევროპის დამშვიდების იდეას, ამავე დროს არ სურდა ძვირად ყოფილიყო ნაყიდი აღნიშნული სამშვიდობო ინიციატივა. მით უფრო მას ფიქრადაც კი არ მოსდიოდა გერმანიისა და მთელი ცენტრალური ევროპის ბედის გადაწყვეტის ხელმძღვანელობა რუსეთისათვის დაეთმო. ამაზე ხომ თვითონ საფრანგეთის ბურჟუაზია ოცნებობდა.

კაიარმა მაშინვე განაახლა დაკისრებული მისიის შესრულება როგორც კი რუსეთის ახალი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩავიდა ბერლინში. საფრანგეთის ელჩს, საფრანგეთის გამარჯვებული ბურჟუაზიის წარმომადგენელს, როგორც მოსალოდნელი იყო, არ მოეწონა პანინი, რომელიც რუსეთის ფეოდალური არისტოკრატიის ზედაფენას ეკუთვნოდა. კაიარის სიტყვით პანინი, ეს ბრწყინვალე, სრულყოფილი რუსი არისტოკრატი ყველაზე ნაკლებ იყო გამოსადეგი და განწყობილი საფრანგეთთან მოლაპარაკების საწარმოებლად[1]. ჯერ კიდევ პანინთან შეხვედრამდე კაიარმა კიდევ ერთი წერილი გაუგზავნა ტალეირანს, რომლითაც მის ყურადღებას მიაპყრობდა იმ საშიშროებაზე, რომელიც მოჰყვებოდა გერმანიის საქმეებში რუსეთისათვის არბიტრის როლის მიკუთვნებას და რამდენად მიუღებელი იყო იგი საფრანგეთისათვის. ამიტომაც იგი წინადადებას იძლეოდა მართლაც გაგრძელებულიყო ბერლინში წარმოებული მოლაპარაკება. მაგრამ რბილ

---

[1] G. Grosjean, დასახ. ნაშრ., გვ. 49—50.

და ფრთხილ ფორმებში წინააღმდეგობა გასწეოდა რუსეთის დიპ-ლომატიის ამ მოთხოვნას [1].

დოკუმენტებიდან ცხადი ხდება, რომ ტალეირანმა სავსებით გაიზიარა კაიარის შეხედულება რუსეთის მიერ გერმანიის იმპერიის ბედის გადაწყვეტაში არბიტრის როლის მიჩემების შესახებ და გამოხატა იგი როგორც კაიარისადმი საპასუხო წერილში, ისე დირექტორიისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში.

თავის მოხსენებაში ტალეირანი წერდა, რომ, როგორც თვით კაიარი აღნიშნავდა, რუსეთს უფლება აქვს ჩაერიოს გერმანიის იმპერიის შინაგან საქმეებში ტეშენის ზავის გარანტიის საბაბით. მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე შეეხებოდა ბავარიას, — მოხსენებით ბარათში ტალეირანი რჩევას აძლევდა დირექტორიას. — უნდა გაგზავნოდა კაიარს რწმუნება რუსეთთან ხელშეკრულების დასადებად, თანაც პრუსიის მთავრობისათვის მადლობა უნდა გამოეცხადებინათ გაწეული სამსახურისათვის. რაც შეეხება რუსეთის მოთხოვნას მისთვის სამედიატორო ფუნქციის მინიჭების შესახებ, საფრანგეთის წარმომადგენელს იგი ზრდილობიან ფორმებში უნდა უარეყო [2].

აღმასრულებელმა დირექტორიამ მოიწონა ტალეირანის რჩევა, მის მიერვე შედგენილი სამშვიდობო ხელშეკრულების პროექტი და მასვე დაავალა გადაეგზავნა იგი კაიარისათვის მოლაპარაკების შემდგომი მსვლელობის მისაცემად.

კაიარის და პანინის შეხვედრა მოხდა ისევ პრუსიის მთავრობის და მისი მინისტრის ჰაუგვიცის მეშვეობით. ეს ორი ელჩი არაოფიციალური საუბრისათვის შეხვდნენ ერთმანეთს ჯერ პანინის ბინაზე, შემდეგ ბერლინის პარკში [3]. პირველი შეხვედრისას მათ ერთიმეორეს გააცნეს თავიანთი რწმუნების სიგელები და თან აცნობეს თავიანთი მთავრობების გადაწყვეტილება—გაგრძელებულიყო დაწყებული მოლაპარაკება და სასურველ შედეგებამდე ყოფილიყო იგი მიყვანილი.

---

[1] Сб. РИО, т. 70, გვ. VIII; А. Трачевский, დასახ. წერილი, გვ. 538.

[2] იხ. Сб. РИО, т. 70, გვ. 640—641; А. Трачевский, დასახ. წერილი, გვ. 538—539.

[3] პანინი თავის რელაციაში პავლესადმი, რომელიც დათარიღებულია 1797 წლის 25 აგვისტოთი (5 სექტემბრით), წერდა, რომ ამ შეხვედრის ინიციატივა საფრანგეთის წარმომადგენელს ეკუთვნოდა. ამავე ცნობით მათ ამ შეხვედრის შესახებ მოულაპარაკნიათ პრინც ჰენრიხის ცოლის წვეულებაზე იხ. „Материалы...", ტ. 2, გვ. 51—52.

პანინ-კაიარის შეხვედრისას, ისე როგორც კოლოჩევ-კაიარის შეხვედრის დროს, აშკარად გამოვლინდა მოლაპარაკების გაგრძელების სიძნელე. ამის მიზეზი, სხვა ფაქტორებთან ერთად, რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი, იყო პოზიციათა სხვადასხვაობა, რაც ფიქსირებული იყო რუსეთისა და საფრანგეთის მთავრობების მიერ შედგენილ ხელშეკრულების პროექტებში.

საფრანგეთის პროექტი, შედგენილი ტალეირანის ზემოთ აღნიშნული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, გამორიცხავდა რუსეთის მხრივ ყოველგვარ შესაძლებლობას შეესრულებინა არბიტრის როლი მეომარ სახელმწიფოთა შორის და მოეხვეჭი გადამწყვეტი გავლენა გერმანიის საქმეებზე. ეს პროექტი, რომელიც სულ 9 მუხლისაგან შედგება, ითვალისწინებდა: სამშვიდობო და მეგობრული ურთიერთობის დამყარებას საფრანგეთის რესპუბლიკასა და რუსეთს შორის (მუხლი I); მტრულ მოქმედებათა შეწყვეტას ორივე სახელმწიფოს შორის და მომავალში ყოველგვარ ისეთ აქტებზე ხელის აღებას, რაც ურთიერთისადმი მტრული ხასიათის იქნებოდა (მუხლი II); ორივე სახელმწიფოს ნავსადგურების ხელახლა გახსნას სავაჭრო გემებისათვის და ყველა სახის საქონლის დაუბრკოლებლივი იმპორტისა და ექსპორტის შესაძლებლობის აღდგენას (მუხლი III); ორივე ხელმომწერი სახელმწიფოს წარმომადგენელთათვის თავისუფალი მოგზაურობის უფლებას მეორე სახელმწიფოს სამფლობელოებში, სადაც ისინი ისარგებლებდნენ მთავრობის მფარველობით იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ ჩაერეოდნენ სახელმწიფოს შინაგან საქმეებში და არ დაარღვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგს (მუხლი IV); ძველი კავშირ-ურთიერთობის აღდგენისთანავე ხელმომწერ სახელმწიფოებს შორის ახალი სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმებას, რომელიც ურთიერთ ხელსაყრელობის საფუძველზე იქნებოდა აგებული (მუხლი V)[1].

ხელშეკრულების რუსული პროექტი, რომელიც პანინისათვის პეტერბურგიდან გაგზავნილ ზემოაღნიშნულ ინსტრუქციას ემყარებოდა, შედგებოდა შესავლისა და 9 მუხლისაგან. იგი სულ სხვა პრინციპზე იყო აგებული, ვიდრე ხელშეკრულების ფრანგული პროექტი. მასში რუსეთსა და საფრანგეთს შორის ომამდელი კავშირ-ურთიერთობის აღდგენისა და სავაჭრო ურთი-

---

[1] G. Grosjean, დასახ. ნაშრ., გვ. 61—63. ხელშეკრულების პროექტს ხელს აწერს კაიარი, იგი დათარიღებულია 1797 წლის 9 სექტემბრით.

ერთობის განახლების საკითხები ბუნდოვნად იყო მოცემული. იქ, აგრეთვე, არაფერი იყო ნათქვამი ხელმომწერ სახელმწიფოთა მოქალაქეების ერთი სახელმწიფოდან მეორეში თავისუფალი მიმოსვლისა და საქმიანობის შესახებ. ამავე დროს მასში განსაკუთრებით ხაზგასმული იყო პოლიტიკური რწმენისთვის ერთ-ერთ სახელმწიფოს უშიშროებაზე ხელყოფისათვის სათანადო პირთა მკაცრად დასჯის აუცილებლობისა და სათანადო მთავრობისაგან მათი მფარველობის და უკან გამოთხოვის დაუშვებლობის შესახებ [1].

აღსანიშნავია, რომ კანცლერი ა. ბეზბოროდკო თავის წერილში ს. ვორონცოვისადმი (1797 წლის 25 ნოემბრის თარიღით), აღნიშნავდა რა ბერლინში საფრანგეთის ინიციატივით საფრანგეთისა და რუსეთის ბერლინელ ელჩებს შორის დაწყებული არაოფიციალური მოლაპარაკების ფაქტს, დასძენდა: მოლაპარაკებისას ჩვენს განზრახვაში არ შედიოდა საფრანგეთთან რევოლუციამდელი სავაჭრო ტრაქტატის აღდგენა, მით უფრო რაიმე სახის პოლიტიკური დაახლოება საფრანგეთთან [2].

რუსეთისა და საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩებმა ხელშეკრულებათა განხილული პროექტები თავიანთ მთავრობებს გადაუგზავნეს გასაცნობად და ახალი მითითებების მისაღებად [3].

---

[1] ხელშეკრულების რუსული პროექტის ის მუხლი, რომელიც პოლიტიკური რწმენისათვის რეპრესიის საკითხს ეხება, სავსებით შეესაბამება ხელშეკრულების გვიანდელი რუსული პროექტის (ტალეირან-კოლიჩევის მოლაპარაკების დროს 1801 წლის დასაწყისში) მე-3 მუხლს (Сб. РИО, т. 70, № 25, გვ. 46—47), რომელიც აგრეთვე ითვალისწინებდა სასტიკ რეპრესიებს ერთი სახელმწიფოს ქვეშევრდომის მეორე სახელმწიფოს შინაგან საქმეებში ჩარევის ცდისათვის, თავისი პოლიტიკური მრწამსის დაცვისა და გავრცელების ცდისათვის (ხელშეკრულების რუსული პროექტის მთლიანი ტექსტი იხილეთ ЦГАДА, ф. Панины, дело 329, лл. 8—11). ფრანგი ისტორიკოსი სორელი და რუსი ისტორიკოსი ვალიშევსკი, რომლებიც აღნიშნავენ მომავალი ხელშეკრულების რუსულ და ფრანგულ პროექტთა შორის არსებულ განსხვავებას, ცდილობენ ხაზი გაუსვან ამ განსხვავების კონკრეტულ მაჩვენებლებს, მაგრამ ეს მათ სავსებით არ გამოუდით. ამის მიზეზია მათი მსჯელობის ფორმალისტური ხასიათი. А. Сорель, დასახ. ნაშრ., ტ. 5, გვ. 178—179; К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 311—312.

[2] ЦГАДА, ф. Панины, д. 269, л. 1.

[3] თავის ერთ-ერთ რელაციაში პავლე პირველისადმი (1797 წლის 31 აგვ./11 სექტ. თარიღით) ნ. პანინი, აცნობებს რა რუსეთის იმპერატორს ბერლინში წარმოებული მოლაპარაკების დეტალებს, ავლენს თავის ანტიპათიას ამ მოლა-

პეტერბურგში, როგორც მოსალოდნელი იყო, მტრულად შეხვდნენ ხელშეკრულების ფრანგულ პროექტს. პავლე I-ის მთავრობას არ სურდა შეებოჭა თავისი თავი ისეთი ხელშეკრულებით, რომელიც არ მიანიჭებდა მას უპირატეს როლს გერმანიის საქმეების გადაწყვეტაში, წაართმევდა ფრანგი ემიგრანტების მფარველობის უფლებას, თანაც აიძულებდა მას შეღავათიანი სავაჭრო პირობები მიეცა საფრანგეთისათვის. ჯერ კიდევ პავლე I-ის 1797 წლის 5 ივლისის რესკრიპტით პანინს კატეგორიული მითითება ეძლეოდა მოლაპარაკების საგნად არ გაეხადა ფრანგ ემიგრანტთათვის რუსეთში თავშესაფარის მიცემის საკითხი. იცავდა რა რუსეთის მრეწველობისა და რუს ვაჭართა ინტერესებს, იგივე რესკრიპტი ხაზს უსვამდა რუსეთის კანონიერ უფლებას არ დაეშვა ვაჭრობის სრული თავისუფლება და საფრანგეთთან ურთიერთობის აღდგენის შემთხვევაშიც კი შეეზღუდა ზოგიერთი მისი საქონლის (კერძოდ ფუფუნების საგნების) შეზიდვა რუსეთში. 1797 წლის 5—6 და 14 სექტემბრის რესკრიპტები იმეორებდნენ და ადასტურებდნენ ყოველივე ზემოთ აღნიშნულს [1].

ასეთივე ბედი ეწია ხელშეკრულების პანინისეულ პროექტსაც პარიზში.

კაიარისადმი გაგზავნილ მორიგი ვრცელი ინსტრუქციით ტალეირანი შეუძლებლად მიიჩნევდა ხელშეკრულების რუსული პროექტის მიღებას. ინსტრუქციაში მიუღებლად იყო მიჩნეული ხელშეკრულების პროექტის თვით შესავალი, სადაც „რესპუბლიკის“ ნაცვლად ნახმარი იყო სიტყვა „დირექტორია“. ასევე მიუღებლად იყო მიჩნეული მუხლი ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ, რომელიც არსებითად „არაფრის მთქმელი არ იყო“. მაგრამ ინსტრუქციაში განსაკუთრებით დაგმობილი იყო ხელშეკრულების პროექტის ის მუხლი, რომელიც პოლიტიკური რწმენისა და ხელმომწერ სახელმწიფოების უშიშროებაზე ხელყოფისათვის სასტიკ რეპრესიულ ზომებს ითვალისწინებდა. დირექტორიას მიაჩნდა, რომ

პარაკებისადმი, ზიზღს საფრანგეთის რესპუბლიკის მმართველობისადმი და პესიმისტურად აფასებს მიმდინარე მოლაპარაკების შედეგებს. ასეთი დასკვნა მას გამოჰყავს რუსეთის და საფრანგეთის თვალთახედვათა სრული დაპირისპირების აღიარებიდან. იხ. „Материалы...“, ტ. 2, ნაწ. II, გვ. 59—67.

[1] „Материалы...“, ტ. 2, ნაწ. II, გვ. 74—76; Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 38—39 (მე-27 და 28 შენიშვნები). აღნიშნულ რესკრიპტებში, კერძოდ 5 და 6 სექტემბრის რესკრიპტებში რუსეთის დიპლომატია ისევე დაჟინებით მოითხოვდა მისთვის გერმანიის ბედის გადაწყვეტაში უპირატესი როლის მიკუთვნებას.

ეს მუხლი კატეგორიული მოთხოვნის სახით არის ფორმულირებული. მას არ სურდა ხელშეკრულებაში ყოფილიყო ისეთი წინადადება და პირობა, რომელსაც ჩვეულებრივ დამარცხებულ მტერს უკარნახებენ. დირექტორიას არ სურდა ისეთი ვალდებულებით შეებოჭა თავი, რომელიც მას ბუნებრივი და საერთაშორისო უფლების დარღვევად მიაჩნდა და რომელიც „თვითნება და კაპრიზიან მთავრობას საშუალებას მისცემდა სრულიად უბრალო საბაბით ეწარმოებინა რუსეთში მცხოვრებ ფრანგთა დევნა“ [1]. არჩევდა რა რუსეთის პროექტს მუხლობრივ, ტალეირანის ინსტრუქცია წინადადებას აძლევდა კაიარს უარეყო იგი როგორც საფრანგეთისათვის მიუღებელი და დაეცვა საფრანგეთის პროექტი. ინსტრუქციას თან დართული ჰქონდა ხელშეკრულების ფრანგული პროექტის ახალი ვარიანტი, რომელიც 8 მუხლისაგან შედგებოდა [2].

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი და საფრანგეთი დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიზნებს ისახავდნენ, რამაც თავისი გამოხატულება ნომავალი ხელშეკრულების პროექტთა სხვადასხვაობაში ჰპოვა, ბერლინის მოლაპარაკება ფორმალურად მაინც გრძელდებოდა. კაიარი და პანინი დროგამოშვებით ისევ ხვდებოდნენ ერთმანეთს და ახალი ინსტრუქციების მოლოდინში უნაყოფო საუბრებით ირთობდნენ თავს.

ამ მოლაპარაკებათა პროცესში კაიარმა ინსტრუქციასთან ერთად პარიზიდან მიიღო ხელშეკრულების ახალი პროექტი, რომელიც პირველი ვარიანტისაგან არსებითად არაფრით განსხვავდებოდა. მას ხელს აწერდნენ დირექტორები მერლენი, ბარასი, ლარეველერ-ლეპო და ტალეირანი [3].

---

[1] „...qui donnerait à un gouvernement arbitraire et capricieux l'occasion de porséculer sous le plus léger prétexte les français qui se trouveraient en Russie...“ იხ. G. Grosjean, დასახ. ნაშრ., გვ. 70—75. იქ მოთავსებულია ამ ინსტრუქციის სრული ტექსტი, ციტ. ადგილი იხ. გვ. 72.

[2] იქვე, გვ. 75—77.

[3] „Материалы...“, ტ 2, ნ. II, გვ. 108—110; G. Grosjean, დასახ. ნაშრ. გვ 75—77. ხელშეკრულების ახალი ფრანგული პროექტის პანინისათვის გადაცემა მოხდა პარიზში 1797 წლის 4 სექტემბრის (18 ფრუქტიდორის) სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ. როგორც ცნობილია, ამ გადატრიალებამ ჩაშალა შემზადებული როიალისტური შეთქმულება და მით ბოლო მოუღო იმ იმედებს, რომელთაც ამ შეთქმულებაზე ამყარებდნენ ცარიზმის მესვეურები პეტერბურგში. ამ გადატრიალებამ და მის შედეგად იმედის გაცრუებამ გააძლიერა რუსეთში ანტიფრანგული განწყობილება, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ბერლინში წარმოებულ მოლაპარაკებაზე.

ახალ ფრანგულ პროექტს არ შეეძლო რაიმე კორექტივი შეეტანა ბერლინში წარმოებულ მოლაპარაკებაში. პანინი ისევე უნდობლად შეხვდა ახალ პროექტს, როგორც ძველს. იგი ინარჩუნებდა აღებულ სტრატეგიულ ხაზს. სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში კაიარისა და პანინის მორიგ შეხვედრებს არავითარი ცვლილებები არ მოჰყოლია. პოზიციათა დაახლოების ნაცვლად, პირიქით, გამოვლინდა მათ შეხედულებათა შემდგომი დაპირისპირება [1].

ბერლინის მოლაპარაკებას თანდათანობით ეცლებოდა ისედაც არამყარი ნიადაგი. კუნძულ ზანტეზე რუსეთის კონსულის ზაგურსკის დაპატიმრებამ ფრანგების მიერ რუსეთის მთავრობას საბაბი მისცა სავსებით შეეწყვიტა ბერლინის უნაყოფო მოლაპარაკება და საფრანგეთის მიმართ სხვა გზით და სხვა საშუალებებით ემოქმედა [2].

ზაგურსკის შეპყრობის ცნობის მიღებისთანავე ფრანგებზე აღშფოთებულმა პეტერბურგის სამეფო კარმა გადაწყვიტა მათი „თავხედობისათვის" ბერლინის მოლაპარაკების შეწყვეტით ეპასუხა. 1797 წლის 17 სექტემბრის რესკრიპტით რუსეთის იმპერატორი აუწყებდა პანინს მომხდარ ფაქტს და თან წინადადებას აძლევდა მას შეეწყვიტა მოლაპარაკება და ყოველგვარი ურთიერთობა კაიართან [3].

---

[1] ცნობებს ხელშეკრულების ახალი ფრანგული პროექტისადმი რუსეთის დიპლომატიის დამოკიდებულების შესახებ იძლევა პანინი თავის მორიგ რელაციებში პავლესადმი (1797 წლის 29 სექტ./10 ოქტ. და 8/19 ოქტ.). „Материалы...", ტ. 2, ნაწ. II, გვ. 111—113, 128—133.

[2] 1797 წლის აგვისტოში საფრანგეთის ადმირალმა ბრიუემ ვენეციის კუნძულების დაპყრობის დროს კუნძულ ზანტეზე შეიპყრო რუსეთის კონსული ზაგურსკი, ჩამოართვა მას დოკუმენტები და სხვა ნივთები, თვით ზაგურსკი კი გამოაცხადა სამხედრო ტყვედ და გადაგზავნა კუნძულ კორფუზე.

[3] პეტერბურგიდან პანინს უკვე მოსდიოდა მითითება, საპირო შემთხვევაში შეეწყვიტა მოლაპარაკება. მაგრამ მას ეს უნდა მოეხდინა უმტკივნეულოდ და მით საფრანგეთის წარმომადგენლისათვის შეექმნა მოლაპარაკების მომავალში განახლების შესაძლებლობის ილუზია. „Архив князя Воронцова", ტ. 13, გვ. 397; К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 312.

ზაგურსკი თავის დასმენაში (კორფუდან) კოჩუბეისადმი (1797 წლის 17/28 იანვრის თარიღით) ვრცლად გადმოსცემდა თავისი შეპყრობისა და კორფუზე გადასახლების ამბებს. АВПР; ф. „Сношения России с Турцией", 1798, д. 867, лл. 40—42.

რუსეთის საქმეთა რწმუნებული ნეაპოლში მუსინ-პუშკინი ჯერ კიდევ 1797 წლის 11/22 აგვისტოს აცნობებდა პავლეს ფრანგებისაგან ზაგურსკის შეპყრობას

გრაფმა ნ. პ. პანინმა, რომელიც ისედაც უგულოდ და ზიზღის გრძნობით აწარმოებდა მოლაპარაკებას, საჩქაროდ შეასრულა პეტერბურგიდან მიღებული მითითება [1].

ამგვარად, რუსეთ-საფრანგეთის მოლაპარაკება ბერლინში, წააწყდა რა გადაულახავ წინააღმდეგობას, 1797 წლის დასასრულისათვის ფაქტიურად ჩაიშალა.

2. იტალიის კამპანიის ნარმატებები 1796—1797 წლებში. ლეობენის დაზავება და მისი გავლენა ბერლინის მოლაპარაკებაზე. ამ მოლაპარაკების კრახი

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა, მისი აწმყო და მოსალოდნელი პერსპექტივები, ცხადია, ევროპის პოლიტიკური ცხოვრების ნაწილი იყო და მასთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა. ყოველგვარი ცვლილება ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ევროპის მაშინდელ დიდ სახელმწიფოთა ურთიერთობაში, უშუალო გავლენას ახდენდა რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაზე და მისი წინააღმდეგობრივი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. ევროპის მაშინდელ სახელმწიფოთა ურთიერთობაში, ან, როგორც ვ. ი. ლენინი უწოდებდა, „პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემაში“ [2] ძირითად კვანძს რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრიისა და პრუსიის ურთიერთობანი წარმოადგენდა. 1796 წლის დასასრულიდან 1797 წლის დასასრულამდე, როდესაც რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში დაისახა შემობრუნების და

და კუნძულ კორფუზე მის გადაგზავნას იგი თვლიდა ამას საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევად. იხ. АВПР. ф., „Сношения России с Неаполем“, 1797, д. 258, л. 49.

[1] „Материалы...“, ტ. 2, გვ. 85, 158—159; „Архив князя Воронцова“, ტ. II, გვ. 260. ბებბოროდკო თავის წერილში ს. რ. ვორონცოვისადმი (1798 წლის 25 ნოემბრის თარიღით) თითქმის ერთი წლის შემდეგ იძლევა საინტერესო ცნობებს ბერლინის მოლაპარაკებისა და იმ მოტივების შესახებ, რომელთაც რუსეთის დიპლომატია აიძულეს ხელი აეღო საფრანგეთთან მშვიდობიანი საშუალებებით სადავო საკითხების მოგვარებაზე და შეეწყვიტა ეს მოლაპარაკება. ამ მოტივთა შორის ბებბოროდკო წინა პლანზე აყენებს პრუსიის და საფრანგეთის დაახლოებას და ავსტრიის დამარცხებას საფრანგეთის მიერ. აქვე აღნიშნულია, რომ მოლაპარაკების შედეგად რუსები არ აპირებდნენ აღედგინათ საფრანგეთთან სავაჭრო ტრაქტატი და პოლიტიკურად დაახლოებოდნენ მას. Сб. РИО, ტ. 29, გვ. 413.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 35, გვ. 277.

ნათი დაახლოების სიმპტომები, რაც ბერლინში წარმოებულ მოლაპარაკებაში გადაიზარდა, ევროპის პოლიტიკური ცხოვრება, პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემა სტატიკურ მდგომარეობაში როდი იმყოფებოდა. იგი ვითარდებოდა, იცვლებოდა, იცვლებოდა მოწინააღმდეგე ძალთა განწყობაც. ევროპის დიდ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის წინაშე ახალი ამოცანები და „თავსატეხი საკითხები" ისახებოდა. ეს ცვლილებები თავის გავლენას ახდენდა რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაზე.

ამ დროისათვის — ბერლინის მოლაპარაკების პროცესში— ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. საფრანგეთის რესპუბლიკამ ახალი დამარცხება აგემა პირველი ანტიფრანგული კოალიციის სულისჩამდგმელის და ორგანიზატორის ინგლისის მოკავშირეს ევროპის კონტინენტზე, ავსტრიას, რომელსაც ხელიდან გამოაცალა არა მარტო ჩრდილო იტალიის მნიშვნელოვანი ნაწილი, არამედ თითქმის მთელი სამხრეთ-დასავლეთი გერმანიაც. საფრანგეთის რესპუბლიკის ამ ახალმა სამხედრო წარმატებამ და მასთან დაკავშირებით ავსტრიის კაპიტულაციის საფრთხემ უშუალო გავლენა მოახდინა მეფის რუსეთის პოზიციებსა და ინტერესებზე ევროპაში, მის დიპლომატიურ გეგმებზე და, მაშასადამე, რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაზეც. ამ ახალმა ვითარებამ კიდევ უფრო გააღრმავა მათი დაპირისპირება და გაადიდა ზღვარი მათს საგარეო პოლიტიკურ ამოცანათა შორის.

ავსტრიის მორიგი დამარცხება და ფრანგების მიერ ჩრდილო იტალიასა და სამხრეთ-დასავლეთ გერმანიაში ფეხის მოკიდება ძალთა ახალ განწყობას ქმნიდა ევროპის კონტინენტზე. ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკების დაწყება ლილში, თავის მხრივ, პირველი ანტიფრანგული კოალიციის სრული დაშლის მომასწავებელი იყო. პავლე I-ის მთავრობას ანგარიში უნდა გაეწია ამ ცვლილებებისათვის ევროპის პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემაში და შესატყვისი ნაბიჯები გადაედგა. ბერლინის მოლაპარაკება, ისიც არაოფიციალური ხასიათისა, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ იგი რუსეთის დიპლომატიის მიერ შემუშავებული შეთანხმების პროექტის მიღებით დასრულდებოდა, ახალ ვითარებაში ბევრს არაფერს მისცემდა რუსეთს. იგი ვერ გადაწყვეტდა იმ საგარეო პოლიტიკურ ამოცანებს, რასაც პავლე I-ის მთავრობა ისახავდა მიზნად ევროპაში.

ახალმა ვითარებამ ახალი „თავსატეხი საქმე" გაუჩინა მეფის რუსეთის მთავრობას. მას, რა თქმა უნდა, ახალი ტაქტი-

კური ნაბიჯები უნდა გადაედგა და თავისი ინტერესების დაცვა ევროპაში სხვა ღონისძიებებისათვის უნდა დაეკავშირებინა.

ეი სწორედ ეს ახალი ვითარება იყო მთავარი მოტივი, რამაც უშედეგოდ დაასრულა რუსეთ-საფრანგეთს შორის ბერლინში მიმდინარე უნაყოფო მოლაპარაკება. მან ცხადი გახადა იმ ეტაპზე ამ ქვეყნების დაახლოების ტენდენციის განუხორციელებლობა, აიძულა რუსეთის მთავრობა ხელი აეღო მის მიერ დასახული საგარეო პოლიტიკური პროგრამის დიპლომატიური გზით რეალიზაციის განზრახვაზე და მიიყვანა იგი საფრანგეთის რესპუბლიკასთან ომის საჭიროებამდე [1].

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, პეტერბურგში დიდი იმედებით მოელოდნენ როიალისტური შეთქმულების სასურველ შედეგებს პარიზში. დირექტორიის მთავრობის დამხობას და მონარქიის რესტავრაციას საფრანგეთში რუსეთის ცარიზმი უკავშირებდა თავისი მოქმედების გარკვეულ ტაქტიკურ ხაზს საფრანგეთის მიმართ მომავალში.

მაგრამ ეს იმედები უნიადაგო აღმოჩნდა. როიალისტთა შეთქმულებამ ნაყოფი ვერ გამოიღო, იგი გამოაშკარავებული იქნა და ჩაიშალა. „ახალი თერმიდორი" არ განხორციელდა და „შფოთის" და „უზნეობის" მთესაი რეჟიმი შენარჩუნებულ იქნა [2].

---

[1] ევროპაში შექმნილ ახალ პოლიტიკურ და სამხედრო ვითარების ჯეროვან შეფასებას იძლევა პავლე I-ის 1797 წლის 17 სექტემბრის რესკრიპტი პანინისადმი. თავის რესკრიპტში პავლე I აღნიშნავს, რომ ბერლინში მოლაპარაკების დაწყების წინ სულ სხვა პოლიტიკური სიტუაცია იყო, ვიდრე იმჟამად. ავსტრიის იმპერატორის მიერ ფრანგებთან ხელმოწერილი დახავება, — საფრანგეთთან დაახლოება და შეთანხმება—სასურველი იყო. მაგრამ მის შემდეგ ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. ლეობენის დახავებამ არ გაამართლა იმედები, საფრანგეთ-ინგლისის მოლაპარაკება ლილში ჩაიშალა, ყოველივე ამან ჯერმანიის იმპერიის მთლიანობას საფრთხე შეუქმნა. აღნიშნული მოტივების გამო რუსეთის იმპერატორი ავალებს პანინს ფორმალურად აგრძნობინოს კაიარს, რომ რუსეთ-საფრანგეთის დაახლოება მხოლოდ მაშინ იქნება მიღწეული, თუ საფრანგეთი შეუთანხმდება რუსეთის მოკავშირეებს. „Материалы...", ტ. 2, ნაწ. II, გვ 85—87.

[2] როიალისტთა შეთქმულების ჩაშლის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნაპოლეონ ბონაპარტმა, რომელსაც იტალიაში ხელთ ჩაუვარდა მამხილებელი მასალები გენ. პიშეგრიუს როიალისტებთან კავშირისა და თვით შეთქმულების მზადების შესახებ. ეს ცნობები მან დირექტორიას გადაუგზავნა, თანაც მათ განკარგულებაში მიაკლინა გენერალი ოჟერო, რათა მას დახმარება აღმოეჩინა მთავრობისათვის შეთქმულების ლიკვიდაციის საქმეში.

V წლის 18 ფრუქტიდოროს (1797 წლის 4 სექტემბერს) მოხდა ე. წ. სახელმწიფო გადატრიალება. დირექტორიის უმრავლესობამ (3 დირექტორმა 5-დან)

იმედების ამ გაცრუებამ დააჩქარა ბერლინის მოლაპარაკების კრახი, გააძლიერა რუსეთში ანტიფრანგული განწყობილება და სერიოზული ბიძგი მისცა პავლე I-ის მთავრობის ახალ მობრუნებას საფრანგეთის მიმართ.

პრუსიის საეჭვო ნეიტრალიტეტი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, წარმოადგენდა ერთ-ერთ ფაქტორს, რომელმაც განსაზღვრა რუსეთის ახალი მთავრობის გადაწყვეტილება — არ გაეგზავნა ჯარი საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ და, პირიქით, რუსეთის წინაშე მდგარი აქტუალური საგარეო პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტა მშვიდობიანი გზით, დიპლომატიური მოლაპარაკების მეშვეობით მოესინჯა. პრუსიის პოზიციის საკითხთან მჭიდროდ იყო გადანასკვული პრუსია-ავსტრიის და ავსტრია-რუსეთის ურთიერთობის საკითხი და იმ ბრძოლის შედეგები, რომელიც იტალიაში მიმდინარეობდა საფრანგეთსა და ავსტრიას შორის.

გადადგა რა ახალი ტაქტიკური ნაბიჯი, პავლე I-ის მთავრობამ, როგორც უკვე აღნიშნული იყო, შეინარჩუნა სამოკავშირეო ურთიერთობა ინგლისთან და ავსტრიასთან; შეინარჩუნა ერთგულება წინამორბედი მმართველობის მიერ აღებულ ვალდებულებებისადმი. კერძოდ იგი მზად იყო დახმარება აღმოეჩინა ავსტრიისათვის და არ დაეშვა მისი განადგურება საფრანგეთის რესპუბლიკის მიერ. რუსეთის დიპლომატიამ, ამასთან ერთად, გააძლიერა საქმიანობა ავსტრია-პრუსიის დაჯახების შესასუსტებლად და მათ დასაახლოებლად. ავსტრია-პრუსიის ინტერესთა მორიგება კი რუსეთის მთავრობას ესაჭიროებოდაო ამ ქვეყნებზე თავისი გავლენის გასაძლიერებლად, პრუსიის საეჭვო ნეიტრალიტეტის დასაძლევად და ავსტრიის შერყეული პოზიციის განსამტკიცებლად. ავსტრიის შერყეული პოზიციის განმტკიცება წარმოადგენდა

ოქეროს განკარგულებაში არსებული ჯარის მეშვეობით ლიკვიდაცია უყო როიალისტთა ფარულ ბუდეებს, შეიპყრო შეთქმულთა ხელმძღვანელები, კერძოდ ხუთასის საბჭოს თავმჯდომარე გენ. პიშეგრიუ, დირექტორი ბარტელემი და ორთავე პალატის რადიკალური წმენდა მოახდინა.

როიალისტური შეთქმულების ჩაშლისა და 18 ფრუქტიდორის გადატრიალების შესახებ ვრცელი საუბარი ჩვენს მიზანს არ შეადგენს. ამიტომ სათანადო წყაროებსა და ლიტერატურის მითითებებისაგანაც თავს ვიკავებთ. ოღონდ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ მის შესახებ საინტერესო ცნობებს იძლევა ნაპოლეონ ბონაპარტი თავის მემუარებში. იხ. Наполеон, Избр. произведения, ტ. I, გვ. 239—245. იხ. აგრეთვე А. Сорель, დასახ. ნაშრ., ტ. 5, გვ. 180—184.

ვნიშვნელოვან პირობას, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო მისი წარმატებისათვის საფრანგეთთან ომში და მით არაპირდაპირი გზით დახმარება აღმოეჩინა რუსეთის დიპლომატიისათვის საფრანგეთთან წარმოებული მოლაპარაკების დროს [1].

პავლე I-ის გამეფება აღინიშნა რუსეთისა და პრუსიის „მეგობრობისა და ურთიერთგაგების" გარეგნული დემონსტრაციით. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო თვით რუსეთის ახალი იმპერატორის გატაცება პრუსიული სამხედრო-პოლიტიკური სისტემით, მისი თაყვანისცემა პრუსიულ რეაქციულ-მილიტარისტული რეჟიმისადმი. მაგრამ ეს დემონსტრაცია, რომელიც პეტერბურგსა და ბერლინში ერთსა და იმავე დროს გამოვლინდა, იმ დიპლომატიური საქმიანობის ნაწილი იყო, რომელიც ამ ორ ქვეყანას შორის იყო გაჩაღებული. პრუსიის მთავრობა ამით ცდილობდა თავი დაეზღვია რუსეთთან მოსალოდნელი გართულებისაგან, რუსეთის ცარიზმის ცდა კი იქით იყო მიმართული, რომ კიდევ უფრო გაეძლიერებინა გავლენა პრუსიაზე და ბოლო მოეღო მისი საეკვო ნეიტრალიტეტისათვის.

პრუსიის მეფემ ფრიდრიხ-ვილჰელმ II-მ „ამ პირწავარდნილმა რეაქციონერმა" (მარქსი) პავლე I-ის გამეფებისთანავე პეტერბურგში მიავლინა გრაფი ბრიული, რომლის მისიაშიც შედიოდა

---

[1] პავლე I-ის ცირკულიარულმა ნოტამ, რომელიც მან თავის წარმომადგენლებს გაუგზავნა რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრინციპების შესახებ, ნოტამ, რომლითაც პავლე მოკავშირეებს აუწყებდა, რომ დამხმარე კორპუსი დასავლეთით არ გაიგზავნებოდა და რუსეთი ომში მონაწილეობას არ მიიღებდა, ისეთივე არასასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ვენის საიმპერატორო კარზე, როგორც ლონდონში. თავის დეპეშებში კობენცლისადმი თუგუტი რომის იმპერატორის სახელით აშკარა სინანულს გამოთქვამდა რუსეთის იმპერატორის ამ გადაწყვეტილების გამო, რამაც ავსტრიას სამხედრო დახმარების იმედი დაუკარგა. მაგრამ ამავე დროს იგი აღნიშნავდა რომის იმპერატორის სიხარულს და მადლობას იმის გამო, რომ პავლემ გადაწყვიტა შეენარჩუნებინა მეგობრული ურთიერთობა ავსტრიასთან და აღებული სამოკავშირო ვალდებულებებისადმი ერთგულება. ამავე დროს დეპეშებში გადაკვრით იყო მოხსენებული საფრანგეთთან ომის დასრულების სასურველობა და ის ტერიტორიული ცვლილებები, რომლებიც შეიძლება ფრანგებთან დახავებას მოჰყოლოდა. კერძოდ იგი ასახელებს ნიდერლანდებს და შესაძლებლად მიაჩნია მისი ფრანგებისათვის დათმობა, თუ სანაცვლოდ ავსტრია ბავარიას მიიღებდა. თუგუტის აზრით, რუსეთი და პრუსია ასეთი ტერიტორიული ცვლილებების მომხრენი უნდა ყოფილიყვნენ. „Конфиденциальная записка о содержании четырех депеш бар. Тугута, сообщенных австрийским послом в Петербурге гр. Кобенцелем канцлеру Остерману 18 янв. 1797 г.", ЦГАДА, ф. Папиных, д. 249. лл. 1—4.

მეგობრული წერილის გადაცემა პავლესთვის და მის გამეფებასთან დაკავშირებით მილოცვა[1]. ბრიული პეტერბურგში გულთბილად და პატივით მიიღეს. საპასუხო წერილში ფრიდრიხ-ვილჰელმ II-სადმი პავლე I მადლობას უთვლიდა მას კეთილი სურვილებისათვის გამეფებასთან დაკავშირებით, თანაც გამოთქვამდა სურვილს პრუსიის მთავრობასთან ერთად ემოქმედა ყოველგვარ შერყევათა თავიდან ასაცილებლად და ევროპაში ზავის დასადებად[2].

პრუსიის საგანგებო დესპანს ძირითად დავალებასთან ერთად სხვა დავალებაც ჰქონდა. მას პეტერბურგის მთავრობისათვის უნდა ეცნობებინა საფრანგეთ-პრუსიის ბაზელის 1795 წლის საზავო ხელშეკრულებისა და 1796 წლის 5 აგვისტოს (ახ. სტილით) დამატებითი საიდუმლო კონვენციის კონფიდენციალური მუხლები[3]. დაბოლოს, რუსეთის ცარიზმის გულის მოსაგებად პრუსიის მთავრობამ საჭიროდ დაინახა ბრიულის მეშვეობით გაემეორებინა, რომ მომავალში, სანამ რუსეთის მხარდაჭერის იმედი ექნებოდა, არავის მიმართ არავითარ ვალდებულებებს არ აიღებდა ამ უკანასკნელთან კონსულტაციისა და სანქციის გარეშე[4].

მილიუტინის და მარტენსის შეხედულებით პრუსიის მთავრობას სურდა დაემტკიცებინა თავისი გულწრფელობა, მოეგო პეტერბურგის მთავრობის გული და რუსეთის ახალი იმპერატორი განეწყო თავის სასარგებლოდ[5]. მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა. პრუსიის მთავრობის ამ ნაბიჯს ხელი არ შეუწყვია რუსეთ-პრუსიის შემდგომი დაახლოებისათვის.

პრუსიის მთავრობის „გულწრფელმა აღსარებამ“ რუსეთის იმპერატორის და რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის გულისწყრომა დაიმსახურა. პეტერბურგში აღშფოთდნენ არა თვით საფრანგეთ-პრუსიის ხელშეკრულების და მისი ფარული დანამატების

---

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 29.

[2] იქვე, პავლე I-ის წერილი (ფრანგულ ენაზე) 1797 წლის 3/14 იანვრის თარიღით მოთავსებულია მილიუტინის ნაშრომის მესამე ტომში, იხ გვ. 50, მე-18 შენიშვნა.

[3] ამ დავალების შესახებ ცნობას იძლევა თვით ფრიდრიხ ვილჰელმ II თავის მორიგ წერილში (1797 წლის 25 იანვარის, 5 თებერვლის თარიღით) პავლე პირველისადმი. იხ. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ .51.

[4] Ф. Мартенс, Собрание трактатов и конвенций, заключенных Россиею с иностранными державами, ტ. 6, трактаты с Германиею..., СПБ., გვ. 253.

[5] Ф. Мартенс, დასახ. ნაშრ., ტ. 6, გვ. 253; Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3. გვ. 51.

დადების გამო, რამდენადაც აღნიშნულ ხელშეკრულების იმ კონ-ფიდენციალური მუხლების გამო, რომლებიც უშუალოდ გერმანიას ეხებოდა, მის ბედს ახლებურად წყვეტდა და რუსეთის ინტერე-სებს ამ საკითხში ანგარიშს არ უწევდა. რუსეთის იმპერატორმა ბრიულის მეშვეობით გაიგო, რომ საფრანგეთთან დადებული ხელშეკრულებებით პრუსიის მთავრობამ საფრანგეთს ნება დარ-თო გადაეწია თავისი საზღვარი აღმოსავლეთისაკენ და შემოეერ-თებინა რაინის მარცხენა ნაპირზე მდებარე გერმანული ოლქები. ამის სანაცვლოდ საფრანგეთის ხელში გადასული ტერიტორიების ყოფილ მფლობელებს, მათ შორის თვით პრუსიას და ჰესენის და ნასაუს მთავრებს კომპენსაციად უნდა მიეღოთ ახალი ტერიტო-რიები სასულიერო ხელისუფალთა სამფლობელოების სეკულარი-ზაციის გზით [1].

პავლე I-ის მთავრობამ გერმანიის საკითხის რუსეთის მონა-წილეობის გარეშე გადაწყვეტაში სავსებით სამართლიანად დაი-ნახა თავისი ინტერესების უგულებელყოფა და შელახვა და გერ-მანიის იმპერიაში არსებული status quo-ს აშკარა რევიზია. ტე-შენის 1779 წლის ტრაქტატით, რომელსაც რუსეთთან ერთად ერთ-ერთი გარანტის სახით თვით საფრანგეთიც აწერდა ხელს, მეფის რუსეთს მინიჭებული ჰქონდა უფლება ენერგიულად და-ეცვა ამ ტრაქტატით დადგენილი ვითარება გერმანიის სამეფო-სამთავროებში და ხელი შეეშალა მათი ყოველგვარი რევიზიის ცდისათვის [2].

გერმანიის იმპერიის ხარჯზე პრუსია-საფრანგეთის გარიგე-ბის გამო თავისი თვალსაზრისი გამოხატა რუსეთის დიპლომა-ტიამ პავლე I-ის 1797 წლის 16 თებერვლის რესკრიპტით კოლი-ჩევისადი. ამ რესკრიპტში აღნიშნული იყო, რომ რაინის მარ-ცხენა ნაპირის დათმობა საფრანგეთისათვის არღვევს გერმანიის იმპერიის ხელუხლებლობას და არა თუ ხელს არ უწყობს ევროპის დამშვიდებას, არამედ, პირიქით, ახალ შფოთს და გადატრიალე-ბათა წყაროს წარმოადგენს [3]. ვინაიდან პრუსიამ უკვე მიიღო თა-ვისი წილი პოლონეთის განაწილებიდან, ამიტომ, რუსეთის იმპე-რატორის შეხედულებით მას ახალი ტერიტორიების მიღების

---

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 29.
[2] Дипломатический словарь, ტ. 2, გვ. 806—807.
[3] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 29.

პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს[1]. რესკრიპტის დასასრულს რუსეთის იმპერატორი მიაქცევდა პრუსიის მთავრობის ყურადღებას იმას, რომ პრუსია მხოლოდ მაშინ მოიპოვებდა რუსეთის ნდობას და მხარდაჭერას, როდესაც ნებაყოფლობით აიღებდა ხელს გერმანიის იმპერიის ხელყოფის განზრახვაზე[2].

პრუსიის მეფემ ფრიდრიხ-ვილჰელმ II-მ სცადა დაეცვა თავისი პოზიცია და გაემართლებინა საფრანგეთის რესპუბლიკასთან დადებული აქტები. ბრიუსლის სახელზე 1797 წლის 17 მარტს გაგზავნილ ნოტაში პრუსიის მეფე ენერგიულად იცავდა ნეიტრალიტეტის პოლიტიკას, რომელსაც ადგა პრუსიის მთავრობა და რომლის შენარჩუნებასაც ფიქრობდა იგი მომავალში. ნოტაში გამოთქმული იყო სინანული, რომ პრუსიის კეთილი ზრახვები ღირსეულად არ იქნა შეფასებული პეტერბურგში და, პირიქით, ისინი ცუდად იქნა გაგებული[3].

მაგრამ პრუსიის მთავრობის ახალმა დიპლომატიურმა დემარშმა ვერ გაფანტა პეტერბურგის სამეფო კარზე დამკვიდრებული აზრი პრუსიის მთავრობის საეჭვო და ფაქტიურად ვერაგული ნაბიჯის გამო.

ამგვარად, საფრანგეთ-პრუსიის ხელშეკრულებათა დადებამ და გერმანიის ხარჯზე მათმა მორიგებამ უნდობლობის და ეჭვის ატმოსფერო შექმნა რუსეთ-პრუსიის ურთიერთობაში და ხელი შეუშალა მათი კეთილმეზობლობის გარეგნული დემონსტრაციის განმტკიცებას. ამიტომ ერთი შეხედვით მოსალოდნელი იყო მათი ურთიერთობის მკვეთრი გაუარესება. მაგრამ ამ ნიადაგზე პრუსიასთან ურთიერთობის გამწვავება იმ ვითარებაში, როდესაც პრუსია-ავსტრიის კინკლაობა კიდევ უფრო ძლიერდებოდა, ხოლო

---

[1] К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 296.

[2] Ф. Мартенс, დასახ. ნაშრ., ტ. 6, გვ. 253; Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 51—52: Сб. РИО, ტ. 26, გვ. 437.

[3] Ф. Мартенс, დასახ. ნაშრ., ტ. 6, გვ. 253. როგორც გადმოგვცემენ ფრიდრიხ-ვილჰელმ II-მ, როდესაც კვდებოდა, ტახტის მემკვიდრეს, მომავალ ფრიდრიხ-ვილჰელმ III-ს, უანდერძა და სთხოვა მტკიცედ დაეცვა მომავალში ნეიტრალიტეტის პოლიტიკა. ეს უკანასკნელი უკვე თავისი გამეფების შემდეგ, 1798 წლის ოქტომბერში ნეიტრალიტეტის შესახებ შემდეგს სწერდა: „ყველამ იცის, რომ მე მეზიზღება ომი და რომ მე არ ვიცი უკეთესი სიკეთე დედამიწაზე, ვიდრე მშვიდობის შენარჩუნება. იხ. Bailleu, დასახ. კრებული, ტ. I, გვ. XVII. ცნობილია, რომ, პრუსიის მეფეები მშვიდობის დამცველები და ომის მტრები არასოდეს არ ყოფილან. მაგრამ მაშინ, იმ ვითარებაში პრუსიელი ჰოჰენცოლერნები „ტყავის შენარჩუნების“ მიზნით ნეიტრალიტეტის ჭურჭში ეხვეოდნენ.

ავსტრია იტალიაში ფრანგებისაგან ახალ-ახალ დამარცხებებს განიცდიდა, ხელსაყრელი არ იყო რუსეთისათვის. რუსეთის ინტერესების დაცვა გერმანიაში და საერთოდ ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში მისი გავლენის შემდგომი გაძლიერება ამ ქვეყნის დიპლომატიის წინაშე აყენებდა პრუსიასთან უკვე არსებული ურთიერთობის შენარჩუნების (თუ გაუმჯობესების არა) საჭიროებას. მხოლოდ პრუსიასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნების და საზღვრის ამ მხრიდან უშიშროების პირობებში შეეძლო მეფის რუსეთს წარმატებით გაერთმია თავი გართულებული მდგომარეობისათვის ცენტრალურ და სამხრეთ ევროპაში.

აღნიშნული გარემოების გამო რუსეთის მთავრობამ წამოჭრილი გაუგებრობა ლიკვიდირებულად მიიჩნია და განაგრძო დიპლომატიური საქმიანობა პრუსია-ავსტრიის მოსარიგებლად. ამ ორი ქვეყნის მორიგება, საფრანგეთთან მოლაპარაკების დაწყების პარალელურად, მეფის რუსეთისათვის ერთ-ერთი ღონისძიება იყო, რომელსაც ხელი უნდა შეეშალა ავსტრიის განადგურებისათვის და გაეძლიერებინა მისი მაწონასწორებელი ძალა ცენტრალურ ევროპაში, როგორც ფორპოსტისა საფრანგეთის „დამანგრეველი" გავლენის წინააღმდეგ [1].

განზრახულის სისრულეში მოყვანის მიზნით მეფის მთავრობამ საჭიროდ სცნო ბერლინსა და ვენაში სპეციალური მისიის მივლინება. პეტერბურგის სამეფო კარზე არჩევანი ფელდმარშალ თავად ნ. ვ. რეპნინზე შეაჩერეს. მას ამ დროისათვის არა მარტო კარგი სარდლის, არამედ ნიჭიერი და გამოცდილი დიპლომატის სახელიც ჰქონდა მოხვეჭილი, იმპერატორის ნდობით სარგებლობდა, თანაც ბერლინსა და ვენაში Persona grata-ს წარმოადგენდა [2].

---

[1] რა თქმა უნდა, სიმართლეს მოკლებულია თ. მარტენსის და რევოლუციამდელ ზოგ სხვა რუს ისტორიკოსთა აზრი იმის შესახებ, თითქოს პავლეს ძლიერ მოსწონდა ხალხთა მშვიდობისმყოფელის (миротворец) და არბიტრის საპატიო როლი და ამიტომ მის პირად ნებასთან და პატიმყოფობასთან იყო დაკავშირებული მისი შესაბამისი ნაბიჯები. იხ. Ф. Мартенс. დასახ. ნაშრ., ტ. 6, გვ. 254. პირიქით, ასეთ ინიციატივას სათანადო ობიექტური საფუძველი გააჩნდა. იგი იმ ახალი ტაქტიკური ნაბიჯების ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა, რომლებიც რუსეთის მთავრობამ 1796 წლის დასასრულიდან გადადგა საფრანგეთის მიმართ.

[2] თავადი ნიკოლოზ ვასილის ძე რეპნინი (1734—1801), რუსეთის გენერალ-ფელდმარშალი და დიპლომატი, მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა რუსეთის ფეოდალური არისტოკრატიის ხელმძღვანელის რიგებში მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში. იგი რამოდენიმე ათეული წლის მანძილზე ათავსებდა ერთმანეთ-

თავად რეპნინს დამხმარედ და თანაშემწედ თან უნდა გაჰყოლოდა გრაფი ნ. პ. პანინი.

ბერლინში გამგზავრების წინ რეპნინი საგარეო საქმეთა კოლეგიამ სათანადო ინსტრუქციებით აღჭურვა. პირველ ინსტრუქციაში (1797 წლის 15 აპრილის თარიღით) მოცემული იყო მისიის დანიშნულების მოკლე განმარტება და ჩამოყალიბებული იყო რუსეთის თვალსაზრისი ავსტრია-პრუსიის ურთიერთობის საკითხზე [1], მეორე ინსტრუქციას, გაცილებით უფრო ვრცელს, ვიდრე პირველი, წარმოადგენდა პავლე I-ის რესკრიპტი რეპნინისადმი (1797 წლის 19 აპრილის თარიღით).

ეს მეორე ინსტრუქცია საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს. მასში ევროპის პრობლემები და მათდამი რუსეთის მთავრობის დამოკიდებულება საკმაო სისრულით იყო დასმული და განვითარებული [2].

რესკრიპტში აღნიშნულია ის სერიოზული საფრთხე, რომელიც ევროპის მშვიდობიანობას და ავსტრიის სახელმწიფოს მთლიანობას შეუქმნა ფრანგთა გამარჯვებამ და მათმა გაბატონებამ ჩრდილო იტალიაში. ამ ომის შეწყვეტა, რამდენადაც შესაძლებელია ხელსაყრელ პირობებში, მიჩნეულია ავსტრიის სახელმწიფოს დარღვევისა და ევროპისათვის დამღუპველი მოვლე-

---

თან სამხედრო, ადმინისტრაციულ და დიპლომატიურ საქმიანობას და ბევრი მისია და პოსტი გამოიცალა. 1769 წლამდე რეპნინი რუსეთის ელჩია პოლონეთში. აქ იგი დიპლომატიის, მუხანათობის, მუქარის და ძალის კომბინირებული მეთოდების გამოყენებით კარგად ასრულებდა იმ პოლიტიკას, რომელსაც ეკატერინე II-ის ინიციატივით ახორციელებდა რუსეთის მთავრობა პოლონეთის დაყოფის გეგმის სისრულეში მოსაყვანად. 1774 წელს რეპნინი მონაწილეობას იღებს თურქეთთან ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულების შემუშავებაში, 1775 წელს კი იმ სახეიმო ელჩობას ხელმძღვანელობს, რომელიც რუსეთის მთავრობამ კონსტანტინეპოლს მიავლინა. 1779 წელს რეპნინი გერმანიაშია. აქ იგი მონაწილეობს ტეშენის კონგრესის საქმიანობაში, როგორც რუსეთის წარმომადგენელი და ტეშენის ტრაქტატის ერთ-ერთი ავტორი. 1787—1791 წლებში იგი მონაწილეობას იღებს რუსეთ-თურქეთის ომში. უფრო გვიან მას რუსეთში მთელი რიგი ადმინისტრაციული პოსტები უკავია, ხოლო პავლე I-ის მეფობის დროს ბლეზთა ერთ-ერთი აჯანყების ჩახშობის ხელმძღვანელია. რეპნინის შესახებ იხ. Дипломатический словарь, ტ. 2, გვ. 505—507; Русский биограф. словарь, ტ. 16, გვ. 93—118; Словарь достопамятных людей русской земли, ნაწ. IV, გვ. 284—308

[1] Ф. Мартенс, დასახ. ნაშრ., ტ. 6, გვ. 250—251.

[2] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 54—58. აქ ამ ინსტრუქციის სრული ტექსტია მოთავსებული.

ნების შემდგომი განვითარების თავიდან აცილების ერთ-ერთ ძირითად პირობად[1]. აღნიშნული იყო რა პრუსია-საფრანგეთის შეთანხმების არასასურველობა, ინსტრუქციაში გამოთქმული იყო სურვილი ლაიპციგში ან რომელიმე სხვა ქალაქში მოეწვიათ ევროპის სამშვიდობო კონგრესი. ამ კონგრესს უნდა შეემუშავებინა მომავალი ზავის პირობები, გადაეწყვიტა მეომარ მხარეთა შორის არსებული ყველა სადავო საკითხი და ამით ბოლო მოეღო ევროპის გათიშვის არსებული მდგომარეობისათვის. ამ კონგრესის გადაწყვეტილებები, რა თქმა უნდა, საფრანგეთისათვისაც უნდა ყოფილიყო სავალდებულო.

ინსტრუქცია მტკიცე დავალებას აძლევდა ნ. რეპნინს: დაერწმუნებინა პრუსიის და ავსტრიის მთავრობები თავი დაენებებინათ ურთიერთქიშპობაზე გერმანიის დაქუცმაცებულ სახელმწიფოებზე ჰეგემონობის მოპოვების საქმეში და ხელი შეეწყოთ მოკლე დროში ევროპის დამშვიდებისათვის. რუსეთის საგანგებო გზავნილს რჩევა უნდა მიეცა ვენისა და ბერლინის მთავრობათათვის ყოფილიყვნენ ზომიერნი თავიანთ მოთხოვნებში, გამოეჩინათ დამთმობლობა. რეპნინს, პირველ ყოვლისა, უნდა დაერწმუნებინა პრუსიის მეფე და მთავრობა რუსეთის იმპერატორის კეთილგანწყობილებაში პრუსიის მიმართ, მის ზრუნვაში ევროპის მშვიდობის ინტერესებისათვის, მის მზადყოფნაში დაეცვა ავსტრიის იმპერია შემდგომ შერყევათაგან, გერმანია კი — სრულ დანაწილებისაგან. მას უნდა ერჩია პრუსიის მთავრობისათვის ხელი შეეწყო საფრანგეთის აგრესიის შეჩერებისა და ევროპის დამშვიდების საქმისათვის. ინსტრუქციაში ხაზგასმული იყო, რომ მეფის რუსეთი მზად იყო დახმარების ხელი გაეწოდებინა არა მარტო ავსტრიისათვის, არამედ თვით პრუსიისთვისაც, თუ საამისო საჭიროება შეიქმნებოდა[2].

თუ ამ ინსტრუქციას ვერწმუნებით, პეტერბურგის მთავრობა მიმდინარე ომის შეწყვეტისა და საფრანგეთის აგრესიის შემდგომი წარმატებისათვის ზღვარის დადების უებარ საშუალებად მიიჩნევდა საფრანგეთსა და რუსეთს შორის ხელშეკრულების დადებას, რომელიც რუსეთს მიანიჭებდა მომრიგებლის როლს მეომარ სახელმწიფოთა შორის. აღნიშნულის გამო, რუსეთის დიპლომა-

[1] „...скорейшее прекращение их (ლაპარაკია არსებულ არანორმალურ ვითარებაზე—ვ. დ.) миром, на условиях колико можно сноснейших заключаемых, есть одно средство и к спасению сея Монархии, и к отвращению дальнейших следствий, пагубных для всея Европы". Д. Милютин. დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 54.

[2] იქვე, გვ. 56.

ტიას შესაძლებლად მიაჩნდა პანინის მეშვეობით ბერლინის მოლაპარაკების განახლება. თუ საფრანგეთი ხელს აიღებდა ავსტრიასთან შემდგომ ომზე და მიიღებდა რუსეთის სამომრიგებლო მისიას, რუსეთის მთავრობა მზად იყო დაეთმო საფრანგეთისათვის, ავსტრიისა და ინგლისის სტრატეგიული ინტერესების საზიანოდ, ნიდერლანდები, ლიეჟის სამთავრო და საოი. მაგრამ, ემყარებოდა რა ტეშენის ტრაქტატს, რუსეთის მთავრობა თავგამოდებით იცავდა გერმანიის იმპერიის მთლიანობას, რუსეთის არბიტრის როლს ამ იმპერიის ფეოდალურ სამთავრო-სახელმწიფოთა მიმართ, კატეგორიულად ავალებდა რეპნინს არ წასულიყო ამ დარგში არავითარ დათმობაზე და ენერგიული წინააღმდეგობა გაეწია ამ მთლიანობის დარღვევის ყოველგვარი ცდისათვის ვისგანაც არ უნდა წარმომდგარიყო იგი[1].

ისმის კითხვა, რატომ სთავაზობდა რუსეთის იმპერატორი საფრანგეთის რესპუბლიკას ნიდერლანდებს, ლიეჟის სამთავროს და საოის, წარმოადგენდა ეს მარტო ჯილდოს ფრანგებისათვის მათ მიერ ავსტრიის წინააღმდეგ ომის შეწყვეტისათვის, თუ ამას სხვა მიზანიც ჰქონდა?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ნაბიჯი ოსტატურად მოფიქრებულ დიპლომატიურ სვლას წარმოადგენდა. აღნიშნული გარიგების პროექტის რეალიზაცია სერიოზულ ზიანს მიაყენებდა ინგლისის ინტერესებს და ამით აიძულებდა ინგლისს უფრო ენერგიულად ებრძოლა საფრანგეთის წინააღმდეგ, ჩაშლიდა ინგლის-საფრანგეთის დაზავების შესაძლებლობას, რაც სასურველი არ იყო რუსეთისათვის იმ ეტაპზე. ეს მკვეთრად შეასუსტებდა ავსტრიის პოზიციებს გერმანიასა და იტალიაში და აიძულებდა მას კიდევ უფრო მეტად დამორჩილებოდა რუსეთის გავლენას და მისი დიპლომატიური გეგმები გაეზიარებინა. ასეთ პირობებში ომის შეწყვეტა და ევროპის კონტინენტზე მშვიდობის აღდგენა განამტკიცებდა რუსეთის პოლონური მიწების უშიშროებას, გააძლიერებდა რუსეთის პოზიციებს იტალიასა და გერმანიაში და მოქმედების თავისუფლებას მისცემდა მას ახლო აღმოსავლეთში. ერთი სიტყვით, რუსეთის დიპლომატიის აღნიშნული გეგმის რეალიზაცია ძალთა ისეთ წონასწორობას შექმნიდა ევროპის კონტინენტზე, რომელიც გამორიცხავდა ახალი ომის შესაძლებლობას რუსეთის ომში ჩაბმის საფრთხის გამო და მოუპოვებდა მას იმ არბიტრის როლს, რომელსაც იგი ასე დაყინებით ეძიებდა.

---

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 56.

მეფის რუსეთის მთავრობას შეუძლებლად მიაჩნდა საფრანგეთის საზღვრის შემდგომი გადაწევა აღმოსავლეთისაკენ და საფრანგეთ-გერმანიის საზღვრად მდ. რაინის დაწესება, რადგან ეს უშუალო საფრთხეს შეუქმნიდა გერმანიის იმპერიის მთლიანობას და თვით პრუსიის უშიშროებას, და, მაშასადამე, ზიანს მიაყენებდა თვით მეფის რუსეთის პოლიტიკურ და სამხედრო-სტრატეგიულ ინტერესებს ცენტრალურ ევროპაში. ასევე შეუძლებლად მიაჩნდა რუსეთის მთავრობას პოლონეთის საკითხის დასმა და მის თაობაზე რაიმე სახის მოლაპარაკების გამართვა ბერლინსა და ვენაში, მით უფრო საფრანგეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებთან.

როგორც ჩანს, პავლე I-ის მთავრობას უკვე მაშინვე ჰქონდა განზრახვა, თუ მისი კეთილი სამსახურის მისია უშედეგოდ დამთავრდებოდა და საფრანგეთი „ჯიუტობას" განაგრძობდა, იარაღისათვის მოეკიდა ხელი და იმპერიის აქტუალური საგარეო პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტა და სათანადო ინტერესების და პოზიციების დაცვა საფრანგეთთან ომისათვის დაეკავშირებინა. ამიტომ არის, რომ ინსტრუქციის დასკვნით ნაწილში მკაფიოდ არის ხაზგასმული ასეთი ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა [1].

მეფის რუსეთის მთავრობის აღნიშნული დიპლომატიური წამოწყება მაშინ წარმატებით არ დამთავრებულა. რეპნინის მისია არ განხორციელებულა. რუსეთის ჩარევა მეომარ სახელმწიფოთა ურთიერთობაში ზედმეტი გახადა როგორც საფრანგეთის რესპუბლიკის დიპლომატიის საწინააღმდეგო ნაბიჯებმა, ისე თვით ავსტრიის სამეფო კარის სეპარატულმა გარიგებამ საფრანგეთთან.

---

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 58; იხ. აგრეთვე Ф. Мартенс, დასახ. ნაშრ., ტ. 6, გვ. 250—251; А. Сорель, დასახ. ნაშრ., ტ. 5, გვ. 143—144.

„...но буде Французское правление, — ვკითხულობთ ამ ინსტრუქციის დასკვნით ნაწილში, — прострет буйство свое на крайнее угнетение Венского двора, и нейстовыми требованиями преисполнит меру, тогда уже честь и безопасность наша востребуют деятельного нашего вопреки тому пособия. На оба сии случая решимся мы учинить всеми силами Нашими вооружение, дабы на всякую сторону обратиться, куда достоинство наше и оборона Империи Нашей в ея целости призывать будут..." იხ. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 58.

ავსტრიის მთავრობა და ავსტრიის საგარეო პოლიტიკის ფაქტიური ხელმძღვანელი ბარონი თუგუტი[1] მეტად მოხერხებულ და ამავე დროს ვერაგულ პოლიტიკას აწარმოებდნენ. ვენაში ერთის მხრივ, ხვეწნა-მუდარით და დაკინებით მიმართავდნენ დახმარებისათვის მეფის რუსეთს და მისგან მოითხოვდნენ სამხედრო და დიპლომატიურ დახმარებას[2]; მეორეს მხრივ კი ფარულ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ გამარჯვებულ ფრანგებთან რუსეთის ზურგს უკან[3]. ეს მოლაპარაკება დამთავრდა ლეობენის დაზავებაზე ხელის მოწერით (1797 წლის 7/18 აპრილს)[4].

---

[1] ავსტრიის მონარქიის სახელმწიფო მინისტრის თუგუტის ორიგინალურ დახასიათებას, თუმცა, უდაოდ, სუბიექტური მიდგომით, იძლევა იტალიელი (სარდინიელი) ავტორი გრეპი (Le Comte Joseph Greppi) ზემოდასახელებულ წიგნში „Révélations diplomatiques sur les relations de la Sardaigne avec l'Autriche et la Russie pendant la première et la deuxiéme coalitions". P., 1859. ყველა იმ უბედურობათათვის, რაც იტალიას, კერძოდ კი სარდინიას მიაყენა ავსტრიამ XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე ავტორი ბრალს სდებს თუგუტს. ავტორი ირონიით აღნიშნავს თუგუტის დაბალი სოციალური წრიდან გამოსვლას: იყო ღარიბი მენავის (batelier-ს) შვილი და მკონე საოცარი სახელის — Thunigut (გარეწარი, უსაქმური), რომელიც შემდეგ შეუცვალეს სახელით — Thugut (რაც ნიშნავს კარგად მოქმედებას). თუგუტმა მაშინ აიღო ძალაუფლება ხელში, როდესაც საფრანგეთის რევოლუციამ ყველა თავისი გადატრიალება მოახდინა. მას მოუხდა ყველაზე არისტოკრატიული სახელმწიფოს მართვა და საფრანგეთის რევოლუციის წინააღმდეგ, ევროპული დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლა. იხ. იქვე, გვ. 3—4.

[2] ამ დემარშის შესახებ ცნობას იძლევა გრაფი ა. კ. რაზუმოვსკი თავის 1797 წლის 28 მარტის წერილში ბეზბოროდკოსადმი. იხ. А. Васильчиков, Семейство Разумовских, ტ. 3, ნაწ. I, გვ. 237.

[3] თუგუტი დიდი მოხერხებით მალავდა ნაპოლეონთან წარმოებულ მოლაპარაკებას. იგი არწმუნებდა რუსეთის ელჩს რაზუმოვსკის, რომ ავსტრიელებს და ფრანგებს შორის არავითარი მოლაპარაკება არ წარმოებსო. რაზუმოვსკის, რომელიც ავსტრიის მთავრობის, კერძოდ თუგუტის გავლენის ტყვეობაში იმყოფებოდა, სჯეროდა მისი „მეგობრის" „გულწრფელი" აღიარებისა. А. Васильчиков, დასახ. ნაშრ., ტ. 3, ნ. I, გვ 233.

[4] ლეობენის დაზავება ხელმოწერილი იქნა ლეობენში (ავსტრიის ტერიტორიაზე) ნაპოლეონ ბონაპარტსა და ავსტრიის წარმომადგენელ მარკიზ გალოს შორის. ლეობენის დაზავებით ავსტრიელები ხელს იღებდნენ ნიდერლანდებზე და ლომბარდიაზე. პირველი გადადიოდა ფრანგების ხელში, მეორე, ოამდენადმე გაფართოვებული ვენეციის ხარჯზე, ფორმალურად ღებულობდა დამოუკიდებლობას. ფაქტიურად კი საფრანგეთის ხელში ეკცეოდა. ავსტრიელები სცნობდნენ აგრეთვე სავოისა და ნიცის საფრანგეთის ხელში გადასვლისა და ფრანგების მიერ მოდენის საჰერცოგოს დაპყრობის ფაქტს. ამის სანაცვლოდ ავსტრია ღებულობ-

ავსტრიის მთავრობამ მალე აცნობა რუსეთის სამეფო კარს ლეობენის დაზავებაზე ხელის მოწერა. მაგრამ, ვინაიდან რუსეთში არ მოელოდნენ საფრანგეთ-ავსტრიის ომის ასეთ ფინალს, ავსტრიის მთავრობას დასჭირდა თავის გამართლება. მან დაზავებაზე ხელის მოწერა პრუსიის საეკვო ნეიტრალიტეტით და ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკებით გაამართლა. დასასრულ, პეტერბურგის სამეფო კარის კეთილგანწყობილების უზრუნველსაყოფად ავსტრიის მთავრობა ისევ სთხოვდა რუსეთის იმპერატორს მომრიგებელი ფუნქციის შესრულებას საფრანგეთთან საბოლოო ზავის დასადებად და ზომებს პრუსიის „ბოროტ განზრახვათა" აღსაკვეთად[1].

მართალია, მეფის მთავრობას დიდად არასასიამოვნოდ დაურჩა ავსტრიის მიერ ლეობენის სეპარატულ დაზავებაზე ხელის მოწერა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან საჭიროდ სცნო თავი აერიდებინა ავსტრიასთან ურთიერთობის შემდგომი გართულებისათვის. ამიტომ მან შესაძლებლად მიიჩნია ისევ განეგრძო ბერლინისა და ვენის მთავრობებზე ზემოქმედების მოხდენა, მათი მორიგების მიზნით.

მოქმედებდა რა ასეთნაირად, რუსეთის მთავრობა შემდეგ ძირითად ამოცანებს ისახავდა: 1) იარაღის მომარჯვების წინ ერთხელ კიდევ დიპლომატიური „არხების" გზით ზღვარი დაედო საფრანგეთის ტერიტორიული გაფართოებისა და გავლენის შემდგომი ზრდისათვის საერთოდ, კერძოდ კი იტალიასა და გერმანიაში; 2) ხელი შეეშალა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებისათვის და მათ შორის ზავის დადებისათვის, რადგანაც იგი ზედმეტს გახდიდა რუსეთის მომრიგებლობას და შეასუსტებდა მის გავლენა-პოზიციებს გერმანიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში (ამიტომ იყო, რომ

და ვენეციას და ავსტრიასა და დალმაციას შორის მდებარე ადრიატიკის სანაპიროს. ზავის პირობები საფრანგეთსა და გერმანიის იმპერიის სპეციალურ კონგრესზე უნდა შემუშავებულიყო. იხ. А. Сорель, დასახ. ნაშრ., ტ. V, გვ. 130; Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I. გვ. 33—34.

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 34; პრინც პონიატოვსკის ცნობით ავსტრიის ელჩმა კობენცლმა, რომელმაც თავისი მთავრობის დავალებით პავლეს გადასცა ცნობა ლეობენის დაზავებაზე ხელის მოწერის შესახებ, თავისივე მთავრობის დავალებით დასძინა: ავსტრიის მთავრობას შეუძლია ამ ხელშეკრულების დარღვევა, თუ რუსეთი მოინდომებს დაეხმაროს თავის მოკავშირეს. ამის საპასუხოდ პავლეს მხრები აუჩეჩია და კობენცლისათვის უპასუხია შემდეგი: „თქვენ ჯერ კიდევ არ განგიცდიათ საკმაო დამარცხებები". იხ. Prince Poniatowski. Souvenirs, მოთავსებული ჟურნ. „Revue d'histoire diplomatique", 1895, ტ. 4, გვ. 529.

საფრანგეთ-ინგლისის ანტაგონიზმის გაღრმავების მიზნით რუსეთის დიპლომატია საფრანგეთს სთავაზობდა ნიდერლანდებს, რომლის საფრანგეთის ხელში გადასვლა შეასუსტებდა ინგლისის სტრატეგიულ პოზიციებს); 3) კიდევ უფრო გაეძლიერებინა თავისი გავლენა მთელ გერმანიაზე, ავსტრიაზე და თვით იტალიაზე. განემტკიცებინა თავისი ბატონობა დაპყრობილ პოლონურ ოლქებზე; 4) ამ გზით უზრუნველეყო თავისთვის არბიტრის როლი ევროპის კონტინენტის სახელმწიფოთა ურთიერთობაში და პარალელურად ამისა, მიეღო მოქმედების თავისუფლება აღმოსავლეთში[1].

საბჭოთა ისტორიკოსის ლანინის შეხედულებით, რუსეთის ცარიზმი რუსეთის უშუალო სახელმწიფოებრივი ინტერესების („იმპერიის საარსებო ინტერესების"—შილდერის გამოთქმით) რეალიზაციას ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში დიპლომატიური მეთოდების გამოყენებით ფიქრობდა. თუ რუსეთი უზრუნველყოფდა თავისი უპირატესი გავლენის დამყარებას ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობაში და თავისთვის ხელსაყრელ ძალთა შეფარდების შექმნას, მაშინ რუსეთის ცარიზმის ეს ჩანაფიქრი რეალიზებული იქნებოდა[2].

რუსეთის მთავრობა, როგორც უკვე აღნიშნული იყო ზემოთ, არ იყო დარწმუნებული დასახელებულ დიპლომატიური ნაბიჯების უეჭველ წარმატებაში. ამიტომ ეს მოლაპარაკება არ იყო მისი საგარეო პოლიტიკური საქმიანობის ერთადერთი გზა და მეთოდი. პარალელურად ამისა, პეტერბურგის სამეფო კარი აგრძელებდა ღონისძიებების მიღებას საზღვრების განსამტკიცებლად, ახალ სამხედრო შენაერთებს გზავნიდა დასავლეთი საზღვრებისაკენ და დიპლომატიური არხის მეშვეობით ინგლისთან და ევროპელ მოკავშირე მონარქებთან მუდმივ კონტაქტში იყო საფრანგეთის საწინააღმდეგო კავშირის ორგანიზაციის მიზნით.

პარალელური, სამშვიდობო-დიპლომატიური და სამხედრო-სტრატეგიული (თავისი დიპლომატური დანამატებით) საქმიანობა, რომელსაც პავლე I-ის მთავრობა ეწეოდა, თითქოს, იმაზე მიგვითითებს, რომ იგი ყოველმხრივ მზად იყო „ქვეყნის უშუალო ინტერესების დასაცავად" იარაღისათვის მოეკიდა ხელი, თუ მისი სამშვიდობო ნაბიჯები მარცხს განიცდიდა[3]. მაგრამ თვით ის

---

[1] Д. Мизютин, დასახ. ნაშრ., გვ. 135.

[2] Р. Лапин, დასახ. წერილი, დასახ. ჟურნ., გვ. 10.

[3] ასე ფიქრობს, მაგალითად, ლანინი. მისი აზრით, პავლე I მუდამ დარწმუნებული იყო თავის ძალაში, ამის გამო ხმლის გაშიშვლებას მხოლოდ მაშინ

გარემოება, რომ მთელი ერთი წლის მანძილზე (1796 წლის დასასრულიდან 1797 წლის დასასრულამდე) რუსეთის მთავრობამ იარაღზე წინ დიპლომატიური საქმიანობა დააყენა, იმაზე მიგვითითებს, რომ ქვეყნის საშინაო პირობები და ევროპაში შექმნილი ვითარება მაშინ რუსეთისათვის არ იყო ხელსაყრელი და რუსეთს რომ იარაღისათვის მიემართნა, ამისათვის მას გარკვეული დრო, ღონისძიებები და წინასწარი მზადება ესაჭიროებოდა. სწორედ ამით და არა პავლე I-ის ვითომდა მშვიდობიანობისადმი სიყვარულით (როგორც ფიქრობს ბევრი მისი აპოლოგეტი ისტორიკოსი) აიხსნება დიპლომატიური იარაღის წინა პლანზე წამოწევა იმ ეტაპზე [1].

3. ᲙᲐᲛᲞᲝ-ᲤᲝᲠᲛᲘᲝᲡ ᲨᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲠᲣᲡᲔᲗ-ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲖᲔ

ლეობენის დაზავებაზე ხელმოწერის დროიდან მეფის რუსეთის დიპლომატია თავის საქმიანობას წარმართავდა რამოდენიმე მიმართულებით: განაგრძობდა მოლაპარაკებას ბერლინში როგორც საფრანგეთთან, ისე პრუსიის მთავრობასთან. პირველთან წარმოებულ მოლაპარაკებას უნდა მოჰყოლოდა საფრანგეთ-რუსეთის შეთანხმება რუსეთის მიერ წამოყენებული პირობების საფუძველზე, მეორესთან კი — რუსეთის გავლენის გადიდება პრუსიაზე და მისი სამედიატორო მისიის ცნობა ავსტრია-პრუსიის ურთიერთობაში. ვენაში და იტალიის სახელმწიფოებში მიმდინარე მოლაპარაკების ღერძს აგრეთვე საფრანგეთის აგრესიის შემდგომი გაფართოების აღკვეთა და ავსტრიასა და იტა-

---

განიხრახავდა იგი, თუ ამას „სახელმწიფოს უშუალო ინტერესები" უკარნახებდა. იხ. P. Lanin, დასახ. ჟურნ., გვ. 14. ლანინს აქ ᲐᲠ უნდა დაესვა წერტილი. მას უნდა ეჩვენებინა ის ვითარება, რამაც რუსეთის მთავრობას მაშინ საფრანგეთის წინააღმდეგ იარაღით გამოსვლისაგან თავი შეაკავებინა.

[1] რომ მეფის რუსეთი ევროპის კონტინენტის უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელსაც, პირველ ყოვლისა, საკუთარი ძალის იმედი ჰქონდა, ეს ფაქტია და ამას თავის ადგილას ჩვენც ბევრი გავუსვამთ. ძირითადში მართალი იყო გრაფი პ. ვ. ზუბოვი, როცა გრაფ ა. რ. ვორონცოვს სწერდა: „Кто имеет за 30-ть миллионов народа, 80 м. доходов и 400 тыс. войска, тот может взирать спокойно на все настоящия превратности вдали в полной надежде на свой собственный счет". იხ. „Архив князя Воронцова", ტ. 12. გვ. 191.

ლიაში რუსეთის გავლენის შენარჩუნება წარმოადგენდა. რუსეთის მთავრობა ვენის მთავრობისაგან მოითხოვდა პრინციპულობა გამოეჩინა საფრანგეთთან მოლაპარაკების დროს, არ წასულიყო რაიმე არსებით დათმობაზე და გადაჭრით უკუეგდო საფრანგეთის ყველა მიღებული პრეტენზია. მოლაპარაკების ჩაშლის შემთხვევაში რუსეთი ავსტრიას სთავაზობდა ეფექტურ სამხედრო დახმარებას ფრანგებთან ბრძოლაში. ლონდონში გრაფ ს. რ. ვორონცოვის მეშვეობით რუსეთის დიპლომატია, ამავე დროს, ცდილობდა შეექმნა საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართული კავშირი და ამგვარად მზად ყოფილიყო საფრანგეთთან ომისათვის იმ შემთხვევაში, თუ მასთან მორიგების ცდა უშედეგოდ დამთავრდებოდა. მთელი ეს რთული დიპლომატიური თამაში ერთ მიზანს ემსახურებოდა: მის ფოკუსში მოქცეული იყო საფრანგეთთან შემდგომი ურთიერთობის საკითხი.

არა ნაკლებ ენერგიულ, რთულ და ფარულ დიპლომატიურ საქმიანობას ეწეოდა ვენის სამეფო კარი. იგი რუსეთს ერთგულებაში ეფიცებოდა, მისგან საჭირო შემთხვევაში სამხედრო დახმარების გარანტიას და პრუსიის ინტრიგების ალაგმვას მოითხოვდა, თანაც რუსეთის ზურგს უკან საფრანგეთის დირექტორიასთან ფარული მოლაპარაკება ჰქონდა გაჩაღებული საბოლოო ზავის პირობების შესამუშავებლად. საფრანგეთ-ავსტრიის მოლაპარაკება მიმდინარეობდა უდინოში (დროდადრო პასკრიანოშიც)[1].

საფრანგეთის რესპუბლიკის მხრივ (დირექტორიის სახელით) მისთვის ჩვეული ქედმაღლური მანერით მოლაპარაკებას აწარმოებდა ნაპოლეონ ბონაპარტი, ავსტრიის სახელით — მარკიზი გალო[2] (გრაფ მერფელდთან და ბარონ დეგელმანთან ერთად), შემდეგ კი ავსტრიის ელჩი პეტერბურგში გრაფი კობენცლი[3].

საფრანგეთ-ავსტრიის მოლაპარაკება მიმდინარეობდა დაძაბულ და საიდუმლოებით მოცულ ვითარებაში. იგი ტრაგიკომი-

---

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 37.

[2] ვინაიდან მარკიზი გალო წარმოშობით იტალიელი იყო, ნაპოლეონ ბონაპარტი კი კორსიკელი, ნაპოლეონი ხშირად ხუმრობდა: საფრანგეთის და იტალიის ბედს სწყვეტს ორი იტალიელი, ნეოპოლიტანელი და კორსიკელიო.

[3] გრაფი კობენცლის უდინოში ნაპოლეონთან მოლაპარაკების საწარმოებლად გაწვევის გამო, მისი ადგილი პეტერბურგში დროებით გრაფმა დ. ტ რ ი ხ შ ტ ა ი ნ მ ა დაიკავა.

კური მომენტებით იყო აღსავსე[1]. რუსეთისათვის და რამდენადმე ინგლისისათვის უცნობი იყო მოლაპარაკების დეტალები. მართალია, ბარონი თუგუტი თავის მოკავშირეებს დროგამოშვებით აწვდიდა ცნობებს უდინოში მიმდინარე მოლაპარაკების თაობაზე, მაგრამ ამას სჩადიოდა მეტად ოსტატურად და ცბიერად. იგი მალავდა მოლაპარაკების არსს, არაფერს ამბობდა რა იმ ტერიტორიული პრეტენზიების შესახებ, რომელნიც საფრანგეთმა ავსტრიასთან ზავის დადების პირობად წამოაყენა.

ავსტრიის მთავრობამ კარგად იცოდა, რომ მოლაპარაკების წარმატებით დამთავრება ადვილი არ იყო. ფრანგები გამარჯვებულნი იყვნენ. ისინი ახალი შეტევით იმუქრებოდნენ, თუ მათი ტერიტორიული მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ იქნებოდა. საომარი მოქმედების განახლებას კი ავსტრიაში ყოველმხრივ გაურბოდნენ, რადგან იცოდნენ, რომ იგი ავსტრიის იმპერიის კატასტროფით დამთავრდებოდა, თუ მას მოკავშირეები არ დაეხმარებოდნენ.

ამიტომ იყო რომ ავსტრიელები, განაგრძობდნენ რა ფრანგებთან მოლაპარაკებას, ამავე დროს ლონდონსა და პეტერბურგში ახალ და ახალ დემარშს ახდენდნენ. განსაკუთრებით აქტიობდნენ ისინი პეტერბურგში, სადაც რაზუმოვსკისა და დიტრიხშტაინის მეშვეობით ცდილობდნენ დაერწმუნებინათ რუსეთის იმპერატორი როგორც თავიანთ გულწრფელობაში, ისე ფრანგების აუტანელ ზვიადობასა და გადაჭარბებულ პრეტენზიებში. ყოველივე ეს მათ იმისათვის ესაჭიროებოდათ, რომ შეენარჩუნებინათ რუსეთის კეთილგანწყობილება, გაეფანტათ ის სამართლიანი ეჭვები, რომელთაც მათი პოლიტიკა იწვევდა იქ და მოლაპარაკების ჩაშლის შემთხვევაში მიეღოთ რუსეთის დახმარების გარანტია.

თუ კობენცლის და ბეზბოროდკოს ცნობებს ვერწმუნებით, ავსტრიის მთავრობა მაშინ არ მოითხოვდა სამხედრო დახმარებას რუსეთისაგან. ფრანგებთან ომის განახლების შემთხვევაში მას ფორმალურად სურდა თავი დაეზღვია პრუსიის შესაძლებელი მტრული გამოსვლისაგან და სწორედ რუსეთს სთხოვდა ეს მისია თავის თავზე აეღო[2].

---

[1] ამ მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ ცნობებს, რა თქმა უნდა, სუბიექტურს, იძლევა თვით ნაპოლეონ ბონაპარტი თავის მემუარებში იტალიის კამპანიის შესახებ. იხ. Наполеон, Избр. произведения, ტ. I, М., 1946, გვ 228—239.

[2] „Если война возобновится,—წერდა კობენცლი დიტრიხშტაინს თავის 1797 წლის 19 (30) აგვისტოს დეპეშაში, — то Венский Двор не будет про-

რუსეთის მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ მის ხელში იყო საფრანგეთ-ავსტრიის მოლაპარაკების ხელმძღვანელობა და მიისწრაფოდა ისეთი საზავო ხელშეკრულების დადებისაკენ, რომელიც ხელსაყრელი იქნებოდა მისთვის, თანაც საჭიროდ მიიჩნევდა გამოხმაურებოდა ავსტრიის სამეფო კარის მორიგ წარდგინებას. მან ავსტრიის მთავრობა დაარწმუნა, რომ რუსეთი კვლავინდებურად ერთგულია აღებული სამოკავშირეო ვალდებულებისა და საფრანგეთ-ავსტრიის მოლაპარაკების ჩაშლის შემთხვევაში მზადაა თავის მოკავშირეებს აღმოუჩინოს საჭირო დახმარება. რუსეთის სამეფო კარის პასუხი ავსტრიის მთავრობის მორიგ დიპლომატიურ დემარშზე მოცემულია პავლე I-ის 1797 წლის 6 სექტემბრის რესკრიპტში რაზუმოვსკისადმი [1].

ამის პარალელურად პავლე I-ის მთავრობამ სხვა ნაბიჯიც გადადგა. მან პანინს დაავალა პრუსიის მთავრობის წინაშე დაეყენებინა საკითხი ავსტრიის მიმართ შემარიგებლური კურსის აღების სასურველობის თაობაზე, რითაც ხელი უნდა შეეწყო საფრანგეთ-ავსტრიის მოლაპარაკების წარმატებისათვის [2]. პავლემ პირადი „მეგობრული“ წერილიც გაუგზავნა ამის გამო პრუსიის მეფეს [3].

сить помощи против Франции; но ему необходимо знать наверное, что Император Российский примет сторону Австрии, в случае каких либо покушений Пруссии распространить свои владения“. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I. გვ. 38. „Венский двор сделал к нам отзыв...,— წერდა ბეზბოროდკო გრაფ. ნ. პ. პანინს 1797 წლის 9 სექტემბრის წერილში, — что он от нас директно против французов никакой помощи не требует, а единственно желает, чтоб мы удержали короля Прусского от принятия деятельного против них участия...“ იხ. Сб. РИО. ტ. 29, გვ. 385—386.

[1] „Мы почитаем правилом, непреложным—ვკითხულობთ ამ რესკრიპტში,—исполнить обязательства с союзниками Нашими постановленныя, как того добрая вера требует и поколику собственная Империи Нашей безопасность дозволяет...“. იხ. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 59—60.

[2] პანინისადმი გაგზავნილი რესკრიპტი აგრეთვე 1797 წლის 6 სექტემბრით არის დათარიღებული. იხ. იქვე, გვ. 60.

[3] პრუსიის მეფისადმი გაგზავნილ წერილში პავლე I ერთხელ კიდევ სთხოვს მას ითანამშრომლოს რუსეთთან მშვიდობის საქმის საკეთილდღეოდ, დაიცვას გერმანიის იმპერიის მთლიანობა და ამით გაფანტოს ის არასასურველი ხმები, რომლებიც ბერლინის მთავრობის პოლიტიკის შესახებ არის გავრცელებული. იხ. Д. Милютин. დასახ. ნაშრ., ტ. I. გვ. 38—39; ტ. III. გვ. 60. ამ დემარშის შესახებ ავსტრიის მთავრობას ეცნობა პავლე I-ის 1797 წლის 18 სექტ. რესკრიპტით ა. კ. რაზუმოვსკისადმი. იხ. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 38—39, 40; ტ. III, გვ. 60.

მეფის რუსეთის დახმარებით დაიმედებულმა ავსტრიის საიმპერატორო კარმა გაუბედავი ნაბიჯები გადადგა, რათა უდინოს მოლაპარაკების პროცესში უფრო მეტი პრინციპულობა გამოეჩინა და საფრანგეთის დიქტატისათვის წინააღმდეგობა გაეწია. მაგრამ ეს ცდა დასაწყისშივე აღკვეთილ იქნა საფრანგეთის დელეგაციის საპასუხო ზომებით. ნაპოლეონ ბონაპარტი, რომელიც უდინოს მოლაპარაკების დროს საფრანგეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა და თვითნებურად მოქმედებდა, ომის განახლების შემთხვევაში დარწმუნებული იყო ავსტრიაზე გამარჯვებაში, რის გამოც არავითარ ანგარიშს არ უწევდა ავსტრიის კონტრწინადადებებს. იგი მოლაპარაკების მსვლელობის დროს შეურაცხყოფას აყენებდა კობენცლს და ავსტრიის დელეგაციის სხვა წევრებს, მიმართავდა ომის დაუყონებლივ განახლების შანტაჟს და სხვა მუხანათურ ხერხებს. ამით სურდა დაეძლია ავსტრიის გაუბედავი წინააღმდეგობა, დაემთავრებინა გაჭიანურებული მოლაპარაკება და თავისი წინადადებები ეკარნახა დამარცხებული ავსტრიისათვის [1].

მეფის რუსეთის დიპლომატიის აქტიურმა საქმიანობამ ავსტრიისა და პრუსიის მიმართ ამ ეტაპზე ვერ მიიღო სასურველი შედეგი. მან ვერ მოახერხა პრუსია-ავსტრიის ინტერესთა მორიგება, ვერ შესძლო შეენარჩუნებინა უდინოს მოლაპარაკების კონტროლი და ვერ წარმართა ავსტრიის საგარეო პოლიტიკა მისი ინტერესების შესატყვისად. უდინოს მოლაპარაკება დამთავრდა არა ისეთი შედეგებით, რომლებიც რუსეთის ინტერესებს შეესაბამებოდა და რომლებიც ავსტრიას კიდევ უფრო მეტად დაუქვემდე-

---

[1] რუსეთის დახმარებით დაიმედებულმა კობენცლმა გადაწყვიტა მეტი პრინციპულობა გამოეჩინა და წინააღმდეგობა გაეწია ნაპოლეონის მხარდა მოთხოვნებისათვის. ერთ-ერთი მორიგი საუბრის დროს კობენცლმა უკუაგდო ნაპოლეონის დაჟინებითი მოთხოვნა—მიღებული ყოფილიყო მისი ფორმულა—და, პირიქით, შეეცადა დაეშინებინა იგი ავსტრია-რუსეთის კოალიციის საფრთხით, იმ სამხედრო დახმარებით, რომელიც რუსეთმა ავსტრიას აღუთქვა. მაგრამ კობენცლის ამ მუქარამ არ გასჭრა. მან სულ სხვა ეფექტი მოახდინა ნაპოლეონზე, რომელმაც დაკარგა მოთმინება და წონასწორობა და აღშფოთებულმა შემდეგი სიტყვებით მიმართა კობენცლის: „თქვენი იმპერია ძველ მეძავს მიაგავს, რომელიც მიჩვეულია, რომ ყველა პატივს ხდიდეს მას... თქვენ გავიწყდებათ, რომ საფრანგეთმა გაიმარჯვა. თქვენ კი დამარცხებულნი ხართ.. თქვენ გავიწყდებათ, რომ თქვენ აქ ჩემთან მოლაპარაკებას აწარმოებთ ჩემი გრენადერებით გარშემორტყმულნი". მან ამასთან ერთად იატაკზე დაანარცხა პატარა მაგიდა, რომელზედაც იდგა ძვირფასი ფაიფურის ყავის კეთილი, რომელიც კობენცლს საჩუქრად ჰქონდა მიღებული ეკატერინე II-საგან. კეთილი დაიმსხვრა. E. Tarle, Наполеон, M., 1942, გვ. 43.

ბარებდა მის გაწლენას, არამედ სხვა, მისთვის არახელსაყრელი შედეგებით[1].

1797 წლის 6/17 ოქტომბერს კამპო-ფორმიოში (უდინოსა და პასერიანოს შუა მდებარე სოფელი) ნაპოლეონის ბანაკში საფრანგეთის წარმომადგენელმა ნაპოლეონ ბონაპარტმა, და ავსტრიის წარმომადგენელმა კობენცლმა[2] ხელი მოაწერეს პიროებებს, საბოლოო ზავისას, რომელიც კამპო-ფორმიოს ზავის სახელს ატარებს. ამ საზავო ხელშეკრულებით დამთავრდა ავსტრიასა და საფრანგეთს შორის 1792 წელს დაწყებული ომი. ავსტრია გამოვიდა პირველი ანტიფრანგული კოალიციიდან.

კამპო-ფორმიოს საზავო ხელშეკრულებას ჰქონდა 26 აუკარა და 14 ფარული მუხლი. ამ ხელშეკრულებით ავსტრია საფრანგეთს უთმობდა ბელგიას და ცნობდა ციზალპინის რესპუბლიკის შექმნას (ლომბარდიის, ვენეციის რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილის, მანტუის, მოდენის, მასის, კარარის და სამი სალეგატოს — ბოლონიის, ფერარის და რომანიის—შემადგენლობით); ვენეციის რესპუბლიკა წყვეტდა არსებობას. ვენეციის სამფლობელოებიდან ავსტრია ღებულობდა ქალაქ ვენეციას და ტერიტორიას მდინარე ადიჯეს მარცხენა ნაპირზე, საფრანგეთი — იონიის კუნძულებს და ტერიტორიას ბალკანეთზე (ვენეციელთა საგუშაგოებს ალბანეთში). ავსტრია ვალდებულებას კისრულობდა რაშტადტში გათვალისწი-

---

[1] ავსტრიის სამეფო კარი პეტერბურგის მთავრობასთან ერთად დიდ იმედებს ამყარებდა იმ როიალისტურ შეთქმულებაზე, რომელიც საფრანგეთში მზადდებოდა. მაგრამ ეს იმედები არ გამართლდა. 18 ფრუქტიდორის გადატრიალებამ ბოლო მოუღო როიალისტურ საფრთხეს, დროებით განამტკიცა დირექტორიის ხელისუფლება და მით საფრანგეთის რესპუბლიკის მტრებს ხელიდან გამოაცალა ერთ-ერთი იმედი. ავსტრიის კაპიტულაცია უდინოში და საფრანგეთის წინადადებების მიღება, ალბათ, დაჩქარა აღნიშნულმა გადატრიალებამ. გრაფ ა. კ რეხუმოვსკის 1797 წლის 5/16 სექტ. რელაცია პავლესადმი გაკვრით იძლევა ცნობებს ამის შესახებ. იხ. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 40; Дипломатический словарь, ტ. I, გვ. 730.

[2] ავსტრიის სამეფო კარის დიპლომატიის ფაქტიურმა ხელმძღვანელმა თუგუტმა თვალთმაქცურ ნაბიჯს მიმართა. მან ვითომდა ფრანგთა გადაჭარბებული პრეტენზიების გამო პროტესტის ნიშნად უარი განაცხადა ეკისრა პასუხისმგებლობა უდინოს მოლაპარაკების შედეგებისათვის. მან კამპო-ფორმიოს ზავზე ხელის მოწერის რამოდენიმე კვირის წინ მიატოვა მინისტრის პოსტი და მთელი პასუხისმგებლობა ხელშეკრულებაზე ხელმოწერისათვის კობენცლს დააკისრა. მან შეგნებულად გაითამაშა შეურაცხყოფილის როლი. ზავზე ხელმოწერის შემდეგ. იგი ისევ დაუბრუნდა სამინისტროს და თავისი პოსტი დაიკავა. იხ. А. Васильчиков, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 257.

ნებულ კონგრესზე ხელი შეეწყო საფრანგეთისათვის, რათა მას მიეღო რაინის მარცხენა ნაპირი. ავსტრია თანხმობას აცხადებდა მოდენის ჰერცოგისათვის ბრეისგაუს გადაცემაზე. ამ ორი თანხმობის საკომპენსაციოდ ავსტრია ღებულობდა ზალცბურგს და ბავარიის ტერიტორიის ნაწილს მდ. ინამდე. გარდა ამისა იგი ღებულობდა აგრეთვე ისტრიას და დალამაციას (ბალკანეთზე). რაინის მარცხენა ნაპირზე მდებარე გერმანული ტერიტორიების ფეოდალ მფლობელებს კომპენსაცია უნდა მიეღოთ რაინის მარჯვენა ნაპირზე სასულიერო მფლობელთა სამფლობელოების სეკულარიზაციის გზით. ხელშეკრულება, ამასთან ერთად, ითვალისწინებდა რაინის აუზში ავსტრიის რამდენიმე ციხე-სიმაგრის საფრანგეთის ხელში გადასვლას, მეორე მხარის ხელში გადასულ ტერიტორიებიდან ჯარის გამოყვანის წესს და ა. შ.[1].

კამპო-ფორმიოს საზავო ხელშეკრულება საფრანგეთის აგრესიის და დიპლომატიის სერიოზული წარმატება იყო. იგი ამტკიცებდა საფრანგეთის მიერ იარაღით მოპოვებულ გამარჯვებებს და ქმნიდა პირობებს, მისი შემდგომი დაპყრობებისა და ტერიტორიული გაფართოებისათვის. ამ ხელშეკრულებით საფრანგეთმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი გერმანიაში და იტალიაში და გზა გაიკაფა ევროპის ამ ნაწილებში ჰეგემონობისაკენ. იონიის კუნძულებისა და ალბანეთის სანაპიროს დაუფლებით მან შეიქმნა ხელსაყრელი პლაცდარმი შემდგომი აგრესიისათვის ბალკანეთზე, ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ, მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. ეს ხელშეკრულება მკვეთრად აძლიერებდა საფრანგეთის რესპუბლიკის გავლენას ევროპის მატერიკზე, აფართოებდა მას ტერიტორიულად და ამით ქმნიდა ძალთა ახალ შეფარდებას, ახალ ვითარებას ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობაში[2].

---

[1] Дипломатический словарь. ტ. I, გვ. 729—730; А. Сорель, დასახ. ნაშრ., ტ. 5, გვ. 205 (სქოლიო). კამპო-ფორმიოს საზავო ხელშეკრულების საიდუმლო მუხლების ასლი (ფრანგულ ენაზე) იხ. АВПР, ф. „Сношения России с Англией", 1799 г., д. 510. лл. 43—46. იგი დართული აქვს ს. რ. ვორონცოვის 1799 წლის 22 აპრილის (3 მაისის) რეფერენციას, სახელწოდებით: „Articles secrètes de Convention additionelle du traité de Campo-Formio du 26 Vendemiaire an 6".

[2] გასაგებია აღნიშნულის გამო, რომ ფრანგი ნაციონალისტი ისტორიკოსები, კერძოდ ნაპოლეონ ბონაპარტის აპოლოგეტები ქება-დიდებას ასხამენ ბონაპარტს ამ ხავის დადებისათვის. მათ შორის აღსანიშნავია ბარალი (Barral), რომელიც წერდა, რომ კამპო-ფორმიოს ხავის შედეგად საფრანგეთმა არნახულად გააფართოა თავისი ტერიტორია და გაელენაო. („Jamais la France n'avait

კამპო-ფორმიოს ზავზე ხელმოწერით ავსტრიის იმპერიამ ერთი შეხედვით თავი დააღწია ხანგრძლივ, მძიმე და ამ იმპერიის კატასტროფის პირამდე მიმყვან ომს. მან მოიპოვა ნანატრი მშვიდობა შედარებით მისაღებ და ნაკლებ დამამცირებელ პირობებში. ტერიტორიული ცვლილებების თვალთახედვით კამპო-ფორმიოს საზავო ხელშეკრულებით ავსტრიას, თითქოს, ბევრი არაფერი დაუკარგავს. მართალია, მან ხელი აიღო ზოგიერთ ტერიტორიაზე, მაგრამ მიიღო ეკვივალენტური ანაზღაურება იტალიაში და ბალკანეთზე. მისმა საზღვრებმა უფრო ერთიანი და დამრგვალებული სახე მიიღო. მაგრამ თუ რეალურად შევაფასებთ ამ ხელშეკრულებას და გავითვალისწინებთ მის პერსპექტივებს ავსტრიისათვის, მაშინ იგი უნდა მივიჩნიოთ ავსტრიისათვის მიუღებელ და მისი ინტერესების შემლახავ საზავო ხელშეკრულებად. კამპო-ფორმიოს ტრაქტატმა საფუძველი გამოაცალა ავსტრიის ბატონობას ჩრდილო იტალიაზე და მკვეთრად შეასუსტა მისი გავლენა და პოზიციები გერმანიის იმპერიაში. რაინის მარცხენა ნაპირის ფრანგებისათვის დათმობით ავსტრიამ გერმანიის მთლიანობაზე ხელყოფა მოახდინა და მით შექმნა მისი დანაწილების პრეცედენტი. იტალიაში პოზიციების დათმობით და იონიის კუნძულების, ისე როგორც ალბანეთის ნაწილის ფრანგებისათვის გადაცემით ავსტრიის მმართველებმა უგულებელყვეს თავიანთი სახელმწიფოს უშიშროების ინტერესები და მკვეთრად შეასუსტეს მისი პოზიციები. ამიერიდან ავსტრიას აღარ შეეძლო შეესრულებინა წინანდელი როლი ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

ვითვალისწინებთ რა ზემოაღნიშნულს, მივდივართ შემდეგ დასკვნამდე: კამპო-ფორმიოს საზავო ხელშეკრულება პალიატივური ხასიათის დიპლომატიური აქტი იყო. მას არ შეეძლო მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობიანობა დაემყარებინა ევროპაში, კერძოდ შეექმნა პირობები საფრანგეთ-რუსეთის მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, მით უფრო ხელი შეეწყო მათი დაახლოებისათვის.

---

obtenu des agrandissements de territoire aussi concidérables, ni acquis une pareille influence"). Barral, Etude sur l'histoire diplomatique...", ტ. I, ნაწ. II (1789—1815). გვ. 472. თვით ინგლისელი ავტორებიც თვლიან კამპო-ფორმიოს ზავს საფრანგეთის, კერძოდ ნაპოლეონის დიპლომატიის დიდ წარმატებად. „The treaty of Campo-Formio,— წერს ინგლისელი ისტორიკოსი მოუატი (Mowat), — was the first really big monument of Bonaparte's diplomacy". R. B. Mowat, The diplomacy of Napoleon, London, 1924, გვ. 48.

მშვიდობა, რომელიც მან დაამყარა ევროპის კონტინენტზე, მეტად ხანმოკლე და ურთიერთუნდობლობასა და მტრობაზე აგებული „შეიარაღებული“ მშვიდობა უნდა ყოფილიყო. მოუღო რა ბოლო ერთ ომს, ამ საზავო ხელშეკრულებას, წინააღმდეგობათა იმ რთული ხლართით, რომელიც მასში იმანენტურად იყო ჩაქსოვილი, ავსტრიასა და საფრანგეთს შორის ბოლოს და ბოლოს ახალი ომი უნდა შეემზადებინა.

კამპო-ფორმიოს საზავო ხელშეკრულება წარმოადგენდა ორ აგრესორს შორის დადებულ მტაცებლურ გარიგებას, რომელიც ახდენდა ტერიტორიულ გადანაწილებას ევროპაში ამ ტერიტორიების მოსახლეობისათვის ანგარიშის გაუწეველად, მათი საარსებო ინტერესების საზიანოდ. გარდა შიშველი ეგოისტური მიზნებისა, არავითარი სხვა სამშვიდობო ან მსგავსი მისწრაფებები არ ამოქმედებდათ ამ აქტზე ხელმომწერ სახელმწიფოებს. ეს ხელშეკრულება, ამასთან ერთად, წარმოადგენდა ორი აგრესორი სახელმწიფოს გარიგებას მესამე სახელმწიფოს ზურგს უკან მის საზიანოდ, იმ ქვეყნის საზიანოდ, რომელთანაც ერთ-ერთ ხელმომწერ მხარეს სამოკავშირეო ხელშეკრულება აკავშირებდა. ეს სახელმწიფო იყო ნეფის რუსეთი. დათმობები, რომლებზედაც ავსტრია კამპო-ფორმიოს ზავზე ხელმოწერისას საფრანგეთის მიმართ წავიდა, გერმანიის ან იტალიის საკითხში არსებითად წარმოადგენდა დათმობებს რუსეთის ხარჯზე. იგი მკვეთრად ლახავდა რუსეთის ინტერესებს, აძლიერებდა მის მოწინააღმდეგეს და ქმნიდა ახალ ფიცხ მასალას მათ ურთიერთობაში. რუსეთის დიპლომატიას არ შეეძლო გულხელდაკრეფილი შეხვედროდა და შერიგებოდა ამ ზავით მომხდარ ტერიტორიულ და პოლიტიკურ ცვლილებებს ევროპაში [1].

ის გამოხმაურება, რომელიც პეტერბურგის სამეფო კარზე კამპო-ფორმიოს საზავო ხელშეკრულებამ ჰპოვა, ცხადყოფს, რომ მეფის რუსეთის მთავრობამ და მისმა დიპლომატიამ სწორი შეფასება მისცა აღნიშნულ ხელშეკრულებას და ჯეროვნად შეაფასა ის ზიანი, რომელიც მას რუსეთის ინტერესებისათვის მოჰქონდა.

---

[1] არ შეიძლება არ დავეთანხმოთ საბჭოთა ისტორიკოს ლანინს, რომელიც, აფასებს რა კამპო-ფორმიოს ზავს და მის გავლენას რუსეთზე, წერს შემდეგს: „იტალიაში, გერმანიაში, მახლობელ აღმოსავლეთში, ყველა ადგილას, საითკენაც იყო მიქცეული რუსეთის დიპლომატიის ყურადღება, კამპო-ფორმიოს ზავმა, გააძლიერა რა იქ საფრანგეთის გავლენა, შელახა ცარიზმის უაღრესად საარსებო ინტერესები“. Р. Ланин, დასახ. წერილი, დასახ. ჟურნ., გვ. 21.

კამპო-ფორმიოს საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ პირველი ცნობა პეტერბურგში მიიღეს ა. რაზუმოვსკის მეშვეობით. ეს უკანასკნელი, აღნიშნავდა რა 1797 წლის 8/19 ოქტომბრის რელაციაში საფრანგეთ-ავსტრიის მოლაპარაკების დასრულების და ზავის დადების ფაქტს, არაფერს არ წერდა მისი შინაარსის შესახებ. ამიტომ იყო, რომ ამ რელაციამ პავლე I-ის გულისწყრომა გამოიწვია [1]. ოფიციალური ცნობა კამპო-ფორმიოს ზავზე ხელმოწერის შესახებ რუსეთის მთავრობამ უშუალოდ ავსტრიის მთავრობისაგან მიიღო ნოემბრის თვეში. გრაფმა დიტრიხშტაინმა თავისი მთავრობის მითითებით ა. ბეზბოროდკოს და ა. კურაკინს გააცნო კობენცლის წერილი საფრანგეთ-ავსტრიის მოლაპარაკების დასრულების თაობაზე და თვით ხელშეკრულების მუხლები (საიდუმლო მუხლების ჩათვლით).

ავსტრიის მთავრობა ერთგვარად ბოდიშს იხდიდა რუსეთის მთავრობის წინაშე იმის გამო, რომ საფრანგეთთან ხელშეკრულებაზე ხელმოწერა მოხდა სასწრაფო და ფარული წესით და ვერ იქნა დაცული პრელიმინარული ზავის პირობები, კერძოდ გერმანიის იმპერიის მთლიანობის დაცვის შესახებ („...le maintien de l'ancien état d'Allemagne et la stricte exécution des préliminaires...[2]). კიდევ მეტი: იგი ირწმუნებოდა, რომ არ იჩქარებდა ტრაქტატზე ხელმოწერას, რათა სცოდნოდა რუსეთის იმპერატორის ნაბიჯები, რაც ასე გამამხნევებელი იყო ავსტრიისათვის (კობენცლის სიტყვით, ცნობა რუსეთის იმპერატორის სათანადო ნაბიჯის შესახებ ძალზე დაგვიანებით იქნა მიღებული ვენაში). პრუსიის საფრთხე ვენის სამეფო კარს რეალური ეგონა, რის გამოც იგი იძულებული იყო მიეღო საფრანგეთის ყველა მოთხოვნა [2].

რათა ზავზე ხელმოწერით რუსეთში აღმოცენებული ანტიავსტრიული განწყობილება შეენელებინა, ავსტრიის მთავრობა, ბეზბოროდკოს სიტყვით რომ ვთქვათ, რუსეთის იმპერატორს ცბიერულად აღუთქვამდა: დაარღვევდა აღნიშნულ შეთან-

---

[1] რაზუმოვსკის ამ რელაციისა და პავლეს გულისწყრომის შესახებ ცნობებს ვპოულობთ ვიცე-კანცლერ თავად ა. ბ. კურაკინის 1797 წლის 8 ნოემბრის წერილში გრაფ ნ. პ. პანინისადმი. იხ. ЦГАДА, Ф. Паниных, д. 265, л.л. 9—15.

[2] გრაფ კობენცლის 1797 წლის 2 ნოემბრის (ახალი სტილით) დეპეშა ბეზბოროდკოსადმი. იხ. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 61, მე-32 და მე-33 შენიშვნები.

ხმებას, თუ რუსეთი რეალურ სამხედრო დახმარებას შეჰპირდებოდა მას [1].

ცნობამ კამპო-ფორმიოს საზავო ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შესახებ და ამ ხელშეკრულების აშკარა და ფარული მუხლების გაცნობამ მეტად არასასიამოვნო რეაქცია გამოიწვია პეტერბურგში. ამ ზავის პირობებმა მეფის რუსეთის მესვეურთა მოლოდინს გადააჭარბა. იგი მათ მიერ შეფასებულ იქნა როგორც საფრანგეთ-ავსტრიის გარიგება იტალიისა და გერმანიის ხარჯზე, როგორც რუსეთის „საარსებო" ინტერესების უგულებელყოფა და აბუჩად აგდება, როგორც ისეთი აქტი, რომელიც მიმართული იყო რუსეთის გავლენა-პოზიციების წინააღმდეგ. რუსეთის სამეფო კარზე ამ ხელშეკრულებაში დაინახეს აშკარა ღალატი იმ ვალდებულებათა მიმართ, რომლებიც ავსტრიას რუსეთთან სამოკავშირო ხელშეკრულებით ეკისრებოდა. ამიტომ იყო, რომ მეფის რუსეთის მესვეურებმა აშკარად გამოხატეს თავიანთი გულისწყრომა კამპო-ფორმიოს საზავო ხელშეკრულების დადების გამო. მათ განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი ავსტრიის მთავრობის მუხანათობას, რომელმაც არა თუ ზედმეტად მიიჩნია წინასწარ ეცნობებინა თავისი მოკავშირისათვის — რუსეთისათვის მომავალი ხელშეკრულების კონტურები, არამედ თვით მოლაპარაკების ფაქტიც კი დაუმალა მას.

რუსეთის მთავრობის ეს გულისწყრომა ნათლად გამოსჭვივის თვით პავლე I-ის რამდენიმე დიპლომატიურ რესკრიპტში, კანცლერ ა. ბეზბოროდკოს და ვიცე-კანცლერ ა. კურაკინის ცირკულარულ დეპეშებსა და წერილებში რუსეთის საზღვარგარეთელ ელჩებისადმი და სხვა დოკუმენტებში.

ვიცე-კანცლერი თავადი ა. ბ. კურაკინი აღშფოთებული იქო კამპო-ფორმიოს ზავით. მასში იგი ხედავდა ვენის სამეფო კარის ვერაგობას, მის მიერ აღებულ და საზეიმოდ გამოცხადებულ ვალდებულებათა უხეშ დარღვევას, გერმანიის იმპერიის მთლიანობის ხელყოფას [2].

---

[1] ავსტრია,—წერდა ბეზბოროდკო „спрашивает мыслей его величества и предъявляет готовность рушить сие постановление, если государь император обещает составить общее дело". იხ. ბეზბოროდკოს 1797 წლის 2 დეკემბრის წერილი გრაფ ს. რ. ვორონცოვისადმი. ЦГАДА, ф. Панивых, д. 269, лл. 2—4.

[2] „Из всех таковых постановлений, — წერდა იგი გრაფ პანინს, — явно видно коварство венского двора и что во всех своих столь часто и торжественно объявляемых правилах и обязательствах, вопреки досто-

კანცლერი ა. ბეზბოროდკო, მართალია, კამპო-ფორმიოს ზავთვლის ავსტრიისათვის მისაღებად და ამას ავსტრიის მიერ კომპენსაციის სახით მიღებულ ტერიტორიებზე მითითებით ასაბუთებს[1], მაგრამ ისიც მკაცრად გმობს ავსტრიის მთავრობას აღნიშნულ აქტზე ხელმოწერისათვის და ამას დაუფიქრებელ, ნაჩქარევ ნაბიჯად მიიჩნევს. ბეზბოროდკოს შეხედულებით, ავსტრიის სამეფო კარმა ამ ზავზე ხელმოწერით არა მარტო უმადურობა გამოიჩინა, არამედ ზიანი მიაყენა თავის თავსაც და რუსეთსაც, მისცა რა საფრანგეთს გერმანიაში თარეშისა და თურქეთზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა[2].

თავისი გულისწყრომა ავსტრიის სამეფო კარისადმი კამპო-ფორმიოს საზავო ხელშეკრულებაზე ხელმოწერის გამო რუსეთის იმპერატორმა პირველად გამოხატა 1797 წ. 26 ნოემბრის რესკრიპტით ა. რაზუმოვსკისადმი. ამ რესკრიპტში იგი სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს აღნიშნულ საზავო ხელშეკრულებას და ავსტრიის მთავრობას ბრალს სდებს თვალთმაქცობაში რუსეთის მიმართ[3]. ცოტა უფრო გვიან თავის ინსტრუქციაში (რესკრიპტში) თავად რეპნინისადმი, მისი ბერლინში ხელმეორედ გაგზავნასთან დაკავშირებით (1798 წლის 8 აპრილს) იმპერატორმა ერთხელ კიდევ ჩამოაყალიბა რუსეთის მთავრობის დამოკიდებულება კამპო-ფორმიოს ზავისადმი და ხაზგასმით აღნიშნა ავსტრიის სამეფო კარის ძუხანათობა რუსი მოკავშირის მიმართ[4].

ниства императора римского и защитника империи, нарушил первою невредимость Ея". იხ. ა. ბ. კურაკინის დაშიფრული წერილი ნ. ჯ. პანინისადმი, დათარიღებული 1797 წლის 14/25 ნოემბრით. ЦГАДА, ф. Паниных, д. 266, лл. 20—29

[1] წერილში გრაფ ს. რ. ვორონცოვისადმი 1797 წ. 23 ნოემბრის თარიღით. იხ. Сб. РИО, т. 29, гг. 387—388.

[2] „...властвовать над Портою и ею наносить вред при всяком случае..." Копия письма Его светлости А. А. Безбородко к графу С. Р. Воронцову... декабря 2-го 1798, ЦГАДА, ф. Паниных, д. 269; лл. 2—4. „Архив князя Воронцова", т. 13, гг. 380—382.

ასეთსავე შეფასებას აძლევს ამ ზავს ა. ა. ბეზბოროდკო, ს. რ. ვორონცოვისადმი 1797 წ. 25 ნოემბრის თარიღით გაგზავნილ მეორე წერილში: „Угодно было графу Кобенцлю слепить мир совсем несходный с нашими ожиданиями...",— წერს იგი აღნიშნული ზავის შესახებ. იხ. ЦГАДА, ф. Паниных, д. 269, л. 1.

[3] ЦГАДА, ф. Паниных, д. 329, лл. 43—45.

[4] „Сие постановление,—ვკითხულობთ იქ.— со стороны австрийцев почитаем мы действием самой мелкой и коварной политики". Архив внешней политики России

მოტანილი დოკუმენტებით ნათელი ხდება, რომ მეფის რუსეთის დიპლომატია პირველ რიგში ილაშქრებდა საზავო ხელშეკრულების იმ მუხლების წინააღმდეგ, რომლებიც აშკარად ლახავდნენ რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებს. კერძოდ: 1) იტალიის განაწილება და ფრანგების მიერ იტალიაში მკვიდრად ფეხის მოკიდება, რაც იწვევდა ფრანგების „დამანგრეველი" გავლენის გაძლიერებას და მათი ახალი აგრესიისათვის ხელის წაწყობას; 2) ვენეციის კუნძულების გადასვლა ფრანგთა ხელში, ოაც აძლიერებდა მათ პოზიციებს ხმელთაშუა ზღვის აუზში და შესაძლებლობას აძლევდა მათ ზემოქმედება მოეხდინათ საბერძნეთზე, ალბანეთზე და თვით თურქეთზე[1]. ყოველივე ეს რეალურ საფრთხეს უქმნიდა რუსეთის საარსებო ინტერესებს ბალკანეთსა და ჩთელ ახლო აღმოსავლეთში; 3) ტეშენის ტრაქტატის უგულებელყოფა, გერმანიის იმპერიის დანაწილებაზე გეზის აღება და ფრანგებისათვის რაინის მარცხენა ნაპირის დათმობა საფრთხეში აგდებდა რუსეთის ხელმძღვანელ როლს ამ იმპერიისადმი[2].

რევოლუციამდელ რუს ისტორიკოსთა და ნაწილობრივ თვით საბჭოთა ისტორიკოსებს შორის გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, თითქოს, კამპო-ფორმიოს ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა წარმოადგენდა ვერაგულ, მუხანათურ და სეპარატულ აქტს მისი ჩოკავშირის რუსეთის მიმართ, რომელიც აღებულ სამოკავშირეო ვალდებულებათა ერთგული იყო ყოველთვის. ასეთი დასკვნისათვის ითრითად წყაროს მათთვის წარმოადგენს რუსეთის ცარიზმის მესვეურთა მოტანილი შეხედულება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს აზრი არ არის მართებული და ისტორიული სინამდვილის სწორად ამსახავი. იგი პავლე I-ის მთავ-

---

МИДССР. ф. „Сношения России с Пруссией", 1798, д. 524. рескрипт Павла I князю фельдмаршалу Репнину, 8 апр. 1798 года, лл. 1—13; მოტანილი ციტატა მოთავს. გვ. 3—4; Милютин, დასახ. ნაშრომი, ტ. 3, გვ. 67—71

[1] „...где без сомнения постараются они возмутить греков и албанцев распространить зверские свои правила в Турции: если к несчастью в том преуспеют, и Порта, не усмотрев на угражаемую ей гибель, им в том не воспрепятствует, то можно легко заключить о пагубных следствиях ко вреду и нашему из того произойти могущих",—როგორც აღნიშნავდა თავადი ა. ბ. კურაკინი მოტანილ წერილში. იხ.ЦГАДА. ф. Панинных, д. 266, л 23; Материалы... ტ. 2. ნაწ. II, გვ. 405.

[2] Материалы... ტ. 2, ნაწ. 1, გვ. 405—406; Сборн. РИО, ტ. 26. გვ 435—436; ტ. 29, გვ. 389; Архив князя Воронцова, ტ. 13, გვ. 380—382: ЦГАДА ф. Панинных, д. 269, лл. 2—4, д. 266, лл. 22—29; Архив внешней политики России, ф. Сношения России с Пруссией, д. 524, лл. 1—13; Д. Милютин. დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 67—71.

რობის საგარეო პოლიტიკის შელამაზების და ამ პოლიტიკის გამართლების ცდას წარმოადგენს. რომ რევოლუციამდელ რუს ისტორიკოსთა ნაწილი ცდილობს გაამართლოს მეფის რუსეთის საგარეო პოლიტიკა, კერძოდ პავლე I-ის საგარეო პოლიტიკური ნაბიჯები და მასში პაციფისტური, უანგარო და თვით სამართლიანი მოტივი დაინახოს, ამაში არაფერი გასაკვირი არ არის. თავიანთი კლასობრივი მრწამსი და მსოფლმხედველობითი მიმართულება უკარნახებდა მათ ასეთი შეხედულებისაკენ. მაგრამ ასეთი რეციდივების ფეხის მოკიდება საბჭოთა ისტორიკოსებს შორის არაფრით არ არის გამართლებული.

რუსეთის ცარიზმი საერთოდ, კერძოდ კი პავლე I-ის მთავრობა ისეთივე დიპლომატიური ხერხებით და მეთოდებით მოქმედებდა, როგორც ევროპის ყველა სხვა სახელმწიფოს მთავრობები, კერძოდ, იმ ეტაპზე მისი მოკავშირე ავსტრიის მთავრობა. დინასტიური ინტერესები, სახელმწიფოებრივი ეგოიზმი, გავლენის სფეროების გაფართოება, ტერიტორიული დაპყრობები და სავაჭრო-ეკონომიურ და სამხედრო ბაზების მოპოვება, როგორც არაერთხელ იყო აღნიშნული, ამ სახელმწიფოთა გაბატონებული კლასების და რეაქციულ მთავრობათა საგარეო პოლიტიკის და დიპლომატიის მთავარი შინაარსი და ამოცანა იყო. მუხანათობა, ვერაგობა, სეპარატიზმი, ცბიერება, მუქარა და ა. შ. აღნიშნული პოლიტიკის განხორციელების ნაცადი მეთოდები იყო. ამ მეთოდებს იყენებდნენ ისინი საჭიროების შემთხვევაში თვით „გულთბილი ხელშეკრულებებით“ დაკავშირებულ მოკავშირეების მიმართაც კი. რა გასაკვირია, რომ ასე ემოქმედა ავსტრიის მთავრობას რუსეთის მიმართ საფრანგეთთან აღნიშნული ხელშეკრულების დადების დროს. „სახელმწიფოებრივი ეგოიზმი“, ან ქვეყნის ინტერესები ავსტრიის მეუფეურებმა უფრო მაღლა დააყენეს, ვიდრე სამოკავშირეო ვალდებულებები რუსეთის მიმართ. განა რუსეთის მთავრობაც ასე არ ექცეოდა თავის მოკავშირეებს საჭირო შემთხვევებში? ეკატერინე II-ის მთელი დიპლომატია ავსტრიის და პრუსიის მიმართ, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, სწორედ აღნიშნულ მუხანათურ და სეპარატულ მეთოდებზე იყო აგებული. ისე რომ ეს სახელმწიფოები ურთიერთის მიმართ ფალში არ რჩებოდნენ სამოკავშირეო ვალდებულებათა აბუჩად აგდების დროს.

კამპო-ფორმიოს ზავზე ხელმოწერა მისგან გამომდინარე შედეგებით მკვეთრად ლახავდა მეფის რუსეთის ინტერესებს, შლიდა მის უახლოეს გეგმებს ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში, ახალ „თავსატეხ მასალას“ უქმნიდა მას და ამდენად ავსტრიის მთავრო-

ბის მიერ მასზე ხელმოწერა მართლაც ვერაგული აქტი იყო რუსეთის მიმართ, ეს ფაქტია და მისი უარყოფა არ შეიძლება. მაგრამ ასეთი მოქმედება სავსებით კანონზომიერი იყო და ავსტრიის მთავრობის ბუნებიდან გამომდინარეობდა. ამავე დროს ავსტრიის მეზვეურებმა წარსულის გამოცდილებით კარგად იცოდნენ, რომ ასევე ექცეოდნენ მათ რუსი დიპლომატები, რომ რუსეთი არასოდეს უკან არ დაიხევდა მსგავსი მეთოდების გამოყენებისაგან. ბოლოს და ბოლოს, პავლე I-ის მთავრობა იმდენად იყო ავსტრიის მოკავშირე და „მეგობარი", რამდენადაც ამას მოითხოვდა თვით რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესები. რუსეთის სამეფო კარს სურდა ავსტრია იარაღად გამოეყენებინა რუსეთის საგარეო პოლიტიკის წინაშე იმ ეტაპზე მდგარ ამოცანების განხორციელების საქმეში. „მეგობარი", მოკავშირე და მოქიშპე-კონკურენტი სინონიმებს წარმოადგენდა ევროპის დიპლომატიის საქადრაკო დაფაზე და ავსტრიის მთავრობის ვერაგობაც, მაშასადამე, არავითარ მოულოდნელობას არ წარმოადგენდა.

როგორც აღენიშნეთ რუსეთის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელებმა კამპო ფორმიოს ზავი მართალია, შეაფასეს როგორც საარსებო ინტერესების ხელყოფა და ავსტრიის სამეფო კარის მუხანათური აქტი თავისი მოკავშირეებისადმი, მაგრამ გარკვეული მოსაზრებების გამო მათ თავი შეიკავეს ავსტრიასთან ურთიერთობის გაუარესებისაგან. ამ საზავო ხელშეკრულების წინააღმდეგ აშკარა გამოსვლას შეეძლო შემდგომი ზიანი მიეყენებინა რუსეთის გავლენისათვის ევროპაში და ახალი გართულებები შეექმნა მისი დიპლომატიისათვის.

კამპო-ფორმიოს საზავო ხელშეკრულების დადებამ მეფის რუსეთის მთავრობას საბოლოოდ დაანახვა დიპლომატიურ ღონისძიებათა არასაკმარისობა რუსეთის საგარეო პოლიტიკის წინა პლანზე წამოყენებულ მაშინდელ ამოცანათა გადასაწყვეტად. დიპლომატიურ იარაღთან ერთად მას უფრო ეფექტური იარაღი—საომარი იარაღი, არმია და ფლოტი უნდა აემოქმედებინა, ამით მას უნდა აღეკვეთა საფრანგეთის აგრესიის გაფართოებით აღმოცენებული საფრთხე. სწორედ ამ ახალმა ვითარებამ რუსეთისათვის ზედმეტი გახადა საფრანგეთთან უნაყოფოდ წარმოებული მოლაპარაკების შემდგომი გაგრძელება და, პირიქით, დღის წესრიგში დააყენა მასთან ომის გარდუვალობა. მაგრამ 1797 წლის მიწურულისათვის, როდესაც დაიდო კამპო-ფორმიოს საზავო ხელშეკრულება, პირველი ანტიფრანგული კოალიცია ფაქტიურადაც და ფორმალურადაც

დაშლილი იყო. რუსეთის მთავრობას საფრანგეთის წინააღმდეგ ომის დაწყება მხოლოდ მაშინ შეეძლო, თუ მას გარდა ინგლისისა, ევროპის კონტინენტზედაც ეყოლებოდა მოკავშირე, ე. ი. თუ შემზადდებოდა ახალი ანტიფრანგული კოალიცია. ევროპის კონტინენტზე კი მისი პირველი ბუნებრივი მოკავშირე საფრანგეთის წინააღმდეგ ავსტრია უნდა ყოფილიყო. კამპო-ფორმიოს ტრაქტატის აშკარა დაგმობას და ავსტრიის მთავრობის საჯაროდ გაკიცხვას შეეძლო გამოეწვია როგორც რუსეთ ავსტრიის ურთიერთობის გაუარესება. ისე საფრანგეთ-ავსტრიის შემდგომი დაახლოება, მათი ახალი გარიგება იტალიის, გერმანიის და თვით რუსეთის ხარჯზე. ამას, თავის ბრივ, შეეძლო გაეძლიერებინა პრუსიის სწრაფვა საფრანგეთისაკენ და მათ შორის სამხედრო-„თავდაცვითი“ კავშირის აღმოცენება, რომლის მახვილი რუსეთის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. დასასრულ, ყოველივე ამას შეიძლებოდა მოჰყოლოდა თურქეთის მტრული გამოსვლა რუსეთის წინააღმდეგ. ასეთი პერსპექტივა, რა თქმა უნდა, მეტად არასახარბიელო იქნებოდა რუსეთის ცარიზმისათვის. იგი რუსეთის მიერ ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში მოპოვებულ როლს და გავლენას დიდად შეარყევდა.

ანტიფრანგული კოალიციის შემზადება და საფრანგეთთან ომზე კურსის აღება პავლე I-ის მთავრობის წინაშე მთელ რიგ გადაუდებელ ამოცანებს აყენებდა. ამისათვის საჭირო იყო ფინანსების, ჯარისა და ფლოტის სავსებით წესრიგში მოყვანა (მათი „მობილიზაცია“)[1] და ახალი დიპლომატიური ღონისძიებები მოკავშირეთა შესაძენად. ეს კი გარკვეულ დროს მოითხოვდა. ყოველივე ზემოაღნიშნულმა პავლე I ის მთავრობას უკარნახა თავდაჭერილობა და ავსტრიასთან ურთიერთობის გამწვავებისაგან თავის შეკავება. მან რუსეთი აიძულა კამპო-ფორმიოს ზავთან დაკავშირებით ლოდინის ტაქტიკას დადგომოდა, თვალყური ედევნებინა საფრანგეთ-ავსტრიის ურთიერთობის განვითარებისათვის მომავალში; კერძოდ, დალოდებოდა რაშტადტის კონგრესის შედეგებს და მანამდე არ აეღო ამ ურთიერთობის გაუარესების ინიციატივა. საფრანგეთთან მომავალში ომის გარდუვალობასთან დაკავშირებით

---

[1] ამ მხრივ ყურადსაღებია ბეზბოროდკოს უკვე მოტანილი წერილი ს რ. ვორონცოვისადმი, რომელიც რუსეთის მიერ ახალ ომში მონაწილეობის ძიღების ერთ-ერთ პირობად მიიჩნევს ფინანსების, არმიისა და მატერიალური რესურსების მომზადებას იხ. **Архив князя Воронцова**, ტ. 13, გვ. 376—379; Сб. РИО, ტ. 29, გვ. 389.

საჭირო დიპლომატიური თუ სხვა ღონისძიებების განხორციელებამ მეფის რუსეთის დიპლომატია აიძულა კიდევ უფრო მეტი ტაქტი გამოეჩინა ავსტრიასთან და პრუსიასთან ურთიერთობაში და ავსტრია-რუსეთის ურთიერთობაში შესაძლებელი ცვლილებების ინიციატივა მომავალში ავსტრიის სამეფო კარისათვის დაეთმო. მეფის რუსეთის პოლიტიკა და კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რით დამთავრდებოდა რაშტადტის კონგრესი და როგორ განვითარდებოდნენ მოვლენები მომავალში [1].

პეტერბურგის სამეფო კარი, აღნიშნულის გამო, დაკმაყოფილდა მომხდარი ფაქტის კონსტატაციით, ოფიციალურად არ აცნობა ვენას თავისი გულისწყრომა და სხვის საქმეებში ჩაურევლობის პოზა მიიღო. მან, პირიქით, ავსტრიას მომავალშიც აღუთქვა მეგობრობა და სამოკავშირეო ვალდებულებების შესრულება საჭირო შემთხვევაში, თანაც ურჩია ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებათა ერთგული ყოფილიყო, ხელი შეეწყო მისი სიმტკიცისათვის და თავი აერიდებინა ახალ შფოთისათვის [2].

საფრანგეთის რესპუბლიკის აგრესიის მორიგმა წარმატებამ ავსტრიასთან ომში და კამპო-ფორმიოს ზავზე ხელმოწერამ, რომელმაც კიდევ უფრო გააფართოვა საფრანგეთის გავლენა და პოზიციები გერმანიაში, იტალიასა და ადრიატიკის ზღვის აუზში, როგორც აღვნიშნეთ, ახალი ვითარება შექმნა ევროპაში. ამ ახალმა ვითარებამ უშუალო გავლენა მოახდინა რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაზე. მან ფაქტიურად ჩაშალა რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების ცდები. შეუძლებელი გახადა მშვიდობიანი გზით მათი შორიგების შესაძლებლობა და მით დააჩქარა ახალი მობრუნება მათ ურთიერთობაში. მეფის რუსეთის მთავრობან ამიერიდან სა-

---

[1] „...теперь остается ожидать,—როგორც წერდა ბუბბოროდკო უკვე მოტანილ წერილში გრაფ ს. რ. ვორონცოვისადმი,— на назначенном конгрессе общей развязки, дабы дальнейшие поступки свои государь и император мог учредить, как то достойство его востребует..." Сборн. РИО. ტ 29, გვ. 389—390.

[2] რუსეთის მთავრობის აღნიშნული თვალსაზრისი განვითარებულია პაველ I-ის, ბუბბოროდკოსა და კურაკინის მითითებულ რესკრიპტებსა და წერილებში. იხ. Сборн. РИО, ტ. 26, გვ. 435—436, ტ. 29, გვ. 389; Архив князя Воронцова, ტ. 13, გვ. 380—382; ЦГАДА, ф. Панины, д. 260, лл. 20—29; Материалы... ტ. 2, ნაწ. II, გვ. 405—406; კურაკინი 1798 წლის 15 იანვრის წერილში ნ. პ. პანინისადმი წერდა: რუსეთს განზრახვა არ აქვს ხელი აიღოს ავსტრიასთან მეგობრობაზე. Брикнер, Материалы..., ტ. 2, ნაწ. I, გვ. 436—439.

კუთარი ინტერესების და პოზიციების დაცვა და საფრანგეთის მზარდი აგრესიის აღკვეთა იარაღისათვის ხელის მოკიდებას დაუკავშირა. ამასთან დაკავშირებით ბერლინის მოლაპარაკება, რომელიც თუმცა ფაქტიურად ჩაშლილი იყო, მაგრამ ფორმალურად ჯერ კიდევ არ იყო ლიკვიდირებული, თავის ფინალურ აქტამდე უნდა მისულიყო.

როგორც ცნობილია, რუსეთის ფეოდალური არისტოკრატიის ერთი ჯგუფი, რომელიც საფრანგეთის რესპუბლიკისადმი სიძულვილით იყო გაჟღენთილი და ანტიფრანგული კავშირის შექმნაზე ოცნებობდა (გრაფი ს. რ. ვორონცოვი, გრაფი ნ. პ. პანინი, თავადი ა. ბ. კურაკინი, კრიუდენერი და სხვ.), ისედაც დაჟინებით ილაშქრებდა საფრანგეთთან მოლაპარაკების წინააღმდეგ. ეს დაჯგუფება უნაყოფოდ მიიჩნევდა ამ მოლაპარაკებას, ხელს უშლიდა მის ნორმალურ წარმართვას და მოითხოვდა მის შეწყვეტას. ახალმა ვითარებამ, რომელიც 1797 წლის დასასრულისათვის შეიქმნა, კიდევ უფრო გააძლიერა ამ დაჯგუფების თავდასხმები საფრანგეთთან შეთანხმების ზონდაჟის წინააღმდეგ [1].

როგორც კურაკინისადმი გაგზავნილი ინტიმური წერილებიდან სჩანს, ნ. პ. პანინი კაიართან მოლაპარაკების დროს ძალზე უსულგულოდ ასრულებდა თავის მოვალეობას და თავის დასმენებში მუდამ ხაზს უსვამდა ფრანგებთან საერთო ენის გამონახვის შეუძლებლობას.

ფრანგების მიერ რუსეთის კონსულის შეპყრობამ შეაჩერა ბერლინის მოლაპარაკება, მაგრამ სავსებით არ ჩაუშლია იგი. თვით კამპო-ფორმიოს ზავის დადების შემდეგაც აქვს ადგილი ამ მოლაპარაკების გაგრძელების ცდას, უპირატესად საფრანგეთის ინიციატივით. რუსეთის მთავრობა და პირადად პავლე I კი საჭიროდ მიიჩნევენ აღნიშნული მოლაპარაკების ფორმალურ გაგრძელებას და სათანადო მითითებას აძლევენ ნ. პ. პანინს [2]. 1797 წლის და-

---

[1] ამის ნათელსაყოფად მეტად საინტერესოა გრაფ ნ. პ. პანინის და თავად ა. ბ. კურაკინის მიწერ-მოწერა, რომელიც ინტიმურ ხასიათს ატარებდა და შიფრით წარმოებდა. ამ მიწერ-მოწერაში გამოვლინებულია მათი აშკარა სიძულვილი და შეურიგებლობა ბერლინის მოლაპარაკებისა და საერთოდ ფრანგებთან შეთანხმების შესაძლებლობისადმი. იხ. კურაკინის 1797 წლის 27 ნოემბრის წერილი ნ. პ. პანინისადმი, პანინის საპასუხო წერილი 29 ნოემბრის (10 დეკ.) თარიღით და კურაკინის მეორე წერილი პანინისადმი 1798 წლის 24 მარტის (4 აპრილის) თარიღით. Материалы... ტ. 2, გვ. 411—414; ტ. 3, გვ. 221—222.

[2] პავლე I-ის 1797 წლის 18 დეკემბრის და 1798 წლის 25 იანვრის რესკრიპტები გრაფ ნ. პ. პანინისადმი. იხ. ЦГАДА, ф. Панины, д. 262, лл. 26—27; Материалы... ტ. 2, გვ. 332—333.

სასრულიდან ბერლინის მოლაპარაკება რუსეთის ცარიზმისათვის ერთგვარ ნიღაბს წარმოადგენდა, რომელსაც უნდა დაეფარა ის დიპლომატიური საქმიანობა, რომელიც უკვე საფრანგეთის წინააღმდეგ იყო მიმართული და ახალი ანტიფრანგული კოალიციის ორგანიზაციას ისახავდა მიზნად. როდესაც რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში ახალმა ფიცხმა მასალამ იჩინა თავი, ბერლინში ფორმალურად წარმოებული მოლაპარაკება სავსებით შეწყდა. ეს მოხდა 1798 წლის დასაწყისში [1].

ბერლინის მოლაპარაკების შეწყვეტით გაწყდა ის უკანასკნელი ძაფი, რომელიც რუსეთსა და საფრანგეთს აკავშირებდა ერთმანეთთან. ამიერიდან მეფის რუსეთის მთავრობა გეზს იღებს სულ სხვა ხასიათის დიპლომატიურ საქმიანობაზე: მისი დიპლომატიური საქმიანობის ცენტრში საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ევროპის სახელმწიფოთა ახალი კოალიციის მოწყობის საქმე ექცევა [2].

ობიექტურმა ფაქტორებმა და ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა ახალი ამოცანები დააყენეს რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში.

---

[1] კაიარის და გრაფ ნ. პ. პანინის უკანასკნელი „შემთხვევითი" შეხვედრ მოეწყო 1798 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში იმავე პარკში, სადაც ისინი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. ამ უკანასკნელი შეხვედრის შესახებ ცნობები მოცემულია გრაფ ნ. პ. პანინის 1798 წლის 30 იანვრის (10 თებერვლის) რელაციაში პავლე I-სადმი. იხ. Архив ВПР, ф. „Сношения России с Пруссией", д 512 л.л. 113—114.

[2] ტატიშჩევი ზემოთ დასახელებულ ვრცელ წერილში ნაპოლეონისა და პავლ I ის ურთიერთობის შესახებ, როგორც საფრანგეთ-რუსეთის კავშირ-მეგობრობი მოტრფიალე, გულისტკივილით აღნიშნავს ბერლინის მოლაპარაკების ჩაშლას მოლაპარაკების ჩაშლაში იგი თანაბრად ბრალს სდებს როგორც რუსეთის ცარიზმს ისე საფრანგეთის დირექტორიას. აღნიშნული მოლაპარაკება, მისი აზრით, წარმატებით დამთავრდებოდა და საფრანგეთ-რუსეთს შორის კავშირ-მეგობრობის ხელშეკრულება დაიდებოდა, რომ მხარეებს მეტი მონდომება და ურთიერთ-დათმობებს წასვლის მზადყოფნა გამოეჩინათ. იხ Tatistcheff. Paul et Bonaparte „La Nouvelle Revue", 1887, ტ. 47, მე-3—4 წიგნი, გვ. 663—664. მაგრამ კითხვა ისმის, შეიძლებოდა თუ არა ბერლინის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრება იმ ვითარებაში? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა.

თ ა ვ ი V

მეფის რუსეთის მიერ- საფრანგეთის წინააღმდეგ ომზე გეზის აღება. პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა მეორე ანტიფრანგული კოალიციის შესაქმნელად

1. ბრძოლა „შინაგან ფრონტზე". ფრანგი ემიგრანტებისადმი დახმარების გაძლიერება. კონდეს კორპუსისა და პროვანსის გრაფის მიწვევა რუსეთში

1798 წლის დასაწყისიდან, როდესაც ბერლინის უნაყოფო მოლაპარაკება შეწყდა და რუსეთსა და საფრანგეთს შორის ომი გარდუვალი გახდა, პავლე I-ის მთავრობამ ამ ვითარების შესაბამისად მკაფიოდ გამოხატული ანტიფრანგული კურსი აიღო. მან ხელი მიჰყო საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ დიპლომატიურ და სხვა სასიათის ღონისძიებების განხორციელებას და „ზურგის" განმტკიცებასთან დაკავშირებული ზომებიც მიიღო, კერძოდ: გააძლიერა ბრძოლა საფრანგეთის რესპუბლიკის „ძირგამომთხრელი" გავლენის წინააღმდეგ; გააორკეცა დახმარება ფრანგ ემიგრანტებისადმი და მოიწვია რუსეთში საფრანგეთის ტახტის მაძიებელი პროვანსის გრაფი და მისი ამალა; მან, ამასთან ერთად, გაიწვია რუსეთში პრინც კონდეს ემიგრანტული კორპუსი, ჩარიცხა იგი რუსეთის არმიის რიგებში და სახელმწიფო კმაყოფაზე აიყვანა.

საფრანგეთის რევოლუციისადმი სიძულვილში, საფრანგეთისადმი ანგარიშის გასწორების მისწრაფებაში პავლე I გაცილებით უფრო თანამიმდევარი და ენერგიული იყო, ვიდრე მისი წინამორბედი ეკატერინე II. რევოლუციისადმი სიძულვილმა და შიშმა, ერთსა და იმავე დროს, უბიძგა პაველს უკიდურესობამდე განევითარებინა ტერორისა და რეპრესიების ის პოლიტიკა, რომელიც ეკატერინემ გამოიყენა არსებული სოციალური სისტემის დასაცავად. ახალმა იმპერატორმა ტერორისა და რეპრესიების პოლიტიკა სისტემად აქცია. უსასტიკესი რეპრესიებითა და ტერორით ფიქ-

რობდა პავლე I სავსებით „დაეხურა“ რუსეთის იმპერიის კარები ყოველგვარი „გადამდები სენისა“ და უცხოური გავლენისაგან. ამ მხრივ მას საზღვარი არ გააჩნდა, მან არ იცოდა ნორმა და თავშეკავება. ტყუილად კი არ წერდა გერცენი, რომ პავლე I სიგიჟემდე მიჰყავდა მძულვარებას რევოლუციისადმი და იმის შიშს, რომ ამ რევოლუციის პრინციპებს არ შეეღწია მის იმპერიაში[1].

პავლე I-ის უპრინციპო და არათანმიმდევრულ პოლიტიკაში, ა. პანინის თქმით, მხოლოდ ერთი რამ იყო ცხადი და გასაგები: რევოლუციური იდეების, იაკობინობის დევნა რუსეთში[2].

პავლეს ბრძანებით სინჯავდნენ საზღვარგარეთიდან გამოგზავნილ ყველა საქმიან და პირად ბარათს და ეძებდნენ მასში ძირგამოთხრელი საქმიანობის კვალს. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგზე, რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომთა ყოველგვარ საქმიანობაზე დაწესდა სასტიკი მეთვალყურეობა, რომლის მიზანი იყო რევოლუციური იდეების ყოველგვარი ჩანასახის დასაწყისშივე პარალიზება და აღკვეთა[3].

რევოლუციის აჩრდილისა და „დამღუპველი გავლენის“ წინააღმდეგ ბრძოლაში პავლე I ამკარა კურიოზებამდე მიდიოდა. მან, მაგალითად, აკრძალა მრგვალი ქუდის ტარება, ფრაკის ჩაცმა, ზოგიერთი ფრანგული მოდის ფეხსაცმელი და სხვა უცხოური (უმთავრესად ფრანგული) მოდები. პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორს ევალებოდა უმკაცრესი ზომები მიეღო „უდისციპლინოთა“ წინააღმდეგ და ქუჩებსა და მოედნებზე დაესაჯა ამ განკარგულების დამრღვევნი[4]. იმპერატორმა პავლემ,—წერს თავის მემუარებში

---

[1] А. И. Герцен, Полное собрание сочинений, под редакцией М. К. Лемке, М.—Л., 1923, т. 20, გვ. 215.

[2] А. Панин, Общественное движение в России при Александре I, СПб., 1900, გვ. 53.

[3] М. Клочков, დასახ. ნაშრ., გვ. 125 და 135.

[4] ნ. შილდერის ცნობით პეტერბურგის მაშინდელმა გენერალ-გუბერნატორმა ნ. არხაროვმა პავლე I ის უახლო განკარგულება მრგვალი ქუდების, ფრაკებისა და ჟილეტების ტარების აკრძალვის შესახებ მთელი სისასტიკით და პედანტური სიხუსტით შეასრულა. მან ოთასამდე ჯარისკაცი და დრაგუნი გამოჰყო, დაჰყო ჯგუფ-ჯგუფად და პეტერბურგის ქუჩებში გაუშვა. ისინი დარბოდნენ ქუჩებში, „...გამვლელებს თავიდან ჰგლეჯდნენ მრგვალ ქუდებს და ნაკუწ-ნაკუწად აქცევდნენ. ფრაკებს სახელოებს ახევდნენ... კამპანია სწრაფად და გამარჯვებით დამთავრდა; დღის 12 საათისათვის უკვე ვეღარ ნახავდით მრგვალ ქუდებს, ფრაკებსა და ჟილეტებს და პეტერბურგის ათასობით მცხოვრები უქუდოდ. შემოხეული ტანისამოსით, ნახევრად შიშველი მიჩანჩალებდა ბინისაკენ“. Н. Шильдер, Император Александр I..., გვ. 102.

ადამ ჩარტორიესკი,—„აკრძალა მრგვალი ქუდის ტარება, რადგან იგი მას მიაჩნდა ლიბერალიზმის ნიშნად. თუ ვინმე იმ ხალხში, რომელიც აღლუმს ესწრებოდა, გამოჩნდებოდა მრგვალი ქუდით, ადიუტანტები მაშინვე გაეკიდებოდნენ დამნაშავეს, რომელიც, რაც შეეძლო, გარბოდა, რათა თავი დაეღწია ჯოხით ცემისათვის“ [1]. პავლეს სურდა სავსებით ამოეღო ხმარებიდან სიტყვები: „წარმომადგენლები“, „საზოგადოება“, „მოქალაქე“ (მოქალაქის ნაცვლად უნდა ეხმარათ სიტყვა „მცხოვრები“, „სამშობლოს“ ნაცვლად— „სახელმწიფო“, „რანგი – ხარისხი“ უნდა შეცვლილიყო „კლასით“ და ა. შ.), მან გასცა განკარგულება ოთხი ოფიცრის დატუსაღების შესახებ მხოლოდ იმისათვის, რომ მათ თმა რამდენადმე უფრო მოკლედ ჰქონდათ შეკრეჭილი, ვიდრე ეს დაწესებული იყო საერთოდ ოფიცრებისათვის. ცნობილია, რომ პავლემ რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში მოგზაურობისას თავის ეტლიდან გააგდო სახელმწიფო მდივანი ნ ე ლ ე დ ი ნ ს კ ი მხოლოდ იმისათვის, რომ მან იმპერატორთან საუბარში იხმარა კანონგარეშე გამოცხადებული სიტყვა „წარმომადგენლები“, რაც „გვირგვინოსანმა დესპოტმა“ დიდ დანაშაულად ჩაუთვალა მას [2].

პეტერბურგში, მოსკოვსა და იმპერიის სხვა ქალაქებში მცხოვრებ უცხოელ ვაჭრებზე, მოგზაურებსა და სხვა პირებზე, რათა „თავისებური სული“ არ გაევრცელებინათ, სასტიკი საპოლიციო ზედამხედველობა იქნა დაწესებული. მათ შორის „მეშჩანურ და საეკვო“ ელემენტებს აძევებდნენ საზღვარგარეთ და სასტიკი სასჯელის შიშით უკრძალავდნენ უკან დაბრუნებას [3]. 1798 წლის 28 ივნისს გამოქვეყნდა სენატის მიმართ იმპერატორის ბრძანებულება, რომელიც ითვალისწინებდა იმპერიის საზღვრებთან (კერძოდ დასავლეთის საზღვართან) დაცვის ღონისძიებათა გაძლიერებას და იმ უცხოელთათვის სპეციალური საშვების შემოღებას (ისიც პავლე I-ის ნებართვით), რომელთაც რუსეთში ვაჭრობა სურდათ. აღნიშნული ბრძანებულებით რუსეთში შესვლის უფლება ეძლეოდათ მხოლოდ იმ უცხოელ ვაჭრებს (გარდა ფრანგებისა), რომელთაც ექნებოდათ რუსეთის სათანადო ელჩების ან კონსულების ნებართვა, რომელიმე სავაჭრო ფირმის რეკომენდაცია და პასპორტი. რუსეთ-

---

[1] Хрестоматия по СССР, т. 2, М., 1953. გვ. 377; იხ. აგრეთვე А. Корнилов. Курс истории России XIX века, ч. 1—2, М., 1912, გვ. 63.

[2] А. Преснов, Царская Россия и Французская буржуазная революция 1789 г., „Исторический журнал“, № 2, 1937 г., გვ. 67.

[3] Е. Шумигорский, დასახ. ნაშრ., გვ. 116.

ში ყოფნისას მათ ევალებოდათ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გაწერა და ა. შ[1].

ჯერ კიდევ 1797 წლის თებერვალში ხელმოწერილ იქნა ბრძანებულება, რომლითაც იკრძალებოდა ყველა სახის თავისუფალი სტამბა და წიგნების თავისუფალი ბეჭდვა. დაწესდა მკაცრი ცენზურა. თვალყურს ადევნებდნენ, რათა არ დაბეჭდილიყო რუსეთში ან არ შემოტანილიყო საზღვარგარეთიდან არცერთი ისეთი წიგნი, რომელიც „закону божию, правилам государственным, верховной власти и благонравию"-ს საწინააღმდეგო იქნებოდა[2]. ასეთი პოლიციური ზომები სტამბებისა და პრესის მიმართ კიდევ უფრო გაძლიერდა 1798 წლიდან. ლიფლიანდიის გუბერნატორ რიხტერის მიერ კურლიანდიის გუბერნატორ ლამზდორფისადმი 1798 წლის 27 იანვარს გაგზავნილი წერილიდან სჩანს, რომ პავლეს აუკრძალავს ვოლტერის ნაწარმოებების შემოზიდვა და ისინი აკრძალულ წიგნებად გამოუცხადებია[3].

საზღვარგარეთ სასწავლებლად გაგზავნილ თავადაზნაურთა შვილებს განკარგულება მიეცათ ორი თვის ვადაში უკან დაბრუნებულიყვნენ. 1798 წლის 9 აპრილის ბრძანებულებით აიკრძალა თავადაზნაურობის, ახალგაზრდა თაობის გაგზავნა საზღვარგარეთ უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის მისაღებად. ამ აკრძალვის მოტივად დასახელებული იყო საზღვარგარეთის სკოლებში არსებული აღზრდის მიუღებელი წესები[4].

პავლე I იმდენად დაშინებული იყო „უცხოური გამხრწნელი გავლენით", რომ თვით ფეოდალურ-კლერიკალური ბანაკის ფრანგ ემიგრანტებსაც კი ეშვის თვალით უცქეროდა, მათშიაც გადაცმულ „იაკობინელებს" ხედავდა და მათ გამოსააშკარავებლად საგანგებო ზომებს ღებულობდა. რუსეთში (კურლიანდიაში) მყოფ ლუი XVIII-ს ამალაზე მან დააწესა კურლიანდიის გუბერნატორის სასტიკი ზედამხედველობა და 1798 წლის 17 მარტის ბრძანებულებით მოითხოვა ამ გუბერნატორისაგან იმ ფრანგთა მიტაცებიდან გაძევება, რომლებიც პროვანსის გრაფის ამალას არ ეკუთვნოდნენ[5], 1798 წლის

---

[1] „Русская старина", 1893, январь, გვ. 246—247.

[2] Е. Шумигорский, დასახ. ნაშრ., გვ. 191.

[3] „Русская старина", 1897 г., ტ. 92. გვ. 82.

[4] იხ. Полное собрание законов Российской империи с 1649 г., ტ. 25, 1798—1799, გვ. 186.

[5] „Русская старина", 1897 г., ტ. 92, გვ. 82.

11 აპრილის ბრძანებულებით პავლე I სასაზღვრო დაცვის უფროსებს უკრძალავდა ფრანგთა შემოშვებას რუსეთის საზღვრებში მხოლოდ იმათ გამოკლებით, რომლებიც სათანადო შემოწმების შემდეგ თვით იმპერატორის ნებართვას მიიღებდნენ[1].

რუსეთის არმიაში რევოლუციური სულისკვეთების მოსალოდნელი გავრცელების წინააღმდეგ პავლე I არმიის ცალკეული დანაყოფების რიგებში ქმნის სამეთვალყურეო საგუშაგოებს და თანაც არმიის მღვდლებს ავალებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ჯარისკაცთა განწყობილებას და სათანადო ცნობები გზავნონ დანიშნულებისამებრ[2].

შინაგანი რეაქციის გაძლიერებას და პავლე I-ის მიერ ყოველგვარი პროგრესულისადმი შეურიგებლობის კონკრეტულ გამოვლინებას წარმოადგენდა რუსეთის დიდი სარდლის სუვოროვისადმი გამოყენებული დისკრიმინაცია, მისი განთავისუფლება არმიის რიგებიდან და სოფელ კონჩასკოეში გადასახლება ფაქტიურად ტუსაღის პირობებში.

რუსეთის სხვადასხვა ფენისა და პროფესიის ათასობით უდანაშაულო ადამიანი გახდა ცარიზმის პოლიციური ტერორისა და სისხლიანი რეპრესიების მსხვერპლი 1797—1800 წლებში; ათასობით ადამიანი გამოეთხოვა თავის კეთილდღეობას და ციმბირის მიყრუებულ ადგილებში დალია სული მხოლოდ იმიტომ, ოომ მათზე ეჭვი მიიტანეს: ორიგინალურად აზროვნებს, ფრანგული „გამხრწნელი გავლენის“ ქვეშაა მოქცეული, კანონს, წესიერებას და „ღვთის მიერ დადგენილ წესებს“ დამხობით ემუქრებაო და სხვ[3].

---

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 66.

[2] იხ. Е Шумигорский, დასახ. ხაშრ., გვ. 160.

[3] მაგალითად, პრაპორშჩიკ ივანე Роджерс სენატმა 1797 წელს მიუსაჯა გაწყვეტა და ნარიმის მხარეში გადასახლება მტკიცებისათვის:

1) რომ ხელმწიფეები ყველანი ტირანები, ბოროტმოქმედნი და მაწანწალები არიან, რომ არცერთი სავსებით კეთილმყოფელი ადამიანი არ დათანხმდება გახდეს ხელმწიფე;

2) რომ ვახტპარადხე ყოფნის დროს იგი დასცინოდა ვახტპარადს და მას თოჯინების კომედიას უწოდებდა:

3) ამტკიცებდა, რომ ადამიანები ბუნებით თანასწორნი არიან და ხელისუფალთ არა აქვთ უფლება დასაჯონ სხვები იმ ქცევათათვის, რასაც თვით ონაც ჩადიან:

4) რომ ხატები კერპები არიან და ყველა ვინც მათ ერთგულებით და მოწიწებით თაყვანს სცემენ, უსინდისონი არიანო. იხ. В. Самойлов, Внутренняя и внешняя политика Павла I, (1796—1801). Хлебн., 1946, გვ 17

ის მხეცური ანგარიშსწორება, რომლის მსხვერპლიც გახდნენ წარმოშობით ქართველები, ძმები გრუზინოვები (გვარდიის პოლკოვნიკი ეგრაფ იოსების ძე

აღნიშნული და სხვა მსგავსი ზომები, გამოყენებული „შინაგან ფრონტზე", პავლე I-ის მთავრობის მიერ აღებული კურსის ნაწილი იყო და საგარეო პოლიტიკურ მიმართულებასთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა.

საფრანგეთის ფეოდალური არისტოკრატიისა და კლერიკალური ჯგუფების ემიგრირება საფრანგეთიდან ჯერ კიდევ ბასტილიის ციხის აღების დროიდან დაიწყო. საფრანგეთის ტერიტორია მიატოვეს მეფის ძმებმა, პროვანსის და არტუას გრაფებმა, პრინცმა კონდემ შვილით (ბურბონის ჰერცოგი) და შვილიშვილით (ენგიენის ჰერცოგი), ასობით ჰერცოგმა, გრაფმა, მარკიზმა, კარდინალმა, ეპისკოპოზმა, გენერალმა და ა. შ. მათი ემიგრაცია საზღვარგარეთ იზრდებოდა და ფართოვდებოდა რევოლუციის გაღრმავების პარალელურად. 1794 წლისათვის ფრანგ ემიგრანტთა საერთო ოოდენობა რამდენიმე ათეულ ათას კაცს შეადგენდა. ისინი თავმოყრილნი იყვნენ გერმანიის სახელმწიფოებში, ავსტრიაში, ესპანეთში, იტალიაში, შვეიცარიაში, ინგლისსა და რუსეთში. რევოლუციისაგან განდევნილნი და ევროპის კონტრრევოლუციური კოალიციის იარაღად ქცეულნი ფრანგი ემიგრანტები თავს ირჩენდნენ „სტუმართმოყვარე" მასპინძლების ნასუფრალით, საფრანგეთიდან გაზიდულ ფასეულობათა გაყიდვით, ვაჭრობით, მაწანწალობით თუ სხვა საეჭვო საშუალებებით. ემიგრანტთა ერთი ნაწილი (უმთავრესად ოფიცრობა) თავს იყრის ავსტრიელების მიერ რაინზე ფორმირებულ ემიგრანტულ კორპუსში, რომელსაც პრინცი კონდე სარდლობდა, უშუალო მონაწილეობას ღებულობს საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამ გზით პოულობს არსებობის სახსარს.

ფრანგ ემიგრანტთა ერთი ჯგუფი, სარგებლობს რა ეკატერინე II-ის „გულუხვი სტუმართმოყვარეობით", რუსეთში იკალათებს. ეკატერინე II დიდ ზრუნვას იჩენს მათი ბედისადმი და მიწების დარიგებით, სამსახურში მოწყობით, პენსია-სუბსიდიების დანიშვნით ამსუბუქებს მათ მდგომარეობას, ხოლო რაც შეეხება ფეოდალურ-კლერიკალური ემიგრაციის ზედა ფენას, მას პრივილეგიურ და უზრუნველყოფილ მდგომარეობასაც კი უქმნის. სახელ-

---

ჯრუზინოვი და გვარდიის პოდპოლკოვნიკი პეტრე იოსების ძე ჯრუზინოვი) 1800 წლის მეორე ნახევაროში, იმ სისხლიანი ტერორისა და შავი რეაქციის ერთ-ერთ ეპიზოდს წარმოადგენდა, რომელიც გაბატონებული იყო რუსეთში პავლე I-ის მეფობის წლებში. ამის შესახებ ვრცლად იხ. ო. გ ი ნ ჩ ი ძ ე, რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიიდან, თბილისი, 1957.

მწიფო ხაზინიდან ყოველწლიურად ასეული ათასი მანეთი იხარჯებოდა ამ მუქთახორა ხროვის შენახვაზე [1].

როცა კამპო-ფორმიოს საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ პავლე I-ის მთავრობა დარწმუნდა საფრანგეთთან ომის გარდუვალობაში, მან გაორკეცა თავისი ყურადღება ბურბონთა ბედისა და ფრანგი ემიგრანტების ხვედრისადმი, გადაწყვიტა მეტი ყურადღება მიექცია მათთვის და გამოეყენებინა ისინი მომავალ ომში საფრანგეთის წინააღმდეგ.

კონდეს ემიგრანტული არმია (კორპუსი) 1797 წლის დასასრულისათვის მეტად სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. რამდენიმე სერიოზული დამარცხების შედეგად, რაც ამ არმიამ საფრანგეთის არმიებთან ბრძოლაში განიცადა, მკვეთრად შემცირდა მისი რიცხობრივი შემადგენლობა. პირადი შემადგენლობის ნაწილი დაიხოცა, ნაწილი ტყვედ ჩავარდა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ნაწილმაც დეზერტირობა არჩია, არმიიდან გაიპარა და არსებობის სხვა საშუალებას მოჰკიდა ხელი. ამასთან ერთად დაეცა ამ არმიის დისციპლინა და მორალური სიმტკიცე. მას აკლდა ტანისაცმელი, საკვები, საბანაკო მოწყობილობა და სხვ. ერთი სიტყვით, კონდეს ემიგრანტული კორპუსი კამპო-ფორმიოს ზავის დადების დროისათვის სრული დაშლისა და დემორალიზაციის ფაზაში იმყოფებოდა [2].

კამპო-ფორმიოს საზავო ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტი ავალებდა ავსტრიას შეეწყვიტა კონდეს ემიგრანტული არმიის დაფინანსება, ხელი აეღო მის გამოყენებაზე შემდგომში და თავშესა-

---

[1] ლიტერატურა, რომელიც აშუქებს საფრანგეთის რეაქციულ-კლერიკალური ხროვის ემიგრაციას რუსეთში და მათდამი ეკატერინეს დამოკიდებულებას, საკმაოდ ვრცელია. აქ შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი: К. Миллер, Французская эмиграция и Россия в царствование Екатерины II, Париж, 1931; А. Пресиов, Царская Россия и Французская буржуазная революция 1789 г., „Исторический журнал", 1937, № 2, გვ. 60—70; П. Алефиренко, Правительство Екатерины II и Французская буржуазная революция, „Исторические записки института истории АН СССР, № 22, 1947 г., გვ. 206—251; А. Брикнер, Екатерина II и Французская революция, „Исторический вестник", 1895 г., август, გვ. 411—420. Ch. La rivière, Catherine II et la Révolution francaise, Paris, 1895. F. Daudet. Bourbons et la Russie pendant la Révolution française, Paris, 1886, L. Pingaud, Les français en Russie et les russes en France, v. II. Paris 1886; А. Сорель, დასახ. ნაშრ., ტტ. 4—5.

[2] Е. Щепкина, Армия роялистов в России, „Журнал Министерства народного просвещения", ч. CCLX, 1889, январь, გვ. 36—47; L. Pingaud, დასახ. ნაშრ., წიგნი II, გვ. 9—10.

ფარი აღარ მიეცა მისთვის. ყოველივე ამან და იმ გარემოებამ, რომ ინგლისის მთავრობამ უარი განაცხადა გაეყვანა ეს არმია კონტინენტიდან და იგი თავის კმაყოფაზე აეყვანა, მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ამ არმიის სარდლობა. ასეთ პირობებში კონდემ გადაწყვიტა ეთხოვა რუსეთის მთავრობისათვის დახმარება და მისი არმიის თავის კმაყოფაზე აყვანა[1].

პავლემ დააკმაყოფილა პრინც კონდეს თხოვნა და მიიღო გადაწყვეტილება კონდეს ემიგრანტული არმიის რუსეთის სამხედრო სამსახურში აყვანისა და რუსეთში გაწვევის შესახებ[2]. კონდეს ემიგრანტული არმიის ავსტრიის ტერიტორიიდან ევაკუაციისა და რუსეთის ტერიტორიაზე გადაყვანის პრაქტიკულად მოსაგვარებლად პეტერბურგიდან პრინც კონდესთან გაგზავნილ იქნენ ალოპეუსი და პოდპოლკოვნიკი თავადი გორჩაკოვი, რომელთაც ეს საქმე უნდა მოეგვარებინათ ავსტრიაში რუსეთის ელჩის ა. რაზუმოვსკის მხარდაჭერით. ერთ-ერთი ღონისძიება, რომელიც მათ სათანადო ინსტრუქციის მიხედვით უნდა განეხორციელებინათ კონდეს არმიის რუსეთში გადაყვანასთან დაკავშირებით, იყო მისი პირადი შემადგენლობის აღრიცხვა და პოლიტიკური კეთილსაიმედოების მიხედვით შემოწმება საეჭვო ელემენტთაგან არმიის გაწმენდის მიზნით[3].

კონდეს ემიგრანტული კორპუსის შემოწმება-აღრიცხვას, ლაშქრობისათვის მომზადებას და თვით ლაშქრობას კომბინირებული გზით (დუნაით და ხმელეთით) საკმაო დრო მოუნდა. ამიტომ ეს კორპუსი მხოლოდ ნოემბრის თვეში ჩავიდა რუსეთში[4].

---

[1] პრინცმა კონდემ ამ მიზნით პეტერბურგში მიავლინა სპეციალური წარმომადგენელი ბარონი ლაროშფუკო. იხ. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 5.

[2] ეს მოხდა ჯერ კიდევ 1797 წლის აგვისტოში. „По сродному нам великодушию,—სწერდა პავლე I გრაფ ა. რაზუმოვსკის 1797 წლის 9 აგვისტოს რესკრიპტში. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 51. ა. ბეზბოროდკო თავის წერილში (უთარიღოა) გრაფ ს. რ. ვორონცოვისადმი, ეხება რა რუსეთის იმპერატორის ხსენებულ გადაწყვეტილებას, ცდილობს დაარწმუნოს იგი, რომ თითქოს რუსეთის ცარიზმის მიერ კონდეს არმიის კმაყოფაზე აყვანა და რუსეთში გაწვევა არ წარმოადგენდა საფრანგეთის რესპუბლიკის მიმართ გადადგმულ მტრულ ნაბიჯს, იხ. „Архив князя Воронцова“, ტ. 13, გვ. 376.

[3] პავლე I-ის 1797 წლის 3 და 6 აგვისტოს რესკრიპტები გორჩაკოვისა და ალოპეუსისადმი. „Русский архив“, 1888, ტ. 2, გვ. 283—288, 288—290.

[4] პოდპოლკოვნიკი თავადი ვ. ი. გორჩაკოვი დაკისრებული მოვალეობის შესრულების მიმდინარეობის შესახებ პერიოდულ მოხსენებით ბარათებს უგზავნიდა როგორც რუსეთის იმპერატორს, ისე გრაფ. ა. რაზუმოვსკის. იხ. ЦГАДА, ф. XV, д. 604. лл. 1—53.

პავლეს 1797 წლის 26 ნოემბრის ბრძანებულებით პრინც კონდეს ემიგრანტული არმიის მთელი შემადგენლობა, დაახლოებით 7000 კაცი (3 ქვეითი პოლკი, 2 ცხენოსანი პოლკი და არტილერიის 2 ბატალიონი) განლაგებულ იქნა ვოლინისა და პოდოლიის გუბერნიებში: ვლადიმირში, ლუცკსა და კოველში. კორპუსმა მიიღო რუსეთის არმიის შეიარაღება, ტანისამოსი, წესდება და დაემორჩილა მის წესებს[1].

პირადად პრინცი კონდე შვილით და შვილიშვილით (ბურბონისა და ენგიენის ჰერცოგები) როგორც საპატიო სტუმრები დიდი ზეიმით და ცერემონიით მიიღეს პეტერბურგში. იმპერატორის განკარგულებით მათ შესახვედრად გამოყვეს საგანგებო მოხელეები.

პოლონეთის უკანასკნელი მეფე სტანისლავ-ავგუსტ პონიატოვსკი, რომელიც მაშინ „საპატიო“ ტყვის პირობებში პეტერბურგის სამეფო კარზე ცხოვრობდა, თავის დღიურებში დაწვრილებით აგვიწერს იმ საზეიმო ცერემონიას, რომელიც მოეწყო თავრიდის სასახლეში 1798 წლის დეკემბერში პრინც კონდეს და მისი აბალის მიღების დროს[2].

„საპატიო“ სტუმარს რუსეთის იმპერატორმა ერთდროულად მისცა 20 000 მანეთი და დაუნიშნა „პენსია“ 70.000 მანეთის რაოდენობით წლიურად. გარდა ამისა, პრინც კონდეს პავლემ აჩუქა გრაფ ჩერნიშევის კუთვნილი სახლი მთელი მოწყობილობით და აგარაკი პეტერჰოფის გზაზე[3]. ასეთი იშვიათი გულუხვობის მიუხედავად, პრინცი კონდე, თუ გრაფ როსტოპჩინის ცნობას ვერწმუნებით, მაინც არ იყო კმაყოფილი, კიდევ ახალ წყალობას და ყურადღებას მოითხოვდა და თან რიხით ამბობდა: „ხომ არ ავიწყდებათ, რომ მე ბურბონი ვარო“[4].

საფრანგეთის ფეოდალურ-რეაქციული ემიგრაციის მთავარი ხელმძღვანელი პროვანსის გრაფი, ლუი XVI-ის ძმა, რომელმაც ლუი XVII-ის (ლუი XVI-ის შვილის) გარდაცვალების შემდეგ, თავი ბურბონების მეთაურად, საფრანგეთის ტახტის ერთადერთ კანო-

---

[1] Полное собрание законов Российской империи... ტ. 24, მუხლი 18255; L. Pingaud. დასახ., ნაშრ., წიგნი II, გვ. 210—217; Е. Щепкина, დასახ. წერილი, გვ. 47—57; Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 51.

[2] „Вестник Европы“, ტ. 39, Москва, 1808, № 1, გვ. 157.

[3] რიბოპიერის ცნობით ჩერნიშევის კუთვნილ სასახლეში პრინც კონდეს მრავალრიცხოვანი ამალა „...была одета в ливрею принцев Конде“. Записки гр. Алекс. Иван. Рибопьера, „Русский архив“, 1877, № 4, გვ. 481.

[4] გრაფ თ. ვ. როსტოპჩინის 1798 წლის 14 იანვრის წერილი გრაფ. ს. რ. ვორონცოვისადმი, „Русский архив“, 1876, ტ. 5. წიგ. II, გვ. 88.

ნიერ მემკვიდრედ და საფრანგეთის მეფედ გამოაცხადა (ლუი XVIII-ის ტიტულით), საფრანგეთიდან გაქცევის შემდეგ (1791 წლის 9/20 ივნისს) რამოდენიმე წლის განმავლობაში დაეხეტებოდა იტალიასა და გერმანიაში. 1796 წლიდან იგი, თავის საკმაოდ მრავალრიცხოვან მომხრეებთან და ამალასთან ერთად თავს აფარებს ბრაუნშვაიგის საჰერცოგოს. აქ ის ცხოვრობს პატარა ქალაქ ბლაკენბურგში, სადაც ძველი საგვარეულო ციხე-კოშკი უქირავს [1].

რუსეთის ცარიზმის მესვეურებმა ჯერ კიდევ კამპო-ფორმიოს ზავზე ხელმოწერამდე გადადგეს ნაბიჯი საფრანგეთის „კანონიერი" ტახტის პრეტენდენტის მდგომარეობის შესაძსუბუქებლად. პავლემ ერთდროული დახმარების სახით 200 ათასი მანეთი გაუგზავნა მას, თანაც ნება დართო დასახლებულიყო ჩრდ.-დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთ პატარა ი ე ვ ე რ ი ს ოლქში, რომელიც რუსეთის საიმპერატორო სახლს ეკუთვნოდა. ფულადი დახმარება ფრანგმა ბურბონმა სიხარულით და ხადლობით მიიღო. მაგრამ იევერის ოლქში დასახლებისაგან თავი შეიკავა, მას ჰოლანდიასთან სიახლოვის შეეშინდა, რადგან ჰოლანდია ფრანგების ხელში იყო [2]. ამას გარდა რუსეთის იმპერატორმა ევროპის მონარქებს (ავსტრიის იმპერატორს, პრუსიის, ესპანეთის, ნეაპოლის, პორტუგალიის მეფეებს) და ინგლისის მთავრობას წინადადებით მიმართა ერთობლივად ეზრუნათ პროვანსის გრაფისა და მისი ოჯახის შენახვაზე, ყოველწლიურად გაეღოთ გარკვეული თანხა, რომელიც პროპორციულად უნდა განაწილებულიყო მათ შორის [3]. მაგრამ ინგლისს, ავსტრიას და სხვა საელჩოწიფოთა მთავრობებს, რომელთაც პროვანსის გრაფი ოფიციალურად არც კი უცვნიათ, თავი არ შეუწუხებიათ რუსეთის იმპერატორის წინადადების გამო.

კამპო-ფორმიოს ზავმა მკვეთრად გააუარესა პროვანსის გრაფის მდგომარეობა. დირექტორიის მთავრობამ ბრაუნშვაიგის ჰერცოგს კატეგორიულად მოსთხოვა ამ საზავო ხელშეკრულების თანახმად „გვირგვინოსანი" პრინცის მისი ამალითურთ თავისი საბფლობელოდან გაძევება.

---

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., გვ. 51—52.

[2] იქვე.

[3] პავლე I-ის 1797 წლის 14 აგვისტოს წერილი გრაფ ს. რ. ვორონცოვისადმი. აქ რუსეთის იმპერატორი რუსეთის ელჩს აცნობს მის მიერ გადადგმული ხელოვანიშნული ნაბიჯების შინაარსს. იხ. ЦГАДА, ф. Воронцовых, д. 1882, лл. 27—32.

ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილმა პროვანსის გრაფმა რუსეთის იმპერატორს სთხოვა თავშესაფარი. პავლემ დააკმაყოფილა ეს თხოვნა და „ლუი XVIII“-ის, მისი ოჯახისა და ამალის ადგილსამყოფელად გამოყო კურლიანდიის ქალაქი მ ი ტ ა ვ ა, სადაც ნათ განკარგულებაში გადასცა ბაირონის ყოფილი ციხე-კოშკი და სასახლე, რომელიც სახელდახელოდ შეაკეთეს და კომფორტაბელურად მოაწყვეს [1].

„საპატიო სტუმრის“ რუსეთში ჩასაყვანად გერმანიაში მიელინებულ იქნა გენერალ-ლეიტენანტი ფ ე რ ზ ე ნ ი. მას ხაზინიდან მიეცა 60.000 მანეთი პროვანსის გრაფისათვის გადასაცემად და გზის ხარჯების დასაფარავად. ფერზენს თან გაჰყვა პოლკოვნიკი ლ ა ვ რ ო ვ ი, რომლის უშუალო მისიას შეადგენდა პროვანსის გრაფის დაცვის რაზმისა და ამალის თანხლება და მიტავაში ჩაყვანა [2].

ბურბონთა მეთაური, მისი ოჯახი და ამალა 1798 წლის თებერვალში უკვე მიტავაში იმყოფებოდნენ [3]. რუსეთის იმპერატორი არ დასჯერდა „საპატიო სტუმრისადმი“ გამოჩენილ, უკვე აღნიშნულ გულუხვობას. მან სახელმწიფო ხაზინიდან ამ მრავალრიცხოვანი მუქთახორა ხროვის შესანახად ყოველწლიური „პანსიონის“ სახით 200 ათასი მანეთი გამოჰყო [4].

ცოტა უფრო გვიან რუსეთის იმპერატორმა მორიგი „წყალობა“ გამოიჩინა ბურბონების მიმართ: მისი უშუალო ჩარევით ავსტრიის იმპერატორმა გაათავისუფლა „საპატიო“ ტყვეობიდან ლუი XVI-ის ქალიშვილი პრინცესა მარია-ტერეზია ‘მარლოტა [5],

---

[1] ამის შესახებ ინილეთ თვით ლუი XVIII-ის ბიოგრაფიული ცნობები, რომლებიც ლიტერატურულად გააფორმა მისმა ახლობელმა თანამგზავრმა ჰერცოგმა დ უ დ ო ვ ი ლ მ ა და გამოსცა პარიზში 1826 წელს სახელწოდებით „M é m o i r e s de Louis XVIII“. იგი რუსულად შემოკლებით გამოაქვეყნა რიაბინინმა. იხ. „Русский архив“, 1877, ტ. 9, წიგნი 3, გვ. 48—91.

[2] Д. М и л ю т и н, დასახ. ნაშრ., ტ. 1, გვ. 52—53.

„Русская старина“, 1900, ტ. 101, წიგნი 2, გვ. 444; ამავე ამბების შესახებ უფრო ვრცელ ცნობებს იძლევა თვით პოლკოვნიკი ლავროვი თავის მოხსენებით ბარათში, რომელსაც იგი პერიოდულად (1798 წლის 15 იანვრიდან 16 მარტამდე) უგზავნიდა პავლეს ბლანკენბურგიდან, გზიდან და თვით მიტავიდან. იხ. Архив ВИР, ф „Сношения России с Францией“, д. 1393—1798 г., лл. 1—11.

[4] იხ. პავლე I-ის 1798 წლის 6 ივლისის რესკრიპტი ბარონ ვასილიევისადმი. „Русская старина“, 1900, ტ. 101, წიგნი 2, გვ. 444.

[5] ამის შესახებ შემდეგში ნაპოლეონ ბონაპარტი ამბობდა: „ეს არის ჭალთა სქესია ერთადერთი მამაკაცი მარბობითი სქესის ჭალთა ოჯახში“ (ე. ი. ბურბონთა ოჯახში—ვ. დ.). იხ. ლუი XVIII-ის ავტობიოგრაფიული ცნობების რუსული შეკოლებული თარგმანი, შედგენილი დ. რ ი ა ბ ი ნ ი ნ ი ს მიერ, „Русский архив“, 1877, ტ. 9, წიგნი 3, გვ. 63.

რომელიც აგრეთვე მიტავაში იქნა ჩაყვანილი. აქ იგი, პროვანსის გრაფის სურვილით, გაათბოვეს არტუას გრაფის უფროს შვილზე ანგულემის ჰერცოგზე[1].

მართალია, მიტავის „ნინიატიურულ სასახლეს“ ოფიციალური წარმომადგენელიც კი ჰყავდა პეტერბურგის სამეფო კარზე, მაგრამ საერთოდ პავლეს საჭიროდ არ მიაჩნდა მის „ხიზანთან“, რომელიც ფაქტიურად არავითარ ძალას არ წარმოადგენდა, ევროპული პოლიტიკის საკითხების გარშემო აზრთა გაცვლა-გამოცვლა ჰქონოდა. ამითვე უნდა ავხსნათ ისიც, რომ მან ზედმეტად ჩასთვალა მიტავის „სასახლის მფლობელის“ პეტერბურგში ჩასვლა და იქ მისი მეფური ღირსების შესაბამისად მიღება.

ის რუსი ისტორიკოსები, რომლებიც ქება-დიდებას ასხამენ პავლე I-ის მმართველობას, რუსეთის იმპერატორის დახმარებას ბურბონთა სამეფო გვარეულობისადმი და ფრანგ-ემიგრანტებისადმი მიიჩნევენ იმპერატორის „თანდაყოლილი დიდსულოვნობის“ გამოხატულებად. რუსეთის ცარიზმის ეს აქტები, მათი აზრით, ნოკლებული იყო პოლიტიკურ სარჩულს, მით უფრო ისინი არ იყო მიმართული საფრანგეთის წინააღმდეგ. ასეთ აზრს ავითარებს, მაგალითად, მილიუტინი, რომელიც წერს: პავლე I, უწევდა რა მფარველობას ფრანგ ემიგრანტებს და ბურბონთა სახლს, ეჭვს გარეშეა მხოლოდ თანდაყოლილი დიდსულოვნების ჩაგონებით მოქმედებდა და სრულიად არ ფიქრობდა ამით გამოეხატა საფრანგეთისადმი თავისი არაკეთილგანწყობილებაო[2].

ასეთი და სხვა მსგავსი შეხედულება, რა თქმა უნდა, ტენდენციურია და ოდნავადაც ვერ უძლებს კრიტიკას. სინამდვილეში, პავლე I-ის მთავრობის გაძლიერებული ზრუნვა ბურბონთა სახლისა და მთელი ფრანგული რეაქციული ემიგრაციისადმი პოლიტიკურად გაბიზნული მოქმედება იყო. იგი უშუალოდ საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ იყო მიმართული და იმ ღონისძიებათა ჯაჭვის ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენდა, რომელიც რუსეთის სამეფო კარმა განახორციელა საფრანგეთის წინააღმდეგ ომისათვის

---

[1]. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 53; ამ საკითხის შესახებ მითითებულ წყაროებთან ერთად საკმაოდ დაწვრილებით ცნობებს იძლევიან: L. Pingaud, დასახ. ნაშრ., წიგნი 2, გვ 219—223. Е. Гешихин. К истории второчного пребывания в Митаве Французского короля Людовика XVIII-го „Русский архив“, 1888, ტ. 2, გვ. 267—282. „Бурбоны в изгнании в Митаве и в Варшаве“, მისი ავტორია პოლონელი მწერალი Грабуговский. რუსულად იგი თარგმნილია 1899 წელს და მოთავსებულია ეურნ. „Русская старина“-ს 1900 წლის 101 ტომის პირველ ნომერში, გვ. 228—257.

[2] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 53.

მზადების პროცესში. კონდეს ემიგრანტული კორპუსის რუსეთში გაწვევასაც და მასზე გაწეულ ხარჯებს თავისი გამართლება ჰქონდა. რუსეთის ცარიზმს სურდა რუსულ სამხედრო წესზე გაეწვრთნა იგი, აემაღლებინა მისი დისციპლინა, საბრძოლო მომზადება და გამოეყენებინა იგი მომავალ ომში საფრანგეთის წინააღმდეგ.

2. ბრძოლა ხმელთაშუა ზღვაზე ბაზების მოპოვებისათვის. მალტის საკითხი

კამპო-ფორმიოს საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა უფრო და უფრო უარესდება. მათ შორის თავს იჩენს ახალ-ახალი ფიცხი მასალა და „თავსატეხი საკითხი". ომი საფრანგეთის წინააღმდეგ გარდუვალი ხდება. ხედავს რა რუსეთთან მორიგების ცდის აშკარა მარცხს, საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა დიპლომატიური და სხვა საშუალებებით ემზადება ახალი ანტიფრანგული კოალიციის წინააღმდეგ საბრძოლველად და გეზს იღებს თვით რუსეთთან ომზე. იგი ახალი დაპყრობების გზით აფართოებს მოპოვებულ პლაცდარმს ევროპაში; იარაღის, შანტაჟის და დიპლომატიის კომბინირებული მეთოდებით ცდილობს შექმნას თავისთვის ხელსაყრელი ვითარება ევროპის კონტინენტზე, შეიძინოს ახალი მოკავშირეები და გამოიყენოს ისინი საკუთარი ინტერესებისათვის. დირექტორია უკვე აღარ ერიდება რუსეთის მთავრობის გაღიზიანებას და ცდილობს ყოველგან, სადაც ეს მოსახერხებელია, ზიანი მიაყენოს მას და იმოქმედოს მისი ინტერესების წინააღმდეგ.

საფრანგეთის რესპუბლიკის ეს საგარეო-პოლიტიკური კურსი, მისი მზარდი აგრესია ევროპაში, ფეხის მოკიდება ხმელთაშუა ზღვის აუზში, ფართო ფრონტით ექსპანსია ახლო აღმოსავლეთში და სხვა აძლიერებს რუსეთის მმართველი ზედაფენის ანტიფრანგულ განწყობილებას; ბიძგს აძლევს პავლე I-ის მთავრობას— გადამჭრელი ზომები მიიღოს საფრანგეთის წინააღმდეგ ახალი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შესაქმნელად.

კამპო-ფორმიოს ზავზე ხელმოწერისა და ბერლინის მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში და თვით რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში თავს იჩენს ახალი მოვლენები, რომელთა კონკრეტული ანალიზი შუქს მოჰფენს მეორე ანტიფრანგული კოალიციის აღმოცენების ლოგიკურობას, მეფის რუსეთის დიპლომატიის მიერ ამ კოალიციის შემზადებაში წამყვანი როლის შესრულების კანონზომიერებას და რუსეთსა და საფრანგეთს შორის ომის აღმოცენების აუცილებლობას 1799 წელს.

საფრანგეთის რესპუბლიკის ექსპანსია ხმელთაშუა ზღვის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში, მისი შეტევა რუსეთის პოზიციებზე ახლო აღმოსავლეთში (მალტის დაუფლება და ეგვიპტეში შეჭრა, როგორც ამ შეტევის კონკრეტული გამოვლინება) ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ხდება, რომელმაც დააჩქარა მეორე ანტიფრანგული კოალიციის შექმნა და რუსეთის ამბედრება საფრანგეთის წინააღმდეგ.

1798 წლის დასაწყისისათვის პეტერბურგში ცნობილი გახდა, რომ საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურებში, კერძოდ, ტულონსა და მარსელში მიმდინარეობდა ფართო მასშტაბის ფარული მზადება რომელიღაც დიდი საზღვაო ექსპედიციისათვის. ამ მზადების შესახებ იტყობინებოდნენ რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლები ვენიდან, ბერლინიდან, მაინის ფრანკფურტიდან, იტალიიდან და კონსტანტინეპოლიდან, ხოლო ამ უკანასკნელთ ეს ცნობები მიღებული ჰქონდათ ფარული სააგენტურო წყაროებიდან.

ფრანგთა მზადების შესახებ პეტერბურგში მიღებული ცნობები, რა თქმა უნდა, მეტწილად შეუმოწმებელი და ვარაუდებზე აგებული იყო. სათანადო მზადება ტულონის და მარსელის ნავსადგურებში ღრმა კონსპირაციის პირობებში მიმდინარეობდა. თანაც ფრანგები ექსპედიციის ნამდვილი მიმართულების დაფარვის მიზნით ყალბ ცნობებს ავრცელებდნენ[1]. ამიტომ ზუსტად არავინ იცოდა მომავალი ექსპედიციის მიმართულება და ამოცანები. ზოგი ფიქრობდა, რომ ექსპედიცია მზადდებოდა ირლანდიაში შესაჭრელად, ზოგის აზრით, იგი ნეაპოლიტანიის, ბალკანეთის ან თურქეთის წინააღმდეგ იყო მიმართული და ა. შ.[2].

---

[1] Е. Тарле, Адмирал Ушаков на Средиземном море. М., 1948, გვ. 28.

[2] რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ნეაპოლის სამეფო კართან მუსინ-პუშკინი 1798 წლის 4/15 მაისის რელაციაში პავლე პირველისადმი თავის ვარაუდს ამ მზადების შესახებ ამყარებს ნეაპოლის სამეფოს პარიზელი ელჩის, კომანდორ რ უ ფ ო ს პარიზიდან გამოგზავნილ ცნობებს. თვით რუფო ფიქრობდა, რომ ფრანგები სამხრეთ იტალიაში შესაჭრელად ემზადებოდნენ, რათა იქ „დაერგოთ დემოკრატიული ხე". პირადად რუსეთის ელჩის აზრით, ფრანგების მზადება მიმართული იყო არა იტალიის, არამედ რუსეთის და თურქეთის წინააღმდეგ. მისი თქმით, საფრანგეთის ნეაპოლის საელჩოს პირველ მდივანს თითქოს უნახეს თავრიდის ხელით ნახატი რუკა, რომელზედაც ოჩაკოვს, კინბურგს, ბალაკლავას, სევასტოპოლს, ტამანს და ახოვს სხვადასხვა ნიშნები ჰქონდათ დასმული. იგი ამავე დროს, თითქოს წერილებს აგზავნიდა რუსეთის, თურქეთის და ჩერნოგორიის ნავსადგურებში. იხ. Архив ВПР. ф. „Сношения России с Неаполем", д. 264. лл. 2—4.

ცნობამ ტულონში ფრანგების დიდი საზღვაო მზადების შესახებ, პეტერბურგის სამეფო კარზე სერიოზული მითქმა-მოთქმა და შეშფოთება გამოიწვია. რუსეთის მმართველი ფეოდალური არისტოკრატიის ნაწილს აღნიშნული საიდუმლო მზადება იმის მოშასწავებლად მიაჩნდა, რომ მოსალოდნელი იყო საფრანგეთ-თურქეთის სამხედრო კავშირის დადება, რასაც უნდა მოჰყოლოდა მათი ერთობლივი საზღვაო ექსპედიცია შავ ზღვაზე რუსეთის წინააღმდეგ. მეორენი კი ფიქრობდნენ: ფრანგებს განზრახვა აქვთ ბოლო მოუღონ თურქეთის იმპერიას და ამ მიზნებისათვის პირველ ყოვლისა, ამზადებენ სადესანტო ოპერაციას ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შესაქრელად. არც პოლონეთის რუსულ ოლქებს ტოვებენ ყურადღების გარეშე, სურთ პოლონელებს გაუწოდონ ხელი ბალკანეთის გზით და ააჯანყონ ისინი რუსეთის წინააღმდეგ[1]. მიუხედავად სხვადასხვა ვარაუდისა, პეტერბურგის სამეფო კარი ალღოთი ბუნდოვნად მაინც დარწმუნებული იყო, რომ საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო მზადების მიზანი ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი აუზის რომელიმე ტერიტორიის დაპყრობა იყო. ეს კი, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, რუსეთის საარსებო ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ მტრულ აქტს წარმოადგენდა.

აღნიშნულის გამო, სავსებით ბუნებრივი იყო ის სასწრაფო ნაბიჯები, რომელიც პავლე I-ის მთავრობამ გადადგა ამ მოსალოდნელი დარტყმის თავიდან ასაცილებლად. პირველ რიგში, ცხადია, ისეთი წინასწარ გამაფრთხილებელი ზომები იქნა მიღებული, რომლებსაც უნდა ჩაეშალა ფრანგთა მოსალოდნელი აგრესია უშუალოდ რუსეთის იმპერიის საზღვრების წინააღმდეგ.

1798 წლის თებერვალში პავლემ უბრძანა შავი ზღვის სამხედრო ფლოტს ვიცე-ადმირალ უშაკოვის სარდლობით სასწრაფოდ მომზადებულიყო ფრანგების კამპანიის წინააღმდეგ, ხოლო მზადების დამთავრებამდე კრეისერების მეშვეობით მოეწყო ყირიმის სანაპიროს (ქერჩის სრუტის რაიონში და აკერმანიდან ტენდრამდე) თვალთვალი[2].

---

[1] „Французы не унимаются,—წერდა ა. ბეზბოროდკო ს. რ. ვორონცოვს (1798 წლის 26 მაისის წერილში),—Я уверен, что они готовят экспедицию на Черное море, дабы заставить турков или соединенно противу нас действовать, или по крайней мере самим повезти всякого сброда и потом подать руку чрез Молдавию в Польшу и противу нас возбудить". Сб. РИО. ტ. 29, გვ. 400.

[2] Е. Тарле, დასახ. ნაშრ., გვ. 28.

ფრანგების აგენტების მიერ გავრცელებულმა ყალბმა ხმებმა—საფრანგეთის ფლოტი უკვე ნარმარილოს ზღვაში შედისო, კიდევ უფრო გააძლიერა შეშფოთება პეტერბურგში. ამ ხმების აასუეს წარმოადგენდა რუსეთის იმპერატორის ახალი ბრძანება ვიცე-ადმირალ უშაკოვისადმი, რომლითაც მას ავალებდა გასულიყო ზღვაში და უკუქცია მოწინააღმდეგის თავდასმა. 1798 წლის 23 აპრილს ალექსმ ახალი რესკრიპტით დაავალა უშაკოვს თვალყური ედევნებინა თურქეთისა და ფრანგების შესაძლო ნოძრაობისათვის შავი ზღვისაკენ[1]; 13 მაისის რესკრიპტით კი იგი ვალდებული იყო შავ ზღვაში შემოსული მტრის ესკადრისათვის გადამწყვეტი ბრძოლა გაეცხადებინა[2].

მეფის რუსეთის მთავრობამ ამას გარდა საჭიროდ მიიჩნია რუსეთის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთი საიმპერატორო საზღვრების დაცვის გაძლიერებაც: 20 და 22 ივნისის რესკრიპტებით გენ. ლეიტენანტ დაშკოვს ბრძანება მიეცა თავისი ნაწილები სრულ საბრძოლო ზზადყოფნის მდგომარეობაში ჰყოლოდა და დაეკირა შავი ზღვის სანაპირო პუნქტები. ამავე დროს შეჩერებულ იქნა კაზაკთა ნაწილების მოძრაობა დასავლეთისაკენ, რათა საჭირო შემთხვევაში ეს ნაწილებიც შავი ზღვის სანაპიროებისაკენ ყოფილიყვნენ გაგზავნილნი. დასასრულ, პავლეს განზრახვა ჰქონდა შავი ზღვის ნაპირებისაკენ დაეძრა სუოლენსკის ინსპექციის ჯარები[3].

ეთელი ეს ფაცა-ფუცი უსაფუძვლო როდი იყო. რადგანაც საფრანგეთში ნამდვილად წარმოებდა ვრცელი მასშტაბის მზადება სამხედრო-საზღვაო ექსპედიციისათვის აღმოსავლეთისაკენ: ტულონში, მარსელსა და ხელთაშუა ზღვის სხვა ბაზებზე აგებდნენ ახალ სამხედრო და სატრანსპორტო გემებს, თავს უყრიდნენ ჯარს. იარაღს და სურსათ-სანოვაგეს ამ გეგმის სარეალიზაციოდ, რომელიც საფრანგეთის დირექტორიის მიერ იყო მოწონებული და რომლის ავტორიც ნაპოლეონ ბონაპარტი გახლდათ.

ეს გეგმა ითვალისწინებდა ინგლისისა და რუსეთის განდევნას ახლო აღმოსავლეთის პლაცდარმებიდან და ლევანტის ქვეყნებში საფრანგეთის მონოპოლიური ბატონობის დამყარებას. აღნიშნული გეგმით დასახული ამოცანის გადასაწყვეტად სამხედრო-საზღვაო ექსპედიციის წინაშე ორი ობიექტი იყო დასახული: კუნძუ-

---

[1] Е. Тарле, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

[2] იქვე.

[3] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 67.

ლი ბალტა და ეგვიპტე. ფრანგებს ერთიც და მეორეც უნდა დაეპყროთ და მტკიცედ მოედგათ იქ ფეხი.

აღმოსავლეთის საკითხი, რომელსაც მარქსი „ევროპული დიპლომატიის თავსატეხ საკითხს“ უწოდებდა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საფრანგეთის რევოლუციის გაჩაღებამდე აღმოცენდა. იგი მოიცავდა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთს, უფრო ზუსტად. თურქეთის იმპერიას ყველა მისი ევროპული და აზიურ-აფრიკული სამფლობელოებით. თურქეთის იმპერიის ბედ-იღბალი, მისი სრული დაშლის პირობებში, მისი მემკვიდრეობის განაწილების საკითხი, ბალკანეთის და სრუტეების საკითხი—აი, რა იყო აღმოსავლეთის საკითხის შინაარსი, კვანძი და ფოკუსი. ევროპის დიდი სახელმწიფოები—ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი და ავსტრია—ამ საკითხის ტრაგიკომედიის მთავარი მომქმედი გმირები იყვნენ.

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს სულ სხვა მისწრაფებები ამოქმედებდათ თურქეთის იმპერიის მიმართ, ვიდრე რუსეთს ან ავსტრიას. ამით აიხსნება ამ საკითხის სიმწვავე და ევროპის დიდ სახელმწიფოთა მძაფრი ბრძოლა ურთიერთშორის. გარკვეული ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული მოტივები ამოქმედებდა ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთის და ავსტრიის მძაფრ ბრძოლას უპირატესობისათვის თურქეთის იმპერიაში, მთელ ახლო აღმოსავლეთში.

აღმოსავლეთის საკითხის აღმოცენების პირველ დღიდანვე საფრანგეთი მის ნიადაგზე გამართული ბრძოლის აქტიური მონაწილეა. იგი გამოდის ხან ინგლისთან ერთად, ხან მისგან დამოუკიდებლად, მის წინააღმდეგაც. მაგრამ, როგორც წესი, რუსეთის და ავსტრიის დაუძინებელი მტერია მუდამ და მათი გეგმებისა და საქმიანობის წინააღმდეგ მოქმედებს. იგი ხელს უშლის რღვევის პროცესში მყოფ თურქეთის იმპერიის სრულ დაშლას და მისი მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მიტაცებას ამ სახელმწიფოების მიერ.

საფრანგეთის აქტიური როლი „თავსატეხ“ აღმოსავლეთის საკითხში, მისი „შეგობრობა“ ოტომანთა თურქეთთან და რუსეთის წინააღმდეგ ამ ნიადაგზე ენერგიული ბრძოლის წარმოება იმ სერიოზული ეკონომიური ინტერესებით იყო გამოწვეული, რომლებიც ამ სახელმწიფოს გააჩნდა თურქეთის იმპერიაში, საფრანგეთის სავაჭრო ეკონომიურ კავშირ-ურთიერთობას თურქეთის იმპერიასთან, მის განსაკუთრებულ დაინტერესებას ლევანტის ქვეყნებით დიდი ხნის ისტორია აქვს. საფრანგეთმა ჯერ კიდევ XVI საუკუნის პირველ ნახევარში მოიპოვა თავისი ქვეშევრდომი ვაჭრებისა და

ბეზღვაურებისათვის მთელი რიგი შეღავათები და პრივილეგიები თურქეთის იმპერიაში. იგი პირველად ფიქსირებული იქნა 1535 წლის კაპიტულაციაში. აი, რას წერდა კ. მარქსი კაპიტულაციების წარმოშობის შესახებ: „კაპიტულაციები,—წერს იგი—„ეს არის იმპერატორის დიპლომი, სიგელი და პრივილეგია, გაცემული პორტას მიერ ევროპის სხვა ერებზე, რომლითაც ამ ერების ქვეშევრდომთ მუსლიმანთა მიწაწყალზე შესვლის შემდეგ ღვთისმსახურებისა და თავიანთი საქმეების მშვიდად შესრულების ნება ეძლეოდათ. ხელშეკრულებისაგან კაპიტულაციები იმ ძირითადი ნიშნით განსხვავდება, რომ არ ემყარება ურთიერთვალდებულებას, არ განიხილება დაინტერესებული მხარეების მიერ ერთად და არ მტკიცდება მათ მიერ ურთიერთდათმობისა და სარგებლიანობის ნიადაგზე. პირიქით, ისინი წარმოადგენენ ცალმხრივ ბოძებულ შეღავათებს, რომელთა უკან წაღება თავისი ნებასურვილის მიხედვით შეუძლია შესატყვის მთავრობას...“ [1].

უფრო გვიან, 1740 წლიდან ფრანგებისათვის კაპიტულაციებით ბოძებული პრივილეგიები ორმხრივი ხელშეკრულების სახით იქნა გაფორმებული. ამიერიდან მისი ცალმხრივი გაუქმება თურქეთს აღარ შეეძლო. ასეთი აქტი, საჯაროდ აღიარებული, საერთაშორისო ხელშეკრულებით დამტკიცებული ვალდებულების დარღვევა იქნებოდა. ასე დაკანონდა ე. წ. კაპიტულაციების რეჟიმი, რომელიც საფრანგეთის ქვეშევრდომებს (და შემდეგში სხვებსაც)—ვაჭრებს, მეზღვაურებს, მოგზაურებს, მეწარმეებს და სხვებს თურქეთის წყლებში დაუბრკოლებელი ნაოსნობის, თურქეთის ტერიტორიაზე უშიშარი მოგზაურობის, ხელსაყრელ პირობებში ფრანგული საქონლის გაყიდვის, ადგილობრივი ნედლეულ-ნაწარმის იაფად შეძენის, მანუფაქტურების გახსნის და სხვათა შესაძლებლობას აძლევდა.

საფრანგეთმა კარგად გამოიყენა კაპიტულაციების რეჟიმით მოპოვებული ხელსაყრელი პირობები და პრივილეგიები და ხელთ იგდო თურქეთის იმპერიის ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი; მან გაბატონებული ადგილი დაიჭირა მის იმპორტსა და ექსპორტში, და ეკონომიურ ექსპანსიასთან ერთად დაიწყო მის შინაგან საქმეებში ხელის ფათური.

რევოლუციის წინ საფრანგეთს თურქეთის იმპერიიდან, კერძოდ, მის მფლობელობაში მყოფ ლევანტის ქვეყნებიდან მრავალფეროვანი საქონელი გაჰქონდა. ამ საქონელთა შორის მთავარი ადგილი სამრეწველო ნედლეულსა და სასოფლო-სამეურნეო პრო-

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 10, გვ. 8.

დუქტებს ეკავა (ბამბა, მატყლი, აბრეშუმის პარკი, კარაკული, ხმელი ხილი, ტყავეული, სამკურნალო ბალახები, ბრინჯი და ა. შ.). ნნიშვნელოვანი რაოდენობით გაჰქონდა საფრანგეთს აგრეთვე აბრეშუმის ქსოვილები და ხალიჩები.

იმავე ბაზრებზე საფრანგეთს შეჰქონდა უმთავრესად სამრეწველო საქონელი. მათ შორის: ლანგედოკის მაუდი, ინდიგო, მაქარი, კოშენილი, ფუფუნების საგნები და ოქრომჭედლური ნაწარმი. 1750 წლისათვის ლევანტის ქვეყნებიდან საფრანგეთში გაზიდული საქონლის საერთო ღირებულება 19—20 მილიონ ლივრს შეადგენდა. ხოლო ლევანტის ბაზრებზე შეზიდული საქონლისა— 18 მილიონ ლივრს [1].

ფრანგ ვაჭართა მონოპოლიური გაერთიანებები, საზღვაო საზოგადოებები, თავადაზნაურები და თვით სამეფო კარი დიდ მოგებას ღებულობდნენ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობით. ისინი ხომ იაფად ყიდულობდნენ და ძვირად ყიდდნენ, სარგებლობდნენ რა პრივილეგიური ნდგომარეობით და გამოძალვის ყველა მეთოდით. ამიტომ დიდად იყვნენ დაინტერესებულნი ამ ვაჭრობის შენარჩუნებით და გაფართოებით. სწორედ ეს ეკონომიური და ნასთან დაკავშირებული სხვა მოტივები ედო საფუძვლად საფრანგეთის პოლიტიკას აღმოსავლეთის საკითხებში. იგი განაპირობებდა იმ განსაკუთრებულ „ზრუნვას“ და დაინტერესებას, რომელსაც თვით ფეოდალურ-აბსოლუტური საფრანგეთი იჩენდა ოტომანთა იმპერიის ბედ-იღბლისადმი.

საფრანგეთის რევოლუციამ და მისმა შედეგებმა უშუალო გავლენა მოახდინა აღმოსავლეთის საკითხზედაც. ძან კიდევ უფრო გაამწვავა მეტოქე სახელმწიფოთა ბრძოლა თურქეთის თაობაზე და მით აღმოსავლეთის საკითხი თავისი სიმწვავის ახალ ფაზაში შეიყვანა. საფრანგეთის გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ, ქვეყნის საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია საკუთარ კლასობრივ ინტერესებს დაუქვემდებარა. ამ კლასის ეკონომიური „მოთხოვნები“ და ინტერესები გახდა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის შინაარსი, მისი ლაიტმოტივი 1794 წლიდან.

მმართველობის სათავეში ახლად ჩამდგარმა და ეკონომიურად გაძლიერებულმა საფრანგეთის ბურჟუაზიამ, რომელმაც ვრცელი აგრესიული გეგმები დაისახა და ხელი მიჰყო მათ რეალიზაციას, კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიაქცია აღმოსავლეთს საერთოდ,

---

[1] ვრცელი ცნობები ამ ვაჭრობის შესახებ მოტანილია სენ-პრის დასახელებულ ნაშრომში, გვ. 327—344.

კერძოდ კი ახლო აღმოსავლეთს და გააძლიერა ეკონომიურ-სამხედრო ექსპანსია ამ რაიონში.

ეს მზარდი დაინტერესება მსოფლიოს ამ რაიონისადმი რამოდენიმე გარემოებით იყო შეპირობებული: 1) საფრანგეთის ბურჟუაზია ოცნებობდა საზღვაო-კოლონიურ ასპარეზზე და საგარეო ვაჭრობის სფეროში დაკარგული პოზიციების აღდგენაზე, საერთოდ, კერძოდ კი, აღმოსავლეთში (ოსტ-ინდოეთში). ზღვაზე ინგლისის ბატონობის პირობებში ეს ამოცანა მას, პირველ რიგში, ახლო აღმოსავლეთის შუალედი ბაზების დაუფლებით უნდა განეხორციელებინა; 2) გამარჯვებული ბურჟუაზიის წინაშე კაპიტალისტური საქმოსნობის ახალი ფართო ასპარეზი გადაიშალა. ამასთან დაკავშირებით მან არსებული ბაზრების და ნედლეულის წყაროების მონოპოლიურად ათვისების და მოქიშპე სახელმწიფოების, კერძოდ ინგლისისადმი დაქვემდებარებულ ბაზრების ხელში ჩაგდების აგრესიული ამოცანა დაისახა; 3) ოსტ-ინდოეთის და ვესტ-ინდოეთის კოლონიების და გავლენის სფეროების დაკარგვამ, რომელიც ინგლისის კონტროლის ქვეშ მოექცა, კიდევ უფრო გააძლიერა საფრანგეთის ბურჟუაზიის მისწრაფება ეკონომიურ-პოლიტიკური და სამხედრო ექსპანსიისადმი ახლო აღმოსავლეთში[1]. ნაპოლეონის ხელმძღვანელობით გათვალისწინებული დიდი ექსპედიცია ამ ჩანაფიქრის რეალიზაციის ცდის კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენდა.

კამპო-ფორმიოს ზავმა საფრანგეთს იტალიასა და ადრატიკის ზღვაზე გაბატონების გზა გაუხსნა და ხელში ჩაუგდო მას როგორც იონიის კუნძულების პლაცდაომი, ისე ბალკანეთის ნახევარკუნძულის ზოგიერთი ზღვისპირა ბაზა. ამ წარმატებით წაქეზებულმა საფრანგეთმა ახალ აგრესიულ აქტებზე დაიწყო ფიქრი. დირექტორიის ხელისუფლებამ ნაპოლეონ ბონაპარტს დააავალა ინგლისში შეჭ-

---

[1] საბჭოთა ისტორიკოსი ნაროჩნიცკი ფიქრობს, რომ მთავარი გარემოება, რამაც გააძლიერა საფრანგეთის ბურჟუაზიის აგრესიული მისწრაფება აღმოსავლეთისაკენ, იყო ატლანტიკის მიღმა მდებარე კოლონიური ტერიტორიების დაკარგვა. აღმოსავლეთის ბაზრების, კერძოდ ახლო აღმოსავლეთის ბაზრების დაპყრობა საფრანგეთის ბურჟუაზიისათვის დაკარგულის კომპენსაცია უნდა ყოფილიყო. იხ. А. Нарочницкий, Международные отношения европейских государств с 1794 по 1800 г. М., 1946, გვ. 7. ნაროჩნიცკის მოტანილი შენიშვნა სათანადო კორექტივს მოითხოვს. იგი ხაზს უსვამს მხოლოდ ერთ ფაქტორს, რომელმაც შეაპირობა საფრანგეთის ბურჟუაზიის მზარდი აქტივობა აღმოსავლეთში. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნავდით, ეს აქტივიზაცია ფაქტორთა მთელი წყებით იყო შეპირობებული.

რის გეგმის შემუშავება და მისი სისრულეში მოყვანა. მაგრამ ნაპოლეონმა დავალების მეტად სარისკო ხასიათის გამო უარი განაცხადა მის შესრულებაზე. ინგლისში შეჭრის გეგმის წარმატების წანასწარ პირობად მას ზღვაზე ბატონობის მოპოვება მიაჩნდა, რისი განხორციელებაც, ნაპოლეონის შეხედულებით, საფრანგეთს არ შეეძლო უახლოესი წლების განმავლობაში [1]. უარყოფილ იქნა მის ბიერ პოლონეთში შეჭრისა და მისი მოსახლეობის რუსეთის წინააღმდეგ ამხედრების პროექტიც, როგორც წარუმატებელი პერსპექტივის მქონე.

ამ ავანტიურისტული გეგმების რეალიზაციის ცდა ნაპოლეონისათვის დიდ რისკთან და ხიფათთან იყო დაკავშირებული. დიდების შარავანდედით თავის შემოსვის ნაცვლად მას შეიძლება მისი პატივმოყვარე მისწრაფებების სრული კრახი მოჰყოლოდა. კარიერისტ გენერალს არ სურდა თავისი მომავალი საფრთხის წინაშე დაეყენებინა. ამიტომ მან უარჰყო ეს პროექტები და თავისი ყურადღება აღმოსავლეთისაკენ ლაშქრობის პროექტზე გადაიტანა.

„მე ვიცი,—ეუბნებოდა ნაპოლეონ ბონაპარტი ბურიენს,—თუ დავრჩები (საფრანგეთში—ვ. დ.), ჩემს სახელს მოკლე დროში ბოლო მოელება. ყველაფერი წარმავალია ამ ქვეყანაზე. მე უკვე აღარ გამაჩნია დიდება. ამ პაწაწინა ევროპას არ შეუძლია დიდების საკმაო რაოდენობით მოცემა ჩემთვის. საჭიროა აღმოსავლეთისაკენ გამგზავრება. იქ პოულობდნენ ყოველთვის საქვეყნო დიდებას“ [2]. მხოლოდ აღმოსავლეთში შეიძლება მიღწეულ იქნეს დიდი შედეგები, ეუბნებოდა იგი გენერალ მარმონს [3].

აღმოსავლეთისაკენ ლაშქრობის პროექტი, რომლის რეალიზაციაც ნაპოლეონს საფრანგეთის ბურჟუაზიის გულის მოგების, ინგლისისათვის სასიკვდილო ჭრილობის მიყენების და საკუთარი დიდების მოპოვების პირობად მიაჩნდა, მთლიანად მისი ორიგინალური შთაგონების ნაყოფი არ ყოფილა. ასეთი გეგმები ჯერ კიდევ საფრანგეთის რევოლუციამდე არსებობდა და ლაშქრობის სხვადასხვა ვარიანტების პროექტები საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში ინახებოდა. დირექტორიის მმართველობის პირველ წლებში საფრანგეთის ბურჟუაზიის აგრესიის აქტივიზაციასთან დაკავშირებით ეს პროექტები ამოტივტივდნენ ზედაპირზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნაპოლეონ ბონაპარტმა ისარგებლა და-

---

[1] А. Сорель, დასახ. ნაშრ., ტ. 5, გვ. 243.

[2] იქვე.

[3] იქვე.

სახელებული პროექტებით და ზოგიერთი დიპლომატის კონსულტაციითაც, რის შემდეგ თავისი მოსაზრებები წარუდგინა დირექტორიას[1]. ნაპოლეონის ავტორობა და ორიგინალობა აღმოსავლეთისაკენ ლაშქრობის ახალი პროექტის შემუშავებაში, ჩვენი აზრით, იმაში მდგომარეობდა, რომ მან გადაამუშავა ძველი გეგმები და კონკრეტულად მიუთითა დარტყმის ობიექტებზე—მალტაზე და ეგვიპტეზე[2].

ტალეირანის დახმარებით და ძველი გეგმების საფუძველზე ნაპოლეონის მიერ შეცუშავებული აღმოსავლეთზე ლაშქრობის გეგმა მის ყველა ვარიანტსა და შესაძლო რეზულტატებში დარტყმის ორ მთავარ ობიექტს ითვალისწინებდა: კუნძულ მალტას და ეგვიპტეს.

მალტა, პატარა, მაგრამ მეტად მოხერხებული სტრატეგიული მნიშვნელობის კუნძულია ხმელთაშუა ზღვის ცენტრალურ ნაწილში, ამიტომ საფრანგეთს იგი ესაჭიროებოდა როგორც შუალედი ბაზა ეგვიპტეზე ლაშქრობის წარმატების უზრუნველსაყოფად, იტალიაზე გაელენის გასაძლიერებლად და საფრანგეთში ხმელთაშუაზღვის აუზში ერთ-ერთ ნავსაყუდელად. „მალტას ჩვენთვის უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა აქვს,—ამბობდა ნაპოლეონი მის შესახებ,—...რატომ არ უნდა დავიპყროთ იგი, სანამ გავიდოდეთ ატ-

---

[1] Mémoires--ის ფრანგი გამომცემლების აზრით, აღმოსავლეთზე ლაშქრობის, კერძოდ ეგვიპტის დაპყრობის გეგმის ერთ-ერთი პირველი ავტორი იყო საფრანგეთის კონსული ქაიროში მ ა გ ა ლ ო ნ ი (Magalon). რომელსაც ეს გეგმა თავის დროზე შარლ დელაკროუასათვის წარუდგენია მათივე შეხედულებით ტალეირანს შეუსრულებია აქტიური კონსულტანტის როლი ნაპოლეონის მიმართ. ის ყოფილა ნაპოლეონის ერთ-ერთი ჩამგონებელი და თვით ლაშქრობის გეგმის კონკრეტულ ფორმებში ჩამომყალიბებელი. Mémoires, ტ. 5, გვ. 438—440 განსვენებული აკად. ტარლე თავის ბრივ ხაზს უსვამს ტალეირანის აქტიურ როლს როგორც აღმოსავლეთის ლაშქრობის პროექტის შემუშავების. ისე ამ პროექტის დირექტორიის მიერ დამტკიცების საქმეში. ამ პროექტის რეალიზაციას ტალეირანი უკავშირებდა საფრანგეთის კოლონიური გაფართოების და საგარეო ვაჭრობის შემდგომი წარმატების პერსპექტივებს. Е. Тарле. Талейран, 1948. გვ. 69.

[2] R. Guyot დასახ. ნაბრომში ვრცლად განიხილავს ინგლისში შეჭრაზე ხელის აღებისა და აღმოსავლეთში ლაშქრობის გეგმის შემუშავების საკითხებს. იხ. გვ. 548, 586—592. თვით ნაპოლეონი მოკლედ მოხაზავს იმ მოტივებს, რომლებმაც აიძულა დირექტორიის ხელისუფლება ბელი აეღო ინგლისში შეჭრის განხორციელებაზე და მოეწყო ექსპედიცია აღმოსავლეთში. ეგვიპტეზე ლაშქრობის ძირითად ამოცანად ნაპოლეონი მიიჩნევს ინდოეთში ინგლისის კოლონიური სამფლობელოებისათვის განმანადგურებელ დარტყმის მიყენებას. იგი ცდილობს მიაფუძნოს ამ წამოწყების აგრესიული ხასიათი, კერძოდ თურქეთის იმპერიის მიმართ. Наполеон, Избранные произведения. М., 1956. გვ. 389 (Кампании в Египте и Сирии, 1798—1799 гг.).

ლანტიის ოკეანეში. ეს კუნძული ჩვენთვის ფასდაუდებელი მნიშვნელობისაა“ [1]. „მე რომ არ ამეღო მალტა,—წერდა ამ კუნძულის შესახებ ნაპოლეონი მისი დაპყრობის შემდეგ,—მაშინ ინგლისელები დამასწრებდნენ და თვით დაეუფლებოდნენ მას. ამავე დროს ეს პუნქტი ძლიერ საჭირო იყო საფრანგეთთან ჩვენი პირდაპირი ურთიერთობისათვის...“ [2].

ჯერ კიდევ 1797 წელს, როდესაც ნაპოლეონ ბონაპარტი იტალიაში იმყოფებოდა, იგი უკვე ფიქრობდა ეგვიპტის დაპყრობის შესახებ და მას უკავშირებდა ინდოეთის უკან დაბრუნებაზე ოცნებას. „შორს არ არის ის დრო,—წერდა ნაპოლეონ ბონაპარტი 1797 წლის აგვისტოში იტალიიდან პარიზში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში,—როცა ჩვენ ვიგრძნობთ, რომ ინგლისის განადგურებისათვის უნდა დავეუფლოთ ეგვიპტეს“ [3]. ასევე წერდა იგი 1797 წლის აგვისტოში დირექტორიის მისამართით იტალიიდან გაგზავნილ წერილში [4].

1798 წლის მარტში აღმასრულებელმა დირექტორიამ, რა თქმა უნდა, ნაპოლეონის ზემოქმედებით, ტალეირანისა და ნაპოლეონის სხვა „ნე გობარ“ თაყვანისმცემელთა ჩარევით, მოიწონა აღმოსავლეთისაკენ ლაშქრობის გეგმა და გენერალ ბონაპარტს დაავალა სათანადო ექსპედიციის ორგანიზაცია და ლაშქრობის ხელმძღვანელობა [5]. 1798 წლის 12 აპრილს დირექტორიამ ხელი მოაწერა ინსტრუქციას, რომლითაც ბონაპარტს ევალებოდა დაეპყრო კუნძული მალტა. გაეძევებინა ინგლისელები ყველა მათი სამფლობელოდან აღ-

---

[1] Napoléon, Correspondance..., ტ., 2, გვ. 86—87, 1797, მაისი.

[2] „Славянин“, 1829, № 6, „Египетский поход Наполеона“ (წიგნიდან: „Vie politique et militaire de Napoléon“) გვ. 183—184.

[3] Е. Тарле, Наполеон, М., 1942, გვ. 47.

[4] M. Herbette, Une ambassade Turque sous le Directoire, Paris 1902, გვ. 211.

[5] საფიქრებელია, რომ დირექტორიის გადაწყვეტილება—მიეღო ნაპოლეონის გეგმა და იგი სათანადო ექსპედიციის ხელმძღვანელად დაენიშნა, ალბათ, ნაპოლეონის დიდი ავტორიტეტია და მისი მოსალოდნელი მახინაციების შიშითაც იყო გამოწვეული. აღმოსავლეთისაკენ გაგზავნით დირექტორიამ თავიდან მოიშორა იგი და პარიზში მისი არ ყოფნით შესაძლებელი საფრთხეც დროებით თავიდან აიცილა. იხ. Минье, История французской революции, СПБ., 1901, გვ. 322. ყველა დირექტორი, მართლაც, როდი უჭერდა მხარს აღმოსავლეთში ლაშქრობას, იგი მათ ავანტიურად მიაჩნდათ და თუ ექსპედიციის მარცხთან ერთად ნაპოლეონიც დაიღუპებოდა, ეს მათ მხოლოდ სასიამოვნოდ დარჩებოდათ.

ბოსავლეთში, მოესპო მათი ბაზები მეწამულის ზღვაზე, გაეერა სუეცის ყელი და უზრუნველეყო საფრანგეთის რესპუბლიკისათვის მეწამულის ზღვის თავისუფალი და განსაკუთრებული მფლობელობა[1].

1798 წლის 19 მაისს საფრანგეთის საზღვაო არმია და ყველა სახეობის რამდენიმე ათეული სამხედრო და დიდძალი სატრანსპორტო გემი რომლებზედაც იყო 36 ათასიანი საექსპედიციო კორპუსი, რჩეულ ოფიცერთა და გენერალთა შემადგენლობით, ნაპოლეონის სარდლობით დაიძრა ტულონიდან და მიმართულება აიღო სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ[2].

1798 წლის ივნისის პირველ რიცხვებში ნაპოლეონი კუნძულ მალტას მიადგა. მან მალტის სასულიერო ორდენის ხელმძღვანელობას, რომლის ხელშიაც იყო კუნძულის მბართველობა, წინადადება მისცა უბრძოლველად დაეთმო კუნძული წინააღმდეგ შემთხვევაში ძალის გამოყენებითა და ორდენის ხელმძღვანელობის მიმართ რეპრესიებით იმუქრებოდა.

მალტის დაპყრობის ფორმალურ საბაბად ბონაპარტმა გამოიყენა მალტის რაინდთა ორდენის კავშირ-ურთიერთობა რუსეთთან და მათი, ვითომდა, ფარული კავშირი მიმართული საფრანგეთის წინააღმდეგ[3]. „ყველა თქვენი განმარტება ხელს არ მიშლის ვიფიქრო, რომ რუსეთს ძველთაგანვე თვალი ექირა მალტაზე და ჩვენ განვიზრახეთ დაგვეჭირა იგი, რათა ხელი შეგვეშალა ამ გეგმის განხორციელებისათვის“—უთხრა ნაპოლეონმა მალტის ორდენის წარმომადგენლებს კუნძულის აღების დროს[4]. დუბლეტს, რომელიც გამოცხადდა კუნძულის ჩაბარების თაობაზე, ნაპოლეონმა განუცხადა: „ვიმედოვნებ დიდი მაგისტრი კმაყოფილი დარჩება ჩვენი მისდამი დიდსულოვანი დამოკიდებულებით, თუმცა ამის ღირსი არ არის, რადგანაც მოექცა რუსეთის მაცდუნებელი დაპირებების ზემოქმედების ქვეშ, რუსეთისა, რომელსაც განზრახვა ჰქონ-

---

[1] А. Сорель, დასახ. ნაშრ., ტ. 5, გვ. 246—247.

[2] ზუსტი ციფრობრივი მონაცემები აღმოსავლეთში ლაშქრობისათვის განკუთვნილი საფრანგეთის ექსპედიციის შემადგენლობის შესახებ ჯარების ცალკეულ სახეობათა მიხედვით მოტანილი აქვს ნაპოლეონ ბონაპარტს. Наполеон. Избр. произведения, М., 1956, გვ. 390—391.

[3] ნაპოლეონი შემჯეგში ამტკიცებდა, რომ ბან მალტაბე ნაბა ხელშეკრულების ორიგინალი, რომელიც რუსეთა და გომპეგს შორის იყო დადებული და რომლითაც ორდენის დიდი მაგისტრი კუნძულის ბედს პავლე I-ის მფარველობას ანდობდა. ის. Napoléon Correspondance, ტ. 4, გვ. 163—164.

[4] Сб. РИО, ტ. 70, გვ. XI.

და დაეპყრო მალტა საფრანგეთის საზიანოდ"[1]. როცა დუბლეტმა ნაპოლეონს მიაწოდა ცნობები რუსეთ-მალტის ორდენის ურთიერთობის შესახებ, გენერალმა იგი გარეგნულად ინდიფერენტულად მიიღო. დუბლეტს თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ყველაფერი ეს პარიზში დიდი ხანია ცნობილი იყო და აქ მოსვლა სწორედ მიზნად ისახავდა არ დაეშვათ კუნძულის რუსეთის ხელში გადასვლა[2].

მალტის რაინდთა დიდმა მაგისტრმა გომპეშმა მიუხედავად იმისა, რომ მის განკარგულებაში იყო თავდაცვისათვის საჭირო ყველა საშუალება, საჭიროდ არ ჩათვალა წინააღმდეგობის გაწევა და 1798 წლის 1/12 ივნისს მალტა მთელი თავისი ბაზებით, იარაღით, სურსათ-სანოვაგით და სიმდიდრით ფრანგების ხელში გადავიდა[3]. კუნძულის ჩაბარების ჯილდოდ გომპეშს აღუთქვეს ყოველწლიური პენსია 300.000 ლივრის რაოდენობით და მამული გერმანიაში.

ნაპოლეონ ბონაპარტმა მთელ კუნძულზე და განსაკუთრებით მთავარ საზღვაო ბაზა—ლა-ვალეტაში დატოვა ძლიერი გარნიზონი და რამოდენიმე სამხედრო გემი. კუნძულიდან მან წაიღო დიდძალი იარაღი, სურსათ-სანოვაგე, 3 მილიონამდე ოქრო-ვერცხლი, და მთელი თავისი ძალებით 8/19 ივნისს გეზი აიღო ეგვიპტისაკენ[4].

გამგზავრების წინ ნაპოლეონმა გამოუცხადა კუნიულის გარნიზონის ფრანგ გენერლებს, რომ სიკვდილით დაისჯებოდა მალტისა და იონიის კუნძულის ყველა მცხოვრები, რომლებიც განიზრახავდნენ რუსეთთან ურთიერთობის გაბმას. ამავე დროს მალტის გარნიზონს და ლა-ვალეტას რეიდზე დატოვებულ საფრანგეთის საბ-ედრო გემების კაპიტნებს მან ბრძანება დაუტოვა: ჩაეძირათ ბერძენთა გემები, თუ მათზე რუსეთის ალამი იქნებოდა აღმართული და ეს გემები მალტასთან მიახლოებას განიზრახავდნენ. ხოლო

---

[1] Донесения графа Литы, посланника Мальтийского ордена в Петербурге... Сообщ. А. Ф. Бычковым. Сб. РИО, ტ. 2, გვ. 176.

[2] იქვე.

[3] Ренмерс, С.—Петербург при императоре Павле Петровиче в 1796—1801 гг., „Русская старина", ტ. 39, 1883, გვ. 462.

[4] ვრცელ ცნობებს ფრანგთაგან მალტის დაპყრობის, მისი გაძარცვის, გარნიზონის დატოვების და ორდენის ხელმძღვანელობასთან მათი ურთიერთობის შესახებ იძლევიან: L. Boisgelin, Malteancienne et moderne... Paris, 1809. ტ. 3, გვ. 167 და შემდეგი: M. Barante. დასახ. ნაშრ., ტ. 3. გვ. 217—232; Napoleon, Correspondance... ტ. 4, გვ. 162—163; მუსინ-პუშკინის 1798 წლის 15/26 ივნისის რელაცია პავლე I-სადმი, Архив ВПР, ф. „Сношения России с Неаполем, д. 264, лл. 47—54.

ჯერ კიდევ კუნძულის დაკავების დროს ნაპოლეონმა ბრძანება გასცა მალტის ორდენთან რუსეთის წარმომადგენლის ო'ჰარას (O, Hara) კუნძულიდან გაძევების შესახებ[1].

ზემოთ მოტანილი ცნობები და ნაპოლეონის მოქმედება კუნძულ მალტაზე მკაფიოდ მეტყველებს ამ აქციის რუსეთის საწინააღმდეგო ხასიათზე. მალტის დაპყრობით ფრანგებმა სერიოზული ზიანი მიაყენეს რუსეთის ინტერესებს და მით დააჩქარეს ამ ქვეყნის ამხედრება საფრანგეთის წინააღმდეგ.

კუნძული მალტა, რომელიც 1798 წლის ივნისში ფრანგთა აგრესიის მსხვერპლი გახდა, მოკლებული იყო საერო ხელისუფლებას., იგი სასულიერო ორდენის—მალტის წმინდა იოანე იერუსალიმელის რაინდთა ორდენის—ხელში იმყოფებოდა და მის მთავარ ბაზას წარმოადგენდა. მალტის ორდენის თავდაპირველი უჯრედი—სასულიერო რაინდული ორდენი დაარსდა იერუსალიმში პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ და მას წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელი მიანიჭეს. ვინაიდან ამ ორდენის წევრები—ბერები ღვთის სამსახურთან ერთად იარაღით ხელში იბრძოდნენ „ურჯულოთა“ წინააღმდეგ ქრისტიანობის დასაცავად, ეს საძმო ცოტა უფრო გვიან სასულიერო-რაინდულ ორდენად ქცეულა. ორდენის რაინდებს თვით ორდენის სახელწოდებიდან იოანიტების სახელი შერქმევიათ[2]. 1113 წელს პაპა პასხალ II-ს დაუმტკიცებია ამ ორდენის სტატუტი და მიუცია მისთვის უფლება თვით აერჩია უფროსი (დიდი მაგისტრი)[3].

ჯვაროსანთა პალესტინიდან განდევნის შემდეგ იოანიტთა ორდენი დროებით კუნძულ როდოსზე დამკვიდრდა, სადაც 1523 წლამდე განაგრძობდა არსებობას. 1523 წელს როდოსი თურქებმა დაიპყრეს და ორდენის მთელი შემადგენლობა განდევნეს იქიდან[4]. 1530 წელს იოანიტთა ორდენი გადავიდა და დამკვიდრდა კუნძულ მალტაზე, რომელიც იმპერატორმა კარლოს V დაუთმო მათ. ამიერიდან იოანიტთა ორდენს მალტის ორდენი ეწოდა[5].

---

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 64—65; ტ. 3, გვ. 77, შენ. 56.

[2] А. Алябьев, Сношения России с Мальтийским Орденом, ч. I (до 1789 г.)... Сборник Московского архива МИД, М., 1893, გვ. 176.

[3] გერმანელ ავტორს ბერგს (Ernest von Berg) ნაშრომში—„Der Malteserorden und seine Beziehunden zu Russland“ (Riga, 1879) ჩამოთვლილი ჰყავს ყველა გროსმაისტერი და იძლევა მათ ცალკეულ მოკლე დახასიათებას, გვ. 32—282.

[4] E. Berg, დასახ. ნაშრ., გვ. 30—31.

[5] იქვე, გვ. 32.

1530 წლიდან წმ. იოანე იერუსალიმელის რაინდთა ორდენის მუდმივ ბაზად ქცეული მალტა დიდ სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს და ევროპის დიდ სახელმწიფოთა დაინტერესების საგნად ხდება. ინგლისი, საფრანგეთი, ესპანეთი და იტალიის სახელმწიფოები (კერძოდ კი ნეაპოლის სამეფო) ცდილობდნენ მჭიდრო კავშირი დაემყარებინათ ორდენთან და მოექციათ იგი თავიანთ გავლენის ქვეშ.

კუნძულ მალტისადმი დაინტერესების საქმეში სხვა სახელმწიფოებს არც მეფის რუსეთი ჩამორჩებოდა. ამ დაინტერესებას, რომელსაც XVII საუკუნის მეორე ნახევარში ჩაეყარა საფუძველი, რეალური მოტივები ედო საფუძვლად, თუმცა იგი რელიგიური გარსით იყო შემოსილი. ოტომანთა იმპერიის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლა შავი ზღვით და სრუტეებით ხმელთაშუა ზღვის აუზში გასვლა და ამ გზით ევროპის სამხრეთ ქვეყნებთან ეკონომიური კავშირ-ურთიერთობის დამყარება—აი რა მიზანი ამოქმედებდა პეტრე I-ს, როდესაც კონკრეტულ ნაბიჯს დგამდა მალტის ორდენთან კავშირის დასამყარებლად. მალტაზე ფეხის მოკიდება და მისი საზღვაო ბაზების გამოყენება ხელს შეუწყობდა რუსეთის მიერ დასახული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას.

1697 წელს პეტრე I-მა მალტის ორდენთან ურთიერთობის დასაყარებლად მიავლინა თავისი ახლობელი ბოიარინი, ფელდმარშალი ბორის პეტრეს ძე შერემეტიევი, რომელიც პოლონეთზე, ვენეციაზე და რომზე გავლით 1698 წელს მივიდა მალტაზე, სადაც დიდი ზეიმით იქნა მიღებული დიდი მაგისტრის მიერ[1]. საზეიმო მიღების შემდეგ პეტრე I-ის წარმომადგენელს დაუთვალიერებია კუნძული, გასცნობია გამაგრებულ და სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებს. უკან დაბრუნებისას შერემეტიევი ორდენის რაინდად უკურთხებიათ და იგი ოქროს ჯაჭვიანი ორდენის ჯვრით დაუჯილდოებიათ. ამგვარად შერემეტიევი მალტის ორდენის პირველი რუსი კავალერი გამხდარა[2].

შერემეტიევის მალტაზე გაგზავნით რუსეთმა პირველი ნაბიჯი გადადგა ორდენთან ურთიერთობის დასამყარებლად. მაგრამ მას არ მოჰყოლია ამ ორდენთან უშუალო დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება. ამ დროიდან დაწყებული 1769 წლამდე რუსეთ-

---

[1] E. Berg, დასახ. ნაშრ., გვ. 101—103; А. Алябьев, დასახ. კრებული, გვ. 185; К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 322.

[2] E. Berg. დასახ. ნაშრ., გვ. 104—109; А. Алябьев, დასახ. კრებული, გვ. 185.

ესა და მალტის ორდენს შორის ურთიერთობა დროგამოშვებით და სპორადულ ხასიათს ატარებდა[1].

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც დღის წესრიგში დადგა თურქეთის იმპერიის ძემკვიდრეობის განაწილების საკითხი, კიდევ უფრო გაძლიერდა რუსეთის დაინტერესება მალტისა და მისი ორდენისადმი. თურქეთის დანაწილების შემთხვევაში მისი ბემკვიდრეობის მნიშვნელოვანი წილის ძიღება, ინგლის-საფრანგეთის ინტრიგების ჩაშლა, შავი ზღვის სრუტეებში რუსეთის სამხედრო და სავაჭრო ფლოტის გავლის უფლების მოპოვება, რუსეთის ვაჭრობის გაფართოება სამხრეთ ევროპასთან და ლევანტის ქვეყნებთან, ეი რა მიზნებს დაუკავშირა რუსეთის მთავრობამ თავისი მზარდი დაინტერესება კუნძულ მალტისადმი. თუ რუსეთი შესძლებდა მალტაზე ფეხის მოკიდებას, მაშინ პრაქტიკულად გადაწყდებოდა ზემოაღნიშნული საგარეო პოლიტიკური მისწრაფებები, ეს კუნძული გახდებოდა რუსეთის ერთ-ერთი საყრდენი ნავსადგური და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან ვაჭრობის მნიშვნელოვანი ბაზა.

მალტის ორდენსა და რუსეთს შორის მჭიდრო კავშირის დამყარების საქმეში აქტიური როლი შეასრულა იმპერატორმა ეკატერინე II-ემ, რომელმაც რამოდენიმე წარმომადგენელი (აშკარად და ინკოგნიტოდ) და სამხედრო ესკადრა მიავლინა ამ კუნძულზე.

ეკატერინე II-ის მიერ კუნძულ მალტაზე ორდენთან ურთიერთობის დასამყარებლად მალტაზე მივლინებულთა შორის აღსანიშნავია მარკიზი კ ა ვ ა ლ გ ა ნ დ ო (1769 წელს) და გრაფი ალექსი ო რ ლ ო ვ ი (ინკოგნიტოდ ჩასული 1772 წელს). მალტის ორდენის ხელმძღვანელობამ, მართალია, კარგად მიიღო რუსეთის წარმომადგენლები და რუსეთის სამხედრო გემებს ლა-ვალეტას ნავსადგურში ღუზაზე დადგომის საშუალება მისცა, მაგრამ ორდენის მაშინდელმა დიდმა მაგისტრმა რ ო ჰ ა ნ მ ა საფრანგეთის შიშით ვერ გაბედა მიეღო რუსეთის წინადადება თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მის მოკავშირედ გახდომის შესახებ[2].

როგორც მოტანილი ცნობები ნათელყოფს, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის ცარიზმი პრაქტიკულად აყენებს მალ-

---

[1] E. B e r g, დასახ. ნაშრ., გვ. 100—132. იქ მოცემულია ცნობები რუსეთ-მალტის ორდენის ურთიერთობის შესახებ 1698—1769 წლებს შორის.

[2] E. B e r g, დასახ. ნაშრ., გვ. 138—150; А. А л я б ь е в, დასახ. კრებული, გვ. 186—199; М. М о р о ш к и н, Иезуиты в России... СПБ, 1867, გვ. 316—317.

ტაზე ფეხის მოკიდების საკითხს და სათანადო დიპლომატიურ ღონისძიებებს ატარებს ამ მიმართულებით (სამხედრო ფლოტის „ვიზიტთან“ ერთად). მართალია, მან მოახერხა ორდენის ხელმძღვანელობასთან რეგულარული ურთიერთობის გაბმა და დროგამოშვებით კუნძულის ნავსადგური თავისი სამხედრო ფლოტის ბაზადაც კი გამოიყენა, მაგრამ ყველაფერი ეს იმ მიზნის ნაწილი იყო, რასაც რუსეთი ამ კუნძულის მიმართ ისახავდა. კუნძულზე ფეხის მოკიდება და ორდენის თავის იარაღად ქცევა მან ვერ შესძლო. ამაში მას ხელი შეუშალა პირველ რიგში საფრანგეთმა, რომელიც თვით ფიქრობდა იქ ფეხის მოკიდებას.

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია სერიოზული დარტყმა იყო მალტის ორდენისათვის. რევოლუციის შედეგად მან დაჰკარგა ბურბონთა მთავრობის დახმარება, თავისი მამულები საფრანგეთში და მნიშვნელოვანი შემოსავალი, რომელსაც იქიდან იღებდა. ამან აიძულა ორდენის ხელმძღვანელობა გაორკეცებული ყურადღება მიეპყრო რუსეთისათვის და მიემართა მისთვის როგორც მფარველობისათვის, ისე დამატებითი შემოსავლის მისაღებად. თავის მხრივ რუსეთის ცარიზმმა იმპერატორ პავლე I-ის გამეფების პირველ დღიდანვე განავითარა წინამორბედი მმართველობის ტრადიციული პოლიტიკა კუნძულ მალტის მიმართ. მეფის რუსეთის დაინტერესებას ამ კუნძულისადმი საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ ახალი მოტივი მიემატა. ახალ ვითარებაში, როდესაც ინგლისთან და თურქეთთან ურთიერთობა შეიცვალა, ხოლო რუსეთის საარსებო ინტერესებს საფრანგეთის მზარდმა ექსპანსიამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა, რუსეთის ცარიზმს მალტაზე ფეხის მოკიდება ესაჭიროებოდა იმისათვის, რომ მისი მეშვეობით ჩაეშალა შემდგომში საფრანგეთის ექსპანსიური მისწრაფება ევროპის ამ რაიონში. საფრანგეთთან გარდუვალი ომის პირობებში კუნძულ მალტას მეტად დიდი როლი უნდა შეესრულებინა; იგი უნდა ყოფილიყო ის ბაზა, რომელზედაც დაყრდნობით რუსეთს მახვილი უნდა ჩაეცა საფრანგეთის საზღვაო ძლიერებისათვის ხმელთაშუა ზღვის აუზში.

კამპო-ფორმიოს ზავის დადების შედეგად ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა, კერძოდ ფრანგების მიერ იონიის კუნძულების დაუფლებამ და ბალკანეთზე ფეხის მოკიდებამ, როგორც აღნიშნული იყო, უშუალო საფრთხე შეუქმნა რუსეთის საარსებო ინტერესებს სამხრეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში და მით გააორკეცა მისი ყურადღება კუნძულ მალტისადმი. ამით აიხსნება ის განსაკუთრებული „ზრუნვა“, რომელიც

პავლე I-მა გამეფების პირველი დღიდანვე მალტის ორდენის შერყეული მდგომარეობისადმი გამოიჩინა.

1795 წელს, ჯერ კიდევ ეკატერინე II-ის სიცოცხლეში, მალტის ორდენის დიდმა მაგისტრმა ემანუილ როჰანმა რუსეთში მიავლინა თავისი წარმომადგენელი ორდენის დიდი ჯვრის კავალერი (ბალი ან ნუნცი, რუსეთის სამხედრო სამსახურში ნამყოფი კონტრ-ადმირალი) გრაფი იული-რენე კომპეის-ძე ლიტა. ლიტას დავალებული ჰქონდა რუსეთის იმპერატორის ყურადღება მიექცია ორდენის შერყეულ მდგომარეობისათვის და მისგან მიეღო 120.000 ზლოტი, რომელიც ოსტროჟკის მამულიდან (პოლონეთის დაყოფის შედეგად რუსეთს რომ ერგო) ეკუთვნოდა ყოველწლიურად პოლონეთის სეიმის 1773 წლის დადგენილების ძალით. მასვე უნდა ეთხოვა რუსეთის იმპერატორისათვის ორდენის პოლონეთის ყოფილი საპრიოროს (ვოლინის საპრიოროს) აღდგენა[1].

ეკატერინე II-ის სიკვდილმა ხელი შეუშალა მაშინ ლიტას მისიას. მაგრამ ახლად გამეფებულმა იმპერატორმა, რომელმაც ჯეროვნად შეაფასა მალტის ორდენთან მჭიდრო კავშირის დიდი მნიშვნელობა მალტაზე რუსეთის ბატონობის დამყარების საქმეში, საზეიმო ცერემონია მოუწყო მის წარმომადგენელს. იმპერატორმა დაავალა ბეზბოროდკოს და კურაკინს მოლაპარაკება გაეწართათ ლიტასთან ორდენის თხოვნის თაობაზე. მოლაპარაკება მალე დამთავრდა და ორდენის ყველა თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა[2].

მოლაპარაკება დამთავრდა 1797 წლის 4/15 იანვარს კონვენციაზე ხელმოწერით. ამ კონვენციით რუსეთის ცარიზმი ვალდებულებას კისრულობდა სახელმწიფო ხაზინიდან ორდენისათვის ყოველწლიურად მიეცა 300.000 ზლოტი რუსეთში ახლად დაარსებული ორდენის დიდი საპრიოროს და 10 საკომანდორის შესანახად[3].

---

[1] К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 322.

[2] М. Морошкин, დასახ. ნაშრ., გვ. 321; А. Лебзин, История Ордена Св. Иоанна иерусалимского..., СПБ., 1801, გვ. 216; თვით გრაფი ლიტა ვრცელ მოხსენებით ბარათში ორდენის დიდი მაგისტრისადმი (1797 წლის 7/18 იანვრის თარიღით) ვრცლად აღწერს მის მისიას, პეტერბურგში საზეიმო მიღებას და მისიის წარმატებით შესრულებას. იხ. Сб. РИО, ტ. 2. გვ. 199—237.

[3] Полное собрание законов Российской империи.... т. XXIV, Генваря 4/15. 17. 708. Конвенция, заключенная с Державным Орденом Мальтийским и Его Преимуществом Гроссмейстером, об установлении сего Ордена в России, გვ. 261—268, Ф. Мартенс. დასახ. კრებ., ტ. 7, გვ. 156.

ეს ხელშეკრულება მოასწავებდა ახალ ეტაპს რუსეთისა და მალ-ტის ორდენის ურთიერთობაში [1].

მალტის ორდენისა და რუსეთის ცარიზმის გულთბილი კავ-შირის დემონსტრაცია ამით არ დასრულებულა. იმავე 1797 წლის ნოემბერში ლიტამ ორდენის დიდი მაგისტრის დავალებით პავლეს მორიგ საზეიმო აუდენციის დროს საჩუქრად მიართვა მალტიდან ჩამოტანილი ჯვარი, რომელსაც ოდესღაც ატარებდა ორდენის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი დიდი მაგისტრი ლა ვალეტი. ამას-თან ერთად ლიტამ ორდენის დიდი მაგისტრის და საბჭოს სახე-ლით თხოვა რუსეთის იმპერატორს გაეძლიერებინა თავისი ყურად-ღება ორდენისადმი და აეყვანა იგი თავის მფარველობაში. პავლემ დააკმაყოფილა ეს თხოვნაც. 1797 წლის 18/29 ნოემბერს რუსეთის იმპერატორმა დააწესა თავისი პროტექტორატი ორდენზე და მი-იღო მისი მ ფ ა რ ვ ე ლ ი ს ტიტული [2]. ამასთან დაკავშირებით და-მატებითი კონვენციით რუსეთში დაწესდა 3 ახალი სასულიერო საკომანდორო შესატყვისი შემოსავლით [3].

L აი, ასეთ ვითარებაში იყო მალტის ორდენის ურთიერთობა რუსეთთან, როდესაც კუნძული ნალტა ფრანგ აგრესორთა დაპყ-რობის ობიექტი გახდა. მალტის გაძარცვა, ორდენის შინაგან საქ-მეებში ჩარევა და ლა-ვალეტას ბაზაში ძლიერი გარნიზონის ჩაყე-ნება ბოლოს უღებდა მალტის ორდენის შემდგომ ურთიერთობას. რუსეთთან. ამდენად საფრანგეთის აღნიშნული აქტი რუსეთის წი-ნააღმდეგ მიმართულ აქციას წარმოადგენდა. ამიტომ იყო, რომ ფრანგთაგან მალტის დაპყრობამ უაღრესად მტრული რეაქცია ჰპოვა პეტერბურგში, იგი მიჩნეულ იქნა რუსეთის წინააღმდეგ მი-მართულ აგრესიულ აქტად. რუსეთის პასუხს საფრანგეთის ამ.

---

[1] შილდერს პავლე I-ის კავშირი მალტის ორდენთან და მასთან აღნიშნუ-ლი კონვენციის დადება მიაჩნია უგუნურ, ანტინაციონალურ პოლიტიკად. გადა-ხვევად რუსეთის ტრადიციულ პოლიტიკიდან. იხ. Н. Шильдер, Император Павел I, გვ. 340.

[2] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 64; К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 323; Ф. Мартенс, დასახ. კრებული, ტ. 6. გვ. 116.

[3] პოლონეთის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოერთების შემდეგ რუსეთის და-სავლეთ, პოლონურ-კათოლიკურ ნაწილში და თვით პეტერბურგში გაძლიერდა იეზუიტთა ორდენის საქმიანობა. იეზუიტების მთავარი ხელმძღვანელი რუსეთში პატრი გ რ უ ბ ე რ ი უშუალოდ დაკავშირებული იყო რომის პაპთან, რომლის-განაც ღებულობდა დირექტივებს და ფინანსურ სახსრებს. პაპთან ერთად მათ კავშირი ჰქონდათ მალტის ორდენთანაც. იხ., М. Морошкин, დასახ. ნაშრ., გვ. 331 და შემდეგი; Е. Карпович, Мальтийские рыцари в России, „Отечественные записки", 1877 г., № 7, გვ. 47, 69.

მტრულ აქტზე წარმოადგენდა საფრანგეთის წინააღმდეგ ომისათვის დიპლომატიური და სხვა ღონისძიებების გაძლიერება.

რუსეთის ცარიზმმა შეუძლებლად მიიჩნია მომბდარ ფაქტთან შერიგება და უკან დახევა. პირიქით, მან საჭიროდ სცნო დარტყმისათვის კიდევ უფრო გამომწვევი ნაბიჯით ეპასუხა და ოფიციალური პრეტენზია განეცხადებინა მალტის ორდენის ხელმძღვანელობაზე და მით თვით კუნძულ მალტაზე. მალტის ორდენის დიდი მაგისტრის ტიტულის დემონსტრაციულად მიღება პავლეს მიერ ერთ-ერთ ასეთ საპასუხო ღონისძიებას წარმოადგენდა. როგორც წყაროებიდან ჩანს, პეტერბურგის სამეფო კარზე ყველა ენთუზიაზმით როდი შეხვდა მალტისადმი პავლეს დაინტერესებას, მით უფრო მის მიერ მალტის ორდენის დიდი მაგისტრის წოდების მიღებას. ბევრი გავლენიანი თავკაცი პეტერბურგში ჩუმად გმობდა იმპერატორის ამ ნაბიჯს და ქიმერულ გატაცებად მიიჩნევდა მას. ასეთ თავკაცთა რიცხვს ეკუთვნოდა თ. ვ. როსტოპჩინი, რომელიც თავის 1801 წლის 30 ივნისის წერილში გრაფ ს. რ. ვორონცოვისადმი (როდესაც პავლე I ცოცხალი აღარ იყო და ალექსანდრე I მეფობდა) პავლეს სურვილს—ყოფილიყო მალტის მფლობელი ორდენის დიდი მაგისტრის სახით,—უწოდებს ქიმერულ სურვილს[1].

1798 წლის 15/26 აგვისტოს პეტერბურგში გრაფ ლიტას თავმჯდომარეობით შედგა პეტერბურგში ყოფ მალტის ორდენის კავალერთა შეკრება. შეკრებამ ორდენის დიდ მაგისტრს ბარონ გომპეშს ბრალი დასდო ღალატის აქტში — მალტის უბრძოლველად ფრანგებისათვის ჩაბარებაში, რის გამოც შეუძლებლად მიიჩნია მისი შემდგომი ყოფნა ორდენის სათავეში[2]. კრებამ მიიღო დადგენილება გომპეშისათვის ორდენის დიდი მაგისტრის საპატიო ტიტულის ჩამორთმევის შესახებ და იგი ორდენის მფარველს, რუსეთის იმპერატორ პავლე I-ს შესთავაზა. ორდენის ყველაზე უმცროსმა საპრიორომ—რუსეთის საპრიორომ—სხვა საპრიოროთა ნება-სურვილის გარეშე, მიითვისა დიდი მაგისტრის მოხსნა-დანიშვნის უფლება[3]. მალტის ორდენის რუსეთის საპრიოროს აღნიშნული შეკრება

---

[1] იხ. Архив князя Воронцова, ტ. 8, გვ. 288.

[2] 1798 წლის 15/26 აგვისტოს აქტით კუნძულ მალტის ფრანგებისათვის ჩაბარების ყველა მონაწილეს ერთმეოდა წოდება და თანამდებობა; თვით გომპეში ცნობილ იქნა დამნაშავედ ღალატის აქტის თანამონაწილეობაში. იმავე აქტით კრება სთხოვდა პავლე I-ს მიეღო ორდენის დიდი მაგისტრის საპატიო წოდება. იხ. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3., გვ. 77, მე-5 შენიშვნა.

[3] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 15; Ф. Мартенс, დასახ. კრებული, ტ. 7, გვ. 334 და შემდ.; E. Berg, დასახ. ნაშრ., გვ. VI.

ვერ მიიღებდა აღნიშნულ დადგენილებას, რომ იგი წინასწარ არ ყოფილიყო შეთანხმებული პავლესთან.

რუსეთის იმპერატორმა „დააკმაყოფილა“ მალტის ორდენის რუსეთის საპრიოროს ხელმძღვანელთა „თხოვნა“ და თანხმობა განაცხადა მიეღო ორდენის დიდი მაგისტრის საპატიო წოდება. 1798 წლის 28 აგვისტოს მან გამოაქვეყნა სპეციალური მანიფესტი (გატჩინოში), რომლითაც იგი აცხადებდა თავის თანხმობას მიეღო მალტის ორდენის დიდი მაგისტრის საპატიო წოდება და დაეცვა მისი ღირსება, დაწესებულებანი და წესები [1].

1798 წლის 16/27 ოქტომბერს მალტის ორდენის რუსეთში მყოფი კავალერები კვლავ შეიკრიბნენ პეტერბურგში და რუსეთის იმპერატორი გამოაცხადეს მალტის ორდენის დიდ მაგისტრად [2].

1798 წლის 29 ნოემბერს საერო და სასულიერო არისტოკრატიის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლების თან დასწრებით, მალტის ორდენის კავალერთა მონაწილეობით, პეტერბურგში ჩატარდა საზეიმო ცერემონიალი მიძღვნილი პავლე I-ის მიერ მალტის ორდენის დიდი მაგისტრის საპატიო წოდების მიღებისადმი [3]. ამიერიდან მალტის ორდენის დიდი მაგისტრის ადგილსამყოფელად მალტის ნაცვლად პეტერბურგი იქნა მიჩნეული. აღნიშნულ საზეიმო ცერემონიალთან დაკავშირებით რომაულ-კათოლიკური დიდი საპრიოროს გვერდით არსებობდა მეორე ახალი—ბერძნულ-მართმადიდებლურ-რუსული საპრიორო, რომლის დიდ პრიოროდაც დანიშნული იქნა ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე I. მალტის ორდენმა და მისმა რუსულმა საპრიორომ დამატებით ახალი წყალობა მიიღეს, ბევრი ბრწყინვალე არისტოკრატი პეტერბურგიდან მალტის ორდენის კავალერი გახდა [4].

ამგვარად, მალტის კვანძმა, კერძოდ ფრანგების მიერ ამ კუნძულის ხელში ჩაგდებამ, კიდევ უფრო გააძლიერა დაძაბულობა რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში და განაპირობა მათ შორის ომის გარდუვალობა უახლოეს მომავალში.

---

[1] М. Морошкин, დასახ. ნაშრ., გვ. 325—326. К. Валишевский, დასახ. ნაშრ.. გვ. 324—325.

[2] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 77, 58-ე შენიშვნა.

[3] ამ საზეიმო ცერემონიის ვრცელი აღწერა იხ. შემდეგ თხზულებებში: „Записки гр. Рибопьера“, „Русский архив“, 1877, кн. 4, გვ. 481; М. Морошкин, დასახ. ნაშრ., გვ. 327—328; Е. Карпович, დასახ. წერილი, „Отечеств. записки“, 1877, № 7, გვ. 93—94.

[4] იხ. გრაფ ხავადსკის 1798 წლის 30 ნოემბრის და 1799 წლის I დეკემბრის წერილები ა. რ. და ს. რ. ვორონცოვებისადმი. Архив князя Воронцова, ტ. 12, გვ. 208—209.

3. საფრანგეთის აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ და რუსეთ-თურქეთის „თავდაცვითი“ ომის შექმნა

მალტის დაპყრობის შემდეგ ნაპოლეონ ბონაპარტმა როგორც უკვე იყო აღნიშნული, 1798 წლის 8 ივნისს თავისი „უძლეველი არმადა“ აღმოსავლეთისაკენ დასძრა, რათა სისრულეში მოეყვანა ეგვიპტის დაპყრობის გეგმა.

აღმასრულებელი დირექტორია და აღმოსავლეთის ექსპედიციის უშუალო ხელმძღვანელი ნაპოლეონ ბონაპარტი, ემზადებოდნენ რა ეგვიპტის დასაპყრობად. რომელიც თურქეთის იმპერიის სამფლობელოს წარმოადგენდა, ამავე დროს ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ პორტასთან ძველი „მეგობრული“ ურთიერთობა. ისინი არწმუნებდნენ თურქეთის მთავრობას: საფრანგეთს მომავალშიც განზრახული აქვს იქონიოს თურქეთთან ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა, იგი არ აპირებს გადადგას რაიმე ისეთი ნაბიჯი, რომელიც თურქეთის მთლიანობის და უშიშროების წინააღმდეგ იქნება მიმართული. პარიზში ჯეროვნად ითვალისწინებდნენ იმ შეშფოთების მოსალოდნელ შედეგს, რომელიც გამეფდა კონსტანტინეპოლში ფრანგების მიერ იონიის კუნძულების დაუფლების, ბალკანეთის ნახევარკუნძულის სანაპიროებზე ფეხის მოკიდების და ტულონ-მარსელის ნავსადგურში წარმოებული მზადების გამო. თუ ფრანგები ვერ აღმოფხვრიდნენ ამ შეშფოთებას და ვერ დაარწმუნებდნენ თურქებს მათდამი კეთილგანწყობილებაში, მაშინ სავსებით მოსალოდნელი იყო, რომ თურქეთის მთავრობა საფრანგეთის მტრებს მიემხრობოდა და საფრანგეთის წინააღმდეგ ამხედრდებოდა. ასეთი პერსპექტივა კი ხელს შეუშლიდა განზრახული ლაშქრობის წარმატებას აღმოსავლეთში.

თურქებს შეშფოთებისა და ნერვიულობისათვის სერიოზული საფუძველი გააჩნდათ. XVIII საუკუნის დასასრულისათვის თურქეთის იმპერიის შინაგანი მდგომარეობა და საერთაშორისო პოზიციები მკვეთრად გაუარესდა. იმპერიის რღვევისა და ხოწნის პროცესები შორს წავიდა. საფრანგეთის რევოლუციამ თავისი გავლენა მოახდინა ამ იმპერიაზე.

საფრანგეთის რევოლუციამ და მისმა პროგრესულმა იდეებმა ყველაზე მეტად გამოძახილი ჰპოვეს თურქეთის იმპერიის ქრისტიან ქვეშევრდომ ხალხებზე—ბერძნებზე, სლავებზე და ა. შ. ამ გამოძახილისა და შესატყვისი გავლენის კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის

ვაძლიერება საბერძნეთში, სერბიაში, ჩერნოგორიაში, ბულგარეთში, ალბანეთში და მაკედონიაში. ბალკანეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიმართული იყო თურქ დამპყრობ ასიმილატორთა წინააღმდეგ, „ყველაზე სასტიკი ასიმილატორების“ წინააღმდეგ, რომლებიც „ასეული წლების მანძილზე ფლეთდნენ და ასახიჩრებდნენ ბალკანეთის ერებს...“ [1] ბალკანეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა თურქეთის იმპერიის შემდგომი რღვევის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა. იგი სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა თურქეთის ბატონობას ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და ბიძგს აძლევდა თურქეთის მიერ დამონებული სხვა ხალხების საყოველთაო განმათავისუფლებელ აჯანყებას [2].

აღნიშნული ვითარება გავლენას ახდენს რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაზე. იგი იწვევს თურქეთის ფეოდალურ რეაქციონერ მმართველთა უნდობლობას და შიშს ახალი, ბურჟუაზიული საფრანგეთისადმი, რომელიც თურქეთის იმპერიის „შინაგანი შფოთის და რღვევის“ ერთ-ერთი პირობა გახდა. თურქეთის მთავრობას არც კი სურდა ეცნო რევოლუციური საფრანგეთი და მიეღო მისი ელჩები კონსტანტინეპოლში. მხოლოდ 1795 წლის შემდეგ, როცა თურქეთში ჩავიდა საფრანგეთის დირექტორიის ელჩი რაიბონ დე ვერნინაკი, პორტამ ოფიციალურად იცნო იგი საფრანგეთის წარმომადგენლად და ნება დართო საფრანგეთის საელჩოს შენობაში ჰქონოდა ბინა [3].

თურქეთში საფრანგეთის საწინააღმდეგო განწყობილება გაიზარდა დირექტორიის მმართველობის პერიოდიდან. საფრანგეთის აგრესიის მნიშვნელოვანი წარმატება, კერძოდ იონიის კუნძულების, და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ზოგიერთი ბაზის ფრანგთა ხელში მოქცევა მთავარ როლს ასრულებდა ამ განწყობილების შემუშავებაში. ფრანგთა მიახლოებამ ბალკანეთის ნახევარკუნძულთან,

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 11, გვ. 384—385.

[2] სავსებით მართალია ა. თ. მილერი, რომელიც აღნიშნავს, რომ საფრანგეთის რევოლუციის გავლენა თურქეთის იმპერიაზე საერთოდ არ იყო ისევე ძლიერი და პროგრესული მნიშვნელობის, როგორც ევროპაში. ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქვეყნები და ბერძნული არქიპელაგი წარმოადგენდა. აქ უკვე მომზადებული იყო ნიადაგი ბურჟუაზიულ-ნაციონალური მოძრაობისათვის. საფრანგეთის რევოლუციური იდეების განვითარებამ ხელი შეუწყო ამ მოძრაობის განვითარებას. იხ. А. Ф. Миллер, Мустафа. Паша Байрактар..., М.—Л., 1947. გვ. 78—79.

[3] А. Миллер, დასახ. ნაშრ., გვ. 81.

სადაც თავისი სამფლობელოები ჰქონდა თურქეთს, უშუალო საფრთხე შეუქმნა ამ იმპერიის მთლიანობას და სოციალურ სისტემას. გასაგებია, რომ აღნიშნულმა ვითარებამ მეტად მტრული რეაქცია გამოიწვია თურქეთის მმართველთა შორის. ვ. ა. კოჩუბეის თქმით, ამ დროისათვის თურქები უკვე აღარ თვლიდნენ ფრანგებს თავიანთ მეგობრებად და, თუ მისსავე ცნობებს ვერწმუნებით, ისინი მოლაპარაკებასაც კი აწარმოებდნენ ინგლისთან მოქმედების ერთიანი ხაზის შესახებ საფრანგეთის წინააღმდეგ [1].

ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვიზიარებთ მილერის შეხედულებას და მასთან ერთად უარვყოფთ ფრანგ ისტორიკოსთა ერთი ჯგუფის შეხედულებას იმის შესახებ, თითქოს, პირველი ბზარი საფრანგეთ-თურქეთის ურთიერთობაში შეექმნას მხოლოდ ნაპოლეონის ექსპედიციას ეგვიპტეში, რაც სრულიად მოულოდნელი დარტყმა იყო თურქეთისათვის [2]. ჩვენს მიერ მოტანილი ფაქტები ნათელჰყოფენ სრულიად საწინააღმდეგოს. თურქეთის მთავრობის მეგობრული დამოკიდებულება საფრანგეთისადმი 1797 წლიდან უკვე შერყეული იყო. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ აღნიშნულ საბჭოთა ისტორიკოსს და მივიღოთ მისი შეხედულება იმის შესახებ, რომ, თითქოს, ეგვიპტის ექსპედიციას არ ეთამაშოს გადამწყვეტი როლი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის მომავალზე, ბიძგი არ მიეცეს თურქეთისათვის შეერთებოდა ანტიფრანგულ ბლოკს, რომ თითქოს, თურქეთის დაკავშირებას ინგლისთან და რუსეთთან ნიადაგი უკვე შემზადებული ჰქონდა 1797 წელს [3]. ჩვენი აზრით, ავტორს ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველი არ ჰქონდა. არ შეიძლება დავასკვნათ, რომ თურქეთი ეგვიპტის ექსპედიციის გარეშეც გაწყვეტდა კავშირს საფრანგეთთან და ინგლის-რუსეთის დიპლომატიის ზემოქმედების შედეგად საფრანგეთის მტრებს შეუერთდებოდა. არის ყველა საბუთი ვამტკიცოთ საწინააღმდეგო: თურქეთი საფრანგეთისადმი, მისი შიმისა და უნდობლობის განწყობილების გაძლიერების მიუხედავად, მაინც შეინარჩუნებდა ნეიტრალიტეტის პოზიციას. ნეიტრალიტეტის დაცვა იმ დრომდე სანამ აგრესია უშუალოდ მისი ტერიტორიისა და უშიშროების წინააღმდეგ არ იქნებოდა მიმართული, ყველაზე უფრო ხელსაყრელი იყო თურქეთის იმპერიისათვის ამ ვითარება-

---

[1] იხ. ვ. ა. კოჩუბეის წერილი კონსტანტინეპოლიდან ს. რ. ვორონცოვისადმი 1797 წლის 9 და 25 სექტემბრის თარიღით. Архив князя Воронцова, ტ. 14, გვ. 87.

[2] А. Миллер, დასახ. ნაშრ., გვ. 82.

[3] იქვე.

ში. განა ცნობილი არ არის ის მტრული ურთიერთობა, რომელიც ტრადიციულად არსებობდა რუსეთსა და თურქეთს შორის? მისი დაძლევა და თურქეთის მმართველთა მობრუნება რუსეთის მიმართ და მასთან დაკავშირება მხოლოდ მის წინააღმდეგ საფრანგეთის აშკარა აგრესიას შეეძლო.

საფრანგეთის დიპლომატიას არ ეძინა. იგი აქტიურ წინააღმდეგობას უწევდა ინგლისის, რუსეთის და ავსტრიის დიპლომატიას და ყოველმხრივ ადუნებდა თურქეთის მთავრობის სიფხიზლეს; ხელს უშლიდა საფრანგეთ-თურქეთის ურთიერთობის შემდგომ გაუარესებას. ცნობილია, რომ დირექტორიამ ჯერ კიდევ ნაპოლეონის ექსპედიციამდე საგანგებო მისიით კონსტანტინეპოლში მიეგზავნა გენერალი დიუბაიე (Dubayet). მას სულთანი სელიმ III და დივანი (სულთნის საბჭო) უნდა დაერწმუნებინა საფრანგეთ-თურქეთის მეგობრობის აუცილებლობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის თურქეთისადმი კეთილ სურვილებსა და განზრახვებში[1].

ეგვიპტის ექსპედიციისათვის მზადების პერიოდში ნაპოლეონ ბონაპარტმა არასაკმარისად მიიჩნია თურქეთის მთავრობაზე მოხდენილი დიპლომატიური ზემოქმედება და საჭიროდ სცნო კონსტანტინეპოლში გამოცდილი დიპლომატის გაგზავნა. ნაპოლეონს სურდა ეს დიპლომატიური მისია მიენდო თვით ტალეირანისათვის, როგორც ყველაზე გამოცდილი დიპლომატისათვის. ტალეირანს უნდა დაეშოშმინებინა საფრანგეთის მზარდი აგრესიით დაშინებული თურქეთის სულთანი, გაებათილებინა ინგლის-რუსეთის მზარდი დიპლომატიური ზემოქმედება პორტაზე და ერთხელ კიდევ დაბეჯითებით დაერწმუნებინა თურქეთის მთავრობა მის მიმართ საფრანგეთის მეგობრულ ზრახვებში[2]. ტალეირანმა აღუთქვა ნაპოლეონს ეგვიპტისაკენ გამგზავრების წინ, რომ იგი იკისრებდა ამ მისიას და გაემგზავრებოდა კონსტანტინეპოლს, როგორც საფრანგეთის ელჩი ტულონიდან ესკადრის გამგზავრებისთანავე. მაგრამ მან ნაპოლეონისადმი მიცემული სიტყვა არ შეასრულა და თურქეთის სატახტო ქალაქში გამგზავრებისაგან თავი შეიკავა[3], რადგან წინასწარ დარწმუნებული იყო გათვალისწინებული მისიის წარუმატებლობაში[4].

---

[1] Mémoires..., ტ. 6, გვ. 256.
[2] იქვე. გვ. 270.
[3] E. Тарле, Талейран..., გვ. 69—70.
[4] იქვე, გვ. 71.

ამავე დროს კონსტანტინეპოლში უკვე 1798 წლის დამდეგიდან გავრცელდა ხმები საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურებში, ტულონში და მარსელში რომელიღაც დიდი საზღვაო ექსპედიციისათვის მზადების შესახებ. ამ ხმებმა დიდად გააძლიერა თურქეთის სულთანის და მთელი სამეფო კარის შეშფოთება. მართალია, თურქეთის მთავრობისათვის მაშინ უცნობი იყო ფრანგთა მზადების ბიზანი და მიმართულება, მაგრამ ოტომანთა იმპერიის მესვეურები ალღოთი დარწმუნდნენ, რომ საფრანგეთის მორიგი დარტყმის ობიექტი აუცილებლად იქნებოდა თურქეთის იმპერიის რომელიმე ნაწილი ან ეგვიპტე, ან სირია, ანდა ბალკანეთი[1].

ასეთ ვითარებაში ცეცხლზე ნავთის დასხმის როლი შეასრულა თურქეთის სატახტო ქალაქში გავრცელებულმა ახალმა ცნობამ: ფრანგებმა ხელთ იგდეს კუნძული მალტა, რის შემდეგ მათი ფლოტი აღმოსავლეთისაკენ დაიძრაო. ამ ცნობამ ბოლო მოუღო თურქეთის იმპერიის რიგებში გამეფებულ მერყეობასა და გაურკვევლობას. ნათელი გახდა საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ექსპედიციის ნამდვილი მიზანი: თურქეთის იმპერიის მთლიანობასა და ხელუხლებლობის ხელყოფა, მისი ტერიტორიის მიტაცება. აგრესიის ობიექტად ქცეულმა თურქეთმა გადაწყვიტა წინააღმდეგობა გაეწია აგრესორისათვის და მის მტერთა ბანაკს შეერთებოდა.

საფრანგეთ-თურქეთის ნორმალური ურთიერთობის სრული გაწყვეტისა და თურქეთის მტრულ ბანაკში გადასვლის რეალური საფრთხის ვითარებაში ნაპოლეონ ბონაპარტმა უკანასკნელ დიპლომატიურ საშუალებას მიმართა. მან საჭიროდ მიიჩნია აშკარად განეცხადებინა პორტასათვის, რომ საფრანგეთს, მართალია, განზრახვა აქვს მოახდინოს ეგვიპტის ოკუპაცია, მაგრამ ასე მოქმედებს როგორც თურქეთის მეგობარი და მოკავშირე, თურქეთისვე ინტერესებისათვის და არა როგორც მისი მტერი. ტალეირანის რჩევის თანახმად ნაპოლეონმა განიზრახა ჩარეულიყო ეგვიპტის საქმე-

---

[1] რუსეთის კონსტანტინეპოლელი ელჩი ტამარა 1798 წლის 1-12 ივლისის ვრცელ რელაციაში პავლესადმი დაწვრილებით ცნობებს იძლევა იმ განწყობილების შესახებ, რომელიც შეიქმნა თურქეთის სატახტო ქალაქში 1798 წლის პირველ ნახევარში ფრანგთა აღნიშნულ აგრესიულ „წამოწყებასთან“ დაკავშირებით. ამავე რელაციაში საუბარია იმ ნაბიჯების შესახებაც, რომლებიც ამასთან დაკავშირებით გადადგა თურქეთის მთავრობამ. იხ. Архив ВПР, Ф. „Сношения России с Турцией“, д. 873, лл. 1—5. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე Г. А. Клейман, Русско-Турецкий союз 1799 г. Доклады и сообщения истор. факультета Московского ордена Ленина государств. университета им. Ломоносова, вып. 3, Москва, 1945, зг. 12—13.

ებში პორტის სახელით, როგორც მისი მოკავშირე ან, უკიდურეს შემთხვევაში, როგორც მისი მეგობარი, დამკვიდრებულიყო იქ როგორც მფარველი[1]. ერთი სიტყვით, ფრანგმა აგრესორებმა სცადეს დაერწმუნებინათ პორტა: მართალია, ჩვენ ვაპირებთ დავიპყროთ ეგვიპტე, მაგრამ ეს აქტი მიმართულია ინგლისის და ეგვიპტელ მამლუკთა წინააღმდეგ და არამც და არამც არა თურქეთის წინააღმდეგ, რომლის სუვერენიტეტს ეგვიპტეზე პატივს ვცემთო.

ნაპოლეონის მითითებით ტალეირანმა (რომელმაც პირველი ღალატის აქტი ჩაიდინა ნაპოლეონის მიმართ და არ შეასრულა დაპირება პორტასთან გამგზავრების შესახებ) საგანგებო დეპეშა გაუგზავნა საფრანგეთის მაშინდელ საქმეთა რწმუნებულს კონსტანტინეპოლში რიუფენს. ამ უკანასკნელს ეს დეპეშა პორტასათვის უნდა გადაეცა. დეპეშა ყოველგვარი ორაზროვნობის გარეშე აცნობებდა პორტას: ნაპოლეონის ექსპედიცია ეგვიპტეში შეჭრისათვის არის გათვალისწინებული, მაგრამ საფრანგეთს არა აქვს განზრახვა დაიპყროს ეს ტერიტორია და ლიკვიდაცია უყოს ოტომანთა იმპერიის მბრძანებლობას მასზე; ფრანგები მიზნად ისახავენ ბოლო მოუღონ მამლუკთა და ეგვიპტის ბეგების ბატონობას[2].

უფრო გვიან, როდესაც საფრანგეთის არმია უკვე შეიჭრა ეგვიპტეში, ნაპოლეონმა ერთხელ კიდევ გადადგა უკანასკნელი დიპლომატიური ნაბიჯი, რათა მიეჩქმალა თურქეთის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის აქტი, ეგვიპტეში შეჭრა გაესაღებინა ინგლისელების წინააღმდეგ მიმართულ და ეგვიპტის ბეგ-მამლუკთა დასასჯელად განხორციელებულ ღონისძიებად. ასეთ ნაბიჯს წარმოადგენდა ეგვიპტიდან წერილების გაგზავნა საფრანგეთის საქმეთა რწმუნებულ რიუფენისადმი და თვით ეგვიპტის მმართველი ფაშისადმი, რომლებითაც ნაპოლეონი არწმუნებდა პორტას და ეგვიპტის მმართველს: საფრანგეთი კვლავინდებურად მეგობრული გრძნობებით არის გამსჭვალული თურქეთისადმი, ექსპედიცია თურქეთისა და ეგვიპტელი ხალხის წინააღმდეგ არ არის მიმართული.

რიუფენისადმი გაგზავნილ წერილში ნაპოლეონი წერდა: ეგვიპტის ექსპედიცია ისეთი ხასიათის ოპერაციაა, რომელიც ჩვენ ბევრჯერ ჩაგვიტარებია ტუნისის და ალჟირის წინააღმდეგ. ეგვიპტეში შეჭრისას ჩვენ ორი მიზანი გვაქვს დასახული: 1) იქაური ბეგების დასჯა, რადგანაც ისინი ყოველმხრივ ავიწროებენ და

---

[1] A. Sorel, დასახ. ნაშრ., ტ. 5, გვ. 245.
იხ. Mémoires..., ტ. 6, გვ. 271.

ხელს უშლიან ჩვენს ვაჭრობას; 2) ინგლისის ვაჭრობისათვის ზიანის მიყენება[1].

დაახლოებით ასეთივე შინაარსისაა ეგვიპტის მმართველი ფაშისადმი გაგზავნილი წერილი. იქაც ხაზგასმულია საფრანგეთის ექსპედიციის „კეთილშობილური", ეგვიპტელი ხალხისადმი და თურქეთისადმი მეგობრული ზრახვებით აღსავსე მიზანი, ეგვიპტელი ბეგების მეკობრობა-უაჩაღობისათვის ზღვაოის დადება და მათი დასჯა ისე, როგორც არაერთხელ ყოფილა მიღებული ასეთივე ზრახები ამ საუკუნეში ტუნისის და ალჟირის ბეგების წინააღმდეგ

აღსანიშნავია, რომ დირექტორიამ თურქეთის მთავრობაზე ზემოქმედების მოსახდენად ნეიტრალური სახელმწიფოების „კეთილი სამსახურიც" გამოიყენა. რუსეთის კონსტანტინეპოლელი ელჩის ვ. ტამარას ცნობით, შვეციის ელჩი კონსტანტინეპოლში ენერგიულად ექომაგებოდა ფრანგებს და პორტას ურჩევდა არ გადაედგა ნაბიჯი მათ წინააღმდეგ. რეის-ეფენდის წარმომადგენელთან მოწყობილ ერთ-ერთი თათბირის დროს შვეციის წარმომადგენელს შემდეგი აზრი გამოუთქვამს: ფრანგების ექსპედიციას ეგვიპტეში მიზნად აქვს დასახული ახალი გამარჯვებით სახელის მოხვეჭა, ეგვიპტის ბეგების გაძარცვა, მეტოქე ინგლისის გამოფიტვა და ინდოეთიდან გამოდევნა. აქედან შვეციის ელჩი დაასკვნის: ფრანგების აგრესია ეგვიპტეში უშუალოდ არ ემუქრება პორტას. ამიტომ იგი თურქეთის მთავრობას რჩევას აძლევს წინააღმდეგობა არ გაუწიოს ფრანგებს, მსხვერპლად გაიღოს ეგვიპტე და შეინარჩუნოს საფრანგეთის რესპუბლიკასთან კარგი ურთიერთობა[2].

მაგრამ აღნიშნული ნაბიჯები, როგორც მოსალოდნელი იყო, სრული მარცხით დამთავრდა. საფრანგეთმა ვერ მოახერხა თავისი აგრესიის „მეგობრობის" ნიღბით დაფარვა, თურქეთის მთავრობის დარწმუნება თავის „გულწრფელობაში" და მისი ნეიტრალურ მდგომარეობაში შენარჩუნება. დირექტორიის ხელისუფლებამ თავისი ვერაგული პოლიტიკის ნაყოფი მოიმკო. თურქეთის მთავრობამ კარგად განქერეტა „უანგარო" მეგობრობის „გულწრფელობა". ჯეროვნად შეაფასა მის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის საშიშ-

---

[1] იხ. ბონაპარტის წერილი რიუვენისა და ქაიროს ფაშისადმი (ასლი უთარიღოდ). Архив ВПР, ф. „Сношения России с Турцией", д. 873, лл. 24—25.

[2] იქვე.

[3] კონსტანტინეპოლში რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ვ. ტამარას რელაცია (ასლი, უთარიღო) პავლესადმი. ЦГАДА, ф. Панниных, д. 293, лл. 2—4.

როება და მოყვრულად მოსულ მტერს მტრული პასუხი გასცა. თურქეთი ანტიფრანგულ კოალიციას შეუერთდა.

ნაპოლეონის საზღვაო ექსპედიციამ აღმოსავლეთისაკენ, კერძოდ საფრანგეთის არმიის შეჭრამ ეგვიპტეში სინამდვილედ აქცია ის, რასაც მანამდე პარადოქსად თვლიდნენ: თურქეთი დაუკავშირდა მის „ისტორიულ“ მტერს, მეფის რუსეთს; მათ შორის დაიდო ურთიერთდახმარებისა და თავდაცვის ხელშეკრულება. საფრანგეთის რესპუბლიკამ თავისი მორიგი აგრესიული წამოწყებით მოწინააღმდეგეთა წისქვილზე დაასხა წყალი და გააადვილა მათი დიპლომატიის წარმატება. მეორე ანტიფრანგული კოალიცია მის შედეგად ისტორიულ სინამდვილედ იქცა[1].

თუ ერთი მხრივ, ნაპოლეონის ექსპედიციის წარმატება და ფრანგთაგან ეგვიპტის დაუფლება ემუქრებოდა ოტომანთა იმპერიის მთლიანობას და ინგლისის საავაჭრო-ეკონომიურ და სამხედრო-სტრატეგიულ პოზიციებს ახლო აღმოსავლეთში, მეორე მხრივ, იგი წარმოადგენდა სერიოზულ დარტყმას რუსეთის პოზიციებზე მსოფლიოს ამ ნაწილში. ეგვიპტესა და ლევანტის მომიჯნავე ბაზებში ფეხის მოკიდებით ფრანგები სისრულეში მოიყვანდნენ თავიანთ მისწრაფებას: ისინი მონოპოლიურად დაეუფლებოდნენ თურქეთის ბაზარს, მის ნედლეულს და სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმებს. პავლე I-ის მთავრობას არ შეეძლო შერიგებოდა ყოველივე ამას, რადგან ეს საფუძველს გამოაცლიდა რუსეთის გავლენას და პოზიციებს თურქეთში. ამით მას, ამასთან ერთად, ხელიდან გამოეცლებოდა ხმელთაშუა ზღვის აუზში ფეხის მოკიდების შესაძლებლობა. დასასრულ, ეგვიპტეში გაბატონებით ფრანგებს შესაძლებლობა მიეცემოდათ კიდევ უფრო გაეძლიერებინათ თავიანთი ძირგამომთხრელი საქმიანობა ბალკანეთზე, სადაც იონიის კუნძულებზე და დალმაციის ცალკეულ პუნქტებში ფეხის მოკიდებით ისედაც ენერგიულად მოქმედებდნენ როგორც თურქეთის. ისევე

---

[1] აღსანიშნავია ერთი შტრიხი: როდესაც გამოაშკარავდა საფრანგეთის დიპლომატიის წარუმატებლობა და თურქეთ-საფრანგეთის ურთიერთობის გაწყვეტის გარდუვალობა, საფრანგეთმა გადაწყვიტა საავაჭრო-ეკონომიური კავშირი მაინც შეენარჩუნებინა ამ ქვეყანასთან. ამასთან დაკავშირებით საფრანგეთის საქმეთა რწმუნებულმა რიუფენმა თურქეთის მთავრობის წინაშე დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი ეგვიპტის გამო საფრანგეთის წინააღმდეგ იბრძოლებდა, მაშინ საფრანგეთის ვაჭრობა და თურქეთში მყოფი ფრანგები სხვა რომელიმე სახელმწიფოს (ესპანეთის ან ჰოლანდიის) მფარველობის ქვეშ გადასულიყვნენ. იხ ტამარას 1798 წლის 16/27 ივლისის რელაცია პავლესადმი. Архив ВПР, ф. „Сношения России с Турцией“, д. 873, л. 27.

რუსეთის წინააღმდეგ. მოკლედ საფრანგეთის რესპუბლიკის აგრესიული გეგმების რეალიზაცია ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში მოასწავებდა იმ წარმატებათათვის ხაზის გადასმას, რომელნიც მოპოვებული ჰქონდა რუსეთის იმპერიას ახლო აღმოსავლეთში თურქეთთან რამოდენიმე ძლევამოსილი ომის შედეგად.

მეფის რუსეთმა, რომელიც ისედაც გაბოროტებული იყო საფრანგეთის აგრესიის მზარდი წარმატებით და პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამდა მის ასალაგმავად, ენერგიული დიპლომატიური საქმიანობა გააჩაღა კონსტანტინეპოლში, რათა გადაეყვანა თურქეთი თავის მაარეზე და ჩაება იგი ანტიფრანგულ კოალიციაში. ნაპოლეონის ექსპედიციამ აღმოსავლეთისაკენ, კერძოდ საფრანგეთის ჯარის შეჭრამ ეგვიპტეში და, ამგვარად, თურქეთის იმპერიის ქცევამ საფრანგეთის აგრესიის ობიექტად ახალი ვითარება შექმნა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში. მან ბოლო ნოეულო ტრადიციულ მტრობას მათ შორის და განაპირობა საერთო მტრის წინააღმდეგ მათი კავშირის აღმოცენება. რუსეთის და საფრანგეთის დიპლომატიური ბრძოლა თურქეთზე გავლენისათვის ამ ეტაპზე რუსეთის დიპლომატიის გამარჯვებით დამთავრდა. ამაში, როგორც უკვე აღნიშნული იყო, არსებითად თვით საფრანგეთი იყო დამნაშავე და პასუხისმგებელი.

რაოდენადაც იზრდებოდა საფრანგეთის აგრესიის არე იტალიაში. და საერთოდ ხმელთაშუა ზღვის აუზში, იმდენად იზრდებოდა რუსეთის ცარიზმის ყურადღება თურქეთისადმი, მისი მოსაზღვნელი პოზიციისადმი მომავალში. რუსეთის დიპლომატია ენერგიულად მოქმედებდა კონსტანტინეპოლში. იგი ცდილობდა დაერწმუნებინა პორტა, რომ საფრანგეთის მზარდი აგრესია და ნაპოლეონის ექსპედიცია აღმოსავლეთისაკენ უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა თურქეთის მთლიანობისა და უშიშროებისათვის და რომ საჭირო იყო რუსეთ-თურქეთის თავდაცვითი კავშირის შეკვრა საფრანგეთის წინააღმდეგ. რუსეთი თურქეთს სთავაზობდა დახმარებას ყველა შემთხვევაში, განურჩევლად იმისა, თუ იმპერიის რომელი ნაწილი იქნებოდა ფრანგთა ხელყოფის ობიექტი, ლევანტის ქვეყნები თუ ბალკანეთი. ამ მიმართულებით აქტიურ საქმიანობას ეწეოდნენ ვ. პ. კოჩუბეი და რუსეთში მისი გაწვევის შემდეგ მისი მემკვიდრე ვ. ს. ტამარა, რომლებიც ახალ-ახალ ინსტრუქციებს ღებულობდნენ ამის თაობაზე პეტერბურგიდან. მათ რუსეთთან კავშირის სასურველობის თემაზე პერიოდული საუბრე-

ბი ჰქონდათ სულთანთან, რეის-ეფენდისთან, დიდ ვეზირთან და პორტას სხვა გავლენიან დიდკაცებთან[1].

რუსეთ-თურქეთის დაახლოება და მათი თავდაცვითი კავშირის შეკვრა, როგორც სამართლიანად აღნიშნაკს კლეინმანი, ძნელი საქმე იყო. ამას თურქების მხრივ რუსეთისადმი ტრადიციულ უნდობლობასთან ერთად ხელს უშლიდა სავაჭრო ტარიფების საკითხი. თურქეთი მოითხოვდა ძველი სავაჭრო ტარიფების შეცვლას და მისთვის უფრო ხელსაყრელი სატარიფო განაკვეთის დაწესებას. კოჩუბეის ინიციატივით, იმისათვის, რომ მოეგო თურქეთის მთავრობის გული, რუსეთი წავიდა ამ დათმობაზე და თანახმა გახდა გადიდებულიყო სატარიფო განაკვეთი, ამით დაძლეულ იქნა ერთ-ერთი დაბრკოლება ამ ორი ქვეყნის დაახლოების გზაზე[2].

მეფის რუსეთის დიპლომატიის მიერ 1798 წლის დასაწყისიდან ივლისამდე კონსტანტინეპოლში განხორციელებულ ენერგიულ საქმიანობას მნიშვნელოვანი წარმატება ჰქონდა. მან მკვეთრად შეასუსტა რუსეთ-თურქეთის ტრადიციული მტრული ურთიერთობა, ძირითადად ბოლო მოუღო უნდობლობის იმ ატმოსფეროს, რომელიც გაბატონებული იყო თურქეთის სატახტო ქალაქში რუსეთის მიმართ და შესატყვისად გააძლიერა თურქთა ანტიფრანგული განწყობილება—ფრანგებისადმი შიში და უნდობლობა. მაგრამ, მიუსედავად ამისა, რუსეთის დიპლომატიის მთავარი ამოცანა—თურქეთის ამხედრება საფრანგეთის წინააღმდეგ და რუსეთ-თურქეთის თავდაცვითი კავშირის დადება,—ნაპოლეონის ეგვიპტეში შეჭრამდე მაინც არ ყოფილა შესრულებული. რუსეთის და ინგლისის დიპლომატიის მზარდი ზემოქმედების მიუხედავად, თურქეთის მთავრობა მანამდე მაინც მერყეობდა და თავს იკავებდა ტრადიციულ „მეგობართან“ კავშირის გაწყვეტისაგან. ნაპოლეონმა თავისი ავანტიურით (ეგვიპტეში შეჭრით) თვით შეუწყო ხელი თურქეთის დააახლოებას რუსეთთან და მით გააადვილა რუსეთის დიპლომატიის საქმე.

1798 წლის ივლისიდან რუსეთის და თურქეთის როლები შეიცვალა. თუ მანამდე რუსეთი გამოდიოდა აქტიურ მბარედ და

---

[1] იხ. ვ. პ. კოჩუბეის 1798 წლის 1/12 და 15/26 თებერვლის, 1—9/12—20 აპრილის რელაციები პავლესადმი. Архив ВПР, ф. „Сношения России с Турцией“, д. 863, лл. 1—8, 27—43; д. 865, лл. 20—39.

[2] Г. А. Клейнман, Русско-Турецкий союз 1799 г. „Доклады и сообщения истор. факультета Московского Гос. университета..., вып 3, М., 1945, зз. 14—15.

ენერგიულად მოითხოვდა თურქეთისაგან ანტიფრანგულ კოალიციაში ჩაბმას, უკანასკნელი კი ჯერ ამ აქტისაგან თავს იკავებდა, საფრანგეთის არმიის ეგვიპტეში შეჭრის შემდეგ თურქეთის მერყეობას ბოლო მოეღო. მან თვითონ გადადგა სათანადო ნაბიჯები და რუსეთის მთავრობას სთხოვა როგორც სამხედრო დახმარება, ისე ურთიერთდაამარების ხელშეკრულების დადება. „ფრანგების ოინებით და ფასვან ოღლისა და სხვა ფაშების აჯანყებებით შეწუხებული თურქები კავშირს და დახმარებას ითხოვენ“,—წერს ა. ბეზბოროდკო ს. ვორონცოვს 1798 წლის 29 ივლისის წერილში;—„რუსეთი თანახმაა, დასძენს ის, დააკმაყოფილოს თურქეთის თხოვნა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ თურქები დათანხმდებიან გაატარონ ჩვენი შავი ზღვის ფლოტი საომრად ხმელთაშუა ზღვაში და საჭირო შემთხვევაში უკან“ [1].

პორტამ, რომელმაც თვით ითხოვა რუსეთისაგან სამხედრო დახმარება და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადება, არათუ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიიღო რუსეთის მოთხოვნა რუსეთის შავი ზღვის სამხედრო ფლოტის სრუტეებში გატარების შესახებ, არამედ რუსეთის ელჩის წინაშე დააყენა საკითხი ამ ფლოტის სრუტეებისაკენ დაჩქარებით გაგზავნის შესახებ.

1798 წლის 15/26 ივლისს სულთანმა სელიმ III-ემ მოიწვია დივანის საკანგებო სხდომა, რომელსაც რუსეთის და ინგლისის ელჩებიც ესწრებოდნენ. ამ სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ეთხოვათ რუსებისათვის სამხედრო დახმარება [2]. ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ რეის-ეფენდიმ მასთან ჩატარებულ პრეს-კონფერენციაზე პორტას სახელით განაცხადა, რომ გადაწყვეტილია ფრანგებთან ომი და რუსეთის დახმარების იმედიც არისო [3].

რუსეთის იმპერატორმა ჯერ კიდევ ტამარასაგან სათანადო ცნობის მიღებამდე 1798 წლის 25 ივლისის უმაღლესი ბრძანებულებით ვიცე-ადმირალ უშაკოვს განკარგულება მისცა დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო თავისი ფლოტით დარდანელისაკენ, თანაც წინასწარ რუსეთის კონსტანტინეპოლელ ელჩ ტამარასთან გაეგზავნა მსუბუქი გემები. უშაკოვს ევალებოდა დაეცადა ბოსფორის სრუტის ახლო იმ დრომდე, სანამ იგი ტამარასაგან არ მიიღებდა ცნობას იმის შესახებ, რომ პორტა რუსეთს თხოვს სამხედრო დახმარებას ფრანგების წინააღმდეგ. მხოლოდ ამ ცნობის მი-

---

[1] Сб. РИО, т. 29, გვ. 403; Архив князя Воронцова, т. 13, გვ. 403—404.

[2] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 67.

[3] ტამარას 1798 წლის 16/27 ივლისის რელაცია პავლესადმი. ЦГАДА, ф. Панины, д. 293, лл. 1—7.

ღების შემდეგ ეძლეოდა უშაკოვს უფლება შეეყვანა ფლოტი ბოსფორში და თურქეთის ფლოტთან ერთად ემოქმედა ფრანგების წინააღმდეგ[1].

1798 წლის 13 აგვისტოს უშაკოვის ესკადრა 6 სახაზო გემის, 7 ფრეგატის და 3 ავიზოს შემადგენლობით, 794 ზარბაზნით, ეკიპაჟით და სადესანტო ნაწილებით, სულ 7411 კაცის რაოდენობით გაემართა ბოსფორის მიმართულებით. უშაკოვმა, ამასთან ერთად, წინასწარ გაგზავნა ავიზო ტამარასთან, რათა ეცნობებინა რუსეთის ფლოტის დაძვრა თურქეთის წყლებისაკენ[2].

23 აგვისტოს უშაკოვის ესკადრა ბოსფორის სრუტეში შეეიდა, 25 აგვისტოს კი ბიუკ-დერის წინ ღუზაზე დადგა. რუსეთის ფლოტს დიდი სიხარულით და აღტაცებით შეეგებნენ თურქეთის სატახტო ქალაქში[3]. მოხდა თითქოს სრულიად წარმოუდგენელი რამ: რუსეთის სამხედრო ფლოტი მოევლინა ბოსფორს და თურქეთის სატახტო ქალაქს არა მტრული მიზნით, არამედ მეგობრული, საკავშირო მისიით, როგორც მოკავშირე სახელმწიფოს გზავნილი[4] ფრანგების წინააღმდეგ საბრძოლველად.

პორტამ, სათანადო მოლაპარაკების შემდეგ ტამარასთან და ვიცე-ადმირალ უშაკოვთან, თანხმობა განაცხადა გამოეყო თავისი სამხედრო ფლოტიდან ესკადრა (ყადირ ბეგის სარდლობით) 4 სახაზო გემის, 9 ფრეგატ-კორვეტის და ოცდაათამდე პატარა გემის შემადგენლობით და დაექვემდებარებინა იგი უშაკოვის სარდლობისათვის. ამ ესკადრას რუსეთ ის ესკადრასთან ერთად უნდა ემო-

---

[1] Е. Тарле, Адмирал Ушаков на Средиземном море..., გვ. 31—32.

[2] Е. Тарле, დასახ. ნაშრ., გვ. 32; Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I; გვ. 68. მილიუტინის ცნობით, ესკადრის ეკიპაჟისა და სადესანტო ნაწილების შემადგენლობის საერთო რაოდენობა იყო 7.400 კაცი, ზარბაზნების რაოდენობა კი—792 ცალი.

[3] ტამარას 1798 წლის 1/12 სექტემბრის რელაცია პავლესადმი, Архив ВПР, ф. „Сношения России с Турцией", д. 875. лл. 1—4.

[4] ფრანგი ისტორიკოსი ბარანტი მართლაც პარადოქსად მიიჩნევს რუსეთის ესკადრის ბოსფორში შესვლას. M. Baraute, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 336 თვით ა. ბებბოროდკოსაც, აღზრდილს თურქეთისადმი შეურიგებელი სიძულვილის ტრადიციაზე, პარადოქსად მიაჩნია რუსეთ-თურქეთის კავშირი და უშაკოვის ფლოტის თურქეთის დასახმარებლად გამგზავრება. ეს წარმოუდგენელი რამ, მისი აზრით, საფრანგეთის რევოლუციამ და ფრანგთა სიმამაცინ ჯერ გაბადა შესაძლებელი. „Надобно же вырасти таким уродом,—წერს იგი ს. ვორონცოვს 1798 წლის 15 აგვისტოს წერილში,—как французы, чтоб произвести нечто какой я не только на своем министерстве, но и на веку своем видеть не чаял, то есть: союз наш с Портою и переход флота нашего чрез канал". იხ. Сб, РИО, ტ. 29, გვ. 406.

ქმედა ხმელთაშუა ზღვის აუზში ფრანგების წინააღმდეგ[1]. ამავე მოლაპარაკების პროცესში მიღწეული იქნა შეთანხმება ესკადრის სურსათ-სანოვაგით მომარაგების შესახებ და სხვ. ამ მოლაპარაკების პროცესში ტამარამ თავისი მთავრობის სახელით პორტას შესთავაზა დახმარება სახმელეთო ჯარითაც 70.000 კაცის რაოდენობით. თურქეთს შეეძლო ეს არმია გამოეყენებინა როგორც ფრანგთა მოსალოდნელი თავდასხმის შემთხვევაში, ისე მოჯანყე ფაშების წინააღმდეგ ბალკანეთზე. მაგრამ ასეთი დახმარების მიღებისაგან თურქეთმა თავი შეიკავა[2]. შესაძლებელია ასეთი დახმარების წინადადებამ რუსეთის მხრივ თურქეთის ხელისუფალთა განცვიფრება და შიშიც გამოიწვია.

რუსეთ-თურქეთის შეერთებულ ესკადრას უნდა ემოქმედა ხმელთაშუა ზღვის აუზის გარკვეულ რაიონებში, ძირითადად ეგვიპტეს, კანდიას (კრეტა), მორეის, სამხრეთ იტალიის, მალტის და იონიის კუნძულებს შორის. საჭირო შემთხვევაში მას უნდა ემოქმედა ინგლისის ფლოტთან ერთად. მისი ამოცანა იყო, ა. ბეზბოროდკოს სიტყვით რომ ვთქვათ, ფრანგების ვაჭრობის და ნავიგაციის მოსპობა, ვენეციის კუნძულების დაუფლება ადმირალ ნელსონის ესკადრასთან თანამშრომლობით, იტალიის ნაპირების დაცვა, მალტის ბლოკირება და ა. შ. მოკლედ, მას ბოლო უნდა მოეღო ფრანგთა ბაზებისათვის სამხრეთ იტალიაში, იონიის კუნძულებზე, მალტაზე და ხმელთაშუა ზღვის ცენტრალური და აღმოსავლეთის აუზის სხვა ნაწილებში, გაენადგურებინა საფრანგეთის ვაჭრობა და ნაოსნობა ამ აუზში[3].

ამ მოლაპარაკების პარალელურად, რომელიც კონსტანტინეპოლში ჩატარდა რუსეთ-თურქეთის გაერთიანებული ესკადრის მომარაგების, მარშრუტის, სამოქმედო რაიონისა და მიზანდასახულობის თაობაზე, იქვე პარალელურად დაიწყო მეორე მოლაპარაკება ურთიერთდახმარების საკავშირო „თავდაცვითი“ ხელშეკრულების დადების თაობაზე. აღნიშნულ მოლაპარაკებას რუსეთის იმპერატორის სახელით აწარმოებდა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვ. ტამარა, რომლის განკარგულებაშიაც იყო სათანადო ინსტრუქციები და საერთო-თავდაცვითი ხელშეკრულების პროექტი[4].

---

[1] Е. Тарле, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

[2] ვ. ტამარას 1799 წლის 1/12 სექტემბრის რელაცია პავლესადმი, Архив ВПР, ф. „Сношения России с Турцией“, д. 875, лл. 3—8.

[3] ა. ბეზბოროდკოს 1798 წლის 6 ოქტომბრის წერილი ს. ვორონცოვისადმი. იხ. Сб. РИО. т. 29, стр. 40v.

[4] იხ. პ ელეს 1798 წლის 4/15 სექტემბრის რესკრიპტი ვ. ტამარასადმი და ვ. ტამარას 1/98 წლის 15/26 სექტემბრის რელაცია პავლესადმი. Архив ВПР, ф. „Сношения России с Турцией“, д. 800, лл. 1—7.

თურქეთ-რუსეთის მოლაპარაკება, რომელიც მიმდინარეობდა ნაშინ, როდესაც ამ ქვეყნების დაახლოებამ და თანამშრომლობამ საერთო მტრის წინააღმდეგ უკვე განვლო შემოწმების პირველი ეტაპი და შათი სამხედრო ესკადრების ურთიერთ თანამშრომლობით განმტკიცდა, წარმატებით დაგვირგვინდა. 1798 წლის 23 დეკემბერს (1799 წლის 3 იანვარს) ხელმოწერილ იქნა რუსეთ-თურქეთის სამოკავშირეო თავდაცვითი ხელშეკრულება[1].

ხელშეკრულებას ჰქონდა 13 საჯარო და 13 საიდუმლო მუხლი.

ხელშეკრულების საჯარო მუხლებით ხელმომწერი მხარეები აცხადებდნენ იშვიდობას, თანხმობას და მეგობრობას ურთიერთშორის, 1791 წლის 29 დეკემბრის ხელშეკრულების ძალაში დატოვებას და ურთიერთის ტერიტორიის მთლიანობის და ხელუხლებლობის გარანტიას. ისინი ვალდებულებას კისრულობდნენ არ დაედოთ სხვა სახელმწიფოსთან ისეთი ხელშეკრულება, რომელიც მიმართული იქნებოდა მეორე ხელმომწერი სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ და დაეცვათ ურთიერთის ღირსება და უშიშროება. ისინი საზეიმო ვალდებულებას კისრულობდნენ საჭირო შემთხვევაში ურთიერთ დახმარება აღმოეჩინათ ჯარით, ფლოტით, ფულით, ებრძოლათ მტრის სრულ დამარცხებამდე და არ დაედოთ სეპარატული ზავი, გაეცნოთ ერთიმეორისათვის სამხედრო გეგმები, დაეთმოთ თავიანთი ნავსადგურები ერთმანეთის სამხედრო და სატრანსპორტო გემებისათვის და ა. შ.[2].

არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ხელშეკრულების საიდუმლო მუხლებს, რომლებითაც განსაზღვრული იყო იმ სამხედრო-საზღვაო ძალების რაოდენობა, რომლებიც რუსეთს უნდა გაეგზავნა ხმელთაშუა ზღვაში თურქეთისათვის დასახმარებლად და რომელთაც უნდა

---

[1] რუსეთმა და თურქეთმა უხვად დააჯილდოვეს ტამარა რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების დადების საქმეში გამოჩენილი „ენერგიისა და თავდადებისათვის". პავლემ უბოძა მას 1500 ყმა გლეხი პოლონეთში და 1000 მანეთის წლიური შემოსავლის მქონე საკომანდორო. პორტამ იგი დააჯილდოვა 15.000 მანეთად ღირებული სათუთუნით და 30.000 პიასტრით. იხ. ვ. როსტოპჩინის 1793 წლის 16 თებერვლის წერილი ს. ვორონცოვისადმი. Архив князя Воронцова, ტ. 8, გვ. 194.

[2] რუსეთ-საფრანგეთის სამოკავშირეო და თავდაცვითი ხელშეკრულების საჯარო მუხლების სრული ტექსტი რუსულ და ფრანგულ ენებზე სტამბური წესით დაბეჭდილი, იხ. Архив ВПР, ф. „Сношения России с Турцией", д. 675, лл. 38—39, 47—49; Полное собр. законов Российской империи, ტ. 25, გვ. 500—502.

ემოქმედათ იქ ბრიტანეთის ხმელთაშუა ზღვის სარდლობასთან შეთანხმებით. იქვე აღნიშნული იყო, რომ შავი ზღვის სრუტეები მხოლოდ ამ შეთხვევაში იღება რუსეთის ფლოტისათვის, ხოლო სხვა ქვეყნების გემებისათვის ეს სრუტეები რჩება დახურული. ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი საიდუმლო ბუსლით პორტა ვალდებულებას კისრულობდა სერსათ-სანოვაგით და ფულით მოეხარაგებინა რუსეთის დაძამარე ფლოტი. ფრანგთა მორიგი აგრესიის შემთხვევაში რუსეთი ვალდებულებას კისრულობდა აღმოეჩინა თურქეთისათვის დახმარება 75-80 ათასიანი სახმელეთო არმიით და ასე შემდეგ [1].

რუსეთ-თურქეთის გაერთიანებული ესკადრის მიერ ხმელთაშუა ზღვისაკენ გეზის აღება ფრანგების წინააღმდეგ საბრძოლველად და რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების დადება მეგობრობისა და ურთიერთდაბმარების შესახებ [2] ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი რგოლი იყო იმ ღონისძიებათა ჯაჭვში, რომლებიც რუსეთის ცარიზმმა განახორციელა საფრანგეთის მზარდი აგრესიისათვის ზღვარის დასადებად. იგი არსებითად ნიშნავდა მეორე ანტიფრანგული კოალიციის შექმნას და საფრანგეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების გაშლას რუსეთისა და თურქეთის მიერ.

მობრუნება რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში დადებითი მოვლენა იყო. იგი ხელსაყრელი იყო ორივე ქვეყნისათვის, რამდენადაც ბოლოს უღებდა მათ შორის ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებულ ტრადიციულ მტრობას. მას შეეძლო სრულიად ახალი ვითარება შეექმნა მონავალში ახლო აღმოსავლეთში და მკვეთრად შეენელებინა „თავსატეხი" აღმოსავლეთის საკითხის სიმწვავე. რუსეთ-თურქეთის მეგობრული ურთიერთობა ხელსაყრელი იყო პირველ რიგში თურქეთისათვის, რამდენადაც იძლეოდა მისი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ჭეშმარიტ გარანტიას და ბოლოს უღებდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ოინებს, თურქეთის შინაგან საქმეებში მათი ხელის ფათურის შესაძლებლობას. ამდენად თურქეთის მაშინდელი მესვეურების გადაწყვეტილება: რუსეთთან მტრობა მასთან კავშირ-მეგობრობით შეეცვალა, მისი თითქოსდა პარადოქსალური ხასიათის მიუხედავად, უდავოდ გონიერული, თურქეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებით ნაკარნახევი აქტი იყო.

---

[1] რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების საიდუმლო მუხლები. იხ. ЦГАДА, ф. Панины, д. 800, лл. 5—15.

[2] ამ ხელშეკრულებას მეორე დღეს შეუერთდა ინგლისიც, უფრო გვიან კი პორტამ ცალკე ხელშეკრულება დადო ნეაპოლის სახელმწიფოსთან., იხ. Д. Мин-ютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 72.

4. საფრანგეთის აგრესიის გაძლიერება იტალიაში და რუსეთ-ნეაპოლის ურთიერთდახმარების კავშირის შექმნა

საფრანგეთის რესპუბლიკის მორიგმა აგრესიამ ცენტრალურ და სამხრეთ იტალიაში, რასაც ადგილი ჰქონდა 1798 წელს, შეშფოთების ახალი ატმოსფერო შექმნა ევროპაში. იმ ტერიტორიულმა ცვლილებებმა, რაც საფრანგეთის ახალ აგრესიას მოჰყვა შედეგად, უხეშად დაარღვია კამპო-ფორმიოს ზავის პირობები, რომელიც ისედაც მიუღებელი იყო რუსეთისათვის და ახალი სერიოზული საფრთხე შეუქმნა მის ინტერესებს ცენტრალურ და სამხრეთ ევროპაში. მან ძალთა ახალი გადაჯგუფება მოახდინა, ბოლო მიიღო კონტინენტზე დამყარებულ დროებით მშვიდობას და მძლავრი ბიძგი მისცა იმ სახელმწიფოთა სამხედრო და დიპლომატიურ ღონისძიებებს საფრანგეთის წინააღმდეგ, რომელთაც უშუალო საფრთხეს უქმნიდა საფრანგეთის მზარდი აგრესია. მეფის რუსეთმა კარგად გამოიყენა ზემოაღნიშნული ვითარება. პავლე I-ის მთავრობამ პაპის საერო და სასულიერო ხელისუფლებისა და ნეაპოლის სამეფოს მფარველად გაასაღა თავი და ნეაპოლის მეფესთან სამხედრო-თავდაცვითი კავშირი შეკრა.

საფრანგეთის მორიგი აგრესია აპენინის ნახევარკუნძულზე 1798 წლის დასაწყისიდან დაიწყო. კამპო-ფორმიოს საზავო ხელშეკრულებამ ჩრდილო იტალიის მნიშვნელოვანი ნაწილი საფრანგეთს დაუმორჩილა და მის პლაცდარმად აქცია. აი ეს ტერიტორია—ციზალპინის ვასალური რესპუბლიკა—გახდა ფრანგთა ახალი შეტევის ამოსავალი და მთავარი ბაზა. მორიგი აგრესიის ობიექტებს წარმოადგენენ სარდინია-პიემონტოს სამეფო, პაპის ოლქი, ნეაპოლის სამეფო და სხვა პატარა ერთეულები.

საფრანგეთის რესპუბლიკის მორიგი აგრესია აპენინის ნახევარკუნძულის აღნიშნული პოლიტიკური ერთეულების წინააღმდეგ მიზნად ისახავდა: ახალი ბაზრის მოპოვებას საფრანგეთის ბურჟუაზიისათვის, ხელსაყრელი სახმელეთო და საზღვაო ბაზების დაუფლებას ინგლისის წინააღმდეგ წარმატებითი ბოძოლის საწარმოებლად ხმელთაშუა ზღვის ცენტრალურ ნაწილში; შუალედი ტრაპეზუნტის მოპოვებას იონიის კუნძულებთან და ბალკანეთის ნახევარკუნძულთან ახალი ურთიერთობისათვის; დასასრულ, სამეფოსტრატეგიული პოზიციების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას ავსტრიასთან და რუსეთთან ომის შემთხვევაში.

ფრანგთა მორიგი აგრესიის პირველი მსხვერპლი გახდა რომი და პაპის ოლქი. პაპის ოლქის მიმართ თავიანთი დაპყრობითი ზრახვების სისრულეში მოყვანის საბაბად ფრანგებმა გამოიყენეს 1797 წლის დეკემბერში რომის მოსახლეობის დაბალი ფენების ანტიფრანგული გამოსვლა, რომლის შედეგადაც მოკლულ იქნა ფრანგი გენერალი დიუფო. ამის საპასუხოდ დირექტორიის მთავრობამ მაშინვე გამოიწვია რომიდან თავისი წარმომადგენელი ჟოზეფ ბონაპარტი და ჩრდილო იტალიაში მყოფ საფრანგეთის ჯარების ახალ მთავარსარდალ გენერალ ბერტიეს უბრძანა დაძრულიყო „საღვთო“ ქალაქისაკენ, მოეხდინა მისი ოკუპაცია, მკაცრად დაესაჯა ქალაქის „ბრბო“ ჩადენილი „ბოროტმოქმედებისათვის“, დაემხო პაპის ხელისუფლება და იქ რესპუბლიკა გამოეცხადებინა[1].

ბერტიემ სისრულეში მოიყვანა დირექტორიის განკარგულება და 1798 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში უმნიშვნელო წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ მოახდინა რომის ოკუპაცია. რომის პაპი პიუს VI შეიპყრეს, მისი ხელისუფლება დაამხეს და თვით პაპი ჯერ ტოსკანაში გადაგზავნეს, შემდეგ კი საფრანგეთში, დოფინეში, სადაც ვალანსის ციხე-სიმაგრეში მოათავსეს. პაპის საერო და სასულიერო ხელისუფლების დამხობის შემდეგ რომში რესპუბლიკა გამოცხადდა[2].

მართალია, თეოკრატიულ-ფეოდალური მმართველობის დამხობა, რესპუბლიკის გამოცხადება და ბურჟუაზიული წესების დანერგვა „საღვთო ქალაქში“ და პაპის ოლქში პროგრესული ღონისძიება იყო და მას სიხარულით შეეგება რომის მშრომელი მასა, მაგრამ ეს სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. ფრანგმა ოკუპანტებმა ხელი მიჰყვეს ქალაქის ფასეულობათა და ხელოვნების ძვირფას ნაკეთობათა ძარცვას, თანაც საფრანგეთის დაცარიელებული ხაზინის შესავსებად და თვით საოკუპაციო არმიის შესანახად დიდძალი კონტრიბუცია შეაწერეს რომის მოსახლეობას. ამან გამოიწვია რომის მოსახლეობის იმედის გაცრუება ფრანგი „მეგობრების“ მიმართ,

---

[1] რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ნეაპოლის სამეფოში მუსინ-პუშკინი 1798 წლის 5/16 იანვრის რელაციაში პავლეადმი კარგად აღწერს იმ შეშფოთებას, რომლითაც ნეაპოლის სამეფო კარი და ფეოდალური არისტოკრატია შეეგება ცნობას ფრანგთა რომზე ლაშქრობის შესახებ. ნეაპოლში უკვე დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ფრანგები პაპის ოლქის დაპყრობით არ დაკმაყოფილდებოდნენ და მალე თვით ნეაპოლის დაპყრობას განიზრახავდნენ. Архив ВПР, ф. „Сношения России с Неаполем“, д. 257, лл. 5—8.

[2] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 46; А. Сорель, დასახ ნაშრ., ტ. 5, გვ. 238.

რაც მალე სერიოზულ უკმაყოფილებაში და ცალკეულ არაორგანიზებულ ანტიფრანგულ განცხადებებში გადაიზარდა[1].

რომისა და პაპის ოლქის დაუფლების შემდეგ ფრანგებმა დღის წესრიგში დააყენეს სარდინია-პიემონტის სამეფოს და ტოსკანისა და პარმის საჰეოცოგოების ლიკვიდაციის საკითხი. ძალის დემონსტრაციით და ადგილობრივი აგენტურის წაქეზებით საფრანგეთმა მალე გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები დასაბული აგრესიული ამოცანის სისრულეში მოსაყვანად[2].

1798 წლის 17/28 ივლისის კონვენციით, რომელიც იტალიაში მომქმედ საფრანგეთის არმიის სარდლობასა და დაშინებულ პიემონტ-სარდინიის მეფე კარლ-ემანუილს შორის დაიდო, ამ უკანასკნელმა ფრანგებს დაუთმო სატახტო ქალაქ ტურინის ციტადელი[3]. ამით მან ფართოდ გაუღო თავისი სახელმწიფოს კარები ფრანგებს, რაც მათ კარგად გამოიყენეს და მალე თავიანთი ბატონობა მთელ პიემონტზე დაამყარეს. უფრო მოკლე დროში და „უსისხლოდ“ ჩატარდა ფრანგთა შესატყვისი „ოპერაცია“ ცენტრალური იტალიის პატარა ფეოდალური ერთეულების მიმართ.

ორივე სიცილიის ან ნეაპოლიტანიის სამეფოს მიმართ ფრანგები გარკვეულ დრომდე მეტად მოხერხებულად მოქმედებდნენ. მათი აგენტები დაჟინებით უმტკიცებდნენ ნეაპოლის მეფეს: საფრანგეთის რესპუბლიკას არავითარი მტრული ზრახვები არ ამოქმედებს თქვენი სახელმწიფოს მიმართ, თქვენ შეგიძლიათ გულდაშვიდებით იყოთ და საფრანგეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა შეინარჩუნოთო[4]. მაგრამ ნეაპოლის სამეფოს მესვეურნი არ სცდებოდნენ და კარგად გრძნობდნენ იმ საფრთხეს, რაც მათ მოელოდათ ფრანგთაგან, რომლებიც უკვე დაეუფლნენ ცენტრალურ იტალიას და იქ რესპუბლიკის დროშა ააფრიალეს[5]. ისინი გამაფრთხილებელ ზომებს ღებულობენ: აძლიერებენ რომის ოლქის

---

[1] მუსინ-პუშკინი მორიგ რელაციაში 1798 წლის 6/17 იანვრის და 13/24 თებერვლის თარიღით საინტერესო ცნობებს იძლევა რომში შექმნილი ვითარების შესახებ. იხ. Архив ВПР, ф. „Сношения России с Неаполем“. л. 263 лл. 26—29, 32—37.

[2] А. Сорель, დასახ. ნაშრ., ტ. 5, გვ. 242—243.

[3] იქვე. გვ 257.

[4] იქვე, გვ. 243.

[5] ინგლისთან მჭიდრო კავშირში ყოფნა, ნელსონის ფლოტის ნეაპოლის წყლებში თავისუფალი მიმოსვლა, ფარული მოლაპარაკება რუსეთთან და ავსტრიასთან, რასაც ნეაპოლის სამეფო ახორციელებდა, საკმაო მოტივად მიაჩნდათ ამ სახელმწიფოს მესვეურებს იმისათვის, რომ ფრანგების რისხვის შინებოდათ.

საზღვრებთან დაბანაკებული ჯარის ნაწილებს, ინგლისისაგან დამატებით იარაღს იღებენ, აბაგრებენ ჩრდილო საზღვარზე არსებულ სიმაგრეებს და რუსეთთან და ავსტრიასთან ფარულ მოლაპარაკებას ხწევიან დაბაოეთის მიღების თაობაზე. ამავე დროს, ნეაპოლის მეფე ცდილობს დაარწმუნოს საფრანგეთის მთავრობა, რომ იგი მტკიცე ნეიტრალიტეტის და მშვიდობის მომხიერა და საფრანგეთის მტრებთან კავშირში არ იმყოფება[1].

ნეაპოლის მთავრობის ორპირი პოლიტიკა[2] მრავალრიცხოვანი აგენტების მეშვეობით ცნობილი გახდა საფრანგეთისათვის, რამაც მას ნეაპოლზე ახალი ზემოქმედების და მისდამი ულტიმატუმის წაყენების საბაბი მისცა. ივლისში საფრანგეთის რესპუბლიკამ ნეაპოლის მთავრობას მოსთხოვა პოლიტიკურ პატიმართა (ე. ი. რესპუბლიკის ომმბრეთა — ე. დ.) განთავისუფლება, ყველა თავისი ნავსადგურის დაბურვა ინგლისისათვის და მესინის ნავსადგურის დათმობა საფრანგეთის ფლოტისათვის. საფრანგეთის რესპუბლიკის მოთხოვნის მიღება ნიშნავდა ნეაპოლის სახელმწიფოს მიერ პიემონტის სამეფოს ხელდრის გაზიარებას და მის ნებაყოფლობით კაპიტულაციას. ამ ულტიმატური მოთხოვნის უარყოფა კი მოასწავებდა საფრანგეთის აშკარა გადამტერებას და მასთან ომზე კურსის აღებას. ინგლისის, ავსტრიის და რუსეთის ელჩების რჩევა-ჩაგონების შედეგად ნეაპოლის მთავრობამ უარყო ფრანგთა მოთხოვნები და, რაკი საფრანგეთთან ომი გარდუვალი იყო, ნისი აგრესიის ჩასაშლელად თვით განიზრახა პაპის ოლქში შეჭრა.

---

[1] მესინ-პუშკინი 1798 წლის 13/24 თებერვლის რელაციაში პავლესადმი, დეტალურ ცნობებს იძლევა რა ნეაპოლის სამეფოს მიერ მიღებული გამაფრთხილებელი ზომების შესახებ, დასძენს: „...Его величество старается сколько возможно не подать Директории повода обвинить Его по справедливости каким либо поступком оскорбительным для Ея“. Архив ВПР, ф. „Сношения России с Неаполем“, д. 263, л. 36.

[2] კერძოდ ავსტრია-ნეაპოლის სამოკავშირო ხელშეკრულების დადებამ ვენაში 1798 წლის 8/19 მაისს. ამ ხელშეკრულებით ავსტრიამ ნეაპოლის მეფეს აღუთქვა 60—80 ათასიანი არმიის თავმოყრა იტალიის საზღვარზე და იარაღით და არმიით დახმარება, ნეაპოლის მეფემ, თავის მხრივ, ვალდებულება იკისრა თავისი სამეფოს ავსტრიის სამფლობელოების მოსაზღვრე ზონაში განალაგებინა 30—40 ათასიანი არმია, თანაც ადრიატიკის ზღვაზე ჰყოლოდა 3—4 ფრეგატი ამ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის უზრუნველსაყოფად. Архив ВПР, ф. „Сношения России с Неаполем“, д. 264, лл. 75—81. მესინ-პუშკინის 1798 წლის 6/17 ივლისის რელაციაში პაველსადმი ვრცლად არის მოთხრობილი ამ ამბების შესახებ, თანაც ავსტრია-ნეაპოლის აღნიშნული ხელშეკრულების შინაარსიც არის გადმოცემული.

ნეაპოლის სამეფო კარმა საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლაზე კურსი აიღო არა საკუთარი ძალებისადმი რწმენის შედეგად, არამედ ინგლისის და ევროპის კონტინენტის ორი დიდი მონარქიის—ავსტრიის და რუსეთის—დახმარების იმედით. ეს ვარაუდი სინამდვილესთან ახლოს იყო. საფრანგეთის მიერ ნეაპოლის ჩაყლაპვა და მისი სახმელეთო საზღვაო ბაზების ხელში ჩაგდება სრულიად მიუღებელი იყო აღნიშნული სახელმწიფოებისათვის. იგი ეკონომიურად, პოლიტიკურად და სამხედრო-სტრატეგიული მხრივ დიდ უპირატესობას მიანიჭებდა საფრანგეთის რესპუბლიკას და შესატყვისად გააუარესებდა რუსეთისა და ავსტრიის პოზიციებს. ამიტომ იყო, რომ ინგლისის ფლოტი ნეაპოლიტანიის სამეფოს ნავსადგურების ხშირი „სასურველი“ სტუმარი იყო, ამიტომ ჰპირდებოდა მას ავსტრიის მთავრობა ეფექტურ დახმარებას ჯარით, იარაღით და გამოცდილი გენერლებით.

რუსეთის მთავრობა ჩვენი შეხედულებით, ორმხრივად იყო დაინტერესებული ნეაპოლის სამეფოს ბედ-იღბლით. ერთის მხრივ, ეს დაინტერესება განპირობებული იყო რუსეთის სახელმწიფოს „საარსებო“ ინტერესებით; საფრანგეთის შემდგომი აგრესიის აღკვეთის საჭიროებით, ხმელთაშუა ზღვის აუზის ცენტრალურ ნაწილში ფეხის მოკიდების სურვილით და დაცვით-მონარქისტული პრინციპით, მეორეს მხრივ. ეს უკანასკნელი პრინციპი უკარნახებდა მას ყოფილიყო „ტახტთა და საკურთხეველთა დამცველი“, მონარქისტული პრინციპის პალადინი.

მაგრამ იყო სხვა მოტივიც, რომელიც, ჩვენი აზრით, ბიძგს აძლევდა მეფის რუსეთის დიპლომატიას ნეაპოლის სამეფოს ქომაგად გამოსულიყო და მისთვის მფარველობის კალთა გადაეფარებინა. მალტაზე და იონიის კუნძულებზე ფეხის მოკიდების შემთხვევაში, რის სისრულეში მოყვანის განზრახვას ასე ელოლიავებოდა მეფის რუსეთი, რუსეთს აუცილებლად ესაჭიროებოდა აპენინის ნახევარკუნძულის ან სიცილიის რომელიმე ნავსადგურში დამკვიდრება. ამით იგი განიმტკიცებდა თავის მდგომარეობას ზემოდასახელებულ ორ რაიონში და შექმნიდა ბაზების თავისებურ სამკუთხედს. რაკი მოსალოდნელი იყო რუსეთ-ავსტრიისა და რუსეთ-ინგლისის ინტერესთა მკვეთრი დაჯახება საფრანგეთის აგრესიის აღკვეთის შემდეგ, მეფის რუსეთი, ცხადია, აღნიშნულ ბაზებს სწორედ მათ წინააღმდეგ გამოიყენებდა. რაკი აღმოსავლეთის საკითხში რუსეთის მთავარ მოქიშპეს და მოწინააღმდეგეს მაინც ინგლისი წარმოადგენდა, რუსეთის მიერ სამხრეთ იტალიაში ფეხის მოკიდება და იქ სათანადო ბაზის მოპოვება, თუ ერთის მხრივ, საფ-

რანგეთის წინააღმდეგ იყო მიმართული, მეორე მხრივ, იგი ინგლისის წინააღმდეგაც იყო გამიზნული.

ამიტომ იყო, რომ პავლე I-ის მთავრობამ გადაწყვიტა დახმარება აღმოეჩინა ნეაპოლის სამეფოსათვის საფრანგეთის მოსალოდნელი აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. პეტერბურგის სამეფო კარმა ენერგიული დიპლომატიური საქმიანობა გააჩაღა ამ სახელმწიფოს მთავრობასთან და იგი მოკავშირედ და ანტიფრანკული კოალიციის აქტიურ წევრად აქცია. პავლე I-ის მთავრობის დიპლომატიური საქმიანობა ნეაპოლის სამეფოში წარმატებით დაგვირგვინდა და 1798 წლის დასასრულისათვის აღმოცენდა ამ ორი ფეოდალური მონარქიის მჭიდრო კავშირ-ურთიერთობა, რომელმაც თავისი კონკრეტული გამოხატულება ურთიერთდახმარებისა და სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებაში ჰპოვა.

ეს ხელშეკრულება დაიდო პეტერბურგში 1798 წლის 18/29 ნოემბერს[1]. ამ ხელშეკრულებით ხელმომწერმა მხარეებმა მიზნად დაისახეს Status quo ante bellum-ის აღდგენა. ეს კი გულისხმობდა ფრანგთა განდევნას იტალიიდან და მათ მიერ დამხობილ მონარქთა და მმართველთა აღდგენას მათს ძველ „კანონიერ“ უფლებებში. რუსეთის ცარიზმი ამ ხელშეკრულების ძალით კისრულობდა ვალდებულებას დახმარებოდა ნეაპოლის მთავრობას სახელმწიფოს საზღვრების დაცვაში როგორც ფლოტით, ისე სახმელეთო ჯარითაც. კერძოდ იგი ვალდებულებას კისრულობდა გაეგზავნა ნეაპოლის ტერიტორიაზე ჯარის ერთი კორპუსი 9 ბატალიონის, არტილერიისა და კაზაკთა ორი ასეულის შემადგენლობით[2].

დამამარე კორპუსი ნეაპოლის სამეფოში უნდა ჩასულიყო თურქეთისა და ავსტრიის საფლობელოებზე გავლით. კორპუსის შენახვა გზაში რუსეთს ეკისრებოდა, ნეაპოლის სამეფოში ჩასვლის შემდეგ კი—ნეაპოლის სამეფო კარს. აღნიშნული ხელშეკრულება, ამასთან ერთად, ითვალისწინებდა ერთობლივ ღონისძიებებს ფრანგების ხელში მყოფი მალტის გასანთავისუფლებლად.

---

[1] ნეაპოლის მეფის სახელით მას ხელი მოაწერა ამ სახელმწიფოს ელჩმა პეტერბურგში ჰერცოგმა სერა-კამპრიოლამ, რუსეთის მხრივ კი—ა. ბეზბოროდკომ და თ. როსტოპჩინმა. იგი რატიფიცირებული იქნა დაგვიანებით—1799 წლის 25 მარტს (5 აპრილს), მეორე ანტიფრანგული კოალიციის გაფორმების შემდეგ. ხელშეკრულების სრული ტექსტი იხილეთ: ЦГАДА ф. Паниных, д. 313, лл. 60—65.

[2] იხ. პაველეს 1798 წლის 19 დეკემბრის რესკრიპტი გრაფ ნ. პ. პანინისადმი, რომელშიაც ვრცლად არის გადმოცემული აღნიშნული ხელშეკრულების წმინდა სამხედრო მხარე. Архив князя Воронцова, ტ. II, გვ. 272.

ამ ღონისძიებათა შორის გათვალისწინებული იყო რუსეთიდან გრენადერთა 3 ბატალიონისა და 300 არტილერისტის გაგზავნა ნეაპოლში. მალტის განთავისუფლების შემდეგ აღნიშნული სამხედრო შენაერთი კუნძულის გარნიზონისათვის იყო განკუთვნილი.

დიდი და ძლიერი მოკავშირეების დაამარებით დაიმედებულნა ნეაპოლის სამეფომ[1] გადაწყვიტა სისრულეში მოეყვანა თავისი განზრახვა საფრანგეთის მიმართ. 1798 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში მან თავისი ჯარი (სულ 40 ათასი კაცი) ცნობილი ავსტრიელი გენერლის მაკის სარდლობით რომისაკენ დაძრა.

საფრანგეთის არმიის სარდალმა პაპის ოლქში გენერალმა შამპიონემ, რომლის განკარგულებაში ამ დროისათვის სულ 15 ათასი კაცი იყო, საჭიროდ ჩიიჩნია წინააღმდეგობის გაწევისაგან თავი შეეკავებინა, უბრძოლველად დაეცალა ქალაქი რომი და მის გარეუბანში გამაგრდა. 1798 წლის 18/29 ნოემბერს ნეაპოლის სამეფოს „უძლეველი“ არმია უბრძოლველად შეიდა „საღვთო“ ქალაქში. მეფე ფერდინანდმა მაშინვე „ახალი წესრიგი“ დაამყარა ქალაქში და ენერგიულად მოჰკიდა ხელი „ღვთისა და კანონის“ მგმობთა სასტიკ დევნას[2].

ნეაპოლის არმიის „გამარჯვებით“ გამოწვეული ზეიმი ნეაპოლსა და თვით რომში მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა[3]. გენერალი შამპიონე დაბიმარე ძალის მიღების შემდეგ თვით გადავიდა შეტევაზე ნეაპოლის არმიის წინააღმდეგ, რომელიც რომში ფეხის მოკიდების შემდეგ უკვე აღარ წარმოადგენდა არმიას ამ სიტყვის

---

[1] ამ დროისათვის ნეაპოლმა ინგლისთანაც დადო ურთიერთდახმარებისა და მეგობრობის ხელშეკრულება.

[2] მუსინ-პუშკინი 1798 წლის 26 ოქტომბრის (6 ნოემბრის) 9/20 ნოემბრის და 23 ნოემბრის (4 დეკემბრის) რელაციებში დაწვრილებით აღწერს ნეაპოლის არმიის სალაშქრო ზზადებას, მის ლაშქრობას რომისაკენ, რომში უბრძოლველად შესვლას და იმ ზიზღებს, რომლებიც ნეაპოლის მეფემ მიიღო იქ ძველი წესების აღსადგენად. თუ მის სუბიექტურ და ტენდენციურ ცნობებს დავუჯერებთ, რომის მოსახლეობა აღტაცებით შეეგება მათ „გამათავისუფლებლებს“. Архив ВПР. ф. „Сношения России с Неаполем“, 1798, д. 264. лл. 54—61, 64—71, 72—77, 87—90.

[3] ფრანგებისადმი მტრულად განწყობილი ა. ვისკოვატოვიც კი აღნიშნავს, რომ ნეაპოლის არმიის რომში შესვლა აღინიშნა „ბრბოს“ აღვირახსნილობით და ფრანგების მომხრეების, რესპუბლიკელების, ებრაელების ხოცვა-ჟლეტით, საშინელი შეურისმაძიებელი სისხლის ღვრით, ნეაპოლიტანელებმა თვით მიიღეს მონაწილეობა ამ სისაძაგლეებში. А. Висковатов, Военные происшествия в Неаполитанском Королевстве 1793—1799 гг., „Славянин“, 1927. ч. 4. გვ. 443.

ნამდვილი მნიშვნელობით. 9 დეკემბერს საფრანგეთის არმიამ ისევ დაიბრუნა რომი. მაგრამ რომის აღებით და პაპის ოლქის გაწმენდით არ დამთავრებულა ბრძოლა ფრანგებსა და ნეაპოლის არმიას შორის. საფრანგეთის არმია დაედევნა დემორალიზებულ, დამფრთხალ და ბრძოლისუნარიანობას მოკლებულ მტრის არმიას. ნეაპოლიტანიის არმია ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე უწესრიგოდ უკან იხევდა. ნეაპოლიტანიის მეფე ფერდინანდი და სარდლობა თვით აძლევდნენ არმიის პირად შემადგენლობას სწრაფი უკან დახევისა და სამარცხვინო სიმხდალის მაგალითს. ხუთი კვირის შემდეგ ნეაპოლიტანიის „არმიისაგან" არაფერი არ დარჩენილა, მან შეწყვიტა არსებობა.

ნეაპოლიტანიის მეფის მთელი ეს სამხედრო „წამოწყება" სრული კატასტროფით დამთავრდა. ნეაპოლიტანიის სამეფომ შეწყვიტა არსებობა. 1798 წლის 21 დეკემბერს (1799 წლის 1 იანვარს) მეფე ფერდინანდმა, სამეფო სახლმა და ფეოდალური არისტოკრატიის მრავალრიცხოვანმა ხროვამ დასტოკეს ნეაპოლი და ინგლისის ფლოტის დახმარებით სიცილიას შეაფარეს თავი. ქალაქი ნეაპოლი და ნეაპოლიტანიის უდიდესი ნაწილი საფრანგეთის ჯარების მიერ იქნა ოკუპირებული[1].

1799 წლის იანვარში ფრანგმა დამპყრობლებმა ნეაპოლიტანიის სამეფოში ბოლო მოუღეს მონარქიას და იქ „პართენოპეს" რესპუბლიკა გამოაცხადეს[2]. ნეაპოლიტანიის სამეფოს ოკუპაციით საფრანგეთმა არსებითად დაამთავრა იტალიის პლაცდარმისათვის ბრძოლა. აპენინის ნახევარკუნძულის მნიშვნელოვანი ბაზები და ნავსადგურები ფრანგთა ხელში მოექცა.

იტალიის პლაცდარმისათვის საფრანგეთის რესპუბლიკასა და მის მოწინააღმდეგეებს შორის ბრძოლის პირველი ფაზა მაშინ დამთავრდა, როდესაც უკვე შეიქმნა მეორე ანტიფრანგული კოალიცია, ხოლო რუსეთის ფლოტი ხმელთაშუა ზღვაში ბრწყინვალე ოპერაციებს აწარმოებდა საფრანგეთის წინააღმდეგ. მეფის რუსე-

---

[1] ვისკოვატოვის დასახელებულ ნაშრომში დაწვრილებით და თანმიმდევრობითაა მოთხრობილი ფრანგების მიერ რომის კვლავ დაპყრობა, ნეაპოლის სამეფოზე ლაშქრობა, ნეაპოლში შეჭრა და მისი ოკუპირება. იხ. А. Висковатов, დასახ. ნაშრ., „Сынъ Отечества", 1827. ч. 4, გვ. 445—449, 473—490.

[2] А. Сорель, დასახ. ნაშრ., ტ. 5, გვ. 304—312; Е. Тарле, დასახ. ნაშრ., გვ 161; Наполеон, Набр. произв. ტ. I, გვ. 295—303; Архив ВПР, ф. „Сношения России с Неаполем", მუხინ-პუშკინის 1798 წლის 30 ნოემბრის (11 დეკ.) რელაცია, д. 246, лл. 93—100, 1799 წლის 25 იანვრის (1799 წლის 5 თებერვლის) რელაცია, д. 272, лл. 16—18.

თისათვის იტალიელი მოკავშირის დამარცხება სერიოზული სამხედრო-პოლიტიკური და მორალური დარტყმა იყო. ამ დარტყმისათვის მას — ანტიფრანგული კოალიციის ერთ-ერთ ორგანიზატორს—უნდა ეპასუხა საბრძოლო განწყობილების გაძლიერებით და ფრანგთა წინააღმდეგ მთელ ფრონტზე ენერგიული ბრძოლის გაშლით.

ეს ასეც მოხდა. 1799 წლის ომი რუსეთსა და საფრანგეთს შორის ამის გამოხატულებას წარმოადგენდა.

5. პოლონეთის და ჰამბურგის საკითხების როლი მეორე ანტიფრანგულ კოალიციაში რუსეთის ჩაბმის საქმეში

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში ერთ-ერთ ფიცხ მასალას, რომელმაც ხელი შეუშალა მათ დაახლოებას და, პირიქით, რუსეთის მთავრობას ბიძგი მისცა იარაღი აღემართა საფრანგეთის წინააღმდეგ და მეორე ანტიფრანგული კოალიციის ორგანიზატორი გამხდარიყო, პოლონეთის და ჰამბურგის საკითხები წარმოადგენდა.

რევოლუციამდელი რუსი ისტორიკოსები დ. მილიუტინი. ს. ტატიშჩევი, კ. ვალიშევსკი, ა. ბრიკნერი და სხვები გვერდს არ უვლიან პოლონეთის საკითხს. ისინი თავიანთი ნაშრომების ვარკვეულ თავებში იძლევიან ცნობებს რუსეთის პოლონური ოლქების მიმართ საფრანგეთის დირექტორიის ინტრიგების კონკრეტული ფაქტების შესახებ. ყურადღების გარეშე არ სტოვებენ იმ რეაქციასაც, რომელსაც ეს აქტები იწვევდა რუსეთის მმართველ ზედაფენაში. მაგრამ ისინი კმაყოფილდებიან ფაქტების უბრალო კონსტატაციით, არ იხილავენ ამ საკითხს სხვა საკითხებთან კონტაქტში. გარდა ამისა, ჩვენი აზრით, ისინი სათანადოდ ვერ აფასებენ პოლონეთის საკითხის ადგილს რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში და მკვეთრად არ გახაზავენ მის როლს 1799 წლის რუსეთ-საფრანგეთის ომის აღმოცენებაში. საფრანგეთის ხელისუფლების და მისი მრავალრიცხოვანი აგენტურის ინტრიგებს პოლონური ოლქების მიმართ, პოლონელ ემიგრანტთა წაქეზებას მათ მიერ ისინი ჯეროვან მნიშვნელობას არ ანიჭებენ. ამიტომ არის, რომ პეტერბურგის სამეფო კარის რეაქციას ფრანგების ამ ძირგამომთხრელ საქმიანობაზე ისინი რამდენადმე გაზვიადებულად მიიჩნევენ [1].

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 49—50; Tatischoff, დასახ. წერილი, იხ. ჟურნ. „La Nouvelle Revue", 1887, ტ. 47, წიგნები III და IV, გვ. 663 — 664; К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 314 — 315, 330—332; А. Брикнер, დასახ. კრებული, Материалы,... ტ. 3, გვ. 2—4.

ჩვენს მიერ ზემოდასახელებული საბჭოთა ისტორიკოსები, რომლებიც გაკვრით ეხებიან რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობას მეორე ანტიფრანგული კოალიციის მომზადების, მისი ამოქმედებისა და ამ კოალიციის დაშლის პერიოდში, მხოლოდ სპორადულ ცნობებს იძლევიან პოლონეთის საკითხის შესახებ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ხარვეზია, რომელიც უნდა გამოსწორდეს. ჩვენ ერთხელ კიდევ ვიმეორებთ, რომ იმ მრავალ ფიცხ მასალათა შორის, რომელთა კომპლექსმა მეორე ანტიფრანგული კოალიციის შექმნა და რუსეთ-საფრანგეთის 1799 წლის ომი წარმოშვა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიცხი მასალის როლი სწორედ პოლონეთის საკითხმა შეასრულა.

ჩვენს ხელთ არსებული საარქივო ფონდების მასალები და გამოქვეყნებული დოკუმენტები, რომლებიც „პოლონეთის საკითხს" ეხებიან, ცხადჰყოფენ მის სერიოზულ მნიშვნელობას. ეს ცნობები ამტკიცებენ, რომ საფრანგეთის დირექტორია როგორც აშკარად, ისე ფარულად ეწეოდა საქმიანობას, რითაც რუსეთს აყენებდა ზიანს, სასელდობრ, აწყობდა პოლონელ ემიგრანტთა წაქეზებას და რუსეთის პოლონურ ოლქებში წყლის ამღვრევას. ამ საქმიანობის განსაორციელებლად მას აგენტებიც ჰყავდა შერჩეული და ფულადი სასსრებიც ჰქონდა გამოყოფილი. მოქმედებდა რა ასე, იგი, რა თქმა უნდა, არ ფიქრობდა უანგარო მიზანზე პოლონეთის დამოუკიდებლობაზე. მას „პოლონეთის საკითხი", დამოუკიდებელი პოლონეთის აღდგენის ლოზუნგები თავისი საექსპანსიო ძიზნებისათვის სურდა გამოეყენებინა.

ა. პოლონეთის საკითხი

მართალია, პოლონეთის საკითხს, კერძოდ საფრანგეთის რესპუბლიკის ინტრიგებს რუსეთის პოლონური ოლქების წინააღმდეგ, უფრო დიდი ხნის ისტორია აქვს. ვიდრე საფრანგეთ-რუსეთის ბანმოკლე დაახლოების და მეორე ანტიფრანგული კოალიციის შემზადების პერიოდს, მაგრამ ამ საკითხის მთავარი სიმწვავე სწორედ ამ პერიოდზე, 1797—1798 წლების მონაკვეთზე მოდის. რუსეთის პოლონური ოლქების მიმართ საფრანგეთის დირექტორიის ოინებმა და ძირგამომთხრელმა საქმიანობამ, რომელიც წარმოადგენდა, როგორც რუსეთის არსებული სოციალური სისტემის, ისევე მის ტერიტორიულ მთლიანობისა და ხელშეუხებლობის ხელყოფას, მკაფიოდ გამოავლინა საფრანგეთის რესპუბლიკის მტრული ზრახვები რუსეთის მიმართ. მან ერთხელ კიდევ ნათლად ცხადჰყო რუ-

სეთის მიბმართ საფრანგეთის დირექტორიის „სამშვიდობო“ მისწრაფების არაგულწრფელი ხასიათი.

პოლონეთის მესამე გაყოფის შედეგად (1795 წელს) მეფის რუსეთმა, პრუსიამ და ავსტრიამ, როგორც ცნობილია, სავსებით ბოლო მოუღეს პოლონეთის დამოუკიდებელ არსებობას და ერთმანეთში „მეგობრულად“ გაინაწილეს მისი ტერიტორია. მაგრამ ამ ყაჩაღურ და უსამართლო ისტორიულ აქტს, რომელიც პოლონელი ხალხის ტრაგედიად იქცა, არ მოუსპია და არც შეეძლო მოესპო პოლონეთის საკითხი. ბართალია, პოლონეთის განმანაწილებელ სახელმწიფოთა ურთიერთობაში მან დაკარგა ძველი მნიშვნელობა და არსებითად ამ სახელმწიფოთა შინასაკითხად იქცა, მაგრამ იგი, მიუხედავად ამისა, მაინც დარჩა ერთ-ერთ ევროპულ პრობლემად. ეს საკითხი დროდადრო მაინც ამოტივტივდებოდა ხოლმე ზედაპირზე და ევროპის დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკურ ურთიერთობაზე გავლენას ახდენდა. საფრანგეთის რევოლუციის ხანაში და მის მომდევნო წლებში (კერძოდ დირექტორიის მმართველობის წლებში), იგი თავს იჩენს ორი სოციალური სისტემის ბრძოლის პროცესში. კერძოდ საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთდამოკიდებულებაში.

რუსეთის მთავრობა, როგორც არაერთხელ იყო ხაზგასმული, უსასტიკეს ზომებს იღებდა „შინაგან ფრონტზე“ საფრანგეთის რევოლუციის ყოველგვარი გავლენის წინააღმდეგ. მას სურდა ჩინური კედელი აღემართა რუსეთის იმპერიასა და საფრანგეთის რევოლუციის „დაბინგრეველ“ ძალას შორის. განსაკუთრებულ ყურადღებას ამ მიმართულებით იგი ახლად შემოერთებულ პოლონურ სამფლობელოებს აქცევდა და ეს განსაკუთრებული „ზრუნვა“, ყურადღება პოლონური ოლქებისადმი, სავსებით კანონზომიერი და მიზანშეწონილი იყო. რუსეთის მიერ დაპყრობილი ყოფილი პოლონეთის ვრცელი ტერიტორია რუსეთის იმპერიის ყველაზე უფრო ახლად შემოერთებულ ოლქს წარმოადგენდა, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო სავსებით დაშოშმინებული. საგანგებო სამხედრო და პოლიციური ღონისძიებების გარეშე აქ მუდამ მოსალოდნელი იყო გართულებანი. დაპყრობილი, დამოუკიდებლობას და ნაციონალურ უფლებას მოკლებული პოლონელი მოსახლეობა (პან-შლიახტური ფეოდალური არისტოკრატიის ერთი ჯგუფის გამოკლებით) სულაც არ აპირებდა შერიგებოდა თავის ხვედრს და დროდადრო, აშკარად თუ ფარულად, ავლენდა თავის შეურიგებლობას. ნაციონალური ჩაგვრა აქ გადახლართული იყო ფეოდალური ჩაგვრის მწვავე ფორმებთან. პოლონური ოლქების ასეული ათასობით ყმა გლები,

რომელიც ყოფილ მფლობელებს ჩამოერთვათ, პავლემ საჩუქრად დაურიგა სასახლის ფეოდალური არისტოკრატიისა და გენერალიტეტის წარმომადგენლებს, ფავორიტებს, ეკლესიას და ა. შ.

ბუნებრივია, აღნიშნულის გამო, პოლონური ოლქების მოსახლეობა იმპერიის ყველაზე ნაკლებ ერთგულ ქვეშევრდომთა მასას შეადგენდა, რომელიც შეიძლებოდა ადვილად მოქცეულიყო საფრანგეთის რევოლუციის იდეების გავლენის ქვეშ. „დაავადებულიყო" მისი „გამხრწნელი ბაცილით". ამასთან ერთად, მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ პოლონური ოლქები განაპირა, საზღვრისპირა ოლქებს წარმოადგენდნენ, რომლებიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ყველაზე მეტად საბიფათო იყვნენ დასავლეთიდან მქროლავი „მეამბოხე სულის" გავლენის ქვეშ მოქცევისათვის. დასასრულ, დაპყრობილი პოლონური ტერიტორია იმპერიის დასავლეთის საზღვრის ყველაზე შორს გაწეული ნაწილი იყო. ამდენად მას დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი იმპერიის თავდაცვის სისტემაში ერთ-ერთ მთავარ ბასტიონს წარმოადგენდა.

რათა თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი გართულებანი და დაეცვა პოლონური ოლქები გარეგანი გავლენისაგან, რუსეთის მთავრობას აქ განლაგებული ჰყავდა ჯარის ძლიერი ნაწილები, გაძლიერებული იყო მისი საზღვრების დაცვა, თანაც მაქსიმალურად შეზღუდული იყო მის ფარგლებში გერმანიიდან შესვლა. ამ ოლქების მკვიდრ მოსახლეობაზე დაწესებული იყო განსაკუთრებული მეთვალყურეობა, რასაც საპოლიციო და ჯაშუშური ორგანიზაციები ახორციელებდნენ, თანაც გახსაკუთრებულ შემოწმებას ექვემდებარებოდნენ ის უცხოელები, რომლებიც ვაჭრობის თუ სხვა მიზნით ამ ტერიტორიის დროებითი სტუმრები ხდებოდნენ.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ზომებისა, რუსეთის მთავრობა მაინც არ გრძნობდა თავს უშიშრად იმპერიის პოლონურ ნაწილში. პავლე I იქ ახალ-ახალ პოლიციურ ზომებს მიმართავდა და დამატებით განკარგულებებს აძლევდა პოლონური ოლქების სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალთ ამ მიმართულებით. რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებს და აგენტებს ბერლინში, ვენაში და გერმანიის წვრილ საიელმწიფოებში პეტერბურგიდან დროგამოშვებით მისდიოდათ მითითებები სისტემატურად ედევნებინათ თვალყური პოლონელ ემიგრანტთა ყოფაქცევისათვის, ისევე როგორც ფრანგ აგენტთა საქმიანობისათვის. მათ ევალებოდათ აშკარა და ფარული „არხების" შემწეობით შეეგროვებინათ ცნობები ყველა იმ განზრახვათა შესახებ, რომლებიც რუსეთის მთლიანობისა

და უშიშროების წინააღმდეგ იყვნენ მიმართულნი და პოლონურ ოლქებში წყლის ამღვრევას ისახავდნენ მიზნად. ასეთი ცნობების შესაგროვებლად მათ უფლება ჰქონდათ საიდუმლო ფონდებიდან გარკვეული თანხებიც კი დაეხარჯათ.

რუსეთის იმპერატორს და ფეოდალური არისტოკრატიის მმართველ ზედაფენას სერიოზულად აფიქრებდა ფრანგების ორიენტაცია. მათ აშინებდა დირექტორიის მრავალრიცხოვანი აგენტების ძირგამომთხრელი საქმიანობა. ამბობენ შიშს დიდი თვალები აქვსო: პეტერბურგში გამორიცხულად როდი თვლიდნენ ფრანგთაგან წაქეზებული პოლონელების აჯანყებას.

„ზოგიერთი პოლონელის დაკითხვიდან, რომელნიც აღმოჩნდნენ დამნაშავენი ჩვენი ხელისუფლებისა და ჩვენი იმპერიის მეუფეროების წინააღმდეგ ბოროტ განზრახვებში,—სწერდა პავლე I ნ. პ. პანინს 1798 წლის 11 იანვრის რესკრიპტში, — ჩვენ დიდი განცვიფრებით გავიგეთ, რომ ზოგიერთი მათგანი წერილობით მიმართავდა საფრანგეთის მთავრობას, სთხოვდა მას დახმარებას და თან სთავაზობდა ჩვენდამი დაქვემდებარებულ პროვინციებში რევოლუციის მოხდენის სხვადასხვა ხერხებს, ხოლო დირექტორიის ნერგავს მათში დახმარების აღმოჩენის იმედს“ [1].

ვენის სამეფო კარის მეშვეობით პავლე I-ის მთავრობისათვის ცნობილი იყო, რომ ფრანგებმა ავსტრიელებს მოლაპარაკების დროს შესთავაზეს პოლონეთის ავსტრიულ ნაწილზე ხელის აღება და ასეთივე წინადადებით მიმართეს პრუსიას, თითქოს პოლონეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის მიზნით [2].

ა. ბეზბოროდკო იმდენად დაშინებული იყო საფრანგეთის რესპუბლიკის ინტრიგებით რუსეთის იმპერიის დასავლეთ. პოლონურ პროვინციებში და ამ ინტრიგების შედეგად იქ პოლონელთა აჯანყების შესაძლებლობით, რომ ამ აჯანყების თავიდან ასაცილებლად, სხვა საშუალებებთან ერთად, საჭიროდ თვლიდა თვით საფრანგეთთან შეთანხმებას. მისთვის საფრანგეთთან შეთანხმების შესაძლებლობის ერთ-ერთ გამამართლებელ საბუთს პოლონურ ოლქებში ფრანგთა ინტრიგების საფრთხე წარმოადგენდა. ეს საფრთხე, მისი აზრით, თავისთავად მოიხსნებოდა, როგორც კი საფრანგეთთან საერთო ენა გამოინახებოდა [3].

---

[1] ЦГАДА, ф. Паниных, д. 329, л. 50.

[2] იხ. ა. ბეზბოროდკოს 1798 წლის 26 მაისის წერილი ს. რ. ვორონცოვისადმი, Сб. РИО, т. 29, გვ. 400.

[3] იხ. Сб. РИО, т. 29, გვ. 402.

1798 წლის 2 ივლისით დათარიღებულ წერილში ს. ვორონ-ცოვისადმი ა. ბეზბოროდკო, აღნიშნავს რა პოლონელთა ცალკეული ჯგუფების მღელვარების ფაქტებს და ფრანგთა ოინების შედეგად ასეთი აქტების გაძლიერების შესაძლებლობას, წერს: „რით შეგვიძ-ლია ავიცილოთ ასეთი შესაძლებლობა, თუ არა საფრანგეთთან შეთანხმებით?“[1].

თვით რუსეთის იმპერატორი პავლე I საფრანგეთის რესპუბ-ლიკასთან შეთანხმების ერთ-ერთ წინასწარ პირობად მიიჩნევდა დირექტორიის ხელისუფლების გულწრფელობას რუსეთის მიმართ, მის მზადყოფნას ხელი აეღო ყოველგვარ ინტრიგებზე და პოლო-ნელ ქვეშევრდომთა წაქეზებაზე. ამიტომ იყო, რომ ჩვენს მიერ უკვე ხსენებულ რესკრიპტში ნ. პანინისადმი (1798 წ. 11 იანვ.) იგი მოითხოვდა მისგან კაიართან მოლაპარაკების დროს წამოეჭრა ეს საკითხი და მოეთხოვა მისგან სათანადო განმარტება. „ჩვენთან შეთანხმების გულწრფელი სურვილის შემთხვევაში,—წერდა იგი ამ რესკრიპტში,— დირექტორიამ უნდა იცოდეს, რომ მისი სიტყ-ვები და საქმეები ერთი მეორეს უნდა ეთანხმებოდესო[2].

მრავალრიცხოვანი პოლონელი ემიგრანტები, რომლებიც საფ-რანგეთის დირექტორიის სამსაიურში იმყოფებოდნენ ან მისი დავ-ალებით სხვადასხვა ხასიათის სააგენტურო დავალებებს ასრულებ-დნენ და გაბრიყვებულნი იყვნენ დამოუკიდებელი პოლონეთის აღდგენის დაპირებებით, უბრალო იარაღს წარმოადგენდნენ ფრანგ აგრესორთა ხელში.

„პოლონეთის საკითხს“ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა იმ მრა-ვალრიცხოვან რელაციებში, რომლებსაც ნ. პ. პანინი (რუსეთის ელჩი პრუსიაში), დროგამოშვებით აგზავნიდა ბერლინიდან 1797—1799 წლებში. ასეთი ხასიათის რელაციების დიდი ნაწილი 1797 წლის მეორე ნახევარსა და 1798 წელზე მოდის. სათანადო ცნო-ბებს ნ. პ. პანინი აგროვებდა როგორც ოფიციალური წყაროები-დან, ისე საიდუმლო „არხების“ მეშვეობით. გარდა პირადი და-კვირვებისა და პრუსიისა და გერმანიის სხვა სახელმწიფოების ოფი-ციალური ინფორმაციებიდან ამოკრებილი ცნობებისა, ნ. პ. პანინი ფრანგთა ინტრიგების შესახებ რუსეთის პოლონური ოლქების მი-მართ სათანადო მასალებს აგროვებდა კაიარის, სიეიესის და სხვა ფრანგ დიპლომატთა თუ აგენტების მიწერ-მოწერის პერლუსტრი-რების გზით. საიდუმლო „არხების“ მეშვეობით ცნობების შესაძე-

---

[1] ЦГАДА, ф. Панины, д. 329, лл. 50—51.

[2] იქვე.

ნად და ფრანგ აგენტთა მოსასყიდად, როგორც ზემოთ იყო აღ-ნიშნული, ნ. პანინი მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავდა. შეგროვილ ცნობებს ნ. პანინი აჯამებდა, ახზოგადებდა, კომენტარებს უკეთებდა და ისე აგზავნიდა პეტერბურგში. ბუნებრივია, რომ მის ცნობებში რეალური და ფანტასტიური ერთიმეორეში იყო არეული, რის გამოც ეს ცნობები მხოლოდ ნაწილობრივ იყო სანდო[1].

გარდა ნ. პ. პანინისა, რუსეთის პოლონური ოლქების მიმართ საფრანგეთის დირექტორიის ინტრიგების შესახებ პეტერბურგის მთავრობას დროგაბოლოვებით ცნობებს აწვდიდნენ ა. რაზუმოვსკი ვენიდან, რუსეთის ელჩები იტალიიდან, ს. ვორონცოვი ინგლისიდან, მურავიოვ-აპოსტოლი ჰამბურგიდან და სხვ. ამასთან ჰამბურგში რუსეთის რეზიდენტის მურავიოვ-აპოსტოლის ცნობები, თავისთავად ღირებული და ცალკეულ შემთხვევაში ნ. პანინის ცნობებზე უფრო საინტერესო, 1799—1800 წლების პერიოდს ეკუთვნის. 1799 წლიდან, როდესაც რუსეთის ცარიზმმა მოკავშირეებთან ერთად ომი გააჩაღა საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, საფრანგეთის ხელისუფლების საპასუხო ნაბიჯები, კერძოდ კი მისი ინტრიგები „პოლონეთის მიმართ" კიდევ უფრო გაძლიერდა. აი, სწორედ ამ პერიოდის ინტრიგების შესაბამ იძლევა ძირითადად ცნობებს მურავიოვ-აპოსტოლი[2].

„პოლონეთის საკითხის" შესახებ მასალებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კოსტიუშკოს პიროვნებას და მის საქმიანობას რუსეთის წინააღმდეგ.

---

[1] ა. ბრიკნერი ნ. პანინის დამსახურებად თვლის იმ საიდუმლო კავშირის აღმოჩენას, რომელიც არსებობდა დირექტორიის ხელისუფლებასა და პოლონელებს შორის. იხ. Материалы..., ტ. 3, გვ. 2. მაგრამ, ჩვენი აზრით, ფრანგები ბევრ შემთხვევაში არ მალავდნენ თავიანთ ხრახვებს ყოფილი პოლონეთის მიმართ და აშკარადაც მიმართავდნენ სათანადო დეკლარატიულ განცხადებას, ამდენად პანინის „ღვაწლი" ამ ძეზე არც ისე დიდია, როგორც ფიქრობს ეს ავტორი.

[2] „პოლონეთის საკითხის" თაობაზე ნ. პანინის მრავალრიცხოვან რელაციებიდან ნ. და მიმოწ რიდან აღსანიშნავია: ნ. პანინის 1798 წლის 19/30 აპრილის წერილი ბარონ მესტმახერისადმი, Материалы... ტ. 3, გვ. 86—87; მისივე 1798 წლის სექტემბრის წერილი პრუსიის მინისტრებისადმი, იქვე, გვ. 359—361; მისივე 1798 წლის 2/13 სექტემბრის რელაცია პავლესადმი, იქვე, გვ. 362—363; მისივე 1798 წლის 21 სექტ./2 ოქტომბრის წერილი ა. ბეზბოროდკოსადმი, იქვე, გვ. 400—401; მისივე 1798 წლის 9/20 ოქტომბრის წერილები თავად ნ. რეპნინისადმი და გენერლების: გუდოვიჩისა და ბეკლეშოვისადმი, იქვე, გვ. 481—483 და სხვ; მურავიოვ-აპოსტოლის შესაბამისი რელაციები პავლესადმი იხილეთ „Русский архив", 1912, № 11, გვ. 381—400.

კოსტიუშკო პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გამოჩენილი სულმძღვანელი იყო. პოლონეთის დამოუკიდებლობის ლიკვიდაციის შემდეგ რუსეთში დაპატიმრებული კოსტიუშკო პავლემ გაანთავისუფლა და მას საზღვარგარეთ გამგზავრების უფლება მისცა. საზღვარგარეთ გამგზავრებისას კოსტიუშკომ სიტყვიერი დაპირება მისცა რუსეთის იმპერატორს, რომ ცოცხალების დარჩენილ დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაატარებდა, რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას აღარ განაახლებდა და პოლონეთის აღდგენის „ფანტასტიური გეგმის" რეალიზაციაზე არ იფიქრებდა, მაგრამ კოსტიუშკო დიდხანს არ დარჩენილა ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი მალე, 1798 წლის ნახევარში, დაბრუნდა ევროპაში და საფრანგეთში დამკვიდრდა. დირექტორიის ხელისუფლებამ გადაჭარბებული დემონსტრატიულობით მიიღო კოსტიუშკო და იგი თავისი საშობლოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის საბრძოლველად შეაგულიანა.

შეუმოწმებელი ცნობების მიხედვით, საფრანგეთის ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლების ინიციატივით, კოსტიუშკოს და სხვა პოლონელ ემიგრანტთა მონაწილეობით პარიზში პოლონეთის განთავისუფლების კომიტეტიც კი ჩამოყალიბდა, პ ო ლ ო ნ ე თ ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ი ს სახელწოდებით[1]. მისი ამოცანა იყო პოლონელ ემიგრანტთა ორგანიზება. პოლონეთის ტერიტორიაზე ფარული აგენტების შეგზავნა და იქ საყოველთაო აჯანყების მოწყობა. აღმასრულებელ დირექტორიას კოსტიუშკოსა და მისი მოხრეებისათვის თავდაპირველად დაემარება უნდა აღმოეჩინათ ფულადი სესხებით, ყალბი პასპორტების მიწოდებით. საზოგადოებრივი აზრის შექმნით და სივ. თუ რუსეთის პოლონური ოლქების მოსახლეობის საყოველთაო აჯანყების მოწყობის გეგმა სისრულეში მოვიდოდა, შაშინ საფრანგეთის ხელისუფლება ძას იარაღით და ჯარით დაემარების სიტყვიერ დაპირებას აძლევდა.

საფრანგეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებს არუსიაში, იტალიაში, ჰამბურგსა და გერმანიის სავა ნაწილებში ხელი უნდა შეეწყოთ კოსტიუშკოსათვის ანტირუსული წამოწყების წარმატებაში. თუ რაში მდგომარეობდა პარიზმი შემუშავებული გეგმის დეტალები, ეს ჩვენ, სათანადო მასალების უქონლობის გამო, არ

---

[1] მურავიოვ-აპოსტოლის 1800 წლის 28 იანვრის დასმენა (ჰამბურგიდან) პავლესადმი. იხ. „Русский архив", 1911, № 11, გვ. 301—382; იხ., აგრეთვე. Архив князя Воронцова. ტ. 9, გვ. 319.

ვიცით. ფაქტია მხოლოდ ის, რომ კოსტიუშკო მართლაც ფიქრობდა განეახლებინა ბრძოლა სამშობლოს განთავისუფლებისათვის და მაქსიმალური ზიანი მიეყენებინა თავისი მშობლიური ქვეყნის დამნაწილებელთათვის. მაგრამ მისი სამართლიანი მისწრაფება განუხორციელებელი დარჩა. მან რაიმე სერიოზული ნაბიჯების გადადგმაც ვერ შესძლო ამ მიმართულებით. ხოლო ფრანგი „მეგობრების" მიერ დაპირებული დახმარების შეუსრულებლობამ პატარა როლი როდი შეასრულა ამ საქმეში.

ნ. პანინის და მურავიოვ-აპოსტოლის რელაციებში, პავლე I-ის რესკრიპტებში და საგარეო საქმეთა კოლეგიის ხელმძღვანელთა წერილებში, რომლებიც „პოლონეთის საკითხს" ეხებიან, კოსტიუშკო ცენტრალური ფიგურაა. პეტერბურგის სამეფო კარს აშინება ბერლინიდან, ჰამბურგიდან და სხვა ადგილებიდან მიღებული ცნობები კოსტიუშკოს განზრახვათა შესახებ. ერთ შემთხვევაში კოსტიუშკოს შესახებ წერენ: კოსტიუშკო უკვე გაემგზავრა პარიზიდან Dufresnoy-ს სახელწოდებით და ჰამბურგის გზით პოლონეთში შესვლას აპირებს; მეორე ვერსიით იგი იტალიაში მიემგზავრება დომბროვსკისთან [1]; მესამე შემთხვევაში კოსტიუშკო უკვე ეურდანთან ერთად მაინცში ჩასულად არის მიჩნეული, საიდანაც იგი ჰამბურგს უნდა გაემგზავროს ბანკირისაგან ფულის მისაღებად [2]; მეოთხე შემთხვევაში კოსტიუშკო ფარულად პრუსიაში აპირებს ჩასვლას, პრუსიის მთავრობამ კი ბრძანება გასცა მის დაპატიმრების შესახებ [3]; მეხუთე შემთხვევაში კოსტიუშკო ჯერ ისევ პარიზშია და ემზადება აღმოსავლეთისაკენ გასამგზავრებლად [4] და ა. შ.

„დიდი მეამბოხის", კოსტიუშკოს გეგმების შესახებ გავრცელებული ცნობებით გაბოროტებული და შეშინებული პეტერბურგის სამეფო კარი ზედიზედ იძლევა ახალ-ახალ განკარგულებებს, რომელთა ამოცანაა ჩაშალოს პოლონელი პატრიოტის განზრახვა და არ დაუშვას მისი და მის თანამოაზრეთა ძირგამომთხრელი საქმიანობა იმპერიის პოლონურ ოლქებში. ნ. პანინისადმი გაგზავნილი 1798 წლის 30 ოქტომბრის რესკრიპტში პავლე I აყენებს

---

[1] ნ. პანინის დასახ. წერილი, „Материалы...", ტ. 3, გვ. 421—422.

[2] მურავიოვის წერილი პანინისადმი 1798 წლის 29 ოქტ./9 ნოემბ.. „Материалы ..." ტ. 3, გვ. 456—457.

[3] ნ. პანინის 1798 წ. 1/12 და 14/25 ოქტომბრის წერილები... იქვე, გვ. 423—527.

[4] მურავიოვის 1799 წლის 11/22 იანვრის რელაცია პავლე I-სადმი, Архив ВИР „Сношения России с Гамбургом", д. 315, лл. 14—15.

საკითხს პრუსიის მთავრობის წინაშე: კოსტიუშკოს შეპყრობის შემთხვევაში იგი გადაეცეს რუსეთის მთავრობას დასასჯელად, როგორც ფიცის გამტეხი[1]. ამაზე ადრე, 1798 წლის ივლისში, მაშინვე, როგორც კი ცნობა გავრცელდა კოსტიუშკოს ამერიკიდან პარიზში დაბრუნების შესახებ, მიღებულ იქნა დამატებითი ზომები პოლონური ოლქების საზღვრების დაცვის გასაძლიერებლად[2].

გარდა კოსტიუშკოსი, ნ. პანინის, მურავიოვ-აპოსტოლის და სხვა რუს დიპლომატთა მასალებში დასახელებულია ბევრი სხვა ფრანგი და საფრანგეთის სამსახურში მყოფი პოლონელი, რომელთაც ისინი მიაწერენ აქტიურ საქმიანობას პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენის სასარგებლოდ. მათი ცნობებით, ზოგი მათგანი ჰამბურგიდან ეწეოდა ძირგამომთხრელ მუშაობას რუსეთის წინააღმდეგ. ზოგიც გერმანიის სხვა სახელმწიფოებში, პრუსიაში და იტალიაში „მოღვაწეობდა". ორიოდ მათგანზე ისინი პირდაპირ წერენ: პარიზიდან გაემგზავრნენ ფარულად, სხვისი სახელით და ყალბი პასპორტებით, განზრახული აქვთ რუსეთის საზღვრებში შეღწევა და ა. შ. შეიძლება დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი— პარსევალი, პარანდიე, ჟაკინსკი, პოლენსკი, მარიფი, ბრიუნელი, ვეისი, რუპერტი, ნოკიცვიცი, ნებელსი, ლობოვიჩი, ოტო უმცროსი, ლებრენი, დოფური, როდო, მაიერფალი, ტისენჰაუსი, ფერგიუსტინი, ჰიპენჰაიმი და სხვები[3]. გამაღიზიანებელ, რუსეთის ცარიზმის მესვეურთა ნერვებზე მოქმედ დემონსტრაციულ აქტებს იქით მათი „მოღვაწეობა" არ წასულა. მათ, ალბათ, ვერ შესძლეს თავიანთი გულის ნადების რეალიზაცია და რუსეთის ცარიზმისათვის რაიმე ზიანის მიყენება. ყოველ შემთხვევაში, სათანადო წყაროები მათგან პოლონურ ოლქებში რაიმე სერიოზული მღელვარების გამოწვევის შესახებ არაფერს ამბობენ.

---

[1] „Материалы"..., ტ. 3, გვ. 457.

[2] იხ. „Копия с секретного предписания генерал-фельдмаршала князя Репнина Литовскому губернатору Булгакову, генералу Кологривову и генералу Гудовичу от 14/25 июля 1798 г". Архив ВПР, ф. „Сношения России с Пруссией", д. 26, лл. 69—72.

[3] გარდა ნ. პანინის ზეპოხსენებული რელაციებისა, აღნიშნული პირების შესახებ ცნობებს იძლევა მურავიოვ-აპოსტოლის ზოგიერთი რელაციაც. იხ. Архив ВПР, ф. „Сношения России с Гамбургом". д. 315, реляция Муравьева Павлу от 8/19 апреля, д. 329, лл. 64—63; реляция Муравьева Павлу от 3/14 января 1800 г., лл. 1—2, „Русский Архив", 1912, № 11, донесения Павлу I... Муравьева-Апостола, полученное 28 января 1800 г., вв. 382—383 და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნულით არ ამოიწურებოდა საფრანგეთის რესპუბლიკის მესვეურთა და აგენტთა მტრული საქმიანობა რუსეთის წინააღმდეგ „პოლონეთის საკითხში“. საფრანგეთის მთელი რიგი ცნობილი სამოქალაქო და სამხედრო მოღვაწე საჯაროდ გმობდა პოლონეთის დაყოფის აქტს, თავს ესხმოდა ამისათვის რუსეთის ცარიზმს და პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენის მომხრედ აცხადებდა თავს. ზოგი ამასაც არ სჯერდებოდა და პოლონელ ემიგრანტებს მოუწოდებდა დაბრუნებულიყვნენ პოლონეთში და დასმარებასაც ჰპირდებოდა მათ სამშობლოს დამოუკიდებელობის აღდგენის საქმეში.

ნაპოლეონ ბონაპარტის ადიუტანტი იოსებ სულკოვსკი გადმოსცემს, რომ ნაპოლეონ ბონააარტს იტალიის კამაანიის დროს უთქვამს მისთვის: „მისწერე შენს თანამებრძოლებს, რომ მე მიყვარს პოლონელები და დიდად პატივს ვცემ მათ; რომ პოლონეთის დაყოფა წარმოადგენს უკანონობის აქტს, რომლის დაცვა არ შეიძლება; რომ დავამთავრებ თუ არა ომს იტალიაში, მე თვით დავიბერები ფრანგთა სათავეში, რათა ვაიძულო რუსეთი აღადგინოს პოლონეთი...“[1].

ნაპოლეონის ეს განცხადება (თუ საერთოდ გააკეთა მან ასეთი განცხადება) და მსგავსი სხვა დაპირებები პოლონელთა მიმართ, დეკორატიული, პირფერული და გაუნაღდებელი დარჩა. ამდენად იგი ნაკლებ ყურადღებას იჩსახურებდა რუსეთის ცარიზმის მესვეურთა მხრივ. მაგრამ საფრანგეთის დირექტორია, როგორც უკვე აღნიშნული იყო, მარტო სიტყვიერი აქტებით როდი კმაყოფილდებოდა. სიტყვიდან იგი ცალკეულ შემთხვევაში საქმეზე გადადიოდა და პრაქტიკულად რუსეთის საწინააღმდეგო ნაბიჯებს დგამდა პოლონელთა სამართლიანი ბრძოლის წასაქეზებლად. სწორედ ასეთი ნაბიჯები იყო უფრო საშიში და გამაღიზიანებელი რუსეთის ცარიზმისათვის. მრავალრიცხოვან პოლონელ ემიგრანტთათვის თავშესაფრის მიცემა, მათი ნაწილის სამსახურში მოწყობა, მათ შესანახად გარკვეული სახსრების გაღება, სააგენტურო ქსელში მათი გამოყენება—ახტირუსული საქმიანობის სფეროს მიეკუთვნებოდა. პოლონელ ემიგრანტთა საფრანგეთის მომქმედ ჯარში მიღება და მათგან პოლონური ნაწილების შექმნა, თუმცა იგი პოლონელ ემიგრანტთა ცოცხალი ძალის „საზარბაზნე ხორცად“ გამოყენება იყო, მაინც რუსეთის საწინააღმდეგო აქტს წარმოადგენდა.

---

[1] К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 330.

1797 წლის დასაწყისიდან იტალიაში, სადაც საფრანგეთის არმია ნაპოლეონის სარდლობით 1796 წლიდან ილევამოსილ ოპერაციებს ეწყოდა. საფუძველი ჩაეყარა პირველ პოლონურ ლეგიონს, რომელიც თავდაპირველად მოითვლიდა 2.000 მებრძოლს. იგი დაკომპლექტებული იყო რუსეთის, ავსტრიის და პრუსიის პოლონური ოლქებიდან გამოქცეული ემიგრანტებით, ძირითადად პოლონეთის ყოფილი არმიის კონფედერატებით. აღნიშნულ პოლონურ ლეგიონს, როგორც საფრანგეთის არმიის ნაციონალურ ავტონომიურ ერთეულს, რომელსაც პოლონური ნაციონალური ფორმა ეცვა, მომავალი დამოუკიდებელი პოლონეთის ნაციონალური არმიის ბირთვის როლი უნდა შეესრულებინა. მისი ჩამომყალიბებელი და მეთაური იყო კოსტიუშკოს თანამებრძოლი პოლონელი ოფიცერი ჰენრიხ დომბროვსკი (შემდეგში საფრანგეთის არმიის გენერალი)[1].

1798 წლისათვის პოლონური ლეგიონის პირადი შემადგენლობა, მიუხედავად იმისა, რომ მან სამარ ოპერაციებში სერიოზული ზარალი განიცადა, გადიდდა პოლონელ ემიგრანტთა ათალი ნაკადის ხარჯზე 7000 კაცამდე. იგი გაიყო და ერთის ნაცვლად მისგან ორი ლეგიონი შეიქმნა[2]. პოლონელ ემიგრანტთა უმოავლესობისათვის საფრანგეთის არმიის რიგებში ბრძოლა ათსებობის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა. ამან და რამდენადმე იმ გაურკვეველმა იმედმა, რომ პოლონური ნაწილები შეიძლება გამოყენებულიყო პოლონეთის დამოუკიდებლობის აღსადგენად, განაპირობა პოლონელ ემიგრანტთა მასობრივი ლტოლვა პოლონურ სამხედრო ნაწილებში[3]. საფრანგეთის არმიაში მებრძოლმა პოლონელებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს იტალიის კაბპანიის წარმატების საქმეში. რამდენიმე ათასი პოლონელი ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა საფრანგეთის დირექტორიის აგრესიული გეგმის რეალიზაციას იტალიაში და თვით გერმანიაშიც. მათ სხვა, მათი ინტერესებისათვის უცხო საქმისათვის დაღვარეს სისხლი, სხვისი დაპყრობის იარაღი გაიდნენ, საკუთარი ქვეყნის დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენის საქმე კი ამით ოდნავადაც კი ვერ წასწიეს წინ.

---

[1] К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 331.

[2] იქვე, გვ. 332.

[3] პოლონური ლეგიონის ფორმიერებას იტ ლიაში ს. ვორონცოვი უკაკშირებს პოლონეთში რევოლუციის მოზყობის ფრანგულ გეგმას. იტალიაში ნაპოლეონ ბონაპარტი პოლონელ ჯარისკაცებს პოლონეთში რევოლუციის მოხდენის იმედს აძლევდაო,—ეწერა იგი. ს. ვ ორ ონ ცოვ ის ბოი, გამოთქმული ნაპოლეონისა და მისი ექსპედიციის შესახებ ეგვიპტეში 1798 წლის უთარიღო წერილში, Архив князя Воронцова, ტ. II, გვ. 318—319.

ბ. ჰამბურგის საკითხი

გერმანიის თავისუფალი ქალაქი ჰამბურგი რუსეთის და საფრანგეთის პერიოდული შეხლა-შემოხლის ობიექტი იყო დირექტორიის მმართველობის პერიოდში (კერძოდ კი 1798—1799 წლებში).

ჰამბურგი იმ დროისათვის წარმოადგენდა კონტინენტური ევროპის ისეთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სავაჭრო-ეკონომიურ ცენტრს, სადაც ადგილი ჰქონდა ორი სოციალური სამყაროს—ფეოდალურ-მონარქიული ევროპისა და ბურჟუაზიული საზოგადოების შენების გზაზე დამდგარი საფრანგეთის—შეხებას და დაჯახებას. ჰამბურგის ამბები წარმოადგენდა იმ ბრძოლის ერთგვარ მინიატურულ გამოხატულებას, როელიც ამ ორ სამყაროს შორის იყო გაშლილი. საფრანგეთი. ერთის მხრივ, და ანტიფრანგული ბანაკი, კერძოდ რუსეთი, მეორეს მხრივ, აქტიურად იბრძოდნენ ჰამბურგზე გავლენისა და იქ ფეიის მოკიდებისათვის. განსაკუთრებით დაძენებით მიისწრაფოდა ამ მიზნისაკენ საფრანგეთის რესპუბლიკა. მას სურდა ეს დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური, პოლიტიკური და სტრატეგიული ბაზა გამოეყენებინა პრუსიაზე და მთელ ჩრდილო გერმანიაზე გავლენის გასაძლიერებლად ინგლისის საჭლეაო ბლოკადის შედეგების შესასუსტებლად, სააგენტურო საქმიანობის გასაფართოებლად, რუსეთისათვის მეტი ზიანის მისაყენებლად და სხვ.

რუსეთისა და საფრანგეთის დაჯახებას ჰამბურგის ნიადაგზე, რომელიც პოლონეთის საკითხთანაც იყო დაკავშირებული, ძირითადად ეკონომიური და პოლიტიკური სარჩული ჰქონდა.

რუსეთ-საფრანგეთის შეხლა-შემოხლა ჰამბურგის ნიადაგზე გარეგნულად ვლინდებოდა რუსეთ-ჰამბურგის პერიოდული კონფლიქტის სახით. ჩვენს ხელთ არსებული მასალებით ასეთი კონფლიქტები უფრო მწვავე ხასიათს ატარებდა 1798—1799 წლებში.

რაში მდგომარეობდა ჰამბურგის ნიადაგზე აღმოცენებული დაჯახების ეკონომიური სარჩული?

ჰამბურგი ნეიტრალური ქალაქი იყო, რომელიც ევროპულ ომში არ მონაწილეობდა. სარგებლობდა რა ნეიტრალური მდგომარეობით, ჰამბურგი ნორმალურ სავაჭრო ურთიერთობას ეწეოდა საფრანგეთთანაც და მის მოწინააღმდეგეებთანაც, კერძოდ რუსეთთან. ჰამბურგი დიდი ნავსადგური იყო, რომელსაც ბევრი სავაჭრო ხომალდი ჰქონდა. მისი კეთილდღეობა ძირითადად ამ გემების ექსპლოატაციასთან და საშუამავლო ვაჭრობასთან იყო დაკავშირებული. ბევრი სავაჭრო ფლოტი მეზობელი ქვეყნების, მათ შორის რუსეთის და საფრანგეთის საქონლის გადაზიდვასაც კი აწარმოებდა. ასეთი

საქმიანობა მას ომის წლებშიც არ შეუწყვეტია. ჰამბურგის საავაჭრო გემებს გადაჰქონდათ პრუსიის, რუსეთის, გერმანიის წერილი სახელმწიფოებისა და საფრანგეთის საქონელი.

ჰამბურგის საავაჭრო გემებს საფრანგეთში შეჰქონდათ არა მარტო გერმანული საქონელი, არამედ ხშირად რუსეთის ნედლეულიც, რომელიც ან მათ მიერ ან პრუსიელების მიერ იყო შესყიდული რუსეთში. ასევე ხდებოდა საფრანგეთის ნაწარმის გაზიდვა ჰამბურგელი ვაჭრების მიერ არა თუ ნეიტრალურ ქვეყნებში, თვით საფრანგეთისადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოებშიც კი. ჰამბურგის როლი მარტო საზღვაო ვაჭრობა-გადაზიდვით როდი ამოიწურებოდა. იგი წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას ბაზარს ევროპული საქონლის მიმოქცევისათვის სახმელეთო გზით.

საფრანგეთის დირექტორია ყოველმხრივ დაინტერესებული იყო ჰამბურგთან ასეთი ურთიერთობის შენარჩუნებით და გაფართოებით. ჰამბურგი გარესამყაროსთან საფრანგეთის ეკონომიური კავშირ-ურთიერთობის ერთ-ერთი გზა და საშუალება იყო.

რუსეთის ცარიზმი, რომელმაც 1793 წლიდან გაწყვიტა საფრანგეთთან საერთოდ ყოველგვარი და, კერძოდ, საავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა. საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართული ეკონომიური ბლოკადის მონაწილე იყო. ამიტომ იგი ვერ ურიგდებოდა ჰამბურგის ვაჭრობას საფრანგეთთან, ცდილობდა ხელი შეეშალა მისთვის და ამ მიზნის მისაღწევად სათანადო რეპრესიული ზომებიც კი მიიღო ჰამბურგის მიმართ. ასეთ რეპრესიულ ზომებს ეკუთვნოდა რუსეთის ნავსადგურებში მყოფი ჰამბურგის გემების შეპყრობა, მათი საქონლის კონფისკაცია და სხვ. ჰამბურგის „ურჩობის" დასაძლევად პავლე I-მა ამ ქალაქის ოკუპაციაც კი განიზრახა თუმცა ეს განზრახვა პრუსიისა და ინგლისის წინააღმდეგობის გამო სისრულეში ვერ მოიყვანა.

გარეგნულად, წყაროების მიხედვით, უფრო რელიეფურად არის გამოვლენილი ჰამბურგის ნიადაგზე რუსეთ-საფრანგეთს შორის არსებული დაჯახების პოლიტიკური საფუძველი.

ჰამბურგს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა საფრანგეთთან. ამ გარემოებით სარგებლობდა საფრანგეთი და ყოველმხრივ იყენებდა მას როგორც თავისი გავლენის გასაძლიერებლად გერმანიაში, ისე ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის პრუსიისა და რუსეთის წინააღმდეგ. ჰამბურგი მრავალრიცხოვან ფრანგ აგენტთა შეკრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. აქედან მათ გაბმული ჰქონდათ ჯაშუშური ქსელი ცენტრალურ და

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. იმ საქმიანობის დიდი ნაწილი, რომელიც პოლონელ ემიგრანტთა მეშვეობით წარმოებდა, რუსეთის, პრუსიის და ავსტრიის პოლონურ ოლქებში წყლის ასამღვრევად, აგრეთვე ჰამბურგის, როგორც შუალედი ბაზის მეშვეობით პორციელდებოდა. დასასრულ, ჰამბურგის, როგორც ნეიტრალური ქალაქის ტერიტორიაზე თავს აფარებდა ბევრი დევნილი რევოლუციონერი თუ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლნი (პოლონელი ემიგრანტები, ირლანდიელი „ინსურგენტები“ და სხვ.), რომლებიც ეწეოდნენ აგიტაციას საკუთარი სამშობლოს დამოუკიდებლობის საჯარგებლოდ. აარსებდნენ იქ თავიანთ ორგანიზაციებს, „იაკობინელთა“ კლუბებს და ა. შ. ჰამბურგის მმართველობა ხელს არ უშლიდა აღნიშნულ საქმიანობას და მფარველობდა ემიგრანტებს პოლონეთიდან, ირლანდიიდან და გერმანიიდან. ჰამბურგის მესვეურთა წაყრუება „იაკობინური“ საქმიანობისადმი, პირველ ყოვლისა, აიხსნება საფრანგეთისადმი შიშით. ჰამბურგში შიშობდნენ: საფრანგეთის ძირგამომთხრელი საქმიანობის აკრძალვის შემთხვევაში საფრანგეთი რეპრესიულ ღონისძიებას განაბორციელებს და ქალაქის ოკუპაციას მოახდენსო. გარდა შიშის გრძნობისა, ჰამბურგის მესვეურებს საფრანგეთთან არსებული ეკონომიური და დიპლომატიურ-კულტურული ურთიერთობის შენარჩუნების მოსაზრებებიც ამოქმედებდა.

რუსეთის ცარიზმი დირექტორიის აგენტების და „იაკობინელთა“ პარპაშისათვის ჰამბურგის ტერიტორიაზე, თვით ჰამბურგის მმართველობას დებდა ბრალს. მისი აზრით, ქალაქის მმართველობა „იაკობინელთა“ და მათი ძირგამომთხრელი საქმიანობის მიმართ წაყრუებისა და წაქეზების ტაქტიკას ადგა.

რუსეთის ინტერესებისათვის ჰამბურგში შექმნილი საშიში მდგომარეობის გამო პავლეს 1798 წლის მეორე ნახევრიდან მიწერ-მოწერა ჰქონდა ნ. პანინთან, მურავიოვ-აპოსტოლთან, ს. ვორონკოვთან და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებთან. რუსეთის იმპერატორი მოითხოვდა ფრანგთა „დამღუპველი“ გავლენისაგან ჰამბურგის განსათავისუფლებლად, იქ არსებული „იაკობინური ბუდის“ მოსასპობად ინგლისთან და პრუსიასთან ერთად ერთობლივი ღონისძიების მიღებას.

პრუსიამ და ინგლისმა მხარი არ დაუჭირეს რუსეთის წინადადებას და თავი შეიკავეს ჰამბურგის წინააღმდეგ რეპრესიული ზომების მიღებისაგან. პრუსიამ საჭიროდ არ ჩათვალა ასეთი ნაბიჯის გადადგმა იმისათვის, რომ თვით ნეიტრალიტეტის მომბრე იყო, თანაც საფრანგეთის გაბოროტებას ერიდებოდა, რადგან ეშინო-

და მისი საპასუხო აქტის. რაც შეეხება ინგლისს, მას ფართო საავაჭრო-სანაოსნო ურთიერთობა ჰქონდა ამ ქალაქთან, რასაც სერიოზული დაბრკოლება შეექმნებოდა, თუ ქალაქი ოკუპაციის ობიექტი გახდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისმა და პრუსიამ მხარი არ დაუჭირეს რუსეთის მთავრობას და თავი შეიკავეს ჰამბურგის მიმართ კოლექტიური აქციისაგან. პავლემ მაინც გადადგა სეპარატული ნაბიჯი და საჭიროდ ჩათვალა ჰამბურგისათვის „ჭკუის სწავლება". ეს მოხდა 1799 წელს, როდესაც ანტიფრანგული კოალიცია უკვე გაფორმებული იყო და რუსეთ-საფრანგეთს შორის ომი მიმდინარეობდა. მაგრამ მაშინაც კი ამ სეპარატულმა ნაბიჯმა გამოიწვია რუსეთის მოკავშირე ინგლისის აშკარა უკმაყოფილება და „ნეიტრალური" პრუსიის გაუბედავი პროტესტი[1].

---

[1] რუსეთ-ჰამბურგის ურთიერთობას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს პასუხს სცემენ შემდეგი მასალები: ჰამბურგში რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლის მურავიოვის 1799 წლის 17/28 მარტის რელაცია პავლე I-სადმი, Архив ВПР, ф. „Сношения России с Гамбургом", д. 316, лл. 13—14; მისივე 1799 წლის 29 ივნისის(10 ივლისის) რელაცია პავლესადმი, იქვე, д. 316, л. 42; მისივე 1799 წლის 5/16 აგვისტოს რელაცია.... იქვე, д. 315, лл, 28—31. ს. ვორონცოვის 1799 წლის 22 აპრილის (3 მაისის) რელაცია.... ЦГАДА, ф Панинных, д. 327, лл. 88—90; პავლეს 1799 წლის 26 აპრილის რესკრიპტი მურავიოვისადმი, Архив князя Воронцова. ტ. 11, გვ. 279; პავლეს 1799 წლის 28 თებერვლის რესკრიპტი ნ. პანინისადმი, Архив ВПР, ф. „Сношения России с Пруссией", д. 536, лл. 5—6; პავლეს 1799 წლის 21 მარტის ბრძანებულება საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი. Архив князя Воронцова. ტ. 11, გვ. 277, 279 და სხვ.

თ ა ვ ი VI

რუსეთის მიერ საფრანგეთის წინააღმდეგ ომისათვის სამხედრო-დიპლომატიური მზადების დასრულება. მეორე ანტიფრანგული კოალიციის შექმნა

1. რუსეთის და საფრანგეთის დიპლომატიის ბრძოლა პრუსიისათვის

1798 წლის დასაწყისისათვის, როგორც უკვე აღნიშნული იყო, რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების პერიოდი დამთავრდა და მათ შორის ომის რეალური საფრთხე შეიქმნა. შეცვლილი ვითარების შესატყვისად შეიცვალა მათი საგარეო-პოლიტიკური კურსი და მათ დიპლომატიურ საქმიანობას ახალი მიმართულება მიეცა. მომავალი ომისათვის მოკავშირეების შეძენა და თავიანთ მიმართ ე. წ. ნეიტრალურ სახელმწიფოთა კეთილი განწყობილების მოპოვება რუსეთის და საფრანგეთის რესპუბლიკის დიპლომატიის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი საგანი გახდა. განსაკუთრებით სერიოზული მნიშვნელობა აღნიშნული სახელმწიფოთათვის პრუსიის პოზიციას ჰქონდა. შეინარჩუნებდა იგი „იძულებით" ნეიტრალიტეტს, თუ ერთ-ერთ ხხარეს დაუკავშირდებოდა ომის შემთხვევაში, ამაზე დიდად იქნებოდა დამოკიდებული მომავალი ომის შედეგები. ამიტომ იყო, რომ 1798 წლის გაზაფხულიდან ახალი ძალით გაიშალა რუსეთისა და საფრანგეთის დიპლომატიური საქმიანობა ბერლინში. რუსეთის დიპლომატია ცდილობდა პრუსიის ჩამოშორებას საფრანგეთის გავლენისაგან, მის გადაბირებას თავის მხარეზე და ანტიფრანგულ კოალიციაში ჩაბმას. მეფის რუსეთი, ამასთან ერთად, წინანდებურად ცდილობდა მომავალშიც შეენარჩუნებინა არბიტრის როლი ავსტრია-პრუსიის ურთიერთობაში და ისინი თავისი პოლიტიკის იარაღად ექცია. საფრანგეთის რესპუბლიკის დირექტორია.

თავის მხრივ, შუქარით, დაყვავებით, ტერიტორიული გაფართოების დაპირებებით ლამობდა გამოეყვანა პრუსია ნეიტრალიტეტის მდგომარეობიდან და იგი რუსეთის, ავსტრიისა და ინგლისის წინააღმდეგ აემხედრებინა. თუ ეს ამოცანა მიუღწეველი იქნებოდა, მაშინ საფრანგეთი თანახმა იყო ძალაში დარჩენილიყო საფრანგეთ-პრუსიის არსებული ურთიერთობა.

ა. რეპნინის მისია ბერლინში

პრუსიის მიმართ დასახული მიზნის მისაღწევად მეფის რუსეთი არ დაკმაყოფილდა ჩვეულებრივი დიპლომატიური გზით და საჭიროდ მიიჩნია საგანგებო რწმუნებით აღჭურვილი დიპლომატის მივლინება ბერლინში. პეტერბურგის სამეფო კარმა ასეთი მისია ხელმეორედ ფელდმარშალ თავად რეპნინს დააკისრა. რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელ გრაფ ნ. პ. პანინს კი ამ დიპლომატიურ საქმიანობაში რეპნინის თანაშემწის როლი უნდა შეესრულებინა. ამ დამატებითი დავალების შესახებ პანინმა მიიღო პავლე I-ის სპეციალური რესკრიპტი 1798 წლის 8 აპრილის თარიღით [1].

ბერლინში გამგზავრების წინ თავადი რეპნინი იმპერატორმა პავლე I-მა აღჭურვა ინსტრუქციით, რომელშიც ვრცლად იყო გადმოცემული მეფის რუსეთის მთავრობის თვალსაზრისი ევროპის პრობლემებზე, კერძოდ, მოლაპარაკების საგნად ქცეულ საკითხებზე. ეს ინსტრუქცია რუსეთის მაშინდელი საგარეო პოლიტიკის raison d'être-ს წარმოადგენს [2].

ეხებოდა რა კამპო-ფორმიოს ზავის პირობებს, ინსტრუქციაში აღნიშნული იყო, რომ საფრანგეთთან წარუმატებელი ომის შედეგად ავსტრიამ დაჰკარგა ნიდერლანდები, ლომბარდია და თვით გერმანიის მიწების ნაწილიც. სანაცვლოდ მიიღო ვენეციის ოლქის დიდი ნაწილი (საიდუმლო მუხლით), ზალცბურგის საეპისკოპოსო

---

[1] Архив князя Воронцова, ტ. 11, გვ. 260. აღნიშნულ საქმიანობას მანამდეც ეწეოდა გრაფი ნ. პ. პანინი. იგი დარწმუნებული იყო, რომ დამსახურებას დაუფასებდნენ და მოლაპარაკების გაგრძელების საქმესაც მას დააკისრებდნენ. მით უფრო, რომ, მისივე თქმით, პრუსიის მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმ III-ს და ჰაუგვიცს სწორედ იგი მიაჩნდათ ამ მხრივ სასურველ პირად (ამის შესახებ იხ. ნ. პ. პანინის წერილი ს. რ. ვორონცოვისადმი, დათარიღებული 1799 წლის 19 აპრილით, Архив князя Воронцова, ტ. II. გვ. 73—74).

[2] Архив ВПР, ф. „Сношения России с Пруссией", 1798, д. 524, лл. 1—13; Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 67—71.

და ბავარიის ნაწილი; ზავის საიდუმლო მუხლი აგრეთვე ითვალისწინებდა კომპენსაციას იმ გერმანელ მთავრებისათვის, რომლებმაც რაინის მარცხენა ნაპირზე დაჰკარგეს სამფლობელოები. ინსტრუქცია აშკარად გმობდა გერმანიის მთლიანობის დამრღვევ აღნიშნულ ზავს და კიცხავდა ავსტრიას მასზე ხელმოწერისათვის და მის ასეთ საქციელს უწოდებდა ვერაგულს და არამეგობრულს რუსეთის მიმართ. ინსტრუქციაში აღნიშნული იყო ვენის და ბერლინის მთავრობათა ტერიტორიული პრეტენზიების სამართლიანობა. მაგრამ გამოთქმული იყო იმედი, რომ ეს სახელმწიფოები თავიანთ მოთხოვნებში იქნებოდნენ შედარებით ნაკლებ გაუმაძღარნი, გამოიჩენდნენ მეტ ზომიერებას და, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, თავს აარიდებდნენ დიდ ცვლილებებს[1].

როგორც ინსტრუქციიდან ჩანს, პეტერბურგის სამეფო კარი თანახმა იყო ავსტრიის და პრუსიის პრეტენზიები დაეკმაყოფილებინა სასულიერო მთავართა მამულების სეკულარიზაციის ხარჯზე (ამ მამულების ყოფილ მფლობელთათვის ფულადი ანაზღაურების მიცემის პირობით), მაგრამ მას არ სურდა ამ სახელმწიფოებს ხელი ებლოთ ბავარიისათვის. რუსეთის მთავრობა აგრეთვე თანახმა იყო ავსტრიისა და პრუსიის ტერიტორიული პრეტენზიები დაეკმაყოფილებინა გერმანიის თავისუფალი ქალაქების ხარჯზე (ჰანზის ქალაქების გამოკლებით). ინსტრუქციაში საგანგებო ყურადღების საგნად იყო ქცეული ვიურტემბურგის და პრინც ორანელის სამთავროები. რეპნინს მითითება ეძლეოდა მოლაპარაკების პროცესში ყოველმხრივ დაეცვა მათი ინტერესები, უზრუნველეყო ამ სამფლობელოთა მთლიანობა, მათ შინაგან საქმეებში ჩაურევლობა და მიეღწია მათი ტერიტორიული გაფართოებისათვის.

ინსტრუქციაში მკაფიოდ იყო ხაზგასმული ის ორმაგი მისია, რაც თავად რეპნინს დაკისრებული ჰქონდა ბერლინში მივლინების დროს— პრუსია-ავსტრიის ინტერესთა მორიგებისა და მათ შორის მომრიგებლის ფუნქციის როლში გამოსვლასთან ერთად თავად რეპნინს ევალებოდა ხელი შეეწყო ახალი ანტიფრანგული კოალიციის შექმნისათვის და ჩაება მასში ავსტრიასთან ერთად პრუსიაც. ინსტრუქციაში ვამოთქმული იყო რწმენა, რომ, თუ ბერლინის მოლაპარაკება წარმატებით დასრულდებოდა და პრუსია და ავსტრია საფრანგეთის წინააღმდეგ საერთო ენას გამონახავდნენ, მაშინ ახალ კოალიციას შეუერთდებოდნენ დანია და შვეცია, რითაც

---

[1] იხ. Архив ВПР, ф. „Сношения России с Пруссией", д. 524, лл. 3—4; Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 68.

შეიქმნებოდა ძლიერი ანტიფრანგული კოალიცია. რეპნინს რწმუნება ეძლეოდა მომავალი კოალიციის შექმნის თაობაზე მოლაპარაკება გაემართა პრუსიის, ავსტრიისა და ინგლისის მთავრობათა დიპლომატებთან. ინსტრუქციაში კონკრეტულად ფიქსირებული იყო მომავალი ანტიფრანგული კოალიციის ხელშეკრულების საიდუმლო მუხლები, რომლებიც ითვალისწინებდნენ: გამაფრთხილებელ ზომებს საფრანგეთის ხელისუფალთა ძირგამომთხრელი საქმიანობის წინააღმდეგ, გერმანიის, კერძოდ, მისი ჩრდილო ნაწილის ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფასა და ბალტიის ზღვაში იმ ქვეყნების სამხედრო ფლოტის დაუშვებლობას, რომლებსაც იქ არ გააჩნდათ სამფლობელოები და საკუთარ ბაზები.

რუსეთის მთავრობის აზრით, ევროპის ანტიფრანგული სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნის თაობაზე ბერლინში წარმოებული მოლაპარაკება თითქოს ხელოლოდ თავდაცვით-გამაფრთხილებელ ხასიათს ატარებდა და მიმართული არ იყო საფრანგეთის წინააღმდეგ [1].

ინსტრუქციის დასასრულს გამოთქმული იყო იმედი, რომ რეპნინი დაიცავდა რუსეთის ინტერესებს და წარმატებით შეასრულებდა დაკისრებულ მისიას [2].

ამ ინსტრუქციის დამატებას და შევსებას წარმოადგენდა იმპერატორ პავლე I-ის 1798 წლის 21 აპრილის რესკრიპტი იმავე რეპნინისადმი, რომელშიაც რუსეთის მთავრობა მას აუწყებდა: ბერლინში პანინის მეშვეობით უკვე ადგილი ჰქონდა პრუსიის მთავრობასთან საერთო შეთანხმების მიღწევის ცდას, მაგრამ იგი წარუმატებელი აღმოჩნდა პრუსიის მთავრობის უარყოფითი პოზიციის გამო. ამიტომ რეპნინს ევალებოდა არ. დაკმაყოფილებულიყო მარტო მინისტრებთან შეხვედრით, პირველი შესაძლებლობისთანავე თვით პრუსიის მეფე ენახა და მისთვის გაეცნო რუსეთის მთავრობის თვალსაზრისი.

21 აპრილის რესკრიპტში კიდევ ერთხელ ხაზგასმული იყო ფრანგთა აგრესიის სერიოზულობა: მათი ახალი შეტევის მოსალოდნელობა იტალიასა და გერმანიაში და, აქედან გამომდინარე, რეალური საფრთხე როგორც ავსტრიისათვის, ისე პრუსიის მთავრობისათვისაც. რესკრიპტი ავალებდა რუსეთის საგანგებო გზავნილს, კარგად გამოეყენებინა შექმნილი ვითარება და დაერწმუნებინა

---

[1] იხ. Архив ВПР, ф. „Сношения России с Пруссией", д. 524, л. 10; Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3. გვ. 70.

[2] Архив ВПР, ф. „Сношения России с Пруссией", д. 524, л. 11—13.

პრუსიის მეფე ამ საშიშროების სერიოზულობაში. ამის შედეგად რეპნინს უნდა შეეცვლევინებინა პრუსიის მეფისათვის თავისი ძველი პოზიცია და უზრუნველეყო მისი ჩაბმა ანტიფრანგულ „თავდაცვით კავშირში“. რუსეთის მთავრობა, თავის მხრივ, თანხმობას აცხადებდა ფარული მოლაპარაკება ეწარმოებინა პრუსიის მეფესთან თუ იგი ასეთ მოლაპარაკებას მოითხოვდა.

რესკრიპტში ისევ განმეორებული იყო აზრი მომავალი ხელშეკრულების თითქოს თავდაცვითი ხასიათის შესახებ[1].

ჩვენს მიერ ხაზგასმული იყო, რომ რუსეთის მთავრობის მთელი დიპლომატიური წამოწყება ბერლინში მთლიანად საფრანგეთის წინააღმდეგ იყო მიმართული და მის საწინააღმდეგო სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ორგანიზაციას ისახავდა მიზნად. რუსეთ-საფრანგეთის მშვიდობიანი მორიგების ყველა გზა რომ ამ დროს უკვე აფეთქებული იყო, ამაზე მიგვითითებს პავლე I-ის ერთ-ერთი რესკრიპტი (დათარიღებული 1798 წლის 4 ივნისით), რომლითაც იგი აფრთხილებდა რეპნინს—არავითარი ურთიერთობა არ ჰქონოდა საფრანგეთის წარმომადგენელთან ბერლინში და უკუეგდო პრუსიის მინისტრების შესაძლებელი „კეთილი სამსახურის“ წინადადება ამ მიმართულებით[2].

თავადი რეპნინი მრავალრიცხოვანი და ბრწყინვალე ამალის თანხლებით[3] 1798 წლის მაისის დასაწყისში ჩავიდა ბერლინში და პანინთან ერთად შეუდგა დაკისრებული მოკალეობის შესრულებას.

ბერლინის მოლაპარაკების დაწყების მომენტისათვის პრუსიის სამეფო ტახტი ეჭირა ფრიდრიხ-ვილჰელმ III-ს, ჰოჰენცოლერნთა დინასტიის ერთ-ერთ „ღირსეულ“ წარმომადგენელს, პრუსიელ სალდაფონს, რეაქციონერს, პირმოთნეს და ფუქსავატს. ენგელსმა ერთ-ერთ თავის ადრინდელ შრომაში—„მდგომარეობა გერმანიაში“,—მოგვცა ამ მეფის სრულყოფილი შეფასება.

„პრუსიას იმ დროს,—წერდა ენგელსი,—მართავდა ფრიდრიხ-ვილჰელმ III, „სამართლიანად“ წოდებული, ერთ-ერთი უდიდესი

---

[1] Архив ВПР, ф. „Сношения России с Пруссией“, д. 524, лл. 40—43.

[2] იქვე, ფ. 49.

[3] რეპნინის ბერლინში „ტრიუმფალური“ ჩასვლის შესახებ წერდა ფრანგი ისტორიკოსი ბარანტი. იხ. M. Barante, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 238. „Il fit une entrée presque triomphale dans la capitale de la Prusse“,—წერენ ამის შესახებ „Mémoires“-ის გამომცემლები, იხ. ტ. 6, გვ. 119. ასეთივე შეფასება ეძლევა რეპნინის ბერლინში ჩასვლას კაიარის 1798 წლის 11/22 მაისით დათარიღებულ დეპეშაში ტალეირანისადმი, იხ. „Материалы...,“ ტ. 3, ნაწ. 2, გვ. 118.

რეგვენი, რომელიც კი ოდესმე ტახტს ამკობდა. იგი დაბადებული იყო მხოლოდ იმისათვის, რომ ყოფილიყო კაპრალი და შეემოწმებინა წესრიგში ჰქონდათ თუ არა ჯარისკაცებს ღილები. გარყვნილი და იმავე დროს მორალის ქომაგი..... იგი იცნობდა ორ გრძნობას: შიშსა და კაპრალურ ქედმაღლობას"[1]. ამ მეფეს, როგორც ირონიულად შენიშნავს ა. სორელი, წინაპარმა ფრიდრიხ-ვილჰელმ II-ემ ანდერძად დაუტოვა ლოზუნგი ნეიტრალიტეტის შესახებ და ამ პოლიტიკის წარმომადგენელი სამინისტროში, ჰაუვიცი[2].

ასეთ მეფესთან და მის მთავრობასთან უნდა ეწარმოებინა მოლაპარაკება თავად რეპნინს. მას ეს მეფე უნდა დაერწმუნებინა: ხელი აეღო ნეიტრალიტეტის პოლიტიკაზე, მორიგებოდა ავსტრიას ყველა სადავო საკითხში, შესულიყო ანტიფრანგულ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში და იარაღი აღემართა საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

თავადმა რეპნინმა პირველივე აუდიენციის დროს ფრიდრიხ-ვილჰელმ III-თან კონკრეტულად დააყენა პრუსიის მიერ ნეიტრალიტეტზე ხელის აღებისა და რუსეთ-ავსტრია-ინგლისის „თავდაცვით" კავშირში შესვლის საკითხი. მაგრამ პრუსიის მეფის მოუქნელმა მანერებმა და დელფის მისნისებურმა პასუხმა ფრთა შეაკვეცა რუსეთის წარმომადგენლის ოპტიმისტურ იმედებს და გაუცრუვა მას დაკისრებული მისიის წარმატების იმედი.

რუსი დიპლომატი ფრიდრიხ-ვილჰელმ III-თან პირველმავე საუბარმა დაარწმუნა, რომ ამ მეფეზე მომავალში რაიმე იმედის დამყარება არ შეიძლებოდა, რომ მასთან შემდგომი მოლაპარაკების გაგრძელება დროის უბრალოდ დაკარგვა იქნებოდა. მან ამ მეფეში მაშინვე დაინახა მხდალი, უნებისყოფო, სახელმწიფოს მართვის უნარმოკლებული და ამავე დროს გულჩახვეული და შენიღბული პიროვნება, რომელსაც არ „აწყობდა" ნეიტრალიტეტის პოლიტიკაზე ხელის აღება[3].

პრუსიის მეფესთან შემდგომი მოლაპარაკების გაგრძელების უაზრობაში დარწმუნებამ თავადი რეპნინი აიძულა განეგრძო მოლაპარაკება პრუსიის მთავრობასთან, კერძოდ, „ყოვლისშემძლე"

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 5, гз. 12—13.

[2] А. Сорель, დასახ. ნაშრ., т. 5, гз. 270.

[3] იხ. რეპნინის რელაცია პავლესადმი, დათარიღებული 1798 წლის 14/25 მაისით. Архив ВПР, ф. „Сношения России с Пруссией", 1798, д. 526, лл. 1—6.

მინისტრ ჰაუგვიცთან. მაგრამ ჰაუგვიცთან რამდენიმე საუბარსაც არ შეუცვლია მდგომარეობა. ჰაუგვიციც, მეფის მსგავსად, სიტყვით ეთანხმებოდა რუსეთის მთავრობის მოსაზრებებს, აძაგებდა საფრანგეთის მმართველობას, ცნობდა მისი გაძლიერების რეალურ საფრთხეს, უბედურებად თვლიდა დირექტორიასთან საქმის დაჭერას, მაგრამ არსებითად იცავდა ტრადიციულ პოლიტიკას—დროის მოგების, დაყოვნების, მოვლენათა განვითარებისათვის თვალყურის დევნების პოლიტიკას [1].

თავის ფორმალურ უარს—აეღო ახალი ვალდებულება და შესულიყო რუსეთ-ავსტრიასთან კავშირში—პრუსიის მინისტრი იმით ასაბუთებდა, რომ ეს მობრუნება პრუსიის საგარეო პოლიტიკაში, მისი თქმით, საფრანგეთის რესპუბლიკას შეეძლო მუხანათურ აქტად მიეჩნია და ომი გამოეცხადებინა პრუსიისათვის.

პრუსიის რეაქციული ხროვა, რომელიც თავის დროზე, კ. მარქსის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ველურ ძაღლთა ხროვასავით" მიესია საფრანგეთს, საფრანგეთის რევოლუციური არმიის მიერ სასტიკად დამარცხებული, იძულებული გახდა ხელი აეღო ამ „საპატიო მისიაზე", გამოსულიყო კოალიციიდან და ნეიტრალიტეტის ნიღბით შემოსილიყო. პრუსიის რეაქციულ ხროვას დიდი სურვილი ჰქონდა ესარგებლა შექმნილი ვითარებით და მეზობლების ხარჯზე ახალ-ახალი ტერიტორიები მიეღო. მაგრამ იგი უძლური იყო დაეკმაყოფილებინა ეს თავისი მსუნაგი მადა, რის გამოც იძულებული გახდა თავი შეეკავებინა ასეთი „ცდუნებისაგან" და „ტრადიციული" ნეიტრალიტეტის თავგამოდებულ დამცველად გამოსულიყო. საფრანგეთსა და მის მოწინააღმდეგეებს შორის ომის პერსპექტივები ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული, ასეთ პირობებში კი ომში ჩაბმა მეტად სარისკო იყო პრუსიელი მილიტარისტებისათვის. ტერიტორიული გაფართოების ნაცვლად, ამას შეიძლება „საკუთარი ტყავის" გაძრობა მოჰყოლოდა შედეგად. პრუსიელი „რაინდები" მზად იყვნენ ეშიშვლათ ხმალი იმ შემთხვევაში, როდესაც გამოვლინდებოდა ერთ-ერთი მებრძოლი ბანაკის უდავო უპირატესობა, რაც მათი მტაცებლური ზრახვების განხორციელების ხელსაყრელ პირობებს შექმნიდა.

---

[1] „Он во всем в том со мной соглашался,—წერდა რეპნინი პავლეს ჰაუგვიცის შესახებ 1798 წლის 14/25 მაისით დათარიღებულ რელაციაში,—и с притворным омерзением говорил о французах, за несчастие себе почитая, что обстоятельства его принудили с ними дело иметь". Архив ВПР, ф. „Сношения России с Пруссией", д. 526, лл. 3—5.

წარუმატებელი იყო თავად რეპნინის თავდაპირველი ნაბიჯები სამედიაციო დარგშიც. სიტყვიერი განცხადების მიუხედავად, პრუსიის რეაქციულ მესვეურებს ოდნავი განზრახვაც კი არ ჰქონდათ შეეცვალათ თავიანთი პოლიტიკა გერმანიის იმპერიაში ბატონობისთვის მათი კონკურენტის, ავსტრიის მიმართ, შეეწყვიტათ მასთან დაუსრულებელი კინკლაობა ტერიტორიების ნიადაგზე და მეგობრობის ხელი გაეწოდებინათ მისთვის. დინასტიური და სხვა მოტივებით პირობადებული ღრმა ანტაგონიზმი სთიშავდა ერთმანეთისაგან ამ ორ გერმანულ სახელმწიფოს [1].

რუსეთის მთავრობა, რომელიც თავდაპირველად დიდ იმედებს ამყარებდა რეპნინის მისიაზე და ბერლინის კონფერენციიდან მოელოდა რუსეთის დიპლომატიის მიერ გათვალისწინებულ სასურველ შედეგებს, ნერვიულობამ და მოუთმენლობამ შეიპყრო. გაძლიერდა რუსეთის მესვეურთა სიტყვიერი თავდასხმები პრუსიის მთავრობის წევრებზე და თვით მეფეზე მათი ჯიუტი პოზიციის გამო [2].

მიუხედავად იმისა, რომ ბერლინის მოლაპარაკების პირველმა ეტაპმა უკვე წარმოშვა სამართლიანი ეჭვები მისი წარმატებითი შედეგებისადმი, რუსეთის სამეფო კარი იმედს მაინც არ ჰკარგავდა და დაჟინებით მოითხოვდა მის გაგრძელებას. რეპნინს და პანინს ახალ-ახალი მითითებები ეგზავნებოდათ პეტერბურგიდან, რომლებითაც მათ ევალებოდათ გაეძლიერებინათ ზემოქმედება პრუსიაზე და გარდატეხა მოეხდინათ მიმდინარე მოლაპარაკებაში. პეტერბურგში იმედი ჰქონდათ, რომ რაშტადტის კონგრესის საქმიანობის უპერსპექტივობა, ისევე როგორც საფრანგეთის აგრესიის შემდგომი გაფართოება, გამოაფხიზლებდა პრუსიის სამეფო კარს და მიიყ-

---

[1] მედიაციის თაობაზე გამართული პირველი კონფერენციის საქმიანობის შესახებ ცნობებს იძლევიან რეპნინი და პანინი ერთობლივ 1798 წლის 14/25 მაისით დათარიღებულ რელაციაში პავლესადმი. იხ. Архив ВПР, ф. „Сношения России с Пруссией", д. 545, лл. 1—4, „Материалы", т. 3, кн. II, сс. 104—107.

[2] ამ მხრივ საინტერესოა პავლეს 1798 წლის 16 ივნისის რესკრიპტი რეპნინისადმი. იხ. Архив ВПР, ф. „Сношения России с Пруссией", 1793, д. 524, л. 7) და 1798 წლის 13 ივლისის რესკრიპტი პანინისადმი, იქვე, д. 520, лл. 19—20. პეტერბურგის სამეფო კარის ეს განწყობილება კარგად არის გამოვლინებული პავლეს რესკრიპტებში, რომლებიც მან რეპნინს, პანინს და რაზუმოვსკის გაუგზავნა აღნიშნული მოლაპარაკების შესახებ. იხ. პავლეს 1798 წ. 13 ივლისის რესკრიპტი პანინისადმი, დასახ. არქივის მითითებულ ფონდში.

ვანდა ავსტრიასთან მორიგების აუცილებლობისა და ნეიტრალიტეტზე ხელის აღების მიზანშეწონილობის გადაწყვეტილებამდე [1].

პავლე I-ის მთავრობის მიერ გადადგმული ახალი ნაბიჯებისა და ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ახალი ცვლილებების მიუხედავად ბერლინის მოლაპარაკება მკვდარი წერტილიდან არ დაძრულა. რეპნინის მისია კრახით დამთავრდა, რუსეთის დიპლომატიის განზრახვა განუხორციელებელი დარჩა. პეტერბურგის სამეფო კარმა, დაინახა რა ბერლინის მოლაპარაკების შემდგომი გაგრძელების უაზრობა, სწორი გადაწყვეტილება მიიღო: მან თავის წარმომადგენლებს ბერლინში განკარგულება მისცა შეეწყვიტათ ეს უნაყოფო მოლაპარაკება [2].

კრახი განიცადა პავლე I-ის მთავრობის ცდამ: 1) გამოსულიყო არბიტრის როლში, მოერიგებინა პრუსია და ავსტრია და მით გაეძლიერებინა თავისი გავლენა როგორც ამ სახელმწიფოებზე, ისე მთელ გერმანიაზე; 2) ყოფილიყო გერმანიის იმპერიის მთლიანობისა და ხელუხლებლობის გარანტი, ჩაეშალა საფრანგეთისა და ავსტრიის ცდა გაფართოებულიყვნენ გერმანული სახელმწიფოების ხარჯზე და თან შეუძლებელი გაეხადა „მავნე რევოლუციური გავლენის" გავრცელება რაინის მარჯვენა ნაპირზე; 3) მიეღო იმის სრული გარანტია, რომ ჩრდილოეთ გერმანიაში უზრუნველყოფილიყო მშვიდობიანობა და ნეიტრალიტეტი, რასაც უნდა განემტკიცებინა რუსეთის პოლონური სამფლობელოების უშიშროება და აღეკვეთა საფრანგეთის ინტრიგები; 4) გამოეყვანა პრუსია ნეიტრალიტეტის პოზიციიდან, ჩაება იგი ანტიფრანგულ სამ-

---

[1] თვით მაშინაც კი, როცა ეს მოლაპარაკება ფაქტიურად ჩაიშალა, პანინი კვლავ ღებულობს პეტერბურგიდან ახალ მითითებას. რომლითაც მას ევალებოდა კვლავ ცდილიყო ზეგავლენა მოეხდინა ბერლინის მთავრობაზე და დაერწმუნებინა იგი რუსეთის დიპლომატიური ინიციატივის მიღების სასურველობაში.

[2] რეპნინმა ხუსტად შეასრულა თავისი მთავრობის მითითება მან ერთბელ კიდევ კატეგორიული ფორმით მოითხოვა მოლაპარაკების განახლება და შეთანხმების მიღწევა, მაგრამ როდესაც დაინახა ამ მორიგი ცდის სრული უშედეგობა, მან მოითხოვა უკანასკნელი გამოსათხოვარი აუდიენციია პრუსიის მეფესთან, უხალისოდ გამოეთხოვა მას და აგვისტოს შუა რიცხვებში დასტოვა ბერლინი. მან გეზი აიღო ვენისაკენ, სადაც რაზუმოვსკისთან ერთად რუსეთ-ავსტრიის ანტიფრანგული კავშირის შექმნის საქმე უნდა მოეგვარებინა. იხ. პავლეს 1798 წლის 13 იელისის, 20 ივლისის და 29 ივლისის ინსტრუქციები (რესკრიპტები) ნ. პ პანინისადმი. „Материалы..", ტ. 3. ნაწ. II. გვ. 175—176, 179—181. რეპნინის 1798 წლის 30 ივლისის (10 აგვისტოს) და 2/13 აგვისტოს რელაციები პავლესადმი. Архив ВПР, ф. „Сношения России с Пруссией", д. 526, лл. 11—14, 77—79.

ხედრო-პოლიტიკურ ბლოკში და გამოეყენებინა იგი (ავსტრიასთან ერთად) საფრანგეთის წინააღმდეგ ომში.

პრუსიის მთავრობის აღნიშნულმა პოზიციამ, რომელმაც განსაზღვრა ბერლინის მოლაპარაკების მარცხი, რუსეთის სამეფო კარი მიიყვანა მტკიცე გადაწყვეტილებამდე—გაეძლიერებინა საქმიანობა ანტიფრანგული კოალიციის შესაქმნელად ინგლისის და ავსტრიის მონაწილეობით.

მართალია, რეპნინმა ბერლინიდან წასვლის წინ რიხით განაცხადა, რომ რუსეთი იბრძოლებდა საფრანგეთის წინააღმდეგ პრუსიის გარეშე ან პრუსიასთან ომის შემთხვევაშიც კი [1], მაგრამ, ჩვენი აზრით, სინამდვილეში პავლე I-ის მთავრობას არ ჰქონდა განზრახვა უკიდურესად გაემწვავებინა ურთიერთობა პრუსიასთან და საქმე მასთან ომამდე მიეყვანა. საფრანგეთის წინააღმდეგ გარდუვალი ომის პერსპექტივის პირობებში პრუსიის ნეიტრალიტეტი (რაკი მასთან დაკავშირება არ მოხერხდა) შედარებით ნაკლები ბოროტება იყო, ვიდრე პრუსიის დაკავშირება საფრანგეთთან და მისი რუსეთის წინააღმდეგ ამხედრება. ამიტომ იყო, რომ პანინი-სადმი გაგზავნილ ინსტრუქციებში, კერძოდ 1798 წლის 13 ივლისის ინსტრუქციაში პავლე I აცნობებდა მას, რომ პრუსიასთან ურთიერთობის გაწყვეტა ჩვენს განზრახვას არ შეადგენსო [2].

საბჭოთა ავტორი ლანინი ბერლინის მოლაპარაკების ჩაშლას და პრუსიის მიერ ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას რუსეთის დიპლომატიის სერიოზულ მარცხად მიიჩნევს. მისი აზრით, პრუსიის მიერ თავისი „ნეიტრალიტეტის" დაცვამ დიდი როლი შეასრულა მეორე ანტიფრანგული კოალიციის და პავლეს შემდეგდროინდელ საგარეო პოლიტიკის მარცხის საქმეში [3].

ლანინის მოტანილ შეხედულებას ჩვენ სავსებით ვერ გავიზიარებთ. ბერლინის მოლაპარაკების ჩაშლა, მართალია, რუსეთის ცარიზმის დიპლომატიის უდავო მარცხი იყო, მაგრამ არც ისეთი დიდი შედეგების მქონე, როგორც ფიქრობს ეს ავტორი. პრუსიის მთავრობის მიერ „ნეიტრალიტეტის" პოზიციის დაცვას არ შეეძლო მოეხდინა დიდი გავლენა მეორე ანტიფრანგული კოალიციის შედეგებზე და განეპირობებინა რუსეთის მთავრობის მორიგი

---

[1] К. Валишевский, დასახ. ნაშრ. გვ. 334.

[2] Архив ВПР ... ф. „Сношении России с Пруссией", д. 520, лл. 19—20; „Материалы...", ტ. 3, ნაწ. II, გვ. 175—176.

[3] „В неудачах кампании 1799 года,—წერს იგი,—и внешней политики Павла вообще—отказ Пруссии нарушить свой „нейтралитет" сыграл, безусловно, большую роль". Р. Ланин, დასახ. წერილი გვ. 25.

საგარეო პოლიტიკური კურსის კრახი. მეორე ანტიფრანგული კოალიციის 1799 წლის კამპანიის წარუმატებლობა და იმ ამოცანების გადაუწყვეტლობა, რომელიც დასახული ჰქონდა რუსეთს საფრანგეთთან ომის დროს, ძირითადად და არსებითად თვით ამ კოალიციის რიგებში აღმოცენებული შინაგანი წინააღმდეგობის შედეგი იყო. როგორც ცნობილია, პრუსიამ 1798—1799 წლებში შეინარჩუნა თავისი ნეიტრალიტეტი და არც რუსეთის (რომლისაც მას ეშინოდა) და არც ავსტრიის მიმართ რაიმე დივერსია არ მოუწყვია. პრუსიის ნეიტრალიტეტის მიუხედავად მეორე ანტიფრანგულ კოალიციას 1799 წლის კამპანიის დროს პრაქტიკულად შეეძლო საფრანგეთის სამხედრო განადგურება და თუ ეს ამოცანა არ განხორციელდა, ამის მთავარი მიზეზი იყო არა პრუსიის პოზიცია, არაბ ედ სხვა გარემოებები, რომელთა შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი[1]. პრუსიის გამოსვლას ნეიტრალური მდგომარეობიდან და თურქეთთან ერთად მის ამხედრებას საფრანგეთის წინააღმდეგ, თავდაპირველად, მართლაც ხელი უნდა შეეწყო ანტიფრანგული კოალიციის ძალებისათვის. მაგრამ, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ იყო მოკავშირეების—ავსტრიისა და პრუსიის—შეჯახება ნადავლის გაყოფის თაობაზე, რაც გაანეიტრალებდა კოალიციის პირველ წარმატებებს. მოსალოდნელი იყო აგრეთვე რუსეთ-ინგლისის მძაფრი დაჯახება პრუსიაზე უპირატესი გავლენისათვის. ამგვარად, პრუსიის გამოსვლას ნეიტრალური მდგომარეობიდან რუსეთისათვის ჰქონდა თავისი პლუსი და მინუსი.

ბ. საფრანგეთ-პრუსიის მოლაპარაკება ბერლინში (სიეიესის მისია)

საფრანგეთის რესპუბლიკის ხელისუფლებამ თავის მხრივ საათანადო ზემოქმედება მოახდინა პრუსიის მთავრობაზე, რათა ჩაეშალა რუსეთის დიპლომატიის გეგმები პრუსიის მიმართ და თვით გადაებირებინა პრუსია თავის მხარეზე.

აღნიშნული დიპლომატიური განზრახვის სისრულეში მოსაყვანად დირექტორიის მთავრობამ რუსეთის მთავრობის მსგავსად,

---

[1] ვ. კოჩუბეი, ნ. პანინი, ს. კურაკინი და ს. ვორონცოვი ბერლინის მოლაპარაკების ჩაშლისათვის თვით რეპნინს და მის დიპლომატიურ უუნარობას სდებდნენ ბრალს. იხ. „Материалы...", ტ. 3, ნაწ. II, გვ. 614. მაგრამ ამ დიპლომატებს მხოლოდ შური ალაპარაკებთ და არა საქმის ინტერესი. ისინი ხომ პანინის და მისი საგარეო პოლიტიკური კურსის მომხრენი იყვნენ. განა თვით პანინი არ იღებდა აქტიურ მონაწილეობას აღნიშნულ უშედეგო მოლაპარაკებაში?

საჭიროდ მიიჩნია ბერლინში საგანგებო დიპლომატიური წარმომადგენლის მიელინება. ეს მისია დაეკისრა საფრანგეთის რევოლუციის ცნობილ მოღვაწეს, გამარჯვებული ბურჟუაზიის ერთ-ერთ „ლიდერს“ აბატ სიეიესს (Sieyés Emmanuel Laseph).

როგორც ცნობილია, საფრანგეთის რესპუბლიკა 1795 წლიდან მოკიდებული, როდესაც პრუსიამ სეპარატული ზავი დადო საფრანგეთთან და ომიდან გამოვიდა, ცდილობდა კიდევ უფრო მჭიდროდ დაკავშირებოდა მას და გაეხადა იგი თავის მოკავშირედ. საამისო მოლაპარაკებას ბერლინში აწარმოებდა კაიარი, მაგრამ ეს მოლაპარაკება წარუმატებელი იყო. პრუსიის რეაქციულ ხროვას საფრანგეთის მიმართ მხოლოდ შიში აკავშირებდა, ყველა დანარჩენი კი (იდეოლოგიის ჩათვლით) სთიშავდა მისგან. მას არ სურდა საფრანგეთის მოკავშირე გამხდარიყო იმიტომაც, რომ ასეთ შემთხვევაში მას მოუხდებოდა ინგლისთან, ავსტრიასთან და რუსეთთან ომი. ამ ქვეყნებისა კი, კერძოდ რუსეთის, მას არანაკლებ ეშინოდა.

პარიზში კაიარისათვის დაკისრებული მისიის უშედეგობა თვით კაიარის დიპლომატიურ უუნარობას და სისუსტეს მიაწერეს, რის გამოც მისი უკან გაწვევა და მის ადგილას სხვა დიპლომატის გაგზავნა გადაწყვიტეს. დირექტორია უსაფუძვლოდ ფიქრობდა, რომ თუ კაიარს გამოცდილი დიპლომატით შეცვლიდა, იგი მოახერხებდა ამ ქვეყნის ნეიტრალიტეტის დაძლევას და თავის იარაღად ქცევას. დირექტორიამ თავისი არჩევანი სიეიესზე შეაჩერა[1].

კაიარის უკან გაწვევა და სიეიესის გაგზავნა ბერლინში დირექტორიის ხელისუფლების მორიგი და მრავალთა შორის ერთ-ერთი გაუმართლებელი ნაბიჯი იყო. სიეიესი არ ყოფილა პროფესიული დიპლომატი, მას მანამდე არ უმუშავია დიპლომატიურ დარგში, რის გამოც მოკლებული იყო იმ აუცილებელ თვისებებს, რომლებითაც დაჯილდოვებული უნდა ყოფილიყო საგანგებო მისიის შესასრულებლად წარგზავნილი დიპლომატი. ამ ნაკლთან ერთად მას ბევრი სხვა ნაკლიც ჰქონდა. იგი იყო მედროვე პოლიტიკოსი, პატივმოყვარე კარიერისტი, უპრინციპო, გარეგანი ეფექტის მომხდენი პიროვნება. მოკლებული იყო რა დინჯი, ღრმა ცოდნისა და საქმიანი ადამიანის თვისებებს, სიეიესს არ შეეძლო

---

[1] „Caillard est rappelé de Berlin et remplacé par l'abbé Sieyés“,— სწერდა პავლეს რუსეთის ყოფილი ელჩი პარიზში სიმოლინი 1798 წლის 11/22 მაისით დათარიღებულ რელაციაში მაინის ფრანკფურტიდან. იხ. Архив ВПР, ф. „Сношения России с Францией“, д. 520, л. 121.

წარმატებით შეესრულებინა საფრანგეთის ბურჟუაზიის „საპატიო“ მისია. ამასთან ერთად, მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს ისიც, რომ „მეფის მკვლელ“ სიეიესს, „ევროპის ტახტის დამამხობელთა და წეს-კანონიერების დამრღვევთა ხროვის“ ერთ-ერთი მოთავის და „რევოლუციონერის“ სახელი ჰქონდა გავარდნილი საფრანგეთის მიღმა. ასეთი სახელის მქონე პოლიტიკური მოღვაწე ბერლინში—რეაქციის, ფეოდალური პრივილეგიების, მილიტარისტული ხროვისა და უხეში სამხედრო კულტის ბატონობის ქვეყანაში, ჰოჰენცოლერნთა „მამულში“ — ვერ იქნებოდა persona grata [1].

რუსეთის თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ცნობილი ისტორიკოსები (ტატიშჩევი, ტრაჩევსკი, მილიუტინი, შილდერი და სხვ.), ისევე, როგორც ფრანგი ისტორიკოსების ნაწილი (სორელი, ბარანტი და სხვ.), სუბიექტური მოსაზრებებით ხელმძღვანელობენ, როცა ძალზე მუქი საღებავებით ხატავენ სიეიესს და მის საქმიანობას, სხვადასხვა ეპითეტებით ამკობენ მას და სასაცილოდ იგდებენ მის დიპლომატიურ „ნიჭს“. მის უარყოფითად დასახასიათებლად ისინი ერთ შტრიხს უსვამენ ხაზს: სიეიესი მხოლოდ პატივმოყვარეობის გამო გაემგზავრა ბერლინში. იგი იმდენად დარწმუნებული იყო თავის მოწოდებასა და განსაკუთრებულ ნიჭში, რომ ეჭვიც არ ეპარებოდა დაკისრებული მისიის წარმატებაში [2].

კითხვა ისმის, რატომ დააკისრა დირექტორიამ ასეთ პიროვნებას აღნიშნული პასუხსაგები დავალება? ცხადია, აქ დიდი როლი შეასრულა გაბრწნილების, ძმაბიჭობისა და კორუპციის სისტემამ, რომელიც გაბატონებული იყო მაშინ საფრანგეთში, კერძოდ დიპლომატიურ უწყებაში. სიეიესი დირექტორთა შორის „თავისიან კაცად“ ითვლებოდა. ეს კი გადამწყვეტი იყო მათ არჩევანში. იყო

---

[1] აღსანიშნავია, რომ თვით კაიარმა სამართლიანი ეჭვები გამოთქვა სიეიესის დანიშვნის მართებულობის შესახებ. ის წინასწარ დარწმუნებული იყო სიეიესის მისიის წარუმატებლობაში. იხ. კაიარის 1798 წლის 18/29 მაისის დეპეშა დირექტორიისადმი, „Материалы...“. ტ. 3, ნაწ. II, გვ. 128.

[2] Tatistcheff, დასახ. წერილი, დასახ. ჟურნ., 1887, ტ. 48, I—II წ., გვ. 43—44; А. Трачевский, დასახ. წერილი, დასახ. ჟურნ., გვ. 546; А. Сорель, დასახ, ნაშრ., ტ. 5, გვ. 268; M. (de) Barante, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 211—212: ასეთივე შეხედულებისაა I. Lamoureux-ც, კაიარის მოკლე ბიოგრაფიის ავტორი, ოომელიც უაზროსა და სამწუხაროს უწოდებს სიეიესისათვის საპასუხისმგებლო დიპლომატიური მისიის დაკისრებას. „Nouvelle biographie générale...“ Paris, 1854. გვ. 109. სიეიესის ვრცელი ბიოგრაფია იხილეთ. Biographié Universelle.., ancienne et moderne, ტ. 39, გვ. 309—319.

აგრეთვე ერთი გარემოება, რომელიც ანგარიშგასაწევია: დირექტორების ნაწილს სიეიესის კიდევაც ეშინოდა და ბერლინში მისი გაგზავნა მისი თავიდან მოცილების საშუალება იყო [1].

ბერლინში გამგზავრების წინ სიეიესი დირექტორიამ აღჭურვა ვრცელი ინსტრუქციით, რომელშიაც საფრანგეთის თვალსაზრისით გაშუქებული იყო ევროპული ურთიერთობის თითქმის ყველა პრობლემა. ინსტრუქციაში მთავარი ადგილი დათმობილი ჰქონდა პრუსიის საკითხს. ამ ინსტრუქციაში ვკითხულობთ: „საჭიროა ბოლომდე მივიყვანოთ საქმე, რომელიც ხშირად იწყებოდა და მუდამ დაუმთავრებელი რჩებოდა. საჭიროა პრუსია ჩავაბათ ჩვენს სისტემაში“ [2], სწორედ ეს იყო სიეიესის ძირითადი ამოცანა და დავალება, რაც მას ბერლინში უნდა შეესრულებინა.

როგორც მოსალოდნელი იყო, სიეიესის დანიშვნას და კაიარის ბერლინიდან უკან გაწვევას დაუფარავი უკმაყოფილებით შეხვდნენ პრუსიაში. პრუსიის მთავრობამ თავისი პარიზელი ელჩის სანდოზის მეშვეობით საფრანგეთის დირექტორიისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს წინაშე დააყენა საკითხი კაიარის თავის თანამდებობაზე დატოვებისა და სიეიესის დანიშვნის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ. მაგრამ ამ დემარშს შედეგი არ მოჰყოლია. დირექტორიის ხელისუფლებამ საჭიროდ არ ცნო შეეცვალა თავისი გადაწყვეტილება [3].

სიეიესი 1798 წლის 20 ივნისს ჩავიდა ბერლინში [4]. პრუსიის ფეოდალური არისტოკრატია, მილიტარისტული ხროვის ზედა ფენა და თვით სატახტო ქალაქის „მეშჩანური“ ნაწილი—პრუსიული რეაქციის ბრმა იარაღი, ხიზღით, სიძულვილით, ათვალისწუნებით და გესლიანი ირონიით შეეგებნენ „მეფის მკვლელს“ [5].

---

[1] იხ. А. Сорель, დასახ. ნაშრ., ტ. 5, გვ. 268.

[2] იქვე. გვ. 269.

[3] რეპნინი თავის 1798 წლის 20/31 მაისით დათარიღებულ რელაციაში პავლესადმი შეშფოთებას გამოთქვამს სიეიესის მისვლის გამო. იგი შიშობს: ვაი თუ დაშინება-მუქარით, დაპირებებითა და ტკბილი სიტყვებით სიეიესმა გავლენა მოახდინოს პრუსიაზე, თანაც დათესოს იქ რესპუბლიკური სული და შფოთიო. რეპნინი ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნავს პრუსიის მთავრობის უკმაყოფილებას პარიზის გადაწყვეტილების გამო და მის ცდას ხელი შეეშალა სიეიესის ბერლინში გაგზავნისათვის. Архив ВПР, ф. „Сношения России с Пруссией“, д. 526, л. 9. იხ., აგრეთვე, А. Сорель, დასახ. ნაშრ., ტ. 5, გვ. 271; К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 334.

[4] „Mémoires“, ტ. 6, გვ. 139.

[5] რეპნინის 1798 წლის 12/23 ივნისის რელაცია პავლესადმი. Архив ВПР, ф. „Сношения России с Пруссией“, д. 546, л. 41.

საფრანგეთის საგანგებო წარმომადგენელმა მაშინვე გადადგა ნაბიჯები დაკისრებული მისიის შესასრულებლად. თავდაპირველად მან ოფიციალური „ვიზიტი“ გაუკეთა მინისტრებს და სხვა გავლენიან პირებს. ამ შეხვედრებისას იგი არწმუნებდა მათ საფრანგეთის მეგობრულ განწყობილებაში პრუსიის მიმართ [1].

სიეიესის პირველ აუდიენციას ფრიდრიხ-ვილჰელმ III-თან 1798 წლის 5 ივლისს ჰქონდა ადგილი [2]. ამ აუდიენციის დროს სიეიესმა კონკრეტულად დააყენა პრუსიის მეფის წინაშე საკითხი საფრანგეთ-პრუსიის კავშირის სასურველობის შესახებ. მეფესთან საუბარში მან ხაზი გაუსვა იმ სარგებლობას, რასაც პრუსია ასეთი კავშირის შედეგად მიიღებდა. პრუსიის მეფეზე ზემოქმედების მოსახდენად სიეიესმა ფრიდრიხ II-ის ავტორიტეტსაც კი მიმართა. საფრანგეთ-პრუსიის კავშირი სიეიესის თქმით, საფრანგეთ-პრუსიის ინტერესებს და მთელი გერმანიის ინტერესებს ემსახურება, ასეთ კავშირს ფრიდრიხ II-ც კი დაუჭერდა მხარსო [3].

სიეიესის შეხვედრა პრუსიის მეფესთან ისეთივე უშედეგო იყო, როგორც რეპნინის ანალოგიური მოლაპარაკება. სიეიესისათვის ნათელი გახდა, რომ არავითარ ზემოქმედებას, მუქარას და დაპირებას არ შეეძლო რაიმე ნაყოფის მოტანა და პრუსიის გამოყვანა ნეიტრალიტეტის მდგომარეობიდან. „პრუსიის მეფეს არ სურს არავითარი გადაწყვეტილების მიღება“,—წერდა სიეიესი ტალეირანს 1798 წლის ივლისში გაგზავნილ დეპეშაში [4].

---

[1] სიეიესის ბერლინში ჩასვლას, მის შეხვედრებს და დიპლომატიურ საქმიანობას ფხიზლად ადევნებდა თვალყურს ნ. პ. პანინი. მას საშუალება ჰქონდა ზუსტი ცნობები შეეგროვებინა ამის შესახებ და სათანადო ცნობები ეგზავნა პეტერბურგში. ამას იგი აღწევდა ე. წ. „საიდუმლო არხის“ შემწეობით. საგარეო საქმეთა კოლეგიის სანქციით პანინი მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავდა საფრანგეთის ბერლინის საელჩოს თანამშრომელთა მოსყიდვაზე. ამ გზით ღებულობდა პანინი ყოველგვარ ცნობებს სიეიესის მოლაპარაკების შესახებ პრუსიის მთავრობასთან. როგორც მოსალოდნელი იყო, პანინი სიეიესის საქმიანობის თაობაზე პეტერბურგში გაგზავნილ რელაციებში გაბოროტებას და ზიზღს გამოხატავს მისდამი და მას „თაუზედს“, „უხეშს“, „ინტრიგანს“, „მეფის მკვლელს“ უწოდებს. ამავე დროს იგი კმაყოფილებას გამოხატავს იმ ცუდი შეხვედრის გამო, რომელიც სიეიესს ბერლინში მოუწყვეს. იხ. კურაკინის 1798 წლის 26 იანვრის (6 თებერვლის) და 5/16 მარტის წერილები პანინისადმი. „Русская старина“, 1874, მაისი. გვ. 81—82; იხ. აგრეთვე, პანინის 1798 წლის 29 ივნისის (10 ივლისის) რელაცია პავლესადმი. Архив ВПР, ф. „Сношения России с Пруссией“, д. 514, лл. 198—199; „Материалы...“, ტ. 3, ნაწ. III, გვ. 131, 171—172; Архив князя Воронцова. გვ. 20—22, 44—45.

[2] А. Сорель, დასახ. ნაშრ., ტ. 5, გვ. 271.

[3] Mémoires“, ტ. 6, გვ 140—141.

[4] იქვე, გვ. 147.

შეფესთან შეხვედრით იმედგაცრუებულმა სიეიესმა მოლაპარაკების სიმძიმის ცენტრი ჰაუგვიცთან შეხვედრებზე გადაიტანა. მაგრამ ამ უკანასკნელმა საჭიროდ არ ჩათვალა უშუალო ურთიერთობა ჰქონოდა „მეფის ზვიად მკვლელთან“ და მას შუაკაცად ებრაელი ეფრაიმი მიუჩინა. შუაკაცის გამოყენება „შეურაცყოფს ჩემს რესპუბლიკურ სულს“,—წერდა სიეიესი თავის მთავრობას ერთ-ერთ დეპეშაში[1]. ჰაუგვიცის პასუხიც ისეთივე იყო როგორც მეფისა: ხელსაყრელი ნეიტრალიტეტი ჰაუგვიცის უკანასკნელი სიტყვა იყო[2].

საფრანგეთის ელჩმა სცადა ერთგვარი საზოგადოებრივი აზრი შეექმნა საფრანგეთთან კავშირის სასარგებლოდ და მომხრეები შეეძინა როგორც მინისტრთა, ისე ჰოჰენცოლერნთა გვარის წარმომადგენელთა შორის. მაგრამ არც ამ მიმართულებით გაუღიმა მას ბედმა. დინასტიის წარმომადგენელთა შორის საფრანგეთთან კავშირს მხოლოდ პრინცი ჰენრიხი უჭერდა აშკარად მხარს, მაგრამ მისი გავლენა უმნიშვნელო იყო. „მე მეგონა, რომ ფრანგს ვესაუბრებოდი...,—წერდა სიეიესი ამ პრინცის შესახებ,—მაგრამ საქმეებში იგი არარაობას წარმოადგენს“[3].

ტალეირანი, სიეიესის მსგავსად, დიდხანს იყო დარწმუნებული, რომ საფრანგეთის დიპლომატია ბოლოს და ბოლოს თავისას გაიტანდა ბერლინში, მაგრამ სიეიესის რამოდენიმე დეპეშამ ბერლინის მოლაპარაკების წარუმატებლობა-უაზრობის შესახებ დაანახვა საფრანგეთის მინისტრს, რომ დასახული ამოცანა განუხორციელებელი იყო, სიეიესის მისია კი—უნაყოფო. მან ყოველ შემთხვევაში უკანასკნელ ხერხს მიმართა: საჭიროდ მიიჩნია პრუსიის დაშინება საფრანგეთთან მოსალოდნელი შეჯახებით, საფრანგეთის წინადადების უარყოფის შემთხვევაში. თავის 1798 წ. 24 ივლისის ინსტრუქციაში სიეიესისადმი ტალეირანი მითითებას აძლევდა საფრანგეთის წარმომადგენელს ასეთი ტონით ელაპარაკა პრუსიის მინისტრებთან[4]. სიეიესმა შეასრულა ტალეირანის ეს მითითება და აშკარა მუქარას მიმართა ჰაუგვიცთან მორიგი საუბრის დროს.

---

[1] A. Sorel, დასახ. ნაშრ., გვ. 272.

[2] იქვე, გვ. 273; მეორე ფრანგი ისტორიკოსის ბარანტის აზრით, სიეიესი ბერლინში ჩასვლისთანავე დარწმუნდა, რომ ვერაფერს ვერ მიაღწევდა. M. Barante, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 243.

[3] A. Sorel, დასახ. ნაშრ., ტ. 5, გვ. 272.

[4] იქვე, გვ. 274.

„აღმასრულებელი დირექტორია, — განუცხადა მან პრუსიის მინისტრს,—დადებს ზავს თქვენთან თანხმობით, უთქვენოდ და თვით თქვენს წინააღმდეგ, მაგრამ თუ ჩვენ ვიმოქმედებთ თქვენს გარეშე, მაშინ უფრთხილდით ახალ კამპო-ფორმიოს ზავს“ [1].

ტალეირან-სიეიესის უკანასკნელი ზემოქმედებაც უშედეგო აღმოჩნდა. პრუსიის მთავრობა ამის შემდეგაც დარჩა „ლეთარგიული ძილის“ მდგომარეობაში. რაკი რუსეთის წინადადება უარყოფილ იქნა, პრუსიის მესვეურებმა საჭიროდ მიიჩნიეს ასევე მოქცეოდნენ საფრანგეთის წინადადებასაც, რაგინდ მაცდუნებელი და მადის აღმძვრელი არ უნდა ყოფილიყო იგი.

საფრანგეთის რესპუბლიკას არც სურდა და არც შეეძლო თავისი მუქარა სისრულეში მოეყვანა და პრუსიასთან საქმე აშკარა კონფლიქტამდე მიეყვანა. პრუსიის ნეიტრალიტეტი, რაკი მასთან კავშირი განუხორციელებელი დარჩა, უკეთესი გამოსავალი იყო მაშინ საფრანგეთისათვისაც. პრუსიის გადაკიდება და მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადასვლა ჩაშლიდა საფრანგეთის ახალ აგრესიულ გეგმებს და დიდ სამხედრო-პოლიტიკურ უპირატესობას მიანიჭებდა მის მტრებს. კავშირ-მეგობრობის ხელშეკრულების დადების ზონდაჟის უშედეგობის შემდეგ საფრანგეთის დიპლომატიამ შეცვალა ტაქტიკა, შეანელა მუქარა და შეეცადა მტკიცედ შეენარჩუნებინა პრუსიასთან იმჟამად არსებული ურთიერთობა.

ამგვარად, სიეიესის მისიას ისეთივე ბედი ეწვია ბერლინში, როგორც რეპნინისას. იგი სრული მარცხით დამთავრდა. სიეიესის მისიის წარუმატებლობა არ შეიძლება მივაწეროთ თვით ამ დიპლომატის ქედმაღლობას და დიპლომატიურ უუნარობას, როგორც ფიქრობენ მისი მოწინაღმდეგენი. შეიძლება, როგორც უკვე აღინიშნა, სიეიესის დანიშვნა არ იყო გამართლებული, შეიძლება კაიარს ან სხვა ფრანგ დიპლომატს უფრო მოქნილად ემოქმედა, მაგრამ მათი საქმიანობის ფინალიც იგივე იქნებოდა, რაც სიეიესისა—წარუმატებლობა. აღნიშნული „წამოწყების“ მარცხის გადამწყვეტი მიზეზი თვით პრუსიის პოზიცია იყო. პრუსიის რეაქციულ ხროვას, მხდალსა და მხოხავს, არ სურდა გადაედგა სათანადო სარისკო ნაბიჯი და ეომა (სულ ერთია, საფრანგეთის, თუ რუსეთის მხარეზე). ჰოჰენცოლერნები და მათი დამქაშები ხომ მუდამ მაშინ იშიშვლებდნენ ხოლმე ხმალს, როდესაც მეზობლების მიწა-წყლის ხელში ჩაგდებისათვის უმნიშვნელო მსხვერპლის გაღე-

---

[1] А Сорель, დასახ. ნაშრ., ტ. 5, გვ. 274; Архив князя Воронцова, ტ. 11, გვ. 32, 34.

ბა მოუხდებოდათ, როდესაც მისი მეზობლები ერთი მეორეს წაეკიდებოდნენ ხოლმე. განა შეეძლოთ პრუსიელ რეაქციონერებს ამ ნაცად და „ღირსეულ“ პოლიტიკაზე ხელის აღება?[1]

3. უკანასკნელი ზემოქმედება პრუსიაზე

მეორე ანტიფრანგული კოალიციის ორგანიზაციისათვის ჩატარებულ დიდ ღონისძიებათა ფინალში რუსეთის დიპლომატიამ ერთხელ კიდევ სცადა უკანასკნელი ზემოქმედება მოეხდინა პრუსიაზე და გამოეყვანა იგი ნეიტრალურ მდგომარეობიდან[2]. მეფის მთავრობის შეხედულებით, საფრანგეთსა და მის მოწინააღმდეგე ბანაკს შორის 1798 წლის დასასრულისათვის მომხდარ ცვლილებებს, კერძოდ კი ინგლის-რუსეთის ახალი საკავშირო ხელშეკრულების დადებას ბიძგი უნდა მიეცა პრუსიისათვის, რათა მას გადაესინჯა თავისი პოზიცია და საფრანგეთის წინააღმდეგ ამხედრებულიყო.

თავის 1798 წლის 2 და 3 ოქტომბრის რესკრიპტებით პაველ I ავალებდა ნ. პანინს ემოქმედა ავსტრიისა და ინგლისის ელჩებთან კონტაქტში და ერთხელ კიდევ ახალი ზემოქმედება მოეხდინა პრუსიის მთავრობაზე. პაველ ნ. პანინისაგან მოითხოვდა ეცნობებინა პრუსიის მთავრობისათვის, რომ როგორც კი პრუსია ჩაებმებოდა ანტიფრანგულ კოალიციაში, რუსეთი მას მაშინვე ეფექტურ დახმარებას აღმოუჩენდა ფრანგების წინააღმდეგ ბრძოლაში და მის დასახმარებლად გაგზავნიდა ლიფლიანდიისა და ლიტვის დივიზიებს — 34 ათას ფეხოსანს და 13 ათას ცხენოსანს[3].

1798 წელი ისე მიიწურა, რომ რუსეთის დიპლომატიის ახალ ცდას წარმატება არ მოჰყოლია; რუსეთ-პრუსიის ურთიერთობაში

---

[1] ფრანგი ბურჟუაზიული ისტორიკოსი ა. ტიერი ჰაუგვიცს თვლის პრუსიის ნეიტრალიტეტის პოლიტიკის შთამაგონებლად და დიდ წარმომადგენლად. ჰაუგვიცი ფიქრობდაო, — წერს იგი, — რომ გონივრულ ნეიტრალიტეტის მეშვეობით პრუსიას შეეძლო უფრო მეტი მოეგო. ვიდრე ომით. იხ. А. Тьер, История Консульства и Империи по Франции, СПБ., 1846, ტ. 1, გვ. 45. ტიერს, ოა თქმა უნდა, არ ესმოდა, რომ ჰაუგვიცი პრუსიული რეაქციის ხროვის ერთ-ერთი მოთავე იყო და, ამდენად, ამ ხროვის დაკვეთას ატარებდა ცხოვრებაში. იგი იმას აკეთებდა, რასაც მას რეაქციული პრუსიელობის ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული „მოთხოვნები“ უკარნახებდა».

[2] იხ. Архив ВПР, ф. „Сношения России с Англией“, д. 497. лл. 49—53.

[3] „Материалы...“, ტ. 3, გვ. 414—417; Архив князя Воронцова, ტ. 11, გვ. 264—267.

ცვლილება არ მომხდარა[1]. მაგრამ 1799 წლის დასაწყისში, როდესაც უკვე ამოქმედდა ახალი ანტიფრანგული კოალიციის მანქანა, პავლე I-ის მთავრობამ კვლავ განიმეორა 1798 წელს უშედეგოდ დამთავრებული ზონდაჟი.

1799 წლის 3 იანვრის რესკრიპტით რუსეთის იმპერატორი ავალებდა ნ. პანინს კატეგორიული ფორმით მოეთხოვა პრუსიის მთავრობისაგან პასუხი კოალიციის რიგებში ჩაბმისა და საფრანგეთის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების თაობაზე ხელშეკრულების დადების შესახებ. პრუსიის მთავრობის მხრივ რუსეთის წინადადების უარყოფის შემთხვევაში ნ. პანინს უნდა განეცხადებინა, რომ იგი ტოვებს ბერლინს და კარლსბადს მიემგზავრება სამკურნალოდ[2]. ამ ახალი მითითების შემდეგ ნ. პანინი რამდენიმეჯერ შეხვდა პრუსიელ მინისტრებს და ბრაუნშვაიგის ჰერცოგს, რომლისაგანაც იგი მოელოდა აქტიურ დახმარებას. მაგრამ აქედანაც არაფერი გამოსულა, საქმე მკვდარი წერტილიდან არ დაძრულა. ჰაუგვიცმა და სხვა მინისტრებმა იგივე უთხრეს, რაც წინათ: ბრაუნშვაიგის ჰერცოგი უბრალო დაპირებით დაკმაყოფილდა, ხოლო პრუსიის მეფემ ფრიდრიხ-ვილჰელმ III-ემ „მაბეზარ“ ელჩს მიღებაზეც კი უარი უთხრა, რითაც თავიდან აიცილა „თავის მომაბეზრებელ წინადადებათა“ კიდევ ერთხელ მოსმენა[3].

1799 წლის ბოლოს ბერლინში ჩავიდა ინგლისის მთავრობის საგანგებო წარმომადგენელი ტომას გრენვილი[4]. ამან ახალი იმედები გაუღვიძა ნ. პანინს, რომელმაც ინგლისის წარმომადგენელთან ერთად განაახლა მოლაპარაკება პრუსიის მთავრობის წარმომადგენლებთან[5]. მაგრამ უკანასკნელი იმედიც გაქრა. ინგლისის

---

[1] თავის 1798 წლის 8/19 დეკემბრის რელაციაში პავლესადმი ნ. პანინი აგვიწერს ამ მოლაპარაკების მიმდინარეობას. ბერლინის მთავრობის მოლაპარაკების სრულ უპერსპექტივობას. იხ. „Материалы...“, ტ. 3, გვ. 513—515.

[2] Архив князя Воронцова, ტ. 11, გვ. 273.

[3] 1799 წლის იანვარში და თებერვლის პირველ ნახევარში წარმოებული მოლაპარაკების შესახებ ნ. პანინი ვრცელ ცნობებს აძლევს პავლეს 1799 წლის 1/12 იანვრის, 8/19 იანვრის, 28 იანვრის (8 თებ.) და 30 იანვრის (10 თებერვლის) რელაციებით. იხ. Архив ВПР ф. „Сношения России с Пруссией“, д. 532. лл. 1—4. 26—27, 68—71. 93—94.

[4] ნ. პანინის 1799 წლის 8/19 თებერვლის რელაცია პავლესადმი. Архив ВПР, ф. „Сношения России с Пруссией“, д. 532, лл. 120—121.

[5] ნ. პანინის 1799 წლის 13/24 თებერვლის რელაცია. იხ. იმავე არქივის იგივე ფონდი, ფურც. 133—134.

წარმომადგენლის ენერგიულ დემარშს შედეგი არ მოჰყოლია. პრუსიის მმართველებისათვის იმჟამად ეგზომ „სასურველი“ ნეიტრალიტეტი შენარჩუნებული იქნა. 7 მარტს გრენვილს, მისი გადაჭრით მოთხოვნის პასუხად, განუცხადეს, რომ პრუსიას ჯერჯერობით არ შეუძლია ხელი აიღოს ნეიტრალიტეტზე, მაგრამ იგი უფლებას იტოვებს მიემხროს რუსეთს და ინგლისს, თუ ფრანგები ახალ დაპყრობებს განიზრახავენო[1].

1799 წლის აპრილში, როდესაც გამოვლინდა ბერლინში წარმოებული დიპლომატიური მოლაპარაკების გაგრძელების უაზრობა, რუსეთის სამეფო კარმა მიიღო გადაწყვეტილება მოლაპარაკების შეწყვეტის შესახებ და სათანადო განკარგულება გაუგზავნა ნ. პანინს ბერლინში. მოლაპარაკების შეწყვეტასთან ერთად ნ. პანინს ევალებოდა დაეტოვებინა ბერლინი და 3 თვის ვადით კარლსბადს გამგზავრებულიყო, თავისი საქმეების შესრულება კი საელჩოს თანაშრომლის სივერსისათვის დაეკისრებინა[2].

რუსეთის ელჩის ბერლინიდან გამგზავრება პრუსიის მთავრობისადმი რუსეთის ცარიზმის გულისწყრომისა და აღშფოთების გამოხატულებას წარმოადგენდა, იგი ნიშნავდა პრუსიასთან კავშირის სანახევროდ გაწყვეტას. მაგრამ რუსეთის ცარიზმი ამით (და პრუსიის საზღვრებთან სამხედრო დემონსტრაციით) დაკმაყოფილდა. პრუსიასთან კავშირის სრული და საბოლოო გაწყვეტისაგან მან თავი შეიკავა.

როგორც მოლაპარაკების დასაწყის ეტაპზე, ისე მისი უშედეგოდ დამთავრების მომენტისათვის ეკონომიური ინტერესები და სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებები რუსეთს არ უკარნახებდა უკიდურესობამდე გაემწვავებინა ურთიერთობა პრუსიის სამეფო კართან და მასთან ომის ვითარება შეექმნა. პეტერბურგის სამეფო კარზე და საგარეო საქმეთა კოლეგიაში კარგად ხედავდნენ იმ საშიშროებას, რომელიც შეიძლება მოჰყოლოდა საფრანგეთ-პრუსიის დაკავშირებას. მას შეეძლო ჩაეშალა მეორე ანტიფრანგული კოალიციის გეგმები, კიდევ მეტი, მას შეეძლო კოალიციის დამარცხების შემთხვევაში უშუალო საფრთხე შეექმნა თვით რუსეთის უშიშროებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის. აი, სწორედ ასეთმა საშიშმა პერსპექტივამ, რაც კარგად ესმოდათ

---

[1] К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 346.

[2] პავლე I-ის 1799 წლის 25 აპრილის რესკრიპტი ნ. პანინისადმი, Архив князя Воронцова, ტ. 11, გვ. 278.

პეტერბურგში [1], უკარნახა ცარიზმის მეზვეურებს კეთილგონიერება გამოეჩინათ და პრუსიის მათთვის არა სასურველი ნეიტრალიტეტისათვის პატივი ეცათ.

2. რუსეთ-თურქეთის ფლოტის ოპერაციები საფრანგეთის ბაზების წინააღმდეგ ხმელთაშუა ზღვის აუზში

რუსეთმა საომარი მოქმედებები საფრანგეთის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 1798 წლის დასასრულისათვის დაიწყო, როდესაც ავსტრია ფორმალურად ისევ ომისგარეშე მდგომარეობაში იმყოფებოდა, ხოლო მეორე ანტიფრანგული კოალიციის ორგანიზაციის პროცესი არ იყო დასრულებული; ომი დაიწყო საომარი ოპერაციებით ზღვაზე. რუსეთ-თურქეთის შეერთებულმა ესკადრამ ვიცე-ადმირალ უშაკოვის სარდლობით, რომელიც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, რუსეთ-თურქეთის ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების შემდეგ დაიძრა ხმელთაშუა ზღვისაკენ, ენერგიული საზღვაო ოპერაციები გააჩაღა საფრანგეთის წინააღმდეგ. (უშაკოვის ესკადრა 1798 წლის 8 სექტემბერს გავიდა კონსტანტინეპოლის რეიდიდან, 11 სექტემბერს დარდანელის სრუტის ბოლოში მას შეუერთდა თურქეთის ესკადრა).

უშაკოვის საზღვაო ექსპედიციას ძირითად მიზნად დასახული ჰქონდა ფრანგების განდევნა იონიის კუნძულებიდან (აგრეთვე ალბანეთის სანაპიროდან), ამ არქიპელაგის დაუფლება და საფრანგეთის სამხედრო ფლოტის და სავაჭრო ნაოსნობის მოსპობა ადრიატიკის და იონიის ზღვების აუზში. უშაკოვის ექსპედიციას დასახული ჰქონდა მიზნად აგრეთვე დამატებითი ამოცანა: მალტის ბლოკადაში მონაწილეობის მიღება, რუსეთის გარნიზონის გადაყვანა ამ კუნძულზე ფრანგთაგან მისი განთავისუფლების შემდეგ, აპენინის ნახევარკუნძულის სანაპიროებთან მოქმედება და ნეაპოლის სამეფოსათვის დახმარების აღმოჩენა.

ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა იმ ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული მისწრაფებების რეალიზაციის გზაზე, რომელთაც რუსეთის იმპერია ისახავდა მიზნად ხმელთაშუა ზღვის აუზში.

იონიის კუნძულები—მთავარი კუნძული კორფუ, კუნძულები ზანტე, კეფალონია, იტაკა, ცერიგო, ლევკასი, პაქსოსი—და აგრეთვე ბალკანეთის ნახევარკუნძულის რამოდენიმე პლაცდარმი ამ

---

[1] იხ. თ. როსტოპჩინის 1799 წლის 21 მაისის წერილი ს. ვორონცოვისადმი. Архив князя Воронцова, ტ. 8, გვ. 214.

არქიპელაგის გასწვრივ კამპო-ფორმიოს საზავო ხელშეკრულების შედეგად გადავიდა ფრანგების ხელში.

იონიის კუნძულებზე ფეხის მოკიდებას თავიანთი აგრესიული გეგმების რეალიზაციის საქმეში ხმელთაშუა ზღვის აუზსა და ახლო აღმოსავლეთში დიდ როლს ანიჭებდნენ საფრანგეთის რესპუბლიკის მესვეურები. სტრატეგიულად ამ მეტად მნიშვნელოვან ბაზებზე გაბატონებით ისინი ოცნებობდნენ თავიანთი მონოპოლიური გავლენისათვის დაექვემდებარებინათ ადრიატიკის ზღვის აუზი, ბალკანეთი და თვით ლევანტის ქვეყნები. ვარაუდობდნენ რა თურქეთის იმპერიის მოკლე დროში დაშლას, ფრანგი აგრესორები იონიის კუნძულებზე ფეხის მოკიდებით ფიქრობდნენ ამ იმპერიის მემკვიდრეობის დიდი ნაწილის ხელში ჩაგდებას.

„კორფუსა და იონიის სხვა კუნძულების დაპყრობა,—წერდა ნაპოლეონ ბონაპარტი,—ჩვენ შესაძლებლობას მოგვცემს დავამყაროთ ურთიერთობა ალბანეთთან. ალბანელები კარგად არიან განწყობილნი ფრანგებისადმი. თურქეთის იმპერიის მხარდაჭერის იმედი ამაოა. ჩვენ კიდევ ვნახავთ მის დაცემას. კორფუ და ზანტე ჩვენ მოგვცემს ადრიატიკის ზღვასა და ლევანტში გაბატონების საშუალებას“ [1].

ვინაიდან საფრანგეთის ეს მისწრაფება უშუალო საფრთხეს უქმნიდა რუსეთის პოზიციებს და ინტერესებს მთელ ახლო აღმოსავლეთში, ამდენად რუსეთი მეტად უნდა ყოფილიყო დაინტერესებული ფრანგთა ბატონობის ლიკვიდაციაში ამ არქიპელაგზე.

იონიის კუნძულებიდან ფრანგ ოკუპანტთა განდევნით და იქ მკვიდრად ფეხის მოკიდებით მეფის მთავრობა ბოლოს მოუღებდა რუსეთის ინტერესებისათვის შექმნილ დასახელებულ საფრთხეს და, პირიქით, წინ წასწევდა ზემოაღნიშნული ამოცანების რეალიზაციას ახლო აღმოსავლეთში და ხმელთაშუა ზღვის აუზის ცენტრალურ ნაწილში. უშაკოვის ექსპედიციის წინაშე დასახული ამოცანის წარმატება კიდევ უფრო გაადიდებდა რუსეთის გავლენას კოალიციის შიგნით და განამტკიცებდა მის წამყვან როლს ამ ბლოკში. დასასრულ, იგი ბოლოს მოუღებდა ავსტრიის მთავრობის მერყეობას და დააჩქარებდა მის ამხედრებას საფრანგეთის წინააღმდეგ.

უშაკოვმა ბრწყინვალედ გადაწყვიტა მასზე დაკისრებული პირველი რიგის ამოცანა, თანაც გადაწყვიტა იგი მოკლე დროში, მცირე მსხვერპლის გაღებით და იშვიათი სამხედრო ოსტატობით. ამ ამოცანის გადაწყვეტით მან ახალი სასახელო ფურცელი ჩაწე-

---

[1] Napoléon Ier, Correspondance..., ტ. 3, გვ. 113.

რა რუსეთის სამხედრო ხელოვნების ისტორიაში, შემდგომ მაღალ საფეხურზე აიყვანა რუსეთის ფლოტის სახელი და დიდება და უჭკნობი შარავანდედით შეიმკო თავი.

რუსეთ-თურქეთის ესკადრამ 1798 წლის სექტემბრის დასასრულიდან დაიწყო ოპერაციები იონიის კუნძულების გასანთავისუფლებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგებს საფუძვლიანად ჰქონდათ გამაგრებული ეს კუნძულები, მათ იცავდნენ ძლიერი გარნიზონები, რის გამოც გარეშე თავდამსხმელთაგან ისინი თითქმის მიუვალად მიაჩნდათ. ოპერაციები რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდებოდა.

იონიის კუნძულებისათვის ბრძოლის პროცესში უშაკოვმა ოსტატურად გამოიყენა ფლოტისა და სადესანტო ნაწილების კომბინირებული იერიშები, სამხედრო-საზღვაო ბრძოლის ახალი სრულყოფილი მეთოდები. აღნიშნულმა, პირადად მისმა სწორუპოვარმა სარდლობამ და რუს მეზღვაურთა და ოფიცერთა მაღალმა საბრძოლო თვისებებმა გადაწყვიტეს ბრძოლის ბედი. კუნძულები ერთი მეორეს მიყოლებით მოკავშირეთა ხელში გადავიდა. პირველ ეტაპზე ფრანგთა წინააღმდეგობა ძლეულ იქნა უფრო პატარა კუნძულებზე, 1798 წლის სექტემბრიდან დეკემბრამდე ფრანგთა ბატონობისაგან განთავისუფლებულ იქნენ კუნძულები ცერიგო, ზანტე, კეფალონია, პაქსოსი და ლევკასი. უფრო გვიან, ფინალურ აქტში, ფრანგებს სძლიეს კუნძულ კორფუზედაც. კორფუსათვის ბრძოლა ყველაზე მწვავე, შეუპოვარ და ხანგრძლივ ხასიათს ატარებდა. რუსეთის ფლოტის მაღალი საბრძოლო თვისებები და უშაკოვის დიდი სამხედრო ოსტატობა ყველაზე მკაფიოდ სწორედ კორფუსათვის ბრძოლის პროცესში გამოვლინდა.

რუსეთის ფლოტთან ერთად იონიის კუნძულებისათვის ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა თურქეთის ფლოტი და ალბანელთა რაზმი, რომელიც პორტას განკარგულებით უშაკოვს დასახმარებლად გადასცა მოჯანყე და სისხლისმსმელმა ალი-ფაშა იანისელმა. მაგრამ მათი როლი აღნიშნული კუნძულების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მეტად უმნიშვნელო იყო. თურქი მეზღვაურები, მოკლებულნი დისციპლინას, მაღალ საბრძოლო წვრთნას, თავგანწირვის უნარსა და გმირულ სულს, ოდნავადაც ვერ შეედრებოდნენ რუს მეზღვაურებს. კიდევ უფრო ნაკლებად შეეფერებოდნენ თავიანთ დანიშნულებას ალი-ფაშას რაზმელები, რომლებიც მხოლოდ სისხლიან აქტებში და აღვირახსნილ ძარცვაში იყვნენ დაოსტატებულნი. უშაკოვს და რუს მეზღვაურებს უხდებოდათ დაეცვათ

მკვიდრი მოსახლეობა მათი მძარცველური აქტებისაგან, ტყვე ფრანგ ჯარისკაცები კი—სისხლიანი შურისძიებისაგან.

ფრანგთა საოკუპაციო რეჟიმი მძიმე და აუტანელი იყო იონიის კუნძულების მკვიდრი ბერძენი და სლავი მოსახლეობისათვის. სისტემატურმა რეკვიზიციებმა, გამოძალვამ და კერძო მოქალაქეთა ქონების მიტაცებამ, ნაციონალური დისკრიმინაციის მასობრივმა გამოყენებამ—აამხედრა ფრანგთა წინააღმდეგ კუნძულების მოსახლეობის ყველა ფენა: აზნაური, ვაჭარი, ხელოსანი, გლეხი ერთნაირად ზიზღს, სიძულვილს და აღშფოთებას გამოხატავდა უცხო დამპყრობი ძალის წინააღმდეგ. ალი-ფაშა იანისელთან, ამ სისხლიან სატრაპთან მეგობრობამ, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ფრანგ აგრესორთა ცუდ რეპუტაციას კორფუს და სხვა კუნძულების მოსახლეობას შორის. დასახელებული კუნძულების გარნიზონების სარდლობამ ზედმეტად ჩათვალა იმ ბურჟუაზიულ-პროგრესული წესრიგის დანერგვა აქ, რასაც ევროპის კონტინენტის დაპყრობილ ადგილებში ატარებდა[1].

იონიის კუნძულების—„ვენეციის კუნძულების" მოსახლეობის ანტიფრანგულმა განწყობილებამ კი თავის მხრივ ხელი შეუწყო მოკავშირეებს ამ კუნძულების განთავისუფლების საქმეში.

1799 წლის 19 თებერვალს (2 მარტს) საფრანგეთის ძლიერმა გარნიზონმა კუნძულ კორფუზე შეწყვიტა წინააღმდეგობა. საფრანგეთის გარნიზონის სარდლობამ კაპიტულაციის აქტზე მოაწერა ხელი. კუნძული მთელი მისი გამაგრებული ფორტებით, სურსათ-სანოვაგის და იარაღის მნიშვნელოვანი მარაგით, რამოდენიმე სამხედრო ხომალდი და 3000-მდე ტყვე გამარჯვებულთა ხელში გადავიდა. ამით დამთავრდა უშაკოვის ექსპედიციის პირველი და მთავარი სასახელო ეპოპეა. ფრანგების ბატონობა იონიის კუნძულებზე მთლიანად ლიკვიდირებული იქნა, მათზე რუსეთის და თურქეთის ალმები აფრიალდა[2].

---

[1] „Греки и славяне Ионических островов....—წერდა განსვენებული აკად. ტარლე.—жестоко чувствовали суровый военный деспотизм победителей, полнейшее свое бесправие перед французами и ощущали французское завоевание как грабительский захват... Пресловутый лозунг, брошенный генералом Бонапартом,—„война должна кормить себя сама",—приносил свои плоды". Е. В. Тарле, Адмирал Ушаков на Средиземном море, გვ. 53.

[2] ჩვენ თავს ვიკავებთ უშაკოვის ბრწყინვალე ოპერაციების დეტალური მიმოხილვისაგან. ზოგიერთმა რევოლუციამდელმა და საბჭოთა ისტორიკოსმა საკმაოდ ვრცლად გაიშუქა უშაკოვის ესკადრის მიერ იონიის 7 კუნძულის განთავისუფლება და ამ განთავისუფლების პროცესში რუსეთის სარდლობისა და

ადმირალმა უშაკოვმა[1] ფრანგთაგან განთავისუფლებულ კუნძულებზე თავისი გარნიზონები ჩააყენა და მისი ნავსადგურები შეერთებული ესკადრის ბაზად აქცია. მაგრამ მან არ განიზრახა ფრანგების მსგავსად კუნძულების ოკუპაცია. უშაკოვი სავსებით ბართებულად მოიქცა, როდესაც უარყო მკვიდრი მოსახლეობის თხოვნა კუნძულებზე რუსეთის მმართველობის დამყარებისა და მათი რუსეთის ქვეშევრდომებად გამოცხადების შესახებ. მან კარგად იცოდა, რომ ასეთი ნაბიჯი მტრულ რეაქციას გამოიწვევდა ინგლისში, თურქეთსა და ავსტრიაში, აამხედრებდა ამ სახელმწიფოებს რუსეთის წინააღმდეგ.

რუსმა ადმირალმა უშაკოვმა იონიის კუნძულების მოსახლეობას თვითმმართველობა მიანიჭა და თურქეთის ხელისუფალთა და თვით პაველ I-ის სურვილის წინააღმდეგ მათ „კონსტიტუციაც" კი შეუმუშავა. ამ კონსტიტუციით, ანუ „გეგმით"[2] უმაღლესი ადმინისტრაციული ძალაუფლება კუნძულებზე გადადიოდა არჩევითი ორგანოს — სენატის ხელში, რომლის ადგილსამყოფელადაც კუნძული კორფუ იყო მიჩნეული. სენატი შედგებოდა კუნძულების დელეგატებისაგან. დელეგატების არჩევის უფლება ეძლეოდათ როგორც თავადაზნაურობას, ისე ქალაქისა და სოფლის შეძლებულ ფენებს (გარკვეული წლიური გადასახადის გადამხდელებს)[3].

იონიის კუნძულებიდან ფრანგ აგრესორთა განდევნით და იქ ფეხის მოკიდებით მეფის რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა საფრანგეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომში მის მიერ დასახული ამოცანის ნაწილი. მან მტკიცედ მოიკიდა ფეხი ხმელთაშუა ზღვის აუზში და მით შეამზადა ნიადაგი შემდგომი ამოცანების გადაწყვეტისათვის. ამასთან ერთად, უშაკოვის ექსპედიციის ბრწყინვალე წარმატებით, შეიქმნა პირობები კოალიციის შემდგომი წარმატებისათვის ფრანგების წინააღმდეგ ბრძოლაში ევროპის ხმელეთზე.

მეზღვაურების მიერ გამოჩენილი მაღალი სამხედრო ხელოვნება და თავდადება. დამატებითი საარქივო მასალების მოტანისა და მისი განზოგადების საფუძველზე ეს საკითხი ერთხელ კიდევ საფუძვლიანად გააშუქა განსვენებულმა აკადემიკოსმა ე. ტარლემ ჩვენს მიერ არაერთხელ მითითებულ ნაშრომში. დაინტერესებულ მკითხველს ჩვენ შეგვიძლია, პირველ რიგში, სწორედ ამ ნაშრომზე მივუთითოთ.

[1] იონიის კუნძულებისათვის ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად პავლემ უშაკოვს ადმირალის წოდება უბოძა.

[2] „План об учреждении правления на освобожденных от французов бывших венецианских островах и об установлении в оных порядка".

[3] Е. Тарле, დასახ. ნაშრ., გვ. 129.

რ. ლანინი ჩვენს მიერ დასახელებულ წერილში ნორმალურ და კანონზომიერ მოვლენად მიიჩნევს რუსეთის მიერ საფრანგეთის წინააღმდეგ ომის გაჩაღებას სწორედ ხმელთაშუა ზღვის აუზში, ისიც მანამდე, სანამ დამთავრდებოდა ანტიფრანგული კოალიციის გაფორმება და ამოქმედდებოდა მოკავშირეთა სამხედრო მანქანა ევროპის კონტინენტზე. მისი აზრით ამას საფუძვლად ედო რუსეთის ცარიზმის მისწრაფება მტკიცედ მოეკიდა ფეხი ხმელთაშუა ზღვის აუზში და შეექმნა იქ თავისებური „სამხრეთის ჯაჭვი", სანამ ავსტრია ჩაებმებოდა ომში და მოქმედებას დაიწყებდა კოალიციის მთელი მანქანა. „სამხრეთის ჯაჭვის" შექმნით რუსეთის ცარიზმი, რ. ლანინის აზრით, შექმნიდა ავანპოსტს თურქეთზე გავლენის გასაძლიერებლად, შეასუსტებდა ინგლისის პოზიციებს თურქეთში და მიიღებდა შესაძლებლობას ავსტრიაზე მზარდი ზემოქმედებისათვის [1]. ამგვარი შეხედულება დამაჯერებლად უნდა იქნეს მიჩნეული, მაგრამ არ არსებობს არავითარი კონკრეტული მასალა, დამადასტურებელი იმისა, რომ რუსეთის ცარიზმს წინასწარ შემუშავებული ჰქონოდეს ისეთი სამხედრო სტრატეგიული გეგმა, რომელიც საფრანგეთის წინააღმდეგ თავდაპირველი საომარი ოპერაციის გაჩაღებას სწორედ ხმელთაშუა ზღვის აუზში ითვალისწინებდა.

ჩვენი აზრით, ასეთი გეგმის არსებობა გამორიცხულად უნდა მივიჩნიოთ. გარკვეულმა სიტუაციამ, რომელიც 1798 წლის დასასრულისათვის შეიქმნა ხმელთაშუა ზღვის აუზში, შესაძლებლობა მისცა რუსეთს ზემოაღნიშნული ოპერაცია დაეწყო და წარმატებით დაეგვირგვინებინა იგი. ნაპოლეონი ეგვიპტეში რომ არ შეჭრილიყო, რუსეთ-თურქეთის კავშირი რომ არ აღმოცენებულიყო და თურქეთს რუსეთის შავი ზღვის ფლოტისათვის სრუტეები რომ არ გაეხსნა, უშაკოვის ექსპედიციაც, ცხადია, ვერ მოეწყობოდა. ამასთან მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ხმელთაშუა ზღვის აუზში ფრანგების წინააღმდეგ საომარი ოპერაციის გასაშლელად რუსეთის ცარიზმს მხოლოდ და მხოლოდ თურქეთის და ინგლისის კავშირი და მხარდაჭერა ესაჭიროებოდა. ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა არც პრუსიის, არც თვით ავსტრიის პოზიციას. საომარი კამპანია რომ ხმელეთზე უფრო გვიან უნდა დაწყებულიყო, ეს სავსებით მოსალოდნელი იყო. ამისათვის საფუძვლიან მომზადებასთან ერთად საჭირო იყო პრუსიის პოზიციის ნათლად გარკვევა, თანაც ავსტრიის გამოყვანა ნეიტრალიტეტის

---

[1] Р. Ланин დასახ. წერილი. გვ. 27, 36.

მდგომარეობიდან. ამის გარეშე რუსეთის ჯარების დაძვრა დასავლეთისაკენ და საფრანგეთის ჯარებთან მათი პირისპირ შეჯახება იტალიასა და გერმანიაში შეუძლებელი იყო.

3. ავსტრიის ჩაბმა მეორე ანტიფრანგულ კოალიციაში

რუსეთ-პრუსიის და საფრანგეთ-პრუსიის მოლაპარაკება ბერლინში ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, როდესაც რაშტადტში მუშაობა დაიწყო კამპო-ფორმიოს საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებულმა კონგრესმა. მისი ამოცანა იყო სისრულეში მოეყვანა ამ ზავის პირობები, კერძოდ, ხელშეკრულების ის მუხლები, რომლებიც გერმანიას შეეხებოდა [1].

კამპო-ფორმიოს ზავი, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ხელმომწერ მხარეთათვის მხოლოდ ტაქტიკურ ნაბიჯს წარმოადგენდა. არც ერთი მხარე სერიოზულად არ ფიქრობდა მტკიცედ დაეცვა იგი. ავსტრია, რომელიც თავს დამარცხებულად არ თვლიდა, აპიაზურებდა ამ ხელშეკრულების რატიფიკაციას. იგი ლამობდა დრო მოეგო და გათვალისწინებულ კონფერენციამდე მის სარეალიზაციოდ არაფერი გაეკეთებინა. იგი დარწმუნებული იყო, რომ მომავალი კონფერენცია მონაწილე სახელმწიფოთა ურთიერთ წინააღმდეგობის გამო ჩაიშლებოდა და მით მას მიეცემოდა ხელშეკრულების დარღვევის ფორმალური საბაბი. საფრანგეთის რესპუბლიკა, თავის მხრივ, ენერგიულად იბრძოდა კამპო-ფორმიოს საზავო ხელშეკრულების რეალიზაციისათვის. მაგრამ ამ შემთხვევაში იგი მოქმედებდა არა ევროპული მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის, არამედ, პირიქით, ახალი აგრესიული აქტების მომზადების მიზნით. ახალი ბაზები და პლაცდარმი, რაც მას კამპო-ფორმიოს ზავით უნდა მიეღო, საშუალებას მისცემდა საფრანგეთის რესპუბლიკას მოემზადებინა ახალი ვრცელი აგრესიული აქტები გერმანიაში, იტალიაში და ხმელთაშუა ზღვის აუზში.

კამპო-ფორმიოს საზავო ხელშეკრულება სხვა მხრივაც აქილევსის ქუსლის შემცველი იყო. ავსტრიის იმპერატორმა ხელი მოაწერა მას არა მთელი გერმანიის მეფე-მთავართა სახელით, არამედ როგორც ავსტრიის, ბოჰემიისა და უნგრეთის მეფემ. ამდენად, ბუნებრივია, ხელშეკრულების ის მუხლები, რომლებიც უშუა-

---

[1] საფრანგეთისა და ავსტრიის მიერ მისაღები ტერიტორიების საკითხი, იმ მთავრებისათვის ტერიტორიული კომპენსაციის მიცემა, რომელთა სამფლობელოები რაინის მარცხენა ნაპირზე ფრანგთა ხელში გადადიოდა და ა. შ.

ლოდ გერმანიის იმპერიას შეეხებოდა, მხოლოდ მაშინ შევიდოდა ძალაში, თუ მას გერმანიის მეფე-მთავრები დაამტკიცებდნენ.

რაშტადტის კონგრესი ფორმალურად 1797 წლის დეკემბერში შეუდგა მუშაობას. მაგრამ მისი საქმიანი სხდომები მხოლოდ 1798 წლიდან დაიწყო, როდესაც იმპერიის ყველა წარმომადგენელმა იქ მოიყარა თავი. კონგრესის საქმიანობაში გარდა საფრანგეთისა და ავსტრიისა, მონაწილეობას იღებდნენ პრუსია და „საღვთო რომის იმპერიაში“ შემავალი წვრილი სახელმწიფო-სამთავროები[1]. კონგრესის საქმიანობაში წამყვან როლს ასრულებდა გამარჯვებული საფრანგეთი.

მოსალოდნელი იყო, რომ რაშტადტის კონგრესი, რომლის წინაშეც დასმული იყო არაკეთილშობილური ამოცანა—გერმანიის იმპერიის ხარჯზე საფრანგეთ-ავსტრიის ყაჩაღური გარიგების აპრობირება, -დიპლომატიური შეხლა-შემოხლის, ვაჭრობის და კინკლაობის ასპარეზი გახდებოდა. კონგრესის საქმიანობამ სავსებით გაამართლა ეს ვარაუდი. საფრანგეთის და ავსტრიის წარმომადგენელთა დაუსრულებელმა დავამ კამპო-ფორმიოს საზავო ხელშეკრულების ყოველი წვრილმანი პუნქტის გამო, პრუსიისა და გერმანიის წვრილ სახელმწიფოთა წარმომადგენლების გამოსვლამ საფრანგეთ-ავსტრიის მზარდი ტერიტორიული პრეტენზიების წინააღმდეგ (გერმანიაში), დასასრულ, ინგლისისა და რუსეთის დიპლომატიურმა ზეგავლენამ მის საქმიანობაზე, განაპირობა ამ კონგრესის წარუმატებლობა და სრული მარცხი.

რაშტადტის კონგრესი მიმდინარეობდა მაშინაც, როდესაც დაიწყო ბერლინის მოლაპარაკება და გრძელდებოდა მის შემდეგაც, როცა აღნიშნული მოლაპარაკება შეწყდა. თვით 1798 წლის მიწურულისათვის, როცა საფრანგეთის წინააღმდეგ უკვე შეიქმნა ევროპის სახელმწიფოთა კოალიცია, ეს უშედეგო კონგრესი ფორმალურად კიდევ არ იყო დამთავრებული[2].

---

[1] Дипломатический словарь, ტ. 2, გვ. 488.

რუსეთი კონგრესის მუშაობაში უშუალო მონაწილეობას არ ღებულობდა, მაგრამ მისი დიპლომატია თვალყურს ადევნებდა კონგრესის საქმიანობას და შესაძლებლობის ფარგლებში ხელოვნებას ახდენდა მასზე. რუსეთის ელჩი ავსტრიაში გრაფი ა. რაზუმოვსკი მივლინებული იყო რაშტადტში, როგორც რუსეთის მეთვალყურე.

[2] რაშტადტის კონგრესის საქმიანობის შესახებ ვრცლად იხ. R. Guyot, დასახ. ნაშრ., გვ. 667—722; А. Сорель, დასახ. ნაშრ., ტ. 5, გვ. 212—230, 247—251, 276—280; მისივე, „Le congrès de Rastadt et la cession de la rive gauche de Rhin“, „Revue de deux Mondes“, 15 juillet 1897, გვ.241—269;

საფრანგეთ-ავსტრიის მძაფრმა დაჯახებამ რაშტადტის კონგრესზე, ავსტრია-პრუსიის კინკლაობის შემდგომმა გაღრმავებამ და ავსტრიის მორიგმა თხოვნამ რუსეთისადმი საჭირო შემთხვევაში დახმარება აღმოეჩინა მისთვის, ხელი შეუწყო რუსეთის დიპლომატიას აღებული ანტიფრანგული კურსის წარმატებაში. მან გააადვილა ავსტრიის გამოყვანა ნეიტრალურ მდგომარეობიდან და მისი ჩაბმა რუსეთის დიპლომატიის მიერ შეკოწიწებულ მეორე ანტიფრანგულ კოალიციაში.

რაშტადტის კონგრესი, რომელიც ფორმალურად ჯერ კიდევ განაგრძობდა უნაყოფო მუშაობას, სწორედ ამის შემდეგ ამთავრებს თავის საქმიანობას (1799 წლის მარტს ძველი სტილით). წარუმატებელი იყო მისი პერსპექტივები დასაწყისიდანვე და უსახელოდ დაასრულა მან თავისი ფინალური აქტი [1].

რაშტადტის კონგრესის მოწვევის მიუხედავად, ავსტრიის სამეფო კარი დარწმუნებული იყო საფრანგეთთან ახალი ომის გარდუვალობაში, რის გამოც სათანადო სამხედრო-დიპლომატიურ ღონისძიებებს ახორციელებდა. აქტიური საქმიანობა პაპის ოლქსა და ნეაპოლის სამეფოში, პრუსიასთან მორიგების ცდა, ინგლისთან მოლაპარაკების გამართვა ახალი სუბსიდიის მიღების თაობაზე,

---

H. Sibel. დასახ. ნაშრ., ტ. 5, გვ. 300 და შემდ.; M. Barante. დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 511—514; Дипломатический словарь, ტ. 2, გვ. 488—489; Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 1, გვ. 43—47 და შემდ., К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 335—345. რაშტადტის კონგრესის საქმიანობის შესახებ პერიოდულ ცნობებს პეტერბურგის მთავრობას აწვდიდნენ ნ. ბ. პანინი და ა. რაზუმოვსკი, აგრეთვე რუსეთის ყოფილი ელჩი საფრანგეთში სიმოლინი ფრანკფურტიდან. იხ. Архив ВПР, ф. „Сношения России с Францией", д. 25, лл. 15—16, 17—20, 24—26. 82.

[1] История дипломатии, том. I, М., 1941, გვ. 359; რაშტადტის კონგრესის უსახელო დასასრული დაემთხვა აღნიშნულ კონგრესზე საფრანგეთის წარმომადგენელთა ვერაგულად დახოცვას, რაც ჩაიდინეს ავსტროელმა ჰუსარებმა წინასწარ განზრახვით და ზემდგომი ორგანოების მითითებით (ეს მოხდა ფრანგ დელეგატთა კონგრესიდან სამშობლოში გამგზავრების მოქენტისათვის რაშტადტის გარეუბანში 1799 წლის 8/.9 აპრილს). M. Barante. დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 379—391 და შემდ.; Д. Милютин. დასახ. ნაშრ., ტ. 1, გვ. 204—207; А. Сорель. დასახ. ნაშრ., ტ. 5, გვ. 320—324. ფრანგ წარმომადგენელთა ამ წინასწარ განზრახულ მკვლელობას თვით მილიუტინიც კი გაუგონარ ბოროტმოქმედებას უწოდებს.

საფრანგეთის ბუთასის საბჭომ სპეციალური მანიფესტი გამოაქვეყნა ავსტრიელთა მიერ რაშტადტის გარეუბანში საფრანგეთის წარმომადგენელთა ვერაგული მკვლელობის გამო. ეს მანიფესტი მთლიანად მოტანილი აქვს დასახელებულ ფრანგ ავტორს ბარანს თავისი შრომის მე-3 ტომის 394—395 გვერდებზე.

დასასრულ, რუსეთთან შემდგომი დაახლოების გარეგნული დემონსტრაცია და მისთვის სამხედრო დახმარების გამოთხოვნა საჭირო შემთხვევაში, ყოველივე ეს ამ აქტიურ წინასწარ მზადებაზე მიგვითითებს.

რუსეთის სამეფო კარმა 1798 წლის ივლისში, ფორმალურად ავსტრიის მთავრობის თხოვნით, არსებითად კი საკუთარი პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული ინტერესების შესატყვისად შესაძლებლად სცნო ფრანგებთან ომის შემთხვევაში ავსტრიისათვის დასახმარებლად გაეგზავნა გენერალ როზენბერგის სარდლობით ერთი საარმიო კორპუსი, რომელიც 16 ათას კაცს მოითვლიდა[1]. პეტერბურგში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დამხმარე კორპუსის გაგზავნა გერმანიაში გააძლიერებდა ავსტრიის მესვეურთა საომარ განწყობილებას და შეასუსტებდა ფეოდალურ-სამხედრო არისტოკრატიის იმ ჯგუფის გავლენას, რომელსაც მიზანშეუწონლად და გაუმართლებლად მიაჩნდა საფრანგეთის წინააღმდეგ ახალი ომის ნაჩქარევად გაჩაღება[2]. მაგრამ რუსეთის მთავრობის ამ გადაწყვეტილებას არსებითი ცვლილება არ მოუხდენია ავსტრიის პოზიციაზე. უკანასკნელს ფორმალურად არ დაურღვევია კამპო-ფორმიოს ზავი.

ავსტრიის მესვეურები არ ჩქარობდნენ, მეტად სარისკო ნაბიჯისაგან თავს იკავებდნენ და მიუხედავად იმისა, რომ რაშტადტის კონგრესის საქმიანობა წარმატების არავითარ იმედებს არ იძლეოდა, ამჯობინებდნენ გარეგნულად ხელშეკრულების ერთგულება შეენარჩუნებინათ, მზადება ფარულად ჩაეტარებინათ, ხელშეკრულების დარღვევის „საპატიო“ როლი საფრანგეთისათვის დაეთმოთ და ომის გაშლის პასუხისმგებლობაც მისთვის დაეკისრებინათ[3].

რუსეთის მთავრობას, თავის მხრივ, დაჟინებით არ მოუთხოვნია მაშინ ავსტრიისაგან-დაუყოვნებლივ დაერღვია საფრანგეთთან დადებული ხელშეკრულება და ომი გამოეცხადებინა საფრანგეთისათვის. მას მხოლოდ სურდა, რომ ავსტრიას პრინციპულად საფრანგეთის წინააღმდეგ ომის თანხმობა გამოეცხადე-

---

[1] ამ კორპუსის გაგზავნის ფორმალურ საბაბად გამოყენებულ იქნა რუსეთ-ავსტრიის 1792 წლის თავდაცვითი ხელშეკრულება, რომელიც ფაქტიურად ძალაში აღარ იყო.

[2] მათ რიცხვში იყვნენ ერცჰერცოგი კარლოსი, ფელდმ.-რშალი ლასსი და მთელი რიგი პრინცები. იხ. А. Васильчиков, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 272.

[3] Ф. Мартенс, დასახ. კრებ., ტ. 2, გვ. 361.

ბინა და უფრო დაეჩქარებინა სათანადო მზადება. რატომ დაეინებით არ მოითხოვა რუსეთმა ავსტრიის მთავრობისაგან საფრანგეთთან დადებული ხელშეკრულების დენონსირება და მის წინააღმდეგ აეხედრება? ლენინის აზრით, რუსეთის იმპერატორს, სანამ ავსტრიას საფრანგეთის წინააღმდეგ ააშხედრებდა, საჭიროდ მიაჩნდა უკეთესი სამხედრო-სტრატეგიული პოზიციების უზრუნველყოფა თვით ავსტრიის მიმართ. იონიის კუნძულებიდან ფრანგების განდევნა და იქ ფეხის მოკიდება, მისი აზრით, უფრო ქმედითს გახდიდა რუსეთის ზემოქმედებას ავსტრიაზე და თავისი გავლენის ქვეშ მოაქცევდა ამ ქვეყანას[1].

ლენინის მოტანილი შეხედულება საერთოდ სწორია, მაგრამ იგი საკითხის მხოლოდ ერთ მხარეს აშუქებს. ჩვენი აზრით, რუსეთის მეფის მთავრობა მარტო იმიტომ კი არ იკავებდა თავს ავსტრიაზე აქტიური ზემოქმედებისაგან და არ მოითხოვდა მისგან საფრანგეთის წინააღმდეგ მოკლე დროში ომის გაჩაღებას, რომ ავსტრიის მიმართ მას უფრო ხელსაყრელი სამხედრო-სტრატეგიული პოზიციის მოპოვება სურდა წინასწარ, არამედ იმიტომაც, რომ მას, ე. ი. რუსეთის მთავრობას, საფრანგეთის წინააღმდეგ ომისათვის მზადება ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული. მას ესაჭიროებოდა დამატებითი დიპლომატიური და სამხედრო-სტრატეგიული ღონისძიებების გატარება იმისათვის, რომ შეექმნა ახალი ანტიფრანგული კოალიცია და მზად ყოფილიყო საფრანგეთის წინააღმდეგ გამანადგურებელი დარტყმისათვის. სანამ ამ მზადებას არ დაასრულებდა, მანამ რუსეთი არ ჩქარობდა, ავსტრიის ორეოფობას იტანდა, დარწმუნებული იყო, რომ საჭირო შემთხვევაში იგი მაინც გამოიყვანდა ავსტრიას მერყეევი მდგომარეობიდან და ჩააბამდა საფრანგეთის წინააღმდეგ ომში.

ამასთან ერთად ავსტრიასა და რუსეთს შორის უთანხმოება წამოიჭრა როზენბერგის კორპუსის გაგზავნის თაობაზე, რამაც გამოიწვია ამ კორპუსის გერმანიაში გაგზავნის შეჩერება. უთანხმოება წამოიჭრა კორპუსის ჯარისკაცთა კმაყოფისა და ამ კმაყოფის ნორმის გაჰო. საჭირო გახდა რუსეთის იმპერატორის უშუალო ჩარევა და მისი განკარგულება გენერალ როზენბერგისადმი უკან, ძველ საბანაკო ადგილებში დაებრუნებინა კორპუსი, თუ ავსტრიის სარდლობა დაუყოვნებლივ არ მიიღებდა კორპუსიის სარდლობის მოთხოვნას კორპუსის ჯარისკაცთა მომარაგების ნორმის

---

[1] Р. Лапин, დასახ. წერილი, გვ. 36.

ვადიდების შესახებ[1], რათა წამოჭრილი კონფლიქტი ლიკვიდირებული ყოფილიყო გარკვეული კომპრომისული შეთანხმებებით[2].

როზენბერგის დამხმარე კორპუსის დასავლეთით გამგზავრებასთან დაკავშირებული გაუგებრობის ლიკვიდაციას მოჰყვა ამ კორპუსის გამგზავრება დანიშნულებისამებრ შემუშავებული მარშრუტის მიხედვით.

1798 წლის დასასრულიდან ვითარება არსებითად შეიცვალა. რაშტადტის კონგრესი, რომელზედაც რევიზიის საგნად იქცა კამპო-ფორმიოს ზავის ზოგიერთი მუხლი გერმანიის შესახებ, რამაც გაამწვავა საფრანგეთ-ავსტრიის წინააღმდეგობა, ფაქტიურად ჩაიშალა. გაფართოვდა საფრანგეთის აგრესიის არე ევროპაში. მან ხელთ იგდო თითქმის მთელი შვეიცარია და მით მოიპოვა მეტად ხელსაყრელი სტრატეგიული პლაცდარმი გერმანიის სახელმწიფოების, იტალიისა და თვით ავსტრიის იმპერიის მიმართ. იტალიაში საფრანგეთის მორიგი აგრესიის მსხვერპლი გახდა არა მარტო სარდინია-პიემონტის სამეფო, არამედ ნეაპოლის სამეფოც. აპენინის ნახევარკუნძულზე, რომელიც ავსტრიელებს თავიანთი მონოპოლიური ბატონობის ასპარეზად მიაჩნდათ, ორი ახალი, ფრანგებისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი რესპუბლიკა აღმოცენდა. ამავე დროს აშკარად ჩაიშალა ნაპოლეონის ლაშქრობა აღმოსავლეთში. აბუკირის ყურეში ნელსონის ესკადრის მიერ საფრანგეთის ფლოტის განადგურების შემდეგ ნაპოლეონის არმია მოწყვეტილი აღმოჩნდა საფრანგეთისაგან. შეიქმნა საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართული რუსეთ-თურქეთის კავშირი, რომელმაც უკვე გააჩაღა აქტიური საომარი ოპერაციები ფრანგების წინააღმდეგ ხმელთაშუა ზღვის აუზში, კერძოდ იონიის ზღვის აუზში.

მართალია, ერთის მხრივ, ამ ახალმა ვითარებამ გააძლიერა საფრანგეთი და გაფართოვა მისი აგრესიის არე ევროპის კონტინენტზე, მაგრამ, მეორეს მხრივ, ამ ვითარებამ საფუძველი ჩაუყარა საფრანგეთის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ბლოკს, გამოიყენანა რუსეთი საფრანგეთის წინააღმდეგ, გააძლიერა რუსეთის პოზიციები კონტინენტზე და ხმელთაშუა ზღვის აუზში და

---

[1] პავლეს ამ განკარგულებამ გენერალ როზენბერგისადმი ვენაში დიდი შიში და შეშფოთება გამოიწვია, „Cette nouvelle,—წერდა ა. რაზუმოვსკი პავლეს 1798 წლის 6 ოქტომბრის დაშიფრულ რელაციაში,—a jeté la cour de Vienne dans une consternation, motivée par la crainte la plus vive qu'il en résultât le plus funeste effet pour la cause commune,...“ А. Васильчиков, დასახ. ნაშრ., ტ. 3. გვ. 261.

[2] იქვე.

შექმნა პირობები ავსტრიის მერყეობის დაძლევისათვის. ამავე ვითარებამ გააძლიერა რუსეთის ზემოქმედება ავსტრიაზე. რუსეთ-თურქეთის კავშირის წარმატებითმა ოპერაციამ ზღვაზე, ფრანგთა აღმოსავლეთის ლაშქრობის მარცხთან ერთად განაპირობა ანტი-ფრანგული კოალიციის შექმნისათვის ჩატარებული ღონისძიებების წარმატება, ხელი შეუწყო რუსეთის ცარიზმის დიპლომატიის საქმიანობას. ამ კოალიციის შენობის დამთავრებაში და მასში ავსტრიის ჩაბმაში. ახლა საომარი ოპერაციების თვით ხმელეთზე—იტალიისა და გერმანიის ტერიტორიაზე—გაჩაღების უპირველესი პირობა ავსტრიის ომში ჩაბმა იყო. 'მაგრამ ეს შეუძლებელი იყო სანამ ავსტრია ინარჩუნებდა კამპო-ფორმიოს ზავისადმი ერთგულებას. ავსტრიის სამეფო კარისაგან Status quo-ს შემდგომი შენარჩუნება იქნებოდა საფრანგეთის აგრესიისათვის ხელის შეწყობა და იმ პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული გეგმებისათვის ხელის შეშლა, რომლებიც დასახული ჰქონდა მეფის რუსეთს საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესების შესატყვისად.

ამიტომ იყო, რომ 1798 წლის დასასრულიდან გაორკეცდა მეფის რუსეთის აქტივობა ამ მიმართულებით, გაძლიერდა მისი ზეგავლენა ავსტრიაზე. რუსეთი დაჟინებით მოითხოვდა ავსტრიისაგან, რათა მას ეკისრა კამპო-ფორმიოს ზავის დარღვევის ინიციატივა, შეერთებოდა ახალ ანტიფრანგულ კოალიციას და მით ხელი შეეწყო ხმელეთზე საომარი ოპერაციების გაჩაღებისათვის ფრანგების წინააღმდეგ.

იმასთან დაკავშირებით, რომ ავატრიის მთავრობამ წააქეზა ნეაპოლის მეფე ფრანგების წინააღმდეგ ავანტიურისტული ომისაკენ, თანაც რუსეთის მხრივ მისთვის შეთავაზებული სამხედრო დახმარებისაგან თავი შეიკავა, რუსეთის იმპერატორმა სპეციალური, 1798 წლის 20/31 დეკემბრით დათარიღებული რესკრიპტი გაუგზავნა ვენაში თავის წარმომადგენელს ა. რაზუმოვსკის. ამ რესკრიპტში გამოთქმულია პავლეს გულისწყრომა ავსტრიელთა ამ ვერაგული საქციელის გამო. აცნობებდა რა რაზუმოვსკის რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებას—დახმარება აღმოჩინა ნეაპოლის სამეფოსათვის ზღვაზე და ხმელეთზე—პავლე I დასძენდა: ეს დახმარება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ეფექტური, თუ რომის იმპერატორიც დაუყოვნებლივ აღმოუჩენს ნეაპოლის მეფეს დახმარებას იტალიაში განლაგებული თავისი ძალებით. აყენებს რა ავსტრიის ომში ჩაბმის კატეგორიულ მოთხოვნას, რუსეთის იმპერატორი განაგრძობს: ჩვენ ვერ დავფარავთ, რომ ავსტრიელების მიერ ფრანგების წინააღმდეგ იარაღის აღმართვისაგან შემდგომი

თავის შეკავება ჩვენ და ჩვენს მოკავშირეებს მოგვცემს საშუალებას ძლიერი ეჭვისათვის და გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ სამხედრო მზადება, რომელსაც ავსტრია ახორციელებს, საკუთარი სარგებლობის მიღებას ისახავს მიზნად და არა ფრანგების დამღუპველი აქტებისათვის წინააღმდეგობის გაწევას. პავლე I-ის აზრით ავსტრია, თუ იგი გადაწყვეტს აღმართოს იარაღი ფრანგების წინააღმდეგ, მაინც არ იქნება კამპო-ფორმიოს ზავის პირობების დამრღვევი, ვინაიდან ეს ხელშეკრულება კარგა ხანია თვით ფრანგებმა დაარღვიეს, განახორციელეს რა ახალი აგრესიული აქტები შვეიცარიასა და იტალიაში და ა. შ.

რესკრიპტის დასასრულს რუსეთის იმპერატორი კატეგორიულად მოითხოვდა თავისი ელჩისაგან დაუყოვნებლივ და გარკვეულ ფორმაში მოეთხოვა პასუხი ავსტრიის მთავრობისაგან დასმულ კითხვებზე, თანაც გამოეყენებინა ინგლისის ვენელი ელჩი ავსტრიის იმპერატორსა და თუგუტზე ზემოქმედების მოსახდენად. ავსტრიის მთავრობის დადებითი პასუხის შემთხვევაში, პავლე I ერთხელ კიდევ იძლეოდა დაპირებას, რომ ყოველმხრივ დაეხმარებოდა მას— ზღვაზე და ხმელეთზე—საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში[1].

რუსეთის იმპერატორი, ისევე როგორც ინგლისის მთავრობა, სამართლიანად ეეჭვობდნენ ავსტრიის მთავრობის ეეშმარიტი ზრახვების შესახებ. ეს ეჭვები გააძლიერა პეტერბურგსა და ლონდონში გაერცელებულმა ხმებმა იმის შესახებ, რომ საფრანგეთის დირექტორიასა და ავსტრიის მთავრობას შორის ადგილი აქვს ფარულ მოლაპარაკებას. დასახელებული იყო ვიღაც ბ ო ტ ო, რომელიც თითქოს ჩავიდა ვენაში საიდუმლო მისიით დირექტორიის მთავრობის დავალებით. როგორც ა. რაზუმოვსკის 1798 წლის 12 და 31 ოქტომბრის რელაციებიდან ჩანს, თუგუტს მისთვის განუცხადებია, რომ ავსტრიის ბერლინელ ელჩს თავად რეისს გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა ბერლინში სიეიესთან, მაგრამ სიეიესის წინადადებებზე მას მიკიბულ-მოკიბული პასუხი გაუცია[2].

როგორც არაერთხელ იყო აღნიშნული, რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ვენაში ა. რაზუმოვსკი, თავს უფრო ავსტრიელ-გერმანელ არისტოკრატად თვლიდა, ვიდრე რუსეთის წარმომადგენლად. იგი სუსტად იბრძოდა რუსეთის ინტერესების დასაცავად და ავსტრიის სამეფო კარის, კერძოდ თუგუტის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ავსტრიის კოალიციის რიგებში

---

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 108—109, 110-ე შენიშვნა.

[2] А. Васильчиков, დასახ. ნაშრ., ტ. 3. გვ. 262.

ჩაბმის თაობაზე აღმოცენებული დიპლომატიური შეხლა-შემოხლის დროს რაზუმოვსკი უხალისოდ ასრულებდა პეტერბურგიდან მიღებულ მითითებებს და რელაციებში ცდილობდა გაემართლებინა ავსტრიის სამეფო კარის პოზიცია „ობიექტურ“ მიზეზებზე მითითებით. ამიტომ იყო, რომ რუსეთის იმპერატორს განზრახვა ჰქონდა გაეთავისუფლებინა იგი და მის ადგილას ვენაში სხვა დიპლომატი გაეგზავნა. ეს ერთგვარად ვენის მთავრობის პოლიტიკის გაკიცხვა და მისდამი უნდობლობის გამოცხადებაც იქნებოდა. მართალია, პეტერბურგიდან ვენაში გაიგზავნა დიპლომატი კოლიჩევი, მაგრამ არა ელჩის რანგით, არამედ დამხმარედ, კერძოდ, ავსტრიის დასახმარებლად რუსეთიდან გაგზავნილ კორპუსსა და ავსტრიის მთავრობას შორის კავშირის დასამყარებლად [1]. რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილების შეცვლა ალბათ იმით იყო გამოწვეული, რომ ავსტრიის მთავრობამ მხარი დაუჭირა ა. რაზუმოვსკის, ითხოვა მისი დატოვება ძველ ადგილას, თანაც პეტერბურგის მთავრობას აღუთქვა, რომ გადასინჯავდა თავის პოზიციას კოალიციასთან შეერთების საკითხში.

1798—1799 წლების მიჯნაზე ავსტრიის მთავრობის პოლიტიკაში მართლაც მოხდა რუსეთისათვის სასურველი გარდატეხა. ეს გარდატეხა ფაქტორთა მთელი კომპლექსის შედეგს წარმოადგენდა. შეცვლილმა ვითარებამ, რომლის შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი, რუსეთის ზემოქმედება-მუქარამ და ინგლისის მთავრობის დათმობაზე წასვლამ ახალი სუბსიდიის საკითხში, აიძულა ავსტრიის სამეფო კარი ხელი აეღო შემდგომი დაყოვნების პოლიტიკაზე და მოკავშირეებთან ერთად საფრანგეთის წინააღმდეგ გამოსულიყო [2]. ამასთან დაკავშირებით, ავსტრიის მთავრობამ რუსეთსა და სხვა მოკავშირეებს აცნობა ფრანგების წინააღმდეგ ომის წარმოების თავისი გეგმა, რომლის ავტორობა თუგუტს ეკუთვნოდა. ამ გეგმით, მოკავშირეებს (რუსეთს, ავსტრიას და სხვებს), ფრანგების წინააღმდეგ უნდა გაეჩაღებინათ სახმელეთო ოპერაციები იტალიაში, გერმანიასა და შვეიცარიაში [3].

---

[1] პეტერბურგში უკვე შემუშავებული იყო ინსტრუქცია, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა კოლიჩევს, თუ იგი ელჩის რანგით გაიგზავნებოდა ვენაში. ამ ინსტრუქციაში ჩამოყალიბებული იყო რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 109—111, III შენიშვნა.

[2] ამის შესახებ ვრცლად მოგვითხრობს ა. რაზუმოვსკი 1799 წლის 12/23 იანვრის რელაციაში პაველისადმი. იხ. А. Васильчиков. დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 273—277; Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 111—112.

[3] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 1, გვ. 121.

ავსტრიის მთავრობის საბოლოო გადაწყვეტილება—იარაღი აღემართა საფრანგეთის წინააღმდეგ და შესულიყო მეორე ანტიფრანგული კოალიციის რიგებში,—დააჩქარა საფრანგეთის აღმასრულებელი დირექტორიის 1799 წლის 20 იანვრის ანტიავსტრიულმა დეკლარაციამ, გამოქვეყნებულმა რაშტადტის კონგრესზე და საფრანგეთის ჯარების მიერ რაინის აუზში ავსტრიის ჯარების წინააღმდეგ საომარი მოქმედების განახლებამ.

დეკლარაცია ავსტრიელებს ბრალს სდებდა კამპო-ფორმიოს ზავის დარღვევაში და საომარი მოქმედების განახლებაში. რუსეთის ჯარის (როზენბერგის კორპუსი) გაგზავნას დასავლეთისაკენ, გერმანიის მიმართულებით, საფრანგეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, დეკლარაცია მიიჩნევდა საფრანგეთის წინააღმდეგ გადადგმულ მტრულ აქტად თვით ავსტრიის მთავრობის მხრივ. აქედან გამომდინარე, დეკლარაცია მთელ პასუხისმგებლობას ავსტრიის მთავრობას აკისრებდა და აცხადებდა, რომ რესპუბლიკის უშიშროებისათვის საფრანგეთის მთავრობა იძულებულია გამოიყენოს თავდაცვის ყველა საშუალება[1].

ავსტრიის მთავრობამ, რომელსაც უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა, გადაწყვიტა სიტყვიდან საქმეზე გადასულიყო და დარტყმისათვის დარტყმით ეპასუხა, მაგრამ სანამ ამ გადაწყვეტილებას სისრულეში მოიყვანდა, მან რუსეთის მთავრობისაგან სამი პირობის შესრულება მოითხოვა: პირველი, ავსტრიის მთავრობა ითხოვდა გენერალ როზენბერგის კორპუსის მარშრუტისა და დანიშნულების შეცვლას და რაინის აუზის ნაცვლად ჩრდილო იტალიაში გაგზავნას; მეორე, ვენის მთავრობა მოითხოვდა ჩრდილო იტალიაში გაგზავნილიყო აგრეთვე გენერალ გერნანის კორპუსიც, რომელიც თავის დროზე რუსეთის მთავრობამ გამოყო ნეაპოლის სამეფოსათვის დახმარების აღმოსაჩენად, მაგრამ იქ არ ყოფილა გაგზავნილი ფრანგების მიერ ამ სახელმწიფოს ოკუპაციის გამო; მესამე, ვენის სამეფო კარი მოითხოვდა ამ კორპუსების გარდა, გერმანიაში გაგზავნილიყო კიდევ დამატებით რუსეთის ის 45 ათასიანი არმია, რომელიც გათვალისწინებული იყო პრუსიის არმიასთან შესაერთებლად, მაგრამ იმ დროს „თავისუფალი“ იყო ამ მისიისაგან პრუსიის მიერ ნეიტრალიტეტის ბოლომდე შენარჩუნების გამო[2].

---

[1] ამ დეკლარაციის ასლი იხილეთ: Архив ВПР, ф. „Сношения России с Пруссией“, д. 532. л. 138.

[2] ავსტრიის მთავრობის აღნიშნული მოთხოვნები გაუბედავ ფორმებში ჩამოყალიბებული იყო ა. რაზუმოვსკის უკვე ხსენებულ 1799 წლის 12-23 იანვრის რელაციაში. უფრო აშკარად ამ მოთხოვნებს და თავის შეამდგომლობას

რუსეთის სამეფო კარმა შესაძლებლად მიიჩნია დაეკმაყოფილებინა ავსტრიის მთავრობის მიერ წამოყენებული პირობები, რათა ამით მისთვის წაერთმია თავის შეკავებისა და ორპოფობის უკანასკნელი საბაბი; მით უფრო, რომ სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკური მოსაზრებებით ეს პირობები მისაღები იყო რუსეთისათვის [1]. ამის შესატყვისად პავლემ სათანადო განკარგულება გასცა. გენერალ როზენბერგს ებრძანა შეეცვალა მარშრუტი და დაძრულიყო ჩრდილო იტალიის მიმართულებით; გენერალ გერმანის კორპუსს (შემდეგში ამ კორპუსს გენერალი რებინდერი სარდლობდა), თავის მხრივ, ბრძანება მიეცა დაძრულიყო აგრეთვე იტალიისაკენ და შეერთებოდა გენერალ როზენბერგის კორპუსს. დაბოლოს, ნუმსენის (შემდეგში რიმსკი-კორსაკოვის) კორპუსს აგრეთვე ახალი დანიშნულება მიეცა. იგი, გაძლიერებული პრინც კონდეს ემიგრანტული კორპუსით, გერმანიისაკენ უნდა დაძრულიყო ავსტრიისათვის დახმარების აღმოსაჩენად [2].

ამ გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად, პავლემ გამოაქვეყნა ვრცელი დეკლარაცია, რომელშიც მოტივირებული იყო რუსეთის ჯარის გერმანიის ტერიტორიაზე გადასვლისა და იქ მოქმედების საჭიროება და აუცილებლობა. დეკლარაციაში ჩამოთვლილი იყო ის ღონისძიებები, რომლებიც რუსეთის ცარიზმმა ქვეყნის „სასიცოცხლო“ ინტერესების შესატყვისად გაატარა, რათა ევროპაში ბოლო მოღებოდა შფოთის, შიშის და ომის ვითარებას და იქ ხანგრძლივი, მტკიცე მშვიდობა დამყარებულიყო. მაგრამ რუსეთის „მშვიდობისმოყვარე“ მისწრაფებებს, პავლე I-ის აზრით, წარმატება არ მოჰყოლია საფრანგეთის მთავრობის მიზეზით. რუსეთის საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლის საჭიროებას დეკლარაცია ხსნის საფრანგეთის მტრული, აგრესიული აქტებისათვის ზღვარის დადების საჭიროებით და მთელ პასუხისმგებლობას ომის გაჩაღებისათვის საფრანგეთს აკისრებს.

დეკლარაციაში რუსეთის იმპერატორი თავს აცხადებს გერმანიის მეგობრად, მისი მთლიანობისა და ხელუხლებლობის ქომაგად. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ რუსეთი ომში ებმება

რაზუმოვსკი აყალიბებს იმავე თარიღით გაგზავნილ წერილში ა. ბეზბოროდკოსადმი. იხ. А. Васильчиков, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 273—276, 277; Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 1, გვ. 124—125; ტ. 3, გვ. 113.

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 1, გვ. 125.

[2] იქვე, გვ. 126—127.

შოკავშირეებთან ერთად მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ იხსნას გერმანიის იმპერია აუცილებელი დაღუპვისაგან, რომელიც მას მოელის და უზრუნველჰყოს მისი მთლიანობა საფრანგეთის ძველ ტერიტორიულ ფარგლებში შეზღუდვის გზით [1].

ავსტრიის მთავრობამ, სანამ რუსეთის ეფექტურ სამხედრო დახმარებას მიიღებდა და ფრანგების წინააღმდეგ ომს განაახლებდა, კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა: მან რუსეთის იმპერატორს სთხოვა იტალიაში სამოქმედოდ განკუთვნილ მოკავშირეთა (რუსეთისა და ავსტრიის) ჯარების მთავარსარდლად, მოულოდნელად გარდაცვლილ პრინც ფრიდრიხ ორანელის ნაცვლად, დაენიშნა რუსეთის არმიის მხედართუფროსი, ფელდმარშალი ალექსანდრე ვასილის-ძე სუვოროვი, რომელიც მაშინ შერისხული იყო, არმიის რიგებში აღარ იმყოფებოდა და ნოვგოროდის გუბერნიაში სოფელ კონჩანსკოეში (თავის მამულში) ცხოვრობდა [2].

რუსეთის იმპერატორმა შესაძლებლად სცნო ავსტრიის მთავრობის ამ თხოვნის დაკმაყოფილებაც. მართალია თხოვნა ეხებოდა სახელგანთქმულ რუს მხედართმთავარს, რომელიც ჭირივით ეჯავრებოდა პრუსიული სამხედრო სისტემის მათაყვანებელ თვითმპყრობელ დესპოტს, მაგრამ, მეორე მხრივ, რუსი გენერლის მოკავშირეთა არმიის სათავეში მოქცევა აკმაყოფილებდა თვითმპყრობელის პატივმოყვარეობას [3].

ამგვარად, 1799 წლის დასაწყისისათვის წარმატებით დაგვირგვინდა რუსეთის დიპლომატიის ღონისძიებები ავსტრიის მიმართ. ქამპო-ფორმიოს ზავს ხაზი გადაესვა; ავსტრიამ ისევ იარაღი აღმართა საფრანგეთის წინააღმდეგ; ავსტრია-რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი სათანადო პრაქტიკული მოქმედებით განმტკიცდა. ამით არსებითად დამთავრდა რუსეთის მთავრობის დიპლომატიური საქმიანობა, მიმართული მეორე ანტიფრანგული კოალიციის შესაქმნელად.

---

[1] ამ დეკლარაციის მთლიანი ტექსტი, სახელწოდებით: „Déclaration de la cour Impériale de la Russie à l'occasion de l'entrée des troupes russes en Allemagne" გამოქვეყნებული აქვს მილიუტინს. იხ. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 113—115, ციტირებული ადგილი ამოღებულია 115-ე გვერდიდან.

[2] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 1, გვ. 128—129.

[3] Архив князя Воронцова, ტ. 8, გვ. 192. იხ. აგრეთვე, А. Васильчиков, დასახ. ნაშრ. ტ. 3, გვ. 278—279.

4. რუსეთ-ინგლისის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის განმტკიცება

იმ მრავალ ღონისძიებათა შორის, რომლებიც პავლე I-ის მთავრობამ 1798 წლის მეორე ნახევრიდან განახორციელა ახალი ანტიფრანგული კოალიციის გაფორმების საქმეში, აღსანიშნავია ინგლისთან არსებული სამხედრო-პოლიტიკური კავშირის განმტკიცება და მასთან ახალ მეგობრობის ტრაქტატზე ხელის მოწერა 1798 წლის 18/29 დეკემბერს. როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, ჯერ კიდევ 1795 წლიდან, რუსეთი და ინგლისი დაკავშირებულნი იყვნენ ერთმანეთთან 1795 წლის 7/18 თებერვალს დადებული ტრაქტატით მეგობრობისა და საფრანგეთის წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებათა შესახებ[1]. ამ ტრაქტატის დამატებას და განვითარებას წარმოადგენს 1795 წლის 17 სექტემბრის დეკლარაცია სამხედრო კავშირის შესახებ[2], თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვიცე-ადმირალ ხანიკოვის სარდლობით რუსეთის ესკადრის (6 გემისა და 6 ფრეგატის შემადგენლობით) გაგზავნას ინგლისში, ინგლისის ფლოტისათვის დახმარების აღმოსაჩენად, სხვა მხრივ მათ ერთობლივ ღონისძიებას ფრანგთა წინააღმდეგ ადგილი არ ჰქონია.

ცვლილებას რუსეთის საიმპერატორო ტახტზე, სახელდობრ, პავლე I-ის გამეფებას, ინგლისის მთავრობა სინანულით შეხვდა. ინგლისის ელჩი პეტერბურგში უიტვორტი 1797 წლის 6/17 ნოემბრით დათარიღებულ მოხსენებაში, აცნობებდა რა თავის მთავრობას ეკატერინე II-ის გარდაცვალებას, გულისტკივილით აღნიშნავდა ამ ფაქტს და დასძენდა: ახლა რუსეთ-ინგლისის ურთიერთობის მომავალი გაურკვეველია; რუსეთის საგარეო პოლიტიკა ახალი მონარქის პირად შეხედულებაზეა დამოკიდებულია[3]. მართალია დიპლომატიურ წარმომადგენელთა პირველი მიღების დროს პავლემ არ დაიშურა კომპლიმენტები ინგლისის ელჩის უიტვორტის მისამართით და შეეცადა დაერწმუნებინა იგი, რომ ეცდებოდა მომავალშიც შეენარჩუნებინა ინგლისის მთავრობასთან არსებული

---

[1] იხ. ამ ხელშეკრულების სრული ტექსტი, Ф. Мартенс, დასახ. ნაშრ. ტ. 9. (10), გვ. 368—383.

[2] იქვე, გვ. 385—387.

[3] В. Александренко, Император Павел I и англичане (Извлечения из донесений Витворта), „Русская старина", 1898, ტ. 96. ოქტ., გვ. 94.

ორივე ქვეყნის ინტერესებისათვის სასარგებლო ურთიერთობა[1], მაგრამ აღნიშნული აუდიენციის შედეგებს არ აღმოუფხვრია ინგლისში რუსეთის ახალი მმართველობით შექმნილი გაურკვევლობისა და უსიამოვნების შთაბეჭდილება.

ინგლისის მთავრობის პრემიერი პიტი უმცროსი და საგარეო საქმეთა მინისტრი გრენვილი პეტერბურგიდან მიღებული ცნობების საფუძველზე მალე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ რუსეთ-ინგლისის ურთიერთობაში, კერძოდ საფრანგეთის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების საკითხში, მოსალოდნელი იყო ცვლილებები. თუმცა ლონდონში ჯერ კიდევ არ იცოდნენ, თუ როგორი ფასიათისა უნდა ყოფილიყო ან რაში გამოვლინდებოდა ეს ცვლილებები, მაგრამ ამ გაურკვევლობას მალე მოეღო ბოლო, როდესაც უიტვორტის მეშვეობით ლონდონში მიიღეს ოსტერმანის ჩვენთვის უკვე ცნობილი ცირკულარული ნოტა (დათარიღებული 1796 წლის 24 ნოემბრით) ახალი მმართველობის სამშვიდობო განზრახვათა შესახებ[2]; ამ ნოტიდან ინგლისელებმა შეიტყვეს, რომ რუსეთის დამხმარე კორპუსი დასავლეთისაკენ არ გაიგზავნებოდა და არც ინგლისის სუბსიდია იქნებოდა გამოთხოვილი.

რუსეთის მთავრობის აღნიშნული ნაბიჯი, ბუნებრივია, გულისტკივილით იქნა აღქმული ლონდონში[3]. მიუხედავად ამისა მას დიდი მითქმა-მოთქმა არ გამოუწვევია. ინგლისის მთავრობამ მხოლოდ ერთი რამ სთხოვა რუსეთს: არ გაეწვია უკან ინგლისის წყლებში მყოფი თავისი სამხედრო ფლოტი და განეგრძო ინგლისისათვის ზღვაზე დახმარების გაწევა[4].

მაგრამ ინგლისის მთავრობის ეს მოლოდინი და სურვილი არ გამართლდა. პეტერბურგის სამეფო კარმა ანგარიში არ გაუწია თავისი მოკავშირის თხოვნას. მან არა თუ არ დააკმაყოფილა მისი თხოვნა ზღვაზე დახმარების გაწევის შესახებ, არამედ მიიღო გა-

---

[1] „...Vous pouvez être sûr, monsieur,—განუცხადა პავლემ ვიტვორტს,— que je concerverai avec soin les relations, qui existent entre nos deux pays et qui seront également utiles pour tous les deux.“ В. Александренко, დასახ. წერილი, დასახ. ჟურნალში, გვ. 95.

[2] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 1, გვ. 10.

[3] ინგლისის მთავრობამ სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ „Русския знамена, устрашившия уже мысленно Францию, не будут противу ея войск развеваться“. იხ. გრაფ ს. რ. ვორონცოვის 1797 წლის 9/20 იანვრის დეპეშა გრაფ. ოსტერმანისადმი. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 1, გვ.27—28.

[4] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 1, გვ. 28; Ф. Мартенс, დასახ. ნაშრ., ტ. 9(10), გვ. 414.

დაწყვეტილება რუსეთში დაებრუნებინა მაკაროვის ესკადრა, რომელიც ინგლისის წყლებში იმყოფებოდა და ინგლისის ფლოტთან თანამშრომლობდა საფრანგეთის ფლოტის წინააღმდეგ ბრძოლაში ლამანშ-პადეკალეს ზონაში და მოწიჯნავე წყლებში[1]. ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, 1797 წლის აპრილში, კონტრ-ადმირალ მაკაროვს და რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელ ს. რ. ვორონცოვს გაეგზავნათ განკარგულება აღნიშნული ფლოტის მოკლე დროის განმავლობაში სამშობლოში დაბრუნების შესახებ[2]. ს. რ. ვორონცოვისადმი 1797 წლის 5/6 მაისის თარიღით გაგზავნილ წერილში პავლე I, აცნობებდა რა მას კონტრ-ადმირალ მაკაროვისადმი გაგზავნილი რესკრიპტის შინაარსს, მასვე ავალებდა დახმარება აღმოეჩინა რუსეთის ესკადრის სარდლისათვის რუსეთის ფლოტის უკან დაბრუნების საქმეში. ამასთან ერთად, რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელს ევალებოდა დაერწმუნებინა ინგლისის მთავრობა, რომ რუსეთის მთავრობას გულწრფელად სურს შეინარჩუნოს ინგლისთან მეგობრული ურთიერთობა და დამხმარე ესკადრის უკან გაწვევა არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ამ მეგობრული ურთიერთობის გაუარესების ნიშანი[3].

როგორც ჩანს, ინგლისის მთავრობას საწყენად დარჩა რუსეთის ახალი მთავრობის აღნიშნული გადაწყვეტილება, რადგან იგი სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ინგლისის ახალ სამხედრო ლონისძიებებს, მიმართულს საფრანგეთის წინააღმდეგ. პრუსიის და ევროპის მთელ რიგ პატარა სახელმწიფოთა ანტიფრანგული კოალიციიდან გამოსვლისა და დამარცხებული ავსტრიის საეშვო ქცევის პირობებში რუსეთის მეფის ეს ნაბიჯი წარმოადგენდა მორიგ დარტყმას ინგლისის გეგმაზე: ევროპის კონტინენტის სახელმწიფოთა „საზარბაზნე ხორცის“ გამოყენებით, ახალი ძალით გაეჩაღებინა ბრძოლა მისი მეტოქის, საფრანგეთის წინააღმდეგ. ამიტომ იყო, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა გრენვილმა, რომელმაც მოისმინა ს. რ. ვორონცოვის ცნობა რუსეთის მთავრობის აღნიშნული განკარგულების შესახებ, განცვიფრებულმა რუსეთის ელჩს განუცხადა შემდეგი: „...როგორც ჩანს, ამჟამად ბედმა ინება, რომ ინგლისის უბედურებანი შეუჩერებლივ იზრდე-

---

[1] ხანიკოვის ესკადრის ნაწილი 1796 წლის სექტემბერში უკან დაბრუნდა. ინგლისის წყლებში დარჩა სულ 3 გემი და 3 ფრეგატი კონტრ-ადმირალ მაკაროვის სარდლობით.

[2] პავლე I-ის რესკრიპტის. რ. ვორონცოვისადმი, 1797 წლის 8 აპრილის თარიღით, იხ. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 1, გვ. 28.

[3] ЦГАДА, ф. Воронцовых, д. 1882, л. 11.

ბოდეს...“; ინგლისი, გრენვილის სიტყვით, უკვე მიატოვეს პრუსიამ, ესპანეთმა, ჰოლანდიამ და სხვებმა და ახლა რუსეთიც ტოვებს მასო[1].

რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი გრაფი ს. რ. ვორონცოვი, რომელიც, როგორც ცნობილია, ინგლის-რუსეთის მეგობრობისა და მათი საფრანგეთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ქომაგი იყო, თვით არ იზიარებდა რუსეთის ცარიზმის ახალ ნაბიჯს. მას სურდა ამ ორი ქვეყნის კავშირის კიდევ უფრო განმტკიცება და ახალი ანტიფრანგული ბლოკის შეკოწიწება ინგლის-რუსეთის ხელმძღვანელობით. თავის განმარტებებში გრენვილისადმი ინგლისის გაბატონებული არისტოკრატიის ეს მეგობარი შეეცადა დაერწმუნებინა ინგლისის მინისტრი იმაში, რომ რუსეთ-ინგლისის მეგობრობა მომავალშიც იქნებოდა შენარჩუნებული და რომ რუსეთის მთავრობას ოდნავი განზრახვაც კი არ ჰქონდა ამ მეგობრობის საწინააღმდეგო ნაბიჯები გადაედგა. რაც შეეხება დამხმარე ესკადრის უკან გაწვევას, რუსეთის ელჩის აზრით, იგი რუსეთის შინაგანი ვითარებით იყო მოტივირებული[2].

პავლე I-ის მთავრობა, მემკვიდრეობით მიღებული საგარეო პოლიტიკური კურსის შესატყვისად, კერძოდ ბურჟუაზიული საფრანგეთისადმი აღებული სტრატეგიული ხაზის შესაბამისად, მართლაც არ ფიქრობდა ხელი აეღო ინგლისის მიმართ ნაკისრ სამოკავშირო ვალდებულებებზე. მას სურდა მხოლოდ უკან დასახევი გზა თავისუფალი ჰქონოდა და საფრანგეთის რესპუბლიკასთან ომის შემთხვევაში (თუ ევროპის დამშვიდებისა და მეომარ სახელმწიფოთა შორის არბიტრის როლში გამოსვლის გეგმა ჩაეშლებოდა) ინგლისთან ერთად სათავეში ჩასდგომოდა ახალ ანტიფრანგულ კოალიციას. ამიტომ იყო, რომ პავლემ სავსებით მოიწონა ის ახსნა-განმარტება, რომელიც ს. რ. ვორონცოვმა მისცა გრენვილს რუსეთის ესკადრის უკან გამოწვევის ცნობის გადაცემის დროს. ახალ რესკრიპტში, რომელიც დათარიღებულია 1797 წლის 1 ივნისით, რუსეთის იმპერატორმა ერთხელ კიდევ დაავალა რუსეთის ელჩს დაერწმუნებინა ინგლისის მთავრობა: რუსეთ-ინგლისის ტრადიციულ მეგობრობას რუსეთის მთავრობა არ ულალატებსო[3].

---

[1] ვორონცოვის 1797 წლის 12 მაისის რელაცია გრენვილთან საუბრის შესახებ. იხ. ф. Мартенс, დასახ. კრებული, ტ. 9. (10) გვ. 414—415; Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3. გვ. 49—50.

[2] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 49—50; Ф. Мартенс, დასახ. კრებული, ტ. 9 (10), გვ. 415—416.

[3] ЦГАДА, ф. Воронцовых, д. 1882, л. 14.

მაკაროვის დამხმარე ესკადრის უმოკლეს დროში რუსეთში დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების რეალიზაცია რამოდენიმე კვირით დაბრკოლდა. ამის მიზეზი გახდა ინგლისის სამხედრო ფლოტის მეზღვაურთა დიდი აჯანყება. ამ აჯანყებამ იფეთქა 1797 წლის მაისში და მოიცვა სამხრეთ ინგლისის ნავსადგურებში თავმოყრილი სამხედრო ფლოტის დიდი ნაწილი (20-ზე მეტი სამხედრო ერთეული). აჯანყების ბაზები იყო შირნესი და ნორი (ტემზაზე). აჯანყებულებმა ჩაკეტეს ლონდონის საზღვაო მისასვლელები და სროლა აუტეხეს იმ სამხედრო გემებს, რომლებიც არ შეუერთდნენ აჯანყებას. ამ აჯანყებამ უაღრესად კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა „ზღვათა მფლობელი“ ცბიერი ალბიონი. რადგანაც აჯანყებას შეუერთა ადმირალ დუნკანის მოკრეისერე ესკადრის გემთა დიდი ნაწილიც, ინგლისის სანაპიროების დაცვა ფაქტიურად მოიშალა და ინგლისისა და ირლანდიის სანაპიროებზე საფრანგეთის დესანტის გადასხმის რეალური საფრთხე წამოიჭრა[1].

სამხედრო ფლოტის მეზღვაურთა აჯანყების დიდმა მასშტაბმა სერიოზულად დააფრთხო ინგლისის მთავრობა. ამ უკანასკნელმა ლორდ გრენვილის მეშვეობით დაჟინებით სთხოვა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელს ს. რ. ვორონცოვს თავისი ინიციატივით დროებით შეეჩერებინა დამხმარე ფლოტის უკან გაწვევა, და პირიქით, კონტრ-ადმირალ მაკაროვისათვის მითითება მიეცა შეერთებოდა დუნკანის ესკადრას და ხელი შეეშალა ფრანგებისა და ჰოლანდიელების მხრივ ინგლის-ირლანდიის სანაპიროებზე შეჭრის ცდისათვის. გრაფმა ს. რ. ვორონცოვმა ანგარიში გაუწია ინგლისის მთავრობის მძიმე მდგომარეობას და დააკმაყოფილა მისი თხოვნა. მან შეაჩერა რუსეთის დამხმარე ესკადრის უკან დაბრუნებისათვის მზადება, წინადადება მისცა ესკადრის უფროსს შეერთებოდა დუნკანის ესკადრას და აქტიური მონაწილეობა მიეღო ინგლის-ირლანდიის სანაპიროების დაცვაში ფრანგთა და ჰოლანდიელთა მოსალოდნელი თავდასხმისაგან[2].

მაკაროვის ესკადრა გათვალისწინებულ ვადაზე სამი კვირით მეტ ხანს დარჩა ინგლისში. იგი დაეხმარა ინგლისის მთავრობას

---

[1] ინგლისის სამხედრო ფლოტის აღნიშნული აჯანყების შესახებ ვრცლად მოგვითხრობს გრაფი ს. რ. ვორონცოვი ბეზბოროდკოსადმი 1797 წლის 26 მაისს (ი ივნისს) გაგზავნილ წერილში. იხ. Архив князя Воронцова, ტ. 16, გვ. 248—252.

[2] ს. რ. ვორონცოვის აღნიშნული წერილი ბეზბოროდკოსადმი და მისივე ორი წერილი კონტრ-ადმირალ მაკაროვისადმი 1797 წლის 25 მაისის (5 ივნისის) თარიღით. იხ. Архив князя Воронцова, ტ. 16, გვ. 250—252; 305—306.

არა მარტო სანაპიროების დაცვაში, არამედ თვით მეზღვაურთა-აჯანყების ჩახშობაშიც. გრაფმა ს. რ. ვორონცოვმა ინგლისის მთავრობის თხოვნის დაკმაყოფილებისათვის ინგლისის მეფის, პიტისა და გრენვილის მადლობა დაიმსახურა[1].

გრაფ ს. რ. ვორონცოვის გადაწყვეტილების აპრობაცია რუსეთის იმპერატორის მიერ, კიდევ ერთი კონკრეტული დამადასტურებელი საბუთია იმისა, რომ პავლე I რუსეთის წინამორბედი მეფეების საგარეო პოლიტიკის პრინციპების ერთგული იყო და მზად იყო ინგლისთან კავშირში განეგრძო ბრძოლა რესპუბლიკური საფრანგეთის წინააღმდეგ, ამ უკანასკნელის აგრესიის მორიგი წარმატების შემთხვევაში.

1797 წლის დასასრულამდე ინგლის-რუსეთის ურთიერთობაში რაიმე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ რუსეთის დამხმარე ფლოტის აღნიშნულ ოპერაციებს ინგლისის ფლოტთან ერთად, ამ ორი სახელმწიფოს თანამშრომლობა საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლაში სხვა მხრივ არ გამოვლენილა. ინგლისის დიპლომატიის ენერგიულ ზემოქმედებას რუსეთზე, რათა ეს უკანასკნელი კიდევ უფრო მჭიდროდ დაკავშირებოდა მას და ეფექტური დახმარება აღმოეჩინა მისთვის ზღვაზე და ხმელეთზე, წარმატება არ ჰქონია[2]. თვით ინგლისიც, სადაც ყოველდღიურად იზრდებოდა მასების უკმაყოფილება გაჭიანურებული ომის გამო, ევროპის კონტინენტური მოკავშირეების მიერ მიტოვებული, იძულებული გახდა დაეწყო მოლაპარაკება საფრანგეთთან ომის შეწყვეტისა და ზავის დადების თაობაზე. აღნიშნული მოლაპარაკება დაიწყო 1797 წლის ივნისის ბოლოს საფრანგეთის ქალაქ ლილში. ეს მოლაპარაკება რამოდენიმე კვირას მიმდინარეობდა. აღნიშნული გაჭიანურებული და წარმატებას მოკლებული მოლაპარაკება ერთ-ერთ დაბრკოლებად იქცა ინგლის-რუსეთის შემდგომი დაახლოების გზაზე.

მართალია, ინგლისი თვით აწარმოებდა მოლაპარაკებას საფრანგეთის რესპუბლიკასთან დაზავების თაობაზე, მაგრამ ამ მოლაპარაკების მსვლელობაში ინგლისის დიპლომატია გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ბერლინსა და უდინოში წარმოებულ მოლაპარაკებებს. იგი შეშფოთებული იყო რუსეთ-საფრანგეთის, საფრანგეთ-პრუსიისა და საფრანგეთ-ავსტრიის მოლაპარაკებათა მოსა-

---

[1] იხ. ვორონცოვის 1797 წლის 17/28 ივნისის წერილი ბეზბოროდკოსადმი, Архив князя Воронцова, ტ. 16, გვ. 308—309.

[2] Архив князя Воронцова, ტ. 16, გვ. 309, დასახ. წერილი.

ლოდნელი წარმატებების პერსპექტივებით და ძალ-ღონეს არ იშურებდა ამ მოლაპარაკებათა ჩასაშლელად. წინასწარ დარწმუნებული იყო რა საფრანგეთ-ინგლისის მოლაპარაკების ჩაშლის აუცილებლობაში, ინგლისის დიპლომატია საფრანგეთის წინააღმდეგ ახალ სამხედრო და ფინანსურ ღონისძიებებს ახორციელებდა და, ბუნებრივია, ევროპული მოკავშირეებისათვის იბრძოდა. ინგლისელი დიპლომატები ბერლინში, პეტერბურგსა და ვენაში მეთოდურად მუშაობდნენ საფრანგეთ-რუსეთის მოლაპარაკების ჩასაშლელად, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა საფრანგეთ-რუსეთის ომი. სწორედ ამიტომ ინგლისის დიპლომატიის საქმიანობის ფოკუსში ამ პერიოდის განმავლობაში იყო საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ახალ მოკავშირეთა შეძენა [1].

კამპო-ფორმიოს საზავო ხელშეკრულების დადებამ გააძლიერა ინგლისში საომარი განწყობილება და დააჩქარა ლილის მოლაპარაკების კრახი. ლილის მოლაპარაკების ჩაშლის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა ინგლის-საფრანგეთს შორის ომის (კერძოდ საზღვაო ომის) ახალი ძალით განახლება. ამან კი, თავის მხრივ, გააძლიერა ინგლისის მთავრობის აქტივობა რუსეთის ომში ჩაბმის დასაჩქარებლად.

იმის შემდეგ, რაც ჩაიშალა ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება და ახალი ძალით გაჩაღდა ბრძოლა ამ ორ მოსისხლე მეტოქეს შორის, გაძლიერდა ინგლისის დიპლომატიის საქმიანობა ევროპის კონტინენტის ფეოდალურ-მონარქიულ სახელმწიფოებთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის განსამტკიცებლად; უფრო სწორად, გაათკეცდა მისი მისწრაფება დამატებითი სუბსიდიებით მოესყიდა რუსეთის, ავსტრიის, თურქეთის, ნეაპოლის, პრუსიის, გერმანიის პატარა სახელმწიფოების მმართველები და მიეღო მათგან მეტი რაოდენობის „საზარბაზნე ხორცი". მართალია, ინგლისის მესვეურებმა კარგად იცოდნენ, რომ საფრანგეთის დამარცხება მხოლოდ კონტინენტური მოკავშირეების ძალების გამოყენებით შეიძლებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ინგლისელი დიპლომატები ცალკეულ სახელმწიფოებთან „მეგობრობა-თავდაცვითი" ხელშეკრულების დადების თაობაზე გამართული მოლაპარაკებების დროს

---

[1] ს. ს. ტატიშჩევი მართალი იყო, როდესაც წერდა, რომ ავსტრია და ინგლისი, რომლებიც თვით აწარმოებდნენ უდინოსა და ლილში მოლაპარაკებას ფრანგებთან, ამავე დროს ენერგიულად იბრძოდნენ საფრანგეთ-რუსეთის დაახლოების ჩასაშლელად. Tatistcheff, Paul et Bonaparte, „La Nouvelle Revue", 1887, ტ. 47, წიგნები III და IV, გვ. 652.

მევახშისათვის დამახასიათებელ წვრილმანობას იჩენდნენ. ისინი ფულით სისხლს ყიდულობდნენ და ყოველ გირვანქა სტერლინგზე, ყოველ ჯარისკაცზე დაობდნენ. ინგლისში დიდად აფასებდნენ რუსეთთან კავშირს და მისი დიდი სამხედრო ძალის გამოყენებას. ამიტომ იყო, რომ 1798 წლის დასაწყისიდან, 1795 წლის ხელშეკრულების თანახმად, ინგლისის მთავრობამ რამდენჯერმე დააყენა საკითხი რუსეთის მთავრობის წინაშე ამ უკანასკნელის მხრივ სამხედრო-საზღვაო და სახმელეთო ძალებით დახმარების აღმოჩენისა და ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების შესახებ[1].

რუსეთის ცარიზმმა, რომელიც მაშინ უკვე აქტიურად მოქმედებდა ანტიფრანგულ კოალიციის შესაქმნელად, რაც ინგლისის მონაწილეობის გარეშე, ცხადია, წარმოუდგენელი იყო, გაიზიარა ინგლისის მთავრობის წარდგინება, დადებითი აქციით უპასახა მას. რუსეთმა, პირველ ყოვლისა, ინგლისის დასახმარებლად გაგზავნა ორი ესკადრა ვიცე-ადმირალ მაკაროვისა და ვიცე-ადმირალ ტემასის ხელმძღვანელობით, თანაც ბალტიის ფლოტის ძირითად შემადგენლობას ადმირალ კრუზეს სარდლობით ბრძანება მიეცა მოეწყო კრეისირება ბალტიის ზღვაზე და მეთვალყურეობა დაეწესებინა ზუნდისა და ორივე ბელტის გასასელელებზე[2]. ეს მოხდა 1798 წლის აპრილში.

დაახლოებით ამავე დროს დაიწყო ინგლის-რუსეთის მოლაპარაკება ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებისა და რუსეთისათვის სუბსიდიის მიცემის თაობაზე. მოლაპარაკება წარმოებდა ლონდონსა და, ძირითადად, პეტერბურგში ერთსა და იმავე დროს. 1798 წლის მაისში უიტვორტმა ინგლისის მთავრობის დავალებით რუსეთის კანცლერ ა. ბეზბოროდკოს წარუდგინა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტი. ამ პროექტით ინგლისი ვალდებულებას კისრულობდა რუსეთისათვის ყოველთვიურად მიეცა სუბსიდია 100.000 გირვანქა სტერლინგის რაოდენობით[3].

---

[1] ასე, მაგალითად, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი გრენვილი ინგლისის ელჩს რუსეთში უიტვორტს 1798 წლის 14 იანვრის წერილში კატეგორიულ წინადადებას აძლევდა ენერგიულად მოეთხოვა რუსეთის მთავრობისაგან დახმარება საზღვაო და სახმელეთო ძალებით. იხ. Ф. Мартенс, დასახ. კრებული, ტ. 9(10), გვ. 416. ინგლისის მთავრობის ამ თხოვნის შესახებ ცნობას იძლევა ა. ბეზბოროდკოც ფელდმარშალ ვ. რეანინისადმი 1798 წლის 23 აპრილს გაგზავნილ წერილში. იხ. ЦГАДА, ф. Панинных, д. 283, лл. 1—2.

[2] იხ. ბეზბოროდკოს ზემოხსენებული წერილი ვ. რეანინისადმი ЦГАДА, ф. Панинных, д. 283, лл. 1—2; Д. Михютин, დასახ. ნაშრ., ტ. 1' გვ 55.

[3] Ф. Мартенс, დასახ. კრებ., ტ. 9(10), გვ. 417.

სამოკავშირეო ხელშეკრულების ინგლისური პროექტი მიუღებელი იყო რუსეთისათვის. იგი ბევრს მოითხოვდა რუსეთისაგან და უმნიშვნელოს ჰპირდებოდა მას. ამიტომ მოლაპარაკების გაგრძელება ამ პროექტის საფუძველზე რუსეთის დიპლომატიის მიერ არასასურველად იქნა ცნობილი.

ს. რ. ვორონცოვისადმი 1798 წლის 20 სექტემბერს გაგზავნილ რესკრიპტში გამოთქმულია პავლეს აშკარა უკმაყოფილება მომავალი ტრაქტატის ინგლისური პროექტის გამო, რადგანაც იქ „...предполагаются разныя сокращения противу того, что в сообщенном с нашей стороны было предложено". რუსეთის ელჩს ამ რესკრიპტით წინადადება ეძლეოდა დაესვა საკითხი ინგლისის მთავრობის წინაშე, რათა ამ უკანასკნელს შეეცვალა თავისი პოზიცია და შეთანხმების საფუძვლად მიეღო ის პროექტი, რომელიც თავის დროზე რუსეთის მიერ იყო წარდგენილი [1].

რუსეთის მთავრობის მტკიცე პოზიციამ თავისი გაიტანა. მან აიძულა ინგლისის მთავრობა დათმობაზე წასულიყო და მნიშვნელოვნად შეეცვალა მომავალი ხელშეკრულების თავდაპირველი პროექტი. ხელშეკრულების ახალი პროექტი, რომლის საფუძველზედაც გრენვილი ავალებდა უიტვორტს (1798 წლის 31 აგვისტოს დეპეშით) განეგრძო მოლაპარაკება ხელშეკრულების დადების მიზნით, ითვალისწინებდა რუსეთისათვის სუბსიდიის მნიშვნელოვნად გადიდებას და იმ ჯარისკაცთა რიცხვის შემცირებას, რომელნიც რუსეთს უნდა გამოეყვანა მიღებული სუბსიდიის ანგარიშში [2]. მოლაპარაკების პროცესში ინგლისი იძულებული გახდა კვლავ ნაწილობრივ დათმობაზე წასულიყო და ფაქტიურად რუსეთის თვალსაზრისი გაეზიარებინა. 1798 წლის 18/29 დეკემბერს მოლაპარაკება დამთავრდა პეტერბურგში ინგლის-რუსეთის ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებით [3].

ინგლის-რუსეთის ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება სულ ათი მუხლისაგან შედგებოდა.

ხელშეკრულების პირველი მუხლი ითვალისწინებდა ჰოლანდიაში შტატჰალტერობის აღდგენას საფრანგეთის დამარცხების

---

[1] Архив ВПР. ф. „Сношения России с Англией", д. 491, лл. 20—22.

[2] Ф. Мартенс, დასახ. კრებული, 9(10), გვ. 417—418.

[3] რუსეთის მხრივ მას ხელი მოაწერეს ა. ბეზბოროდკომ, ვ. კოჩუბეიმ და ფ. როსტოპჩინმა, ინგლისის მხრივ კი—ინგლისის ელჩმა უიტვორტმა. იხ. Ф. Мартенс, დასახ. კრებული, ტ. 9(10), გვ. 418.

შემდეგ, ხელმომწერ სახელმწიფოების ერთობლივ ღონისძიებას პრუსიის ომში ჩასაბმელად (რისთვისაც იგი ტერიტორიული გაფართოების დაპირებით უნდა წაეხალისებინათ), რუსეთის 45-ათასიანი კორპუსის დახმარებას პრუსიისათვის, თუ იგი ხელს აიღებდა ნეიტრალიტეტზე და საფრანგეთის წინააღმდეგ ომში ჩაებმებოდა.

მეორე მუხლი ისევ პრუსიის დასახმარებლად გამოყოფილი კორპუსის ლაშქრობისა და მოქმედების საკითხს ეხებოდა.

მესამე და მეოთხე მუხლი განსაზღვრავდა რუსეთისათვის მოცემულ სუბსიდიას, სუბსიდიის რაოდენობას, გაცემის წესს და ა. შ. ინგლისი ვალდებულებას კისრულობდა რუსეთის 45 ათასიანი დამხმარე კორპუსის დასავლეთისაკენ დაძვრის მომენტიდან გადაეხადა ამ კორპუსის პირველი გადაუდებელი ხარჯების დასაფარავად 225.000 გირვ. სტერლინგი (სამ ვადაში 75—75 ათასი გირვ. სტერლინგის რაოდენობით შვიდი თვის მანძილზე). გარდა ამისა, ინგლისი ვალდებულებას კისრულობდა რუსეთის დამხმარე კორპუსის რუსეთის საზღვრებიდან გასვლის მომენტიდან რუსეთისათვის ყოველთვიურად 12 თვის განძავლობაში ეხადა 75.000 გირვ. სტერლინგი, ხოლო ომის გაჭიანურების შემთხვევაში სუბსიდიის გაგრძელების საკითხი ცალკე უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი.

მეხუთე მუხლით ხელმომწერი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებდნენ არ დაედოთ მტერთან სეპარატული ზავი. ამავე მუხლის ძალით, თუ ინგლისი რაიმე მიზეზის გამო იძულებული გახდებოდა შეეწყვიტა მტერთან ომი და რუსეთისათვის სუბსიდიის ძლევა, იგი ვალდებული იყო სუბსიდიის შეწყვეტის მომენტისათვის გადაეხადა რუსეთისათვის სამი თვის სუბსიდია ერთად (ე. ი. 225 ათასი გირვ. სტერლინგი).

მეექვსე, მეშვიდე და მერვე მუხლები ეხებოდა ისევ სუბსიდიის საკითხის ცალკეულ დეტალებს, კერძოდ რუსეთის ვალდებულებას პრუსიის ომში ჩაბმის შემთხვევაში და ინგლისის უფლებას შეეწყვიტა სუბსიდიის ძლევა რუსეთისათვის ამ უკანასკნელის მიერ თავისი ჯარის უკან გაწვევის შემთხვევაში და სხვ.

ხელშეკრულების მეცხრე მუხლში აღნიშნული იყო ამ ტრაქტატის დროებითი ხასიათი იმ დროამდე, სანამ პრუსია არ ჩაებმება ომში. ამავე მუხლით რუსეთის მთავრობა ვალდებულებას იღებდა პრუსიის მომავალი პოზიციის მიუხედავად, დაუყოვნებლივ

შეემზადებინა და დასავლეთისაკენ დაეძრა 45 ათასიანი კორპუსი. მეათე მუხლი ეხებოდა ტრაქტატის რატიფიკაციის საკითხს[1].

ინგლის-რუსეთის 1798 წლის 18/29 დეკემბრის სამოკავშირეო ხელშეკრულება ითვალისწინებდა რუსეთის მიერ დამატებითი ჯარის გაგზავნას დასავლეთისაკენ საფრანგეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, რის სანაცვლოდაც ინგლისი ვალდებულებას კისრულობდა სუბსიდია მიეცა რუსეთისათვის. ამრიგად, ეს ხელშეკრულება, აგებული ორმხრივი ვალდებულების პრინციპზე, თითქოს თანაბრად სასურველი და მისაღები იყო ორთავე ხელმომწერი სახელმწიფოსათვის და ამ სახელმწიფოთა ინტერესებს შეესატყვისებოდა. მაგრამ ეს ხელშეკრულება, არსებითად, უფრო ინგლისის ინტერესებს ემსახურებოდა, ვიდრე რუსეთისას. ხელმომწერ სახელმწიფოთა მიერ ნაკისრი ვალდებულებები არათანაბარი იყო. ინგლისი, რომელიც მსოფლიო ბანკირს წარმოადგენდა, რუსეთს ფულს აძლევდა, რის ანგარიშშიც რუსეთს 45 ათასიანი არმია უნდა გამოეყვანა და საფრანგეთის წინააღმდეგ ომში ჩაება. ამ არმიას სისხლი უნდა დაეღვარა ინგლისის გაბატონებული კლასების ინტერესებისათვის. ეს იყო „სხვისი ხელით ნარის გლეჯის" ინგლისური პოლიტიკის ერთ-ერთი კონკრეტული გამოხატულება. ამასთან ერთად, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ 1798 წლის 18/29 დეკემბრის ხელშეკრულების დამატებით, რომელიც უფრო გვიან—1799 წლის 11/22 ივნისს—იქნა ხელმოწერილი, რუსეთი ვალდებულებას კისრულობდა დამატებითი სახმელეთო და საზღვაო ძალები გამოეყო, დაემორჩილებინა ისინი ინგლისის სარდლობისათვის და გაეგზავნა ჰოლანდიაში სამოქმედოდ[2]. ჰოლანდიის

---

[1] ამ ტექტიკის სრული ტექსტი ფრანგულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებული აქვს მარტენსს დასახელებულ კრებულში. იხ. Ф. Мартенс, დასახ., კრებ., ტ. 9(10), გვ. 418—425. იხ. აგრეთვე ა. ბეზბოროდკოს 1798 წლის 6 დეკემბრის წეოილი ს. ვორონცოვისადმი. Сб. РИО, ტ. 26, გვ. 413.

[2] ამ ხელშეკრულების ლოგიკურ განვითარება-დამატებას წარმოადგენდა რუსეთ-ინგლისის 1799 წლის 11/22 ივნისის სამოკავშირეო კონვენცია და, როგორც მისი დამატება, 1799 წლის 18/29 ივნისის დამატებითი კონკენცია. კონვენციის ასლი, იხ. ЦГАДА, ф. Панины, д. 328, лл. 1—11.

ეს დამატებითი აქტები გაფორმდა მაშინ, როდესაც მეორე ანტიფრანგული კოალიციის შენობა მთლიანად აგებული იყო და ზღვაზე და ხმელეთზე საფრანგეთის წინააღმდეგ აქტიური შეტევითი ოპერაციები იყო გაჩაღებული.

ახალი კონვენციის ობიექტს ჰოლანდია ანუ შეერთებული პროვინციები წარმოადგენდა, ის ითვალისწინებდა ერთობლივ სახღვაო და სახმელეთო ოპერაციებს ჰოლანდიის ფრანგებისაგან გასაწმენდად და იქ ძველი მმართველობის აღსადგენად. ამ მიზნის მისაღწევად რუსეთის იმპერატორი თანხმობას აცხა-

მიმართ რუსეთს არავითარი ინტერესი არ ამოქმედებდა. ამიტომ მისი მზადყოფნა—რუსი ჯარისკაცების სისხლი დაღვრილიყო ჰოლანდიის გასანთავისუფლებლად, წარმოადგენდა რუსეთის დათმობას ინგლისის მიმართ. ინგლისი კი, როგორც ცნობილია, დიდად იყო დაინტერესებული ფრანგთა ბატონობის დამაობით და ძველი მმართველობის აღდგენით ჰოლანდიაში, მისი ფლოტის და კოლონიების ხელში ჩაგდებით, თვით მისი პლაცდარმის თავისი გავლენისათვის დაქვემდებარებით. ამ მამატებითი ხელშეკრულებით ინგლისს სურდა რუსეთის სამხედრო ძალა გამოეყენებინა თავისი სავაჭრო-კოლონიური ინტერესებისათვის, ე. ი. ანგარული მიზნებისათვის, რომელთაც არაფერი საერთო არ ჰქონდათ ომის „განმათავისუფლებელ“ ამოცანებთან.

რ. ლანინი აღიარებს, რომ რუსეთმა მართლაც დაუთმო ინგლისს ჰოლანდიის საკითხში. მაგრამ იგი ფიქრობს, რომ ეს დათმობა არ მომხდარა ერთგვარი კომპენსაციის გარეშე. ასეთი კომპენსაცია, მისი აზრით, კუნძული მალტა იყო. მართალია, მალტის შესახებ, წერს იგი, ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს საკითხი დაისვა მოლაპარაკების პროცესში და ინგლისმა სიტყვიერი იმედის აღმძვრელი დაპირება მისცა რუსეთს, სახელდობრ, აღუთქვა მას, რომ ამ კუნძულის ფრანგებისაგან განთავისუფლების შემდეგ იგი ისევ ორდენს და მის მაგისტრს დაუბრუნდებოდა [1].

ლანინის ეს ვარაუდი შესაძლებელია სიმართლესთან ახლოს იყოს. საკვლევით შესაძლებელია, რომ ინგლისის დიპლომატიამ მოლაპარაკების წარმატების მიზნით მართლაც მიეართა ასეთ ხერხს და რუსეთის მიმართ მალტის საბით გაუნაღდებელი თამასუქი გასცა [2], მაგრამ ეს ვარაუდი ოდნავადაც არ ცვლის ვითარებას. რუსეთმა რეალური ვალდებულება იკისრა ინგლისის მიმართ ჰოლანდიის საკითხში, თვითონ მიიღო მხოლოდ სიტყვიერი, გაურკვეველი დაპირება, რომლის რეალიზაციის შესახებ დაპირების გამცემი მხარე სერიოზულად არც კი ფიქრობდა. მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ, ინგლისის შემდგომმა პოლიტიკამ მალტის

დებდა გამოეყო ჰოლანდიის ექსპედიციისათვის ფეხოსანთა 17 ბატალიონი, არტილერიტთა ორი ასეული, სასანგრე ასეული და ჰუსართა ესკადრონი, სულ 17. 593 კაცი. ф. Мартенс, დასახ. კრებ., გვ. 430—441; Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 98.

[1] Р. Ланин, დასახ. წერილი, გვ. 40.

[2] ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ გრენვილს მოლაპარაკების პროცესში მართლაც ჰქონია საუბარი ს. ვორონცოვთან. მალტის თაობაზე იხ. ЦГАДА, ф. Паниных, д. 327, лл. 14—16.

საკითხში სავსებით ნათელყო რამდენად ვერაგულად მოქმედებდა ინგლისი რუსი მოკავშირის მიმართ, რამდენად ცბიერი ხასიათი ჰქონდა მის სიტყვიერ ვალდებულებას კუნძულ მალტისადმი. შესაძლებელია რუსეთის იმპერატორმა ინგლისისათვის ხელსაყრელი ვალდებულება იმიტომაც იკისრა, რომ მასაც სურდა მოლაპარაკების წარმატებით დასრულება და ანტიფრანგული კოალიციის მის მიერ გათვალისწინებულ ვადაში გაფორმება. როგორც არ უნდა ყოფილიყო, ჰოლანდიაში ჯარის გაგზავნის ვალდებულებით პავლე I-ის მთავრობამ ინგლისის მიმართ მნიშვნელოვანი დათმობა გააკეთა.

* * *

სხვა ღონისძიებებთან ერთად, რომლებიც პავლეს მთავრობამ მეორე ანტიფრანგული კოალიციის შექმნის პროცესში, 1799 წლის ომის წინ გაატარა საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, აღსანიშნავია ეკონომიური ხასიათის სანქციის გამოყენება.

მართალია, 1799 წლის წინ საფრანგეთსა და რუსეთს შორის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა არ არსებობდა. ამიტომ პირდაპირი ეკონომიური სანქციის გამოყენება საფრანგეთის წინააღმდეგ რუსეთის მთავრობას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო. ამიტომ რუსეთის სანქციები მიმართული იყო ევროპის იმ ნეიტრალური ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც ნორმალურ სავაჭრო ურთიერთობას აწარმოებდნენ როგორც რუსეთთან, ისე საფრანგეთთან. ასეთ ქვეყნებს ეკუთვნოდნენ პრუსია, გერმანიის ზოგიერთი პატარა სახელმწიფო, თავისუფალი ქალაქი ჰამბურგი, შვეცია და დანია. ნეიტრალურ ქვეყნებს რუსეთში ან საფრანგეთში შეჰქონდათ არა მარტო თავიანთი და კოლონიური ნაწარმი, არამედ თვით ფრანგული ნაწარმი—რუსეთში და რუსული—საფრანგეთში. ასე, რომ მათ ვაჭრობას საშუამავლო ხასიათიც ჰქონდა. პრუსიელი და ჰამბურგელი ვაჭრები რუსეთში ყიდულობდნენ გაცილებით მეტ ხეტყეს, ტილოს, ქერელს და ზოგიერთ სხვა ნაწარმს, ვიდრე მათი საკუთარი ქვეყნისათვის იყო საჭირო, და „ნარჩენს“ საფრანგეთში ასაღებდნენ. ეს კი რუსეთისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნისათვის აშკარა ხელშეწყობას წარმოადგენდა. რუსეთის მთავრობამ პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა, რათა ნეიტრალური ქვეყნებისათვის ხელი შეეშალა—მოემარაგებინათ საფრანგეთი მისთვის მეტად საჭირო რუსული ნედლეულით.

ჩვენს ხელთ არის პავლე I-ის 1799 წლის 8/19 თებერვლით დათარიღებული რესკრიპტი რუსეთის ბერლინელი ელჩისადმი, ნ. პ. პანინისადმი, რომლითაც რუსეთის იმპერატორი აუწყებდა თავის ელჩს, რომ რუსეთის მთავრობას განზრახვა აქვს მომავალში კონფისკაცია უყოს პრუსიელი ვაჭრების მიერ რუსეთში შესყიდულ იმ საქონელს (ხე-ტყე, ტილო და სხვ.), რომელიც, შემოწმებული ცნობებით, განკუთვნილია პრუსიიდან (კენიგსბერგის გზით) საფრანგეთში გასატანად [1].

---

[1] Архив ВПР, ф. „Сношения России с Пруссией", 1799, д. 532 лл. 26—27.

თ ა ვ ი VII

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა მეორე ანტიფრანგული კოალიციის შექმნიდან მის დაშლამდე. რუსეთის ომი საფრანგეთთან 1799 წელს

1. მეფის რუსეთის ამოცანები მეორე ანტიფრანგულ კოალიციაში

1799 წლის დასაწყისისათვის პავლე I-ის მთავრობის ხანგრძლივი დიპლომატიური და სამხედრო-პოლიტიკური მზადება მეორე ანტიფრანგული კოალიციის შექმნისათვის წარმატებით დაგვირგვინდა. პრუსიაზე მოხდენილი უკანასკნელი ზემოქმედების წარუმატებლობის მიუხედავად, ევროპის სახელმწიფოთა ანტიფრანგული კოალიცია მაინც გაფორმდა და ამოქმედდა. შეიქმნა ინგლისის, მეფის რუსეთის, ჰაბსბურგთა მონარქიის, თურქეთის იმპერიისა და ნეაპოლის სამეფოს მძლავრი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი.

მეორე ანტიფრანგული კოალიციის შექმნის საქმეში წამყვანი როლი მეფის რუსეთმა შეასრულა (ინგლისთან ერთად, რომლის როლიც არა ნაკლები იყო). ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ მან მიზნად დაისახა ყოფილიყო ამ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ხელმძღვანელი და ანტიფრანგული ბრძოლის მებაირახტრე[1].

---

[1] რუსეთის ცარიზმის მესვეურები მაშინაც კი, როდესაც ანტიფრანგულ კოალიციას მხოლოდ საფუძვლები ეყრებოდა, აშკარად აცხადებდნენ, რომ რუსეთმა უნდა ითავოს „ევროპის დაწყნარების“ და „ტახტებისა და საკურთხევლების“ აღდგენის „საპატიო მისიის“ ხელმძღვანელობა. „Необходимо, чтоб нам иметь больше развязанные руки, — წერდა კანცლერი ა. ბეზბოროდკო ნ. პანინს 1798 წლის 14 ივლისის წერილში, — когда решимся мы при новом раз-

მეფის რუსეთმა, იშიშვლა რა ხმალი საფრანგეთის წინააღმდეგ და ინგლისის და კონტინენტური ევროპის სახელმწიფოთა ანტიფრანგული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ორგანიზაცია ითავა, ამასთან დაკავშირებით გარკვეული ამოცანები დაისახა. ძირითადად ეს ის ამოცანები იყო, რომელთა რეალიზაციასაც ცდილობდა იგი 1798 წლის დასაწყისამდე საფრანგეთთან შეთანხმების გზით.

როგორი იყო ეს ამოცანები?

1799 წლის 20 აპრილს პავლე I-მა შვეიცარიაში ფრანგების წინააღმდეგ მოქმედებისათვის განკუთვნილი რუსეთის კორპუსის სარდლის გენერალ რიმსკი-კორსაკოვის სახელზე გამოაქვეყნა უმაღლესი ბრძანებულება, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა მას რუსეთის საზღვრიდან გასვლის შემდეგ. ეს ბრძანებულება წარმოადგენდა მანიფესტისმაგვარ დოკუმენტს. მასში ჩამოყალიბებული იყო ის მოტივები და მიზნები, რამაც აიძულა პავლე I-ის მთავრობა ეშიშვლა ხმალი საფრანგეთის წინააღმდეგ.

ინსტრუქციაში პავლე I აღნიშნავდა, რომ მან იკისრა ყოფილიყო ამ ომის მთავარი მოქმედი პირი და გაგზავნა სახმელეთო და საზღვაო ძალები მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად (ჩამოთვლილია კონკრეტულად—ვ. დ.). იგი ხაზს უსვამდა კოალიციის წმინდა, დაურღვეველ და უანგარო ხასიათს: პოლიცია თითქოს, ამხედრდა კაცობრიობის მტრის, ღვთის მგმობისა და ხელისუფალთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალის წინააღმდეგ. საფრანგეთის წინააღმდეგ. ამ ძალის განადგურება, მისი წარმატებისათვის ზღვარის დადება, მისი „გადამდები" გავლენის ლიკვიდაცია, მისთვის ძალით და ვერაგობით მიტაცებული სამფლობელოების ჩამორთმევა და ძველ ფარგლებში მოქცევა, ძველი კანონიერი მეფობის თავის ტახტზე აღდგენა,—აი რა ამოცანები ამოქმედებდა, ამ ინსტრუქციის თანახმად, იარაღასხმულ და მტერზე ამხედრებულ კოალიციას [1].

рыле явиться на сцену сперва стороною помощною, а потом, смотря по нужде и возможности, и одною из главенствующих". იხ. Сб. РИО. ტ. 29, გვ. 404.

[1] Соединяясь с Римским императором и королем Великобританским, вооружаемся и идем мы единодушно на врага человечества, противоборника властей, преступника закона Божия. и возстаем на возставшего на благоденствие целого света.. Союз наш есть свят, ненарушим и безкорыстен. Дождавшись удобного времени и убождены будучи

თუ ამ ინსტრუქციას ვერწმუნებით, ინგლისის, რუსეთის და ავსტრიის სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს (თურქეთთან და ნეაპოლის სამეფოსთან ერთად რასაკვირველია—ვ. დ.) საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში კეთილშობილური განმათავისუფლებელი მისია ამოქმედებდა. ბუნებრივია, რომ ასეთივე უნდა ყოფილიყო ამ კოალიციის „მთავარი მომქმედი პირის", მეფის რუსეთის ამოცანაც.

ის რევოლუციამდელი რუსი ისტორიკოსები, რომლებიც პავლე I-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკის იდეალიზაციას ეწევიან, მოტანილ ინსტრუქციაში გატარებულ აზრს სრულ ჭეშმარიტებად მიიჩნევენ და მას პავლე I-ის ნამდვილი განზრახვის ასახვად თვლიან.

ს. ტატიშჩევი, მაგალითად, პავლეს უწოდებს „ტახტთა და საკურთხეველთა აღმადგენელს", „განმათავისუფლებელს", „მშვიდობისმყოფელს", „ევროპის მხსნელს", ისეთ მონარქს, რომელსაც კოალიციაში ჩაბმის დროს არავითარი სხვა ინტერესები არ ამოქმედებდა, გარდა ბურბონთა ტახტის აღდგენისა საფრანგეთში და კანონიერი წესების აღდგენისა ევროპაში[1].

ს. ტატიშჩევის და მის მსგავს რუს ისტორიკოსთა ამგვარ შეხედულებას, რასაკვირველია, არაფერი საერთო არ აქვს სიმართლესთან. სინამდვილეში მეფის რუსეთი ძალზე შორს იყო განმათავისუფლებელ, კეთილშობილურ მისწრაფებათაგან, იმ უანგარო მისიისაგან, რომელსაც მას მიაწერენ ფრანგებთან ბრძოლის პროცესში. პავლე I-ს, რუსეთის თვითმპყრობელ დესპოტს, ყოველგვარი განმათავისუფლებელი, დემოკრატიული იდეების წინააღმდეგ დაუნდობელ მებრძოლს, ფეოდალური თავადაზნაურობის, სამხედრო ხროვისა და ვაჭართა ზედაფენის ინტერესებისათვის

просьбою союзников наших, приняли Мы наконец на себя главнейшее в сей войне действующее лица..." იხ. Д. Милютин, დასახ. ნაშრ. ტ. 3, გვ. 252.

[1] „Задача, преследуемая императором Павлом. — წერს ს. ტატიშჩევი — была несравненно шире, величественнее. Приступая к коалиции он имел в виду ничто иное, как возстановление престола Бурбонов во Франции и законного порядка в Европе". С. С. Татищов, Император Павел. Война 1799 года. „Русский архив", 1912 г. № 12, გვ. 467; ამასვე ამტკიცებდა დ. მილიუტინიც, რომელიც წერდა: „Император Павел постоянно имел в виду одну лишь цель—успокоение Европы возстановлением королевского престола во Франции". Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 112.

მებრძოლს არ შეეძლო ევროპის მიმართ შეესრულებინა ის როლი, რომელსაც იგი საკუთარი ქვეშევრდომების მიმართ არ ასრულებდა. მეორე ანტიფრანგულ კოალიციას და პირადად რუსეთის მთავრობას ამოქმედებდათ არა ის „ამაღლებული, კეთილშობილური იდეალები", რომელთა შესახებაც მოგვითხრობს პავლე I თავის ინსტრუქციაში, არამედ რეალური ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული ინტერესები.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ე. ბურჟალოვს, რომელიც წერს, რომ კოალიციის მონაწილეები — ინგლისი, ავსტრია და რუსეთი—ასრულებდნენ რა ბურჟუაზიული წესების დარღვევისა და ფეოდალური მონარქიის აღდგენის „სოციალურ ამოცანას", ამასთან ერთად ისწრაფოდნენ განეხორციელებინათ თავიანთი დაპყრობითი გეგმები[1].

ორივე შემთხვევაში კოალიციის მიზნები უსამართლო, ანტიხალხური და ეგოისტური იყო. „დაცვით-მონარქიული" პრინციპის წინა პლანზე წამოყენება, შერყეულ ტახტთა და საკურთხეველთა განმტკიცება, რევოლუციის ქარიშხლისაგან დალეწილი ტახტების აღდგენა და მონარქებისათვის თავიანთი „ლეგიტიმისტური" უფლებების დაბრუნება, რევოლუციის მიერ დამკვიდრებული ბურჟუაზიული წესების მოსპობა—როგორც კოალიციის ერთ-ერთი მიზანი—მოასწავებდა რეაქციის ძალების ამხედრებას პროგრესის ძალების წინააღმდეგ. ამას ემატებოდა ის სამხედრო-სტრატეგიული გეგმები, რომელთა რეალიზაციასაც ფიქრობდა კოალიციაში შემავალი ყოველი სახელმწიფო საფრანგეთის დამარცხების შემთხვევაში.

მართალია, „რევოლუციის ჰიდრისათვის" თავის წაკვეთით, საფრანგეთის რევოლუციის შედეგად დამკვიდრებული ბურჟუაზიული წესების ლიკვიდაციითა და ტახტებისა და საკურთხეველების აღდგენით მეტ ნაკლებად დაინტერესებული იყო კოალიციის მონაწილე ყველა სახელმწიფო, მაგრამ ეს არ იყო მათი მთავარი მოტივი და ამოცანა ანტიფრანგულ ომში. ყოველ მათგანს სხვა ძირითადი ამოცანა ჰქონდა დასახული, რომლის რეალიზაციასაც იგი ფიქრობდა საფრანგეთის დამარცხების შედეგად. ეს ძირითადი ამოცანა კი ჯსამართლო, ანგარულ ხასიათს ატარებდა.

---

[1] Е. Бурджалов, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

ჩვენი აზრით, პავლე I-ის მთავრობა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მეორე ანტიფრანგულ კოალიციას და ზღვაზე და ხმელეთზე მოკავშირეებთან ერთად საფრანგეთის წინააღმდეგ გააჩაღა ომი, შემდეგ ძირითად ამოცანებს ისახავდა მიზნად:

1. მოეპოვებინა ევროპის სახელმწიფოთა „ტახტებისა და საკურთხევლების“ მხსნელის, საფრანგეთის რევოლუციისაგან დანერგილი ბურჟუაზიული წესების მომსპობის „საპატიო“ სახელი. საფრანგეთის დამარცხებით, იქ დამკვიდრებული ბურჟუაზიული ურთიერთობის მოსპობით და ბურბონთა დინასტიისათვის ტახტის დაბრუნებით, რუსეთის იმპერატორს სურდა გაენადგურებინა ის ძალა, რომელიც არღვევდა ფეოდალურ-მონარქიული სისტემის საფუძვლებს ევროპაში და უშუალო საფრთხეს უქმნიდა ამ სისტემის ბატონობას თვით რუსეთში. ამგვარად, რევოლუციამდელი ურთიერთობის აღდგენით პავლე I ლამობდა ევროპის ჟანდარმის როლი შეესრულებინა.

2. შეუძლებელი გაეხადა საფრანგეთის რევოლუციის „გამხრწნელი“ იდეების გავრცელება რუსეთის იმპერიაში, კერძოდ მის დასავლეთ, პოლონურ ოლქებში, რომლისკენაც ასე აქტიურად მიისწრაფოდა საფრანგეთის აგენტურა.

3. გაეძლიერებინა რუსეთის გავლენა და პოზიციები ევროპაში, რისთვისაც საჭირო იყო:

ა) შენარჩუნებული ყოფილიყო გერმანიის იმპერიის არსებული კონსტიტუცია, რაც გარეგნულად ნიშნავდა ამ იმპერიის ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის დაცვას და მის უშიშროების უზრუნველყოფას, სინამდვილეში კი მოასწავებდა არსებული „გეოგრაფიული ერთეულის“ პოლიტიკური დაქუცმაცებულობის კონსერვირებას, ფეოდალური პარტიკულიარიზმის კონსერვირებას. ისახავდა რა ამ მიზანს, მეფის რუსეთი მოქმედებდა გერმანელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ და მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის გაბატონებული კლასების მოთხოვნას უწევდა ანგარიშს. გერმანიის მიმართ წამყვან როლს მეფის რუსეთი მხოლოდ მაშინ შეასრულებდა, თუ ენერგიულ მფარველობას გაუწევდა ამ იმპერიის „ნეტარ“ დაქუცმაცებულობას და იქ გაბატონებულ სოციალურ „იდილიას“, თუ ლიკვიდირებული იქნებოდა გერმანიაზე საფრანგეთის და მისი პროგრესიული იდეების გავლენა.

ბ) კიდევ უფრო განმტკიცებულიყო რუსეთის გავლენა ავსტრიასა და პრუსიაზე, გაედიდებინა მისი მომრიგებელი როლი ამ სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

გ) ბოლო მოღებოდა საფრანგეთის ბატონობას იტალიასა და შვეიცარიაში; დაცული ყოფილიყო იტალიაში გაბატონებული ფეოდალური დაქუცმაცება და მონარქების თავიანთ უფლებებში აღდგენით მიღწეული ყოფილიყო რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური გავლენის გაძლიერება ევროპის ამ ნაწილში.

4. რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების შესატყვისად გადაწყვეტილიყო აღმოსავლეთის საკითხი, რაც, პირველყოვლისა, გულისხმობდა თურქეთის რუსეთის გავლენისათვის დაქვემდებარებას, შემდეგში კი თურქეთის დაყოფის „ბერძნული“ გეგმის სისრულეში მოყვანას და მისი მემკვიდრეობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილის (ბალკანეთი, სრუტეების ზონა) ხელში ჩაგდებას. ამ ამოცანების შესრულება რუსეთს მაშინ შეეძლო, თუ მკვიდრად მოიკიდებდა ფეხს ხმელთაშუა ზღვის აუზში და დაეუფლებოდა მის მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებს.

2. რუსეთის ომი საფრანგეთის წინააღმდეგ ევროპის კონტინენტზე 1799 წელს

1799 წლის გაზაფხულისათვის პავლე I-ის მთავრობამ მოკავშირეებთან ერთად დაამთავრა წინასწარი მზადება საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ საომარი ოპერაციების გასაჩაღებლად ევროპის კონტინენტზე. ამ დროისათვის იგი უკვე აწარმოებდა ძლევამოსილ ოპერაციებს საფრანგეთის ბაზების წინააღმდეგ ხმელთაშუა ზღვის აუზში.

მეფის რუსეთმა მოკავშირეთა დასახმარებლად ხმელეთზე გამოყო სულ 82 ათასი კაცი[1]. აქედან 65 ათასი კაცი განკუთვნილი იყო იტალიასა და შვეიცარიაში სამოქმედოდ, ხოლო 17 ათასი კი—ჰოლანდიაში. იტალიასა და შვეიცარიაში საფრანგეთის წინააღმდეგ სამოქმედოდ განკუთვნილი რუსეთის ჯარის ყველა შენაერთი პავლემ დიდ რუს მხედართმთავარ სუვოროვს დაუქვემდებარა. ამ არმიაში შედიოდა: გენერალ როზენბერგის კორპუსი (დაახლ. 20 ათასი კაცი), გენერალ გერმანის კორპუსი (11 ათასი კაცი), გენერალ რიმსკი-კორსაკოვის კორპუსი

---

[1] ამ რიცხვში არ შედიოდა ხმელთაშუა ზღვის აუზში მოქმედი უშაკოვის ესკადრა, უშაკოვის ესკადრის გასაძლიერებლად და ინგლისის ფლოტის დასახმაროებლად გამოყოფილი საზღვაო ძალები და 85 ათასი კაცისაგან შემდგარი სახმელეთო არმია, რომელიც რეზერვის სახით იმპერიის დასავლეთ საზღვარზე იყო განლაგებული.

(27 ათასი კაცი) და პრინც კონდეს ემიგრანტული კორპუსი (7 ათასი კაცი), სულ 65 ათასი კაცი[1].

მეფის რუსეთს და საფრანგეთის რესპუბლიკას, რომელთა შორის მეორე ანტიფრანგული კოალიციის შექმნით ხმელეთზე დაიწყო საომარი მოქმედება, საერთო საზღვრები არ გააჩნდათ. საფრანგეთის არმიები განლაგებულნი იყვნენ და საომარ ოპერაციებს ეწეოდნენ ;რუსეთის დასავლეთ საზღვრებიდან საკმაოდ დაშორებულ ადგილებში — იტალიაში, ჰოლანდიაში, შვეიცარიაში, რაინის აუზში და სხვაგან. ასეთ ვითარებაში რუსეთის არმიას მხოლოდ მოკავშირეების არმიებთან ერთად, კერძოდ ავსტრიის არმიასთან ერთად შეეძლო ომის წარმოება საფრანგეთის არმიის წინააღმდეგ, ისიც მოკავშირეთა ტერიტორიის პლაცდარმებიდან. იტალია, შვეიცარია, ჰოლანდია,—აი სად უნდა ეწარმოებინა რუსეთის არმიას საომარი ოპერაციები საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, აი სად უნდა გადაწყვეტილიყო ამ ომის ბედი. გამორიცხული არ იყო, რომ სამხრეთ-დასავლეთი გერმანიაც გადაიქცეოდა მოწინააღმდეგე ძალთა შეჯახების ასპარეზად. ასეთი შესაძლებლობა დიდად იყო დამოკიდებული პრუსიის პოზიციის ცვლილებაზე მომავალში.

მეფის რუსეთი და ავსტრია პირველ რიგში დაინტერესებულნი იყვნენ იმაში, რომ ჩრდილო იტალიის ტერიტორია ქცეულიყო საფრანგეთის წინააღმდეგ ომის მთავარ ასპარეზად. იტალიისადმი მათი განსაკუთრებული დაინტერესება პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებებით იყო განპირობებული. საფრანგეთის არმიის დამარცხებას ჩრდილო იტალიაში გადამწყვეტი გავლენა უნდა მოეხდინა მოკავშირეთა ოპერაციების მსვლელობაზე მომავალში. მას შედეგად უნდა მოჰყოლოდა ფრანგთა განდევნა არა მარტო იტალიის ოკუპირებულ ტერიტორიებიდან, არამედ ევროპის სხვა დაპყრობილი ტერიტორიებიდანაც. მას, ამასთან ერთად, გზა უნდა გაეხსნა რუსეთის და ავსტრიის არმიებისათვის თვით საფრანგეთის ტერიტორიაზე შესაჭრელად. ჩრდილო იტალია ყველაზე უფრო მოხერხებული და ხელსაყრელი პლაცდარმი იყო საფრანგეთის ტერიტორიაზე შესაჭოელად[2].

---

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 553.

[2] საზღვაო ოპერაციებს ხმელთაშუა ზღვის აუზში, იმ უდიდესი წარმატების მიუხედავად, რომელიც მოიპოვა რუსეთის ფლოტმა უშაკოვის სარდლობით, არ შეიძლებოდა გადამწყვეტი გავლენა ჰქონოდა საფრანგეთთან ომის ბედ-

ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ჩანს, რომ მეფის რუსეთი საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლის დროს არ ფიქრობდა შუა გზაზე გაჩერებას. მას არ აკმაყოფილებდა ფრანგთა შემდგომი აგრესიისათვის გზის გადაღობვა, მათი განდევნა დაპყრობილი ტერიტორიებიდან და საფრანგეთის შეზღუდვა 1792 წლისათვის არსებული ტერიტორიული ფარგლებით. მეფის რუსეთის მესვეურთა პოლიტიკური ამოცანა და სამხედრო-სტრატეგიული გეგმები ითვალისწინებდა თვით საფრანგეთის ტერიტორიაზე შეჭრას და მტრის განადგურებას საკუთარ მიწა-წყალზე. ამას უნდა მოჰყოლოდა მოკავშირეთაგან ერთობლივი საოკუპაციო ღონისძიებების გატარება „კანონიერი მეფის", რელიგიის, საზოგადოებრივი წესრიგისა და ოჯახის საფუძვლების აღდგენა ძველ უფლებებში.

რუსეთის იმპერატორი პავლე I ფიქრობდა, რომ რუსეთი საფრანგეთის წინააღმდეგ ომში დასახულ ამოცანებს მხოლოდ მაშინ გადაწყვეტდა, თუ მოიპოვებდა სრულ და საბოლოო გამარჯვებას მტერზე მის საკუთარ ქვეყანაში და ბოლოს მოუღებდა იქ არსებულ მმართველობას, რევოლუციისაგან დანერგილ ურთიერთობას.

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ რესკრიპტში გენერალ რიმსკი-კორსაკოვისადმი (1798 წლის 20 აპრილის თარიღით) რუსეთის იმპერატორი ფრანგ ხალხს განადგურებით, ცეცხლითა და მახვილით, ძველ საზღვრებში მოქცევით, ბურბონების ბატონობის რესტავრაციით და, მაშასადამე, მათი ქვეყნის ოკუპაციით ემუქრებოდა [1].

ასეთსავე აზრს ავითარებს პავლე I თავის უფრო გვიანდელ რესკრიპტში (1799 წ. 9 ოქტ.) გრაფ ს. რ. ვორონცოვისადმი, რუსეთის ელჩისადმი ინგლისში. მე, — წერს პავლე I ამ რესკრიპტში, — მითითება მივეცი სუვოროვს არ გაჩერდეს შუა გზაზე, არ დაკმაყოფილდეს მოპოვებული წარმატებებით და პირდაპირ საფრანგეთზე აიღოს გეზი, რათა იქ მოსახლეობა ააჯანყოს „კანონიერი მეფის" სასარგებლოდ. პავლე I ამ რესკრიპტში ისევ იმეორებს, რომ მას განზრახვა აქვს „ლუი XVIII" გააგზავნოს ფრონ-

---

ზე. საფრანგეთის დამარცხებისათვის საჭირო იყო მისთვის გადამწყვეტი მახვილის ჩაცემა თვით ევროპის კონტინენტზე და მისი განდევნა დაპყრობილი ტერიტორიებიდან.

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 252—255.

ტზე სუვოროვთან, რათა მან თავისი პირადი გამოჩენით „ალაფრთოვანოს“ საფრანგეთის მოსახლეობა და აამხედროს იგი დირექტორიის ტირანიის წინააღმდეგ [1].

საფრანგეთის ტერიტორიაზე შეჭრის აუცილებლობის აზრი განვითარებული იყო პავლე I-ის შედარებით უფრო გვიანდელ რესკრიპტებშიაც, რომლებიც გაეგზავნათ ფელდმარშალ სუვოროვს და სხვა პირებს. 1799 წლის 7 ივლისის და 18 სექტემბრის რესკრიპტებში სუვოროვისადმი რუსეთის მონარქი მითითებას აძლევდა მას: ეცადეთ მიაღწიოთ მთავარ მიზანს — განდევნოთ საფრანგეთის ახლანდელი მმართველობა და ნანგრევებად აქციოთ ბოროტმოქმედებათა ათწლიანი თავშესაფარი, პარიზი. ამის გარეშე საფრანგეთში გაბატონებული საშინელება არ იქნება განადგურებული [2].

იმავე 1799 წლის 18 სექტემბრის რესკრიპტით ფელდმარშალ სუვოროვისადმი დიდ რუს მხედართმთავარს პავლე I ხელახლა კატეგორიულ დავალებას აძლევდა საფრანგეთის ტერიტორიაზე შეჭრის სტრატეგიული გეგმის სისრულეში მოყვანის თაობაზე. ერთხელ კიდევ საჭიროდ მიიჩნევდა რა საფრანგეთის ტერიტორიაზე შეჭრას, რუსეთის იმპერატორი მიუთითებდა სუვოროვს იმ გზაზეც, საიდანაც უფრო ადვილი იქნებოდა მისი განხორციელება. პავლეს აზრით საფრანგეთში შეჭრა უფრო მოსახერხებელი იყო პიემონტის ტერიტორიიდან. რუსეთის და ავსტრიის ჯარები უნდა შეჭრილიყვნენ სამხრეთ საფრანგეთში და აქედან უნდა განვითარებინათ თავიანთი შეტევა პარიზის მიმართულებით [3].

კითხვა ისმის, რატომ იძლეოდა პავლე I ასეთ რჩევას, რატომ მიაჩნდა მას სამხრეთ საფრანგეთი ყველაზე უფრო ხელსაყრელ რაიონად მოკავშირეთა ჯარების შეჭრისათვის? ჩვენ ვფიქრობთ, რომ სუვოროვისათვის ასეთი რჩევის მიცემის დროს პავლე ორი მოსაზრებიდან გამოდიოდა: 1. სამხედრო-სტრატეგიული

---

[1] Архив ВПР. ф. „Сношения России с Англией“, д. 507, лл. 73—74. „Старайтесь достигнуть главной цели..., — разогнать правителей сей земли из Парижа и сделать из сего десятилетняго убежища всех преступлений, единые развалины“. А. Трачевский. Россия и Франция в конце прошедшего века (1794—1795 гг.), „Вестник Европы“. 1855, № 6 (кн. 6.. гл. 552.

[2] Архив ВПР. ф. „Сношения России с Францией“, д. 1380. лл. 30—31.

თვალსაზრისით ჩრდილო იტალიიდან, პიემონტის გზით სწორედ სამხრეთ საფრანგეთში იყო შესაძლებელი არმიების დიდი მასის შეჭრა ნაკლები დაბრკოლებების პირობებში. 2. სამხრეთ საფრანგეთი რუსეთის იმპერატორს მიაჩნდა საფრანგეთის ისეთ ნაწილად, რომლის მოსახლეობა, თითქოს, ყველაზე მტრულად იყო განწყობილი დირექტორიის ხელისუფლებისადმი და, მაშასადამე, ერთგული უნდა ყოფილიყო ძველი რეჟიმისა და ბურბონთა „კანონიერი“ დინასტიისადმი [1]. სწორედ ამ პოლიტიკური მოსაზრებიდან გამოდიოდა პავლე I, როდესაც წინადადებას აძლევდა სუვოროვს სამხრეთ საფრანგეთში შეჭრის მომენტისათვის საფრანგეთის მოსახლეობისათვის მიმართა საგანგებო დეკლარაციით, რომლითაც საფრანგეთის სუვერენიტეტისა და მთლიანობის გარანტია უნდა აღეთქვა ფრანგთათვის, თანაც მოეთხოვა მათგან „კანონიერი სამეფო ხელისუფლების“ აღდგენის საქმეში მხარდაჭერა. რუსეთის იმპერატორი, სჩანს, დიდ იმედებს ამყარებდა ასეთ დეკლარაციაზე და დარწმუნებული იყო, რომ იგი თავის საქმეს გააკეთებდა და საფრანგეთის მოსახლეობას განაწყობდა მოკავშირეების სასარგებლოდ. მოვლენების ასე განვითარებისა და საფრანგეთის მოსახლეობის მოკავშირეებისადმი მხარდაჭერის პირობებში პავლე I შესაძლებლად მიიჩნევდა დასახული გეგმის სისრულეში მოყვანას და პროვანსის გრაფის — ლუი XVIII-ის საფრანგეთის „კანონიერ“ ტახტზე აყვანას [2].

დასასრულ, პავლე I მზად იყო სუვოროვის განკარგულებაში გაეგზავნა საფრანგეთის ტახტის მაძიებელი პროვანსიის გრაფი („ლუი XVIII“), რათა მას უშუალო მონაწილეობა მიეღო მომავალ ოპერაციაში საფრანგეთში შეჭრის დროს და თავისი პირადი „მაგალითით და ავტორიტეტით“ ხელი შეეწყო ამ ოპერაციის წარმატებისათვის. მაგრამ პავლე, ამასთან ერთად, კატეგორიულად აფრთხილებდა სუვოროვს საფრანგეთში შეჭრის დროს ავანგარდში არ გაეშვა პრინც კონდეს ემიგრანტული კორპუსი, რადგანაც იგი ცეცხლითა და მახვილით მოედებოდა საფრანგეთს და მით მოკავშირეთა წინააღმდეგ აამხედრებდა თვით „კეთილგანწყობილ“ ფრანგებსაც კი [3].

---

[1] უეჭველია ასეთ მცდარ ცნობებს აწვდიდნენ რუსეთის მთავრობის მესვეურებს ფრანგი ემიგრანტები.

[2] Архив ВПР, ф. „Сношения России с Францией“, д. 1380, лл. 30—31.

[3] იქვე, ფ. 31.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენადაც სწორი იყო პიემონტიდან სამხრეთ საფრანგეთში შეჭრის მოსაზრება სამხედროსტრატეგიული თვალსაზრისით, იმდენად ზერელე, დაუსაბუთებელი და უაზრო იყო პოლიტიკური მოსაზრება, რომელიც სამხრეთ საფრანგეთის მოსახლეობის თითქოსდა მონარქისტულ ერთგულებას უსვამდა ხაზს. რუსეთის იმპერატორს, ცხადია, ზერელე წარმოდგენა ჰქონდა საფრანგეთში არსებული ფაქტიური მდგომარეობის შესახებ. ამიტომ ფიქრობდა იგი ასე გულუბრყვილოდ, რომ თითქოს ერთი მოწოდება, საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ საფრანგეთის მოსახლეობას იარაღი აესხა და მოკავშირეებთან ერთად დირექტორიის წინააღმდეგ დაეწყო ბრძოლა.

რუსეთის და ავსტრიის ჯარები საფრანგეთის ტერიტორიაზე, წინააღმდეგ პაველ I-ის ზერელე ვარაუდისა, ფრანგი ხალხის გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდებოდნენ. ამ ჯარებში თავისუფლებისმოყვარე ფრანგი ხალხი დაინახავდა არა განმათავისუფლებლებს, არამედ უცხოელ ოკუპანტებს, საკუთარი ქვეყნის მთლიანობისა და დამოუკიდებლობის მტრებს. ამიტომ მათ ისეთ პასუხს გასცემდა, როგორც უკვე გასცა მან პრუსიელ, ავსტრიელ, ინგლისელ და ესპანელ ინტერვენტებს 1792—1794 წლებში.

ფელდმარშალი სუვოროვი, რომელიც თვით ვენელ და ლონდონელ მოკავშირეთა თხოვნით იქნა დანიშნული თავის დიდ და საპასუხისმგებლო პოსტზე, 1799 წლის მარტის შუა რიცხვებში ჩავიდა ვენაში (14/25 მარტს). ვენაში მას ბინად მიუჩინეს რუსეთის ელჩ რაზუმოვსკის ბინის ნაწილი, გაათავისუფლეს რა იგი წინასწარ ყოველგვარი კომფორტისაგან, რომელიც ასე ეჯავრებოდა ამ დიდ რუს მხედართმთავარს[1]. ამავე დროისათვის ავსტრიის სატახტო ქალაქის რაიონში თავმოყრას იწყებენ რუსეთის ჯარის ის შენაერთები, რომლებიც განკუთვნილნი იყვნენ ავსტრიისათვის დასახმარებლად.

რუსეთის არმიას და მის სახელმოხვეჭილ სარდალს აღტაცებით შეეგება ვენის მოსახლეობა. ბრწყინვალე და საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს სუვოროვს, როგორც ავსტრიის სასახლის არისტოკრატიამ, ისე მოსახლეობის ფართო ფენებმა[2]. ეს საზეიმო

---

[1] Н. Баптыш-Каменский, Словарь достопамятных людей русской земли, СПБ., 1847. ტ. III, გვ. 344.

[2] Записки графа А. И. Рибопьера, „Русский Архив", 1877, ტ. I, გვ. 491. რუსეთის ვენელი ელჩის გრაფ რაზუმოვსკის ვრცელი რელაცია (ფრანგულ

დემონსტრაცია არ წარმოადგენდა არც მლიქვნელობის გამოხატულებას და არც საავანსო ვალდებულებას, რომელიც რუსეთის არმიას და სუვოროვს მომავალში უნდა გაემართლებინათ. იგი საბართლიანად დამსახურებული ჯილდო იყო იმ მაღალი საბრძოლო თვისებებისათვის და შესანიშნავი დისციპლინისათვის, რომელიც რუსეთის არმიას ახასიათებდა; იგი იმ საყოველთაო სიმპათიის, სიყვარულის და ავტორიტეტის აშკარა დემონსტრაცია იყო, რომლითაც უკვე სარგებლობდა დიდი რუსი მხედართუფროსი—იზმაილის და ოჩაკოვის გმირი[1].

ერცჰერცოგი იოსები, ჰუნგრეთის პალატინი და პავლე I-ის სიძე, რომელიც ვენის სამეფო კარს თავდაპირველად სურდა იტალიის ფრონტზე მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდლად დაენიშნა, ასეთი საპასუხისმგებლო მოვალეობისათვის სრულიად შეუფერებელი იყო. მან თვით იგრძნო თავისი უმწეობა, რისთვისაც როგორც შეთავაზებულ პოსტზე, ისე „გამარჯვებულის დაფნის გვირგვინზე" კატეგორიული უარი განაცხადა. აღნიშნულის გამო, რასაც სხვა მოსაზრებებიც დაერთო, ავსტრიის მთავრობამ თავის განზრახვაზე ხელი აიღო და სუვოროვი მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდლის მოადგილის ნაცვლად თვით მთავარსარდლის პოსტზე დანიშნა. ამასთან ერთად, ავსტრიის მთავრობამ სუვოროვს ავსტრიის არმიის ფელდმარშლის ტიტული უბოძა. ამით სუვოროვის სარდლობას დაექვემდებარა როგორც რუსეთის 65 ათასიანი არმია, ისე ავსტრიის არმიაც, რომელსაც რუსეთის ჯართან ერთად ჩრდილო იტალიაში უნდა ემოქმედა[2].

მართალია, პავლემ დააკმაყოფილა მოკავშირეთა თხოვნა, შერისხული ფელდმარშალი „თავისუფალი პატიმრობის" ადგილიდან გამოიძახა და ავსტრიაში გააგზავნა, მაგრამ ეს მან მოიმოქ-

---

ენაზე) პავლე I-სადმი (1799 წ. 21 მარტის თარიღით), აგრეთვე ვრცლად გადმოსცემს სუვოროვისა და რუსეთის არმიისადმი გამოვლენილ საყოველთაო სიმპათიას ვენაში. იხ. А. А. Васильчиков, Семейство Разумовских, т. III, СПБ. 1882, გვ. 289—292.

[1] სუვოროვი ვენაში ჩავიდა რაშტადტის კონგრესის ჩაშლის მომენტისათვის, როცა თუგუტის ჩაგონებით ავსტრიელ ჰუსართა მიერ მოკლულ იქნენ საფრანგეთის წარმომადგენლები ამ კონგრესზე. როგორც ცნობილია, ფრანგებმა ეს მკვლელობა ხელზე დაიხვიეს და გამოიყენეს ავსტრიელთა წინააღმდეგ საომარი მოქმედების განახლების საბაბად. იხ. M. (de) Barante, დასახ. ნაშრ., გვ. 394 და შემდეგი; აგრეთვე А. Сорель, დასახ. ნაშრ., ტ. 5, გვ. 320—326.

[2] К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 342.

მედა თავისი ნება-სურვილის წინააღმდეგ. ამ აქციის მიუხედავად, პავლე ძველებურად მტრულად იყო განწყობილი სუვოროვისადმი, რომელმაც გაბედულად უარჰყო პავლე პირველისათვის სათაყვანო პრუსიული სამხედრო სისტემა და ახალი ეროვნული სამხედრო წესების ფუძემდებელი გახდა.

პავლე I მოელოდა „თავნება" მოხუცი ფელდმარშლის მხრივ ახალ „თვითნებობას" და ახირებას თვით ფრონტზედაც. აღნიშნულის გამო, სრულიად არ არის გასაკვირი ის ფაქტი, რომ პავლემ სუვოროვს ფარული მეთვალყურე — „მეურვე" და მენტორი—მიუჩინა. ამ მეთვალყურეს ევალებოდა თვალყური ედევნებინა მხედართუფროსის ქცევისათვის, დრო და დრო „საჭირო რჩევა" მიეცა მისთვის, თანაც პერიოდული ცნობები ეგზავნა პეტერბურგში ფელდმარშლის მიერ ვამოვლენილ „თვითნებობათა და ახირებულობათა" შესახებ. ეს „საპატიო მისია" რუსეთის იმპერატორმა გენერალ გერმანს დააკისრა[1].

სუვოროვი დიდხანს არ დარჩენილა ავსტრიის სატახტო ქალაქში. ზოგიერთი წინასწარ მოსამზადებელი ღონისძიებების განხორციელებისა და ოფიციალური შეხვედრების შემდეგ, დიდი რუსი მხედართმთავარი რუსეთის არმიის ნაწილებთან ერთად ჩრდილო იტალიისაკენ გაემართა. აქედან (ვერონადან) მას ხელთ უნდა აეღო მოკავშირეთა ჯარების უშუალო ხელმძღვანელობა, უნდა გაცნობოდა ფრონტის მდგომარეობას, ჯარების დისლოკაციას და პირისპირ შეხვედროდა მტერს. აქედან უნდა დაეწყო მას ფრანგებთან ბრძოლა და იგი წარმატებით დაეგვირგვინებინა.

ჩრდილო იტალიაში ამ დროისათვის უკვე მიმდინარეობდა საომარი ოპერაციები საფრანგეთის ჯარებსა და ავსტრიის ჯარებს შორის. ოპერაციებში მონაწილეობას იღებდა ავსტრიის არმიის რამოდენიმე შენაერთი (86 ათას კაცამდე) ბარონ კრაის სარდლობით და საფრანგეთის ჩრდილო იტალიაში მომქმედი არმია (დაახლოებით 46 ათასი კაცი) შერერის სარდლობით. ამ არმიების რამოდენიმე შეტაკებას, რაც თითქმის ერთი თვის მანძილზე გრძელდებოდა, არსებითი ცვლილებები არ მოჰყოლია

---

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 125, 146-ე შენიშვნა.

გენერალმა გერმანმა ვერ განახორციელა დაკისრებული „საპატიო" მისია და ვერ გამოადგა პავლეს სუვოროვის მენტორისა და ფარული ჯაშუშის როლში. მაგრამ ეს მოხდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. პავლეს ახალი განკარგულებით გერმანის დივიზია სხვა გენერლის სარდლობაში გადავიდა, თვით გერმანს კი ჰოლანდიისაკენ უკრეს თავი.

მეომარ მხარეთა ტერიტორიულ დისპოზიციაში. მართალია, ავსტრიის არმიამ, რომელსაც დიდი რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა მტერთან შედარებით, ცალკეული ტაქტიკური წარმატებები მოიპოვა, მაგრამ მან საერთოდ ვერ ისარგებლა თავისი უპირატესობით, ვერ შესძლო რაიმე სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტა. ამ ოპერაციების დროს, ისე როგორც წინა წლების კამპანიაში, ავსტრიის ჯარმა გამოავლინა შედარებით დაბალი ბრძოლისუნარიანობა, მისმა სარდლობამ კი ინიციატივის ნაკლები უნარი[1]. ასეთი იყო ვითარება ჩრდილო იტალიაში, როდესაც 1799 წლის 3 (14) აპრილს ვერონაში ჩავიდნენ პირადად სუვოროვი და რუსეთის არმიის ავანგარდი გენერალ თავად პეტრე ბაგრატიონის სარდლობით.[2]

რუსეთის არმიას მანამდე შემთხვევა არ ჰქონია პირისპირ შეჯახებოდა საფრანგეთის არმიას ხმელეთზე. მოკავშირეთა ჯარების მომავალი ოპერაციების დროს ჩრდილო იტალიაში რუსეთის და საფრანგეთის არმიები პირველად უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. პირისპირ. იტალიის მომავალ საომარ კამპანიას ერთხელ კიდევ უნდა შეემოწმებინა ამ ორი არმიის ბრძოლისუნარიანობა, უნდა გამოევლინებინა მათ შორის გამარჯვებული.

საფრანგეთის არმია, რომლის წინააღმდეგაც უნდა ებრძოლა რუსეთის არმიას ჩრდილო იტალიასა და ევროპის კონტინენტის სხვა ადგილებში, საფრანგეთის 1789—1794 წლების რევოლუციის პირმშო იყო. იგი აღმოცენდა ამ რევოლუციის პროცესში, იმ რევოლუციურ გარდაქმნათა პროცესში, რომელიც განიცადა საფრანგეთმა ცხოვრების ყველა დარგში რევოლუციის პერიოდში.

„როგორც თავისი ქვეყნის შიგნით საფრანგეთის რევოლუციურმა ხალხმა მაშინ პირველად გამოიჩინა საუკუნეთა განმავლობაში უნახავი რევოლუციური ენერგიის მაქსიმუმი, — წერს ვ. ი. ლენინი, — ისე XVIII საუკუნის დამლევის ომში მან გამოიჩინა ასეთივე უზარმაზარი რევოლუციური შემოქმედება, გარდაქმნა სტრატეგიის მთელი სისტემა, უკუაგდო ომის ყველა ძველი კანონი და ჩვეულება და ძველი ჯარის ნაცვლად შექმნა ახალი, რევოლუციური, სახალხო ჯარი და შემოიღო ომის ახლებური წარმოება“[3].

---

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 226—247.

[2] იქვე, გვ. 254.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 481.

ეს „ახალი, რევოლუციური სახალხო“ არმია, რომელსაც ახალი სტრატეგია და ტაქტიკური წესები, შეგნებული დისციპლინა გააჩნდა და რომელსაც ხალხის დაბალი წრიდან გამოსული, წინა ომებში გამობრძენდილი და დაწინაურებული ოფიცრობა ედგა სათავეში, სასტიკად ამარცხებდა ევროპის პირველი კონტრრევოლუციური კოალიციის ძალებს. იგი მკვეთრად განსხვავდებოდა ამ კოალიციაში შემავალ ფეოდალურ-მონარქიულ სახელმწიფოების (ავსტრიის, პრუსიის და სხვათა) არმიებისაგან, სადაც გამეფებული იყო ძველი სამხედრო რუტინა, ხელ-კეტის მონური დისციპლინა, ოფიცერთა და ჯარისკაცთა მასის მკვეთრი დაპირისპირება, დაქირავების ძველი სისტემა და სხვ.

მართალია, საფრანგეთის არმია 1799 წლისათვის აღარ წარმოადგენდა რევოლუციურ არმიას; იგი დიდი ხანია აღარ ეწეოდა განმათავისუფლებელ ომებს და დაპყრობით, უსამართლო მიზნებს ემსახურებოდა, მაგრამ მას მაინც შენარჩუნებული ჰქონდა რევოლუციური არმიის ბევრი კარგი ტრადიცია და საბრძოლო თვისებები. ამ არმიას კვლავინდებურად სახელმოხვეჭილი, ახალი ტაქტიკის საფუძვლიანი მცოდნე გენერლები და ოფიცრები სარდლობდნენ.

ასეთ მოწინავე არმიასთან უნდა ჰქონოდა საქმე რუსეთის არმიას. საფრანგეთის არმიასთან ხმელეთზე შებრძოლება რუსეთის არმიის საბრძოლო თვისებების მორიგი შემოწმება უნდა ყოფილიყო. რუსულმა სამხედრო ხელოვნებამ ერთი ასეთი შემოწმება უშაკოვის ფლოტის ოპერაციების სახით იონიის კუნძულების ფრანგთაგან განსათავისუფლებლად ბრწყინვალედ ჩააბარა.

აპრილის შუა რიცხვებში (14/25 აპრილს) მას შემდეგ, რაც სუვოროვნა ადგილზე შეისწავლა მდგომარეობა, გაეცნო ფრონტის დისპოზიციას, ძირითადად შეასწავლა ავსტრიის ჯარებს ომის წარმოების საკუთარი ტაქტიკური ხერხები, თანაც დამთავრდა რუსეთის ჯარის ნაწილების თავმოყრა მომავალი შეტევის რაიონში, ამოქმედდა მოკავშირეთა სამხედრო მანქანა. საფრანგეთის არმიასა და მოკავშირეთა შორის პირველი სერიოზული შეტაკება მოხდა მდინარე ადას ნაპირას. იგი გრძელდებოდა 14 (25) აპრილიდან 18 (29) აპრილამდე და დამთავრდა საფრანგეთის არმიის პირველი სერიოზული დამარცხებით; ამ ბრძოლის შედეგად მოკავშირეთა ჯარები დაეუფლნენ ქალაქ მილანს. ამ პირველი ოპერაციიდან დაწყებული მოკავშირეთა საომარი ოპერაციები ჩრდილო იტალიაში მიმდინარეობდა სუვოროვის სარ-

ლობით და მისი სტრატეგიული გეგმის შესატყვისად; მასში წამყვან როლს რუსეთის ჯარის ნაწილები ასრულებდნენ.

იტალიის კამპანიის პროცესში, ფრანგებთან პირველი საბრძოლო შეტაკების მომენტიდან მის ფინალურ აქტამდე, ერთხელ კიდევ ნათლად გამოვლინდა რუსეთის არმიის მაღალი საბრძოლო თვისებები. მტკიცე დისციპლინა, მობილობა, ჯარისკაცთა მასის ინიციატივა, ამტანობა, თავგანწირვის უნარი, შეუდრეკლობა და უფროსისადმი ნდობა, გენერალიტეტის და ოფიცრების უმრავლესობის საფუძვლიანი მომზადება—აი, რა იყო რუსეთის არმიის ძლევამოსილების მიზეზი, მისი მუდმივი წარმატების „საიდუმლოების" გასაღები. რუსეთის არმიის უძლეველობის საფუძველი იყო ისიც, რომ მას სარდლობდა სახელგანთქმული მხედართუფროსი სუვოროვი, სარდალი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა მოწინავე სამხედრო ხელოვნების შექმნასა და რუს ჯარისკაცთა ახლებურად გაწვრთნაში.

ჯარისკაცთა მასის[1] მაღალი საბრძოლო თვისებები, მოწინავე სამხედრო-ტაქტიკური ხელოვნება და სუვოროვის სამხედრო გენია ორგანულ მთლიანობაში ვლინდება რუსეთის არმიის კამპანიის დროს იტალიასა და შვეიცარიაში 1799 წელს[2]. ამან განაპირობა ამ არმიის ბრწყინვალე წარმატება ძლიერ მტერთან ბრძოლაში.

თავის საბრძოლო ისტორიაში საფრანგეთის არმიას რუსეთის არმიის სახით პირველად ჰქონდა საქმე უაღრესად საშიშ და ძლიერ მოწინააღმდეგესთან, რომელიც მობილობით, დისციპლინით, ოფიცერთა და გენერალთა გაწვრთნითა და ჯარისკაცთა მასის მაღალი საბრძოლო თვისებებით არა თუ არ ჩამოუვარდე-

---

[1] „ამტანიანი, გულადი, მორჩილი და მომთმენი რუსები,—წერდა ენგელსი.— წარმოადგენენ შესანიშნავ მასალას მათგან ისეთი ჯარისკაცების გამოსამუშავებლად, რომლებიც საჭირო იყვნენ იმ დროს, როდესაც შემჭიდროებული მასები სწყვეტდნენ ომების ბედს". Ф. Энгельс, Иностранная политика русского царизма, Л., 1934, გვ. 5.

[2] ტყუილად როდი ამაყობდა გრაფი თ. როსტოპჩინი, რომელიც ს. ვორონცოვისადმი 1799 წლის 1 ნოემბრის თარიღით გაგზავნილ წერილში, გამოხატავდა რა თავის აღტაცებას რუს ჯარისკაცთა მაღალ საბრძოლო თვისებების გამო, წერდა შემდეგს: ჩვენს ჯარისკაცებს ესაჭიროებათ რუსი უფროსები, საჭიროა მათთან საუბრის ცოდნა და მაშინ ისინი თვით ჯოჯოხეთშიაც კი იბრძოლებენო („Il faut à nos soldats des chefs russes. Il faut savoir leur parler, et on les menera faire une campagne en enfer"). იხ. Архив князя Воронцова, ტ. 8, გვ. 262.

ბოდა, არამედ, პირიქით, კიდევაც სჯობნიდა მას, თუმცა საფრანგეთის არმიას ჰყავდა მასენა, მორო, ჟუბერი, მაკდონალდი და სხვა მათი მსგავსი ნიჭიერი სარდლები, მაგრამ მას არ გააჩნდა სუვოროვისა და უშაკოვის ტიპის გენიოსი მხედართუფროსები და სამხედრო-ტაქტიკური საქმის დიდი ოსტატ-ნოვატორები. მართალია, საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ უკვე წარმოშვა ნაპოლეონის გენია, მაგრამ იტალიის კამპანიის გმირი მაშინ საფრანგეთიდან შორს იმყოფებოდა და ეგვიპტეში იბრძოდა [1].

იტალიაში მებრძოლი საფრანგეთის არმიის სარდლობა რუსეთის არმიასთან პირველი შეტაკებისთანავე იძულებული გახდა ხაზგასმით აღენიშნა რუსეთის ჯარის მაღალი საბრძოლო თვისებები და ძირითადად ამით აეხსნა როგორც მოწინააღმდეგის სწრაფი და დიდი წარმატება, ისე საკუთარი სერიოზული მარცხიც [2].

საომარი მოქმედება ევროპის კონტინენტზე მოკავშირეებსა და საფრანგეთის არმიას შორის პირველად დაიწყო არა იტალიაში, არამედ გერმანიაში, რაინისა და დუნაის აუზებში. იგი დაიწყო სუვოროვის ავსტრიაში ჩასვლამდე და რუსეთის ჯარის ამოქმედებამდე. საომარი მოქმედების დაწყების ინიციატივა საფრანგეთის რესპუბლიკას ეკუთვნოდა. დირექტორიის მთავრობამ, რუსეთის ჯარის დაძვრა დასავლეთისაკენ ავსტრიის ჯართან შესაერთებლად მიიჩნია უკანასკნელის მიერ საზავო ხელშეკრულების აშკარა დარღვევად, Casus belli-დ, რასაც ავსტრიისათვის ომის გამოცხადებით უპასუხა.

პარიზიდან მიღებული განკარგულების საფუძველზე დუნაის არმიამ ჟურდანის სარდლობით, ბერნადოტის ობსერვატიულმა

---

[1] ნაპოლეონ ბონაპარტი თავის მემუარებში, სადაც აღწერილია 1799 წლის ოპერაციები იტალიასა და სხვა ადგილებში, აფუჩეჩებს რუსეთის არმიის როლს საფრანგეთის არმიის დამარცხებისა და იტალიის დიდი ნაწილის გათავისუფლების საქმეში. იგი ფრანგთა დამარცხებას არსებითად ხსნის მოროს, ჟუბერის, მაკდონალდის და სხვა ფრანგ სარდალთა შეცდომებით. იხ. Наполеон, Избр. соч. ტ. 1. გვ. 304—329, 334—338, 347—351.

[2] ალბერტ სორელი ჩვენს მიერ არაერთხელ დასახელებულ ნაშრომში მაღალ შეფასებას აძლევს რუსეთის არმიას, მის საბრძოლო თვისებებს, მის სარდლობას და მას საფრანგეთის მაშინდელი არმიის დონეზე აყენებს (რაც მისთვის—ფრანგი ბურჟუაზიული ისტორიკოსისათვის იძულებით აღიარებას წარმოადგენდა). A. Сорель, დასახ. ნაშრ., ტ. 5, გვ. 328—329.

კორპუსმა და შვეიცარიაში მოქმედმა არმიამ მასენას სარდლობით გადალახეს სადემარკიზაციო ხაზი და დაიწყეს შეტევა ავსტრიის ჯარების წინააღმდეგ. ყველგან, როგორც დუნაის აუზში, ისე შვეიცარიაში, საფრანგეთის არმიას მეტად არახელსაყრელ პირობებში მოუხდა საომარი ოპერაციების დაწყება მოწინააღმდეგესთან. საფრანგეთის არმიას საფრანგეთში გაბატონებული უთანხმოობის, გამფლანგველობის და კორუპციის პირობებში აკლდა იარაღი, სურსათ-სანოვაგე, სალაშქრო მოწყობილობა და ტანსაცმელი, რიცხობრივად კი იგი დაახლოებით სამჯერ ჩამორჩებოდა ავსტრიის ჯარს.

ასეთ პირობებში საფრანგეთის რესპუბლიკის არმიებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, წარუმატებლად დაიწყეს საომარი კამპანია. კერძოდ ეს ითქმის ჟურდანის არმიასა და ბერნადოტის კორპუსზე (სულ 37—38 ათასი კაცი), რომელთაც შეჯახება მოუხდათ ავსტრიის რიცხობრივად ჭარბ ძალებთან (90 ათას კაცამდე), რომელთაც ამასთან ერთად ნიჭიერი და გამოცდილი სარდალი ერცჰერცოგი კარლოსი სარდლობდა. რამოდენიმე კვირის ბრძოლების შემდეგ საფრანგეთის აღნიშნული ძალები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ და რაინის მარცხენა ნაპირზე გადასულიყვნენ [1].

რუსეთის ჩაბმამ ომში და მოკავშირეების მიერ სუვოროვის სამხედრო-სტრატეგიული გეგმით ჩატარებულმა შედეგიანმა ოპერაციებმა ჩრდილო იტალიაში მკვეთრად შეცვალა მეომარ მხარეთა მდგომარეობა და ძალთა ახალი თანაფარდობა შექმნა. მისი შედეგი იყო ნაპოლეონ ბონაპარტის მიერ კამპო-ფორმიოს ზავის დადებამდე განხორციელებული დაპყრობებისათვის ხაზის გადასმა და არსებითად ფრანგ ოკუპანტთა სრული განდევნა იტალიიდან. როგორი ტრიუმფალურიც იყო ნაპოლეონის სალაშქრო მარში იტალიაში 1796—1797 წლებში, ასეთივე ტრიუმფალური მარშით მიიწევდა წინ სუვოროვის არმია იმავე ჩრდილო იტალიაში, ოღონდ სხვა მარშრუტით — აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, საფრანგეთის მიმართულებით. მაგრამ მარტო ამით როდი ამოიწურებოდა რუსეთის როლი და მონაწილეობა მეორე ანტიფრანგულ კოალიციაში. რუსეთის ჯარის ერთი კორპუსი გენ. რიმსკი-

[1] А. Сорель, დასახ. ნაშრ., ტ. 5, გვ. 318; აღნიშნული საომარი კამპანია ვრცლად აკვს აღწერილი დ. მილიუტინს., იხ. Д. Милютин. დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 183—204.

კორსაკოვის სარდლობით უკვე გზაში იმყოფებოდა და შვეიცარიისაკენ მიემართებოდა, რათა ავსტრიელებთან თანამშრომლობით ეს ქვეყანაც გაეწმინდა ფრანგებისაგან და იქაც შეექმნა პლაცდარმი საფრანგეთში შესაჭრელად. დასასრულ, ცოტა უფრო გვიან, ინგლის-რუსეთის საკავშირო ხელშეკრულების შესატყვისად, რუსეთის ჯარის ერთი კორპუსი ზღვით ჰოლანდიისაკენ უნდა გაგზავნილიყო. ამ კორპუსის ამოცანა იყო ინგლისის ჯარებთან თანამოქმედებით ჰოლანდიის ნაპირზე გადასხდომა და საფრანგეთის ბატონობის მოსპობა ამ მეტად მნიშვნელოვან პლაცდარმზე.

ამრიგად, მეტად დიდი იყო მეფის რუსეთის როლი მეორე ანტიფრანგულ კოალიციაში, მეტად დიდი იყო მისი ხვედრითი წონა მოკავშირეთა მიერ ფრანგების წინააღმდეგ გაჩაღებულ საომარ ოპერაციებში.

სწორედ რუსეთის გადამწყვეტმა როლმა 1799 წლის საომარ ოპერაციებში ფრანგების წინააღმდეგ, მისი არმიის, მისი სამხედრო სისტემისა და სამხედრო ხელოვნების ბრწყინვალე გამარჯვებამ საფრანგეთის არმიასა და ფლოტზე განაპირობა მეორე კოალიციის გამარჯვების შესაძლებლობა საომარი კამპანიის პირველ ეტაპზე. მაგრამ „რევოლუციურ“ საფრანგეთზე გამარჯვების შესაძლებლობა გამარჯვების სინამდვილედ არ ქცეულა. მას შედეგად არ მოჰყოლია საფრანგეთის განადგურება. რუსეთის არმიისა და ფლოტის გადამწყვეტი როლი საფრანგეთზე გამარჯვების საქმეში მეორე ანტიფრანგული კოალიციის აქილესის ქუსლად იქცა. მან გამოააშკარავა კოალიციის რიგებში პოტენციალურად არსებული ინტერესთა ღრმა წინააღმდეგობა, რამაც შემდეგში წესი აუგო ამ კოალიციას და მისი დანგრევა გამოიწვია.

მოკავშირეებმა, კერძოდ მეფის რუსეთმა, ვერ გამოიყენეს ძალთა ის ახალი თანაფარდობა, რომელიც 1799 წლის ნახევრისათვის შეიქმნა ევროპის კონტინენტზე რუსეთის არმიის მიერ სუვოროვის სარდლობით ჩრდილო იტალიაში ფრანგებზე მოპოვებული დიდი გამარჯვების შედეგად. საფრანგეთის საუკეთესო დივიზიების განადგურებამ, რომელთაც მორო, ჟუბერი, მაკდონალდი, მასენა და სხვა ნიჭიერი გენერლები სარდლობდნენ, საფრანგეთის არმია აშკარა კატასტროფის პირამდე მიიყვანა, ხოლო მოკავშირეებს გზა ბაუხსნა ძლევამოსილი ლაშქრობისათვის სამხრეთ საფრანგეთისაკენ. მაგრამ ეს მეტად ხელსაყრელი ვითარება, ვიმეორებთ, ჯეროვნად არ ყოფილა გამოყენებული და საო-

მარი ოპერაციები საფრანგეთის წინააღმდეგ თავის ლოგიკურ შედეგამდე არ ყოფილა მოყვანილი.

მთავარი მიზეზი, რომელმაც ჩაშალა მოკავშირეების და მათ შორის მეფის რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური გეგმები საფრანგეთის რესპუბლიკის მიმართ, იყო ის ღრმა წინააღმდეგობა და ინტერესთა დაპირისპირება, რომელმაც თავი იჩინა კოალიციის რიგებში საფრანგეთის წინააღმდეგ ომის დაწყებისთანავე. შემდეგში იგი თანდათანობით გაღრმავდა ჩრდილო იტალიაში რუსეთის არმიის მიერ მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებების შედეგად.

როგორც უკვე აღვნიშნავდით, კოალიცია საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლისას არავითარ სამართლიან, უანგარო, განმათავისუფლებელ, კეთილშობილურ და რაინდულ მისიას არ ისახავდა. კოალიციის ბრძოლას „რევოლუციური" საფრანგეთის წინააღმდეგ არ ჰქონდა ხალხური ხასიათი; იგი არ წარმოებდა კოალიციაში შემავალ სახელმწიფოთა მოსახლეობის ნაციონალური ინტერესების შესატყვისად. ეს ომი მათთვის უცხო ხასიათისა იყო, მისი მიზნები კი — საკუთარი[1]. ეს იყო ისეთივე უსამართლო, დაპყრობითი ზრახვებით ნაკარნახევი ომი, როგორიც იყო თვით საფრანგეთის დირექტორიის მიერ იტალიაში, გერმანიაში, ხმელთაშუა ზღვის აუზში, ბელგიასა და სხვა ადგილებში წარმოებული ომები. ამ ომის „კეთილშობილური" ამოცანები იყო: საფრანგეთის რევოლუციის შედეგების ლიკვიდაცია, ბურბონთა დინასტიის რესტავრაცია თავის „კანონიერ" უფლებებში, ფეოდალურ-მონარქიული „კანონებისა და წესების" განმტკიცება, საფრანგეთის ტერიტორიის შემცირება, მოკავშირეთა გაფართოება სხვა ხალხებისა და ქვეყნების ხარჯზე, ახალი ხელსაყრელი სამხედრო-სტრატეგიული პლაცდარმის მოპოვება და სხვ. სწორედ ამ ომის უსამართლო მიზნები ჰბადებდა მოკავშირეთა შორის მოჩვენებით ერთიანობასაც და ღრმა წინააღმდეგობასაც. საფრანგეთის „ტირანიისაგან" ევროპის განთავისუფლების

---

[1] ეუბა რა რუსეთის მონაწილეობას ანტიფრანგულ კოალიციაში და იმ მიზნებს, ომლებსაც პავლე I ისახავდა საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, ბურჯალოვი სამართლიანად წერს შემდეგს: „...Русские солдаты гибли в Италии и Швейцарии не в интересах своего народа. Поход Суворова имел целью разрушить революционный Париж и восстановить феодальный строй во Франции и Европе". Э. Бурджалов, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

და „რევოლუციის ბაცილის“ მოსპობის ამოცანები აერთიანებდა კოალიციაში შემავალ სახელმწიფოებს; მომავალი დაპყრობების, ახალი გავლენის სფეროების მოპოვების და ევროპული მშვიდობიანობის დამყარების ამოცანები კი ერთიმეორისაგან სთიშავდა მათ.

მეორე ანტიფრანგული კოალიცია ევროპის კონტინენტის ფეოდალურ-ბატონყმურ მონარქიათა და კაპიტალისტური ინგლისის დროებით და არამყარ კავშირს წარმოადგენდა. თავისი ხასიათის გამო მას დიდხანს არსებობა არ შეეძლო. იგი ისეთ სახელმწიფოთა კავშირს წარმოადგენდა, რომელთა შორის ანტაგონიზმი ღრმა და ხანგრძლივ ხასიათს ატარებდა. თავდაპირველად ეს ანტაგონიზმი მოჩვენებითი ერთიანობით იყო შენიღბული, მაგრამ დროთა მსვლელობაში ამ ანტაგონიზმს ერთიანობის ნიღაბი ჩამოეხადა და იგი შიშველი სახით გამოვლინდა. კერძოდ თავი იჩინა ღრმა წინააღმდეგობამ ერთი მხრივ რუსეთსა და მეორე მხრივ ინგლისსა და ავსტრიას შორის.

რუსეთსა და ინგლისს, რუსეთსა და ავსტრიას შორის საფრანგეთის რევოლუციის გაჩაღებამდე უფრო იგრძნობოდა ურთიერთ უნდობლობა და ინტერესთა დაპირისპირება, ვიდრე მეგობრობა და ჰარმონია. „ცბიერი ალბიონის“ სახით რუსეთს ანტიფრანგულ კოალიციაში ისეთ მოკავშირესთან ჰქონდა საქმე, რომელიც მანამდე არაერთხელ მონაწილეობდა მის საწინააღმდეგო დიპლომატიურ და სხვა ხასიათის ინტრიგებში და რომელიც ცდილობდა მაქსიმალური ზიანი მიეყენებინა მისთვის. როგორც აღნიშნული იყო, ინგლისი რუსეთის დაუძინებელი მტერი იყო აღმოსავლეთის საკითხში. ყოველი კრიზისის დროს, რომელიც „ევროპული დიპლომატიის ამ თავსატეხი საკითხის“ ნიადაგზე აღმოცენდებოდა ხოლმე, ინგლისი აუცილებლად რუსეთის წინააღმდეგ გამოდიოდა და სხვა სახელმწიფოებსაც ამხედრებდა მის წინააღმდეგ. ასეთი მოკავშირე რუსეთის ეშმარიტი მოკავშირე ვერ იქნებოდა. მის „მეგობრობას“ იმდენად ჰქონდა ფასი, რამდენადაც იგი რუსეთისაგან მოელოდა საზარბაზნე ხორცს თავისი დაუძინებელი მტრის და მეტოქის საფრანგეთის გასანადგურებლად, თავისი კოლონიური ზრახვების დასაკმაყოფილებლად. ევროპის კონტინენტის სახელმწიფოთა ურთიერთ ბრძოლის ხანძრის პერიოდული დანთება ინგლისის დიპლომატიის „ძალთა წონასწორობის“ პოლიტიკის ინტერესებს შეესაბამებოდა, რის გამოც იგი ხელს უწყობდა ასეთი ომების გაჩაღებას. 1792 წლიდან

ევროპის მატერიკზე საერთო ევროპული ომის გაჩაღების საქმეში ცოტა წვლილი როდი მიუძღოდა ინგლისის ვერაგ დიპლომატიას.

როგორც უკვე აღვნიშნავდით, მოჩვენებითი იყო ინტერესთა ერთიანობა რუსეთსა და ავსტრიას შორისაც. მათ შორისაც ათეული წლების მანძილზე შუღლი, მტრობა და კინკლაობა სუფევდა, რასაც ვერ ანელებდა თვით მათი დროგამოშვებითი ერთობლივი ბრძოლა ოტომანთა თურქეთის წინააღმდეგ. ოტომანთა იმპერიის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლას არ შეეძლო რუსეთ-ავსტრიის წინააღმდეგობის შენელება, ვინაიდან თვით ამ იმპერიის მეზკვიდრეობის განაწილების საკითხი მთავარ ფიცხ მასალას წარმოადგენდა მათ ურთიერთობაში. ძალიან ვრცელი იყო ის ტერიტორიული არე, სადაც მკვეთრად ეჯახებოდნენ ერთმანეთს ამ ორი სახელმწიფოს ინტერესები. ეს ტერიტორიები და სახელმწიფოებრივი ერთეულები იყო: მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძული, პოლონეთი, იტალია და გერმანიის სახელმწიფოები. მართალია, საფრანგეთის რევოლუციამ ახალი ვითარება შექმნა ევროპაში და მით მნიშვნელოვანი კორექტივი შეიტანა რუსეთ-ავსტრიის ურთიერთობაში, მაგრამ მან კი არ მოსპო ეს შუღლი, არამედ მიოლოდ გარკვეულ დრომდე შეანელა მათ შორის არსებული ტრადიციული წინააღმდეგობა. საფრანგეთთან ომის დროს ავსტრიასაც ისეთივე ეგოისტურ-დაპყრობითი მიზნები ამოქმედებდა, როგორიც ინგლისს.

ახალმა ვითარებამ, რომელიც მეორე ანტიფრანგული კოალიციის ორგანიზაციის შედეგს წარმოადგენდა, საომარი მოქმედების დასაწყისშივე ხელსაყრელი ნიადაგი შეუქმნა ავსტრიის მმართველი წრეების ანტირუსული განწყობილების ახალ გაღვივებას და ანტირუსული „მოღვაწეობის“ ფართო ასპარეზი შეუქმნა ყოვლისშემძლე თუგუტს.

ამგვარად, ანტიფრანგული კოალიციის რიგებში არსებულმა დაუძლეველმა შინაგანმა წინააღმდეგობებმა და მათ შედეგად ამ კოალიციის დაშლამ განაპირობა ანტიფრანგულ ომში დასახული ამოცანების განუხორციელებლობა.

იმისათვის, რომ უფრო უკეთ ავხსნათ მეორე ანტიფრანგული კოალიციის დაშლისა და მისი შემადგენლობიდან რუსეთის გამოსვლის მიზეზები, საჭიროდ მიგვაჩნია ცალ-ცალკე განვიხილოთ რუსეთ-ავსტრიასა და რუსეთ-ინგლისს შორის აღმოცენებული და გაშლილი წინააღმდეგობა კოალიციის შექმნის მომენტიდან მის სრულ დაშლამდე.

3. რუსეთ-ავსტრიის წინააღმდეგობა მეოცე ანტიფრანგული კოალიციის რიგებში

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირველმა ბზარმა რუსეთ-ავსტრიის ურთიერთობაში თავი იჩინა ჯერ კიდევ 1799 წლის გაზაფხულზე ჩრდილო იტალიაში საფრანგეთის წინააღმდეგ ომის გაჩაღების მომენტისათვის. ვენის სამეფო კარის გადაწყვეტილება — მოქმედების თავისუფლება არ მიეცა სუვოროვისათვის, აღეკვეთა მისი „თვითნებობა“ ფრონტზე, თავისი კონტროლი დაეწესებინა მის მოქმედებაზე და იგი საომარი ოპერაციების მსვლელობაში ავსტრიის ეგოისტური ზრახვების უბრალო აღმასრულებელ იარაღად ექცია — რუსეთის მიმართ ავსტრიის მმართველთა უნდობლობის პირველი კონკრეტული გამოხატულება იყო.

სუვოროვისათვის ავსტრიის არმიის ფელდმარშლის წოდების მინიჭება წარმოადგენდა პირველ ნაბიჯს დიდი რუსი მხედართმთავრის და, მაშასადამე, იტალიის ფრონტზე მებრძოლი რუსეთის არმიის ავსტრიის კონტროლისათვის დაქვემდებარების განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. ამ წოდების მიღებით სუვოროვი ფორმალურად ავსტრიის არმიის წესებს უნდა დამორჩილებოდა, თანაც უნდა ეცნო ამ არმიის უმაღლეს სამეფო სამხედრო საბჭოს, ანუ ჰოფკრიგსრატის (Hofkriegsrath) ხელმძღვანელი როლი მომავალი კამპანიის ჩატარების საქმეში. დიდი მხედართუფროსი ამასთან ერთად უნდა დამორჩილებოდა თვით იმპერატორს, რომელიც ავსტრიის ჯარების უმაღლეს მთავარსარდლად ითვლებოდა და პირველ მინისტრ თუგუტს, რომელსაც ჰოფკრიგსრატის თავმჯდომარეობა ჰქონდა „შეთავსებული“. ვენის სამეფო კარის განზრახვით სუვოროვს უნდა ემოქმედა არა პეტერბურგის მთავრობის მითითებით, არა საკუთარი ინიციატივით, არამედ ავსტრიის სამეფო კარის მითითებების მიხედვით, იმ სამხედრო-სტრატეგიული გეგმის საფუძველზე, რომელსაც მას ჰოფკრიგსრატი მისცემდა. ერთი სიტყვით, ვენელ „ბრძენთა“ განზრახვით სახელგანთქმული რუსი ფელდმარშალი ავსტრიის სამეფო კარისა და ავსტრიის გენერალიტეტის ნების უბრალო აღმასრულებელი უნდა ყოფილიყო.

ავსტრიის ჰოფკრიგსრატი, როგორც ცნობილია, არქაული ტიპის დაწესებულება იყო, რომელიც გენერალური შტაბისმაგვარ ფუნქციებს ასრულებდა. მასში თავმოყრილნი იყვნენ სასახლის და ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები, ძველ სამხედრო

წესებზე აღზრდილი გენერლები. თავისი სქოლასტიკური გეგმებით და მუშაობის არქაული მეთოდებით ეს სამხედრო საბჭო ახშობდა ყოველგვარ პირად ინიციატივას და ნოვატორულ წამოწყებას, რითაც. აფერხებდა ავსტრიის სამხედრო ხელოვნების განვითარებას. ყოველივე ამის შედეგი იყო ავსტრიის ჯარების პერმანენტული დამარცხებები საერთოდ, კერძოდ კი—საფრანგეთთან ბრძოლაში.

ასეთ შტაბს და მის არასამხედრო ხელმძღვანელ თუგუტს კონტროლი უნდა გაეწიათ და წარემართათ მომავალი კამპანია ფრანგების წინააღმდეგ, მათ ჭკუა უნდა ესწავლებინათ დიდი სუვოროვისათვის. მოსალოდნელი იყო, რომ სუვოროვი ჯეროვან წინაალმდეგობას გაუწევდა ავსტრიელების მხრივ მის ფუნქციებში უხეში ჩარევის ცდებს, რასაც უნდა მოჰყოლოდა მოკავშირეთა შორის წინააღმდეგობის გამწვავება.

ამასთან ერთად აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ავსტრიის სამეფო კარი, მოქმედებდა რა საკუთარი ეგოისტური მოსაზრებებით, არსებითად არ იზიარებდა საფრანგეთში შევრის იმ სამხედრო-სტრატეგიულ გეგმას, რომლითაც უნდა ემოქმედა სუვოროვს პავლე I-ის ბრძანების შესატყვისად. ვენის მთავრობის ინტერესები არ მოითხოვდა საფრანგეთის სრულ განადგურებას და მის ოკუპაციას მოკავშირეთა ჯარების მიერ. მისი ანგარული მიზნები — დირექტორიის ხელისუფლების დამხობა, საფრანგეთის ტერიტორიული შემცირება, მისი ტერიტორიის ნაწილის მიტაცება და იტალიაზე გაბატონება ვენის მთავრობის აზრით საფრანგეთის დასუსტების გზითაც შეიძლებოდა განხორციელებულიყო. სავსებით ბუნებრივია, რომ ვენაში შეეცადნენ აღნიშნული პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული გეგმის შესატყვისად ემოქმედათ და აეძულებინათ სუვოროვი აღნიშნულ ავსტრიულ პოლიტიკურ და სამხედრო-სტრატეგიულ გეგმებს დამორჩილებოდა. ვენის მთავრობის ასეთი მისწრაფება კამპანიის დასაწყისშივე უნდა გამხდარიყო ავსტრია-რუსეთის შეჯახების სერიოზული ფაქტორი.

ფელდმარშალმა სუვოროვმა, როგორც მოსალოდნელი იყო, დასაწყისშივე აღშფოთებით უკუაგდო თუგუტის და ჰოფკრიგსრატის ცდა თავზე მოეხვიათ მისთვის თავიანთი მეურვეობა დაომის წარმოების მზა, ისიც მიუღებელი გეგმა. წინადადებაზე — გაეცნო მათთვის საომარი კამპანიის გეგმა, სუვოროვმა უპასუხა, რომ არავითარი მზა გეგმა მას არ გააჩნია და არც საჭიროებს

ასეთს, რომ კამპანიის გეგმას შეიმუშავებს საომარი მოქმედების ასპარეზის რაიონის შესწავლის შემდეგ [1].

სუვოროვს არ სურდა ვენელთა ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა და მათთვის საომარი კამპანიის გეგმა გაეცნო არა იმიტომ, რომ ასეთი გეგმის მონახაზები თითქოს მართლაც არ გააჩნდა მას, არამედ იმიტომ, რომ განხრახული ჰქონდა მოქმედების სრული თავისუფლება შეენარჩუნებინა. სინამდვილეში, როგორც ცნობილია, დიდმა რუსმა მხედართუფროსმა ჯერ კიდევ 1798 წლის შემოდგომაზე მოხაზა საფრანგეთზე გამარჯვების გეგმის კონტურები (საფრანგეთთან ომის შემთხვევაში, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული) „გამარჯვების ხელოვნების“ და სამხედრო ოპერაციის გეგმის სქემის სახით [2].

სუვოროვს იტალიის კამპანიის მთელ პერიოდში მეფისტოფელის ბოროტი სულის მსგავსად თან სდევდა ვენის სამეფო კარის; სამეფო სამხედრო საბჭოს და პირადად თუგუტის „რჩევადარიგება“, წვრილმანი ინტრიგა და დირექტივები. ყოველივე ეს ხელს უშლიდა სუვოროვს მის ოპერაციებში და იწვევდა ფელდმარშლის სამართლიან გულისწყრომას [3].

დიდი რუსი მხედართმთავარი მისთვის ჩვეული გულახდილობით ავლენდა ვენის სამეფო კარის, თუგუტის, ჰოფკრიგსრატის და ავსტრიელ გენერალთა უვიცობას, წვოილმანობას, კონ-

---

[1] К. Валишевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 355.

[2] იხ. „Генералиссимус Суворов. Сборник документов и материалов“. М., 1947, დოკუმენტი № 98—Письмо А. В. Суворова генералу И. И. Преводе-Люмпан по поводу предполагаемых действий европейских и восточных стран против Франции, от 5 (16) сент. 1798 г., და დოკუმენტი № 99—Набросок плана операции против французов 1798, გვ. 222—224.

[3] თუ რამდენად ეჯავრებოდა სუვოროვს ყოველგვარი სამხედრო საბჭო და რამდენად დამღუპველად მიაჩნდა ასეთი ორგანოს, კაბინეტის, თუ ცალკეულ პირთა ჩარევა მთავარსარდლის ფუნქციებში, ამას კარგად ავლენს ის მოსაზრება, რომელიც მას გამოუთქვამს ერთ-ერთ პირთან საუბრის დროს 1799 წლის დასასრულს (პრაღაში ყოფნის დროს) ჰანიბალის რომზე ლაშქრობის მარცხის მიზეზის შესახებ. მოსაუბრის (გრაფ ბ ე ლ ე რ გ ა რ დ ი ს) თქმახე იმის შესახებ, რომ ჰანიბალის რომზე ლაშქრობის მარცხის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ მან კანას ბრწყინვალე ოპერაციის შემდეგ საპიროზე მეტი დასვენება მისცა თავის არმიასო, სუვოროვს შემდეგი სიტყვები უთქვამს: „Нет, c'était de Conseil de Carthage, qui l'empêchait, et partout, ou le Conseils et les cabinets veulent régler les opérations des généraux, cela sera de même. იხ. „Встреча с Суворовым в 1799 году. Из записки барона (впоследс. графа) Густава Маврикия Армфельдта“. „Русская старина“, 1893 г., март, გვ. 696.

სერვატიზმს, ეგოიზმს და დაჟინებით მოითხოვდა ასეთი ტიპის ადამიანების და ორგანოების „მეურვეობისაგან“ მის დახსნას[1].

სუვოროვი ცდილობდა არაფრად მიეჩნია ავსტრიის სამეფო კარის მესვეურთა წვრილმანი ინტრიგა და საკუთარი გეგმის შესატყვისად ემოქმედა. რუსი მხედართმთავრის ეს „ახირება და ჟინიანობა“ თავის მხრივ იწვევდა ავსტრიის მესვეურთა გაბოროტებას და აძლიერებდა მათ შურს, მტრობას და ინტრიგებს სუვოროვის წინააღმდეგ[2]. „შურიანობა, ვერაგობა და ორპირობა წარმართავენ დიდი ბარონის თუგუტის მოქმედებას“,—წერდა თ. ვ. როსტოპჩინი ს. რ. ვორონცოვს 1799 წლის 25 ივლისის წერილში, მხედველობაში ჰქონდა რა თუგუტის ინტრიგები სუვოროვისა და რუსეთის არმიის წინააღმდეგ, მაგრამ ამასთან ერთად როსტოპჩინი თავის წერილში დასძენდა, რომ სუვოროვი, საბედნიეროდ, ამას ყურადღებას არ აქცევს და, დაინტერესებულია რა მხოლოდ და მხოლოდ ევროპის ხსნით, საბრძოლო სულს შთაბერავს რუსეთის არმიას და წინ მიიწევსო[3].

გრაფ ა. კ. რაზუმოვსკისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში სუვოროვი აღშფოთებას გამოთქვამს ავსტრიის სამეფო კარის და ჰოფკრიგსრატის მზარდი მუხანათობის და ინტრიგების გამო და დაჟინებით მოითხოვს მათგან თავის დახსნას, მოქმედების სრულ თავისუფლებას ანდა დაბრუნებას რუსეთში[4].

---

[1] „Опоясанная мечом Скандинберга, сия сова, — წერდა სუვოროვი თუგუტის შესახებ გრაფი როსტოპჩინისადმი 1799 წლის 1 დეკემბერს გაგზავნილ წერილში,—не с ума ли сошла, или того никогда ни имела“. Архив ВПР, ф. „Сношения России с Францией“, д. 1398, л. 51; იხ. აგრეთვე Архив князя Воронцова. ტ. 24, გვ. 339, სუვოროვის ორი წერილი კოლიჩევისადმი 1799 წ. 20 და 29 აგვისტოს თარიღით, Архив ВПР ф. „Сношения России с Австрией“, д. № 900, л. 31.

[2] სუვოროვისა და თუგუტის ურთიერთობას სპეციალური სტატია უძღვნა მისი ლაშქრობის თანამონაწილემ და ამ ლაშქრობის მემატიანე-ისტორიკოსმა ფუქსმა. ამ სტატიაში იგი სასტიკად გმობს ავსტრიის პირველი მინისტრის დამოკიდებულებას დიდი სუვოროვისადმი და მას მუხანათურს და პროვოკატორულს უწოდებს. მართალია, ფუქსი რუსი ნაციონალისტის პოზიციიდან აშუქებს რუსეთ-ავსტრიის და მათი მესვეურების იმდროინდელ ურთიერთობას, მაგრამ ძირითადში იგი მაინც სწორ შეფასებას აძლევს თუგუტის ვერაგულ ქცევას და ამის შემაპირობებელ ფაქტორებს. იხ. Е. Фукс, Суворов и Тугут, Чтения в Императорском Обществе истории и древностей Российских, № 9, 1847, გვ. 11.

[3] Архив князя Воронцова, ტ. 8, გვ. 233.

[4] იქვე, ტ. 24, გვ. 325.

სუვოროვის რელაციები ვენის სამეფო კარის ინტრიგებისა და მუხანათობის შესახებ—რაც არა მარტო პირადად სუვოროვის წინააღმდეგ იყო მიმართული, არამედ რუსეთის არმიისა და რუსეთის საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგაც, — სათანადო რეაქციას იწვევდა პეტერბურგში. ეს რელაციები აღიზიანებდა რუსეთის იმპერატორს და ამხედრებდა მას „უმადური“ მოკავშირის წინააღმდეგ. რუსეთის თვითმპყრობელი ხელისუფალი საპასუხო ნაბიჯებს დგამს ვენელი მოკავშირის ინტრიგების აღსაკვეთად.

1799 წლის ივლისის დამლევისათვის პავლე I-მა მკაცრ ფორმებში შედგენილი წერილი გაუგზავნა ავსტრიის იმპერატორ ფრანც II-ს, რომელშიაც, აღნიშნავდა რა თუგუტის და სამეფო სამხედრო საბჭოს ინტრიგებს, როგორც პირადად სუვოროვის, ისე რუსეთის არმიის წინააღმდეგ, დაჟინებით მოითხოვდა მსგავსი აქტების აღკვეთას მომავალში და სუვოროვისათვის მოქმედების თავისუფლების მიცემას. რაზუმოვსკისადმი გაგზავნილი რესკრიპტით პავლემ სასტიკი გაფრთხილება მისცა მას მის მიერ პროავსტრიული პოლიტიკის გატარების გამო, ხოლო სუვოროვისადმი გაგზავნილ წერილში (1799 წ. 16 სექტემბრის თარიღით) პავლე სავსებით ეთანხმება მას, აძლევს მოქმედების სრულ თავისუფლებას და ავალებს მასვე განუხრელად გაატაროს და განავითაროს კამპანიის დასაწყისშივე აღებული კურსი და არ გადაუხვიოს ამ კურსს[1].

ვერც „მეგობრულმა“ თხოვნამ და ვერც დაშინებამ ვერავითარი ქმედითი გავლენა ვერ მოახდინა ვენის სამეფო კარზე და ვერ შეაცვლევინა მის მესვეურებს აღებული ანტირუსული კურსი. მათი „რჩევა-დარიგება“, ინტრიგები და აშკარა მტრული გამოხდომები გრძელდებოდა იტალიის კამპანიის მთელი დროის მანძილზე. თუგუტი და ჰოფკრიგსრატი დროგამოშვებით კვლავინდებურად ერეოდნენ სუვოროვის ფუნქციებში, წვრილმანი ინტრიგებით ხელს უშლიდნენ მას და რუსეთის არმიისათვის სახელის გატეხასაც არ ერიდებოდნენ.

საფრანგეთის არმიაზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებები ჩრდილო იტალიაში, რაშიაც გადამწყვეტი როლი რუსეთის არმიამ შეასრულა, ვენის საერო და სამხედრო არისტოკრატიის

---

[1] იხ. პავლე I-ის რესკრიპტები სუვოროვისადმი, 1799 წლის 7 აგვისტოს და 2 ოქტომბრის თარიღით. Архив ВПР, ф. „Сношения России с Францией“; д. 1388, лл. 13, 39; К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 376—377.

რიგებში მბოლოდ შურს, ფარულ შეშფოთებას და გაბოროტებას იწვეედა. მათ ვერ აეტანათ ის გარემოება, რომ ავსტრიის არმია რუსეთის არმიასთან შედარებით ძალზე უსუსური და ჩამორჩენილი იყო როგორც ჯარისკაცთა ბრძოლისუნარიანობით, ისე მეთაურთა შემადგენლობის მომზადება-დახელოვნების მხრივაც. ნაცვლად იმისა, რომ ესწავლათ რუსეთის არმიისაგან, მათ, პირიქით, დაიწყეს რუსეთის არმიის დისკრიმინაცია.

ავსტრიის სარდლობამ იმდენად შორს შესტოპა რუსეთის არმიისათვის სახელის გატეხის საქმეში, რომ საჭიროდ ჩათვალა სათანადო „ახსნა-განმარტება" ჩაეტარებინა ტყვე ფრანგ ჯარისკაცებთან და განეწყო ისინი რუსეთის ჯარის წინააღმდეგ. ტყვე ფრანგ ჯარისკაცებში რუსეთის ჯარისადმი სიძულვილის, ზიზღისა და შიშის გამოწვევის მიზნით ავსტრიელი სამხედრო ხელისუფალნი მათ არწმუნებდნენ: რუსი ჯარისკაცები მხეცურად იქცევიან, სამოქალაქო მოსახლეობას არ ინდობენ, ტყვეებს ძარცვავენ და ხოცავენ, საერთოდ არავის არ ინდობენ, რისთვისაც საჭიროა მათთან ურთიერთობისაგან თავის შეკავებაო. მაგ., ავსტრიის ჯარების ერთ-ერთმა სარდალმა მ ე ლ ა ს მ ა განთავისუფლებულ და საფრანგეთში უკან დასაბრუნებლად გამზადებულ ტყვეებს ასეთი პროვოკაციული დაპასიათება მისცა: „არ გაიაროთ იტალიის ტერიტორიის იმ ნაწილზე, სადაც რუსეთის არმია მოქმედებს, რუს ჯარისკაცებს არ შეხვდეთ, ერიდეთ ხელში არ ჩაუვარდეთ რ უ ს ყ ა ჩ ა ღ ებ ს" (მელასის გამოთქმა, ხაზი ჩვენია — ვ. დ.)[1].

ავსტრიის სამეფო კარისა და სამხედრო ხელისუფალთა ასეთი მტრული დამოკიდებულება მოკავშირის ძლევამოსილი არმიისა და მისი სახელმოხვეჭილი სარდლისადმი, მათ მიერ მოკავშირის სამხედრო-სტრატეგიული გეგმის განაორციელებისათვის შეგნებულად ხელის შეშლა ფიცხ მასალას ქმნის ამ სახელმწიფოთა ურთიერთობაში და სხვა გარემოებებთან ერთად ხელს უწყობს რუსეთ-ავსტრიის ურთიერთობის გაუარესებას და, ბოლოს, მათ სავსებით გათიშვას.

ერთ-ერთ ეპიზოდს ავსტრია-რუსეთის ურთიერთობაში, რომელმაც იტალიის კამპანიის დასაწყისშივე გამოიწვია რუსეთის

---

[1] თ. როპტოპჩინის 1799 წლის 23 სექტემბრის წერილი ს. ვორონცოვისადმი, Архив князя Воронцова. ტ. 8, გვ. 341; Е. Фукс, Суворов и Тугут, Чтения в импер. обществе ист. и древн. Российских, 1847, ტ. 9, გვ. 13.

იმპერატორის გულისწყრომა თავისი ვენელი მოკავშირისადმი, წარმოადგენდა მალტის რაინდთა ორდენის ყოფილი დიდი მაგისტრის გომპეშის ქცევის საკითხი. ავსტრიის სამეფო კარმა აქაც არ უღალატა თავის ტრადიციულ პოლიტიკას — ფარულ ვერაგობას მოკავშირის მიმართ, მისი მოწინააღმდეგის წახალისებასა და წაქეზებას.

მალტის რაინდთა ორდენის ყოფილი დიდი მაგისტრი გომპეში იძულებითი გადადგომის შემდეგ ქალაქ ტრიესტში ცხოვრობდა. გარეგნულად იგი თითქოს შეურიგდა მობხდარ ფაქტს, ხელი აიღო რელიგიურ საქმეზე და საერო მოქალაქის „უწყინარ" ცხოვრებას მოჰკიდა ხელი. სინამდვილეში გომპეში წარსულზე ფიქრობდა და დაკარგული საპატიო პოსტის უკან დაბრუნებაზე ოცნებობდა და ამ მიზნის მისაღწევად სათანადო ფარულ მუშაობასაც ეწეოდა. გომპეში ინტრიგებს უწყობდა პავლე I-ს, მალტის რაინდთა ორდენის მფარველსა და დიდ მაგისტრს. მას სურდა ორდენის ახალი დიდი მაგისტრის წინააღმდეგ აეგზედრებინა მალტის ორდენის რაინდები. რისთვისაც სათანადო მოლაპარაკებასა და მიწერ-მოწერას აწარმოებდა ამ ორდენის რამოდენიმე კავალერთან. ამ მიწერ-მოწერამ მალე პრაქტიკული ნაყოფი გამოიღო. მალტიდან ტრიესტში ჩავიდა ორდენის კავალერთა დელეგაცია (1799 წ.), რომელმაც გომპეშს მალტაზე უკან გამგზავრება და ორდენის ხელმძღვანელობის ხელში აღება შესთავაზა.

პავლემ საიდუმლო სააგენტურო არხების მეშვეობით მიიღო ცნობები გომპეშის ფარული ინტრიგების შესახებ. მისთვის ცნობილი გახდა ისიც, რომ ავსტრიის სამეფო კარი და მისი პირველი მინისტრი თუგუტი მონაწილეობას იღებდნენ ამ ინტრიგებში და ყოველმხრივ აქეზებდნენ გომპეშს მიეღო მალტის კავალერთა „თხოვნა" და მალტაზე გამგზავრებულიყო. რუსეთის იმპერატორმა კატეგორიული ფორმით მოითხოვა ბოლო მოღებოდა ამ ინტრიგებს და აღკვეთილიყო გომპეშისა და ავსტრიელ ხელისუფალთა მხრივ ორდენის ახალი დიდი მაგისტისათვის სახელის გატეხის ცდები. პავლე I იმუქრებოდა რიმსკი-კორსაკოვის კორპუსის შემდგომი წინსვლის შეწყვეტით შვეიცარიის მიმართულებით და მისი უკან გაწვევით, თუ მის ამ სამართლიან მოთხოვნას ყურადღება არ მიექცეოდა და სათანადო პასუხით არ იქნებოდა დაკმაყოფილებული.

ვენაში თავდაპირველად არ სურდათ მხედველობაში მიეღოთ მკაცრი გაფრთხილება პეტერბურგიდან და სათანადო ნაბიჯები გადაედგათ გომპეშის ინტრიგების აღსაკვეთად. თუგუტს არ სურ

და აღიარებინა ორდენის შინაგან საქმეებში რუსეთის იმპერატორის ჩარევის უფლება და შემდგომშიც მზად იყო ეთანამშრომლა გომპეშთან ორდენის მომავალი ბედის თაობაზე. მაგრამ 1799 წლის ივლისში პავლემ წინანდელ გაფრთხილებას მკაცრი ულტიმატუმიც მიუმატა, რომელიც ძალზე იმპერატიული ტონით იყო შედგენილი და ვენის სამეფო კარს ლავირების შესაძლებლობის გზას უხშობდა. პეტერბურგის მთავრობის ამ ახალმა იმპერატიულმა მოთხოვნამ შეაშფოთა ვენის მთავრობა და აიძულა იგი უკან დაეხია. იგი თანახმა გახდა დაეკმაყოფილებინა რუსეთის იმპერატორის ყველა მოთხოვნა — კავშირი გაეწყვიტა გომპეშთან, ხელი აეღო მის წაქეზებაზე და თან ახალი მაგისტრისათვის გადაეცა ძველი მაგისტრის „მთელი მემკვიდრეობა" (ნიშნები, ჯვარი და სხვ.)[1].

მართალია, აღნიშნული კონფლიქტი თითქოს მორიგებით დამთავრდა, მაგრამ მან ძაინც თავისი კვალი დატოვა როგორც პეტერბურგში, ისე ვენაში, გააღიზიანა მოკავშირე მთავრობების მესვეურთა ვნებები და გააძლიერა ურთიერთ უნდობლობა და დაპირისპირება.

ანტიფრანგული კოალიციის მოქმედების მთელ პერიოდში მთავარი ფიცხი მასალის როლი რუსეთ-ავსტრიის ურთიერთობაში შეასრულა იტალიის საკითხმა (სარდინია-პიემონტის სამეფოს, პაპის ოლქის, თვით პაპისა და ორივე სიცილიის სამეფოს საკითხებმა). სწორედ იტალიის საკითხში, კერძოდ კი სარდინია-პიემონტის სახელმწიფოსადმი დამოკიდებულების საკითხში განსაკუთრებით რელიეფურად გამოვლინდა ავსტრიის სამეფო კარის ეგოისტურ-დაპყრობითი ზრახვები და მუხანათური ქცევა რუსეთის მიმართ.

პავლე I, როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, რუსეთის ინტერესების შესატყვისად მხარს უჭერდა რევოლუციამდელი ურთიერთობის აღდგენას იტალიაში. ასეთი პოლიტიკა სავსებით შეესაბამებოდა იმდროინდელი რუსეთის მმართველი ზედაფენის კლასობრივ ინტერესებს.

---

[1] იხ. კოლიჩევის 1799 წლის 8/19 ივნისის რელაცია პავლესადმი, Архив ВПР, ф. „Сношения России с Австрией", д. 891, лл. 7—8; Архив князя Воронцова, т. 24, гз. 273 და 289.

Status quo ante belluni-ის აღდგენა იტალიაში ნიშნავდა: 1) ფრანგ დამპყრობთა სრულ განდევნას იტალიის ტერიტორიიდან და იქ მათი პოლიტიკური, თუ სხვა სახის გავლენის ლიკვიდაციას; 2) „ლეგიტიმისტური“ დინასტიების აღდგენას „კანონიერ“ უფლებებში და მათთვის ფრანგთაგან წართმეული სამეფოსამთავროების დაბრუნებას; 3) პაპის აღდგენას როგორც საეკლესიო „წმინდა“ ტახტზე, ისე საერო უფლებებში და მისთვის მისი ყოფილი ოლქის უკან დაბრუნებას; 4) იტალიაში ფეოდალური პარტიკულარიზმის კონსერვირებას; 5) „საშიში აზრების“ შემდგომი გავრცელებისათვის ზღვარის დადებას; 6) „კანონიერ“ უფლებებში აღდგენილ საერო და საეკლესიო ხელისუფალთათვის შემდგომ მხარდაჭერას და მით რუსეთის ძველი გავლენის აღდგენას.

აღნიშნული პოლიტიკა არ იყო შეპირობებული მარტო დინასტიური მოსაზრებებით და არ გამოხატავდა პავლე I-ის რაინდულ, კეთილშობილურ და უანგარო სულის დემონსტრაციას. იტალიის დაქუცმაცებისა და მონარქიულ ხელისუფალთათვის მხარის დაჭერით ცარიზმის მესვეურები იმედოვნებდნენ მტკიცედ მოეკიდათ ფეხი ამ ქვეყანაში და მით არბიტრის როლი შეესრულებინათ არა მარტო ამ ქვეყნის ფეოდალურ ერთეულთა ურთიერთობაში, არამედ თვით ცენტრალურ, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში[1].

რუსეთის თვითმპყრობელს აღნიშნული ამოცანა იარაღის მეშვეობით უნდა განეხორციელებინა. ამიტომ რუსეთის მონაწილეობას ანტიფრანგულ კოალიციაში სხვა მოსაზრებებთან ერთად ეს მოსაზრებებიც ედო საფუძვლად. მაგრამ სწორედ ამიტომ რუსეთის იმპერატორს არ სურდა დაეკმაყოფილებინა მისი მოკავშირის ავსტრიის ტერიტორიული პრეტენზიები იტალიის, კერძოდ კი სარდინიის სამეფოს მიმართ. ამით აიხსნება ის განსაკუთრებული „გულუხვობა“, რომელიც პავლემ ნეაპოლიტანიის მეფის,

---

[1] „...с его стороны не было делом „принципа“ его участие к интересам короля сардинского и короля обеих Сицилий,— წერს სორელი პავლეს შესახებ, — оно было делом престижа и политического расчета. Он видит свою личную славу и интерес своей короны в том, чтобы русский флаг высоко развевался на Средиземном море, и в том, чтобы на берегах и островах этого моря заявлять себя покровителем королей древних династий“. А. Сорель, დასახ. ნაშრ., ტ. 6, გვ. 89.

სარდინიის მეფის და თვით პაპის სამფლობელოების ხელუხლებლობის დაცვის საქმეში გამოიჩინა.

რაკი სამხედრო ვითარება მოითხოვდა, მეფის რუსეთი-თანახმა იყო ჩრდილო იტალიის დასავლეთი ოლქები და მათ შორის პიემონტი ფრანგებისაგან მისი განთავისუფლების შემდეგ დროებით ავსტრიის ჯარების ხელში დარჩენილიყო. მაგრამ პავლე I-ის მთავრობა, ამასთან ერთად, გარკვეულ პირობებს აყენებდა: ფრანგების წინააღმდეგ ომის დამთავრებამდე აღნიშნული ტერიტორიები ავსტრიის სამხედრო ხელისუფლებას უნდა ემართა სარდინიის მეფის სახელით, ომის დამთავრების შემდეგ კი ისინი სარდინიის მეფეს უნდა დაჰბრუნებოდა [1].

პაველ I ფორმალურად არავითარ პრეტენზიას არ აცხადებდა იტალიის რომელიმე ტერიტორიის მიმართ. ამავე დროს მას არ სურდა ეცნო ასეთივე პრეტენზიის „სამართლიანობა" მისი რომელიმე მოკავშირის, კერძოდ ავსტრიის მხრივ. რუსეთის იმპერატორი არ იყო საერთოდ წინააღმდეგი, თუ ავსტრია ომში გაწეული ხარჯების ანაზღაურების სახით რამდენადმე გააფართოებდა თავის ტერიტორიას ევროპაში. მაგრამ ეს გაფართოება მისი აზრით უნდა შემოფარგლულიყო ნიდერლანდებზე უფლების აღდგენით და ვენეციის სამფლობელოს შენარჩუნებით [2].

ჯერ კიდევ 1799 წლის 25 აპრილს (6 მაისს), როდესაც მოკავშირეთა არმიამ პირველად შედგა ფეხი პიემონტის ტერიტორიაზე, ფელდმარშალმა სუვოროვმა ჰეტერბურგიდან მიღებული ინსტრუქციის შესაბამისად სპეციალური მოწოდებით მიმართა პიემონტის მოსახლეობას. ამ მოწოდებაში იგი აუწყებდა მას, რომ მოკავშირეთა ჯარები პიემონტის ტერიტორიაზე შევიდნენ „...თქვენი კეთილი მეფის თავის უფლებებში აღდგენის მიზნითო". სუვოროვი ამასთან ერთად მოუწოდებდა მას დახმარებოდა მოკავშირეებს და მათთან ერთად ებრძოლა „ბოროტმოქმედთა" წინააღმდეგ, თანაც ერთხელ კიდევ არწმუნებდა მას, რომ იგი ვალდებული იქნება ერთგულება მხოლოდ საკუთარ კანონიერ სარდინიის

---

[1] К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 378. 1799 წლის 9 აგვისტოს რესკრიპტში პაველ I სწერდა სუვოროვს, რომ ამჟამად მთავარი ამოცანაა სარდინიის მეფე აღვადგინოთ უფლებებში, მისი ტურინში დაბრუნება კი საჭიროა არ არის, რადგანაც, როგორც სწერდა იგი, „...позднее или ранее это случится..." Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 167.

[2] იხ. Архив князя Воронцова, ტ. 8, გვ. 237.

მეფეს შეჰფიცოსო[1]. 1799 წლის 27 აპრილის (8 მაისის) მორიგ მოწოდებაში პიემონტის მოსახლეობისადმი, სუვოროვი ისევ დაბეჯითებით არწმუნებდა მას, რომ ავსტრიის და რუსეთის იმპერატორები თქვენთვის მოცემული დაპირების ერთგულნი იქნებიანო[2]. პავლე I-მა 1799 წლის 7/18 ივნისის რესკრიპტით დაავალა სუვოროვს ტურინის ციტადელის ფრანგთაგან განთავისუფლებისთანავე ეცნობებინა სარდინიის მეფისათვის სატახტო ქალაქის განთავისუფლების ფაქტი და მოეწვია იგი ტურინში სამეფო ტახტის დასაკავებლად[3].

სარდინიის მეფემ დიდი სიხარულით მიიღო რუსეთის იმპერატორის მისდამი კეთილგანწყობილი ნაბიჯები, დიდი მადლობა უძღვნა მას მის ბედ-იღბალზე ზრუნვისათვის და განიზრახა მოკლე დროში კონტინენტზე დაბრუნება ტურინში გამეფების მიზნით.

სადრინიის მეფემ განიზრახა მაქსიმალურად გამოეყენებინა პავლეს კეთილგანწყობილება მისდამი და მასთან მეგობრობის ხელშეკრულება გაეფორმებინა. ამ მიზნით მან თავის ელჩს პეტერბურგში გ ა ე ტ ა ნ ო ბ ა ლ ბ ე ს მითითება მისცა სათანადო მოლაპარაკება გაემართა რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიასთან. სარდინიის ელჩი შეუდგა დაკისრებული მისიის სისრულეში მოყვანას და მოლაპარაკების პროცესში გათვალისწინებული ხელშეკრულების პროექტიც კი შეადგინა. მაგრამ სარდინიის მეფის სურვილს ფრთები არ შესმია და დაწყებული მოლაპარაკება ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი. პავლე I-ის გამოსვლამ კოალიციიდან 1800 წლის დასაწყისში შეუძლებელი გახადა რუსეთ-სარდინიის მეგობრული ხელშეკრულებით დაკავშირება[4].

სარდინიის მეფის იმედებს ფრთები შეეკვეცა. მან ვერ ისარგებლა რუსეთის იმპერატორის კეთილგანწყობილებით და ვერ შესძლო თავისი სამეფოს დაბრუნება. მის ამ განზრახვას წინ აღუდგა ავსტრიის იმპერატორი, რომელიც ამ სამეფოს დაპყრობაზე ოცნებობდა.

---

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 351.

[2] იქვე, გვ. 352.

[3] იქვე, ტ. II, გვ. 164.

[4] ამის შესახებ ვრცლად იხილეთ: М. А. Полиевктов, Проект союза России с Сардинским королевством в царст. имп. Павла I, С.-Петербург, 1902.

ავსტრიის სამეფო კარი ტრადიციულად აგრესიულად იყო განწყობილი იტალიის სახელმწიფოების მიმართ. ანტიფრანგულ კოალიციაში მისი ჩაბმის ერთ-ერთი სტიმული და შემაპირობებელი იყო სწორედ იტალიის მიმართ დაპყრობითი ზრახვების სისრულეში მოყვანა.

პოლონეთის მესამე დაყოფით ავსტრიაში ძალზე უკმაყოფილო დარჩნენ. ვენის სამეფო კარზე ფიქრობდნენ, რომ პოლონეთის დაყოფის შედეგად ამ ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთმა და პრუსიამ გაინაწილეს, ავსტრიას კი მისი მცირე ნაწილი არგუნეს. რუსეთმა და პრუსიამ თავის დროზე, ავსტრიის სისტემატური საყვედურებისათვის რომ დაეღწიათ თავი, მას გაუნაღდებელი თამასუქი მისცეს: ტერიტორიული კომპენსაცია გერმანიაში ბავარიის ან სხვა შეზობელი საკურფიურსტოს სახით. ავსტრიის იმპერატორი დიდხანს ებღაუქებოდა ამ დაპირებას, მაგრამ უშედეგოდ, რადგან თვით რუსეთი გამოვიდა მისი რეალიზაციის წინააღმდეგ, რამაც ვენაში სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია [1].

ავსტრიის იმპერატორმა, რომელსაც დაეკარგა გერმანიის ხარჯზე ტერიტორიული კომპენსაციის მიღების იმედები, გაორკეცებული გულისყური მიაპყრო იტალიას. მან გადაწყვიტა აქ მიეღო სათანადო კომპენსაცია როგორც ომის ხარჯების ასანაზღაურებლად, ისე პოლონეთის მესამე დაყოფის დროს ჩადენილი „უსამართლობის" გამოსასწორებლად. ჩრდილო იტალია კი, ა. ვასილჩიკოვის თქმისა არ იყოს, არც თუ ისეთი მცირე კომპენსაცია იქნებოდა. იგი ყოველ შემთხვევაში ბავარიის თანაბარღირებული მაინც იყო [2]. სწორედ ამიტომ იყო, რომ ავსტრიის

[1] თუგუტმა სპეციალური ნოტაც კი გააგზავნა პეტერბურგში, რომელშიაც პავლე I-ის წინაშე გაცემულ თამასუქის განაღდების საკითხს აყენებ და. ავსტრიის სამეფო კარი გაბოროტებით შეხვდა ბავარიის კურფიურსტის გადაწყვეტილებას აღედგინა თავის სამთავროში მალტის ორდენის ბალიაჟი და იგი ორდენის ახალი დიდი მაგისტრისათვის. ე. ი პავლესათვის, დაექვემდებარებინა, თანაც რუსეთთან ერთად მონაწილეობა მიეღო საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბავარიის ეს გადაწყვეტილება ნიშნავდა ბავარიაზე იმედის დაკარგვას და გერმანიის საკითხის საკუთარი ინტერესების შესაბამისად გადაწყვეტის ხელიდან გამოცლას, მასზე რუსეთის გავლენის გაძლიერებას. იხ. H. Sibel. დასახ. ნაშრ., ტ. 6, გვ. 167 და შემდეგი.

[2] А. Васильчиков, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 307. ჩვენ მიერ დასახელებული სარდინიელი ისტორიკოსი გრეპი თავისი შრომის რამოდენიმე ადგილას ხაზგასმით აღნიშნავს ავსტრიის მტაცებლური გეგმების არსებობას და მისი სისრულეში მოყვანისათვის ბრძოლას ავსტრიის მესვეურთა მიერ. I. Grepi, დასახ. ნაშრ., გვ. 2, 67.

იმპერატორმა ანგარიში არ გაუწია რუსეთის იმპერატორს და სუვოროვის პირველ ნაბიჯებს პიემონტში, უმნიშვნელო ყურადღებაც არ მიაქცია პავლეს მიერ სარდინიის მეფის მფარველობის ფაქტს და ენერგიულად გაილაშქრა კუნძულ სარდინიაზე თავშეფარებულ სარდინიის მეფის პიემონტში დაბრუნების წინააღმდეგ. მანვე გადაწყვიტა სამხედრო-საოკუპაციო მმართველობა დაეწესებინა ამ სამეფოზე და ემართა იგი არა სარდინიის მეფის, არამედ საკუთარი ინტერესების შესატყვისად.

ავსტრიის იმპერატორმა აშკარა უკმაყოფილება გამოთქვა სუვოროვის მისამართით იმის გამო, რომ მან დეკლარაციით მიმართა პიემონტის მოსახლეობას, რომლითაც მოუწოდა მას იარაღი აესხა მოკავშირეების დასახმარებლად, თანაც დაარწმუნა პიემონტელები, რომ მათი მეფე მალე იქნებოდა აღდგენილი თავის სამეფო უფლებებში. ავსტრიის იმპერატორმა არა მარტო დატუქსა სახელგანთქმული სარდალი „ურჩობისათვის", არამედ კიდევაც გააფრთხილა იგი მომავალში არ გადაედგა ასეთი ნაბიჯი; მანვე მოითხოვა მისგან პიემონტის განთავისუფლებულ ტერიტორიაზე ავსტრიის სამხედრო ხელისუფლება შეექმნა და ადგილობრივ მცხოვრებთაგან დაეკომპლექტებინა იეგერთა რამოდენიმე ბატალიონი. დასასრულს, ავსტრიის იმპერატორი „დასაბუთებულ" მოსაზრებებს აყენებდა და მის საფუძველზე ილაშქრებდა სარდინიის მეფის ტურინში დაბრუნების წინააღმდეგ[1].

სარდინიის მეფემ კი, დაიმედებულმა რუსეთის მთავრობის მეგობრობით და დახმარებით, გრაფი ანდრე დანიშნა თავის სამეფოს მეფისნაცვლად, დაავალა მას ხელში აეღო სამეფოს მმართველობის სადავეები და მოემზადებინა პირობები თვით მეფის ტურინში დაბრუნებისათვის. როგორც კი სარდინიის მეფისნაცვალი პიემონტში ჩავიდა და დაკისრებული მოვალეობის შესრულებას შეუდგა, ავსტრიის იმპერატორმა ახალი მრისხანე რესკრიპტი გაუგზავნა სუვოროვს (1799 წლის 6/17 აგვისტოს თარიღით), რომელშიაც მკაცრ უკმაყოფილებას გამოთქვამდა სარდინიის მეფის „თვითნებური" აქტის გამო და იმის გამოც, რომ რუსეთის მხედართუფროსმა ხელი არ შეუშალა ანდრეს ჩასვლას ტურინში. ეს ქვეყანაო, რისით აცხადებდა იგი, ჩემმა არმიამ გამოსტაცა ხელიდან მტერს (აქ ის უხეშად ტყუოდა, ისტორიულ ჭეშმარიტებას ღალატობდა — ვ. დ.) და ამიტომ მისი მართვის საქმეც

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 1, გვ. 354, ტ. 3, გვ. 208—209.

ჩემი პირადი საქმეა და არა სხვისიო. რესკრიპტის დასასრულს ფრანც II ისევ მოაგონებდა სუვოროვს, რომ იგი ავსტრიის ჯარების ფელდმარშლის ჩინს ატარებდა და ვალდებული იყო მას დამორჩილებოდა ყველაფერში[1]. ავსტრიის იმპერატორმა, როგორც მოსალოდნელი იყო, არა თუ არ სცნო გრაფ ანდრეს დანიშვნა, არამედ სარდინიის ტერიტორიიდანაც განდევნა იგი (რაც სარდინიის მეფემ პეტერბურგში გაასაჩივრა, თუმც უშედეგოდ)[2].

ჩრდილო იტალიაში რუსეთის ჯარის ბრწყინვალე გამარჯვებით თვითნებურად ისარგებლეს ავსტრიელებმა. მათ აბუჩად აიგდეს რუსეთის ინტერესები, თვით სარდინიის მოსახლეობის მისწრაფებები და სარდინია-პიემონტის სამეფოში თავიანთი სამხედრო-საოკუპაციო მმართველობა დააწესეს. სუვოროვის სამართლიანი საყვედურისა და წინააღმდეგობის მიუხედავად ავსტრიის სარდლობა ისე მოექცა ამ ქვეყანას, როგორც დაპყრობილ, მტრულ ქვეყანას. ამ სახელმწიფოს ქალაქებსა და ციხე-სიმაგრეებში მათ საოკუპაციო ჯარები ჩააყენეს და მოსახლეობისათვის მკაცრი საოკუპაციო რეჟიმი შექმნეს. ავსტრიელები პიემონტის მოსახლეობას მტრების სახით მოევლინენ. ფრანგ აგრესორთა ჩაგვრის უღლის მოხსნის ნაცვლად ავსტრიელებმა ახალი შევიწროება და ნაციონალური დამცირება მოუტანეს პიემონტელებს. ავსტრიელმა ოკუპანტებმა მათ ახალი მძიმე გადასახადები და საოკუპაციო ჯარების შენახვა დააკისრეს.

ვინაიდან პიემონტი ომის სერიოზული ნადავლი და უკეთესი კომპენსაცია იყო, ვიდრე თვით ბავარია, ავსტრიის იმპერატორმა გადაწყვიტა ხელიდან არ გაეშვა იგი, თუნდაც ამისათვის რუსეთთან შეჯახებაც მოსვლოდა მას[3].

ავსტრიის მესვეურთა თვალსაზრისით, რუსეთის არმიისა და სუვოროვის შემდგომი ყოფნა პიემონტის ტერიტორიაზე, მას შემდეგ რაც მათ შეასრულეს თავისი მისია, მეტად არა სასურველი იყო: „მავრმა შეასრულა თავისი საქმე, მავრს შეეძლო წასვლა". ამიერიდან რუსეთის არმია და მისი სარდალი სუვოროვი „უხეირულ" მდგომარეობაში აყენებდნენ ავსტრიელ ოკუპანტებს

---

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 168.

[2] კოლიჩევის 7/18 სექტ. რელაცია პავლესადმი. Архив ВПР, ф. „Сношения России с Австрией", д. 982, лл. 1—2, 3—7.

[3] „Австрия, овладев Италиею, решилась скорее всем рисковать, чем отдать свои завоевания",—წერდა ა. ტიერი. А. Тьер, История Консульства и Империи во Франции, ტ. I, б. I, გვ. 43.

და ხელფეხს უბორკავდნენ მათ მტაცებლური ზრახვების განხორციელების საქმეში. არსებითად ამით იყო განპირობებული ავსტრიის სამეფო კარისა და ჰოფკრიგსრატის დაჟინებითი მოთხოვნა დამთავრებულიყო საომარი კამპანია რუსების მონაწილეობით ჩრდილო იტალიაში და რუსეთის არმია შვეიცარიაში ყოფილიყო გადასროლილი. ავსტრიის მესვეურები, რა თქმა უნდა, ყოველმხრივ ნიღბავდნენ ამ მუხანათურ ზრახვებს და რუსეთის არმიისათვის ახალი ამოცანის დასახვას სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებებით ასაბუთებდნენ.

ამგვარად, ავსტრიისა და მეფის რუსეთის ინტერესები მკვეთრად დაეჯახნენ ერთმანეთს სარდინია-პიემონტის სამეფოს მომავალი ბედის საკითხში. ამ საკითხში ინტერესთა შეურიგებლობამ გააძლიერა ამ სახელმწიფოთა შორის უკვე აღმოცენებული ურთიერთ უნდობლობის ატმოსფერო და მით დააჩქარა რუსეთის გამოსვლა კოალიციის შემადგენლობიდან.

„წაბორძიკების ქვის“ როლი რუსეთ-ავსტრიის ურთიერთობაში პაპისა და მისი სამფლობელოების ბედის საკითხმაც შეასრულა. ავსტრიის სამეფო კარმა, ისარგებლა რა პაპის პოზიციების მკვეთრი გაუარესებით, რაც ნაპოლეონის ლაშქრობას მოჰყვა შედეგად, მის სამფლობელოებსაც წაუპოტინა თავისი მტაცებლური ხელი. როგორც ცნობილია, ფრანგებმა უხეშად შებღალეს „წმინდა სასულიერო ტახტი“, პაპის „სიწმინდე და ხელუხლებლობა“ და არა მარტო დაიპყრეს მისი სამფლობელოები, არამედ შეიპყრეს თვით პაპი და იგი როგორც ტყვე საფრანგეთში გააგზავნეს. პაპის ოლქს, მისი იქ არ ყოფნის პერიოდში, მისი სახელით კარდინალთა საბჭო მართავდა. აღნიშნულმა ვითარებამ მკვეთრად შეასუსტა პაპის საერო და სასულიერო ხელისუფლება. ასეთ პირობებში იყო პაპის ოლქი, როდესაც ავსტრიის სამეფო კარმა წამოაყენა პრეტენზია პაპის სამ სალეგატოზე და მოინდომა მათი მიტაცება. ეს იყო რ ა ვ ე ნ ი ს, ფ ე რ ა რ ი ს და ბ ო ლ ო ნ ი ი ს სალეგატოები. ამ სამი სალეგატოს მიმართ თავიანთ მტაცებლურ პრეტენზიებს ავსტრიის მესვეურებმა ის საბაბი დაუდეს საფუძვლად, რომ, თითქოს, პაპმა თავის დროზე საფრანგეთთან გაფორმებული ტრაქტატით ეს სამი სალეგატო ფრანგების მიერ შექმნილ ციზალპინის რესპუბლიკას დაუთმო. ამჟამადო, — აცხადებდნენ ვენაში, — რაკი ეს ქვეყანა გაიწმინდა ფრანგებისაგან, ციზალპინის რესპუბლიკისათვის მიკუთვნებული ტერიტორიები, როგორც „კანონიერი ნადავლი“ ავსტრიის სამხედრო-საოკუპაციო

ხელისუფლებას უნდა დაექვემდებაროს და არა მის ყოფილ პატრონს, რომელმაც იგი თავის დროზე ნებაყოფლობით დაუთმო მტერს.

ავსტრიის მხრივ აშკარა აგრესიის საფრთხემ დააშინა კარდინალთა კოლეგია. მან გადაწყვიტა გაეპროტესტებინა ავსტრიელთა ეს პრეტენზია და რუსეთის იმპერატორისათვის ეთხოვა დახმარება. სათანადო ნაბიჯი გადადგმული იქნა ვენაში პაპის ვენელი ნუნციის მეშვეობით. მან სთხოვა კოლიჩევს, რომელიც მაშინ ფორმალურად რაზუმოვსკის თანაშემწედ ითვლებოდა, შექმნილი ვითარება ეცნობებინა პავლე I-სათვის და თან პაპის სახელით ეშუამდგომლა მის წინაშე სათანადო დახმარების თაობაზე. მოკლედ, კარდინალთა კოლეგია ითხოვდა რუსეთის იმპერატორის მფარველობას და მის ავტორიტეტულ ზემოქმედებას ვენის მთავრობაზე, რათა ამ უკანასკნელს ხელი აეღო თავის მტაცებლურ განზრახვაზე[1].

პავლე I ენერგიულად გამოესარჩლა რომის პაპს და წინააღუდგა მისი ტერიტორიის ნაწილის ავსტრიელების მიერ მითვისების განზრახვას. როგორც ჩანს, პავლემ მითითება მისცა რაზუმოვსკის და კოლიჩევს ენერგიული პროტესტი განეცხადებინათ იტალიის მორიგ ტერიტორიებზე ავსტრიელთა ხელყოფის წინააღმდეგ და მისი სახელით მოეთხოვათ ამ განზრახვაზე ხელის აღება. სამწუხაროდ, წყაროების უქონლობა საშუალებას არ იძლევა ჩავწვდეთ იმ დიპლომატიური შეხლა-შემოხლის არსში, რომელიც ამის თაობაზე გაჩაღდა პეტერბურგსა და ვენას შორის.

ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ ავსტრიის მესვეურებმა ამ საკითხშიც დაჟინება და რუსი მოკავშირის ინტერესების უგულვებელყოფა გამოიჩინეს. მათ სისრულეში მოიყვანეს თავიანთი მტაცებლური განზრახვა და მოახერხეს, თუმცა მოკლე ხნით, ამ სამი სალეგატოს მიტაცება. მაგრამ ეს მოხდა 1800 წლის დასაწყისში, როდესაც რუსეთსა და ავსტრიას შორის ფაქტიურად ყოველგვარი ურთიერთობა შეწყვეტილი იყო.

ჩვენ ხელთ არის კოლიჩევის რელაცია, რომელიც დათარიღებულია 1800 წლის 16/28 აგვისტოთი. რელაცია დაწერილია პრაღაში, სადაც ვენიდან რუსეთში მიმავალმა კოლიჩევმა დაჰყო

---

[1] კოლიჩევის 1799 წლის 20/31 ივლისის რელაცია პავლე I-სადმი, Архив ВПР, ф. „Сношения России с Австрией", д. 891, лл. 62—63; Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 441.

რამოდენიმე დღე. რელაციაში კოლიჩევი რუსეთის იმპერატორს აცნობებდა პაპის ნუნციასთან გამართული საუბრის შინაარსს. ამ საუბრის დროს პაპის ნუნციმ ოფიციალურად აცნობა რუსეთის ელჩს, რომ ავსტრიელებმა განახორციელეს თავიანთი საწადელი და უკვე მიითვისეს ფერარის, რავენისა და ბოლონიის სალეგატოებიო, თანაც დასძინა: ავსტრიის წარმომადგენელმა პაპის ტახტთან მარკიზმა გიზილდიერმა ახალ პაპს (ყოფილ კარდინალ ბელინზონის) აუდიენციის დროს თავის მთავრობის სახელით აუწყა ამ სალეგატოების ავსტრიის ხელში გადასვლის ფაქტიო. ჩანს, ავსტრიელებმა რუსეთის იმპერატორის პროტეჟირებას ანგარიში არ გაუწიეს.

როგორც უკვე აღენიშნავდით, რუსეთსა და ორივე სიცილიის სამეფოს შორის მეტად გულთბილი დამოკიდებულება დამყარდა 1798 წლის მეორე ნახევრიდან, როდესაც ანტიფრანგული კოალიცია ჯერ კიდევ არ იყო გაფორმებული. რუსეთის იმპერატორმა სპეციალური კორპუსი განაწესა ამ სამეფოს ფრანგთა ხელყოფისაგან დასაცავად. თანაც მითითება მისცა უშაკოვს გამოეყო რამოდენიმე გემი ნეაპოლის სამეფოს ზღვის სანაპიროების პატრულირებისათვის (ინგლისის გემებთან ერთად). ცოტა უფრო გვიან რუსეთის დიპლომატიამ ნეაპოლის მეფე ანტიფრანგულ კოალიციაში ჩააბა. ჩვენ სიტყვას არ გავაგრძელებთ იმის შესახებ, რომ რუსეთის იმპერატორის ეს „ზრუნვა“ ნეაპოლის სამეფოს მთლიანობის და ხელუხლებლობის დასაცავად იმ პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული ამოცანებიდან გამომდინარეობდა, რასაც რუსეთი ხმელთაშუა ზღვის აუზში ისახავდა მიზნად „სამხრეთი ჯავშის“ სახით.

ჩანს, პეტერბურგის სამეფო კარზე ფიქრობდნენ, რომ ავსტრიის სამეფო კარი ანგარიშს გაუწევდა რუსეთ-ნეაპოლის სამეფოს ურთიერთობის მეგობრულ ხასიათს და ნეაპოლის მიმართ არ მიმართავდა იმ პოლიტიკას, რასაც იგი სარდინიის სამეფოსა და პაპის ოლქის მიმართ იყენებდა, მით უფრო რომ ნეაპოლის მეფე მოკავშირეთ ითვლებოდა და კოალიციაში შედიოდა. მაგრამ რუსეთის მთავრობის ვარაუდი არც ამ შემთხვევაში არ გამართლდა. ავსტრიის მთავრობამ არც აქ უღალატა თავის ტრადიციულ პოლიტიკას. ვენაში გადაწყვიტეს ნეაპოლთან ურთიერთობა საკუთარ ეგოისტურ ინტერესებზე აეგოთ.

ავსტრიის მესვეურები აშკარა სიხარულით შეეგებნენ საფრანგეთის არმიის მიერ ნეაპოლის სამეფოს დროებით ოკუპაციას

და დახმარების აღმოჩენის ნაცვლად, რასაც ნეაპოლიდან ავსტ-რიელებისაგან მოითხოვდნენ, ვენის მთავრობა დაკმაყოფილდა მხოლოდ სიტყვიერი დაპირებით და ერთი გენერლის გაგზავნით. ამ უკანასკნელმა კი ისე „ბრწყინვალედ“ ჩაატარა ოპერაცია ფრანგების წინააღმდეგ, რომ ისინი რამოდენიმე დღეში რომიდან პირდაპირ ნეაპოლში ჩაიყვანა. საერთოდ 1798—1799 წლებში ავსტრიის იმპერატორი მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ ზიანი მიეყენებინა ნეაპოლის სამეფოსათვის.

ნეაპოლში შეუნელებელი ყურადღებით ეკიდებოდნენ ვენის ინტრიგებს, უნდობლობით იყვნენ გამსჭვალულნი მის მიმართ და სიძულვილზე სიძულვილითვე პასუხობდნენ. ამასთან ერთად ნეა-პოლის მთავრობა და რუსეთის ნეაპოლელი ელჩი პერიოდულ ცნობებს აწვდიდნენ პეტერბურგს ვენის მთავრობის მტრული აქტების შესახებ ნეაპოლის სამეფოს მიმართ [1]. ეს დასმენები კიდევ უფრო აღიზიანებდა პავლე I-ს, ხშირად წონასწორობას უკარგავ-და მას და აძლიერებდა მის ანტიავსტრიულ განწყობილებას.

უნდა აღინიშნოს, რომ კოალიციის ერთ-ერთი ხელმძღვანე-ლი — ინგლისი სიმპათიით იყო განწყობილი ავსტრიის ხელის-უფალთა ამ დაპყრობითი პრეტენზიებისადმი. კიდევ მეტი: „ცბი-ერი ალბიონი“ აქეზებდა ავსტრიის ამ დაპყრობით პრეტენზიებს და ამდენად ხელს უწყობდა რუსეთ-ავსტრიის წინააღმდეგობათა გამწვავებას.

რაკი ვენასა და ლონდონს შორის „ინტიმური“ ურთიერთო-ბა იყო დამყარებული, ავსტრიის მესვეურები საჭიროდ არ თვლიდნენ დაეფარათ ლონდონელი მოკავშირისათვის თავიანთი გულის ნადები. მათ პერიოდული მოლაპარაკება ჰქონდათ ლონ-დონის მთავრობასთან იტალიის მიმართ თავიანთი მტაცებლური გეგმების შესახებ. ეს მოლაპარაკება ერთდროულად წარმოებდა როგორც ვენაში ინგლისის ელჩ მ ი ნ ტ ო ს თ ა ნ, ისე ლონდონში. კარგად იცოდნენ რა რუსეთის შეურიგებლობა მათი დაპყრობი-თი პრეტენზიებისადმი იტალიის მიმართ, ავსტრიელები საჭი-როდ თვლიდნენ ამ მოლაპარაკების წარმატებით დასრულებას და ინგლისის დასტურის მიღებას ამ დაპყრობით გეგმებზე.

ინგლისის საგარეო პოლიტიკის მესვეურებს — პიტსა და გრენვილს სრულიადაც არ გაჰკვირვებიათ ავსტრიის მთავრობის თავხედური ტერიტორიული პრეტენზიები იტალიის სახელმწიფო

---

[1] Д. М и л ю т и н, დასახ. ნაშრ., ტ. 3. გვ. 439—441, 197-ე შენიშვნა.

ების მიმართ. მათ ანგლოსაქსური „სიდინჯით“ მოისმინეს ავსტრიელთა „დასაბუთებული“ პრეტენზიები და საჭირო შემთხვევაში სათანადო მხარდაჭერაც კი აღუთქვეს მათ. მათ, ამასთან ერთად, მომრიგებელ-შუამავლის როლიც იკისრეს, რათა დაერწმუნებინათ რუსეთი როგორც ავსტრიელთა მოთხოვნების სამართლიანობაში, ისე მათი დაკმაყოფილების საჭიროებაში [1].

ინგლისის მმართველი წრეების ასეთი პოზიცია ავსტრიელთა დაპყრობითი ზრახვების მიმართ იტალიის მიწა-წყლის ხარჯზე საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ შემდეგი:

1) ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინგლისის მთავრობის კეთილგანწყობილება ავსტრიელთა დაპყრობითი პრეტენზიებისადმი იტალიის მიმართ არ იყო გულწრფელი; მას მოჩვენებითი და ცბიერული ხასიათი ჰქონდა; 2) იგი წარმოადგენდა დიპლომატიურ ფანდს და გაუნაღდებელ თამასუქს, რაც მიზნად ისახავდა ავსტრიის მესვეურთა გულის მოგებას, მათ კოალიციის რიგებში შენარჩუნებას; 3) ანტიფრანგული კოალიციის გამარჯვების შემთხვევაში, როცა ავსტრიის შემდგომი დახმარება საჭირო აღარ იქნებოდა, ინგლისი უდავოდ თვით გამოვიდოდა ავსტრიის პრეტენზიების წინააღმდეგ, რადგანაც ამ სახელმწიფოს შემდგომი გაძლიერება იტალიის ხარჯზე ინგლისის სავაჭრო-კოლონიური ინტერესებისა და ევროპის მატერიკზე მოპოვებული არბიტრის როლის საზიანო იქნებოდა.

რა მიზანიც არ უნდა ჰქონოდა სენ-ჯემსის კაბინეტის პოლიტიკას ავსტრიის დაპყრობითი ზრახვების მიმართ, იგი უდაოდ პროვოკაციული ხასიათის იყო და ამდენად მუხანათური. ინგლისის ასეთი პოლიტიკა ყალბ ილუზიას ჰბადებდა ვენის სამეფო კარის მესვეურთა შორის, აქეზებდა მათ პრეტენზიებს და ამის შედეგად აბწვავებდა რუსეთ-ავსტრიის ურთიერთობას, რაც, თავის

---

[1] ამ მოლაპარაკების შესახებ კონკრეტულ ცნობას იძლევა კოლიჩევი 1799 წლის 30 ნოემბრის (11 დეკემბრის) რელაციაში პავლე I-სადმი; ამავე საკითხს ეხება მისი 1800 წლის 15/27 მაისის ოელაციაც. კერძოდ ამ უკანასკნელში გადმოცემულია ცნობები ნეაპოლის ლონდონელი ელჩის მარკიზ ჩ ი რ ჩ ე ლ ო ს გრენვილთან საუბრის შესახებ. ამ საუბრის ძირითადი თემა იყო ავსტრიის ტერიტორიული პრეტენზიები იტალიის მიმართ. საუბრის დროს გრენვილმა განაცხადა, რომ ინგლისი კეთილგანწყობილებით ეკიდება ავსტრიის ამ მოთხოვნასო. Архив ВПР, ф. „Сношения России с Австрией“, д. 892, л.л. 14—17, 109—112.

მხრივ, აჩქარებდა იმ შენობის დარღვევას, რომლის კედლებშიც თვით ავსტრია იმყოფებოდა[1].

რუსეთის იმპერატორმა, რომლისთვისაც ნათელი გახდა ავსტრიის კოალიციაში ჩაბმის ნამდვილი მოტივები, გადაწყვიტა ნიღაბი ჩამოეხადა მისთვის და მისი ნამდვილი ზრახვები გამოემზეურებინა. ამ მიზნის მისაღწევად მან სათანადო მითითება მისცა რაზუმოვსკის და დაავალა მას კოლიჩევთან ერთად ემოქმედა და თუგუტისაგან მიეღო სრული ცნობები ავსტრიის ტერიტორიული ზრახვების შესახებ.

კოლიჩევმა შეასრულა პავლეს დავალება და ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალურად ინახულა თუგუტი, თანაც ოფიციალური აუდიენცია მოითხოვა იმპერატორთან. მან სთხოვა თუგუტს წერილობითი ფიქსაცია ავსტრიის ტერიტორიული პრეტენზიებისა, რათა რუსეთის იმპერატორს შესაძლებლობა ჰქონოდა შეესწავლა ამ პრეტენზიების კანონიერება. მაგრამ ვინაიდან ვენაში განზრახვა ჰქონდათ გარკვეულ დრომდე საიდუმლოდ შეენახათ ტერიტორიული გაფართოების ვრცელი პრეტენზიების გეგმა, ამიტომ პავლეს ინიციტივას და მისი ელჩის პრაქტიკულ ნაბიჯებს არავითარი რეალური შედეგი არ მოჰყოლია. ავსტრიის მთავრობამ დელფის მისნისებური პასუხი გასცა რუსეთის ელჩს და რაიმე კონკრეტული გეგმის წარდგენისაგან თავი შეიკავა. ვენაში მხოლოდ აღუთქვეს რუსეთის ელჩს, რომ მომავალში ასეთი სურვილები კონკრეტულად იქნებოდა ჩამოყალიბებული და იგი რუსეთის იმპერატორსაც ეცნობებოდა[2].

---

[1] როგორც უკვე იყო აღნიშნული გაკვრით, ავსტრია-რუსეთის ურთიერთობის გაუარესების ერთ-ერთ ფაქტორს გერმანიის პრობლემაც წარმოადგენდა (ბავარიის, ვიურტემბურგის, ბადენის და სხვ.), მაგრამ ამ ნიადაგზე აღმოცენებულ შეხლა-შემოხლაზე აქ სპეციალურად აღარ შეეჩერდებით, რადგან მის შესახებ შრომის რამოდენიმე ადგილას გაკვრით უკვე იყო ნათქვამი.

[2] ცნობებს ამ მოლაპარაკების შესახებ იძლევა კოლიჩევი პავლე I-სადმი 1799 წლის 24 ოქტომბრის, (4 ნოემბრის), 29 ოქტ. (9 ნოემბრის) და 6/17 ნოემბრის რელაციებში. იხ. Архив ВПР, ф. „Сношения России с Австрией", д. 892, лл. 43—44. 47—50, 68—69.

მხოლოდ უფრო გვიან, 1800 წლის დასაწყისისათვის, როდესაც ავსტრია-რუსეთის ურთიერთობაში ბლომად დაგროვილმა ფაქტმა მასალამ ბოლო მოუღო მათ შორის არსებულ ნორმალურ ურთიერთობას, როდესაც პავლემ უკან გაიწვია თავისი არმია და ავსტრია ამის შედეგად სრული იზოლაციის საფრთხეში ჩავარდა, მისმა მესვეურებმა „ძველი ინებეს" და რუსეთში გასამგზავრებლად გამზადებულ კოლიჩევს გააცნეს თავიანთი დაპყრობითი ზრახვები იტალიის მიმართ. იხ. Ф. Мартенс, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 372.

ავსტრიის მთავრობის დაპყრობითი პრეტენზიების შესახებ ცნობების მიღების სურვილს რუსეთის იმპერატორი უკავშირებდა თავის მეორე განზრახვას: მოეწვია კოალიციაში შემავალ სახელმწიფოთა კონფერენცია და იქ „გულთბილ“ ვითარებაში განეხილა როგორც მიმდინარე ანტიფრანგული ომის მიზნები და ამოცანები, ისევე ომის დასრულების შემდეგ ევროპის მოწყობის გეგმებიც. რუსეთის იმპერატორს სურდა ამ კონფერენციაზე გამოეტანა ავსტრიის თუ სხვა ქვეყნების ტერიტორიული პრეტენზიები და იგი მსჯელობის საგნად გაეხადა. რუსეთის მონარქს იმედი ჰქონდა, რომ იგი დიპლომატიურ დამარცხებას აგემებდა ვენელ კოლეგას, გამოააშკარავებდა მის დაპყრობით ზრახვებს და მით მიაღწევდა ამ დაპყრობითი პრეტენზიების ჩაშლას.

პავლე I-ს განზრახული ჰქონდა გათვალისწინებული კონფერენცია მოეწვია პეტერბურგში ან გერმანიის რომელიმე ქალაქში. ფორმალურად კონფერენციას უნდა განეხილა საკითხი ევროპის მომავალი მდგომარეობისა და იქ პოლიტიკური წონასწორობის აღდგენის საშუალებათა შესახებ [1]. თავიანთი მოსაზრებების წამოყენებით, „გულახდილ“ აზრთა გაცვლა-გამოცვლით კონფერენციას უნდა შეემუშავებინა ერთიანი პლატფორმა ევროპის მომავალი „დამშვიდების“ უზრუნველსაყოფად [2].

რუსეთის იმპერატორს, რომელსაც ეკუთვნოდა კონფერენციის მოწვევის ინიციატივა, მზად ჰქონდა მოქმედების ვრცელი პროგრამა, რომლის ავტორი გრაფი როსტოპჩინი იყო. ამ პროგრამაში ფიქსირებული იყო როგორც რუსეთის თვალთახედვა ომის მიზნებზე და ამოცანებზე, ისე იმ პირობებზე, რომელნიც საფუძვლად უნდა დადებოდა მომავალ ევროპულ ზავს.

ამ გეგმის ძირითადი მონახაზები მოცემული იყო პავლე I-ის 1799 წლის 15 ოქტომბრის რესკრიპტში ვორონცოვისადმი.

ეს მონახაზებია:

1) ნიდერლანდების შეერთება ჰოლანდიასთან და გაერთიანებულ 17 პროვინციაში შტატჰალტერობის დაწესება;

---

[1] თ. როსტოპჩინის 1799 წლის 25 აგვისტოს წერილი ს. ვორონცოვისადმი. Архив князя Воронцова, ტ. 8, გვ. 233—234.

[2] 1799 წლის 15 ივლისის რესკრიპტში ვორონცოვისადმი პავლე I, აუწყებდა რა მას კონფერენციის მოწვევის სურვილს, მოითხოვდა მისგან დაეწერა საკითხი ინგლისის მთავრობის წინაშე საკუთარი მოსაზრებების წამოყენების შესახებ. იხ. Архив ВПР, ф. „Сношения России с Англией“, д. 507, лл. 57—58.

2) საფრანგეთის ჩაყენება ძველ ტერიტორიულ საზღვრებში;

3) Status quo ante bellum-ის აღდგენა იტალიის ტერიტორიაზე;

4) Status quo ante bellum-ის აღდგენა გერმანიის იმპერიაში;

5) პრუსიის მეფისათვის ტერიტორიული კომპენსაციის მიცემა მდინარე რაინის აუზში;

6) ინგლისის მიერ ინდოეთის ორივე აუზებში იმ ტერიტორიების შენარჩუნება, რომლებიც მას ამ დროისათვის უკვე დაპყრობილი ჰქონდა [1].

როგორც ვხედავთ, რუსეთის იმპერატორი ამ გეგმით „კეთილშობილი რაინდის" სამოსელში გვევლინება. იგი თითქოს შორს არის დაპყრობითი ზრახვებისაგან და საკომპენსაციო მოთხოვნებისაგან. ამავე დროს ამ გეგმაში ნათლად გამოსჩვივის რუსეთის იმპერატორის დამოკიდებულება ავსტრიის ტერიტორიულ პრეტენზიებისადმი, ის არ ითვალისწინებს არავითარ ტერიტორიულ ცვლილებებს იტალიაში და, მაშასადამე, უარყოფს ავსტრიის პრეტენზიებს.

კონფერენციის მოწვევის წინადადებაზე ავსტრიის იმპერატორმა ნათელი პასუხის გაცემას თავი აარიდა, ვინაიდან უხერხული იყო მისგან კონფერენციის მოწვევის საჭიროების აშკარა უარყოფა. ავსტრიის სამეფო კარი დაადგა გათვალისწინებული კონფერენციისადმი საბოტაჟის აოლიტიკას. ვენაში კარგად ესმოდათ თუ რა მიზანს ისახავდა კონფერენციის მოწვევის ინიციატივა, რომელიც პავლეს ეკუთვნოდა და რა ბედი მოელოდა მათ დაპყრობით პრეტენზიებს, თუ ისინი ამ კონფერენციის განხილვის საგანი გახდებოდნენ. ამიტომ იყო, რომ ავსტრიელებმა თავიანთი ტაქტიკით ჩაშალეს გათვალისწინებული კონფერენციის მოწვევის ინიციატივა. გათვალისწინებული კონფერენციის მოწვევის ინიციატივის ჩაშლამ ვენის მთავრობის წყალობით მცირე როლი როდი შეასრულა რუსეთ-ავსტრიის ურთიერთ უნდობლობის ;ატმოსფეროს კიდევ უფრო გამწვავებაში.

დასასრულ, რუსეთის საგარეო პოლიტიკის მესვეურთა, პირადად კი პავლეს გაბოროტებას ავსტრიის მიმართ ზემოთგანხილულ ფიცხ მასალასთან ერთად იწვევდა ის ცნობები, რომლებიც დიპლომატიურ და სააგენტურო არხებიდან მოდიოდა პეტერ-

---

[1] Архив ВПР. ф. „Сношения России с Англией", д. 507, лл. 77—79

ბურგში და ეხებოდა ავსტრიის სამეფო კარის სეპარატულ მოლაპარაკებას საფრანგეთთან.

ფაქტები ნათელყოფენ, რომ ავსტრიის სამეფო კარი აქაც არაგულწრფელობას და ვერაგობას იჩენდა თავის მოკავშირე რუსეთის მიმართ. მას არ უნდოდა მოესპო საფრანგეთთან შერიგების უკანდასახევი გზა. საჭირო შემთხვევაში მას სურდა კარები ღია ჰქონოდა და სეპარატული ზავით შეკეროდა თავის დღევანდელ მტერს. უდავოა, ავსტრიასა და საფრანგეთს შორის შესაძლებელი სეპარატული ზავი კამპო-ფორმიოს ახალი ვარიანტი უნდა ყოფილიყო და ამდენად მას უნდა შეელახა ავსტრიის მოკავშირეების. მათ შორის რუსეთის ინტერესებიც.

როგორც წყაროებიდან ჩანს, ავსტრიის დიპლომატია „ნეიტრალური" ქვეყნების მეშვეობით დროგამოშვებით სინჯავდა ნიადაგს საფრანგეთთან ასეთი ზავის დასადებად. საიდუმლო მოლაპარაკება ავსტრიასა და საფრანგეთს შორის სეპარატული ზავის დასადებად ავსტრიასა და საფრანგეთის დირექტორიის შორის ჰაშინაც კი წარმოებდა (ესპანეთის წარმომადგენლის მეშვეობით), როდესაც მოკავშირეები სუვოროვის ხელმძღვანელობით ძლევამოსილ ოპერაციებს ეწეოდნენ ფრანგების წინააღმდეგ ჩრდილო იტალიაში [1]. რუსეთის დიპლომატია გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს მისი საეჭვო მოკავშირის ფარულ მოლაპარაკებას საერთო მტერთან, ამხელდა მის თვალთმაქცობას და ამის შედეგად თანდათანობით რწმუნდებოდა მასთან კავშირის შეუძლებლობაში [2].

ავსტრიის იმპერატორის, თუგუტის და ავსტრიის მთელი მმართველი ზედაფენის დამოკიდებულება რუსეთისადმი უაღრესად არაგულწრფელი, ვერაგული და თვალთმაქცური იყო. ვენის დიპლომატია ფარულად ისეთ ნაბიჯებს დგამდა, რაც სრულიად შეუთავსებელი იყო მის მიერ აღებულ სამოკავშირეო ვალდებულებებთან. ვენის სამეფო კარი მუდამ იმის ცდაში იყო, რომ როგორმე ზიანი მიეყენებინა რუსეთისათვის და მისთვის ზურგიდან

---

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 439—441, 197-ე შენიშვნა.

[2] ავსტრიის მთავრობის მტაცებლური ბრახვებისა და სეპარატული ზავის დადების თაობაზე ავსტრიასა და საფრანგეთს შორის წარმოებული მოლაპარაკების შესახებ საინტერესო ცნობებს შეიცავს თ. როსტოპჩინის 1799 წლის 25 აგვისტოთი დათარიღებული წერილი ს. ვორონცოვისადმი. იხ. Архив князя Воронцова, ტ. 8, გვ. 337.

მახვილი ჩაეცა[1]. ამაშიც, სხვათა შორის, ჩამარხული იყო მათი ერთ კავშირში არსებობის შემდგომი შეუძლებლობა და თვით ანტიფრანგული კოალიციის ლიკვიდაციის გარდუვალობა.

4. რუსეთ-ინგლისის წინააღმდეგობა მეორე ანტიფრანგული კოალიციის რიგებში

რუსეთ-ინგლისის კავშირი საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც უკვე აღნიშნული იყო, არ შეიძლებოდა ყოფილიყო მტკიცე და ხანგრძლივი. ამას ხელს უშლიდა იმ ამოცანების სხვადასხვაობა, რომელთაც ისინი ისახავდნენ საფრანგეთის წინააღმდეგ ომის დროს. ინგლისი თავისი კონკურენტი საბელმწიფოს განადგურებისათვის, ახალი სამხედრო-საზღვაო ბაზებისა და ტერიტორიებისათვის იბრძოდა. მეფის რუსეთი კი, იმჟამად ევროპაში უშუალო ტერიტორიული გაფართოების ამოცანას არ ისახავდა. იგი დაინტერესებული იყო ევროპაში და ახლო აღმოსავლეთში თავისი გავლენის სფეროების და პოზიციების გაფართოებაში. ეს მისწრაფება კი ინგლისის ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული. მათი მიზანსწრაფვა ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათისა იყო.

რუსეთ-ინგლისის ინტერესთა დაპირისპირება განხილულ ამბებამდე დიდი ხნით ადრე იყო გამოვლენილი. XVIII საუკუნის ორმოციანი წლებიდან ინგლისის საგარეო პოლიტიკაში რუსოფობური ტენდენცია იყო გაბატონებული. ამ ტენდენციის ყველაზე მკაფიო წარმომადგენელი და გამტარებელი იყო ლორდი უილიამ პიტი უმცროსი, რომელიც 1783 წლიდან სათავეში ედგა ინგლისის მმართველობას.

---

[1] ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს ის აშკარად მცდარი შეხედულება, რომელსაც რუსეთ-ავსტრიის ურთიერთობის განხილული პერიოდის ურთიერთობის შესახებ ანვითარებს მ. ნ. პოკროვსკი. იგი რუსეთ-ავსტრიის ურთიერთობის გაუარესებაში მეორე ანტიფრანგული კოალიციის პერიოდში ბრალს სდებს რუსეთს, "მის დიპლომატიას, პირადად პავლე I-ს და არა ავსტრიის სამეფო კარს. „...კამპანიამ,—წერს იგი (იგულისხმება 1799 წლის კამპანია საფრანგეთის წინააღმდეგ —ვ. დ.) მეტად ცუდი ხსოვნა დატოვა რუსეთის იმპერატორის შესახებ, როგორც მეტად კაპრიზიან და მომთხოვნ მოკავშირეზე, რომელიც უფრო მეტს თხოულობდა, ვიდრე იძლეოდა". იხ. М. Н. Покровский, Дипломатия и войны царской России в XIX столетии, Сборник статей, М., 1923, გვ. 6.

საფრანგეთის რევოლუციამ და რევოლუციური ომების აღმოცენებამ თავისი გავლენა მოახდინა რუსეთ-ინგლისის ურთიერთობაზე. საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმამ და პირველი ანტიფრანგული კოალიციის ორგანიზატორად გახდომამ ინგლისი აიძულა შეეცვალა გეზი რუსეთის მიმართ. მან, როგორც უკვე დავინახეთ, საჭიროდ მიიჩნია რუსეთთან დაახლოება და მისგან „საზარბაზნე ხორცის" მიღების მიზნით მასთან კავშირ-მეგობრობის ხელშეკრულება დადო. 1795—1798 წლებში ინგლისის დიპლომატია კიდევ უფრო ცვლის გეზს რუსეთის მიმართ და რუსეთთან ერთად მეორე ანტიფრანგული კოალიციის იდეურ-პოლიტიკური ხელმძღვანელი ხდება.

მაგრამ ინგლის-რუსეთის კავშირ-მეგობრობის ხელშეკრულებებს და მათ ბრძოლას ერთი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ფარგლებში არ აღმოუფხვრია ინგლისის უნდობლობა და მტრობა რუსეთის მიმართ. სურდა რა მაქსიმალურად გამოეყენებინა რუსეთის საბჭოეთო და საზღვაო ძალები თავისი ანგარული მიზნებისათვის, ინგლისი, ამავე დროს, შიშით, შურით და გაბოროტებით შესცქეროდა რუსეთის წარმატებას როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაზე. იგი ნზად იყო ყოველგვარი მუხანათობისათვის მიემართა, რათა ხელი შეეშალა რუსეთისთვის. ინგლისის მუხანათური და მტრული პოლიტიკა მის ძოკავშირე რუსეთის მიმართ ყველაზე ნკაფიოდ გამოვლინდა ხმელთაშუა ზღვის აუზში. აღმოსავლეთის საკითხი, რომლის ნიადაგზედაც XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ამ ორი სახელმწიფოს ინტერესები მიაფრად ეჯახებოდნენ ერთმანეთს, ისევ „წაბორძიკების ქვა" გახდა მათ ურთიერთობაში 1799—1800 წლებშიაც.

რუსეთ-თურქეთის გაერთიანებული ესკადრის (ვიცე-ადმირალ უშაკოვის სარდლობით) გასვლას ხმელთაშუა ზღვის აუზში ინგლისი გარეგნულად სიხარულით შეეგება. ასევე შეეგება იგი რუსეთ-თურქეთის ურთიერთდამარცხებისა და თავდაცვითი კავშირის დადებას. სინამდვილეში ერთმაც და მეორემაც ინგლისის მმართველ წრეებში ნაოლოდ მტრული რეაქცია გამოიწვია.

როდესაც უშაკოვის ესკადრა იონიის კუნძულებისაკენ გაეგზავნა, რათა იგი ფრანგებისაგან გაეწმინდა, ინგლისის დიპლომატიამ და საზღვაო სარდლობამ სცადეს ხელი შეეშალათ მისთვის ამ ამოცანის წესრიგებაში. ინგლისის მესვეურები შიშმა შეიპყრო: ვაი თუ ეს კუნძულები ნართლაც გაანთავისუფლონ ფრანგებისაგან რუსებმა და იქ დამკვიდრდნენო. რუსების ფლოტის მოკიდება ამ ბნიშვნელოვან ბაზებში, რაც გაადიდებდა მათ

გავლენას თურქეთზე და მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზში, მიუღებელი იყო ინგლისისათვის. თავიანთი გულის-ნადების პირდაპირ გამოაშკარავება ინგლისის მესვეურებს არ სურდათ, იგი ხომ ნიღაბის ჩამოხდა იქნებოდა მათთვის. ამიტომ, დასახული განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მათ მათთვის ჩვეული მუხანათური მეთოდები გამოიყენეს.

ინგლისის ხმელთაშუა ზღვის ფლოტის ძირითადი ესკადრის სარდალმა ადმირალმა ნელსონმა, ინგლისის კონსტანტინეპოლელმა ელჩმა სპენსერ-სმიტმა, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა და ინგლისის სამოქალაქო და სამხედრო თავკაცებმა სცადეს დაერწმუნებინათ „რუსი მეგობრები" უშაკოვის ესკადრისათვის სხვა დანიშნულების მიცემის საჭიროებაში. მათ სურდათ ეს ესკადრა ეგვიპტის წყლებში გაეგზავნათ და მისთვის ნაპოლეონის არმიისათვის თვალთვალის ფუნქცია დაეკისრებინათ. ამ დროის განმავლობაში კი ნელსონი ფიქრობდა თვით მოეხდინა კორფუსა და იონიის სხვა კუნძულების ბლოკირება. ამ ნაბიჯის პარალელურად, ინგლისელები ფარულად შეღლსა და უნდობლობას სთესავდნენ რუსეთსა და თურქეთს შორის. ისინი ცდილობდნენ დაერწმუნებინათ პორტა იმაში, რომ უშაკოვის ესკადრის ოპერაციები ხმელთაშუა ზღვის აუზში, კერძოდ იონიის კუნძულების განსათავისუფლებლად, თითქოს უშუალოდ თურქეთის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა ნელსონის 1798 წლის 7 ოქტომბრის წერილი ინგლისის კონსტანტინეპოლელი ელჩის სპენსერ სმიტისადმი. ამ წერილში იგი წერს: „ეგვიპტის შემდეგ განზრახული მაქვს დავიძრა მალტისა, კორფუსა და იონიის სხვა კუნძულებისაკენ. ამიტომ ვიმედოვნებ, რომ რუსეთის ფლოტი განწესებული იქნება აღმოსავლეთში სამყოფად. ხოლო თუ რუსებს ხმელთაშუა ზღვაზე დამკვიდრების შესაძლებლობას მისცემენ, ეს მეტად საზიანო იქნება პორტასათვის. მალტასთან ნავსადგურის ბლოკადისათვის საჭირო ძალების დატოვების შემდეგ მე თვით გავეშურები ზანტეს, კეფალონიისა და კორფუსაკენ" [1].

ამასვე იმეორებს ნელსონი ცოტა უფრო გვიან გაგზავნილ წერილში სპენსერ-სმიტისადმი. „იმედი მაქვს მალე მოვევლინო კორფუს, ზანტეს და სხვა კუნძულებს, — წერს იგი,—გიგზავნით პროკლამაციებს, რომლებიც მე დავწერე ამ კუნძულების მოსახლე-

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 103.

ობისათვის; პორტამ უნდა იცოდეს რა დიდ საფრთხეს უქმნის იგი თავის თავს მომავალში, ნებას აძლევს რა რუსებს ფეხი მოიკიდონ კორფუზე. მე იმედი მაქვს, რომ თურქეთი შეეცდება დააკავოს რუსები აღმოსავლეთში[1].

ინგლისელი დიპლომატების და სარდლების ოინებს წარმატება არ ჰქონია. მათ ვერ განახორციელეს თავიანთი მუხანათური ჩანაფიქრი, ვერ აამხედრეს თურქები რუსეთის წინააღმდეგ და ვერ აიძულეს უშაკოვი ხელი აეღო იონიის კუნძულების განთავისუფლების განზრახვაზე. უშაკოვმა თავისი ექსპედიციის თავდაპირველ და მნიშვნელოვან ამოცანად სწორედ იონიის კუნძულების განთავისუფლება მიიჩნია და ენერგიულად მოჰკიდა ხელი ამ ამოცანის სისრულეში მოყვანას.

მაგრამ მაშინაც კი, როდესაც უშაკოვი შეუდგა იონიის კუნძულების განთავისუფლებისათვის ბრძოლას, ინგლისელები ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მისთვის ამ საქმეში. ისინი ცდილობდნენ, რათა რუსეთის მთავრობა, ტამარა და თვით უშაკოვი დაერწმუნებინათ იმაში, რომ იონიის კუნძულების განთავისუფლება მეორეხარისხოვანი ამოცანაა, მისთვის დიდი ძალების დაბანდება უაზროა, რომ მთავარია იტალიის ნაპირების განთავისუფლება, ეგვიპტის წყლების პატრულირება და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ტამარა ფაქტიურად მოექცა ინგლისელთა გავლენის ქვეშ. მან 1798 წლის 31 დეკემბერს წერილი გაუგზავნა უშაკოვს, რომელშიც, ერთი მხრივ, ურჩევდა მას არ მიეღო მხედველობაში ნელსონის და სიდნეი სმიტის რჩევა, მაგრამ ამავე დროს შესაძლებლად მიიჩნევდა ანკონისაკენ ინგლისელთა დასახმარებლად საკმაოდ ძლიერი რაზმის გაგზავნას; და ეს მაშინ, როდესაც კორფუსათვის გადამწყვეტი ბრძოლა იწყებოდა[2].

უშაკოვმა არც ამ რჩევას გაუწია ანგარიში და ოდნავადაც არ შეასუსტა ის ძალები, რომლებიც კორფუს წყლებში იყო თავმოყრილი. უშაკოვის „ჯიუტობით" გაჯავრებული ნელსონი, რომელსაც სურდა რუსეთის ესკადრა თავის სარდლობისათვის დაექვემდებარებინა და იგი როგორც იარაღი იქ გამოეყენებინა, სადაც მას სურდა და სადაც რუსეთს არავითარი ინტერესები არ ამოქმედებდა, არ მალავდა თავის აშკარა გულისწყრომას და გაბოროტებას აღნიშნულის გამო.

---

[1] Д. Мяютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 104.

[2] ЦГАДА, ф. Госархив, XX разд., д. 379, л. 190.

„რუსების ქცევა იმაზე უკეთესი არ არის, რასაც მე მოველოდი, — წერს ნელსონი სპენსერ-სმიტს 1798 წლის 27 დეკემბრის (1799 წლის 7 იანვრის) წერილში. მე ვფიქრობ, რომ რუსები თავიანთი ქცევით აიძულებენ თურქებს ზავი დადონ ფრანგებთან[1]". „მე მეზიზღებიან რუსები,—წერს იგი მალტის მაბლოკირებელ ინგლისის ესკადრის სარდალს კაპიტან ბოლს 1799 წლის 10/21 იანვრის წერილში, — და თუ ეს გემი გამოგზავნილია მათი ადმირალისაგან კორფუდან, მაშინ ეს ადმირალი არამზადაა"[2].

ეპატიჟებოდნენ რა რუსებს და თურქებს სამოქმედოდ კანდიის (კრეტას) აღმოსავლეთით, ინგლისელები ყოველმხრივ უმტკიცებდნენ მათ, თითქოს ამას მოითხოვდა მოკავშირეთა ინტერესები, პირველ რიგში კი თვით თურქეთის ინტერესები[3]. სინამდვილეში კი ინგლისი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამოდიოდა.

სპენსერ-სმიტისადმი 1798 წლის 6/17 დეკემბრის თარიღით გაგზავნილ წერილში ნელსონი ააშკარავებს იმ რეალურ მოტივს, რომლის გამოც ინგლისელებს არ სურდათ რუსეთის ფლოტის გამოჩენა კანდიის დასავლეთით. ეს მოტივი იყო ინგლისელთა პრეტენზიები ვენეციის ყოფილი კუნძულებისადმი. რუსები რომ არ გამოჩენილიყვნენ ეს კუნძულები დიდი ხანია ჩვენი იქნებოდაო,—წერს გულის ტკივილით ინგლისელი ადმირალი[4]. ამიტომ იყო, რომ ნელსონმა სიხარულის და აღტაცების ნაცვლად აშკარა მწუხარება გამოხატა უშაკოვის ბრწყინვალე ოპერაციების წარმატებით დაგვირგვინებისა და იონიის კუნძულებიდან ფრანგთა განდევნის გამო. მაგრამ მას ძალაუნებურად უნდა ეცნობებინა ინგლისისათვის ეს მეტად არასასიამოვნო ფაქტი და თვალთმაქცურად უშაკოვისათვის მისალოცი დეპეშაც კი გაეგზავნა კორფუს აღებასთან დაკავშირებით[5].

---

[1] The Dispatches and Letters of Vice-Admiral Lord Viscount Nelson, vol. III, London, 1845, გვ. 224.

[2] იქვე, გვ. 236.

[3] ასეთ აზრს ავითარებს, მაგალითად, ნელსონი ვიცე-ადმირალ ყადირბეისადმი 1798 წლის 17 დეკემბრის თარიღით გაგზავნილ წერილში. The Dispatches and Letters of.. Nelson..., გვ. 204.

[4] იქვე, გვ. 205.

[5] „Sir!, — წერდა ნელსონი უშაკოვს პალერმოდან 1799 წლის 12/23 მარტის თარიღით გაგზავნილ წერილში. — Most cordially do congratulate your Exellency on the capture of Corfu". იქვე, გვ. 304.

დიდი რუსი ადმირალი უშაკოვი კარგად ერკვეოდა ინგლისელთა, კერძოდ ნელსონის „მეგობრობის“ ნამდვილ არსში. მან კარგად იცოდა, რომ სინამდვილეში ისინი ცდილობდნენ ხელი შეეშალათ რუსებისათვის და ფარულად მათ საწინააღმდეგო ნაბიჯები გადაედგათ. მისთვის ნათელი იყო, რომ კორფუზე თვით ინგლისელები აცხადებდნენ პრეტენზიას. თავის წერილში, რომელიც მან კორფუდან გაუგზავნა ვ. ტამარას 1799 წლის 5 მარტის თარიღით, უშაკოვი ფარდას ხდის ინგლისელთა ვერაგობას და წერს: ინგლისელები მცირე მეგობრობას გვიწევენ, მათ სურთ ყოველგვარ სერიოზულ საქმეს ჩამოგვაშორონ, ისინი ყოველგვარი ხრიკებით ხელს გვიშლიდნენ კორფუს განთავისუფლებაში. მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი გავაკეთეთ, კორფუ ავიღეთ. ახლა ჩვენი დახმარება დიდად ესაჭიროება იტალიას და თურქეთის სანაპიროებს ნეაპოლის სამფლობელოში მომძლავრებულ ფრანგებისაგან დასაცავად [1].

რაკი ინგლისელებმა ვერ მოახერხეს თავიანთი განზრახვის აისრულეში მოყვანა და ხელი ვერ შეუშალეს რუსეთის ესკადრას კორფუსა და იონიის სხვა კუნძულების დაუფლებაში, მათ საჭიროდ მიიჩნიეს ამის შემდეგ მაინც მაქსიმალურად „დაეტვირთათ“ რუსეთის ფლოტი ოპერაციებით იტალიის სანაპიროებთან და სხვაგან ინგლისელთა სურვილის მიხედვით. მათი განზრახვა იყო ამით დასრულებულიყო რუსეთის ფლოტის მისია ხმელთაშუა ზღვის აუზში. ამ ფლოტის დიდხანს დატოვება იქ, მით უფრო მის მიერ ამ აუზში ხანგრძლივად ფეხის მოკიდება ინგლისელთათვის მიუღებელი იყო. მაგრამ რუსეთის ცარიზმს არავითარი სურვილი არ ჰქონდა სხვისი სათამაშო იარაღი ყოფილიყო და სხვისი ინტერესებისათვის ეგლიჯა ნარი. იგი არ აპირებდა თავისი ფლოტის მოკლე დროში გადაყვანას ხმელთაშუა ზღვიდან უკან შავი ზღვისკენ. იონიის კუნძულები არ იყო რუსეთის ცარიზმის დაინტერესების ერთადერთი ობიექტი ხმელთაშუა ზღვის აუზში. რუსეთი ხომ ლამობდა ფეხის მოკიდებას ხმელთაშუა ზღვის აუზის ცენტრალურ ნაწილში. მას ხომ მალტაზე გაბატონება სურდა. მალტა ინგლის-რუსეთის შეხლა-შემოხლის მორიგი მიზეზი გაადა.

რუსეთის იმპერატორს, როგორც მალტის რაინდთა ორდენის დიდ მაგისტრს სურდა მონაწილეობა მიეღო კუნძულის ფრანგთაგან

---

[1] ციტ. ე. ტარლეს ნაშრომიდან იხ. Е. Тарле, Адмирал Ушаков на Средиземном море, გვ. 153.

განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, რათა იქ შემდეგ თავისი გარნიზონი ჩაეყენებინა. მართალია, ინგლის-რუსეთის სამოკავშირეო ხელშეკრულებებში არ იყო სპეციალური პუნქტი მალტის შესახებ, მაგრამ მას ცვლიდა ინგლისის მინისტრის ზეპირი დაპირება[1].

ინგლისის მთავრობის სიტყვიერი დაპირებით დაინებებული რუსეთის მთავრობა 1798 წლის დასასრულს შეეცადა აქტიურად ემოქმედა მალტის მიმართ თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, პირველ ყოვლისა, მან ინგლისის მთავრობისაგან მოითხოვა, რომ რუსეთის ფლოტს მონაწილეობა მიეღო მალტის ბლოკირებისა და მისი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. მალტის განთავისუფლების შემდეგ იქ უნდა გადაესხათ რუსეთის რაზმი საგარნიზონო სამსახურის შესასრულებლად. ვინაიდან ინგლისის მთავრობის მიერ რუსეთის ეს მოთხოვნები არა თუ არ ყოფილა უარყოფილი, არამედ ძირითადში აპრობირებულიც კი იყო, პეტერბურგის მთავრობამ უშაკოვი გააფრთხილა კორფუსა და იონიის სხვა კუნძულების განთავისუფლების შემდეგ რამოდენიმე სამხედრო გემი გამოეყო და მალტის წყლებში გაეგზავნა. ამ გემებს ინგლისის ესკადრასთან ერთად მონაწილეობა უნდა მიეღოთ მალტის ბლოკადაში. გარდა ამისა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, რუსეთის მთავრობამ წინასწარ გამოჰყო მალტაზე საგარნიზონო სამსახურისათვის განკუთვნილი რაზმი გრენადერთა სამი ბატალიონისა და 300 არტილერისტის რაოდენობით, გენერალ-მაიორ ვოლკონსკის მეთაურობით[2].

მაგრამ ინგლისის მთავრობის დაპირება რუსეთის მიმართ მალტის თაობაზე არ ატარებდა გულწრფელ ხასიათს. იგი წარმოადგენდა გაუნაღდებელ თამასუქს, რომლის რეალიზაციაზედაც ლონდონში სრულებითაც არ ფიქრობდნენ. აღნიშნული დაპირება ინგლისის ჩვეულებრივი დიპლომატიური ფანდი იყო. ამ დაპირებით ფიქრობდნენ ინგლისელები რუსეთის მთავრობის გულის მო-

---

[1] როგორც პავლე I-ის ს. ვორონეცოვისადმი 1799 წლის 16 აპრილს გაგზავნილი რესკრიპტიდან ჩანს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლორდმა გრენვილმა, წინადადება წამოაყენა მალტის განთავისუფლების შემდეგ იქ შერეული ინგლის-რუსეთის გარნიზონი ყოფილიყო ჩაყენებული. იხ. Архив ВПР, ф. „Сношения России с Англией", д. 507, лл. 22—25.

[2] პავლე I-ის 1798 წლის 19 დეკემბრის რესკრიპტში ს. ვორონცოვისადმი ვრცლად არის საუბარი როგორც ამ რაზმის დანიშნულების, ისე მისი მარშრუტის შესახებ. Архив ВПР, ф. „Сношения России с Англией", д. 491, л. 36.

გებას და ამის საფასურში მისგან მაქსიმალური სამხედრო დახმარების მიღებას.

სინამდვილეში ინგლისის მმართველებს არ სურდათ წასულიყვნენ რუსეთის მიმართ რაიმე დათმობაზე მალტის საკითხში და მიეღოთ რუსეთის მოთხოვნები. მალტა მათი აგრესიული მისწრაფების ობიექტი იყო; ეს მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი მათ თვითონ ესაჭიროებოდათ თავიანთი საზღვაო ბატონობის განსამტკიცებლად ხმელთაშუა ზღვის აუზში და გადამწყვეტი როლის მოსაპოვებლად აღმოსავლეთის საკითხში[1]. ინგლისელები უკვე აწარმოებდნენ მალტის ბლოკადას საკუთარი ძალებით. მათ ცხადია, არავითარი განზრახვა არ ჰქონდათ „თანამოზიარე“ ჰყოლოდათ, არ სურდათ რუსები მალტაზე დაეშვათ. მაგრამ ამას ისინი აშკარად ვერ გააკეთებდნენ; მათ არ სურდათ მოკავშირე ქვეყნის გულისწყრომის დამსახურება. ამას შეიძლება მოჰყოლოდა რუსეთის გამოსვლა კოალიციიდან. ამიტომ ინგლისელებს მეტად ძოქნილად უნდა ემოქმედათ: სიტყვიერად ნაკისრი ვალდებულების ერთგულად მოეჩვენებინათ თავი, საქმით კი „ობიექტური გარემოებები“ მოემიზეზებინათ და მით ჩაეშალათ რუსეთის გეგმები.

იმისათვის, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი გაეხადა უშაკოვის ფლოტის მონაწილეობა მალტისათვის ბრძოლაში, ნელსონმა გადაწყვიტა სხვა ასპარეზი მოენახა მისთვის და იქ მიეჯაჭვა იგი. ეს ასპარეზი იყო სამხრეთი იტალია, კერძოდ ნეაპოლის სამეფო. როგორც პირად წერილებში უშაკოვისადმი, ისე უიტვორტისადმი გაგზავნილ წერილებშიაც ადმირალი ნელსონი დაჟინებით აყენებდა მოთხოვნას, რათა რუსეთის ფლოტი და მალტაზე საგარნიზონო სამსახურისათვის განკუთვნილი სადესანტო ნაწილი იტალიის სანაპიროსთან ყოფილიყო გამოყენებული. „ჩვენ მოუთმენლად მოველით რუსეთის ჯარის მოსვლას,—წერდა ნელსონი უიტვორტს, — თუ ცხრა ან ათი ათასი კაცი მოვა ჩვენ-

---

[1] მალტა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეთმოს რუსეთს. იგი მეტად მნიშვნელოვანი გამაგრებული ბაზაა — ინდოეთისათვის, ლევანტსა და იტალიის სამხრეთ ნაწილში გავლენა-კავშირ-ურთიერთობისათვის,—წერდა ლორდი ნელსონი ლორდ ადინგტონს უფრო გვიან, 1803 წლის 2 ივნისის თარიღით გაგზავნილ წერილში. ეს არის იმის აშკარა გამოხატულება, რასაც დიდი ხანია ფიქრობდა ინგლისელი ადმირალი ინგლისის სხვა მესვეურებთან ერთად. იხ. В. Александренко, Русские дипломатические агенты в Лондоне в XVIII в., т. 1, Варшава, 1897, გვ. 83.

თან, მაშინ ნეაპოლი ერთი კვირის შემდეგ იქნება განთავისუფლებული და მის იმპერატორობით უდიდებულესობას კეთილი მეფისა და კურთხეული დედოფლის თავიანთ ტახტზე აღმადგენლის დიდების სახელს მოუხვევს"[1].

უშაკოვის ესკადრის ნეაპოლის სანაპიროებთან დასაბანაკებლად ინგლისელებმა თვით ნეაპოლის მეფეც "მოიშველიეს. სიცილიის მეფე, — წერდა ნელსონი უშაკოვს 1799 წლის 5 მარტის წერილში მესინიდან, — აგზავნის თქვენთან წერილებს და ნდობით აღვსილ პირს, რათა მოგელაპარაკოთ პირადად თქვენ და თურქეთის ადმირალს ამ ოლქში ამჟამად არსებული მდგომარეობის შესახებ და გთხოვოთ, რათა გამოყოთ თქვენი ფლოტის ნაწილი მესინაში გასაგზავნად ამ სახელმწიფოს დასაცავად...[2].

როგორც უშაკოვისადმი, ისე სხვა პირებისადმი გაგზავნილ წერილებში ნელსონი ერთ აზრს ატარებდა: რუსები უნდა დაეხმარონ სიცილიის მეფეს ტახტის დაბრუნებაში და ამისათვის არ დაიშურონ ძალა და ენერგია. მალტაზე მათ არაფერი ესაქმებათ, რადგანაც იქ უკვე მოქმედებენ ინგლისელები, თანაც ამ კუნძულზე უკვე ფრიალებს ინგლისის და ნეაპოლის სამეფოს ალმები.

ასეთი შინაარსისა იყო, მაგალითად, ადმირალ ნელსონის 1799 წლის 12/23 მარტის წერილი ადმირალ უშაკოვისადმი. მალტა მალე დაგვნებდება, წერს ნელსონი ამ წერილში, — ინგლისის და ნეაპოლის სამეფოს ალმები ფრიალებს კუნძულის ყველა ნაწილში, გარდა ქალაქ ლავალეტასი, სადაც მოსახლეობამ სიცილიის მეფის თანხმობით დიდი ბრიტანეთის მფარველობა აღიარა[3].

ამგვარად, რუსებმა სისხლი უნდა დაღვარონ იმისათვის, რომ სიცილიის „გვირგვინოსან ბრიანებელს" თავისი ტახტი დაუბრუნონ, მალტის საკითხი კი მათ გარეშეც გადაწყვეტილია. კუნძული მის „კანონიერ მფლობელს" სიცილიის მეფეს დაუბრუნდება, გარდა ლა-ვალეტასი, რომელიც ინგლისის ხელში გადავა და მისი ფლოტის ბაზად იქნება გამოყენებული.

ინგლისელები მზად იყვნენ რუსეთის მიმართ გარეგნული მეგობრობისათვისაც კი ეღალატათ და რეპრესიული ზომები მიეღოთ იმ შემთხვევაში, თუ რუსები არაფრად ჩააგდებდნენ მათ „მეგობრულ" რჩევას და მაინც ბოინდომებდნენ კუნძულ მალტაზე დესანტის გადასხმას და იქ რუსეთის ალმის აღმართვას.

---

[1] E. Tarle, დასახ! ნაშრ., გვ. 163.
[2] იქვე, გვ. 157.
[3] Dispatches and Letters of... Nelsn..., გვ. 304.

ნელსონს, როგორც უკვე აღვნიშნავდით, წონასწორობა დაუკარგა უშაკოვის მიერ მალტაზე გემის გაგზავნამ, რომელსაც მალტის მოსახლეობისათვის უნდა ჩაეტანა პროკლამაცია პავლე I-ის (როგორც მალტის ორდენის დიდი მაგისტრის) სახელით. ამ პროკლამაციით ორდენის ახალი დიდი მაგისტრი კუნძულის მოსახლეობას ფრანგთა განდევნის შემდეგ თვითმმართველობას ჰპირდებოდა. მალტის ბლოკადის უფროსის კაპიტან ბოლისადმი 1799 წლის 10 (21) იანვრის თარიღით გაგზავნილ წერილში ადმირალმა ნელსონმა ადმირალი უშაკოვი აღნიშნული გეგმის გაგზავნის გამო „არამზადის" ეპითეტით „შეამკო"[1].

ინგლისელი ადმირალი ამასაც არ დასჯერდა. მან განიზრახა რუსეთი და ნეაპოლის სამეფო ერთი მეორისათვის დაეპირისპირებინა და დაესაბუთებინა ნეაპოლის სამეფოს „უტყუარი", ფაქტიურად არ არსებული, უფლება კუნძულ მალტაზე. მან კუნძულის მოსახლეობის ფრანგთაგან უკვე განთავისუფლებულ ნაწილს გამოუცხადა: თქვენ ნეაპოლის მეფის ხელქვეითები ხართ, რის გამოც რუსეთისადმი სიმპათიის გამოცხადება თქვენი „კანონიერი ხელმწიფის" შეუფასებლობა იქნებაო. მანვე კაპიტანი ბოლი გააფრთხილა ეცნობებინა კუნძულის მცხოვრებლებისათვის, რომ იგი გმობს რუსთა მოქმედებას და შეუწყვეტს მათ სიცილიიდან და სხვა ადგილებიდან პურის მიწოდებას, თუ გონს არ მოვლენ და მათი რომელიმე ჯგუფი რუსეთის ალამს აღმართავს მალტაზე. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის გემები ან თვით უშაკოვი მალტაზე ჩავიდოდნენ, მაშინ ნელსონი ბოლს ავალებდა დაერწმუნებინა რუსეთის ადმირალი მალტის კანონიერი მეფის მიმართ მისი ქცევის ულაზათობაში[2].

ინგლისის არამეგობრული და მუხანათური დამოკიდებულება რუსი მოკავშირისადმი ანტიფრანგული კოალიციის შიგნით მხოლოდ ამით არ შემოფარგლულა. ასეთივე დამოკიდებულება გამოავლინეს ინგლისელებმა რუსების მიმართ ნეაპოლსა და რომში წარმოებული საომარი ოპერაციის დროს.

უშაკოვის ესკადრის ერთი რაზმი მეორე რანგის კაპიტან სოროკინის სარდლობით იონიის კუნძულების განთავისუფლების შემდეგ გაგზავნილ იქნა ნეაპოლის სამეფოს სამხრეთი ნაპირებისაკენ. მის მიზანს შეადგენდა ინგლისელებთან ერთად ნეაპოლის სამეფოდან ფრანგთა განდევნა.

---

[1] The Dispatches and Letters of Nelson..., გვ. 236.
[2] იქვე, გვ. 255—256.

რუსეთის მეზღვაურთა სადესანტო რაზმმა, მეორე რანგის კაპიტან ბელის სარდლობით, რომელიც სოროკინის განკარგულებაში არსებული გემებიდან გადასხმული იქნა ნეაპოლის სამეფოს ტერიტორიაზე, მოკლე დროის განმავლობაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, ამ სამეფოს ორი მესამედი სამი კვირის განმავლობაში გაწმინდა ფრანგ დამპყრობლებისაგან და აიღო თვით სატაბტო ქალაქი ნეაპოლი. ამ ხანმოკლე ოპერაციის პროცესში რუსეთის სადესანტო რაზმმა გამოავლინა არა მარტო მაღალი საბრძოლო თვისებები, შეგნებული დისციპლინა, მკვიდრი მოსახლეობისადმი პატივისცემის გრძნობა, არამედ დამარცხებული ფრანგებისა და იარაღაყრილი ნეაპოლელი „იაკობინელებისადმი“ შებრალებაც [1].

ინგლისელებს მონაწილეობა არ მიუღიათ ნეაპოლის განთავისუფლებისათვის წარმოებულ სახმელეთო ოპერაციებში და ეს მძიმე საქმე მარტოდმარტო რუსებს დააკისრეს. ნაცვლად იმისა, რომ ღირსეულად დაეფასებინათ რუს მეზღვაურთა გმირობა და მამაცობა, ინლისელები შურით აღივსნენ მათ მიმართ. ნელსონმა, ინგლისის ნეაპოლელმა ელჩმა ჰამილტონმა და სხვებმა დაიწყეს ცილისწამებით აღსავსე ცნობების გავრცელება რუსების შესახებ, თანაც ნეაპოლის სამეფოდან ფრანგთა განდევნის და ქალაქ ნეაპოლის განთავისუფლების დამსახურება თვით ნეაპოლელთა რაზმს და მის სარდალს კარდინალ რუფოს მიაწერეს [2]. პირადად ნელსონი არ მოერიდა კაპიტულაციის იმ აქტის დარღვევას, რომელსაც ხელი მოაწერეს ფრანგებმა და ნეაპოლელმა რესპუბლიკელებმა, ერთი მხრივ, და რუფომ და რუსეთის სარდლობის წარმომადგენელმა, მეორე მხრივ. ამ ხელშეკრულების დარღვევა კი იმავე ნელსონმა და ინგლისის ფლოტის სხვა უმაღლესმა ოფიცრებმა გამოიყენეს იმისათვის, რომ ნეაპოლის სისხლიან რეაქციასთან ერთად უშუალო მონაწილეობა მიეღოთ ფრანგი ტყვეებისა და კაპიტულირებული ნეაპოლელი რესპუბლიკელების ბარბაროსულ ხოცვა-ჟლეტაში [3].

---

[1] სოროკინის, კერძოდ კი ბელის სადესანტო რაზმის ოპერაციები ვრცლად ექვს აღწერილი ვისკოვატოვს ჩვენს მიერ უკვე დასახელებული წერილების სერიაში: А. Висковатов, Военные происшествия в Неаполитанском Королевстве в 1798—1799 гг., „Славянин“, 1828, ч. 5, გვ. 274—286.

[2] Е. Тарле, დასახ. ნაშრ., გვ. 166—169.

[3] იხ. А. Висковатов, დასახ. წერილი, „Славянин“, 1828, ч. 5, გვ. 307—312.

ნეაპოლიტანიის სამეფოს ფრანგ დამპყრობელთაგან განთავისუფლებისა და წესიერების დამყარების შემდეგ რუსეთის საზღვაო ფეხოსანთა სადესანტო ნაწილი 800 კაცის შემადგენლობით პოლკოვნიკ სკიპორისა და ლეიტენანტ ბალაბინის სარდლობით რომის გასათავისუფლებლად გაემართა (ნეაპოლიტანიის მთავრობის დაჟინებითი მოთხოვნით და უშაკოვის ბრძანებით). ეს რაზმი 1799 წლის 30 სექტემბერს (11 ოქტომბერს) შეეიდა „მარადიულ ქალაქში“ და დიდი აღტაცებით იქნა მიღებული ამ ქალაქის მოსახლეობის მიერ, რის შესახებაც ხაზგასმით აღნიშნავდა ლეიტენანტი ბალაბინი თავის მოხსენებით ბარათში უშაკოვისადმი[1]. მაგრამ რუსეთის ჯარის რაზმს რომისათვის ბრძოლა არ დასჭირვებია, ოადგანაც ამ ქალაქში გამაგრებულმა ფრანგებმა ჯერ კიდევ 16 (27) სექტემბერს მოახდინეს კაპიტულაცია ნეაპოლიტანიის არმიის სარდლის მარშალ ბურკარდის და ჩივიტა-ვეკიაში მდგარი ინგლისის სახაზო გემის კაპიტანის ტრაუბრიჯის წინაშე. ფრანგების კაპიტულაცია არ იყო შედეგი ავსტრიის და ნეაპოლიტანიის ჯარების გამარჯვებისა მათზე, პირიქით, ფრანგთა გარნიზონმა გარნიეს სარდლობით რამოდენიმე გამოხდომით ქალაქიდან სასტიკი დამარცხება აგემეს გარემომცველ ავსტრიელებს და ნეაპოლიტანელებს. ეს კაპიტულაცია გამოიწვია რომში გავრცელებულმა ცნობამ იმის შესახებ, რომ ქალაქს რუსეთის რაზმი უახლოვდებოდა. სწორედ უშაკოვის ფლოტის საზღვაო ქვეითთა რაზმის რომთან მიახლოვების შიშმა აიძულა ფრანგები შემდგომ წინააღმდეგობაზე ხელი აეღოთ და მათგანვე არაერთხელ დამარცხებულ მოწინააღმდეგის მიმართ კაპიტულაცია მოეხდინათ, სანამ საშიში ძალა, რუსების სახით, იარაღის მეშვეობით აიძულებდა მათ ასეთ კაპიტულაციაზე[2].

კაპიტულაციის აქტი, რომელზედაც ხელი მოაწერეს ფრანგებმა, უაღრესად ლმობიერი ხასიათის იყო და ამდენად შეღავა-

---

[1] Е. Тарле, დასახ. ნაშრ., გვ. 191.

[2] „Гарнье устрашен был прибытием сюда эскадры Вашего Императорского Величества, — წერდა რუსეთის საელჩოს მრჩეველი იტალინსკი პავლეს თავის 1799 წლის 4/15 ოქტომბრის რელაციებში, — и приготовлениями, которые под руководством господина адмирала Ушакова делались здесь и от коих он ожидал в скором времени действий против себя. Не дерзая противуставить оружию Вашего Императорского Величества, на море и на суше победоносному, разсудил спасти от оного себя и своих, благовременным удалением“. იხ. Архив ВПР, ф. „Сношения России с Неаполем“, 1799 г., д. 275, л. 61.

თიანი მათთვის. ფრანგებს უფლება ეძლეოდათ გასულიყვნენ „წმინდა ქალაქიდან“ (იარაღით და ყველა სახის სხვა ნივთებით, მათ შორის ნაძარცვითაც), და გამგზავრებულიყვნენ ჩივიტა-ვეკიაში. აქედან მათ გადაყვანას საფრანგეთში თვით ინგლისელები და ნეაპოლიტანელები კისრულობდნენ[1]. კაპიტულაციის პირობების თანახმად რომის ფრანგთა გარნიზონს საშუალება ეძლეოდა შეენარჩუნებინა მთელი თავისი პირადი შემადგენლობა, საბრძოლო იარაღი და გამოეყენებინა იგი ჩრდილო იტალიაში ისევ მოკავშირეთა, პირველ რიგში რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მხედველობაშიც რომ არ მივიღოთ კაპიტულაციის აქტის უაღრესად შეღავათიანი პირობები, რაც ფრანგებს რუსეთის არმიის წინააღმდეგ ბრძოლის განახლების შესაძლებლობას აძლევდა, თვით ფაქტი ინგლისელების მიერ ამ აქტზე ხელმოწერისა, რუსეთის არმიის სარდლობის მონაწილეობის გარეშე, მუხანათურ აქტს წარმოადგენდა და რუსი მოკავშირის აბუჩად აგდებას ნიშნავდა. ის, რაც ინგლისელებმა რუსების მიმართ რომში ჩაიდინეს არც შემთხვევითი იყო და არც გამონაკლისი. ეს იყო ერთ-ერთი რგოლი იმ არამეგობრული და მუხანათური პოლიტიკის გრძელ ჯაჭვში, რასაც ინგლისელი „მეგობრები“ სისტემატურად აწყობდნენ თავიანთ მოკავშირე რუსეთის მიმართ. თავიანთ ეგოისტურ ინტერესებს, ფარულ ზრახვებსა და ზვიადურ პრესტიჟს ინგლისელები გაცილებით მაღლა აყენებდნენ საერთო სამოკავშირეო საქმეზე, იმ „საღვთო“ საქმეზე, რომელიც თითქოს ამ კოალიციის მიზანს შეადგენდა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, რუსეთ-ინგლისის ურთიერთობა 1799 წლის დასასრულამდე გარეგნულად ისევ მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა. ინგლისის ბევრი ვერაგული აქტი მისი მოკავშირე რუსეთის მიმართ მოხერხებულად იყო შენიღბული; აგ ვერაგობის შესახებ რუსეთში ცხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა თუ ჰქონდათ. მაგრამ დროთა განმავლობაში რუსეთ-ინგლისის ურთიერთობაში თანდათან თავს იჩენს ახალ-ახალი ფიცხი მასალა, უფრო მკაფიოდ ვლინდება ინგლისის მესვეურთა რეალური ზრახვები საერთოდ და კერძოდ კი რუსეთის მიმართ. ყოველივე ეს შემდეგში ამზადებს ნიადაგს მათი ურთიერთ გათიშვისათვის.

---

[1] Архив ВПР, ф. „Сношения России с Неаполем“, д. 275, лл. 52—57.

—

თავი VIII

მეორე ანტიფრანგული კოალიციის დაშლა და რუსეთის ომიდან გამოსვლა. მოგრუნება რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში (1799 წლის დასასრული. 1800 წლის დასაწყისი)

1. რუსეთ-ავსტრიის წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავება და მათი „თავდაცვითი" კავშირის გაწყვეტა

რუსეთ-ავსტრიის და რუსეთ-ინგლისის ზემოგანხილული წინააღმდეგობა თანდათან ღრმავდებოდა და სულ უფრო და უფრო აშკარა ხასიათს იღებდა. წინააღმდეგობათა ძველ მოტივებს ახალ-ახალი მოტივები მიემატა. ამან შეასუსტა კოალიციის ძალები და განაპირობა მისი დაშლა.

კოალიციის რღვევის პროცესი დაიწყო რუსეთ-ავსტრიის ინტერესთა დაპირისპირების შემდგომი გაღრმავებით, რის ლოგიკურ შედეგსაც მათ შორის ურთიერთობის გათიშვა წარმოადგენდა. აღნიშნულის პარალელურად გაფართოვდა და გაღრმავდა ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობა. წინააღმდეგობათა მთელმა ამ კომპლექსმა, კერძოდ კი იმ ამოცანების გადაუწყვეტელობამ, რომლებსაც მეფის რუსეთი ანტიფრანგულ ომში ისახავდა, აიძულა რუსეთის მთავრობა კავშირი გაეწყვიტა მოკავშირეებთან და ანტიფრანგული კოალიციის შემადგენლობიდან გამოსულიყო.

იმისათვის, რომ ნათელვყოთ რუსეთის საგარეო პოლიტიკაში მოკავშირეების მიმართ შემზადებული გარდატეხა და მისი ფინალური აქტი—რუსეთის გამოსვლა კოალიციიდან, საჭიროდ მიგვა-

ჩნია ცალ-ცალკე გავაანალიზოთ იმ წინააღმდეგობათა ახალი მოტივები, რომელთაც თავი იჩინეს რუსეთ-ავსტრიისა და რუსეთ-ინგლისის ურთიერთობაში 1799 წლის დასასრულისათვის.

რიმსკი-კორსაკოვის დამხმარე კორპუსის გამოყენების საკითხი რუსეთ-ავსტრიის მორიგი შეჯახების მიზეზი გახდა. ამ საკითხშიც რელიეფურად გამოვლინდა ავსტრიის საიმპერატორო კარის მიერ აღებული ანტირუსული კურსი, რუსეთ-ავსტრიის ინტერესთა ღრმა წინააღმდეგობა.

თავის დროზე, როდესაც რიმსკი-კორსაკოვის კორპუსი ჯერ კიდევ არ იყო მისული მისთვის განკუთვნილ საომარ ასპარეზზე (შვეიცარიაში), ავსტრიის მთავრობამ რუსეთისათვის ანგარიშის გაუწევლად, საკუთარი სამხედრო-სტრატეგიული გეგმის შესატყვისად, განიზრახა თვითნებურად გადაეწყვიტა ამ კორპუსის გამოყენების საკითხი. ავსტრიის მინისტრმა თუგუტმა ა. რაზუმოვსკისა და ავსტრიის პეტერბურგელი ელჩის კობენცლის მეშვეობით პეტერბურგის მთავრობის წინაშე დასვა საკითხი, იმის შესახებ, რომ რიმსკი-კორსაკოვის კორპუსი გაეგზავნათ არა შვეიცარიაში, რრგორც ამას ჰოითხოვდა ინგლისი (ეს კორპუსი როგორც ცნობილია, ინგლისის სუბსიდიაზე იმყოფებოდა), არამედ გერმანიაში — ქვემო რაინზე სამოქმედოდ. ავსტრიის მთავრობის და ჰოფკრიგსრატის გეგმით რუსეთის ამ კორპუსს იქ ფრანგების ხელში მყოფი სიმაგრეების აღება უნდა დაჰკისრებოდა. ნაგრამ ავსტრიის მესვეურებმა თავიანთი ეგოისტური განზრახვა მაშინ სისრულეში ვერ მოიყვანეს. მეფის რუსეთის მთავრობა კარგად გაერკვა ავსტრიის მთავრობის განზრახვის არსში. სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მას[1] და რიმსკი-კორსაკოვის კორპუსი შვეიცარიისაკენ გაგზავნა.

რიმსკი-კორსაკოვის კორპუსის შვეიცარიაში ჩასვლის მომენტისათვის იქ უკვე მიმდინარეობდა აქტიური საომარი ოპერაციები

---

[1] იხ. თ. როსტოპჩინის 1799 წლის 21 მაისის წერილი ს. ვორონცოვისადმი, Архив князя Воронцова, ტ. 8, გვ. 213. ამ განზრახვას ინგლისმაც გაუწია ენერგიული წინააღმდეგობა. ინგლისს არ სურდა შვეიცარიაში მარტო ავსტრიის ჯარები ყოფილიყო. ინგლისშიაც კარგად იცოდნენ, რომ თუ საფრანგეთის ჯარები შვეიცარიაში დამარცხდებოდნენ და ბურთი და მოედანი იქ ავსტრიის ჯარებს დარჩებოდათ, ავსტრიელები ისევე თვითნებურად მოიქცეოდნენ იქ, როგორც უკვე მოქმედებდნენ ჩრდილო იტალიის განთავისუფლებულ ოლქებში. რიმსკი-კორსაკოვის კორპუსს ხელი უნდა შეეშალა მათთვის ამ ეგოისტური განზრახვის რეალიზაციაში.

მასენას სარდლობით მოქმედ საფრანგეთის არმიასა და ავსტრიის არმიას შორის, რომელსაც თვით ერცჰერცოგი კარლოსი სარდლობდა. თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ ავსტრიის არმია რუსეთის კორპუსის ჩასვლით ისარგებლებდა და საფრანგეთის არმიის წინააღმდეგ ენერგიულ შეტეკით ოპერაციებს დაიწყებდა. მაგრამ მოხდა სრულიად საწინააღმდეგო. ვითომდა სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებით ჰოფკრიგსრატმა ერცჰერცოგ კარლოსს განკარგულება მისცა გამოეყვანა მთელი თავისი ჯარები შვეიცარიიდან და ფრონტის სხვა უბანზე (რაინზე) გადაეყვანა იგი[1].

ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ავსტრიის მთავრობისა და უმაღლესი სარდლობის ეს გადაწყვეტილება, თუმცა გარეგნულად სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებით იყო დასაბუთებული, მაგრამ რუსი მოკავშირის მიმართ აშკარა მუხანათურ აქტს წარმოადგენდა. საქმე ისაა, რომ ავსტრიის არმიის შვეიცარიიდან ევაკუაციის შემდეგ შვეიცარიის ფრონტზე ფრანგების პირისპირ მარტო რიმსკი-კორსაკოვის კორპუსი დარჩებოდა. ამ კორპუსს, 27 ათასი მებრძოლის რაოდენობით, წინააღმდეგობა უნდა გაეწია მტრის ჭარბი ძალებისათვის (დაახლოებით 40 ათასი მებრძოლის რაოდენობით), რომელთაც, ამავე დროს, ნიჭიერი და გამოცდილი სარდალი მასენა ედგა სათავეში და ხელთ ეპყრათ შვეიცარიის ყველა მნიშვნელოვანი სტრატეგიული ბაზა. ცხადი იყო, რომ მასენა, რომელიც გაფაციცებით ადევნებ-

---

[1] არსებობს დოკუმენტი—პავლე I-ის რესკრიპტი გენერალ რიმსკი-კორსაკოვისადმი (1799 წლის 2 აგვისტოს თარიღით), რომლითაც რუსეთის იმპერატორმა, თითქოს, მოიწონა ავსტრიის მთავრობის გადაწყვეტილება ავსტრიის ჯარის შვეიცარიიდან ევაკუაციის შესახებ და ამ აპრობაციის შესახებ აცნობა თავის სარდალს. იხ. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 450. აღნიშნულის გამო, თითქოს, არ იყო მოსალოდნელი, რომ ეს ევაკუაცია ამ ორი კვეყნის ურთიერთობის შემდგომი გაუარესების მორიგი პირობა გახდებოდა. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს ასე როდია. მართალია, რუსეთის სამეფო ხელისუფლება დაეთანხმა ავსტრიის მთავრობისა და ჰოფკრიგსრატის აღნიშნულ ოპერატიულ გეგმის განხორციელებას, მაგრამ მას არ მიუცია თავისი თანხმობა ავსტრიის მთელი არმიის დაუყოვნებლივ ევაკუაციაზე შვეიცარიიდან. პეტერბურგში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს ევაკუაცია მოხდებოდა ნაწილ-ნაწილ და თანდათანობით, ისიც მხოლოდ მას შემდეგ, რაც რიმსკი-კორსაკოვის კორპუსი მიიღებდა დამხმარე ძალებს ჩრდილო იტალიიდან. მაგრამ ეს ვარაუდი უნიადაგო აღმოჩნდა ავსტრიელთა ევაკუაცია შვეიცარიიდან დაიწყო გაცილებით ადრე, ვიდრე ამას მოელოდნენ პეტერბურგში, სანამ ჩრდილო იტალიიდან გაგზავნილი ჯარი ჩავიდოდა შვეიცარიაში.

და თვალყურს მოწინააღმდეგის ძალების მოძრაობას და შეტევისათვის ემზადებოდა, დაუყონებლივ ისარგებლებდა ერცჰერცოგ კარლოსის არმიის ევაკუაციით, მთელი თავისი ძალებით თავს დაატყდებოდა რიმსკი-კორსაკოვის კორპუსს და გაანადგურებდა მას.

ძლიერ მტერთან მარტოდმარტო დარჩენის პერსპექტივით შეშფოთებულმა რიმსკი-კორსაკოვმა პროტესტი განაცხადა და მოითხოვა ავსტრიის ჯარების ევაკუაციის ვადის ან გადადება და ამ ჯარების თანდათანობით გაყვანა საომარი ასპარეზიდან, ანდა მისი ნაწილის ადგილზე დატოვება. მოლაპარაკება ავსტრიის ჯარების შვეიცარიიდან გამოყვანის თაობაზე რამოდენიმე კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა ერთსა და იმავე დროს ვენასა და პეტერბურგში. მოლაპარაკების შედეგად ავსტრიის უნაღლესი სარდლობა თანახმა გახდა რიმსკი-კორსაკოვის კორპუსის დასახმარებლად შვეიცარიაში დაეტოვებინა მხოლოდ ერთი კორპუსი გოტცეს სარდლობით რომელიც მოითვლიდა 20—22 ათას ავსტრიელს და 3000 შვეიცარიელს [1].

1799 წლის 18/29 აგვისტოს ერცჰერცოგ კარლოსის არმიამ დაიწყო შვეიცარიიდან ევაკუაცია, დატოვა რა იქ გოტცეს კორპუსი. ეს გარემოება გახდა რიმსკი-კორსაკოვის ახალი შეშფოთებისა და თხოვნა-მუდარის საბაბი. შვეიცარიაში რუსეთის კორპუსისათვის შექმნილი საშიში მდგომარეობა რიმსკი-კორსაკოვისა და გენერალ ტოლსტოის მეშვეობით ცნობილი გახდა რუსეთის იმპერატორისათვის. მან, ამასთან დაკავშირებით თავისი გულისწყრომა ავსტრიელთა მიმართ გამოხატა სუვოროვისადმი 1799 წლის 31 აგვისტოს (11 სექტემბერს) გაგზავნილ რესკრიპტში და იმავე თარიღით გაგზავნილ მეორე რესკრიპტში რიმსკი-კორსაკოვისადმი.

პირველი რესკრიპტით პავლე I საჭიროდ მიიჩნევდა: 1) რიმსკი-კორსაკოვს არ ემოქმედა დამოუკიდებლად და არ გადაედგა რაიმე ნაბიჯი სუვოროვის განკარგულების გარეშე; 2) ავსტრიელთა არმიის შვეიცარიიდან გაყვანის შემთხვევაში შეექმნათ იქ armée intermédiaire (შუალედი არმია); 3) ყოველივე ეს ეცნობებინათ ვენის სამეფო კარისათვის. პირადად სუვოროვი თავისი არმიით დაძრულიყო შვეიცარიისაკენ, რომ იქ მის ჩასვლამდე რაიმე არასასურველი ამბავი არ მომხდარიყო [2]. პირადად რიმსკი-

---

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 133; ტ. 3, გვ. 451.

[2] იქვე, ტ. 2, გვ. 181.

კორსაკოვს პავლე I მითითებას აძლევდა დაეცადა სუვოროვის განკარგულებისათვის და თავი შეეკავებინა რაიმე სეპარატული ნაბიჯისაგან, რომელსაც შეეძლო ზიანი მიეყენებინა საერთო საქმისათვის[1].

დიდმა რუსმა მხედართმთავარმა, როგორც ცნობილია, ჯეროვნად შეაფასა რიმსკი-კორსაკოვის კორპუსისათვის შექმნილი საშიში მდგომარეობა შვეიცარიაში. ამიტომ მან მის განკარგულებაში არსებული რუსეთის მთელი ძალები ფორსირებული მარშით დაძრა შვეიცარიისაკენ. ეს მოხდა 1799 წლის 31 აგვისტოს (11 სექტ.)[2]. ამავე დროს მან სცადა დაერწმუნებინა ავსტრიის სარდალი გადაედო შვეიცარიიდან თავისი არმიის ევაკუაცია მანამდე, სანამ სუვოროვი თავისი არმიით ჩავიდოდა შვეიცარიაში და რიმსკი-კორსაკოვის არმიას შეუერთდებოდა[3]. მაგრამ ავსტრიის მთავრობამ და სარდლობამ ერთხელ კიდევ აბუჩად აიგდეს რუსი მოკავშირის სამართლიანი მოთხოვნა და უყურადღებოდ დატოვეს იგი. ერც-ჰერცოგმა კარლოსმა არ დაუცადა სუვოროვის არმიის შვეიცარიაში ჩასვლას და აგვისტოს მეორე ნახევარში დაჩქარებით დაიწყო თავისი ჯარების გაყვანა გერმანიაში.

სუვოროვის არმიის ლაშქრობა შვეიცარიაში 1799 წლის კამპანიის ერთ-ერთ ყველაზე ბრწყინვალე ეპიზოდს წარმოადგენდა. ამ ლაშქრობით სუვოროვმა და რუსეთის არმიამ ზენიტში აიყვანეს რუსული საბრძოლო ხელოვნების სახელი და დიდება. სუვოროვის არმიის გმირულმა გადასვლებმა შვეიცარიის მთებსა და გადასასვლელებზე, სენ-გოტარდის „ეშმაკის ხიდის“ ფორსირებამ, მუტენტალის, კლენტალის და სხვა ზღუდეების გადალახვამ და უკანასკნელმა შედგარმა შებრძოლებამ შვეიცარიის მთებთან და ვიწრო ხეობებთან შვეიცარიიდან გამოსვლის დროს, უკვდავჰყო სუვოროვის საბრძოლო გენია, რუსეთის არმიისა და რუსი ჯარისკაცების გმირობა და თავდადება.

მაგრამ ავსტრიელების მიერ ჩადენილმა მუხანათობამ რიმსკი-კორსაკოვის კორპუსის მიმართ თავისი ნაყოფი გამოიღო. საფრანგეთის არმიამ არ დააყოვნა ესარგებლა შვეიცარიაში მისთვის შექმნილი ხელსაყრელი ვითარებით. საფრანგეთის არმიის სარდალმა შვეიცარიაში გენერალმა მასენამ, რომლისთვისაც ცნო-

---

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 431, 213-ე შენიშვნა.
[2] იქვე, ტ. 2, გვ. 151.
[3] იქვე, ტ. 3, გვ. 450, 165-ე შენიშვნა.

ბილი იყო სუვოროვის ფორსირებული მარში შვეიცარიისაკენ, გადაწყვიტა მთელი თავისი ძალებით თავს დასხმოდა რუსეთის კორპუსს და ავსტრიელების გოტცეს კორპუსს სანამ სუვოროვი შესძლებდა მისთვის დახმარების აღმოჩენას. 1799 წლის 14—15 (25—26) სექტემბრის სასტიკ ბრძოლებში საფრანგეთის არმიამ სერიოზული დამარცხება აგვმა ციურიხთან დაბანაკებულ რიმსკი-კორსაკოვის კორპუსს და გოტცეს კორპუსს ერთსა და იმავე დროს. ამ კორპუსებმა, განიცადეს რა დიდი ზარალი, სასწრაფოდ უკან დაიხიეს რაინის მიმართულებით (სამხრეთ გერმანიაში). ეს მოხდა სწორედ იმ დღეებში, როდესაც სუვოროვი თავისი ჯარით „ეშმაკის ხიდის“ მისადგომებთან იბრძოდა და რიმსკი-კორსაკოვის დასახმარებლად მიიჩქაროდა.

რუსეთის მთავრობამ რიმსკი-კორსაკოვის კორპუსის დამარცხებისა და სუვოროვის არმიის მიერ შვეიცარიაში განცდილი სიძნელეებისათვის (რის შედეგსაც წარმოადგენდა მოკავშირეთა სამხედრო-სტრატეგიული გეგმის განუხორციელებლობა და შვეიცარიის პლაცდარმის ფრანგების ხელში გადასვლა) მთელი პასუხისმგებლობა, საკუთრივ სამართლიანად, ავსტრიის სამეფო კარს და მის ჰოფკრიგსრატს დააკისრა.

ციურიხის ბრძოლის შესახებ ცნობის მიღებამ პეტერბურგში[1] მძლავრი გაქანება მისცა იქ უკვე ფეხმოკიდებულ ანტიავსტრიულ განწყობილებას. ამ განწყობილებას კარგად გამოხატავს პავლე I-ის 1799 წლის 11/22 ოქტომბრით დათარიღებული წერილი ავსტრიის იმპერატორ ფრანც II-სადმი. ამ წერილში პავლე I ავსტრიის მთავრობის საქციელს უწოდებს თვალთმაქცურს და მუხანათურს, ვინაიდან, მისი შეხედულებით, იგი ევროპის ხსნის საქმეს მსხვერპლად სწირავს ავსტრიის იმპერიის გაფართოების სურვილს. დასასრულ, ამ წერილში პავლე I კატეგორიული ტონით აცხადებდა, რომ ამიერიდან მას განზრახვა აქვს მხოლოდ რუსეთის ინტერესების შესაბამისად იმოქმედოს და ხელი აიღოს მასთან, ე. ი. ავსტრიის სამეფო კართან ერთობლივ მოქმედებაზე[2].

---

[1] თუმცა ა. რაზუმოვსკი თავის 1799 წლის 26 სექტემბრის რელაციაში პავლე I-სადმი და იმავე თარიღით გაგზავნილ წერილში სუვოროვისადმი ყოველმხრივ ცდილობდა გაემართლებინა ვენის სამეფო კარი და ერცჰერცოგი კარლოსი და მოეხსნა მათთვის პასუხისმგებლობა ციურიხთან განცდილი დამარცხებისათვის. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3. გვ. 552.

[2] ЦГВИА, ф. 43, д. 1619, л. 1. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 552; ф. Мартос, დასახ. კრებ., ტ. 2, გვ. 371.

რიმსკი-კორსაკოვის კორპუსის საკითხი, სინამდვილეში იმ მიზანდასახულობისა და სამხედრო-სტრატეგიული გეგმების სხვადასხვაობის მორიგი გამოხატულება იყო, რომელიც მეფის რუსეთსა და ავსტრიის სამეფო კარს ჰქონდათ დასახული. რუსეთს სურდა ავსტრიას და მის სარდლობას მოკავშირეთა საერთო გეგმის მიხედვით ემოქმედათ და ეცნოთ რუსეთის უპირატესი როლი საფრანგეთის საწინააღმდეგო ღონისძიებებში. ავსტრიის მთავრობას და სარდლობას კი, პირიქით, სურდათ მოქმედების სრული თავისუფლება ჰქონოდათ და თავი დაეღწიათ რუსეთის არასასურველი „მეურვეობისათვის". ავსტრიის მთავრობას თვითონ სურდა წამყვანი როლი შეესრულებინა კოალიციაში, რუსეთი კი იარაღად გამოეყენებინა საკუთარი პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული გეგმების რეალიზაციის საქმეში. პეტერბურგში ფიქრობდნენ: ავსტრიელი მოკავშირეები აბუჩად იგდებენ სამოკავშირეო ვალდებულებებს და მუდანათურად იქცევიანო; ვენაში პირიქით, თვით რუსეთს და მის სარდლობას სდებდნენ ბრალს ჯიუტობაში, მოკავშირისათვის ანგარიშის გაუწევლობასა და საკუთარი ინტერესების მაღლა დაყენებაში.

რიმსკი-კორსაკოვის კორპუსის დამარცხების შთაბეჭდილების ქვეშ რუსეთის სამეფო კარზე პირველად წარმოიშვა აზრი საფრანგეთის წინააღმდეგ ომის შეწყვეტის, ავსტრიასთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტისა და რუსეთის ჯარის საბრძოლოში დაბრუნების შესახებ. პავლეს 11/22 ოქტომბრის რესკრიპტი სუვოროვისადმი [1] და მისივე რესკრიპტი რიმსკი-კორსაკოვისა და პრინც კონდესადმი 21 ოქტომბრის თარიღით ნათლად ადასტურებენ ამ მოსაზრებას [2].

არსად ისე რელიეფურად არ გამოვლენილა ავსტრიის სამეფო კარის ეგოისტური ზრახვები და მის მიერ რუსეთის ღირსების

---

[1] „Вы должны были спасать царей; теперь спасите Российских воинов и честь вашего Государя",—წერდა ამ რესკრიპტში პავლე I, მოითხოვდა რა სუვოროვისაგან რუსეთში დაბრუნებისათვის მომზადებას. იხ. Д. Милютин. დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 346.

[2] რუსეთის იმპერატორი რიმსკი-კორსაკოვსა და კონდეს ავალებდა გამოეყვანათ თავიანთი ჯარები უშიშარ რაიონში და მომზადებულიყვნენ რუსეთში დაბრუნებისათვის. იხ. Архив ВПР, ф. „Сношения России с Францией", д. 1380, лл. 69—70.

რუსეთ-ავსტრიის ურთიერთობის მკვეთრ გაუარესებას ამასთან დაკავშირებით ემსხვერპლა ა. რაზუმოვსკი, რომელიც, როგორც აშკარა ავსტროფილი და თუგუტის მეგობარი, განთავისუფლებულ იქნა ელჩის მოვალეობისაგან და მის ადგილზე კოლიჩევი დაინიშნა.

უგულებელყოფა, როგორც ცნობილ ანკონის კონფლიქტში. ეს კონფლიქტი, ამასთან ერთად, ერთ-ერთი ყველაზე უფრო მწვავე კონფლიქტი იყო იმ კონფლიქტთა შორის, რომლებიც კი რუსეთსა და ავსტრიას შორის წარმოიშვა საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში 1799 წელს. 1801 წლის დასაწყისში ამ კონფლიქტმა, რომელიც ქრონოლოგიურადაც ყველაზე უფრო გვიანდელი იყო, ზენიტში აიყვანა რუსეთ-ავსტრიის წინააღმდეგობა, საბოლოოდ აამხედრა პაველ I-ის მთავრობა ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ და დააჩქარა იმ სუსტი საკავშირო ძაფის გაწყვეტა, რომელიც ჯერ კიდევ აკავშირებდა მათ.

ანკონა იტალიის ერთ-ერთი ნავსადგურია ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე. თავისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობით, გამაგრებული ფორტებით და დიდი ფლოტის ტევადობის მქონე რეიდით მას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა იტალიის მაშინდელ ნავსადგურთა შორის[1]. ამიტომ იყო, რომ ფრანგმა დამპყრობლებმა, რომელთაც 1797 წლიდან ფეხი მოიკიდეს იტალიაში, სერიოზული ყურადღება მიაქციეს ამ ნავსადგურს, კიდევ უფრო გაამაგრეს იგი, ძლიერი გარნიზონი ჩააყენეს შიგ და გამოიყენეს იგი პლაცდარმად იონიის კუნძულებთან და ბალკანეთის სანაპიროსთან ურთიერთობისათვის.

1799 წლის ივნისიდან, როდესაც მეორე ანტიფრანგულმა კოალიციამ იტალია საფრანგეთის წინააღმდეგ ომის ერთ-ერთ ძირითად ბაზად აქცია, დაიწყო ანკონის გარემოცვა მოკავშირეთა მიერ[2]. ავსტრიელთა თხოვნით ადმირალმა უშაკოვმა ივნისის თვეში თავისი ესკადრიდან გამოჰყო რამოდენიმე გემი მეორე რანგის კაპიტან გრაფ ვოინოვიჩის სარდლობით და გააგზავნა ისინი ანკონის წყლებში ამ ნავსადგურის ბლოკადაში მონაწილეობის მისაღებად[3]. ამ ესკადრამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ანკონის

---

[1] ა. ვისკოვატოვს თავის სამხედრო-პოლიტიკურ მიმოხილვაში „Военные действия соединенных Российско-Турецких войск под Анконою. в 1799 г.", რომელიც მან მოათავსა ჟურნალში „Отечественные записки", 1827 г., ч. 30, გვ. 96—98, საფუძვლიანად აქვს აღწერილი ანკონა როგორც ნავსადგური და გამაგრებული ბაზა.

[2] თუმცა საზღვაო ოპერაციები ანკონის წყლებში დაიწყო უფრო ადრე, მაისის თვიდან. მასში მონაწილეობაა იღებდა რუსეთის ოამოდენიმე გემი კონტრ-ადმირალ (შემდეგში ვიცე-ადმირალი—ვ. დ.) პუსტოშკინის მეთაურობით. რომელიც უშაკოვის მიერ მალე იქნა უკან გაწვეული გარკვეულ გარემოებათა გამო. იხ. Е. Тарле, Адмирал Ушаков..., გვ. 177—178.

[3] იქვე, გვ. 195.

ბლოკადაში, როგორც ზღვაზე მოქმედებით, ისე სადესანტო ნაწილებით. რუსეთ-თურქეთის გემებმა, ამ გემებით გადასხმულმა სადესანტო რაზმებმა და იტალიელმა კარაბინერებმა ანკონის რამოდენიმე თვის ბლოკადის შედეგად დიდი ზიანი მიაყენეს მტერს. მაგრამ ანკონის გარნიზონი, მიუხედავად ამისა, მამაც გენერალ მონიეს სარდლობით ჯერ კიდევ განაგრძობდა წინააღმდეგობის გაწევას და კაპიტულაციაზე არ ფიქრობდა[1].

ასეთი იყო მდგომარეობა ანკონასთან 1799 წლის ოქტომბრამდე, როდესაც ამ ქალაქის გარემომცველ მოკავშირეთა ძალებს შეემატა ავსტრიელთა ძლიერი რაზმი (8000 მებრძ.) გენერალ-ლეიტენანტ ფროელიხის (Fröhlich) სარდლობით.

ავსტრიელთა რაზმის მეთაურმა გენერალმა ფროელიხმა ანკონაში მასვლისთანავე რუსების საწინააღმდეგო კურსი აიღო. მან ზედმეტად მიიჩნია რუსების და თურქების რაზმის შემდგომი ყოფნა ანკონასთან. მისთვის ცხადი იყო, რომ ანკონის ბლოკადა დიდხანს აღარ გაგრძელდებოდა, ფრანგების წინააღმდეგობა მალე შეწყდებოდა. ამიტომ მან განიზრახა საკუთარი ჩამოეშორებინა რუსები ქალაქის შემდგომი ბლოკადისაგან და ეს საქმე მარტო ავსტრიელთა ძალებით მიეყვანა ბოლომდე. ამით მას სურდა ფრანგებზე გამარჯვების სახელი და პატივი ავსტრიელებისათვის მიეწერა, ხოლო რუსები, თურქები და იტალიელი ინსურგენტები არაფრად არ ჩაეგდო. ავსტრიელი გენერალი ასეთ თავხედობას ვერ გაბედავდა, რომ მას წელი არ ჰქონოდა გამაგრებული ზემოდან. სავარაუდოა, რომ გენერალი ფროელიხი წინასწარ სათანადოდ იყო ინსტრუქტირებული ვენიდან. ჰოფკრიგსრატმა მას, ალბათ, მითითება მისცა ისე მოეწყო საქმე ანკონასთან, რომ რუსები და თურქები უკან წასულიყვნენ, როგორც „ზედმეტნი“

მაგრამ რუსებმა კარგად აუღეს ალღო ავსტრიელი გენერლის ვერაგულ განზრახვას[2]. ვოინოვიჩმა კატეგორიული უარი განუცხადა ავსტრიელ გენერალს შეესრულებინა მისი დაუსაბუთებელი მოთხოვნა და თავისი სადესანტო ნაწილები ხმელეთიდან ისევ უკან გემებზე გადაეყვანა. ვინაიდან რუსებმა მნიშვნელოვანი

---

[1] А. Висковатов, დასახ. ნარკვ., „Отечественные записки“ 1827, ч. 31, გვ. 439—446. 1828, ч. 34, გვ. 432—464 აქ დეტალურად არის აღწერილი ანკონასთან წარმოებული ომის აღნიშნული ბრძოლები

[2] „Австрийцы, сожалея, что не могли иметь чести в Риме, всеми мерами и происками стараются получить верх при взятии Анконы“,— წერდა ვოინოვიჩი უშაკოვს 1799 წლის 17 ოქტომბრის მოხსენებით ბარათში. Е. Тарле, დასახ. ნაშრ., გვ. 196.

მსხვერპლი გაიღეს ანკონისათვის ბრძოლაში და არსებითად კაპიტულაციის პირამდე მიიყვანეს. საფრანგეთის გარნიზონი, ამიტომ რუს ოფიცერს სავსებით სამართლიანად სურდა ბოლომდე მიეყვანა დაწყებული საქმე და განზრახვა არ ჰქონდა გამარჯვების დაფნის გვირგვინი იმათთვის დაეთმო, რომლებიც ამის ღირსნიც არ იყვნენ.

ავსტრიელმა გენერალმა ხელი მიჰყო თვითნებურ აქტებს. იგი ოდნავადაც ანგარიშს არ უწევდა მოკავშირეებს — რუსებს, თურქებს, იტალიელ ინსურგენტებს და აწარმოებდა გარემოცვის რაიონში იტალიელ სამოქალაქო ხელისუფალთა დანიშვნა-მოხსნას, ეწეოდა მართლმსაჯულებას, აუქმებდა რუსების მიერ გატარებულ ღონისძიებებს რუსების მიერვე განთავისუფლებულ აღლო-მახლო დაბა-სოფლებში [1].

ფროელიხის ეს მოქმედება ძალიან წააგავდა ავსტრიელ საშხედრო ხელისუფალთა მოქმედებას იტალიაში. იტალიელებს ავსტრიელები თვლიდნენ არა თავიანთ მოკავშირეებად, არამედ მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნის დამონებულ ქვეშევრდომებად.

თვითნება და დიდი პრეტენზიების მქონე ავსტრიელმა გენერალმა, მის განკარგულებაში არსებული ძლიერი ჯარის მიუხედავად, ოდნავადაც ვერ წასწია წინ ანკონის ბლოკადის საქმე. მის მიერ უსისტემოდ, სათანადო მომზადების გარეშე, მოკავშირეებთან კონსულტაციის გარეშე მოწყობილი იერიში ანკონის სიმაგრეებზე უშედეგოდ დამთავრდა [2].

გენერალმა ფროელიხმა, დაკარგა რა მარტო ავსტრიელთა ძალებით ფრანგების წინააღმდეგობის დაძლევის იმედი, თანაც არ სურდა რა ესარგებლა რუს მოკავშირეთა დახმარებით, მორიგ მუხანათურ ღონისძიებას მიმართა. მან მოკავშირეების, კერძოდ რუსების, ზურგს უკან ფარული მოლაპარაკება გამართა ანკონის გარნიზონის სარდლობასთან კაპიტულაციის შესახებ [3].

რუსების ზურგს უკან წარმოებული მოლაპარაკება მხედველობიდან არ გამოჰპარვია ვორონოვიჩს. მან ამის შესახებ მაშინვე აცნობა უშაკოვს. უშაკოვმა სცადა თავისი გავლენა გამოეყენებინა

---

[1] Д. Милютин, დასახ., ნაშრ., ტ. 2, გვ. 456. გენერალმა ფროელიხმა ესეც არ იკმარა, მისი თავხედობა უფრო შორს წავიდა. მან სცადა მკვიდრი მოსახლეობა აემხედრებინა რუსების წინააღმდეგ. მან ანკონის ახლო-მახლო დაბა-სოფლების მცხოვრებნი გააფრთხილა არ დამორჩილებოდნენ რუსებისა უფროსებს და არ მიეწოდებინათ სურსათ-სანოვაგე მათი გეჰებისათვის. იქვე.

[2] იქვე, ტ. 2, გვ. 454—456.

[3] Е. Тарле, დასახ. ნაშრ., გვ. 196.

და ზემოქმედება მოეხდინა თვითნება გენერალზე, რისთვისაც მასთან ორი რუსი ოფიცერი გაგზავნა მოსალაპარაკებლად. მაგრამ ამ ნაბიჯიდან არაფერი გამოვიდა[1]. რუსი ოფიცრები ფროელიხმა არ მიიღო. ადმირალი უშაკოვი ამასაც არ დაჯერდა. მან რამდენიმე წერილი გაუგზავნა გენერალ ფროელიხს, რომლებშიც ხაზგასმით აღნიშნავდა რუსეთის დამსახურებას იტალიის ფრანგთაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, აღნიშნავდა რუსეთ-თურქეთის რაზმის მიერ გაწეულ დიდ წვლილს ანკონის ბლოკადის საქმეში და თვით ფროელიხს და ავსტრიელებს ბრალს სდებდა მოკავშირის უგულებელყოფაში, მისდამი მუხანათობაში, მტერთან სეპარატულ მოლაპარაკებაში. ექომაგებოდა რა ვოინოვიჩს, როგორც კარგ ოფიცერს, უშაკოვი აფრთხილებდა ავსტრიელ გენერალს არ ჩაედინა სეპარატული აქტი, თუ არ სურდა რუსეთ-ავსტრიის ურთიერთობის შემდგომი გამწვავება და საკითხის რუსეთის იმპერატორის წინაშე დასმა[2]. დასასრულ, 7/18 ნოემბრის თარიღით ვოინოვიჩისადმი გაგზავნილ წერილში ადმირალი უშაკოვი სავსებით იწონებდა მის ტაქტიკას და ავალებდა ენერგიულად და ტაქტით განეგრძო ფროელიხის თვითნებობისათვის წინააღმდეგობის გაწევა[3].

მაგრამ ვერც ვოინოვიჩის ენერგიულმა წინააღმდეგობამ და ვერც უშაკოვის ჩარევამ ვერ შეცვალა მდგომარეობა ანკონასთან. ავსტრიელმა გენერალმა ბოლომდე მიიყვანა თავისი სეპარატიული მოქმედება და 2/13 ნოემბერს ანკონის გარნიზონის სარდალთან, გენერალ მონიესთან, გააფორმა აქტი ამ ქალაქის კაპიტულაციის პირობების შესახებ, რომლებიც უაღრესად შეღავათიანი იყო ანკონის გარნიზონისათვის.

კაპიტულაციის აქტის მიხედვით ანკონის გარნიზონი აქტზე ხელმოწერის მეორე დღეს გამოდიოდა ანკონიდან და მისი ფორტებიდან სამხედრო პატივის დაცვით (დაფდაფების დაკვრით, დაშვებული დროშებით, ანთებული ჩირაღდნებით და ა. შ.) ჯარისკაცები და უნტერ-ოფიცრები ინარჩუნებდნენ თავიანთ ჩანთებს და „პირად" ნივთებს. იგივე უნტერ-ოფიცრები, გენერლები, სამოქალაქო და სამხედრო მოხელეები ინარჩუნებდნენ თავიანთ იარაღს, „პირად" ქონებას და ცხენებს. ქალაქიდან გამოსულ ფრანგთა გარნიზონს, რომელსაც უმოკლესი გზით საფრანგეთში

---

[1] Е. Тарле, დასახ. ნაშრ., გვ. 196.
[2] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 607—610.
[3] იქვე, გვ. 610—611.

დაბრუნების უფლება ეძლეოდა, საფრანგეთის საზღვრამდე თან უნდა გაჰყოლოდა ავსტრიის დამცველი ესკორტი, ამასთან ერთად, საფრანგეთის გარნიზონის და მისი მეთაურისადმი განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად („მამაცური თავდაცვის გამო") გენ. ფროელიხი უნიშნავდა მას საპატიო ყარაულს 15 ცხენოსნის და 30 კარაბინერის შემადგენლობით. გზაში მყოფ გარნიზონის ნაწილების კმაყოფის ვალდებულებას ავსტრიის მთავრობა იღებდა თავის თავზე. ანკონის რეიდზე მყოფი საფრანგეთის გემები, მთელი არტილერია, სხვა იარაღი და საომარი მასალა ავსტრიელების ხელში გადადიოდა და სხვ[1].

კაპიტულაციის აქტზე ხელმოწერის მეორე დღეს (3 ნოემბერს) საფრანგეთის გარნიზონი გამოვიდა ანკონიდან და აქტით გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვით გაემართა საფრანგეთისაკენ. იმავე ღამეს გენერალმა ფროელიხმა, ისევე სეპარატულად, რუსების ზურგს უკან, ევაკუირებულ ქალაქში ავსტრიის ჯარები შეიყვანა. მან ამავე დროს, ბრძანება გასცა რუსები და თურქები ქალაქში არ შეეშვათ[2].

რუსეთ-თურქეთის ესკადრის და სადესანტო ნაწილების უფროსმა კაპიტანმა ვოინოვიჩმა მკაცრი პროტესტი განუცხადა ავსტრიელ გენერალს თვითნებური მოქმედებისათვის, რუსებისათვის ანგარიშის გაუწევლად მტრისათვის შეღავათიან საკაპიტულაციო აქტზე ხელმოწერისათვის. რაკი ფაქტი უკვე მომხდარი იყო, მან მოითხოვა ფროელიხისაგან გაუქმებულიყო მისი განკარგულება რუსებისა და თურქების ანკონაში არ დაშვების შესახებ. მაგრამ ფროელიხმა ვოინოვიჩის ეს სამართლიანი მოთხოვნა უხეში ფორმით უარყო.

რუსმა ოფიცერმა რუსეთის არმიისა და ფლოტის ღირსების დიდ შელახვად მიიჩნია ავსტრიელი გენერლის განკარგულება. იგი ხომ რუსი მოკავშირის აშკარა დისკრიმინაციას წარმოადგენდა. ამიტომ მან გადაწყვიტა წინააღმდეგობა გაეწია მისთვის. ავსტრიელთა რაზმის ანკონაში შესვლის ღამესვე ვოინოვიჩის განკარგულებით რუსეთ-თურქეთის 5 გემი ანკონის ნავსადგურში ჩავიდა და ხმელეთზე გადასხა რუსეთ-თურქეთის დესანტი. ამ დესანტს

---

[1] ამ აქტის სრული ტექსტის რუსული თარგმანი იხ. დ. მილიუტინის ნაშრომში, Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 612—617.

[2] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 459; Е. Тарле, დასახ. ნაშრ., გვ. 191.

ვოინოვიჩმა უბრძანა ქალაქში და მის სიმაგრეზე რუსეთის და თურქეთის ალამი აღემართათ ავსტრიის ალამთან ერთად [1].

რუსი ოფიცრის ამ განკარგულებამ ავსტრიელი გენერლის აღშფოთება გამოიწვია. მან უხეშობას მიმართა და ბრძანება გასცა რუსეთის და თურქეთის ალმები ძალით ჩამოეშვათ, განეიარაღებინათ ალმების მცველი გუშაგები და, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, დაეტუსაღებინათ ისინი. ფროელიხის ეს ბრძანება მოკლე დროში სისრულეში იქნა მოყვანილი ავსტრიელთა რაზმის მიერ, ავსტრიელი ოფიცრის თანხლებით. ავსტრიელები ამასაც არ დასჯერდნენ და ძალით გარეკეს რუსი გუშაგები, რომლებიც საფრანგეთის დატყვევებულ გემებზე იყვნენ დაყენებული [2].

ავსტრიელი გენერლის ამ თავხედურმა მოქმედებამ, რომელიც რუსეთის არმიისა და ფლოტის ღირსების უხეშ შებღალვას წარმოადგენდა, უდიდესი აღშფოთება გამოიწვია პეტერბურგის სამეფო კარზე [3]. პეტერბურგში ისედაც აღშფოთებულნი იყვნენ ავსტრიის მთავრობის გამომწვევი პოლიტიკით და ათეული ანტირუსული აქტით, ანკონის კონფლიქტმა კი ცეცხლზე ნავთის დასხმის როლი შეასრულა. რუსეთის იმპერატორმა თავისი აღშფოთება, პირველ ყოვლისა, იმით გამოხატა, რომ ავსტრიის ელჩს გრაფ კობენცლს კატეგორიულად აუკრძალა სასაელში გამოჩენა და ყოველგვარი აუდიენცია მანამდე, სანამ ავსტრიის მთავრობა ბოდიშს არ მოიხდიდა და არ დააკმაყოფილებდა რუსეთის მთავრობის „სასატისფაქციო“ მოთხოვნებს აღნიშნულ კონფლიქტთან დაკავშირებით [4]. ამასთან ერთად, რუსეთის მთავრობამ სასწრაფო მითითება მისცა თავის ვენელ ელჩს კოლიჩევს უმოკლეს დროში

---

[1] ამ ამბების შესახებ დეტალურად მოთხრობილია უშაკოვის 1799 წლის 8/19 ნოემბრით დათარიღებულ რელაციაში პავლე I-სადმი. იხ. Е. Тарле, დასახ. ნაშრ., გვ. 202—204.

[2] Д. Милютин. დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 618.

[3] ვრცელი ინფორმაცია ანკონის ინცინდენტის შესახებ ყველაზე ადრე პავლემ მიიღო ადმირალ უშაკოვის მეშვეობით (1799 წლის 8/19 ნოემბრის დასახელებულ რელაციით).

[4] გრაფი როსტოპჩინი სუვოროვისადმი 1800 წლის იანვარში გაგზავნილ წერილში წერდა: თუგუტი კობენცლის მეშვეობით იმპერატორ პავლეს სახელზე გაგზავნილი წერილით შეეცადა გაგებათილებინა ადმირალ უშაკოვის დასმენის სისწორე და დაეცვა გენერალი ფროელიხი წაყენებული ბრალდებისაგან „Но Государь приказал отвечать, что доколе не будет дана совершенная сатисфакция, от двора Венского, дотоле посол его ко Двору Его Императорского величества присзда иметь не будет“. იხ. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 633.

მოეთხოვა ავსტრიის მთავრობისაგან ანკონის კონფლიქტის გამოძიება და დამნაშავეთა სასტიკად დასჯა[1].

ანკონის კონფლიქტის თაობაზე რამოდენიმე კვირის განმავლობაში გრძელდებოდა მიწერ-მოწერა ვენასა და პეტერბურგს შორის. რუსეთის მთავრობა ახალ-ახალ ულტიმატურ მოთხოვნებს უგზავნიდა ავსტრიის მთავრობას: იგი დაჟინებით მოითხოვდა გენერალ ფროელიხისა და ანკონის სხვა დამნაშავეთა სასტიკად დასჯას და ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას უკავშირებდა ავსტრიასთან საკავშირო ურთიერთობის შემდგომი შენარჩუნების საკითხს. ავსტრიაში თავდაპირველად ფიქრობდნენ ჯეროვანი ანგარიში არ გაეწიათ რუსეთის კატეგორიული მოთხოვნისათვის და თავი შეეკავებინათ რუსეთის არმიისა და ფლოტის ღირსების შემლაფველთა დასჯისაგან. მაგრამ ვინაიდან რუსეთთან შემდგომი ურთიერთობის გამწვავებასაც გაურბოდნენ, ვენის სამეფო კარის მესვეურებმა გადაწყვიტეს ისევ ჩვეული თვალთმაქცობისათვის მიემართათ. მათ სიტყვიერი დაპირება მისცეს კოლიჩევს, რომ მისი მთავრობის მოთხოვნები დაკმაყოფილებული იქნებოდა[2].

ავსტრიის იმპერატორის, თუგუტის და ვენის სამეფო კარის სხვა მესვეურთა თვალთმაქცობა ცნობილი გახდა რუსეთის მთავრობისათვის, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა პეტერბურგში გაბატონებული ანტიავსტრიული განწყობილება. რუსეთის მთავრობა კობენცლის პეტერბურგიდან გაძევებით და დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტით დაემუქრა ავსტრიის მთავრობას იმ შემთხვევაში, თუ იგი ხელს არ აიღებდა თავის ვერაგობაზე და არ შეცვლიდა მკვეთრად დამოკიდებულებას მოკავშირის მიმართ[3].

ავსტრიის მთავრობამ, როდესაც დაინახა, რომ პეტერბურგში არ ხუმრობდნენ და სერიოზული სანქციისათვის ემზადებოდნენ,

---

[1] კოლიჩევის რელაცია პავლე I-სადმი 1800 წლის 4/15 იანვრის თარიღით. Архив ВПР, ф. „Сношения России с Австрией", д. 218, лл. 10—11.

[2] ამის შესახებ იხ. კოლიჩევის 1800 წლის 4/15, 12/23 და 17/28 იანვრის რელაციები პავლე I-სადმი, იგივე. საარქივო ფონდი, საქმე 918, ფურც. 2, 3, 7, 10—11.

[3] доколе дело о Фрелихе сатисфакциею не будет кончено, до тех пор в случае отзыва посла Кобенцеля, преемник его не будет ко Двору... допущен",—აცნობებდა კოლიჩევი ავსტრიის იმპერატორს 1800 წლის 6/18 მარტის რელაციაში. იხ. Архив ВПР, ф. „Сношения России с Австрией. д. 918, лл. 104—105.

დაშინებულმა უკან დაიხია. ვენაში შეიქმნა სპეციალური სამხედრო სასამართლო კომისია ვიურტემბერგის ჰერცოგ ფერდინანდის თავმჯდომარეობით და 6 სამხედრო პირის შემადგენლობით, რომელშიც რუსეთის წარმომადგენელსაც უნდა მიეღო მონაწილეობა [1].

აღნიშნულმა სამხედრო სასამართლო კომისიამ თებერვლის ბოლოს დაასრულა პროცესი და გამოიტანა შემდეგი დადგენილება: გენერალ-ლეიტენანტი ფროელიხი ცნობილ იქნა დამნაშავედ რუსეთის არმიისა და ფლოტის (და ალამის) შეურაცყოფაში და მოიხსნა სამხედრო სამსახურიდან. დამნაშავე გენერალი რამოდენიმე თანამონაწილესთან ერთად მორიგ სამხედრო სასამართლოს უნდა გაესამართლებინა და მსჯავრი დაედო მისთვის დანაშაულის კვალობაზე [2].

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნაბიჯით ავსტრიის საიმპერატორო კარი ფორმალურ დათმობაზე წავიდა და რუსეთის მოთხოვნა დააკმაყოფილა, მის შედეგად ურთიერთობა ამ ორ სახელმწიფოს შორის ოდნავადაც არ გაუმჯობესებულა. ავსტრიის მესვეურებზე გაბოროტებულმა პეტერბურგის სამეფო კარმა ამის შემდეგაც შეინარჩუნა თავისი მტრული განწყობილება ვენის მიმართ. იმდენი ფიცხი მასალა დაგროვდა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში, რომ ავსტრიელთა მირივ უმნიშვნელო დათმობას არ შეეძლო გავლენა მოეხდინა მასზე და საფუძველი ჩაეყარა ჯანსაღი ვითარებისათვის მათ შორის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის არმიისა და ფლოტის ღირსების აბუჩად აგდების აღმაშფოთებელ აქტს ავსტრიელთა მხრივ ანკონასთან დაემატა მათი ასეთივე მოქმედება გენუასთან. ავსტრიის იმ არმიის სარდალმა, რომელიც გენუის ბლოკადას ეწეოდა ხმელეთიდან, გენერალმა კლენაუმ ვიცე-ადმირალ პუსტოშკინს, რომელიც რამოდენიმე გემით 1799 წლის გაზაფხულიდან გენუის ყურეში იმყოფებოდა, სთხოვა დახმარება აღმოეჩინა მისთვის გენუაზე განზრახულ იერიშში. პუსტოშკინმა დააკმაყოფილა ეს თხოვნა და 1799 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში 200 კაცისაგან შემდგარი ბატა-

---

[1] „ვენის სამეფო კარის სურვილით, — წერდა გრაფი თ. ვ. როსტოპჩინი გრაფ ს. რ. ვორონცოვს 1800 წლის 29 იანვრის წერილში, — მეფემ უბრძანა გენერალ-მაიორ მილორადოვიჩს გაემგზავროს ვენაში და დაესწროს სამხედრო საბჭოს, რომელიც შეიკრიბება ანკონის საქმის გამოსარკვევად". Архив князя Воронцова, ტ. 8, გვ. 271.

[2] კოლიჩევის ოლეაცია პავლე I-სადმი 1800 წლის 13 მარტის თარიღით. Архив ВПР, ф. „Сношения России с Австрией", д. 18, лл. 88—91.

ლიონი გადასხა გენუის ყურის ნაპირზე ავსტრიელების დასახმარებლად. მართალია, გათვალისწინებული ერთობლივი იერიში ფრანგთა პოზიციებზე გენუაში მოეწყო, მაგრამ იგი უშედეგოდ დამთავრდა. ფრანგების გარნიზონმა მოიგერია ეს იერიში და დიდი ზიანი მიაყენა თავდამსხმელ მხარეს. ავსტრიელებმა, რომელთაც რუსების ცნობით სამი ათას კაცამდე დაჰკარგეს ტყვეთა და მოკლულთა სახით, უწესრიგოდ დაიხიეს უკან და ღვთის ანაბარად მიატოვეს რუსთა მცირე რაზმი, რომელმაც თავის მხრივ 75 კაცამდე დაკარგა მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვეთა სახით. მოკავშირეთა ლაჩრობა-მუხანათობის მიუხედავად ამ რაზმმა მაინც მოახერხა თავის გადარჩენა და ისევ უკან დაბრუნება გენუებზე [1]

ანკონის ინციდენტმა, განხილული შედეგების მიუხედავად, თავისი საქმე გააკეთა. მან ბიძგი მისცა იმ სუსტი კავშირის საესებით გაწყვეტას, რომელიც ჯერ კიდევ არსებობდა რუსეთსა და ავსტრიას შორის. რუსეთის მთავრობამ აიძულა ავსტრიის მთავრობა უკან გაეწვია თავისი ელჩი კობენცლი, თანაც უარი განაცხადა მიეღო მისი შემცველი. ამ ნაბიჯს მალე მოჰყვა რუსეთის მთავრობის ახალი ნაბიჯი: რუსეთის ელჩს ვენაში კოლიჩევს წინადადება მიეცა გამოეთხოვა პასპორტი, დაეტოვებინა ეს ქალაქი და კარლსბადში გამგზავრებულიყო საკურნალოდ [2].

კოლიჩევმა პეტერბურგიდან რესკრიპტის მიღებისთანავე ჩაატარა ვენიდან გამგზავრების წინასწარი მზადება და მაისის ბოლოსათვის გაემგზავრა დანიშნულ ადგილას. მისი უკანასკნელი რელაციები პეტერბურგში გაგზავნილია უკვე გზიდან და კარლსბადიდან და არა ვენიდან.

იმ უკიდურესმა ზომამ, რომელიც პეტერბურგის მთავრობამ მიიღო, მეტად ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ავსტრიის იმპერატორზე და სასახლის არისტოკრატიაზე, რომლებიც არ მოელოდნენ, რომ საქმე აქამდე მივიდოდა. რუსეთ-ავსტრიის ურთიერთობის სრული გაწყვეტა და რუსეთის კოალიციიდან გამოსვლა ძეტად არასასიამოვნო პერსპექტივა იყო ავსტრიისათვის. საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომადარი ცვლილება თერმიდორი ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალების სახით და პირველ კონსულ ნაპო-

---

[1] იხ. Е. Тарле, დასახ. ნაშრ., გვ. 205—206; Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 428—431.

[2] იხ. კოლიჩევის 1801 წლის 5/17 მაისის რელაციაპავლე I-სადმი. Архив ВПР, ф. „Сношения России с Австрией", д. 919, лл. 81—83.

ლეონ ბონაპარტის მზადება რევანშისტული ომისათვის (1799 წლის დამარცხების გამო) სრულიად ახალ ვითარებას ქმნიდა ჰაბსბურგთა მონარქიისათვის. ავსტრიის სამეფო კარმა რეალურად შეაფასა მოსალოდნელი საფრთხე; მან განიზრახა შეენარჩუნებინა კავშირი მეფის რუსეთთან, შეენარჩუნებინა რუსეთი კოალიციის რიგებში და მით საფრანგეთთან მომავალ შეჯახებაში ისევ გამოეყენებინა რუსეთის დიდი სამხედრო ძალა.

აღნიშნულის გამო ვენაში უკვე დაგვიანებით, საჭიროდ მიიჩნიეს ანკონის კონფლიქტის საკითხში მაქსიმალურ დათმობაზე წასვლა და ამ კონფლიქტის მთავარი დამნაშავის გენერალ ფროელიხის მთელი სიმკაცრით დასჯა თანამზრახველებთან ერთად. ავსტრიის იმპერატორმა, ამასთან ერთად, ზვარაკად შესწირა რუსეთის საწინააღმდეგო აქტების ორგანიზატორი ბარონი თუგუტი, რომელიც გადააყენა თავისი თანამდებობიდან. მანვე პეტერბურგში პავლე I-თან ბოდიშის მოსახდელად გაგზავნა ავტორიტეტული მისია; პეტერბურგიდან უკან გამოწვეულ კობენცლს კი მითითება მისცა სასწრაფოდ გამგზავრებულიყო კარლსბადს და იქ მყოფი კოლიჩევი დაერწმუნებინა ავსტრიის სამეფო კარის გულწრფელობაში და შეეგულიანებინა იგი აეღო თავის თავზე საშუამავლო მისია პეტერბურგის მთავრობასთან [1].

მაგრამ ამაო იყო ყოველივე ეს. ძველი ურთიერთობის აღდგენა რუსეთსა და ავსტრიას შორის შეუძლებელი გახდა. ამ ურთიერთობის აღდგენა ვერ მოახერხა ინგლისმაც, რომელსაც, სურდა რა ევროპის კონტინენტის მოკავშირეები შეენარჩუნებინა კოალიციის რიგებში, არ დაიშურა ენერგია და რუსეთ-ავსტრიის კვლავ დასაახლოებლად მომრიგებელ-შუამავლის „კეთილი სამსახურის“ მისია გასწია.

რევოლუციამდელ რუს ისტორიკოსთა უმრავლესობა სუბიექტური მოტივებით ხსნის განხილულ მობრუნებას რუსეთ-ავსტრიის ურთიერთობაში. ამ მხრივ ტიპიურია კ. ვალიშევსკის აზრი. თავის ნაშრომში ვალიშევსკი, ეხება რა რუსეთ-ავსტრიის ურთიერთობის უკიდურესად გამწვავების ფაქტს 1799—1800 წლების მიჯნაზე, მის მიზეზებად ასახელებს არა იმდენად ჭეშმარიტად ანგარიშგასაწევ ფაქტორებს, რამდენადაც პირადულ მოტივებს, რუსეთის იმპერატორ პავლე I-ის პირად განწყობილებას, ავსტრიის

---

[1] იხ. კოლიჩევის 1800 წლის 26 ივნისის (8 ივლისის), 6/18 აგვისტოს და 7/19 სექტემბრის რელაციები პავლე I-სადმი, გაგზავნილი კარლსბადიდან. Архив ВПР. ф. „Сношения России с Австрией“, д. 920, лл. 8—11.

მოწინააღმდეგე დიდგვარიანთა უპირატეს გავლენას მასზე და ა. შ. მაგალითად, მას სჯერა, რომ ალექსანდრა პავლეს ასულის— უნგრეთის პალატინი იოსების მეუღლის — მოულოდნელმა სიკვდილმა (ზოგიერთთა ცნობით იგი მოწამლა ავსტრიის იმპერატორის ფრანც II-ის ცოლმა მარია-ტერეზიამ) და მის შედეგად პავლე I-ის გაბოროტებამ, აგრეთვე გრაფ თ. ვ. როსტოპჩინის საგარეო საქმეთა კოლეგიის ხელმძღვანელობაში ჩადგომამ (რომელიც რუსეთ-ავსტრიის კავშირის მოწინააღმდეგე იყო), განსაზღვრა ახალი ვითარება ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში და შეაპირობა მათ შორის კავშირის გაწყვეტა[1].

ჩვენ, რა თქმა უნდა, კატეგორიულად უარვყოფთ ვალიშევსკის და რუსეთის თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის სხვა წარმომადგენელთა ამ მოსაზრებას. რუსეთ-ავსტრიის ურთიერთობა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, 1799 წლის მეორე ნახევრის დასაწყისიდანვე უარესდებოდა მთელ რიგ ფაქტორთა შედეგად, რომელთა შორის პოლიტიკური და სამხედრო ხასიათის ფაქტორები წამყვან როლს ასრულებდნენ. ის ფსიქოლოგიური მობრუნება, რომელიც რუსეთის სამეფო კარის განწყობილებაში მოხდა ავსტრიის მიმართ, სწორედ ამ ფაქტორთა მოქმედების ანარეკლს და შედეგს წარმოადგენდა. დარწმუნდნენ რა ავსტრიასთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნების შეუძლებლობაში, რუსეთის მთავრობის მესვეურებმა მკვეთრად შეცვალეს თავიანთი პოზიცია და გეზი სწორედ ამ ურთიერთობის გაწყვეტაზე აიღეს.

2. რუსეთის მიერ საფრანგეთის წინააღმდეგ ომზე ხელის აღება. რუსეთ-ინგლისის ურთიერთობის დაჭიმვა და რუსეთის გამოსვლა მეორე ანტიფრანგული კოალიციიდან

რუსეთ-ავსტრიის ურთიერთობის მკვეთრი გაუარესება არსებითად მოასწავებდა მეორე ანტიფრანგული კოალიციის დაშლას. მაგრამ ფორმალურად ეს კოალიცია მაინც განაგრძობდა არსებობას. რუსეთის ჯარი და ფლოტი მთლიანად არ იყო სამშობლოში დაბრუნებული; რუსეთი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ურთიერთობას კოალიციის სხვა მონაწილეებთან, კერძოდ კი ინგლისთან. მართალია, ინგლისმაც ბევრი მუხანათობა ჩაიდინა მისი კონ-

---

[1] К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 432—433.

ტინენტელი მოკავშირის, რუსეთის მიმართ, მაგრამ ეს უკანასკნელი გარკვეულ დრომდე მაინც არ აპირებდა მასთან კავშირის გაწყვეტას. პეტერბურგის სამეფო კარს განზრახვაც კი ჰქონდა ინგლისთან ერთად განეგრძო ბრძოლა საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ზღვაზე და ხმელეთზე მანამდე, სანამ კოალიციის წინაშე დასმული ამოცანები არ იქნებოდა გადაწყვეტილი.

ინგლისთან კავშირის შენარჩუნების საჭიროებას რუსეთის ცარიზმის მესვეურებს უკარნახებდა არა მარტო ის გარემოება, რომ მეორე ანტიფრანგული კოალიციის წინაშე დასმული ამოცანები განუხორციელებელი რჩებოდა, არამედ მალტის საკითხიც. მალტის გარემოცვა ისევ გრძელდებოდა და ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი მისი საბოლოო ბედი. მეფის რუსეთის მესვეურები ხელს არ იღებდნენ თავიანთ პრეტენზიებზე ამ კუნძულის მიმართ. მაგრამ თუ ინგლის რუსეთის კავშირი გაწყდებოდა და რუსეთი კოალიციიდან გამოვიდოდა, მაშინ ამ უკანასკნელს ხელი უნდა აეღო ყოველგვარ იმედებზე მალტის მიმართ. დასასრულ, 1799 წლის მიწურულისათვის ფრონტებზე მომხდარი ცვლილებები ერთგვარ ბიძგს აძლევდა რუსეთის მთავრობას ინგლისთან ერთად ერთხელ კიდევ მოესინჯა ოპერაციების განახლების შესაძლებლობა. ამიტომ იყო, რომ პეტერბურგში, ავსტრიასთან ურთიერთობის ფაქტიური გაწყვეტის მიუხედავად, ჯერ კიდევ ელოლიავებოდნენ ძველ გეგმას და ფიქრობდნენ განეახლებინათ ოპერაციები საფრანგეთის წინააღმდეგ მხოლოდ ინგლისთან და სხვა მოკავშირეებთან ერთად (გარდა ავსტრიისა).

1799 წლის სექტემბერში, როცა რუსეთ-ავსტრიის დაქიმული ურთიერთობა ჯერ კიდევ არ იყო მისული ფინალურ აქტამდე, რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა 1799 წლის 7 სექტემბრის რესკრიპტით ა. ვ. სუვოროვს აცნობა, რომ განზრახვა აქვს განაგრძოს ბრძოლა საფრანგეთის წინააღმდეგ ინგლისთან ერთად, ავსტრიის მუხანათობის მიუხედავად. პირადად სუვოროვს წინადადება ეძლეოდა საფრანგეთში შეჭრის ახალი გეგმის სისრულეში მოყვანისათვის საჭირო წინასწარ თადარიგს შესდგომოდა[1]. რუსეთის მთავრობა, ამასთან ერთად, თანახმა იყო დამატებითი ღონისძიებებიც კი განეხორციელებინა ხმელეთზე და ზღვაზე და დახმარება აღმოეჩინა ინგლისისა და თურქეთისათვის, თუ ამას

Архив ВПР, ф. „Сношения России с Австрией", д. 883, лл. 59 — 60.

საჭიროება მოითხოვდა[1]. ჩვენს ხელთ არსებული მასალები ნათელ-ჰყოფს, რომ ამ ეტაპზე პეტერბურგის სამეფო კარს შესაძლებლად მიაჩნდა მეგობრული ურთიერთობის აღდგენა თვით ავსტრიასთა-ნაც, მაგრამ ავსტრიის მიერ გარკვეული წინასწარი პირობის შე-სრულების შემდეგ: მას უნდა მოენანიებინა მის მიერ „ჩადენილი ძველი ცოდვები", გამოესწორებინა თავისი დანაშაული და უფრო ენერგიულად მოეკიდა ხელი საერთო საქმისათვის, საკავშირო ვალდებულებათა შესრულებისათვის[2].

რუსეთის მთავრობის ეს ორჭოფული პოზიცია რელიეფურად არის გამოვლენილი პავლე I-ის მორიგ, 1799 წლის 20 ნოემბრის რესკრიპტში ა. ვ. სუვოროვისადმი.

ამ თავის რესკრიპტში რუსეთის იმპერატორი ერთგვარ სი-ნანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ რუსეთის მთავრობა იძუ-ლებული იყო უკან გაეწვია თავისი ჯარები და ბედის ანაბარად მიეტოვებინა ავსტრიის სამეფო კარი. აღნიშნავდა რა იმ შიშსა და შეშფოთებას, რომელმაც ფეხი მოიკიდა ვენაში რუსეთის ჯარისა და ფლოტის სამშობლოში დაბრუნების ცნობის გამო, პავლე I ვენიდან მოელოდა თხოვნას პატიებისა და ძველი კავშირის აღდ-გენის შესახებ. აღნიშნულის გამო, იგი რუსეთის სახელმოხვეჭილ სარდალს აცნობდა რუსეთის მთავრობის განზრახვას მომავლისათვის:

1) ა. ვ. სუვოროვს ნება ეძლეოდა შედგომოდა არმიის რუ-სეთში დაბრუნებისათვის საჭირო წინასწარ სამზადისს. მაგრამ თვით უკან დაბრუნება უნდა მომხდარიყო მომავალი, ე. ი. 1800 წლის გაზაფხულისათვის (მარტში);

2) დროის ამ მონაკვეთში სუვოროვს ეკრძალებოდა ყოველ-გვარი ურთიერთობის დამყარება ავსტრიის ჯარების სარდლო-ბასთან და მასთან ერთად ან სეპარატულად რაიმე ღონისძიების ჩატარება;

3) თუ საფრანგეთის არმია ოპერაციებს განაახლებდა და გერმანიასა და იტალიაში შეიჭრებოდა, სუვოროვს, ისე როგორც მის უკან საზღვრის გასწვრივ განლაგებული რუსეთის სხვა არმიებს ევალებოდათ ხელი შეეშალათ საფრანგეთის არმიი-სათვის გერმანია-იტალიის დაპყრობაში, ხელი შეეშალათ ავს-ტრიელებისათვის ნახევარი იტალიის დაპყრობის განზრახვაში,

---

[1] როსტოპჩინის 1799 წლის 26 ოქტომბრის წერილი ს. რ. ვორონცოვი-სადმი. Архив князя Воронцова, ტ. 8. გვ. 259.

[2] როსტოპჩინის 1799 წლის 22 ნოემბრის წერილი ს. რ. ვორონცოვი-სადმი, Архив князя Воронцова, ტ. 8, გვ. 269.

დაბოლოს, სუვოროვს დახმარება უნდა აღმოეჩინა ავსტრიისათვის, თუ ფრანგები მის ჯარებს დაამარცხებდნენ და ვენაზე გალაშქრებას განიზრახავდნენ;

4) ვენის სამეფო კარის დათმობაზე წასვლისა და მის მიერ რუსეთის ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში პავლე I მზად იყო აეალი ზომები მიეღო ფრანგების წინააღმდეგ, მაგრამ მას საჭიროდ მიაჩნდა ემოქმედა დამოუკიდებლად; ლონდონისა და ვენის მთავრობებისაგან კი, პირიქით, ნოითსოვდა თავისი გეგმების შესატყვისად მოქმედებას;

5) ჰოლანდიის ექსპედიციაში მონაწილე რუსეთის ჯარი, რომელიც ნორმანდიის (ჯერსის და გერნსის) კუნძულებზე იყო ევაკუირებული, სხვა ჯარებთან ერთად სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყო, თუ ვითარება არ შეიცვლებოდა. მაგრამ ვითარების შეცვლის შემთხვევაში ამ ჯარს (გენერალ გრაფ ვიომენილის სარდლობით) ვიცე ადმირალ მაკაროვის ესკადრასთან ერთად უნდა ემოქმედა და საფრანგეთის დასავლეთ სანაპიროზე უნდა გადამსხდარიყო [1];

ავსტრიის მთავრობის მუხანათურმა პოლიტიკამ რუსეთის მიმართ, ამის შედეგად ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის მკვეთრმა გაუარესებამ და მეორე ანტიფრანგული კოალიციის ფაქტიურმა დაშლამ 1799 წლის დასასრულისათვის, რუსეთის ცარიზმის მცსვეურები მიიყვანა სახელმწიფოთა ახალი კავშირ-დაჯგუფებების შექმნის იდეამდე. ახალ კავშირს უნდა შეეცვალა ბირგამოთხრილი კოალიცია და ბოლომდე მიეყვანა მისი ამოცანები. მას, ამასთან ერთად, ხელი უნდა შეეწყო რუსეთის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში მდგარი აქტუალური საკითხების გადაწყვეტისათვის. ეს ახალი კავშირი არაპირდაპირი გზით ავსტრიის წინააღმდეგაც უნდა ყოფილიყო მიმართული: მას უნდა აღეკვეთა ავსტრიის მომავალი ინტრიგები, აღეკვეთა საფრანგეთთან ერთად მისი, იტალიისა და გერმანიის წინააღმდეგ, გამოსვლის შესაძლებლობა.

ასეთი კავშირი უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთის კავშირი, რომელშიც, რუსეთის მთავრობის გეგმით, უნდა გაერთიანებული-

---

[1] Архив ВПР, ф. „Сношения России с Францией", д. 1880. лл. 59—60; Архив князя Воронцова, т. 8, гз. 285. Д. Милютин, დასახ., ნაშრ., ტ. 3. გვ. 622—623. ამასვე იმეორებდა პავლე I ს. ვორონცოვისადმი 1799 წლის 21 ნოემბერს გაგზავნილ წერილში. Архив ВПР, იგივე ფონდი და საქმე, ფურც. 62—63; Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ 623.

ყვნენ რუსეთი, ინგლისი, შვეცია, დანია და პრუსია (თუ ეს უკანასკნელი ხელს აიღებდა ნეიტრალიტეტის პოზიციაზე).

სახელმწიფოთა ჩრდილოეთის კავშირის იდეა და დანიშნულება პირველად მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული იმპერატორ პავლე I-ის პირად წერილში ინგლისის მეფე გეორგ III-სადმი (1799 წლის 15/26 ოქტ. თარიღით)[1].

რუსეთის იმპერატორი ამ წერილით მთელ პასუხისმგებლობას საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ჩაბლისათვის ერთსულ კიდევ ავსტრიის მთავრობას აკისრებდა. „ავსტრიის სამეფო კარი, — წერდა იგი, — ზოგავს საფრანგეთს და ატყუილებს თავის მოკავშირეებს იმ მონტენტამდე, სანამ საჭიროდ არ დაინახავს და შესაძლებლობა არ ექნება სეპარატული ზავი დადოს საფრანგეთის რესპუბლიკასთან“. „საფრანგეთის არსებული მთავრობის დამხობის დრო ჯერ კიდევ არ დადგარა, — წერს იგი ინგლისის მეფეს, — და ჩვენი რესურსების გამოფიტვით ჩვენ ნოლოდ ავსტრიის სამეფო კარის ზრახვების წარმატებას ვუწყობთ ხელს“. აღნიშნავდა რა იმ საფრთხეს, რომელსაც უფრო მეტად ავსტრია და საფრანგეთი უმზადებდნენ გერმანიას და იტალიას, პავლე I წინადადებას აძლევდა ინგლისის მეფეს მიღებული ყოფილიყო ერთობლივი ზომები მათ წინააღმდეგ და შექმნილიყო ახალი კავშირი რუსეთის, ინგლისის, შვეციის, დანიისა და პრუსიის მონაწილეობით[2].

ინგლისის მთავრობისაგან პასუხის მიღებამდე რუსეთის მთავრობამ უკვე გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები და ნოლაპარაკება გამართა სტოკჰოლმსა და კოპენჰაგენში განზრახული კავშირის შექმნის თაობაზე. შვეციის და დანიის მთავრობებმა შესაძლებლად სცნეს რუსეთის წინადადების მიღება და სახელმწიფოთა ჩრდილოეთის კავშირში გაერთიანება[3].

1799 წლის 29 ოქტომბერს გატჩინოში ხელნოწერილ იქნა რუსეთ-შვეციის საკავშირო ხელშეკრულება[4]. დანიამაც, რომლის ურთიერთობა რუსეთთან 1799 წლის დასასრულისათვის მკვეთრად გაუმჯობესდა, თავისი თანხმობა განაცხადა შეერთებოდა

---

[1] ვალიშევსკის აზრით ასეთი კავშირის შექმნის იდეა, რომელიც პავლეს უკარნახა ვიცე-კანცლერმა ნ. პ. პანინმა, რუსეთის საგარეო პოლიტიკური პრინციპებიდან მორიგ გადახვევას წარმოადგენდა. К. Валишевский, დასახ., ნაშრ., გვ. 420.

[2] Д. Мелютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 619—620, მე-2 შენიშვნა.

[3] Мелютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 464—465.

[4] Ф. Мартенс, დასახ. ნაშრ., ტ. 7, გვ. 365.

ამ კავშირს, თუ კავშირში გაერთიანებული სახელმწიფოები მისცემდნენ მას მისი ტერიტორიის ხელუხლებლობის გარანტიას[1].

ამის პარალელურად პეტერბურგში საჭიროდ ცნეს ერთხელ კიდევ მოესინჯათ ნიადაგი ბერლინში და მოემზადებინათ პირობები პრუსიის სამეფოს აღნიშნულ კავშირში ჩათრევისათვის[2]. რადგანაც პრუსიასთან ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა ფაქტიურად მაშინ ლიკვიდირებული იყო, პავლე I-მა საჭიროდ ჩათვალა პირადი წერილი გაეგზავნა პრუსიის მეფისათვის და წინადადება მიეცა მისთვის აღდგენილიყო მათ შორის Status quo ante[3]. ამავე წერილით პრუსიის მეფეს წინადადება ეძლეოდა შესულიყო განზრახულ ახალ კავშირში და მით დაეცვა გერმანია საფრანგეთის და ავსტრიის ხელყოფისაგან[4].

რუსეთის მთავრობა არ დაჯერდა პრუსიის მეფისათვის წერილის გაგზავნას. პეტერბურგიდან ბერლინს გაიგზავნა დიპლომატი ბარონი ა. კრიუდენერი, რომელიც მანამდე დანიაში იმყოფებოდა რუსეთის ელჩად. კრიუდენერი ბერლინს იგზავნებოდა არა ელჩის რანგით, არამედ „უბრალო მოგზაურის“ სახით. მას არაოფიციალურად უნდა განეხორციელებინა თავისი მისია და ამ სახით დაემყარებინა ურთიერთობა ბერლინის მთავრობასთან. ბერლინში გამგზავრებისას კრიუდენერი აღჭურვეს სათანადო ინსტრუქციით, რომელშიც ვრცლად იყო განმარტებული, თუ რა უნდა გაეკეთებინა ამ არაოფიციალურ ელჩს, რათა რუსეთ-პრუსიის ურთიერთობა მომავალში ჯანსაღ ნიადაგზე აგებულიყო[5].

---

[1] К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 420.

[2] Ф. Мартенс, დასახ. ნაშრ., ტ. 6, გვ. 263—264.

[3] Tatistcheff, Paul et Bonaparte, „Nouvelle Revue“, 1887, ტ. 49, გვ. 255.

[4] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 620—621.

[5] Ф. Мартенс, დასახ. კრებული, ტ. 6. გვ. 264. ოფიციალურ ინსტრუქციასთან ერთად ბარონი კრიუდენერი აღჭურვილი იყო არაოფიციალური ინსტრუქციითაც — დარიგებებით, სიმპათიკური მელნით ნაწერი წერილების სახით, რომელთა ავტორი იყო ვიცე-კანცლერი ნ. პ. პანინი. ეს უკანასკნელი, როგორც უკვე თავის ადგილას იყო აღნიშნული, თ. ვ. როსტოპჩინის საგარეო პოლიტიკური ხაზის დაუძინებელი მტერი იყო. როგორც შეურიგებელი ფრანგოფობი ნ. პ. პანინი მთელ თავის დიპლომატიურ საქმიანობას იჩქამად საფრანგეთის ოესპუბლიკის წინააღმდეგ მძლავრი კოალიციის ორგანიზაციას უკავშირებდა. რუსეთ-პრუსიის კავშირი მას ასეთი კოალიციის მთავარ საფუძვლად მიაჩნდა. თავის დროზე, როგორც ცნობილია, ასეთი კავშირის შექმნის ცდა მარცხით დამთავრდა. კრიუდენერის ბერლინში მივლინებამ ისევ გაუღვიძა მას

„უბრალო მოგზაურის“ სახით ბერლინში ჩასული ა. კრიუდენერი ჰაუგვიცთან და პრუსიის სხვა მინისტრებთან პირველი საუბრისთანავე დარწმუნდა იმაში, რომ. მართალია, მისი ჩასვლა ბერლინში გარეგნულად სასიამოვნოდ დარჩათ, მაგრამ ამავე დროს პრუსიის პოზიციაში არსებითი ცვლილება არ მომხდარა[1]. კრიუდენერი დარწმუნდა, რომ ასეთი ცვლილება არც იყო მოსალოდნელი, ვინაიდან პრუსიის მთავრობა ისევ ორ მოწინააღმდეგე ბანაკს შორის ლავირების პოლიტიკას განაგრძობდა და განზრახვა არ ჰქონდა საფრანგეთის წინააღმდეგ გათვალისწინებულ ახალ ღონისძიებებში მიეღო მონაწილეობა[2]. ნეიტრალიტეტის პოზიცია, რომელსაც ასე დაჟინებით იცავდა პრუსიის მეფე ამჟამადაც, ე. ი. 1800 წლის დასაწყისისათვისაც. პრუსიის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს წარმოადგენდა. ახალ ვითარებაში, როდესაც საფრანგეთში თვრამეტი ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, ბერლინში მით უფრო შეუძლებლად მიიჩნევდნენ საფრანგეთის საწინააღმდეგო კურსის აღებას. სწორედ ამიტომ იყო რომ ფრიდრიხ-ვილჰელმ III-მ 1799 წლის დასასრულს, კრიუდენერის მიღების მსგავსად, გარეგნული სიხარულით მიიღო ფრანგი დიპლომატები: გენ. დიუროკი, ხოლო 1800 წელს — გენ. ბერნონვილი[3].

მართალია, ა. კრიუდენერის მისია ერთგვარი წარმატებით დამთავრდა და რუსეთ-პრუსიას შორის 1800 წლის 16 ივლისს ალიანსი ხელშეკრულებაც კი დაიდო, მაგრამ ამ ხელშეკრულებას მნიშვნელოვანი კორექტივი არ შეუტანია ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობაში. პრუსიას არც ამ ხელშეკრულების შედეგად აუ-

---

ასეთი კავშირის შექმნის იმედები. კრიუდენერი ნ. პ. პანინის პოლიტიკის მომხრე და მისი პირადი მეგობარი იყო. ამით აიხსნება, რომ მათ შორის ხშირად ჰქონდა ადგილი კონფიდენციალურ მიწერ-მოწერას. თავის წერილებში, კერძოდ 1799 წლის 23 ოქტომბრის (3 ნოემბრის) წერილში ნ. პ. პანინი დეტალურად აცნობდა თავის მეგობარს ბერლინის ცხოვრებას, სამეფო კარს, მინისტრებს, მათ განწყობილებას და ა. შ. ასეთ წერილებში პავლეს პიროვნება და საგარეო პოლიტიკა, ისე როგორც თ. ვ. როსტოპჩინის დიპლომატიური საქმიანობა მუქი საღებავებით არის გადმოცემული. იხ. ნ. პ. პანინის 1799 წლის 23 ოქტომბრით (3 ნოემბრით) დათარიღებული წერილი ა. კრიუდენერისადმი. ЦГАДА. ф. Панины, д. 367, лл. 1—6; „Материалы“, ტ. 5, გვ. 189—195; ф. Мартенс, დასახ. კრებ., გვ. 265—266.

[1] Ф. Мартенс, დასახ. კრებ., ტ. 6, გვ. 267.

[2] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 467.

[3] Bailleu, Preussen und Frankreich, ტ. I, გვ. LV, 358, 378.

ღია ხელი ნეიტრალიტეტის პოლიტიკაზე და არ გადაუდგამს მტრული ნაბიჯი საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ[1].

რუსეთის სამეფო კარის ახალი დიპლომატიური წამოწყება— ხუთი სახელმწიფოს ჩრდილოეთი კავშირის შექმნა—წარმატებით არ დაგვირგვინებულა. რუსეთის დიპლომატიის ახალი ნაბიჯის წარუმატებლობაში მთავარი როლი შეასრულა არა პრუსიის მთავრობის აღნიშნულმა პოზიციამ, არამედ დიდი ბრიტანეთის დიპლომატიამ.

დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს ევროპის კონტინენტის მიმართ იმ დროს უკვე ცნობილი ძალთა წონასწორობის პრინციპი წარმოადგენდა.

აღნიშნული პოლიტიკის აზოცანა იყო ევროპის კონტინენტზე სახელმწიფოთა ისეთი ურთიერთდამოკიდებულების შექმნა, რომლის დროსაც ევროპის კონტინენტის დიდ სახელმწიფოებს თავიანთი ძალებით უნდა გაეწონასწორებინათ ერთმანეთი. ეს საშუალებას მისცემდა ინგლისს ჩარეულიყო მათ შინაგან საქმეებში და არბიტრის როლი შეესრულებინა მათ ურთიერთობაში. სახელმწიფოთა ჩრდილოეთის კავშირი, რომლის შექმნასაც რუსეთის სამეფო კარი ცდილობდა, სახელმწიფოთა ისეთი კომბინაცია იქნებოდა, რომელსაც ინგლისის ხსენებული საგარეო პოლიტიკური პრინციპის საწინააღმდეგო ხასიათი ექნებოდა. ინგლისის მთავრობას არ სურდა ისეთ კავშირში შესულიყო, რომელშიც ავსტრია არ მიიღებდა მონაწილეობას, რადგანაც იგი მოასწავებდა სახელმწიფოთა ახალი დაჯგუფების აღმოცენებას და, მაშასადამე, ძალთა ძველი წონასწორობის დარღვევას. ინგლისის მთავრობა, ამასთან ერთად, ფიქრობდა, რომ ახალი კავშირი, რომლის შექმნის ინიციატივა, რუსეთის დიპლომატიას ეკუთვნოდა, გააძლიერებდა რუსეთის გავლენას ევროპაში, რაც ზიანს მიაყენებდა ინგლისის ინტერესებს. დიდი ბრიტანეთის მთავრობას არ სურდა კავშირი გაეწყვიტა ავსტრიასთან, რასაც მოასწავებდა მისი შესვლა ახალ კავშირში. ინგლისის დიპლომატიას მომავალშიც საჭიროდ მიაჩნდა ავსტრიასთან კავშირის შენარჩუნება, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამით სურდა რუსეთის ნეიტრალიზაცია, ცენტრალურ ევროპაში მისი გავლენის შესუსტება, მეორეც იმიტომ, რომ დარწმუნებული იყო — კავშირგარეშე დარჩენილი ავსტრია საფრანგეთის ბუნებრივი მოკავშირე გახდებოდა და საფრანგეთთან ერთად ძველი მოკავშირეების წინააღმდეგ აღმართავდა იარაღს.

---

[1] ф. Мартенс, დასახ. კრებ., ტ. 6, გვ. 269.

ინგლისის დიპლომატიის თვალსაზრისი რუსეთის ელჩისადმი მეფეთა ახალი დიპლომატიური ინიციატივისადმი შენიშვნებულად მოცემულია ინგლისის მეფის გეორგ III-ის საპასუხო წერილში პავლე I-სადმი (1799 წლის 27 ნოემბრის თარიღით). ამ წერილით ინგლისის მეფე გარეგნულად თითქოს იწონებდა რუსეთის დიპლომატიის ახალ ინიციატივას, მაგრამ, ამავე დროს „ნელ-ბრალად" ურჩევდა რუსეთის იმპერატორს შეენელებინა თავისი ელჩისწყრომა ავსტრიის სამეფო კარის მიმართ და აღადგინა საათან ძველი მეგობრული კავშირი. თავის მხრივ, ინგლისია ხელს არ შეუშლიდა პაველს, რომ იგი ხელს შეუწყობდა მათ ამ საქმეში. თანაც ენერგიას არ დაიშურებდა ახალი ანტიფრანგული კოალიციის გეგმის ხელახლა შემუშავებლად [1].

ინგლისის და პრუსიის პოზიციამ აიძულა რუსეთის მთავრობა ხელი აეღო სახელმწიფოთა ჩრდილოეთის კავშირის შექმნის განარისგან. რუსეთის დიპლომატიის ერთ-ერთი დამოუკიდებელი ინიციატივა—ცდა, სახელმწიფოთა ახალი კოალიციის მეშვეობით განეგრძო ბრძოლა საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, და ეს ამავე დროს ავსტრიისათვის ანგარიშის გასასწორებლად გამოეყენებინა — უშედეგოდ დამთავრდა. ჩვენი აზრით, პეტერბურგის მთავრობის ეს ინიციატივა არ იყო საფუძვლიანად მოფიქრებული, ამის ავტორებს წინასწარ ყოველმხრივ რომ გაეთვალისწინებინათ ყველა გარემოება, მაშინ ეს ინიციატივა ჰაერში ჩამოკიდებული არ დარჩებოდა: მათ კარგად უნდა სცოდნოდათ, რომ ინგლისის დიპლომატია არ მოიწონებდა ევროპის სახელმწიფოთა ისეთი კავშირის იდეას, რომელიც იმ ეტაპზე ავსტრიის წინააღმდეგაც იქნებოდა მიმართული და ხელს შეუწყობდა რუსეთის გავლენის ზემდგომ გაძლიერებას.

რუსეთ-ავსტრიის ძველი მეგობრული კავშირის აღდგენა, რომლისთვისაც, საკუთარი ეგოისტური მოსაზრებების გამო, ამ ენერგიულად იბრძოდნენ ინგლისის მესვეურები, ახალი სიტუაციის დამდეგს პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. ინგლისის „ალიანსთან მაკლერობას" არ შეეძლო დაეძლია რუსეთ-ავსტრიის ღრმა წინააღმდეგობა, აღმოეფხვრა რუსეთის უნდობლობა ავსტრიისადმი და აღედგინა მათ შორის ჩატეხილი ხიდი. ამავე დროს ხელოვნურობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ინგლისის დიპლომატია ფარულად აქეზებდა ავსტრიას მეა დაპყრობით ზრახვებში იტალიის მიმართ. ინგლისია ფარული ფაქტი-

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ 621—622.

რებით დაიმედებულმა ავსტრიის მთავრობამ საჭიროდ არ მიიჩნია უკან დაეხია რუსეთის წინაშე სწორედ ამ მთავარ საკითხში, იტალიის ტერიტორიებისადმი პრეტენზიების საკითხში.

ამ გარემოებამ, ანკონის განხილულ კონფლიქტთან ერთად, საბოლოოდ განსაზღვრა კოალიციის ბედი და საფრანგეთის წინააღმდეგ ომის განახლების პერსპექტივები. მან ცხადჰყო რუსეთ-ავსტრიის ერთ კავშირში მოქმედების შეუძლებლობა და პეტერბურგის სამეფო კარი მიიყვანა ჯარისა და ფლოტის უკან დაბრუნების საბოლოო გადაწყვეტილებამდე[1]. 1800 წლის 8 იანვარს პავლემ საბოლოო ბრძანება გაუგზავნა ა. ვ. სუვოროვს, რომლის არმია უკვე მიემართებოდა საშობლოსაკენ, თავისი ჯარი საბოლოოდ რუსეთში დაებრუნებინა.

განსვენებული აკადემიკოსი ე. ვ. ტარლე ჩვენს მიერ დასახელებულ შრომაში, ეხება რა ავსტრიის პოზიციის ცვლილებას რუსეთის მიმართ, ფიქრობს, რომ აშკარა სახით ასეთი მობრუნება მოხდა მხოლოდ 1799 წლის შემოდგომიდან, როდესაც სუვოროვის არმიამ ბრწყინვალე ოპერაციები განახორციელა იტალიაში და შემდეგ შვეიცარიისაკენ გაემართა საბრძოლველად. იგი, ამასთან ერთად დასძენს, რომ ავსტრიის მესვეურები რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტის რისკზე იმიტომ წავიდნენ, რომ დარწმუნებულნი იყვნენ რუსეთი ომიდან მაინც არ გამოვიდოდა, კოალიციასთან კავშირს არ გაწყვეტდა, თანაც საფრანგეთი, რომლის განთქმული სარდალი ბონაპარტი სადღაც შორს იბრძოდა, ფეხზე ვერ წამოდგებოდა; მათ ვერ წარმოუდგენიათ პავლესა და ნაპოლეონ ბონაპარტის დაახლოვება[2]. მოტანილი მოსაზრებების პირველი ნაწილი, ჩვენი აზრით, სწორია, მეორე—არა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ნიანგის ცრემლების“ ღვრას, რითაც გარეგნულად ავსტრიაში შეეგებნენ რუსეთთან კავშირის გაწყვეტას, ვენის სამეფო კარი შეგნებულად მიდიოდა რუსეთთან ურთიერთობის გათიშვის რისკზე და კიდევაც ნოელოდა ასეთ შედეგს. კითხვა ისმება, რატომ მოქმედებდნენ ვენაში ასე? იმიტომ: 1) რომ „მავრმა შეასრულა თავისი საქმე, მავრს შეეძლო წასულიყო“. ავსტრიის სამეფო კარმა საფრანგეთის რესპუბლიკასთან ბრძოლაში რუსეთის არმიის მეშვეობით განახორციელა თავისი მთავარი მტაცებლური ზრახვა ჩრდილო იტალიის მიმართ, განდევნა ფრანგები ადრიატიკის აუზიდან და ა. შ. 2) მას ფარულად გარანტირებული ჰქონდა ინგლისის დახმარება რუსეთ-

[1] К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 429.

[2] Е. Тарле, დასახ. ნაშრ., გვ. 194.

თან კონფლიქტის შემთხვევაში, თანაც დარწმუნებული იყო, რომ ინგლისის დახმარებით ბოლომდე მიიყვანდა საფრანგეთის დამარცხების საქმეს.

თავის მხრივ, კოალიციის სრული დაშლა და საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ახალი ერთობლივი სამომარი ოპერაციების განახლების შეუძლებლობა განაპირობა თვით ინგლის-რუსეთის ურთიერთობის თანდათანობითმა გაუარესებამ, რის ლოგიკურ შედეგსაც ამ ურთიერთობის ლიკვიდაცია წარმოადგენდა.

რუსეთის სამეფო კარს გარკვეულ დრომდე კიდევ სჯეროდა, რომ ინგლისის მთავრობა სამოკავშირეო ვალდებულებების ერთგული იყო. ამიტომ რა გასაკვირია, თუ იგი მზად იყო მასთან ერთად საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ახალი სამომარი ოპერაციები გაეჩაღებინა. 1799 წლის 20, 21, 22 და 25 ნოემბრის რესკრიპტებით გენერალ ვიომენილისადმი რუსეთის იმპერატორი პავლე I წინადადებას აძლევდა მას გამგზავრებულიყო ლონდონს და მიეღო ნორმანდიის კუნძულებზე განლაგებული რუსეთის 14-ათასიანი კორპუსის სარდლობა. მასვე ეძლეოდა მითითება შეესწავლა საფრანგეთში არსებული მდგომარეობა, კერძოდ თვრამეტი ბრიუმერის გადატრიალების შედეგები. პავლე I-ნა აგრეთვე საჭიროდ ჩათვალა ამ გენერლისათვის ეცნობებინა საფრანგეთის წინააღმდეგ მოსალოდნელი ახალი კამპანიის კონტურები[1]. პარალელურად ამისა, რუსეთის სამეფო კარძა თავისი ინგლისელი ელჩის ს. რ. ვორონცოვის მეშვეობით ინგლისის მთავრობის წინაშე დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ გამოყენებული ყოფილიყო ნორმანდიის კუნძულებზე განლაგებული რუსეთის კორპუსი და ადმირალი მაკაროვის ფლოტი საფრანგეთში შეჭრისათვის. რუსეთის ჯარის ნაწილების გადასხმა ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთის ტერიტორიაზე უნდა მომხდარიყო ინგლისის სამხედრო შენაერთებთან ერთად, ინგლისის ფლოტისა და მაკაროვის ესკადრის მეშვეობით[2]. ამ ოპერაციის მიზანი უნდა ყოფილიყო

---

[1] Д. Милютин. დასახ. ნაშრ., ტ 3, გვ. 624. თავის მხრივ 1799 წლის 26 ნოემბრის საიდუმლო რესკრიპტით ს. რ. ვორონცოვისადმი პავლე I წინადადებას აძლევდა მას თვალყური ედევნებინა გენერალ ვიომენილის მოქმედებისათვის. იქვე.

[2] იხ. ს. რ. ვორონცოვის 1800 წლის 28 იანვრის (8 თებერვლის) რელაცია პავლე I-სადმი. Архив ВПР, ф. „Сношения России с Англией" д. 527, лл. 108—109.

ფრანგი როიალისტებისათვის მხარდაჭერა ბურბონთა სამეფო ტახტზე რესტავრაციის მიზნით.

რუსეთის სამეფო კარის აღნიშნული წინადადება ფორმალურად ინგლისის მთავრობის სერიოზული განხილვის საგანი გახდა. ინგლისის მთავრობა პირფერული სიხარულით შეხვდა რუსეთის იმპერატორის „ახალ რაინდულ" ინიციატივას და გარეგნულად თანხმობა განაცხადა მონაწილეობა მიეღო მის რეალიზაციაში. მოლაპარაკების პროცესში განხილულ იქნა ერთობლივი ოპერაციის დეტალები, კერძოდ, ინგლისის ფლოტისა და სადესანტო ნაწილების მონაწილეობის საკითხები[1]. მაგრამ რუსეთის სამეფო კარის ეს ნაბიჯი ისეთივე წარუმატებელი და უშედეგო აღმოჩნდა, როგორც სახელმწიფოთა ჩრდილოეთის კავშირის შექმნის ინიციატივა. საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე ერთობლივი სადესანტო ოპერაციის ორგანიზაციის თაობაზე ლონდონსა და პეტერბურგში დაწყებული მოლაპარაკება ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი[2].

საფრანგეთის ტერიტორიაზე რუსეთ-ინგლისის გაერთიანებული დესანტის გადასხმის თაობაზე ამ ორ სახელმწიფოს შორის წარმოებული მოლაპარაკების ჩაშლა იმ ღრმა წინააღმდეგობის გამოხატულებას წარმოადგენდა, რომელიც მომწიფდა მათ ურთიერთობაში 1799—1800 წლების მიჯნაზე. წინააღმდეგობა რუსეთსა და ინგლისს შორის დაფარული სახით მანამდეც არსებობდა, ინგლისის მხრივ ვერაგულ აქტებს რუსეთის მიმართ შენიღბულად მანამდეც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამ დროისათვის ყოველივეს ნიღაბი ჩამოეხსნა და აშკარად გამოვლინდა.

ინგლის-რუსეთის გაერთიანებულმა ექსპედიციამ ჰოლანდიაში 1799 წლის შემოდგომაზე და მისმა კრახმა პირველი აშკარა ბზარი შექმნა ამ ქვეყნების ურთიერთობაში.

ჰოლანდიის, ანუ ე. წ. „ბატავიის რესპუბლიკის" ტერიტორიაზე შეჭრის გეგმა ინგლისის მთავრობას ეკუთვნოდა. მისი შემუშავების დროს ინგლისის მთავრობა ხელმძღვანელობდა არა

---

[1] ს. რ. ვორონცოვის 1799 წლის 28 იანვრის (8 თებერვლის) და 25 თებერვლის (8 მარტის) რელაციები პავლე I-სადმი. Архив ВПР, ф. „Сношения России с Англией" д. 527, лл. 117—118; Архив князя Воронцова, т. 16, гз. 325—348.

[2] პავლე I-ის 1800 წლის 11/22 და 14/25 მარტის რესკრიპტები ს. რ. ვორონცოვისადმი. Архив ВПР. ф. „Сношения России с Англией", д. 528, лл. 25—26, 30.

სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებებით, არამედ ინგლისის გაბატონებული კლასების სავაჭრო, საზღვაო და კოლონიური ინტერესებით (რასაც ოსტატურად ნიღბავდნენ). ამ ექსპედიციის მოწყობით ინგლისის გაბატონებული კლასები მიზნად ისახავდნენ: 1) საბოლოოდ გაენადგურებინათ ჰოლანდია—ინგლისის ყოფილი ძლიერი მეტოქე სავაჭრო-საზღვაო და კოლონიურ ასპარეზზე; 2) ხელთ ეგდოთ ჰოლანდიის ვრცელი და მეტად მნიშვნელოვანი კოლონიური სამფლობელოები სამხრეთ აფრიკის სანაპიროზე, ესტ-ინდოეთის აუზსა და ვესტ-ინდოეთში; 3) დაუფლებოდნენ მის ძლიერ სავაჭრო და სამხედრო-საზღვაო ფლოტს, რაც ძლიერი დარტყმა იქნებოდა თვით დირექტორიის მთავრობისათვისაც, რომლის გაკარგულებაშიც მაინც იყოფებოდა როგორც თვით ჰოლანდია, ისე მისი ფლოტი; 4) ხელთ ეგდოთ ჰოლანდიის მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პლაცდარმი. მისი ნავსადგურები, არეები, მდინარეთა შესართავები და ყოველივე ეს თავიანთი მიზნებისათვის გამოეყენებინათ.

ინგლის-რუსეთის საექსპედიციო ძალები[1] 1799 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში (15—16 სექტ.) გადასხდნენ ჩრდილო ჰოლანდიის სანაპიროზე და არც თუ ისე დიდი ენერგიით შეუდგნენ ზერელედ შედგენილი სამხედრო-სტრატეგიული გეგმის რეალიზაციას[2].

ოპერაციის არასათანადო მოწყობამ და ამ ოპერაციის გეგმაში დაშვებულმა შეცდომებმა, სარდლობის მოუქნელობამ და ინგლისისა და რუსეთის ჯარების სუსტმა კოორდინაციამ, საომარი მოქმედების ასპარეზის ზერელე ცოდნამ, სამხედრო ფლოტის მიერ ხმელეთზე მომქმედი ძალებისათვის არასათანადო დახმარების აღმოჩენამ და რიგმა სხვა წვრილმანმა დეფექტებმა განაპირობა მოკავშირეთა დამარცხება და ექსპედიციის ჩაშლა[3]. რამოდენიმე დამარცხების შემდეგ, რაც მოკავშირეებმა ფრანგებისა და ჰოლანდიელებისაგან იწვნიეს, მოკავშირეთა მთავარსარდალი იორკის ჰერცოგი იძულებული გახდა მოლაპარაკება გაემართა საფრანგეთის ჯარების სარდალ ბრიუნთან ჰოლანდიიდან ევაკუაციის შესა-

---

[1] რუსეთის საექსპედიციო კორპუსს სარდლობდა გენერალ-ლეიტენანტი გერმანი, მოკავშირეთა მთელი ძალების სარდალი კი იყო იორკის ჰერცოგი (ინგლისის მეფე გეორგ III-ის შვილი).

[2] К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 413; Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 365—370.

[3] იხ. Архив князя Воронцова, ტ. 8, გვ. 245.

ხებ. 1799 წლის 7/18 ოქტომბერს ხელმოწერილი შეთანხმებით ინგლის-რუსეთის ჯარს მოკლე დროში უნდა დაეცალა მთელი დაკავებული ტერიტორია და ისევ გემებზე დაბრუნებულიყო [1]. აღნიშნული შეთანხმება მოასწავებდა ჰოლანდიის ექსპედიციის სრულ კრახს, იმ ექსპედიციისას, რომელიც ძალიან ძვირად დაჯდა და დიდი მსხვერპლი მოითხოვა [2].

1799 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში ინგლისის და რუსეთის ჯარები ევაკუირებული იქნენ ჰოლანდიის ტერიტორიიდან. ინგლისის ფლოტმა და ვიცე-ადმირალ ჩიჩაგოვის ესკადრამ ევაკუირებული ნაწილები ინგლისის ნავსადგურებისაკენ წაიყვანეს [3].

ექსპედიციის მარცხმა და იმ დიდმა ზარალმა, რომელიც რუსეთის კორპუსმა ჰოლანდიაში განიცადა, მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთში. მან შეარყია რუსეთ-ინგლისის კავშირი და ხელი შეუწყო პეტერბურგის სამეფო კარზე ინგლისის საწინააღმდეგო განწყობილების გაძლიერებას. ამას ზედ დაერთო ის სერიოზული უკმაყოფილება, რომელიც რუსეთში გამოიწვია ინგლისში ევაკუირებული რუსული კორპუსის ნაშთისადმი უსულგულო დამოკიდებულებამ ინგლისის მთავრობისა და სარდლობის მხრივ.

ჰოლანდიიდან ევაკუირებული რუსეთის კორპუსის ნაშთი რამოდენიმე დღის განმავლობაში გემებზე და ინგლისის სხვადასხვა ნავსადგურებში იმყოფებოდა და მოკლებული იყო ჯეროვან კვებას, საექიმო მომსახურეობას და საკმაო სასმელ წყალს. რამდენიმე ხნის შემდეგ რუსეთის ნაწილები ნორმანდიის კუნძულებზე (ჯერსის და გერნსის) იქნენ გადაყვანილნი, სადაც მათ, სამშობლოში დაბრუნებამდე ზამთარი უნდა გაეტარებინათ. აქ, ამ კუნძულებზე დაბანაკებული რუსეთის კორპუსის ნაშთი, რამოდენიმე თვის მანძილზე თითქმის საესებით ბედის ანაბრად იყო მიტოვებული. მას აკლდა კეთილმოწყობილი საზამთრო ბინები, წესიერი თბილი ტანსაცმელი, საჭმელ-სასმელი და საე-

---

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 411—412; К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 414; ნაპოლეონს თავის მემუარებში მოცემული აქვს ჰოლანდიის კამპანიის, კერძოდ ინგლის-რუსეთის სარდლობის მიერ დაშვებული შეცდომების გონებამახვილური შეფასება. Наполеон, Избранные произвед., ტ. I, გვ. 329—334 და 343—346.

[2] ს. რ. ვორონცოვი ძმისადმი—ა. რ. ვორონცოვისადმი—1799 წლის 18 ოქტომბერს გაკზავნილ წერილში თანამემამულეებს ამ დამარცხებისათვის „ყაჩაღებს და გარეწრებს" უწოდებდა. Архив князя Воронцова, ტ. 10, გვ. 60.

[3] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 412—413.

ქიმო მომსახურება. ინგლისის მთავრობას და სარდლობას არავითარი ზომები არ მიუღია აღნიშნულ ნაკლოვანებათა დასაძლევად[1].

მოკავშირის შეიარაღებული ძალების მიმართ გამოჩენილმა უსულგულო დამოკიდებულებამ პავლე I მიიყვანა აღნიშნული კორპუსის რუსეთში დაბრუნების გადაწყვეტილებამდე. იმ პოზიციამ, რომელიც ინგლისმა ავსტრია-რუსეთის კონფლიქტში დაიკავა, თავის მხრივ ხელი შეუწყო ინგლის-რუსეთის ანტაგონიზმის გაღრმავებას; იგი მათი მეგობრული კავშირ-ურთიერთობის დარღვევის ერთ-ერთი პირობა გახდა.

რუსეთ-ავსტრიის კონფლიქტში ინგლისი, როგორც უკვე აღვნიშნავდით, გარეგნულად „პატიოსანი მაკლერის" როლში გამოდიოდა. იგი ცდილობდა მათ მორიგებას, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა მათთან კავშირში სრულ გამარჯვებამდე განეგრძო ბრძოლა საფრანგეთის წინააღმდეგ. სინამდვილეში, ინგლისის დიპლომატია ავსტრიას უჭერდა მხარს, მის თვალსაზრისს იზიარებდა ევროპის დამშვიდების საკითხში და აქეზებდა მას რუსეთის წინააღმდეგ. თავის აგრესიულ ზრახვებში იტალიის მიმართ, კერძოდ სარდინიისა და პაპის საშფლობელოების მიმართ, ავსტრიის მთავრობა ინგლისის მთავრობის მხარდაჭერას ეღეარებოდა. ინგლისის მთავრობის ნამდვილი პოზიცია ავსტრიის პრეტენზიების საკითხში დიდი ხნის განმავლობაში უცნობი იყო რუსეთისათვის, რადგან ინგლის-ავსტრიის დიპლომატიური მოლაპარაკება აღნიშნული საკითხის ირგვლივ საიდუმლოდ მიმდინარეობდა. მაგრამ

---

[1] რუსეთის ჯარის ჰოლანდიიდან ევაკუაციის და მისი ნორმანდიის კუნძულებზე განლაგება-ყოფნის საკითხისადმი, ამ ჯარის ნაწილების მდგომარეობისადმია მიძღვნილი გენერალ დ. ხავალიშინის (Дм. Завалишин) პატარა წერილი, სახელწოდებით: „Пребывание русских войск на Нормандских островах в 1799—1800 годах", მოთავსებული კრებულში: „Древняя и новая Россия", 1876, год второй. № 12, ტ. 3, გვ. 409—411. ამ პატარა ისტორიული მოგონება-ნარკვევის ავტორია ერთ-ერთი გენერალი, რომელიც რუსეთის იმპერატორმა გააგზავნა ჰოლანდიაში ფრანგებთან ბრძოლაში განადგურებული თავრიდის გოენადერთა პოლკის აღსადგენად და საბრძოლო წესრიგში მოსაყვანად. თავისი მოვალეობის შესასრულებლად მას მოუხდა ნორმანდიის კუნძულებზე ჩასვლა, სადაც დაბანაკებული იყო ჰოლახდიიდან ევაკუირებული რუსეთის კორპუსი. თავის მოგონებაში ავტორი მუქი საღებავებით აღწერს ამ კორპუსის მდგომარეობას, რისთვისაც სამართლიანად ბრალს სდებს ინგლისის მთავრობას და სამხედრო სარდლობას.

1800 წლის დასაწყისისათვის პეტერბურგის სამეფო კარისთვის ბევრი რამ ცნობილი გახდა [1].

ბევრი ფიცხი მასალა რუსეთ-ინგლისის ურთიერთობაში დაგროვდა ხნელთაშუა ზღვის აუზში. ინგლისს, რომელიც ამ დროს რუსეთის მოკავშირეს წარმოადგენდა, მაინც არ სურდა დაეთმო რაიმე პლაცდარმი რუსეთის ფლოტისათვის ხნელთაშუა ზღვის აუზში. ამაში ინგლისის გაბატონებული კლასები ხედავდნენ საშიშროებას თავიანთი მონოპოლიური მდგომარეობისათვის მათთვის ამ მეტად მნიშვნელოვან რაიონში. ამიტომ იყო, რომ ინგლისის საბელმწიფო მოღვაწეები და საზღვაო სარდლობა მტრულად შეეგებნენ რუსეთ-თურქეთის კავშირის გაფორმებას, უშაკოვის ფლოტის წარმატებით ოპერაციებს იონიის და ადრიატიკის ზღვების აუზში, რუსების მიერ იონიის კუნძულებზე ფეხის მოკიდებას და მათ პრეტენზიებს კუნძულ მალტისადმი. მალტის საკითხმა მთავარი „წაბორძიკების ქვის“ როლი შეასრულა ინგლის-რუსეთის ურთიერთობაში. მან ლოგიკურ დასკვნამდე ხიიყვანა მათ შორის აღმოცენებული უნდობლობა და დაპირისპირება, შეულლი და კონფლიქტები. მის შედეგად ყოფილი მოკავშირეები იძდენად გაეთიშნენ და დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რომ მათ შორის ომის აშკარა შესაძლებლობა წარმოიშვა [2].

საბჭოთა ავტორები ბურჯალოვი, ნაროჩნიცკი და ოკუნი სავსებით სამართლიანად უკავშირებენ მალტის საკითხს ხმელთაშუა ზღვის აუზში ჰეგემონობისათვის ბრძოლის პრობლემას. ისინი კარგად ერკვევიან ამ საკითხის არსში და მართებულად ხაზს უსვამენ იმ ძოტივებს, რითაც განპირობებული იყო ცარიზმის მესვე-

---

[1] ავსტრია-ინგლისის დიპლომატიური მიწერ-მოწერის არსი იტალიის მომავალი ბედის შესახებ ცნობილი გახდა რუსეთის მთავრობისათვის ზოგიერთი საიდუმლო ბარათის პერლუსტრირების (გაშიფვრის) მეშვეობით, რაც სათანადო საელჩოების ხოგ თანამშრომელთა მოსყიდვის გზით ხორციელდებოდა. სწორედ „საიდუმლო არხებით“ მიღებული ცნობები აძლევდა შესაძლებლობას თ. ვ. როსტოპჩინს თავის 1800 წლის 26 მაისის წერილში ს. რ. ვორონცოვისადმი აღნიშნა, რომ აქ ინგლისის წინააღმდეგაც ძლიერ გაჯავრებულნი არიანო. იხ. Архив князя Воронцова, ტ. 8, გვ. 282.

რომ მალტის საკითხი მეტად თავსატეხი საკითხი იყო, რომ მან მთავარი როლი შეასრულა ინგლის-რუსეთის ურთიერთობის მკვეთრი გაუარესების საქმეში, ამას კარგად გრძნობდნენ ცარიზმის მესვეურები, თვით ინგლის-რუსეთის მეგობრული კავშირის შენარჩუნების თავგამოდებული მომხრეების დაჯგუფებიდან. ამაზე კარგად მეტყველებს ს. რ. ვორონცოვის 1800 წლის 6/18 მაისის წერილი ნ. პ. პანინისადმი. იხ. Архив князя Воронцова, ტ. 11, გვ. 183.

ურთა ასეთი ენერგიული სწრაფვა კუნძულ მალტისადმი [1], მაგრამ ისინი რატომღაც თავს იკავებდნენ და არაფერს ამბობდნენ იმის შესახებ, თუ რამდენად გონივრული და რეალური იყო რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკის ეს მიმართულება, შეეძლო თუ არა რუსეთს მისი სისრულეში მოყვანა და ხომ არ წარმოადგენდა იგი ავანტიურას?

მალტის საკითხი, ხმელთაშუა ზღვის აუზში უპირატესობისათვის ბრძოლა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ფოკუსში იყო მოთავსებული. იგი მეტიდროდ იყო დაკავშირებული ევროპული დიპლომატიის ერთ-ერთ მთავარ „თავსატეხ საკითხთან" — აღმოსავლეთის საკითხთან, რომლის ნაწილსაც იგი წარმოადგენდა. ინგლისის პოლიტიკა აღმოსავლეთის საკითხში — ტრადიციულად ზეურიგებელი და საწინააღმდეგო რუსეთის ცარიზმის ინტერესებისა და ნისწრაფებებისადმი — განაპირობებდა ინგლისის დიპლომატიის ზეურიგებლობას რუსეთის პრეტენზიებისადმი კუნძულ მალტის მიმართ. პეტერბურგის სამეფო კარის შეცდომა, ჩვენი აზრით, იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ეპოტინებოდა ისეთ საგანს, რომლის მოპოვება მას ინგლისთან ომის გარეშე არ შეეძლო. კარგად ჰქონდა რა ათვისებული ისტორიის გაკვეთილები, კარგად ესმოდა რა ინგლისის პოლიტიკის არსი აღმოსავლეთის საკითხში, მეფის რუსეთის დიპლომატია ამავე დროს, მოქცეული იყო ილუზიის ტყვეობაში. მას გარკვეულ დრომდე კიდევ სჯეროდა, რომ ინგლისის მთავრობა ჯეროვნად შეაფასებდა რუსეთის მრავალმხრივ ღონისძიებებს მეორე ანტიფრანგული კოალიციის რიგებში, გადასინჯავდა თავის ტრადიციულ პოლიტიკას და რუსეთთან საბოლოოდ შეურიგდებოდა. ეს ილუზია ეფუძნებოდა კუნძულ მალტისადმი მისი მისწრაფების სამართლიანობას. ბელს აიღებდა ამ მისწრაფებისადმი წინააღმდეგობის გაწევაზე. განა მისთვის ნათელი არ უნდა ყოფილიყო, რომ მას შემდეგ, რაც ბოლო მოეღო საფრანგეთის რესპუბლიკის ბაზებს ხმელთაშუა ზღვის აუზში, ინგლისი, არ დაუშვებდა, რომ ახალ მეტოქეს ფეხი მოედგა მალტაზე და იგი ინგლისის წინააღმდეგ გამოეყენებინა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თვით ინგლისის დიპლომატია ბელს უწყობდა ასეთი ილუზიის განმტკიცებას რუსეთის ცარიზმის მესვეურებს შორის. იგი დიდხანს მალავდა თავის ნამდვილ განზრახვას და იმისათვის რომ რუსეთი კოალიციის რიგებში შეენარჩუნებინა, გარეგნულად

---

[1] Э. Бурджалов, დასახ. ნაშრ., გვ. 42; А. Нарочницкий, დასახ. ნაშრ., გვ. 17; С. Окунь, დასახ. ნაშრ., გვ. 105.

კეთილსასურველად ეპყრობოდა მის სწრაფვას მალტისადმი. ეს იყო ერთ-ერთი კონკრეტული მაგალითი იმ ვერაგობისა, რომელსაც ასე ოსტატურად იყენებდა ინგლისი სხვა სახელმწიფოებთან დამოკიდებულებაში, თვით მოკავშირეების მიმართაც კი.

ინგლისის მთავრობის პოზიცია რუსეთის ცარიზმის მესვეურთა მისწრაფებისადმი მალტის მიმართ, საეს ებით გარკვეული იყო ჯერ კიდევ 1799 წლის გაზაფხულზე, როდესაც მეორე ანტიფრანგული კოალიცია ახალი შექმნილი იყო, ხოლო უშაკოვის ფლოტი ამთავრებდა ძლევამოსილ ოპერაციებს იონიის კუნძულებიდან ფრანგების გასაძევებლად. რუსების არ დაშვება მალტაზე და ამ კუნძულის ქცევა ინგლისის ხმელთაშუა ზღვის ფლოტის ერთ-ერთ ბაზად, აი რა იყო ამ პოზიციის არსი.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ინგლისელებმა არ დაუშვეს უშაკოვის ესკადრის მონაწილეობა ფრანგებისაგან მალტის განთავისუფლების ოპერაციებში და უარყოფითად შეხვდნენ რუსეთის სამეფო კარის განზრახვას: გაეგზავნა მალტაზე სამხედრო შენაერთი, რომელსაც შემდეგში, როცა იქ ფრანგთა ბატონობას ბოლო მოეღებოდა, საგარნიზონო სამსახური უნდა გაეწია.

იმის გამო, რომ ინგლისელებს არ სურდათ გამოეაშკარავებინათ თავიანთი ზრახვები მალტის მიმართ ვადამდე ადრე, ე. ი. ფრანგთა გარნიზონის კაპიტულაციამდე, თანაც სურდათ არაპირდაპირი გზით ხელი შეეშალათ რუსთა გეგმების განხორციელებისათვის, მათ შემდეგ ხერხებს მიმართეს: 1) სახელდახელოდ იქნა გამოქექილი რომელიღაც ძველი აქტი, რომელიც, თითქოს, იმპერატორ კარლოს V-ეს ეკუთვნოდა. ამ აქტით იმპერატორი კუნძულ მალტას იოანე იერუსალიმელის, სასულიერო რაინდულ ორდენს უბოძებდა იმ პირობით, რომ თუ ისინი ოდესმე დატოვებდნენ ამ კუნძულს, იგი მის „კანონიერ“ მფლობელს სიცილიის მეფეს უნდა დაბრუნებოდა[1]. 2) ინგლისელები განგებ აქიანურებდნენ მალტის გარემოცვის ოპერაციებს და არ ჩქარობდნენ კუნძულის აღებას, რადგან ასეთ შემთხვევაში რუსები, იმ მოტივით, რომ პავლე I მალტის ორდენის დიდი მაგისტრი იყო, მოითხოვ-

---

[1] ჯერ კიდევ 1798 წლის 28 მარტს ადმირალი ნელსონი წერდა ადმირალ უშაკოვს: ნეაპოლიტანიის მეფე კუნძულ მალტის კანონიერი მფლობელია და მე თანახმა ვარ, რომ მისი ალამი ამ კუნძულის ყველა პუნქტში ფრიალებდეს. მაგრამ ნეაპოლიტანელები კუნძულს ვერ შეინარჩუნებენ, რის გამოც კუნძული ინგლისელთა მფარველობაში უნდა გადავიდეს და იქ ნეაპოლიტანიის ალამთან ერთად ინგლისის ალამიც უნდა იქნეს აღმართული. იხ. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 487; ტ. 3, გვ. 637.

დნენ განთავისუფლებული კუნძულის მართვაში მონაწილეობის მიღებას, ეს კი ინგლისელებს არ სურდათ, თუმცა აშკარად უარის თქმასაც ერიდებოდნენ[1].

1800 წლის დასაწყისისათვის პეტერბურგში სხვადასხვა წყაროების მეშვეობით უკვე დაგროვდა საკმაო ცნობები ინგლისის ჰეშčარიტი პოლიტიკის შესახებ რუსეთის მიმართ. იქ ცნობილი გახდა ინგლისელთა ბევრი ვერაგული საქციელი საერთოდ და კერძოდ მალტის საკითხში. დიდი ხნით ადრე, სანამ ინგლისელები დაეუფლებოდნენ მალტას, პეტერბურგში ცნობილი გახდა ის ფაქტი, რომ ინგლისელები არ აპირებდნენ დაეშვათ რუსები მალტაზე და ხელი შეეწყოთ მათი გეგმების რეალიზაციისათვის ამ კუნძულის მიმართ. რუსეთის სამეფო კარმა კარგად დაინახა, რომ ინგლისის აღნიშნული პოლიტიკის გამო არავითარი აზრი აღარ ჰქონდა მასთან წარმოებულ მოლაპარაკებას ახალი ერთობლივი ოპერაციის მოწყობის შესახებ საფრანგეთის წინააღმდეგ, რომ საჭირო იყო რუსეთის არმიისა და ფლოტის სამშობლოში დაბრუნების გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა.

1799 წლის დეკემბერში პავლე I ზედიზედ უგზავნის ორ რესკრიპტს ს. რ. ვორონცოვს, რომლებითაც წინადადებას აძლევდა მას მოკლე დროში უზრუნველეყო ნორმანდიის კუნძულებზე განლაგებული რუსეთის კორპუსის და ვიცე-ადმირალ მაკაროვის სამშობლოში დაბრუნება[2]. ამავე დროს, ასეთივე განკარგულებები ეგზავნება ადმირალ უშაკოვს, რომლებითაც მას ევალებოდა რუსეთში დაბრუნება მთელი თავისი ფლოტით, მალტაზე საგარნიზონო სამსახურისათვის განკუთვნილი შენაერთის და ნეაპოლის მეფის განკარგულებაში გაგზავნილი რაზმით[3]. ნოემბერსა და დეკემბერში ანალოგიურ განკარგულებებს ღებულობს ა. ვ. სუვოროვიც ბოჰემიაში დაბანაკებული რუსეთის ჯარის სამშობლოში დაბრუნების შესახებ. უკანასკნელი განკარგულება ამის თაობაზე სუვოროვმა მიიღო მაშინ (27 დეკემბრის რესკრიპტი), როდესაც იგი უკვე დაძრული იყო საზამთრო ბანაკიდან[4]. საბოლოო განკარგულება რუსეთის არმიის

---

[1] იხ. Архив ВПР, ф. „Сношения России с Неаполем", д. 291, лл. 26 — 28.

[2] იხ. ს. რ. ვორონცოვის 1800 წლის 11/22 და 14/25 მარტის რელაციები პავლე I-სადმი. Архив ВПР, ф. „Сношения России с Англией". д. 528, лл. 25—26, 30—31.

[3] Д. Милютин. დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 653, 656.

[4] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 493, ტ. 3, გვ. 641, 35-ე შენიშვნა.

სამშობლოში დაბრუნების შესახებ გენერალისიმუს სუვოროვს გაეგზავნა პეტერბურგიდან 1800 წლის 8 იანვარს[1].

რევოლუციამდელი რუსი ისტორიკოსი კ. ვალიშევსკი სხვა მოტივთა შორის, რამაც რუსეთის მთავრობა აიძულა უკან გაეწვია სუვოროვის არმია, ასახელებს თვით ამ არმიის ცუდ ძდგომარეობას. მისი ცნობით, სუვოროვის მთავარი ბანაკიდან 1799 წლის დასასრულს პეტერბურგში დაბრუნებულ გრაფ პეტრე ტოლსტოის, თითქოს, უთქვამს პავლესათვის: ტრების და ნოვის არმია ამჟამად მხოლოდ ავაზაკთა ბანდას წარმოადგენს, მართალია, იგი წინანდებურად მამაცი არმიაა, მაგრამ მას აღარ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ევროპულ არმიებს[2].

ჩანს კ. ვალიშევსკის სარწმუნოდ მიაჩნია მოტანილი საეჭვო ცნობა. ამიტომ ფიქრობს იგი, რომ სუვოროვის არმიის აღნიშნულმა მძიმე მდგომარეობამ აიძულა პავლე I მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება ამ არმიის სამშობლოში დაჩქარებით დაბრუნების შესახებ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მოსაზრება მოკლებულია რეალურ საფუძველს და გადაჭრით უარყოფილ უნდა იქნეს.

მართალია, იტალიისა და შვეიცარიის კამპანიებმა, კერძოდ შვეიცარიიდან მტრის ჭარბი ძალების მოწოლის პირობებში კერმანიის ტერიტორიაზე გმირულმა გამოსვლამ დიდი დაღი დააჩნია სუვოროვის არმიას, შეამცირა მისი პირადი შემადგენლობა და შეასუსტა მისი ბრძოლისუნარიანობა, მაგრამ განა ეს არმია ისე დაეცა და დაიშალა, რომ იგი ავაზაკთა ბანდამდე დაეიდა? რა თქმა უნდა არა. ამ არმიის მებრძოლებმა ბევრი წამება განიცადეს; დრო და დრო მათ აკლდათ სასმელ-საჭმელი და ტანსაცმელიც, მაგრამ მათ არასოდეს არ დაუკარგავთ ბრძოლისა და მოწინააღმდეგისათვის დარტყმის მიყენების უნარი.

რუსეთის არმიისა და ფლოტის სამშობლოში დაბრუნების ოპერაცია რამოდენიმე თვის განმავლობაში გრძელდებოდა და მხოლოდ 1800 წლის მეორე ნახევარში დამთავრდა საბოლოოდ. იტალიისა და შვეიცარიის კამპანიებში მონაწილე რუსეთის არმია საზამთრო ბანაკიდან გამგზავრების შემდეგ რამოდენიმე ეშელონად 1800 წლის მარტისა და აპრილის თვეებში გადავიდა რუსეთის ტერიტორიაზე[3]. ინგლისში მყოფი რუსეთის არმიის და

---

[1] К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 429.

[2] იქვე.

[3] თავისი სახელგანთქმული სარდლის ა. ვ. სუვოროვის ნაცვლად მას გენ. როზენბერგი სარდლობდა. თვით სუვოროვი ამ დროისათვის დაავადდა. ავად-

ფლოტის ყველა შენაერთი მხოლოდ 1800 წლის სექტემბერში ჩადის სამშობლოში[1]. რაც შეეხება უშაკოვის ფლოტს, იგი მხოლოდ 1800 წლის ოქტომბერში დგება ღუზაზე — სევასტოპოლის რეიდზე[2].

რუსეთის სამეფო კარის პოლიტიკაში ნომხდარი მკვეთრი შემობრუნება ინგლისის მიმართ აბით არ დამთავრებულა. ერთ ნაბიჯს მოჰყვა მეორე ნაბიჯი, მეორეს—მესამე და ა. შ.

1800 წლის 1 თებერვლის რესკრიპტით პავლემ ს. რ. ვორონცოვის მეშვეობით ინგლისის მთავრობისაგან მოითხოვა მისი პეტერბურგელი ელჩის კავალერ უიტვორტის უკან გაწვევა. პეტერბურგის სასახლეში ფიქრობდნენ, რომ იგი მტრულად იყო განწყობილი რუსეთის საგარეო პოლიტიკური გეგმებისადმი და იმ ფარული ვერაგული აქტების თანამონაწილე იყო, რასაც ინგლისის მესვეურები რუსეთის ნიმართ ატარებდნენ. ახალ ვითარებაში, როდესაც თვრამეტი ბრიუნერის სახელწიფო გადატრიალებამ საფრანგეთში ბიძგი მისცა რუსეთის მთავრობის ახალ მობრუნებას ამ ქვეყნის მიმართ, კავალერი უიტვორტი Persona non grata-დ უნდა ქცეულიყო პეტერბურგში[3]. ინგლისის მთავრობა,

---

მყოფი და ამავე დროს იმპერატორ პავლე I-ის მიერ დაუმსახურებლად შერისხული სუვოროვი რუსეთის ტერიტორიაზე გადასვლისას არმიაში აღარ იმყოფებოდა. მძიმედ დაავადებული სუვოროვი 1800 წლის 6 მაისს გარდაიცვალა. იხ. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 494—499.

[1] 1800 წ. 24 ივლისის (5 აგვისტოს) რელაციაში პავლე I-სადმი ს. რ. ვორონცოვის შემცვლელი ლიზაკევიჩი იუწყებოდა, რომ რუსეთის ფლოტისა და ჯარის ევაკუაცია ინგლისიდან უკვე დამთავრებულიაო, იხ. Архив ВПР, ф. „Сношения России с Англией", д. 528, лл., 89—90.

[2] რუსეთში არ დაბრუნებულა მხოლოდ პრინც კონდეს ფრანგ ემიგრანტთა კორპუსი. იგი რუსეთ-ავსტრიის და რუსეთ-ინგლისის ურთიერთობაში მომხდარი მკვეთრი ცვლილების მსხვერპლი გახდა. პრინც კონდეს კორპუსი, რომლის შემადგენლობა ძალზე შემკირდა არა იმდენად ომში განცდილი ზარალის შედეგად, რამდენადაც დეზერტიორობის გამო, ინგლისის მთავრობამ აიღვანა თავის კმაყოფაზე, რათა იგი საჭიროებისამებრ ისევ ფრანგებს წინააღმდეგ საბრძოლველად გამოეყენებინა. იხ. როსტოპჩინის 1800 წლის 23 თებერვლის დეპეშა თავად გორჩაკოვისადმი. „Русский архив", 1888, ტ. 2, გვ. 291. ცნობები პრინც კონდეს კორპუსის რუსეთის კმაყოფიდან მოხსნისა და ინგლისის კმაყოფაზე აყვანის შესახებ მოიკვეთულია ლეი XVIII-ის ავტობიოგრაფიაში. იხ. „Русский архив", 1877 г., кн. 3, გვ. 75 და შემდეგი

[3] „Имея давно причины быть недовольным образом действий кавалера Витворта, особенно теперь,— წერდა პავლე I ამ რესკრიპტში, — я требую чтобы кавалер Витворт был отозван отсюда". К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 439, 441. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 486.

რომელმაც თავდაპირველად სასტიკი პროტესტი განაცხადა რუსეთის მთავრობის ამ მოთხოვნის გამო, იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა იგი და თავისი ელჩი უკან გაეწვია. 1800 წლის 27 მაისს უიტვორტმა დატოვა პეტერბურგი და შვეიცის გზით ინგლისისაკენ გაემგზავრა[1]. მას პეტერბურგში თავისი შემცველელი არ დაუტოვებია.

„რისხვა ინგლისსაც წვდება", — წერდა თ. ვ. როსტოპჩინი ს. რ. ვორონცოვს 1800 წ. 26 მაისის წერილში, მხედველობაში ჰქონდა რა პეტერბურგის სასახლეში ფეხმოკიდებული ანტიინგლისური განწყობილება და უიტვორტის გაძევება პეტერბურგიდან[2]. მაგრამ რუსეთის სამეფო კარის მიერ ინგლისის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯები ამით არ ამოიწურა. შემდეგ ნაბიჯს წარმოადგენდა ინგლისთან დიპლომატიური ურთიერთობის სრული შეწყვეტა და ვორონცოვის უკან გამოწვევა. ამგვარად პეტერბურგში აგორებული რისხვის ტალღა თვით ინგლის-რუსეთის კავშირის თავგამოდებულ დამცველს და ანგლოფილური დაჯგუფების მეთაურს ს. რ. ვორონცოვსაც მოხვდა.

1800 წლის 13 აპრილის რესკრიპტით ს. რ. ვორონცოვს წინადადება ეძლეოდა ინგლისიდან კონტინენტზე გამომგზავრებულიყო „თავისი ჯანმრთელობის გამოსასწორებლად" და თავის ადგილას საელჩოს თანამშრომელი ლიზაკევიჩი დაეტოვებინა[3]. ეს განკარგულება არსებითად მოასწავებდა ანგლოფილი ელჩის მოხსნას და ინგლისთან ურთიერთობის შეწყვეტას. რამდენიმე დღის შემდეგ ს. რ. ვორონცოვს ნ. პ. პანინის მიერ ხელმოწერილი ახალი განკარგულება მისდის, რომლითაც პავლეს სახელით მას ევალებოდა სამსახურიდან გადადგომის თხოვნა დაეწერა[4]. ნ. პანინი მწუხარებას გამოთქვამდა, იმის გამო, რომ იძულებული იყო ასეთ განკარგულებაზე მოეწერა ხელი[5].

---

[1] „Whitwort est parti hier matin", — წერდა ნ. პ. პანინი ს. რ. ვორონცოვს 1800 წლის 28 მაისის წერილში. იხ. Архив князя Воронцова, ტ. 11, გვ. 108—109. უიტვორტის პეტერბურგიდან გამგზავრების თარიღს მოკლედ ეხება ლობანოვ-როსტოვსკი, იგი უიტვორტის გამგზავრების ზუსტ თარიღს არ ასახელებს. მაგრამ ფიქრობს, რომ ეს გამგზავრება მოხდა ათი თვით ადრე პავლე I-ის მკვლელობამდე. „Русская старина", 1877, ტ. 18, გვ. 573—574.

[2] Архив князя Воронцова, ტ. 8, გვ. 282.

[3] იხ. ს. რ. ვორონცოვის 1800 წლის 4/16 მაისის რელაცია პავლე I-სადმი. Архив ВПР, ф. „Сношения России с Англией", д. 528, лл. 130—131.

[4] К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 440.

[5] Архив князя Воронцова, ტ. 8. გვ. 278.

ახალი განკარგულებით პეტერბურგიდან ს. რ. ვორონცოვი საესებით თავისუფლდებოდა თავისი მოვალეობისაგან და ნება ეძლეოდა კერძო პირის უფლებით დარჩენილიყო ინგლისში; მის ნაცვლად, დროებით, საელჩოს საქმე უნდა განეგო და ჯარისა და ფლოტის სამშობლოში გამომგზავრების საქმე ბოლომდე მიეყვანა ლიზაკევიჩს [1].

1800 წლის სექტემბერში კუნძული მალტის ლა-ვალეტას ბაზაში გამაგრებულმა ფრანგებმა ხანგრძლივი წინააღმდეგობის შემდეგ ინგლისელების წინაშე კაპიტულაცია მოახდინეს. ფრანგთა წინააღმდეგობის შეწყვეტით მთელ კუნძულს გამარჯვებული ინგლისელები დაეუფლნენ, რომელთაც იქ თავიანთი ალამი აღმართეს და იგი თავიანთ სამხედრო-საზღვაო ბაზად აქციეს. მალტაზე ინგლისური ალმის აღმართვა და იქ ინგლისელთა ბატონობის დამყარება ამ კუნძულისათვის ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის ქიშპობა-ბრძოლის ფინალს წარმოადგენდა. ამით საესებით ჩამოეხადა ნიღაბი ინგლისის პოლიტიკას რუსეთის მიმართ და გამოვლინდა მისი „მეგობრობის" ნამდვილი სახე.

მალტის კაპიტულაციისა და მასზე ინგლისელთა ბატონობის დამყარების ცნობამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია პეტერბურგის სასახლეში. ინგლისელთა ამ ვერაგული ნაბიჯის პასუხად რუსეთის სამეფო კარმა მკვეთრი ანტიინგლისური კურსი აიღო, საესებით გაწყვიტა ინგლისთან ყოველგვარი ურთიერთობა და მის წინააღმდეგ ომისათვის მზადებას შეუდგა. ტყუილად როდი ამბობდა ნაპოლეონ ბონაპარტი მალტის დაკარგვასთან დაკავშირებით: „მართალია მე დავკარგე მალტა. მაგრამ სანაცვლოდ მტრებს განხეთქილების ვაშლი ჩავუგდე ხელშიო" [2].

ამასთან დაკავშირებით რუსეთის სამეფო კარის მიერ ინგლისის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯებიდან აღსანიშნავია:

1) პეტერბურგის ნავსადგურში ინგლისელთა გემებზე სეკვესტრის დადება (1800 წლის 23 ოქტომბრის განკარგულება) [3];

2) რუსეთის საეკლესიოებში არსებულ ინგლისურ საკონელზე სეკვესტრის დადება, კომისრების გამოყოფა ინგლისელ და რუს

---

[1] ს. რ. ვორონცოვის განთავისუფლების შემდეგ მოკლე ხნის განმავლობაში რუსეთის საელჩოს საქმეებს მართლაც ლიზაკევიჩი განაგებდა. როცა ეს უკანასკნელი კოპენჰაგენში დაინიშნა ელჩად, საელჩოს საქმეებს და არქივის მბრუნველობა საელჩოს მრჩეველ სმირნოვს ჩაბარდა.

[2] А. Тьер. История Консульства и Империи во Франции т. II, ч. III, გვ. 57.

[3] „Русская старина", 1882, ტ. 33, გვ. 198--204.

ვაჭართა საურთიერთო ანგარიშების და დავალიანების ლიკვიდაციისათვის და ინგლისელ კრედიტორებისათვის სადებიტორო დავალიანების გადახდის შეჩერება [1];

3) კრონშტადტსა, პეტერბურგსა და ლიფლიანდიის, ესტლიანდიისა და კურლიანდიის ნავსადგურებში მყოფი ინგლისელი მეზღვაურების ინტერნირება მეთაურთა შემადგენლობასთან ერთად (1800 წლის 28 და 30 ოქტომბრის განკარგულება) [2].

4) რუსეთში მცხოვრებ ინგლისის ყველა ქვეშევრდომზე საგანგებო საპოლიციო ზედამხედველობის დაწესება [3].

5) ზღვაზე ინგლისის ჰეგემონიის წინააღმდეგ მიმართული კავშირის შექმნა (რუსეთ-დანია-შვეცია-პრუსიის შემადგენლობით), რაც მოასწავებდა 1786 წლის შეიარაღებული ნეიტრალიტეტის სისტემის აღდგენას და სხვ.

ყოველივე ეს მოასწავებდა ანტიფრანგული კოალიციის სრულ მარცხს და მკვეთრ შემობრუნებას რუსეთის საგარეო პოლიტიკაში მისი ყოფილი მოკავშირეების, კერძოდ ინგლისის მიმართ. მაგრამ ეს ნაბიჯები გადადგმული იქნა მაშინ, როდესაც რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკაში უკვე მოხდა ასეთივე მკვეთრი ცვლილება მისი ყოფილი მტრის საფრანგეთის მიმართ, რის შესახებაც შემდეგ გვექნება საუბარი.

ამგვარად. ანტიფრანგული კოალიცია ისე დაიშალა, რომ ვერ გადაწყვიტა მის წინაშე დასმული ამოცანები. მეფის რუსეთი, განხილულ გარემოებათა შედეგად, გაეთიშა თავის ყოფილ მოკავშირეებს და მათ წინააღმდეგ მოქმედებაზე აიღო გეზი. რევოლუციის „ჰიდრის" მოსპობისა და ამის შედეგად ევროპაში ფეოდალურ-მონარქიული სისტემის განმტკიცების ამოცანა, რაც რუსეთის ცარიზმს ჰქონდა დასახული ანტიფრანგულ ომში, განუხორციელებელი დარჩა. .იმ გამანადგურებელი დარტყმების მიუხედავად, რომლებიც რუსეთის არმიამ და ფლოტმა საფრანგეთის რესპუბლიკას აგემა, ამ უკანასკნელის სამხედრო-პოლიტიკური დამარცხების საქმე ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი. პირიქით, მტრების ბანაკში ფეხმოკიდებულმა წინააღმდეგობებმა და მათ შედეგად სამხედრო ოპერაციების მკვეთრმა შესუსტებამ საფრანგეთის რესპუბლიკას საშუალება მისცა ძალები მოეკრიბა და თავ-

---

[1] Сб. РИО, ტ, 2, გვ. 180.

[2] „Русская старина", 1882. ტ. 33, გვ. 198—204.

[3] ф. Мартенс, დასახ. კრებ., ტ. 7, გვ. 516; A. Lefebvre, Histoire des cabinets de l'Europe..., t. I, P., 1845. გვ. 123.

დაცვიდან შეტევაზე გადასულიყო, მომავალი აგრესიებისათვის მომზადებულიყო.

მეორე ანტიფრანგული კოალიციის წარუმატებლობა და მისი საბოლოო კრახი იმ შინაგან წინააღმდეგობათა შედეგი იყო, რომელთაც თავი იჩინეს მის რიგებში. მაგრამ ამასთან ერთად, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თვით საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებამ თვრამეტი ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალების სახით თავის მხრივ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ საქმეში.

რევოლუციამდელი რუსი ისტორიკოსები დ. მილიუტინი, კ. ვალიშევსკი, ნ. შილდერი და სხვები, აგრეთვე საზღვარგარეთელი ისტორიკოსები ა. სორელი, ე. ბურჟუა და სხვანი მეორე ანტიფრანგული კოალიციის დაშლის მიზეზების ანალიზისას გარეგნულად სინამდვილეს უახლოვდებიან. ისინი არ უარყოფენ კოალიციის შინაგანი წინააღმდეგობების შედეგად დაშლის ფაქტს და მკვეთრად უსვამენ ხაზს რუსეთ-ავსტრიისა და რუსეთ-ინგლისის დაპირისპირების კონკრეტულ მაგალითებს. რუსი ისტორიკოსები, ამასთან ერთად, საჭიროდ მიიჩნევენ წინა პლანზე წამოაყენონ ავსტრიის და ინგლისის მესვეურთა ვერაგული პოლიტიკა რუსეთის მიმართ, როგორც მთავარი მოტივი, რამაც განაპირობა რუსეთის ცარიზმის მიერ მის ყოფილ მოკავშირეებთან კავშირის გაწყვეტა და მის მხრივ ახალი ორიენტაციის აღება. მაგრამ ზოგი მათგანი უფრო შორს მიდის და ცდილობს სხვა მიზეზებიც მოიშველიოს მეორე ანტიფრანგული კოალიციის დაშლის მიზეზების ასახსნელად.

ფრანგი ისტორიკოსი ე. ბურჟუა, მაგალითად, ფიქრობს, რომ პავლემ კოალიციაზე გული აიცრუა სხვა მიზეზებთან ერთად იმიტომაც, რომ ნაპოლეონის ექსპედიციის მარცხმა ეგვიპტეში და იონიის კუნძულების რუსების ხელში გადასვლამ ბოლო მოუღო რუსეთის ინტერესებისათვის შექმნილ საფრთხეს აღმოსავლეთში [1].

ფრანგი ისტორიკოსის ეს მოსაზრება არ არის მოკლებული ორიგინალობას და სიმართლის ელემენტებს. მაგრამ იგი მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს სავსებით სწორად. ჯერ ერთი, აქ მხედველობაში არ არის მიღებული ის, რომ რუსეთის ცარიზმი ანტიფრანგულ ომში სხვა ამოცანებთან ერთად დაცვით-მონარქისტულ ამოცანასაც ისახავდა მიზნად, რაც, ხმელთაშუა ზღვის აუზში მო-

---

[1] E. Bourgeois, დასახ. ნაშრ., გვ. 204.

მხდარი ცვლილებების მიუხედავად, განუხორციელებელი დარჩა. აგრეთვე ნაპოლეონის ექსპედიციის სრული მარცხი გამოვლინდა შედარებით გვიან, როცა მეორე ანტიფრანგული კოალიციის შენობის საფუძვლები უკვე გამოცლილი ჰქონდა.

რუსი ისტორიკოსი კ. ვალიშევსკი ფიქრობს, რომ რუსეთის იმპერატორმა ისევე მოულოდნელად და ჯეროვანი მიზეზების გარეშე დაანება თავი კოალიციას, როგორც თავის დროზე შეეიდა მის რიგებში [1].

ნ. შილდერი კოალიციის მიმართ პავლეს განწყობილების შეცვლასა და ამ კოალიციიდან რუსეთის გამოსვლის საქმეში დიდ როლს ანიჭებს გრაფ თ. ვ. როსტოპჩინს, რომელმაც მეტი გავლენა მოიპოვა იმპერატორზე, ვიდრე გრაფმა ნ. პ. პანინმა, საფრანგეთის დაუძინებელმა მტერმა. მისი აზოით როსტოპჩინმა დაარწმუნა პავლე I ახალი კურსი აეღო და ეკატერინე II-ის პოლიტიკას დაჰბრუნებოდა [2]. აქაც ჩვენ საქმე გვაქვს სუბიექტური ფაქტორის წინა პლანზე წამოწევასთან. ბოლოს და ბოლოს თვით როსტოპჩინის განწყობილების შეცვლაც ხომ რიგ გარემოებათა შედეგს წარმოადგენდა?

დასასრულ, კ. ვალიშევსკის, ნ. შილდერის, დ. მილიუტინის, ე. შუმიგორსკის და ოუსეთის თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ბევრი სხვა წარმომადგენლის აზრით რუსეთის ცარიზმს საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლის დროს არ ამოქმედებდა არავითარი სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკური ინტერესები, „თითქოს“ იგი შორს იყო დაპყრობებისა და ბაზების მოპოვების ანგარული ზრახვებისაგან. პავლე I-ში ისინი ხედავენ „შერყეული ტახტებისა და წაბილწული საკურთხევლების აღდგენისათვის“ ენერგიულ მებრძოლს, უშიშარ რაინდს, ამაღლებული იდეალების მქონე მონარქს, რომელიც მათი აზრით მხო-

---

[1] თუმცა კ. ვალიშევსკი არ გამორიცხავს ზემოთ ხაზგასმულ მიზეზებს და მარენგოსთან ფრანგთა გამარჯვებას, მაგრამ დასძენს: „Нельзя сказать, чтобы решение царя было определено именно этими событиями, т. к. в его действиях никогда не было ничего хорошего, продуманного или рассудительного“. К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 446. როგორც ვხედავთ, ავტორი აქ წინააღმდეგობაში ვარდება. აღიარებს რა რიგ ფაქტორთა ოოლს რუსეთის იმპერატორის საგარეო პოლიტიკური მიმართულების შეცვლაში, იგი ამასთან ერთად წინა პლანზე ისევ სუბიექტურ, ფსიქოლოგიურ მოტივებს აყენებს და მით აბათილებს ობიექტური ფაქტორების როლს.

[2] Н. Шильдер, Павел Первый, გვ. 412.

ლოდ იმიტომ გამოვიდა კოალიციიდან, რომ მოკავშირეებს ვიწრო ანგარება და ეგოიზმი შეამჩნია[1].

რუსეთის იმპერატორ პავლე I-ის კეთილშობილებისა და უანგარობის დასამტკიცებლად ნ. შილდერს თავის წიგნში „Император Александр Первый", მოტანილი აქვს პავლე I-ის საუბარი დანიის ელჩ როზენკრაცთან გატჩინოში 1800 წლის 3 სექტემბერს. ამ საუბარში რუსეთის იმპერატორმა გამოხატა თავისი შეხედულება კოალიციასთან კავშირის გაწყვეტისა და საფრანგეთთან დაახლოების მიზეზების შესახებ.

ამ საუბრის დროს პავლე I-მა განაცხადა: ჩემი პოლიტიკა სამი წლის განმავლობაში უცვლელია („invariable") და დაკავშირებულია სამართლიანობასთან. დიდხანს მე იმ აზრის ვიყავი, რომ სამართლიანობა საფრანგეთის მოწინააღმდეგეთა მხარეზე იყო... მე მივატოვე ამ პარტიის მოიმხრეები, ე. ი. ავსტრიის პარტია, როცა გამოირკვა, რომ სამართლიანობა არ იყო მათ მხარეზე; მეო.—დაუმატა მან,—იგივე განვიცადე ინგლისელთა მიმართ. საუბრის დასასრულს პავლე I-მა დასძინა: ყველა, ვინც სხვაგვარად ფიქრობს, ჩემი პოლიტიკის შესახებ, ცდებაო[2].

მორალური მოტივების წინ წამოწევა, მისი პავლეს საგარეო პოლიტიკის ხასიათის საფუძვლად დადება, თვითმპყრობელი მონარქის უშიშარ რაინდად მიჩნევა, როგორც თავის ადგილას იყო ხაზგასმული, ისტორიული სინამდვილის გაყალბებაა და ავტორის იდეალისტური კონცეფციის და მისი კლასობრივი მრწამსის გამოხატულებას წარმოადგენს.

ცნობილი რუსი სამხედრო ისტორიკოსი დ. მილიუტინი აშკარა სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ისეთი დიდი ეპოპეა, როგორიც იყო 1799 წლის კამპანია, რუსეთისათვის უშედეგოდ დამთავრდა მისი მოკავშირეების—ავსტრიის და ინგლისის—თვალთმაქცობა-ვერაგობისა და ანგარების შედეგად[3]. მაგრამ მი-

---

[1] Н. Шильдер, Павел Первый, გვ. 412; Е. Шумигорский. დასახ. ნაშრ., გვ. 178.

Н. Шильдер. დასახ. ნაშრ., გვ. 196.

[3] „... 1799 год,—წერს იგი,—был одной из самых блестящих эпох для нашего отечества Российского. Монарх был постоянно главным действователем в Европейской политике, прямота и откровенность его в сношениях с иностранными дворами, несомненное бескорыстие, с которым он вел войну, великодушное покровительство слабым государям — составляли разительную противоположность с двуличною и корыстною политикою Венского и Лондонского кабинетов". Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 552.

ლიუტინი აქ არ სვამს წერტილს და არ ამთავრებს თავის დასკვნას. მისი აზრით, მართალია, ანტიფრანგული კოალიცია უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ 1799 წლის ომი პავლე I-ის საგარეო პოლიტიკის, ყველა მისი მოქმედების გამართლებას წარმოადგენდა [1]. ისიც რიგ რუს ისტორიკოსებთან ერთად ახდენს რუსეთის იმპერატორის საგარეო პოლიტიკის იდეალიზაციას, ყველაფერში ინგლისის და ავსტრიის მთავრობებს სდებს ბრალს კოალიციის დაშლისათვის და პავლეს კეთილშობილ რაინდად, უანგარო იდეალებისათვის მებრძოლ რაინდად წარმოგვიდგენს. თავის მოსაზრების დასამტკიცებლად მილიუტინს მოტანილი აქვს პავლე I-ის ვრცელი დეკლარაცია რუსეთის ავსტრიასთან კავშირის გაწყვეტასთან დაკავშირებით, გამოქვეყნებული 1799 წლის დასასრულს. ამ დეკლარაციაში ვრცლად არის განვითარებული რუსეთის სამეფო კარის თვალსაზრისი მეორე ანტიფრანგული კოალიციის აღმოცენების, მიზნების, ინგლის-ავსტრიის პოლიტიკისა და კერძოდ რუსეთის პოლიტიკის ხასიათის შესახებ. იქ ჩამოყალიბებულია ავსტრიის სამეფო კარის ეგოიზმისა და დაპყრობითი ზრახვების კონკრეტული ფაქტები, ჩამოთვლილია ავსტრიის მთავრობისა და სარდლობის ის აქტები, რომლებიც პავლე I-ის აზრით მუხანათური, ვერაგული და მტრული ხასიათისა იყო რუსეთის მიმართ [2].

ჩვენ ზედმეტად ვთვლით მოვიტანოთ ამონაწერები ამ დეკლარაციიდან. იგი არავითარ ახალ მასალას არ გვაძლევს დასკვნებისათვის.

იმპერატორი პავლე I და მისი მთავრობა სინამდვილეში, როგორც არაერთხელ იყო ხაზგასმით აღნიშნული, როდი მოქმედებდნენ უანგაროდ, კეთილშობილური მოსაზრებებით და ამაღლებული იდეალებით. მეფის რუსეთსაც ისეთივე უსამართლო მიზნები ამოქმედებდა, როგორც მის მოკავშირეებს. ანტიფრანგული კოალიციის წარუმატებლობისა და დაშლისათვის ბრალის მარტო რუსეთის მოკავშირეებისათვის დადება ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამება და, ამდენად, მიუღებელია. ინგლისის და ავსტრიის, მათი საგარეო პოლიტიკის აპოლოგეტი ისტორიკოსები და სათანადო ტენდენციური წყაროები, აღნიშნულისათვის პირიქით, პირველ რიგში რუსეთს და პირადად იმპერატორ პავლე I-ს სდებენ

---

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 552.

[2] იქვე, გვ. 553—558.

ბრალს. ზემომითითებული დეკლარაცია აშკარა ტენდენციურ ხასიათს ატარებს და გარკვეული მოსაზრებებით არის გამოქვეყნებული. ამ დეკლარაციით პაველ I-ს სურდა გაემართლებინა თავისი თავი ისტორიისა და შთამომავლობის წინაშე, უშიშარ რაინდად, მშვიდობისა და კეთილშობილური იდეალებისათვის მებრძოლად გაესაღებინა თავი და ყველაფერში ბრალი თავისი მოკავშირე ავსტრიელებისათვის, მათი ეგოისტური ზრახვებისა და „მუხანათური პოლიტიკისათვის“ დაეკისრებინა.

თ ა ვ ი IX

მობრუნება რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში 1800 წელს. მათი დაახლოება

1. თვრამეტი ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალება საფრანგეთში და მისი შეფასება პეტერბურგის სამეფო კარზე

რუსეთის ჯარისა და ფლოტის სამშობლოში დაბრუნება, მეორე ანტიფრანგული კოალიციის ფაქტიური დაშლა, მისი შემადგენლობიდან რუსეთის გამოსვლა, რუსეთ-ავსტრიის ურთიერთობის გათიშვა და ინგლისსა და რუსეთს შორის ომის ვითარების წარმოშობა—ყველა ეს მოასწავებდა ძირეულ მობრუნებას რუსეთის საგარეო პოლიტიკაში, იგი ნიშნავდა პავლე I-ის მთავრობის მიერ ახალი საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის აღებას. ეს ახალი ვითარება, ამდენად, წარმოადგენდა მკვეთრ ცვლილებას არა მარტო რუსეთ-ავსტრიისა და რუსეთ-ინგლისის ურთიერთობაში, არამედ, რაც არსებითია, მობრუნებას რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში.

ეს ახალი ვითარება—ძირეული მობრუნება რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში—1800 წლის დასაწყისიდან შეამზადა არა მარტო ჩვენს მიერ მოხაზულმა პროცესებმა, არამედ თვით საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებამაც. ეს ცვლილება იყო 1799 წლის 9 ნოემბრის (18 ბრიუმერის) სახელმწიფო გადატრიალება და კონსულობის დამყარება. ამ ორი გარემოების შერწყმამ და იმ ცვლილებამ, რომელიც ამის შედეგად მოხდა ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემაში, განაპირობა იმ ახალი ვითარების აღმოცენება რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში, რომლის ლოგიკურ შედეგსაც მათი დაახლოება წარმოადგენდა.

აღნიშნულ პოლიტიკურ ცვლილებათა ანალიზი ჩვენი შრომის ამ თავის ამოცანას წარმოადგენს[1].

მმართველობის იმ სისტემამ, რომელიც 1795 წლიდან შეიქმნა საფრანგეთში, 1799 წლის დასასრულისათვის რღვევისა და გახრწნის ყველა ნიშანი გამოავლინა.

აღმასრულებელმა დირექტორიამ ამ დროისათვის დაკარგა ყოველგვარი გავლენა და ავტორიტეტი: მისი საშინაო პოლიტიკა გაკოტრდა, ხოლო მისი საგარეო პოლიტიკის არათანამიმდევრობამ და განუწყვეტელმა აგრესიულმა ომებმა გამოავლინა მისი სრული უუნარობა ამ დარგშიც. ‘ის მიერ წარმოებულმა ომებმა და დიპლომატიურმა საქმიანობამ არა თუ ახალი წარმატება ვერ მოუპოვა საფრანგეთს, არამედ კატასტროფის პირამდე მიიყვანა იგი. მან სერიოზული საფრთხე შეუქმნა თვით ბურჟუაზიული რევოლუციის იმ მონაპოვარსაც კი, რომელიც შენარჩუნებული იქნა საფრანგეთში 9 თერმიდორის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ.

დირექტორიის მთავრობამ ოდნავადაც ვერ გაამართლა საფრანგეთის შეძლებული ფენების იმედები. დირექტორიის წარუმატებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკით განსაკუთრებით უკმაყოფილო დარჩა „ნუვო რიში“—რევოლუციის წლებში გამდიდრებული სავაჭრო-საბრეწველო სპეკულანტური ბურჟუაზია, რომელიც თავდაპირველად რწმენით და სასოებით შეჰყურებდა ამ კონტრრევოლუციურ ხელისუფლებას, რადგან მისგან მოელოდა სრულ „დამშვიდებას“ ქვეყნის ‘ბიგნით (ე. ი. როიალისტური და იაკობინური საფრთხის სრულ მოსპობას და ახალ ბაზრებსა და გავლენის სფეროებს წარმატებითი აგრესიული პოლიტიკის შედეგად). თავისი „აღმასრულებელი კომიტეტის“, დირექტორიის ხელისუფლების მეშვეობით საფრანგეთის ‘ბურჟუაზიას სურდა კიდევ უფრო ფართოდ გაეშალა თავისი სავაჭრო-საბრეწველო-სპეკულანტური საქმიანობა, ხელთ ეგდო ახალი ბაზრები, თანაც დამტკბარიყო მოპოვებული სიმდიდრით და პოლიტიკური უფლებებით.

---

[1] დ. მილიუტინს მოულოდნელად, ე. ი. არაკანონზომიერად მიაჩნია აღნიშნული ცვლილებები ევროპის პოლიტიკაში, რომელიც მოხდა 1600 წლის დასაწყისიდან და რომლის შედეგადაც ძველი მოკავშირეები მტრებად იქცნენ, ძველი მტრები დაახლოვდნენ და ახალი კავშირები აღმოცენდნენ. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 508. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეს სავსებით კანონზომიერი მობრუნება იყო და არაფერს მოულოდნელს არ წარმოადგენდა.

იტალიასა და ხმელთაშუა ზღვის აუზში 1799 წლის კამპანიის დროს, განცდილმა მარცხმა, ეგვიპტის ექსპედიციის წარუმატებლობამ, გენერალთა თავგასულობამ, მძაფრმა ფინანსურმა და ეკონომიურ-სასურსათო სიძნელეებმა, სახელმწიფო აპარატის გახრწნამ, შინაპოლიტიკურმა ქაოსმა და დაპირისპირებულ კლასთა მიერ ერთმანეთის დასუსტებამ საფრანგეთში ნიადაგი შეუმზადა დირექტორიის უდღეური ხელისუფლების მოსპობას. მან გზა გაუკაფა ახალ სახელმწიფო გადატრიალებას, რომელსაც მთელი ძალაუფლება „ძლიერი და მტკიცე" ხელისუფლებისათვის უნდა გადაეცა.

რაკი „ვექილთა ხელისუფლებამ", როგორც უწოდებდნენ დაცინვით აღმასრულებელ დირექტორიას, ვერ გაამართლა საფრანგეთის ბურჟუაზიის და ქვეყნის სხვა შეძლებული ფენების კლასობრივი დაკვეთა, მათ საჭიროდ მიიჩნიეს მისი თავიდან მოცილება და მტკიცე ხელისუფლების, ერთპიროვნული დიქტატურის დამყარება. ამ ერთპიროვნულ მტკიცე ხელისუფლებას უნდა დაეცვა მათი ეკონომიური და პოლიტიკური მონაპოვარი ყოველგვარი საფრთხისაგან ქვეყნის შიგნით და განეხორციელებინა მათივე მორიგი საგარეო პოლიტიკური მისწრაფებანი.

საფრანგეთის ბურჟუაზიის „თავკაცებმა" სიეიესის, ბარასის და მათ მსგავსთა ტიპის პოლიტიკურმა ავანტიურისტებმა და მედროვეებმა თვით შეიმუშავეს სახელმწიფო გადატრიალების დეტალური გეგმა, მათვე გამონახეს საჭირო ფინანსური სახსრები და შეარჩიეს ავტორიტეტის მქონე „ძლიერი ხელისუფალიც", რომელსაც არმიის მეშვეობით სისრულეში უნდა მოეყვანა სახელმწიფო გადატრიალების გეგმა.

საფრანგეთის ბურჟუაზიამ რამოდენიმე შესაძლო კანდიდატიდან თავისი არჩევანი გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტზე შეაჩერა. შემთხვევითი არ ყოფილა საფრანგეთის კონტრრევოლუციური წრეების მიერ ნაპოლეონ ბონაპარტის თავიანთ მხსნელად მიჩნევა. 1799 წლის დასასრულისათვის ნაპოლეონი იყო ფრანგ გენერალთა შორის ყველაზე უფრო სახელგანთქმული, დიდების შარავანდედით მოსილი გენერალი. მას, ამასთან ერთად, ახასიათებდა ძლიერი ნებისყოფა, დიდი ნიჭი, უსაზღვრო პატივმოყვარეობა, უპრინციპობა და ანგარება. მოკლედ, გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტში მოცემული იყო ყველა ის თვისება, რაც საჭირო იყო იმისათვის, რომ იგი საფრანგეთის ბურჟუაზიის და შეძლებული გლეხების სათაყვანებელი კერპი გამხდარიყო და მათი „მხსნელის" როლი შეესრულებინა.

ნაპოლეონ ბონაპარტმა, რომელიც მალულად და მოულოდნელად ეგვიპტიდან დაბრუნდა, კარგად გამოიყენა საფრანგეთში შექმნილი ვითარება და სათანადო წრეების მხარდაჭერით 1799 წლის ნოემბერს (18 ბრიუმერს) მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება. მან გარეკა ხუთასის საბჭო, უხუცესთა საბჭო, გააუქმა დირექტორია და კონსულობის ხელისუფლების ნიღაბით დაამყარა პერსონალური სამხედრო დიქტატურა. „...დირექტორიასა“ და „კონსულატს“ შუა იყო სახელმწიფო გადატრიალება...“ [1].

ამ აქტით დირექტორიის დროს საფრანგეთში გაჩაღებული მძაფრი ბრძოლა ურთიერთმოპირდაპირე კლასობრივ ძალებს შორის დამთავრდა, როგორც აღნიშნავდა მარქსი, მით, რომ „...ყველა კლასმა თანაბარი უძლურებით და თანაბრად უხმოდ მუხლი მოიდრიკა კონდახის წინაშე“ [2].

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა მოგვცეს თვრამეტი ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალების არსისა და მის შედეგად შექმნილი სახელმწიფო ხელისუფლების ხასიათის ღრმა მეცნიერული ანალიზი. მათ ბაზგასმით აღნიშნეს, რომ თვრამეტი ბრიუმერის ბონაპარტისტული გადატრიალება მოამზადა კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისა და შეძლებულ გლეხთა შიშმა რევოლუციის შედეგად მოპოვებული სიმდიდრის, პოლიტიკური თავისუფლებისა და მიწების დაკარგვისადმი. აღნიშნულ სახელმწიფო გადატრიალებას ისინი მიიჩნევენ კონტრრევოლუციურ აქტად, ისეთ აქტად, რომელიც მოასწავებდა საფრანგეთის 1789 — 1794 წლების რევოლუციისათვის მორიგი გადამწყვეტი მახვილის ჩაცემას. მის შედეგად აღმოცენებული ახალი ხელისუფლება — კონსულობის ხელისუფლება, მათივე შეხედულებით მორიგი კონტრრევოლუციური ხელისუფლება, კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის კლასობრივი ხელისუფლება იყო, რომელმაც ბოლომდე განავითარა 9 თერმიდორის კონტრრევოლუციური აქტი.

„საფრანგეთის ისტორია გვიჩვენებს,—წერს ვ. ი. ლენინი,— რომ ბონაპარტისტული კონტრრევოლუცია გაჩნდა XVIII საუკუნის დამლევს—კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ნიადაგზე... ბონაპარტიზმი არის მმართველობის ისეთი ფორმა, რომელსაც წარმოშობს ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურობა დემოკრატიულ

---

[1] ი. ბ. სტალინი. თხზ., ტ. 3, გვ. 310.

[2] კ. მარქსი, თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა, თბილისი, 1932, გვ. 129.

გარდაქმნათა და დემოკრატიული რევოლუციის ვითარებაში“ [1].

მესამე წოდების გამარჯვება საფრანგეთის 1789—1794 წლების რევოლუციაში, როგორც მართებულად აღნიშნავს ფრ. ენგელსი „ანტიდიურინგში“, ამ წოდების უმნიშვნელო უმცირესობის—შეძლებული ბურჟუაზიის გამარჯვება აღმოჩნდა. მან ხელთ იგდო პოლიტიკური ძალაუფლება და სპეკულაციის და სხვა ბილწი მეთოდების გამოყენებით საზღაპროდ გამდიდრდა. „სწორედ ამ სპეკულანტების ბატონობამ დირექტორიის ეპოქაში საფრანგეთი და რევოლუცია უფსკრულის პირად მიიყვანა და ამავე დროს ნაპოლეონს საბაბი მისცა სახელმწიფო გადატრიალება მოეხდინა“ [2]. ნაპოლეონის გამარჯვება იყო „აღმასრულებელი ხელისუფლების გამარჯვება საკანონმდებლო ხელისუფლებაზე, უფრაზო ხელისუფლების გამარჯვება ფრაზის ხელისუფლებაზე“ [3]. თვრამეტი ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალების აქტით, ენგელსის აზრით, „...თავის პოლიტიკურ ნიჭზე იმედგაცრუებულმა ბურჟუაზიამ თავი შეაფარა... ნაპოლეონის დესპოტიზმს“ [4].

თვრამეტი ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალება, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შეფასებით, წარმოადგენდა უხეშ ძალადობას, მოსახლეობის უმნიშვნელო უმცირესობის მიერ მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის თავის ნება-სურვილის ძალად თავზე მოხვევას.

„რა არის ბონაპარტიზმი?, — სვამს კითხვას ი. ბ. სტალინი და პასუხობს,—ბონაპარტიზმი არის ცდა—თავს მოახვიო უმრავლესობას უმცირესობის ნება ძალადობის გზით. ბონაპარტიზმი არის ძალადობის გზით უმცირესობის მიერ უმრავლესობის წინააღმდეგ ძალაუფლების ხელში ჩაგდება პარტიაში ან ქვეყანაში“ [5].

რა იყო ნაპოლეონ ბონაპარტის ერთპიროვნული დიქტატურის კლასობრივი დანიშნულება, რაში მდგომარეობდა მისი როლი ბურჟუაზიის მიმართ? „...ნაპოლეონის როლი? თავისუფლების

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 305.
[2] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბილისი, 1933, გვ. 216.
[3] კ. მარქსი, თვრამეტი ბრიუმერი..., გვ. 128.
[4] ფ. ენგელსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 214.
[5] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 10, გვ. 174.

ჩამხშობის როლი? მუშების დამხვრეტის როლი"?[1] გამარჯვებული ბურჟუაზიის ბატონობის დაცვა-განმტკიცებაში მდგომარეობდა. კონსულობის ხელისუფლება, ნაპოლეონის მთავრობა წარმოადგენდა ბურჟუაზიულ მთავრობას, რომელმაც ი. ბ. სტალინის გამოთქმით, „...ჩაახშო საფრანგეთის რევოლუცია და შეინარჩუნა რევოლუციის მხოლოდ ის შედეგები, რაც ხელსაყრელი იყო მსხვილი ბურჟუაზიისათვის" [2].

თავის კლასობრივ მისიას ბონაპარტის ხელისუფლება ახორციელებდა უხეში ძალით, სამხედრო ხროვის მეშვეობით, მიმართავდა რა ლავირებას „...ორ მტრულ კლასსა და ძალას შორის, რომელნიც მეტად თუ ნაკლებად აწონასწორებენ ერთიმეორეს" [3]. ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესების დაცვის გულისათვის ბონაპარტისტული ხელისუფლება შეძლებულ გლეხთა ინტერესებსაც კი ღალატობს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ფენის გლეხთა მასების განწყობილებამ მცირე როლი როდი შეასრულა მისი დესპოტური ხელისუფლების აღმოცენებაში.

კონსულობის ხელისუფლება გარდამავალი ხელისუფლება იყო. იგი წარმოადგენდა ერთ-ერთ ეტაპს რესპუბლიკის სრული ლიკვიდაციისა და მონარქიის რესტავრაციის გზაზე. სამხედრო დიქტატურის დამყარებით, რკინის ნებისყოფით, გენერლის ჩექმით ნაპოლეონ ბონაპარტი როდი ფიქრობდა მარტო საფრანგეთის ბურჟუაზიის საქმე ეკეთებინა და მისი იარაღი ყოფილიყო.

სახელმწიფო გადატრიალებით და პირადი დიქტატურის დამყარებით მას სურდა გზა გაეწალდა მონარქიის რესტავრაციისათვის და საიმპერატორო გვირგვინი დაედგა თავზე.

თვრამეტი ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალებასა და კონსულობის ხელისუფლების შექმნას, რომელიც ნაპოლეონ ბონაპარტის სამხედრო დიქტატურის შენიღბულ ფორმას წარმოადგენდა, სათანადო ცვლილებები მოჰყვა საფრანგეთის საშინაო ცხოვრებასა და საგარეო პოლიტიკაში. პირველმა კონსულმა ნაპოლეონ ბონაპარტმა მოკლე დროში მოუღო ბოლო მმართველობაში, ფინანსებსა და სამხედრო საქმეში მემკვიდრეობით მიღებულ

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 459.

[2] ი. ბ. სტალინი, პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებსა და ტროცკისტ და სხვათა თვალთმაქცთა ლიკვიდაციის ღონისძიებებზე. მოხსენება და საბოლოო სიტყვა საკ. კ. პ. (ბ) ცკ პლენუმზე 1937 წლის 3—5 მარტს, „ჩ.". 1937, გვ. 14.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 262.

ქაოსს. ეფექტური ღონისძიებებით მან მალე წესრიგში მოიყვანა ყველა უწყების საქმიანობა და ფეხზე წამოაყენა წინამორბედი მმართველობის მიერ კატასტროფის პირამდე მიყვანილი ქვეყანა. ნაპოლეონ ბონაპარტის მიერ გატარებული ეკონომიურ-ფინანსური, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და საადგილმამულო-სასამართლო ღონისძიებები კლასობრივი იყო თავისი ხასიათით და კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის კლასობრივი „მოთხოვნებით" იყო ნაკარნახევი (თუმცა იგი თვით ნაპოლეონის პატივმოყვარე ეგოისტურ ზრახვებთანაც იყო დაკავშირებული).

პირველი კონსულის საშინაო პოლიტიკის მიმართულებასთან და ამ მიმართულებიდან გამომდინარე სათანადო ღონისძიებებთან მჭიდრო კავშირში იყო მისი საგარეო პოლიტიკური კურსი. კონსულობის პერიოდის საფრანგეთის, კერძოდ კი პირველი კონსულის საგარეო პოლიტიკა არავითარ არსებით სიასლეს და წინამორბედისაგან თვისობრივად განსხვავებულ ნიშნებს არ შეიცავდა. იგი, უმნიშვნელო ცვლილებებით, თერმიდორული კონვენტისა და დირექტორიის საგარეო პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენდა იგი იყო აგრესიული საგარეო პოლიტიკა, პოლიტიკა ახალი ბაზრების და გავლენის სფეროების მოსაპოვებლად წარმოებული უსამართლო ომებისა, პოლიტიკა მეზობელი საელმწიფოების „შემოერთებისა" და ევროპის კონტინენტზე გაბატონებისა. ეს პოლიტიკა კი სავსებით შეესაბამებოდა საფრანგეთის გაბატონებული ბურჟუაზიის ეკონომიურ და პოლიტიკურ „მოთხოვნებს" და „მისწრაფებებს". სწორედ საფრანგეთის ბურჟუაზია,—რომელმაც „...ფეოდალიზმის წინააღმდეგ გამოიყენა საწარმო ძალთა ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა საეალდებულო შესაბამისობის ცნობილი კანონი, დაამხო ფეოდალური ურთიერთობანი, შექმნა ახალი, ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობანი და ეს წარმოებითი ურთიერთობანი... საწარმოო ძალთა ხასიათისადმი შესაბამისობაში მოიყვანა"[1],—სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული აგრესიულ საგარეო პოლიტიკაში, დაპყრობებსა და ტერიტორიულ გაფართოებაში. ის საგარეო პოლიტიკური ნაბიჯები და დიპლომატიური ღონისძიებები, რაც ნაპოლეონ ბონაპარტმა გადადგა და განახორციელა 1799 წლის მიწურულიდან, სწორედ საფრანგეთის ბურჟუაზიის კლასობრივი „მოთხოვნებით" იყო ნა-

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 52—53.

კარნახევი. განსხვავება კონსულობის პერიოდისა და დირექტორიის საგარეო პოლიტიკას შორის ძირითადში გარეგნული ხასიათისა იყო; ეს იყო განსხვავება თვით ამ პოლიტიკის წარმოების ფორმებსა და მეთოდებში[1]. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველი კონსულის საგარეო პოლიტიკა უფრო თანამიმდევარი და მტკიცე იყო, ვიდრე აღმასრულებელი დირექტორიისა, რომელსაც ეს თვისებები არ გააჩნდა.

რა კონკრეტული ამოცანები უნდა გადაეწყვიტა ნაპოლეონ ბონაპარტს საგარეო პოლიტიკის დარგში? პირველ ყოვლისა, მას უნდა გამოესწორებინა ფრონტებზე არსებული არასახარბიელო მდგომარეობა, აღედგინა 1799 წლის კამპანიის წინ არსებული ვითარება და ნიადაგი მოემზადებინა ახალი აგრესიული აქტებისათვის. მისი დარტყმის მთავარი ობიექტი კონტინენტზე ავსტრია უნდა ყოფილიყო, ზღვაზე—ინგლისი.

საფრანგეთის მთავარ დაუძინებელ მტერს მაშინაც ინგლისი წარმოადგენდა. ამიტომ მისი განადგურება კონსულობის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის და დიპლომატიის, მისი სამხედრო ღონისძიებების მთავარი სტრატეგიული მიმართულება და ამოცანა უნდა ყოფილიყო. ავსტრიის განადგურება, მისი გამოყვანა ომიდან და ინგლისისაგან ჩამოშორება ამ სტრატეგიული გეგმის ნაწილს წარმოადგენდა. ამასთანავე ეს ამოცანა უფრო ადრე უნდა გადაწყვეტილიყო, რომ შემდეგში საფრანგეთს მთელი თავისი ძალები ინგლისის წინააღმდეგ წარემართა.

მაგრამ შინაგანი ქაოსის, არმიის დეზორგანიზაციის და ხანგრძლივი ომისაგან მოსახლეობის მოქანცულობის ვითარებაში ამ ამოცანების გადაწყვეტა მოკლე დროში არ შეიძლებოდა. ამისათვის საჭირო იყო სათანადო მზადების ჩატარება და, მაშასადამე, დროის გარკვეული მინიმუმი. საფრანგეთის ახალ ხელისუფალს სურდა ჰქონოდა დროებითი შესვენება ომისაგან, რომ ამ დროის განმავლობაში მას ჩაეტარებინა საჭირო მზადება ახალი საომარი ოპერაციებისათვის. აქედან გამომდინარეობდა საფრანგეთის ახალი ხელისუფლების პაციფისტური ტესტი, მისი გარეგნული სურვილი ომის შეწყვეტისა და მშვიდობიანობის აღდგენისაკენ. ამასთან

---

[1] ნაპოლეონ ბონაპარტმა, რომელმაც კარგი დიპლომატიური ოსტატობა გამოავლინა, თვით აიღო ხელში საგარეო პოლიტიკის სადაჯები. მან საგარეო საქმეთა სამინისტროს დაუკარგა ძველი ინიციატივა და თვით საგარეო საქმეთა მინისტრი თავისი ნება-სურვილის აღმასრულებელ მოხელედ აქცია. ამის შესახებ ვრცლად იხილეთ F. Masson, დასახ. ნაშრ., გვ. 389, 446.

იყო დაკავშირებული მისი პირველი ნაბიჯები პრუსიის და დანიის მიმართ, რომელთაც დ. მილიუტინი ზომიერს და სამშვიდობოს უწოდებს [1].

ამიტომ იყო, რომ ნაპოლეონ ბონაპარტმა პაციფისტური ნიღაბი ჩაიოცვა და 1800 წლის დასაწყისისათვის ინგლისისა და ავსტრიის მთავრობებს სამშვიდობო წინადადებებით მიმართა [2]. მაგრამ ეს „სამშვიდობო“ ინიციატივა ინგლისისა და ავსტრიის მთავრობების მიერ მაშინ უყურადღებოდ იქნა დატოვებული. ინგლისისა და ავსტრიის მთავრობათა ასეთი პოზიცია კონსულობის ხელისუფლების დიპლომატიური ნაბიჯისადმი, ჩვენი აზრით, შემდეგი მოტივებით იყო პირობადებული. პირველ ყოვლისა, მათ ხელში იყო საომარ მოქმედებათა ინიციატივა, ამიტომ აღნიშნულ მთავრობებს სურდათ შეენარჩუნებინათ ეს უპირატესობა, ხელიდან არ გაეშვათ იგი და მტრისათვის მორიგი დარტყმებისათვის გამოეყენებინათ. მეორე მხრივ, მათ არ სურდათ საფრანგეთისათვის შესვენების დრო და საშუალება მიეცათ და, არც თუ უსაბუთოდ, ფიქრობდნენ, რომ ამ შესვენებას საფრანგეთი გამოიყენებდა ახალი ომის სამზადისისათვის. დასასრულ ამ ქვეყნების მთავრობებმა თავდაპირველად ჯეროვნად ვერ შეაფასეს საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილება. გამორიცხული არ არის ისიც, რომ გენერლის სამხედრო დიქტატურამ კიდევ უფრო გააძლიერა ინგლისისა და ავსტრიის მესვეურთა უნდობლობა საფრანგეთისადმი და კიდევ უფრო მეტი შიში აღძრა მათში ნაპოლეონის მომავალმა გეგმებმა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, ავსტრიას მისი ფინანსების, ეკონომიკისა და არმიის მდგომარეობა აიძულებდა მშვიდობა ეძია, მაგრამ მასზე მზარდ გავლენას ახდენდა ინგლისი, ახალ სუბსიდიას ჰპირდებოდა მას და აგულიანებდა შემდგომი სამხედრო ლონისძიებებისაკენ.

დ. მილიუტინი და ა. ტრაჩევსკი არა მარტო ქება-დიდებას ასხამენ თვრამეტი ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალების აქტს და ნაპოლეონ ბონაპარტის მიერ შექმნილ მტკიცე ხელისუფლებას, არამედ იწონებენ ნაპოლეონის პირველ ნაბიჯებსაც საგარეო პო-

---

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 509.

[2] А. Васт, Дипломатия и войны. История XIX века под редакцией Лависса и Рамбо, М. 1938, ტ. 1, გვ. 71; Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 510—511; ტ. 3, გვ. 657, 65-ე შენიშვნა.. უფრო ვოცლად ცნობები ნაპოლეონის სამშვიდობო ინიციატივისა და ინგლისისა და ავსტრიის მთავრობათა პასუხების შესახებ იხ. Tatistcheff, Paul et Bonaparte, „La Nouvelle Revue“, 1887, ტ. 49, გვ. 754—755.

ლიტიკის დარგში. კერძოდ, ისინი დარწმუნებულნი არიან ნაპოლეონ ბონაპარტის ზემოაღნიშნულ სამშვიდობო ინიციატივის გულწრფელობაში. მათი აზრით, საფრანგეთის შინაგანი და საერთაშორისო ვითარება მაშინ ისეთი იყო, რომ იგი აიძულებდა ახალ ხელისუფლებას მშვიდობა ეძია და სამშვიდობო ინიციატივით გამოსულიყო. ომის შეწყვეტა და ევროპული მშვიდობიანობის აღდგენა იმ წინადადების საფუძველზე, რომლითაც პირველმა კონსულმა ინგლისის და ავსტრიის მთავრობებს მიმართა მაშინ, ამ ავტორების შეხედულებით, შესაძლებელი იყო. და თუ ასეთი შესაძლებლობა სინამდვილედ არ იქცა და საფრანგეთის სამშვიდობო ინიციატივა უშედეგოდ იქნა დატოვებული, ამაში, მათი აზრით, ინგლისის და ავსტრიის მთავრობები იყვნენ დამნაშავენი. მათ ზვიადად და ქედმაღლურად უარჰყვეს ნაპოლეონ ბონაპარტის ინიციატივა და ომის გაგრძელება არჩიეს. სხვა მოტივებთან ერთად, რამაც. ამ ისტორიკოსთა შეხედულებით, განაპირობა ინგლისის და ავსტრიის მთავრობათა ასეთი მოქმედება, იყო პიტისა და თუგუტის შეურიგებელი სიძულვილი საფრანგეთისადმი და აშკარა ანტიპათია პირადად ნაპოლეონისადმი. აქედან გამომდინარე, ეს ისტორიკოსები ასკვნიან, რომ პასუხისმგებლობა ომის განახლებისათვის ეკისრებათ ინგლისის და ავსტრიის მთავრობებს და არა ნაპოლეონ ბონაპარტს, რომელიც მათ იძულებული გახადეს იარაღი ეშიშვლა და ისევ ომი განეახლებინა [1].

ჩვენ არ შეგვიძლია გავიზიაროთ აღნიშნულ ისტორიკოსთა ეს მოსაზრება. ნაპოლეონ ბონაპარტის სამშვიდობო ნაბიჯები საერთოდ, კერძოდ ინგლისის და ავსტრიის მიმართ, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, გულწრფელი არ იყო, ტაქტიკურ ხასიათს ატარებდა და ახალი მთავრობის მშვიდობისმყოფელი ბუნებიდან არ გამომდინარეობდა. საფრანგეთის ახალ მმართველობასაც ინგლისისა და ავსტრიის მთავრობებთან ერთად, ეგოისტური, დაპყრობითი, მოქიშპე სახელმწიფოთა განადგურების ზრახვები ამოქმედებდა. სამშვიდობო ინიციატივის ჩაშლისა (1800 წლის დასაწყისისათვის) და საომარი მოქმედებების განახლების მიზეზები უფრო რთული იყო, ვიდრე მათ ჰგონიათ. ინგლისისა და ავსტრიის მთავრობებთან ერთად ამისათვის პასუხისმგებლობა თვით კონსულობის ხელისუფლებასაც უნდა დაეკისროს.

---

[1] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 509—511; А. Трачевский, Наполеон I, первые шаги и Консульство. М., 1907, გვ. 293—294.

„სამშვიდობო“ ინიციატივის უშედეგობამ პირველ კონსულს მკვეთრად შეუმცირა ის დრო, რომელიც მას მტრებთან ახალი ბრძოლისათვის საჭირო მზადებისათვის უნდა გამოეყენებინა. მაგრამ დროის მოკლე მონაკვეთში მან მაინც შესძლო წესრიგში მოეყვანა არმია და იგი ავსტრიის წინააღმდეგ საბრძოლველად გაემზადებინა.

საფრანგეთის ბურჟუაზიის საგარეო პოლიტიკური გეგმების ბედი, რომლის რეალიზაციაც პირველ კონსულ ნაპოლეონ ბონაპარტს უნდა მოეხდინა, დიდად იყო დამოკიდებული რუსეთის პოზიციაზე. ავსტრიის დამარცხება, მისი ომიდან გამოყვანა და იტალიის პლაცდარმის კვლავ უკან დაბრუნება, როგორც ამ გეგმის პირველი ამოცანა, ჩვენი აზრით, მარტო სამხედრო ღონისძიებებით ვერ გადაწყდებოდა. საბრძოლო იარაღთან ერთად საჭირო იყო თვით დიპლომატიური იარაღის შომარჯვება და მისი მეშვეობით რუსეთის გზიდან ჩამოშორება. ნაპოლეონ ბონაპარტისათვის კარგად იყო ცნობილი რუსეთის დიდი სამხედრო ძალა (1799 წლის კამპანია ხომ ამის შესანიშნავი დამადასტურებელი ფაქტი იყო) და ამ ქვეყნის როლი ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში. რუსეთის სრული ჩამოცილება ყოფილი მოკავშირეებისაგან და მასთან დაახლოება, ინგლისთან და ავსტრიასთან ბრძოლაში მისი იარაღად გამოყენება, აი რა სერიოზული ამოცანა დაისვა პირველი კონსულის წინაშე დიპლომატიურ დარგში 1800 წლის დასაწყისიდან. ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის მას უნდა მოეკიდა ხელი იმ ღონისძიებების პარალელურად, რაც სამხედრო დარგში უნდა ჩაეტარებინა მანამდე, სანამ დასახული სტრატეგიული გეგმის რეალიზაციას შეუდგებოდა. „რუსეთის საკითხი“, რუსეთთან შემდგომი ურთიერთობის საკითხი კონსულობის მთავრობის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიური საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავ საგნად იქცა უკვე 1799 წლის დასასრულიდან.

ცნობილია, რომ ნაპოლეონ ბონაპარტი დასახული მიზნების მისაღწევად არ ერიდებოდა არავითარ საშუალებებს—„წესიერს“ და უწესოს. იგი, ისე როგორც ბევრი მისი პოლიტიკური წინამორბედი და მემკვიდრე „...წარმატებით იყენებდა თავის საგარეო პოლიტიკაში ინტრიგებსაც, მოტყუებასაც, სიმუხთლესაც, მლიქვნელობასაც, მხეცობასაც, მოსყიდვასაც, მკვლელობასაც და ცეცხლწაკიდებასაც“ (ი. სტალინი). მრავალფეროვანი იყო ის ხერხები და

---

[1] ი. ბ. სტალინი, ენგელსის სტატიაზე „რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკა“, „კომუნისტი“, 1941 წლის 28 მაისი.

საშუალებები, რომლებიც მან გამოიყენა რუსეთის მიმართ დასახული ამოცანის სისრულეში მოსაყვანად.

მაგრამ კონსულობის მთავრობის ახალი ორიენტაცია ყოფილი მოწინააღმდეგის, რუსეთის მიმართ მარტო მოხაზული სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებებით როდი იყო განპირობებული. საფრანგეთის მთავრობის მიერ რუსეთის მიმართ ახალი პოლიტიკური კურსის აღება ხმელთაშუა ზღვის აუზში მომხდარი ცვლილებებითაც იყო გამოწვეული. ეგვიპტის ექსპედიციის სრულმა მარცხმა და მალტის ბლოკირებამ ინგლისელების მიერ ჩაშალა ის გეგმები, რასაც საფრანგეთი ახლო აღმოსავლეთის მიმართ ისახავდა. ნაპოლეონ ბონაპარტი იძულებული იყო ეცნო ეს მისთვის მეტად არასასურველი ფაქტი და აქედან სათანადო დასკვნა გაეკეთებინა. ძველი პოზიციების უკან დაბრუნებამდე ამ აუზში მას ფიქრიც არ შეეძლო იმის შესახებ, რომ წარმატებით გადაწყვეტდა საფრანგეთის ბურჟუაზიის მისწრაფებებს აღმოსავლეთის საკითხში. ეს კი, თავის მხრივ, შეუძლებელი იყო რუსეთთან ახალი ურთიერთობის დამყარების გარეშე. მაშასადამე, რუსეთთან დაახლოებას, მასთან შეთანხმებაზე კურსის აღებას, საფრანგეთის ახალ მთავრობას უკარნახებდა ახალი ვითარების აღმოცენება ახლო აღმოსავლეთში.

ნაპოლეონ ბონაპარტი იმდენად დიდად აფასებდა რუსეთთან დაახლოებას და მასთან საერთო ენის გამონახვას, რომ ამ მიზნის მისაღწევად იგი მზად იყო ხელი აეღო თურქეთისადმი საფრანგეთის ძველ ტრადიციულ „მეგობრობაზე" და თურქეთის იმპერიის გაყოფის თაობაზე გარიგება დაედო რუსეთთან. რღვევის პროცესში მყოფი ოტომანთა იმპერია, რომელიც მაშინ რუსეთის მოკავშირე და საფრანგეთის მოწინააღმდეგე იყო, ის მსხვერპლი (ზვარაკი) უნდა ყოფილიყო, რომლის საფასურადაც საფრანგეთის ახალი ხელისუფლება იმედოვნებდა რუსეთთან დამეგობრებას[1].

---

[1] პირველი კონსულის ნაპოლეონ ბონაპარტის რუსეთის მიმართ აღებული ამ ახალი პოლიტიკური კურსის შესახებ საყურადღებო ახრს გამოთქვამს ფრანგი ისტორიკოსი ე. ბურჟუა. იგი წერს, რომ მას შემდეგ, რაც მარცხი განიცადა ნაპოლეონის ხელმძღვანელობით მოწყობილმა აღმოსავლეთის ლაშქრობამ და მისმა ცდამ კვლავ მოეწყო ასეთი ლაშქრობა, იძულებული გახდა იგი ახალი მეთოდი მოეფიქრებინა და რუსეთთან ომის ნაცვლად მასთან თურქეთის დაყოფის თაობაზე გარიგებაზე აეღო გები. იხ. E Rourgeois. Manuel historique étranger . , t II, Paris, 1926. გვ 212. ჩვენი ახრით, საკმაოდ ყურადსაღებია ფრანგი ისტორიკოსის მოტანილი შეხედულება. იგი მის კარგ აღღოზე მეტყველებს.

თუ გავითვალისწინებთ რუსეთ-საფრანგეთის არსებულ ურთიერთობას და ევროპაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, შეიძლება დავასკვნათ, რომ საკმაოდ რთული და ძნელად გადასაწყვეტი იყო საფრანგეთის მხრივ რუსეთთან დაახლოების ამოცანა. პირველ კონსულისაგან ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვდა დიდ უნარს და დიპლომატიურ მოხერხებას. დასაძლევი იყო ის ფრანგოფობური სულისკვეთება, რომელმაც ღრმად გაიდგა ფესვები რუსეთის ფეოდალური არისტოკრატიის რიგებში საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისა და რევოლუციური ომების შედეგად. დასაძლევი იყო აგრეთვე საფრანგეთის მზარდი აგრესიის, კერძოდ ეგვიპტის ექსპედიციის შედეგად რუსეთის ცარიზმის მესვეურებში ფეხმოკიდებული შიში და სიძულვილის გრძნობა ახალი საფრანგეთის მიმართ. დაბოლოს დასაძლევი იყო აგრეთვე რუსეთ-საფრანგეთის დაპირისპირება იტალიისა და გერმანიის საკითხებში.

ნაპოლეონ ბონაპარტმა მთელი სერიოზულობით მოჰკიდა ხელი რუსეთთან დაახლოების საქმეს და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მომენტიდანვე იგი თავის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში დააყენა. სხვადასხვა დიპლომატიური ხერხებისა და მეთოდების ოსტატური შეხამებით მან შესძლო გარდატეხის მოხდენა რუსეთთან ურთიერთობაში და ნიადაგი მოამზადა მასთან მჭიდროდ დაახლოებისათვის[1]. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება გავიზიაროთ ისტორიკოს ტატიშჩევის შეხედულება იმის შესახებ, რომ, თითქოს, კონსულობის მმართველობის პირველ პერიოდში არც საფრანგეთში და მით უფრო არც რუსეთში სერიოზულად არ ფიქრობდნენ ურთიერთდაახლოებაზე[1]. ტატიშჩევი ამ მოსაზრებას არ ასაბუთებს, ამავე დროს იგი აშკარად მცდარია, კერძოდ იმ ნაწილში, რომელიც საფრანგეთის პოზიციას ეხება. პირველმა კონსულმა ნაპოლეონ ბონაპარტმა, როგორც უკვე აღვნიშნავდით, თავისი საგარეო პოლიტიკური გეგმის შემუშავებისთანავე მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო რუსეთის საკითხს და საჭიროდ სცნო მიეღწია მკვეთრი შემობრუნებისათვის რუსეთთან ურთიერთობაში.

ვინაიდან საფრანგეთსა და რუსეთს შორის ფორმალურად ჯერ კიდევ არ იყო ლიკვიდირებული ომის მდგომარეობა და არ იყო აღდგენილი დიპლომატიური ურთიერთობა, საფრანგეთის პირველმა კონსულმა გადადგა ისეთი ნაბიჯები, რომელთა ამოცანა

---

[1] Tatistcheff, დასახ. ნაშრ., „La Nouvelle Revue", 1887, ტ. 49, გვ. 233.

იყო პეტერბურგის სამეფო კარის გულის მოგება, საფრანგეთთან დაახლოების მომხრე თავკაცების რიცხვის გამრავლება და უფრო ეფექტური დიპლომატიური ნაბიჯებისათვის ნიადაგის მომზადება.

ამ მიმართულებით ნაპოლეონ ბონაპარტის მიერ გადადგმული ნაბიჯებიდან აღსანიშნავია: ინგლისელების მიერ გარემოცული მალტის შეთავაზება პავლე I-სათვის, როგორც მალტის ორდენის დიდი მაგისტრისათვის, რუსი ტყვეების განთავისუფლება და მათი სამშობლოში დაბრუნება თავიანთი დროშებით და ახალი ტანისამოსით; მალტიდან წამოღებული „ლეგენდარული" მახვილის საჩუქრად გაგზავნა პავლე I-სათვის[1]; რუსეთის იმპერატორის გულის მოსაგებად „გულთბილი" წერილის გაგზავნა პეტერბურგში, მოსერხებული დიპლომატიური ნაბიჯების გადადგმა ბერლინში, კოპენჰაგენსა და სხვა სატახტო ქალაქებში. აღნიშნულმა ნაბიჯებმა მნიშვნელოვანი ნაყოფი გამოიღო. ამან შეუწყო ხელი ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში არსებული ფიცხი მასალის შესუსტებას, ყისულის გადნობას, პეტერბურგის სასახლეში გამეფებული ანტიფრანგული განწყობილების შენელებას, რუსეთ-საფრანგეთის დაახლოებას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საფრანგეთის პირველი კონსულის ნაპოლეონ ბონაპარტის აღნიშნული ნაბიჯები რუსეთის მიმართ დასაწყისშივე უშედეგოდ დამთავრდებოდა და ამ ქვეყნების ურთიერთობაში მობრუნება არ მოხდებოდა, რომ საფრანგეთში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებებისა და ევროპაში შექმნილი ახალი ვითარების ზეგავლენით თვით რუსეთის სამეფო მთავრობის განწყობილებაში არ მომხდარიყო სათანადო ცვლილება და ამით არ მომზადებულიყო პირობები საფრანგეთთან ურთიერთობაში მობრუნებისათვის.

თერმიდორის სახელმწიფო გადატრიალება საფრანგეთში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, რომელმაც, ჩვენი აზრით, შეასუსტა რუსეთის ცარიზმის მესვეურთა ანტიფრანგული განწყობილება, ზედმეტი გახადა დაცვით-მონარქისტული პრინციპის გამოყენება ამ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში და შექმნა პირობები მათი დაახლოებისათვის. რუსეთის ფეოდალური არისტოკრატიის მმართველი ზედაფენის ერთმა ჯგუფმა და თვით პავლე პირველმა ჯეროვნად შეაფასეს თერმიდორის სახელმწიფო

---

[1] ამ მახვილის შესახებ იხ. A. Lefebvre, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

გადატრიალების აქტი და ის მოსალოდნელი ცვლილებები, რომლებიც მას უნდა მოჰყოლოდა როგორც საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისე ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობაში. 18 ბრიუმერის აქტში ნათ დაინახეს საფრანგეთის რევოლუციის უკანასკნელი ნაშთის ლიკვიდაციისა და მონარქიის რესტავრაციის აშკარა ნიშნები.

გრაფი თ. ვ. როსტოპჩინი, რომელიც მაშინ რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის ფაქტიური ხელმძღვანელი იყო და ამდენად პავლე I-ის მრჩევლად ითვლებოდა საგარეო პოლიტიკის საკითხებში, მალე გამოეხმაურა ნაპოლეონ ბონაპარტის მიერ მოხდენილ სახელმწიფო გადატრიალებას საფრანგეთში. თავის 1799 წლის 22 ნოემბრის წერილში ს. რ. ვორონცოვისადმი მან პოლიტიკურ ამბებში გარკვევის კარგი ალღო გამოავლინა და სწორი შეფასება მისცა ამ გადატრიალებას და მის შესაძლო შედეგებს. მე ვფიქრობ,—წერდა იგი ამ წერილში,—ბონაპარტი ან ლეიერ კრომველის მსგავსი იქნება, ანდა ახალ მეფეს მისცემს საფრანგეთსო. ისეთი ტიპის ადამიანი, როგორიც იგი არის, არასოდეს არ დაჯერდება მეორეხარისხოვანი როლის შესრულებას, არ მოისურვებს სიეიესის ან სხვა ვისიმე იარაღი იყოს და თვითმპყრობელურ მმართველობას განიზრახავსო [1].

ასეთსავე აზრს ავითარებს იგი 1799 წლის 23 ნოემბერს სუვოროვისადმი გაგზავნილ წერილშიც, სადაც ისევ ვარაუდობს: თუ ბონაპარტი ცოცხალი დარჩა, იგი ან კრომველობას მოიწადინებს, ან მეფის ტახტზე აიყვანს ვისმეო [2].

თ. ვ. როსტოპჩინის მოტანილ წერილებიდან ნათლად გამოსჩვივის, რომ იგი და მისი სახით პეტერბურგის თავადაზნაურული არისტოკრატიის ერთი ნაწილი დარწმუნებული იყო, რომ თვრამეტი ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალების აქტი და ნაპოლეონ ბონაპარტის განდიდება თავის ლოგიკურ ფინალამდე მივიდოდა და მონარქიის რესტავრაციით დამთავრდებოდა. პირველმა კონსულმა ბონაპარტმა, მართლაც შეასრულა დროებით საფრანგეთის კრომველის როლი, მაგრამ მან არ მოისურვა ვისიმე იარაღი ყოფილიყო, უარი თქვა სიეიესობაზე და თვით მონკის როლზე და თავის თავს გაუკაფა გზა იმპერატორის ტახტისაკენ.

---

[1] Архив князя Воронцова, ტ. 8, გვ. 269—270

[2] „Теперь весьма важно знать, какой оборот возьмет новое республиканское правление и чего захочет Бонапарте, если оставят его в живых; из двух он верно изберет одно: быть Кромвелем или возвесть на престол короля....". იხ. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 658, 70-ე შენიშვნა.

რუსეთის სამეფო კარზე. ამასთან ერთად, სწორად ივარაუდეს, რომ ახალი ვითარება საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში გავლენას მოახდენდა ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, მკვეთრად შეასუსტებდა რუსეთის იმპერიის სოციალური სისტემისათვის საფრანგეთის რევოლუციის შედეგებით წარმოშობილ საფრთხეს და მით ბიძგს მისცემდა მობრუნებას რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში.

იმ საუბრიდან, რომელიც პავლე I-ს ჰქონდა უფრო მოგვიანებით, 1800 წლის 3 სექტემბერს, დანიის ელჩ როზენკრაცთან, ცხადი ხდება, რომ თვით რუსეთის იმპერატორიც კარგად ერკვეოდა საფრანგეთში მომხდარი პოლიტიკური გადატრიალების არსში და ნაპოლეონის ხელისუფლების ევოლუციის პერსპექტივებში. ახლა ამ ქვეყანაში,—განაცხადა მან ამ საუბრისას,—მოკლე დროში აღდგება მეფის ხელისუფლება, თუ სახელით არა, არსებითად მაინც, რაც ცელის ვითარებას[1]. რუსეთის თვითმპყრობელმა მონარქმა კარგად დაინახა, რომ გენერლის სამხედრო დიქტატურის დამყარების შედეგად საფრანგეთმა დაკარგა რევოლუციის კერის როლი და იგი დაადგა მონარქიის რესტავრაციის გზას. „მეთევზე მეთევზეს შორიდან ხედავსო“, იტყვიან. პავლე I-მა ნაპოლეონ ბონაპარტში დაინახა საფრანგეთის მომავალი თვითმპყრობელი ხელისუფალი. ამას არ შეიძლება არ განეწყო იგი ახალ საფრანგეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის სასარგებლოდ, პირადად ნაპოლეონ ბონაპარტთან დაახლოების სასარგებლოდ[2].

1799 წლის კამპანიის შედეგებმა და ეგვიპტის ექსპედიციის მარცხმა ახალი ვითარება შექმნა ევროპის მატერიკსა და ხმელთაშუა ზღვის აუზში, რამაც ჩვენი აზრით, აგრეთვე გავლენა მოახდინა რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაზე და ბიძგი მისცა ახალი ვითარების შექმნას ამ ქვეყნების ურთიერთობაში.

რუსეთ-თურქეთის თავდაცვითი კავშირის მოქმედებაში შესვლამ, ნაპოლეონის ექსპედიციის კრახმა ეგვიპტეში და რუსების

---

[1] Н. Шильдер, Император Александр Первый, ტ. I, გვ. 196.

[2] ინგლისის ელჩის უიტორტის ცნობით, ნაპოლეონის „სათნოება“ (добродетели) საუბრის საყვარელ თემად იქცა პავლე I-ის ახლობელთა რიგებში. ჰერცოგ სერა-კაპრიოლის ცნობით, ნაპოლეონმა დაჩრდილა პეტერბურგის სასახლეში თუგუტი, პაველ უფრო და უფრო ეჭცეოდა არკოლისა და პირამიდების გმირის მიმზიდველ გავლენის ქვეშ. იხ. К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 434. ფრანგი ემიგრანტი გენერლის დიუმურიეს მიღებისას პავლე I დადებითად იხსენიებს ნაპოლეონ ბონაპარტს და მტკიცედ მიიჩნევს მის ეროვნულ ხელისუფლებას. იქვე. გვ. 435.

მიერ იონიის კუნძულებზე ფეხის მოკიდებამ ძალთა ახალი განწყობა შექმნა ხმელთაშუა ზღვის აუზში. ამ ახალმა ვითარებამ მკვეთრად შეასუსტა ის საფრთხე, რომელიც შეიქმნა რუსეთის ინტერესებისათვის ახლო აღმოსავლეთში 1797—1798 წლებში. ამ საფრთხის შენელებამ არსებითად ბოლო მოუღო ერთ-ერთ მთავარ ფიცხ მასალას რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში, რითაც განაწყო პეტერბურგის სამეფო კარი საფრანგეთთან დაახლოების სასარგებლოდ. იგივე უნდა ითქვას ახალი ვითარების შესახებ ევროპის კონტინენტზე. ის საფრთხე, რომელიც შეიქმნა რუსეთის პოზიციებისათვის 1798 წელს, 1800 წლისათვის აქაც მკვეთრად შენელდა სუვოროვის სახელგანთქმული ოპერაციების შედეგად, რამაც ლიკვიდაცია უყო იმ ეტაპზე საფრანგეთის ბაზებს იტალიაში და ბოლო მოუღო მათ ბატონობას ამ ქვეყანაში.

ამგვარად, სერიოზული საფრთხე, რომელიც საფრანგეთის რესპუბლიკის აგრესიამ შეუქმნა რუსეთის ეკონომიურ-პოლიტიკურ და სამხედრო ინტერესებს და პოზიციებს ევროპის კონტინენტსა და ხმელთაშუა ზღვის აუზში, საგრძნობლად შესუსტდა და იქ ძალთა ახალი განლაგება დამყარდა, ამით კი შეიქმნა პირობები მობრუნებისათვის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში.

ამდენად, რუსეთის საგარეო პოლიტიკის ბორიგი ახალი ორიენტაცია, და საფრანგეთთან დაახლოებაზე გეზის აღება, ჩვენი აზრით, არ იყო მოულოდნელი, შემთხვევითი და არაკანონზომიერი მოვლენა, იგი, ამასთან ერთად, არ წარმოადგენდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის არათანამიმდევრობის, პავლე I-ის ტინიანობის, მისი სუბიექტური ნების მორიგ გამოხატულებას. ეს მობრუნება მოამზადა წინამორბედმა პროცესებმა ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში. კონკრეტულად ამ მობრუნების პირობამდელი ფაქტორები იყო: რუსეთ-ავსტრიის და ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობათა უკიდურესად გამწვავება, ახლო აღმოსავლეთში რუსეთის ინტერესებისათვის მორიგი საფრთხის წარმოშობა ინგლისის მხრივ მის მიერ მალტაზე პრეტენზიის გამოცხადების გამო, რუსეთის ინტერესისათვის საფრანგეთის აგრესიის საფრთხის შემცირება ინგლისელთაგან მალტის გარემოცვის, ეგვიპტის ექსპედიციის კრახის, იონიის კუნძულებზე რუსეთის სამხედრო მმართველობის დამყარებისა და ფრანგების იტალიიდან განდევნის შედეგად, თვრამეტი ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალება საფრანგეთში და მის შედეგად ამ ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში მომხდარი რადიკალური ცვლილება.

რევოლუციამდელი რუსი და საზღვარგარეთელი ისტორიკოსებიც შეეცადნენ პასუხი გაეცათ ამ საკითხზე და მიეთითებინათ იმ მოტივებზე, რომელთაც შექმნეს პირობები ახალი მობრუნებისათვის რუსეთსა და საფრანგეთს შორის. მაგრამ მსოფლმხედველობის შეზღუდულობამ და მცდარმა მეთოდოლოგიურმა საფუძვლებმა საშუალება არ მისცეს მათ ჯეროვანი პასუხი გაეცათ აღნიშნულ საკითხზე. რუსეთის სამეფო კარის, კერძოდ პავლე I-ის კურსის შეცვლას საფრანგეთის მიმართ და მის შედეგად მასთან დაახლოებაზე გეზის აღებას ისინი უკავშირებენ სუბიექტურ ფაქტორებს, ცალკეულ პიროვნებათა განწყობილებას, ცვლილებას საგარეო საქმეთა კოლეგიაში და სხვ. ამ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი (ა. ტიერი, ა. ვანდალი) რუსეთ-საფრანგეთის დაახლოებას, რუსეთის ცარიზმის მობრუნებას საფრანგეთისადმი ხსნის იმ უდიდესი მომჯადოებელი გავლენით, რომელიც, თითქოს ნაპოლეონ ბონაპარტმა მოახდინა აღგზნებად და ცვალებადი ხასიათის მქონე რუსეთის იმპერატორ პავლე I-ზე. მათი აზრით, ბონაპარტის ეს მომაჯადოებელი ზეგავლენა იმდენად დიდი იყო, რომ მან იმპერატორს ხელი ააღებინა საფრანგეთის მიმართ მტრობაზე [1]. ასევე სუბიექტური მოტივებით ხსნიან რუსეთის სამეფო კარის მობრუნებას საფრანგეთის მიმართ კ. ვალიშევსკი და „Mémoires...“-ის გამომცემლები. ვალიშევსკი დიდ როლს ანიჭებს თ. ვ. როსტოპჩინის მიერ ნ. პ. პანინის შეცვლას საგარეო საქმეთა კოლეგიაში და როსტოპჩინის დიდ გავლენას იმპერატორზე. იგი, ამასთან ერთად, პავლე I-ის გადაწყვეტილებას—დაახლოებოდა საფრანგეთს, ისეთივე ნაჩქარევ და მოუფიქრებელ ნაბიჯს უწოდებს, როგორც თავის დროზე კოალიციაში ჩაბმას [2]. რაც შეეხება „Mémoires...“-ის გამომცემლებს, ისინი პავლეზე ამ მიმართულებით ზემოქმედების მომხდენთა შორის როსტოპჩინთან ერთად გრაფ კუტაისოვსაც ასახელებენ, თანაც როსტოპჩინს და კუტაისოვს, რომელნიც ენერგიულად მოითხოვდნენ საფრანგეთთან დაახლოებას, ბონაპარტის აგენტების მოსყიდულებად მიიჩნევენ [3].

კლერიკალური მიმდინარეობის რუსი ისტორიკოსები მოროშკინი და კარნოვიჩი ძალზე გადაჭარბებულად აფასებენ იეზუიტთა საქმიანობას რუსეთში, კერძოდ პეტერბურგში, ძალზე აზვიადებენ

---

[1] А. Тьер, დასახ. ნაშრ., ტ. 2, ნაწ. III, გვ. 76; А. Вандаль, Наполеон и Александр I, т. I, СПБ., 1910, გვ. II.

[2] К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 433, 444.

[3] იხ. „Mémoires...“ ტ. 7, გვ. 427—428.

მათ გავლენას პირადად პავლე I-ზე და სასახლის გავლენიან წრეებზე. ისინი განსაკუთრებით უსვამენ ხაზს რუსეთში მცხოვრებ იეზუიტთა „ბელადის" პატრი გრუბერის აქტიურ საქმიანობას, და იმ როლს, რომელსაც იგი, მათი აზრით, ასრულებდა სასახლეში. მან, თითქოს, დიდი გავლენა მოახდინა პავლე I-ზე. მოტანილი აქვთ რა ზოგიერთი შეუმოწმებელი ცნობა, ხსენებული ავტორები დაასკვნიან: პატრი გრუბერი ნაპოლეონ ბონაპარტის მითითებებით და ჩაგონებებით მოქმედებდა რუსეთში და მის ფაქტიურ ფასიან აგენტს წარმოადგენდა; მან წარმატებით შეასრულა ბონაპარტის დავალება და დაარწმუნა პავლე I, რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების სასურველობაში. პავლეს და ნაპოლეონის დაახლოება, ამგვარად, მათ მღვდლის ანაფორაში შენიღბული უცხოელი აგენტის, პატრი გუბერის საქმიანობის წარმატებად მიაჩნიათ [1].

დასასრულ, ზოგიერთი ისტორიკოსი, უმთავრესად საზღვარგარეთიდან, ფიქრობს, რომ მთავარი გარემოება, რომელმაც რუსეთის სამეფო კარს და პირადად პავლე I-ს შეაცვლევინა თავისი პოზიცია საფრანგეთის ზიმართ და მიიყვანა იგი საფრანგეთთან დაახლოების გადაწყვეტილებამდე, იყო ნაპოლეონის ბრწყინვალე გამარჯვება ავსტრიელებზე მარენგოსთან (1800 წლის 14 ივნისს). ასე ფიქრობს, მაგალითად, ფრანგი ისტორიკოსი ლუი მადლენი [2].

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია სავსებით უგულებელყოთ როგორც მარენგოსთან-ფრანგების ბიერ ავსტრიელებზე მოპოვებული გამარჯვების როლი, ისე სხვა მსგავს გარემოებათა როლი რუსეთის საგარეო პოლიტიკის კურსის შეცვლაში საფრანგეთის მიმართ. ასევე არ შეგვიძლია ჩვენ ნაწილობრივ არ დავეთანხმოთ იმ ისტორიკოსებსაც, რომლებიც ხაზს უსვამენ იმ სერიოზული ბრძოლის ფაქტს, რასაც ადგილი ჰქონდა პეტერბურგის სასახლის არისტოკრატიის ანგლოფილურ და მის მოწინააღმდეგე დაჯგუფებას შორის მომავალი პოლიტიკის საკითხში საფრანგეთის მიმართ [3]. ნაწილობრივ ანგარიშგასაწევია ის შეხედულებაც, რომ-

---

[1] М. Морошкин, დასახ. ნაშრ., გვ. 379—380; Е. Карнович, დასახ. წერილი, „Отечеств. записки", 1877, ტ. 8, გვ. 332.

[2] იხ. L. Madelin, Le Consulat et l'Empire, 1789—1809, გვ 87.

[3] ისტორიკოსი ტრაჩევსკი, მაგალითად, აღნიშნავს თ. ვ. როსტოპჩინის და ნ. პ. პანინის დაჯგუფებათა შორის მძაფრ ბრძოლას საფრანგეთისადმი დამოკიდებულების საკითხში, რაც როსტოპჩინის დაჯგუფების გამარჯვებით დამთავრდა. იხ. Tratchevski, L'empereur Paul et Bonaparte..., „Revue d'histoire diplomatique", 1889, № 2, გვ. 285.

ლის თანახმად ცვლილებამ საგარეო საქმეთა კოლეგიაში და მისი ფაქტიური ხელმძღვანელობის თ. ვ. როსტოპჩინის ხელში გადასვლამ აგრეთვე გარკვეული როლი შეასრულა პავლე I-ის მთავრობის ახალი საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავებაში. დასასრულ, არ შეიძლება უარვყოთ ის საქმიანობა, რომელსაც რუსეთში მყოფი იეზუიტები და მათი სულიერი „მამა" პატრი გრუბერი აწარმოებდნენ თავიანთი უშუალო „სასულიერო მისიის" პარალელურად სათანადო სახელმწიფოების დაკვეთით. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ნაპოლეონ ბონაპარტი არავითარი საშუალებისაგან უკან არ იხევდა და ყოველგვარ წესიერ და „უწესო" მეთოდებს მიმართავდა იმისათვის, რომ თავისი ესა თუ ის საგარეო პოლიტიკური ჩანაფიქრი სისრულეში მოეყვანა. გამორიცხული არ არის, რომ ნაპოლეონი სხვა ნაბიჯებთან ერთად, რომლებიც მან გადადგა რუსეთთან დაახლოების მიზნით, შეეცდებოდა გამოეყენებინა რუსეთში მყოფი კათოლიკე მღვდლები და კერძოდ იეზუიტები პავლე I-ზე ზემოქმედების მოსახდენად.

მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ აქსესუარებისათვის ხაზის გასმაა და არა მოვლენის არსში, მის სიღრმეში ჩაწვდომა. ის, რასაც აღნიშნული ავტორები წინა პლანზე აყენებენ და რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების მთავარ მოტივებად ასახელებენ, არსებითად ამ დაახლოების გამაპირობებელი ფაქტორების მოქმედების გამოვლენას, მათ ანარეკლს წარმოადგენს.

რომ არ ყოფილიყო ჩვენს მიერ ზემომოხაზული გარემოებები, რომ თვით გარკვეულ საერთაშორისო და საშინაო ვითარებას არ შეეშზადებინა ნიადაგი მობრუნებისათვის რუსეთის საგარეო პოლიტიკასა და რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში, მაშინ, ალბათ, თ. როსტოპჩინი ვერ მოიპოვებდა წამყვან როლს რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში, ნაპოლეონის „მომაჯადოებელი" ზემოქმედება პავლე I-ზე უშედეგოდ დამთავრდებოდა, სასახლის ფავორიტები და პატრი გრუბერი ვერ „შეაცვლევინებდნენ" პავლეს საგარეო პოლიტიკურ კურსს და სხვ. აღნიშნულის გამო, დასახელებულ ავტორთა შეხედულებანი ვერ იძლევიან მოცემული საკითხის ახსნას, ისინი ვერ უპასუხებენ ისტორიული კვლევაძიების თანამედროვე მოთხოვნებს და, ძირითადში, მიუღებლად უნდა იქნენ ცნობილნი.

2. რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების სიმპტომები. მოლაპარაკება ზეთანხმების შესახებ

მართალია, თვრამეტი ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალებას, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კეთილგანწყობილად შეხვდა რუსეთის სამეფო კარი და მან ხელი შეუწყო პავლე I-ის მთავრობის შემობრუნებას საფრანგეთის მიმართ, მაგრამ რუსეთს არ ეკუთვნოდა ამ შემობრუნების ინიციატივა და არც პირველი ნაბიჯები გადაუდგამს მას ამ მიმართულებით. ასეთი ინიციატივა საფრანგეთის მთავრობიდან გამომდინარეობდა. მანვე გადადგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯები რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის მისაღწევად და მასთან დასაახლოებლად[1].

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტალეირანმა მოხსენებით ბარათში ბონაპარტისადმი ერთ-ერთმა პირველმა ჩამოაყალიბა რუსეთთან დაახლოების საჭიროება, თანაც მოხაზა ამ დაახლოების შესაძლო გზებიც[2]. ეს მოხსენებითი ბარათი, რომელიც ჩვენი აზრით, თვით ნაპოლეონ ბონაპარტის დავალებით იყო შედგენილი, 1799 წლის დასასრულს ეკუთვნის. იგი შედგენილია მაშინ, როდესაც მეორე ანტიფრანგული კოალიცია ფორმალურად კვლავ განაგრძობდა არსებობას და რუსეთში საფრანგეთის მიმართ მობრუნების ტენდენცია ჯერ კიდევ არ იყო გამოვლენილი. ტალეირანი თვით კისრულობდა ხელი შეეწყო რუსეთთან დაახლოების საქმისათვის, კერძოდ იგი ფიქრობდა ამ მიზნისათვის გამოეყენებინა პეტერბურგში მყოფი მისი მეგობარი ფრანგი ემიგრანტი შუაზელ გუფიე (Choiseul Gouffier)[3].

სათანადო მასალების უქონლობა ჩვენ საშუალებას არ გვაძლევს იმპერატიული დასკვნა გავაკეთოთ და ვამტკიცოთ, რომ ნაპოლეონ ბონაპარტი გამოეხმაურა ტალეირანის მოხსენებით ბარათს და გზიზიარა მის მიერ შეთავაზებული პრაქტიკული წინა-

---

[1] ჩვენ ვფიქრობთ, ტალეირანს ან მეხსიერება ღალატობს, ან იგი ისტორიულ ფაქტებს აყალბებს, როდესაც თავის მემუარებში რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების და სათანადო მოლაპარაკების ინიციატივას პავლე I-ს, რუსეთის მთავრობას მიაწერს. იხ. Талейран, Мемуары..., გვ. 263. სინამდვილეში ასეთი ინიციატივა ყველა შემთხვევაში ნაპოლეონ ბონაპარტისაგან გამომდინარეობდა. რუსეთთან დაახლოება ხომ მისი საგარეო პოლიტიკური გეგმების ფოკუსში იყო მოთავსებული.

[2] იხ. Сб. РИО. ტ. 70, გვ. 650—651, 44-ე შენიშვნა.

[3] ტალეირანის ეს ვრცელი მოხსენებითი ბარათი მოტანილი აქვს ა. ტატიშჩევს ჩვენს მიერ დასახელებულ წერილში. იხ. „La Nouvelle Revue", 1897, ტ. 49, გვ. 759—761.

დადება. მაგრამ საკარაუდოა, რომ ბონაპარტმა პრინციპში მიიღო მოხსენებით ბარათში გატარებული აზრი რუსეთთან დასაახლოებლად პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმის სასურველობის შესახებ. ამაზე ჩვენ მიგვითითებს ის განსაკუთრებული აქტივობა, რომელიც გამოიჩინა პირველმა კონსულმა 1800 წლის დასაწყისიდან, რათა რუსეთთან დაახლოების სასურველობის აზრი სინამდვილედ ექცია.

პროფესორ ა. ტრაჩევსკის მიერ საფრანგეთის არქივებიდან ამოკრებილი მასალები, რაც მოცემული პერიოდის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობას შეეხება, ნათელს ჰფენს იმ მრავალფეროვან საქმიანობას, რომელიც ამ მიმართულებით აწარმოვა კონსულობის ხელისუფლებამ. მან პრუსიაში, დანიაში, ესპანეთში, თურქეთში და ა. შ. აკრედიტებულ ფრანგ დიპლომატებს მითითება მისცა მოესინჯათ ნიადაგი რუსეთთან დასაახლოებლად სათანადო მთავრობათა მეშვეობით.

ის გარემოება, რომ დირექტორიის დროს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში თავმოყრილი იყო რუსეთთან დაახლოების პროექტები (გიუტენის, დორფლანის, დარნეილის, დესოლის, სულავის და სხვების), ზოგიერთ ისტორიკოსს, მაგალითად, ვალიშევსკის აძლევს საბუთს დაასკვნას: ბონაპარტს არაფერი ახალი არ მოუგონია, მან მხოლოდ ძველი პროექტები გამოიყენა და მათ სახე შეუცვალაო[1]. მართლაც, თუ დავუშვებთ, რომ ნაპოლეონ ბონაპარტმა ძალაუფლების დაუფლების შემდეგ მართლაც გამოიყენა სათანადო პროექტები, მაინც ვერ გავიზიარებთ აზრს იმის შესახებ, რომ ამ პროექტების გავლენით გამომუშავდა ნაპოლეონში რუსეთიდან დაახლოების იდეა. ნაპოლეონ ბონაპარტს, რომელიც უშუალოდ წარმართავდა საგარეო პოლიტიკის კურსს და დიპლომატიურ საქმიანობას და პირადად ღებულობდა სათანადო გადაწყვეტილებებს, არ დასჭირდებოდა სხვისაგან ესესხა რუსეთთან დაახლოების საჭიროების იდეა. ის ახალი საგარეო პოლიტიკური კურსი, რომელიც საფრანგეთის ბურჟუაზიის ინტერესების შესატყვისად ნაპოლეონის ხელმძღვანელობით შემუშავდა, ცხადია, შეიცავდა რუსეთთან დაახლოების აუცილებლობის იდეასაც.

ყველაზე მეტ იმედებს ნაპოლეონ ბონაპარტი პრუსიის მთავრობაზე ამყარებდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ პრუსიის მთავრობა იკისრებდა მომრიგებლის როლს და ხელს შეუწყობდა საფრანგეთის დაახლოებას რუსეთთან. ამიტომ სავსებით გასაგებია

---

[1] К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 447—449.

ის დიპლომატიური აქტივობა, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ ამ მიმართულებით პარიზსა და ბერლინში გააჩაღა.

რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის თაობაზე ტალეირანს და თვით ნაპოლეონ ბონაპარტს 1800 წლის იანვარ-მარტში რამოდენიმე საუბარი ჰქონდათ პრუსიის მთავრობის პარიზელ ელჩ სანდოზთან. ამ საუბრის დროს მათ პრუსიის ელჩს თხოვეს ეცნობებინა თავისი მთავრობისათვის, რომ საფრანგეთის მთავრობას სურვილი აქვს დაუახლოვდეს რუსეთს და პრუსიის მთავრობას სთხოვს ხელი შეუწყოს მას ამ განზრახვის წარმატებაში [1].

დასახული მიზნის მისაღწევად კონსულობის მთავრობამ უფრო ადრე ასეთივე ენერგიული დიპლომატური საქმიანობა გააჩაღა ბერლინში. გარდა იმისა, რომ ეს ფუნქცია დაეკისრა საფრანგეთის საქმეთა რწმუნებულს ბერლინში, მოტოს, ამავე მიზნით ბერლინში მივლინებულ იქნა ნაპოლეონ ბონაპარტის ნდობით აღჭურვილი პირი გენერალი დიუროკი (ბონაპარტის ადიუტანტი) [2]. ზოგიერთი ავტორის ცნობით, ნაპოლეონის ნდობით აღჭურვილი პირის მისია ბერლინში წარმატებით დამთავრდა, და პრუსიის მეფემ ვალდებულება იკისრა ხელი შეეწყო საფრანგეთ-რუსეთის დაახლოებისათვის [3]. მაგრამ ეს შეხედულება კონკრეტული ფაქტებით არ დასტურდება. ის წყაროები, რომლებიც ასახავენ პრუსია-საფრანგეთის ურთიერთობას მოცემულ პერიოდში („Mémoires...“-ის და Bailleu-ს კრებულებში თავმოყრილი მასალები და სხვ.) არ იძლე-

---

[1] ნაპოლეონ ბონაპარტმა პირადად განუცხადა სანდოზს, რომ პრუსიის მეფე დიდ სამსახურა გაუწევს საფრანგეთს, თუ ის მოარიგებს ამ ქვეყანას რუსეთთან. ამ სამსახურის გაწევის ანგარიშში ნაპოლეონი მნიშვნელოვან ჯილდოს ჰპირდებოდა პრუსიას მომავალი სამშვიდობო ხელშეკრულების დადების დროს. იხ. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2. გვ. 517. მოგვარიგეთ ჩვენ პავლესთან.. ამით კარგ სამსახურს გამიწევთ მე. რომლისთვისაც მადლიერი ვიქნებიო—ეუბნებოდა ნაპოლეონი პრუსიის მთავრობის წარმომადგენელს. იხ. A. Tьer, დასახ. ნაშრ., ტ. 1, გვ. 145. ამ შეხედურების შესახებ დეტალურ ცნობებს იძლევა თვით პრუსიის ელჩი სანდოზი თავის რელაციებში პრუსიის მეფის ფრიდრიხ-ვილჰელმ III-სადმი 1800 წლის იანვარსა და მარტში. იხ. Tatistcheff, დასახ. ნაშრ., „La Nouvelle Revue“, 1887. ტ. 49, გვ. 758—761, 776—778.

[2] იქვე. ტ. 49, წ. 1—2, გვ. 52; იხ. აგრეთვე კრიეუდენერის დეპეშები ნ. პანინისადმი 1799 წლის 19/30 ნოემბრის, 26 ნოემბრის (7 დეკემბრის) და 27 დეკემბრის (1800 წლის 7 იანვრის) თარიღებით. Архив ВПР, ф. „Сношения России с Пруссией“, д. 548, лл. 82—84.

[3] Tatistcheff, დასახ. ნაშრ., გვ. 53—54.

ვიან ასეთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას. ჩვენი აზრით, გარეგნული პომპის მიუხედავად ბერლინში მაშინ თავდაჭერილად შეხვდნენ პირველი კონსულის თხოვნას მედიაციის თაობაზე. მართალია, დიუროკს სიტყვიერი დაპირება მიეცა, მაგრამ პრაქტიკული ნაბიჯები დაპირების სარეალიზაციოდ პრუსიის მთავრობას იმ დროს არ გადაუდგამს. ამ ჩვენს მოსაზრებას ისიც ადასტურებს, რომ ნაპოლეონ ბონაპარტი იძულებული იყო დამატებითი ღონისძიება განეხორციელებინა, რათა წინ წაეწია ეს საქმე და გაეძლიერებინა ზემოქმედება პრუსიის მთავრობაზე. ამიტომ იყო, რომ მან სათანადო ზონდაჟი ევროპის სხვა სატახტო ქალაქებშიც განახორციელა.

პრუსიის მთავრობაზე უფრო ეფექტური ზემოქმედების მოსახდენად და რუსეთთან დაახლოების თაობაზე დაწყებული მოლაპარაკების გასაგრძელებლად ნაპოლეონ ბონაპარტმა ბერლინში სრულუფლებიანი წარმომადგენლის რანგით მიავლინა ცნობილი გენერალი ბერნონვილი (Bernonville) და აღჭურვა იგი სათანადო ინსტრუქციებითა და რწმუნებებით [1].

ბერნონვილის ბერლინში ჩასვლის მომენტისათვის (ბერლინს იგი 1800 წლის იანვარში ჩავიდა) რუსეთსა და პრუსიას შორის უკვე აღდგენილი იყო ნორმალური ურთიერთობა, თუმცა ოფიციალური დიპლომატიური წარმომადგენლები მათ შორის ჯერ კიდევ არ იყვნენ დანიშნულნი [2]. რუსეთის მხრივ ამ ფუნქციას არაოფიციალურად ასრულებდა ნ. პ. პანინის პირადი მეგობარი, ბერლინში „უბრალო მოგზაურის“ სახით მივლინებული დიპლომატი ბარონი კრიუდენერი. ეს უკანასკნელი თავის რელაციაში პავლე I-სადმი (1800 წლის 21 იანვრის/1 თებერვლის თარიღით) იძლევა ცნობას ბერნონვილის ბერლინში ჩასვლისა და მისი მისიის შესახებ [3].

ბერნონვილი, როგორც თვითონ გადმოგვცემს ტალეირანისადმი 1800 წლის 28 იანვარს გაგზავნილ წერილში [4], უკეთესი პატივით და ყურადღებით იქნა მიღებული ბერლინში, ვიდრე „მეფის მკვლელი“ სიეიესი [5]. ამავე ფაქტს ხაზს უსვამს ბაილეც, რომელ-

---

[1] ф. Мартенс, დასახ. კრებ., ტ. 6, გვ. 264.

[2] იქვე, გვ. 266.

[3] Архив ВПР, ф. "Сношения России с Пруссией", д. 553, лл. 15—16.

[4] К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 451—452.

[5] Архив ВПР, ф. „Сношения России с Пруссией". д. 553, лл. 11—12.

მაც გამოაქვეყნა 1795—1807 წლების საფრანგეთ-პრუსიის ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტები[1].

საფრანგეთისა და პრუსიის მთავრობებს შორის წარმოებული დიპლომატიური მოლაპარაკება, როგორც აღვნიშნავდით, მხედველობიდან არ გამოჰპარვია რუსეთის არაოფიციალურ წარმომადგენელ კრიუდენერს. 1800 წლის 16/27 იანვრის რელაციაში კრიუდენერი აუწყებდა რუსეთის იმპერატორს: ბონაპარტი ლამობს შეურიგდეს რუსეთს და პრუსიის მთავრობას სთხოვს იკისროს სათანადო მედიაციის მისია ხოლო პრუსიის მეფე თანახმაა დაკმაყოფილოს საფრანგეთის პირველი კონსულის თხოვნა და იკისროს შეთავაზებული მისია[2].

რუსეთის სამეფო კარი, გაბოროტებული ავსტრიის და ინგლისის ვერაგობით და ეგოიზმით, ერთგვარი კმაყოფილებით შეხვდა ბერლინიდან მიღებულ ცნობას საფრანგეთის პირველი კონსულის აღნიშნული განზრახვის შესახებ. ეს კმაყოფილება კარგად არის გამოხატული იმ რეზოლუციებში, რომლებიც პავლე I-მა წააწერა კრიუდენერის აღნიშნულ რელაციაზე. „რაც შეეხება საფრანგეთთან დაახლოებას,— წერდა იგი,—ძლიერ კმაყოფილი ვიქნები, თუ ეს ქვეყანა მომმართავს მე ამის თაობაზე, განსაკუთრებით ავსტრიისათვის დასაპირისპირებლად“.

პრუსიის მინისტრ ჰაუგვიცს (პრუსიის მეფის დავალებით) საფრანგეთის პირველი კონსულის თხოვნის შესახებ 1800 წლის მარტში საუბარი ჰქონდა კრიუდენერთან[3]. მაგრამ ამ უკანასკნელმა ცივად მოისმინა ჰაუგვიცის საუბარი, კონკრეტული პასუხისაგან თავი შეიკავა და რუსეთის იმპერატორისაგან სათანადო რწმუნების უქონლობა მოიმიზეზა. თუმცა პრუსიის მინისტრს მან აღუთქვა, რომ საუბრის შინაარსს პეტერბურგის მთავრობას აცნობებდა[4].

საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ბერნონვილმა სცადა საფრანგეთ-რუსეთის დაახლოების შესა-

---

[1] Bailleu, Preussen und Frankreich..., ტ. I. გვ. LV.

[2] Д. Милютин. დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 517.

[3] კრიუდენერმა ამ დროისათვის უკვე მიიღო ოფიციალური დიპლომატიური წარმომადგენლის რწმენება ბერლინში და დრეზდენში. Ф. Мартенс, დასახ. კრებ., ტ. 6, გვ 269.

[4] იხ. კრიუდენერის 1800 წლის 18 თებერვლის (1 მარტის) რელაცია პავლესადმი. Архив ВПР, ф. „Сношения России с Пруссией“, д. 653, лл. 39—40; აგრეთვე ნ. პანინის 1800 წლის 2 მარტის წერილი ს. ვორონცოვისადმი. Архив князя Воронцова, ტ. 11, გვ. 102—104.

ხებ უშუალო მოლაპარაკება გაეჭართა კრიუდენერთან, მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა. კრიუდენერმა ზედმეტად მიიჩნია რაიმე ურთიერთობა ჰქონოდა იმ სახელმწიფოს წარმომადგენელთან, რომელთანაც რუსეთი ჯერ კიდევ ომის მდგომარეობაში იმყოფებოდა[1].

ამგვარად, პირველ ხანებში საფრანგეთის დიპლომატიის აქტივობას ბერლინში ნნიშვნელოვანი წარმატება არ ჰქონია; რუსეთთან დაახლოების „წამოწყება" მკვდარი წერტილიდან არ დაძრულა.

ამიტომ იყო, რომ საფრანგეთის მთავრობამ რუსეთთან დაახლოების განზრახვის წინ წასაწევად ბერლინთან ერთად ჰამბურგი და კოპენჰაგენიც გამოიყენა. სათანადო საქმიანობას აქ სათავეში ჩაუდგა საფრანგეთის ახალი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჰამბურგსა და დანიაში ბურგუენი (Bourgoins)[2].

ბურგუენი ნაპოლეონ ბონაპარტს და ტალეირანს წერდა: მომენტი ხელსაყრელია რუსეთთან დაახლოების განზრახვის სისრულეში მოსაყვანად; რუსეთში კეთილსასურველად არიან განწყობილნი საფრანგეთის მთავრობის ინიციატივისადმი და თუ თქვენ რუსეთის მთავრობას მიმართავთ სამშვიდობო წინადადებით, პავლე I მას აუცილებლად გამოეხმაურება და შემხვედრ ნაბიჯს გადადგამსო[3].

პარიზში ყურადღება ბურგუენის ეს ცნობა, ნაპოლეონ ბონაპარტმა საჭიროდ მიიჩნია ჰამბურგშიც მოესინჯა ნიადაგი რუსეთთან დასაახლოებლად. ტალეირანი 1800 წლის 8 ივნისის წერილში ბურგუენისადმი—ალბათ, ნაპოლეონ ბონაპარტის დავალებით,—ამ უკანასკნელს სწერს: რადგან ბერლინი არაფერს არ იძლევა, შეიძლება თუ არა ჰამბურგის მეშვეობით, სადაც ამდენი ხალხი გაიკლის, გამოინახოს ხელსაყრელი გზა?[4].

---

[1] Архив князя Воронцова, ტ. II, დასახ. წერილი, გვ 102—103.

[2] საფრანგეთის ამ დიპლომატიის ჰამბურგში ჩასვლის შესახებ ცნობას იძლევა რუსეთის რეზიდენტი ჰამბურგში მურავიოვ-აპოსტოლი. იგივე იძლევა ბურგუენის დახასიათებას. მურავიოვ-აპოსტოლს, კერძოდ, აშფოთებს ის გარემოება, რომ ბურგუენი—ლეი XVI-ის ყოფილი ელჩი ჰამბურგში,—1800 წლის დასაწყისისათვის ისევ მოეკლინა ამ ქალაქს უკვე რესპუბლიკის ელჩის რანგით და თავს ისე გრძნობდა, თითქოს არაფერი არ მომხდარიყოს და არაფერი არ შეცვლილიყოს ამ დროის განმავლობაში. იხ. მურავიოვ-აპოსტოლის 1800 წლის 16/28 მარტის რელაცია პავლე I-სადმი, „Русский архив", 1912, № 11, გვ. 396.

[3] Сб. РИО, ტ. 70, ა. ტრაჩევსკის წინასიტყვაობა, გვ. XVI.

[4] К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 455—456.

პირველმა კონსულმა ნაპოლეონ ბონაპარტმა კარგად იცოდა, რომ რუსეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის შესაცვლელად დიდი მნიშვნელობა ქონდა პირადად იმპერატორ პავლე I-ის განწყობას საფრანგეთთან დაახლოების სასარგებლოდ. ამ მიზნის მისაღწევად კი საჭირო იყო მისი გულის მოგება სათანადო აქციის გზით. ნაპოლეონ ბონაპარტმა არ დააყოვნა ასეთი ნაბიჯის გადადგმა. მან პირველ ყოვლისა, პავლეს საჩუქრად გაუგზავნა მალტის აღების დროს იქიდან წამოღებული „ლეგენდარული მახვილი", რომლითაც თავის დროს პაპი ლეო X-ს მალტის სასულიერო ორდენის ერთ-ერთი დიდი მაგისტრი დაუჯილდოებია დამსახურებისათვის. შემდეგ, მან სიტყვიერად მაინც განაცხადა, რომ იგი მზად არის კუნძული მალტა დაუთმოს რუსეთის იმპერატორს, როგორც მალტის ორდენის დიდ მაგისტრს [1]. დასასრულ, ნაპოლეონ ბონაპარტმა გადაწყვიტა გაენთავისუფლებინა საფრანგეთში მყოფი 6000 რუსი ტყვე, ახალი ტანისამოსით შეემოსა ისინი, დაებრუნებინა მათთვის საბრძოლო დროშები, ოფიცრებისათვის—იარაღი და გაეგზავნა ისინი თავიანთ სამშობლოში, რუსეთში [2].

მაგრამ მარტო ასეთი „კეთილშობილური" ნაბიჯების გადადგმა არ კმაროდა. საჭირო იყო მიღებული გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანა და სათანადო ცნობის გაგზავნა პავლე I-სათვის. მაგრამ ვინაიდან საფრანგეთ-რუსეთს შორის არავითარი ოფიციალური ურთიერთობა არ არსებობდა, პირველმა კონსულმა საჭიროდ მიიჩნია პირდაპირი წერილით მიემართა „რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრისათვის", რომელიც გამოაქვეყნა გაზეთ „მონიტერში". ეს წერილი კი პანინს იმპერატორისათვის გასაცნობად უნდა გაგზავნოდა ბურგუენის მეშვეობით.

ასეთი ხასიათი ჰქონდა იმ დიპლომატიურ დოკუმენტს (1800 წლის 7/19 ივლისის თარიღით), რომლის ავტორი იყო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ტალეირანი და რომელიც განკუთვნილი იყო პანინისათვის გასაგზავნად. წერილი შედგენილი იყო ბურჟუაზიული დიპლომატიისათვის დამახასიათებელი პირფერობითა და ცბიერებით. წერილში ტალეირანი ხაზს უსვამდა რუსეთის ყოფილი მოკავშირეების ინგლისის და ავსტრიის ვერაგობა-მუხანათობას რუსეთის მიმართ, იმ ქვეყნის მიმართ, რომელმაც, პირველი კონსულის თქმით, ამდენად ბევრი გააკეთა მათთვის.

---

[1] Сб. РИО, ტ. 70, გვ. XVI.

[2] К. Военский, „Бонапарт и русские пленные..., ეტერბურგ, 1907, стр. 4—6.

აღნიშნავდა რა, პირველი კონსულის აღტაცებას რუსეთის კარის გმირობით და მამაცობით და მისსავე განცვიფრებას ინგლისელთა უსამართლობით რუსი და ფრანგი ტყვეების გაცვლის საქმეში, ტალეირანი აუწყებდა პანინს: პირველმა კონსულმა გადაწყვიტა გაათავისუფლოს ვერაგი მოკავშირეების მიერ მიტოვებული მამაცი რუსი ტყვე მხედრები და ბრძანება გასცა საფრანგეთში მყოფი 6000 რუსი ტყვე, გაცვლის გარეშე, ყველა სამხედრო ღირსებით დააბრუნოს რუსეთში, ამასთან დაკავშირებით შემოსოს ისინი ახალი ტანსაცმლით და მისცეს მათ ახალი იარაღი და თავიანთი დროშები. დასასრულ, ტალეირანი თხოვდა პანინს ეცნობებინა მისთვის, ისიც დაჩქარებით, თუ რომელი გზით სურდა რუსეთის იმპერატორს თავისი ჯარის უკან დაბრუნება[1].

აღნიშნული წერილი ტალეირანმა გაუგზავნა საფრანგეთის წარმომადგენელს ჰამბურგში ბურგუენს, რათა მას რუსეთის წარმომადგენლის მეშვეობით იგი პეტერბურგს გადაეგზავნა. მაგრამ ბურგუენმა ვერ მოახერხა მურავიოვთან დაკავშირება და მისთვის პეტერბურგში გადასაგზავნი წერილის გადაცემა. მურავიოვმა, რომელსაც სასტიკად ჰქონდა აკრძალული რაიმე ურთიერთობის დაჭერა საფრანგეთის წარმომადგენლებთან, ძალზე შორს დაიჭირა თავი და არა თუ თავი შეიკავა ბურგუენთან შეხვედრისაგან, არამედ ზედმეტად ჩათვალა წერილის მიღებაც კი[2].

იმის გამო, რომ ჰამბურგის გზით პეტერბურგში წერილის გადაგზავნის განზრახვას წარმატება არ მოჰყოლია[3], ტალეირანმა გადაწვიტა სხვა საშუალებით მიეწვდინა ხმა პეტერბურგისათვის. ამ მიზნისათვის მან გამოიყენა ტყვე რუსი ოფიცერი მაიორი სერ-

---

[1] ამ წერილის სრული ტექსტი იხ. Сб. РИО. ტ. 70, გვ. 1—3; К. Восинский, დასახ. ნაშრ., გვ. 8—9.

[2] მართალია ბურგუენმა წერილი დაუტოვა მურავიოვის მეკარეს, მაგრამ მურავიოვმა ეს წერილი დაუბრუნა ბურგუენის მიერ მითითებული მისამართით. ამასთანავე მურავიოვმა ასეთი შინაარსის პატარა ბარათი გაუგზავნა საფრანგეთის ხსენებულ წარმომადგენელს: „Не имея права входить в сношения с г. Дела-Круа (ბურგუენის მიერ მოგონილი სახელი იყო—ვ. დ.), без особых на то полномочий, мы находим еще менее возможным, взять на себя передачу письма...“ იხ. მურავიოვის 1800 წლის 20 ივლისის (1 აგვისტოს) რელაცია პავლესადმი. Архив ВПР. ф. „Сношения России с Гамбургом“, д. 331, лл. 53—54; „Русский архив“, 1912, № 11, გვ. 399—400; К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 458—459.

[3] თუმცა მურავიოვმა მაინც აცნობა პეტერბურგის მთავრობას ბურგუენის ინტრიგებისა და პანინის სახელზე პარიზიდან წერილის მიღების შესახებ. იხ. იგივე წყაროები.

გეეეი[1]. იგი გამოყვანილ იქნა ტყვეთა ბანაკიდან და, სათანადო წერილებით აღჭურვილი, გაიგზავნა ბერლინს, რათა იქიდან საჭირო პასპორტის მიღების შემდეგ გამგზავრებულიყო რუსეთში და წერილი დანიშნულებისამებრ ჩაებარებინა. ტალეირანმა მას თან გაატანა მეორე წერილი (1800 წლის 14/26 აგვისტოს თარიღით), რომლითაც იგი პანინს აცნობებდა პირველი კონსულის მზადყოფნას—გაეღო მსხვერპლი მალტის სახით და იგი რუსეთისათვის შეეთავაზებინა[2].

ნ. პ. პანინის საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის მიმდევარმა, საფრანგეთ-რუსეთის დაახლოების სასტიკმა მოწინააღმდეგე კრიუდენერმა[3], ამ შემთხვევაშიაც ზუსტად შეასრულა პანინის დარიგება. მან დააკავა მაიორი სერგეეეი, არ მისცა მას პეტერბურგს გამგზავრების უფლება, ჩამოართვა ტალეირანის წერილები და იგი სასწრაფო წესით გადაგზავნა პეტერბურგს სათანადო ინსტრუქციის მისაღებად[4].

საფრანგეთის პირველი კონსულის „კეთილშობილურმა" ნაბიჯებმა რუს ტყვეთა განთავისუფლებისა და მალტის შეთავაზების სახით, თავისი საქმე გააკეთა. ამას ზედ დაერთო ნაპოლეონის ავსტრიელებზე გამარჯვება მარენგოსთან და რუსეთის ურთიერთობის შემდგომი გამწვავება ავსტრიასთან და ინგლისთან. ყოველივე ამან ბოლო მოუღო რუსეთის სამეფო კარის მერყეობას და განაწყო იგი საფრანგეთთან მორიგების სასარგებლოდ.

კრიუდენერისადმი 1800 წლის 6/18 აგვისტოს თარიღით გაგზავნილ რესკრიპტით პავლე I წინადადებას აძლევდა მას შეხვედროდა საფრანგეთის წარმომადგენელს ბერლინში ბერნონვილს, გადაეცა მისთვის მადლობა რუსი სამხედრო ტყვეების განთავისუფლების განხრახვის გამო და მოლაპარაკება გაემართა მასთან, როგორც ამ ტყვეების სამშობლოში დაბრუნების თაობაზე, ისე ევროპაში მშვიდობიანობის აღდგენის საკითხებზე[5].

---

[1] იგი ბრიგადირ-მაიორად ითვლებოდა გენ. რიმსკი-კორსაკოვის არმიაში და ტყვედ ჩავარდა ციურიხთან ბრძოლის დროს. იხ. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ 525.

[2] Сб. РИО, ტ. 70, გვ. 3—4.

[3] ვ. კოჩუბეის თქმით კრიუდენერი საფრანგეთის რესპუბლიკას უცქეროდა არა როგორც დიპლომატი, არამედ როგორც ფრანგი ემიგრანტი. იხ. Архив князя Воронцова, ტ. 16, გვ. 157; ტ. 8, გვ. 268.

[4] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 525.

[5] იქვე.

1800 წლის 13 სექტემბერს პრუსიის მინისტრ ჰაუგვიცის მეშვეობით, მართლაც, მოხდა კრიუდენერისა და ბერნონვილის შეხვედრა. შეხვედრისას, რუსეთის ელჩმა ბერნონვილს აუწყა, რომ რუსეთის იმპერატორისათვის ცნობილია ტალეირანის წერილის შინაარსი და ბერლინსა და ჰამბურგში გადადგმული დიპლომატიური ნაბიჯები. ელჩებმა განიხილეს რუსი ტყვეების სამშობლოში დაბრუნებისა და ევროპაში მშვიდობის აღდგენის საკითხები, თუმცა რაიმე შეთანხმება-გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა [1].

ტალეირანმა, ბერნონვილის მოხსენების მიღებისთანავე, ვრცელი ინსტრუქცია გაუგზავნა მას [2]. ეს ინსტრუქცია ავალებდა ბერნონვილს ბერლინში რუსეთის წარმომადგენელთან მორიგი შეხვედრისას, პირველ ყოვლისა, რუსი სამხედრო ტყვეების სამშობლოში დაბრუნების საკითხი განეხილა და მხოლოდ ამის შემდეგ მოეკიდა ხელი საერთო პოლიტიკური საკითხების განხილვისათვის. ამ საკითხებზე მოლაპარაკების დროს მას ძირითადად ძველი — თავის დროზე, 1799 წელს, კაიარისათვის გაგზავნილი — ხელშეკრულების პროექტითა და ინსტრუქციებით უნდა ეხელმძღვანელა. ბერნონვილს ძირითადში სადაზვერვო მისია უნდა შეესრულებინა — გაეგო რუსეთის მთავრობის ზრახვები, თვით კი კონკრეტული ვალდებულებების აღებისაგან თავი უნდა შეეკავებინა. მასვე ევალებოდა კრიუდენერთან შეხვედრებისას განსაკუთრებით ხაზი გაესვა ავსტრიისა და ინგლისის შემდგომი დაპყრობითი გეგმებისათვის და მით აემხედრებინა რუსეთი მათ წინააღმდეგ. ბერნონვილს რუსეთის ელჩის ყურადღება უნდა გაემახვილებინა ავსტრიის აგრესიის შეზღუდვის აუცილებლობაზე იტალიაში და მალტის ინგლისელთა ხელში დატოვების შეუძლებლობაზე. საფრანგეთის მთავრობა ამ ინსტრუქციითაც კატეგორიულად უარყოფდა რუსეთის უფლებას, ჩარეულიყო გერმანიისა და იტალიის საქმეებში, მის მისწრაფებას გამოსულიყო არბიტრის როლში საერთო ევროპული ზავის დადების დროს [3].

---

[1] ამ შეხვედრის შესახებ ვრცელ ცნობებს იძლევიან თვით კრიუდენერი და ბერნონვილი თავიანთ მოხსენებით ბარათებში. იხ. Архив ВПР, ф. „Сношения России с Пруссией", д. 553, лл. 155—157; Сб. РИО, т. 70, вв. 655—656.

[2] რესპუბლიკის IX წლის 11 ვანდემიერის თარიღით. Сб. РИО, т. 70, вв. 656—658.

[3] იქვე.

მართალია, რუსეთის წარმომადგენელს ბერლინში კრიუდენერს ნება დაერთო შეხვედროდა საფრანგეთის წარმომადგენელს, მაგრამ მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული კონკრეტული მითითება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ეწარმოებინა ეს მოლაპარაკება და საკითხთა რა წრეს უნდა შეხებოდა იგი. ჩვენი აზრით, სათანადო ინსტრუქციის გაგზავნის დაგვიანება იმით იყო გამოწვეული, რომ პეტერბურგის სამეფო კარს ჯერ კიდევ არ ქონდა გამომუშაკებული ის კონკრეტული პოლიტიკური ხაზი და პლატფორმა, რომლის საფუძველზედაც შეიძლებოდა საფრანგეთის მთავრობასთან მოლაპარაკება ევროპაში მშვიდობიანობის აღდგენის თაობაზე.

რუსეთის სამეფო კარზე და საგარეო საქმეთა კოლეგიაში 1800 წლის ნახევრისათვის ქვეყნის შემდგომი საგარეო პოლიტიკური ბაზის ნიადაგზე თავი იჩინა აზრთა ისეთივე სხვადასხვაობამ, რომელსაც ადგილი ქონდა 1796—1797 წლების მიჯნაზე. ამ ნიადაგზე ისევ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი და დაჯგუფება შეიქმნა. ერთი იყო ფრანგოფობური, საფრანგეთთან დაახლოების შეურიგებელი მოწინააღმდეგე, მეორე—საფრანგეთთან დაახლოების, მასთან საერთო ენის გამონახვისა და ინგლის-ავსტრიის მიმართ მტრული კურსის აღების მომხრე. პირველის მრწამსის ყველაზე მკაფიო გამომხატველი იყო ვიცე-კანცლერი ნ. პ. პანინი, მეორისა—საგარეო საქმეთა კოლეგიის ფაქტიური ხელმძღვანელი თ. ვ. როსტოპჩინი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ორ დაჯგუფებას შორის სერიოზულ შეხლა-შემოხლას ჰქონდა ადგილი. ამაზე მკაფიოდ მეტყველებს როგორც ის საიდუმლო მიწერ-მოწერა, რომელსაც აწარმოებდნენ ნ. პ. პანინი და თ. ვ. როსტოპჩინი თავიანთ მომხრეებთან, ისე ის დიპლომატური ბარათები, რომლებიც ნ. პ. პანინს და თ. ვ. როსტოპჩინს ეკუთვნის. აღნიშნული დიპლომატიური ბარათების ავტორები ლამობდნენ ზეგავლენა მოეხდინათ პავლე I-ზე და დაეყოლიებინათ იგი აღნიშნულ დიპლომატიურ ბარათებში მოხაზულ საგარეო პოლიტიკურ კურსზე.

პირველი დაჯგუფების თვალსაზრისი რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკის მიმართულების და ამოცანების შესახებ უახლესი მომავლისათვის კონკრეტულად და ნათლად ჩამოაყალიბა ნ. პ. პანინმა იმპერატორ პავლე I-სათვის 1800 წლის 9/21 სექტემბრის თარიღით შედგენილ დიპლომატიურ ბარათში [1].

---

[1] Сб. РИО, т. 70, вз. 4—10.

ამ დოკუმენტში ნ. პ. პანინი მუქი საღებავებით აღწერს ავსტრიის მდგომარეობას. იგი ფიქრობს, რომ ფრანგების მხრივ ახალი დარტყმის შემთხვევაში ავსტრიის სამეფოს არ შეუძლია დაიცვას თავი (ამ იმპერიის სამხრეთ ნაწილში და უნგრეთში იგი ხედავს რღვევის ელემენტებს). მისი აზრით, ავსტრიის წინაშე ორი შესაძლებლობაა, ან ფრანგების მიმართ სამარცხვინო ზავზე წასვლა და გამარჯვებულის კანონისადმი დაქვემდებარება, ანდა დაცემა, რასაც მოჰყვება მთელი გერმანიის კონსტიტუციის დანგრევა. როგორც პირველი, ისე მეორე პერსპექტივა („ჰიპოთეზა", როგორც თვითონ წერს) მას მიაჩნია მეტად სახიფათოდ რუსეთის იმპერიისათვის. ამის თავიდან ასაცილებლად იგი ურჩევს პაულეს იარაღს მოჰკიდოს ხელი მანამდე, სანამ მტერი (საფრანგეთი — ვ. დ.) თვით არ მიადგება რუსეთის იმპერიის საზღვრებს და იმპერატორი იძულებული არ გახდება იბრძოლოს თავისი კერისა და ქვეყნის დასაცავად. აღწერს რა იმ სერიოზულ საფრთხეს, რომელიც უნდა მოჰყოლოდა რუსეთისათვის ავსტრიის განადგურებას და საფრანგეთის ჯარების წინსვლას ბოჰემიის გზით აღმოსავლეთისაკენ, მიაქცევს რა მის ყურადღებას ამ მოსალოდნელ არასასურველ პერსპექტივაზე, ნ. პ. პანინი იმპერატორს რჩევას აძლევს ისევ იკისროს ევროპის ბედის გადამწყვეტის მისია, დაეხმაროს ავსტრიას, იხსნას იგი კატასტროფისაგან[1] და ამ კეთილშობილური აქტით იძიოს შური და დასაჯოს ვენის სამეფო კარი. მაგრამ ნ. პ. პანინი ამითაც არ კმაყოფილდება. იგი იმ კონკრეტულ ნაბიჯებზეც მიუთითებს, რომლებიც, მისი აზრით, უნდა გადაედგა რუსეთის იმპერატორს ამ მიმართულებით. მას საჭიროდ მიაჩნდა ავსტრიის მთავრობას წარდგენოდა გარკვეული პირობები (Sine qua non), რომელთა მიღება ამ მთავრობის მიერ რუსეთის დახმარების წინასწარი პირობა უნდა ყოფილიყო. რუსეთ-პრუსიის კავშირის ქომაგ ნ. პ. პანინს, ბერლინში მისი წინანდელი მისიის წარუმატებლობის მიუხედავად, მაინც საჭიროდ და შესაძლებლად მიაჩნდა პრუსიის გამოყვანა ნეიტრალიტეტის მდგომარეობიდან და სათანადო ზემოქმედებით მისი შეიარაღებული მომრიგებლობისაკენ წაქეზება („...побудить прусского короля к вооруженному посредничеству"), რასაც ნ. პ. პანინი უკავშირებდა გარკვეულ ვითარებას ფრონტზე, რუსეთის სამომრიგებლო მისიას და სხვ.[2]

---

[1] Сб. РИО, ტ. 70, გვ. 5—6.
[2] იქვე, გვ. 8.

ნ. პ. პანინის დიპლომატიური ბარათის დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებული იყო ავსტრიის მთავრობისათვის გასაგზავნ მოთხოვნათა მუხლები (სულ ათი მუხლი). ეს მოთხოვნები იყო: ავსტრიის მთავრობის ვალდებულება—არ ეწარმოებინა მოლაპარაკება ზავის შესახებ საფრანგეთთან რუსეთის იმპერატორის მომრიგებლობის გარეშე; მთავარსარდლის მიერ საომარ მოქმედებათა გეგმების შეცვლის შემთხვევაში რუსეთის არმიის სარდლის აუცილებელი ნებართვა; თუგუტის გადადგომა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან; ბავარიის, პიემონტის, ნეაპოლის სამეფოსა და ვიურტემბერგის საჰერცოგოს ხელშეუხებლობა და სხვ.[1]

მოტანილი დიპლომატიური ბარათის შინაარსი, ჩვენი აზრით, საკმაო საბუთს იძლევა დავასკვნათ, რომ იგი ახალს არაფერს არ შეიცავდა და ნ. პ. პანინის ძველი დიპლომატიური დოკუმენტების უბრალო მოდიფიკაციას წარმოადგენდა. ამ ცნობილ რუს დიპლომატს გარკვეული საგარეო პოლიტიკური სისტემა ჰქონდა შემუშავებული და იგი რუსეთის ნაციონალური ინტერესების შესატყვისად მიაჩნდა. ამ საგარეო პოლიტიკურ სისტემასა და კურსს იცავდა იგი ეკატერინე II-ის მეფობის უკანასკნელ წლებში და პაველ I-ის გამეფების დროს, იგივე პოზიცია შეინარჩუნა მან მეორე ანტიფრანგული კოალიციის დაშლის შემდეგაც. თავის დიპლომატიურ ბარათში იგი იმავე თვალსაზრისს და კურსს იცავს, რასაც იცავდა რამოდენიმე წლის წინათ. მართალია, იგი ხედავს იმ ცვლილებას, რომელიც მოხდა ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში 1799—1800 წლების მიჯნიდან, მაგრამ იგი ანგარიშს არ უწევდა ამ ახალ ვითარებას და იქიდან არ გამოჰყავდა გარკვეული დასკვნა. ამიტომ ნ. პანინი საჭიროდ არ თვლიდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის არსებული კურსის შეცვლას და ზედმეტად მიიჩნევდა ახალი კურსის გაშმუშავებას. ამიტომ იგი ისევ ძველ კავშირ-ურთიერთობათა სისტემას იცავდა, ისევ ექომაგებოდა რუსეთ-ავსტრიის ანტიფრანგულ კავშირს, პრუსიასთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის აზრს ქადაგებდა და ახალ ვითარებაშიაც ისევ საფრანგეთი მიაჩნდა რუსეთის საშიშ მტრად და მეტოქედ. აქედან გამომდინარე, მას დაუშვებლად მიაჩნდა მასთან დაახლოება, მასთან მორიგება. ნ. პ. პანინის ეს დიპლომატიური ბარათი, აღნიშნულის გამო, ჩვენ მიგვაჩნია მეორე ანტიფრანგული კოალიციის განვლილი ვითარებისაკენ დაბრუნების მოწოდებად. ევროპაში შექმნილ ახალ ვითარებაში,

---

[1] СБ, РИО, т. 70, გვ. 9—10.

ძველ კავშირ-ურთიერთობათა დაშლის პირობებში, რუსეთის წინაშე, ამასთან დაკავშირებით, ახალი საგარეო პოლიტიკური ამოცანების აღმოცენების ვითარებაში. ნ. პ. პანინის დიპლომატიური ბარათი, ჩვენი აზრით, აშკარა ანაქრონიზმს წარმოადგენდა. ამიტომ სავსებით ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ როგორც ამ ბარათის, ისე თვით მისი ავტორის საეალალო ბედი. სამეფო კარზე ბარათი უარყოფილ იქნა, მის ავტორს კი ვიცე-კანცლერის პოსტი დაატოვებინეს და მოსკოვში თავის მამულში გაგზავნეს [1].

ნ. პ. პანინის დიპლომატიურ ბარათში განვითარებული შეხედულების უარყოფა და მისი ავტორის განთავისუფლება რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის ვიცე-კანცლერობიდან ნიშნავდა, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი მიმართულებისათვის პეტერბურგის სამეფო კარზე წარმოებული ბრძოლა ორ დაჯგუფებას შორის დამთავრდა პანინისა და მისი მომხრეების დამარცხებით [2]. საფრანგეთის წინააღმდეგ ახალი ომის გაჩაღების იმ რჩევის წინააღმდეგ, რომელსაც ნ. პ. პანინი იძლეოდა თავის დიპლომატიურ ბარათში, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: საჭიროდ იქნა ცნობილი საფრანგეთთან ზავისა და ბშვიდობიანობის აღდგენის თაობაზე ბერლინში დაწყებული არაოფიციალური ნოლაპარაკების აქტივიზაცია და მისი გარკვეულ პირობებში შეთანხმებით დამთავრება. პეტერბურგში შესაძლებლად მიიჩნიეს საფრანგეთთან ომამდელი ურთიერთობის აღდგენა, მაგრამ ფრანგების მიერ რუსეთის ინტერესების შესატყვისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პირობებში.

---

[1] ცხადია, ნ. პ. პანინის შერისხვის, ვიცე-კანცლერობიდან განთავისუფლებისა და მისი თავის მამულში გაგზავნის ერთადერთი მიზეზი არ ყოფილა არც მისი დიპლომატიური ბარათი და არც მისი საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია. ამას სხვა (შინაგანი ხასიათის) მოტივებიც ედო საფუძვლად.

[2] საფრანგეთთან დაახლოებისა და მასთან მორიგების კურსის შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო აგრეთვე ამ დროისათვის უკვე შერისხული მეორე ცნობილი რუსი დიპლომატი ს. რ. ვორონცოვი. მაგრამ იგი იყო და დარჩა ანგლომანად, ყოველ პირობებში რუსეთ-ინგლისის მჭიდრო კავშირის მომხრედ. ამას საფრანგეთის მიმართ, ნ. პ. პანინის მსგავსად, არ შეუცვლია თავისი პოზიცია. თვრამეტი ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალების მიუხედავად იგი ისევ დარჩა ამ ქვეყნის დაუძინებელ მტრად. აქედან გამომდინარეობდა მისი პოლიტიკური კურსი: ინგლისთან და ევროპის კონტინენტის სახელმწიფოებთან მჭიდრო კავშირი გაგრძელებულიყო ბრძოლა საფრანგეთის წინააღმდეგ. სწორედ ამ ნიადაგზე აღმოცენდა კონფლიქტი ს. რ. ვორონცოვსა და პაველ I-ს შორის, რომელიც დამთავრდა ამ რუსი დიპლომატის განთავისუფლებით რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლობისაგან ინგლისში.

ამის შესაბამისად კრიუდენერს სათანადო ინსტრუქცია გაეგზავნა ბერლინში, თანაც ნოტის ფორმით შემუშავდა ის წინადადებები, რომელთა მიღებაც საფრანგეთის მიერ რუსეთთან ძველი ურთიერთობის აღდგენის წინასწარი პირობა უნდა ყოფილიყო. ეს ნოტა, რომლის ავტორი იყო საგარეო საქმეთა კოლეგიის ხელმძღვანელი, საფრანგეთთან დაახლოების მომხრე დიპლომატი თ. ვ. როსტოპჩინი, რესკრიპტის დანართის სახით გაეგზავნა კრიუდენერს, მას კი იგი მაიორ სერგეევის მეშვეობით პარიზში უნდა გადაეგზავნა.

აღნიშნული ნოტა, დათარიღებული 1800 წლის 26 სექტემბრით (8 ოქტომბრით), მოკლე შესავლისა და ხუთი მუხლისაგან შედგებოდა. ნოტა რუსეთ-საფრანგეთის მეგობრული ურთიერთობის აღდგენის წინასწარ პირობად მიიჩნევდა: მალტის, ყველა მისი სამფლობელოებით, დაბრუნებას ორდენისათვის, სარდინიის მეფის დამკვიდრებას მის სამფლობელოებში, ორივე სიცილიის მეფის მიწების, ბავარიის კურფიურსტისა და ვიურტემბერგის ჰერცოგის სამფლობელოთა ხელშეუხებლობას [1].

ის ფორმა, რომლითაც ჩამოყალიბებული იყო როსტოპჩინის მიერ შედგენილი ზემომოტანილი ნოტა, ზოგიერთ რუს და საზღვარგარეთელ ისტორიკოსს საბუთს აძლევს მას ულტიმატუმი უწოდოს. ასე ფიქრობს, მაგალითად, პროფ. ა. ტრაჩევსკი [2]. ფრანგი ისტორიკოსი პ. ლანფრე უფრო შორს მიდის და წერს: ამ ნოტით როსტოპჩინმა დიდად დაამცირა ნაპოლეონ ბონაპარტი და მას ისე მოექცა, როგორც შორეული პროვინციის მმართველსო [3].

მიუხედავად იმისა, რომ ეს მოსაზრება გარეგნულად სიმართლის მსგავსია, ჩვენ ჭეშმარიტად ვერ მივიჩნევთ. პირველ ყოვლისა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ ნოტის ავტორი როსტოპჩინი საფრანგეთთან დაახლოებისენერგიული მომხრე იყო. რატომ უნდა მიეცა მას საფრანგეთისათვის გაგზავნილი ნოტისათვის ისეთი გამომწვევი, ულტიმატუმის სახე, რომელიც გააძნელებდა მოლაპარაკებას, ხელს შეუშლიდა დაახლოებას და შეუძლებელს გახდიდა შეთანხმებას. ასეთი განზრახვა, ცხადია, მას არ შეიძლება ჰქონოდა, იგი მისი სა-

---

[1] Сб. РИО, ტ. 70, გვ. 10—11; Ф. Мартенс, დასახ. კრებ., ტ. 13, გვ. 250.

[2] Сб. РИО, ტ. 70, გვ. XX.

[3] P. Lanfrey, Histoire de Napoléon I;er, Paris, 1869, ტ. 2, გვ. 217.

გარეო პოლიტიკური მრწანსის საწინააღმდეგო აქცია იქნებოდა. პირველ კონსულ ნაპოლეონს, რომლის ზოგიერთმა ნაბიჯმა, კერძოდ რუსეთის მიმართ, ამ დროისათვის უკვე დაიმსახურა მოწონება პეტერბურგის სასახლეში, იქ ვერ მოექცეოდნენ ისე, როგორც შორეულ პროვინციის მმართველს, ვერ დაამცირებდნენ მას. პეტერბურგის სამეფო კარის მხრივ ასეთი ნაბიჯის გადადგმა გამართლებული არ იქნებოდა. ვითვალისწინებთ რა ზემოაღნიშნულს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საფრანგეთის მთავრობის წერილის პასუხად პეტერბურგში შედგენილი ნოტა, რომელსაც როსტოპჩინი აწერდა ხელს, წარმოადგენდა რუსეთის მთავრობის თვალსაზრისის ფიქსირებას რუსეთსა და საფრანგეთს შორის მეგობრული ურთიერთობის აღდგენის შესახებ და არა ულტიმატუმის ხასიათის მქონე ნოტას იგი იყო პლატფორმა და ბაზა, რომელიც პაველ I-ის მთავრობის შეხედულებით, საფუძვლად უნდა დადებოდა ბერლინში წარმოებულ მოლაპარაკებას და შეთანხმებას საფრანგეთთან. ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოსათვის თავისი საგარეო პოლიტიკური პლატფორმის გაცნობა, მისთვის გარკვეული პოლიტიკური მუხლების წაყენება შეთანხმების წინასწარი პირობის სახით, ულტიმატუმს როდი წარმოადგენს, მით უფრო მაშინ, როდესაც მათ შორის ჯერ კიდევ არ არსებობს დიპლომატიური ურთიერთობა. ეს ჩვეულებრივი დიპლომატიური ხერხია. მას ხშირად იყენებდნენ სხვადასხვა სახელმწიფოები და იყენებენ დღესაც. საჭიროა გათვალისწინებულ იქნას არა მარტო ნოტის ფორმა, არამედ თვით პოლიტიკური ვითარებაც, რაც ამა თუ იმ დიპლომატიურ დოკუმენტს წარმოშობს. პაველ I-ის მთავრობა, როგორც უკვე იყო აღნიშნული, მართალია, მზად იყო მორიგებოდა საფრანგეთს, მაგრამ მხოლოდ გარკვეული პირობებით. ევროპულ ზავს და ომამდელი ვითარების აღდგენას, საფრანგეთთან შეთანხმების მიღწევას კიდევ უფრო უნდა გაეფართოებინა რუსეთის გავლენა და პოზიციები ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში. როსტოპჩინის ნოტაში კი სწორედ ასეთი პირობები იყო წამოყენებული.

თ. ვ. როსტოპჩინი არ დაკმაყოფილებულა აღნიშნული დიპლომატიური ნოტის შედგენით. პაველ I-ის დავალებით მან მეორე, უფრო მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულა: შეადგინა ვრცელი დიპლომატიური ბარათი, რომელშიც მოცემული იყო საერთაშორისო ვითარების გონებამახვილური ანალიზი და თანაც მოხაზული იყო რუსეთის საგარეო პოლიტიკის მომავალი მიმართულება და ამოცანები. ეს ვრცელი დიპლომატიური ბარათი, რომელიც როსტოპჩინმა 1800 წლის 30 სექტემბერს (12 ოქტომბერს) წარუდგი-

ნა რუსეთის იმპერატორს, ასახავდა საფრანგეთთან დაახლოების მომხრეთა ეჭვალსაზრისს და ჯეროვნად ითვალისწინებდა იმ ცვლილებებს ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობაში, კერძოდ რუსეთის და ევროპის სხვა დიდი სახელმწიფოების ურთიერთობაში, რომლებიც მოხდა 1800 წლის დასაწყისიდან [1]. ამ დროისათვის ინგლისელებმა წარმატებით დააგვირგვინეს მალტის ხანგრძლივი ბლოკადა, აიძულეს საფრანგეთის გარნიზონი კაპიტულაციაზე წასულიყო და ხელთ იგდეს ეს კუნძული. მაგრამ მათ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამ კუნძულზე დამკვიდრების გეზი აიღეს და არაფრად არ ჩააგდეს პავლეს პროტესტი.

დიპლომატიური ბარათის შესავალში თ. ვ. როსტოპჩინი აღნიშნავს, რომ, შეადგინა რა ეს ბარათი იმპერატორ პავლე I-ის განკარგულებით, მას სურდა მოეცა რუსეთის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის ნამდვილი მდგომარეობის სურათი, გამოეთქვა თავისი მოსაზრებები და მოეხაზა ხელსაყრელი საშუალებები რუსეთის დიდებისა და ძლიერების დასაცავად მომავალში [2].

მოხაზავს რა მოკლედ ჩრდილოეთის სახელმწიფოებთან, ჰოლანდიასთან, ესპანეთთან, სარდინიასთან, პორტუგალიასთან, რომის პაპთან და ნეაპოლის სამეფოსთან რუსეთის ურთიერთობის ხასიათს და შესაძლო პერსპექტივებს, დიპლომატიური ბარათის ავტორი შემდეგ ანალიზს უკეთებს თურქეთის, საფრანგეთის, ავსტრიის, პრუსიისა და ინგლისის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობას, მათ საგარეო პოლიტიკას. თურქეთს როსტოპჩინი უწოდებს დაშლის პირამდე მისულ სახელმწიფოს. იგი ფიქრობს, რომ თურქეთის მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები ქვეყნის რღვევის შესაჩერებლად იმ წამალს მიაგავს, რომელსაც აძლევენ სასიკვდილოდ განწირულ ადამიანს, ე. ი. არაეფექტურია და, მაშასადამე, უაზრო და უშედეგო [3]. საფრანგეთიო, წერს იგი,—რომელიც ათი წლის მანძილზე კანონისა და მმართველობის გარეშე იმყოფებოდა, ახლა უცხოელ ბონაპარტის ბატონობას დაექვემდებარა. საფრანგეთის ახალ მბრძანებელს, ძალზე თავმოყვარეს, გა-

---

[1] თ. ვ. როსტოპჩინის ეს დიპლომატიური ბარათი პირველად გამოაქვეყნა В. Каширев-მა კრებულში: „Памятники новой русской истории", т. I, С.-Петербург, 1871, გვ. 102—113, სახელწოდებით: „Картина Европы в начале XIX столетия и отношения к ней России (записки гр. Ф. В. Ростопчина)". ჩვენ ციტირებს ვახდენთ ჟურნალ „Русский архив"-ის 1878 წლის № 1-ში (გვ. 103—110) გამოქვეყნებული ტექსტიდან.

[2] „Русский архив", 1878, № 1, გვ. 103.

[3] იქვე. გვ. 103—104.

ნუსაზღვრელ პატივმოყვარეს და ბედნიერს თავის წამოწყებებში, მისი სიტყვები, რომ ვიხმაროთ, როსტოპჩინი სამშვიდობო მისწრაფებებს მიაწერს. მშვიდობა, მისი აზრით, ნაპოლეონ ბონაპარტს ესაჭიროება თავისი ხელისუფლების განსამტკიცებლად. უნდა აღინიშნოს, რომ როსტოპჩინს კარგად ესმოდა ნაპოლეონ ბონაპარტის საგარეო პოლიტიკის კურსის არსი. მისი აზრით, საფრანგეთის მთავრობას, რომელსაც არ ეშინოდა ინგლისის თავდასხმისა ხმელეთზე, რომელმაც გამოფიტა ავსტრიის ძალები და პრუსია კი თავის გავლენის ქვეშ მოაქცია, მხოლოდ რუსეთის შიში ჰქონდა. ამ შიშმა აიძულა ნაპოლეონ ბონაპარტი, განაგრძობს როსტოპჩინი,—ეძია რუსეთის იმპერატორთან დაახლოება და ამ მიმართულებით სათანადო ნაბიჯები გადაედგა[1]. ეხება რა ავსტრიას და ინგლისს, როსტოპჩინი არ მალავს მათდამი თავის ანტიპათიას და მუქი საღებავებით აღწერს მათ საგარეო პოლიტიკას. იგი ხაზგასმით აღნიშნავს ამ სახელმწიფოთა მთავრობების სიხარბეს, ვერაგობას, დაპყრობით ზრახვებს, მუხანათობას მოკავშირეთა მიმართ და სხვ. ინგლისმა, მისი შეხედულებით, ფულებით, მუქარითა და მზაკვრობით აამხედრა სახელმწიფოები საფრანგეთის წინააღმდეგ, რათა ისინი თავისი ანგარული მიზნებისათვის—მსოფლიო ვაჭრობის მონოპოლიის, ზღვაზე ბატონობის და ახალი ტერიტორიების ხელში ჩაგდებისათვის—გამოეყენებინა[2]. ამჟამადო, განაგრძობს იგი, ვაჭრობის გაფართოების უზრუნველსაყოფად ინგლისსაც მშვიდობა ესაჭიროება; მაგრამ რა მდგომარეობაშიც არ უნდა იმყოფებოდეს იგი, მისი სურვილია საფრანგეთის დაცემა. როსტოპჩინს მხედველობიდან არ გამოჰპარვია ის ფაქტი, რომ ინგლისმა ვითომდა საფრანგეთში გამეფებული ანარქიის მოსპობისა და ბურბონების რესტავრაციის საბაბით დაიწყო ბრძოლა საფრანგეთის წინააღმდეგ და სხვა სახელმწიფოებიც აამხედრა მის წინააღმდეგ, სინამდვილეში კი მან ეს ომი მსოფლიო ვაჭრობის ხელში ჩაგდებისა და ზღვაზე გაბატონებისათვის გამოიყენა, თანაც განიზრახა მალტის და ეგვიპტის ხელში ჩაგდება. პრუსიის შესახებ დიპლომატიურ ბარათში აღნიშნულია, რომ მან პატარა გაბრძოლების შემდეგ ზავი დადო საფრანგეთთან და ამჟამად ახალ ომს გაურბის.

ერთხელ კიდევ უბრუნდება რა ევროპის სახელმწიფოთა მდგომარეობას და მათი პოლიტიკის შესაძლო პერსპექტივებს,

---

[1] „Русский Архив", 1878, № 1, გვ. 104—105.

[2] იქვე, გვ. 105—106.

როსტოპჩინი თავის დიპლომატიურ ბარათში კვლავ ხაზს უსვამს ბონაპარტის მისწრაფებას ეძიოს რუსეთთან დაახლოება, პრუსიის და ავსტრიის პირფერულ ლაქუცს რუსეთის იმპერატორის წინაშე და ინგლისის განზრახვას—შეინარჩუნოს თავისი უპირატესი პოზიცია და თვით ბალტიის ზღვაც კი დაუმორჩილოს თავის ბატონობას [1].

ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკის და ამ სახელმწიფოთა რუსეთისადმი დამოკიდებულების მიმოხილვის შემდეგ, როსტოპჩინი ასკვნის: რუსეთის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს ახალ ორიენტაციას, ახალ საგარეო პოლიტიკურ კურსს, ყოფილი მოკავშირეების თავიდან ჩამოშორებას და რუსეთისათვის უნაყოფო ომის დასრულებას, იმ ომისა, რომლიდანაც მხოლოდ რუსეთი და ავსტრია გამოვლენ დაზარალებულნი, ინგლისი, საფრანგეთი და პრუსია კი, პირიქით, გაფართოვდებიან და გაძლიერდებიან [2]. ამის შემდეგ როსტოპჩინი სახავს ისეთ გზებს, რომლებიც, მისი აზრით, ყველაზე რეალური იყო, უზრუნველყოფდა რუსეთის ნაციონალური ამოცანების განხორციელებას, ამ სახელმწიფოს ყველა სხვა სახელმწიფოზე მაღლა დააყენებდა, თვით პავლეს კი „ყველა იმ ხელმწიფეებზე მაღლა, რომლებიც სიკვდილის შემდეგ უკვდავების ტაძარში ცხოვრობენ“ [3].

ასეთ რეალურ პოლიტიკად მას მიაჩნია თურქეთის იმპერიის დაყოფა საფრანგეთთან კავშირში და მის ხარჯზე გაფართოება (თუმცა იგი არ გამორიცხავს ამ საქმეში ავსტრიის და პრუსიის თანამონაწილეობას). როსტოპჩინის აზრით ყველა ეპოქის და ყველა ტიპის სახელმწიფოს პოლიტიკა და ამოცანა ყოველთვის მეზობლების ხარჯზე თავისი ძალების გაფართოებაში მდგომარეობდა. ასეთი გაფართოება, უმტკიცებს იგი პავლე I-ს, ერთადერთი და ეფექტური საშუალებაა ძლიერთა დასაშინებლად და სუსტთა დასაცავად [4].

თურქეთის დაყოფის გეგმის სისრულეში მოყვანის პირველ პირობად როსტოპჩინს მიაჩნია ბონაპარტთან მჭიდრო კავშირის

---

[1] „Русский Архив“, 1878, № I, გვ. 106.

[2] საფრანგეთის წინააღმდეგ ომში, რომელშიაც, როსტოპჩინის თქმით, რუსეთმა 23000 კაცი დაკარგა, მას არავითარი სარგებლობა არ მიუღია. ეს ომი მხოლოდ იმისათვის წარმოებდა „...чтоб уверить себя в вероломстве Питта и Тугута, а Европу в безсмертии князя Суворова“. „Русский архив“, 1878, № 1, გვ. 107.

[3] იქვე, გვ. 108.

[4] იქვე, გვ. 109.

დამყარება. იგი ფიქრობს, რომ საფრანგეთი მზადაა და მოხარულიც იქნება მონაწილეობა მიიღოს თურქეთის დაყოფაში. სხვა სარგებლობასთან ერთად თურქეთის დაყოფა, როსტოპჩინის აზრით, საფრანგეთისათვის იქნება „...вернейший способ к уничтожению Великобритании и утверждению при общем мире всех завоеваний, Францией сделанных [1].

თურქეთის დაყოფის შემთხვევაში რუსეთს, როსტოპჩინის გეგმით, უნდა მიეღო რომანია, ბულგარეთი და მოლდავეთი, ავსტრიას—ბოსნია, სერბია და ვლახეთი (პავლე I-ის შენიშვნა: „ბევრი არ არის?"), პრუსიას—სათანადო კომპენსაცია ჩრდილო გერმანიაში—ჰანოვერის საკურფიურსტო და პადერნბორის და მიუნსტერის საეპისკოპოსოები. საფრანგეთს,—რუსეთის უშუალო მოკავშირეს—თურქეთის დაყოფისას უნდა მიეღო ეგვიპტე. საბერძნეთი არქიპელაგის ყველა კუნძულით, როსტოპჩინის გეგმით, რესპუბლიკად უნდა ქცეულიყო და მასზე ოთხი დიდი სახელმწიფოს—რუსეთის, ავსტრიის, საფრანგეთის და პრუსიის, „მფარველობა" უნდა დაწესებულიყო [2]. როსტოპჩინი იმედს გამოთქვამდა, რომ შემდეგში ბერძნები რუსეთის პროტექტორატს დაექვემდებარებოდნენ და რუსეთის ტახტის ქვეშევრდომობას მიიღებდნენ.

როსტოპჩინი რჩევას იძლეოდა თურქეთის დასაყოფად საპირო წინასწარი ნაბიჯები ფარულად გადაედგათ და იგი საფრანგეთთან დაახლოებით და ინგლისისათვის ზიანის მიყენებით დაეწყოთ [3].

დასასრულ, როსტოპჩინი ურჩევდა პავლეს—მიენდო მისთვის, როსტოპჩინისათვის, ამ გეგმის რეალიზაცია და ინკოგნიტოდ მიევლინებინა იგი პარიზში, რათა იქ პირველ კონსულს მოლაპარაკებოდა ამ საიდუმლო გეგმის თაობაზე და დაერწმუნებინა იგი მის გონივრულობაში. ნაპოლეონ ბონაპარტისაგან თურქეთის დაყოფის თანხმობის მიღების შემდეგ როსტოპჩინს განზრახვა ჰქონ-

---

[1] „Русский Архив", 1878, № 1, გვ. 109.

[2] იქვე.

[3] Пока сие происходить будет,—წერს იგი.—возьмутся меры против англичан, откроются как их, так и французские расположения на мир и податливость Бонапарта на удовлетворение требований Вашего Императорского Величества" (იქვე, გვ. 110).

და ვენასა და ბერლინს სტუმრებოდა და პრუსიისა და ავსტრიის მთავრობების მესვეურებს მორიგებოდა თურქეთის დაყოფაში მათი თანამონაწილეობის შესახებ [1].

მართალია, პავლე I-მა არ გაიზიარა როსტოპჩინის რჩევა მისი ინკოგნიტოდ საზღვარგარეთ გაგზავნის შესახებ, მაგრამ მან მთლიანად მოიწონა დიპლომატიურ ბარათში გატარებული აზრი და ორი დღის შემდეგ ბარათი ავტორს დაუბრუნა შემდეგი რეზოლუციით: „Апробуя план ваш, желаю, чтобы вы приступили к исполнению оного. Дай Бог, чтобы по сему было“ [2].

როსტოპჩინის ზემომოტანილი ვრცელი დიპლომატიური ბარათი იმ მობრუნების ანარეკლს წარმოადგენდა, რომელიც მოხდა ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკურ ცხოვრებასა და რუსეთის საგარეო პოლიტიკაში მეორე ანტიფრანგული კოალიციის დაშლისა და თვრამეტი ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ. ამდენად იგი, პირველ ყოვლისა, ასახავდა უკვე მომხდარ ცვლილებებს და რუსეთის ახალი დიპლომატიური კურსისა და ორიენტაციის კონსტატაციას წარმოადგენდა.

საბჭოთა ისტორიკოსების ნაწილი ფიქრობს, რომ როსტოპჩინის დიპლომატიურ ბარათს არაფერი ახალი არ შეჰქონდა რუსეთის საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციაში. იგი ახდენდა მხოლოდ იმ შემობრუნების ფიქსაციას, რომელიც ამ დროისათვის უკვე სავსებით განისაზღვრა. ჩვენ არ შეგვიძლია ამ შეხედულების მთლიანად გაზიარება. მართალია ეს დოკუმენტი ასახავს რუსეთის საგარეო პოლიტიკის კურსში მომხდარ ცვლილებას და ახალი საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის ფიქსირებას წარმოადგენს, მაგრამ მისი მნიშვნელობა უფრო შორს მიდის. ჩვენი აზრით, ამ დიპლომატიური ბარათის აპრობაცია პავლე I-ის მიერ ნიშნავდა იმას, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის მომავალი მიმართულების შესახებ თავადაზნაურული არისტოკრატიის რიგებში წარმოებული ბრძოლა დროის იმ მონაკვეთში დამთავრდა საფრანგეთთან შეთანხმების მომხრეთა გამარჯვებით. ამით ბოლო მოეღო დროებით მერყეობას, რასაც ადგილი ჰქონდა რუსეთის სამეფო კარზე საფრანგეთთან შემდგომი ურთიერთობის საკითხში; ამიერი-

---

[1] „Русский архив“, 1878, № 1, გვ. 110.

[2] იქვე.

დან რუსეთის საგარეო პოლიტიკა წარიმართა აღნიშნულ დოკუმენტში მოხაზული პრინციპებისა და გეგმის შესატყვისად. ამდენად ეს ბარათი იქცა მეფის რუსეთის მთავრობის სამოქმედო პროგრამად საგარეო პოლიტიკის დარგში მომავლისათვის. რუსეთი საფრანგეთთან, ინგლისთან და ევროპის სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობას 1801 წლის 11 მარტამდე როსტოპჩინის დიპლომატიურ ბარათში გატარებული თვალსაზრისის შესატყვისად, ახორციელებდა. ამდენად არ შეიძლება უგულებელვყოთ ამ ბარათის გავლენა რუსეთის საგარეო პოლიტიკის შემდგომ მიმართულებაზე უახლოეს მომავალში [1].

როსტოპჩინის დიპლომატიური ბარათის აპრობირებას პავლე I-ის მიერ და რუსეთის საგარეო პოლიტიკის წარმართვას მასში მოხაზული პრინციპების შესატყვისად, მეტი სინათლე შეაქვს რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში იგი შემდგომ ბიძგს აძლევს იმ მობრუნებას, რომელიც უკვე დაისახა რუსეთის პოლიტიკაში საფრანგეთის მიმართ. მის უშუალო შედეგს წარმოადგენდა ბერლინის არაოფიციალური მოლაპარაკების ინტენსიფიკაცია და დამატებითი ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით.

პავლე I-მა ბერლინში წარმოებული მოლაპარაკების დაჩქარებასთან ერთად საჭიროდ სცნო სპეციალური წარმომადგენლის მივლინება საფრანგეთში, რომელსაც უშუალო მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინა საფრანგეთის მთავრობასთან რუსი სამხედრო ტყვეების სამშობლოში დაბრუნების თაობაზე და პრაქტიკულად მოეგვარებინა ეს საქმე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსეთის მთავრობა მის სპეციალურ წარმომადგენელს სხვა არაოფიციალურ და საიდუმლო დავალებასაც, უფრო სერიოზულ დიპლომატიურ მისიასაც დააკისრებდა, კერძოდ, შესაძლოა, რომ მას დავალება მიეცემოდა — შეეტყო თურქეთის დაყოფის თაობაზე საფრანგეთის აზრი (თუმცა სათანადო წყაროები ამ ვარაუდის დასადასტურებლად ჩვენ არ გაგვაჩნია). აღნიშნული მისია რუსეთის სამხედრო სამსახურში მყოფ გენერალ სპრენგპორტენს დაეკისრა [2].

---

[1] ინგლისელი ისტორიკოსი დეიჩი (Deutsch) თუმცა სცნობს როსტოპჩინის დიპლომატიური ბარათის მნიშვნელობას რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში მომბდარი ცვლილების თვალსაზრისით, მაგრამ თვით მის ავტორს, როგორც მოსალოდნელი იყო, უარყოფითად აფასებს. იხ. H. Deutsch, The genesis of Napoleonic imperialism..., Cambridge, 1938, გვ. 19.

[2] რუსეთის სამხედრო სამსახურში მყოფი სკანდინავიელი სამხედრო პირი იოან-ალბერტ ერენსტრემი თავის მემუარებში გადმოგვცემს ფრანგ ემიგრანტ გრაფ დ'ანტრეგის მიერ ნ. პ. პანინისაგან გაგონილ სიტყვებს, რომელიც სპრენგ-

პარიზში მივლინებული სპრენგტპორტენი სათანადო ინსტრუქციით იქნა აღჭურვილი. ამ ინსტრუქციაში ერთი სიტყვაც კი არ იყო ნათქვამი იმ მისიის შესახებ, რაც დაკისრებული ჰქონდა ამ გენერალს. ნაცვლად ამისა, ინსტრუქციაში ხაზგასმული იყო რუსეთის სამშვიდობო მისწრაფება, მისი ბზადყოფნა—მეგობრულად ეცხოვრა საფრანგეთთან. სპრენგტპორტენს ევალებოდა რუსეთის იმპერატორის ეს გრძნობები გაეცნო საფრანგეთის მინისტრებისათვის. საერთო ევროპული ზავის დადების შესახებ ინსტრუქცია რაიმე კონკრეტულ ფუნქციას სპრენგტპორტენს არ ავალებდა, ამიტომ ძნელია თქმა: ჰქონდა თუ არა მას საერთოდ ასეთი ხასიათის დავალება [1].

ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: პატივმოყვარე გენერალმა სპრენგტპორტენმა გადაწყვიტა არ შემოფარგლულიყო ინსტრუქციით აღჭურვილი უფლებებით და უფრო მეტი როლი შეესრულებინა პარიზში.

რუსეთის „საგანგებო ელჩის“ ეს მისწრაფება მხედველობიდან არ გამოჰპარვიათ პარიზში. საფრანგეთის მთავრობამ ბერნონვილის მეშვეობით ჩქარა დაუმზადა პასპორტები სპრენგტპორტენსა და მის თანმხლებ პირებს, რომლებიც დროებით ბერლინში შეჩერდნენ (კრიუდენერთან). ბელგიასა და სხვა სანაპირო ზონის სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალნი საგანგებოდ იქნენ გაფრთხილებული საზეიმო შეხვედრა მოეწყოთ მათთვის [2].

ტპორტენის პარიზში გაგზავნას ეხება. პანინის სიტყვებიდან ჩანს, რომ პავლე I-ს თავის დროზე მისთვის მიუმართავს კითხვით, თუ ვინ გამოდგებოდა პარიზში გასაგზავნად? პანინს ასეთი შეკითხვის პასუხად ისეთი კანდიდატები დაუსახელებია, რომლებიც იმპერატორ პავლე I-ს არ მოსწონებია. რამოდენიმე დღის შემდეგ, როდესაც პავლე I-ს უკვე შეურჩევია სათანადო კანდიდატი, მას ასეთი კითხვით მიუმართავს პანინისათვის: „ამჟამად მე გადავწყვიტე ერთ-ერთი გენერალი გავგზავნო პარიზში, გამოიცანი ვინ არის იგი?“ პანინს ვერ გამოუცანია ეს გენერალი და პავლე I-ს თვით დაუსახელებია სპრენგტპორტენის სახელი, რასაც, თითქოს, პანინის განცვიფრება გამოუწვევია. მაშინ პანინის განცვიფრების საპასუხოდ რუსეთის იმპერატორს უთქვამს: „თქვენ გაკვირვებული ხართ, ხომ მართალია? თქვენ ვერასოდეს ვერ გამოიცნობდით? თქვენ ჩვენი არჩევანი გაკვირვებთ, მაგრამ მე ვიქცევი სწორედ ისე, როგორც საჭიროა, როცა მოღალატეს ვაგზავნი უზურპატორთან“. იხ. Исторические записки действительного статского советника Иоанна-Альберта Эренстрема, „Русская старина“, 1893, ტ. 79, გვ. 263—264.

[1] Сб. РИО, ტ. 70, გვ. 11—12; Tratchevski, L'empereur Paul et Bonaparte, „Revue d'histoire diplomatique“, 1889, № 2, გვ. 286.

[2] ჯერ კიდევ საფრანგეთის სახღვრამდე არც კი იყო მისული სპრენგტპორტენი, როცა იგი პარიზიდან ბრიუსელში მის შესახვედრად ჩასულ ფრანგ გენერალ კლარკს არწმუნებდა: მართალია, ამჟამად სათანადო რწმუნება არ გამაჩნია,

საფრანგეთის პირველი კონსულის განკარგულება—„მეფური“ შეხვედრა მოეწყოთ სპრენგტპორტენისათვის—გადაჭარბებით იქნა შესრულებული. გზაში—ბრიუსელში, საზღვარზე—და თვით საფრანგეთის ტერიტორიაზე, კერძოდ პარიზში, სადაც იგი მიწვეულ იქნა პირველ კონსულთან აუდენციაზე (1800 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში, ძვ. სტილით), ზეიმით ხვდებოდნენ რუსეთის წარმომადგენელს. ასეთმა შეხვედრებმა თავბრუ დაასხეს სპრენგტპორტენს და ყალბი წარმოდგენა შეუქმნეს მას როგორც საფრანგეთის ხელისუფლების მესვეურთა შესახებ, ისე მათ საგარეო პოლიტიკის მიმართულებაზე [1].

პირველმა კონსულმა ნაპოლეონ ბონაპარტმა და ტალეირანმა სპრენგტპორტენთან შეხვედრისას რუსეთის წარმომადგენელს უმთავრესად იმ საკითხების გარშემო გაუმართეს საუბარი, რის შესახებაც მას ოფიციალურად სათანადო რწმუნება არ გააჩნდა. ეს საკითხები იყო: ევროპული მშვიდობიანობის აღდგენა, საფრანგეთ-რუსეთის მომავალი ურთიერთობის პერსპექტივები, ინგლის-ავსტრიის ვერაგული პოლიტიკა რუსეთის მიმართ და სხვ. ისინი ყოველმხრივ არწმუნებდნენ მას საფრანგეთის სამშვიდობო განწყობილებაში [2].

ვინაიდან სპრენგტპორტენს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ფორმალურად არ ჰქონდა რწმუნება საფრანგეთის მთავრობასთან მოლაპარაკება ეწარმოებინა ევროპული ზავისა და რუსეთ-საფრანგეთის კავშირის საკითხებზე, ამიტომ მის შეხვედრებს და მოლაპარაკებას პარიზში კონკრეტული შედეგები არ მოჰყოლია [3]. ყოველ შემთხვევაში არც ფრანგული წყაროები და არც

მაგრამ მას მალე მიეიღებ, რადგანაც იმპერატორ პავლე I-ის განსაკუთრებული ნდობით ვსარგებლობო. საერთოდ გენერალ კლარკთან შეხვედრის დროს სპრენგტპორტენმა, როგორც თვით კლარკი გადმოგვცემს, ბევრი ილაყბა, ბევრი სატრაბახო სიტყვა თქვა და დიპლომატიის დარგში სრული გაუთვითცნობიერება და უნიჭობა გამოავლინა. იხ. Сб. РИО, ტ. 70, გვ. 662—664.

[1] ამ შეხვედრების შესახებ ცნობებს გენერალი სპრენგტპორტენი დროგამოშვებით იძლეოდა პავლე I-სადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათებში. იხ. სპრენგტპორტენის მოხსენებითი ბარათები 1800 წლის დეკემბრის თვიდან მოკიდებული 1801 წლის მარტამდე. ЦГВИА, ф. ВУА, д. 321, лл. 1—47; აგრეთვე Архив ВПР, ф. МИД, Канцелярия, д. 944, лл. 2—31.

[2] იგივე წყარო და საარქივო ფონდები; Ф. Мартенс, დასახ. კრებ., ტ. 13, გვ. 25; Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 528—529.

[3] ოფიციალური დავალება—ყოფილი რუსი სამხედრო ტყვეების ერთ გარკვეულ პუნქტში თავმოყრა, მათი სამშობლოში გამგზავრებისათვის მომზადება, სათანადო მარშრუტის შერჩევა და გამგზავრების ორგანიზაცია,—სპრენგტპორტე-

სპრენგტპორტენის მოხსენებითი ბარათები ამის შესახებ ცნობებს არ შეიცავენ. თავის მოხსენებით ბარათებში სპრენგტპორტენი, აღწერდა რა იმ საზეიმო შეხვედრებს, რომლებიც მას საფრანგეთში მოუწყვეს, მუდამ დასძენდა: საფრანგეთს მშვიდობა სწყურია, ნაპოლეონ ბონაპარტის გულწრფელი სურვილია დაუახლოვდეს რუსეთს, გზა რუსეთ-საფრანგეთის შეთანხმებისათვის ხსნილია და სხვ[1].

პარიზში გაჩაღებული დიპლომატიური ფაცაფუცის მიუხედავად, ბერლინში არ შეწყვეტილა ზანტად მიმდინარე მოლაპარაკება კრიუდენერსა და ბერნონვილს შორის. რუსეთის და საფრანგეთის ელჩებს შორის ისევ მოეწყო მორიგი შეხვედრა „ინკოგნიტოდ“ კრიუდენერის ბინაზე. პრუსიის მთავრობამ ამჯერადაც შეასრულა მომრიგებელ-შუამაველის მისია[2].

აღნიშნული შეხვედრისას განხილულ იქნა წინა მოლაპარაკების შედეგები და რუსეთის და საფრანგეთის სამშვიდობო წინადადებები. სხვა საკითხებთან ერთად კრიუდენერს და ბერნონვილს მალტის შესახებაც ჰქონდათ საუბარი. კუნძული მალტა ამ დროისათვის, როგორც ცნობილია, ინგლისელების ხელში იყო გადასული. ამიტომ მის შესახებ საუბარი მხოლოდ ფორმალური ხასიათისა იყო. ყოველ შემთხვევაში, ბერნონვილმა პირველი კონსულის სახელით თანხმობა განუცხადა კრიუდენერს მომავალ ხელშეკრულებაში შეეტანათ სპეციალური პუნქტი, რომელიც სცნობდა პავლე I-ის, როგორც მალტის ორდენის დიდი მაგისტრის უფლებებს ამ კუნძულზე.

ნის მიერ წარმატებით იქნა შესრულებული. ამ საქმის შესახებ იგი შეუთანხმდა პირველი კონსულის მიერ სპეციალურად გამოყოფილ გენ. კლარკს. მათ შორის მოლაპარაკების შედეგად კონვენციაც კი დაიდო, რომელიც ითვალისწინებდა ყოფილი რუსი სამხედრო ტყვე ჯარისკაცებისა და ოფიცრების სამშობლოში დაბრუნების პირობებსა და მარშრუტს. იხ. Архив ВПР, ф. МИД, Канцелярия. д. 8914, лл. 32—33; Ф. Мартенс, დასახ. კრებული, ტ. 13, გვ. 255; К. Военский, დასახ. წერილი, გვ. 13.

[1] რუსეთში მხედველობიდან არ გამოჰპარვიათ სპრენგტპორტენის მეტიჩრობა, ამიტომ იყო, რომ როსტოპჩინმა პავლე I-ის სახელით მას ასეთი ლაკონიური დეპეშა გაუგზავნა 1800 წლის 20 ნოემბერს: „მისმა უდიდებულესობამ იმპერატორმა მიბრძანა გაცნობოთ თქვენ, რომ მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო ტყვეების საკითხზე უნდა იხრუნოთ... და დაუჭიროთ რუსეთში დაბრუნება, როგორც კი ეს მისია შესრულებული იქნება...“. Архив ВПР. ф. „Сношения России с Францией“, д. 526, л. 1.

[2] Архив ВПР, ф. „Сношения России с Пруссией“, д. 553, лл. 221—225.

საფრანგეთის და რუსეთის დიპლომატების ეს მორიგი შეხვედრაც ბერლინში, წინა შეხვედრების მსგავსად, აზრთა უბრალო გაცვლა-გამოცვლით დამთავრდა. კონკრეტული გადაწყვეტილება, რომელიც დააჩქარებდა გათვალისწინებულ ხელშეკრულების ხელმოწერას, არც მაშინ ყოფილა მიღებული. ასე გრძელდებოდა მხარეების მიერ ურთიერთ თვალსაზრისის გაცნობა და პოზიციების დაზუსტება. გერმანიისა და იტალიის საკითხებში საფრანგეთის მთავრობა ფორმალურად თანახმა იყო მიეღო რუსეთის ფორმულა, მაგრამ ამავე დროს, კონკრეტული ნაბიჯის გადადგმისაგან მაინც თავს იკავებდა და დაყოვნების ტაქტიკას ადგა. მარენგოსთან და ჰოჰენლინდენთან ავსტრიელებზე გამარჯვების შემდეგ ვითარება ევროპაში საგრძნობლად შეიცვალა. საფრანგეთი კვლავ გაძლიერდა, ხოლო რაც შეეხება ავსტრიას, იგი ახალი სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. აღნიშნულმა ცვლილებებმა საფრანგეთ-ავსტრიის ურთიერთობაში, უშუალო გავლენა მოახდინა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის მიმართულებასა და დიპლომატიურ საქმიანობაზე. საფიქრებელია, რომ ამით იყო განპირობებული გაჭიანურების ის ტაქტიკა, რომელსაც საფრანგეთის დიპლომატია მიმართავდა რუსეთთან მოლაპარაკების პროცესში. საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელები იმედოვნებდნენ, რომ ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები უფრო დამთმობს გახდიდა რუსეთის სამეფო ტახტს და აიძულებდა მას მომავალი ხელშეკრულების დადების დროს მიეღო საფრანგეთის წინადადებები.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საფრანგეთ-რუსეთის მოლაპარაკებას ბერლინსა და პარიზში, თუმცა მას 1800 წლის დასასრულისათვის-კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია და იგი ხელშეკრულების დადებით არ დამთავრებულა, მაინც სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა ამ ორი სახელმწიფოს შემდგომი ურთიერთ დაახლოების საქმეში. მან ხელი შეუწყო ურთიერთ უნდობლობის შენელებას და ზოგიერთ საკითხში დააახლოვა რუსეთის და საფრანგეთის პოზიციები. ჩვენს ამ ვარაუდს ის ფაქტი ადასტურებს, რომ მოლაპარაკების პირველი ფაზის შედეგად გადადგმულ იქნა შემდგომი ნაბიჯები რუსეთ-საფრანგეთის დასაახლოებლად. ეს ნაბიჯები იყო წერილების გაცვლა ნაპოლეონ ბონაპარტსა და პაველ I-ს შორის და რუსეთის საგანგებო წარმომადგენლის მივლინება პარიზში დაწყებული მოლაპარაკების ბოლომდე მისაყვანად.

1800 წლის 9/21 დეკემბერს ნაპოლეონ ბონაპარტმა პირადი „მეგობრული“ წერილი გაუგზავნა იმპერატორ პაველ I-ს, რომელიც მეტად მოქნილი დიპლომატიური ენით იყო შედგენილი. წერილში საფრანგეთის პირველი კონსული ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის თავგამოდებულ მომხრედ აცხადებდა თავს. მეო— წერდა იგი რუსეთის იმპერატორს,—პოლიტიკური მოსაზრებების და თქვენდამი პატივისცემის გამო სურვილი მაქვს მივაღწიო „მსოფლიოს ორი უძლიერესი ერის ჩქარ და უცვლელ კავშირს“. ბრალს სდებდა რა ინგლისს საფრანგეთის სამშვიდობო ინიციატივის ჩაშლისათვის, ნაპოლეონ ბონაპარტი რუსეთის იმპერატორს არწმუნებდა: საკმარისია აღეკურვოთ რომელიმე პიროვნება, რომელიც სარგებლობს თქვენი ნდობით, განსაკუთრებული და განუსაზღვრელი რწმუნებით და 24 საათის შემდეგ მშვიდობა დამყარდება ზღვასა და ხმელეთზე. საფრანგეთის და რუსეთის, ამ ორი დიდი სახელმწიფოს კავშირ-შეთანხმება,—წერდა ნაპოლეონ ბონაპარტი,—ინგლისს, გერმანიის იმპერატორს და სხვა სახელმწიფოებს ხელიდან გამოაცლის იარაღს და თანამედროვე თაობას გაანთავისუფლებს ომის საშინელებათაგანო. მართალია,—დასძენს იგი,— შეიძლება ზოგიერთ კაბინეტს არ მოეწონოს ეს, მაგრამ მას მოიწონებენ ხალხები და თაობები [1].

დაახლოებით ასეთივე შინაარსის იყო ტალეირანის ნოტა, რომელიც მან იმავე 1800 წლის 9/21 დეკემბრის (რესპუბლიკის IX წლის 30 ფრიმერის) თარიღით გაუგზავნა თ. ვ. როსტოპჩინს. ეს ნოტა წარმოადგენდა პასუხს როსტოპჩინის 1800 წლის 26 სექტემბრის ნოტაზე. მასში აღნიშნული იყო, რომ პირველ კონსულს სავსებით სამართლიანად და ხელსაყრელად მიაჩნდა რუსეთის იმპერატორის ნოტაში ჩამოყალიბებული პრინციპები და ღებულობდა მათ. აღნიშნული დიპლომატიური დოკუმენტიც სასურველად მიიჩნევდა გერმანიის და იტალიის შესახებ საკითხების, აგრეთვე ვაპრობისა და ნეიტრალიტეტის საკითხების თაობაზე დაინტერესებულ სახელმწიფოთა მოლაპარაკების გაგრძელებას და ამ მიზნით რუსეთის მიერ სპეციალური უფლებამოსილი წარმომადგენლის დანიშვნას [2].

რუსეთის მთავრობას დიდხანს არ დაუყოვნებია პასუხი პირველი კონსულის წერილში და ტალეირანის ნოტაში აღძრულ საკითხებზე. 1800 წლის 18/30 დეკემბრის თარიღით პაველმ საპასუ-

---

[1] Сб. РИО, т. 70, გვ. 24—25.

[2] იქვე, გვ. 26—27.

ხო წერილი გაუგზავნა ნაპოლეონ ბონაპარტს, რომელშიც იგი აცხადებდა, რომ მზადაა მოუსმინოს საფრანგეთის პირველ კონსულს მის წერილში აღძრულ საკითხებზე და საუბარი გამართოს მასთან. აღნიშნავდა რა თავის სამშვიდობო მისწრაფებას, რუსეთის იმპერატორი ნაპოლეონ ბონაპარტს სთავაზობდა ერთობლივ ღონისძიებებს საყოველთაო მშვიდობის აღსადგენად [1]. იმავე წერილით რუსეთის იმპერატორი საფრანგეთის პირველ კონსულს აცნობებდა პარიზში მოლაპარაკების გასაგრძელებლად რუსეთის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ [2].

პარიზში ამ საგანგებო დიპლომატიური მისიით მივლინებულ იქნა კოლიჩევი, რომელიც რუსეთის მთავრობამ აღჭურვა 1800 წლის 29 დეკემბრით თარიღებული ინსტრუქციით, რომლის დიდი ნაწილი საჯარო და ფარულ მუხლების სახით იყო შედგენილი. კოლიჩევს მის საფუძველზე უნდა ეწარმოებინა მოლაპარაკება, ხოლო მისი წარმატების შემთხვევაში ხელი უნდა მოეწერა სათანადო ხელშეკრულებისათვის საფრანგეთის მთავრობასთან [3].

ინსტრუქციის შესავალ ნაწილში რუსეთის იმპერატორი აცნობდა სპეციალურ რწმუნებულს თავის გადაწყვეტილებას— უზრუნველეყო ევროპისათვის მშვიდობა და ამის თაობაზე შეთანხმებოდა საფრანგეთის პირველ კონსულს. კოლიჩევს ევალებოდა პარიზში ჩასვლისთანავე შედგომოდა დაკისრებული მისიის შესრულებას, სასურველ ბოლომდე მიეყვანა იგი და საფრანგეთის მთავრობასთან დაედო ხელშეკრულება ამ ინსტრუქციის საჯარო და საიდუმლო მუხლების შესაბამისად.

ინსტრუქციის თანდართული საჯარო მუხლები ძირითადში იმეორებდა ჩვენს მიერ უკვე დასახელებული თ. ვ. როსტოპჩინის ნოტის მუხლებს, თუმცა სავსებით არ ემთხვეოდა მას, მით უფრო რომ შედგებოდა არა ხუთი, არამედ თერთმეტი მუხლისაგან [4].

---

[1] Сб. РИО, т. 70, გვ. 27—28.

[2] იქვე. გვ. 28.

[3] Архив ВПР, ф. „Сношения России с Францией", д. 527, лл. 9—19. ინსტრუქცია გამოქვეყნებულია ჟურნალში „Русский архив", 1874, წ. 12, ტ. 3, გვ. 262—270, სახელწოდებით „Черта русской политики в последние дни XVIII века".

[4] პირველი მუხლით კოლიჩევს ევალებოდა მოეგონებინა ბონაპარტისათვის, თუ რახე იყო საუბარი მანამდე.

მეორე მუხლით პირველ კონსულს ნება ეძლეოდა დაემცირებინა ავსტრიის სამეფო კარი („сколько угодно").

მესამე მუხლით რუსეთის მთავრობა აცხადებდა თანხმობას ეცნო რაინი საფრანგეთის საზღვრად და ნება დაერთო საფრანგეთისათვის ჩამოეერთა ავსტრიი-

ინსტრუქციის საიდუმლო ნაწილის პირველი მუხლით კოლიჩევს საფრანგეთისათვის უნდა მოეთხოვა, რათა ესპანეთის მეფეს პავლე I ეცნო მალტის ორდენის დიდ მაგისტრად.

მეორე მუხლით რუსეთ-საფრანგეთის შეთანხმების შემთხვევაში საფრანგეთს დივერსია უნდა მოეხდინა ინგლისის სანაპიროებზე.

მესამე მუხლით რუსეთის მთავრობა თანახმა იყო აღედგინა ძველი (1786 წლის) სავაჭრო შეთანხმება საფრანგეთთან. მაგრამ სათანადო ცვლილებებით ახალი ვითარების შესატყვისად.

მეოთხე მუხლი ზოგადი იყო და ნაკლებ მნიშვნელოვანი დავალებების სისრულეში მოყვანას მოითხოვდა.

სათვის ზოგიერთი მემკვიდრეობითი სამფლობელო იმპერიის შეურაცხყოფილ მთავართა დასაკმაყოფილებლად.

მეოთხე მუხლით რუსეთის სამეფო კარი მოითხოვდა სარდინიის მეფისათვის იმ ანაზღაურების ნაწილის მიცემას, რომელიც ვენის სამეფო კარისათვის იყო განკუთვნილი, ორივე სიცილიის მეფისათვის მისი ომამდელი სამფლობელოების შენარჩუნებას და ბადენის კურფიურისტისა და ვიურტემბერგის ჰერცოგისათვის გერმანიაში ტერიტორიულ ანაზღაურების მიცემას საეკლესიო სამფლობელოთა საერო სამფლობელოებად ქცევის გზით.

მეხუთე მუხლით პავლე I მოითხოვდა ფორმალურ გარანტიას მალტის მიმართ, რომელიც მთელი თავისი კუთვნილებით უნდა დაბრუნებოდა მას, როგორც მალტის ორდენის დიდ მაგისტრს. ინგლის-საფრანგეთის ყველა მოლაპარაკებას მშვიდობის შესახებ უნდ გაეთვალისწინებინა აღნიშნული კუნძულის დიდი მაგისტრისათვის დაბრუნება.

მეექვსე მუხლით რუსეთის მთავრობა მოითხოვდა საფრანგეთისაგან მისი ჯარების გამოყვანას ეგვიპტიდან და ეგვიპტის თურქეთისათვის დაბრუნებას.

მეშვიდე მუხლით რუსეთის იმპერატორი თავისი მფარველობის ქვეშ აყენებდა რომის პაპს და მას იმპერიის კათოლიკურ ოლქებში დასახლების უფლებას სთავაზობდა, რომ ამით იგი სხვა სახელმწიფოთა ინტრიგებისა და ძალადობისაგან დაეხსნა.

მერვე მუხლი ეხებოდა ვაჭრობის საკითხს. ამ მუხლით რუსეთის მთავრობა მოკმედების თავისუფლებას აძლევდა საფრანგეთს ამ დარგში და, ამავე დროს, მისგან მოითხოვდა ინგლისის დამარცხების შემდეგ ჩრდილოეთის სახელმწიფოთა საზღვაო კავშირთან შეერთებას.

მეცხრე მუხლით რუსეთის იმპერატორი თანახმა იყო ეცნო საფრანგეთის რესპუბლიკა და მასთან ნორმალური ურთიერთობა დაემყარებინა მაშინვე, როგორც კი ზემოაღნიშნული პირობები მიღწეული იქნებოდა საფრანგეთის მთავრობის მიერ.

მეათე მუხლი ეხებოდა პოლონეთს, მასში აღნიშნული იყო, რომ პოლონეთის შესახებ არავითარი საუბარი არ უნდა ყოფილიყო.

მეთერთმეტე მუხლში აღნიშნული იყო, რომ თუ საფრანგეთი და რუსეთი ერთად იქნებიან, მაშინ მათ ხელში იქნება დანარჩენი ევროპის ბედის გადაწყვეტა. Архив ВПР, ф. „Сношения России с Франциой", д. 527, лл. 9—16; „Русский архив", 1874, т. 12, ст. 3, гг. 266—269.

მეხუთე მუხლით კოლიჩევს ევალებოდა განეწყო ნაპოლეონ ბონაპარტი სამეფო ტიტულის მიღებისა და საკუთარი დინასტიის შექმნის სასარგებლოდ.

მეექვსე მუხლით კოლიჩევს უნდა მოეთხოვა კლუბების, პოლონელთა კომიტეტისა და ყველა იმ ორგანიზაციის მოსპობა, რომლებიც საფრანგეთის მთავრობის ნებართვით მოქმედებდნენ საზღვარგარეთ და ეწეოდნენ დემოკრატიული და ფილოსოფიური იდეების გავრცელებას.

მეშვიდე პუნქტში ხაზგასმული იყო რუსეთის იმპერატორის განზრახვა: აღედგინა მთელ ევროპაში მშვიდობა და საფრანგეთთან ურთიერთობის აღდგენით, თანაც ნაპოლეონის ხელმწიფედ ცნობით ხელი შეეშალა ინგლისის, ავსტრიის და პრუსიის შემდგომი დაპყრობითი გეგმებისათვის...[1].

ამგვარად კოლიჩევისათვის შედგენილი ინსტრუქცია მნიშვნელოვან დიპლომატიურ დოკუმენტს წარმოადგენდა. მასში ფიქსირებული იყო ის პრინციპები, რომელთა მიხედვით უნდა ემოქმედა რუსეთის მთავრობას საგარეო პოლიტიკის დარგში ახლად შექმნილ ვითარებაში.

რუსეთის მთავრობა, დირექტორიის დროს წარმოებული მოლაპარაკების მსგავსად, გარკვეულ პირობებს უყენებდა საფრანგეთის მთავრობას, რის დაკმაყოფილებასაც ამ უკანასკნელის მიერ უკავშირებდა მასთან ომამდელი ურთიერთობის აღდგენას, ხელსაყრელი საკავშირო ხელშეკრულების დადებას და სხვ.

ჩვენი აზრით, მოტანილი ინსტრუქცია ცხადჰყოფს, რომ რუსეთის სამეფო კარს, სურდა რა აღედგინა ევროპაში მშვიდობა და საფრანგეთთან ომამდე არსებული ურთიერთობა, ამავე დროს განზრახვა არ ჰქონდა რაიმე დათმობაზე წასულიყო ამისათვის, მსხვერპლი გაეღო და ოდნავი ზიანი მიეყენებინა რუსეთის მიერ ევროპაში მოპოებულ პოზიციებისათვის. პირიქით, იგი თვით საფრანგეთისაგან მოითხოვდა სათანადო დათმობებს, რაც უზრუნველჰყოფდა რუსეთისათვის იმ საგარეო პოლიტიკური ამოცანების რეალიზაციას, რაც მან მეორე ანტიფრანგული კოალიციის რიგებში საფრანგეთის წინააღმდეგ ომის დროს ვერ გადაწყვიტა.

კითხვა ისმის, წარმოადგენდა თუ არა ეს ინსტრუქცია იმ ბაზას და პლატფორმას, რომელიც ლოგიკურ დასკვნამდე მიიყვან-

---

[1] Архив ВПР, ф. „Сношения России с Францией", д. 527, лл. 17—19; „Русский архив", 1874 ₹. 12, ტ. 3, გვ. 269—270.

და რუსეთ-საფრანგეთის დაახლოებას და ამ ქვეყნებს შორის მჭიდრო მეგობრულ კავშირს დაამყარებდა. ამაზე მკაფიო პასუხის გაცემა საკმაოდ ძნელი საქმეა. ყოველ შემთხვევაში გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მასში ფიქსირებული ზოგიერთი პირობა და მოთხოვნა (არბიტრის როლისა და გერმანიისა და იტალიის პატარა სახელმწიფოების მფარველობის უფლების შესახებ) იმ საგარეო პოლიტიკური ამოცანების წინააღმდეგ იყო მიმართული, რომლებიც საფრანგეთის ახალ ხელისუფლებას ჰქონდა დასახული. ასევე არასასიამოვნო უნდა ყოფილიყო მისთვის რუსეთის იმპერატორის მოთხოვნა „ძირგამომთხრელი“ და „რევოლუციური იდეების გამავრცელებელი საზოგადოებების“ დახურვის შესახებ.

პოზიციების, თვალსაზრისისა და ორიენტაციის მოცემული სხვადასხვაობის პირობებში, თუ შემდეგში არ შესუსტდებოდა ეს დაპირისპირება, რუსეთ-საფრანგეთის მოლაპარაკების პერსპექტივა 1800—1801 წლების მიჯნაზე, როდესაც იწყებოდა მხოლოდ ამ მოლაპარაკების მეორე— ოფიციალური—ნაწილი, მაინცდამაინც არ იყო ოპტიმისტური.

ამგვარად, 1801 წლის დასაწყისისათვის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში, მობრუნებისა და დაახლოების გარეგნული გამოვლენის მიუხედავად, ჯერ კიდევ არ მომხდარა მკვეთრი გარდატეხა, ამ მობრუნების თავის ფინალურ აქტამდე მიყვანის თვალსაზრისით. რუსეთ-საფრანგეთს შორის ჯერ კიდევ არ იყო აღდგენილი ომამდელი დიპლომატიური და სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა; არ იყო აგრეთვე აღდგენილი ევროპული მშვიდობა, რომელშიაც თუმცა სხვადასხვა მოსაზრებებით, მაინც თანაბრად დაინტერესებულნი იყვნენ იმ ეტაპზე რუსეთიც და საფრანგეთიც. მართალია, არაოფიციალურ აზრთა გაცვლა-გამოცვლასა და მიწერ-მოწერის ფაზა დამთავრდა და იგი ოფიციალურმა მოლაპარაკებამ შესცვალა, მაგრამ აქედან როდი შეიძლებოდა დაგვესკვნა, რომ იგი აუცილებლად წარმატებით დამთავრდებოდა და ამ ორ ქვეყანას შორის არსებული სადავო და შეხლა-შემოხლის საკითხები მშვიდობიანი შეთანხმებით დამთავრდებოდა. რამოდენიმე სადავო საკითხი კვლავინდებურად წინ ეღობებოდა რუსეთ-საფრანგეთის შეთანხმებას და ხელს უშლიდა ამ შეთანხმების შესაძლებლობის სინამდვილედ ქცევას.

მობრუნებამ რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში უშუალო გავლენა მოახდინა რუსეთში მოკალათებულ ფრანგ ემიგრანტთა, კერძოდ მიტავის სასახლეში თავმოყრილ „საპატიო სტუმართა“ მდგომარეობაზე. მან ბოლო მოუღო ამ რეაქციული ხროვის უდრტვინველ ცხოვრებას რუსეთის მიწა-წყალზე.

ახალ ვითარებაში, როდესაც პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა რუსეთ-საფრანგეთის დასაახლოებლად, როდესაც რუსეთის იმპერატორმა საფრანგეთის პირველ კონსულს იმპერატორის ტახტი და ახალი დინასტიისათვის საფუძვლის ჩაყრა შესთავაზა, ფრანგ ემიგრანტთა და მათი მეთაურის ლუი XVIII-ის შემდგომი ყოფნა რუსეთის ტერიტორიაზე არასასურველი იყო რუსეთის სამეფო კარისათვის. იგი რეალურ დაბრკოლებას წარმოადგენდა რუსეთის ახალი საგარეო პოლიტიკური ხაზის განხორციელების გზაზე. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ პავლემ ხელი აიღო შემდგომ „სტუმართმოყვარეობაზე“ და ლუი XVIII და მიტავის მთელი „სამეფო კარი“ თავისი იმპერიის საზღვრებიდან მოიშორა. ეს იყო რეალური პოლიტიკა და იმ ახალი პოლიტიკური კურსის ლოგიკური გაგრძელება, რომელიც 1800 წლიდან დაისახა.

1800 წლის დასასრულსა და 1801 წლის დასაწყისში პავლემ რამოდენიმე განკარგულება გასცა, რომელთა ძალითაც მიტავის „სამეფო კარს“ ევალებოდა დაეტოვებინა რუსეთი, ფინანსთა მინისტრ დერტავინს უნდა შეეწყვიტა მისთვის სუბსიდიის ძლევა, ხოლო კურლიანდიის სამხედრო გუბერნატორს წინადადება ეძლეოდა მოკლე დროში უშუალო ხელმძღვანელობა გაეწია ლუი XVIII-ისა და მისი ამალის საზღვარგარეთ გამგზავრების საქმისათვის. 1801 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში მიტავის „სამეფო კარი“ გაემგზავრა საზღვარგარეთ[1].

---

[1] იხ. L. Pingaud, დასახ. ნაშრ., გვ. 223; К. Валишевский. დასახ. ნაშრ., გვ. 483; ლუი XVIII-ის ავტობიოგრაფიული ჩანაწერი, „Русский архив“, 1877 წ. 3, გვ. 81; „Русская старина“, ტ. 72, წ. 2, გვ. 469.

თ ა ვ ი X

ინდოეთში რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის პროექტის საკითხი

როდესაც ვიხილავთ იმ მობრუნებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში 1800 წლის დასაწყისიდან, არ შეიძლება მხედველობის გარეშე დავტოვოთ ამ მობრუნების ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი: ინდოეთში რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის პროექტის შემუშავება და რუსეთის იმპერატორის მიერ ასეთი ლაშქრობის მოწყობის ცდა 1801 წლის დასაწყისში.

რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების ტენდენცია 1800—1801 წლების მიჯნაზე, როგორც აღვნიშნავდით, საკმაოდ შორს წავიდა. პარიზის მოლაპარაკებამ დღის წესრიგში დასვა ამ ორი ქვეყნის დაკავშირება და ანტიინგლისური კავშირის ორგანიზაცია. პარალელურად ამისა მიმდინარეობდა ინგლის-რუსეთის ურთიერთობის მკვეთრი გაუარესების პროცესი. რუსეთის დიპლომატიის მიერ ჩრდილოეთ ევროპის სახელმწიფოთა საზღვაო ლიგის ორგანიზაციამ (რუსეთის, შვეციის, დანიისა და პრუსიის მონაწილეობით), რომლის მახვილიც მიმართული იყო ინგლისის საზღვაო ჰეგემონიის წინააღმდეგ, კიდევ უფრო გააღრმავა დაპირისპირება ამ ორ ქვეყანას შორის. ყოველივე ამან და ინგლისის გემებსა და საქონელზე ემბარგოს დადებამ პეტერბურგსა და რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებში, უაღრესად გააძლიერა ფიცხი მასალა ინგლის-რუსეთის ურთიერთობაში და ნიადაგი შეამზადა მათ შორის ომისათვის.

1801 წლის დასაწყისში ინგლისმა სათანადო სამხედრო ღონისძიებები განახორციელა რუსეთთან (და, საერთოდ, საზღვაო ლიგაში შემავალ სახელმწიფოებთან) ომის დასაწყებად. ამ ღონის-

ძიებებიდან აღსანიშნავია ინგლისის ძლიერი სამხედრო-საზღვაო ესკადრის (17 სახაზო გემის, 30 ფრეგატის და 1000 სადესანტო ჯარისკაცის შემადგენლობით) გაგზავნა ბალტიის ზღვაში ცნობილი ადმირალების პარკერისა და ნელსონის სარდლობით[1].

რუსეთის მთავრობამ თავის მხრივ საპასუხო თავდაცვითი ღონისძიებები განახორციელა როგორც ზღვაზე, ისე ზღვისპირა რაიონებში. მან, ამასთან ერთად, გადაწყვიტა საფრანგეთთან კავშირში მახვილი ჩაეცა ინგლისისათვის მის „პერიფერიაში" და მით წაერთმია მისთვის რუსეთისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა. ასეთ „პერიფერიად" მიჩნეულ იქნა ინგლისის კოლონიური ძარცვის ობიექტად ქცეული ინდოეთი. თავის მხრივ ინგლისის გამოდევნა ინდოეთიდან და იქ საკუთარი ბატონობის დამყარება საფრანგეთის გაბატონებული კლასების მისწრაფების საგანს წარმოადგენდა. სხვადასხვა ინტერესებისა და მისწრაფებების მიუხედავად, რუსეთის და საფრანგეთის მმართველთა თვალსაზრისი ინგლისის მიმართ გამოსაყენებელ ღონისძიებათა საკითხში დროებით და გარკვეულ გარემოებათა შედეგად დაემთხვა ერთმანეთს. ამ ნიადაგზე აღმოცენდა ამ ორი ქვეყნის ინდოეთში ერთობლივი ლაშქრობის პროექტი.

XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე ინდოეთი ინგლისელ კოლონიზატორთა დაპყრობისა და გაძარცვის ობიექტს წარმოადგენდა. ოსტ-ინდოეთის ინგლისური სავაჭრო-მონოპოლისტური კამპანია, როგორც ინგლისის გაბატონებული კლასების კონტრაგენტი, უშუალოდ ახორციელებდა ამ ქვეყნის დაპყრობისა და გაძარცვის საქმეს. იარაღის, მოსყიდვის, რელიგიურ, კასტურ და ტომურ დაპირისპირებათა ხელოვნური გაღვივებით, ფეოდალურ მთავართა ურთიერთ წაკიდების გზით ინგლისელი დამპყრობლები ზედიზედ ბოლოს უღებდნენ ინდოეთის დამოუკიდებელი სამეფო-სამთავროების არსებობას და მათ თავიანთ კოლონიურ სამფლობელოებს უერთებდნენ. ყველა სახის მუხანათური მეთოდების გამოყენებით ინგლისელმა კოლონიზატორებმა ამ დროისათვის უკვე დაიპყრეს ინდოეთის დიდი ნაწილი და იგი აღვირახსნილი ძარცვა-გლეჯის ასპარეზად აქციეს. ინდოეთის მოსახლეობის ველური ექსპლოატაცია ხორციელდებოდა კაპიტალის „პირვანდელი დაგროვების" მეთოდებით. ყოველწლიურად ინდოეთიდან ინგლისში იგზავნებოდა დიდძალი ნაძარცვი სიმდიდრე კეთილშობილი ლითონების, ძვირფასი ქვების, ხელოსნური შრომის პროდუქტების, ნედლეულისა

[1] Д. Мишютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 538.

და სურსათ-სანოვაგის სახით. როგორც ცნობილია, ინდოეთის „მთელ ტომთა და რასათა“ გადაშენება, ამ ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების და დოვლათის არაეკვივალენტური მითვისება ინგლისში სამრეწველო გადატრიალების და იქ კაპიტალისტური ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთი მთავარი პირობა გახდა.

ინდოეთის კოლონიური სამფლობელოების სფეროს გაფართოება შემდგომი დაპყრობების მეშვეობით, ამ სამფლობელოების ძარცვა-გლეჯის მასშტაბის გადიდება და კოლონიური ინდოეთის დაცვა მეტოქეთა ხელყოფისაგან ინგლისის გაბატონებული კლასების „განსაკუთრებული“ ზრუნვის საგანი გახდა. ისტორიული განვითარების ამ ეტაპზე ინდოეთის საკითხმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ინგლისის საგარეო პოლიტიკაში. იგი აღმოსავლეთის „თავსატეხი“ საკითხის შემადგენელ ნაწილად იქცა. მან გადამწყვეტი როლი შეასრულა ინგლისის საგარეო პოლიტიკური ორიენტაციისა და სტრატეგიული მიმართულების შემუშავებაში.

ინგლისელი დამპყრობლები ჯერ კიდევ XVII საუკუნეში მოევლინენ ინდოეთის სანაპიროებს. მაგრამ მათთან ერთად ინდოეთს „ესტუმრნენ“ ფრანგი კოლონიზატორებიც. ამ ორ სახელმწიფოს შორის ათეული წლების განმავლობაში წარმოებდა სასტიკი შუღლი და ბრძოლა უპირატესობისათვის ინდოეთში. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისისათვის შვიდწლიანი ომის შემდეგ ეს ბრძოლა ინგლისის სასარგებლოდ დამთავრდა. ეკონომიურად და პოლიტიკურად უფრო განვითარებულმა და მოწინავე ინგლისმა სძლია ფეოდალური ურთიერთობის მარწუხებში მოქცეულ საფრანგეთს, რომელიც გამოძევებულ იქნა ინდოსტანის სანაპიროებიდან (მან მხოლოდ ორიოდე ბაზა შეინარჩუნა ინდოსტანის სანაპიროზე). ამ დროიდან მოყოლებული ინდოეთის დაპყრობისა და ძარცვის მონოპოლიური უფლება ინგლისელთა ხელში გადავიდა [1].

საფრანგეთის მესვეურები არასოდეს არ შერიგებიან ინდოეთიდან გამოძევების ფაქტს და ხელი არ აუღიათ ინდოეთში უკან დაბრუნებაზე, ამ ქვეყნიდან კონკურენტ სახელმწიფოს გამოძევე-

---

[1] ამის შესახებ იხ. Barchou de Penhoën, L, Inde sous la domination anglais, Paris, 1844 tt. I—II; მისივე, Histoire de la conquête et de la fondation de l'Empire anglais dans l'Inde, Paris, 1840—1841, tt. I—IV; Mardes, Histoire de l'Inde ancienne et moderne, Paris, 1886.

ბის განზრახვაზე. ინდოეთიდან ინგლისელ კოლონიზატორთა გამოძევების სურვილი ამოქმედებდა საფრანგეთის ყველა ხელისუფალს და მთავრობას XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. ბრძოლა ინდოეთისათვის წარმოადგენდა იმ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლის ნაწილს, ისიც მეტად მნიშვნელოვანს, რომელიც ინგლის-საფრანგეთს შორის მიმდინარეობდა საევროპო-კოლონიური და საზღვაო უპირატესობისათვის XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. სწორედ ისევე, როგორც ინდოეთის კოლონიური სამფლობელოების დაცვა-გაფართოება ინგლისის საგარეო პოლიტიკის ცენტრში იქნა დაყენებული, ასევე დაკარგული პოზიციების უკან დაბრუნება და ინდოეთზე საფრანგეთის კოლონიური ბატონობის დამყარება საფრანგეთის მმართველთა განსაკუთრებული „ზრუნვის" საგნად იქცა. მრავალრიცხოვანი გეგმები, რომლებიც ამის თაობაზე შემუშავდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, ცხადად მეტყველებენ აღნიშნულ „ზრუნვასა" და დაინტერესებაზე.

ფრანგები ცდილობდნენ ზიანი მიეყენებინათ თავიანთი ძლიერი მეტოქე ინგლისისათვის ზღვაზეც და ხმელეთზეც. ინდოეთში შევრისა და ამ ქვეყნიდან ინგლისელთა გამოძევების მრავალი გეგმიდან ნაწილი ითვალისწინებდა სათანადო ოპერაციის განხორციელებას ზღვით, ნაწილიც — ხმელეთის გზით. ლუი XVI-ის მეფობის დროს სერიოზულად იხილავდნენ ასეთ გეგმებს და მათი შესაძლო განხორციელების პერსპექტივებს. მაგრამ ასეთი გეგმების სისრულეში მოყვანის სერიოზულ ცდებს რევოლუციამდელ პერიოდში ადგილი არ ჰქონია. ძველი რეჟიმის საფრანგეთის საგარეო პოლიტიკას ძირითადში ხომ დინასტიური მოსაზრებები და თავადაზნაურთა კლასობრივი ინტერესები წარმართავდა და არა ამომავალი ბურჟუაზიის სავაჭრო-სამრეწველო ეკონომიური ინტერესები. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ მაშინდელი საფრანგეთი მოკლებული იყო ძლიერ სამხედრო-საზღვაო ფლოტს და სათანადო ფინანსურ სახსრებს, რის გამოც მას არ შეეძლო სისხლ-ხორცი შეესხა ასეთი გეგმებისათვის [1].

---

[1] აღნიშნული გეგმები სხვადასხვა დროს გამოაქვეყნეს ფრანგმა ავტორებმა ინდოეთისათვის ინგლის-საფრანგეთის ასწლიანი ბრძოლის მიმოხილვის დროს და სხვადასხვა განმარტება მისცეს მათ. ფრანგ ავტორებთან ერთად აღნიშნული გეგმების შესახებ თავიანთი აზრი გამოთქვეს რუსმა ავტორებმაც. ამათგან შეიძლება დავასახელოთ: 1. Сб. „Цареубийство 11 марта 1801 года", СПБ., 1907, გვ. XXXIX; Ш. Баторский, Проект экспедиции в Индию, предло-

ინგლის-საფრანგეთის ბრძოლა საკაპრო-კოლონიური უპირატესობისა და მსოფლიო პირველობისათვის, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თავისი განვითარების ახალ ფაზაში შევიდა საფრანგეთის 1789—1794 წლების დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. საფრანგეთის ბურჟუაზიამ, დაეუფლა რა სახელმწიფო ხელისუფლებას ამ რევოლუციის წყალობით, კონკრეტულად დღის წესრიგში დააყენა ინდოეთის საკითხი. სწორედ ამ დროიდან საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან ამოქექეს ინდოეთში შეჭრის გეგმები, ზოგიერთი კორექტივი შეიტანეს მათში და განიზრახეს მათი სისრულეში მოყვანა.

საფრანგეთის ბურჟუაზიამ მხოლოდ 1798 წელს სცადა პრაქტიკული ნაბიჯები გადაედგა ამ მიმართულებით და მიზნად დაისახა ინდოეთში შეჭრის ერთ-ერთი გეგმის სისრულეში მოყვანა. მისი განხორციელება მან იტალიის კამპანიის დროს სახელმოხვეჭილ გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტს დააკისრა. საფრანგეთის 1798 წლის ლაშქრობა აღმოსავლეთისაკენ, კერძოდ ნაპოლეონის არმიის შეჭრა ეგვიპტეში, სხვა მნიშვნელოვან ამოცანებთან ერთად მიზნად ისახავდა საფრანგეთის ბურჟუაზიის ჩანაფიქრის რეალიზაციას ინდოეთის მიმართ[1]. ეგვიპტეში ფეხის მოკიდებით ნაპოლეონ ბონაპარტს სურდა ექცია ეს ქვეყანა მძლავრ შუალედ პლაცდარმად ინდოეთში ლაშქრობის მოსაწყობად მომავალში. ეგვიპტეზე ლაშქრობის მომზადებისა და მისი განხორციელების პერიოდში ნაპოლეონს მიწერ-მოწერა ჰქონდა სამხრეთ-დასავლეთი ინდოეთის ძლიერ ფეოდალურ სამეფოს მაისურის სულთან ტიპუ სთან, რომელიც ინგლისელთა დაუძინებელი მტერი იყო. ნაპოლეონი არწმუნებდა ტიპუ-სულთანს, რომ მალე, როგორც კი მკვიდრად მოიკიდებდა ფეხს ეგვიპტეში, გაუწვდიდა დახმარების ხელს ინგლისელთა წინააღმდეგ ბრძოლში. რა თქმა უნდა ფრანგი გენერალი იმიტომ ასაღებდა თავს ტიპუ-სულთნის მეგობრად

женный Наполеоном Бонапарте императорам Павлу и Александру I в 1800 и в 1807—1808 гг. იხ. „Сборник географических, топографических и статистических материалов по Азии", вып. 23, СПБ., 1886, გვ. 7 და შემდეგი.

[1] ტიპუილად როდი ავალებდა დირექტორია ეგვიპტის ექსპედიციის ხელმძღვანელ ნაპოლეონს (1798 წლის 12 აპრილის დადგენილებით): „გაიძევებინა ინგლისელები აღმოსავლეთის ყველა სამფლობელოდან, სადაც იგი შესძლებდა წელწევას, განსაკუთრებით კი გაენადგურებინა მათი სავაჭრო ფაქტორიები მეწამულის ხღვაზე. იხ. Napoléon I, Correspondance..., ტ. 4, № 2495, გვ. 52.

რომ სურდა იგი იარაღად გამოეყენებინა ინგლისელებთან ბრძოლაში [1].

თავის „მეგობრულ“ წერილში ტიპუ-სულთანისადმი ნაპოლეონ ბონაპარტი, აუწყებდა რა მას ეგვიპტეში ჩასვლას ურიცხვი და უძლეველი არმიით („avec une armée innombrable et invincible“), სთავაზობდა თავის მეგობრობას ინდოეთში ინგლისელთა უღლის დამხობის საქმეში [2].

ინგლისელები საკმაოდ შეშინებულნი იყვნენ ნაპოლეონის განზრახვის გამო. ამიტომ ინგლისელი ხელისუფალნი სათანადო ზომებს ღებულობენ ინდოეთში და აძლიერებენ მისი დაცვის ღონისძიებებს. „ნაპოლეონი ინტრიგებს ეწეოდა აღმოსავლეთში,—წერდა მარქსი ამასთან დაკავშირებით თავის „ქრონოლოგიურ ამონაწერებში ინდოეთის ისტორიის შესახებ“, — კალკუტელი „ვაჭრუკანები“ ცახცახებდნენ ასეთი კომბინაციის წინაშე: საფრანგეთი, სპარსეთი, ავღანისტანი“ [3].

ეგვიპტის გზით ინდოეთში ლაშქრობის განზრახვა მაშინ განუხორციელებელი დარჩა. ეგვიპტის ექსპედიციამ, როგორც ცნობილია, მარცხი განიცადა. ინგლისმა მოახერხა საფრანგეთის წინააღმდეგ აემხედრებინა როგორც თურქეთი, ისე რუსეთი. ამგვარად. ინგლისმა მაშინ აქტიური როლი შეასრულა საფრანგეთის „წამოწყების ჩაშლაში“. მაგრამ ამ მარცხმა ხელი ვერ ააღებინა საფრანგეთის ბურჟუაზიას ასეთ განზრახვაზე მომავალში. ლაშქრობის ერთი ვარიანტის ჩაშლის შემდეგ მან ხელი მიჰყო მეორე ვარიანტის შემუშავებას და მისი განხორციელება დღის წესრიგში დააყენა.

1800—1801 წლების მიჯნაზე. როდესაც მეორე ანტიფრანგული კოალიცია დაიშალა და ინგლის-საფრანგეთის ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა, ინდოეთიდან ინგლისის გაძევების ჩანაფიქრი საფრანგეთმა ისევ კონკრეტულ გეგმაში გამოსახა და ერთხელ კიდევ სცადა მისი სისრულეში მოყვანა. ამჯერად საფრანგეთმა გადაწყვიტა ინდოეთისაკენ ლაშქრობა მოეწყო ხმელეთის

---

[1] ნაპოლეონისა და ტიპუ-სულთნის მიწერ-მოწერისა და ნაპოლეონის გეგმების შესახებ ინდოეთის მიმართ ეგვიპტეზე ლაშქრობის პერიოდში იხ. Barchou de Penhoën, L'Inde sous la domination anglais..., ტ. 2, გვ. 326—329.

[2] იხ. ნაპოლეონის 1799 წლის 25 იანვრის წერილი ტიპუ-სულთანისადმი, Napoléon I., Correspondance..., ტ. 4, გვ. 278.

[3] К. Маркс, Хронологические выписки по истории Индии, М., 1947, გვ. 105.

გზით, ირანსა და ავღანისტანზე გავლით, რუსეთთან კავშირში, მის ტერიტორიის და სამხედრო ძალის გამოყენებით. ამის შესაბამისად, რაკი რუსეთიც დაინტერესებული იყო ზიანი მიეყენებინა ინგლისისათვის და განეხორციელებინა დივერსია მის წინააღმდეგ, 1800 წლის დასასრულისათვის შემუშავებულ იქნა ინდოეთში საფრანგეთ-რუსეთის ერთობლივი ლაშქრობის გეგმა.

ისტორიულ ლიტერატურაში ცნობილია ინდოეთში რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის მოწყობის პროექტი სახელწოდებით: „ინდოეთში რუსეთ-საფრანგეთის ექსპედიციის 1800 წლის პროექტი", მაგრამ საკითხი აღნიშნული გეგმის ხასიათის, მისი შემუშავების ადგილის, დროის, შემდგენელთა ვინაობისა და მისი რეალიზაციის შესახებ სერიოზული აზრთა სხვადასხვაობის საგნად გახდა საისტორიო ლიტერატურაში.

ისტორიკოსთა ერთი ნაწილის შეხედულებით, ეს გეგმა შემუშავებული იქნა პარიზში, პირადად ნაპოლეონ ბონაპარტის მიერ, რომელმაც იგი შემდეგში პეტერბურგში გადაუგზავნა პავლეს გასაცნობად. მათივე აზრით, რუსეთის იმპერატორმა პარიზიდან გაგზავნილ გეგმაში შეიტანა ზოგიერთი ცვლილება და მისცა მას ის სახე, რომლითაც იგი ცნობილია დღემდე. ისტორიკოსთა მეორე ნაწილის აზრით კი ამ გეგმის დეტალები შემუშავდა პეტერბურგის სამეფო კარზე, მაგრამ მის შედგენას საფუძვლად დაედო ძველი ფრანგული გეგმები. ამავე დროს აღნიშნული ავტორები არაფერს ამბობენ იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რომელი გეგმა დაედო მას საფუძვლად, ან როგორ აღმოჩნდა ეს გეგმა რუსეთის მთავრობის ხელში.

აღნიშნული გეგმა პირველად მიკვლეულ იქნა გრაფ სტედინგის ქაღალდებში. იგი გამოქვეყნებულ იქნა მისი მემუარების მეორე ტომში 1845 წელს [1].

---

[1] Mémoires posthumes du feldmaréchal compte de Stedingk, t. 2, Paris, 1845, გვ. 6—8. ამ მემუარებში ეს გეგმა ძალზე მუქი საღებავებით არის შეფასებული, იგი წოდებულია ხერელე. მოუმწიფებელ გეგმად, რომელშიაც გათვალისწინებული არ არის ის სიძნელეები, რომლებთანაც დაკავშირებულია ინდოეთზე ლაშქრობა (გვ. 8). მილიუტინის ცნობით კი ეს გეგმა პირველად გამოქვეყნებულია 1840 წელს ერთ ბროშურაში სათაურით: „Mémoire de Leibnitz à Louis XIV sur la conquête de l'Egipte publié avec une préface et des notes, par M. de Hoffmanns, suivi d'un projet d'expédition dans l'Jnde par terre, concertée entre le Premier Consul et l'Emperer Paul I en 1800. აქედან ეს გეგმა თარგმნილა რუსულად და გამოცემულა ცალკე ბროშურად გოლუბკოვის მიერ სახელწოდებით: „Проект сухопутной экспедиции

რუსულ ენაზე ეს გეგმა რამოდენიმეჯერ იყო თარგმნილი და დაბეჭდილი სხვადასხვა პირების მიერ. 1873 წელს იგი დაიბეჭდა ჟურნალ „Русская старина"-ს მე-8 ტომში, პავლე I-ის მიწერ-მოწერის დამატებით[1]: 1880 წელს კი სობოლევმა იგი გამოსცა ცალკე ბროშურის სახით.

მოცემული პროექტის შესავალ ნაწილში მოხაზულია ინდოეთზე გათვალისწინებული ექსპედიციის მიზანი: 1) ინგლისელთა საბოლოო განდევნა ინდოეთიდან და ამ ქვეყნის განთავისუფლება ბრიტანელთა უღლისაგან; 2) ევროპის განათლებული სახელმწიფოების, კერძოდ საფრანგეთის მრეწველობისა და ვაჭრობისათვის ახალი გზების გახსნა.

პროექტში დასახელებულია ის სახელმწიფოები, რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ამ ექსპედიციაში. ეს სახელმწიფოებია: საფრანგეთი, რუსეთი და ავსტრია. საფრანგეთის რესპუბლიკას და რუსეთს შეერთებული ლაშქარი უნდა გაეგზავნათ ინდის ნაპირებისაკენ, ხოლო გერმანიის იმპერიას (ავსტრიას) გზა უნდა მიეცა საფრანგეთის არმიისათვის და გაეადვილებინა მისთვის დუნაით შავი ზღვისაკენ ლაშქრობა. პროექტით გათვალისწინებულ ექსპედიციაში მონაწილეობა უნდა მიეღო სულ 70 ათას კაცს. აქედან 35 ათასი ჯარისკაცი უნდა გამოეყო რუსეთს (10 ათასი კაზაკის ჩათვლით) და 35 ათასი — საფრანგეთის რესპუბლიკას. საფრანგეთის არმია ავსტრიის ტერიტორიაზე გავლით, დუნაით და შავი ზღვით უნდა ყოფილიყო გადასროლილი რუსეთში, ასტრახანში. პროექტში ამ არმიის ლაშქრობის კონკრეტული მარშრუტიც იყო დასახელებული. რუსეთის არმიის შესაკრებ პუნქტად და ლაშქრობის თავდაპირველ ბაზად, პროექტის მიხედვით, გათვალისწინებული იყო ქალაქი ასტრახანი. მოკავშირეთა გაერთიანებული არმიის მთავარ საოპერაციო ბაზად და მთავარი ბანაკის ცენტრად კი მიჩნეული იყო ასტრაბადი (კასპიის ზღვის სანაპიროზე ირანში). ამ ბაზამდე მოკავშირეთა ჯარი კასპიის ზღვით უნდა ყოფილიყო გადაყვანილი. აქ უნდა მომხდარიყო რუსეთის და საფრანგეთის არმიების შესვედრა და გაერთიანება.

ასტრაბადიდან, სათანადო მზადების დასრულების შემდეგ, მოკავშირეთა არმია უნდა დაძრულიყო ინდოეთისაკენ ირანისა და

в Индию, предложенный Императору Павлу Петровичу Первым консулом Наполеоном Бонапарте". Москва, 1847. იხ. Д. Мизютин, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 667.

[1] „Русская старина", 1873, ტ. 8, გვ. 401—410.

ავღანეთის გზით გერატზე, ფარახზე და ყანდაგარზე გავლით. საფრანგეთის არმიას მთელი მანძილი საფრანგეთიდან ლაშქრობის საბოლოო პუნქტამდე — ინდის ნაპირებამდე. პროექტის თანახმად, 120, დღის განძავლობაში უნდა გაევლო [1]. რაკი ნავარაუდევი იყო, რომ მოკავშირეთა არმიას მანძილი ასტრახანიდან ინდის ნაპირებამდე 55 დღის განმავლობაში უნდა გაევლო, ცხადია, რომ რუსეთის არმიას დაახლოვებით ნახევარი დრო უნდა დაეხარჯა გზაში, ვიდრე საფრანგეთის არმიას. პროექტში მითითებული იყო იმ საშუალებებზე, რომელთა მეშვეობითაც უნდა განხორციელებულიყო საფრანგეთის არმიის ლაშქრობა საფრანგეთიდან შავ ზღვამდე, აქედან ტაგანროგამდე, ტაგანროგიდან ასტრახანამდე და ასტრახანიდან ასტრაბადამდე. ამასთან ერთად ნავარაუდევი იყო, რომ აღნიშნულ საშუალებათა მიწოდების საქმეში რუსეთის ტერიტორიაზე აქტიურ მონაწილეობას მიიღებდნენ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები. პროექტის თანახმად იარაღ-მოწყობილობა, სურსათ-სანოვაგე, საზიდარი საშუალებები, ცხენოსანი ჯარის მოკაზმულობა და ირანსა და ავღანეთის ტერიტორიაზე ლაშქრობის დროს საფრანგეთის მოლაშქრე არმიისათვის ყველა საჭირო მოწყობილობა რუსეთში უნდა ყოფილიყო შეძენილი, ზოგი სახელმწიფო არსენალებიდან და საწყობებიდან, ზოგიც მოსახლეობაში შესყიდვის გზით. კერძოდ, ნავარაუდევი იყო საჭირო მოწყობილობის, სურსათის და მედიკამენტების დიდი ნაწილის შეძენა გერმანელთა კოლონიაში ასტრახანთან ახლო — სარეპტაში. ლაშქრობისათვის საჭირო მოწყობილობის, ფურაჟის და სურსათის ნაწილი, პროექტის მიხედვით, სპარსეთის ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო შეძენილი.

ლაშქრობის მარშრუტის ზონაში — ირანსა და ავღანისტანის ტერიტორიებზე—განლაგებული ფეოდალური სამთავროების მფლობელთა (ხანების, ემირების, შეიხების) შესაძლებელი მტრული გამოსვლების თავიდან ასაცილებლად და მათი მსარდაჭერის უზრუნველსაყოფად, პროექტი ითვალისწინებდა სათანადო ზემოქმედების ღონისძიებებს. კერძოდ, ნავარაუდევი იყო ასტრაბადიდან ლა-

---

[1] საფრანგეთიდან შავ ზღვამდე —20 დღეში
დუნაის შესართავიდან ტაგანროგამდე —16 „
ტაგანროგიდან ასტრახანამდე —29 „
ასტრახანიდან ასტრაბადამდე —10 „
ასტრაბადიდან ინდის ნაპირებამდე —45

'მკრობის დაწყებამდე ამ ფეოდალურ მფლობელებთან მოკავშირეთა მთავრობების კომისრების გაგზავნა. მათ უნდა გადაეცათ ამ ფეოდალურ მთავართათვის მოკავშირეთა მოწოდება. მოწოდებაში კი ხაზგასმული იყო ექსპედიციის კეთილშობილური მიზანი—ინგლისელთა განდევნა ინდოეთიდან და ამ ქვეყნის განთავისუფლება; მოკავშირეთა სიძლიერე და ხანებისადმი მათი კეთილგანწყობილება. ამ მოწოდებით მოკავშირეები იმ მთავრებს და ხალხებს, რომელთა ტერიტორიაზეც უნდა გაევლო მოკავშირეთა არმიას, წინადადებას აძლევდნენ მათ ყველა საშუალებით ხელი შეეწყოთ ამ სასარგებლო და ღირსეული წამოწყების წარმატებისათვის. ეს ლაშქრობაო, აღნიშნული იყო ამ მოწოდებაში, იმდენად სამართლიანია, რამდენადაც უსამართლო იყო ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა, რომელიც მსოფლიოს დაპყრობას ისახავდა მიზნად. დასასრულ, მოკავშირეები თავიანთი მოწოდებით მთავრებსა და ხალხებს პირობას აძლევდნენ, რომ ადგილი არ ექნებოდა კონტრიბუციის გაწერას, რომ მოკავშირეთა არმია ნაღდ ფულზე შეისყიდდა ყველა საჭირო პროვიანტს, სასტიკად იქნებოდა დაცული დისციპლინა, პატივისცემით მოეპყრობოდნენ მათ რელიგიას, ადათ-ჩვეულებებს, ქალებს, საკუთრებას და სხვ. პროექტში აღნიშნული იყო, რომ ასეთი პროკლამაცია და მოკავშირეთა აშკარა, გულღია მიქმედება კეთილსასურველ გავლენას მოახდენდა ხანებსა და სხვა წვრილ მთავრებზე, რომლებიც დაუბრკოლებლივ გაატარებდნენ მოკავშირეთა არმიას თავიანთ ტერიტორიაზე. პროექტი არ გამორიცხავდა მათი მხრით წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობასაც, მაგრამ ვარაუდობდა, რომ ეს წინააღმდეგობა არ იქნებოდა სერიოზული (ფეოდალური ურთიერთგათიშულობის გამო).

საფრანგეთის და რუსეთის კომისრებს თან უნდა ხლებოდნენ ინჟინრები, რომელთაც მარშრუტის ზონის ტოპოგრაფირება და ლაშქრობის რუკის ადგილზე დაზუსტება უნდა მოეხდინათ. მათვე ევალებოდათ არმიისათვის შუალედი ბაზებისა და დასასვენებელი ადგილების შერჩევა. კომისრებს ზემოაღნიშნულ დავალებასთან ერთად უნდა ეზრუნათ ბაზებისა და, კერძო მფლობელთა მეშვეობით, სურსათ-სანოვაგის, სასმელი წყლის, საზიდრების შეძენაზე.

მოკავშირეთა არმიები ეშელონებად უნდა დაძრულიყვნენ ასტრაბადიდან. დისტანცია ეშელონსა და ეშელონს შორის უნდა ყოფილიყო 5—6 ლიე (16—20 ვერსი). ამ არმიების ავანგარდში უნდა ყოფილიყო კაზაკების კორპუსი 4—5 ათასი კაცის რაოდე-

ხობით. შერეული მსუბუქ რეგულარულ ცხენოსან ნაწილებთან. ავანგარდს ევალებოდა ხიდების გაკეთება, გზის გაუმჯობესება და მოლაშქრე არმიის დაცვა ყოველგვარი მოულოდნელობისაგან.

საფრანგეთის არმიას თან უნდა წაეღო პარიზიდან და ვერსალიდან ძვირფასი იარაღი (მახვილები, დამბაჩები, კარაბინები) ფაიფურის ვაზები, საათები, სარკეები, მაუდი, ოქრო-ვერცხლის ნაკეთობა, გობელენის ნოხები და საფრანგეთის ფუფუნების მანუფაქტურების სხვა ნაწარმი. ამ ნაწარმთა ნაწილი საჩუქრის სახით უნდა დაერიგებინათ ხანებისათვის ირანსა და ავღანეთში და თვით ინდოელი მთავრებისათვის, რათა მათი გული მოეგოთ. აღნიშნულ ნაკეთობებს ამ ქვეყნის ხალხებში მაღალი წარმოდგენა უნდა შეექმნა საფრანგეთზე, მის მრეწველობაზე და სიმდიდრეზე. მოზავალში კი ამ საგნებს ინდოეთთან საფრანგეთის ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეჭირათ.

პროექტის თანახმად, მოკავშირეთა არმიას ინდოეთისაკენ ლაშქრობის დროს თან უნდა ხლებოდნენ: მეცნიერები, მხატვრები, აერონავტები და პიროტექნიკოსები (ფეიერვერკების მომწყობები).

დასასრულს, პროექტში აღნიშნული იყო, რომ თუ ყველა ზემოთხსენებული სისრულეში იქნებოდა მოყვანილი და სარდლები გამოიჩენდნენ სათანადო საზრიანობას, მამაცობას და გულმოდგინეობას ეჭვი არ შეიძლებოდა შეტანილიყო გათვალისწინებული წამოწყების წარმატებაშიო.

ლაშქრობის პროექტს თანდართული აქვს რამოდენიმე შენიშვნა, რომელთაც პირველ კონსულ ბონაპარტს მიაწერენ, ხოლო ამ შენიშვნებზე განმარტება-პასუხების ავტორად პავლე I-ს მიიჩნევენ. შენიშვნები ეხება საფრანგეთის არმიის მდინარე დუნაით გადაყვანას, სულთნის მიერ მისთვის გზის მიცემის შესაძლებლობას, შავ ზღვაზე ინგლისის ფლოტის საფრანგეთის არმიისათვის თავდასხმის მოსალოდნელობას და ასტრაბადიდან ინდოეთამდე მოკავშირეთა არმიის წინაშე წამოჭრილი სიძნელეების საკითხებს. პასუხებში გაბათილებული იყო აღძრული ეჭვები და გამოთქმული იყო რწმენა, რომ ლაშქრობის პროცესში მოკავშირეთა წინაშე წამოჭრილი ყველა დაბრკოლება დაძლეული იქნებოდა. დასასრულ, პასუხებში ხაზგასმულია ირანისა და ავღანეთის გზით ინდოეთში შეჭრის სრული რეალობა და განხორციელების შესაძლებლობა, რის დასამტკიცებლადაც მოტანილია სათანადო ისტორიული მა-

გალითები ნადირ-შაჰის (თამაზ-ყული-ხანი) ლაშქრობებიდან ინდოეთისაკენ [1].

ინდოეთზე რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის 1800 წლის პროექტის საკითხთან დაკავშირებულია იმ ლაშქრობის საკითხი, რომლის მოწყობა განიზრახა პავლემ 1801 წლის დასაწყისში.

1801 წლის დასაწყისში, როდესაც ინგლისსა და რუსეთს შორის ომის რეალური საფრთხე შეიქმნა, რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა, ინგლისის წინააღმდეგ გადადგმულ სხვა ნაბიჯებთან ერთად, განიზრახა სამეედრო დივერსიის განხორციელება მის წინააღმდეგ. მან შეამზადა ლაშქრობა ინდოეთში შესაბრელად და ამ ქვეყნიდან ინგლისელთა განსადევნად. ლაშქრობა უნდა განხორციელებულიყო ხეელეთის გზით ორენბურგზე, იმიერკასპიისა და შუა აზიის ტერიტორიაზე—ხივასა და ბუხარაზე—გავლით, კაზაკთა ცხენოსანი არმიის ძალებით კავალერიის გენერალ ორლოვ I-ის სარდლობით.

აღნიშნული ლაშქრობის მზადებისა და ხასიათის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს პავლე I-ის ის ბრძანებულებები (სულ ხუთი), რომლებიც გაუგზავნა მან დონის კაზაკთა ატამანს, ხსენებულ გენერალ ორლოვ I-ს 1801 წლის იანვარ-თებერვალში [2].

პირველი ბრძანებულებით პავლე I აუწყებდა გენერალ ორლოვს თავის გადაწყვეტილებას: მახვილი ჩაეცა ინგლისისათვის იქ სადაც იგი ნაკლებად მოელოდა ამას—ინდოეთში და ამ მიზნით მოეწყო სათანადო ლაშქრობა. ამასთან დაკავშირებით იგი ავალებდა დონის კაზაკთა ატამანს ფეხზე დაეყენებინა დონის კაზაკობა, აღეჭურვა ისინი და დაეძრა ორენბურგზე გავლით ხივა-ბუხარის გზით ინდოეთისკენ, თანდართული რუკის მარშრუტის შესაბამისად. ამ ბრძანებულებით რუსეთის იმპერატორი დონის კაზაკებს ექსპედიციის საფასურად ჰპირდებოდა ჯილდოს ინდოეთის სიმდიდრეების სახით. მეორე ბრძანებულებით პავლე I ერთხელ კიდევ მოა-

---

[1] „Русская старина", 1873, ტ. 8, გვ. 401—410.

[2] პირველი და მეორე ბრძანებულება დათარიღებულია 1801 წლის 12 იანვრით, მესამე—13 იანვრით, მეოთხე—7 თებერვლით, მეხუთე—21 თებერვლით. ეს ბრძანებულებები რამოდენიმეჯერ არის გამოქვეყნებული სხვადასხვა ჟურნალებში. ამ ბრძანებულებათა ასლები დაცულია სახელმწიფო სამხედრო-ისტორიულ არქივში. იხ. ЦГВИА, ф. ВУА, д. 323, лл. 1—ბ. დანართის სახით ეს დოკუმენტები გამოქვეყნებულია ინდოეთზე ლაშქრობის პროექტთან ჟურნალ „Русская старина"-ს დასახელებულ ნომერში, გვ. 409—410.

გონებდა ლაშქრობის სარდალს: ინდოეთში შეჭრის შემდეგ თქვენ ამოცანაა ბოლო მოუღოთ და მოსპოთ ინგლისელთა ვაჭრობა ამ ქვეყანაში, გაათავისუფლოთ მათგან დამონებული მკვიდრი მოსახლეობა და ინდოეთის მიწა-წყალი რუსეთის სამფლობელოდ აქციოთო. დანარჩენი ბრძანებულებები ეხება მარშრუტის დამატებით შესწავლა-დაზუსტების საჭიროებას, ინდოეთის მკვიდრი მოსახლეობისა და ხივა-ბუხრის ტერიტორიების მოსახლეობისადმი მეგობრული დამოკიდებულების დაცვის საჭიროებას და სხვ. ორი უკანასკნელი ბრძანებულება იმ პერიოდს ეკუთვნის, როცა ლაშქრობისათვის საჭირო წინასწარი სამზადისი უკვე დამთავრებული იყო და ორლოვის კაზაკთა არმიას გეზი ჰქონდა აღებული ორენბურგის მიმართულებით [1].

გენერალმა ორლოვმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი დავალებული ლაშქრობის ორგანიზაციის საქმეს. მან თავის ხელქვეითებს დაუგზავნა განკარგულებები კაზაკთა რაზმების შედგენის, ცხენების, საზიდრების, სურსათ-სანოვაგისა და ტანისამოსის შეგროვების შესახებ. ამავე დროს მან კავშირი დაამყარა ყალმუხებთან, ლაშქრობაში მათი მონაწილეობის თაობაზე. ლაშქრობის მომზადებისათვის საჭირო ფულადი სახსრების, იარაღის, ტანისამოსის და რუკების მისაღებად გენერალმა ორლოვმა ურთიერთობა დაამყარა სამხედრო კოლეგიის ვიცე-პრეზიდენტ გენერალ ლამბასთან, სარატოვის გუბერნატორ ლანსკისთან, ორენბურგის გუბერნატორ ბახმეტიევთან, ხარკოვის სამხედრო ოლქის ინსპექტორ თავად გორჩაკოვთან, გენერალ-ადიუტანტ ლიევენთან და პროვიანტის დეპარტამენტის უფროს გენერალ-ადიუტანტ ობოლიანინოვთან. სახელმწიფო ხაზინიდან (დერჟავინისაგან) ორლოვმა მიიღო 1.670.285 მანეთი და 1/4 კაპიკი [2].

გენერალმა ორლოვმა მოკლე დროში შესძლო საჭირო წინასწარი მზადების ჩატარება და დონის კაზაკთა მომზადება ინდოეთზე ლაშქრობისათვის. მთელი ლაშქარი (22.507 კაცი თავისი არტილერიით) [3] მან გაჰყო 4 რაზმად; აქედან მოწინავე რაზმს გენ.-მაიორი პლატოვი მეთაურობდა [4].

---

[1] „Русская старина", 1873, ტ. 8, გვ. 409—410.

[2] Ш. Баторский. დასახ. წერილი, „Сборник геогр топогр. и статист. материалов по Азии", вып. 23, СПБ., 1886, გვ. 55—61.

[3] ზოგიერთთა ცნობით 40 ცხენოსანი პოლკი, ორი ცხენოსანი არტილერია, სულ 21.651 კაცი და 44.550 ცხენი. С. Окунь, დასახ. ნაშრ., გვ. 88.

[4] ა. მ. ტურგენევი თავის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში იძლევა ზოგიერთ ცნობას ამ ლაშქრობისათვის მზადების შესახებ. მაგალითად, მას მოტა-

გზების შესარჩევად და საჭირო დაზვერვის მოსაწყობად სათანადო რაზმის გაგზავნის შემდეგ, დონის კაზაკთა რაზმებმა 1801 წლის 27—28 თებერვალს უკვე დასტოვეს შეკრების პუნქტები და დაიწყეს ლაშქრობა დასახული მიმართულებით. ლაშქრობის თავდაპირველი მიმართულება იყო ყალმუხთა ველებიდან ვოლგისაკენ, რათა ვოლგაზე გადასვლის შემდეგ გეზი აეღოთ ორენბურგისაკენ.

მარტის შუა რიცხვებში ორლოვის სარდლობაში მყოფი არმია მიუახლოვდა მდინარე ვოლგას. საგრძნობი ზარალის ფასად ლაშქარმა მოახერხა მდინარეზე გადასვლა, რის შემდეგ მან გეზი ორენბურგისაკენ აიღო.

პავლე I-ის მკვლელობამ და ალექსანდრე I-ის გამეფებამ შეაჩერა ამ ლაშქრის შემდგომი წინსვლა. ამგვარად, ლაშქრობა დაწყებისთანავე შეწყდა.

რუსეთ-საფრანგეთის ინდოეთზე ლაშქრობის აღნიშნული გეგმისა და მისი რეალიზაციის შესაძლებლობის შესახებ საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს. მის შესახებ წერდნენ რუსი ისტორიკოსები, ფრანგები, ინგლისელები და სხვები. ავტორთა უმრავლესობა, რომლებიც აშუქებენ პავლე I-ის მეფობას და რუსეთის საგარეო პოლიტიკის საკითხებს XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე, მეტ-ნაკლებად ეხებიან აღნიშნული ექსპედიციის პროექტს და თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამენ პავლე I-ის ლაშქრობის შესახებაც.

შეხედულებები, რომლებიც ამ პროექტის შესახებ გამოითქვა ისტორიულ ლიტერატურაში ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათისაა. თვით საბჭოთა ისტორიოგრაფიაშიც კი არ არის შემუშავებული ერთიანი აზრი მის შესახებ.

ისტორიკოსთა ერთი ჯგუფის შეხედულებით მოცემული პროექტი არ არის შემუშავებული რუსეთ-საფრანგეთის თანამშრომლობის შედეგად და იგი არც სერიოზული მნიშვნელობის დოკუმენტს წარმოადგენს. თუმცა ისინი არ გამორიცხავენ ნაპოლეონ ბონაპარტის როლს ამ პროექტის შემუშავებაში, მაგრამ მის უშუ-

---

ნილი აქვს ცნობა პავლე I-ის მიერ პეტრე-პავლეს ციხიდან გენერალ პლატოვის სახელდახელოდ გაწთავისუფლების შესახებ, რომელსაც, თითქოს, მან დაავალა დონზე გამგზავრება, ლაშქრობის ორგანიზაცია და მისი სარდლობა. იხ. Записки Александра Михайловича Тургенева. „Русская старина", 1886, январь, გვ. 46—51. ტურგენევის ეს ცნობა მცდარია. გენერალი პლატოვი პავლეს მიერ, მართლაც, იქნა განთავისუფლებული ციხიდან, მაგრამ მას არ დაუვალებია მთელი ლაშქრის სარდლობა, არამედ ამ ლაშქრის ავანგარდის უფროსობა დაეკისრა.

ალო ავტორობას მეორეხარისხოვან პირებს მიაწერენ. სამხედრო-ტაქტიკური თვალსაზრისით ინდოეთზე რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ექსპედიციის პროექტი ამ ისტორიკოსებს ზერელედ და ნაჩქარევად შედგენილად მიაჩნიათ. ამ პროექტში, მათი აზრით, გათვალისწინებული არ არის ლაშქრობასთან დაკავშირებული ბევრი სიძნელე. დასასრულ, ისტორიკოსთა ეს ჯგუფი უარჰყოფს არა მარტო რუსეთის მონაწილეობას ამ პროექტის შემუშავებაში, არამედ ნაპოლეონ ბონაპარტის და პავლე I-ის რაიმე მოლაპარაკებასაც კი ინდოეთზე ლაშქრობის თაობაზე.

ამ შეხედულებას იზიარებს რევოლუციამდელ რუს ისტორიკოსთა ნაწილი და ზოგიერთი ფრანგი და ინგლისელი ბურჟუაზიული ისტორიკოსი.

ისტორიკოსთა მეორე ჯგუფი ინდოეთზე ერთობლივი ლაშქრობის ხსენებული პროექტის ავტორად უშუალოდ ნაპოლეონ ბონაპარტს მიიჩნევს. მათი შეხედულებით აღნიშნული პროექტი სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით მეტად საფუძვლიანად, სრულყოფილად, გენიალურად იყო შემუშავებული. მასში ზუსტად იყო გათვალისწინებული ლაშქრობის ყველა დეტალი, სწორედ აქედან ასკვნიან ისინი ამ პროექტის ნაპოლეონისეულ ავტორობას. ამ ჯგუფის ისტორიკოსებს სჯერათ, რომ თუ ეს პროექტი მოქმედებაში შევიდოდა და ინდოეთზე გათვალისწინებული ლაშქრობა მოეწყობოდა, იგი წარმატებით დასრულდებოდა, რუსები და ფრანგები მიაღწევდნენ მდინარე ინდის ნაპირებს და განდევნიდნენ ინგლისელებს ინდოეთიდან. ამ ისტორიკოსებს სადაოდ არ მიაჩნიათ პავლე I-ის მონაწილეობა მოცემული პროექტის შემუშავებაში. ისინი დიუროკს მიაწერენ გეგმის თავდაპირველი პროექტის პარიზიდან პეტერბურგში ჩატანას. ამ შეხედულებას მხარს უჭერენ, ზოგიერთი არსებითი კორექტივით, საბჭოთა ისტორიკოსები და რევოლუციამდელ რუს ისტორიკოსთა ნაწილი.

ზემომოტანილ პირველ შეხედულებას მოცემული გეგმის შესახებ ყველაზე მკაფიოდ ავითარებენ რუსი ისტორიკოსები დ. მილიუტინი, კ. ვალიშევსკი და ა. კორნილოვი; ფრანგ ისტორიკოსთაგან ე. დრიო, ა. სორელი და „Mémoires"-ის გამომცემლები; მეორე შეხედულებას — ნ. ფირსოვი, შ. ბატორსკი, ე. ბურჯალოვი, ს. ოკუნი და ვ. ანტიუხინა. ერთგვარად შუალედ პოზიციაზე დგანან რუსი ისტორიკოსი ნ. შილდერი, ინგლისელი ისტორიკოსი ჯ. როუზი, ამერიკელი ავტორი ა. მეხენი და სხვები.

ვალიშევსკი ირონიული ტონით წერს: შედგენილ იქნა ინდოეთზე ლაშქრობის გეგმა, რომელიც პეტერბურგიდან გადაიგზავნა პარიზში, მაგრამ იგი, თითქოს. უკან იქნა დაბრუნებული პირველი კონსულის შენიშვნებით და დამატებითი განმარტებების მოთხოვნით, რაზედაც პავლემ, როგორც ამბობენ, პასუხი გასცა. ვალიშევსკი, მართალია, აღნიშნავს, რომ ეს დოკუმენტი და სათანადო მიწერ-მოწერა შეიძლება უცნობი იყო სპრენგტპორტენისა და კოლიჩევისათვის და ამის გამო მას კვალი არ დაუტოვებია ოფიციალურ არქივ-საცავებში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას ისტორიულად ძნელად დასამტკიცებლად მიაჩნია ასეთი დოკუმენტისა და სათანადო შეთანხმების არსებობა. ასევე ბუნდოვნად მიაჩნია მას საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ აღმოჩნდა ეს პროექტი პეტერბურგში, ვინ ჩაიტანა იქ იგი ანდა რა დროს?

ვალიშევსკი არ უარყოფს ნაპოლეონის დაინტერესებას „ინდოეთის საკითხით". ბონაპარტი, — წერს იგი, — უეჭველად ფიქრობდა ინდოეთში ექსპედიციის მოწყობაზე და არ საჭიროებდა ასეთი აზრის ჩაგონებას პავლე I-ის მიერ, მით უფრო, რომ სათანადო პროექტები წინადაც არსებობდა საფრანგეთში. ვალიშევსკის აზრით, ბონაპარტს სურდა ესარგებლა რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების პერსპექტივით, რათა სისრულეში მოეყვანა ინდოეთზე განზრახული ლაშქრობა. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო, რომ ეს დაახლოება სინამდვილედ ქცეულიყო. მართალია, ვალიშევსკის მოტანილი აქვს ნაპოლეონის მიერ წმ. ელენეს კუნძულზე ო. მეარას მისამართით ნათქვამი სიტყვები: „პავლე I რომ ცოცხალი ყოფილიყო, თქვენ უკვე დაკარგული გექნებოდათ ინდოეთი. ჩვენ ორთაკემ ერთად შევადგინეთ მისი დაუფლების პროექტი"[1], მაგრამ, მიუხედავად ამისა იგი უარჰყოფს აღნიშნული წამოწყების სერიოზულობას. მისი აზრით, 1801 წლის დასაწყისისათვის ნაპოლეონ ბონაპარტი მხოლოდ სწავლობდა ინდოეთში ლაშქრობის მოწყობის საკითხს და რაიმე პრაქტიკული ნაბიჯი ამ მიმართულებით არ გადაუდგამს. ამიტომ იყო, რომ ინგლისში არავითარ შეშფოთებას არ გრძნობდნენ ამასთან დაკავშირებით.

პავლე I-ის მიერ 1801 წლის თებერვალში წამოწყებულ ლაშქრობას ინდოეთისაკენ. ვალიშევსკი უწოდებს სრულიად მოუმზა-

---

[1] Le mémorial de Sainte-Hélène par le comte de Las Casas suivi de Napoléon dans l'exil par O. Meara", t. I, Paris, 1842. გვ. 384.

დებელ. ზერელე, სულელურ წამოწყებას. ამ წამოწყების ასეთი ზერელე ხასიათი, მისი აზრით, გამორიცხავდა ბონაპარტის მონაწილეობას მასში. ეს ლაშქრობა მას მიაჩნია რუსეთის იმპერატორის სეპარატულ ნაბიჯად, რომლის შესახებაც ნაპოლეონ ბონაპარტმა არაფერი არ იცოდა[1].

მილიუტინი თავისი შრომის მეორე ტომის ბოლოს, აღნიშნავს რა ინგლისსა და რუსეთს შორის 1801 წლის დასაწყისში საომარი ვითარების აღმოცენების ფაქტს, გაკვრით ეხება ინდოეთზე ლაშქრობის საკითხსაც. იგი ზერელეს, მოუმზადებელს და ავანტიურისტულს უწოდებს პავლე I-ის განზრახულ სეპარატულ ლაშქრობას ინდოეთისაკენ, საეჭვოდ ხდის ერთობლივი ლაშქრობის პროექტის სინამდვილეში არსებობასაც და მას ზერელესა და უსაფუძვლოს უწოდებს[2]. ამ აზრს იგი ასაბუთებს „Mémoires"-დან (ტ. 7, გვ. 6; ტ. 8, გვ. 62) ცნობის მოტანით იმ გამოძახილის შესახებ, რომელიც ლაშქრობის პროექტს ჰქონია მაშინ ინგლისში და სხვა ქვეყნებში[3].

კორნილოვიც, მილიუტინის მსგავსად, უგულებელჰყოფს 1800 წელს საფრანგეთ-რუსეთის `ინდოეთზე ერთობლივი ლაშქრობის გეგმის სერიოზულობას და არ სთვლის მას ნაპოლეონ ბონაპარტისა და პავლე I-ის თანამშრომლობის ნაყოფად. რაც შეეხება პავლე I-ის „წამოწყებას"—ორლოვის კაზაკთა ლაშქრობას ინდოეთისაკენ—იგი მას მიაჩნია არა მარტო უაზროდ, არამედ რუსეთის იმპერატორის სიგიჟის მაჩვენებლად[4].

ფრანგი ისტორიკოსი ალბერტ სორელი თავის ცნობილ მრავალტომეულში გაკვრით ეხება ამ საკითხს. ერთადერთ რეალურ ფაქტად სორელი მიიჩნევს ნაპოლეონ ბონაპარტის მისწრაფებას მახვილი ჩაეცა საფრანგეთის დაუძინებელი მტრის ინგლისისათვის არა მარტო ევროპაში, არამედ თვით ინდოეთშიაც. ასევე რეალურ ფაქტად მიაჩნია მას პავლე I-ის ბრძანებულებები გენერალ ორლოვისადმი და ამ უკანასკნელის არმიის დაძვრა ინდოეთისაკენ. ყველა დანარჩენი ამბავი, რაც ერთობლივი ლაშქრობის პროექტთან არის დაკავშირებული, სორელის აზრით ზეპირთქმულებას, ადამიანთა ფანტაზიის ნაყოფს, ე. ი. არარეალურ, მონაჭორ ამბავს

---

[1] К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 494—497.

[2] Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 537—538; ტ. 3, გვ. 667.

[3] იქვე, ტ. 3. გვ. 668—669.

[4] А. Корнилов, Курс истории России XIX века, ч. 1—2, М., 1912. გვ. 71.

წარმოადგენს. ამიტომ აღნიშნული, რომ იგი ირონიულად გადმოსცემს აღნიშნული პროექტის დეტალებს და კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს საფრანგეთის 35 ათასიანი არმიის რუსეთ-ირან-ავღანისტანის გზით ინდოეთისაკენ გაგზავნის განზრახვის რეალობას[1].

დაახლოებით ასეთსავე აზრს ანვითარებს მეორე ფრანგი ისტორიკოსი (ორიენტალისტი) დრიოც. მასაც არ სჯერა, რომ მოცემული ლაშქრობის გეგმა რუსეთის და საფრანგეთის მთავრობების მიერ შეთანხმებულად იყო შემუშავებული და სწორ ვარაუდზე აგებული[2].

ცნობები ინდოეთზე ერთობლივი ლაშქრობის გეგმისა და მისი ხასიათის შესახებ მოტანილი აქვთ „Mémoires"-ის გამომცემლებსაც. კერძოდ „Mémoires"-ში მოტანილია ამონაწერი იმ მოხსენებიდან, რომელიც პრუსიის მინისტრ ჰარდენბერგს მიუღია თავისი ლონდონელი აგენტისაგან. ეს ინგლისელი აგენტი თავის მოხსენებაში პრუსიის მინისტრს აცნობებდა ერთ-ერთი ოფიციალური და გავლენიანი ინგლისელის აზრს იმის შესახებ, თუ რა შეხედულების იყვნენ ინგლისში ინდოეთზე ლაშქრობის პროექტის შესახებ ან როგორ გაიგო ინგლისის დიპლომატიამ ამ პროექტის არსებობის შესახებ. იქვე მოტანილია მეორე ცნობაც: პარიზელი აგენტის მოხსენება იმის შესახებ, თუ რას ფიქრობდნენ ამ პროექტის შესახებ საფრანგეთის წრეებში.

პარიზელი აგენტი, აცნობებს რა ჰარდენბერგს ინდოეთზე ლაშქრობის პროექტის არსებობის შესახებ („d'un plan de guerre contre les Indes"), უწოდებს მას მისტიკურს და ავადმყოფი ტვინის ნაყოფს[3]. პარიზელი აგენტის წერილში ჩამოთვლილია ამ გეგმის რეალიზაციის გზაზე არსებული დაბრკოლებების სერიოზულობა და აქედან გაკეთებულია დასკვნა გათვალისწინებული ლაშქრობის უაზრობისა და განუხორციელებლობის შესახებ. ორი ქვეყნის არმიის გაერთიანებისას მისი მართვის სიძნელეები, ირანისა და ავღანეთის ფეოდალურ მფლობელთა (ნარშრუტის ზონაში) არაკეთილგანწყობილება მოკავშირეებისადმი, გადაზიდვის საშუალებათა სიმცირე და შავ ზღვაზე ინგლის-თურქეთის მოსალოდნელი

---

[1] А. Сорель, Европа и Французская революция, СПБ., 1906, ტ. 6, გვ. 93—94.

[2] E. Driault, La question d'Orient depuis ses origines jusqu'á nos jours, Paris, 1909, გვ. 71—82; მისივე, Napoléon et Europe. 1800—1803, Paris, 1910, გვ. 149—150.

[3] „Memoirés...", ტ. 8, გვ. 64.

წინააღმდეგობა პარიზელი აგენტის დასმენაში მიჩნეულია ინდოეთზე გათვალისწინებული ლაშქრობის გზაზე აღმართულ მთავარ დაბრკოლებებად.

დაახლოებით ასეთივე მოსაზრებაა გამოთქმული ამ გეგმის შესახებ ლონდონელი აგენტის წერილშიც. მასში აღნიშნულია პავლესა და ნაპოლეონს შორის საიდუმლო შეთანხმების არსებობა [1], რომლის მიზნადაც მიჩნეულია ინგლისის მდიდარი სამფლობელოების დაპყრობა ინდოეთში [2]. მართალია, წერილში აღნიშნულია, რომ ცნობამ ინდოეთზე განზრახული ლაშქრობის შესახებ შეშფოთება გამოიწვიაო ინგლისში, მაგრამ ავტორი დასძენს: ეს შეშფოთება ხალხს შეეხო. მთავრობა კი მშვიდადაა და მღელვარებას არ ავლენსო. რუსებს და ფრანგებს ინდოეთის დაპყრობისა და იქიდან ინგლისელთა განდევნის განზრახვის სისრულეში მოყვანა, ამ აგენტის აზრით, არ შეეძლოთ, მისი თქმით, ინგლისი ძლიერია ზღვაზე, მას აშკარა უპირატესობა აქვს ვაჭრობასა და მრეწველობაში, მას მკვიდრად აქვს ფეხი მოკიდებული ინდოეთში, სადაც ძლიერი სამხედრო ძალა გააჩნია, რაც ინგლისის სასარგებლოდ ლაპარაკობს. რუსები და ფრანგები ინდოეთში შეჭრის ცდისას დიდ სიძნელეებს წააწყდებიან, რის გამოც ამ ქვეყანაში ვერ შეიჭრებიანო, განაგრძობს წერილის ავტორი. მაგრამ მათ რომ მოახერხონ და ინდოეთამდე მიაღწიონ, სულ ერთია მალე იქნებიან იქიდან გამოძევებულნიო, დაასკვნის თავის მოსაზრებას ეს აგენტი. პარიზელი აგენტის მსგავსად, ეს აგენტიც აღნიშნულ გეგმას უაზრო წარმოსახვისა და ზერელე გააზრების ნაყოფს უწოდებს [3].

ავტორთა დიდი ნაწილი, რომელიც უარყოფითი აზრისაა რუსეთ-საფრანგეთის ინდოეთზე ერთობლივი ლაშქრობის გეგმისა და მისი რეალიზაციის ცდის შესახებ, სწორედ „Memoires"-ში მოტანილ შეხედულებებს და მათ გამომცემელ ფრანგ რედაქტორთა დასკვნებს ემყარება.

მეორე შეხედულება ინდოეთზე რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის პროექტისა და განხორციელების შესაძლებლო-

---

[1] „...l'existence d'un accord secret entre l'empereur de Russie et Bonaparte". იხ. „Mémoires...", ტ. 8, გვ. 65.

[2] იქვე, გვ. 66—73.

[3] იქვე, გვ. 74.

ბის შესახებ ვრცლადა აქვს განვითარებული პოდპოლკოვნიკ შ. ბატორსკის ზემოდასახელებულ ნარკვევში[1].

ბატორსკის ნარკვევი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში გაშუქებულია ინგლის-საფრანგეთის ბრძოლა ინდოეთისათვის, ინდოეთზე ლაშქრობის რამოდენიმე ფრანგული გეგმა და თვით 1800 წლის პროექტი[2]. იქვე გზადაგზა მოცემულია მისი დასკვნები. ნარკვევის მეორე ნაწილი[3] მიძღვნილია ალექსანდრე I-ის მეფობის წლებში (1807—1808 წწ.) შემუშავებული სათანადო გეგმების საკითხისადმი.

ეხება რა საფრანგეთის ისტორიულ მისწრაფებას დაებრუნებინა ძველი პოზიციები ინდოეთში და გამოეძევებინა ამ ქვეყნიდან ინგლისელები, ავტორი ეგვიპტის ექსპედიციაში სამართლიანად ხედავს ამ მისწრაფების რეალიზაციის ცდის ერთ-ერთ კონკრეტულ გამოხატულებას. 1800 წლის პროექტი ინდოეთზე ერთობლივი ლაშქრობის შესახებ, ავტორის აზრით, აღმოცენდა როგორც მორიგი ცდა სისრულეში ყოფილიყო მოყვანილი საფრანგეთის მანამდე განუხორციელებელი ლტოლვა ინდოეთისაკენ. ამ გეგმის შემუშავებას, მიუხედავად იმისა, რომ ექსპედიციის იდეა ახალი არ იყო, ბატორსკი მთლიანად ნაპოლეონ ბონაპარტს მიაწერს. საფრანგეთის ფლოტის სისუსტემ და ახალმა გარემოებებმა, რაც ეგვიპტის ექსპედიციის მარცხს მოჰყვა, ბატორსკის შეხედულებით, აიძულა ნაპოლეონი ხელი აეღო თავის განზრახვაზე — გამოეყენებინა ეგვიპტე შუალედ ბაზად ინდოეთზე ლაშქრობისათვის და სხვა გზა, სახმელეთო გზა, აერჩია. ვინაიდან ხმელეთის გზით ინდოეთზე ლაშქრობის მოწყობა შეუძლებელი იყო რუსეთის მონაწილეობის გარეშე, ამიტომ, ბატორსკის აზრით, საფრანგეთის პირველმა კონსულმა საჭიროდ მიიჩნია რუსეთიც ჩაება მისი განხორციელების საქმეში და ამ თანამშრომლობის საჭიროება სათანადო გეგმაში გამოეხატა. ბატორსკის აზრით, რუსეთის მონაწილეობა ინდოეთზე ლაშქრობაში ნაპოლეონს ესაჭიროებოდა არა მარტო სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკური მოსაზრებითაც. რუსეთთან კავშირ-მეგობრობა, რუსეთის ჩაბმა აღმოსავლეთის ლაშქრობაში საფრანგეთს მისცემდა საჭირო შე-

[1] ბატორსკის ნარკვევი „Проект экспедиции в Индию, предложенный Наполеоном Бонапарте императорам Павлу I и Александру I в 1800 и в 1807—1808 гг". მოთავსებული კრებულში „Сборник географических, топографических и статистических материалов по Азии", вып. 23. СПБ., 1886, გვ. 1—104.

[2] იქვე. გვ. 1—61

[3] იქვე. გვ. 61—104.

სვენებას ევროპაში და შეასუსტებდა რუსეთის ყურადღებას ევროპის ამბებისადმი [1].

ბატორსკი დარწმუნებულა, რომ ინგლის-რუსეთის ომის შემზადების ვითარებაში პავლემ მართლაც განიზრახა მახვილი ჩაეცა ინგლისისათვის ინდოეთში, მაგრამ, ამავე დროს, იგი ფიქრობს, რომ სათანადო აზრი ამის შესახებ რუსეთის იმპერატორს ჩაესახა ნაპოლეონის პროექტის გაცნობის შემდეგ. იგი კითხვის ქვეშ აყენებს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ და როდის გაიცნო პავლემ ნაპოლეონისეული პროექტი [2]. ბატორსკი ღრმად არის დარწმუნებული იმაში, რომ პავლე I მართლაც გაეცნო ნაპოლეონის პროექტს. მას პავლე I-ის ლაშქრობა ინდოეთისკენ 1801 წლის დასაწყისში ამ პროექტის ანარეკლად და მისი განხორციელების წარუმატებელ ცდად მიაჩნია [3].

არჩევს რა ინდოეთზე ლაშქრობის პროექტს სამხედრო-სტრატეგიული თვალთახედვით, ბატორსკი, მართალია, ხაზს უსვამს ამ პროექტის განხორციელების გზაზე წამოჭრილ დიდ სიძნელეებს (უგზოობა, სურსათის ნაკლებობა, სიშორე, საზიდარ საშუალებათა სიმცირე და სხვ.), მაგრამ მაინც დადებითად აფასებს ლაშქრობის პროექტს და უარყოფს აზრს მისი ზერელობისა და ფანტასტიურობის შესახებ. ამ პროექტის საფუძველზე ინდოეთში სათანადო ლაშქრობის მოწყობა მას მიაჩნია ისეთ წამოწყებად, რომლის განხორციელება, მისი აზრით, სავსებით შესაძლებელი იყო. ბატორსკი ფიქრობს, რომ ინგლისელთა მდგომარეობა ინდოეთში XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე მეტად მერყევი და არასახარბიელო იყო. ეს გარემოება მას ნაპოლეონის გაბედული პროექტის განხორციელების ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად წარმოუდგენია.

---

[1] „Но ему участие России,—წერს ბატორსკი ნაპოლეონის შესახებ,—было необходимо, главным образом для того, чтобы, отвлекая ее внимание на Восток, втягивая ее Индийский поход, сделать менее чуткою и отзывчивою ко всем призывам континентальных держав, которые без почина со стороны Россия не решились бы нарушить спокойствие в Европе". Ш. Баторский, ხემოდასახ. ნარკვ., „Сборн. географических, топографических и статистических материалов по Азии, вып. 233, 1886, გვ. 71.

[2] იქვე, გვ. 39.

[3] იქვე, გვ. 52.

ფირსოვი თავის წერილში „Отношения Англии и России в царствование императора Александра I“ [1], შესაელის სახით, მსჯელობს პავლე I-ის საგარეო პოლიტიკის შესახებ და მოკლედ ეხება ინდოეთზე რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის პროექტსაც. ემყარება რა ო. მეარას მიერ მოტანილ ცნობას წმ. ელენეს კუნძულზე ნაპოლეონის განცხადების შესახებ, ფირსოვი აღნიშნულ პროექტს თვლის ნაპოლეონ ბონაპარტისა და პავლე I-ის თანამშრომლობის ნაყოფად. „შეთანხმება რუსეთსა და საფრანგეთს შორის მიღწეულ იქნა, — წერს ფირსოვი, — მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ რუსეთის და საფრანგეთის არმიები გადასხმული იქნებოდნენ კასპიის ზღვის სანაპიროზე და სპარსეთის ყურით გაემართებოდნენ ინდოეთისაკენ [2].

ამგვარად, ფირსოვის აზრით, ინდოეთზე ერთობლივი ლაშქრობის გეგმა-პროექტი საფრანგეთის პირველი კონსულის და რუსეთის იმპერატორის წინასწარი შეთანხმების ნაყოფს წარმოადგენდა, იგი განხილულ იქნა პარიზშიც და პეტერბურგშიც და სამხედრო-სტრატეგიული თვალთახედვით საფუძვლიანად იყო შემუშავებული.

რევოლუციამდელი რუსი ისტორიკოსებიდან, აღნიშნულ ისტორიკოსებს გარდა, ინდოეთზე ლაშქრობის პროექტს შეეხნენ აგრეთვე შილდერი და სუვორინი.

შილდერს პავლე I-ის მიერ წამოწყებული ლაშქრობა ინდოეთზე ფანტასტიურ გატაცებად მიაჩნია, მაგრამ იგი, ამასთან ერთად, აღნიშნავს ნაპოლეონ ბონაპარტის მიერ ასეთივე გატაცებისა და მისგან სათანადო პროექტის შემუშავების ფაქტსაც. პავლე I-ის მიერ ინდოეთისაკენ კაზაკების გაგზავნას შილდერი უწოდებს სეპარატული ხასიათის, ზერელე, მოუმზადებელ, გარდუვალი დამარცხების პერსპექტივის მქონე ავანტიურისტულ წამოწყებას, რომელმაც კიდევ უფრო გააძლიერა ინგლისის მმართველთა სიძულვილი პავლეს პოლიტიკური სისტემისადმი [3].

სუვორინი პავლე I-ის ლაშქრობასა და საფრანგეთის ინდოეთისაკენ სწრაფვას შორის ხედავს გარკვეულ კავშირს. მას პავლეს ლაშქრობა მიაჩნია რუსეთის ცდად სერიოზული დარტყმა ეგემებინა ინგლისისათვის. მაგრამ შილდერი, ამავე დროს, კით-

---

[1] მოთავსებულია ჟურნალში „Древняя и Новая Россия“, 1887, № 3, გვ. 212—266.

[2] იქვე, გვ. 244.

[3] Н. Шильдер. Император Павел Первый, СПБ., 1901, გვ. 417, 420.

ხვის ნიშნის ქვეშ სვამს საკითხს იმის შესახებ, რომ დონის კაზაკების ლაშქრობა ინდოეთისაკენ განკერძოებული მოქმედება იყო, თუ იგი გამომდინარეობდა რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი მოქმედების გეგმიდან[1].

ინგლისელ ისტორიკოსთაგან რუსეთ-საფრანგეთის ინდოეთზე ერთობლივი ლაშქრობის პროექტისა და მისი განხორციელების ცდის შესახებ თავიანთი აზრი გამოთქვეს სუტერლანდ ედუარდსმა (H. Suterland Eduards) და ჯონ ჰოლანდ როუზმა (John Holland Rose).

პირველი ამ ისტორიკოსთაგან სპეციალურ ნაშრომს უძღვნის ამ საკითხს. წიგნი დაწერილია ინგლის-რუსეთის ურთიერთობის გამწვავების პერიოდში (1885 წ.), ამიტომ იგი ისტორიულ ექსკურსებს ამ საკითხის შესახებ იყენებს იმისათვის, რომ „დაამტკიცოს“: რუსეთი ისტორიულად ისწრაფოდა ინდოეთის დაპყრობას, ლამობდა წაერთმია იგი ინგლისელებისათვის და თავის სამფლობელოდ ექცია. ედუარდსი პავლეს უწოდებს რუსეთის პირველ იმპერატორს, რომელმაც რეალურად დააყენა ინდოეთში შეჭრისა და ამ ქვეყნიდან ინგლისელთა განდევნის საკითხი[2]. ავტორი ფიქრობს, რომ ინდოეთზე ლაშქრობის განზრახვა პავლე I-მა გაუზიარა ნაპოლეონ ბონაპარტს, რომ მან შეადგინა ინდოეთზე ლაშქრობის გეგმის ორი ვარიანტი: ერთის თანახმად ლაშქრობა უნდა მოწყობილიყო სპარსეთსა და ავღანეთზე გავლით, მეორის თანახმად კი—შუა აზიის ტერიტორიის გავლით. 1800 წლის პროექტი მას ნაპოლეონ ბონაპარტისა და პავლეს თანამშრომლობის ნაყოფად მიაჩნია[3].

---

[1] „Сб. Царствование 11 марта 1801 года“, СПБ., 1907, გვ. XLIV; აქ მხედველობაში მისაღები არ არის დობრრკლონსკი, რომელიც ეწევა პავლე I-ის იდეალიზაციას და მას უშიშარ რაინდს უწოდებს, ინდოეთზე ლაშქრობას, რომელიც პავლე I-მა წამოიწყო; იგი იმით ხსნის, რომ რუსეთის მონარქს, თითქოს, „დიდი საქმეები აღაფრთოვანებდა, რუსეთის დიდების სიყვარულით იღწვოდა“ და განგის ნაპირებთან ზამარჯვების მოპოვებით სურდა რუსეთის სამხედრო დიდება უკვდავების გვირგვინით შეემკო“. იხ. Добровольский, Краткая история Российской дипломатии“, Москва, 1830, გვ. 96, 99. რუსული მემუარული ლიტერატურიდან ინდოეთზე ლაშქრობის პროექტისა და მისი სისრულეში მოყვანის განხრახვის შესახებ საინტერესო ცნობები აქვს მოტანილი ა. ტურგენევს, იგი გენიალურს უწოდებს ინდოეთზე ერთობლივი ლაშქრობის პროექტს და მას ჭანიბალის იმ გეგმას ადარებს, რომლითაც ამ უკანასკნელს სურდა იტალიის დაპყრობა. Записки Александра Михайловича Тургенева, „Русская старина“, 1886, январь, გვ. 47—48.

[2] იხ. H. Suterland Eduards, Russian projects against India from the czar Peter to general Skobeleff, London, 1885, გვ. 32.

[3] იქვე, გვ. 38.

ამდენად, ამ ინგლისელ ავტორს სადავოდ არ მიაჩნია პავლე I-ის და ნაპოლეონ ბონაპარტის თავდაპირველი შეთანხმება ინდოეთზე ლაშქრობის მოწყობის შესახებ. მაგრამ იგი ფიქრობს, რომ საფრანგეთი და რუსეთი საბოლოოდ ვერ შეთანხმდნენ ერთობლივი ლაშქრობის მოწყობის დეტალებში. ამან, მისი აზრით, აიძულა პავლე I დამოუკიდებელი ნაბიჯი გადაედგა და კაზაკები გაეგზავნა ინდოეთისაკენ [1].

როუზი მოკლედ ჩერდება რუსეთ-ინგლისის ურთიერთობის მკვეთრი გაუარესების ფაქტზე 1800 წლის დასასრულისათვის და მასთან დაკავშირებით ყურადღებას აქცევს ინდოეთზე ერთობლივი ლაშქრობის აღნიშნულ პროექტსაც. პროექტის შინაარსის გადმოცემისას იგი იძლევა კრიტიკულ შენიშვნებს, რის შემდეგაც აღნიშნავს პავლე I-ის ნიერ მოწყობილი ლაშქრობის ფაქტს. დასასრულ, როუზი წერს, რომ ინგლისში იცოდნენ ამ გეგმის არსებობის შესახებ, ნაგრამ არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა ნაბიჯები გადაიდგა იქ-ამასთან დაკავშირებით [2].

ამერიკელი ავტორი კაპიტანი მეხენი მოკლედ ეხება ინგლის-საფრანგეთის ბრძოლას ინდოეთისათვის, კერძოდ ინდოეთზე რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის 1800 წლის პროექტს, რომელშიც იგი ხედავს ამ ორი ქვეყნის თანამშრომლობის ნაყოფს. მართალია, იგი ერთგვარ მნიშვნელობას ანიჭებს ამ პროექტს, მაგრამ საერთოდ, სკეპტიკურად უცქერის მისი რეალიზაციის შესაძლებლობას. თუმცა მეხენი უშვებს ფრანგებისა და რუსების მხრივ ინდოეთის დროებითი დაპყრობის შესაძლებლობას, მაგრამ თან ფიქრობს, რომ ეს „წამოწყება" საბოლოოდ მარცხით დამთავრდებოდა; მისი აზრით ინგლისელები, რომელთა ხელში იყო საზღვაო ბატონობა, ძლიერი ეკონომიკა და ფინანსები, მალე შეძლებდნენ მდგომარეობის გამოსწორებას და თავიანთი ბატონობის აღდგენას ინდოეთში [3].

---

[1] იხ. H. Suterland Edwards, დასახ. ნაშრ., გვ. 38.

[2] Jhon Holland Rose, The life of Napoléon, London, 1907, ტ. I, გვ. 260—263.

[3] А. Мэхэн. Влияние морской силы на французскую революцию и империю (1793—1819). т. I, М., 1940, გვ. 249. გარდა აღნიშნული ავტორებისა, ამ პროექტის (სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით) ღირებულების შესახებ, თავიანთი აზრი გამოთქვეს სხვა ავტორებმაც. ამათგან შეიძლება დასახელებულ იქნენ ხრულევი (იხ. С. А. Хрулев, О походе в Индию, „Русский архив", 1881 г., გვ. 42—66. П. Чихачев, О возможности осуществления Россией

საბჭოთა ისტორიკოსები ს. ოკუნი, ე. ბურჯალოვი, ა. ნაროჩნიცკი და ვ. ანტიუხინა უარყოფენ რევოლუციამდელი რუსი ისტორიკოსების ზემომოტანილ შეხედულებას რუსეთ-საფრანგეთის ინდოეთზე ერთობლივი ლაშქრობის გეგმის აღმოცენებისა და ხასიათის შესახებ.

ს. ოკუნი წერს: ინდოეთზე ლაშქრობის პროექტი საფუძვლიანად იყო შემუშავებული, როგორც კარგად მოფიქრებული ოპერაცია, რომელიც საფრანგეთთან ერთად უნდა მოწყობილიყო. ექსპედიციის პროექტი, თუმცა იგი პეტერბურგში იყო შემუშავებული, ატარებდა ფრანგული წარმოშობის აშკარა კვალს. პროექტი ითვალისწინებდა ყველა დეტალს, რაც უზრუნველყოფდა მის უდავო წარმატებას; ამ ლაშქრობაში მონაწილეობის დროს მეფის რუსეთს არა მარტო სამხედრო-პოლიტიკური, არამედ სავაჭრო-ეკონომიური მოტივებიც ამოქმედებდა. ამ პროექტით გათვალისწინებული ლაშქრობის მთელ სერიოზულობას, ოკუნის აზრით, ისიც ადასტურებს, რომ ინგლისში აშკარა შეშფოთებით შეეგებნენ ცნობას მისი შემუშავების შესახებ. სახმელეთო გზით პავლე I-ის მიერ წამოწყებული ლაშქრობა ინდოეთისაკენ, ოკუნის მტკიცებით, ერთობლივი ლაშქრობის პროექტიდან გამომდინარეობდა და მის შესავალსა და ნაწილს წარმოადგენდა; ამ ლაშქრობით რუსეთს სურდა არა მარტო წინასწარ მოესინჯა ნიადაგი, არამედ უზრუნველეყო თავისთვის წამყვანი როლი როგორც ლაშქრობაში, ისე ინგლისელთაგან „განთავისუფლებული“ ინდოეთის „ათვისებაში“, თანაც ზემოქმედება მოეხდინა ინგლისზე. ეს ლაშქრობა საფუძვლიანად იყო მოფიქრებული და ორგანიზებული და წარმატების იმედსაც იძლეოდაო. მაგრამ ოკუნი აქ არ სვამს წერტილს. მისი შეხედულებით პავლე I-ის სეპარატული ლაშქრობა ინდოეთისაკენ, უშუალოდ მიმართული იყო ინდოეთის მიმართ საფრანგეთის გეგმების წინააღმდეგ. რადგანაც საფრანგეთს შეეძლო ინდოეთთან სავაჭრო ურთიერთობა ეწარმოებინა საზღვაო გზით, რაც მას ამ ქვეყანაში უპირატესობას მიანიჭებდა, რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა ხმელეთით დაკავშირებოდა ინდოეთს და ორენბურგ-ხივა-ბუხარის

экспедиции в Индию“, მოთავს. დასახ. კრებულში. „Сборник...материалов по Азии“, вып. 23, 1886, გვ. 105 და შემდ.; უსახელო გერმანელი ავტორი „О походе сухим путем в Индию“, მოთ. ჟურნ. „Вестник Европы“, 1808, ტ. 39, გვ. 176—178 აღნიშნული ავტორები, ემყარებიან რა წარსული ისტორიის მაგალითებს, ასკვნიან: ხმელეთით ინდოეთზე ლაშქრობის მოწყობა შესაძლებელი არისო.

სავაჭრო გზით შეეტანა თავისი საქონელი ამ ქვეყანაში. დასასრულ, ოკუნი ფიქრობს, რომ რუსეთის მოძრავი ნაწილების ლაშქრობა ინდოეთის საზღვრებისაკენ გაერთიანებული არმიის ლაშქრობის წინ მიზნად ისახავდა განემტკიცებინა რუსეთის მდგომარეობა თვით ინდოეთში [1].

ე. ბურჯალოვს სარწმუნოდ მიაჩნია 1800 წლის პროექტის ფრანგული წარმოშობა. ისიც აღიარებს, რომ ეს პროექტი ნაპოლეონ ბონაპარტისა და პავლე I-ის თანამშრომლობის ნაყოფი იყო, საფუძვლიანი მოფიქრების შედეგს წარმოადგენდა და სამხედრო-სტრატეგიული მხრივ შეიძლებოდა მისი სისრულეში მოყვანა [2].

ვ. ანტიუხინა აგრეთვე მიიჩნევს, რომ ინდოეთზე ერთობლივი ლაშქრობის გეგმა ნაპოლეონ ბონაპარტის უშუალო მონაწილეობით იყო შემუშავებული. ემყარება რა სტედინგის ცნობას, მას სრულიად სარწმუნოდ მიაჩნია ვერსია ნაპოლეონის მიერ პეტერბურგში დიუროკის გაგზავნის შესახებ, რათა იგი პირადად მოლაპარაკებოდა რუსეთის იმპერატორს ინდოეთზე გათვალისწინებული ლაშქრობის პროექტისა და მისი განხორციელების პირობების შესახებ. ანტიუხინას შეხედულებით ექსპედიციისათვის მზადება წარმატებით მიმდინარეობდა და იგი, ალბათ, წარმატებით დამთავრდებოდა, პავლე I-ის მოულოდნელ სიკვდილს რომ ხელი არ შეეშალა მისთვის. მასაც პავლე I-ის მიერ დონის კაზაკთა გაგზავნა ორენბურგზე გავლით აზიის გზით ინდოეთისაკენ მიაჩნია არა დამოუკიდებელ ნაბიჯად, არამედ შემუშავებული გეგმის რეალიზაციის ცდად, ერთობლივი ექსპედიციის გეგმის ნაწილად, გონივრულად და საფუძვლიანად შემუშავებულ წამოწყებად [3].

ა. ნაროჩნიცკის მეფის რუსეთის მიერ 1801 წლის დასაწყისში მოწყობილი ლაშქრობა ინდოეთისაკენ პავლე I-ზე ნაპოლეონ ბონაპარტის ზეგავლენის ნაყოფად მიაჩნია. ნაპოლეონ ბონაპარტმა,—წერს იგი,—„...увлек сумасбродного царя химерической затеей похода казаков на Индию через Средне-азиатские

---

[1] С. В. Окунь, История СССР, 1796—1825, Л., 1956, გვ. 107.

[2] Э. Н. Бурджалов, დასახ. ნაშრ., გვ. 43—44.

[3] В. Антюхина, Англо-французская борьба за Индию в эпоху Наполеона I. Ученые записки Ленинградского гос. университета, № 36, серия истор. наук., вып. 3, გვ. 257—260.

ыустыпи"[1]. მაგრამ თვით ამ საკითხის შესახებ ცნობები მას მხოლოდ გაკვრით აქვს მოცემული.

ასეთნაირადაა დაყენებული ისტორიულ ლიტერატურაში საკითხი ინდოეთზე რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის 1800 წლის პროექტისა და პავლე I-ის მიერ 1801 წლის დასაწყისში წამოწყებული ლაშქრობის შესახებ.

როგორც უკვე დავინახეთ, აღნიშნულმა საკითხმა ბევრი ისტორიკოსის ყურადღება მიიპყრო. მის შესახებ ბევრი აზრი გამოითქვა. საბჭოთა ისტორიულმა მეცნიერებამ თავისი სიტყვა თქვა მის შესახებ, თუმცა გაკვრით და ზოგადად. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, მოცემული საკითხი ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს გადაწყვეტილად. მასზე ჯერ კიდევ არ არის გაცემული საკმარისებით ნათელი და ისტორიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონის შესატყვისი პასუხი. რომ არაფერი ვთქვათ რევოლუციამდელ რუს და საზღვარგარეთელ ისტორიკოსთა შეხედულებათა შესახებ, მოცემულ საკითხზე, თვით საბჭოთა ისტორიკოსების მიერ გამოთქმული მოსაზრებების ზოგიერთი ნაწილის გაზიარებაც არ შეიძლება. აღნიშნულის გამო, ჩვენ საჭირად მიგვაჩნია ზოგიერთი მოსაზრება გამოვთქვათ აღძრული საკითხის შესახებ და შეძლებისდაგვარად დავასაბუთოდ ისინი.

ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია რევოლუციამდელი რუსი და ფრანგი ისტორიკოსების ერთი ჯგუფის მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს, ინდოეთზე ინგლის-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის 1800 წლის პროექტი სინამდვილეში არ არსებობდა და იგი პარიზში ან პეტერბურგში სათანადო უწყებების და პიროვნებების მიერ არ ყოფილა შემუშავებული, რომ თითქოს იგი ყალბია და შემდეგში უცნობი პირის მიერ არის შედგენილი. ეს მოსაზრება დეკლარატიულ განცხადებას მოგვაგონებს, რომელიც არაფრით არ არის დასაბუთებული. თავიანთი მოსაზრების დასანტკიცებლად ამ ისტორიკოსების მიერ მოტანილი არგუმენტები მეტად უსუსურია და კრიტიკას ვერ უძლებს. მითითება იმაზე, რომ რუსეთის და საფრანგეთის ოფიციალურ დოკუმენტებში არ არის დაცული არა თუ რაიმე ცნობები ამ ლაშქრობის შესახებ, არამედ თვით პროექტიც კი,—საბუთად არ გამოდგება. რა ვუყოთ, რომ ეს გეგმა შემთხვევით იქნა ნაპოვნი სტედინგის მემუარებსა და სხვა ქაღალდებს შორის და არა სათანადო სამინისტროების არქივებში. განა ცოტაა

---

[1] А. А. Шарочницкий, Международные отношения европейских государств с 1794 по 1830 гг., М., 1946, стр. 17.

ისტორიაში ისეთი ამბავი თუ ფაქტი, რომელთა შესახებ ოფიციალური წყაროები არაფერს აცბობენ და მათ შესახებ შემთხვევითი და არაპირდაპირი ცნობები მოუთხრობენ კაცობრიობას? განა არ შეიძლება დავუშვათ, რომ ასეთი ცნობები არსებობდა და შემდეგში დაიკარგა? ისიც არ არის გამორიცხული, რომ საფრანგეთის ან ჩვენს არქივსაცავებში მომავალში აღმოჩნდეს ამ პროექტთან დაკავშირებული ოფიციალური ცნობები. „Mémoires"-ის გამომცემლების მიერ მოტანილი სათანადო ცნობები პროექტის რეალობის სასარგებლოდ ლაპარაკობენ. პრუსიელი მინისტრი ჰარდენბერგი ლონდონიდან და პარიზიდანაც თავისი აგენტების მეშვეობით იღებდა ცნობებს იმ რეაქციის შესახებ, რომლითაც შეეგებნენ საათანადო წრეები ინგლისსა და საფრანგეთში ინდოეთში რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის მზადების საქმეს. ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ჩანს, „საიდუმლო არხების" მეშვეობით მიიღო სათანადო ინფორმაცია როგორც ლაშქრობის პროექტის შემუშავების, ისე თვით ლაშქრობისათვის მზადების შესახებ. ამიტომ იყო, რომ მან საპასუხო ღონისძიებები განაორიელა. პავლე I-ის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში ინგლისელთა აქტიური მონაწილეობის მიღება მათ მხრივ ერთ-ერთ ასეთ საპასუხო ღონისძიებას წარმოადგენდა.

ასევე უსაბუთოდ მიგვაჩნია ისტორიკოსთა ამ ჯგუფის აზრი იმის შესახებ, თითქოს, კონკრეტული ფაქტებით არ დასტურდება ნაპოლეონ ბონაპარტის და პავლე I-ის თანამშრომლობა 1800—1801 წწ. მიჯნაზე ინდოეთში ლაშქრობის მოწყობის თაობაზე.

ვითარება, რომელიც შეიქმნა ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში 1800—1801 წლების მიჯნაზე, კერძოდ კი რუსეთ-საფრანგეთის და რუსეთ-ინგლისის ურთიერთობაში, პირიქით, ადასტურებს ინდოეთზე ლაშქრობის პროექტის აღმოცენების შესაძლებლობას და რუსეთ-საფრანგეთის თანამშრომლობას ამ ნიადაგზე. ამდენად სავსებით ბუნებრივად უნდა იქნეს მიჩნეული პირადად რუსეთის იმპერატორისა და ნაპოლეონ ბონაპარტის მონაწილეობა აღნიშნული პროექტის შემუშავებაში.

ჩვენი აზრით, აღნიშნული პროექტი შემუშავდა ნაპოლეონ ბონაპარტის განკარგულებით და მას საფუძვლად დაედო მანამდე არსებული შესაბამისი ფრანგული გეგმები. რუსეთთან დაახლოების ვითარებაში ლაშქრობის ახალმა პროექტმა ძველ გეგმებთან შედარებით საგრძნობი ცვლილება განიცადა. მასში გათვალისწინებულ იქნა რუსეთის აუცილებელი თანამონაწილეობა აღნიშნულ ლაშქრობაში. ინდოეთზე გათვალისწინებულ ლაშქრო-

ბაში რუსეთის თანამონაწილეობა განაპირობა სამმა გარემოებამ. 1) ლაშქრობის სახმელეთო მარშრუტმა, რაც ითვალისწინებდა რუსეთის ტერიტორიის, ადამიანთა და მატერიალური რესურსების გამოყენებას ამ მიზნისათვის; 2) ნაპოლეონის მისწრაფებამ—სავსებით აემხედრებინა ინგლისი და რუსეთი ურთიერთის წინააღმდეგ და რუსეთი ინგლისთან ბრძოლაში თავის იარაღად ექცია; 3) რუსეთის საგრძნობმა დაინტერესებამ—სერიოზული დარტყმა მიეყენებინა იმჟამად მისი მტრისათვის, ინგლისისათვის სწორედ აღმოსავლეთში.

მოცემული პროექტის იდეა და ძირითადი კონტურები, ჩვენი აზრით, ფრანგული წარმოშობისაა და პირადად ნაპოლეონს ეკუთვნის. იგი არ შეიძლებოდა რუსეთში აღმოცენებულიყო და შექმნილიყო. ინდოეთზე ერთობლივი ლაშქრობის პროექტი, როგორც ცნობილია, ითვალისწინებდა ავსტრიის იმპერატორის თანამშრომლობას: ამ სახელმწიფოს გზა უნდა მიეცა საფრანგეთის არმიისათვის და ხელი უნდა შეეწყო მისთვის მდინარე დუნაით შავ ზღვამდე ჯარის გადაყვანაში. მაგრამ იმ მომენტში, როცა ეს პროექტი მუშავდებოდა, რუსეთსა და ავსტრიას შორის არა თუ სამოკავშირო, არამედ ჩვეულებრივი დიპლომატიური ურთიერთობაც კი არ არსებობდა. რუსეთის სამეფო კარი მეტად მტრულად იყო განწყობილი ავსტრიის მთავრობის მიმართ. მას არ სურდა ამ სახელმწიფოსთან არსებული ძველი გულთბილი ურთიერთობის აღდგენა და მასთან რაიმე სახის თანამშრომლობა. ამიტომ მეტად ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ პავლე I-ის მთავრობა მკვეთრ მობრუნებას მოახდენდა ავსტრიის მიმართ და საჭიროდ მიიჩნევდა მის თანამშრომლობას ინდოეთზე ერთობლივი ლაშქრობის დროს.

აღნიშნული პროექტით ინდოეთში განზრახული ლაშქრობა იმ დიპლომატიური და სამხედრო-სტრატეგიული ღონისძიებების ნაწილს წარმოადგენდა, რასაც საერთოდ ახორციელებდა საფრანგეთის პირველი კონსული ინგლისისათვის მახვილის ჩასაცემად, წინააღმდეგობის გზიდან რუსეთის ჩამოსაშორებლად და დასახული აგრესიული გეგმების სისრულეში მოსაყვანად. ყველაფერი ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ პროექტის შემუშავების ინიციატივა, მისი დეტალები უშუალოდ ნაპოლეონ ბონაპარტს ეკუთვნოდა და არა პავლეს. თუ პროექტი ამა თუ იმ სახით პეტერბურგში შემუშავდა, იგი შემუშავდა მხოლოდ და მხოლოდ ფრანგული მონახაზის საფუძველზე.

მითითება იმაზე, რომ მოცემული პროექტი, თითქოს, ზერელეა, მოკლებულია გონივრობის კვალს და აღნიშნულის გამო გამო-

რიცხულია მის შედგენაში ნაპოლეონ ბონაპარტის მონაწილეობა, სრულიად დაუსაბუთებელია და სუბიექტური მოსაზრების ნაყოფს წარმოადგენს. ჩვენი შეხედულებით იგი, პირიქით, გონივრულობისა და სერიოზული მოფიქრებულობის კვალს ატარებს. მისი შემდგენლები შეეცადნენ გაეთვალისწინებინათ ის ეკონომიურ-პოლიტიკური და გეოგრაფიული ფაქტორები, რომელნიც უზრუნველჰყოფდნენ ინდოეთზე ლაშქრობის წარმატებას. ასეთი გეგმა არ შეიძლებოდა რომელიღაც ავანტიურისტის მიერ ყოფილიყო შედგენილი. მას უდავოდ ატყვია სამხედრო-სტრატეგიული საქმის საფუძვლიანი მცოდნის ხელი. ამდენად საფრანგეთის პირველი კონსულის მონაწილეობა მის შემუშავებაში ეჭვს გარეშე უნდა იქნეს მიჩნეული. ყოველივე ზემოაღნიშნული, ამასთან ერთად, არ გამორიცხავდა რუსეთის მთავრობისა და სამხედრო სპეციალისტების მონაწილეობას ამ პროექტის შემუშავებაში. მაგრამ ჩვენ არ გაგვაჩნია სერიოზული არგუმენტი იმის დასამტკიცებლად, თუ კონკრეტულად სად შემუშავდა მოცემული პროექტი მისი ყველა დეტალით. ისტორიკოსთა ერთი ნაწილი, როგორც აღნიშნული იყო, ფიქრობს, რომ იგი პარიზში შემუშავდა და იქიდან გადაიგზავნა პეტერბურგში (დიუროკის ან სხვა ვისიმე მეშვეობით), მეორე ნაწილი კი, პირიქით, ხაზგასმით აღნიშნავს მის პეტერბურგისეულ წარმოშობას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ავტორიტეტული მტკიცებისათვის საკმაო საბუთი არც ერთს და არც მეორეს არ მოეპოვება. მათი მოსაზრებები მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდს ემყარება.

ყოველგვარი მსჯელობა მოცემული პროექტის თავდაპირველი ხასიათისა, მისი შედგენის დროისა და ადგილის შესახებ ზოგადი და აბსტრაქტული მსჯელობაა, სანამ რაიმე ახალი მასალა არ აღმოჩნდება. ჯერჯერობით კი ჩვენს განკარგულებაშია მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი პროექტი. ამიტომ იგი მიჩნეული უნდა იქნეს სწორედ თავდაპირველი დედნის ასლად. თუმცა, კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა იგი სტედინგის ქაღალდებში და რატომ არ დატოვა მან კვალი საარქივო ფონდებში, დღემდე კითხვად რჩება. ნათელი პასუხის გაცემა კონკრეტული მონაცემების უქონლობის გამო ძნელია.

ჩვენ სადავოდ მიგვაჩნია მოცემული გეგმის შემუშავებაში რუსეთ-საფრანგეთის თანამშრომლობის მასშტაბის საკითხი. დღემდე საკმაოდ არ არის გარკვეული, თუ როდის და როგორ გაუზიარა ბონაპარტმა რუსეთის იმპერატორს თავისი გულისნადები ინდოეთზე ლაშქრობის მოწყობის შესახებ. ბერნონვილსა და დიუროკს, რომელთაც თითქოს გეგმა პარიზიდან ჩაიტანეს პეტერ-

ბურგში თუ ბერლინში, ამის შესახებ არავითარი ცნობები არ დაუტოვებიათ მით უფრო, რომ დიუროკი, როგორც ცნობილია, პავლე I-ის მოკვლის შემდეგ ჩავიდა პეტერბურგში. ამიტომ ჩვენ ვერ გავიზიარებთ ს. ოკუნის დაბეჯითებით მტკიცებას ამ პროექტის პეტერბურგში შედგენის შესახებ. ოკუნს ამ მოსაზრების დასამტკიცებლად არავითარი სერიოზული არგუმენტი არ მოაქვს. როგორც ჩანს იგი ემყარება იმ შენიშვნებს, რომლებიც ამ პროექტს აქვს თანდართული და იმ პასუხს, რომელსაც პავლე I-ს მიაწერენ. მაგრამ რა საპუთით ამტკიცებენ, რომ თანდართული შენიშვნები აუცილებლად ნაპოლეონ ბონაპარტს ეკუთვნის, პასუხი და განმარტებები კი—პავლეს? დღემდე მხოლოდ მოსაზრებაა გამოთქმული ამის თაობაზე, მაგრამ იგი სერიოზული, ეკვმიუტანელი ფაქტებით არავის არ დაუსაბუთებია. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ს. ოკუნის მოსაზრება პრობლემატური ხასიათისაა. გამორიცხული არ არის იმის შესაძლებლობა, რომ როგორც შენიშვნები, ისე განმარტებები შემდეგში მეორეხარისხოვანი პირების მიერ იყოს დამატებული. საკითხს იმის შესახებ, თუ სად მოხდა ეს დამატება—პარიზში თუ პეტერბურგში— არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით ინდოეთზე ლაშქრობის 1801 წლის პროექტი, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დეტალურად და გონებამახვილურად იყო შედგენილი, მაინც არ წარმოადგენდა სრულქმნილ, სტრატეგიული თვალსაზრისით გენიალურად მოხაზულ გეგმას, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია. ამ პროექტში გათვალისწინებული არ იყო ზოგიერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი, რომლებზედაც დამოკიდებული იყო ამ პროექტით გათვალისწინებული ლაშქრობის წარმატება. საერთოდ კი მთელი პროექტი, მისი პრაქტიკულად განხორციელების პერსპექტივის თვალსაზრისით მეტად გაბედულ, მაგრამ ამავე დროს სარისკო და ძნელად განსახორციელებელ წამოწყებად უნდა იქნეს მიჩნეული.

ძალიან ძნელი წარმოსადგენია, რომ საფრანგეთის და რუსეთის არმიებს ჩაეტარებინათ ლაშქრობა და მისულიყვნენ დანიშნულ ადგილას, მდინარეების ინდისა და განგის ნაპირებამდე, დროის იმ მონაკვეთში, რომელიც პროექტით არის გათვალისწინებული (სულ 120 დღე). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს რეგლამენტი ჯეროვნად არ ითვალისწინებდა არმიის ზღვით გადაყვანის სიძნელეს ტრანსპორტის საშუალებათა სიმცირის გამო, აგრეთვე არტილერიის, საჭურვლის, სურსათ-სანოვაგის, ფურაჟის და არმიისათვის სხვა მასალის გადაზიდვისათვის საჭირო საზიდრებისა და სხვა საშუალებათა მეტად დიდი რაოდენობის საჭიროებას ხმელეთზე ლაშქრობის

დროს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასევე უგულებელყოფილია კლიმატური პირობები და უგზოობა, როგორც რუსეთის ტერიტორიაზე, ისე, განსაკუთრებით, სპარსეთსა და ავღანისტანში. მოკავშირეთა არმიას გზაში, განსაკუთრებით სპარსეთისა და ავღანისტანის ტერიტორიებზე, გაცილებით უფრო მეტი სიძნელეები შეხვედებოდა, ვიდრე ეს ლაშქრობის პროექტით არის ნავარაუდევი. უწყლობა, უგზოობა, ცხელი ქარები, უდაბნო ზონებში სილისა და ქვიშის მოქმედება, მაღალმთიანი გადასასვლელები ავღანეთში— თითქმის გამორიცხავდა ‚ვეულებრივი საჯიდრების გამოყენებას საჟურვლის გადაზიდვისათვის და დააბრკოლებდა არტილერიის გადატანას; იგი იძულებულს გახდიდა მოკავშირეთა ლაშქრის სარდლობას პერიოდულად შეეცვალა გათვალისწინებული მარშრუტი, თანაც დიდად შეენელებინა ლაშქრობის ტემპები. თუ მხედველობაში მივიღებთ ზემოაღნიშნულ გარემოებებს, შეიძლება დავასკვნათ: ლაშქრობა მდ. რაინის ნაპირებიდან ინდოსტანის დიდი მდინარეების სანაპიროებამდე გაგრძელდებოდა არა ოთხს ან ხუთ თვეს, არამედ გაცილებით უფრო მეტ ხანს, შესაძლებელია მთელ წელსაც.

პროექტში და პავლე I-ის პასუხში აღნიშნული იყო, რომ მარშრუტის ზონაში უხვად მოიპოვება სურსათ-სანოვაგე და ტვირთის მზიდავი პირუტყვის,—ცხენისა და ჯორის—საკვები. სინამდვილეში ეს ასე როდი იყო. სპარსეთისა და ავღანისტანის ტერიტორიების უდაბნო და მთიან ზონებში, სადაც მარშრუტის მიხედვით უნდა გაევლოთ .მოკავშირეთა ჯარებს, არც სურსათ-სანოვაგის და არც ფურაჟის სიუხვეს არ ჰქონდა ადგილი. საკუთარი მარაგის სიმცირისა და გადახიდვის სიძნელეების გამო საესებით მოსალოდნელი იყო მოლაშქრეთა რიგებში შიმშილსა და პირუტყვის საკვების ნაკლებობას ეჩინა თავი, რაც თავის მხრივ უარყოფით გავლენას მოახდენდა მოკავშირეთა არმიაზე. გაადიდებდა ლაშქრობის ხანგრძლივობას და შეასუსტებდა მოლაშქრე არმიების ბრძოლისუნარიანობას.

ლაშქრობის პროექტში გათვალისწინებული იყო სპარსეთისა და ავღანეთის ტერიტორიებზე მარშრუტის ზონაში განლაგებული მაჰმადიანი ხანებისა და ემირების გულის მოგება საჩუქრებით, დაპირებებით, ‚ლაშქრობის მიზნების ხაზგამსმელი დეკლარაციის გამოქვეყნებით და ა. შ. მარშრუტის ზონაში მცხოვრები მკვიდრი მოსახლეობის რიგებში ნავარაუდევი იყო წინასწარ სათანადო ახსნა-განმარტებითი ხასიათის მუშაობის ჩატარება და ამ გზით მათი ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფა. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ,

რომ ეს ზომები და თვით ლაშქრობის დიდი მასშტაბი ვერ იქნებოდა საკმაო გარანტია იმისათვის, რომ სავსებით გამორიცხული ყოფილიყო მარშრუტის ზონაში მცხოვრები ტომებისა და ფეოდალთა გამოსვლა მოკავშირეთა წინააღმდეგ. მოკავშირეებს ინდოეთამდე მისაღწევად უნდა გაეელოთ ფორმალურად დამოუკიდებელი და ნეიტრალური ქვეყნების—ირანის და ავღანეთის—ტერიტორიები და ამდენად უნდა დაერღვიათ ამ ქვეყნების სუვერენიტეტი. უდაოა, რომ ეს გამოიწვევდა ამ სახელმწიფოთა მმართველებისა და ცალკეული ტომების გულისწყრომასა და აღშფოთებას. აღნიშნულ ლაშქრობას ისინი შეაფასებდნენ როგორც აშკარა აგრესიას და თავიანთ შინაგან საქმეებში ჩარევას, დამოუკიდებელ ტომთა სამფლობელოებზე ხელყოფას. ამიტომ, ყველა ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა მიუხედავად, მაინც მოსალოდნელი იყო ამ ლაშქრობის მიმართ მტრული აქტები, კერძოდ ავღანისტანის ტერიტორიაზე, რომლის მომთაბარე და თავისუფლებისმოყვარე ტომები მეტად მტრულად იყვნენ განწყობილნი ყოველგვარი უცხოელი მოძალადეების მიმართ. ინგლისელ კოლონიზატორთა აგრესიულმა აქტმა ავღანელი ტომების მიმართ და მათმა საპასუხო გამანადგურებელმა დარტყმებმა XIX საუკუნის I და II ნახევარში ცხადჰყო, თუ რაოდენ დიდ ძალას და დაბრკოლებას წარმოადგენდნენ თავისუფლებისმოყვარე ავღანელები ყოველგვარი და, კერძოდ, არააზიური სახელმწიფოების აგრესიისათვის. მართალია, პროექტი არ გამორიცხავდა ლაშქრობის მარშრუტის ზონაში განლაგებული ტომებისა და მთავრების მტრულ გამოსვლას მოკავშირეთა არმიების წინააღმდეგ, მაგრამ ჯეროვნად არ აფასებდა ამ წინააღმდეგობის ძალას. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ასეთ მტრულ გამოსვლებს ადგილი ექნებოდა და ამას შეეძლო სერიოზული საფრთხე შეექმნა აღნიშნული ლაშქრობისათვის.

თუ გავითვალისწინებთ უარყოფითად მოქმედ დაბრკოლებათა ზემოაღნიშნულ ფაქტორებს, უნდა დავასკვნათ, რომ რუსი და ფრანგი მოკავშირეები ლაშქრობისას დიდ სიძნელეებს წააწყდებოდნენ, მოკავშირეთა მოლაშქრე არმიები გზაშივე დაკარგავდნენ ცოცხალი ძალის, ცხენებისა და საჭურველის მნიშვნელოვან ნაწილს და უკეთეს შემთხვევაში ინდოსტანის საზღვრებს მიაღწევდნენ მორალურად დაცემულნი, ბრძოლისუნარიანობას ფრიად მოკლებულნი.

ლაშქრობის პროექტში, მართალია, აღნიშნული იყო, რომ მოკავშირეთა არმიას ინდის ნაპირებთან მიღწევისთანავე უნდა დაეწყო საომარი მოქმედება, მაგრამ იქ არაფერი იყო ნათქვამი

იმის შესახებ, თუ ვისთან და რა ძალებთან მოუხდებოდა მას ბრძოლა, ვინ იქნებოდა მისი მოწინააღმდეგე და ვინ—მოსალოდნელი მოკავშირე. მართალია, საფრანგეთს ჰყავდა ინდოეთში მოკავშირეები, მაგრამ ეს მოკავშირეები იმყოფებოდნენ არა მდ. ინდის აუზში, საიდანაც უნდა დაწყებულიყო მოკავშირეთა საომარი ოპერაციები, არამედ სამხრეთ ინდოეთში, მალაბარისა და კორომანდელის ნაპირებზე, საკმაოდ შორ მანძილზე ინდის ნაპირებიდან. პროექტში სიტყვაც კი არ იყო ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ეს არმია მტერზე გამარჯვების შემთხვევაში, ვისი მმართველობა უნდა დაემყარებინა მას, ანდა როგორ უნდა მომხდარიყო ლაშქრის უკან დაბრუნება და სხვ. საფუძვლიანი და ზუსტი სამხედრო-სტრატეგიული გეგმა კი აუცილებლად უნდა იძლეოდეს პასუხს ასეთ კითხვებზე.

რუსეთ-საფრანგეთის გაერთიანებულ არმიას საომარი მოქმედება უნდა გაეჩაღებინა ინდოეთის დამპყრობ ინგლისელ კოლონიზატორთა და მათი ადგილობრივი აგენტურის წინააღმდეგ. მას ფორმალურად ბორკილი უნდა აეყარა ინდოეთისათვის, გაენთავისუფლებინა ეს „ლამაზი და მდიდარი ქვეყანა ბრიტანეთის უღლისაგან“ და გაეხსნა ამ ქვეყნის კარები „განათლებული ევროპელი ერების“ მრეწველობისა და ვაჭრობისათვის. ლაშქრობის ეს „კეთილშობილური მისია“ თითქოს უზრუნველყოფდა ინდოეთის მოსახლეობის დიდი ნაწილის მორალურ, სამხედრო და პოლიტიკურ მხარდაჭერას მოკავშირეთა არმიისადმი. მაგრამ სინამდვილეში, როგორც ვიცით, ლაშქრობის მიზანი სულ სხვა იყო. საფრანგეთის ბურჟუაზიას მართლაც სურდა რუსეთის დახმარებით გაეძევებინა ინგლისელი კონკურენტები ინდოეთიდან, მაგრამ არა ამ ქვეყნის განთავისუფლების მიზნით, არამედ იმისათვის, რომ ინგლისელ კოლონიზატორთა უღლის ნაცვლად მისთვის ფრანგ კოლონიზატორთა უღელი დაედგა. დამპყრობლები მალე გამოამჟღავნებდნენ თავიანთ ნამდვილ სახეს მკვიდრი მოსახლეობის მიმართ და თავიანთ წინააღმდეგ აიმაედრებდნენ მას. ასეთ შემთხვევაში სავსებით მოსალოდნელი იყო, რომ ინგლისელი კოლონიზატორები, რომელთაც მუხანათობის, ვერაგობის, დემაგოგიისა და მოსყიდვის უფრო მეტი გამოცდილება და პრაქტიკა გააჩნდათ, ისევ შეატრიალებდნენ ომის ბედს თავიანთ სასარგებლოდ. მით უფრო, რომ ზღვა მათ ხელში იყო. ამ გზით ისინი მუდამ შეძლებდნენ დამატებითი ძალების გადასროლას ინდოეთში. ამგვარად, ძალიან საეჭვო იყო ინდოეთში შეჭრილ მოკავშირეთა არმიის შენდგომი პერსპექტივა, მისი წარმატების შესაძლებლობა. ინდოეთის დაქუცმაცება ფეოდა-

ლურ სამთავროებად, ტომურ, რელიგიურ-თემურ ერთეულებად და ურთიერთისადმი მტრულად განწყობილ კასტებად ხელსაყრელი არ იყო ლაშქრობის ორგანიზაციისათვის და წარმატებისათვის. იგი სერიოზულ დაბრკოლებას შეუქმნიდა მას და მოკავშირეებს არ მისცემდა შესაძლებლობას აქტიურად ჩაებათ ინდოელები საკუთარი ქვეყნის „განთავისუფლებისათვის“ ბრძოლაში.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ გამორიცხული არ იყო მოკავშირეთა შორის კონფლიქტის აღმოცენების შესაძლებლობა ინდოეთისათვის ბრძოლის პროცესში. ფრანგებს, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ინდოეთის დაპყრობა, გაძარცვა და მასზე საკუთარი ბატონობის დამყარება სურდათ. მათ განზრახვაში არ შედიოდა ამ ქვეყნის ძარცვა-გლეჯის საქმეში რუსი მოკავშირეების თანამონაწილეობა. „განთავისუფლებულ“ ინდოეთზე საფრანგეთ-რუსეთის Condominium-ის დაწესებას, ყოველივე ამის გამო, ეფემერული ხასიათი ექნებოდა. მოკავშირეთა პირველ დროებით წარმატებას ასეთ ვითარებაში, თუ ასეთ წარმატებას საერთოდ ადგილი ექნებოდა, მალე სრული მარცხი უნდა მოჰყოლოდა. ლაშქრობის ფინალური აქტის შესახებ კი, როგორც უკვე აღნიშნული იყო, საფრანგეთ-რუსეთის 1801 წლის პროექტი პასუხს არ იძლეოდა.

რუსეთ-საფრანგეთის განზრახული თანამშრომლობა ინდოეთიდან ინგლისელთა განდევნის საქმეში გარეგნულად მათი პოლიტიკური და სამხედრო კავშირის გამოხატულებას წარმოადგენდა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე როდი იყო.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ს. ოკუნის შეხედულებას იმის შესახებ, რომ 1801 წლის დასაწყისისათვის რუსეთსა და საფრანგეთს შორის, თითქოს, უკვე მიღწეული იყო გულთბილი კავშირი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ კავშირ-მეგობრობის სურვილის გარეგნულ დემონსტრაციას საფრანგეთის მხრივ, სინამდვილეში ასეთი მეგობრული კავშირი ჯერ კიდევ არ იყო მიღწეული. ამიტომ „ინდოეთის საკითხს“, კერძოთ ერთობლივ ლაშქრობას ინდოეთში, მისი წარმატების თუ წარუმატებლობის შემთხვევაშიც შეეძლო კვლავ გაეუარესებინა მათ შორის ურთიერთობა და ხელი შეეშალა მათი დაახლოების წარმატებით დაგვირგვინებისათვის.

ინდოეთზე ერთობლივი ლაშქრობის წარმატების შემთხვევაშიაც კი რუსეთს არ შეეძლო რაიმე არსებითი სარგებლობა მიეღო მის შედეგად. ინგლისისათვის მახვილის ჩაცემის სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრების გარდა ინდოეთზე ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება რუსეთის მხრივ ამ ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებიდან არ გამომდინარეობდა. მას სერიოზული სახელმწიფოებრივი მოტი-

ვები არ ედო საფუძვლად. გამომდინარე აქედან, ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსეთის მხრივ ინდოეთზე ლაშქრობაში მონაწილეობა არ იქნებოდა გამართლებული და სათანადოდ ანაზღაურებული. ამ ლაშქრობის ნაყოფით ისარგებლებდა მხოლოდ საფრანგეთი, გამოიყენებდა რა რუსეთის ტერიტორიას, მის ცოცხალ ძალას და მატერიალურ რესურსებს თავისი აგრესიული მიზნისათვის.

ვითვალისწინებთ რა ზემოაღნიშნულს, ჩვენ ცალმხრივ, საკარაუდო და ნაკლებ დასაბუთებულ მოსაზრებებად მიგვაჩნია ინდოეთზე რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის პროექტის ხასიათის შესახებ ისტორიულ ლიტერატურაში დღემდე არსებული ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები. ეს პროექტი თავის დროზე მართლაც შემუშავდა პარიზისა და პეტერბურგის მთავრობათა დაახლოების პროცესში 1800—1801 წლების მიჯნაზე. იგი საფრანგეთისა და რუსეთის მთავრობათა თანამშრომლობის შედეგს წარმოადგენდა, თუმცა თვით თანამშრომლობის ხასიათი და მასშტაბი არ არის ჯეროვნად გარკვეული. პროექტი სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით არ ატარებდა უაზრო, ფანტასტიურ და ზერელე ხასიათს და, ამდენად, არ წარმოადგენდა შემთხვევითი პირების „ნამოღვაწარს", „ნაღრძობი" ტვინის პროდუქტს. მაგრამ, ამავე დროს იგი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სრულყოფილ, უნაკლო, გენიალური ხასიათის დოკუმენტად, გენიალური სამხედრო-სტრატეგიული ჩანაფიქრის ანასახად. ამ პროექტს ჰქოდა ზოგიერთი არსებითი ხარვეზი და ნაკლი. მასში გათვალისწინებული არ იყო გამიზნულ ლაშქრობასთან დაკავშირებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი გარემოება, მიფუჩეჩებული იყო ცალკეული სიძნელეები. აღნიშნულის გამო გამორიცხული არ იყო ამ ლაშქრობის მარცხი, თუ იგი მხოლოდ მოცემული პროექტის ვარაუდებს დაეყარებოდა და საჭირო ცვლილებები არ იქნებოდა მასში შეტანილი.

ს. ოკუნის, ე. ბურჯალოვის და, რამდენადმე, ვ. ანტიუხინას ზემოჩოტანილი შეხედულება პავლეს მიერ 1801 წლის თებერვალში წამოწყებული ლაშქრობის შესახებ, რომლის მიხედვითაც ეს ლაშქრობა მიჩნეულია ერთობლივი ლაშქრობის გეგმის ვარიანტად, რუსეთის ეკონომიური და სამხედრო-სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე სერიოზულად და საფუძვლიანად მომზადებულ წამოწყებად,—არ მიგვაჩნია ჯეროვნად დასაბუთებულად. ასევე არ შეგვიძლია გავიზიაროთ მათივე აზრი იმის შესახებ, თითქოს, პავლეს სიკვდილს რომ ხელი არ შეეშალა, ეს ლაშქრობა თავის და-

ნიშნულებას შეასრულებდა და რუსეთის მოლაშქრე არმია ინდოეთამდე მიაღწევდა.

ს. ოკუნის შეხედულება ინდოეთზე 1801 წლის დასაწყისის ლაშქრობის ხასიათის შესახებ, ჩვენი აზრით, წინააღმდეგობის შემცველია. ერთის მხრივ, იგი ამტკიცებს, რომ აღნიშნული ლაშქრობა ინდოეთზე გათვალისწინებული ერთობლივი ლაშქრობის პროექტიდან გამომდინარეობდა და მის პრელუდიას წარმოადგენდა. ამავე დროს იგი დასძენს: ამ ლაშქრობით პავლეს სურდა არა მარტო ინგლისისათვის მიეყენებინა ზიანი, არამედ ჩაეშალა თვით საფრანგეთის გეგმები ინდოეთის მიმართ; ამ ლაშქრობას სავაჭრო გზა უნდა გაეხსნა ინდოეთამდე და ერთობლივი ლაშქრობის მოწყობამდე ინდოეთში რუსეთის პოზიციები უნდა გაემტკიცებინაო.

როგორ შევათავსოთ ეს მსჯელობა სინამდვილესთან? თუ ერთობლივი ლაშქრობა, მართლაც ეწყობოდა, მაშინ რაღა საჭირო იყო რუსეთის არმიის დამოუკიდებელი ლაშქრობა. თუ რუსეთ-საფრანგეთის მეგობრული კავშირი უკვე რეალობას წარმოადგენდა, მაშინ რით უნდა ავხსნათ რუსეთის იმპერატორის მტრული ნაბიჯი მისი მოკავშირისა და მეგობრის მიმართ. ცხადია, აქ ბევრი ისეთი საკითხი წამოიჭრება, რომელზედაც პასუხის გაცემა არც თუ ისე ადვილია, როგორც ამას ს. ოკუნი ფიქრობს.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ლაშქრობა ინდოეთისაკენ არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საკმაოდ გააზრებული და უეჭველი წარმატების პერსპექტივების მქონე სამხედრო-სტრატეგიული ოპერაციის გეგმად. ჩვენ ვიზიარებთ ა. ნაროჩნიცკის ზემომოტანილ აზრს ამ ლაშქრობის ქიმერული ხასიათის შესახებ. ამავე დროს, ჩვენ ეს ლაშქრობა არ მიგვაჩნია რუსეთ-საფრანგეთის ინდოეთზე ერთობლივი ლაშქრობის პროექტის სისრულეში მოყვანის ცდად. ჩვენი აზრით, პირიქით, ეს სალაშქრო წამოწყება იმის მომასწავებელი იყო, რომ ერთობლივი ლაშქრობის პროექტის რეალიზაცია შეფერხდა ან უფრო ხელსაყრელი მომენტისათვის გადაიდო. მოცემული პროექტის განხორციელება კი პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა ალბათ, თვით ამ პროექტის სირთულის, სარისკო ხასიათისა და რუსეთ-საფრანგეთის კავშირის პერსპექტივების გაურკვევლობის გამო. სწორედ ამიტომ რუსეთში საჭირო გახდა ლაშქრობის ახალი გეგმის შემუშავება ახალი მარშრუტით, საფრანგეთის თანამშრომლობის გარეშე. აქედან გამომდინარე, ჩვენ ეს ლაშქრობა მიგვაჩნია რუსეთის სეპარატულ ნაბიჯად, რუსეთის ისეთ სამხედრო-სტრატეგიულ წამო-

წყებად, რომელსაც მხოლოდ იდეის მხრივ აჩნდა ფრანგული კვალი, მაგრამ არ ყოფილა შეთანხმებული საფრანგეთის მთავრობასთან.

გარდა სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებებისა, რუსეთის სეპარატულ ლაშქრობას ინდოეთში 1801 წლის დასაწყისში, არ შეიძლებოდა ჰქონოდა სერიოზული ეკონომიური და პოლიტიკური სარჩული. ინდოეთში შეჭრისა და ამ ქვეყნიდან ინგლისელთა განდევნის განზრახვა უმთავრესად ინგლისზე ზემოქმედების მოსახდენად გამიზნული დივერსიული წამოწყება იყო. მას ინგლისი უნდა აეძულებინა ან სავსებით აეღო ხელი რუსეთის წინააღმდეგ განზრახულ ომზე, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, შეენელებინა თავისი აქტივობა ბალტიის ზღვის აუზში. ინდოეთამდე მიღწევა და ინგლისელთა განდევნა აზიის ამ რაიონიდან ლაშქრობის მაქსიმალურ სამხედრო-სტრატეგიულ მიზანს არ შეადგენდა. ინდოეთში ფეხის მოკიდების შემდეგ პავლე I-ის მთავრობას განზრახული ჰქონდა გაეხსნა ეს ქვეყანა რუსეთის ვაჭრობისათვის და რუსეთის საქონლის ბაზად ექცია იგი. როგორც პავლე I-ის მიერ გენერალ ორლოვისადმი გაგზავნილ (1801 წლის 12 იანვრის თარიღით) წერილიდან ჩანს ერთი შეხედვით იგი ინდოეთის ბაზართან ერთად ამ ქვეყნის სიმდიდრის ხელში ჩაგდებაზედაც ოცნებობდა. „Все богатства Индии будут нам наградою за сию экспедицию“,—როგორც თვითონ წერს პავლე ამ წერილში. მაგრამ კითხვა ისმება, შეეძლო თუ არა რუსეთს ამ ამოცანების გადაწყვეტა, გამომდინარეობდა თუ არა აღნიშნული მისწრაფებები რუსეთის გაბატონებული კლასების საარსებო მოთხოვნილებებიდან?

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთს ჯერ კიდევ არ გააჩნდა ინდოეთთან რამდენადმე მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა. პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობას ამ ქვეყანასთან მხოლოდ სპორადული და შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. ამავე დროს ინდოეთი რუსეთისაგან დიდი მანძილით იყო დაშორებული. მათ შორის არც ზღვით და არც ხმელეთით რეგულარულ მიმოსვლას ადგილი არ ჰქონია. ამ ორ ქვეყანას შორის მდებარეობდნენ ჯერ კიდევ დამოუკიდებელი მუსლიმანური სახელმწიფოები და საჰთავროები, რომლებიც თავის მხრივ სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდნენ მათ შორის რეგულარული ურთიერთობისათვის. გარდა ამისა ინდოეთი ხომ ინგლისის დაპყრობებისა და ძარცვის ობიექტს წარმოადგენდა.

ასეთ პირობებში ძნელი წარმოსადგენია, რომ სამხედრო დივერსიასთან ერთად რუსეთის ცარიზმს ინდოეთის დაპყრობის კონ-

კრეტული ამოცანა დაესახა. ასეთი ამოცანის გადაწყვეტას მაშინ წინ ეღობებოდა ბევრი ანგარიშგასაწევი, სერიოზული დაბრკოლება.

პავლე I-ის წინა მორბედი ეკატერინე II, მართლაც, დაინტერესებული იყო ინდოეთთან ვაჭრობის გაფართოებით, რადგანაც ხედავდა მის უმნიშვნელო მოცულობას. მას განზრახვა ჰქონდა ინდოეთთან სავაჭრო ურთიერთობა დაემყარებინა სახმელეთო გზით, სპარსეთის ტერიტორიის გამოყენებით. მას ამასთან დაკავშირებით მოლაპარაკებაც კი ჰქონდა სპარსეთის მთავრობასთან ინდოეთამდე სატრანზიტო გზის დათმობის შესახებ. მაგრამ ეკატერინეს, რომელიც ბევრ „მოუგვარებელ საქმეებს" აგვარებდა და ომებს აწარმოებდა, ფიქრადაც არ მოსვლია ინდოეთის დაპყრობა. პირიქით, მას ხშირად უყვარდა თქმა: „რუსეთს საკმაოდ გააჩნია მიწები და ბუნების ნაწარმი იმისათვის, რომ არ დასჭირდეს დაპყრობების წარმოება ინდოეთში" [1].

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ რუსულ რევოლუციამდელ ისტორიოგრაფიაში, ინგლისური ისტორიოგრაფიის ზეგავლენით გავრცელებული შეხედულება იმის შესახებ, თითქოს მეფის რუსეთი (პეტრე I-ის დროიდან მოკიდებული), ისტორიულად ისწრაფოდა ინდოეთისაკენ, მოკლებულია საფუძველს. მართალია, რუსეთის მეფეები, სასახლის წრეები, მემამულეები და სამხედრო კამარილა დრო და დრო ელოლიავებოდნენ ინდოეთის სიმდიდრისა და ბაზრის ხელში ჩაგდების გეგმებს, მაგრამ ეს მხოლოდ სურვილების სფეროს მიეკუთვნებოდა. იგი მანამდე ამ ქვეყნის დაპყრობის კონკრეტულ ცდაში არ გადაზრდილა, არც ეკონომიურ-სავაჭრო და სამხედრო-სტრატეგიული ინტერესები და მოსაზრებები არ ამოქმედებდა მეფის რუსეთს XIX საუკუნის შუალედამდე იმდენად, რომ ინდოეთის დასაპყრობად მას რეალური ნაბიჯები გადაედგა. აზრს ინდოეთის მიმართ რუსეთის ვითომდა დაპყრობითი ზრახვების შესახებ თვით ინგლისის გაბატონებული კლასები და კოლონიზატორული მთავრობები ავრცელებდნენ. ამით მათ სურდათ დაეფარათ თავიანთი აგრესიული პოლიტიკა აღმოსავლეთში და აღმოსავლეთის ხალხების დამცველის ნიღბით შემოსილიყვნენ. მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, —როდესაც რუსეთი დამკვიდრდა ამიერკავკასიაში, თავის გავლენას დაუქვემდებარა ირანი, ფეხი მოიკიდა შუა აზიაში და მიუახლოვდა ავღანისტანს, თანაც

---

[1] Н. Фирсов, Правительство и общество в их отношениях к внешней торговле России в царствование Екатерины II, Казань, 1902, стр. 309.

მნიშვნელოვნად გაადიდა სამრეწველო საქონლის ექსპორტი ახლო აღმოსავლეთში,—რეალურად შეიძლებოდა აღმოცენებულიყო ინდოეთის საკითხი და პრაქტიკულად დასმულიყო დღის წესრიგში ინდოეთის დაპყრობის ამოცანა. მანამდე კი, თვით პავლე I-ის გეგმები ინდოეთის მიმართ არ ემყარებოდა რუსეთის მემამულეთა და მსხვილ ვაჭართა რაიმე სერიოზულ „მოთხოვნილებებს“ და ინტერესებს. რუსეთ-აზიის კომპანიის შექმნა პავლე I-ის მიერ, რის შესახებაც მოგვითხრობს ს. ოკუნი, არავითარ შემთხვევაში არ მოასწავებდა რუსეთ-ინდოეთს შორის ფართო სავაჭრო ურთიერთობის არსებობის გამოხატულებას. პირველ ყოვლისა, ეს კომპანია უმთავრესად წინა აზიისა და შუა აზიისათვის იყო შექმნილი, მეორეც, მას მიზნად ჰქონდა დასახული მომავალში დაემყარებინა ის ურთიერთობა ინდოეთთან, რომელიც იმდამად არ არსებობდა.

სამხედრო-სტრატეგიული თვალთახედვითაც 1801 წლის ლაშქრობას ვერ მივიჩნევთ მომზადებულ და წარმატების პერსპექტივის მქონე წამოწყებად. პროექტში გათვალისწინებული მარშრუტი—ორენბურგი, იმიერკასპია, ხივა და ბუხარა,—რომლითაც უნდა განხორციელებულიყო ინდოეთში შეჭრა, ერთი შეხედვით, თითქოს, სავაჭრო მოსაზრებებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ეს მარშრუტი სრულიადაც არ წარმოადგენდა ამ ლაშქრობის წარმატების თვალსაზრისით გონივრულად შერჩეულ მარშრუტს, როგორც ეს ზოგიერთებს მიაჩნიათ. უნდა ვივარაუდოთ, რომ კაზაკთა ცხენოსანი ლაშქარი მცირე არტილერიითურთ (სულ 22 ათას კაცამდე) სრულიად არ იყო საკმარისი ინდისათვის, რომ მოცემულ ვადაში წარმატებით დაეძლია შორეული მარშრუტის სიძნელეები და ბრძოლისუნარიანი მისულიყო მდ. ინდის ნაპირებამდე. ზურგს მოწყვეტილი, კომუნიკაციებს მოკლებული რუსეთის არმია ინდოეთში შეჭრისთანავე, საჭირო შესვენება-შევსების გარეშე იძულებული იქნებოდა ბრძოლაში ჩაბმულიყო ინგლის-სიპაელთა არმიის წინააღმდეგ. გაუწვდიდა კი მას ხელს საფრანგეთი? ამაზე პასუხის გაცემა ძნელია. ეგვიპტეში დამკვიდრების შემთხვევაშიც კი საფრანგეთს არ შეეძლო თავისი ძალები გადაესროლა ინდოეთში, ვინაიდან ეს გადასროლა უნდა განხორციელებულიყო ზღვით. ძლიერი ფლოტი ხმელთაშუა ზღვაზე (აბუკირის კატასტროფის შემდეგ) საფრანგეთს არ გააჩნდა, ინგლისი კი კვლავინდებურად ბატონობდა ზღვებზე. ამასთან ერთად პავლე I-ის ლაშქრობა არ ითვალისწინებდა საფრანგეთის თანამშრომლობას რაიმე სახით. არ იყო გამორიცხული ინდოელ ტომთა ნაწილის გადაბირება და გადასვლა რუსთა მხარეზე, მაგრამ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო

ცოტა უფრო გვიან, როცა რუსეთის არმია უკვე მოიპოვებდა პირველ წარმატებებს ინდოეთში.

ინგლისელთა განდევნის შემთხვევაშიც კი რუსეთი ვერ დამკვიდრდებოდა ინდოეთში და ვერ დაამყარებდა თავის ბატონობას მის ხალხზე და მიწა-წყალზე. პირველ ყოვლისა, ამას ხელს შეუშლიდა გეოგრაფიული სიშორე და საზღვაო გზით ინდოეთთან ურთიერთობის დამყარების შეუძლებლობა. მეორეს მხრივ, ინგლისის დამარცხების შემთხვევაში, თვით საფრანგეთი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა რუსეთის ბატონობის დამყარებას ინდოეთზე და ეცდებოდა მის უმოკლეს დროში გამოძევებას ამ ქვეყნიდან. ამგვარად, ჩვენი აზრით, ამ ლაშქრობას არ შეიძლებოდა ჰქონოდა რუსეთისათვის დიდი პერსპექტივები და წარმატება.

დასასრულ, ორიოდე სიტყვით რუს კაზაკთა ლაშქრობის მარშრუტის ავკარგიანობის შესახებ.

ეს მარშრუტი, როგორც უკვე აღვნიშნავდით, უფრო გრძელი იყო, ვიდრე ერთობლივი ლაშქრობის გეგმით გათვალისწინებული მარშრუტი. კაზაკთა ცხენოსან ლაშქარს უნდა გაევლო გრძელი გზა: დონის ნაპირებიდან ვოლგამდე, ვოლგიდან ორენბურგამდე, ორენბურგიდან იმიერკასპიის ტერიტორიამდე, იმიერკასპიიდან ხივამდე, ხივიდან ბუხარამდე, ბუხარიდან ავღანისტანამდე, ავღანისტანიდან ინდის ნაპირებამდე. ამ გრძელ გზაზე რუსეთის ლაშქარს უნდა გადაელახა რამოდენიმე დიდი მდინარე, ავღანისტანის მთიანეთი, ხაიბერის და ბოლანის გადასასვლელები, უწყლო, ქვიშიან უდაბნოთა დიდი სივრცე. კლიმატის და რელიეფის მრავალფეროვნებას, უდაბნოების დიდი სივრცის დაძლევის სიძნელეებს ლაშქრობის გეგმა და პავლეს განკარგულებები მხოლოდ ზოგადად ითვალისწინებდა. ამ სიძნელეებთან ერთად მარშრუტის ზონაში რუსეთის ლაშქარს სხვა დაბრკოლებებიც შეხვდებოდა. კერძოდ სავსებით მოსალოდნელი იყო ხივის და ბუხარის ემირების მტრული გამოსვლა და ავღანისტანის მომთაბარე ტომთა პერიოდული თავდასხმები თვით ინდის ნაპირებამდე. ლაშქრობის პირველმა ნაბიჯებმა ვოლგამდე, ვოლგიდან კი ორენბურგამდე, კაზაკთა არმიას უკვე შეუქმნა სერიოზული სიძნელეები. ეს სიძნელეები და მათგან წარმომდგარი დაბრკოლებები კი თანდათანობით გაიზრდებოდა გზადაგზა შემდგომ წინსვლასთან დაკავშირებით, რაც ჩაშლის წინაშე დააყენებდა მთელ წამოწყებას.

ამგვარად, საფრანგეთ-რუსეთის ინდოეთზე ლაშქრობის 1800 წლის პროექტი და მისი სისრულეში მოყვანის ინიციატივა საფრანგეთს ეკუთვნოდა, თუმცა მის შემუშავებაში პავლე I იღებდა

მონაწილეობას. ეს პროექტი იყო საფრანგეთის ბურჟუაზიის მისწრაფების გამოხატულება გამოეძევებინა აღმოსავლეთიდან, კერძოდ კი ინდოეთიდან მისი დაუძინებელი მტერი, ინგლისი და თვით დაემყარებინა თავისი ბატონობა ამ ქვეყანაზე. ნაპოლეონ ბონაპარტის განზრახვა—განეხორციელებინა ლაშქრობა რუსეთის მონაწილეობით—მიზნად ისახავდა რუსეთის ცოცხალი ძალის, ტერიტორიის და რესურსების გამოყენებას, რუსეთ-ინგლისის საბოლოოდ წაკიდებას, რუსეთის ყურადღების შესუსტებას ევროპული პრობლემებისადმი და მისი აგრესიის წარმართვას აღმოსავლეთისაკენ. ეს პროექტი, რომლის შემუშავებაში ნაპოლეონისა და პავლეს მონაწილეობის მასშტაბის საკითხი არ არის საკმაოდ გარკვეული, არ წარმოადგენდა უნაკლოს და სტრატეგიულად გენიალური ჩანაფიქრის სწორუპოვარ განსახიერებას. ამიტომ მისი წარმატების პერსპექტივები საკმაოდ საეჭვო იყო. თვით ამ პროექტის სისრულეში მოყვანის სიძნელეებმა და რუსეთ-საფრანგეთის ინტერესთა მოურიგებლობამ ჩაშალა მისი განხორციელების შესაძლებლობა. პავლე I-ის მიერ 1801 წლის თებერვალში განზრახული ლაშქრობა რუსეთის სეპარატული ნაბიჯი იყო და სამხედრო დივერსიას წარმოადგენდა. ეს ლაშქრობა, რომელიც ნაჩქარევ და ნაკლებად მომზადებულ ხასიათს ატარებდა, მიზნად ისახავდა ინგლისისათვის მახვილის ჩაცემას მის პერიფერიაში და მისი საომარი გეგმების ჩაშლას ბალტიის ზღვის აუზში.

თ ა ვ ი XI

საფრანგეთ-რუსეთის კავშირის განუხორციელებლობა. პავლე I-ის მკვლელობა

1. კავშირ-მეგობრობის თაობაზე რუსეთ-საფრანგეთის მოლაპარაკების წარუმატებლობა

ომამდელი ურთიერთობის აღდგენისა და მეგობრული კავშირის დამყარების შესახებ რუსეთსა და საფრანგეთს შორის წარმოებული მოლაპარაკების მიმდინარეობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საფრანგეთის მთავრობის პოზიციამ აღნიშნული მოლაპარაკების პროცესში ერთგვარი ცვლილება განიცადა. ეს ცვლილება იმ გამარჯვებათა შედეგი იყო, რომლებიც საფრანგეთმა მოიპოვა ავსტრიაზე მარენგოსთან და ჰოჰენლინდენთან ბრძოლებში, რასაც მოჰყვა ლუნევილის საზავო ხელშეკრულების დადება[1].

---

[1] ლუნევილის საზავო ხელშეკრულება დაიდო საფრანგეთსა და ავსტრიას შორის 1801 წლის 28 იანვარს (9 თებერვალს). ამ ხელშეკრულების მთავარი და არსებითი პუნქტების თანახმად:

1) საფრანგეთ-გერმანიის საზღვრად წესდებოდა მდინარე რაინი, ხოლო რაინის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სიმაგრეები უნდა დანგრეულიყო;

2) რაინის მარცხენა ნაპირის გერმანელ მთავრებს, რომელთა სამფლობელოები საფრანგეთის ხელში გადადიოდა, ეძლეოდათ ანაზღაურება იმპერიის სასულიერო სამფლობელოთა სეკულარიზაციის ხარჯზე;

3) იტალიაში ავსტრიის სამფლობელოების საზღვრად წესდებოდა მდინარე ადიჯე;

4) პარმის და მოდენის სამფლობელოები უერთდებოდა ციზალპინის რესპუბლიკას და ტოსკანა-პარმის საჰერცოგოს; ტოსკანის დიდ ჰერცოგს და მოდენის ჰერცოგს ანაზღაურება ეძლეოდათ გერმანიაში.

რაში გამოიხატა ეს ცვლილება?

სანამ ავსტრიასთან ომი გრძელდებოდა, ინგლისი აბალ სუბსიდიებს აძლევდა ვენის სამეფო კარს, თანაც რუსეთთან დასაახლოებლად გადადგმული ნაბიჯების ნათელი პერსპექტივები არ ჩანდა. საფრანგეთის მთავრობა, პირადად ნაპოლეონ ბონაპარტი გარეგნულად უფრო დამთმობნი იყვნენ. მარენგოსთან და ჰოჰენლინდენთან ავსტრიელებზე მოპოვებულმა გამარჯვებებმა, რომელთა შედეგადაც ავსტრია იძულებული გახდა მისთვის დამაცირებელ სამშვიდობო ხელშეკრულებაზე წასულიყო, შეცვალა საფრანგეთის მთავრობისა და დიპლომატიის აღნიშნული განწყობილება. პირველმა კონსულმა ნაპოლეონ ბონაპარტმა, როგორც კი „თავი ქუდში იგრძნო", მყისვე შეატრიალა გეზი, მშვიდობისმოყვარის ნიღაბი ჩამოიხადა და უფრო გაბედულად დაიწყო მოქმედება.

ლუნევილის სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ, რასაც მოჰყვა ავსტრიის ომიდან გამოსვლა, საფრანგეთის პირველი კონსული უფრო რიხით და ნაკლები დათმობის სურვილით განაგრძობს დაწყებულ მოლაპარაკებას რუსეთთან.

როდესაც 1801 წლის იანვარში პავლემ მორიგი წერილი გაუგზავნა ნაპოლეონ ბონაპარტს, რომლითაც თხოვდა მას ბალტიის ზღვის აუზში ინგლისის მოსალოდნელი აგრესიის ჩასაშლელად მოეწყო დივერსია და ინგლისის ნაპირებზე დესანტი გადაესხა [1], ნაპოლეონის მიერ ეს წერილი კარგა ხანს უპასუხოდ იქნა დატოვებული. როცა ნაპოლეონ ბონაპარტმა მაოლოდ ერთი თვის შემდეგ (რესპუბლიკის IX წელს — 1801 წლის 15/27 თებერვალს) საპასუხო წერილი გაუგზავნა რუსეთის იმპერატორს, ეს პასუხი უკვე აღარ იყო ძველებურად „გულთბილი" და მეგობრული [2].

წერილში საფრანგეთის პირველი კონსული აცნობებდა რუსეთის იმპერატორს, რომ მან უკვე გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები ფლოტისა და ჯარის თავმოსაყრელად ფლანდრიისა და ბრეტანის სანაპიროზე ინგლისში შეჭრის განსახორციელებლად.

აღნიშნული ხელშეკრულებით ავსტრია ხელს იღებდა პრეტენზიებისაგან ზალცბურგის მიმართ, სენობდა ბატავიის, ჰელვეციის, ციზალპინის და ლიგურიის რესპუბლიკებს. პაპის, მისი ოლქის და სარდინიისა და ნეაპოლიტანიის სამეფოების შესახებ ხელშეკრულებაში არაფერი არ იყო თქმული. იხ. Д. Милютин, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 531—532; Ф. Мартенс, დასახ. კრებ., ტ. 7, გვ. 538.

[1] Сб. РИО, ტ. 70, გვ. 38—41.

[2] იქვე.

რიხით ლაპარაკობს რა ნეაპოლიტანიის სამეფოს შესახებ, იგი ამ სამეფოს მთავრობისაგან მოითხოვს თავის ნავსადგურებში მყოფ ინგლისელთა გემებზე ემბარგოს დადებას, თანაც აშინებს მას ამ სამეფოს საზღვარზე განლაგებული ერთი დივიზიით. ნაპოლეონი, ვითომდა ხმელთაშუა ზღვის აუზში ინგლისელთა წინააღმდეგ ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების საბაბით, რუსეთისაგან მოითხოვდა თანხმობას თავის გადაწყვეტილებაზე: მოეხდინა ნეაპოლის სამეფოს ნავსადგურების ოკუპაცია. თუმცა, ამასთან ერთად, რუსეთის იმპერატორს თვალთმაქცურად სთავაზობდა ნეაპოლის ერთ-ერთ ნავსადგურს რუსეთის გარნიზონის ჩასაყენებლად. სურდა რა საბოლოოდ წაეკიდებინა ერთი მეორისათვის ინგლისელები და რუსები და ეს უკანასკნელები თავის იარაღად გამოეყენებინა, ნაპოლეონ ბონაპარტი „მეგობრულ“ რჩევას აძლევდა პავლეს, რომ მას თავისი ჯარით, საფრანგეთში მყოფი რუსი ტყვეების რაზმით, დროებით დაეკავებინა ჰანოვერის ნავსადგური. ნაპოლეონი თანახმა იყო ამ მიზნისათვის ერთი ფრანგული დივიზიაც გამოეყო. ამავე ღონისძიებებით ნაპოლეონს განზრახვა ჰქონდა საესებით დაეკეტა ინგლისელებისათვის ევროპასთან ვაჭრობის გზები. დასასრულ, ტკბილი სიტყვებით და დაპირებებით ნაპოლეონ ბონაპარტი ლამობდა მოეგო რუსეთის იმპერატორის გული და დაეჯერებინა იგი ეგვიპტის ფრანგების ხელში დატოვების სასურველობასა და აუცილებლობაში. ამავე დროს ნაპოლეონ ბონაპარტი არწმუნებდა პავლეს: ფრანგები მალე გათხრიან სუეცის არხს, რაც უდიდეს სარგებლობას მოუტანს რუსეთის საგარეო ვაჭრობასო.

ასეთ ვითარებაში იყო რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა, როდესაც 1801 წლის მარტის პირველ რიცხვებში პარიზში ჩავიდა რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი რწმუნებული დიპლომატი კოლიჩევი. ისტორიულ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულებით ამ დიპლომატის პირად კონტაქტს საფრანგეთის მთავრობის მესვეურებთან მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა რუსეთ-საფრანგეთის შემდგომი დაახლოების საქმეში.

კოლიჩევი პარიზში ჩასვლის მეორე დღესვე იქნა მიღებული ნაპოლეონ ბონაპარტის მიერ. საფრანგეთის პირველმა კონსულმა ამ შეხვედრას განსაკუთრებით საზეიმო და მდიდრული ხასიათი მისცა[2].

---

[1] Сб. РИО, т. 70, гз. 38—41.

[2] კოლიჩევი დაახლოებით 48 დღე იმყოფებოდა გზაში. რაინიდან პარიზამდე მას კეშმარიტად მეფურ შეხვედრას უწყობდნენ პირველი კონსულისაგან

მან, ამასთან ერთად, არ დაიშურა პირფერობის და მოფერების ხერხებიც, რომ ამით, სპრენგტპორტენის მსგავსად, მოეჯადოებინა რუსეთის ახალი წარმომადგენელი და თავის გავლენის ქვეშ მოექცია იგი[1].

პარიზმა და ნაპოლეონმა, მართალია, გარეგნულად კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს კოლიჩევზე, მაგრამ მან — რუსეთის ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელმა პარიზისა და მისი მოსახლეობის ყოფაში ისეთი ნიშნები დაინახა, რომელთაც მასში მბოლოდ ანტიპათია და ზიზღი აღძრეს[2].

ნაპოლეონ ბონაპარტთან პირველივე შეხვედრამ და საუბარმა, ისევე როგორც მისმა პირველმა შეხვედრამ ტალეირანთან, კოლიჩევი დაარწმუნა, რომ მიმდინარე მოლაპარაკება პარიზში ძნელი საქმე იქნებოდა და შეთანხმება რუსეთსა და საფრანგეთს შორის მალე ვერ დაიდებოდა. მისი აზრით პარიზში მოლაპარაკების პროცესში გულწრფელობას არ იჩენდნენ, გარეგნული პატივისა და სიტყვიერი დაპირებების მიუხედავად თავიანთ ნამდვილ ზრახვებს ოსტატურად მალავდნენ და რუსეთთან შეთანხმების საქმიან სურვილს არ ამჟღავნებდნენ. დაკისრებული მისიის ასეთი შეფასება კოლიჩევის მიერ, მიუხედავად იმისა, რომ მასში გამოსჭვივის რუსი არისტოკრატისათვის აკვიატებული სიძულვილი

წინასწარ გაფრთხილებული სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალნი. ამ შეხვედრების შესახებ კოლიჩევი თკით იძლევა ცნობებს თავის რელაციებში პავლე I-სადმი და წერილში ტალეირანისადმი. კოლიჩევს, სანამ იგი პარიზში ჩავიდოდა, რამოდენიმე დამატებითი ინსტრუქცია და რესკრიპტი გადასცეს კურიერების მეშვეობით. ამ დოკუმენტებით მას აფრთხილებდნენ არ მიეღო პირველი კონსულისაგან რაიმე საჩუქარი, ენერგიულად დაეცვა სიცილიის მეფის ინტერესები (1801 წლის 8 იანვრის რესკრიპტი), მოლაპარაკებოდა ნაპოლეონ ბონაპარტს ინგლისის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ და მხარი დაეჭირა ვიურტემბერგის ჰერცოგის მოთხოვნებისათვის (1801 წლის 4 თებერვლის რესკრიპტი), მოლაპარაკების დროს მხედველობაში მიეღო ბავარიის კურფიურსტის მდგომარეობა (1801 წლის 18 თებერვლის რესკრიპტი), საფრანგეთის მთავრობისაგან მოეთხოვა სამართლიანი ანაზღაურება მიეცა მალტის ორდენის გერმანიის საპრიოროსათვის (1801 წლის 6 მარტის რესკრიპტი) და სხვ. იხ. Архив ВПР. ф. „МИД, Канцелярия", д. 8945, лл. 2, 4—10, 11; Сб. РИО, т. 70, გვ. 29—30, 33—35, 36—37, 669.

[1] Ф. Мартенс, დასახ. კრებ., ტ. 13, გვ. 253.

[2] „Le Promeir Consul, — წერდა კოლიჩევი, — est veritablement un grande homme. il fait bonheur de la France...". „Paris n'est pas ce qu' il a ité; les anciennes familles sont maussades et dépravées et de mauvais ton". იხ. М. Бодо-Колычев, Боярский род Колычевых, М., 1886, გვ. 363.

რევოლუციის მიერ შეცვლილი საფრანგეთის, მისი პოლიტიკური სისტემისა და ცხოვრებისადმი, მაინც მეტყველებს მის დაკვირვების უნარზე და დაკისრებული მისიისადმი სერიოზულ დამოკიდებულებაზე.

პირველი კონსულის ხელისუფლება არ არის მტკიცე. ნაპოლეონ ბონაპარტის მთავარ მიზანს შეადგენს ომის გაგრძელება და მით არმიისა და გენერალიტეტისათვის „საქმის გაჩენა". ამაზეა დამოკიდებული ნაპოლეონის პირადი ხელისუფლების განმტკიცება. განსაკუთრებული პატივისა და სიტყვიერი დარწმუნებების მიუხედავად აქ გულწრფელობას არ იჩენენ რუსეთთან დაახლოების საქმეში, ჩვენს მოთხოვნებს ანგარიშს არ უწევენ და სურთ იარაღად გამოგვიყენონ, ჩაგვაბან ომში ინგლისის და თურქეთის წინააღმდეგ, — წერდა კოლიჩეევი პავლეს 1801 წლის 25 თებერვლის (9 მარტის) რელაციაში[1].

საზღვარგარეთელი ბურჟუაზიული ისტორიკოსების ერთი წყება—ა. სორელი, ა. ტიერი, შ. რუ, ჰ. დეიჩი და სხვანი—რუსეთის იმპერატორის შეცდომად თვლიან პარიზის მოლაპარაკების კოლიჩევისათვის დაკისრებას. კოლიჩევში ისინი ხედავენ საფრანგეთის მოძულეს, პანინ-ვორონცოვის დაჯგუფების ერთ-ერთ აქტიურ მომბრეს, რუსეთ-საფრანგეთის შეთანხმების სასტიკ მოწინააღმდეგეს, ზვიადი, ქედმაღალი, მიუკარებელი არისტოკრატის სრულყოფილ ტიპს. შეზღუდულობა, არისტოკრატიული მანერები, ფრანგოფობური განწყობილება და ზვიადობა, მათი აზრით, ხელს უშლიდა კოლიჩევს წესიერად წარემართა დაწყებული მოლაპარაკება და წარმატებით დაეგვირგვინებინა იგი. კოლიჩევს,—აღნიშნავენ ეს ისტორიკოსები, — არ სურდა საფრანგეთ-რუსეთის შეთანხმება, არ სურდა პარიზის მოლაპარაკების სასურველი შედეგებით დამთავრება, ამიტომ იყო, რომ მან უხალისოდ მოჰკიდა ხელი დაკისრებული მისიის შესრულებას და ყველაფერი გააკეთა მის ჩასაშლელად[2].

ამგვარად, აღნიშნული ისტორიკოსები იმ უმნიშვნელო შედეგებისათვის, რომლებიც პარიზის მოლაპარაკებას ჰქონდა, არსებითად ბრალს სდებენ რუსეთის საგანგებო რწმუნებულს და არა

---

[1] Сб. РИО, ტ. 70. გვ. 41—42.

[2] А. Сорель. დასახ. ნაშრ., ტ. 6, გვ. 89—91; А. Тьер, დასახ. ნაშრ., ტ. 3, ნაწ. 5, გვ. 66—67; F. Ch. Roux, Angleterre et l'expédition française en Egipte, ტ. 2, გვ. 94; M. Deutsch, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

იმ პოლიტიკურ-ეკონომიური თუ სამხედრო-სტრატეგიული ხასიათის ფაქტორებს, რომელთაც ხელი შეუშალეს საფრანგეთის დიპლომატიის ჩანაფიქრის რეალიზაციას ამ მოლაპარაკების დროს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ ნიუანსებს, ჩვენ, რა თქმა უნდა ვერ გავიზიარებთ ამ მოსაზრებას. მართალია, კოლიჩევი რუსეთის ფეოდალური არისტოკრატიის იმ დაჯგუფების აქტიური წევრი იყო, რომელიც საფრანგეთთან შეთანხმების კურსის წინააღმდეგ ილაშქრებდა, მაგრამ იგი სათანადო ინსტრუქციების მიხედვით მოქმედებდა, პეტერბურგის მთავრობის კონტროლს ექვემდებარებოდა და თვითნებური აქციის შესაძლებლობას მოკლებული იყო. არა კოლიჩევზე, არამედ უფრო სერიოზულ გარემოებებზე იყო დამოკიდებული პარიზის მოლაპარაკების ბედ-იღბალი, მისი წარუმატებლობა.

ოფიციალური მოლაპარაკება კოლიჩევსა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ტალეირანს შორის 1801 წლის 12 მარტიდან დაიწყო. ეს მოლაპარაკება მიმდინარეობდა კონფერენციის სახით, რომლის სხდომების ოქმებსაც ორთავე მხარე აწარმოებდა. მოლაპარაკების პროცესში ორთავე მხარის ხელში იყო ხელშეკრულების პროექტები, რომელთა მუხლობრივ განხილვასაც ისინი აწარმოებდნენ თანამიმდევრულად. კონფერენციის საქმიანობის დასაწყისშივე გამომჟღავნდა რუსეთის და საფრანგეთის პოზიციებისა და შეხედულებათა სერიოზული დაპირისპირება.

რაზე მეტყველებს პარიზში მიმდინარე მოლაპარაკების პროცესი? იგი მეტყველებს, ჩვენი აზრით, იმაზე რომ არც ერთ მხარეთაგანს, რომელიც მონაწილეობას იღებდა ამ მოლაპარაკებაში, ოდნავადაც კი არ შეუცვლია თავისი პოზიცია, ხელი არ აუღია საკუთარ თვალსაზრისზე და იმ საგარეო პოლიტიკურ ამოცანებზე, რომელთა რეალიზაციასაც იგი ისახავდა მეორე მხარესთან შეთანხმების შედეგად. მხარეები იცავდნენ და ანვითარებდნენ იმ ხაზს, რომელიც მათ 1800 წლის გაზაფხულისათვის ჰქონდათ შემუშავებული და რომლის საფუძველზედაც გადადგეს სათანადო ნაბიჯები ურთიერთ დაახლოების მიზნით.

რუსეთის თავადაზნაურული მონარქია, საფრანგეთთან შეთანხმებისას მშვიდობიანი გზით იმავე ამოცანების გადაწყვეტას ისახავდა მიზნად, რომელნიც ამოქმედებდა მას მეორე ანტიფრანგულ კოალიციაში მონაწილეობის დროს და რომელნიც გადაუწყვეტელი დარჩა მას ამ კოალიციის დაშლის გამო. ეს ამოცანები იყო: 1) უპირატესი, თუ არა ვადამწყვეტი როლის მოპოვება ევროპის მომავალი ბედის განსაზღვრაში და, უპირველეს ყოვლისა,

რუსეთის აშკარა ჩარევა ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს შინაგან საქმეებში, ზოგიერთთა მიმართ რუსეთის მფარველობა და მომრიგებლის როლის შენარჩუნება ავსტრია-პრუსიის, საფრანგეთ-ავსტრიის და პრუსია-საფრანგეთის ურთიერთობაში; 2) ფეოდალურ ერთეულებად ქცეულ გერმანიის შინაგან საქმეებში ჩარევა, მისი მეფე-მთავრების ურთიერთობის მოწესრიგებაში გადამწყვეტი როლის უფლების შენარჩუნება [1]; 3) გავლენის შენარჩუნება იტალიაში, როგორც ლომბარდიაში, ისე აპენინის ნახევრ კუნძულზე; 4) „სამხრეთის ჯაჭვის" რგოლებისათვის მტკიცედ ხელის ჩაჭიდება და ხმელთაშუა ზღვის აუზში პლაცდარმის მოპოვება; 5) აღმოსავლეთის საკითხის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტა და როგორც ინგლისის, ისე თვით საფრანგეთის აგრესიის არ დაშვება ახლო აღმოსავლეთში; 6) საერთო ევროპული დამშვიდება, რასაც ბოლო უნდა მოეღო რევოლუციის ქარტეხილისათვის და მით მოესპო გარეშე საფრთხე რუსეთის იმპერიის სოციალური წყობილებისათვის.

ამ საგარეო პოლიტიკური ამოცანების შესატყვისი იყო ის მოთხოვნები, რომლებსაც რუსეთის მთავრობა აყენებდა პარიზის მოლაპარაკების დროს და რომლებიც ფიქსირებული იყო ჩვენს მიერ უკვე ციტირებულ დიპლომატიურ დოკუმენტებში (როსტოპჩინის 1800 წლის 8 ოქტომბრის ნოტაში, პავლე I-ის 1800 წლის 29 დეკემბრის ინსტრუქციაში კოლიჩევისადმი და სხვა დამატებით ინსტრუქციებში). ამ დოკუმენტებში კონკრეტულად იყო დასმული საკითხი გერმანიის იმპერიის მომავალი საზღვრების, იტალიის და მალტის მომავალი სტატუტისა და ეგვიპტის სუვერენიტეტის აღდგენის შესახებ. რუსეთის მთავრობა აყენებდა მოთხოვნას, რომ აღნიშნული საკითხები რუსეთის ინტერესების შესაბამისად გადაწყვეტილიყო. ამ მოთხოვნებს და დიპლომატიურ დოკუმენტებს ეყრდნობოდა კოლიჩევი პარიზის მოლაპარაკების

---

[1] რუსეთის რევოლუციამდელი ისტორიკოსები—დ. მილიუტინი, კ. ვალიშევსკი, ნ. შილდერი, ა. ტრაჩევსკი და სხვ.—რუსეთის სამეფო კარის განსაკუთრებულ დაინტერესებას და „ზრუნვას" გერმანიის ზოგიერთი პატარა სახელმწიფოს, კერძოდ ბავარიის კურფიურსტის და ბადენის ჰერცოგის სამფლობელოების ბედისადმი ნათესაური მოტიეებით ხსნიან. სინამდვილეში კი, როგორც ცნობილია, ნათესაური მოტივები ცარიზმისათვის მხოლოდ ნიღაბს წარმოადგენდა, რომლითაც იგი მოქმედებდა ამ სახელმწიფოების მიმართ და რომლითაც ფარავდა იგი თავის ნამდვილ რეალურ პოლიტიკას ევროპის ამ ნაწილში.

პროცესში, როდესაც იგი პირველ, მეორე და მესამე კონფერენციებზე ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდა საფრანგეთის დიპლომატიის კონტრმოთხოვნებს [1].

საფრანგეთის მთავრობას და მის მეთაურ ნაპოლეონ ბონაპარტს კი, პირიქით, როგორც უკვე აღვნიშნავდით, სხვა ზრახვები ამოქმედებდათ. ისინი არ მიისწრაფოდნენ ხანგრძლივი მშვიდობიანობისა და ევროპული დამშვიდებისაკენ, მათ სურდათ მიეღოთ დროებითი შესვენება და ეს ხანმოკლე ინტერვალი ახალი აგრესიების მოსამზადებლად გამოეყენებინათ. მათ გეგმაში არ შედიოდა რუსეთთან ხანგრძლივი კავშირ-მეგობრობის დამყარება, რადგანაც ეს ქვეყანა პოტენციალურად საფრანგეთის საგარეო პოლიტიკური გეგმების მოწინააღმდეგე იყო. ამიტომ რუსეთთან „მეგობრული კავშირის" დამყარება საფრანგეთის მესვეურებს ესაჭიროებოდათ იმდენად, რამდენადაც ამით დაიზღვევდნენ თავს ამ სახელმწიფოს წინააღმდეგობისაგან, მიიღებდნენ საჭირო შესვენებას და გამოიყენებდნენ მას ინგლისის წინააღმდეგ საბრძოლველად. გერმანიის მიმართ საფრანგეთს ისეთივე ზრახვები და მისწრაფებები ამოქმედებდა, როგორც რუსეთს; ხოლო იტალიაზე გაბატონება, ხმელთაშუა ზღვის აუზსა და ლევანტის ქვეყნებში მოპოვებული პოზიციების გაფართოება და რუსეთის გავლენის შესუსტება ევროპაში — საფრანგეთის ისეთი საგარეო პოლიტიკური ამოცანები იყო, რომლებიც უშუალოდ რუსეთის ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული გეგმების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ნაპოლეონ ბონაპარტი ანგარიშს არ უწევდა ბავარიის კურფიურსტისა და ვიურტემბერგის ჰერცოგისადმი რუსეთის მფარველობას და მოლაპარაკების პროცესში სიტყვიერი დაპირებების მიუხედავად, რომ დაიცავდა მათი სამფლობელოების ხელშეუხლებლობას და სათანადო ანაზღაურებასაც მისცემდა მათ, სინამდვილეში კურსი მათი სამფლობელოების დანაწილებაზე ჰქონდა აღებული. მიუხედავად აგრეთვე წინასწარ აღებული „საზეიმო" დაპირებისა ნაპოლეონს არ სურდა პავლე I ფორმალურად ეცნო მალტის სასულიერო ორდენის დიდ მაგისტრად და ვალდებულება აეღო კუნძულ მალტის მისთვის დათმო-

---

[1] ამ კონფერენციის ოქმები იხ. Архив ВПР, ф. МИД, Канцелярия, д. 8953, 1801, лл. 2—3, 4, 6—9, 12—14, 15—16; Сб. РИО, т. 70, вз. 45—56.

ბის შესახებ. ფორმალურად იგი წინააღმდეგი არ იყო, რომ სარდინიის მეფე თავის სამფლობელოში დაბრუნებულიყო, მაგრამ ამის ანგარიშში მას სურდა ხელთ ეგდო ამ სამფლობელოს მსხვილი ნაჭრები და ტერიტორიულად შემცირებული სამეფო თავის გავლენისათვის დაექვემდებარებინა. ნაპოლეონ ბონაპარტი გარეგნულად, თითქოს, ანგარიშს უწევდა ნეაპოლის სამეფოსადმი რუსეთის იმპერატორის პროტეჟირების ფაქტს, მაგრამ სინამდვილეში მას არ სურდა უკან დაეხია და ეცნო ამ სამეფოს სრული დამოუკიდებლობა. ნეაპოლის სამეფო, კერძოდ მისი სამარეთი ნაწილი საფრანგეთის პირველ კონსულს სურდა ექცია პლაცდარმად, როგორც იტალიაში მოპოვებული გავლენის განსამტკიცებლად, ისე ხმელთაშუა ზღვის ცენტრალურ ნაწილში საიმედო და მტკიცე პოზიციის მოსაპოვებლად. იგი ნეაპოლის მეფისაგან მოითხოვდა დაეხურა ინგლისელებისათვის თავისი ნავსადგურები და დაეთმო საფრანგეთისათვის ბრინდიზი და ოტრანტო, საფრანგეთის ფლოტის ბაზებად და იქ გარნიზონის ჩასაყენებლად. ამავე დროს ნაპოლეონს არ სურდა რაიმე დათმობაზე წასულიყო ეგვიპტის საკითხში. „ეგვიპტე ფრანგების სისხლით არის ნაყიდიო", ამბობდა ნაპოლეონი და ამ მოტივით უარს აცხადებდა ხელი აეღო მასზე[1].

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, რუსეთსა და საფრანგეთს შორის ინტერესთა სრულ წინააღმდეგობას ჰქონდა ადგილი. ერთი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ამოცანები და მიმართულება მკვეთრად ეჯახებოდა მეორე სახელმწიფოს ამოცანებსა და მიმართულებას. ერთის დიდებას უნდა მოჰყოლოდა მეორის დამცირება და დასუსტება. ორთავეს ერთსა და იმავე დროს არ შეეძლოთ განეხორციელებინათ დასახული საგარეო პოლიტიკური ამოცანები. რუსეთსა და საფრანგეთს შორის არსებული დაპირისპირება ძნელი დასაძლევი იყო. მას ვერ დასძლევდა ვერც „მეგობრული" მიწერ-მოწერა და ვერც პარიზის მოლაპარაკება თავისი კონფერენციებით.

---

[1] საფრანგეთის მთავრობის ეს მისწრაფებები ფორმულირებული იყო ტალეირანის სიტყვებში დასახელებულ კონფერენციებზე და ტალეირანის კონტრპროექტში, რომელიც 1801 წლის 6/18 მარტით არის დათარიღებული. ამ კონტრპროექტში, რომელიც 9 მუხლისაგან შედგება, ეგვიპტის, მალტის კომპენსაციის ან იტალიის შესახებ სრულებით არ არის ლაპარაკი, რადგანაც ეს საკითხები თვით კონფერენციაზე იყო განხილული. СБ. РИО, ტ. 70, გვ. 63 — 64.

პარიზის კონფერენციას, რომელიც მიმდინარეობდა ტალეირანსა და კოლიჩევს შორის[1], არავითარი პროგრესი არ მოჰყოლია. იქ შეთანხმებულ იქნა მხოლოდ უმნიშვნელო საკითხები, მომავალი ხელშეკრულების შესავლის ფორმულა და სხვ. წაბორძიკების ქვად ამ მოლაპარაკების დროს, როგორც მოსალოდნელი იყო, გერმანიის, იტალიის და მალტის საკითხები იქცა[2].

მოლაპარაკების დასაწყისშივე გამოვლინდა მორიგების შეუძლებლობა[3]. ტალეირანმა, რომელიც პირველი კონსულის მტკიცე ინსტრუქციით მოქმედებდა, ზრდილობიან ფორმებში, მაგრამ გადაჭრით უკუაგდო როგორც რუსეთის მთავრობის ხუთი ფარული მუხლი საერთოდ, ისე პუნქტები მალტის პავლე I-სათვის დაბრუნების, ფრანგების მიერ ეგვიპტის ევაკუაციისა და სიცილიის სამეფოს ხელშეუხებლობის შესახებ. ამის ნაცვლად მან მოითხოვა რუსეთის ფლოტის დახმარება მალტიდან ინგლისელების გასაძევებლად, მაგრამ ამ კუნძულის რუსებისათვის გადაცემის დაპირების გარეშე. პარალელურად ამისა, პარიზიდან გაძევებული იქნა სიცილიის სამეფოს წარმომადგენელი მარკიზი გალო (ვითომდა თავხედური მოთხოვნებისათვის), რომელიც კოლიჩევის დახმარებით უნდა მოლაპარაკებოდა საფრანგეთის მთავრობას და იქვე გაეფორმებინა სათანადო ხელშეკრულება. მიურატს ბრძანება მიეცა თავისი ძალა ეჩვენებინა ამ სამეფოსათვის და ადგილზეევ, მუქარის ქვეშ, დაედო მასთან საფრანგეთისათვის სასურველი შეთანხმება[4].

---

[1] პირველი სხდომა ჩატარდა 1801 წლის 28 თებერვალს (12 მარტს), მეორე—1/13 მარტს, მესამე—2/14 მარტს, მეოთხე—3/15 მარტს. იხ. Сб. РИО, ტ. 70, გვ. 45—57.

[2] ა. ტიერი და ზოგიერთი სხვა ფრანგი ისტორიკოსი გმობენ კოლიჩევისადმი მიცემული ინსტრუქციების ტონს და მათში ხედავენ პარიზის მოლაპარაკების ჩაშლის ერთ-ერთ მიზეზს. მაგ. აზრით, „მპერატორ პავლეს სურდა ევროპის ყველა საქმეში არბიტრი ყოფილიყო, რაც რუსეთის ტრადიციული პოლიტიკიდან გადახვევას წარმოადგენდა. ტიერი ამართლებს ნაპოლეონ ბონაპარტის რევერსიულ ზომებს ევროპას იმ წვრილ მეფეთა მიმართ, რომელთაც „შეურაცყოფა“ მიაყენეს საფრანგეთს. იგი, ამავე დროს გმობს კოლიჩევს, რომელმაც, მისი თქმით, ამ წვრილ მეფეთა „მფარველის როლი გაითამაშა“. იხ. А. Тьер, დასახ. ნაშრ., ტ. 2, ნაწ. 5, გვ. 67.

[3] მოლაპარაკების წარუმატებლობა თვით ნაპოლეონისათვის ნათელი იყო. სწორედ ამიტომ 1801 წლის 28 მარტს (პავლე I-ის მკვლელობა ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი მისთვის) გამართულ სადილზე მან პირდაპირ განუცხადა რუსეთის წარმომადგენელს, რომ მას საჭიროდ მიაჩნია პირადი კონტაქტი დაამყაროს რუსეთის იმპერატორთან. ოფიციალური მოლაპარაკების გარეშე, რომელიც არავითარ შედეგს არ იძლევაო. К. Валишевский, დასახ. ნაშრ., გვ. 493.

[4] Ф. Мартенс, დასახ. კრებ., ტ. 13, გვ. 252.

კოლიჩევმა პირველ კონსულთან და ტალეირანთან პირველი კონტაქტისთანავე შესძლო სწორი აღღო აეღო პარიზში შექმნილი ვითარებისათვის და ჩაწვდომოდა საფრანგეთის მთავრობის ნაწდვილ ზრახვებს. მისთვის ნათელი გახდა მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეთა შორის modus vivendi ს გამონახვის შეუძლებლობა.

1801 წლის 25 თებერვლის (9 მარტის) წერილში როსტოპჩინისადმი კოლიჩევი, უზიარებდა რა მას პარიზში მიღებულ შთაბეჭდილებებს, წერდა: მე ძლიერ საეჭვოდ მიმაჩნია დაკისრებული დავალების შესრულება[1]. აქ ბატონობს უზომო პატივმოყვარეობა და ომის გაგრძელების სურვილი: ასეთ განწყობილებას ხელი შეუწყო ავსტრიის დამარცხებამ და ჩვენს მიერ ინგლისთან კავშირის გაწყვეტამ. კოლიჩევის შეხედულებით პირველ კონსულს, რომელიც ერთპიროვნულად ბატონობს, ბევრი მტერი და მოშურნე ჰყავს, მისი სიცოცხლისა და ხელისუფლების მომავალი გაურკვეველია[2].

მე არაფერ კარგს არ მოველი საფრანგეთისაგან, — წერს კოლიჩევი,—მას მხოლოდ ერთი სურვილი ამოქმედებს: წაგვკიდოს ყველასთან, შეგვიქმნას სიძნელეები, ალბათ, ერთი განზრახვით — გამოიწვიოს არეულობა პოლონეთში. იგი სთხოვს როსტოპჩინს: ვინაიდან დაკისრებული მოვალეობა ჩემს ძალებს აღემატება, თანაც ვეჭვობ ამ დავალების წარმატებაში, გამათავისუფლე, შემცვლელი გამომიგზავნეთ და მით გამომიყვანეთ ამ ძნელი მდგომარეობიდანო[3]. აქაურ ადამიანებს,—განაგრძობს კოლიჩევი, — მე ვერასოდეს ვერ ვენდობი, მათთან ურთიერთობაში საჭიროა სიმტკიცე... მათ უნდა მოვთხოვოთ პატივისცემა, ვერწმუნოთ მათ საქმეებს და არა სიტყვებს; არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისინი ისწრაფვიან იბატონონ ყველგან..., რომ მათ ჩვენ ვესაჭიროებით როგორც იარაღი... მათი განზრახვაა: გზა აგვირონ ჩვენ და დაიმონონ ევროპა[4].

დაწყებული მოლაპარაკების პერსპექტივისადმი პესიმისტური განწყობილება გამოსჭვივის კოლიჩევის რელაციებში, რომლე-

---

[1] ამ დროისათვის როსტოპჩინის დიდების მზე უკვე ჩასვენებული იყო. 1801 წლის თებერვალში პავლე I-მა ანგლოფილური დაჯგუფების ინტრიგების წყალობით როსტოპჩინი გაანთავისუფლა საგარეო საქმეთა კოლეგიის ხელმძღვანელის პოსტიდან და თავის მამულში გააძევა. საგარეო საქმეთა კოლეგიის ხელმძღვანელი ამ დროიდან შეთავსებით ხდება გენერალი პალენი.

[2] Сб. ГИО, т. 70, გვ. 42—43.

[3] იქვე. გვ. 43.

[4] იქვე. გვ. 44.

ბიც კონფერენციებს მიმდინარეობის პროცესში და მათ შემდეგ არის გაგზავნილი პეტერბურგის სამეფო კარის მისამართით, და როსტოპჩინისადმი გაგზავნილ წერილებში. ეს რელაციები უკვე ახალი იმპერატორის ალექსანდრე I-ის დროს ჩავიდა დანიშნულების ადგილას[1].

კოლიჩევის აღნიშნული რელაციებიდან და წერილებიდან პარიზის მოლაპარაკების მიმდინარეობისა და პერსპექტივების შეფასების თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მისი 1801 წლის 13/25 მარტის წერილი როსტოპჩინისადმი.

ევროპის სახელმწიფოთა დამშვიდების განზრახვა, — წერს კოლიჩევი ამ წერილში, — უფრო ნელა იძვრის წინ, ვიდრე თავდაპირველად გვეჩვენებოდა. უთანხმოება ძირითად პუნქტებში, კერძოდ საფრანგეთის ჯარების მიერ ეგვიპტის ევაკუაციის შესახებ, სერიოზული მნიშვნელობისაა[2]. წერილში კოლიჩევი სპეციალურად ჩერდება თურქეთის საკითხზე. ამ საკითხში, მისი აზრით, ნაპოლეონ ბონაპარტის თვალსაზრისი აშკარად ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს. საფრანგეთს, — წერს იგი, — ფარული ზრახვები ამოქმედებს თურქეთის მიმართ. პირველ კონსულს პორტა ცოცხალ ლეშად მიაჩნია და საჭიროდ თვლის შეცვალოს მდგომარეობა ევროპის ამ ნაწილში (ე. ი. დაყოს თურქეთი—ვ. დ.). კოლიჩევი აშკარად მიუთითებს იმ სერიოზულ საფრთხეზე, რომელიც შეიძლება მოყვეს რუსეთის პოზიციებისა და ინტერესებისათვის თურქეთის დაყოფის ფრანგული გეგმის რეალიზაციას[3]. საინტერესოა, რომ კოლიჩევი საფრანგეთის აგრესიულ ზრახვებს თურქეთის მიმართ უშუალოდ უკავშირებდა საფრანგეთში არსებულ საშინაო ვითარებას. საფრანგეთში ყველაფერი დამოკიდებულია ბონაპარტის პიროვნებაზე. მას კი სურს გენერლები, ოფიცრობა და არმია კმაყოფილი და „საქმით დაკავებული ჰყავდეს". აქედან გამომდინარეობს თურქეთის დაყოფის გეგმები, მტაცებლური ზრახვები ესპანეთისა და პორტუგალიის მიმართ, აქედან გამომდინარე, საფრანგეთს არ სურს და არც შეუძლია საყოველთაო და სწრაფი მშვიდობა, დაასკვნის იგი[4].

---

[1] იხ. 1801 წლის 3/15 მარტის, 13/25 მარტის რელაციები პაველსადმი და 13/25 მარტის წერილები როსტოპჩინისადმი. Сб. РИО, ტ. 70, გვ. 59, 69—75, 76—78, 79—83.

[2] იქვე, გვ. 79.

[3] იქვე, გვ. 80.

[4] Сб. РИО, ტ. 70, გვ. 81.

მართალია, კოლიჩევი, როგორც სულ სხვა საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის მომხრე დიპლომატი, ბევრს აჭარბებს, გადაჭარბებით უნდობლობას იჩენს საფრანგეთის არსებული მმართველობისადმი და ასევე გადაჭარბებით პესიმისტურ დასკვნებს აკეთებს. მაგრამ ძირითადში იგი რუსეთის მთავრობის ოფიციალურ პოზიციას იცავს, ამ პოზიციას უპირისპირებს საფრანგეთის მთავრობის გეგმებს და მხოლოდ მის საფუძველზე აკეთებს დასკვნებს. ყოველ შემთხვევაში კოლიჩევის მოტანილი მოხსენებითი ბარათებიდან და თვით კონფერენციების ოქმებიდან ნათლად ჩანს ერთი რამ: მიუხედავად ზოგიერთ საკითხებში შეთანხმებებისა (მომავალი ხელშეკრულების პრეამბულის დაზუსტება, ომამდელი ურთიერთობის აღდგენის სასურველობა, სავაჭრო ხელშეკრულების აღდგენა[1], ინგლისის წინააღმდეგ ზღვაზე ზომების მიღების საჭიროება და სხვ.) და გარეგნული დაახლოებისა, საკვანძო საკითხებში საფრანგეთსა და რუსეთს შორის ჯერ კიდევ არ იყო დაძლეული არსებული სერიოზული წინააღმდეგობა.

2. პავლე I-ის მკვლელობა და მორიგი მოგზრუნება რუსეთის საგარეო პოლიტიკაში

ასეთი იყო ვითარება რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში 1801 წლის მარტის პირველ ნახევარში, როდესაც რუსეთის სამეფო ტახტზე მოხდა ცვლილება: სასახლის გადატრიალებისა და პავლე I-ის მკვლელობის შედეგად 1801 წლის 11/23 მარტს ტახტზე ახალი იმპერატორი ალექსანდრე I ავიდა. რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის განხილულ ვითარებას და ამ ურთიერთობის შემდგომ პერსპექტივას უშუალო კავშირი ჰქონდა რუსეთის სამეფო ტახტზე მომხდარ ცვლილებასთან. ჩვენ ქვემოთ შევეცდებით პასუხი გავცეთ აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისათვის რუსეთის საგარეო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილება, როგორც საერთოდ, ისევე კერძოდ საფრანგეთის მიმართ რადიკალური იყო. რუსეთი საბოლოოდ გამოვიდა მეორე ანტიფრანგული კოალიციიდან, კავშირი გაწყვიტა თავის ყოფილ მოკავშირეებთან, ხელი აიღო საფრანგეთთან ომზე და გადადგა შემხვედრი ნაბიჯები მასთან დასაახ-

[1] 1801 წლის 8 თებერვალს.

ლოებლად. ახალი ვითარება რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში ამ ეტაპზე არ შეჩერებულა. საფრანგეთის პირველმა კონსულმა პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა რუსეთის იმპერატორის გულის მოსაგებად. მისივე აქტიური ინიციატივით დაიწყო მათ შორის არაოფიციალური მოლაპარაკება შემდგომი დაახლოებისა და სამშვიდობო ხელშეკრულების თაობაზე. პარალელურად ამისა, რუსეთის მონაწილეობით და საფრანგეთის არაპირდაპირი მხარდაჭერით შეიქმნა ჩრდილოეთის სახელმწიფოთა საზღვაო ნეიტრალიტეტის ლიგა, რომლის მახვილიც მიმართული იყო ინგლისის წინააღმდეგ. პაულეს და ნაპოლეონ ბონაპარტის პირადი მიწერ-მოწერა, პარიზის მოლაპარაკების დაწყება, შეთანხმებების პროექტების შემუშავება და მათი განხილვა ამ მოლაპარაკების მსვლელობაში წარმოადგენდა შემდგომ პროგრესს რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების გზაზე და მათი ურთიერთობის შემდგომ ნორმალიზაციას. დაბოლოს, ინდოეთზე ერთობლივი ლაშქრობის იდეის აღმოცენება და მის სათანადო გეგმაში ასახვა, ინდოეთში და თვით ევროპაში ინგლისელთა ბატონობისათვის მახვილის ჩასაცემად საომარ ღონისძიებათა კოორდინაციის საჭიროების მიჩნევა, კულმინაციური საფეხური იყო რუსეთ-საფრანგეთის დაახლოებაში.

კითხვა ისმის, შეჩერდებოდა თუ არა პარიზის მოლაპარაკება განხილულ სტადიაზე. თუ იგი ფინალურ აქტამდე მივიდოდა და რუსეთი და საფრანგეთი, როგორც მეგობრები, დაუკავშირდებოდნენ ერთმანეთს? ზოგიერთი საბჭოთა ისტორიკოსი (მაგ. ს. ოკუნი) ფიქრობს, რომ, რუსეთ-საფრანგეთის ინტერესთა სერიოზულ წინააღმდეგობის განმაპირობებელ რეალურ პოლიტიკურ და სამხედრო სტრატეგიულ მოტივთა არსებობის მიუხედავად, მათ შორის საერთო ენა მაინც გამოინახებოდა, პარიზის მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდებოდა და ამ სახელმწიფოთა შორის არა მარტო ომამდელი არსებული ნორმალური ურთიერთობა აღდგებოდა, არამედ კავშირისა და მეგობრობის ხელშეკრულებაც დაიდებოდა. ამ ისტორიკოსთა აზრით, პარიზის მოლაპარაკება, უთანხმოების მიუხედავად, დასასრულს უახლოვდებოდა [1]. უკვე შემზადებული იყო რუსეთ-საფრანგეთის ანტიინგლისური კოალიცია და სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელმოწერა უახლოესი დღეების საქმე

---

[1] „Подходили к концу, — წერს ს. ოკუნი, — русско-французские переговоры... полномочный представитель России Колычев выехал в Париж для подписания мирного договора". С. Окунь, დასახ. ნაშრ., გვ. 107.

იყო. აქედან ისინი ასკვნიან, რომ მხოლოდ პავლე I-ის მკვლელობამ და ალექსანდრე I-ის გამეფებამ შეაფერხა ეს კანონზომიერი და ლოგიკური პროცესი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი იმპერატიული დასკვნისათვის არ არსებობს ყველა საბუთი. 1801 წლის მარტის ნახევრისათვის პარიზის კონფერენციაზე, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ჯერ კიდევ მიღწეული არ ყოფილა არსებითი პროგრესი. კონფერენციის ოქმები, ტალეირანის მიმოწერა, კოლიჩევის რელაციები და სხვა რუსი დიპლომატების შესაფერი დიპლომატიური მასალები საამისო დამაჯერებელ საბუთს არ იძლევიან. ამ მასალების საფუძვლიანი ანალიზის შედეგად ჩვენ, პირიქით, სულ სხვა დასკვნებამდე მივდივართ. ზოგიერთ, უფრო მეორეხარისხოვან საკითხებში თვალსაზრისთა დაახლოების მიუხედავად, პრინციპულ საკითხებში რუსეთსა და საფრანგეთს შორის ჯერ კიდევ არ იყო მიღწეული შეთანხმება და, მაშასადამე, არ იყო გამონახული ის პლატფორმა, რომლის საფუძველზედაც შეიძლებოდა ხელშეკრულების დადება კავშირისა და მეგობრობის თაობაზე. უნდა ვიგულისხმოთ, რომ შეთანხმების მიღწევისა და ხელშეკრულების დადების შემთხვევაში საფრანგეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკური ჩანაფიქრი რუსეთის მიმართ ამით სავსებით რეალიზებული და იგი რუსეთის ეროვნული ინტერესებისათვის მიუღებელი იქნებოდა. მოტანილი მასალების საფუძველზე მკვლევარს არ შეუძლია გამოიტანოს დასკვნა იმის შესახებ, რომ, თითქოს, რუსეთის დიპლომატია ჯეროვნად არ იცავდა საკუთარი ქვეყნის საარსებო ინტერესებს, რომ პარიზის მოლაპარაკების პროცესში იგი მზად იყო ეცნო საფრანგეთის დიპლომატიის მიერ წამოყენებული, რუსეთისათვის მიუღებელი პრეტენზიები, მიეღო ისინი და მათს საფუძველზე დაედო ხელშეკრულება.

ამით ჩვენ როდი გვსურს იმის თქმა, რომ რუსეთ-საფრანგეთის დაახლოება განხილულ საეხურზე გაიყინებოდა, შემდგომი ძვრები არ მოხდებოდა და რომ გამორიცხული იყო სამშვიდობო ხელშეკრულების დადება როგორც ევროპიული დამშვიდების, ისე ურთიერთკავშირის თაობაზე. ურთიერთდაახლოების უკვე მიღწეული წარმატების ბაზაზე შესაძლებელი იყო ჯერ კიდევ დაუძლეველ დაბრკოლებათა დაძლევა, modus viveudi-ს გამონახვა და რუსეთ-საფრანგეთის დროებით მორიგება სათანადო ხელშეკრულების დადების გზით. ყოველივე ეს მომავალის საქმე იყო, მათი დაახლოების პერსპექტივას წარმოადგენდა და არა მიღწეულ რეალობას, როგორც ფიქრობენ ზოგიერთები.

მაგრამ რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში ჩვენ მიერ მოხაზული მობრუნებაც კი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ იგი სხვა ხასიათის წინააღმდეგობებს წაწყდომოდა და რუსეთის გარკვეული საზოგადოებრივი ძალების შეტევის ობიექტად ქცეულიყო.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი ორიენტაცია—რუსეთ-საფრანგეთის დაახლოება და ამის პარალელურად რუსეთ-ინგლისის ურთიერთობის უკიდურესად გამწვავება, რუსეთ-საფრანგეთის ანტიინგლისური სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შექმნის პერსპექტივა—წააწყდა ორგვარ, საშინაო და საგარეო ხასიათის წინააღმდეგობას. საშინაო ხასიათის წინააღმდეგობა იყო რუსეთის ფეოდალური არისტოკრატიის, მსხვილი ვაჭრების და მხედრობის ზედაფენის ანგლოფილური დაჯგუფების გამოსვლა აღნიშნული ახალი კურსის წინააღმდეგ, საგარეო ხასიათის წინააღმდეგობას კი წარმოადგენდა ინგლისის წინააღმდეგობა. ამ ორი ფაქტორის ერთობლივმა მოქმედებამ ჯვარი დაუსვა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი მიმართულების შემდგომ ევოლუციას, ხელი შეუშალა რუსეთ-ინგლისს შორის წარმოშობილ ომის შესაძლებლობის გადაზრდას ომის სინამდვილეში, ჩაშალა რუსეთ-საფრანგეთის ანტიინგლისური სამხედრო ბლოკის შექმნის ფრანგული გეგმები და შინაგანი ხასიათის მოტივებთან კავშირში გადამწყვეტი როლი შეასრულა 1801 წლის 11/23 მარტის აქტის ორგანიზაციაში.

რუსეთის ცარიზმი, როგორც არაერთხელ იყო ხაზგასმული, ფეოდალური თავადაზნაურობის, ვაჭართა ზედაფენისა და რეაქციული სამხედრო ზედაფენის სახელმწიფო ხელისუფლება იყო. იგი საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ამ ექსპლოატატორული სოციალური ჯგუფების ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებს იცავდა, მათ „მოთხოვნებს“ ახორციელებდა. მაგრამ დრო და დრო აღნიშნული სოციალური ჯგუფების (ყოველ შეთხვევაში მისი გარკვეული ნაწილის) კლასობრივი ინტერესები ერთგვარ, ხანმოკლე და არც თუ ისე მწვავე „კონფლიქტში“ მოდიოდა სამეფო კარის მიერ გატარებულ საშინაო და საგარეო პოლიტიკასთან. დგებოდა ისეთი მომენტი, როდესაც რუსეთის საზოგადოების ამ ზედა, ექსპლოატატორულ ფენას ეშვი ეპარებოდა ცარიზმის მესვეურთა მიერ გატარებულ საშინაო და საგარეო პოლიტიკის სისწორეში მათი ინტერესების გამოხატვის თვალსაზრისით. ასეთ მომენტში ისინი ფიქრობდნენ, რომ მათ ინტერესებს ჯეროვნად ანგარიშს არ უწევენ, რომ თითქოს ადგილი აქვს გადახვევას, „ჩავარდნას“

ამ ინტერესების დაცვის პოზიციიდან. ვინაიდან ეს ექსპლოატატორული ზედაფენა არაერთსახოვანი იყო თავისი შემადგენლობით, აღნიშნული განწყობილება მეტ-ნაკლებად იკიდებს ფეხს მის ცალკეულ ჯგუფებში. ასევე მოხდა კონკრეტულად 1800—1801 წლების მიჯნაზე. რუსეთის გაბატონებული კლასების გარკვეული ნაწილი აშკარად გადაუდგა იმპერატორ პავლეს მისი საშინაო პოლიტიკისა და მისგან აღებული საგარეო პოლიტიკური კურსის გამო.

რატომ წარმოიშვა კონფლიქტი არსებული მმართველობის ხალ საგარეო პოლიტიკურ კურსსა და ექსპლოატატორული სოციალური ჯგუფების ინტერესებს შორის, რატომ იქნა მიჩნეული ეს კურსი მიუღებლად მათი კლასობრივი ინტერესებისათვის?

რუსეთის ფეოდალური არისტოკრატიის უმრავლესობა კვლავინდებურად მტრულად იყო განწყობილი საფრანგეთისადმი და მასთან კავშირის დადების წინააღმდეგ ილაშქრებდა. ასეთი განწყობილება რუსეთის არისტოკრატიის რიგებში 1789 წლიდან, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის აღმოცენების მომენტიდან წარმოიშვა. ეს იყო შეურიგებელი სიძულვილის გრძნობა აღნიშნული ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგებისადმი, ახალი საფრანგეთისადმი, რომელსაც ისინი ძველებურად რევოლუციის ბაზას, „შფოთის დამთესს", წესრიგის დამრღვევს და რელიგიის შემბღალავს უწოდებდნენ. მართალია, ასეთი განწყობილება საფრანგეთის მიმართ რამდენადმე შეანელა თვრამეტი ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალებამ, რომელმაც ბოლო მოუღო რევოლუციის უკანასკნელ ნაშთებს და ნაპოლეონ ბონაპარტის პერსონალური დიქტატურა დაამყარა, მაგრამ საესებით ვერ მოსპო ეს განწყობილება. რუსეთის ექსპლოატატორული კლასების აღნიშნული დაჯგუფება, თვრამეტი ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალებისა და ნაპოლეონის გაბატონების მიუხედავად, საფრანგეთის რევოლუციას ჯერ კიდევ არ თვლიდა დასრულებულად[1]. ნაპოლეონ ბონაპარტში რუსეთის ფეოდალური არისტოკრატიის ფრანგოფობურად განწყობილი ნაწილი ხედავდა არა იმდენად რევოლუციის ჩამბშობს, რამდენადაც „რევოლუციის მემკვიდრეს",

---

[1] ამ მხრივ საინტერესოა კოლიჩევის 1801 წლის 13/25 მარტის წერილი როსტოპჩინისადმი, Сб. РИО, т. 70, §§. 76—78.

„რევოლუციის ჯარისკაცს“[1]. ამ შეურიგებელი სიძულვილის გრძნობიდან გამომდინარეობდა რუსეთის მთავრობის მიერ საფრანგეთთან შეთანხმებაზე აღებული კურსისადმი მტრული დამოკიდებულება. მათ ვერ წარმოედგინათ ასეთი ტიპის უზურპატორთან დაახლოება და მასთან საერთო ენის გამონახვა. ასეთი შეთანხმება მათ მიაჩნიათ რუსეთის სამეფო ტახტის ავტორიტეტის შელახვად. მართალია, პავლე I დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდა ბატონყმურ-მემამულური მონარქიის სოციალური სისტემის ყოველგვარი მტრების და მათ შორის „გარეგანი დამარღვეველი ძალების“ წინააღმდეგ, მაშასადამე, პირველ რიგში, საფრანგეთის რევოლუციის გავლენის წინააღმდეგაც, მაგრამ ფეოდალური არისტოკრატიისა და სამხედრო კამარილიის მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც უკმაყოფილო იყო პავლეს პოლიტიკით ამ მხრივ. საფრანგეთთან დაახლოება, მით უფრო მასთან მჭიდრო კავშირის შეკვრა, მათი აზრით, სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ცარიზმის სოციალურ ბაზას და მათს კლასობრივ ბატონობას. აქედან გამომდინარე ისინი მოითხოვდნენ საფრანგეთთან დაახლოების კურსზე ხელის აღებას, მასთან კავშირის შეკვრის თაობაზე გამართული მოლაპარაკების ლიკვიდაციას და ისევ ძველ კავშირურ თიერთობათა სისტემის განახლებას (ე. ი. ინგლისთან და ავსტრიასთან კავშირის აღდგენას). მათ ანტიპათიურ განწყობას ახალი საფრანგეთის, მისი სოციალურ-ეკონომიური სისტემისა და იდეოლოგიისადმი, უპირისპირდებოდა ანგლოფილური დაჯგუფების სიმპათია, და ცალკეულ შემთხვევაში წრესგადასული ქედმოხრილობა ინგლისური მმართველობის სისტემისადმი, ინგლისის არისტოკრატიის ჯენტლმენური მანერებისადმი, ინგლისის ეკონომიური მიღწევებისა და იდეოლოგიური ცხოვრების ფორმებისადმი[2]. ს. რ. ვორონცოვი, ნ. პ. პანინი, ვ. ბ. კოჩუბეი,

---

[1] „Пушкин вслед за многими публицистами и историками своего времени, — წერდა ბანსვ. აკად. ე. ტარლე, — назвал Наполеона „наследником и убийцей“ революции. Не только „убийцей но и наследником“. Е. Тарле, Наполеон, М., 1942, ვვ. 4.

[2] „Знатные, больше всех страдавшие в царствование Павла, — წერს ა. სორელი, — были все англоманы своими вкусами, модой, инстинктами; антифранцузы вследствие отвращения к революционным принципам, они ненавидели Францию Бонапарта, как ненавидели Пруссию Фридриха. Этих бонр... ничто так не удивляло, как английский лорд, критерий элегантности, образец жизни высшего общества, высшее выра-

ს. ა. კოლიჩევი, კ. კრიუდენერი და სხვა რუსი დიპლომატები, რომლებიც საგარეო პოლიტიკის ხაზით მუშაობდნენ, მეტ-ნაკლებად ინგლისური წესების, ინგლისური მმართველობის, ინგლისური მანერების თაყვანისმცემლები იყვნენ. მათი მიმოწერა ნათლად მეტყველებს ამაზე.

მათი აზრით, პავლე I-ის საგარეო პოლიტიკის მიმართულება 1800 წელსა და 1801 წლის დასაწყისში საგრძნობლად დაშორდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ისტორიულად ჩამოყალიბებულ და მემკვიდრეობით მიღებულ მაგისტრალურ ხაზს, წინააღრბედ მიმართულებასა და ორიენტაციას. რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი კურსი და ახალი ტენდენცია მთლიანად არ ემთხვეოდა რუსეთის გაბატონებული კლასების ინტერესებსა და სულისკვეთებას. საფრანგეთთან დაახლოება და მასთან კავშირის შეკვრისაკენ გადადგმული ნაბიჯები რუსეთის ფეოდალურმა არისტოკრატიამ, და მასთან მჭიდრო კავშირში მყოფმა მაღალმა სამხედრო დაჯგუფებამ და ვაჭართა ზედაფენამ მიიჩნიეს არასასურველ ფაქტად, „რევოლუციური" საფრანგეთის ცნობის ცდად. ამას არ შეეძლო არ წარმოეშვა წინააღმდეგობა იმპერატორ პავლე I-სა და მათ შორის. ნაწილობრივ ამ ნიადაგზე შემზადდა სასახლის შეთქმულება და განხორციელდა 1801 წლის 11/23 მარტის აქტი.

რუსეთის ფეოდალური არისტოკრატიისა და სამხედრო კამარილიის მნიშვნელოვანი ნაწილის შეურიგებლობა კონსულობის პერიოდის საფრანგეთთან დაახლოებისა და მასთან ომამდელი ურთიერთობის აღდგენისადმი მარტო „ფრანგული წესებისადმი" ანტიპათიის ფსიქიკური განწყობა და რევოლუციის შედეგებისადმი შიშის გრძნობა როდი იყო. ასეთ განწყობილებას, პირველ ყოვლისა, სერიოზული ეკონომიური საფუძველი გააჩნდა. ინგლისთან ეკონომიურ-სავაჭრო კავშირის გაწყვეტა, მასთან ომისათვის მზადება და, პარალელურად ამისა, საფრანგეთის მთავრობის „მეგობრული" ინიციატივისადმი შემხვედრი ნაბიჯების გადადგმა რუსეთის ფეოდალური არისტოკრატიის მიერ მიჩნეულ იქნა საკუთარ კლასობრივ ინტერესებზე სერიოზულ ხელყოფად.

როგორც შრომის შესავალ ნაწილში გვქონდა საუბარი, 1789 წლამდე ინგლისსა და საფრანგეთს რუსეთთან ერთმანეთისაგან

жение хорошего тона, тонской роскоши, дворянской гордости". А. Соорель, დ.სახ. ნაშრ., ტ. 6, გვ. 98. სორელის მოტანილი შეხედულება მართალია ტენდენციურია და ამდენად გადაჭარბებულიც, მაგრამ იგი მაინც შეიცავს ეეშმარიტების ელემენტს.

მკვეთრად განსხვავებული სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდათ. აღნიშნულ პერიოდში ინგლისის სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთან თავისი თვისობრივი ხასიათითაც და რაოდენობრივი მაჩვენებლებითაც მკვეთრად განსხვავდებოდა საფრანგეთ-რუსეთის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობისაგან. ინგლისის ხვედრითი წონა რუსეთის იმპორტსა და ექსპორტში ბევრად აღემატებოდა სხვა ქვეყნების იმპორტისა და ექსპორტის ხვედრით წონას, მათ შორის საფრანგეთისაც. ასეთივე დიდი იყო ინგლისის ხვედრითი წონა სავაჭრო ხომალდებით რუსეთის ნედლეულის გაზიდვისა და რუსეთში სამრეწველო საქონლის შეზიდვის დარგშიც. ფრანგი ავტორის ზეჰერერის ცნობით XVIII საუკუნის მეორე ნახევარში პეტერბურგის ნავსადგურის სავაჭრო ბრუნვის 50% ინგლისზე მოდიოდა[1]; 1795 წელს კი — 45%[2]. ვორსტის ცნობებით 1794—1800 წლებში ინგლისიდან საქონლის შეზიდვა რუსეთში შეადგენდა რუსეთის საერთო შეზიდვის 29%-ს, ხოლო რუსეთიდან გაზიდვისა კი — 64%-ს[3].

XVIII საუკუნის დასასრულისათვის XVIII საუკუნის 50—60-იან წლებთან შედარებით ინგლისის წილი რუსეთთან ვაჭრობაში გადიდდა: რკინისა 75%-დან 80%-მდე, ქერელისა 40%-დან 58%-მდე, სელისა 12,5%-დან 60%-მდე. რუსეთის საგარეო ვაჭრობის ოპერაციები უმთავრესად ინგლისელი ვაჭრების მეშვეობით წარმოებდა[4]. ფრანგი ავტორის ზეჰერერის ცნობით პეტერბურგის ნავსადგურის სავაჭრო ბრუნვის ზრდის პარალელურად იზრდებოდა ინგლისის წილი ამ ბრუნვაში. თუ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისის წილი ამ ნავსადგურის ბრუნვაში უდრიდა 50%-ს, 1795 წლისათვის იგი 75%-მდე გადიდდა (პეტერბურგზე კი მოდიოდა რუსეთის საზღვაო ვაჭრობის 3/4)[5]. ინგლის-რუსეთის ვაჭრობის დიდ მოცულობაზე, ინგლისის დიდ როლზე რუსეთთან ვაჭრობაში მკაფიოდ მეტყველებს ის დიდი ხვედრითი

---

[1] U. Scherer, Histoire raisonnée du commerce de la Russie..., ტ. I, გვ. 169.

[2] И. Кулишер, Очерк истории русской торговли..., გვ. 190.

[3] Ворст, Рассуждения о некоторых предметах законодательства и управления, ცხრილი 20.

[4] „Очерки истории СССР, Россия во второй половине XVIII в.", под ред.: А. И. Барановича, Б. Б. Кафенгауза, П. К. Алефиренко, Ю. Р. Клокмана, Е. Н. Кушевой, М., 1956, გვ. 127.

[5] U. Scherer, დასახ. ნაშრ., გვ. 169.

წონა, რომელიც ინგლისს ჰქონდა რუსეთის საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში. ვორსტის ცნობებით 1794—1800 წლებში, როდესაც რუსეთსა და საფრანგეთს შორის ყოველგვარი საეკონომო ურთიერთობა შეწყვეტილი იყო, ინგლისიდან შეზიდვა რუსეთში გადიდდა 18%-დან 29%-მდე, გაზიდვა კი—50%-დან 64%-მდე [1].

საფრანგეთის დიდმა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ დაარღვია საფრანგეთ-რუსეთის ეკონომიურ ურთიერთობათა სისტემა, ხოლო 1793 წლიდან სავსებით ბოლო მოუღო მათ შორის მანამდე არსებულ საეკონომო-ეკონომიურ ურთიერთობას. ამ დროიდან მოკიდებული 1801 წლამდე ამ ორ ქვეყანას შორის არავითარი უშუალო საეკონომო-ეკონომიური ურთიერთობა არ არსებობდა. მაგრამ ამ ორი ქვეყნის ეკონომიურ კავშირ-ურთიერთობის დარღვევას არავითარი არსებითი ზიანი არ მიუყენებია რუსეთის გაბატონებული კლასების, კერძოდ რუსი მემამულეების ეკონომიური ინტერესებისათვის. ეს აიხსნება, პირველ ყოვლისა, იმით, რომ საფრანგეთის წილი რუსეთის საგარეო ვაჭრობაში, როგორც აღვნიშნეთ თავის დროზე, უმნიშვნელო იყო. რუსეთის საგარეო ვაჭრობიდან საფრანგეთის გამოძევებით ოსტატურად ისარგებლა ინგლისმა, რომელმაც გააფართოვა რუსეთში თავისი ოპერაციები და საფრანგეთისაგან „განთავისუფლებული“ ადგილი დაიკირა. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ფრანგულ საქონელზე, კერძოდ ღვინოებზე, თავიანთ მოთხოვნილებას· რუსეთის გაბატონებული კლასები ასე თუ ისე იკმაყოფილებდნენ ამ საქონელთა გერმანიის თუ სხვა ქვეყნების მეშვეობით (არაპირდაპირი გზით) შესყიდვით. 1797 წლის 16 იანვრის ბრძანებულებით პავლე I-ის მთავრობის მიერ დაშვებულ იქნა რუსეთში საფრანგეთის და ჰოლანდიის საქონლის შეზიდვა რუსეთში ნეიტრალური ქვეყნების გემებით, იმ საქონლის გამოკლებით, რომლის შეზიდვა აკრძალული იყო 1793 წლის ბრძანებულებით. ხოლო 1797 წლის 12 ოქტომბრის ბრძანებულებით, რომლითაც წესდებოდა ახალი საბაჟო ტარიფი, პავლე I-ის მთავრობამ მოხსნა აკრძალვა რუსეთში ფრანგული ღვინოების შეზიდვაზე, თუმცა გაადიდა მათზე საბაჟო ტარიფი [2].

XIX საუკუნის დასაწყისისათვის ინგლისს მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული რუსეთის საგარეო ვაჭრობაში. ინგლისი აწარმოებდა აგრეთვე რუსეთის საექსპორტო და საიმპორტო საქონ-

---

[1] Ворст, დასახ. ნაშრ., табл. 20; И. Кулишер, დასახ. ნაშრ., გვ 190.

[2] С. А. Покровский, Внешняя торговля и внешняя торговая политика России, М., 1947, გვ. 152.

ლის მნიშვნელოვანი ნაწილის ტრანსპორტირებას თავისი მრავალრიცხოვანი სავაჭრო ხომალდებით. „რუსეთი, თუნცა იგი არ იყო საზღვაო ქვეყანა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, — წერს მეხენი, — დიდი მასშტაბით აწარმოებდა სხვადასხვა საგნებს, რომელთა გადაზიდვა წარმოებდა უმთავრესად ინგლისელთა გემებით და უმთავრესად ინგლისშივე საღდებოდა“ [1]. მეხენის ეს შეხედულება კონკრეტული ფაქტებით დასტურდება. პავლე I-ის გამეფების დროისათვის რუსეთის გემები შეადგენდა იმ გემთა 7,2%-ს, რომელნიც რუსეთის საზღვაო ვაჭრობას ემსახურებოდნენ, ხოლო უცხოურ გემთა უდიდეს ნაწილს, კერძოდ ბალტიის ზღვის აუზში, ინგლისის სავაჭრო გემები წარმოადგენდნენ [2].

ინგლისი და რუსეთი თავიანთი სამეურნეო განვითარების ხასიათით ერთგვარად ავსებდნენ ერთმანეთს. ერთს უპირატესად კაპიტალისტური მრეწველობა ჰქონდა განვითარებული, მეორის წამყვან დარგს კი სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა. ამიტომ იყო, რომ მათ შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობა ორთავე მხარისათვის იყო ხელსაყრელი. ინგლისი რუსეთიდან იღებდა სოფლის მეურნეობის ნაწარმს — ნედლეულსა და სურსათ-სანოვაგეს, რუსეთი თავის მხრივ — სამრეწველო საქონელს, კოლონიურ ნაწარმს და ა. შ.

ინგლისთან ვაჭრობა თავისი ხასიათით მეტად ხელსაყრელი იყო რუსი მემამულეებისა და ვაჭრებისათვის. იგი მათ მატერიალური კეთილდღეობის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენდა [3].

აღნიშნული ვითარება არ შეცვლილა ალექსანდრე I-ის გამეფების პირველ წლებშიც. ტილზიტის ზავის პერიოდშიც ინგლისი წამყვან როლს ინარჩუნებდა რუსეთთან ვაჭრობაში.

საფრანგეთის წარმომადგენელი სავარი 1807 წელს პეტერბურგიდან აცნობებდა ნაპოლეონს: ყოველწლიურად ნევაში შესული ათას ორასი გემიდან ნახევარი ბრიტანეთის ალამს

---

[1] А. Мехэн, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 25.

[2] С. А. Покровский, დასახ. ნაშრ., გვ. 130.

[3] იმ გაგებით, რომ ყმა გლეხობის იძულებითი შრომა აძლევდა რუს ფეოდალ-მემამულეებს დიდი რაოდენობის ნედლეულსა და სურსათ-სანოვაგეს, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს ისინი მათთვის ხელსაყრელ ფასებში ყიდდენ სწორედ ინგლისში, იქიდან აღებული ფულის მნიშვნელოვანი ნაწილით კი ისინი ყიდულობდნენ მათთვის საჭირო მაღალხარისხოვან ინგლისურ სამრეწველო საქონლს, ფუფუნების საგნებს, კოლონიურ ნაწარმს და სხვ.

ატარებს, პეტერბურგის ყველა ვაჭრის კეთილდღეობა დამოკიდებულია ინგლისთან ვაჭრობაზე; ვაჭართა დიდი ნაწილი ან ინგლისელები ან ინგლისური წარმოშობისანი არიან. დანარჩენებისათვის — გერმანელებისა ან რუსებისათვის—კომერციულმა ინტერესებმა ინგლისი მეორე სამშობლოდ აქცია. თვით რუსი თავადაზნაურები დიდი ბრიტანეთის მოვალეები არიან. ისინი ხე-ტყეს და სხვა პროდუქტებს აწვდიან ინგლისელებს. ინგლისის ნაწარმი ყველგან ფართოდაა გავრცელებული რუსეთში. გაზაფხულზე ინგლისელებს დიდი რაოდენობით შემოაქვთ მაუდი, აეეჯი, ჭურჭელი, ქაღალდი, მელანი. ინგლისმა მჭიდროდ დაიკავშირა მთელი რუსეთი წვრილი, მაგრამ მრავალი ძაგარი ძაფით[1]. ინგლისი, როგორც კაპიტალისტურად განვითარებული ქვეყანა, ოომლის სოფლის მეურნეობა უმნიშვნელო მოცულობით აკმაყოფილებდა საკუთარი ქვეყნის მოთხოვნილებას ნედლეულზე და სურსათ-სანოვაგეზე, რუსეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დიდი მომხმარებელი იყო. რამდენადაც იზრდებოდა ინგლისის მოთხოვნილება ხორბლეულზე, მეცხოველეობის პროდუქტებზე, ხე-ტყეზე, ცვილზე, სელზე, ქერელზე, ტილოზე და სხვ., იმდენად იზრდებოდა მისი გაზიდვა რუსეთიდან. ეს კი, თავის მხრივ, სტიმულს აძლევდა რუს მემამულეებს განვითარებინათ აღნიშნული საგნების წარმოება, გაედიდებინათ ყმა გლეხთა ექსპლოატაცია. ინგლისთან ვაჭრობა ადიდებდა მათ შემოსავალს. რუსი ვაჭრებიც, რომელნიც, უცხოელ ვაჭრებთან ერთად, შუამავლის როლს ასრულებდნენ რუსეთ-ინგლისის საქონელთა ცვლის პროცესში, ინგლისთან არსებულ სავაჭრო-ეკონომიურ კავშირიდან დიდ სარგებლობას ღებულობდნენ და დაინტერესებულნი იყვნენ მის შემდგომ გაფართოებაში. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ინგლისს დიდი რაოდენობით გაჰქონდა რუსეთიდან რკინა, რომლის ექსპორტითაც არა ნაკლებ იყვნენ დაინტერესებული რუსი თავადაზნაურები, რომელთაც რკინის ბევრი გადამმუშავებელი ქარხნები ჰქონდათ, თანაც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამ ქარხნებში ძირითადად ყმის იძულებითი შრომა იყო გამოყენებული[2].

რამდენადაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ინგლისს რუსეთისათვის მისი სასოფლო-სამეურნეო ნაწარმისა და რკინის გაზიდ-

---

[1] М. Н. Покровский, Дипломатия и войны царской России в XIX столетии, Сб. статей, М., 1923, გვ. 3.

[2] 1793 წელს რუსეთიდან გატანილ იქნა ინგლისში 2.337 ათასი ფუთი რკინა. იხ. „Очерки истории СССР, Россия во второй половине XVIII века", გვ. 127.

ვის მხრივ, იმდენადვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მას რუსეთში, იმ საქონლის შემოზიდვის მხრივაც. რომლის ძირითადი მომხმარებელი იყო რუსი თავადაზნაურობა. ასეთი საგნები იყო: აბრეშუმი, მაუდი, ყავა, შაქარი, საფეიქრო ნაწარმი, ტროპიკული ხილი და სხვ.

ინგლისთან ვაჭრობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისათვის, კერძოდ რუსი თავადაზნაურობისა და რუსი ვაჭრებისათვის იმიტომაც, რომ იგი მათთვის მნიშვნელოვანი სარფის, ფულადი სახსრების დაგროვების მნიშვნელოვან წყაროსაც წარმოადგენდა. ეს კი იმის შედეგი იყო, რომ ინგლისთან ვაჭრობაში რუსეთს მაშინ აქტიური ბალანსი ჰქონდა. ინგლისს გაცილებით მეტი გაჰქონდა რუსეთიდან, ვიდრე შეჰქონდა რუსეთში და ამ განსხვავებას კეთილშობილი ლითონებით, კრედიტებით და ფასიანი ქაღალდებით ფარავდა. 1791—1795 წლებში რუსეთის ექსპორტი 9,5 მილიონი მანეთით აღემატებოდა იმპორტს[1] და ეს სხვაობა ძირითადად ინგლისთან ვაჭრობის შედეგს წარმოადგენდა.

რუსეთის სამეფო კარის ახალი საგარეო პოლიტიკური კურსი, კერძოდ ინგლისთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტა და მასთან ომზე გეზის აღება, რუსეთის ექსპლოატატორული კლასების თვალსაზრისით წარმოადგენდა რუსეთის მონარქიის ტრადიციული საგარეო პოლიტიკიდან გადახვევას, იგი მოასწავებდა რუსეთ-ინგლისის იმ მეტად მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიური კავშირის გაწყვეტას, რომელიც ასე ხელსაყრელი იყო რუსი მემამულეებისა და ვაჭრებისათვის. ამით ბოლო ეღებოდა მათი მატერიალური კეთილდღეობის ამ მეტად მნიშვნელოვან წყაროს. ინგლისთან ტრადიციული ეკონომიური კავშირ-ურთიერთობათა სისტემის დარღვევა დიდ ზიანს აყენებდა რუსეთის საგარეო ვაჭრობას, მაშასადამე, გაბატონებული ექსპლოატატორული კლასების ეკონომიურ ინტერესებს. ამის შედეგად რუსეთის მემამულური მიწათმოქმედების ნაწარმს ეკარგებოდა ინგლისის მზარდი ბაზარი, იქმნებოდა ამ ნაწარმთა გასაღების კრიზისის რეალური საფრთხე. ამავე დროს, ეს საშუალებას ართმევდა რუსეთის თავადაზნაურობას შეესყიდა მისთვის საჭირო მოხმარების მაღალხარისხოვანი საგნები, კოლონიური ნაწარმი და სხვ., რომელსაც აგრეთვე ინგლისი აწვდიდა მას თავისიანი სავაჭრო ხომალდების

---

[1] С. А. Покровский, დასახ. ნაშრ., გვ. 130.

მეშვეობით. ინგლისთან ვაჭრობის აკრძალვას დაემატა ისიც, რომ 1801 წლის 9 თებერვლის ბრძანებულებით პავლემ შესაბამისი აკრძალვა ვაავრცელა პრუსიასა და ბალტიის ზღვის ყველა ნავსადგურზე[1]. ძნელი იყო რუსი თავადაზნაურობისათვის ასეთ პერსპექტივასთან შერიგება.

ისმება კითხვა, შეეძლო თუ არა საფრანგეთს ინგლისის ადგილი დაეჭირა რუსეთის ბაზარზე, შეეძლო თუ არა მას დაეკმაყოფილებინა რუსეთის გაბატონებული კლასების მზარდი მოთხოვნილება მოხმარების საგნებსა და კოლონიურ ნაწარმზე, იმ შემთხვევაში თუ ამ ორი ქვეყნის დაახლოება მეიდრო კავშირის შეკვრით დამთავრდებოდა? ჩვენ ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ. პირველ ყოვლისა, როგორც უკვე აღვნიშნავდით, რუსეთ-საფრანგეთის ვაჭრობის მოცულობა რევოლუციამდე შედარებით უმნიშვნელო იყო და მას დიდი ტრადიცია არა ჰქონია. საფრანგეთი, იმ სერიოზული ძვრების მიუხედავად, რომლებიც რევოლუციის შედეგად მოხდა ამ ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში, ინგლისთან შედარებით კაპიტალისტური მრეწველობის მხრივ სუსტად იყო განვითარებული. იმ სამრეწველო საქონელს, რომელსაც ინგლისი აწვდიდა რუსეთს, საფრანგეთი ნაკლები რაოდენობით ამზადებდა, თანაც ხარისხით იგი ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩებოდა ინგლისურ ნაწარმს, ფასი კი მასზე უფრო მაღალი იყო. აღნიშნულის გამო, საფრანგეთთან სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის აღდგენის პერსპექტივა ინგლისთან შესატყვისი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებში, რუსეთის თავადაზნაურობასა და ვაჭართა ზედაფენას არ აკმაყოფილებდათ. იგი მათთვის უმნიშვნელო კომპენსაცია იყო ინგლისთან ტრადიციულად არსებული კავშირის დარღვევასთან შედარებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთი უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა იყო, რომელსაც მნიშვნელოვანი რაოდენობით ჰქონდა სხვადასხვა სახის ნედლეული და სურსათ-სანოვაგე. იგი ამ მხრივ ძირითადად აკმაყოფილებდა თავის შინაგან მოთხოვნილებას. ასეთი სახის ნაწარმოებთა იმპორტს (ხე-ტყისა და ზოგიერთი სხვა ნაწარმის გამოკლებით) საფრანგეთი არ საჭიროებდა. აღნიშნულის გამო, მას არ შეეძლო ინგლისის ადგილი დაეჭირა რუსეთის ვაჭრობაში. ასევე არ შეეძლო საფრანგეთს რუსი მემამულეების საექსპორტო ნაწარმის ძირითად ბაზრად გამხდარიყო და ამ მხრივ

[1] ამ ნავთსადგურებთან ვაჭრობა და ნაოსნობა სასტიკად ეკრძალებოდათ რუს ვაჭრებს და სხვა ექსპორტიორებს. იხ. С. А. Покровский, დასახ. ნაშრ., გვ. 154.

რუსეთის გაბატონებული კლასების მატერიალური ინტერესები დაეკმაყოფილებინა. დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთს, რომლის სავაჭრო ფლოტის ტონაჟი ინგლისთან შედარებით უშნიშვნელო იყო, არ შეეძლო სათანადო მომსახურება გაეწია რუსეთის იმპორტ-ექსპორტისათვის და აქაც ინგლისის ადგილი დაეჭირა.

ამგვარად რუსეთის ექსპლოატატორული კლასების ეკონომიური ინტერესები და მოთხოვნები ვერ შეურიგდა ინგლისთან არსებული სავაჭრო-ეკონომიური და საზღვაო-სამიმოსვლო კავშირის გაწყვეტას, ვერ შეურიგდა მასთან ომის შესაძლებლობის აზრს. საკუთარი კლასობრივი ინტერესები უკარნახებდათ რუს თავადაზნაურებს, მსხვილ ვაჭრებს და მხედრობის თავკაცობას კურსი აეღოთ ინგლისთან ურთიერთობის ნორმალიზაციისა და მასთან უკვე დარღვეული სავაჭრო-ეკონომიური კავშირის აღდგენაზე.

ხაზგასმული ეკონომიური მოტივის დიდ როლს იმ დაპირისპირებაში, რომელიც 1800—1801 წლების მიჯნაზე მოხდა რუსეთის ფეოდალურ არისტოკრატიასა და პავლეს შორის, კარგად ხედავდნენ რუსეთის მაშინდელი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები, რომ არაფერი ვთქვათ შემდეგდროინდელ თავკაცებსა და ისტორიკოსებზე. თავიანთ მემუარებში, თუ სხვა ხასიათის მასალებში, რომლებშიც მოცემულია ცნობები პავლე I-ის მეფობის, კერძოდ 1801 წლის 11/23 მარტის აქტის შესახებ, ისინი მიუთითებდნენ საგარეო ხასიათის ფაქტორებზე, კერძოდ ინგლის-რუსეთის ეკონომიური კავშირის გათიშვაზე, როგორც პავლე I-ის მკვლელობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე.

ინგლისთან კავშირის გაწყვეტამ და ამით გამოწვეულმა რუსეთის საგარეო ვაჭრობის დაცემამ, ნავსადგურების ბლოკირებამ, ნედლეულისა და სურსათ-სანოვაგის გაზიდვის შემცირებამ, ინგლისური სამრეწველო საქონლის იმპორტის შეწყვეტამ, — წერს თავის მემუარებში ადამ ჩარტორიისკი, — დიდი როლი შეასრულა პავლე I-ის წინააღმდეგ რუსეთის არისტოკრატიის ამხედრების საქმეში [1].

---

[1] ამასთან დაკავშირებით ა. ჩარტორიისკის მოაქვს ცნობები იმ თათბირის შესახებ, რომელსაც ესწრებოდნენ პავლე I-ის მკვლელობის ორგანიზატორები. თათბირის ერთ-ერთმა მონაწილემ შეთქმულმა პ. ხუბოვმა თათბირის მონაწილეებს გააცნო რუსეთის სავალალო მდგომარეობა საერთოდ, კერძოდ იმის შედეგად, რომ უახროდ გაითიშა კავშირი ინგლისთან. ამ ეკონომიური კავშირის

ამ ფაქტორს კიდევ უფრო მკაფიოდ და საფუძვლიანად ხაზს უსვამს დეკაბრისტი მ. ა. ფონვიზინი, რომელიც ხსენებული საკითხის თაობაზე წერს შემდეგს: ინგლისთან კავშირის გაწყვეტამ სერიოზული ზიანი მიაყენა ჩვენს საზღვარგარეთულ ვაჭრობას. ინგლისი გვამარაგებდა ჩვენ მანუფაქტურული და კოლონიური ნაწარმით და, თავის მხრივ, ჩვენგან მიჰქონდა ჩვენი ნედლეული. ამ ვაჭრობის მეშვეობით ვღებულობდით ჩვენთვის საჭირო ყველა საქონელს. თავადაზნაურობა ამ გზით იღებდა შემოსავალს თავიანთი მამულებიდან, აგზავნიდა რა საზღვარგარეთ ხორბალს, გემსაშენ ხე-ტყეს, ანძებს, ქონს, ქერელს, სელს და სხვ. ინგლისთან კავშირის გაწყვეტამ დაარღვია რუსეთის თავადაზნაურობის კეთილდღეობა, რითაც მკვეთრად გააძლიერა პავლე I-ის მიმართ მისი სასტიკი დესპოტიზმით მათ რიგებში ისედაც ფეხმოკიდებული სიძულვილი[1].

ცნობილ რუს ისტორიკოს ს. სოლოვიოვს, ჩვენი აზრით, უმთავრესად სწორედ საგარეო ეკონომიური მოტივი აქვს ნაგულისხმევი, როცა იგი, ეხება რა პავლე I-ის საგარეო პოლიტიკური კურსის მარცხს და ამ მარცხის მიზეზებს, წერს, რომ რუსეთის ნაციონალური ინტერესები შეუძლებელს ხდიდა საფრანგეთთან

გათიშვამ, ხუბოვის აზრით, არსებითი ზიანი მიაყენა რუს ხალხს (რაშიაც ის ცხადია, თავადაზნაურობას გულისხმობდა—ვ. დ.), ბალტიის ნავსადგურებს და თვით პეტერბურგს. იხ. Мемуары Адама Чарторийского..., М., 1912—1913, ტ. I, გვ. 216.

[1] „Павел, сперва враг Французской революции, готовый на все пожертвования для его подавления... вдруг совершенно изменяет свою политическую систему и не только не мирится с первым консулом французской республики, умевшим ловко польстить ему, но становится восторженным почитателем Наполеона Бонапарта и угрожает войною Англии. Разрыв с нею нанесил неизъяснимый вред нашей заграничной торговле. Англия снабжала нас произведениями мануфактурными и колониальными за сырые произведения нашей почвы Эта торговля открывала единственные пути, которыми в Россию притекало все для нас необходимое. Дворянство было обеспечено в верном получении доходов с своих поместий, отпуская за море хлеб, корабельные леса, мачты, сало, пеньку, лен и др. Разрыв с Англией, нарушая материальное благосостояние дворянства, усиливал в нем ненависть к Павлу, и без того возбужденную его жестоким деспотизмом. Мысль извести Павла каким бы то ни было способом, сделалась почти общею". იხ. М. А. Фонвизин, Общественные движения в России в первой половине XIX в., под ред. В. И. Семевского, т. 1, Декабристы. СПБ., 1905, გვ. 134.

და პრუსიასთან დაახლოებას და მოითხოვდა დაახლოებას ინგლისთან და ავსტრიასთან [1].

ის, რასაც სოლოვიოვი რუსეთის ნაციონალურ ინტერესებს უწოდებს, სინამდვილეში რუსი ფეოდალური მემამულეების (და რამდენადმე ვაჭართა ზედაფენის) კლასობრივი ინტერესები და მოთხოვნები იყო. სწორედ მათი ეკონომიური ინტერესები აყენებდა ასე მწვავედ ახალი მობრუნების საჭიროებას რუსეთის საგარეო პოლიტიკაში, სწორედ ისინი იყვნენ საერთო ნაციონალურ ნიღაბში რომ ხევდნენ მათ ვიწრო კლასობრივ მოთხოვნებს და შეუძლებელს ხდიდნენ საფრანგეთთან დაახლოებას.

ამერიკელი კაპიტანი მეხენი, რომელიც, როგორც ჩვენი შრომის შესავალ ნაწილში აღვნიშნავდით, საფრანგეთის რევოლუციის, დირექტორიის, კონსულობისა და ნაპოლეონის მეფობის პერიოდის საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთობის კომპლექსის გაშუქების დროს ინგლისის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის აპოლოგიას ეწევა, რუსეთ-ინგლისის კავშირის დარღვევისათვის 1800—1801 წლების მიჯნაზე რუსეთის იმპერატორ პავლე I-ს დებს ბრალს. ისიც, თავის მხრივ, მიუთითებს ეკონომიურ ფაქტორზე, რომელიც, მისი აზრით, შეუძლებელს ხდიდა ინგლისთან აღებული მტრული კურსის წარმატებას; „რუსეთის, კერძოდ მისი გავლენიანი თავადაზნაურობის მატერიალური ინტერესები,— წერს იგი, — მოითხოვდნენ მშვიდობის შენარჩუნებას დიდ ბრიტანეთთან, მაგრამ თვითმპყრობელ მონარქს, ყოველ შემთხვევაში დროებით, შეეძლო ანგარიში არ გაეწია ამ ფაქტორისათვის“ [2].

მ. ნ. პოკროვსკის აზრითაც, რომელიც რუსეთის ისტორიულ განვითარებაში უდიდეს როლს სავაჭრო კაპიტალს აკუთვნებდა, ინგლისთან არსებული სავაჭრო ურთიერთობის გაწყვეტა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, იგი ხშირად ამხედრებდა რუსეთის ფეოდალურ არისტოკრატიას სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ, როგორც პავლე I-ის მეფობის დროს, ისე თვით ალექსანდრე I-ის მეფობის წლებშიც (ტილზიტის ზავის დადების მომენტიდან). რუსეთის საზოგადოების მმართველი კლასები, — წერს ეს ისტორიკოსი, — საბოლოოდ აამხედრა პავლე I-ის წინააღმდეგ მისმა საგარეო პოლიტიკამ (ხაზი ავტორისაა,—ვ. დ.). აქაც,

---

[1] С. Соловьов, Император Александр Первый, СПБ., 1877, გვ. 23.
[2] А. Мэхэн. დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 25.

მისი თქმით, რუსეთის იმპერატორი აწარმოებდა „...политику вредную для интересов дворянства и торгового капитала“ [1].

ეხება რა ტილზიტის ზავის შედეგებს, მ. ნ. პოკროვსკი წერს, რომ რუსეთი უეცრად დარჩა ინგლისური საფაბრიკო ნაწარმის გარეშე, რამაც გამოიწვია თავადაზნაურობის ჩუმი უკმაყოფილება. ისინი ალექსანდრე პირველს თავისი მამის ხელდრით აშინებდნენ, ეს უკანასკნელი (ე. ი. პავლე I) აგრეთვე თავადაზნაურობის მიერ იქნა მოკლული ნაწილობრივ ინგლისთან გათიშვისათვისო [2]. მოტანილი შეხედულებაც იმაზე მიგვითითებს, რომ მ. პოკროვსკი 1801 წლის 11/23 მარტის მომზადებასა და განხორციელებაში დიდ როლს ანიჭებდა ინგლის-რუსეთის ურთიერთობის აწმყოსა და მომავალს, რუსეთის გაბატონებული კლასების დიდ დაინტერესებას ამ ქვეყანასთან არსებული საგაჭრო-ეკონომიური კავშირის შენარჩუნებასა და განმტკიცებაში. ისიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინგლისთან კავშირის გაწყვეტამ შელახა რუსი მემამულეებისა და ვაჭრების ეკონომიური ინტერესები, საფრთხე შეუქმნა მათი შემოსავლის გადიდების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს და მით აამხედრა ისინი იმპერატორის საგარეო პოლიტიკური კურსის წინააღმდეგ [3].

მაგრამ მ. ნ. პოკროვსკი აქ არ სვამს წერტილს. იგი ამ დასკვნიდან აკეთებს დამატებით დასკვნას, რომელიც ისტორიულ სინამდვილეს ეწინააღმდეგება. იგი ძალზე გაზვიადებულად აფასებს ინგლისთან რუსეთის ურთიერთობის ხასიათის როლს რუსეთის ბედ-იღბალზე. თუ მას დავუჯერებთ გამოდის, რომ რუსეთის თავადაზნაურულ მონარქიას არ შეეძლო ეარსება ინგლისთან მტკიცე და მუდმივი კავშირის გარეშე, რომ ინგლისთან კავშირზე იყო დამოკიდებული რუსეთის კაპიტალიზმის მომავალი. მ. პოკროვსკის შეხედულებით რუსეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი ღერძი თავისთავად განსაზღვრული იყო. ეს იყო ინგლისთან მტკიცე და მუდმივი კავშირი [4]. ინგლისთან მჭიდრო ეკონომიური კავშირურთიერთობიდან უმცირესი გადახრაც კი, პოკროვსკის აზრით, უდიდეს საფრთხეს უქმნიდა ახალი ეკონომიური წყობის ზრდა-

---

[1] М. Н. Покровский, Русская история в самом сжатом очерке, М. 1934, გვ. 88.

[2] იქვე, გვ. 76.

[3] იქვე.

[4] М. Н. Покровский, Дипломатия и войны царской России в XIX столетии, გვ. 4.

განვითარებას რუსეთში. ამ პრინციპიდან, ინგლისთან მჭიდრო და მუდმივი კავშირის პრინციპიდან, ყოველგვარ გადახვევას იგი უწოდებს დიპლომატიურ შეცდომას, რომლის ჩამდენთა მიმართაც რუსეთის გაბატონებული კლასები მუდამ იმუქრებოდნენ 1801 წლის 11/23 მარტის აქტის განმეორებით[1].

მ. ნ. პოკროვსკის მოტანილი შესედულება როგორც ისტორიული სინამდვილის შეუსაბამოა, ისევე მეთოდოლოგიურადაც მცდარია. განა რუსეთის ეკონომიური განვითარება ძირითადად გარეგან ფაქტორებზე იყო დამყარებული? განა ინგლისთან ეკონომიური კავშირი განაპირობებდა ასალი ეკონომიურ ფორმების განვითარებას და არა თვით რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ძვრები? რუსეთში ახალი ეკონომიური ფორმების ჩასახვა-განვითარება ობიექტური კანონების შესატყვისად ვითარდებოდა და არა გარეგან „ექსპორტის“ ან ერთ რომელიმე ქვეყანასთან მჭიდრო კავშირის მეოხებით. ინგლისთან სავაჭრო-ეკონომიური კავშირ-ურთიერთობა, რა დიდი მნიშვნელობისაც არ უნდა ყოფილიყო იგი რუსეთისათვის, მაინც მისი ეკონომიური განვითარების განმაპირობებელი ფაქტორი ვერ გახდებოდა.

როგორც სამართლიანად აღნიშნავს ს. ა. პოკროვსკი, პავლე I-ის ცდა—ეკონომიკა მსხვერპლად შეეწირა საგარეო პოლიტიკური მოსაზრებებისათვის და მით უხეშად დაერღვია თავადაზნაურობის ეკონომიური ინტერესები—წააწყდა ამ ფეოდალური კლასის წინააღმდეგობას; ეს გარემოება გახდა 1801 წლის 11 მარტს მოწყობილ სასახლის გადატრიალების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. 1801 წლის 11 მარტის აქტმა ცხადყო, რომ რუსი თავადაზნაურობისათვის სულ ერთი როდი იყო თუ რა პოლიტიკას გაატარებდა ცარიზმი საგარეო ვაჭრობის დარგში. იგი მხარს უჭერდა თავისუფალი ვაჭრობის პრინციპს, რადგან ასეთი ვაჭრობის პირობებში იგი ხელსაყრელ ფასებში ჰყიდდა ყმის შრომით შექმნილ სასოფლო-სამეურნეო ნაწარმს და საზღვარგარეთიდან შემოჰქონდა მისთვის საჭირო მოხმარების საგნები[2].

---

[1] "...малейшее уклонение в сторону, — წერს მ. პოკროვსკი, — усиливало родовые муки нового экономического строя, ставило под вопрос хозяйственную обеспеченность завтрашнего дня и, вызывая негодование всех, кто владел и правил, грозило самой непосредственной опасностью виновникам совершенной дипломатической ошибки. 11 марта 1801 года висело в воздухе все время недолгого союза Александра I с Наполеоном". М. Н. Покровский, დასახ. ნაშრ., გვ. 4.

[2] С. А. Покровский, დასახ. ნაშრ., გვ. 154—156.

ამგვარად, 1800—1801 წლების მიჯნაზე რუსეთის ცარიზმის ახალი საგარეო პოლიტიკური კურსი, რომელიც წარმოადგენდა შემობრუნებას ევროპის მთავარ სახელმწიფოების მიმართ რუსეთის მანამდე არსებულ ურთიერთობაში, შემობრუნებას ევროპის სახელმწიფოებთან რუსეთის არსებულ სავაჭრო-ეკონომიურ კავშირ-ურთიერთობის სისტემაში, შეეჯახა რუსეთის ფეოდალური არისტოკრატიისა და სხვა ექსპლოატატორული ჯგუფების მატერიალურ ინტერესებს. ამას ზედ დაერთო ფეოდალური არისტოკრატიისა და სამხედრო კამარილიის ზედაფენის — სასახლის დაჯგუფების—აღშფოთება პავლე I-ის რეჟიმის აუტანელი დესპოტური ხასიათისა და მისი საშინაო მმართველობის „ახირებულობის“ გამო. ამ საგარეო და საშინაო ხასიათის ფაქტორების შერწყმის ნიადაგზე აღმოცენდა ღრმა კონფლიქტი თვითმპყრობელ მონარქსა და რუსეთის იმპერიის გაბატონებული კლასების გარკვეულ ფენებს შორის. ამ კონფლიქტის შედეგს კი წარმოადგენდა სასახლის შეთქმულება და პავლეს თავიდან მოცილება 1801 წლის 11/23 მარტს.

ინგლისის წინააღმდეგობა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორთაგანი იყო, რომელმაც ხელი შეუშალა რუსეთ-საფრანგეთის კავშირის შეკვრას და მის ბაზაზე ევროპული მშვიდობის აღდგენას 1801 წლის დასაწყისში. ინგლისის მთავრობამ და მისმა აგენტებმა, კერძოდ ინგლისის ელჩმა პეტერბურგში უიტვორტმა უშუალო მონაწილეობა მიიღეს პავლე I-ის საწინააღმდეგო შეთქმულების ორგანიზაციაში, და, მაშასადამე, მის თავიდან მოცილებაში [1].

ინგლისის გამოსვლა რუსეთის საგარეო პოლიტიკის აღნიშნული მობრუნების წინააღმდეგ, მისი გაბოროტება რუსეთ-საფრანგეთის მოსალოდნელი დაკავშირების პერსპექტივის გამო და მათი დაახლოების მიღწეული შედეგებით, ინგლისელთა მონაწილეობა 1801 წლის 11/23 მარტის აქტის შემზადებაში საესებით კანონზომიერი მოვლენა იყო. ამაში მოულოდნელი და გასაკვირი არაფერი იყო. 1800—1801 წლების მიჯნაზე რუსეთის საგარეო პოლიტიკაში შემზადებული ახალი პროცესები ხომ უშუალოდ

---

[1] თუმცა პავლეს მმართველობის ზოგიერთი თანამედროვე უარყოფს ინგლისის, პირადად უიტვორტის აქტიურ როლს 1801 წლის 11/23 მარტის შეთქმულების ორგანიზაციაში. ასეთ აზრს ანვითარებს, მაგალითად, ფონვიზინი. იხ. „Записки Фонвизина, очевидца смутных времен царст. Павла I, Александра I и Николая I, Лейпциг, 1859, გვ. 65 და შემდეგი.

ინგლისის წინააღმდეგ იყო მიმართული. ინგლისის მთავრობა, რომელიც ასე მოქნილად და გონივრულად ატარებდა თავისი ქვეყნის გაბატონებული კლასების ინტერესების შესაბამის პოლიტიკას და რომელსაც მოწინააღმდეგე ძალებთან ანგარიშის გასწორების დიდი გამოცდილება ჰქონდა, გულხელდაკრეფილი არ დარჩებოდა და პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამდა თავისი შელახული ინტერესების დასაცავად.

1800—1801 წლების მიჯნაზე ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში შექმნილმა ახალმა ვითარებამ და შემობრუნებამ რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში სერიოზული ზიანი მიაყენა ინგლისის გაბატონებული კლასების სავაჭრო-ეკონომიურ ინტერესებს, ინგლისის ზღვაოსნობას. ამ ახალმა ვითარებამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა ინგლისის პოზიციებს ახლო აღმოსავლეთში და ჩაშლის წინაშე დააყენა იმ გეგმების რეალიზაცია, რომლებიც დასახული ჰქონდა მას საფრანგეთთან ომის პროცესში.

ის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა, რომელიც რუსეთსა და ინგლისს შორის არსებობდა მათ შორის კავშირის გათიშვამდე, არა მარტო რუსეთის გაბატონებული კლასებისათვის იყო ხელსაყრელი, არამედ გაცილებით უფრო შეტად ინგლისის სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის, საზღვაო წრეებისა და ლენდლორდული წრეებისათვის. რუსეთის საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვანი ნაწილის თავისი ფლოტით „მომსახურება" დიდძალ ფრახტს აძლევდა ინგლისის სათანადო წრეებს. როგორც არაერთხელ იყო აღნიშნული, რუსეთის პური, ხე-ტყე, რკინა და სხვა ნედლეული დიდი რაოდენობით იყიდებოდა ინგლისის ბაზარზე და ამ ქვეყნის გაბატონებული კლასების კეთილდღეობის მნიშვნელოვანი წყარო იყო. ამიტომ ბუნებრივია, რომ ინგლისის გაბატონებული კლასები ვერ შეურიგდებოდნენ რუსეთთან ეკონომიური კავშირის გაწყვეტას და შეეცდებოდნენ აღედგინათ მანამდე არსებული მდგომარეობა.

რუსეთ საფრანგეთის მოლაპარაკება პარიზში[1], ინდოეთზე ერთობლივი ლაშქრობის გეგმის შემუშავება და პავლე I-ის მიერ წამოწყებული ლაშქრობა ინდოეთში იწვევს ინგლისის მთავრობის სერიოზულ შეშფოთებას. ყოველივე ეს მოასწავებდა ინგლი-

---

[1] ლონდონში და ვენაში ფიქრობდნენ, რომ პარიზში იმუშავებდნენ თურქეთის დაყოფის, ინგლისის აღმოსავლეთიდან გამოძევების და ავსტრიის იმპერატორისათვის შემდგომი ზიანის მიყენების გეგმებს. იხ. T. Ch. Roux., დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 94.

სის საზღვაო და კოლონიურ მონოპოლიაზე, მის სამხედრო-სტრატეგიულ ბაზებზე და პოზიციებზე ხელყოფას. რუსეთ-საფრანგეთის მოსალოდნელი ანტიინგლისური კავშირის ჩაშლა, რუსეთის საგარეო პოლიტიკის ორიენტაციის შეცვლა ინგლისის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის ყურადღების ცენტრში იქნა დაყენებული იმ მომენტში[1].

ინგლისმა თავისი ინტერესების დასაცავად და მისთვის მეტად არასასურველი პერსპექტივის ჩასაშლელად განახორციელა ღონისძიებათა მთელი წყება. ეს ღონისძიებები იყო: ბალტიის ზღვაში ძლიერი სამხედრო ფლოტის გაგზავნა და, საერთოდ, რუსეთთან ომისათვის მზადება, დიპლომატიური ინტრიგები და რუსეთის ანგლოფილურ ჯგუფებთან კავშირის შეკვრა პავლე I-ის თავიდან მოცილების მიზნით.

ინგლისის მონაწილეობა პავლე I-ის მკვლელობაში, კერძოდ ინგლისის პეტერბურგელი ელჩის უიტვორტის აქტიური როლი ამ საქმეში არავითარ ეჭვებს არ იწვევს. ამის შესახებ წერდნენ თანამედროვენი რუსეთიდან, ამას ხაზს უსვამდა ნაპოლეონი თავის მემუარებში, ამის შესახებ არის მკაფიო მითითებები თვით შემდეგდროინდელ ცნობებშიც.

ინგლისის ელჩი უიტვორტი, გაბოროტებული პავლე I-ის მიერ მის მიმართ მიღებული დისკრიმინაციული ზომებით და ინგლისის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებებით, საპასუხო ზომებს მიმართავს, უკავშირდება პეტერბურგის სასახლის ანგლოფილურ ელემენტებს, ფულით ამარაგებს მათ და აქეზებს აშკარა შეთქმულებისაკენ. შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ უიტვორტი 1800 წლის დასაწყისში თავის საცოლე ლედი არაბელასადმი გაგზავნილ წერილში, სიმპათიკური მელნით მინაწერში, რუსეთის იმპერატორს არანორმალურს უწოდებს. „The fact is, and

---

[1] ფრანგი ისტორიკოსი ბინონი (Bignon) ძირითადში სწორ შეფასებას აძლევს იმ მიზეზებს, რომლებმაც რუსეთის ფეოდალური არისტოკრატია და მისი ზედაფენა — სასახლის არისტოკრატია — აამხედრა პავლე I-ის წინააღმდეგ და აიძულა იგი სასახლის გადატრიალება მოეწყო. ასეთ მიზეზებად იგი ასახელებს საგარეო და საშინაო ხასიათის მიზეზებს. საგარეო ხასიათის მიზეზებში ავტორი, პირველ რიგში, წინა პლანზე აყენებს ინგლის-რუსეთის ვაჭრობისა და ნაოსნობის მკვეთრ შემცირებას რუსეთის მთავრობის მიერ გატარებული რეპრესიული ზომების შედეგად. ეხება რა საშინაო ხასიათის მიზეზებს, ბინონი ხაზს უსვამს რუსეთსა და დასავლეთ ევროპას შორის, მისი აზრით, არსებულ განსხვავებას. M. Bignon, დასახ. ნაშრ., გვ. 115.

I speak it with regret, that the emperor is literally not in his senses", — წერს იგი[1].

ეს იყო გაბოროტებული ინგლისელი დიპლომატის გესლის ამონთხევა იმ იმპერატორის მიმართ, რომელსაც იგი უშუალოდ ბრალს დებდა ანტიინგლისური კურსის აღებასა და ნაპოლეონ ბონაპარტთან დაახლოებაში. ჩვენს მიერ არაერთხელ ყოფილა ხაზგასმული პავლე I-ის დესპოტური ბუნება, ჭირვეულობა, თავშეუკავებლობა, აღგზნებადობა, ხასიათის ცვალებადობა, მაგრამ არანორმალური, ჭკუიდან შერყეული ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით იგი არასოდეს არ ყოფილა[2].

ინგლისელთა უშუალო მონაწილეობას პავლე I-ის მკვლელობის ორგანიზაციაში, კერძოდ უიტვორტის აქტიურ როლს ამ საქმეში სარწმუნოდ მიიჩნევს იმ მემუარების ავტორების უმრავლესობა, რომლებიც თავიანთ მოგონებებში საკმარ სისრულით აგვიწერენ პავლე I-ის მეფობის პერიოდის ამბებს. ამ ფაქტზე მიუთითებენ ჩარტორიისკი, ლობანოვი, ფანჩულიძე, გეიკინგი და სხვები.

ა. ჩარტორიისკი პ. ზუბოვს, ნ. პანინს, პ. პალენსა და პავლე I-ის მკვლელობის სხვა ორგანიზატორებს ინგლისელთაგან მისყიდულებად თვლის[3].

გენ. ფანჩულიძეს თავის კავალერგარდების ისტორიაში მოტანილი აქვს თავად ლობანოვის ჩანაწერი პავლე I-ის მკვლელობის შესახებ, რომელიც თავის მხრივ თავად ლოპუხინის უშუალო ცნობებს ემყარება. ლოპუხინი ღრმად არის დარწმუნებული ინგლისელთა უშუალო მონაწილეობაში პავლე I-ის მკვლელობის საქ-

---

[1] К. Валишевский, დასახ ნაშრ., გვ. 439.

[2] პავლე I-ის არანორმალურობის საბუთად არ გამოდგება არც ნაპოლეონ ბონაპარტის პასუხი თავის პირად ექიმ ო. მეარასადმი. წმ. ელენეს კუნძულზე თავისი გადასახლების ღამს, 1817 წლის 14 თებერვალს, ხსენებულ ექიმთან საუბრის დროს, ექიმის ერთ შეკითხვაზე ნაპოლეონმა შემდეგი განაცხადა პავლეს შესახებ: „...sur les derniers temps... je pense qu' il avait perdu une partie de sa raison... mais j'ai fini par changer son opinion et la faire revenue à des sentiments plus raisonnables". იხ. O. Meara, Mémoires Sainte de Hélène de Napoléon dans l'exil... t. I. Paris, 1832, გვ. 364. ამ პასუხით ნაპოლეონს სურდა ხაზი გაესვა თვით იმ საგარეო პოლიტიკური კურსის უაზრობისა და არანორმალურობისათვის, რომელსაც პავლე I 1800 წლამდე ატარებდა და ეთქვა, რომ მისმა დიდმა ხემოქმედებამ ამ იმპერატორზე შემოაბრუნა იგი და ნორმალურ გზაზე დააყენა.

[3] Мемуары князя А. Чарторийского, ტ. I, გვ. 216.

მეში. კერძოდ ის აღნიშნავს უიტვორტის კავშირს შეთქმულებთან ზუბოვის დის ოლგა ჟერებცოვას (რომელსაც უიტვორტის საყვარელსაც კი უწოდებენ) მეშვეობით. ინგლისის მთავრობას შეთქმულების საქმისათვის ორ მილიონ მანეთამდე ფული გაუღია, რომელიც პავლე I-ის მოკვლის შემდეგ ზუბოვის დას ინგლისში ჩასვლის დროს აუღია და თვით მიუთვისებია [1].

იმავე ფანჩულიძეს მოტანილი აქვს ამონაწერი ვიღაც A. H. B-ს ჩანაწერებიდან, რომელიც თავის მხრივ ნათელყოფს, რომ თანამედროვეებს კარგად ესმოდათ პავლეს მკვლელობის საშინაო და საგარეო მოტივები, ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ინგლისის მთავრობა აქტიურად მონაწილეობდა ამ მკვლელობის ორგანიზაციაში.

პავლემ ძლიერ გააჯავრა ინგლისი, — ეკითხულობთ ამ ამონაწერში, — „Она-то (ე. ი. ინგლისმა—ვ. დ.) ему и нанесла последний смертельный удар. Послом этой державы при дворе петербургском был Витворт. Не знаю, из Англии ли сообщена ему мысль об убийстве императора Павла, или она родилась в петербургском приятельском обществе и подкреплена из Лондона денежными пособиями, но знаю, что первый заговор о том сделан между им и Ольгой Александровной Жеребцовой, сестрой Зубовых, с которой он имел любовную связь“ [2].

რომ უიტვორტი 1801 წლის 11/23 მარტის აქტის ერთ-ერთი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო და უდიდესი აღტაცებით შეეგება მას, ამაზე კარგად მეტყველებს მისი პირადი ხასიათის წერილი ს. რ. ვორონცოვისადმი (დაწერილი 1801 წლის აპრილში). ამ წერილში იგი ულოცავს რუსეთის ელჩს პავლეს თავიდან მოცილებას, განგებისაგან მოვლენილ ბედნიერ შემთხვევას უწოდებს ამ ამბავს და ზეცას მადლობას უძღვნის ამისათვის [3].

---

[1] С. Панчулидзов, История кавалергардов 1794—1799, СПБ., 1901, ტ. 2, გვ. 263.

[2] იქვე. გვ. 260.

[3] „გთხოვთ მიიღოთ ჩემი ყველაზე გულწრფელი მისალმება, — წერს იგი ამ წერილში. — როგორ გამოვხატო ყველაფერი ის, რასაც მე ვგრძნობ ამ ბედნიერი შემთხვევის გამო, რომელიც განგებამ (coup de la Providence) ზეგარდმოგვივლინა ჩვენ! რაც უფრო მეტად ვფიქრობ მე ამის შესახებ, მით უფრო მადლობას ვუძღვნი ზეცას... ჩვენ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ იმ ბედნიერი დროის დაბრუნებაზე, როცა რუსეთი და ინგლისი ერთად იყვნენ“. Архив князя Воронцова, ტ. 29, გვ. 394.

ის რეაგირება, რომლითაც პარიზში და ლონდონში შეხვდნენ ცნობას პაველ I-ის მოკვლის შესახებ, — პარიზში მწუხარების გრძნობით, ლონდონში კი დაუფარავი სიხარულით და აღტაცებით,—ერთხელ კიდევ ცხადყოფს ინგლისის დიპლომატიისა და ინგლისის აგენტების როლს 1801 წლის 11/23 მარტის აქტის განხორციელებაში. ფრანგი ისტორიკოსები მ. ბინონი, პ. ლანფრე, ე. ბურჟუა და სხვები კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით ხაზს უსვამენ აღნიშნულს. ცნობას პაველს სიკვდილის შესახებ, — წერს ბინონი, — ლონდონში შეხვდნენ უდიდესი საზეიმო შეძახილებით და აღტაცებით[1]. როდესაც ტალეირანმა ნაპოლეონს პაველ I-ის სიკვდილი აცნობა, ამ უკანასკნელმა წამოიძახა: „ინგლისელებს მარცხი მოუვიდათ და ამაცდინეს 3 ნივოზს პარიზში (იგულისხმება ნაპოლეონის მოკვლის ერთ-ერთი წარუმატებელი ცდა, ვ. დ.). მაგრამ იმათ მიაღწიეს თავიანთ საწადელს პეტერბურგში“[2]. საგულისხმოა ისიც, რომ პაველ I-ის სიკვდილის ამბის მიღებისთანავე ფრანგულმა გაზეთმა „Moniteur“-მა ნაპოლეონის მითითებით ასეთი ცნობა მოათავსა: „პაველ გარდაიცვალა 24/25 ღამეს; ინგლისელთა ესკადრა გავიდა ზუნდში 31-ს. ისტორია პასუხს გაგვცემს კითხვაზე, თუ რა კავშირი არსებობს ამ ორ მოვლენას შორის[3]. წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებაში მყოფი ნაპოლეონი ისევ დაუბრუნდა ამ საკითხს და ო'მეარასთან საუბარში კვლავ აღნიშნა: პაველ I-ის მკვლელობა ინგლისელების მიერ (კერძოდ უიტვორტის მიერ) იყო მოწყობილი[4].

ამგვარად, ისტორიული ფაქტები საკმაო საბუთებს იძლევა იმისათვის, რომ საგარეო პოლიტიკის საკითხებს მეტად დიდმნიშვნელოვანი როლი მივაკუთვნოთ 1801 წლის 11 მარტის

---

[1] M. Bignon, დასახ. ნაშრ., გვ. 114.

[2] P. Lanfrey, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 307.

[3] E. Bourgeois, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 219.

[4] ნაპოლეონ ბონაპარტმა წმინდა ელენეს კუნძულზე ო, მეარასთან საუბრის დროს პირდაპირ მიუთითა პაველს მკვლელობის ორგანიზატორებზე და დაასახელა ისინი პერსონალურად. ამ მკვლელობის მთავარ ორგანიზატორებად მას მიაჩნდა ინგლისის ელჩი პეტერბურგში კავალერი უიტვორტი და პეტერბურგის სასახლის თავკაცები პალენი, ბენიგსენი, ორლოვი, ზუბოვი „...et autres personnes et acteurs de cet horrille parricide“. ინგლისის აქტიურ მონაწილეობას პაველს მკვლელობის ორგანიზაციაში ნაპოლეონი ხსნის ინგლისელთა დიდ გაბოროტებით რუსეთ-ინგლისის ურთიერთობაში 1800 წლიდან მომხდარი მკვეთრი მობრუნებით. იხ. O. Meara.., დასახ. მემუარები, ტ. 2, 1842, გვ. 51—52.

სასახლის გადატრიალების ორგანიზაციის საქმეში. ამაზე მიგვითითებს ინგლისის და მისი ელჩის უიტვორტის აქტიური როლი შეთქმულების ორგანიზაციის საქმეში, ნ.პ. პანინისა და პ. ა. პალენის ხელმძღვანელი როლი შეთქმულთა შორის, შეთქმულ რუს არისტოკრატთა დიდი ნაწილის ანგლოფილური განწყობილება და ის მძაფრი ბრძოლა რუსეთის საგარეო პოლიტიკის შემდგომი ორიენტაციისა და მიმართულების თაობაზე, რაც გრძელდებოდა პეტერბურგის საგეფო კარზე თვით 1801 წლის 11 მარტის აქტამდე.

ნ. პ. პანინის და სხვა ანგლოფილთა ზოოლოგიურ სიძულვილს თ. ვ. როსტოპჩინისადმი, რომელიც 1801 წლის თებერვლის მეორე ნახევრამდე საგარეო საქმეთა კოლეგიის ხელმძღვანელი იყო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში პავლე I-ის მთავარი მრჩეველის როლს ასრულებდა, არსებითად საგარეო პოლიტიკის მოტივები ედო საფუძვლად. როსტოპჩინს ყველა შესაძლებელი საშუალებებით ებრძოდნენ იმიტომ, რომ რუსეთში მას უშუალოდ პასუხისმგებლად თვლიდნენ იმ საგარეო პოლიტიკური ნაბიჯებისათვის, კერძოდ საფრანგეთთან დაახლოებისათვის, რაც ასე მკვეთრად გამოვლინდა 1800 წლის დასაწყისიდან.

პეტერბურგის სამეფო კარზე და საგარეო საქმეთა კოლეგიაში ანგლოფილური დაჯგუფების ბრძოლა ახალი საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის წინააღმდეგ გრძელდებოდა ნ. პ. პანინის ვიცე-კანცლერობიდან განთავისუფლებისა და თ. ვ. როსტოპჩინის დიპლომატიური ბარათის მოწონების შემდეგაც. ეს ბრძოლა განსაკუთრებით გაძლიერდა 1800 წლის დასასრულიდან, როდესაც მკვეთრად გაუარესდა ინგლის-რუსეთის ურთიერთობა, შოიხაზა მათ შორის ომის კონტურები, თანაც რუსეთ-საფრანგეთის დაახლოება ამ სახელმწიფოთა შეთანხმების რეალურ შესაძლებლობაში გადაიზარდა.

ამ ბრძოლის შესახებ მიგვითითებს თ. ვ. როსტოპჩინის ერთ-ერთი წერილი (უცნობი პირისადმი), დათარიღებული 1801 წლის 17 თებერვლით. ამ წერილში როსტოპჩინი წერს: „მე გადავწყვიტე ვთხოვო იმპერატორს დამითხოვოს. მე აღარ შემიძლია შემდგშიაც ვებრძოლო ინტრიგებსა და ცილისწამებებს და ვიმყოფებოდე _არამზადების საზოგადოებაში, რომელთაც მე ვეჯაერები, და რომლებიც, ხედავენ რა ჩემს მოუსყიდველობას, ეჭვი აქვთ, ისიც არც თუ უსაფუძვლო, რომ მე ვეწინააღმდეგები მათ ზრახვებს“. წერილიდან ჩანს, რომ ამ „არამზადების“ მეთაურად თ. ვ. როსტოპჩინს ნ. პ. პანინი მიაჩნია. ამიტომაა, რომ მას „დე-

მონის", „ინტრიგანის" და „მაკიაველის" ნაშიერის „საპატიო" ეპითეტებით ამკობს. მართალია პანინი გაძევებულიაო, წერს როსტოპჩინი, მაგრამ იგი მაინც განაგრძობს მოქმედებას სხვა ინტრიგანებთან ერთად (იგი ასახელებს ა. ლოპუხინს, ა. კურაკინს, ა. რაზუმოვსკის, პ. პალენს), რომელთაც ჩემი თანამდებობის ხელში ჩაგდება სურთო[1].

როგორც ცნობილია, თ. როსტოპჩინი, მართლაც, მალე გახდა მის მოწინააღმდეგეთა ინტრიგის მსხვერპლი. 1801 წლის თებერვლის მეორე ნახევარში თ. როსტოპჩინი შეთქმულებმა დაატეხეს პავლესთან, რომელმაც მოიშორა იგი თავიდან, გაათავისუფლა საგარეო საქმეთა კოლეგიის ხელმძღვანელობიდან, აუკრძალა პეტერბურგში ყოფნა და თავის მამულში გააძევა, ხოლო კოლეგიის ხელმძღვანელობა გენერალ პ. პალენს დააკისრა.

ზემოაღნიშნულზე მიგვითითებს აგრეთვე ცნობილი დიპლომატის ს. რ. ვორონცოვის პოზიცია და დამოკიდებულება პავლე I-ის მმართველობისადმი. იგი საფრანგეთთან დაახლოებისა და ინგლისთან კავშირ-მეგობრობაზე ხელის აღების დაუძინებელი მტერი იყო. ამისათვის იგი სასტიკად დაისაჯა: მან დაკარგა პატივი და რუსეთის ელჩის პოსტი ინგლისში. ს. რ. ვორონცოვი პავლე I-ის საწინააღმდეგო შეთქმულების უშუალო მონაწილე არ ყოფილა, (ამაში მას, ჩვენი აზრით, ხელი შეუშალა ლონდონში მუდმივად ყოფნამ), მაგრამ ყოველმხრივ თანაუგრძნობდა შეთქმულების იდეას და თვით შეთქმულებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ დიპლომატს ძირითადში პავლე I-ის მთავრობის ახალი საგარეო პოლიტიკური მიმართულება ჰქონდა მხედველობაში, როდესაც 1801 წლის 5 (17) თებერვალს ნ. ნ.ნოვოსილცევისადმი გაგზავნილ წერილში (წერილი სიმპათიკური მელნით არის დაწერილი) რუსეთს დასალუპავად განწირულ იმ გემს ადარებს, რომელსაც შეშლილი კაპიტანი მართავს. ს. ვორონცოვი მოუწოდებს ნოვოსილცევს ჩააგონოს გემის კაპიტნის ახალგაზრდა თანაშეზწეს, რომლის ქვეშ იგი პავლე I-ის შვილს ალექსანდრეს გულისხმობს, თვით აიღოს ხელში გემის კაპიტნობა, თავისი ადგილი მიუჩინოს შეშლილ კაპიტანს და მით იხსნას დალუპვისაგან როგორც გემი, ისე მასზე მყოფი ხალხი და ტვირთი[2]. ეს ხომ პავლეს თავიდან მოცილების აშკარა მოწოდებაა. ამ მოწოდებამდე, ამ აზრამდე კი ს. რ. ვორონცოვი,

---

[1] იხ. „Русский архив", 1876, ტ. 3, გვ. 422.

[2] Архив князя Воронцова, ტ. 10. გვ. 2.

როგორც უკვე აღვნიშნავდით, მისმა საგარეო პოლიტიკურმა ორიენტაციამ მიიყვანა.

ამავე დროს ჩვენ ვფიქრობთ, რომ პავლე I-ის მთავრობის მიერ აღებული ზემოდასახელებული საგარეო პოლიტიკური კურსი—ინგლისთან სავაჭრო-ეკონომიური კავშირის გაწყვეტა, მასთან ომის აღმოცენების საფრთხე, საფრანგეთთან კავშირის დამყარების პერსპექტივა—უაღრესად მნიშვნელოვანი ფიცხი მასალა იყო, რომელმაც განაწყო რუსი მემამულეების ნაწილი, კერძოდ სასახლის არისტოკრატიის გავლენიანი დაჯგუფება პავლე I-ის წინააღმდეგ. ამ საგარეო პოლიტიკურმა კურსმა კიდევ უფრო დაუკარგა პავლეს მმართველობას „მიმზიდველობა“ და გააძლიერა ხსენებული დაჯგუფების სიძულვილი თვით შინაგანი მმართველობის ხასიათისადმი. პავლე I-ის მთავრობის საგარეო პოლიტიკური კურსი რომ წინააღმდეგობაში არ მოსულიყო თავადაზნაურობის ნაწილის ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებთან, მაშინ მათ შესაძლებელია არც შინაგანი მმართველობა წარმოუდგებოდათ ასეთი მუქი საღებაეებით. როცა ნ. პ. პანინი, ს. რ. ვორონცოვი, ვ. პ. კოჩუბეი, პ. კრიუდენერი და სხვა რუსი დიპლომატები ილაშქრებენ პავლე I-ის მეფობის წინააღმდეგ, მას უწოდებენ „ჩავარდნას“ და „ხარვეზს“ რუსეთის ისტორიულ განვითარებაში, დესპოტიისა და შიშის მეუფებას. ისინი, პირველ ყოვლისა, საგარეო პოლიტიკის საკითხებიდან გამომდინარეობენ. ეს პირები ინგლის-რუსეთის კავშირისა და ინგლისთან კავშირში საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელების მომხრენი იყვნენ. პავლე I-ის მთავრობამ კი, პირიქით, სულ საწინააღმდეგო კურსი აიღო. ამ ნიადაგზე აღმოცენდა კონფლიქტი მათსა და პავლე I-ს შორის. რომ არ ყოფილიყო ეს მოტივი, ჩვენის აზრით, ისინი, შესაძლებელია, პავლე I-ის მოწინააღმდეგეთა ბანაკში არც აღმოჩენილიყვნენ. ჩვენ არა გვგონია, რომ ნ. პ. პანინი შეთქმულების ერთ-ერთი იდეური ორგანიზატორი და ხელმძღვანელი გამხდარიყო, მისი საგარეო პოლიტიკური მისწრაფებები და 1800 წლიდან პავლე I-ის მთავრობის მიერ აღებული საგარეო პოლიტიკური კურსი ერთიმეორეს რომ არ დაჯახებოდნენ. არ არის გამორიცხული, რომ შეთქმულება და თვით 1801 წლის 11 მარტის აქტი სხვა ვითარებაში შეიძლება სხვა შედეგით დამთავრებულიყო. მაშინ ხომ არა მარტო პანინის ტიპის ადამიანები, არამედ ინგლისელებიც შეთქმულების გარეშე აღმოჩნდებოდნენ.

მიგვაჩნია რა საგარეო პოლიტიკის საკითხები, კერძოდ საფრანგეთთან და ინგლისთან შემდგომი ურთიერთობის საკითხები

ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოტივად, რომელმაც განაწყო რუსეთის ფეოდალური არისტოკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილი პავლე I-ის წინააღმდეგ და 1801 წლის 11 მარტის ამბავი შეამზადა, ჩვენ ამავე დროს, არ ვაპირებთ უკიდურესობაში მოქცევას და არ ვანიჭებთ მას ერთადერთი მოტივის როლს პავლე I-ის თავიდან მოცილების საქმეში, 1801 წლის 11 მარტის სასახლის გადატრიალების მოხდენის საქმეში.

ამიტომ ჩვენ ძირითადში ვეთანხმებით საბჭოთა ისტორიკოსების მიერ პავლე I-ის მკვლელობის თაობაზე გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საგარეო პოლიტიკის საკითხები, კერძოდ ინგლისთან შემდგომი ურთიერთობის საკითხი არ ყოფილა ერთადერთი მოტივი, რომელმაც განაპირობა ზემოაღნიშნული კონფლიქტი იმპერატორ პავლე I-სა და რუსეთის ექსპლოატატორულ კლასებს შორის, რომ მთავარი როლი ამ კონფლიქტის წარმოშობაში შეასრულა საშინაო პოლიტიკის მიმართულებისა და მმართველობის საკითხებმა.

საგარეო პოლიტიკის მიმართულების ნიადაგზე, კერძოდ ინგლისთან სავაჭრო-ეკონომიური კავშირის გაწყვეტის ნიადაგზე, თვით ალექსანდრე I-ის მეფობის დროსაც წარმოიშვა მსგავსი დაჯახება სამეფო ხელისუფლებასა და თავადაზნაურობას შორის. მაგრამ იგი სასახლის მორიგი გადატრიალებით არ დამთავრებულა (თუმცა ერთგვარ მუქარას ამ მიმართულებით მაინც ჰქონდა ადგილი). განა ფაქტი არ არის, რომ ცარიზმი როგორც მმართველობის სისტემა, ისე როგორც ცალკეული გვირგვინოსანი მონარქები საშინაო და საგარეო პოლიტიკაშიც გაბატონებული ფეოდალური თავადაზნაურობის კლასობრივი ინტერესების შესაბამის პოლიტიკას ატარებდნენ? განა თვით ის ბრძოლებიც, რუსეთის საგარეო პოლიტიკაში, რომელიც უშუალოდ პავლე I-ის მეშვეობით ტარდებოდა და რომლის შედეგსაც ინგლისთან კავშირის გაწყვეტა წარმოადგენდა, ისევ რუსი მემამულეების, ვაჭართა ზედაფენისა და სამხედრო კამარილიის კლასობრივი ინტერესებით არ იყო ნაკარნახევი? აღნიშნული საგარეო პოლიტიკური კურსი ხომ მიზნად ისახავდა ახლო აღმოსავლეთის პრობლემის რუსეთის ეკონომიური და სამხედრო სტრატეგიული ინტერესების შესაბამისად გადაწყვეტას. მას ხომ შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში გასავლელი სრუტეების საკითხიც რუსეთის გაბატონებული კლასების ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნილების შესაბამისად უნდა გადაეწყვიტა. ინგლისთან კავშირის გაწყვეტაც ხომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემასთან — შავი ზღვის გასავლე-

ლებისათვის ბრძოლასთან — იყო დაკავშირებული. ამ პრობლემების რუსეთის ინტერესების შესატყვისად გადაწყვეტა კი ნიშნავდა მათ გადაწყვეტას რუსი მემამულეებისა და სხვა ექსპლოატატორული ფენების ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნების შესატყვისად. ამგვარად, პავლე I-ის მთავრობა, საგარეო პოლიტიკის კურსის აღნიშნული მობრუნების მიუხედავად, რომელმაც წარმოშვა კონფლიქტი თვითმპყრობელ მონარქსა და რუსეთის თავადაზნაურობის ნაწილს შორის, ამ მხრივაც კვლავინდებურად თავადაზნაურობისავე კლასობრივი ინტერესებით ხელმძღვანელობდა. აღნიშნულის გამო, საგარეო პოლიტიკის საკითხები, მათი მთელი სერიოზულობის მიუხედავად, ვერ იქნებოდა ერთადერთი ფაქტორი 1801 წლის 11/23 მარტის აქტის მომზადებაში.

მაგრამ საქმე ისაა, რომ პავლე I-მა თავისი მეტად კაპრიზიანი, ცვალებადი და ეჭვიანი ხასიათით, დესპოტური მმართველობით, თავადაზნაურული არისტოკრატიის ზედაფენის პირად ცხოვრებაში წვრილმანი ჩარევით და აუტანელი რეგლამენტაციით აიმხედრა არისტოკრატია და თვით ფავორიტებიც კი. პავლემ ჯეროვნად ვერ აუღო ალღო მათ სულისკვეთებას და მით თავისი თავი დონ კიხოტის მდგომარეობაში ჩააყენა.

პავლე I რომ უფრო მიხვედრილი, თანამიმდევარი და დინჯი მმართველი ყოფილიყო, მაშინ მისი მეფობა არ იქნებოდა ეგზომ დესპოტური და აუტანელი თვით იმ კლასის ზედაფენისათვის, რომელიც მის საყრდენს წარმოადგენდა და რომლის კლასობრივი ინტერესების დასაცავად იგი მოწოდებული იყო. პავლე I ხომ ისევე ამტკიცებდა და აძლიერებდა თავადაზნაურობის კლასობრივ დიქტატურას გლეხობასა და სხვა მშრომელებზე, როგორც მისი წინამორბედი ეკატერინე II. მაგრამ ეკატერინე II-ის მეფობა რუსეთ თავადაზნაურობამ ბრწყინვალების შარავანდედით შემოსა, პავლე I-ის მეფობას კი შიშის, დესპოტიის, წყვდიადისა და უგუნურების მეუფება უწოდა. ცხადია, პავლე I მოკლებული იყო დიდი ადამიანებისათვის დამახასიათებელ ყველა ნიშანს. მას არ შეეძლო კარგად გაეგო მემკვიდრეობით მიღებული საზოგადოებრივი პირობები და ამ პირობების საფუძველზე აეგო თავისი მმართველობა. პიროვნმა დესპოტიზმმა, მმართველობის უაღრესმა ცენტრალიზაციამ, მმართველი ზედაფენის პირად ცხოვრებაში უხეშმა ჩარევამ—დაუკარგა პავლეს მეფობას „ნიმზიდველობა“ და ავტორიტეტი გაბატონებული კლასების თვალში, მიიყვანა იგი დონ კიხოტის მდგომარეობამდე და განაპირობა მისი დაღუპვა.

რუსეთის ფეოდალური არისტოკრატიის ზედაფენის ერთი ჯგუფის დამოკიდებულება პავლეს მეფობისადმი კარგად არის გამოხატული თავად ვ. პ. კოჩუბეის წერილებში ს. რ. ვორონცოვისადმი. პირველი წერილი 1799 წლის 19 აპრილს არის დაწერილი, მეორე კი პავლე I-ის მოკვლის შემდეგ, 1801 წლის აგვისტოში. ორივე წერილში უაღრესად მუქი საღებავებია ნახმარი პავლე I-ის მეფობისა და ამ მეფობის პერიოდის რუსეთის დასახასიათებლად. პირველ წერილში კოჩუბეი წერს: შინაგანი მმართველობა უფრო და უფრო უარესდება. უკიდურესმა ეგოიზმმა შეიპყრო ყველა[1]. მეორე წერილში, რომელშიც გამოხატულია უდიდესი სიხარული პავლეს თავიდან მოცილებისა და ალექსანდრეს გამეფების გამო, კოჩუბეი ისევ უბრუნდება წარსულს და ძრწოლვით იგონებს განვლილ მეფობას. „ის, ვისაც არ უნახავს პავლეს მეფობის უკანასკნელი წლები, — წერს იგი, — და ვისაც საშუალება არა აქვს ჭეშმარიტი ცნობები მიიღოს იმის შესახებ, თუ რა ქაოსი, არევ-დარევა და დეზორგანიზაცია იყო მაშინ გაბატონებული, ვერასოდეს ვერ იმსჯელებს ჩვენი მდგომარეობისა და იმ შრომის შესახებ, რომელიც უნდა დაიხარჯოს, რათა ბოლო მოეღოს ყოველივე ზემოაღნიშნულს"[2].

ხვალინდელი დღისადმი რწმენის დაკარგვამ, საკუთარი პერსონისადმი საფრთხემ პალენისა და პანინის ტიპის სასახლის თავკაცებს უბიძგეს შეთქმულებისაკენ პავლეს თავიდან მოცილების მიზნით.

„ეკატერინეს მემკვიდრე პავლე, — წარს ფ. ენგელსი, — იყო ჯიუტი, კაპრიზიანი, უგუნური; იგი ყოველ წუთში შლიდა დიპლომატთა გეგმებს; იგი აუტანელი ხდებოდა, საჭირო იყო მისი თავიდან მოცილება. გვარდიის ოფიცერთა შორის ამისათვის ადვილად შეიძლებოდა აღმსრულებლების პოვნა. ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე მონაწილეობდა შეთქმულებაში და ფარავდა მას"[3].

პეტერბურგის „მაღალ სფეროებში" არსებული ასეთი განწყობილების გამო სავსებით გასაგებია ის სიხარული, რომლითაც შეეგება პავლეს სიკვდილის ცნობას რუსეთის მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა, პირველ რიგში კი თავადაზნაურობის ანგლოფილური დაჯგუფება. „Россия смотрела на сего монарха как на грозный метеор, считая минуты и с нетерпением ожидая по-

---

[1] Архив князя Воронцова, ტ. 18, გვ. 203.

[2] იგივე არქივი, ტ. 14, გვ. 155.

К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 16, ч. II, გვ. 17.

следней, — წერს ცნობილი მწერალი დერჟავინი, — Она пришла и весть о том... была вестью искупления; в домах, на улицах люди плакали от радости, обнимая друг друга как в день Светлого Воскресения“ [1].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ დროს აღმოჩენილი ახალი მასალებით ცხადი ხდება, რომ პავლე I-ის რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული ოპოზიცია მარტო სასახლის თავადაზნაურთა ვიწრო შეთქმულთა ჯგუფით არ განისაზღვრებოდა. სინამდვილეში, როგორც ჩანს, ოპოზიცია გაცილებით უფრო ფართო ხასიათის იყო. ამაზე მიგვითითებს „იაკობინთა“ სმოლენსკის ჯგუფის არსებობა, რომელსაც პოლკოვნიკი ალექსანდრე მიხეილის ძე კახოვსკი ედგა სათავეში [2], მასალები ძმები ევგრაფი და პეტრე გრუზინოვების საქმის შესახებ (ჩერკასკში) [3] და სხვა მსგავსი ფაქტები [4].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის თვითმპყრობელი ხელისუფლება, თუმცა იგი გაბატონებული კლასების ინტერესებს გამოხატავდა, ხშირად ინარჩუნებდა შედარებით დამოუკიდებლობას და ცდილობდა ერთგვარად დამოუკიდებელი ორგანიზებული პოლიტიკური ძალა ჰქონოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთის ცარიზმს, როგორც პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სისტემას, სურდა მთელი სახელმწიფოს, ყველა ქვეშევრდომების ინტერესების გამომხატველად გაესაღებინა თავი და თვისი კლასობრივი არსი მიეჩქმალა. რუსეთის თვითმპყრობელობის ამ შედარებითი დამოუკიდებლობის გამო, ცალკეულ ისტორიულ მონაკვეთებში ადგილი ჰქონდა დროებით კონფლიქტებს თვითმპყრობელურ ხელისუფლებასა და რუსეთის იმპერიის გაბატონებულ კლასებს შორის. ვ. ი. ლენინი „ჩრდილოეთის კავშირისადმი“ გაგზავნილ წერილში მიუთითებდა ცარიზმის ორმაგ ბუნებაზე. იგი წერდა, რომ არ კმარა მარტო აღინიშნოს ის, რომ „...თვითმპყრობელობა გამოხატავს მხოლოდ და მხოლოდ გაბატონებული კლასების ინტერესებს“, ასეთი

---

[1] „Записки Карамзина о древней и новой России“, „Русский архив“, 1870, გვ. 2269.

[2] ამის შესახებ იხ. Т. Г. Сытко, Новые материалы по истории общественного движения конца XVIII века, „Вопросы истории“, 1952, № 9, გვ. 122.

[3] ამის შესახებ იხ. ო. გვინჩიძე, რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიიდან, თბ., 1957.

[4] იხ., მაგალითად, Г. Макогоненко. Радищев и его время, М., 1956, თავი 7, გვ. 577—580 და შემდ.

ფორმულა, მისი აზრით, ზუსტი არ არის. ლენინის აზრით, „თვითმპყრობელობა აკმაყოფილებს გაბატონებული კლასების ყველაზეულ ინტერესებს; იგი არსებობას ინარჩუნებს ნაწილობრივ გლეხობისა და წვრილ მწარმოებელთა მასის უძრაობითაც საზოგადოდ, ნაწილობრივ — ბალანსირებით მოპირდაპირე ინტერესებს შორის, და რამდენადმე დამოუკიდებელ ორგანიზებულ პოლიტიკურ ძალასაც წარმოადგენს“ (ხაზგასმა ჩვენია, ვ. დ.). ვ. ი. ლენინი უარყოფს რუსეთში გავრცელებულ შეხედულებას თვითმპყრობელობის გაბატონებული კლასების ბატონობასთან გაიგივების შესახებ[1].

რუსეთის თვითმპყრობელური ხელისუფლების ეს რამდენადმე დამოუკიდებლობა, მისი ცდა არ გაეზიარებინა ყველაფერში გაბატონებული კლასების მისწრაფებები, შეენარჩუნებინა ორმაგი ბუნება და მოპირისპირე საზოგადოებრივი ძალების ბალანსირებას დაყრდნობოდა, ყველაზე მკვეთრად სწორედ პავლე I-ის დესპოტური მმართველობის დროს გამოვლინდა. აქედან ლოგიკური იყო ის კონფლიქტი, რომელიც მის ხელისუფლებასა და გაბატონებული კლასების გარკვეულ დაჯგუფებებს შორის აღმოცენდა.

1801 წლის 11/23 მარტის აქტმა და მის შედეგად პავლე I-ის თავიდან მოცილებამ[2] ჯვარი დაუსვა რუსეთის საგარეო პოლიტიკის იმ მიმართულებას, რომელმაც ეს ქვეყანა 1801 წლის დასაწყისში ინგლისთან კავშირის განმტკიცებამდე მიიყვანა. ახალმა მმართველობამ ისევ შემოაბრუნა რუსეთის საგარეო პოლიტიკის საქე და მას ისეთი მიმართულება მისცა, რომლისთვისაც ასე თავგამოდებით იბრძოდა ფეოდალური არისტოკრატიის ანგლოფილური დაჯგუფება.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., IV გამ., ტ. 6, გვ. 196.

[2] 1801 წლის 11 მარტს სასახლის გადატრიალების ორგანიზაციის, მის ორგანიზატორთა შემადგენლობისა და უშუალოდ თვით პავლე I-ის მკვლელობის აქტის შესახებ მრავალი მეშუარული სასიათის ლიტერატურა არსებობს, ეს საკითხები ვრცლადაა გაშუქებული რუს და საზღვარგარეთელი რევოლუციამდელი ისტორიკოსების მიერ. არც საბჭოთა ისტორიკოსებს დაუტოვებიათ იგი ყურადღების გარეშე. აღნიშნულის გამო ჩვენ საჭიროდ არ ვთვლით კვლავ დავუბრუნდეთ მას და ერთხელ კიდევ გავაშუქოთ ჩვენს შრომაში. ერთის მხრით, იგი ახალს არაფერს შემატებს ჩვენ ნაშრომს, მეორეს მხრივ, არსებითად, სკილდება ჩვენი კვლევის ფარგლებს.

პავლე I-ის მკვლელობა და სამეფო ტახტზე ალექსანდრე I-ის ასვლა ერთგვარ წყალგამყოფს ქმნის რუსეთის (პავლე I-ის მეფობის უკანასკნელი პერიოდის) საგარეო პოლიტიკის წინამორბედ და შემდგომ პერიოდებს შორის. მართალია ეს სხვაობა უფრო ტაქტიკური, ვიდრე სტრატეგიული ხასიათის იყო: იგი არ მოასწავებდა რუსეთის ისტორიულად გამომუშავებული საგარეო პოლიტიკიდან გადახვევას და რაღაც ახალი ორიენტაციის აღებას.

მაგრამ ყოველივე ეს დამოუკიდებელი კვლევის საგანს წარმოადგენს და იგი ჩვენი საკვლევი ობიექტის ფარგლებს სცილდება.

დასკვნები

საკვლევო პრობლემის შესახებ არსებული წყაროებისა და ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე ჩვენ შემდეგ დასკვნებამდე მივედით.

საფრანგეთის 1789—1794 წლების ბურჟუაზიულმა რევოლუციამ, რომელმაც სრული გადატრიალება მოახდინა როგორც საფრანგეთის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში, ისე ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემაში, უშუალო გავლენა იქონია რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაზე. ამ რევოლუციის შედეგად აღმოცენებულმა ახალმა ვითარებამ მკვეთრად გააუარესა რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა და დაარღვია მათ შორის რევოლუციამდე არსებული კავშირ-ურთიერთობათა სისტემა.

1795 წლის დასასრულისათვის მეფის რუსეთსა და საფრანგეთის რესპუბლიკას შორის შეწყვეტილი იყო ყოველგვარი ურთიერთობა. ეკატერინე II-ის მთავრობა მხოლოდ ფორმალურად ინარჩუნებდა შეიარაღებული ნეიტრალიტეტის პოზიციას და ყოველმხრივ ეხმარებოდა ევროპის მონარქთა და საერო-სასულიერო ფეოდალთა ანტიფრანგულ კოალიციას, თანაც ენერგიულად ემზადებოდა რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ ომისათვის. ეკატერინე II-ის გარდაცვალებამ და პავლე I-ის გამეფებამ ახალი ვითარება შექმნა რუსეთის სამეფო კარზე და თავისი გავლენა მოახდინა რუსეთ-საფრანგეთის არსებულ ურთიერთობაზე.

პავლე I-ის მეფობის ხანმოკლე პერიოდი, როგორადაც არ უნდა განსხვავდებოდეს იგი რუსეთის წინამორბედ და შემდგომ მეფობათაგან, არ მოასწავებდა „სრულ ჩავარდნას“ რუსეთის ისტორიულ განვითარებაში. პავლე I-ის მთავრობის პირველი ნაბიჯები საგარეო პოლიტიკის დარგში, მისი თავდაპირველი საგა-

რეო პოლიტიკური ორიენტაცია, კერძოდ პოლიტიკა საფრანგეთის მიმართ არ წარმოადგენდა მკვეთრ გადახვევას რუსეთის ისტორიულად გამომუშავებულ და მემკვიდრეობით მიღებულ საგარეო პოლიტიკურ მიმართულებიდან. რუსეთის თავადაზნაურული მონარქიის ახალმა მმართველობამ — იმპერატორ პავლე I-ის მთავრობამ — შეინარჩუნა და განავითარა რუსეთის საგარეო პოლიტიკის მემკვიდრეობით მიღებული და ისტორიულად გამომუშავებული მიმართულება და სტრატეგიული ხაზი როგორც საერთოდ, ისევე კერძოდ საფრანგეთის მიმართ. მაგრამ ახალმა ვითარებამ ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემაში, რომელიც შეიქმნა ევროპაში 1796—1797 წლების მიჯნაზე, მიიყვანა პავლე I-ის მთავრობა ზოგიერთი კორექტივის შეტანის საჭიროებამდე რუსეთის წინამორბედი მთავრობის საგარეო პოლიტიკურ კურსსა და მიმართულებაში. ეს კორექტივი უფრო ტაქტიკური ხასიათის იყო, ვიდრე ძირეული და უფრო იმ ხერხებსა და საშუალებებს შეეხებოდა, რომლებითაც უნდა მომხდარიყო რუსეთის მონარქიის წინაშე მდგარი აქტუალური საგარეო პოლიტიკური ამოცანების რეალიზაცია. ისტორიული განვითარების იმ ეტაპზე საფრანგეთის რესპუბლიკის მიმართ პავლე I-ის მთავრობის მიერ აღებული კურსი და ტაქტიკური ნაბიჯები ამ კორექტივშეტანილი საგარეო პოლიტიკური მიმართულებისა და ორიენტაციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

რუსეთის ახალი საიმპერატორო მთავრობის საგარეო პოლიტიკური კურსი და მიმართულება, წინამორბედის მსგავსად, რუსეთის ცარიზმის საშინაო პოლიტიკასთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა. იგი რუსეთის ფეოდალური თავადაზნაურობის კლასობრივი მისწრაფებით, მისი ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული მოთხოვნებით იყო განპირობებული. პავლე I-ის გამეფების მომენტისათვის საფრანგეთის რესპუბლიკასთან შემდგომი ურთიერთობის საკითხში რუსეთის სამეფო კარზე, რუსეთის ფეოდალური არისტოკრატიის ზედაფენაში ორი დაჯგუფება უპირისპირდება ერთმანეთს.

ერთი დაჯგუფება მხარს უჭერდა მემკვიდრეობით მიღებული საგარეო პოლიტიკური კურსის გაგრძელებას, ყოველგვარი ტაქტიკური გადახვევის გარეშე, მას საჭიროდ მიაჩნდა ეკატერინე II-ის მეფობის ბოლოსკენ საფრანგეთის წინააღმდეგ ომისათვის დაწყებული ბრძოლების ბოლომდე მიყვანა, ინგლისთან და ავსტრიასთან კავშირის განმტკიცება და მათთან ერთად რესპუბლიკური საფრანგეთის წინააღმდეგ ომის გაჩაღება. ამ გზით ფიქრობდა ეს

დაჯგუფება რუსეთის თავადაზნაურულ-ბატონყმური ურთიერთობისათვის შექმნილი საფრთხის ლიკვიდაციას, „წესიერებისა და კანონიერების“ აღდგენას ევროპაში და რუსეთის პოზიციების განმტკიცებას ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში. ამ დაჯგუფების საგარეო პოლიტიკურ მრწამსს ყველაზე მკაფიოდ გამოხატავდნენ ცნობილი რუსი დიპლომატები ს. რ. ვორონცოვი და ნ. პ. პანინი.

მეორე დაჯგუფება, პირიქით, რუსეთის საგარეო პოლიტიკის წინაშე დასმული აქტუალური ამოცანების გადაწყვეტას იმ ეტაპზე უკავშირებდა შეიარაღებულ ნეიტრალიტეტის პოლიტიკის დაცვას და დიპლომატიური ღონისძიებების გამოყენებას. მას შესაძლებლად მიაჩნდა ერთგვარი მობრუნება საფრანგეთისადმი ეკატერინე II-ის მიერ აღებულ კურსში და ამ სახელმწიფოსთან მოლაპარაკების გამართვა ყველა სადავო საკითხზე. თუ ეს მოლაპარაკება წარმატებითი იქნებოდა, ამ მიმდინარეობის მომხრეებს შესაძლებლად და რუსეთის ნაციონალური ინტერესების შესაბამისად მიაჩნდათ საფრანგეთთან ხელშეკრულების დადება ევროპის „დამშვიდებისა“ და რევოლუციამდე მათ შორის არსებული ურთიერთობის აღდგენის ბაზაზე. ამ საგარეო პოლიტიკურ თვალსაზრისს ყველაზე მკაფიოდ ანვითარებდა რუსეთის იმპერიის კანცლერი, საგარეო საქმეთა კოლეგიის ხელმძღვანელი, ცნობილი დიპლომატი ა. ა. ბეზბოროდკო (შემდეგში კი თ. ვ. როსტოპჩინი).

მეორე დაჯგუფების საგარეო პოლიტიკურმა მრწამსმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ კურსის შემუშავებაში, რომელიც რუსეთის სამეფო კარმა და მთავრობამ აიღეს საფრანგეთის მიმართ 1797 წლის დასაწყისიდან.

პავლე I-ის მთავრობას, რუსეთის რევოლუციამდელ ისტორიკოსთა ნაწილში გავრცელებული შეხედულების საწინააღმდეგოდ, ხელი არ აუღია ძველ სტრატეგიულ ხაზზე, საფრანგეთის რესპუბლიკის მზარდი აგრესიისათვის გზის გადაღობვისა და „რევოლუციის ძირგამომთხრელი გავლენის“ აღკვეთის გეზზე, დაცვით-მონარქისტულ პრინციპის შემდგომ გამოყენებაზე. მაგრამ მან რუსეთის საგარეო პოლიტიკის წინაშე მდგარი გადაუდებელი ამოცანების გადაწყვეტა საფრანგეთთან დაუყოვნებლივი ომის ნაცვლად სამშვიდობო დიპლომატიური ნაბიჯების წარმატებას დაუკავშირა. რუსეთის მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია მეომარ სახელმწიფოთა შორის არბიტრის როლში გამოსვლა და საფრანგეთის სამშვიდობო ინიციატივისათვის გამოხმაურება. მან შესაძლებლად

ცნო საფრანგეთის მთავრობასთან ომამდელი ურთიერთობის აღდგენის თაობაზე ხელშეკრულების დადება, თუ საფრანგეთის დიპლომატია მიიღებდა რუსეთის დიპლომატიის მიერ წამოყენებულ პირობებს. მაგრამ ამავე დროს რუსეთის მთავრობას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი იარაღი მოემარჯვებინა და საფრანგეთის წინააღმდეგ ეომა, თუ მისი ახალი ტაქტიკური ნაბიჯი წარმატებით არ დაგვირგვინდებოდა. იგი ამ მიმართულებითაც სათანადო მზადებას აწარმოებდა.

ჩვენი აზრით, რუსეთის ეს პოლიტიკა საფრანგეთის მიმართ მეტად მნიშვნელოვანი შინაგანი და საგარეო ხასიათის გარემოებებით იყო განპირობებული. ეს გარემოებები იყო შემდეგი:

1. პრუსიის სამეფოს, საფრანგეთ-პრუსიის საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ, მართალია, ნეიტრალური მდგომარეობა ეჭირა, მაგრამ ეს ნეიტრალიტეტი მერყეევი და მეტად საეჭვო ხასიათისა იყო. საფრანგეთის რესპუბლიკის დიპლომატიის მზარდი ზემოქმედებისა და პრუსია-ავსტრიის დაჭიმული ურთიერთობის პირობებში გამორიცხული არ იყო პრუსიის გამოსვლა ნეიტრალური მდგომარეობიდან და მისი დაკავშირება საფრანგეთთან ავსტრიისა და რუსეთის წინააღმდეგ. პავლეს მთავრობას წინასწარ თავი უნდა დაეზღვია ასეთი საფრთხისაგან, თავისი დიპლომატიით გაენეიტრალებინა საფრანგეთის დიპლომატიის ზემოქმედება პრუსიაზე და ამით უზრუნველეყო თავისი იმპერიის დასავლეთი საზღვრების უშიშროება საფრანგეთის წინააღმდეგ ომის დაწყების მომენტისათვის.

2. პირველი ანტიფრანგული კოალიცია 1796 წლის დასასრულისათვის ფაქტიურად დაშლილი იყო. საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღება მეფის რუსეთს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო, თუ მას ეყოლებოდა მოკავშირეები. ამდენად რუსეთს ახალი ანტიფრანგული სამხედრო-პოლიტიკური კოალიციის შექმნა საფრანგეთთან ომის დაწყების ერთ-ერთ წინასწარ პირობად უნდა მიეჩნია. ახალი ანტიფრანგული კოალიციის შექმნისათვის კი სერიოზული დიპლომატიური ღონისძიებები იყო ჩასატარებელი, რაც გარკვეულ დროს მოითხოვდა.

3. რუსეთის სამეფო კარზე იმედი ჰქონდათ, რომ წარმატებით დამთავრდებოდა ის როიალისტური შეთქმულება პარიზში, რომლის ორგანიზაციაში თვით ცარიზმის აგენტებიც იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას. პეტერბურგში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამ შეთქმულების წარმატება ზედმეტს გახდიდა საფრანგე-

თის მიმართ „დაცვით-ბონარქისტული“ პრინციპის მომარჯვებას იმ ეტაპზე.

4. პეტერბურგის სასახლესა და მმართველი ფეოდალური არისტოკრატიის რიგებში აღმოფხვრილი არ იყო გლეხთა ახალი გამოსვლების შიში, „ახალი პუგაჩოვის“ გამოჩენის საფრთხე ისევ საშიშ რეალობას წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით შინაგანი ფრონტის განმტკიცებისათვის, „ზურგის“ უშიშროებისათვის სათანადო ნაბიჯების გადადგმის საჭიროება მეფის რუსეთისათვის საფრანგეთთან ომის დაწყების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინასწარი პირობა უნდა ყოფილიყო.

5. ეკატერინე II-ის მთავრობის არასახარბიელო მემკვიდრეობა დღის წესრიგში აყენებდა შერყეული ფინანსების წესრიგში მოყვანას, თითქმის დაცარიელებული ხაზინის შევსებას, არმიისა და ფლოტის შემდგომ შევსებას და რეორგანიზაციას, რაც აგრეთვე გარკვეულ დროს მოითხოვდა. აღნიშნულ ღონისძიებათა გატარების გარეშე კი საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღება არ იყო სასურველი.

თავის მხრივ, საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას, სურდა რა იარაღისა და დიპლომატიის მეშვეობით გადამწყვეტი დამარცხება მიეყენებინა მოწინააღმდეგეებისათვის, ცდილობდა თავიდან აეცილებინა რუსეთის ომში ჩაბმა. რუსეთის შემდგომ პოზიციაზე საფრანგეთის რესპუბლიკის მიმართ დიდად იყო დამოკიდებული საფრანგეთის აღნიშნული გეგმების რეალიზაცია. რუსეთის მიერ ნეიტრალიტეტის პოზიციის შემდგომი შენარჩუნება გააადვილებდა ამ გეგმების რეალიზაციას, ხოლო ინგლის-ავსტრიასთან კავშირში საფრანგეთის წინააღმდეგ რუსეთის ამხედრება, პირიქით, ჩაშლიდა საფრანგეთის გეგმებს.

მეფის რუსეთის ნეიტრალიზაცია, თუ მასთან მორიგება და საერთო ენის გამონახვა შეუძლებელი გახდებოდა, აღნიშნულის გამო, დირექტორიის მთავრობის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიური საქმიანობის ცენტრში იქნა დაყენებული.

რუსეთის ცარიზმის და საფრანგეთის რესპუბლიკის ზემოაღნიშნულმა მისწრაფებებმა დროებით განაპირობეს ამ ორი ქვეყნის თვალსაზრისის დამთხვევა მათი შემდგომი ურთიერთობის პერსპექტივის საკითხში. ამ ნიადაგზე აღმოცენდა შემხვედრი სამშვიდობო ინიციატივა, შეთანხმების მიღწევის სურვილი და ბერლინში არაოფიციალური მოლაპარაკების დაწყება მათ შორის (საფრანგეთის რესპუბლიკის უპირატესი ინიციატივით).

რუსეთ-საფრანგეთის შერეული სამშვიდობო ინიციატივა და მათი მოლაპარაკები (კერძოდ ბერლინის მოლაპარაკება) შეთანხმების თაობაზე წარმატებით არ დამთავრებულა. მოლაპარაკების მსვლელობაში არც რუსეთის და არც რესპუბლიკური საფრანგეთის დიპლომატიას არ გამოუჩენია შეთანხმების მიღწევის გულწრფელი სურვილი. რუსეთ-საფრანგეთის დაახლოება და შეთანხმება ამ ეტაპზე პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. აღნიშნულის გამო პავლე I-ის მთავრობამ ხელი აიღო საფრანგეთთან შეთანხმების მიღწევის შემდგომ განზრახვაზე და რუსეთის საგარეო პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტა მომავლისათვის ისევ ანტიფრანგულ კოალიციაში ჩაბმას და საფრანგეთის წინააღმდეგ ომს დაუკავშირა.

რუსეთ-საფრანგეთის გაჭიანურებული მოლაპარაკების ჩაშლა, მეორე ანტიფრანგული კოალიციის აღმოცენება, რომლის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის საქმეში რუსეთის დიპლომატიამ ერთ-ერთი ხელმძღვანელი როლი შეასრულა, და რუსეთის ამხედრება საფრანგეთის წინააღმდეგ—მოასწავებდა მორიგ მობრუნებას რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში.

ჩვენს ნაშრომში მოტანილი მასალები ცხადჰყოფენ, რომ ეს მობრუნება შემთხვევით მოვლენას არ წარმოადგენდა. ამ მობრუნების საჭიროება რიგ ეკონომიურ, პოლიტიკურ და სამხედრო-სტრატეგიულ ფაქტორებით იყო განპირობებული.

იმ ახალმა ვითარებამ, რომელიც 1797 წლის მეორე ნახევარში შეიქმნა ევროპაში, აიძულა რუსეთის მთავრობა ხელი აეღო ზემოაღნიშნულ ტაქტიკურ „უკანდახევაზე". ახალ ვითარებაში შეუძლებელი იყო მარტო დიპლომატიური ღონისძიებებით იმ ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც რუსეთის საგარეო პოლიტიკის გადაუდებელ საკითხთა დღის წესრიგში იყო დასმული. აღნიშნული მობრუნებისას პავლე I-ის მთავრობა რუსეთის იმპერიის ინტერესებიდან და თვით არსებული სისტემის უკეთ დაცვის მოსაზრებებიდან გამომდინარეობდა.

მთავარი როლი ამ მობრუნებაში შეასრულა საფრანგეთის რესპუბლიკის დიპლომატიისა და იარაღის ახალმა წარმატებებმა ცენტრალურ და სამხრეთ ევროპასა და ხმელთაშუა ზღვის აუზში (კამპო-ფორმიოს ზავის დადების შემდეგ). ამ წარმატებებმა სერიოზული საფრთხე შეუქმნეს რუსეთის პოზიციებს და ინტერესებს როგორც ცენტრალურ ევროპაში, ისე ხმელთაშუა ზღვის აუზსა და ახლო აღმოსავლეთში. საფრანგეთის აგრესიამ ეგვიპეტში და თურქეთის დაპყრობის განზრახვამ უდიდესი საფრთხე შეუქმნა

მეფის რუსეთის ეკონომიურ, პოლიტიკურ და სამხედრო-სტრატეგიულ ინტერესებს და პოზიციებს ახლო აღმოსავლეთში. ეს მოახწავებდა საფრანგეთის განზრახვას განედევნა რუსეთი მსოფლიოს ამ ნაწილიდან და იქ ანტირუსული აგრესიის ახალი ბაზა შეექმნა. სწორედ ამიტომ საფრანგეთის აგრესიის ამ ახალმა აქტმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ანტიფრანგულ კოალიციაში რუსეთის ჩაბმისა და მის მიერ საფრანგეთის წინააღმდეგ ომის გაჩაღების საქმეში.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ამ საქმეში ჩვენ ვაკუთვნებთ ე. წ. „პოლონეთის საკითხს". დირექტორიის ხელისუფლება და მისი მრავალრიცხოვანი აგენტები ცდილობდნენ ძირგამომთხრელი მუშაობა ეწარმოებინათ რუსეთის მიერ ახლად დაპყრობილ პოლონურ სამფლობელოებში და აემხედრებინათ პოლონელი მოსახლეობა რუსეთის წინააღმდეგ. საფრანგეთის ხელისუფალთა ამ საქმიანობაში და მათ მიერ პოლონელ ემიგრანტთა წაქეზებაში რუსეთის ცარიზმის მესვეურები ხედავდნენ რუსეთის იმპერიის საზღვრებისა და ტერიტორიულ მთლიანობის ხელყოფას, ერთის მხრივ, და რუსეთის იმპერიაში „რევოლუციურ ბაცილის" შეტანის ცდას, მეორეს მხრივ. რუსეთის პოლონურ ოლქებში „წყლის ამღვრევისა" და იქ შფოთის გამოწვევის მტრული პოლიტიკის პასუხი მეფის რუსეთის მხრივ უნდა ყოფილიყო ამ პოლიტიკის ჩაშლა და საფრანგეთის წინააღმდეგ ომზე გეზის აღება.

ჩვენი აზრით, რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების შესაძლებლობის სინამდვილედ ქცევას, თავის მხრივ, ხელი შეუშალა ინგლისის დიპლომატიის ხრიკებმა და მისმა ზემოქმედებამ რუსეთზე რუსეთის მმართველი ხელაფენის იმ დაჯგუფების მეშვეობით, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ინგლისთან, მის ეკონომიურ-პოლიტიკურ გავლენას ექვემდებარებოდა და მასთან კავშირს მოითხოვდა.

საფრანგეთის რესპუბლიკის მიერ დიპლომატიისა და იარაღის მეშვეობით მოპოვებული წარმატებისათვის ბოლოს მოღება და ამის შედეგად ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში რუსეთის გავლენის დაცვა-გაფართოება, როგორც მეფის რუსეთის ერთ-ერთი ამოცანა 1799 წლის ომში საფრანგეთის წინააღმდეგ, რუსი მემამულეების, სამხედრო კამარილიისა და მსხვილი ვაჭრების კლასობრივი მოთხოვნებით იყო ნაკარნახევი. მართალია, პავლე I-ის მთავრობა ამ ომში ფორმალურად ტერიტორიული გაფართოებისა და მეზობელი ქვეყნების დაპყრობის ამოცანას არ აყენებდა, მაგრამ აქედან როდი შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა,

რომ რუსეთის რეაქციული მმართველები, მართლაც თავისუფალნი იყვნენ დაპყრობებისა და ტერიტორიული გაფართოების ზრახვებისაგან. საფრანგეთის დამარცხება, თუ იგი მიღწეული იქნებოდა 1799 წლის ომში, ჩვენი აზრით, ფართოდ გაუხსნიდა გზას რუსეთის მმართველთა დაპყრობითი ზრახვების რეალიზაციას ევროპაშიაც და ახლო აღმოსავლეთშიაც. ანტიხალხური, რეაქციული და უსამართლო ხასიათი ჰქონდა მეორე ამოცანასაც, რომელიც ითვალისწინებდა საფრანგეთის ტერიტორიის ოკუპაციას, საფრანგეთში არსებული მმართველობის ლიკვიდაციას, რევოლუციამდელი ურთიერთობის რესტავრაციას და რევოლუციის შედეგად მომხდარი სოციალურ-ეკონომიური და კულტურული ცვლილებების ლიკვიდაციას საფრანგეთში. ეს იყო იმავე ჟანდარმის როლის თამაში ევროპაში, რასაც უკვე თამაშობდა პავლე I-ის მთავრობა საკუთარი ქვეყნის შიგნით, ეს იყო რეაქციული ძალების სათავეში პროგრესის ძალების წინააღმდეგ ამხედრება, პროგრესის წინააღმდეგ ბრძოლა.

აღნიშნულის გამო, რუსი ჯარისკაცები, მეზღვაურები და მეთაურები, დიდი მხედართმთავარი სუვოროვი და ვიცე-ადმირალი უშაკოვი, რომელთაც ამ ომში ფრანგების წინააღმდეგ ზღვაზე და ხმელეთზე ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვეს, რუსი ხალხისათვის, თვით მათთვის უცხო და უსამართლო საქმეს ემსახურებოდნენ. ისინი რეაქციული მმართველობის იარაღს წარმოადგენენ და ევროპის ჟანდარმის—რუსეთის ცარიზმის—დაკვეთას ასრულებდნენ.

მეორე ანტიფრანგული კოალიცია, რომლის რიგებშიც სხვადასხვა ინტერესების, მისწრაფებებისა და გეგმების მქონე სახელმწიფოები იბრძოდნენ, შინაგანი წინააღმდეგობის შემცველ, არამყარ აგრესიულ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს წარმოადგენდა. შინაგანმა წინააღმდეგობამ, დაბოლოს, საფრანგეთის რესპუბლიკის ენერგიულმა წინააღმდეგობამ შეუძლებელი გახადა იმ ამოცანების გადაწყვეტა, რომელთაც ისახავდა კოალიცია, კერძოდ კი მასში შემავალი მეფის რუსეთი. ამიტომ რუსეთის არმიისა და ფლოტის ბრწყინვალე გამარჯვებას გათვალისწინებული შედეგი არ მოჰყოლია. ჩვენი აზრით, კოალიციის რიგებში არსებულმა ღრმა წინააღმდეგობამ ინგლის ავსტრიის მთავრობათა მიერ რუსეთის არმიისა და ფლოტის შემდგომი წარმატებისათვის ხელის შეშლამ იხსნა დირექტორიის ხელისუფლება და მთელი საფრანგეთი სრული სამხედრო-პოლიტიკური განადგურებისაგან. ყოველივე ამან კი განაპირობა რუსეთის გამოსვლა კოალიციიდან, მის მიერ საფრანგეთთან შემდგომ ომზე ხელის აღება და ძველ მოკავში-

რეებთან ინგლისთან და ავსტრიასთან ფაქტიურად კავშირის გაწყვეტა.

შრომაში მოტანილი მასალები ნათელჰყოფენ, რომ 1799—1800 წლების მიჯნიდან, როდესაც ფაქტიურად დაიშალა მეორე ანტიფრანგული კოალიცია და განუხორციელებელი დარჩა ანტიფრანგულ ომში რუსეთის მიერ დასახული ამოცანები, მეფის რუსეთის საგარეო პოლიტიკაში, კერძოდ რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში ისევ მოხდა ახალი მობრუნება. კვლავ თავი იჩინა მათი დაახლოების ტენდენციებმა, რასაც თან მოჰყვა სათანადო პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა.

1799 წლის დასასრულიდან რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში დასახული მკვეთრი მობრუნება, ჩვენი აზრით, შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობეს:

1. მეორე ანტიფრანგული კოალიცია ისე დაიშალა, რომ მან ვერ გადაწყვიტა მის წინაშე მდგომი მთავარი ამოცანები. ამ გარემოებამ და რუსეთ-ავსტრიისა და რუსეთ-ინგლისის ურთიერთობათა შემდგომმა გაუარესებამ უშუალო გავლენა მოახდინეს მეფის რუსეთის საგარეო პოლიტიკურ მიმართულებაზე და შექმნეს პირობები ამ პოლიტიკის ახალი მობრუნებისათვის.

2. იტალიის კომპანიის წარმატებამ და ფრანგების გაძევებამ იონიის კუნძულებიდან რუსეთის სასარგებლოდ შეცვალა ვითარება ამ რაიონებში, ხოლო ეგვიპტეში ფრანგთა ლაშქრობის სამარცხვინო კრახმა ბოლო მოუღო იმ უშუალო საფრთხეს, რომელიც რუსეთის ინტერესებისათვის შეიქმნა ახლო აღმოსავლეთში ამ ლაშქრობის პირველ ეტაპზე. ამან, თავის მხრივ, გავლენა მოახდინა რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაზე და შეასუსტა ამ ურთიერთობაში აღმოცენებული ფიცხი მასალის მოქმედება.

3. ინგლისელების მიერ მალტისადმი რუსეთის პრეტენზიის უარყოფამ და ამ კუნძულიდან ფრანგების გაძევებისათვის ბრძოლაში რუსეთის სამხედრო ნაწილების არ დაშვებამ, ინგლისელთა მიერ ეგვიპტეში ფეხის მოკიდების ცდამ და სხვა მსგავსმა აქტებმა, ამ ქვეყნის ექსპანსიის გაძლიერებამ ხმელთაშუა ზღვის ცენტრალურ აუზსა და ახლო აღმოსავლეთში, — ყველაფერმა ამან სერიოზული საფრთხე შეუქმნა რუსეთის ინტერესებს და პოზიციებს მსოფლიოს ამ ნაწილში. აღნიშნულმა ვითარებამ, თავის მხრივ, ხელი შეუწყო რუსეთის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის ახალ მიმართულებას, მის მიერ კავშირ-ურთიერთობათა ახალ სისტემაზე გეზის აღებას.

4. რუსეთის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის ახალი ორიენტაციის გამომუშავებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო თვით საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილება თვრამეტი ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალების სახით. აღნიშნული სახელმწიფო გადატრიალება პეტერბურგის სამეფო კარზე შეფასებულ იქნა, როგორც საფრანგეთის რევოლუციის ეპილოგი და მონარქიის რესტავრაციის პროლოგი. საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ამ ცვლილებამ ზედმეტი გაბადა რუსეთის მთავრობის მიერ იმ ღონისძიებების შემდგომი გამოყენება, რომელნიც მიზნად ისახავდნენ ძველი ურთიერთობის აღდგენას საფრანგეთში. ამით მოიხსნა მორიგი ფიცხი მასალა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში და, პირიქით, გაიხსნა გზა მათი დაახლოებისათვის.

პირველმა კონსულმა ნაპოლეონ ბონაპარტმა გარკვეული პოლიტიკური და სამხედრო მოსაზრებების გამო პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის და მასთან შეთანხმებაზე აიღო გეზი. საფრანგეთის ახალი ხელისუფლების აღნიშნულმა საგარეო პოლიტიკურმა კურსმა, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ახალ მობრუნებას ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში.

რუსეთის იმპერატორ პავლესა და ნაპოლეონ ბონაპარტს შორის წერილების გაცვლა-გამოცვლა, რუსი სამხედრო ტყვეების განთავისუფლება და მათი სამშობლოში დაბრუნება, დაბოლოს, ოფიციალური მოლაპარაკების გამართვა თავდაპირველად ბერლინში (1800 წლის მეორე ნახევარში) და შემდეგში პარიზში (1801 წლის დასაწყისში), წარმოადგენდა რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების იმ ტენდენციის შემდგომ განვითარებას, რომელმაც თავი იჩინა 1799—1800 წლების მიჯნაზე.

ჩვენი აზრით, პავლეს მთავრობა საფრანგეთთან დაახლოების პროცესში, კერძოდ ბერლინისა და პარიზის მოლაპარაკებათა პროცესში, ძირითადში აგრძელებდა იმ კურსს საფრანგეთთან ურთიერთობაში, რომელიც მას მეორე ანტიფრანგული კოალიციის შემზადების წინა პერიოდში ჰქონდა (რა თქმა უნდა, იმ ახალი ვითარების გათვალისწინებით, რომელიც 1799 წლის ომმა წარმოშვა). მეფის რუსეთის მთავრობა არც ამ ეტაპზე იღებს ხელს იმ საგარეო პოლიტიკურ ამოცანების გადაწყვეტისაგან, რის რეალიზაციასაც იგი საფრანგეთის წინააღმდეგ ომის შედეგად მოელოდა. რაც შეეხება საფრანგეთის დიპლომატიას, მისი ამო-

ცანა 1800 წელს და 1801 წლის დასაწყისში იყო არა ხანგრძლივი მშვიდობიანობის აღდგენა ევროპაში, არამედ დროის მოგება ინგლისთან გადამწყვეტი ომის მოსამზადებლად, რუსეთის საბოლოო ჩამოცილება ყოფილი მოკავშირეებისაგან და მისი იარაღად გამოყენება, დასასრულ, ევროპაში მარენგოს გამარჯვებით მოპოვებული წარმატების შენარჩუნება და ახლო აღმოსავლეთში პოზიციების განმტკიცება. რაკი 1799 წლის ომმა არ გამართლა მასზე დამყარებული იმედები და რუსეთს გათვალისწინებული წარმატება ვერ მოუტანა, რუსეთის ცარიზმის მესვეურებმა დროებით წინა პლანზე ისევ დიპლომატიური მოლაპარაკების მეთოდი წამოსწიეს. პავლე I-ის მთავრობამ ახალი დიპლომატიური ღონისძიებების მეშვეობით განიზრახა ომით მიუღწეველი საგარეო პოლიტიკური ამოცანების რეალიზაცია.

როგორც ამბების შემდგომმა მსვლელობამ ნათელჰყო, პავლეს ეს ახალი საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია და შესატყვისი ნაბიჯები, თუმცა ისინი, ჩვენის აზრით, რუსეთის არსებული სოციალური სისტემის დაცვის საქმეს უპასუხებდნენ, მაინც წააწყდნენ რუსეთის თავადაზნაურობის ერთი ნაწილის, ვაჭართა ზედაფენისა და მეედრობის თავკაცობის წინააღმდეგობას. ეს ნაბიჯები მათ მიიჩნიეს თვითმპყრობელური ხელისუფლების რამდენადმე დამოუკიდებელი აქციის გამოხატულებად და თავიანთი ინტერესებისათვის მიუღებლად.

რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების ერთ-ერთ მომენტად 1800—1801 წლების მიჯნაზე ჩვენ მივიჩნევთ ინდოეთზე რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის პროექტის შემუშავებას და მისი სისრულეში მოყვანის ცდას. ჩვენ უარვყოფთ ამ პროექტის ხასიათის შესახებ რევოლუციამდელ რუს და საზღვარგარეთელ ისტორიკოსთა მიერ გამოთქმულ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების ნაწილს და ეჭვის ქვეშ ვაყენებთ და კრიტიკის ობიექტად ვხდით საბჭოთა ისტორიკოსთა ნაწილის ცალკეულ შეხედულებებს მის შესახებ.

ჩვენი აზრით, ინდოეთზე ხმელეთის გზით რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის მოწყობის იდეა აღმოცენდა რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების პერიოდში 1800—1801 წლების მიჯნაზე. აღნიშნული ლაშქრობის პროექტს საფუძვლად დაედო საფრანგეთში არსებული ძველი გეგმები ინდოეთიდან ინგლისელთა განდევნის შესახებ. ჩვენ არ უარვყოფთ ნაპოლეონ ბონაპარტის აქტიურ როლს და პავლეს თანამონაწილეობას ამ პროექტის შემუშავებაში. აღნიშნული პროექტი, თუმცა იგი ძირითადში კარ-

გად არის მოფიქრებული და ჩამოყალიბებული, მაინც არ წარმოადგენს გენიალურ გეგმას. მას გააჩნია ზოგიერთი არსებითი ხარვეზი რის გამოც ეჭვის ქვეშ უნდა იქნეს დაყენებული ამ პროექტის საფუძველზე გათვალისწინებული ლაშქრობის წარმატება. რუსეთ-საფრანგეთის ინდოეთზე ლაშქრობის აღნიშნული პროექტის რეალიზაციას მთელი რიგი არსებითი დაბრკოლებები გადაეღობა წინ და მათ შორის თვით რუსეთ-საფრანგეთის წინააღმდეგობა.

პავლე I-ის ინიციატივით 1801 წლის დასაწყისში მოწყობილი ლაშქრობა ინდოეთისაკენ არ გამომდინარეობდა ერთობლივი ლაშქრობის პროექტიდან. იგი ნაჩქარევად გადადგმულ სეპარატულ ნაბიჯს წარმოადგენდა და მხოლოდ სამხედრო დივერსია იყო, რაც რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესებით არ იყო ნაკარნახევი. აღნიშნული სეპარატული ლაშქრობის ორგანიზაცია პავლე I-ის მიერ ჩვენ ერთობლივი ლაშქრობის პროექტი განუხორციელებლობის მაჩვენებლად მიგვაჩნია.

რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების ტენდენცია და მათ შორის გაჩაღებული მოლაპარაკება, თუმცა მას ამ სახელმწიფოთა შემდგომი დაახლოება მოჰყვა შედეგად, თავის ფინალურ აქტამდე არ მისულა და წარმატებით არ დამთავრებულა. მისი შედეგი არ ყოფილა რუსეთსა და საფრანგეთს შორის მჭიდრო კავშირის დამყარება. გარკვეულ გარემოებათა შედეგად მათი შემდგომი დაახლოება შეწყდა 1801 წლის 11/23 მარტის აქტით—პავლეს მკვლელობით, რის შემდეგ რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში ისევ ახალი შემობრუნება დაიწყო.

ჩვენ არ ვიზიარებთ ზოგიერთი ისტორიკოსის შეხედულებას იმის შესახებ, რომ თითქოს რუსეთ-საფრანგეთის დაახლოებას და მათ შორის მეგობრული კავშირის დადებას არავითარი დაბრკოლება არ ეღობებოდა წინ და იგი მხოლოდ პავლე I-ის მკვლელობამ ჩაშალა. ჩვენი აზრით, კონკრეტული მონაცემები არ იძლევა ასეთი იმპერატიული დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას. პარიზის მოლაპარაკების მსვლელობამ, პირიქით, ცხადჰყო ამ მოლაპარაკების წარმატებით დასრულების დიდი სიძნელე. მეტად ძნელი შეიქმნა იმ წინააღმდეგობათა დაძლევა, რომელიც წარმოშვა საფრანგეთისა და რუსეთის თვალსაზრისთა სხვადასხვაობამ.

პარიზის მოლაპარაკება პავლე I-ის მკვლელობის მომენტისათვის წარმატებით ფინალამდე არ იყო მისული, მომავალი ხელშეკრულების პროექტის ცალკეული მუხლების გარშემო კვლავ ძძაფრი ბრძოლა მიმდინარეობდა. ინდოეთზე ერთობლივი ლაშ-

ქრობის პროექტის სისრულეში მოუყვანლობა და პავლე I ის მიერ წამოწყებული დამოუკიდებელი ლაშქრობა ინდოეთისაკენ ჩვენ მიგვაჩნია იმ წინააღმდეგობათა გამოვლენად, რომელნიც არსებობდნენ რუსეთსა და საფრანგეთს შორის და არ იყვნენ დაძლეულნი პარიზის მოლაპარაკების პროცესში.

ჩვენი შეხედულებით, რუსეთ საფრანგეთის შეთანხმება არც თუ ისე ადვილად იქნებოდა მიღწეული. საფრანგეთის პირველი კონსული ნაპოლეონ ბონაპარტი რუსეთის დიპლომატიის წინააღმდეგობის გამო ვერ მოახდენდა იმ საგარეო პოლიტიკურ ამოცანათა სრულყოფილად რეალიზაციას, რასაც იგი უკავშირებდა რუსეთთან შეთანხმებას და Modus vivendi-ს ბაზაზე მასთან სათანადო ხელშეკრულების დადებას. რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის ფაქტორთა წყებასთან. რუსეთ-ინგლისის ურთიერთობა, პირველყოვლისა მათი სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა, წარმოადგენდა მეტად სერიოზულ ფაქტორს, რომელიც უშუალო გავლენას ახდენდა რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაზე.

ინგლის-რუსეთის ურთიერთობის უკიდურესად გამწვავებამ, მათ შორის დიპლომატიური და, რაც მთავარია, სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის გაწყვეტამ და, პარალელურად ამისა, რუსეთის დაახლოებამ საფრანგეთთან, ამ ორი ქვეყნის მჭიდრო კავშირის შეკვრის პერსპექტივამ—მტრული რეაგირება გამოიწვია რუსეთის თავადაზნაურობის გარკვეული ნაწილისა და მსხვილ ვაჭართა რიგებში. პავლე I-ის მთავრობის აღნიშნულ საგარეო პოლიტიკურ მობრუნებასა და შესაბამის ნაბიჯებში მათ დაინახეს საკუთარი კლასობრივი ინტერესების უგულებელყოფა. საფრანგეთს, რომელიც სამრეწველო-კაპიტალისტური განვითარებით, მანქანური ტექნიკით მკვეთრად ჩამორჩებოდა კაპიტალისტურ ინგლისს, არ შეეძლო შეეცვალა ინგლისი და მისი ადგილი დაეკავებინა რუსეთის ბაზარზე, მიეწოდებინა მისთვის მზარდი რაოდენობით საჭირო მოხმარების საგნები. ამასთან ერთად საფრანგეთი ძირითადად სოფლის მეურნეობის ქვეყანა იყო, რომელსაც მნიშვნელოვანი რაოდენობით გააჩნდა საკუთარი სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი. აღნიშნულის გამო მას არ შეეძლო შეეცვალა ინგლისი და რუსი მემამულეების იმ სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის ბაზრად ქცეულიყო, რომლის ექსპორტიც მანამდე წარმოებდა ინგლისში. დასასრულ, მხედველობაში უნდა მივიღოთ საფრანგეთის ძლიერი სავაჭრო-ეკონომიური კონკურენცია ახლო აღმოსავ-

ლეთში, მისი აგრესიული პოლიტიკის საფრთხე რუსეთის პოზიციებისათვის ცენტრალურ ევროპაში და რუსეთის მმართველი ფეოდალური არისტოკრატიის შეურიგებლობა და ტრადიციული სიძულვილი საფრანგეთის რევოლუციის შედეგად აღმოცენებული ახალი სოციალურ-ეკონომიური ფორმებისა და იდეოლოგიისადმი. ჩვენი აზრით, ყოველივე ამან და ინგლისის დიპლომატიის აქტიურმა ოინებმა ხელი შეუშალა რუსეთ-საფრანგეთის მჭიდროდ დაახლოებას და მათი მეგობრული კავშირის გაფორმების შესაძლებლობის სინამდვილედ ქცევას.

ახალმა ვითარებამ, რომელიც 1800—1801 წლების მიჯნაზე შეიქნა რუსეთ-საფრანგეთსა და რუსეთ-ინგლისის ურთიერთობაში, მკვეთრი უკმაყოფილება გამოიწვია რუსეთის მმართველი ზედაფენის ერთ ნაწილში. იგი გახდა დიდმნიშვნელოვანი ფიცხი მასალა, რომელმაც პეტერბურგის სამეფო კარის თავკაცობის გარკვეული ნაწილი აამხედრა პავლე I-ის წინააღმდეგ და მიიყვანა იგი სასახლის გადატრიალების გზით მისი თავიდან მოცილების გადაწყვეტილებამდე.

სწორედ ამ ნიადაგზე აღმოცენდა რუსეთის ფეოდალური არისტოკრატიის ანგლოფილური დაჯგუფების შეურიგებლობა რუსეთ-საფრანგეთის დაახლოებისადმი, ამან გამოიწვია მათი ამხედრება რუსეთის ცარიზმის იმ საგარეო პოლიტიკური კურსისადმი, რომელიც საფრანგეთთან ომამდელი ურთიერთობის აღდგენისა და ევროპის დამშვიდების ნიადაგზე მასთან შეთანხმებას ისახავდა მიზნად. 1801 წლის 11/23 მარტის აქტი ამ წინააღმდეგობის ლოგიკურ ფინალს წარმოადგენდა, რა თქმა უნდა, შინაგანი ხასიათის მოტივებთან მჭიდრო კავშირში.

შინაარსი

	გვ.
შესავალი	3—16

თავი I

წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვა .	17—64
რევოლუციამდელი რუსი ისტორიკოსების ნაშრომები .	33—45
საზღვარგარეთელი ისტორიკოსების ნაშრომები	45—64

თავი II

რუსეთისა და საფრანგეთის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა და მათი ურთიერთობა 1789—1796 წლებში	65—119
1. რუსეთის თავადაზნაურულ-ბატონყმური მონარქია XVIII საუკუნის დამლევს (მოკლე მიმოხილვა)	65—78
2. საფრანგეთის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა 1789—1796 წლებში	78—94
3. რუსეთ-საფრანგეთის 1789—1796 წლების ურთიერთობის ზოგადი მიმოხილვა .	94—119

თავი III

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა 1796 წლის დასასრულიდან 1797 წლის დასაწყისამდე	120—174
1. აღმასრულებელი დირექტორიის ხელისუფლება საფრანგეთში და მისი ხასიათი	120—127
2. საფრანგეთის საერთაშორისო მდგომარეობა 1796 წლის დასასრულისათვის .	127—138
3. პავლე I-ის გამეფება	138—163
4. პავლე I-ის მთავრობის პირველი ნაბიჯები საფრანგეთის მიმართ	163—174

თავი IV

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა მეოთხე ანტიფრანგული კოალიციის შექმნის წინ (1797 წელს) .	175—231
1. რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის გაუმჯობესების ტენდენცია. მოლაპარაკება ბერლინში	175—197

დაზავება და მისი გავლენა ბერლინის მოლაპარაკებაზე. ამ მოლაპარაკების კრახი . . . . . 197—213
3. კაბინეტ ფორმიოს ზავი და მისი გავლენა რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაზე . 213—231

თავი V

მეფის რუსეთის მიერ საფრანგეთის წინააღმდეგ ომზე გეზის აღება. პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა მეორე ანტიფრანგული კოალიციის შესაქმნელად . . . . . 232—303
1. ბრძოლა „შინაგან ფრონტზე". ფრანგი ემიგრანტებისადმი დახმარების გაძლიერება. კონდეს კორპუსისა და პროვანსის გრაფის მიწვევა რუსეთში . . . . . 232—244
2. ბრძოლა ხმელთაშუა ზღვაზე ბაზების მოპოვებისათვის. მალტის საკითხი . . . . . 244—264
3. საფრანგეთის აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ და რუსეთ-თურქეთის „თავდაცვითი" კავშირის შექმნა . . . . . 265—279
4. საფრანგეთის აგრესიის გაძლიერება იტალიაში და რუსეთ-ნეაპოლის ურთიერთდახმარების კავშირის შექმნა . . . . 280—288
5. პოლონეთის და ჰამბურგის საკითხების როლი მეორე ანტიფრანგულ კოალიციაში რუსეთის ჩაბმის საქმეში . 288—289
ა. პოლონეთის საკითხი . . 289—299
ბ. ჰამბურგის საკითხი . 300—303

თავი VI

რუსეთის მიერ საფრანგეთის წინააღმდეგ ომისათვის სამხედრო დიპლომატიური მზადების დასრულება. მეორე ანტიფრანგული კოალიციის შექმნა . . . 304—355
1. რუსეთის და საფრანგეთის დიპლომატიის ბრძოლა პრუსიისათვის 304—324
ა. რეპნინის მისია ბერლინში . . . . . 305—314
ბ. საფრანგეთ-პრუსიის მოლაპარაკება ბერლინში 314—321
გ. უკანასკნელი ხემოქმედება პრუსიაზე . . . . . 321—324
2. რუსეთ-თურქეთის ფლოტის ოპერაციები საფრანგეთის ბაზების წინააღმდეგ ხმელთაშუა ზღვის აუზში . . . 324—330
3. ავსტრიის ჩაბმა მეორე ანტიფრანგულ კოალიციაში . . . 330—341
4. რუსეთ-ინგლისის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის განმტკიცება 342—355

თავი VII

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა მეორე ანტიფრანგული კოალიციის შექმნიდან მის დაშლამდე. რუსეთის ომი საფრანგეთთან 1799 წელს . . 356—413
1. მეფის რუსეთის ამოცანები მეორე ანტიფრანგულ კოალიციაში . . 356—361
2. რუსეთის ომი საფრანგეთის წინააღმდეგ ევროპის კონტინენტზე 1799 წელს . 361—377

3. რუსეთ-ავსტრიის წინააღმდეგობა მეორე ანტიფრანგული კოალიციის რიგებში . . . . . 378—401
4. რუსეთ-ინგლისის წინააღმდეგობა მეორე ანტიფრანგული კოალიციის რიგებში . . 401—413

თავი VIII

მეორე ანტიფრანგული კოალიციის დაშლა და რუსეთის ომიდან გამოსვლა. მოგრუნება რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში (1799 წლის დასასრული, 1800 წლის დასაწყისი) . . . . . 414—459
1. რუსეთ-ავსტრიის წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავება და მათი „თავდაცვითი" კავშირის გაწყვეტა . . . . . 414—431
2. რუსეთის მიერ საფრანგეთის წინააღმდეგ ომზე ხელის აღება. რუსეთ-ინგლისის ურთიერთობის დაპიმვა და რუსეთის გამოსვლა მეორე ანტიფრანგული კოალიციიდან . 431—459

თავი IX

მოგრუნება რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში 1800 წელს, მათი დაახლოება . . . . . 460—511
1. თვრამეტი ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალება საფრანგეთში და მისი შეფასება პეტერბურგის სამეფო კარზე . . . . 460—479
2. რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების სიმპტომები. მოლაპარაკება შეთანხმების შესახებ . 480—511

თავი X

ინდოეთში რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის პროექტის საკითხი . 512—553

თავი XI

საფრანგეთ-რუსეთის კავშირის განუხოლრციელებლობა. პავლე I-ის მკვლელობა . . . . . 554—598
1. კავშირ-მეგობრობის თაობაზე რუსეთ-საფრანგეთს მოლაპარაკების წარუმატებლობა . . . . . 554—566
2. პავლე I-ის მკვლელობა და მორიგი მობრუნება რუსეთის საგარეო პოლიტიკაში . 566—598
დასკვნები . 599—612

რედაქტორი გ. ეორდანია

*

გამომცემლობის რედაქტორი ე. გორგაძე

ტექნიკური რედაქტორი შ. დოლიძე

კონტროლიორ-კორექტორები { მ. თადუმაძე
მ. ინასარიძე

Донадзе Варлам Барнабович

Русско-французские отношения на рубеже XVIII — XIX веков

(На грузинском языке)

Изд-во ТГУ им. Сталина
Тбилиси — 1959

შეკვეთა № 284 უე 01581 ტირაჟი 1000

გადაეცა წარმოებას 11/II-59 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/XI-59 წ. ანაწყობის ზომა 6×10. ქაღალდის ზომა 60×92. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 38,5. საღრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდენობა 37,6.

ფასი 19 მან. 80 კაპ.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობის სტამბა, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

Типография Издательства ТГУ им. Сталина, проспект И. Чавчавадзе, 1.